გათხოვილის ქალისა თანა უდაბურში სიძვისა

32. თუ ვინმე იპყრას¹ ველსა გარე ქალი განთხოვილი, ჰმძლავროს და დაიწვინოს² იგი, მოკუედინ მამაკაცი იგი, რომელმან დაიწვინა³.

ხოლო ქალსა ნურას აენებენ⁴, რამეთუ არა თანა-აქ⁵ ბრალი სიკუდილისაჲ, რამეთუ, ვითარცა კაცმან, რომელმან დაიპყრის⁶ კაცი ველსა გარე⁷ და მოკლის იგი, საქმე წარჰქდა⁸ ქალსა მას, რამეთუ ველსა დააპყრა⁹, ლალადებდა და არავინ იყო მკსნელ მისა¹⁰ [22, 26-27].

გაუთხოვარი ქალისა

33. შე-თუ ვინმე-იპყრას ქალი ქალწული¹¹, ჰმძლავროს და დაიწვინოს¹² იგი, და [ნჲ] გამოჩნდეს, მიეცინ¹³ კაცმან მან მამასა მას¹⁴ ქალისასა ერგასისი სატირი ვეცხლი¹⁵, და ქალი იგი იყოს¹⁶ მისავე ცოლად, რამეთუ აგინა¹⁷ იგი. და ნუ უფლიენ¹⁸ განტევებაჲ მისი უკუნისამდე¹⁹ [22, 27-29].

მამის ცოლისა

34. ცოლსა მამისა შენისასა ნუ ცოლს იყოფ, რათა არა განაცხადო სარცხუენელი მამისა შენისაჲ [22, 30].

მსხვერპლად შესაწირავი

35. კუდური და ღუმა²⁰-კუეთილი ნუ შეიწირვინ ტაძრად უფლისა. ძალით²¹ ნასყიდვეი და სიძვის სასყიდელი ნუ შეიწირვ[ი]ედ ტაძრად უფლისა [23, 1-2].

ჯრდილის კაცისა

36. გან-თუ-ხვდოდი წყობად მტერთა შენთა²², დაიკევ თავი შენი ყოვლისაგან სიტყუსა ბოროტისა.

იყოს თუ ვინმე შენ შორის ხაშმ და უწრდოდის²³ საფსპელი მისი ლამე, განვედინ გარეშე ბანაკსა და ნუ შემოკალნ ბანაკად.

¹ აპყრას B. ² დაიწანოს B. ³ დაიწანა B. ⁴ ნურა ენებინ B. ⁵ აც] მას B. ⁶ დააპყრის B. ⁷ გარე] ზედა B. ⁸ წარცდა A. ⁹ დაეპყრა B. ¹⁰ იყო მკსნელ მისა] შეეწია მას B. ¹¹ განთხოვილი, ველსა B. ¹² დაიწანოს B. ¹³ მისცეს B. ¹⁴ მის B. ¹⁵ ვეცხლი—B. ¹⁶ იყავნ B. ¹⁷ შეაგინა B. ¹⁸ უფლიედ B. ¹⁹ უკუნისამდე] ყოველთა დღეთა ცბორებისა მისისათა B. ²⁰ ღუმაკ B. ²¹ ძალისა B. ²² მტერთა შენთა—A. ²³ უწრდოდის A.

და მერვე ზიმწუხრი დაიბანენ გუამი მისი წყლითა და მზის დასლესა¹ შეშოვედინ ბანაკადვე².

ადგილ³ ერთ განჩინებულ იყავნ⁴ გარეშე ბანაკსა⁵, რომელსა განხვლოდი შენ.

და. ბანა⁶ ერთი იყავნ გამობმულ⁷ სარტყელსა შენსა⁸, და სადა იგი დგეს⁹, აღნოსთხაროს¹⁰ და დაჭფაროს¹¹ საძაგვლებად [წჰვ] იგი სარცხენელისა მისისა¹² [23, 8—13].

სხვის ნასუილის კაცის შემოხუეწება

37. მონა, რომელი შემოვედრებული იყოს შენდა, ნუ მისცემ მას¹³ ჯელთა უფლისა მისისათა¹⁴.

რომელი შეყოფილ იყოს შენდა და ჯდეს შორის ყოველსავე ადგილსა, რომელიცა¹⁵ სთნდეს; ნურას აპირებ¹⁶ მას.

ასულთაგან ისრაელისათა ნუ იქმნების¹⁷ როსკი¹⁸, ნუცა¹⁹ იბოებინ ზამაკაცი ვეძავეი ძეთაგან ისრაელისათა.

ნუ შესწირავ შენ სასუიდელსა სიძვისასა, ნუცა ნაცვალსა ძალისასა სახიდ უფლისა ღმრთისა შენისა, ნუცა²⁰ შესწირავ ყოველსა²¹ აღნათქუემსა შენსა²², რომელ აღგეთქუას შენ, რამეთუ ბილწ²³ არს წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა ორივე ვეგ.

ნუ ზოჰჯდი²⁴ ძმასა შენსა აღნადგინებსა ვეცხლისასა, ნუცა აღნადგინებსა საქმლისასა, ნუცა ყოველსა აღნადგინებსა სესხისა²⁵ შენისასა, რომელ ავასხე ძმასა²⁶ შენსა, რათა გაკუროთხოს შენ ღმერთთა შენმან* [23, 13—20].

ღმერთს რაც აღუთქვა, აღუსრულე

38. აღ-თუ-უთქუა აღნათქუემი შენი²⁷ უფალსა ღმერთსა შენსა, არა დააყენო აღსრულებად მისი, რამეთუ მიჯდით მიჯადოს²⁸ იგი უფალმან ღმერთთან შენმან²⁹, და იყოს იგი³⁰ შენდა ცოდვა.

¹ დასულისას A. ² ბანაკსავე მას B. ³ და ადგილ B. ⁴ იყავნ|+ შენდა B. ⁵ ბანაკსა|+ ნას B. ⁶ მანა| გინა A, მონა B. ⁷ იყავნ გამობმულ| გამობმულ აქუნდენ A. ⁸ შენსა—A. ⁹ დგეს| დასდგე B. ¹⁰ აღნოსთხარო B. ¹¹ დაჭფარო B. ¹² მისისა| მის შენისა B. ¹³ მას|—B. ¹⁴ თჯისათა B. ¹⁵ რომელსა A. ¹⁶ აპირებ B. ¹⁷ იქმნებინ B. ¹⁸ როსკი B. ¹⁹ და ნუცა B. ²⁰ ნუცა| ნუ B. ²¹ ყოველსა| ყოველსავე შენსა B. ²² შენსა|—B. ²³ ბილწა A. ²⁴ მოჰჯდი| მიჰყიდი A. ²⁵ + სესხ B. ²⁶ + მას B. ²⁷ შენი|—B. ²⁸ მიჯადოს B. ²⁹ შენგან B. ³⁰ იგი|—B.

* შლრ. მუხლ. 39.

უკუეთუ არა აღუთქვა¹, არა² არს ცოდვა³ შენდა*. გარნა რომელი აღმოცდეს ზაგეთა შენთა, დაიძარხე და ყავ, ვითარცა აღუთქუ⁴ უფალსა ღმერთსა შენსა მისაცემელსა, რომელსა იტყოდა პირი შენი¹¹ [23, 21—23].

[54r] 39**. ნუ მიჰჭდი აღნადგინებსა ძმასა შენსა⁵ ეცხლისასა, ნუცა აღნადგინებსა საჭმლისასა, ნუცა ყოველსა აღნადგინებსა სესხისა მის⁶ შენისასა, რომელ აქასხე ძმასა შენსა, რადთა გაკურთხოს შენ⁷ ღმერთმან [23, 19—21].

ვენაჯის და ყანის გამოკრეფისა მეზობლისა

40. შე-ლა თუ-ჰჭდე ყანასა მოყუსისა⁸ შენისასა თავის კრებად, ზანგლითა ნუ მოჰკვი ყანასა⁹ მოყუსისა შენისასა.

შე-თუ-ჰჭდე¹⁰ ვენაქსა მოყუსისასა¹¹. ჰამად ყურძნისა, ჰამენ¹², რაოდენიცა¹³ უნდეს სულსა შენსა¹⁴, წიალსა¹⁵ ნუ დაიდებ¹⁶, ნუცა სხუასა რას ჰურჭელსა [23, 24—25].

ცოლისა შერთვისა და გაშვებისა

41. მო-თუ ვინმე-იყუანოს ცოლი და შეირთოს¹⁷, და არა სათნო ეყოს, ანუ თუ რადმე აპყრას¹⁸ ჯერკუალი, დაუწერენ მას წიგნი განსატევებელი და მიეცინ ჰელთა მისთა და გამოავლინე იგი სახლისაგან მისისა¹⁹.

მი-უკუეთუ-ვიდეს²⁰ დედაკაცი იგი და ცოლ ეყოს სხუასა ჰმარსა, და მოიძულოს იგი უკანაჲსკნელ მანცა²¹ ჰმარმან, დაუწერენ მანცა წიგნი განსატევებელი და მიეცინ²² ჰელთა მისთა და განავლინენ სახლით თჳსით.

უკუეთუ მოკუდეს უკანაჲსკნელი იგი ჰმარი, რომელმან შეირთო დედაკაცი იგი, ვერ ჰელ-ეწითების პირველსა მას ჰმარსა²³,

¹ + შენ B. ² არარად B. ³ ~ არს ცოდვა B. ⁴ აღუთქვა A. ¹¹ იტყოდა პირი შენი—A. ⁵ ~ ძმას შენსა აღნადგინებსა B. ⁶ სესხისა მის] სესხისა A. ⁷ შენ] + უფალმან B. ⁸ მოყუსისასა B. ⁹ ყანასა] + მას B. ¹⁰ შთა-თუ-ჰჭდე B. ¹¹ მოყუსისა შენისასა B. ¹² ჰამენ B. ¹³ რაოდენიცა B. ¹⁴ შენსა] მისსა A. ¹⁵ წიალთა B. ¹⁶ შთაიღებ B. ¹⁷ შეირთოს] + იგი B. ¹⁸ რამე აპყრას] და რამე-აპყრას მის თანა საქმე B. ¹⁹ სახლი თჳსით B. ²⁰ მო-თუ უკუეთუ-ვიდეს B. ²¹ უკუნასამანცა A. ²² + იგი B. ²³ ჰელ-ეწითების პირველსა მან ჰმარმან B.

* აქედან 39 მუხლის ბოლომდე ტექსტი ჩაწერილია სხვა ხელით.

** ეს მუხლი 37-ე მუხლის ბოლო აბზაცის განმეორებაა.

რომელმან განუტევა იგი, მიქცევად და მიყუანებად მისად ცოლად შემდგომად შეგინებისა მისისა [24, 1-4].

ცოლის შერთვისა

[24r] 42. შე-თუ ვინმე-ერთოს ცოლი ახლად, ღუაწად¹ ნუ განვალნ² იგი, ნუცა³ შეერევიან⁴ იგი სხუასა⁵ საქმესა რომელსამე⁶ ჯერკუალსა, არამედ წმიდად ეგენ⁷ სახლსა თვისსა წელიწად ერთ და ახარენ ცოლსა⁸ თვისსა, რომელსაცა⁹ შეერთოს¹⁰ [24, 6].

ფქვილის დაჯუთვისათვის

43. ნუ სადა იჯუთავ შენ ფქვილსა ზედა კერძოსა, ნუცა ქუე კერძოსა, რამეთუ სულთა მჭუთველისა¹¹ მსგავს¹² არს იგი [24, 6].

ქურდის დაქერისა

44. უკუეთუ ჯელთ სადამე იღვას კაცი მპარაემან¹³ ნათესავთაგანი თვისთა ძეთა¹⁴ ისრაელისათა, კმძღაეროს¹⁵ და განყიდოს იგი, მოკუედინ კაცი იგი და მოისპენ ბოროტი იგი [24, 7].

მამა შვილისა და შვილი მამისა წილ არ მოიკულის

45. ნუ მოკუედების¹⁶ მამა შვილისა წილ და¹⁷ ნუცა შვილი მამისა წილ, არამედ კაცად-კაცადი თვისთა ცოდვითა მოკუედინ.

ნუ განსდრეკ სარჩელსა მწირისა¹⁸ და¹⁹ ობლისასა, ნუ მიიჯუთავ²⁰ ფიჩუსა ქურივისასა²¹, მოიგსენე, რამეთუ შენცა დამონებულ იყავ ეგვბტეს [24, 16-16].

ყანისა და ზეთის ხილისა და ვენაჯის ნამცურევისა

46. კმკიდეთუ²² ყანასა სამკალსა შენსა და დაგიშთეს²³ მკელებული, ნუ უკუნ აქცევ²⁴ [25r] აკრებად მის²⁵, არამედ გლახაკათა²⁶ იყავნ იგი²⁷; მწირისა²⁸ და ობლისა და ქურივისა²⁹, რათა კეთილ გეყოს შენ³⁰.

¹ ღუაწად B. ² განვლენ A. ³ და ნუცა B. ⁴ შეერევიან B. ⁵ სხუასა] რომელსავე B. ⁶ რომელსამე]—B. ⁷ + იგი B. ⁸ + მას B. ⁹ რომელცა-იგი B. ¹⁰ შეერთენ A. ¹¹ მხუთასა B. ¹² მზგავსა A. ¹³ მპარაეი A. ¹⁴ ძეთა] + მათ B. ¹⁵ და კმძღაეროს B. ¹⁶ მოკუედებინ B. ¹⁷ და]—B. ¹⁸ მწირისასა B. ¹⁹ და] ნუცა B. ²⁰ მიქცუთავ B. ²¹ ქურივისა B. ²² თუ—A. ²³ + შენ მუნ B. ²⁴ იქცევი B. ²⁵ მის] და შოთომილსა მას თავისა შენისასა B. ²⁶ გლახაკათა] გლახაკისა მის B. ²⁷ იგი] + და B. ²⁸ + მის B. ²⁹ + მის B. ³⁰ + და გაკურობოს შენ უფალმან ღ-ნ შენმან ყოველთა დღეთა მათ შინა საქმეთა ჯელთა შენთასა B.

მო-თუ-ისთულიდე ზეთის ხილსა შენსა და დაგიშთეს, ნუ უკუნ იქცევი მოკუფხლვად მისა¹, არამედ ნაკლულევეანმან²,— მწირმან³, ობოლმან და⁴ ქურიემან—წარილოს⁵ იგი [24, 19—20].

ვენჯის ნამცურევისა

47. მო-თუ-ისთულიდე საყურცნესა შენსა და უკუნ გიშთეს⁶ მისგანი, ნუ უკუნ იქცევი მოკუფხლვად მისად, არამედ მწირმან, ობოლმან და ქურიემან მოკრიბოს⁷ იგი [24, 22].

ორთა მოჩივართა

48. ორნი ვინმე⁸ წარდგენ⁹ სასჯელად, განსაჯენით იგინი¹⁰ მართლიად¹¹, განამართლეთ მართალი და განაცრუეთ ცრუ იგი. და თუ იყოს ღირს გუემისა ცრუ იგი¹², დასუა იგი წინაშე მსაჯულისა¹³ და ჰგუემო იგი მათ წინაშე შემსგავსებულად უსჯულოებისა მისისა¹⁴ [25, 1—2].

მეკალოეს ჯარის პირის აკურისა

49. ჯარსა მეკალოესა პირსა ნუ შეუქრავ¹⁵ [25, 4].

ორი რიგი საწყაული არა ჯერ არს

50. ნუ იბოებინ ქურჭელსა შენსა შორის სასწორო: ერთი დიდი, ერთი [ნახვ] კნინი; ნუცა იყოფინ სახლსა შენსა შინა¹⁶ საწყაული: ერთი დიდი, ერთი კნინი, არამედ საწყაული სარწმუნოებისა და სიმართლისა იყავნ შენ შორის და კეთილი გეყოს ქუეყანასა შენსა¹⁷ [25, 13—15].

ათეულისათვის

51. უკუეთუ გამოასრულო გამოცემად ყოველი¹⁸ ათეული ნაყოფისა მის ქუეყანისა შენისაჲ წელსა მას მესამესა, მეორე ნაწილი ათეულისა მის მისცე ლევიტელსა მას¹⁹, მწირსა²⁰, ობოლსა²¹ და ქურიესა მას,—კამდენ ქალაქსა²² შენსა შინა²³, განძღებოდიან.

¹ მისა] დაშთამილსა მის B. ² + მან B. ³ + და A. ⁴ და—A. ⁵ წარილოს] ნარილოს A. მოკუფხლვად B. ⁶ უკუნ გიშთიდეს A. ⁷ მოკრიბონ B. ⁸ ორნი ვინმე] იყოს თუ ვისიმე ჳნობისა (!) ორთა კაცთა შორის ერსა მაგას და B. ⁹ წარდგეს A + იგი B. ¹⁰ იგი B. ¹¹ მართლიად] — და B. ¹² და თუ იყოს ღირს გუემისა ცრუ იგი—A. ¹³ მსაჯულთა მათ B. ¹⁴ მისისა] მათისა A. ¹⁵ დაუქრავ B. ¹⁶ ~ შინა შენსა B. ¹⁷ შესა] მას ზედა, რომელი-იგი უფალმან ღმერთმან მიგვეს თქუნ B. ¹⁸ ყოველი] + იგი B. ¹⁹ მას] + და B. ²⁰ მწირსა] + მას B. ²¹ + მას B. ²² ქალაქსა] + მას B. ²³ ~ შინა შენსა B. + და B.

და სთქუა შენ წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა: განეწმიდენ¹ მე სახლისა ჩემისაგან ყოველნი იგი მსხვერპლნი, მივეც² იგი ლევიტელსა³, მწირსა⁴, მსხემსა⁵, ობოლსა⁶ და ქურვისა, და ყოველნი იგი მცნებანი შენნი, რომელნი⁷ მაძენ⁸, დავიმარხენ⁹.

და არა ეკამე მისგანი ნაკლულევანებითა ამით ჩემითა, არცა¹⁰ განვაზნიე მისგანი ბილწებითა, არცა¹⁰ წარვაგე¹¹ მისგანი მკუდართა მიმართ, არამედ ვისმინე კმა უფლისა ღმრთისა ჩემისა და ვყუენ ყოველნი მცნებანი მისნი [26, 12—13].

მცნებისა ამის გარდამავალის წყევა

52. წყეულ იყავნ იგი კაცი, რომელმან ქმნეს¹² თავისა თვისისა კერპნი*, [361] რამეთუ ბილწ¹³ არს წინაშე უფლისა ღმრთისა და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ¹⁴;

წყეულ იყავნ, რომელმან შეურაცხ ყოს მამა თვისი, გინა¹⁵ დედა თვისი¹⁶, და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ;

წყეულ იყავნ, რომელმან ცვალნეს საზღვარნი მოყუისისა თვისისანი, და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ^{16a}.

წყეულ იყავნ¹⁷, რომელმან აცთუნოს ბრმა გზასა, და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ^{17a}.

წყეულ იყავნ¹⁸, რომელმან დრიკოს სასჯელი მწირისა, ობოლისა და ქურივისა, და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ^{18a}.

წყეულ იყავნ, რომელი¹⁹ დაწვეს მამისა ცოლის²⁰ თანა, რამეთუ²¹ განაცხადა²² საიდუმლო იგი მამისა თვისისა, და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ;

წყეულ იყავნ²³, რომელი შეიბილწოს ყოვლის[ა] საცხოვარისა თან[ა], და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ²⁴;

წყეულ იყავნ, რომელი დაწვეს დისა თანა, მამითისა გინა დედითვისა²⁵, და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ²⁶.

¹ გვიწმინდენ A. ² და მივეც B. ³ ლევიტელსა|ლევიტელსა A: +მას და B.

⁴ მწირსა|+ მას B. ⁵ მსხემსა|+მას B. ⁶ ობოლსა|+მას B. ⁷ რომელ B. ⁸ მაძენ|+ მე B. ⁹ + და არა დაეივიწყენ ყოველნი იგი მცნებანი შენნი B. ¹⁰ არცა|და არცა B. ¹¹ წარ-რა-ვაგე B. ¹² იქმნეს B. ¹³ ბილწა A. ¹⁴ ღმრთისა და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ—A. ¹⁵ გინა თუ B. ¹⁶ თვისი|—B. ^{16a} ერმან: იყავნ|—A. ¹⁷ იყავნ|+ ყოველმან B. ^{17a} ერმან: იყავნ|—A. ¹⁸ იყოს A. ^{18a} ერმან: იყავნ|—A. ¹⁹ რომელმან A. ²⁰ ცოლთა A. ²¹ რამეთუ—A. ²² განაცხადონ A. ²³ იყოს A. ²⁴ იყავნ|—A. ²⁵ მამითისა გინა დედითვისა| მაჰის ძისა თვისისა, გინა დედი თვისა A. ²⁶ ერმან: იყავნ|—A.

* აქ გამოტოვებულია წინადადება

წყეულ იყავნ, რომელი დაწვეს სიდედრისა თანა, და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ;

წყეულ იყავნ, რომელი დაწვეს მამისდის[ა] თანა, გინა¹ დედისდისა თანა, და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ²;

წყეულ იყავნ, რომელმან გუემოს მოყუასი თჳსი ზაკვით, და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ³;

წყეულ იყავნ, რომელმან მოიღოს ქრთამი მოკლვად სულისა მართლისა, და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ⁴;

წყეულ იყავნ ყოველი⁵, რომელი არა დაადგრეს ყოველთა ამათ [ნწ]მცნებათა⁶ ღმრთისათა სასჯელისათა⁷ ყოფად მისა, და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ! [27₁₅₋₂₆].

¹ გინა თუ B. ² ერმან: იყავნ]—A. ³ ერმან: იყავნ]—A. ⁴ ერმან: იყავნ]—A. ⁵ ყოველი]+კაცი B. ⁶ მცნებათა] სიტყუათა B. ⁷ ღმრთისათა სასჯელისათა] შჯულისათა B.

სამართალი ბერძუდი

(ქართული ვერსია)

შესავალი

ქ. ლეონ ბრძენისა¹ და კოსტანტინესი და სხვათა კელმწიფეთა მიერ თქმული². და განწესება სჯულისა; კანონი მეფეთა და სიმართლისა მოსამართლეთათვის, რათა: რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამას შინა, მცირედიცა არა განვაგლოთ, არამედ ყოველივე ვისმინოთ და ვყოთცა³

1. ქ. რომ მოჰდეს და დადგეს მსაჯულად კაცი ვინმე სასამართლოდ კაცსა ზედა, უკეთუ ენებოს კაცსა მას მსაჯულად სახელის წოდება, ამა წესთა და რიგთა ნუ განაგდებს, — რამეთუ ღთსაცა მსაჯული ეწოდების, — და კეთილად განაგებდეს. რათა ჰპოვოს ჭეშმარიტი ღთი დღესა მას სასჯელისასა ზემწედ თავისა თვისისა ამისათვის, რამეთუ ყოველთა ვერ ძალ-უცთ სიტყუის გებად თვალ-უხეავსა მას მსაჯულსა თანა. უწყოდეთ, რამეთუ ღთი არა პატივსცემს პირველსა, და მეორესა არა უპატიო ყოფს, არამედ ღთი დაუფერებელი არის და მისცემს კაცად-კაცადსა მსგავსად საქმეთებრ მისთა.

უკეთუ ენებოს ვისმე მსაჯულად ყოფნა, მას ნებაეს, რათა ღთი ზემწედ იყოლიოს სოფელსა ამას და მერმესა მას საუკუნესა. მსაჯულმ[წ]ან მან ეს უნდა იცოდეს, ვითარმედ სხვად არასფერად შეიქმნა იგი მოსამართლე, არამედ, რათა სიმართლით სასამართლსა ყოფდეს და კაცთა სიავკაცესა შორს განაგდებდეს⁴.

და რომელსა ქონდეს დანაშაული, ვითარცა ძალ-ედევას, ესრეთ განსჯიდეს სამართალსა იქ, თუ უსამართლოსა. ღთი არ მოკუყუდების, ამისთვის მოსამართლე იგი უსამართლოს ნუ იქს, რამეთუ ქრისტე ბრძანებს წმიდასა სახარებასა შინა: «თმანი თავისა თქუენისანი ყოველნივე განრაცხილ არიან წინაშე ღთისა»⁵.

რამეთუ ღთი არს სიმართლე, და ყოველისგანვე, რაც რომ არის, უფროსად უყუარს სიმართლე, რამეთუ სიმართლე ზეცით

¹ ლეონ ბრძენისა A. ² კელმწიფეთა მიერ თქმული მეფეთა მიერ მართმადიდებელთაგან თქმული B. ³ ვყოთცა A, ვყოთცა E. ⁴ შორს განაგდებდეს შორის განაგებდეს B.

* მათე 10, 26; ლუკა 12, 7.

გარდამოჭდა და წინაშე ლ'თისა იპოების. რამეთუ რომელნიმე გვარნი და ნათესაენი სდევენ სიმართლესა, სიმართლე იგი განა-
 ცლიერებს მას და აღამალლებს. ამისთვის ყოველთა გვართა და
 ნათესავთა გვიქმს, რათა ყოველნი ყოველსა ეამსა და დროსა სი-
 მართლესა ვეძიებდეთ და ვყოფდეთ, რამეთუ, რომელიცა ყოფენ
 სიმართლესა, სიმართლე იგი განაძლიერებს და აღამალლებს და
 საყუარელ მაცხოვრისა ქრისტესი იქნების.

მსაჯულსა მას ნებაეს, რათა ქიანდეს გონებასა თვისსა განუ-
 შორებლად სიტყუა იგი, რომელიცა ბძანა ქეშმარიტმან მსაჯულმან
 და მართალმან ლ'თნ და ყოვლისა მსაჯულმან: «ნუ სჯით თვალ-
 ლებით, არამედ სამართალი საჯეთ»* და «ნეტარ იყუნენ, რომელთა
 შიოდის და სწყუროდის სიმართლისათვისო, რამეთუ [წმ] იგინი
 განძლენო»**. აქა საზრდელსა ბრძანებს უფალი, რომელსაცა ენე-
 ბოს სიმართლე, განძლენო სოფელსა ამას სიმართლითაო და სა-
 უკუნესა მას—განსვენებისა სიხარულით. ესრეთ ბრძანა მაცხოვარმან.

და ჯერ¹ არს, რათა მსაჯული იგი ამას მარადის იქსენებდეს,
 რომელსაცა ბრძანებს დიდი ბასილი: რამეთუ, რომელსა სიმართლე
 არა აქუს წინაშე თვისსა, არამედ ქრთამისათვის ანუ კაცთა სიყუა-
 რულისათვის ვერა იქმს სამართალსა, ანუ მტერობისათვის გარდა-
 აქცევს, გინათუ უფროსთა კაცთა მორბედებისათვის ვერა იქმს სა-
 მართალსა, არამედ გარდააქცევს და გაამტყუენებს, იგი სამართა-
 ლი არა არს, არამედ მოსამართლესა მას ეწოდების პირმფერე-
 ბელი.

ერთმან ძველმან ფილასოფოსმან თქუა: უკუეთუ გენებოს სა-
 ნართალი², ნურავის მიეფერებიო და ნუცა გარდაამრუდებო, არა-
 მედ სიმართლით საჯეთო.

და საკუთრველი სოლომონ იტყუის და გვაყენებს, რათა
 არა სიხარბით შევიძინოთ საფასე იგი, რომელიცა არა ჯერ იყოს.
 «უკეთეს არს მისა, რათამცა მცირედი რამე მიიღოს სიმართლით,
 ვიდრელა³ მიიღოს ბევრი უსამართლოდ»***.

ამისთვისცა ბრძანებს ბრძენი⁴ ზირაქ:*** რამეთუ «საქონელი
 რომ ესრეთ მისდიოდეს კაცსა, ვითარცა წვიმისაგან ღვარი და

¹ ჯერა AB. ² სამართალი] + სიმართლე B. ³ ვიდრელა] + რა A. ⁴ ბრძე-
 ნი] წმიდა B.

* იოანე 7, 24. ** მათე 5, 6. *** შდრ. იგავნი 15, 29. **** შდრ. ზირაქ 40, 23.

მდაფრმან ქარმან და ქუხილის მეხის ტეხამან განაბნიოს წვიმანი იგი, ეგრეთვე განქარდების ყოველი უსამართლოდ შეკრებული საუნჯე».

რატომ? ამისათვის, რამეთუ იტყუის კირილე: ყოველსა, რომელსა უყო[ნხვ]ფენ უსამართლოსა, იგი დამწვარი შეიქნების უსამართლოსაგან, ხოლო მას ავი არა მეუძლია რა მოსამართლესა ზედა, არამედ ესრეთ იტყუის და დასწყევლის: როგორც სამართალი მე მიყო, იმისთანა სამართალი ღთს იმას უყოსო. ამაში რა იქნება, ისმინეთ, რასა ბრძანებს მაცხოვარი: «რომლითა საწყაულითა მიუწყეთ, მოგეწყოს ისრე თქუენ»*—რამეთუ როგორათაც ღარიბს კაცსა შენ უხამ სამართალსა, ეგრე ღთი შენ გიზამს სამართალსა.

და გრიგოლი ნოსელი იტყუის: რამეთუ ღთის სამართალი ჩვენ მოგვემსგავსებისო, ესრეთ რამეთუ, როგორც ჩვენ უხამთ კაცთა სამართალსა, ეგრეთ ღთი ჩვენ გვიზამს სამართალსა ამა სოფელსა და მას საუკუნესა.

არა ყოველთა წარსწყმედს ღთი, ვითარცა ბრძანებს ოქროპირი, რათა არავინ თქუას, ვითარმედ არა არს აღდგომა, არცა განსჯა ცხოველთა და მკუდართა—არცა ყოველთა აქ დასჯის და არცა ყოველთა გაუშვებს დაუსჯელად.

რამეთუ იტყუის პლატონ ბრძენი ელენთა: პატიოსან არს იგი, რომელმან ყოს სამართალი, და არავინ ქნას უსამართლო ვიზედმე. და რომელმან იხილოს უსამართლო კაცსა ზედან, მოსამართლე იგი დააყენოს, რამეთუ, რომელმან ყოს ესე, მიიღებს დამყენებელი იგი ორსა პატივს, ამისთვის რამეთუ უსამართლო იგი რომელმანცა ქმნა; თავისის სარგებელისათვის უსამართლო ყო. არამედ, რომელმანცა ნახოს მსაჯულისაგან უსამართლო, ანუ [ნჳ] სხვისაგან, და დააყენოს¹ უსამართლოსაგან, ის კაცი თავის სულსაც აცხოვნებს და იმისასაც.

რამეთუ იტყუის რიტორი დიმოსთენი: იგი არს ღირსი, რომელიცა ყოფდეს სამართალსა; არა ერთსა უყოფდეს, რათა აქებდეს კაცი, არამედ, რათა სხვათაცა ყოველთა უყოფდეს სამართალსა. მაშინ სიმართლე იგი საქებელ იქმნების.

კაცმა რომე დაიუნჯოს საქონელი, ადვილი არს, მაგრამე, როდესცა მცირესა რასმე ღთისათვის გლახას მისცემს, მცირედისათვის მწუხარე იქმნების და იგი შეიქმნების წარწყმედული და უპატიო.

¹ დააყენოს] დაუყენოს A.

* მათე 7, 2; მარკოზ 4, 21.

რომელიცა მოქალაქობდეს სიმართლით, მას ქონდეს იმედი, ვითარცა ლომსა, რამეთუ ლომსა არავისგან ეშინის. ეგრეთვე, რაჟამს სასწორსა ასწევნ, მაშინ სიმტყუვნე აღარ იქნების და არც არა ეზრახვის მას. ეგრეთვე მართალ მსაჯულსა მას ზეცათასა არცა მართლის მოსამართლისაგან ეშინიან და არცა უსამართლოს კაცისაგან.

რამეთუ იტყუის პიკტიტოს ფილასოფოსი: უკეთესი არს სიმართლით სამართალი მისგან, რომე არავინ დაგწყევლოს; უკეთუ სიმართლე ქნას, დასწყევლოს ვინმე, არა რა არს. არამედ, თუ ქნას უსამართლო ვისზედმე, და იმან რომ დასწყევლოს, წყველა მისი გეყავნ. რამეთუ იტყუის მაცხოვარი: «ნეტარ იყუნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუუეველი ცათა»*.

უკეთუ იყოს მართალი მოსამართლე და უყუარდეს მას სამართალი, სამართალი უნდა დაიმკვიდროს მან¹. რამეთუ² [ნაწ] იტყუის დავით: «მარადის სწყალობს³ და აეცახებს მართალი, და სიმართლე მისი—შვილითი-შვილამდე, ვითარცა ფინიკი აღყუადდეს და ვითარცა ნაწვი ლიბანისა ეგრეთ გამრავლდეს»**.

ქემმარტიტად მართალთა სასოება არა დაიკარგება და არცა მათნი შვილნი სხვათ კელთ შემხედველნი იქმნებიან, არამედ⁴ დაიმკვიდრებს ქუეყანასა ამას და საუკუნოსა განსვენებასა. ამისთვის რამეთუ სიმართლე და სახიერება შეიყუარა,—რამეთუ სიმართლე ესრეთ უმაღლესი არს, ვითარცა წმიდანი ანგელოზნი.

რამეთუ ესე, რომელი ვსთქუა, გულისგმა ყავთ და დაიდევით გონებასა თქუნსა. ესე ყოველივე კეთილ არს, რათა მოიქცეს სიმართლედ და კეთილ მოსაჯულ იქმნეს.

უკეთუ ესევიტარი იყოს მოსამართლე იგი, ვითარცა მგეცი დაუმშვიდებელ, სიტყუითა ამით დამშვიდდეს; უკეთუ იყოს ვეფხი, რამეთუ არს ავი და მეძალუმე⁵, სიტყუითა ამით მოიქეცინ. ესე იხილეთ ყოველთა კეთილად.

რომელსა ენებოს სიმართლით სამართლის ქნა, მარადის ევედრებოდეს ღთსა შემწედ თვისად და მარადის ამას იგონებდეს და ამას ფიქრობდეს, თუ, რომელიც სჯულის კანონს ამას შინა სამართალი წერილ⁶ არს, იგი კანონი როგორ უნდა ქნას, რომ რო-

¹ სამართალი უნდა დაიმკვიდროს მან მართალი არა უნდა დაიმკვიდროს მან A. ² რამეთუ რათა A. ³ წყალობს A. ⁴ არამედ და კუალად B. ⁵ მეძალუმე უკეთური B. ⁶ წერილა A.

* მათე 5, 10. ** შდრ. ფს. 102, 17 და 91, 12.

დისაც სამართლობდეს, ყოველი სიტყუა სამართლით ქონდეს გამორჩეულ.

და ესეცა ჯერ¹ არს მოსამართლისაგან, რათა თვითან მხოლოდ² არა იქმოდეს სამართალსა, რაგინდ რომ ცოტა რამ სასამართლო იყოს, არამედ გამოარჩიოს ერთი ორი ქკუიანი კაცი, მცოდინ[601]ნარე და ფილასოფოსი, და თავისთან დაიყენოს. პირველად მათთან განიზრახოს, თუ როგორ მიუგოს პასუხი, და მერმე კარგითა კითხვითა და გამორჩევით მიუგოს სიტყუა ნართებული სამართლისა, რაოდენსაცა სამართალსა იქმოდეს.

ვინცავეინ ესრეთ ყოს კარგი სამართალი, იგი ყოველთა წმინდანთა მიერ და ყოველთა კაცთაგან და ღთისა ყოვლისა მპყრობელისაგან შეიქმნების უზრახავი, ქებული, მართალი და წმიდათა თანაზიარი, და საუქუნოსა განსვენებულისა მკვიდრი იქმნების.

ქ. ზრახვა და წყევლა, რომელიცა იქნების მოსამართლეთა ზედა, რომელნიცა ყოფენ უსამართლოსა. მართმადიდებელთა ჯელმწიფეთაგან თქმული ლეონ³ ბრძნისა, კოსტანტინე და აღექსანდრესი, და სხვათა წმინდათა შეკრებულთა მამათა მიერ თქმული განწესება კრებისაგან

2. ქ. ჩვენ, რომელსაც ვხედავთ, მათთვის, რომელნიცა იქმნებიან მოსამართლედ, არა ჯერ⁴ არს, რათა იყოს იგი უცოდინარი და არცა მას მართებნს, რომე⁵ უსჯულისკანონოთ მან სამართალი ქნას.

უკეთუ შთავარდეს წარწყმედასა თავისა თვისისა, და უსამართლო რამე ქმნას, და ჯელმწიფემ შეიტყოს და მთავართა, რომე უსამართლოთ სჯის კაცთაო, ჯერ არს, რათა იგი გარდაყენოს და მის მაგიერად სხვა დააყენოს. და იგი გაკრიკოს და აირი შავად შეუღებოს, ვირზედ შესვას, ცხურის ფაშვი თავს ჩამოაცვას და სულ ბაზარი [60v] და ქუჩები ასე შემოარონინოს⁶; და წინამძლოლი იგი კაცი ესრეთ უძახოდეს კაცთა: მოდიოთ, ნახეთ სიცრუისა მსაჯულიო. და მერმე ექსორია უყონ და შორს ქვეყანას გაგზავნონ და, სადაც რომ მივიდეს, იქ სულ თავისის ჯელით ქვა და კირი აზიდვინონ. მისი საქონელი ყოველსა ერსა განუყონ და შვილნი მისნი მისცენ თავადებთა.

¹ ჯერა AB. ² მიხილოდ A. ³ ლევან AB. ⁴ ჯერა AB. ⁵ რანე A. ⁶ შემოარონინოს] დემოარონინოს A.

ხოლო უკეთუ მოგდეს და კელმწიფის რისხვისაგან კელმწიფემ არა გარდააქდევინოს რა და მორჩეს, მაგრამე დაუძინებელის თვალისაგან არა დაეფარვის იგი. რომე არ ეგონოს სოფელსა ამას. ისრე განიკითხვის და საიქიოს¹ იუდასთან დაისჯების. ჩვენ მისთვის ესრეთ კეთილად გუჩანს, რომე იგი წყევლით შეკრულ იქმნას, ამისთვის რომე, ეგება მოიქცეს და შეშინდეს და მართალი სამართალი ქნას.

ამას მათთვის² ვიტყუით, რომელნიცა მართალსა სამართალსა მრუდად გარდააქცევენ და უსამართლოსა იქმონენ. ვითარცა ბრძანებს სჯულის კანონი, მისთვის შეიქმნების ღთი იმისთანას მოსამართლეზედ კელაღებული და ანგელოზნი³ მარადის მბრძოლ ექმნებიან მის; ცხოვრება მისი იქმნების მცირე და საუკუნო მისი იქმნების სოლომელთა თანა; ცეცხლმა შესქამოს სახლის საფურცელი მისი; იგი იყოს უბატიოდ და შვილი მისნი ნუ განძლებიან პურითა, ამისთვის რომე სიმართლისაგან ღთისა გამოვლენ და ყოფენ უსამართლოსა.

[61r] ქ. სჯულის კანონი სოფლიერისა მოქალაქობისა ლეონ⁴ ბრძნისა და კოსტანტინესი და კრებათაგან დამტკიცებული

3. ქ. მრავალთა კელმწიფეთაგან არს ბრძანებული ესრეთ: რამეთუ მწვალებელთა რომელთამე ვერ ძალ-უძთ ქრისტიანეთა თანა დამკუიდრება, არა მარტო სამღვდელთა კაცთა, არამედ ერთაცა.

ხოლო უკეთუ იყოს ვინმე მწვალებელი და მას ყუანდეს შვილი ქრისტიანედ მონათლული, ქრისტიანე იგი შვილი მაშინ დაიმკუიდრებს მამასა თვისსა თანა, ესრეთ ბრძანებულ არს, რამეთუ მწვალებელმან მან მამამან, შვილთა ქრისტიანედ მონათლულთა მან, იღვაწოს, ითხოვოს და თავისი შვილი, ქრისტიანედ მონათლული იგი, აღზარდოს და გაზითოსცა.

ქ. სჯულის კანონი სოფლიერისა მოქალაქობისა სყიდვისა და გასყიდვისათვის

4. ყოვლის კაცისა ჯერ არს სყიდვა და გასყიდვა. და მსყიდველი და განმსყიდველი იგი უნდა იყოს შერიგებულნი და დაჯგურებულნი ფასზედა. რომელიც, რომ იყიდის რასმე, პირველად ცოტას მისცემს რასმე ბესა. ხოლო ბეს მიმცემმა თუ შეინანოს და

¹ საიქიოს] საუკუნოა B. ² ამათვის A. ³ ანგელოზი A. ⁴ ლევან AB.

აღარ იყიდოს ის საქონელი, რომელიც რომ ბედ მისცა, ბევრი თუ ცოტა, დაეკარგების შას.

და უკეთუ განმსყიდველმან ბე¹ აღიღოს და მასუკან შეუშალოს, აღარ მიჰყიდოს, რადგან² ბაზარი მოშალა, თავისი ბე ისევ მისცეს, და ერთი იმდენი კიდევ სხვა მისცეს.

[61v] 5. ქ. უკეთუ ვისმე ეპიროს მონასტრის საქონელი რამე და იმ საქონლის პატრონი კიდევ სხვა იყოს, იმ კაცმან რომ იმ საქონლის გასყიდვა მოინდომოს, ვერაჲინ იყიდის, ამისთვის რომე იმ საქონელს ბატონი და უფროსი სხვა ჰყავს, მიწა არც თუ პირუტყვი, თუ სხვა რამე.

ხოლო უკეთუ შუამავალი მიიყუანოს ვინმე და ის სყიდვა მოინდომოს, იმ მონასტრის საქონლის ბატონისა მისის უდასტუროდა და იმ ალაგის მოსამართლის უდასტუროდ ვერ იყიდის. რომელმანც მის უდასტუროთ და უბატონოთ და მოსამართლის უდასტუროთ იყიდოს ვინმე ის საქონელი, ისრეე გამოერთვას და ფასი, რომელი მისცა, ისიც დაეკარგება, ამისთვის რომე იმ საქონლის უპატრონოდ რატომ იყიდა?

6. ქ. უსაკო ყრმა, ჯერ რომ ოცდახუთის წლისა არ იყოს, ის თავის მამულს, ვერცა რას საქონელს, ვერც გაჰყიდის და ვერც დააგირავებს მის ალაგის ბატონის უდასტუროთ.

ხოლო უკეთუ გაყიდოს რამე, და რაჲამს ასაკად მოვა ყრმა იგი, თუ უფროსი ყავს, ის გამოართვამს, თუ არადა თვითანვე³ გამოართვამს თავის გასყიდულსა⁴. რატომ? შეისწავეთ, რამეთუ უსაკო იგი კაცი ერთს წელიწადზე ითხოვს და იმავე ერთს წელიწადზე დაჰკარგავს, რომელიცა გაყიდა ანუ გირაოდ დაუდვა თავისის უჰკუობითა.

ხოლო უკეთუ განმსყიდველი იგი ოცდახუთის წლისა ანუ ოცდაოთხის წლისა მოკუდეს, რაც გაყიდა, მისი გამორთმევა აღარ დასცალდეს და მას დარჩეს უ[62r]მცროსი ძმა ანუ შვილი, როდისაც იგინი ოცდახუთის წლისა შეიქნებთან, მაშინ ითხოვენ გასყიდულსა მას მამულსა, ანუ გაცემულია, გინა გირაოდ არის.

უკეთუ ვერა ითხოონ ოცდახუთის წლისამან და მანამდი ვერ გამოიღოს და ოცდაექუსი წელიწადი გამოვიდეს, მასუკან ჰელი აღარა აქუს იმ გასყიდულის მამულის სათხოვრად არც პირველსა მას, რომელმაც გაყიდა და მოკუდა, და არც მეორესა, რომელიცა ყრმა იყოს და აღიზარდა.

¹ ბეს A. ² რადღან AB. ³ თვითანვე] ისევ A. ⁴ გასყიდულსა] მისყიდულსა A.

და რომელმაც ამგვარად იყიდოს ვინმე საქონელი რამე, მისი უკუქობა არის, ამისათვის რამეთუ ის ვაჭრობა ადრე მოიშლება, მამული შემაშულეს მიეცემა და ფასი—ფასის პატრონსა.

7. ქ. უკეთუ ქრისტიანემან ვინმე ტყუე იყიდოს ქრისტიანეთაგან და ანუ სხვათაგან, თუ შეეძლოს ტყუესა მას, რომე რაც იმანი ფასი¹ გაღებულა, ის მისცეს და თავისი თავი დაიკვნას, უნდა დააქსნევიოს.

თუ მიცემა ვერ შეიძლოს, სამს წელიწადს იმსახუროს და სამს წელს უკან განათავისუფლოს*.

8. ქ. უკეთუ ვინმე ყმა გაყიდოს, ანუ პირუტყუთაგანი რამე, და მსყიდველსა მას ის მოუკუდეს, დაზიანდების, თუ პირველითგან იმათ სნეულობა-ჭირი არა სჭირდათ რა და ისე მოკუდა, ჩაივლის.

ხოლო უკეთუ ჭირი სჭირდათ, ისე გაყიდა და იმ სნეულობით მოკუდა, სამართალი რამ აქუს, ამისთვის რამეთუ მსყიდველი ჭირიანს არ იყიდის, არამედ მრთელსა.

[62v]. 9. ქ. უკეთუ იცოდეს ვინმე, რომ ერთი რამ საქონელი სხვისა არის და იყიდოს ვინმე, ეს არ იქნების, და ვერც დაიმკუიდრებს საქონელსა მას მსყიდველი იგი.

ხოლო უკეთუ არ იცოდეს და ისე იყიდოს, მაშინ დაიმკუიდრებს ნასყიდსა მას. და გასყიდველსა მას მისმა² პატრონმა თავისი საქონელი სთხოოს, რონელიც გაყიდა, და გამოართვას.

10. ქ. უკეთუ გაყიდოს ვინმე უღლეული³ ვართა ანუ კურტნით ცხენი ან სხვა რამე, და მათ ტლინკი იცოდენ, ან ფრთხალი იყოს, ამისთანა შეატყუოს, ფასი მისცეს, მერმე იმათ თავისი საქციელი გამოაჩნდეს, თავისი ფასი გამოართვას და მისი საქონელი მისცეს.

ქ. შვილის გასყიდვისათვის

11. ქ. უკეთუ ვინმე თავისის სიღარიბით გაყიდოს⁴ შვილი, ვაჟი ანუ ქალი, გასყიდვა იგი დაიჯერების, მაგრამე მსყიდველმან მან სხვაგან არ უნდა გაყიდოს და, როდისაც თავისმა პატრონმა მისი დატვნა შეიძლოს, უნდა ისევე დააქსნევიოს.

თუ ფასი არ ჰქონდეს, მის მაგიერად სხვა ყმა მისცეს, და თავისი შვილი ისევე დააქსნევიოს. უკეთუ მსყიდველმა მისი შვილი აღარ დააქსნევიოს, მოსაძართლემ გამოართვას და მისცეს.

1 ფასი]—A. 2 მისმა] მის A. 3 უღლეულთა A. 4 გაყიდოს]+ვინმე A.

* შურ. მუხ. 40.

ნაქურდლის სყიდვისათვის

12. ქ. რომელმაც იყიდოს¹ ნაპარევი საქონელი რამე, ესრეთ არა უნდა თქუას: თუ ერთი კაცი ვინმე მივიდოდა და ეს ნაპარევი საქონელი მამყიდაო, არამედ მოსამართლეს ესრეთ უნდა მოაჭეს-ნოს, რომე ამ კაცმა მამყიდაო.

გულისგმა ყავთ: რომელმანცა კა[ნაჲ]რცმან ძალად ანუ ნებით ნაპარევი საქონელი რამ იყიდოს, სამართალი ესრეთ ბრძანებს, რათა მოსამართლემ გამოართვას მსყიდველსა მას საქონელი იგი და ისევე თავის პატრონს მისცეს და მსყიდველმან თავისი ფასი ქურდისაგან ითხოოს.

ქ. ღარიბი კაცი ვალისთვის რომ საქონელს უადღეს

13. ქ. უკეთუ ვალისათვის გაყიდოს ვინმე მამული ანუ საქონელი, ანუ პირუტყვი; თუ ყავს ნათესავი, იგი მივლენ და მის სყიდვას მოინდომებენ, თუ მევალე ყავს, ის იყიდის².

თუ ბევრი მევალე ყუანდეს, რომლისაც მევალისა უფრო ბევრი ემართოს, ის საქონელი იმას უნდა მიყიდოს; თუ რამ გარდარჩება, იმას შეუბრუნებს.

14. ქ. უკეთუ მევალემან ვალისათვის ძალი ვისმე დაატანონ და მისი მამული, სახლი ანუ³ მიწა, ანუ სხვა რამე [გამოართვას], და ის საქონელი უფროსად ღირდეს, ის ვაქრობა მოიშლებს, ამისთვის რამეთუ ბევრად ღირდა და ძალა დამატანა და იაფად გამამართვა. მოსამართლემ უნდა დაფასებინოს⁴ ან მართებული ფასი მიაცემინოს, და ან ისევე თავისი მამული.

ქ. სხვის მიწაში რომ ხილნარი ეღვას ვისმე, მისიხ გასყიდვისათვის

15. ქ. რომელმანც მიწაში დარგოს ვენაქი ანუ ხილნარი და მისმა დამნერგველმა მისი გასყიდვა მოინდომოს, ჯერ მიწის პატრონს უნდა შეატყობინოს, თუ როგორ დაფასდა ის ხილნარი.

თუ იმავე ალაგის პატრონმა ორს თვეში იყიდოს, კარგია ის ხილნარი. და უკეთუ ორმა თვემ გაიაროს და არ იყიდოს, ორს თვეს უკან ვინც იყიდოს, იმ მიწის პატრონს მასთან ჳელი აღარა აქუს. მოსამართლემ ესრეთ უნდა გაურიგოს.

¹ იყიდოს] + ვინმე A. ² იყიდის A. ³ ანუ A. ⁴ დაფასებინოს A.

[63v] ქ. ეკლესიათა საქონლისათვის

16. ქ. ეკლესიათა მამულზე როდეს შეექნათ ვისმე ცილება, ესრეთ ჯერ არს, რათა ოცდაათს წელიწადს ანუ ორმოცსა უნდა სინჯედენ და სამართლობდენ. ორთა ეკლესიათა საცილებელი თუ ქონდეს რამე, ესრეთ გასინჯონ და მერმე ბრძანონ და დაამტკიცონ.

ქ. ეკლესიათა საქონლის მოპარვისათვის

17. ქ. ბრძანება არს, რომელმანცა მოიპაროს ეკლესიათა საქონელი ანუ იარაღი, ანუ სხვა რამე, მოსამართლემ დაიჭიროს ის ქურდი და დააბას. თუ შეაჩნდეს და ქონდეს, გამოართვას, თუ არადა ხუთს წელიწადს უკან გაუშვას.

ქ. გინებისათვის

18. ქ. უკეთუ კაცმან აგინოს კაცსა, გინებულმან მან წლამდის ყოველთვის იჩივლოს მოსამართლესთანა და სამართალი უყონ. ხოლო უკეთუ წელიწადმა გაიაროს, სამართალი დაეკარგება და ველარც იჩივლებს.

ქ. ძალად წართმევისათვის

19. ქ. უკეთუ ძალად კაცს წაართოს ვინმე რამე საქონელი, თუ წლამდინ ის კაცი სამართალში მიიყუანა, მოსამართლემ ოთხეულად უნდა მიაცემინოს.

ხოლო უკეთუ წელიწადი გავიდა, სამართალში არ მიიყუანა და წელიწადს უკან მიიყუანოს სამართალში, რაც წაერთმევენოს, ისევ თავისი თავნი¹ მისცეს.

20. ქ. ისმინე, მსაჯულო, რამეთუ დანაშაული დამნაშავეს ერთს კაცზედ დგას. რომელიც დამნაშავე იყოს, ის ტანჯე, სხვას მის² სახლის კაცთაგან ჰელი არა გაქუს.

[64r] [20¹]. ქ. უკეთუ ძალად განბრწუნას ვინმე დედაკაცი ანუ მამაკაცი და³ განბრწნილმან⁴ მან არა გამოაცხადოს და საჯაროდ არა თქუას, თხუთმეტს წლამდინ რომ დაითმინოს და მასუკან იჩივლოს, მოსამართლემ გაუგონოს და მისი მართალი სამართალი უყოს.

¹ შთავნი A. ² მას A. ³ და]—A. ⁴ განმბრწნილმან AB.

ქ. ვალის აღებისათვის

21. ქ. უკეთუ ვალი მისცეს ვინმე კაცსა თეთრი ანუ სხვა რამე, თუ ოცდაათს წლამდინ ის არა სთხოვა, ის ვალი დაეკარგება და აღარ ეთხოვება.

22. ქ. უკეთუ ვინმე სხვის მთაში ანუ ტყეში დაჭრილი ხე ანუ შეშა წამოიღოს, ოცდა[ათ] წლამდის თუ პატრონმა არ იკითხოს¹ ფასი, მასუკან დაეკარგება. თუ ითხოვა, უნდა მისცეს.

23. ქ. უკეთუ საყანე მიწა ათხოვოს ვისმე კაცმან კაცსა, თუ ორმოცს წლამდის სთხოვა და გამოართვა, კარგია, თუ არადა ორმოცს წელიწადს უკან კელი აღარა აქუს, ის დაიმკუიდრებს.

ქ. ღვინოში მოტყუებისათვის

24. ქ. უკეთუ ღვინო ასვას ვისმე და ღვინოში მამული გამოსტყუოს და მამული რამ იყიდოს, ანუ სხვა რამე მისაცემელი გამოსტყუოს ღვინოში, ოცდაათს წლამდის ისევე თავისი უნდა ითხოვოს, და მოსამართლემ სამართალი უყოს.

ქ. ბძანება კელმწიფის ბასილისა პორფირიანისა მემამულეთათვის

25. ქ. სჯულის კანონი პორფირიანის მეფისა ორმოც წლამდის დაჰკარგავს მეც[ნ]ალუმეს კაცის უსამართლოებასა, რომელიცა ღარიბს კაცზედ უსამართლო ქმნეს ანუ სიგლები წაართვეს. ორმოცს წლამდინ ჩივის ღარიბი იგი კაცი მეძალუმესაგან. ორმოცს წელიწადს უკან რომ იჩივლოს მოსამართლესთან, მოსამართლემ თავისი მიაცემინოს.

ქ. გამოუჩენლის საეჭო საქმისათვის

26. ქ. უკეთუ სიტყუა რამე საეჭო მოაქსენოს მოსამართლესა, სიტყუასა მას შეიწყნარებს მოსამართლე იგი და ჩაფიქრდების, და სინჯვას დაუწყებს საქმესა მას, უნდა გასინჯოს.

27. ქ. უკეთუ სიგელში ეწეროს სიტყუები ბევრი და მოსამართლე იგი სიტყუასა მისსა ვერ მიხუდეს კარგადა, და თავკარგი მოწამე არა ჰყავს მას კაცსა, მოსამართლე იგი სიტყუასა მას წიგნისასა არა დაიჯერებს.

¹ იკითხოს | ითხოვოს B.

28. ქ. საექვო საქმეზედა უკმს¹ მოსამართლესა, რათა კაცთ-მოყუარე იქმნას და არ გაჯავრდეს. ასე უნდა სინჯევედეს, რომე, ერთი სიტყუა რომ ორად გაიყოფოდეს, ის შეიტყოს და მას ზედა დადგეს მოსამართლე იგი.

ქ. ლაშქრობაში რომ წავლენ კაცი მტერთანა

29. ქ. რომელნიცა ლაშქრობაში კაცი გაეცლებიან ქრისტიანეთა და მივლენ მტერთანა, ვინცავინ კაცმან ის ნახონ, მაშინვე უშიჰრად მოკლას ის კაცი.

[65r]. 30. ქ. რომელნიც ციხიდან გავიდეს და იმ ციხის მტერთან მივიდეს და ციხისა მის საიდუმლო გაამჟღავნოს² მტერსა მისსა, ის კაცი, როდისაც ტელში ჩაიგდონ, ან ანბაზედ ააცვან და ან ცეცხლში დასწვან.

31. ქ. ლეონ³ ბრძენი ბრძანებს: რომელმან დაუტეოს თავისი სამკუიდრებელი და წარვიდეს და თავისის უფროსის მტერთან მივიდეს და ზერზე იქილამ წამოვიდეს და იქივ მივიდეს, ერთხელ თუ ასე ქნას, შეუნდონ.

უკეთუ მეორედ ქნას, სამ წელიწადს ესრეთ იმსახურონ, ვითარცა ნასყიდი ტყუე. და უკეთუ მესამედცა ესრეთ ქნას, თავის სიცოცხლეში სულ ტყუედ ამყოფოს.

ხოლო უკეთუ სხვამან ვინმე განდგომილებაში დაიჭიროს და თავის სამკუიდრებელზე მოიყუანონ, თუ ის კაცი ქრისტიანეს კაცის მკულელიც იყოს, თავი მოსჭრან.

32 ქ. რომელმანცა მოინდომოს ქრისტიანეთა ზედა ლაშქრის მოყუანა და ანუ ქრისტიანენი გასცეს მტერზედა, მას თავი მოსჭრან.

33. ქ. უკეთუ ვინმე უსჯულოთა ასწავლოს⁴ ხომალდისა ანუ ნავის შენება, თავი მოსჭრან მას.

34. ქ. ყმამან ანუ ახატნაქმარმან ვინმე ქრისტიანეთა შვილი დაატყუეოს, დაიჭირონ ის, გაკრიჭონ, სცენ ბევრი, ლაფი დაასხან და ორივ ტელები დასჭრან.

35. ქ. უკეთუ პირეულნი⁵ ძროხათა, ცხვართა, თხათანი მოიტაცოს ვინმე და თავის ალაგს მიიყუანოს და იქ იყოლიოს, ერთხელ თუ ასე ქნას, ეცეს ძლიერად⁶ და, რაც [65v] მოიტაცა, გამოერთვის. უკეთუ შეეძლოს, რაც მოიტაცა, მისი ნახევარი სხვა გამოერთვის და პატრონს მიეცეს.

¹ უკმს A. ² გააცხადოს B. ³ ლეონ A. ⁴ ასწავლოს] + ვინმე A. ⁵ პირეულთა A. ⁶ ძრიელად B.

ხოლო უკეთუ არ შეეძლოს და არა ჰქონდეს რა, მარცხენა გელი მოეჭრას. თუ მეორედ კიდევ ქნას. ეც, გააგდე, თუ რამე ჰქონდეს, წაართვი. ხოლო თუ მესამედაც ქნას, ორივე გელები მოსკრან, გააგდონ; რომელიც მოეტაცოს, გამოართვან და პატრონს მისცენ.

ქ. გრიგოლ საკვირველ მოქმედისა მიერ თქმული მათთვის, რომელნიცა ავაზაკებრ სხვის საქონელს შოიტაცებენ და რომელნიცა სამანს მოგლეჯენ და სხვაგან ჩასჴენ, რათა ვენაჯი ანუ მიწა ამით შეიძატონ¹

35—37. ქ. ავაზაკნი და ხარბნი, რომელნიცა ღარიბს კაცს წაართმევენ ვენაჯსა ანუ ყანასა, ანუ სხვასა რასმე, ღარიბსა ანუ მდიდარსა, რომელნიცა ესევეთართათა საქმითა შეკრებენ საქონელთა უსამართლოებრითა, იგინი¹ არიან ეკლესიათაგან განშორებულნი ვითარცა შეჩვენებულნი.

ავაზაკნი იგინი არიან, რომელნიცა დადგებიან გზაზე ანუ ტყეშია, მგზავრს გასტრკვიან და კიდევ მოჰკულებენ კაცთა. ხოლო ხარბი იგი არს. რომელნიცა წაართმევენ საქონელსა ვისამე², ნებით თუ უნებურად, და აღარ მისცემენ.

ამგვარის კაცისათვის ესრეთ ბრძანებს: მღღელთ-მთავართა მიერ შეიჩვენოს და ჯმეფეთაგან ექსორია ექნნას. მზგაესადვე მის[ს]ა, რომელნიცა შეილნი ლანძლავენ დედ-მამასა თვისსა.

38. ქ. უკეთუ მტერნი მოუტდეს ქრისტიანეთა ვისმე და წარტყუნონ, და თუ რამ დარჩ[ნის] ქრისტიანესა მას საქონელი, ვენაჯი თუ ყანა ანუ სხვა რამე, ოქრო ანუ ვერცხლი, ანუ აბრეშუმისა რამე დიდი ანუ მცირე დარჩეს, შეინახე და, ოდეს ინებოს ღთნ დატყუებულისა მის გამოგნა, იმის დაგნაში მიეც ანუ მის ნათესავთა მიეც, რომე წარვიდეს და მით გამოგნნას დატყუებული იგი კაცი.

უკეთუ ტყუედ არა წაიყუანეს, არამედ უსჯულოთა მარბეველთაგან შეშინდა და დაიმალა და შენ მისი საქონელი იბოვე, რომელიც გეპოვნოს, ისევე მიეც, რათა არა გპოოს შენ რისხვამან ღთისამან, შენ და შეილნი შენნი, ამისთვის რამეთუ, რომელსა გული უთქუამს სხვის საქონლის შეკრებისათვის უსამართლოდ, იგი ღთის რისხვას შეიგნებს³. რამეთუ ამგვარის საქმითა წაგდებიან მრავალნი მთავარნი და მოსამართლენი—ხედვენ მტაცებელთა,

¹ იგი A. ² ვისამე A. ³ შეიგინებს A.

* ეს სათაური A ხელნაწერში შეცდომით ცალკე (ლვ) მუხლადაა გამოყოფილი.

ხარბთა, ავაზაკთა და არა დააყენებენ უსამართლოდ ტაცებისაგან, რისხვისა ღთისასა დაიშვიდრებენ იგინი, ვითარცა ახარ ურიან.

რამეთუ ახარ მოიპარა მცირე რამე საქონელი არა ნათესავისა თვისისა ურიისა, არამედ მტრისა თვისისა, რომელიცა ებრძოდა მათ და¹ რისხვა ღთისა გარდამოვიდა ყოველსა ურიასა ზედა. ამისთვისცა დაიჭირნეს ურიათა მათ ახარ, ცოლნი და შვილნი მისნი და იმ ქურდობისათვის ჩაქოლეს; არა მარტო თვითან ჩაქოლეს, არამედ ყოველნი ნათესავნი მისნი.

ესრეთ ქმნეს ურიათა ქურდობისათვის. ამისთვის, რამეთუ ერთი ასეთი უს[66v]ჯულოება არის, ერთი მცირედიცა რამე რომ წაართოს ძმასა თვისსა ქრისტიანისა, ათასისაგან უძვირესი არს.

39. ქ. უკეთუ დაკარგოს ვინმე რამე და სხვამან კაცმან იპოოს, კარგად შეინახოს, სანამდი პატრონი გამოუჩნდებოდეს, და, რა პატრონი გამოუჩნდეს, თავისი ისევ მისცეს.

ხოლო თუ შეიტყოს ვინმე, თუ ამ კაცმა დაკარგა ეს საქონელი, და არ მისცეს, მტერი ღთისა და ანგელოზთა და ყოველთა წმინდათა მისთა იქმნების. ძველი სჯული² ამას ბრძანებს; უკეთუ შენმა ძმამ ანუ შენმა მტერმან დაკარგოს რამე უნაღუღელობითა თვისითა, ულაშქროთა, და შენ იპოვნო, იმას ნუ დამალავ, მაშინვე მიეც.

ძველი სჯული ესრეთ იტყუის. და ახლა შენ რომ გეწოდების ქრისტიანე, ხარ და ხედავ, რომე შენი ძმა, ქრისტიანე ვინმე, დატყუევდა, და იმას თავისი საქონელი არ მისცე, ეგების ტყუეობიდან იმით გამოიქნას ან თავისთვის შეინახოს.

რა ქრისტიანობა იქნების შენი უმეტესი ცოდვა აქუს ხარბსა მას, რომელნიცა საქონელს წაართმევენ და დაუჭერენ, და ნაპოვნსა მას აღარ მისცემენ, ვიდრე ბარბაროზთასა, რომელნიცა მივლენ ქრისტიანეთა ზედა, წარტყუენიან³. იგინიცა მგზავსნი ამისნი არიან.

40. ქ. გავიგონეთ, რომე ქრისტიანე ვინმე დატყუევდაო და ტყუე იგი მორჩა ტყუეობისაგან; მერმე სხვათა ქრისტიანეთა დაიჭირეს იგი და ყმათ ყავთ; ესრეთ იმსახურებენ მას, ვითარცა ნასყიდს ტყუესა.

ისმინე, უკეთუ გინდეს მსახური, თათრის [67r] კელისაგან გამოიქნენ ტყუე და სამს წელიწადს იმსახურე იგი და მასუკან განათავისუფლენ იგი. თუ ამისგან უფროს ხანს დაიჭერ, იქმნები უსჯულო და ურწმუნო*.

¹ და]—A. ² რჯული A. ³ წარტყუენიან A.

* მდრ. მუხ. 7, აგრეთვე „მეორე შჯული“ 15,12, ხანურაბის კანონები, მუხლი 117

41. ქ. უკეთუ ინებოს ვინმე თავისის სულისათვის ტყუე გამოიქნას და გაუშვას, და სხვამან ვინმე დაუშალოს და არ დააქსნე-ვინოს იგი, ყოვლის ცოდვისაგან უმძიმესია. ამისთანას სიცრუის მოქმედს, მიკუირს, რატომ მეხი არ დაეცემა და არ დასწევას ანუ ქუეყანა არ დანთქამს, ანუ მდინარენი არ მოაშთობენ და კიდევ აცოცხლებს.

42. ქ. უკეთუ ქურდმა შესთხაროს სახლი და დაიჭიროს ვინმე, იგი ეკლესიათა გარეთ უნდა იდგეს ვითარცა შეჩვენებული.

ხოლო უკეთუ ვერ დაიჭირონ და მოვიდეს და თავისის ქურდობის საქმე ყუელა ილუმენსა¹ გაანდოს, ეკლესიასა გარეთ უნდა იდგეს ვითარცა ცოდვილი. და ამისთანას მოქმედის საზღვარი საქმე ამას ქუეით სწერია [იხ. მუხ. 43].

43. ქ. უკეთუ სახლი ვისიმე იწოდეს და მივიდეს ვინმე და იქილამ საქონელი გამოიტანოს, თავისთენ წაილოს, ანუ ზღვაში რომ ხომალდი დაიქცეს და იქილამ საქონელი გამოიტანოს და თავისთვის წაილოს, თუ მაშინვე ყუელა თავის პატრონს არ მისცეს, ერთს წელიწადს უკან ოთხეულად მისცეს. ეგრეთვე ეს სამართალი მათზედა ყონ, რომელთაცა სახლი შესთხარონ*.

44. ქ. უკეთუ ვინმე პირუტყვი მოიტაცოს და გამოჩნდეს, და მოწამე მოიყვანოს, რომე ჩემი საქონელი ამაღ ღირდაო, ერთს წელიწადს უკან გამოჩნდეს, ოთხეულად მისცეს.

[67v] 45. ქ. უკეთუ ვინმე მოსამართლეს გარეთ წაართვას ვისიმე² რამე³, თავისი რომ ეგონოს⁴, ის წაართვას, რადგან⁵ მოსამართლეს არა ჰკითხა და ისე წაართვა, რომ სამართალიც ჰქონდეს, დაეკარგება და აღარა მიეცემა რა სამართალი.

46. ქ. უკეთუ წაართვას ვინმე რამე კაცსა—ვენაჯი ანუ ყანა, წისქული, ბოსტანი ანუ ღუქანი, ანუ სხვა რამე საქონელი, მოძრავეთ თუ უძრავეთ,—მოსამართლემ გამოართვას და თავისავ⁶ პატრონს მისცეს თავისი, და ერთი იმდენი სხვა. ფასიც გამოართვას და ისიც მისცეს მას.

ამას ვიტყუით: თუ ერთს წელიწადს ითხოოს თავისმა პატრონმა თავისი ესები, ესრეთ მისცეს. ხოლო უკეთუ ერთი წელიწადი გამოვიდა და არა სთხოოს, და წელიწადმა გაიაროს, თავისი მამული⁷ ნაყოფითურთ მიეცეს და სხვა არარა.

¹ ილუმენსა A. ² ვინმე A. ³ არამე A. ⁴ ეგონოს]+ ან A. ⁵ რადღან A. ⁶ თავისი A. ⁷ ვენაჯი B.

* შდრ. ხამურაბის კანონები, მუხ. 25.

ქ. ვინცა ვინ წაართოს მიწა ანუ სამანი მოგლიჯოს და სხვაგან ჩასვას

47. ქ. რომელმანც წაართოს ვისმე ვენატი, სახლის ადგილი ანუ ბოსტანი ანუ სხვა რამე ამისთანა, და რომელმაც მოგლიჯოს სამანი და სხვაგან ჩასვას, რომელმანც ეს ქნას, ორი ზომა მისცეს პატრონსა, ერთიორად მისცენ.

48. ქ. უკეთუ რომელიმე ამგვარს საქმეზე ჩემს მამულზედ მოვიდნენ ჳლმითა, შუბითა, ისრითა ანუ სხვას იარაღითა, შუღლი ქნან და შემოჰკრან და მოკლას ვინმე მიწის პატრონისა,—თავი მოეკვეთოს; ანუ სახლში შევიდეს და მოიპაროს რამე, ანუ წაართვას რამე,—თავი მოეკუთოს, ამისთვის რომე ჩემ[68r]ს მამულთან რა ჳელი გაქუს, რომ მამულსაც მართმევ და კიდევ მამკლავ¹?

ქ. სჯულის კანონი სოფლიერის მოქალაქობისა

49. ქ. უკეთუ კაცმან მოიტაცოს დედაკაცი, სხვის დანიშნული ანუ დაუნიშნავი, ანუ ქურივი, აზნაური იყოს თუ გლეხი, თავისუფალი იყოს თუ მონოზონი, ანუ თავისი დანიშნული იყოს,—უკეთუ იარაღითა მივიდა და ისე მოიტაცა, შუბითა, ისრითა, ჳლმითა ანუ კეტითა, აღმანისათვის² თავი მოეჭრას.

და ვინცავინ მას ასაბიათ მოჰყუნენ, ანუ თუ იცოდა ვინმე და არა გაამხილა, ანუ თუ მოგვმარა ვინმე, ისინი დაიჭირონ, გაკრიჳონ, სცენ და ცხვირი მოსჭრან, ამისთვის რომე ამისთანას საქმეზედ რომელნიც წაელენ ან წაჰყვებიან, იგინი განმზადებული არიან კაცის საკუდავად.

უკეთუ უჳლმოდ, უშუბოთ, უისროთ და უკეტოდ მივიდნენ და ისე მოიტაცონ დედაკაცი, რომელმან კაცმან მოიტაცოს, მას ჳელი მოსჭრან, და რომელიც მას ასაბია მიჰყუნენ, მას ძლიერად სცენ, გაკრიჳონ და ექსორია უყონ.

უკეთუ ნებითა იმ დედაკაცისათა ანუ მის უნებურად მოჭდეს მოტაცება, ესრეთ უყონ მათ: უკეთუ კაცმან იმ დედაკაცის ნებით მოიტაცა და იმ ქალის მამა-დედათა მოსამართლესთან მისჴლა, ჩივილი არ მოინდომონ და არ იჩივლონ სირცხვილი იგი, მოსამართლემ დააჭერინოს დედ-მამა იმ ქალისა და მათ გარდააჭდევინოს.

[68v] 50. ქ. უკეთუ ეს საქმე ვინცა ქნას და იმისმა ყმამ იცოდა და არ მივიდა და³ ეს სირცხვილი თავის ბატონს არ შეატყო-

¹ რომ... მამკლავ]—B. ² აღმანისთავს B. ³ და]—A.

ბინა, ესრეთ იტანჯოს იგი, ვითარცა ზემო სწერია [იხ. მუხ. 49], ამისთვის რომე თავისის ბატონის ორგულობა ქნა და არ შცატყო-ბინა.

ქ. სატელმწიფო სჯულის კანონი მამათმავლობისათვის

51. ქ. მამათმავალი, რომელიცა სხვასთან დაეცემიან და სხვანი მასთანა, სიკუდილითა მოკუდინ. რომელსაცა ამისთანა საქმე მოუქდა, თუ იყოს თოთხმეტს წელიწადს დაბლა, არა მოიკუდის, არამედ გვემონ სატანჯველითა სიცოცხლითა სირცხვილისათა.

52. ქ. რომელნიცა იქმან ბორცთსა საქმესა და აღერივნიან ყოველთა პირუტყუთა და კაცთა თანა და არას ნაღულობს. სიბილწისა თავისასა, და არ შეშინდებიან ღთისა და კაცისაგან, იგი ტლმითა იტანჯოს და მოკუდეს.

ქ. მეფეთათვის ვითარ ნებავს, რათა იყუნენ

53. ქ. შვენის ალაგის ბატონს, რათა მარადის მოუკლებელად იქსენებდეს ღთსა და იყოს ყოვლის კაცისათვის მოწყალე და მიტევებელი ცთომათა მისთა და არა კაცთა მოცულე იყოს და გულისთა არავისა განურისხდებოდეს, ნურცა ვისგან რცხვენიან, ნურცა ქრთამს აიღებს სამართალზედა.

თუ დააბიზლოს ვინმე კაცი, სანამდის კარგად არ გასინჯოს, ნუ დაიჯერებს, ამისთვის რომე, უფროს კაცს რომ ბიზღება ვისიმე ესმას, შაშინე დაიჯერებს. ამისთვის ჯერ არს გასინჯვა, რამეთუ მრავალნი აყუებიან და გაუკითხავად აეს საქმეს იქმონენ და უფროსი ცოდვა იქნება.

[69r] 54. ქ. ბატონის საქმეს სამი რამ გამოაჩინს: პირველად, რათა იყოს თავდაბალი ქრისტიანეთა თავადებთა ზედა და ბერი და მღვდელი უყუარდეს და თავის ტრაპეზს¹ უუანდეს; მეორე, რათა იყოს სახიერი კაცთა ზედა. თუ ვისმე გაუწყურეს, მალ მობრუნდებოდეს; მესამე, რაჟამს სამართალს იქმოდეს, ნურავის დაეფერება და ნურც ქრთამს აიღებს.

ეს სამი საქმე კაცს განაშვენებს, კეთილად დაამტკიცებს სოფელსა ამას მშვიდობით და მას საუკუნოს აცხოვნებს სულსა თვისსა.

55. ქ. ვინცავინ უფროსთან მოჩივარი მივიდეს, ნუ გაავდებს, არამედ კეთილად მიითვალოს და გაუგონოს საჩივარი მისი. ხოლო

¹ ტრაპეზ A.

მევეთაგან ჯერ არს, რათა იყოს საშიშრად პირითა, რათა არა-
ვინ იბრიყოს და ყუელას ეშინოდეს¹ მისგან. მოჩივართა ესრეთ ნუ
შეხედავს რომე, შეიტყონ ებრალეზაო, არამედ მის საშიშრად შე-
ხედვედეს პირითა, და გულითა სიბრალული ქონდეს და სიმაართ-
ლითა სამართალს უყოფდეს.

და ყოველი მისი განმზრახი იყუნენ გონიერნი და არა ქრთა-
მის ამლებნი, რაოდენიცა მისნი განმზრახნი იყუნენ. ყოველსა გან-
ზრახეასა თვისსა ნუ მიანდობს: ვინ უწყის, მან, რომელმანვე, სცო-
და რამე, და ეკლესიისაგან შეჩვენებული იყოს. როდისაც სცოდავს
ერისკაცი ქრისტიანე, იგინი ეკლესიისაგან განშორებული იქმნე-
ბიან.

მწვალებელნი მარადის შეიჩვენებიან. მღდელნი დაეყენებიან —
რაემს ესევეთარნი² სცოლვიდენ, ესრეთ ბრძანებს, რამეთუ ამათი
განზრახვა არ შეიწყნარება.

[69v] ქ. მოსამართლის გინებისათვის

56. ქ. უკეთუ აგინოს ვინმე მსაჯულსა, ოდეს იყოს სამარ-
თალშია, ანუ მასუკან აგინოს, იგი ვირზედ შესვან და გააგდონ.
უკეთუ მივიდეს ვინმე მოსამართლესთანა და მისი სამართალი არ
დაიჯეროს და სხვას მოსამართლესთან მივიდეს საჩივლელად, იგი,
ვითარცა ზემოთ სწერია, მაგინებელთაებრ დაისაჯოს.

ქ. მისთვის, ოდეს შევალს მეფე წმიდასა ტრაპეზსა³ შინა

57. ქ. სამეოცდამეერთე კანონი მეექუსისა კრებისა ბრძანებს,
რამეთუ სამღუდლოთა კაცთა გარეთ სხვას ქრისტიანესა კაცსა
ვერაგის ძალ-უც წმიდასა ტრაპეზსა³ შესულად.

ხოლო ძველითგანვე წმიდათა მამათა კელმწიფეთა პატივსცეს,
რამეთუ ღთისაგან დადგინებული არს და უმეტესად მალლად
მჯდომარე არს პატრიაქთაგან. და პატრიაქთა შენდობითა, რაემს
ეზიარებოდეს, მაჰინ უნდა შევიდეს წმიდასა ტრაპეზსა³ და ეზიარ-
როს, და მის მეტად არაოდეს.

ქ. კელმწიფის გინებისათვის

[70r]. 58. ქ. რომელმან აგინოს მეფესა ანუ მთავარსა უსა-
მართლოდ, უკეთუ მღდელი იყოს, — დაეყენოს⁴, და ერისკაცი იყოს, —

¹ ყუელას ეშინოდეს] არავინ შეშინდეს A. ² ესენი ვითარნი A. ³ ტრა-
პეზსა] ტრაპეზა A. ⁴ დააყენოს A.

შეიჩვენოს, რამეთუ მოსესმიერი სჯული იტყუის: «მთავარსა ერისა შენისასა არა რქუა ბოროტო»*. და პეტრე მოციქული იტყუის: «მეფესა პატივ სცემდითო»**. და დიდი პავლე ბძანებს: მეფეთათვის ილოცვედითო***, მორწმუნე იყოს, თუ ურწმუნო, ამისთვის თქუა.

უკეთუ ვინმე მეფესა აგინოს უსამართლოდ და გამოჩნდეს, ვითარმედ უსამართლოდ მეფესა აგინოს, როდისაც ვისმე უსამართლოდ დაემართოს და იგი მივიდეს და მეფეს მოაჯსენოს, ურიგო და უსამართლო ქენითო, ესრეთ მოაჯსენოს; ხოლო მეფემან ვერ გულისგმა ყოს მოჯსენება იგი და გინებად შერაცხოს, იგი გინება არა არის, არამედ სიყვარულით სამართლის გამამცხადებელი არის.

ქ. სჯულის კანონი

59. ქ. ვინცა ვინ აგინოს მეფესა, იმ¹ წამს არ იტანჯების იგი და არცა რა სხვა ავი რამე შეემთხვევის მას: ესრეთ უნდა გასინჯონ, რომე უქყობით აგინა, ანუ ჯელმწიფე არ ეგონა და ესრეთ აგინა, ანუ თუ უსამართლო რამ დაემართა მეფისაგან და უქყობით აგინა.

უკეთუ ესმას მეფესა, თუ ამ კაცმან მაგინაო, კარგად გასინჯოს, და ვითარცა ზემოთ სწერია [მუხლ. 58], ისე ქნან და ს[ა]სჯელი მისცენ.

60. ქ. რომელმანცა მეფეთათვის ანუ მთავართათვის ავი რამ განოარჩიოს და განდგომილ² ექმნას, იმავე წამს ჯლმით მოექრას თავი.

[70v] 61. ქ. ვინცა ვინ იპოოს წიგნი დაწერილი და დაბეჭდილი თუ დაუბეჭდავი, და იმაშიდ ავი რამ ლაყაფი ეწეროს ვისთვისმე, ის წიგნი მაშინვე არ დასწვას, ან თვითონ წაიკითხოს, ან სხვას წააკითხოს და გამოაცხადოს წერილი წიგნისა მის, ესრეთ სტანჯონ იგი, ვითარცა მას დაეწეროს.

ქ. ვინცა თავი მოიკლას

62. ქ. წმინდა ტიმოთე ალექსანდრიისა³ პატრიარქი მეთაქმეტსა კანონსა შინა თავისსა ესრეთ ბრძანებს: უკეთუ კაცი ვინმე თავის ქკუაზე კარგად იყოს და ეშმაკისა საბრტე არა სჯიდეს ანუ

¹ იმ] ინამ A. ² განდობილ B. ³ ალექსანდრიისა A.

* საქმე მოციქულთა 23,8.

** I პეტრე 2,17. *** შდრ. I ტიმოთე 2,2.

შავის ზაფრისაგან არ იყოს გაშტერებული, არც ჭკუიდან იყოს გამოსული და თავისის ნებით თავი მოიკლას, მასზედა არა წესი და რიგი და ლოცვაები არა იქნება¹ რა, არამედ მარტო მიწაში ჩააგდონ, ამისათვის რომე ღმრთის რისხვით² განგდებული იქმნა.

63. ქ. უკეთუ ვინმე³ კაცზედა დააშაოს რამე, და მისგან ეში-ნოდეს და მისის შიშით თავი მოიკლას, რომე ავად ყოფნა არა სჭირდეს რა, ვითარცა კაცის მკულელი ეგრეთ განიპატიჯოს.

ქ. პირუტყვთა მიერ კაცთა ვნებისათვის

64. ქ. უკეთუ ყუანდეს ვისმე ესევეთარი პირუტყვი, რომე კაცსა ავნებდეს, — ძალლი თუ ვეფხვი, ანუ მგელი, გინა ლომი ანუ სხვა რამე ამისთანა, — და ესენი ჯაჭვით ძლიერად დაბმული არა ჰყუანდეს, და იმ პირუტყუებისაგან ერთმა რომელმანმე ავნოს კაცსა და მოკლას, იმ პირუტყუის პატრონმა ორასი ფლური მკუდარს მისც[71r]ეს.

ხოლო უკეთუ არ მოკლა და სხვარიგათ ავნო და დასჭრა, მოსამართლემ ესრე ქნას რომე, რაც იმას წამალი მოუნდებოდეს, ის იანგარიშოს და იმ პირუტყუის პატრონს გამოართვას და დაჭრილს კაცს მისცეს. და როდისაც ის კაცი დაიჭრა, იქიდან გამთელებამდი უნდა იანგარიშოს, თუ რამდენი დღე კლებია. რომ ვერ უმუშავნია; ყველა იანგარიშოს და პირუტყუის პატრონს გამოართვას დაუკლებლად და დაჭრილს კაცს მისცენ. ამისთვის რომე ყოველმა კაცმა შეიტყოს და ამგვარს პირუტყუს სხვა ნურვინ ნუ იყოლიებენ.

უკეთუ იმ პირუტყუთა საქონელი ვისიმე წააგდინონ, ერთი-ორად მისცენ თავის პატრონსა.

65. ქ. უკეთუ ცხენმა წიხლი ჰკრას კაცსა ვისმე ანუ უკბინოს, ანუ ვარმა ავნოს ვისმე რამე, რომელიც რკით ბრძოლას დაჩვეული იყოს ანუ წიხლსა, და იცოდეს ვინმე, რომე ის პირუტყუნი ავნი და კაცთა მავნებელნი არიან, თუ აწყინოს ვისმე რამე, პირუტყუნი იგი მოკლან ანუ, რაც აწყინა კაცსა მას, მისი პასუხი მისცეს პირუტყუის პატრონმან მან.

66. ქ. უკეთუ პირუტყუმან ავნოს ვისმე პირზედა ანუ გელზედა, ანუ ფეკსა, ანუ სხვას რასმე ასოსა და კაცი იგი დაჭრილი თუ იყოს აზნაური ანუ თავისუფალი, მოსამართლემ, რაც მას წამალი მოუნდებოდეს, მიაკემინოს პირუტყუის პატრონსა. და რა-

¹ იქნება A. ² რისხვისთა A. ³ ვინმე]—A.

ოდენიცა კუირა დამცდარიყოს მუშაობისა¹, [71v] უანგარიშოს და ყველა უკლებლად გამოართვან; პირუტყუის პატრონსა და დაჭრილს კაცს მისცენ.

ხოლო უკეთუ ყმა ვისიმე იყოს და იმ კაცს ავნოს პირუტყუ-მან, მოსამართლემ ის კაცი გასინჯოს, რა პატივი აქუს და რა კაცია, ანუ რა მოკვლეა, და წამლის ფასი, და რაც მუშაობას მიმცდარიყოს, ისიც იანგარიშოს და უკლებლად პირუტყუის პატრონს გამოართვან და მისცენ, რაც ვნებიყოს მისგან.

ქ. კაცთა დაშავებისათვის

67. ქ. უკეთუ კაცმან კაცს ერთი² თვალი გამოსთხაროს, სამართალი ესრეთ ბრძანებს: მის შავიერათ ერთი თვალი მას მოეთხაროს; უკეთუ ორი თვალი მოსთხაროს, იმასაც ორი თვალი მოეთხაროს, ამისთვის რომე კარგი ნიშანია და ნულარავინ მოსთხაროს თვალსა.

68. ქ. უკეთუ კაცმან³ კაცს ზელი მოსჭრას ანუ ზელი დაუშაოს, თუ რამ იმ კაცს ქონდეს მამული ანუ საქონელი, ყოვლისგან ნახევარი გამოართვას მოსამართლემ და ჯელმოჭრილს ან ჯელდაშავებულს კაცს მისცენ.

ხოლო უკეთუ ცოტად ქონდეს დაჭრილი და დაშავებული, მოსამართლემ კარგად გასინჯოს, ნახოს და კარგი სამართალი მიაცემინოს.

ისმინეთ, მსაჯულო! უკეთუ თვალი მოსთხაროს ვინმე კაცსა ანუ ზელი დაუშაონ, დამკრელი იგი თუ მდიდარი იყოს, რაც რამ ქონდეს, მამული თუ საქონელი, ყოვლისაგან ორი წილი გამოართვი და თვალმოთხრილსა ანუ ჯელდაშავებულს კაცს მისცეს, ამისთვის რომე მდიდარი კაცი [72r] არის და მისი თვალის მოთხრა და ანუ ჯელის მოჭრა არ ეგების და თავისის საქონლით უნდა მორჩეს.

ხოლო უკეთუ დამკრელი იგი კაცი ღარიბი იყოს და შეუძლებელი, რომ საქონლით მორჩომა არ შეეძლოს, მას თვალი მოეთხაროს ანუ ზელი მოეჭრას. და იმასთან ვინცავეინ მოასაბ[ი]ეთ ყოფილიყონ სხვა კაცი, და იმ საბრალეს კაცს რომე თვალი მოეთხარა, იმასაც მოსთხარონ.

¹ მუშაობისა] + იან A. ² ერთი] — A. ³ კაცმან] — A.

ხოლო უკეთუ მოასაბიეთა ჯელით არავეისთვის რა ეწყინოს და სხვარიგათ მოკმარებოდეს, იმ კაცთ სცენ ცლიერად გაკრიკონ და მისის ყოვლის საქონლისაგან და მამულისაგან მესამედი გამოერთ-ვას და თვალმოთხრილს კაცს მიეცეს, ვისიც ასაბია¹ იყოს.

ქ. ცეცხლისათვის

69. ქ. უკეთუ სახლსა ვისმე ცეცხლი შეეღვას და მისი პატრონი ეცადოს იმ სახლის დაწვისაგან მორჩენას, და იქილამ სხვას მეზობლის სახლსაც შეეღვას და დაიწვას, მისთვის სამართალი არა მიეცემა რა მეზობელსა.

ქ. წყალში საქონლის პოვნისათვის

70. ქ. უკეთუ წყალში საქონელი იპოვნოს ვინმე სხვისა და ამოიღოს რვის მჯრის სიღრმიდამე, ოქრო ანუ ვერცხლი, ანუ სხვა რაზე, ნახევარი ამომღებისა არის და ნახევარი პატრონისა.

ხოლო ვინცავეინ წყალი გარდუღდოს და ერთის ადლის² სიღრმიდამ საქონელი რამ ამოიღოს, ათისთავი მპოვნელისა არის და სხვა დამკარგავისა.

[72v] ქ. ხორბლისა, ქერისა, ღვინისა და ზეთის მიმზარებელისა

71. ქ. რომელსა ებაროს ხორბალი, ქერი, ღვინო და ზეთი და კარგად ინახევდეს, იმას უნდა მისცენ ხორბლისაგან ორმოც-დაათს კოდზედ ერთი კოდი, ორმოც კოდს ქერზედ—ერთი კოდი ქერი, თხუთხმეტს კოკას ღვინოსა და ზეთზე—ერთი კოკა.

ქ. სამეოცდამეათერთმეტე³ კანონი შეექუსის კრებისა ბრძანებს:

72. ქ. მართლმადიდებელი ქრისტიანე მწვალებელს ქალს ნუ მისცემს და ნურც ითხოვს. თუ ეს საქმე ესრეთ ქნას ვინმე, ცოლ-ქრმობიდამ გაჰყარეთ ვითარცა უსჯულოდ შეუღლებულნი.

ხოლო უკეთუ მწვალებელი იყოს კაცი ანუ დედაკაცი და ერთი პირი მათი რომელიმე, კაცი ანუ დედაკაცი, მოვიდეს მართლმადიდებელთა სარწმუნოებასა ზედა, ნუ განაშორებთ, ამისთვის რამეთუ პავლე მოციქული ბრძანებს, რომელი მისწერა პირველად კორინთელთა, და იტყუის: უკეთუ მართლმადიდებელთა დედა-კაცსა უნდოდეს მწვალებელთა კაცთანა ყოფა⁴ და ქმარსა მას მართლ-

¹ მესაბე B. ² აფგილის B. ³ მეოცდამეათორმეტე B. ⁴ ყოფად A.

მადიდებელსა ენებოს მწვალებელთა დედაკაცთა თანაყოფა, ცოლ-ქმრად იყუნენ, ვინ უწყის, რომე ქმარმა ცოლი მონათლოს და ანუ ცოლმა ქმარი*.

მოციქულმა ამისთვის ბრძანა, რათა არ განეშოროს, და არა მართლმადიდებელთათვის ბრძანა, რომელნიცა აწ მიიყუანენ მწვალებელთა ქალსა ცოლად.† იხილე ესეცა,‡ რამეთუ არა ბრძანა პავლემ, რათა მართლმადიდებელმან კაცმან მიიყუანოს მწვალებელთა ქალი ცოლად: თუ ქნას ვინმე, უნდოდესთ თუ არა, განაშორონ. ამისთანა საქმეები იმ მოციქულთ დროს იქმნებოდა და ახლა ამისთანას საქმის შენდობას ნურავენ მის[ი]ცემთ,—განაშორონ.

ხოლო უკეთუ არა განეშორნენ, მეფეთა სტანჯონ და განაშორონ. ხოლო უკეთუ მათცა ვერ მოაშორონ, ებისკოპოზთა მიერ შეიჩვენონ.

ქ. ოცდამეათერთმეტე კანონი ლაოდოიკისა¹ კრებისა ბრძანებს:

73. ქ. მწვალებელთა და ურწმუნოთა თანა შეუღლვასა ნურავენ ყოფს, ნურცა შეილსა შენსა მისცემ, ნურცა ქალსა შენსა მისცემ მწვალებელსა.

უკეთუ მწვალებელი და ურწმუნო ვინმე მოვიდეს მართლმადიდებელთა თანა სარწმუნოებაზედა,—მიეცინ, მაგრამე ამას გონებდი, ვითარცა ძალდი მიიქცა ნათხევარსა თვისსა, ეგრეთვე მიქცევის კიდევ მწვალებელი ურწმუნოებაზე.

ქ. სჯულის კანონი

74. ქ. ნურცა ურიათა მისცემენ ქრისტიანენი ქალსა და ნურცა ურიათა ქალსა მოიყუანენ ქრისტიანენი ცოლად; ნურცა მწვალებელთა, თათართა და ლათინთა² მისცემენ ქრისტიანენი ქალსა ცოლად. რომელიცა ყოფს ამას, სამართლისა³ სასჯელსა განეშორებიან; ესეცა უწყოდენ, რამეთუ სრულიად ეშმაკთა და იუდასთანა ალაგთა მათთანა დაემკუიდრებიან.

75**.

¹ ლოდოიკის A, ლოდოიკის B. ² ლათინთა სომეხთა. A-შიც წინათ „ლათინთა“ წერებულა, ამოუფხვკიათ და ჩაუწერიათ „სომეხთა“. ³ სამართლისა A.

* შდრ. I კორინთელთა 7, 13-15.

** 75 (თე) მუხლი ხელნაწერში წაშლილია, მაგრამ მუხლების ნუმერაციასში მაინც შეტანილია.

[78v] ქ. სჯულის კანონი ლეონ¹ ბრძნისა, დედაკაცი რომ შვილს მოიკლვენ წამლითა

76. ქ. დედაკაცმან რომ ქნას რამე წამალი და თავის მუცელში შვილი მოიკლას, დედაკაცი იგი ცოტას ხანს ექსორია უყონ. ხოლო ბრძენი ლეონ² ბრძანებს: უკეთუ კაცმა შეიტყოს, რომე მისმა ცოლმა მუცელში შვილი მოიკლა, მაშინვე გააგდოს და განეშოროს მისგან.

77. ქ. რომელმან დედაკაცმან ანუ მამაკაცმან მისცეს წამალი დედაკაცსა და მუცელში შვილი მოუკლას, უკეთუ ღარიბი იყოს, მეფემ შეიპყრას, სცეს, გაკრიჭოს, ლაფი დაასხას, ვირზე შესვას და ბაზარში შეარცხენოს: ხოლო უკეთუ მდიდარი იყოს, დიდად დაარბიოს და გააგდოს.

ხოლო უკეთუ დედაკაცი იგი მოკუდეს, რომელსაცა მუცელში ყრმის სასიკუდინოთ წამალი მისცა, ვინცა მას წამალი მისცა, მას თავი მოეკუეთოს. და უკეთუ მის უნებურათ მოკუდა დედაკაცი იგი, მაშინც ეგრეთ უყონ მას.

ქ. სამეოცდამეშვიდე კანონი მოციქულთა ბრძანეს მისთვის, რომელთაცა ძალად ქალწული³ ქალი განხრწნას

78. ქ. უკეთუ ვინმე ქალწული ქალი, დაუნიშნავი ვისგანმე, განიხრწნას³, ცოტას ხანს შეიჩვენოს კაცი იგი; ცოტას ხანს უკან ბრძანონ და შეაუღლნენ ერთად⁴ და იქორწინონ. უკეთუ ქალი იგი ასეთი ღარიბი იყოს, რომ პერანგის შოვნა არ შეეძლოს, და კაცი იგი მდიდარი იყოს და გვარიანი, მაშინც უნდა შეიუღლნენ, რადგან მისგან [74r] განიხრწნა.

ხოლო უკეთუ სხვის კაცისაგან დანიშნული იყოს ქალი იგი, რომელმანცა კაცმან განხრწნა ქალი იგი, კაცი იგი მეგრუშესავით განიქანონოს.

ქ. სჯული სამეფო მისთვისვე

79. ქ. სჯული ბრძანებს: უკეთუ დედაკაცი ვინმე ბრძენი იყოს და კაცმან ვინმე მოატყუოს და მასთან ისიძოს, და იმ კაცს ცოლი არა ყუანდეს და არც დედაკაცს ქმარი ყუანდეს, და ძალად, მოტყუებით ქალწულება მისი განხრწნას, ებისკოპოზმან ცოტას ხანს შეაჩვენოს კაცი იგი, და მეფემ კაცსა მას ცხვირი მოსჭრას. და

¹ ლეონ AB. ² კანწული A. ³ განხრწნას A. ⁴ ერთად A.

მისის ყოვლის ფერის საქონლისაგან მესამედი გამოართვან კაცსა მას და დედაკაცსა მას მისცენ.

ქ. სჯულის კანონი იტყუის:

80. ქ. რომელმანცა დედაკაცის ნებით ისიძოს მისთანა და იმ ქალის მამამ და დედამ¹ მათი საქმე არ იცოდეს, და როდისაც შეიტყონ, მათ ერთად ბეყრა და ქორწილი² უნდოდეს, და მშობელთა ქალისათა თუ ნება დართონ, იქორწინონ.

ხოლო უკეთუ ნება არ დართონ და მათ უნებურად ქორწილი ქნან, თუ კაცი იგი მდიდარი იყოს, ასორმოცდაათი ფლური გამოართვან კაცსა მას და იმ ქალს მისცენ; ხოლო უკეთუ მდიდარი არ იყოს, რაც რომ ქონდეს, ყოვლისფერისაგან ნახევარი გამოართონ კაცსა მას და ქალს მისცენ.

და უკეთუ გლახა, ღარიბი იყოს და არა ქონდეს რა, ძლიერად ეცეს, ლაფი დაასხან და ბაზარში შიარტხვინონ, და მისის სამკუიდრებელისაგან განგდებულ ყონ კაცი იგი.

[74v]. ქ. მებრძოლნი, რომელნიცა სიმართლით მობრუნდებიან

81. ქ. მებრძოლნი, რაოდენიცა იზრძვიან საქურველითა, უკეთუ სძლიონ და არ გამოიქცეს და ბრძოლაში მოკუდეს, ანუ თუ თავისის ნებით დარჩეს და მიეცეს ბრძოლასა მას და მერმე წამოვიდეს, ის სიმართლით გამოქცევა არ არის. ესე არს, რათა მუნ დადგრეს პირველსავე მას განწესებულსა თვისსა ალაგსა, და თავისი საქონელი რომ წაერთვა, ისევე გამოიტანოს.

ეგრეთვე აზნაურნი, რომელნიცა გაეცალონ და მათსა მტერთან მივიდნენ, დედაკაცი არს თუ მამაკაცი, და ისევე წამოვიდეს და შინ მივიდეს, სიმართლით გამობრუნება არ არის, არამედ მტერობა არის³ და მეფემან სტანჯოს იგი.

ქ. სჯულის კანონი სახელმწიფო

82. ქ. უკეთუ ვინმე მწედარი წარვიდეს შორს ბატონის სამსახურზედა ლაშქრად ანუ სხვაგან და იქ ბევრი დაეგვიანოს, მისმა ცოლმა უნდა მოუცადოს. ქმრის წიგნი და ამბავი რომ არა მოუვიდეს რა, მაშინც უნდა მოუცადოს. და უკეთუ მისი სიკუდილი გაიგონოს; ქმარს ნუ შეიტრთავს.

¹ მამამ და დედამ¹ მამა დედამ A. ² ქორწინი A. ³ არამედ მტერობა არის]—A.

უკეთუ ვინმე სარწმუნო კაცი მივიდეს და წმინდასა სახარებასა ზედან შეფიცოს, კეშმარიტად შენი ქმარი მოკუდაო, და მართლის მოწმით გამოჩნდეს მისი ქრმის სიკუდილი, ერთს წელიწადს იგლოოს და მასუკან იქორწინოს რჯულიერსა ქმარსა თანა.

უკეთუ, რომელსა ჩვენა ვბრძანებთ და მის გარდა დედაკაცმა ქმარი შეირთოს, ისი და მისი ახალი ქმარი¹, ვითარცა მემრუშენი, ესრეთ განიკითხნენ მეფეთაგან.

ხოლო მოწამენი იგი, თუ მოტყუარნი გამოჩნდნენ და არ მოკუდარიყოს, მოწამენი იგი თუ მკედარნი იყუნენ, მათი საჯელო და ჯამა[წი]გირი წაერთოს. უკეთუ სხვა კაცი იყოს, ცხვირი მოსკრან.

83. ქ. ლეონ² ბრძენი ამას ბრძანებს მისთვის, რომელნიცა ბრძოლასა შინა დატყუევდებიან: არა ჯერ არს, რათა მისმა ცოლმა ესრეთ თქუას, თუ ჩემი ქმარი ლაშქარში დატყუევებულაო, და იმან სხვა ქმარი შეირთოს. ხოლო თუ მან ქმარი შეირთოს და მისი პირველი ქმარი მოუიდეს, უკეთუ უნდეს ქმარსა მას პირველსა თავისი ცოლი, ისევე მიიყუანოს.

ხოლო უკეთუ აღარ ინდომოს ცოლი იგი, დედაკაცი იგი და მისი ახალი ქმარი, ვითარცა მემრუშე, ესრეთ განიპატიჯონ.

ქ. დედაკაცთა უფროსობისათვის

84. ქ. დედაკაცი მსაჯულად არ დაიყენებიან და არც უფროსად დაიყენებიან, არცა ვეზირობაში დაისმის და არცა სხვა საქმე ეკითხვის სახლის მოვლის მეტი.

85. ქ. დედაკაცისა არა ჯერ არს, რათა რისაცა საქმისათვის სამართალში მივიდეს. არამედ, თუ მოუკლას ვინმე მამა ანუ შვილი, ანუ ბატონი, ანუ ნათესაენი, იმ საქმის საჩივლელად მივა სამართალშია და უნდა გაუგონონ. და არა სხვა საქმისათვის მივა. თუ სხვისა რისათვისმე მივიდეს, ნუ გაუგონებენ.

86. ქ. უკეთუ დედაკაცი მოსამართლესთან მივიდეს და მოაგსენოს, ამ კაცმან ჩემთან იმრუშაო, ნუ ირწმუნებენ.

87. დედანი შვილთა თვისთა ბოროტსა ნუ უყოფენ და არცა-რა ჯერ არს. [არამედ მხოლოდ მამას აქუს კელმწიფება შვილთა თვისთა ზედა, ავის ქნა, გინა კარგისა.

[75v] 88. ქ. დედაკაცი ვალისა თვისისათვის და არცარა სხვისა დანაშაულისათვის საპყრობილეში არ შეიყუანებიან. არცა

¹ ქმარი) + და AB. ² ლეონ AB.

უცხოს კაცს უნდა მიაბარონ, არამედ მორწმუნესა კაცსა მიაბარონ.

89. ქ. უკეთუ დედაკაცი თავისის ქრმის თავდებათ დადგეს რისათვისმე, ნუ ირწმუნებენ.

90. ქ. დედაკაცმა თუ ვალი აიღოს თავისის ქრმის უწინა, იმანვე უნდა მისცეს ის ვალი. ეს არ ეთქმის დედაკაცსა, თუ ჩემის ქრმისათვის ავიღე ვალიო: არცა დედაკაცი თავისის ქრმისათვის დაიყენება თავდებად, არცა თავისი აღებული ვალი უნდა დააბრალოს თავის ქმარსა—როგორათაც უქრმოდ აიღო ვალი, ეგრეთვე უქრმოდ უნდა მისცეს ის ვალი სარგებლითა.

91. ქ. უკეთუ კაცი ვინმე დაიჭიროს და დააბან, და ცოლი მისი მივიდეს და თავისი საქონელი ქრთამად უთხრას ან მისცეს ქრმის გამოსაცხნელად, სანამდი ქმარი მისი საპყრობილიდამ გამოიგნებოდეს, თუ უწინვე გამოართვეს, ის ქრთამი ჩაივლის, თუ არადა მისი ქმარი გამოუშვებს, მასუკან დედაკაცი აღარას მისცემს, და აღარც ვალი შეჰყუება დედაკაცსა.

92. ქ. უკეთუ დედაკაცმა საჩივარი არ იცოდეს, რომ თავისი სამართლისა იჩივლოს მოსამართლესთანა, მას სჯული შეეწყვის და სამართალი უნდა უყუნ და მიაცემინონ.

ქ. ლეონ¹ ბრძენისა მიერ, უკეთუ ცოლ-ქმრისათვის რომელიმე ეშმაკეულ იქმნას

93. ქ. ლეონ¹ ბრძენი ბრძანებს: უკეთუ დედაკაცი უწინარეს ქორწინებისა ეშმაკეულ იქმნას და ქმრისაგან დანიშნულ იყოს, და ქმარმან მისმან მიზეზითა მით აღა[76R] იცოლოს, განეშორნენ.

ხოლო უკეთუ შემდგომად ქორწინებისა ეშმაკეულ იქმნას, სამს წელიწადს მოუცადოს ქმარმან, თუ მორჩა, კარგია, და თუ არადა, განეშორნენ.

ხოლო უკეთუ ქმარი იგი დედაკაცისა ეშმაკეულ იქმნას შემდგომად ქორწინებისა, ხუთი წელიწადი მოუცადოს ცოლმან, თუ მორჩეს, კარგია, და თუ არადა, განეშორნენ ურთიერთსა.

94. ქ. ეგრეთვე ნიკიფორე კეისარი კოსტანტიანოს² ბრძანებს და დაამტკიცებს ამას.

¹ ლევან A.B. ² კოსტანიატოს B.

ქ. ხჯულის კანონი გინებისათვის

95. ქ. რომელმანცა კაცმა კაცსა აგინოს, და ჩუმად ქრთამი გაილოს, და შერიგდნენ და მოსამართლესთან აღარ იჩივლონ, ტყუოდა და ქრთამი გაილო, ამისთვის განიპატიჯოს¹, ვითარცა ქრთამის ამღები, თუ ასრე ექნას.

ქ. მეორეს ქორწინებისათვის

96. ქ. დედაკაცსა ყოველსა, რომელსა მოუკდეს ქმარი, ერთს წელიწადს უნდა იგლოოს ქმარი თავისი და ქმარი არ შეირთოს, ვიდრემდის წელიწადი არ გათავდეს.

97. ქ. უკეთუ ქმარი დედაკაცისა შორს იყოს და იქ მოკუდეს, და შუაზე წელიწადმა გაიაროს და ქრმის სიკუდილი წელიწადს უკან შეიტყოს, დედაკაცმა იმ დღეს თავისი ქმარი უნდა იტიროს და სამგლოვიარო უნდა ჩაიცვას ცოტას ხანსა, და მას-უკან ქმარი შეირთოს. და ესრეთვე ქმარმან ყოს კოლზედა.

98. ქ. დედაკაცმა ქორწილი ქნას და ქპარსა მისსა ჯერ ქალწულება მისი არ გან[წ]ეხრწნას, და მისი ქმარი მოკუდეს, ერთს წელიწადს უნდა იგლოოს ქმარი მისი და მასუკან შეირთოს ქმარი სჯულიერი.

ქ. ტიმოთეს² მიერ აღექსანდრიელის³ პატრიარქისა ეშმაკეულთათვის

99. ქ. უკეთუ იყოს ვინმე უქკუო და გარდავარდეს სადმე ან ყელი გამოიჭრას, ან წყალში ჩავარდეს და დაირჩოს, გიჟობითა ან სხვითა რითმე თავისის თავის სიკუდილი მოაქდინოს, იმისთანა კაცი უნდა აზიარონ და დაძარხონ: მოქსენება და წესი ყოველივე აღასრულონ მას ზედა, ვითარცა სხვათა კაცთა ზედა.

ქ. შესამოცე კანონი მეექუსეს კრებისა ბრძანებს:

100. ქ. რომელმან თქუას, ვითარმედ ეშმაკეულ ვარო, თუ მოიგონოს, ნუ შეუნდობ. და თუ მართლა ეშმაკეული იყოს, დააბი, ეც, ნურას აქმევე; სანამდის თავისი ავი ჰკუა არ გაუშვას, ესრეთ გვემე⁴.

¹ განიტანჯოს A. ² ტიმოთემეს A. ³ აღექსანდრესი A. ⁴ ესრეთ გვემე]—A.

ქ. გირაოს გასყიდვისათვის

101. ქ. უკეთუ ვალი აიღოს ვინმე და გირაო მისცეს, და დასჯერდეს თეთრის პატრონი, რაც ხანი პეიშანი დაუდვა, ის გირაოები იმასთან იყოს, კარგად შეინახოს.

უკეთუ პეიშანი არ დაუდვა და თეთრი გამოართვა, და ორმა წელიწადმა შუაზე გაიარა, თავისი თეთრი აღარ მისცა, არც გირაოები დაიქნა, თეთრის პატრონმა მოწამე უნდა იშოვნოს, რომ იმ კაცს თეთრი ემართოს, და მოსაწართლესთან მივიდეს. თუ მოსამართლემ სამართალი არ უყოს, ის გირაოები დაყიდოს, პატრონს ამის მეტს ნურას კითხავს, რომე აჩვენოს, თუ თვითან დაიქნას, კარგია, და თუ არადა, გაყიდოს. თუ ნამეტნავი გარდარჩეს, პატრონსავე მისცეს.

[77r] 102. ქ. უკეთუ ვალი აიღოს ვინმე და გირაოდ სახლი მისცეს ანუ ბოსტანი, და იმ კაცმა ის გირაოები, სახლი თუ ბოსტანი, გააკეთებინოს და მას ზედა დახარჯოს რამე, როდისაც გირაოები დაყიდონ, უწინ თავისი თავნი და სარგებელი აიღოს, მერმე, რაც სახლისა და ბოსტნის გასაკეთებლად დახარჯა, ისიც აიღოს. თუ თეთრი¹ გარდარჩეს, პატრონს მისცენ, თუ დააკლდეს, პატრონმა შეუთაოს.

103. ქ. უკეთუ ვისიმე გირაოდ სახლი ქონდეს და ის სახლი დაიწვას, მერმე იმავე ალაგზედა თეთრის პატრონმა ისევ სახლი ააშენოს თავისის ხარჯითა, თუ იმ ალაგის პატრონს კითხა იქ სახლის აშენება და დასტური მისცა, როდისაც თავისი თეთრი მისცეს, რაც სახლის ასაშენებლად დახარჯა, ისიც უნდა მისცეს, და სახლი თვითან პატრონმა უნდა დაიჭიროს.

უკეთუ შეუკითხავად ააშენა ის გირაო სახლი, როდისაც თავის თეთრი მისცეს, პატრონმა თავისი სახლი დაიჭიროს: მისის აშენებისათვის არა მიეცემა რა,—შეუკითხავად რატომ ააშენა?—სახლი ისე პატრონს დარჩება.

104. ქ. უკეთუ ვალი ვისმე ემართოს და არ აძლევდეს, ოცდაათს² წელიწადს უნდა ითხოვდეს თავის თეთრსა. თუ გირაო ქონდეს, ორმოც წლამდე ემართოს და გამოიღოს.

ქ. უძრავის საქონლის გირაოდ დადებისათვის

105. ქ. უკეთუ თეთრი აიღოს ვინმე ვალად და გირაოდ უძრავი საქონელი რამ მისცეს, იმ კაცმა თეთრი კი დახარჯოს და

¹ თეთრი]—A. ² ოცდაათს A.

თეთრი აღარ ქონდეს, რომ მევალეს¹ მისცეს, უკეთუ თეთრის პატრონს უნდოდეს უძრავის საქონლის სყიდვა, თავის თეთრში [77v] აიღოს.

უკეთუ სხვას ვისმე უნდოდეს იაფად სყიდვა, თეთრის პატრონი დაუშლის იაფად სყიდვასა. იმ ალაგის მოსამართლემ ეს სამართალი უნდა ქნას, რომე იმისთანა მამული იაფად არ გაასყიდვინოს, მართებულათ დაათასებინოს. და როგორც რომ დათასდება, თეთრის პატრონი ისრე თავის თეთრში დაიჭერს, — რომელიც მევალეს საქონელი უნდა, იმას დაიჭერს თავის თეთრში. რადგან² იმისი თეთრი მართებს, მართებულთა, რომე, რომელიც ალაგი იმას უნდოდეს, ის ალაგი დაიჭიროს თავის თეთრშია — სხვის სყიდვას მისი უფრო მართებულთა.

106. ქ. უკეთუ ვინმე თავისი ნასყიდი კაცი სავაჭროდ გაგზავნოს და თეთრი გაატანოს, და იმ კაცს ზიანი დაემართოს გზაზედა, ის კაცი წავიდეს და თავისის ბატონის უკითხვად სხვა ვალი აიღოს, თუ თავისის ბატონის შეკითხვით აიღოს, ის თეთრი მისმა ბატონმა უნდა მისცეს.

თუ თავის ბატონის უკითხვად აიღო, უწინ თავის ბატონს უნდა მისცეს თავისი თეთრი და მერმე იმ კაცს უნდა მისცეს, რომლისაგანც უბატონოთ აიღო ვალი.

ქ. სამეფოსა საქონლისათვის

107. ქ. ვერავის ძალ-უეც სამეფოსა საქონლის გავალება და არცა ეკლესიისა საქონლისა, ცხადად ანუ მალვით, დაწერილი ანუ დაუწერელი, არცა თავდებებითა.

უკეთუ ის საქონელი პატრონის შეუტყობრად თუ აიღოს ვინმე ვალად, კელმწიფემ ის კაცი დაიჭიროს და ქუეყანაში შეარცხვინოს. და რომელმანც სამღთო საუ[78r]ნჯე უპატრონოდ ასესხოს ვინმე, მას თავი მოეჭრას.

ქ. ანდერძის ქნისათვის სიკუდილის დროს

108. ქ. ანდერძი არს სიმართლისა განზრახვა, რომელიცა ანდერძსა იქს სიკუდილის დროსა. ანდერძსა სამი სჯულიერი საქმე უნდა ქონდეს: პირველი — სოფლიერისა მოქალაქობისა, მეორე — წესი და რივი, რომელიც არის, და მესამე — მოსამართლისა მიერ იქნა.

¹ ნოვალს A. ² რადლან AB.

სოფლიერისა¹ მოქალაქობისა ანდერძი არს: რაემს ენებოს ვისმე ანდერძის ქმნა, მალვით არა ქმნას, არამედ კაცთა წინაშე დასწეროს ანდერძის წიგნი.

წესისა და რიგისა არს, რამეთუ, რომელიცა ქმნა ანდერძი წინაშე კაცთა, იგი ყოს ანდერძად.

და მოსამართლისა იგი არს: რომელიცა იქმნა კაცთა წინაშე, იგინი მოწამედ იქმნებიან ანდერძისათვის მოსამართლეს წინაშე. ანდერძის წიგნში მოწამეთა სახელი უნდა ეწეროს და მათი ბეჭედებიც უნდა იხდეს, რომე მერმე სიტყუა არაეინ რა თქუას.

უკეთუ ანდერძის მქნელმა² წიგნი იცოდეს და შეეძლოს, რომე თვითან მოაწეროს, თუ მე ამ კაცმა ვქენ ანდერძი სამკუდილრე-ბელისა ჩემისა. უკეთუ თავისი სახელი ვერ დასწეროს, მოწამეთა უნდა თქუან მემკუიდრის მის კაცისა სახელი. უკეთუ მოწამეთა ყუელას ბეჭედი არა ქონდეს, ყუელამ ერთი თითი დააჭირონ და თითითა მით ყუელამ დაბეჭდოს. ესრეთ დამტკიცდების ანდერძის წიგნი.

109. ოცდამეშვიდე კანონი, ლეონ³ ბრძენი ბრძანებს*:

110. ქ. უკეთუ მოწამეთა თქუან, რომე ამ კაცის ანდერძის წიგნი ჩვენს წინ დაიწერაო [78r], მოწამეთა თუ ასრე უმოწომონ, ბეჭედი რომ არ უჯდეს, ეს დაიჯერება.

ქ. ოცდამეათცხრამეტე ბრძანება ლეონ³ ბრძენისა, ბრძანებს ესრეთ:

111. უკეთუ ანდერძის წიგნზედა იმ ალაგის უფროსის ბეჭედი არ იჯდეს და იქ დამხვედრნი მოწამენი მოწმობდენ, და მათი ბეჭედი იჯდეს, დაიჯერება**.

112. ქ. რომელმანც ანდერძის წიგნი დასწეროს, თუ იმანვე იმოწმოს, დაიჯერება.

113. ქ. მემრუშეს კაცის ანდერძის მოწმობა არ დაიჯერება. უკეთუ იმოწმოს და ბეჭედიც დასეას, არ ირწმუნება, ამისთვის რომე ქუეყანამ მისი მრუშება იცის და მემრუშე. მოწმად არ დაიჯერება.

უკეთუ ცოდვა იგი რომ ქნა, ანდერძის წიგნიც მაშინ ბოლოს დაიწერა, და ქუეყანამ მისი ცოდვა არ იცის, მაშინ⁴ დაიჯერება.

¹ სამართლისა AB. ² მთქმელმა B. ³ ლევან AB. ⁴ მაშინ] + არ A.

* ეს სათაური ხელნაწერში შეცდომით ცალკე 109 (რთ) მუხლად არის გამოყოფილი.

** B ნუსხაში ამ მუხლის გასწვრივ კიდებე გადამწერის მიერ მიწერილია: „ღედანში ასე იყო“.

114 კ. უკეთუ კაცი დატყუებდეს მტერისაგან, და, სადაც დატყუებულნი არის, იქ რომ ანდერძის წიგნი დასწეროს, ის არ დაიჯერება. უკეთუ კაცი იგი მორჩეს და შინ მოვიდეს და თავისი ანდერძის წიგნიც შინ მოიტანოს, მაშინ დაიჯერება. უკეთუ საცა დატყუებდა, იქ მოკულა. რაც იქ ანდერძი ქნა, ისიც ირწმუნება.

115. კ. უკეთუ დედის მუკლითგან ბრმა იშვას ვინმე ანუ სენთაგან დაბრმავდა, მან რომ ანდერძი ქნას უწიგნოთ, თუ ექუსი ან შვიდი მოწამე ყავს და მის სახლის კაცებს მისის ანდერძის მართალი მოწმობა უთხრას და არ ტყუოდეს, დაიჯერება.

ქ. საიდუმლოს ანდერძისათვის

116. კ. უკეთუ მკუდარმა კაცმა¹ წიგნი იცოდეს და თავისი შვილებისათვის ანდერძი [791] ქნას, პირველად უნდა დასწეროს წელიწადი და დრო, ან ქრონიკონი იყოს ან რა ინდიკტიონია, და მერმე თავისის შვილების სახელი დასწეროს თავისის ქელით, და თვითოს შვილს რა მისცა, სახელდობით დასწეროს ყუელა ერთს ქალალდზედ. სახელდობით დაწერა² ამისთვის სჯობს, რომე ძმებში ჩხუბი აღარ ჩამოუარდებათ.

უკეთუ ცოლსა მისცეს რამე ან ნასყიდს მსახურს აზატი უყოს ვისმე, ის ცალკე ქალალდზე დასწეროს მოწმე[ე]ბთანა. მერმე, რაც დაიწერება, დაიბეჭდვის. ესრეთ ყოველივე მტკიცე და უცვალე-ბელი იქნების: მისმა შვილებმა რომ არ დაიჯერონ, რადგან³ თავისის ქელით დასწერა და თავისის ენით თქუა, და მოწამენი და-მხდურნი არიან, ის წერილი აღარ მოიშლების.

უკეთუ ვინც რომ დასწერა, მერმე აღარ მოეწონოს იმასვე ის ანდერძი⁴, და მერმე სხვა დასწეროს თავისის საქმითა და ჭკუ-ითა, და გამოსცვალოს, ხუთსა, ექუს მოწამესთანა დასწეროს და მოწამესაც ნიშანი დაასმევინოს იმ წიგნზედა. სამკუიდრო და საბოლოო იქნება ის ახალი ანდერძის წიგნი და აღარც მოიშლება.

ქ. მკუდართა ანდერძისათვის

117. კ. ვინცა ვინ მკუდარი წაელენ ლაშქარსა, იქ რომ და-იჭრეს და გზაზე მოკულდეს, და იქ ქნა ანდერძი სამს კაცს წინაშე ანუ ორს კაცთანა, და მოწამეთაც ყუანან ისინი, რომელიც ძვირი

¹ კაცმა+ კაცმა A. ² დასწერა A. ³ რადგან AB. ⁴ ის ანდერძი—A.

შემთხვია მას, დაიჯერება, ანდერძი იგი წიგნით იყოს თუ უწიგნოთ. მაგრამე ამისი საქმე მოსამართლემ კარგა უნდა გასინჯოს.

[79v] ქ. დედაკაცთა ანდერძისათვის

118. ქ. უკეთუ მოკდეს და ორსული დედაკაცი აბანოში შევიდეს, და იქ ბანებაში მოკუდეს, და იქ ანდერძი ქნას ცხრასათსა დედაკაცთანა, რომელიცა მისთანა ებანებიან, იმ დედაკაცებმა რომ უმოწმონ, დაიჯერება ანდერძი იგი.

119. ქ. მემკუიდრე კაცის მოწმობა არ დაიჯერება, უკითხავად, თავისის ბატონისათვის. თუ მოსამართლემ კითხოს იმ კაცსა და მართალი მოაჯსენოს, დაიჯერება.

120. ქ. ვინცა ვინ საიდუმლოდ ანდერძის წიგნი დასწეროს, ათს წელიწადს არ გამოაჩინოს, მასუკან, როდისაც გამოაჩინს, ვინც არის, ის კაცი სამართალს ითხოვს, რაც უწერია.

ქ. სჯული

121. ქ. რომელიც დედაკაცი ვაჟზე ორსული იყოს, მისთვის ებრძანებთ—მამა რომ მოუკუდეს.—რამეთუ მამისა მისისა ყოელის სამკუიდრებელისაგან არა უმკუიდრო იქმნების.

122. ქ. უკეთუ ყუანდეს ვისმე ყრმა მცირე დატყუევებული და მამამისმა ის ანდერძში არ მოიგონა, და რაჟამს გამოიქსნას და მოვიდეს, იმ ანდერძის მოშლა მას აღარ შეუძლიან, არამედ მისმა ძმებმა ყუელამ ცოტა-ცოტა თავეთის წილისაგან მისცენ და მასცა ექნების სამკუიდრებელი და სარჩო.

123. ქ. კაცმა რომ უცხო კაცი სახლისკაცად შეიყაროს და თავისის შეილისაგან იმას უფრო დაუმკუიდროს თავისი მამული ანდერძითა, და თავისი შეილი აღარ ინდომოს, ვინ იცის, რონე მასუკან შეილი შეიწყალოს, ჳელმწიფება აქუს იმ კაცსა, რონე პირველი იგი ანდერძი მოშალოს და მეორე ახალი დასწეროს თავისის შეილისათვის.

[80r] 124. ქ. უკეთუ მეფე გაუწყრეს ვისმე, არა ჯერ არს, რომე მაშინვე მისი ანდერძი მოშალოს, არამედ, როდისაც ბრძანება გამოვა მისის თავის მოჭრისა, მაშინ მოიშლება.

125. ქ. უკეთუ ავად იყოს ვინმე, თუ ჳკუა დაფანტული არა აქუს, ანდერძის წიგნი დასწეროს, დასტური აქუს.

126. ქ. უკეთუ მეორე ანდერძი ქნას ვინმე პირველისა მის უმტკიცესი, პირველი იგი ანდერძი მოიშლების მეორისა მისგან.

127. ქ. ლეონ ბრძნისა ბძანება: რამეთუ უბძანებ აწ და მერმეცა ყოველთა ქალაქთა და სოფელთა, რაოდენიცა იქმნებიან სოფელსა შინა ანდერძნი უცოდინართა კაცთა [რომელთა] არა იციან, თუ ანდერძნი რა არისო: რაგინდ უცოდინარნი იყუნენ, თუ იქმს ვინმე ანდერძს, დაიჯერება, მაგრამე მოწამენი უნდა ყუანდენ მოწმობისა ღირსნი.—შვილნი ანუ ხუთნი.

უკეთუ შვილი და ხუთნი არ იყუნენ, სამნი იყუნენ სარწმუნო კაცნი, დაიჯერება.

ქ. პატრიარქთა მიერ სწავლა სამღვდელთა

128. ქ. ესრეთ ვბრძანებთ სამღვდელთა კაცთათვის, რამეთუ სამღვდელონი იგი კაცნი ერისკაცთა საქმეებში ნუ გაერევიან, ნუ იქმნებიან გამდელნი თავადების შვილთანი, ნურცა გამგენი თავადთა სახლთანი, ნუცა სოფლის მოკვლენი და ნუცა სხვათა ესევეითართა, რასაც ფერთა საეროს საქმეთა გაერევიან სამღვდელონი კაცნი.

ხოლო უკეთუ საეროს საქმეებში საქმობა და განმგეობა არ გაუშვან, მღვდელი იყოს, დაეყენოს მღვდლობისაგან. ნურცა მოჩივართა საჩივარში [80v] მოკვმარებიან, ნურცა დაუმარცხებენ, ნურცა საეროს საქმის მოსამართლე და მათ შინა განმზრახნი იქმნებიან, რანეთუ ყოველთა სამღვდელთა კაცთა დავარიგებ, ყოველსა სამღვდელსა საქმესა განეშორნენ.

უკეთუ ვინმე ბრძანება ესე ჩვენი არ ირწმუნონ და თავის ნებას ნიპყუნენ და ამ ცნებას გარდავიდნენ, იყუნენ შეჩვენებულნი ჩვენის პატრიარქობისაგან და წმიდათა მამათა კრებათაგან.

და უკეთუ იყოს მღვდელი ანუ მონოზანი—ბერი და საეკლესიო საქმე იყოს რამე, ებისკოპოზის ბრძანებით დადგნენ და მართალი სამართალი ქნან, ამას არ დაუშლით, არამედ ვაქებდცა.

ხოლო უკეთუ დაქირება რამ იყოს და მეფემ დასაქმოს და უბძანოს, უნდა ქნას, ამისთვის რამეთუ გელმწიფე სჯულისა და კანონის უმდაბლესი არა არის, რამეთუ მასცა აქუს გელმწიფება ღთისა მიერ—ვისიც ენებოს ებისკოპოზისა, აღამალლებს, მიტროპოლიტად დააყენებს.

და უკეთუ ებისკოპოზთა ბევრი სამწყუსო აქუს, გაუყოფს და სხვას ებისკოპოზს შეიქს; ვისიც ენებოს, ებისკოპოზისა ანუ მიტროპოლიტისა, გამოსცულის; წირვა ვისიმე უნდა, აწირვინებს, და ლოცვა უნდა, ალოცვინებს; აქუს სხვაცა გელმწიფება სიმართლითა მღვდელთნთავართა. საქმე ეს იპოების მეოთხეს კანონსა ხალკიდონისა კრებისა, რამეთუ გელმწიფება მიცემულ არს მეფეთათვის, რამეთუ

უბძანოს ვისმე სამღდელოთა კაცთა, საერო სამსახური აქნევი-
ნოს, რომელიც მან უბძანოს.

უკეთუ ებისკოპოზნი იმსახურებენ ერისკაცთა, ბერთა ანუ
მღდელ[81v]თა, რატომ მეფე უფრო არ იმსახურებს, რომელსაცა მის-
ცემია ზეგარდამო კელმწიფება? ვისიც უნდოდეს, ესრეთ უნდა
იმსახურებდეს მას, სჯულის კანონი არ დაუშლის სამსახურსა, ამის-
თვისცა კანონი ბძანებს.

უკეთუ თავადნი დააყენებენ ეფისკოპოზთა, დააყენონ, მაგ-
რამე მისი მოშლა მათ აღარ შეუძლიათ. და თუ უნდოდეს, მეფე
მოშლის. და რომელსაც რომე მეფე დააყენებს, იმისი მოშლა მათ
არ შეუძლიან, ვერცარა სიტყუის თქმა.

ქ. სიმართლისათვის

129. ქ. სიმართლე არს მარადის ყუავილოვანი კეთილითა¹ გან-
ზრახვითა, რომელიცა ყოველსა კაცსა მარადის მისცემს სიმართლესა.
მისი სიმართლე ესე არს, რათა მარადის იყოფებოდეს პატიოსნად
ცხოვრებითა, სიმართლითა, თავდაბლობითა და სხვას არავის რას
აწყენდეს, და რაოდენიცა სხვას კაცს მისთან სიმართლით ქონ-
დესთ რამე, მისცემდეს [შდრ. მუხ. 364]*.

130. ქ. სიმართლის სიმართლე ესე არს, რათა იცოდეს კაცმან
სამღთო თუ საკაცობო საქმე, სამართალი თუ უსამართლო
[შდრ. მუხ. 365].

ქ. სჯულის კანონი

131. ქ. კელმწიფემ რაც სამართალი ქნას, იმას ვერავინ მო-
შლის, თვითანვე თუ მოშლის, ესრეთ რამეთუ უსამართლო რამე
რომ ქნას კაცზედა, ის კაცი ყოველთვის ჩიოდეს და ტიროდეს
უსამართლოებასა, თვით მეფემანვე უნდა შეიწყალოს და მოშალოს
თავისი სამართალი, თორემ სხვას ვერავის ძალუც.

[81v] 132. ქ. რასაც რომ სამართალსა მოსამართლე იქს,
მისი მოშლა კიდევ სხვას მოსამართლესაც შეუძლია, მაგრამე მე-
ფემ რომ სამართალი ქნას, მას ველარავინ მოშლის, ვერც პატ-
რიაქისასა, თვინიერ მათ მეტი-ვე.

133. ქ. როდესაც რომე ავი სამართალი იქნების, იმას ვერც
რჯული, ვერც წესი, ვერც ღრო, ვერც საქმე ვერ დაამტკიცებს
მას.

134. ქ. მოსამართლემ რომ სამართალი უყოს და თავისი მია-
ცემინოს ვისმე, მართებულთა. თუ არადა მოსამართლეს აღარა

¹ კეთილთა A.

* შდრ. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ტიტ. I, § 3.

კითხა და ძალად ერთმანეთს წაართვა ვინმე, სამართალიც რომ ქონდეს, ძალად წართმევისათვის თავისი სამართალი დაეკარგება.

ქ. სჯულის კანონი საშეფო და საპატრიარქო

135. ქ. ესრეთ ვბრძანებთ ზათთვის, უკეთუ კაცი ვინმე მოკუდეს და მას ცოლი დარჩეს: სანამდის ცხრა დღე არ გამოვიდეს მკუდრისა, მანამდის იმ დედაკაცთან, მის შვილთან, მის ნათესავთან, მის განმგესთან საწყინრად ან სასამართლოდ ჰელი არავის არა¹ აქუს, არც ვალისათვის.

ხოლო უკეთუ ცხრას დღეს შუაზედ აწყენინოს ვინმე რამე ვალისათვის ან² რასაც ფერის საქმისათვის მკუდრის პატრონსა მას, ის კაცი თავის სამართალს დააქარგავს. უკეთუ მოიგონოს ვინმე ტყუილად და თქუას, იმ მკუდარსაო³ ჩემი ამთონი ემართაო, და მისის სამკუდილრებელისაგან თხოვნა დაუწყოს ვალსა თუ რასაც, და არა ემართოს რა მკუდარსა მას, რაჟამს იგი მტყუვნად გამოჩნდეს, იმ ვალისათვის ესრეთ ვბრძანებთ: რამეთუ, რამდენსაც ის კაცი თხოულობდა [82r] მკუდრისაგან ტყუილად, მოსამართლემ იმდენი იმ კაცს გამოართვას და მკუდრის პატრონს მისცეს.

რაც მართლა ემართოს ვისიმე და ან საქმე ქონდეს ვისმე, ცხრას დღეს უკან მოსამართლესთან იჩივლონ და მკუდრის პატრონმა პასუხი მისცეს.

ქ. მოჩივრისაგან მოსამართლეს გამორჩევისათვის

136. ქ. უკეთუ ორსა კაცსა საჩივარი ქონდეს მოსამართლესთანა და არც ჰელმწიფისა, არც პატრიარქისა, არც მიტროპოლიტი-სა, არც მოსამართლის საჩივარი და სამართალი არ მოინდომონ, და იმ ორთა ერთი კაცი გამოირჩიონ და, იმასთან მივიდნენ, მოაწესნონ, რომე ერთი საჩივარი გვაქესო და რომელსაც თქუენ სამართალს გუიზამ, იმას ვჯერვართო, იმ მოსამართლეს ეწოდების ბჳე.

ოთხნოცდამათექუსმეტე კანონი კართაგენისა⁴ კრებისა ბრძანებს: რაცა ბჳემან მან უთხრას სამართალი მართალი, იმას ვერვინ მოშლის, ვერც ჰელმწიფე და ვერც პატრიარქი; არამედ, თუ ის ბჳე⁵ მტყუვნად გამოჩნდეს, რომ ის სამართალი ფერობითა ან

¹ რა A. ² ვალისათვის ან]—A. ³ მკუდრისა A. ⁴ კათარგენის AB. ⁵ ბჳე] + პა A.

მოყურობითა, ანუ მტერობით ექნას, მაშინ უნდა ის სამართალი მოშალოს მოსამართლემ და მართალი სამართალი ქნას.

137. ქ. მსგავსადვე ამისა ასოცდამეორე კანონი კართაგენისა¹ კრებისა ბძანებს: რომელმანცა ბჰის სამართალი არ ირწმუნოს, პატრიაქისაგან შეიჩვენოს და მეფისაგან იტანჯოს.

138. ქ. ბჰის სამართალი ჳელმწიფის სამართალს ზიებზგავსების. ესრეთ ჯერ არს, რათა სამართალი ზისი არ მოიშალოს. და რომელმანც ბჰის სამართალი [82v] არ დაიჯეროს, მეფისაგან იტანჯოს და ჯურუმში გამოერთვას.

139 ქ. უკეთუ ორნი მოჩივარნი იყუნენ და უსამართლოდ ერთმანეთს შეფიცონ, იმაზედ ბჰე სამართალს ველარასა იქს, არამედ მათზედა უნდა ქნან მათ სამართალი, რომელთაცა მოსცნებინან და შესჩივლებენ. მაგრამე ბჰემ უწინვე უნდა ეს პირობა დაადებინოს ორთავე რომე, რომელიც ჩვენ გითხრათ, თუ ის არ დაიჯეროთ, ამთონ-ამთონი თეთრი ჯურუმით გამოვიდოთ და მოგართვათ.

ქ. საზღდელოს კაცის ცილის წამებისათვის

140. ქ. მეექუსე კანონი მეექუსეს კრებისა ბძანებს: უკეთუ ვინმე ცილი დასწამოს ეჯისკოპოზსა ანუ სამღუდელოსა კაცსა ვისმე და დააბიზლოს, ნურცა ყოველთა გაუშვებს გაუკითხავად, რომ არ შეიტყოს, თუ რა კაცია. თუ საქმე რამე იყოს მაგისტანა, განიკითხე.

უკეთუ საქონლის გულისათვის დაებიზლებინოს, უცრავისა თუ მოცრავისა, ანუ თუ გინებისათვის, ანუ სხვა რამე ამგვარი საქმე ექნას და მისთვის დაებიზლებინოს, მოსამართლე ნურც დაბიზლებელს მას გაუგონებს და ნურცა ურწმუნოსა კაცსა დაუჯერებს, ვიდრემდის არ განიკითხოს. სიტყუა იგი დაიდვას გულსა თვისსა და განიკითხოს ებისკოპოზი იგი ანუ სამღუდელონი იგი კაცნი სამართლიანად. და უსამართლოს ურისაც ნუ უზამთ.

ეგების ის კაცნი ეკლესიათა ზედა დამნაშავენი იყუნენ და ეწინოდეს ებისკოპოზისა მიერ შეჩვენებისა და მისთვის დაგაბიზლა. კარგად ვასინჯეთ, [83r] შემასმენელნი იგი კაცნი უკეთუ იყუნენ მწვალებელნი², ანუ სჯულის გამზველნი, ანუ მეფეთაგან ექსორიაქმნილნი, ანუ ებისკოპოზთაგან შეჩვენებულნი, ანუ იყუნენ მემრუშენი, ანუ კაცის მკულელნი, გინა სარგებლით თეთრის ამღებელნი,

¹ კართაგენისა A, კათარგენის B. ² მწვალებელი A.

ანუ მემთურაღენი, ამისთანას საქმის მოქმედნი იყუნენ დამბიზღებელნი იგი ებისკოპოზისა და სამღვდელოს კაცისანი, მათსა სიტყუასა ნუ შეიწყნარებენ, ნურცა გაუგონებენ.

ხოლო უკეთუ ამ საქმეთაგან ყოველთაგანვე თავისუფალნი იყუნენ შემასმენელნი იგი, რასაც იტყოდეს ებისკოპოზისასა ანუ სამღვდელოსა მის კაცისა დანაშაული, პატრიარქმა კრება ქნას ყოველთა თავის ებისკოპოზთან, მათ უბძანოს და მათ განიკითხონ იგი.

ხოლო უკეთუ მათ ვერ ძალ-ედევას ცილის წამებისა იგი დაქსნა, წარავლინოს თავისი მამამთავრები ან თვითან წაბრძანდეს პატრიარქი, კარგად გასინჯოს და სამართალი ისე უყოს. როდისაც სამართალი ქნან, ესრეთ დაამტკიცონ, რომ აღარ მოიშალოს. და უწინვე შემასმენელსა მას ერთი წიგნი გამოართვან მოსამართლეთა, თუ სტყუოდეს¹, რაც ებისკოპოზს გარდააქდევინონ, ის იმას გარდააქდევინონ.

თუ შესმენა იგი მართლა არ გამოაჩინოს და მივიდეს ჯელმწიფესთან ანუ მოსამართლესთანა, გინა კრებაშია მივიდეს, შეასმინოს, შესმენა მისი შეწყნარებული არა არს და ნურცავინ შეიწყნარებეს, ამისთვის რომე ებისკოპოზი უპატიო[მწმ] ყო, აგინა კრებასა და წმიდათა ეკლესიათა მოწესენი აღრეულ ყო.

141. ქ. მსგავსადვე ოცდამეერთე² კანონი მეოთხის კრებისა ბრძანებს: ებისკოპოზთა და სამღვდელთა კაცთა ცილის წამებით ბიზღებასა ნუ ირწმუნებთ. პირველად დამბიზღებელი³ იგი კაცი კარგად გასინჯეთ, თუ რის ცხოვრებისა და სამღვდლოს საქმის მოქმედი არის, და ისრე ირწმუნეთ.

142. ქ. მსგავსადვე ამისა მეორე კანონი კართაგენის⁴ კრებისა ბრძანებს: ებისკოპოზთა ანუ მამადმთავართა დამბიზღებელი კაცი, თუ რის სარწმუნოების კაცია, ისე ირწმუნეთ.

ქ. სამართალში მოწმობისათვის

143. ქ. სამეოცდამეათხუთმეტე კანონი წმინდათა მოციქულთა ბძანებს: მწვალებელთა მოწმობასა ნუ ირწმუნებთ, არცა ერთისა ქრისტიანისა მოწმობასა არა დაიჯერების, ამისთვის რამეთუ წერილი ბძანებს: «რამეთუ ყოველი სიტყუა ორისა და სამის მოწმით დაემტკიცოს»⁵, და მოციქული იტყუის: რამეთუ ერთი მოწამე ნუ გწამთ, არამედ ორი და სამიო⁶.

¹ სტყუოდენ A. ² ოცდამეერთე A. ³ დაბიზღებული B. ⁴ კათარგენისა A.

⁵ II კორინთ. 13, 1. ⁶ შდრ. ებრაელთა 10, 28.

ქ. სჯულის კანონი სამეფო

[84r] 144. ქ. მოწამედ სარწმუნოებისა ღირსი კაცი უნდა იყოს და მისი მოწმობა ირწმუნების საეკლესიოს საქმისათვისცა და საერო საქმისათვისცა¹.

145. ქ. ურწმუნო მოწამე იგი არს, რომელნიცა ცუდსა, საჩხუბარსა სიტყუასა იტყუიან. მოჩუბარი იგი არს, რომელნიცა კაცნი დასწერენ წიგნსა ავს რასმე კაცისათვის და იმ წიგნს გარდა-აგდებენ, რათა იპოვონ კაცთა და წაიკითხონ, დაწერილი იგი შეიტყონ და იმით ერთი რამ ავი მოწადეს. რამეთუ ეს კარგთა კაცთა არა შეენის, რათამცა ქნან, ვინცა ამისთანას საქმის მოქმედი იყოს, იმ კაცის მოწმობა არ ირწმუნების.

146. ქ. მოწამენი რომ სამოწმოდ მოვიდნენ, ჰირველად უნდა დაიფიცონ და მერმე წამონ. მაგრამე პატიოსანი კაცი არ დაიფიცავს². ერთის კაცის მოწმობა არ ირწმუნება, რაგინდ რომ დიდი კაცი იყოს.

147. ქ. უკეთუ ვისმე ოთხის ათასის თეთრის სასაზართლო ჰქონდეს ვისთანმე, ორი მოწამე კარგი უნდა მოიყუანოს და დაიფიცოს, ხოლო ორმოცდაათის ლიტრის ოქროსათვის სამი კარგი მოწამე უნდა, და უფროსი თუ არის, ხუთი მოწამე უნდა მოიყუანოს პატიოსანნი და კარგნი კაცნი, რათა ჰირველად დაიფიცონ და მერმე უმოწმონ. სამართალი მაშინ უყონ.

ქ. სჯულის კანონი

148. ქ. არა ჯერ არს დედაკაცისაგან, რომე საქელო დაიპიროს, არცა მოწმობა დაეჯერება. არცა ჯერ არს მისა ქმნად. ვინცა-ვინ იმოწმოს, თუ არ ნახოს თავისის თვალითა; გაგონილზედ ნუ იმოწმებენ.

[84v] 149. ქ. კაცმა გაიგონოს რამე, გაგონილისათვის ვერ იმოწმების, რაგინდ დიდი კაცი იყოს. და როდისაც თვალით ნახოს, მაშინ უნდა უმოწმოს მისთვის, თუ ეს საქმე ასე ვნახეო. რაგინდ რომ კაცს კლევდეს ვინმე, ანუ მლდელი დაიყენებოდეს, თუ თვალით არ ნახოს, ნუ იმოწმებენ; გაგონებით ნურცა იმოწმებენ და ნუცა დაუჯერებს.

150. ქ. უკეთუ სამძღვრის საქმე იყოს ანუ სახლის განახლებისა, ამისთვის გაგონებით იმოწმების.

¹ და საერო საქმისათვისცა]—A. ² დაიფიცენ A. ³ მოწამე]—A.

151. ქ. უკეთუ მივიდეს ვინმე მოსამართლესთანა და კაცი და-
აბიზლოს, და სხვას კაცს ვისმე წიგნი მოსწეროს: «აქ მოდიო, მი-
მოწმეო», წიგნის მიწვრით მიწმობა არ იქნება, არამედ თავისის
ნებით უნდა მივიდეს ის კაცი და თავისის პირით მოაწესნოს, და
თუ ზართალი არ გამოაჩინოს და ტყუილად იმოწმოს, ის კაცი
ექსორია იქნას.

152. ქ. ღარიბთა კაცთა მოწმობა არ დაიჯერება. ღარიბი
ის არის, რომე სამი ათასი თეთრი არ ქონდეს. ტყუილს მოწამეს
ენა მოეჭრას.

153. ქ. ნასყიდს კაცსა და აზატნაქმარს თავისის ბატონისა
და ბატონიშვილისათვის მოწმობა არ დაიჯერება, ამისთვის რომ
პურმარილი ახსოვს¹.

154. ქ. უკეთუ ოცს წელიწადს დაბლად იყოს ვინმე კაცი,
მას მოწმობა არ დაიჯერება. უკეთუ სასამართლოში გამოჩნდეს
კაცისა ვისიმე, რომ ეს კაცი დამნაშავე არის და მტყუანი ანუ
ექსორიაქმნილი არის, ანუ ქრთანი აულია მოწმობისათვის. ანუ მი-
მრუშე² იყოს, ამგვარის კაცის მოწმობა არ ირწუნება.

155. ქ. შვილი მამისათვის ანუ ძმა შვილისათვის ვერ უმოწ-
მებენ და არც დაიჯერება.

ქ. სჯულის კანონი

[6არ] 156. ქ. უკეთუ ცილის წამებით დააბიზლოს ვინმე
მღდელი, ერისკაცი მღდელს ვერ განიკითხავს. და უკეთუ ღთი
შერისხდეს მღდელსა და კაცი მოკლას, მაშინ მისთვის განიკითხ-
ვის მოსამართლის ერისკაცისაგან. და სხვის საქმისათვის ვერ გა-
ნიკითხავს³.

157. ქ. უკეთუ მოსამართლემან სჯულის კანონით სამართალი
ქნას და ის სამართალი დაამტკიცოს, ის აღარ მოიშლება. ლათი-
ნელნი ამისათვის იტყუიან, რომე, რაცა თქუას პაპამ და სამარ-
თალი ქნას, ის აღარ მოიშლებისო. აქეთგან იპოვს მიზეზი ლათი-
ნელთა და იტყუიან, რომე სარდიკის კრებამ ღისცა პირველობა
პაპასაო, რათა ყოველთა ზედა უფროსობა ქონდესო.

ხოლო ჩვენ ესრეთ ვიტყუით და დავამტკიცებთ, რამეთუ კა-
ნონი ესრეთ არა ბწანებს, რათა ქონდეს პირველობა პაპასა ყო-
ველსა პატრიარქსა ზედა, არამედ მარტო თავისა სამწყსოსა ზედა
უნდა ქონდესო.

¹ ამისათვის, რომ პურმარილი ახსოვს] — A. ² მემშურნე A. ³ განიკითხეს A.

თუ მისი პირველობა ყოველთა ზედა არს, დიად, დიდი ძრვა იქნება ქრისტიანეთა ზედა—ესე არც არის და არცა როდისმე იქნება, რამეთუ არცა პაპსა აქუს ჴელი კონსტანტინოპოლის¹ პატრიაქზედა და არც კონსტანტინოპოლის¹ პატრიაქს პაპსა ზედა, არცა ალექსანდრიელსა ანტიოქისა² ზედა, არცა ანტიოქიელსა იერუსალიემელსა³ ზედა—ერთმანეთზედა უფროსობა, არამედ თავთავის სამწყსოსა ზედა—უფლება აქუსთ თვითეულსა. ესრეთ ბრძანებულია კრებათაგან და დამტკიცებული, და არა ესრეთ, რომელსა იტყუიან ლათინელნი.

ქ. ყმის აზატისათვის

158. ქ. ოთხმოცდამეხუთე კანონი მეექვსეს კრებისა ბძანებს: როდისაც ვინმე [85v] რომ აზატი უყონ ნასყიდ ყმასა ანუ სხვასა, საღის მოწმით განათავისუფლონ, ამისთვის ვითარცა ბძანებს წმიდა წერილი, ორისა და სამისა მოწამითა დაემტკიცოს ყოველი სიტყუა.

159. ქ. მესამე კანონი განგრის⁴ კრებისა ბძანებს: ავკაცობა ის არის; რომე კაცს უთხრას, ამ შენს ყმას რას აქნევ და რას გარგებსო, და იმ კაცს გული წაუჭდინოს ბატონზედა და ან ბატონს ყმაზედა, და თავისის ბატონის სამსახურისა აღარა ინაღლოს რა. იმისთანას კაცსა შეაჩვენებს კრება, რომელიც ბატონს: და ყმას შუა⁵ ამისთანას ჩხუბს ჩამოაგდებს.

რამეთუ მოციქული იტყუის ტიმოთეს⁶ ებისტოლეთა შინა ყმა ყოველმან კაცმან პატიოსნობით იყოლიოს*, ქრისტიანე რომ არ იყოს მაშინცა. და კუალად იტყუის ტიტეს⁷ ებისტოლეთა შინა**⁸: ამცენ მონათა, რათა კეთილად მონოს უფალსა თვისსა და მახედა იქონიოს სარწმუნოება შეუორგულბელი.

160. ქ. ოთხმოცდამეორე კანონი მოციქულთა ბძანებს: ამას არა ებძანებთ, რამეთუ წარვიდეს ვინმე ერთი კაცი, ყმა ვისიმე, თავისის ბატონის უდასტუროთ და იკურთხნენ საღმე მამადმთავრად ანუ დიაკუნად, ანუ მღღლად. რატომ? ამისთვის, რამეთუ ბატონსა მისსა ის კაცი თავისის სახლის განმგებლად ყავს—რადგან ის წაუვიდა, მისი სახლი აეშლება: ეგება ან ღუქანზედ უჯდა, ან

¹ კონსტანტინოპოლის ა. ² ანტიოქისა ა. ³ იერუსალიელსა ა. ⁴ ლანდიარს ა, აღანგრის B. ⁵ ყმას შუა ყმაში A. ⁶ ტიმოთელთა A. ⁷ ტიტელთა A.

* შდრ. I ტიმ. 6,1. ** ტიტე 2,9.

თეთრი ქონდა მიცემული სავაქროდ. ამისთვის თავის ბატონის უდასტუროთ არ იკურთხევა.

უკეთუ ის კაცი მღვდლობას ღირსი იყოს, ებისკოპოსს შეეხვეწოს და შუა შემოიყუანოს თა[ნს]ქვის ბატონთანა. თუ ნება დართოს, აკურთხოს, თუ არადა, ვერ აკურთხევს, ამისთვის რამეთუ დიდი პავლე ბძანებს ონისიმესთვის: ფილიმონის ყმა იყო, ღირსი იყო კურთხევისა, პავლესთან მივიდა, მაგრამ არ აკურთხა, არამედ გაგზავნა თავის ბატონს ფილიმონთანა, უმისოდ კურთხევა არა ჯერ არსო.

161. ქ. მეოთხე კანონი მეოთხის კრებისა ბძანებს: იგი კაცი უზიარებელ იყოს ქრისტიანობისაგან, ვინცა სხვის ყმა მიიყუანოს ან მიუშვას, თავის ბატონის უდასტუროდ ბერად შეაყენოს.

ქ. სჯულის კანონი

162. უკეთუ ვინმე თავის ყმას აზატი უყოს და იმ აზატის მოწლა აღარ მოკდებოდეს, და კაცი იგი უმადლო იქნას, ისრევე ზოუწალოს თავისმა ბატონმა და ისრევე იმსახუროს.

ნასყიდის ყმისათვის¹

163. ქ. ნასყიდი ყმა მიღლეში სასამართლოში არ მიიყუანება და ვერცავეინ მოკლავს მოსამართლე, და არცა უფლება აქუს. თავისის ბატონის საქონელზედ მოსამართლე ვერას აწყენს, ამისთვის რამეთუ ნასყიდია და არა აქუს რა²—ნურცა რას მისცემ, ნურცა რასა სთხოვ.

164. ქ. უკეთუ სუბუქი დანაშაული რამ ქონდეს ნასყიდს ყმა-სა, ბატონისა მისისაგან შეენდობის, თუ თავისის ბატონის მორჩილი და მაამებელია, ანუ მისის განგებულისა.

165. ქ. ნასყიდი ყმა არავისთან იჩივლებს და ვერც მისგან იჩივლებს ვინმე მოსამართლესთანა—თუ საქმე ვისმე აქუს, მის ბატონთან უნდა იჩივლოს. ნასყიდს ყმასთან მოსამართლეს ჳელი არა აქუს და ვერც ნასყიდის ყმის მაგიერად თავისი ბატონი მიიყუანება სასამართლოდ. თავისმა ბატონმა, რომ აზატი უყოს, თუ აზატობის წიგნი ისევე წაართვა, მის საჩივლელად მივა მოსამართლესთანა [მწყ], თორემ სხვისათვის ვერაფრისათვის ვერ მივა.

¹ ნასყიდის ყმისათვის]—A. ² და არა აქუს რა]—A.

166. ქ. ნასყიდი ყმა ვერც ვალს აიღებს, ვერცა ვის მისცემს, ამისთვის რომე არა აქუს რა—ნუ მისცემ. თუ მისი სხვას მართებს, თავისი ბატონი გამოართვამს. უკეთუ იმ ყმამ თავისის ბატონის უდასტუროდ ვალი აიღოს, მისი ბატონი არას მისცემს,—ამისთვის არ უნდა მისცეს ნასყიდს კაცსა.

167. ქ. უკეთუ ნასყიდი ყმა მივიდეს და თავისი ბატონი დააბიზლოს მოსამართლესა, მართალიც რომ იყოს, სამართალი იმავე კაცს სტანჯავს, ამისთვის რამეთუ თავის ბატონს ემტერება. თუ მისმა ბატონმა კაცი მოკლა და იმ საქმეზე დააბიზლა, ამ ბიზლობისათვის აღარ იტანჯება, და ის ბიზლობაც დაეჯერება, თუ მართალია. და სხვის საქმისათვის, რასაც ფერისათვის რომ დააბიზლოს თავისი ბატონი, არც დაეჯერება და კიდევ იტანჯება.

168. ქ. უკეთუ ყმამ შეიტყოს თავისი ბატონის ღალატი და სიკუდილს მოარჩინოს, ის ყმა უნდა განათავისუფლოს.

169. ქ. უკეთუ აზატნაქმარმა ყმამ ჰ თავის ბატონი შეიღებს აგინოს, არ აპატიებდეს, ვითარცა უჭმარი მონა, წეგრეთ იმსახუროს.

170. ქ. უკეთუ ვინმე თავის ნასყიდს კაცს აზატი უყოს და მისი ბატონი გაღარიბდეს, იმ აზატნაქმარმა ყმამ უნდა მსახუროს და თავისი ბატონი დაარჩინოს.

ქ. შის კაცისათვის, რომელნიცა თავისის ბატონისათვის ავს იქმან

171. [87r] ქ. რომელმან კაცმან იცოდეს, თავის ბატონის ცოლს კაცი ყუარობდეს ვინმე და არ გაამელავნოს, ან იმ კაცს წინ უძლოდეს და წიყუანდეს, ის კაცი ცეცხლში დაიწვას.

ქ. სჯულის კანონი .

172. ქ. რომელმანცა კაცმან თავისი ბატონი მოკლას, იგი ცეცხლში დაიწვას და რომელმანცა კაცმან თავისის ბატონის ჳმა გაიგონა და არ მიეშველა, ანუ ვინმე იცოდა თავისის ბატონის ღალატი და არ გაამელავნა, ესენი იტანჯნენ ჳლიერად.

173. ქ. უკეთუ ვინმე შინაყმამ თავისის ბატონის ცილის წამებით ურიგო რამე თქუას, ექსორია ექნას. უკეთუ ვინმე თავის ბატონს თავისი სიკუდილი მიუთხრას, კეთილად შეიწყნაროს.

174. ქ. უკეთუ აზატნაქმარმა კაცმა თავის ბატონის ცილის წამებით ავი რამ თქუას, ექსორია იქმნას.

ქ. სჯულის კანონი მისთვის, რომელნიცა სხვის ნასყიდს კაცს შეიხვეწებენ ან გაყიდიან

175. ქ. ვინცა ვინ სხვის ყმა ნასყიდი მიიყუანოს და დამალოს, ერთიორად უნდა მისცეს თავის პატრონსა. უკეთუ მისცეს პატრონსა და წამოუიღდეს, და ამასვე მოუიღდეს, კიდევ დამალოს, ისევ თავისი უნდა მისცეს და ერთი სხვა.

176. ქ. ვინცა ვინ იცოდეს, რომე ეს კაცი აზატნაქმარია, და გაყიდოს, ორივე კვლები მოსჭრან. ხოლო¹ უკეთუ იცოდეს ვინმე, აზატნაქმარია, იყიდოს, ანუ აჩუქოს ვისმე, ანუ ზითვად გაატანოს, გინა სხვაზედ გამოსცვალოს, მას კვლები მოეჭრას, და პატრონს ერთიორად მიეცეს.

ქ. სჯულის კანონი მისაცემლისათვის

177. ქ. ყოველი მისაცემელი. რომელი ზართლა მიიციება, ის აღარ მოიშლება და დამკუიდრდების [877] მისთანა. ხოლო უკეთუ უნდადლო იქნას კაცი იგი, ისევ გამოერთვას.

178. ქ. უკეთუ კაცმან ვინმე მისცეს კაცსა რამე, არას უმაღლი დეს, არცაზად შერაცხოს მისაცემი იგი, და ის კაციც მაგიერს მისაცემს დაპირებოდეს, წიგნით თუ უწიგნოთ, აღარ მისცეს, მოსაზართლესთან მივიდნენ—ის მისაცემელი მოიშლება.

179. ქ. უკეთუ იყოს ვინმე კაცი თხუთხმეტს წელიწადს. ქვევით და ან ჰკუადაფანტული, ის კაცი ვერცა რას გასცემს და არცა რა გაეცემის.

180. ქ. უკეთუ მეფემ ორს კაცს ერთი რამ საქონელი უბოძა, ის ერთი კაცი მოკუდა, თუ მას თავისი აღარა ყუანდეს რა, მისი წილიც იმავე ამხანაგს მიეცემა.

181. ქ. უკეთუ მეფემან შორს ერთს კაცს საქონელი გაუგზავნოს და ის კაცი მკუდარი დატუდეს, ის საბოძვარი ისრფე უნდა მობრუნდეს. და თუ მეფე მისთვის მოწყალეა და ებრალება, ეპრიანება², მის შვილებსავე მისცემს. და თუ არ ეპრიანება, თავისთვინე დაიჭერს³.

182. ქ. ყოველი მისაცემელი კარგის მოწმითა და წიგნით დაიჯერება, თეთრი არის თუ საქონელი, უძრავი თუ მოძრავი: ხუთას ფლურზედა მოწმობით იჯერება; უკეთუ ხუთას ფლურზედა ნამეტნავი არის, თუ მოწამე არა ყავს ან წიგნი არა აქუს, ის მიცემა არ დაიჯერება.

¹ ხო A. ² ეპრიანება]—A. ³ და.. დაიჭერს]—A.

183. ქ. ოცდამეცხრე ბდანება ლეონ¹ ბრწნისა იტყუის: ყოველმან კაცმან ბდანება ესე ჩვენი მტკიცედ იპყრან: რომელსაც შვილი არა ყუანდეს და თავისი საქონელი თავის აზატნაქმარს კაცს მისცეს, ბევრი თუ ცოტა, და მასუკან [88r] 'შვილი იყოლოს, ის მისაცემელი ისევე მოზრუნდება,—თუ რამ ემეტება, კიდევ მისცემს, და სხვას გამოართმევს.

ქ. ქმართა და ცოლთა ერთმანერთის საქონლის მიცემისათვის

184. ქ. უკეთუ დედაკაცმა თავის საქონელი, სულა თუ ნახევარი, თავის ქმარს მისცეს, ეგრეთვე ქმარმა თავისი საქონელი, ყუელა თუ ნახევარი, თავის ცოლს მისცეს, არა დაიჯერება, ანისათვის რომე სიყუარულით მიცემა არის,—სიკუდილამდის არ დაიჯერება მათი მიცემა, ამისთვის რომ გალარიბების მორიდე არის, არ გავლარიბდეთ.

185. ქ. დედაკაცი თავის ზითევს სხვას ვერავის მისცემს, თავის შობის მეტსა.

186. ქ. ყოველსა კაცს სამართლობა არ შეუძლია: უკეთუ არა აქუს სამართლით მიცემული, ან მეფეთგან, ანუ სხვათა ძლიერთა კაცთაგან მიცემული არა აქუს, ანუ სჯულისაგან დამტკიცებული არა აქუს, ვერავის ძალუც სამართლობა. სოფლიერი ბჭეც არ იყოს, მაშინც არ იქნება.

187. ქ. რომელიც კაცი ოცდახუთის წლის ნაკლები იყოს, იგი მოსამართლედ არ დაიყენების.

188. ქ. ძველი სჯული და ლეონ¹ ბწნის ბდანებს: კუირათა და სხვათა სამეფოთა დღეებშია მოსამართლენი, კელოსანნი და მუშანი დაეყენნენ და ნურას იმუშაებენ.

189. ქ. დიდმარხვამი მოსამართლე ნურცა ერთსა რასმე დანამაულსა ვისასმე განიკითხავს.

190. ქ. განწესება ესრეთ არს მარხვისა: უკეთუ ავაზაკნი ანუ მტაცებელნი იყუნენ დიდმარხვაში, არადა² აღდგომაც იყოს, განიკითხონ და სტანჯონ, ეგრეთვე—კაცის მკულელნი.

[88v] 191. ქ. უკეთუ კელმწიფემაცა არა ბდანოს, დღესა მას პასექისასა, რაოდენიცა პყრობილნი არიან საპყრობილესა შინა, ყოველთათვის ჯერ არს განთავისუფლება.

¹ ლეონ AB. ² არა A.

ხოლო ეკლესიათა მკრეხველნი, ქალწულთა გამხრწნელნი¹, მისან[ნ]ი და მწამელნი, კაცის მკულელნი და მამის მკულელნი, ორგულნი მეფეთა და მისის ქალაქისანი, ესენი ვერცა აღდგომასა განთავისუფლდენ და არცა სხვა დღესა.

192. ქ. ბძანება არს ლეონ² ბრძნისა: რომელმანც კაცმან მოსამართლესთან კაცი დააბიზლოს და თვითან იქ აღარ მოიცადოს, თუ დიდი რამე საქმე იყოს, მოსამართლემ იმ კაცს სამჯერ კითხოს წიგნითა და თვითოს სიტყუისათვის წვითით თვე მოიცადოს. თუ დაძბიზღებელი კაცი მოვიდეს, კარგია, და თუ არა, რომელიც მართებული სამართალი იყოს, ისი ქნას.

193.* ქ. ყოველი, რაოდენიცა სამართალი იქნების იმ ალაგთა თავადებისა რაც ფერის სასამართლოსი, თუ დიდი რამე საქმე არის, ის სასამართლო სიტყუა, რომელი მოგესენა მოსამართლესა, იმ დღეს აქეთ შუაზე ოცი დღე უნდა აცალონ და მისი სამართალი კარგა გასინჯონ.

ხოლო უკეთუ გაჯავრდეს მოსამართლე, ოცს დღეს დააკლოს და სამართალი ქნას, მოსამართლე დაზიანდება და სამართალი მისი დაიწვის.

194. ქ. უკეთუ მოსამართლემ უსამართლო რამ ქნას, ის სამართალი³ არ დაიჯერება.

195. ქ. უწყოდეთ, რამეთუ, როდისაც მეფე სამართალსა იქს, იგი არაოდეს არ მოიშლება სხვათა მოსამართლეთაგან, არამედ თვითონ ოდენ გასინჯავს, [ხმრ] თუ დააეიწყდა, პირველსავე სამართალს მოშლის. ვითარცა ერთა ზედა მეფე ყოფს სამართალსა, ეგრეთვე სამღვდლოთა ზედა—პატრიარქი.

ქ. ბძანება დიდის კოსტანტინესი⁴

196. ქ. ჩვენი ბძანება არის და არცა ჯერ არს, რათა თავადებმან⁵ ვინმე ქრთამი აიღოს, არამედ ჳელი მათი იყოს წმიდად და ოქრო არ შერაცხოს, რათა არა იპოოს მის მაგიერი პასუხი ღთისა მიერ. რომელნიცა ღარიბთა ზედა იქმან, თავისის გამორჩომისათვის სამართლის მაგიერად თეთრს გამოართმევენ მოსამართლენი, ცოტასა ანუ ბევრსა, ეს უნდა იცოდენ, რამეთუ სამართალი ღთისა უსასყიდლოდ მიცემულა. უკეთუ რომელიმე ბძანებასა ღთისასა და-

¹ გამხრწნელნი A. ² ლეონ A. ³ სამართლად A. ⁴ კოსტანტინესი A. ⁵ თავადებმა A.

* ხელნაწერში შეცდომით 293 (ხვტ) მუხლადაა აღნიშნული.

იჯერებენ, ღთო მისცემს მას სასყიდელსა საქმეთაებრ თვისთა. ეს მართებულია, რომ სამართალი ღთისა არ გაყიდოს მოსამართლემ.

უკეთუ ქრთამი სთხოოს და ქრთამით სამართალი ქნას, ის იქნება ეშმაკი და იუდა—სადაც ისინი წავლენ, იმ ალაგს იგინი დაემკვიდრებიან, და იქ მიიღონ ვეცხლი. რაც რომე მეფეთგან განწესებულია, იმის გარდა ვინცაეინ უფროსი აილოს, ეშმაკის მოქმედი იქნება.

197. ქ. ყოველთა თავადთა მიერ ჯერ არს, რათა მოსამართლეს ქრთამი არ აალებინოს და დააყენონ. სამართალში ქრთამის აღება არა ჯერ არს, თვინიერ მისსა, რომელიცა განწესებული არს მეფეთაგან.

198. ქ. უკეთუ ვინმე იჩივლოს მოსამართლესთანა, ამ კაცს ჩემი თეთრი მართებს და გამამირთვიო, მოსამართლემ რაც რომ თეთრი გამოუერთვას, ას¹ თეთრზედა სამი თეთრი მოსამართლემ აილოს; და ას ფლურზედ ერთი ფლურია. და არა უფროსი [ნაჲ] აილოს. არა მისზედა აილოს, ვისიც თეთრია, არამედ მას ზედა, ვისაც რომ ემართა, მივიდა, სთხოვა და არ მოსცა—იმ კაცმა თავისი ვალიც უნდა მისცეს და მოსამართლეს და იასაულსაცა იმან უნდა მისცეს².

199. ქ. ვისაც თეთრი ემართოს და თეთრი არა ქონდეს, რომ მისცეს და³ გარდუწყუიტოს, მოსამართლემ ესრეთ უნდა გაურიგოს, რომე ოთხი თვე პეიმანი დაადებინოს, რომე ოთხს თვეში დაამებით მამული გაყიდოს და თავისი ვალი გარდუწყუიტოს, თუ მდიდარი⁴ იყოს.

ხოლო უკეთუ ღარიბი იყოს და არა ქონდეს რა, მისი სამართალი მევალეზედ კიდია: თუ უნდა, დააცლის და ცოტა-ცოტას⁵ გამოართმევს, უნდა, აპატივებს, უნდა, მოსამართლეს დაამბევინებს.

ქ. თავდებობისათვის

200. ქ. ვინცაეინ ეკლესიათა მოწესენი იყუნენ, თავდებად ნურავის დაუდგებიან. ხოლო უკეთუ ხედვიდეს ვისმე ძმასა ქრისტიანესა, ცილის წამებით დაბიზღებულსა ანუ ვალისათვის 'მეწუხებულთა, ანუ სხვის რისათვისმე სირცხვილში ჩავარდნილსა უბრალოდ,—ხოლო უკეთუ იხილონ ეკლესიის მოწესთა, სიყუარულისა-

¹ ათას B. ² იმან უნდა მისცეს]—A. ³ მისცეს და]—A. ⁴ მდიდარე A. ⁵ ცოტოტას A.

თვის ღთისა და ძმათა მოყუარებისათვის მივიდეს და თავდებათ დაუდგენ, და ის მოარჩინონ, და გამოიკნან იმ სასჯელისაგან. ამისთანა თავდებობა საქებელია და არა საძაგელ.

201. ქ. უკეთუ ვინმე კაცს ქრთამი გამოართვას და ქრთამით თავდებათ დაუდგეს ანუ სხვის ავის საქმით ქნან თავდებობა, სამლონი მამანი და სამეფო სჯულის კანონი დააყენებს მას.

და ჩანს ასოცდამესამეს კანონსა შინა იუსტინიანე მეფისასა: ესრეთ ბძანებს, რამეთუ ნუ იქმნების ებისკოპოზი და ნუცა სამლონი კაცი [90r] მომკმარებელნი ორთა მოჩივართა შორის ერთისა, ნურც ქრთამით მომკმარებელნი, ნუცა მებაჟე, ნურცა თავათისა სახლის გამგებელნი, ნუცა ყმაწვილის გამდელი,—ამისთანას საქმის მოქმედნი სამლდლონი კაცი ნურაოდეს ნუ იქნებიან. რატომ? ამისთვის, რამეთუ ღთისასა და ეკლესიის სამსახურსა გაუშვებენ და საეროსა საქმეს მოქმედობენ.

ამისთვის ბრძანებს იუსტინიანე პელმწიფე: რამეთუ, რომელი იგი ირჯების და იტყუის სულისა თვისისა დადებასა საყვარელთა ძმათა ჩვენთა ქრისტიანეთასა, ვითარცა იტყუის მცნება ღთისა: «შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი»*.

რომელნიცა დადგებიან ცილის წამებით დაბეზღებულთა კაცთათვის, რომელსაც სჯიდენ და არცხვენდენ უბრალოდა დაუნაშავებელსა მას კაცსა,—თუ ვინმე თავდებად დაუდგეს და მოარჩინოს იგი, მისი ორი სასყიდელი მიეცემის. თუ ამისთანა დაუნაშავებელს კაცს თავდებათ დაუდგების ვინმე და გამოიკნის, იმას ვერცა ეკლესია დააყენებს და ვერცა სჯულის კანონი, არამედ ნათლის გვირგვინითა გვირგვინოსან იქმნების მართლმსაჯულის ღთისაგან, ამისთვის რამეთუ მან სახარებისა ჯმა აღასრულა.

და რომელიცა ზეგარდმოთ დაგვაწერია და იმ საქმეებში გაერევიან, ისინი მეყუსეულად დაკარგვენ სამლოსა მსახურებასა და მეფეთაგანც განისჯებიან.

202. ქ. კჟალად ბძანება იუსტინიანესი იტყუის: უკეთუ ვინმე ეკლესიისა მოწესთა იჩივლონ მოსამართლესთანა, მოსამართლე მათ თავდებს ნუ სთხოვს, არამედ [90v] თამასუქი გამოართვან, ისიც უფიცრად. და ებისკოპოზი ნურც თავდებს მისცემს და ნურც თამასუქსა.

უკეთუ მოდავესთან საჩივარში დადგნენ¹ და პასუხი მისცენ, კარგია, თუ არადა წავიდნენ და აღარ მივიდნენ სასამართლო-

¹ დადგნენ] + მოდავისთან AB.

* აათე 5,12; 19,11; მარკოზ 12,31;32; ლუკა 10,31.

შია, სიმტყუვნე ებისკოპოსს დაედება და მათი სამართალი მეფემ უნდა ქნას.

203. ქ. უკეთუ თეთრი ვინმე აილოს და თავდები მისცეს, თეთრის პატრონი თავის თეთრს უწინვე თავდებს ვერა სთხოვს, არაჲედ ესრეთ უნდა ქნას: თავისი მოვალე¹ სამართალში უნდა მიიყუანოს; უკეთუ თავისი თეთრი თავდებთან მისცეს, კარგია, თავდებთან ჴელი აღარ აქუს.

უკეთუ თეთრის გამორთმევა ვერ შეიძლოს, მაშინ თავდები-საგან უნდა ითხოვოს, უკეთუ მოვალე¹ და თავდები არსად წასულან და იქივ არიან. უკეთუ თეთრის ამლები წავიდა სადამე, თავდებს ვერას გამოართვამს. თავდები უნდა მიიყუანოს სამართალშია და მოსამართლემ პირობა დაადებინოს მას: თუ ამდენს ხანს მოიყუანოს თეთრის ამლები და თავისი თეთრი მიაცემინოს, კარგია; თუ პირობაზე ვერ მოიყუანოს, თავდებმა უნდა მისცეს პატრონსა.

და თავდებს ეს არ შეუძლია, რომე მივიდეს და თეთრის ამლების საქონელი ან მამული დაიჭიროს იმ თავის თეთრშია; სანამდის მისი პატრონი არ მოვიდეს, მის საქონელთან, უძრავთან თუ მოძრავთან, ჴელი არა აქუს. და როდისაც მოვიდეს, თავისი საქონელი თვითან გაყიდოს და თავდებისა მის ვალი მისცეს.

ხოლო უკეთუ მოვიდეს და არა ქონდეს რა, მოძრავი თუ უძრავი, უწინ რომ მოსამართლემ პირობა დაადებინა, კიდევ [91R] იმდენი ხანი დააცალოს. თუ რამ ქონდეს, თავისის ფასით გაასყიდვინოს და ისე მიაცემინოს. და უკეთუ არა ქონდესთ რა, რომ გაყიდოს და მევალეს მისცეს, ის ვალი თავდებმა უნდა მისცეს. ესრეთვე სამართალი ყოველსა კაცსა ზედა იქნების.

ვისაც რომ ვალი მართებს და მისი გირაო ქონდეს, უძრავი თუ მოძრავი, მათი სამართალიც ესრეთ იქნების.

ქ. იგავი

204. ქ. კაცსა ვისმე უნდა, რომე თეთრი ვალად მისცეს; და იმ კაცისა არა იცის რა, თუ რა კაცია. ერთს კაცს კითხავს, რომე ის კაცი თეთრსა მთხოვსო, მე ვერ ვიცნობ, რა კაციაო. იმ კაცმა რომ უთხრას, ის კაცი კარგი კაცია, მიეც, არ დაგეკარგებო, ის კაცი თავდებდაც არ იყოს, რადგან ეს სიტყუა უთხრას, კაი კაცია, მიეცო, თუ ის კაცი წავიდეს სადმე და ან არა ქონდეს რა, ამ სიტყუის მოქმელმა კაცმა უნდა მისცეს თავისის თეთრის პა-სუხი.

¹ მევალე AB.

ქ. დედაკაცის თავდებობისათვის

205. ქ. დედაკაცი არაოდეს არავისგან თავდებად არ დაიყენება. და უკეთუ დაიყენოს ვინმე თავდებად, სამართალში ვერავინ მიიყვანს დედაკაცსა.

206. ქ. უკეთუ დედაკაცმან თეთრისათვის უთავდებოს ვისმე და იმ მოვალემ¹ ველარა მისცეს რა, სჯული შეეწევის დედაკაცსა მას და არას მიაცემინებს.

ხოლო უკეთუ ის დედაკაცი მიიყუანონ სამართალშია და იმ დედაკაცმა მისცეს ის თეთრი, იმ თეთრს ველარ გამოიღებს დედაკაცი, ამისათვის რომე, რატომ მისცა, ძალად არავინ აიღებდა.

207. ქ. დედაკაცი, რომელიცა აიღებენ თეთრსა სავაჭროდა, რათა ისარგებლონ, თავისი [91v] თეთრი იმავე კაცსა თვითანვე უნდა მისცეს.

ხოლო უკეთუ თავდებად რომ დაუდგა ის დედაკაცი, და ის ზეთრი მოვალემ რომ აღარ მისცეს თეთრის პატრონსა, იმ თავდებთან ჰელი არა აქუს, ამისთვის რომე დედაკაცია, თავდებად რატომ დააყენა.

208. ქ. უკეთუ დედაკაცი მოტყუედეს კაცისაგან რასაც ფერშია, ყოველი სამართალი და სჯული შეეწევა მას დედაკაცსა. და დედაკაცმა თუ კაცი მოატყუოს და საქონელი გამოართვას და შექამოს მისის ქრმისა, მამისა თუ შვილისა, ისევე დედაკაცმა მისცეს.

ქ. ქალაქთა წესისათვის

209. ქ. ერთს ქალაქში რომ იქიურის წესისა და რიგის წიგნი არ იპოებოდეს, ესრეთ ჯერ არს, რათა, რომელიც ბევრს ხანს სამოკელეოთ სჭერია ის ქალაქი კაცსა, თუ იმან იცოდეს, კარგია, თუ არადა, რასაც სამართლისა წესი იქიური არა იპოებოდეს რა, არც² სჯულის კანონში ეწეროს, ის სამართალი ესრეთ უნდა ქნან, რომ, იმ ქალაქზედ რომელიც სხვა ქალაქი უფრო ახლო იყოს, იქიური წესი უნდა გასინჯოს და, რომელიც იმ ქალაქში სამართალი იყოს საქონელზედა, ის წესი და რიგი იქ უნდა ქნან და ასე განიკითხონ.

ხოლო უკეთუ ვერცა რა იქ იპოონ სასამართლო წესი და რიგი, იმ ალაგის უფროს კაცებს მოუწოდონ და იმათ კითხონ; რომელიც მათ არჩიონ, გასინჯოს და ის სამართალი ქნას.

¹ მევალემ AB. ² რაც A.

210. ქ. ძველი წესი, ვითარცა სჯული, ესრეთ უნდა შეინახოს,— როგორათაც სჯულის რიგი, რომელიც დაწერილია ანუ დაუწერელი, უნდა შეინახოს, ისრე ადგილის მის წესი და რიგი უნდა დაისწავლოს მოსამართლემ.

[92r] 211. ქ. რაოდენიცა სჯულის კანონსა შინა სწერია სასარგებლო კაცისათვის, ის დაიმარხე და დაისწავლე, და არა ის, რომელიცა იქმს ვინმე განხრწნასა კათოლიკე სჯულისასა.

ქ. სჯული მეფეთა საჩივართათვის

212. ქ. რომელსაც სიმართლე ქონდეს და მივიდეს სასამართლოდ მოსამართლესთან, რომელიცა მართალი სამართალი იყოს, მოსამართლემ ის სამართალი უყოს.

213. ქ. უკეთუ კაცმან ვისმე¹ ცილი დასდეს, მართებული ესე არს, რათა წიგნი დასწეროს და წიგნით შეატყობინოს მოსამართლესა, თუ ეს კაცი ამისი დამნაშავე არს, რომელსა წელიწადსა და აშავე ან რას ეამსა², ანუ რას ალაგსა, ანუ რას დღესა, კაცის კლეა იქმნა, თუ მრუშება რომელისამე პირისა იქმნა; ამაგებისათვის მოსამართლე არა კითხავს. მაგრამე მართებულია, დღეცა და ჟამიც მოაქსენოს და გაასინჯოს. და მოსამართლემ კარგა გასინჯოს და მართალი სამართალი უყოს.

214. ქ. უკეთუ კაცსა ცილი შესწამოს ცოდვის ქმნისათვის, ხოლო ცილშეწამებულმან კაცმა იმისი თქუას, თუ იმან უფროსი ცოდვა ქნაო, მოსამართლემ კარგად გასინჯოს და, რომლისაც ცოდვა უურო დიდი იყოს, პირველად ის განიკითხოს და მერმე მეორე.

ქ. მზითევისათვის

215. ქ. რომელმანცა კაცმან ქორწილი ქნას და ცოლი შინ მიიყუანოს, მერმე მამა და დედა ქალს რომ მოსაკითხავს გაუფხავნიან, იმის გარეთ ზითევი ქვიან. იმის დასახარჯავად იმის ქმარს გელი არა აქუს. უკეთუ დახარჯოს, ერთი დრო მოვა, რომე მისთა [92v] მშობელთა ის საქონელი ითხოონ იმ ქალის ქრმისაგან და მისთა ნათესავთაგან: თუ შვილი არ დარჩა, როგორც ზითევს ითხოვენ, ისრე ამას გამოართმევენ.

216. ქ. რომელსაც დედაკაცსა გარეთ ზითევი მოყუა თავისის ნათესავისაგან, მისი კელმწიფება აქუს ქალსა მას, რათა ამით ვაჟ-

¹ ვინმე A. ² ჟამისა AB.

რობა ქნას და სარგებელი შეიძინოს. და სხვა ზითევი, რომელიც წიგნით მისცემია, სანამღი მისი ქმარი ცოცხალია, იმისაგან ვერას დახარჯავს ქალი იგი.

ქ. ეკლესიათა ადგილისათვის

217. ქ. უკეთუ ვინმე ეკლესიათა ალაგსა დარგოს ვენაჯი ანუ ხე, ნახევარი მისი ნაყოფი იმ ეკლესიისა არის და ნახევარი ნაყოფი—დამნერგველისა.

218. ქ. სხვაგან ეკლესიათა ქალაქსა და ადგილთა სოფელში ეკლესიის მამულში რაც ვინმე დარგოს ანუ დასთესოს ვინმე, მისი მეექუსედი ეკლესიისათვის უნდა წაიღონ.

219. ქ. ეკლესიისა ალაგშია ვინცა ვინ დანერგვენ ვენაჯსა, ხესა, ანუ ყანასა დასთესვენ, რაც რომ ქირას დაჰპირდა იმ მამულისათვის მონასტერსა, თუ არ მისცეს, ორ წელიწადს ის მამულეები იმავე ამშენებელს ქონდეს. მასუკან ის კაცი გააგდონ და ის მამულეები მონასტრისათვის დადვან.

უკეთუ მონასტრის მამული და ალაგი არ იყოს და სხვისა იყოს, სამს წელიწადს ამშენებელს ქონდეს და მერმე გამოართვან და ალაგის პატრონს მისცენ.

220. ქ. მწვალეებელთა მონასტრის მამულსა, უძრავია თუ მოძრავი, ქირით ნუ მისცემენ; რაგინდ რომ ბევრი მისცენ, ნუ დაანებებენ.

[93r] ქ. დაწვისათვის¹ სახლისა, ყანისა, ძნისა და² ეზოსი

221. ქ. კაცმან ვინმე რომ თავისი ნამჯა დაწვას და იქილამ ცეცხლი წავიდეს და სხვის ვენაჯსა ანუ ყანასა შეედვას და დასწვას, მოსამართლისა ჯერ არს, რათა კარგად გასინჯოს. თუ მარტო თავის ნამჯას წაუდვა და სხვის ყანის დასაწვავად არა ქნა ან მეზობლის მტერობა არა ქონდა გულშია და მისთვის წაუქიდა, ეგება იმასაც მოეკიდოსო; იმის მიწას რომ გასცილდა ცეცხლი, თუ ნახა, იქილამ სხვის ყანას მოედვა, და არ მიეშველა, და არცა რა ინალულა,—იმ კაცს ჯურუმში წაერთვას, ამისთვის რომე, ის რომ³ ხედავდა, რატომ⁴ არ მიეშველა და არა ინალულა რა⁵?

¹ დაწვისა A. ² და]—A. ³ ისომ AB. ⁴ რასტვის A. ⁵ და არა ინალულა რა]—A.

უკეთუ რომელმაც ცეცხლი შეუღდა თავის ნამჯასა¹ და მისის უნაღუღელობით არ დამწვარიყოს მეზობლის ყანა, არამედ ქარი გამოუბრუნდა, სხვის გზით მოიტაცა ცეცხლი და შეეკიდა მეზობლის ყანასა და დაიწვა, მისთვის არა გარდატდება რა.

222. ქ. უკეთუ ერთს სახლს ცეცხლი არავინ შეუღდა და ისე მოეკიდოს და სახლი დაიწვას უმტეროდ, ვისიც ცეცხლი იყო, უნდა შეიტყონ, თუ თავისის ნებით მან არ შეუკიდა, ის კაცი არას დამნაშავეა და ნურცა რას აწყენენ.

223. ქ. უკეთუ ვინმე დასწვას სხვის სახლი ანუ ძნა, პირველად ეცეს ძლიერად და გერმე ცეცხლში დაიწვას ის კაცი.

224. ქ. უკეთუ ვინმე კაცი შეუწყნოს და სხვის სახლი დააწვევინოს, დამწველსა მას თავი მოეჭრას.

225. ქ. უკეთუ ქალაქს ცეცხლი შეედვას და მე ჩემის სახლის მორჩენისათვის, შუაზედ [მზვ] რაც მეზობლის სახლია, ის დავაქციო და ჩემი სახლი მოვარჩინო დაწვასა, დაქცეულის სახლის პატრონს არა მიეცემა რა.

ქ. ვინცავინ ეკლესიის ალაგზედ ვენაჯი, ააშენოს ძალად
ან ქირით

226. ქ. მეოცე ბძანება იუსტინიანესი² ბძანებს ეკლესიისა განმგეთათვის და ეკლესიის მოწესეთათვის: მონასტრის მამულსა ანუ მიწასა ნურავინ დაიჭერს.

უკეთუ ეკლესიის ალაგზედ ააშენოს ვინმე რამე უპატრონოდ, ვენაჯი, ხილი³ ანუ ყანა, ქირნახული ყუელა დაეკარგება—ისევ მონასტრისათვის უნდა დაიდვას ნამული აშენებული.

უკეთუ ააშენონ და მონასტერს ქირა არ მისცენ, მონასტრის პატრონი უნდა მივიდეს თავის ალაგშია, რაც ხე იღვას, ყუელა ძირიანად დააჭრევინოს და მონასტრის ალაგი ისევ მონასტრისათვის დაადებინოს.

ხოლო მონასტრის ალაგი ქირით აიღოს ვინმე, რომელიც მართებულია, წელიწადში იმ ქირას დაჰპირდეს, ესრეთ შერიგდენ, მასუკან იმ ალაგში რაც უნდა დარგონ. თუ დარგოს რამე იმ ალაგშია, კარგია, თუ არადა იმ ალაგის გასასყიდლად ჰელი არა აქუს, ამისათვის რომ მონასტრის მამულია, ქირით მისცემია, გასასყიდლათ კი არა. მისი არც გაცემა იქნება და არც გასყიდვა. როდისაც იმ ალაგში ხეები დაჰმეს ანუ სახლი იღვას და დაიქცეს,

¹ ნაბჯასა AB. ² იუსტინიანესი A. ³ სილი A.

ის ალაგი ისევ მონასტრისათვის უნდა დაიდვას, იმ კაცს ჰელი აღარ ექნება.

ხოლო ქირას რომ დაჰპირდა იმ ალაგისათვის და, რაც მაში ხილი დარგო, მის ნაყოფს თვითან ხარჯედედეს, მონასტერს აღარას აძლევდეს, რაც ხეები იმ ალაგში იდგეს, იმ დამწერგველს ნურას კითხ[ი]ქვენ, სულ ძირით დააპრევინოს იმ ალაგის პატრონმა და ის ალაგი ისევ მონასტრისათვის დადვას.

ამას არა მარტო დეკანოზისა და განმგებლისათვის ვბრძანებთ, არამედ მამათა, შვილთა და ნათესავთაცა ვეტყუით, რომე მონასტრის მამულს პატრონის უკითხავად ნურავინ გასცემს და ნურცა თავისთვინ¹ დაიჭრენ მონასტრის ყმანი, ნურცა გაჰყიდიან, ნურცა კრთამით გაათარხნებენ მონასტრის მამულსა.

უკეთუ ვინმე მონასტრის მამული ესრეთ შექმნას, მეფეთაგან იტანჯოს იგი ძლიერად.

227. კ. უკეთუ შერიგდეს ვინმე მონასტრის მამულზედა, მონასტრის ბერებსა და იმ მონასტრის განმგებელსა, რომე მონასტრის მამულში სახლი ააშენოს, ანუ ვენაჟი და ხილი დარგოს, ანუ ყანა დასთესოს, პირველად ქირაზე უნდა შერიგდენ და წიგნი გამოართვან, თუ წელიწადში ამდენი ქირა მოგცეო. რადგან² ასრე შერიგდენ, მასუკან იმ ალაგზე რაც უნდა, ააშენონ.

228. კ. როდისაც რომ მონასტრის მამულზედ ქირით შერიგდენ პატრონსა, და იმ ალაგში სახლი ააშენოს, ანუ ვენაჟი და ხილი დარგოს, ანუ სხვა რამ ქნას, და რასაც რომ ქირას დაპირდა, მასუკან ის აღარ მისცეს, სამს წელიწადს უკან ის ალაგი აშენებული გამოერთვას და ისევ მონასტრისათვის დადვან. რაც რომ ქირას დაპირდა, თუ ის ყოველს წელიწადს არ დააკლოს, იმ მანულის გამოსართმევად ჰელი აღარა აქუს არც მეფესა და არც ეკლესიის გამგეთა. მაგრამ იმ ალაგს ვერც გასცენს და ვერც გაჰყიდის.

კ. ბერთა და მღვდელთა ტანისამოსისათვის

229. [91r] კ. მეოცდაშვიდე კანონი მეექუსისა კრებისა ბქანებს: რამეთუ ეკლესიისა მოწესენი ნურავინ ჩაიცვამს უფერსა ტანისამოსსა, ასეთსა რომე მათი წესი არ იყოს. თუ ვინმე სა-მღვდლონი კაცნი ქალაქში იყუნენ ანუ გზაზედ იარებოდენ, ან სო-

¹; ვისთვის A. ² რადღან AB.

ფელში იყუნენ, ამისთანა საცმელი ჩაიცვან, რომელიცა ძველთაგან განწესებული არის.

უკეთუ ამას გარდავიდეს ვინმე, ებისკოპოზთა შეაჩვენონ და მეფეთა სტანჯონ მლდელი იგი.

230. ქ. მეთექუსმეტე კანონი მეშვიდის კრებისა ბძანებს: რამეთუ სამღვდლოთა კაცთა არ ჩაეცმის ოქრომკვდიანი ტანისამოსი, არცა წითელ-ყუითელი, არცა ქრელი, რამეთუ ყოველი მორთვა სამღვდლოთა კაცთა უცხოყოფს მღვდლობისაგან. ენისკ¹ ბოზნი ანუ მღვდლნი, რომელნიც მოირთვიან ამისთანა ტანისამოსითა, სრულიად მღვდლობისაგან დაეცადოს.

და რომელნიცა სამღვდლონი კაცნი იცხებდენ სულნელსა რასმე სხვათა სულის მისადენლად, ანუ რომელიცა დასცინოდენ გლახაკთა კაცთათვის ტანისამოსის ცმისათვის, იგინიცა შეიჩვენენ, ამისთვის რომე ძველს ჟამშია ძველი რამე ტანისამოსი ეცვათ სამღვდლოთა კაცთა, რომელიც მათ შეეფურებოდათ.

ვინცაგინ სამღვდლომან კაცმან ესევეთარი ტანისამოსი ჩაიცვას, თუ არ დაჭირებისათვის, არამედ მორთვისათვის ჩაიცვას, იმას დიდი ზრახვა ექმნების, ვითარცა ბძანებს დიდი ბასილი, ამისთვის რამეთუ არა აბრეშუმიანთა, არცა ქრელითა სხვა ფერთა უწინ ანაფორად არავინ ჩაიცვებდენ, ამისათვის რომე ღთის ჳმისა დიდის ბასილისა ენისაგან ისმინეს: რაოდენნი ჩაი[მარ]ცმენ ესე ვითარსა ტანისამოსსა, ამისთანა კაცი ჳელმწიფის კარზე უნდა იდგეს და¹ არა მონასტერში.

ქ. სჯული მეფეთა ეკლესიათა აღშენებისათვის და კურთხევისათვის

231. ქ. რომელსაცა ენებოს აღშენება ეკლესიისა, დიდი ანუ მცირე, ნებითა და შეკითხვითა² მის ალაგის ებისკოპოზისათა აღაშენონ. მაგრამე გასინჯონ ეფისკოპოზმან, თუ შეუძლია აშენება ეკლესიისა კარგა. ებისკოპოზმა აღმშენებელსა მას ეს პირობა უნდა დაადებინოს და აჲე საქმე უნდა გაურვიოს იმ საყდარსა: პირველად, რომე, სანამდი ის ეკლესია იყოს, მას ზეთი არ დააკლდეს; საყდრის შესავალიც გაურვიოს, რომე, რომელიც მღვდელი იქ სწირევდეს და ილოცევდეს, იმისის შესავლით იზრდებოდეს იგი და ცოლი და შვილი მისი.

¹ და]—A. ² შეწენითა A.

ებისკოპოზმან უბრძანოს ერთა ქრისტიანეთა, რომ იმ საყდარში მიხვიდოდით სალოცავად და საწირავად. რა ესრეთ ყუელა გაურიგოს, მაშინ უნდა ჯვარი შიაქმნევინოს ხისა, გაგზავნოს და, სადაც ეკლესიისა აღმენება უნდა, იქ, იმ ალაგზედ დაადგმევინოს ია ჯვარი. და მაშინ მოყუნენ საიწორკუელსა და შენებასა ეკლესიისა.

რაყამს დაძველდეს, კიდევ ზანვე უნდა განაახლოს. ესრეთ უნდა განუწყესოს იმ ალაგის ებისკოპოზმან იმ ეკლესიის აღმაშენებელისაგან. იმ ალაგის ბატონმაც უნდა, რომელიც იმ ეკლესიის წესი და რიგი იყოს, ის სამკაული გაუკეთებინოს, კაციც გაუჩენინოს¹, რომე ეკლესიის სამკაული არა დაეკარგოს რა. როდისაც ესეები ასრე გაურიგონ, შერმე მოყუნენ და აღაშენონ ეკლესია.

[95v] ქ. სჯული მეფეთა, დამნაშავენი კაცნი ეკლესიათა
რომ შეიხვეწებიან

232. ქ. ესრეთ ვბძანებთ: ვინცა ვინ დამნაშავენი კაცნი საყდარსა შეხვეწენენ, არას კაცს იძასთან ჴელი აღარა აქუს. უკეთუ ვინმე მივიდეს და საყდრის შეხვეწილი კაცი გამოაგდოს ანუ ეკლესიიდან კარზე გაძოიყუანოს ცალად, თუ ასე ქნას ვინმე, ის კაცი ვითარცა ეკლესიისა მკრეხველ, ესრეთ განიპატიჯოს.

233. ქ. ვინცა ვინ ეკლესიასა შინა ღთისა შეხვეწილი კაცი გამოიყუანოს ძალად, ის კაცი დაიჭირონ, სცენ, გაკრიჭონ და ექსორია უყონ.

234. ქ. რასაც მონასტრის მამულში, ქალაქს გარეთ, შეხვეწოს ვინმე დაჭირებული კაცი, ვერა ვინ რას აწყენს. უკეთუ შეხვეწილი იგი კაცი იარებოდეს მონასტრის სახლებშია, აბანოშია, ბაღშია, მეედანშია, რასაც ალაგს მონასტრისაში, ვერავის ძალ-უც იმისი დაჭერა, ვერცა ვინ ცალად გამოიყუანს.

და ვინცა ვინ შეხვეწოს ეკლესიაში, თან ნურაჯერს იარაღს ნუ შეიტანს, ნურცა დანასა, არამედ იმ ეკლესიის ებისკოპოზს მი-აბაროს იარაღი. ეკლესიაში ნურცა არასა სჭამს, ნურცა არას სვამს და ნურც დაიძინებს.

არა ყოველსა ეკლესიასა შინა შეხვეწილი კაცი მორჩების, არამედ, რომელიცა იმ ალაგის პირველი ეკლესია არის, ანუ სა-ნიტრაპოლიტო და საეპისკოპოზო, ანუ ჴელმწიფის კარის საყდარია. ამათ შინა შეხვეწა მოარჩენს კაცთა².

¹ გაუმენინოს A. ² კაცთა—A.

235. ქ. ვისაც რომ კაცი წაუიღეს და ეკლესიასა შინა შესახვეწრად მივიდეს, იარაღით შეკაზმული, ეკლესიათა მოწესეთა საყდრიდამ გარეთ გამოაგდონ. უკეთუ ძალად დგომა მოინდომოს, ავად მოეპყრან და გამოაგდონ.

ხოლო უკეთუ იმ მონასტერშია დადგეს ის [96r] კაცი და იქილამ თავის ბატონს წყენა დაუწყო და არც თავისი თავი მისცეს უმადა, და მისი ბატონი რომ მივიდეს, სადაც თავისი კაცი არის, იქ მოკლას ის კაცი, ვერაფერ რას შეუა.

236. ქ. ნურცა კაცსა მას, რომელიცა ეკლესიასა შინა შეიხვეწა, ძალად გამოიყუანს ვინმე, არამედ კაცმან მან თავისი დანაშაული ყოველი ეკლესიას¹ მის მღდელსა აღუაროს, და მღდელმან მან ის კაცი სასამართლოში მიიყუანოს; ასე მიიყუანოს, რომე არავინრა აწყინოს. და მოსამართლემ სჯულიერად როგორც ბძანოს, ესრეთ ქნან.

უკეთუ ვინმე შეხვეწილის კაცისა ძალად გამოყუანა მოინდომონ ეკლესიიდანმე მღდლის მის უნებურად, ის კაცი დაიჭირონ მოსამართლეთა და ასე სცენ, რომე მის ცემაშია თორნეტი კაცი გამოიცვალოს და მაშინ გასინჯოს, თუ რომლის საქმისათვის შეიხვეწა ეკლესიასა შინა² კაცი იგი.

237. ქ. ღთის მოყუარეთა ებისკოპოზთა, მღდელთა და გამგებელთ ამას უბძანებ, რომე, რომელნიცა ეკლესიასა შეიხვეწენ, მათთვის ინალღონ რამე და, რისაც მიზეზით იქ შეიხვეწა, ის სახელდობივ ათქმევიონ, და თავისი სახელიცა, რომე მოსამართლეს მოაქსენონ მისი სახელი და საქმე, თუ ამ მიზეზისათვის შემოიხვეწაო. და მოსამართლემ სჯულის კანონის ბძანებითა და სიმართლითა, მსგავსად საქმისა მისისა, ეგრეთ სამართალი უყოს. და რომელიც შემხვეწელი კაცი თავის საქმეს ეკლესიას, მის მღდელს არ გაანდობს, ის შემხვეწელი არ იქნების.

[ქ.] უკეთუ ეპისკოპოზი ვინმე მიიცვალოს, მის საქონლის წაღებისათვის

238. ქ. ოცდამეათხუთმეტე კანონი მეექუსისა კრებისა ბძანებს: ეპისკოპოზი რომ [96v] მიიცვალოს, მის საქონელზედა არავის აქუს უფლება, რომ წაიღოს ვინმე თავისთვის, არცა პატრიარქსა, არცა მეფესა, არცა ეკლესიის მის კრებულთა, არცა მის ნათესავთა, არამედ კარგს მორწმუნეს კაცს მიაბარონ, რომე

¹ ეკლესიასა ΔΒ. ² შინა]—A.

კარგად შეინახონ. და რაემს ებისკოპოზი დაჯდეს საყდარსა მისაა ზედა, ყველა უკლებ მას მიაბარონ საყდრისათვის.

[238¹]. ქ. ოცდა მეორე კანონი ნეოთხის კრებისა ბძანებს: ვერცა ერთსა ეკლესიისა მის მოწესეთა ძალ-უცთ, რა-თა, რაემს მათი ებისკოპოზი მიიცვალოს, რომე მათი საქონელი წაიღონ რამე თავისთვის. ვერცა იმათ ძალ-უცთ, ვისაც რომ მიაბარონ, რომე თავისთვის დახარჯოს რამე მისგან—სანამდის სხვას აკურობევედენ, ასე კარგად უნდა შეინახონ. არა დააკლონ რა.

უკეთუ ვინმე იმ ებისკოპოზის საქონელი წაიღოს, ვინმე ეკლესიის მის მოწესენი და კრებულნი იყუნენ, დაეყენენ. ხოლო უკეთუ ერის კაცნი იყუნენ, ანუ მისი ნათესავი, შეიჩვენენ.

239. ქ. კანონსა ამას მართმადიდებელი ჯელმწიფე მანოელ დაამტკიცებს და დასწერს სამეფოსა სჯულის კანონსა შინა ესრეთ: რამეთუ, ოდეს მიიცვალოს ებისკოპოზი ვინმე, მისას ნურაკაცი ნურას წაიღებენ, ნურც ჯელმწიფე, ნურც ერისკაცი, ნურც მისი ნათესავნი, ნურც მღღელნი და ნურც ეკლესიისა მის მოწესენი.

ქ. სჯული სამეფო ფიცისათვის

240. ქ. ებისკოპოზნი, ეკლესიისა მოწესენი, დიდნი და მცირენი, ვიდრე წიგნისა [971] მკითხველამდინ, ნურავინ დაიფიცავს მოწმობითა. თუ ჯელჩართული თამასუქი არის, მისთვის ფიცი ჯერ არს.

241. ქ. სამეოცდამეათორმეტე ბძანება ლეონ¹ ბრძნისა იტყუის ესრეთ: ყოველი თამასუქი და წერილი და შერიგება სყიდვასყიდვისა ანუ გაცულა რისამე, თუ წიგნი არის, ჯელჩართული აქუს და ჯვარი ზის წიგნსა მას ზედა გამსყიდველისა და შემრიგებელისაგან, ჯერ არს მისი რწმუნება.

242. ქ. ვინცავინ დაიფიცოს ყოვლის მპყრობლის ღთისა მიმართ, იმას ძვირი არა შეემთხვევის რა მეფეთაგან. უკეთუ ტყუილად დაიფიცა, მის პასუხს ღთი მისცემს. და რომელმანცა დაიფიცოს მეფის თავი² გულითა მჭურვალითა, იგი არ იტანჯოს.

უკეთუ ვინმე დაქერილი იყოს და ჯაჭვით შეკრული, და იმან ჯელმწიფის თავი ტყუილად დაიფიცოს, მას ზიანი დაემართების³ რაზედაც საქონელზე რომ დაიფიცა, ის საქონელი რომ ღირდა, დაეკარგება, სიმართლეს რომ ქონდეს, რადგან⁴ მეფის თავი ტყუილად დაიფიცა; ისიც დაეკარგება და ის კაცი ბაზარშიაც შეარცხებინონ.

¹ ლეონ AB. ² მეფის თავი] მეფისათვის A. ³ რადღან A.

243. ქ. რომლისაცა საქმისათვის რომ ჩიოდნენ ორი კაცი¹ და ის საქონელი არ ჩნდეს, მოსამართლემ მისთვის ფიცი დადვას, და რა² დაიფიცოს, მერმე სამართალი ქნას.

244. ქ. როდისაც რომ ბრძანოს მოსამართლემა ქურდისა მის ფიცი, მივიდეს იგი და აილოს წმიდა სახარება და დაიფიცოს. მერმე გამოჩნდეს, რომე ტყუილად დაიფიცა, ენა მოსჭრან. და ცრუ მოწამესაც უნდა ენა მოსჭრან.

[97v] 245. ქ. ერთმა კაცმა უთხრას მეორესა, ჩემი ვალი გმართებსო, ან შემომფიცეო³ და ან მამეცო, მერმე იმან უთხრას⁴, შენ ასრე შემამფიცე, ცილისწამებით არა მთხოვდე, და მე ასრე შემოგფიცავ, შენი არა მემართოს რა. ორთავ თუ ასე დაიფიცონ, ერთმანეთან ჳელი აღარ აქუთ. რაც საუბარი სასამართლო რომ იყოს, ეს სამართალი უთხარ, თუ ტყუიან, ვერ დაიფიცვენ და ამით გამოჩნდება.

246. ქ. უკეთუ კაცსა ვისმე კაცზედ სასამართლო ჰქონდეს და მოწამე არა ყუნდეს, უარობდეს, არა მმართვეს რაო, იმ კაცმა უთხრას⁴, შემომფიცეო, ის კაცი მიყუეს საფიცრად საყდარშია და დამფიცებელმა ესრეთ უთხრას, მოიცადე, მე გამოგიჩენო, და დასაფიცად აღარ მიუშვას, მასუკან თუ [არა] გამოაჩინოს, მისი სამართალი დაეკარგება და ველარც დააფიცებს: მოსამართლემ გამოაგდოს, რომე გამტყუნდა და ველარცარა გამოაჩინა.

247. ქ. უკეთუ კაცმან ანუ დედაკაცმან, ანუ ყმაწვილმან დაიფიცოს რაზედმე სიმართლით, დაიჯერება.

248. ქ. უკეთუ კაცმან იჩივლოს, ამ კაცს ჩემი ვალი მართებსო, და იმ კაცმა უარყოს, უკეთუ შემწამებელმან მოწამე იშოვნოს, რომე იმ კაცს ვალი ემართოს, ორი ზომა ვალი უნდა მისცეს.

ხოლო უკეთუ მოვალემ⁵ უთხრას, შენ შემამფიცე, რომე შენი ვალი მემართოს, და, რასაც დაიფიცავ, მოგცემო, და პატრონი დაიფიცოს, თუ დაიფიცა, თავის ვალი ერთიორად უნდა მისცეს, ამისთვის რომე, თავის საქონელზე რატომ დააფიცა?

249. ქ. კაცსა რომ სხვისა ემართოს რამე და იმან დაიფიცოს, რომ აღარა მმართვეს რაო, და გამოერთვეინოს და მასუკან კიდევ დაიფიცოს, მოსამართლემ ეს სამართალი უყოს, რომე, რაც [98r] მიეცეს თავისი ვალი, ის ისევ გამოართოს და დაფიცებულს კაცს მისცეს, რომ გამოართმეულზე დააფიცა.

¹ არ B. ² შემამფიცე A. ³ უთხრა A. ⁴ უთხრას] + თუ A. ⁵ მევალემ A.

ქ. მემკვიდრეს კაცს რომ ყმაწვილი შვილი დარჩეს, რომ მამულის მოვლა არ შეეძლოს, ვეჭილი უნდა დაუყენოს

249*. ქ. ობოლსა მას ყმაწვილსა ბატონმა მისმა ასეთი კაცი უნდა მოუყენოს ვეჭილად, რომე მდიდარი კაცი და შვილიანი იყოს. როგორც თავის შვილს, ისე უნდა მოუაროს, რამეთუ იმ ობლის მამის ალაგს იქნება განმგებელი¹ იგი.

250. ქ. ყრუ და მუნჯი განმგებელად არ დაიყენება.

251. ქ. უკეთუ ვეჭილმან მან ყრმისამან საქონელი მოიპაროს, ერთიორად მისცეს ყრმასა მას.

252. ქ. მკედარი, რომელიც დავთარში დაწერილია, ლაშქრად რომ წავიდეს და მოვიდეს, ის ვეჭილი აღარ უნდა იქნას, აღარც ყმაწვილის გამდლად დაიყენება.

253. ქ. ყოველი ვეჭილი, როდისაც რომე ოცდახუთის წლისა იყოს, მაშინ დააყენონ, და არა უმცროსი.

254. ქ. უკეთუ კაცმან საქონელი იპოოს, ანუ მისმა შვილმა, ანუ მისმა ყმაზა, ვნულში ან ბოსტანში, ან ვენაჭში, ან სხვის სახლში, ნახევარი ალაგის პატრონისა არის და ნახევარი მპოვნელისა. უკეთუ თავის ალაგში იპოოს ვინმე, მისია, ჳელი არაყვისა აქუს.

255. ქ. უკეთუ საქონელი იპოოს ვინმე საბატონოს ალაგშია ან საქვეყნოს ალაგშია, ანუ სასაფლაოს ვისაშიმე, ნახევარი მეფისა არის, ნახევარი მპოვნელისა. თუ საქვეყნოს ალაგში იპოვნოს, მესამედი იმ ალაგის ბატონისა არის და სხვა მპოვნელისა. თუ ვინმე იპოვნოს და დამალოს, სულ მევისათვინ წაართვან.

[9b v] 256. ქ. უკეთუ ვინმე სახლი გაყიდოს და იმ სახლში თავის პატრონს ოქრო შეენახოს და დავიწყებოდეს, როდისაც რომ იმ სახლის მსყიდველმა ის ოქრო იპოოს, იმავ უწინდელს პატრონს მისცეს ის ოქრო.

ქ. ეკლესიის მკრეხველთათვის

257. ქ. ეკლესიის მკრეხველნი, რომელნიცა წავლენ ღამითა, წმიდასა ტრაპეზსა შევლენ და მის სამკაულს მოიპარვენ, დაბრმავდეს². უკეთუ სიღარიბითა თვისითა დღისით მოიპარა ვინმე, ის გამოერთვას, ასი ჯოხი კრან და გააგდონ.

¹ განგებული A. ² დაბრმდეს AB.

* ხელნაწერში 249 (ხმთ) მუხლი შეცდომით ორჯერაა აღნიშნული.

258. ქ. უკეთუ ვინმე ერთი რამ მოიპაროს, რომე საყდრის შესაწირავედ უნდოდეს, და ჯერ არ შეეწიროს, ის ვითარცა ეკლესიის მკრებველნი, ესრეთ არ განიკითხვიან, არამედ ვითარცა ქურდნი, ეგრეთ განიკითხონ, ამისთვის რამეთუ ერთს კაცს რომე ამანათად მიბარებული ქონდეს რამე და იმან საყდარში შეინახოს, იმისი ქურდი ეკლესიის მკრებველი არ არის, არამედ ქურდია.

259. ქ. უკეთუ ვინმე ეკლესიის შეწირული საქონელი მოიპაროს, რადგან¹ მისი შეწირულია, საყდრის გარეთაც რომ მოიპაროს, ქურდსა მას საყდრის მკრებველი ეწოდების, ამისთვის რომე არის რომელიმე საქონელი, რომე საყდრის შეწირული არის, ვითარცა ხატები სახლში, ვისაც უსვენია იმგვარი, მისთვის სჯული ესრეთ ბძანებს: რადგან¹ საყდრის შეწირული საქონელი არ არის, მისი ქურდი ეკლესიის მკრებველი² არ არის, არამედ ქურდია; იმას ეცეს, გაიკრიჭოს და ექსორია ექნას.

[99r] 260. ქ. ვენაჯისა, ბალისა და ყანის ღობე ვისაც გაკეთება უნდოდეს, მეზობლის ღობეზედ ექუსის ფეგის სიგრძე შორს შემოავლოს.

261. ქ. უკეთუ³ თავის შუა ეზოში ხე ედგას ვისმე და იმისმა ფესუმა მეზობლის სახლის საძირკველს⁴ აენოს რამე, ბრძანებითათავერისათა ძირითურთ აღმოიფხურას.

ქ. სახლის აშენებისათვის ლეონ⁵ ბრძენი ბრძანებს:

262. ქ. უკეთუ ვინმე სხვის კაცის ალაგზედ სახლი ააშენოს მალალი და იმ კაცის სახლი დაბალი იყოს, სახლი იგი დაბალი მალლის სახლის უფალი იქნება, ამისთვის რომე სჯულის კანონი ბძანებს, რათა იყოს მონად მალალი სახლი დაბლისა მის, ამისთვის რომე მეზობლის მავნებელ იქმნება.

ხოლო უკეთუ სხვის საყანეს მიწაში სახლი ააშენოს ვინმე უპატრონოდ, სანამდის იმ სახლს ისევ დააქცევდეს ამშენებელი იგი, ის სახლი მიწის პატრონისა არის. და როდისაც რომ⁶ დააქცევს, თავის ხე-ტყეს წაიღებს, სხვა არა ერგება რა, ამისთვის რომ პატრონის უნებლიე ააშენა.

263. ქ. ვინცავეინ თავის ალაგში თავის სახლს აღამალღებს, ვერავეინ დაუშლის, მაგრამე ასრე ნუ აამალღებს, რომე მეზობელს დაუშალოს, ანუ ასრე აღამალღოს, დაიქცეს და მეზობლის სახლს

¹ რადგან A. ² მკრებველი ქურდი A. ³ უკეთუ + ვინმე AB.

⁴ საძირკულს A. ⁵ ლეონ AB. ⁶ რომ] + და როდისაც A.

დაეცეს და წაუტდინოს რამე. თუ ესრეთ იქმნას, იმ კაცს მოსამართლესთან საქმეზედ საჩივარი ექნება და გაუგონოს.

264. კ. უკეთუ სახლი ვისიმე დაიქცეს და იმავე ალაგზედ სხვა მაღალი სახლი ააშენოს, ასეთი რომე მეზობელს სინათლე დაუჭიროს ან სხვარიგათ რამე საწყენი იყოს [99v] მეზობლისა, იმ კაცმან მოსამართლესთან უნდა იჩივლოს, და მოსამართლემ, როგორც პირველ ყოფილიყოს, ისრეე გაუკეთებინოს.

265. კ. ვინცაეინ საქვეყნოს ადგილზედ სახლი ააშენოს, რომე ის სახლი ქალაქს აწყენდეს, ან მეზობელსა, ისეე უნდა მოშალოს; წელიწადსაც რომ გაეელოს,—მაშინცა, რომე მეფესაც დასტური მიეცეს, მაშინც უნდა მოშალოს.

266. კ. უკეთუ ვისიმე იყოს სახლი თახჩითა, ფანჯარითა სასინათლოთ შემკული, და სხვამ კაცმან მისთან ასეთი სახლი ააშენოს, რომე პირველსა მას სახლსა აენებდეს, თახჩასი და სასინათლოს დაუჭერდეს, სჯულიერი სამართალი ეს არის, რომე, რომელსაც პირველს სახლს ახლის სახლის აშენებით სასინათლო დაეჭიროს, ნუ აშენდების. ნურცა ვინ საწყლეს მილს ასე დაუდებს ვინმე, რომ მისი ბინის¹ წყალი მეზობელს ბანზედ² მისდიოდეს. და ნურცა უმადლესად აღამალეებენ.

267. კ. რომელმაც მეზობლის სახლზედ სამზარეულო და მარანი ააშენოს, უჯერო არის, რამეთუ იმ მეზობლის ძვირის შესამთხვევი საქმე არის, ამისთვის. რომე ყოვლისა ნათესავისა კაცნი იქ შეკრებებიან,—ყოველთვის მართებულია, რომ მეზობლის სახლზედ შორს ააშენონ.

კ. ნადირს რომ დასჭრიან, ვისია

268. კ. ყოველი გარეული ნადირი—მელი, ირემი, კურდღელი, შველი და სხვა ნადირი—ვინცაეინ უწინ დაკოდოს, მისი არის.

კ. ზღვის კუნძულისა და მდინარისათვის

269. კ. კუნძული, რომელიცა იქმნების ზღვაში, შუაზედ ალაგი დარჩების, ვინცაეინ [100r] იმ შუაზედ ალაგს პირველად დაიჭერს, ის ალაგი მისი იქნება და სხვას ჯელი არავისა აქუს.

ხოლო მდინარეს შუაზედ თუ ალაგი დარჩეს, ვისიც გაღმით და გამოღმით სოფლებია, ორთავ შუა უნდა გაიყონ ის ალაგი.

¹ ბინის]—A. ² ბანზედ]—A.

უკეთუ წყალი ერთის ალაგისაკენ მივარდეს, და სადეთაც რომ კმელი დარჩების, ის ალაგი მისი შვრისა არის, ამისთვის რომე წყალს სარწმუნოება არა აქუს, დღეს იქით გარდავარდა, ხვალ აქეთვე გარდმოვარდება.

ქ. იარაღის მკეთებელისათვის

270. ქ. ვინცავენ ჯმალს აკეთებდეს ან ფარსა, ან შუბსა, გინა ისარსა და სხვასა ესევეთართა იარაღსა, სამეფოს მუშაობაში ესენი არ გაიყუანებიან. ეგრეთვე აქიმი და მხატვარი განთავისუფლებულნი არიან.

ქ. მალისა აღებისათვის

271. ქ. თუ ვინმე ბატონმა გაათარხნოს მალზედა, სახლში ერთს კაცს აპატივებს, თუ სამკუიდროთ გაუთარხნებია, მის სახლის კაცს აპატივებდა, ქალის ნათესავს კი არა—მას ეგრეთვე გამოართონ.

ქ. სამეფოს ბეგრისათვის

272. ქ. ბეგარა კაცის თავზედ არ არის, არამედ კაცის საქონელზედა. ესრეთ შეენის იმ ალაგის განმგესა და მოსაქმესა, კარგად გასინჯოს, ცოდვა არა ქნას, კაცის საქონელი მართალი შეიტყოს და ბეგარა ისე აიღოს.

ქ. ქვის მოჭრისათვის

273. ქ. რომელმანცა სხვის ალაგში ქვა მოსჭრან, რაც მოსჭრან, ათისთავი სამეფოდ აიღონ [100ჟ] და კიდევ ათისთავი იმ ალაგის პატრონს მისცენ, და სხვა ქუის მომჭრელისა არის.

ქ. ბაჟისათვის

274. ქ. ყოვლის კაცის მართებული ეს არის, რომ იმ ალაგის ბატონს ბაჟს მისცემდნენ.

ქ. ელჩისათვის

275. ქ. უკეთუ ელჩი ვინმე მოვიდეს, უცხო ნათესავი, და იმათ თავის ქუეყნიდამ საქონელი მოყუესთ, იმათ ბაჟი უნდა გამოართვან. და იმ ალაგს თუ რამ იყიდონ და წაიღონ, იმაზე ბაჟი არ აიღება.

ქ. ბაჟის მოპარვისათვის

276. ქ. უკეთუ ბაგი ვინმე მოიპაროს, მებაჟეს თავისის საქონლის ბაგი არ მისცეს, მებაჟემ¹ ხუთს წლამდის თუ გამოართო ერთიორად, კარგია, თუ არადა, ხუთს წელიწადს უკან ველარა სთხოვს, ველარც გამოართომს².

ქ. სამკუიდრებელის³ საქონლის დამკუიდრებისათვის

277. ქ. უკეთუ ყუანდეს ვისმე კაცსა შვილი, ვაჟი ან ქალი, ისინი იქნებიან მემკუიდრენი და დამკუიდრებულნი თავისის მამისა და დედისა საქონლისანი.

უკეთუ მამა ამათი მოკუდეს და დარჩეს მას მამა და ძმა, ესენი ვერ დაიჭერენ იმის საქონელსა⁴, არაჲდ — მისნი შვილნი. ვინ იცის, რომ ანდერძი შვილზედ არა ქნას ამათმა მამამან, მაშინც შვილები დაიმკუიდრებუნ მათ სამკუიდრებელსა.

278. ქ. უკეთუ კაცსა ვისმე ყუანდეს ორი ვაჟი, ერთი ნაქორწილვეი და შვილიანი და მეორე უცოლო, რომელსაც რომ შვილი ყავს, ის კაცი მოკუდა და მისი [101r] შვილი დარჩა, როდისაც რომ მოკუდება ყმაწვილის პაპა, რაც რომ საქონელი დარჩება, ის ყმაწვილი და ბიძა იმისი ბუა გაიყოფენ, ვაჟია თუ ქალი მისი მგელი.

ქ. ზითევისათვის

279. ქ. როდისაც გახითავს მამა თავის ქალსა, თუ მაშინვე მამა-შვილნი ასე შერიგდენ, რომ მამამ უთხრას ქალსა, რომე, რაც მართებულია შენტვის, ზითევს მოგცემ და სხვას ჩემ საქონელთან ჯელი ნუ გაქუსო, ასე რომ შერიგდენ, მაგრამ სჯული ამ შერიგებას არ ირწმუნებს, და არც ის ქალი ამ საქმეზე დადგება.

როდესაც რომ მამამისი მოკუდება უანდერძოდ, ის ქალი თავის ზითევს მიიტანს და თავის მამის საქონელთან დასდებს, და სხვათ თავის იმებთა და დებსაც მოატანინებს თავთავის ზითევსა. იმ ზითევებსა და თავის მამის საქონელსა ყუელანი, ძმები თუ დები, ყუელას სწორად გაიყოფენ.

უკეთუ მამამან მათ სიკუდილის დროს ანდერძი ქნა და ესრეთ ეწერა, რომ ქალები თავის ზითევს დასჯერდენ და სხვას ჩემს სა-

¹ მებაჟეს AB. ² ველარც გამოართომს] — A. ³ სამკუიდრებელის A. ⁴ მსაქონელსა A.

ქონელთან კელი არა აქუთო, იმას უნდა დასჯებოდნენ. და თუ ზითევი არა აქუს და არ მისცემია, საქონელი უნდა გაუყონ.

ქ. იგავი

230. ქ. ერთმა კაცმა თავის ქალს ზითევი მისცა, და მისი ქმარი ღარიბი იყო, მისი ზითევი ქმარმა დაუხარჯა. მასუკან ქალის მამა მოკუდა. ქალმა თქუა: წავალ ჩემს ძებთან და მამის ჩემის საქონლის წილს დავიღებო. ძმებმა ეს უთხრეს თავის დასა: წადი, შენი ზითევი მოიტანე და ყუელა სწორედ გაიყუთო. იმისი ზითევი მის ქმარს [101v] დაეხარჯა და სადიდალმ¹ მოიტანდა ზითევსა? მივიდა ის ქალი და თავის ქმარს შესჩილვა. ამაზედ რა სამართალი უნდა იქნას?

სჯული ესრეთ ბძანებს: რაზეთუ იმ ქალს, რომელიც ზითევი მიეცა, მისი საქუთარი იყო, როდისაც მისი ქმარი მის ზითევს ხარჯევდა², იმ ქალმა თუ არა უთხრა რა ზითევის დაუხარჯაობისა, ანუ მოსამართლესთან არ მივიდა თავის ზითევის საჩივლელად, სიმტყუენე იმ ქალს დაედება. რაც რომ საქონელი იმ ქალის მამას დარჩა, ის ასე უნდა გაიყონ: რაც რომ იმ ქალს ზითევი მისცემია მამისაგან, რამდენიც იმ ქალის ძმები და დები არიან. ყუელამ იმდენ-იმდენი მამის საქონლიდამ დაიჭირონ; და რაც იმას გარდარჩეს, ის ყუელამ სწორედ გაიყონ. მისი წილი იმ ქალსაც უნდა მისცენ. და თუ არა გარდარჩა რა თავისის მამის სამკუიდრებელისაგან, თავისი წილი იმას წაუღია, სხვა ზელი აღარა აქუს რა.

ხოლო უკეთუ ის ქალი თავისავ ზითევით მამასთან ყოფილიყოს და ჯერ არ წაეყუანოს, და ზითევიც კელთ ქონდეს, თუ იმ ქალმა შეატყობინა თავის მამასა, რომე ამ ჩემს ზითევს ჩემი ქმარი მიხარჯავს, მომეკმარე, უთხარი, რომე ზითევი არ დამიხარჯოს, და მისმა მამამ არა ინაღლოს რა ზითევის დახარჯვისა, არც არა უთხრას მის ქმარსა, და ის ზითევი მისმა ქმარმა დაუხარჯოს, რადგან³ ქალმა უთხრა მამასა ზითევისა დაუხარჯაობისა⁴ და არას მოეკმარა, მაშინ თავის მამის საქონელს მიეახლებ⁵ ის ქალი, და ვითარცა სხვანი ძმანი და დანი, ეგრეთვე ეს აიღებს თავის მამისა საქონლის წილსა, ამისათვის რამეთუ მიზეზი თავის მამას დაადვა იმ ქალმა, რომ [102r] თავისის ზითევის ხარჯვა⁶ შეატყობინა და

¹ სადიდალმა A. ² დახარჯევდა A. ³ რადღან AB. ⁴ ზითევისა დაუხარჯაობისა—A. ⁵ მიახლება A. ⁶ თავისის ზითევის ხარჯვა—A.

არას მოეგმარა, არამედ მიუშვა¹ და დაახარჯინა, — ამისთვის და-
ცდების წილი.

281. ქ. ყრუ იყოს, უნდა მუნჯი, თავის მამისა და დედის
საჩუქიდრებელისაგან ითხოვს და კიდევ დაიმკვიდრებს.

**ქ. ცოლ-ქმართ სიკუდილის ღროს საქონლის
დამკუიდრებისათვის**

282. ქ. უანდერძოდ თუ მოკუდეს ვინმე, ქმარი ან ცოლი, და
შვილი არ დარჩეს, არც მამა და დედა, არცა ძმა და სხვა ნათესა-
ვი. არც კაცისა და არც ქალისა, არამედ მარტო ცოლ-ქმარნი იყუ-
ნენ, თუ ქმარი მოკუდა, მის საქონელს ზისი ცოლი დაიმკვიდრებს,
თუ ცოლი მოკუდა, ზის საქონელს მისი ქმარი დაიმკუიდრებს. ქორ-
წილის უკან რომ ორი თვის მეტი არ დასცალდესთ ერთად, მა-
შინც ასრე უნდა ქნან.

283. ქ. ავად რომ გახდეს ვინმე და კუდებოდეს, ჯერ რომ
ქუჯა კარგად ჰქონდეს და თვითან დასწეროს ანდერძის წიგნი და
დაიფიცოს რომე, რაც ამაში არ დამიწერია, ზის მეტი საქონელი
არა მაქუსო, ორი შვილი დარჩა და ის საქონელი შვილებს გაუყო, —
ორთავე იმ საქონლის საჩივლელად მოსამართლესთან არ უნდა მი-
ვიდნენ, ამისთვის რომე ზამას მიუცემია, მოსამართლეს ჯელი აღარ
აქუს.

უკეთუ ერთი ძმა მივიდეს მოსამართლესთან და მოაჯსნოს,
სხვა საქონელიც ბევრი ქონდა მამაჩემსა და მე წილი არ დამი-
დევსო, — თუ ასე იჩივლოს, რომელიც სხვა წილი ერგო მისის მამისა
საქონლისაგან, ისიც დიკარგოს.

ქ. ბუნებით შვილის სამკუიდრებელისათვის

284. ქ. უკეთუ ვისმე სჯულიერითა ქორწინებითა ქალთან
ყუანდეს შვილი, იმას ეწოდების ბუნებით შვილი, რამეთუ სჯული-
ერითა ქორწინებისაგან ყავს იგი. და სხვაც [102v] ყუანდეს შვილი
ხასისაგან, ხასასთან რომ შვილი ყუანდეს, იმას უნდა მისცეს თა-
ვისის ყოვლის სამკუიდრებელისაგან მეათორმეტედი წილი.

ხოლო უკეთუ ხ[ა]სა ყუანდეს და მისთანა შვილი, არა ყუან-
დეს, იმ დედაკაცს უნდა მისცეს თავისის ყოვლის სამკუიდრებელი-
საგან მეათორმეტე წილი.

¹ არამედ მიუშვა]—A.

უკეთუ სჯულიერისა ცოლისაგან შვილი არა ყუანდეს, და აღარც მამა და დედა და ძმა ყუანდეს იმ კაცსა, და არცა რა სხვა ნათესავი, ამას ბძანებს სჯული: თუ მართალი შვილი არა ყუანდეს, რაც რომ ქონდეს ყოველი სამკუიდრებელი თავისი, ხასასთან რომ შვილი ყავს, იმას უნდა დაუშკვიდროს მამამან მისმან, — სხვა შვილი რომ აღარა ყავს, მაშინ ბუნებით შვილი იმას დაერქმევა.

უკეთუ მამა მოუყუდეს და მას მამა და დედა დარჩეს, მისის ყოვლის სამკუიდრებელისაგან ნახევარი მის მამასა და დედას მიეცემა და ნახევარი, ხასასთან რომ შვილი ყავს, იმასა.

ხოლო უკეთუ კაცსა მას მართალი შვილი დარჩეს და თვითან მოკუდეს უანდერიოდ, ხასასთან რომ შვილი ყავს, იმას სხვა არა მიეცემა რა, არამედ თხუთმეტს წლამდინ თავისის მამის საქონლით უნდა იზრდებოდეს. და თხუთმეტს წელიწადს უკან, უკეთუ ის კაცი მდიდარი იყოს, მისის სამკუიდრებელისაგან წილი იმასაც მიეცეს, ვითარცა ზემორ ვთქუით.

ხოლო უკეთუ ღარიბი იყოს და ღარიბს კაცს ყუანდეს ესე ვითარი შვილი, არცა მისგან გაიშვება ცარიელი, არამედ მისის ყოვლის ფერის სამკუიდრებელისაგან მეექუსედი მიეცეს მას.

კ. შვილობილისათვის

285. კ. უკეთუ უანდერიო მოკუდეს ვინმე და დარჩეს ერ[10ჰ]თი შვილი და ერთი შვილობილი, ყოველსა თავის მამისა სამკუიდრებელსა შვილი დაიმკუიდრებს, და შვილობილი რომ დარჩა, მისის ყოვლის სამკუიდრებელისაგან მეოთხედი წილი მას უნდა მისცენ.

უკეთუ ის შვილობილი იმ ძმასთან არ დადგეს და სხვაგან მოინდომოს წასულა, ნურასჟერს ნურას გაატანს.

კ. უზითოს დედაკაცისათვის

286. კ. თუ ვინმე მოიყუანოს სჯულიერი ცოლი და მას ზითევი არ მოჰყუეს, და ქმარი მოუყდეს დედაკაცსა მას, უკეთუ სამი შვილი დარჩეს იმ დედაკაცთანა, თავისის ქრმის ყოვლისფერის საქონლისაგან მეოთხედი იმ დედაკაცს მიეცეს. თუ იმ კაცს ვალი დარჩეს, პირველად ის ვალი გადასწყუიტონ და მერმე, რაც დარჩეს, მეოთხედი მისცენ.

ხოლო უკეთუ უფრო ბევრი შვილები დარჩეს, ერთი წილი იმ დედაკაცს მისცენ და სხვა მის შვილებს დარჩეს. დედაკაცს ზას რომ წილი მიეცა, იმას ნუ ხარჯავს, შეინახოს.

ხოლო უკეთუ იმ დედაკაცს შვილი არ დარჩეს იმ კაცთანა, რაც რომ წილი ერგება დედაკაცსა, მისი უფლება აქუს, რომე, რაც უნდოდეს, უყოს. უკეთუ უწინვე ქმარმა თავის ცოლს საქონელი მისცეს რამე, ისიც თავის ქრმის საქონელში უნდა გარიოს და ისე გაიყონ, წილი ისე აილოს.

287. ქ. მეცხრე ბძანება ლეონ¹ ბრძნისა იტყუის: მათთვის, რომელნიცა მოინდომებენ ეკლესიათა აღშენებასა, და რაემს მოკუდეს მაძენებელი იგი ეკლესიისა და ეკლესია დარჩეს გაუთავებელი, მათთვის ვბძანებთ: უკეთუ კაცმან მან, ეკლესიის მაშ[103v]ენებელმან, ანდერცი ქნა, რომე, იმ ეკლესიის განსრულებამდინ რაც ხარჯი მოუნდებოდეს, ყულა ასე ანდერძის წიგნში დასწეროს, მისწან საყოლმან ის უნდა ქნას.

ხოლო უკეთუ მოკუდეს და ანდერძი ვერა ქნას იმ საყდრის გათავებისათვის, თუ იმ კაცს შვილი დარჩეს ერთი, ორი ან სამი, ის ნაშენები ეკლესია მეოთხე² შვილი შეიქნების. და თუ რამ იმ კაცს საქონელი დარჩა, იმის ყოვლისაგან მეოთხედი ეკლესიისათვის ასაშენებლად უნდა გარდადვან და ეკლესია იგი განასრულონ.

უკეთუ ოთხისაგან უფროსი შვილი დარჩეს, ეკლესია იგი ერთ შვილად უნდა დააყენონ და მისის საქონლისაგან ერთი წილი იმ ეკლესიისათვის უნდა მისცენ ასაშენებლად, ესრეთ ვბძანებთ.

უკეთუ იმ კაცს ერთი შვილი დარჩეს, იმ კაცის საქონლისაგან მიეცემის იმ ეკლესიას მეოთხედი; თუ ორი შვილი დარჩეს, მიეცემის ეკლესიას ისევე მეოთხედი; თუ სამი შვილი დარჩა, კიდევ მიეცემის ეკლესიას მას მეოთხედი.

ხოლო უკეთუ ოთხი შვილი დარჩა ანუ ხუთი, ეკლესია იგი ერთ შვილად ჩავარდების,— როგორც თავისის მამის საქონელი შვილებმა გაიყონ, ვგრეთვე ერთი წილი იმ ეკლესიას უნდა მისცენ ასაშენებლად.

უკეთუ იმ კაცს შვილი არ დარჩეს და მამა, დედა და ძმა დარჩეს, მისის ყოვლის საქონლისაგან ორი წილი ეკლესიას მიეცეს ასაშენებლად და მესამედი მის მამასა, დედასა და ძმას მიეცეს.

ქ. ბძანება ათანასე³ პატრიარქისა

288. ქ. მათთვის ვბძანებთ, რომელიცა უშვილოდ დაქურივდებიან კაცი თუ დედაკაცი, რამეთუ [104r] მათის საქონლის წასაღებად ვერავის პნლუწიფების, ვერცა მეფესა, არცა მის კარის-

¹ ლეონ AB. ² მეორე B. ³ ადანსე A.

კაცთა, არცა მისთა მწყემსთა, არამედ მისის საქონლისაგან მესამედი იმ მკუდრის ნათესავს მისცენ, ერთი წილი მისის სულის მოსაქსენებლად გასცენ და ერთი წილი მისი ბატონისა არის. მისმა ბატონმა იმ ერთის წილისაგან ნახევარი თვითან დაიჭიროს და ნახევარი მონასტერსა, გლახასა და ულონოს მისცეს.

ქ. ავის მქნელთა სამკუთიდრებელის მიუცემლობისათვის

289. ქ. უკეთუ ვინმე თავის მამასა და დედას სცეს და გააგდოს ანუ აგინოს, ანუ თუ მშობელთა თვისთა ტყუილად ცილი შესწამოს მეფესთან ანუ მოსამართლესთან, ანუ მწამლელთაგან განიზარდოს ვინმე და მათის სიბოროტის წესნი ისწავლოს, ან თვისთა მშობელთა საწამლავი გაუკეთოს, მათთვის ვბცანებთ, რამეთუ ამათ ყოველთა თვისთა მშობელთა¹ სამკუთიდრებელთაგან არაფერი არ მიეცემათ რა.

უკეთუ მშობელთა თვისთა შეეწყალოს, ამისთანა შეილსა ჭელმწიფე ნუ შეიწყნარებხს, ამათს მოქმედსა.

290. ქ. უკეთუ ღთი გაუწყრეს ვისმე და თავის დედისნაცვალთან მივიდეს, ანუ თავის მამის ხასასთან, სააკაკოდ, ესევეითარი კაცი თავის-მშობელთა სამკუთიდრებელისა ყოელისაგან უმკუთიდრო იქმნას.

291. ქ. უკეთუ ვინმე თვისთა მშობელთა ზედა განდგომილ იქმნას და² მისის სიტყუითა მათ ზედა დიდი ზიანი საქმე მოუიდესთ, მისის ყოელისაგან უმკუთიდრო იქმნას იგი.

292. ქ. უკეთუ ვინმე მშობელნი მრავლის ჟამითგან სნეული იყუნენ და იწუნენ, და გალარიბდენ, და მშობელნი მისნი შეილსა თვისსა ეხვეწებოდენ მოვლასა და მოკმარებასა, [104r] და მან მათი არა ინაღლოს რა, არცა რას მოეკმაროს, იგიცა უმკუთიდრო იქმნას.

293. ქ. უკეთუ თავისი მამა მისმა შეილნა, ვაჟმა, თავდებად დააყენოს ვალისათვის და მისნი მშობელნი მეველემ დაიჭიროს და საპყრობილესი დააბან, და ის შეილი მას აღარას მოეკმაროს, არცა რა მისი ინაღლოს, იგიცა უმკუთიდრო იქმნას.

294. ქ. უკეთუ დედ-მამამა³ ქალისამან თვისსა ქალსა, რაც შეეძლოსთ, ზითევი მისცენ და მისი ქრმის შერთვა მოინდომონ, და ქალი იგი მათს სიტყუას არ დასჯერდეს, იგი განიპატიჯოს და უმკუთიდრო იქმნას.

¹ მშობელთა] + თვისთა A. ² და] — A. ³ დედ-მამა A.

295. ქ. უკეთუ მშობელთაგან უქყო იწვას ვინმე ანუ ეშმაკეულ იქმნას, ანუ გაგიჟდეს, ვინცაჲინ მისი ნათესავი და სჯულიერად თანაშემწი მისნი იყუნენ, შვილი იყოს, ემა ანუ ნათესავნი. და იმას არას მოეგმარნენ და არცა რა ინალლონ, და მასუკან ქუაზე მოვიდეს, მისმა ბატონმა და მოსამართლემ მისნი ნათესავნი ყოველნი უმკუიდრო ყოს ყოვლისფერის საქონლისა და მშულისაგან, და იმას მისცეს.

ხოლო უკეთუ თავის ქამში იმ განსაცდელში იყოს და თავისმა ნათესავმა არაჲინ რა უყუროს, და ერთმან უცხომ კაცმან შეიწყნაროს იგი და თავის¹ სახლში მიიყუანოს, იმაზედ ბევრს გაისარჯოს და მოუაროს, მერმე იმის ნათესავებს კაცი გაუგზავნოს, რომე ამ თქვენს ნათესავს მოეგმარნით, არგევით და შინ წაიყუანეთ, ეს შეუთვალოს, და იმათ არც თავის სახლში წაიყუანონ და არცა რა ინალლონ, იგინი მეფემან და მოსამართლემ, იმ ავადმყოფის¹ ნათესავნი, ყოვლის მათის სამკუიდრებელთაგან უმკუიდრო ყონ.

და უცხომ კაცმა რომ შეიწყნარა და მოუარა იმათს სახლის კაცს, [1551] მისი მამული ყოველივე იმას მისცეს, ამისთვის რომე იმათ თავის სახლის კაცს რატომ არ მოუარეს და არ უყურეს, იმ უცხომ კაცმა მოუარა და შეიწყნარა.

296. ქ. უკეთუ ერთი კაცი დატყუევდეს ვინმე, მისმა მამამ მისის დაჯნისა არა ინალლოს რა და მერმე თვითან იქილამ გამოიჯნას ან გამოიპაროს და შინ მოვიდეს, თავისი მამა გააგდოს, თუ რამ ქონდეს, წაართვას და ნულარას მისცემს.

297. ქ. უკეთუ მამა დატყუევდეს და მისმა შვილმა მისის დაჯნისა არა ინალლოს რა, და თვითან გამოიჯნას და შინ მივიდეს, ესრეთ მამამ უყოს შვილებსა, ვითარცა ზემოთ სწერია [იხ. მუხლ. 296].

298. ქ. უკეთუ ერთ კაცს შვილი არა ყუანდეს და დატყუევდეს, და სხვა ნათესავი ყუანდეს მისის მამულის მემკუიდრე, და მისის დაჯნისა არა ინალლოს რა, იგი უმკუიდრო იქმნას.

299. ქ. უკეთუ ის კაცი ტყუეობაში მოკუდეს თავისთა შვილთა და ნათესავთ უნაღუღელობითა, მოსამართლენი მისსა სამკუიდრებელსა ნურცა მათ დაუმკუიდრებენ. და თუ რამ იმ კაცის საქონელი იყოს, უცრაჲი თუ მოცრაჲი, ყველა გამოეერთვასთ და, იმ აღაგის მიტროპოლიტი იყოს თუ ებისკოპოზი, იმას მიეცეს ამგვარად, რომ იმან ის საქონელი სხვად არად დახარჯოს, მარტო ტყუეს დაიჯნიდეს და აზატს უზემდეს.

¹ აგატმყოფის A.

ხოლო უკეთუ, სანამდი დატყუევდებოდა, უწინვე თავისი ყოვლისფერის ანდერძი ქნა და მერმე, რომ დატყუევდა, თავის მამაზედ ესრეთ უმადლო გამოჩნდა და არას მოეგმარა, ის ანდერძი აღარ ირწმუნება, არამედ ესრეთ უყონ, როგელიცა ზემოთ წერილ არს [იხ. მუხლ. 297].

300. ქ. ხოლო ამას ვბძანებთ ყრმისა მის ნათესავეისათვის, რომელი ტყუე არს: უკეთუ იყუნენ [105v] მისნი ნათესავენი თურამეტის წლისა და მისის დაჯსნისა არა ინალოს რა, იწთაც და მშობელთაც მისთა, რაცა აქ სწერია, ესრეთ უყონ. და უკეთუ თურამეტს წელიწადს ქუეით იყოს მისნი სახლის კაცნი¹, უსაკობისათვის შენდობა მიეცემა და არცა რა წაერთმევა.

ქ. შვილი რომ მწვალებელი² შეიქნას, სამკუიდრებელის მიცემისათვის

301. ქ. უკეთუ იყუნენ ეინმე მართლმადიდებელნი კაცნი და დედაკაცნი და მათი შვილი მწვალებელი შეიქნას და სიკუდილამდის დადგეს წვალებასა ზედა, იგი უმკუიდრო იქმნას³.

ხოლო უკეთუ მოიქცეს კათოლიკე ეკლესიასა შინა გულითა წბიდიითა, კიდევ იმას თავისი წილი სამკუიდროსაგან მიეცემის. და როდესაც ის მწვალებელი შეიქნა, მის მოქცევამდინ შუაზედა მის ნათესავეთა ააშენეს რამე, თუ ასარგებლეს, მისი წილი აღარ დაედება.

302. ქ. კაცსა ვისმე ყუანდა ორი შვილი, ერთი მწვალებელი შეიქნა და ერთი ისევე მართალ მადიდებელი არის, ის ქრისტიანი შვილი დაიმკუიდრებ³ სამკუიდრებელსა მამისა თვისისასა, არა მწვალებელი შვილი.

ხოლო უკეთუ მისნი შვილნი ყუელანი მწვალებელნი შეიქნან, იმ კაცის ძმა და მამა დაიმკუიდრებს სამკუიდრებელსა მისსა, და მის შვილებს ჳელი არა აქუს.

უკეთუ ყოველნი, იმ კაცის მამულის მემკუიდრენი და ნათესავენი, მწვალებელნი შეიქნენ და აღარავინ იყოს მისი ქრისტიანე, სადაც იმ კაცის სასაფლაო არის, იმ ეკლესიაში ვინც მწირველ-მლოცავი დგას, მისი მამული იმათ უნდა მისცენ.

უკეთუ იმ ეკლესიაში მღვდელი არ იდგეს და ერისკაცი იდგეს, იმ კაცის ყოველსა მამულსა მისი ბატონი დაიმკუიდრებს—ნახევარი. თვითან უნდა დაიჭიროს და ნახევარი იმ კაცის სულის მოსაჯსენებლად იმ [106r] ეკლესიას უნდა მისცეს, საცა მისი სასაფლაო იყოს.

¹ კაცისაგან A. ² მწვალებელი A. ³ იქმნას A.

ესენი იქ უნდა ქნან. უკეთუ ამისთანა მამა შეიქნას შეილზედა ანუ შეილი მამაზედა, ესრეთ გაუჩინონ.

ქ. ბერად რომ შედგეს ვინმე, მისის სამკუთხედებისათვის

303. ქ. უკეთუ ვინმე ბერად შედგეს, მამა ანუ შეილი, თავისის მამულისაგან არა უმკუთხედო იქმნების ბერობისათვის, არცა მანა და არც შეილი. არამედ ბერი იგი შეილი ერისკაცს მამასთან დაემკუთხდებოდა და მამა შეილთანა. და როდისაც ან ერთი მოკუდებიან, ასრე დაიმკუთხდებენ.

უკეთუ შეილი იგი მამის შემცოდე ყოფილიყო და მასვე გაეგდოს, მოსამართლე შეილსა მას გაგდებულსა არას დაუმკუთხდებეს, ამისთვის რომ მამას გაუგდია.

ქ. მიზარებისათვის

304. ქ. მისაბარებელი იგი არს, რომელმანცა ერთი რამ საქონელი ვისზე მიზაროს შესანახავად.

ქ. სჯული

305. უკეთუ ვინმე ერთი რამ მიზაროს კაცსა და ეგონოს, რომე ის კაცი ამ მისაბარებელს მასუკან უარყოფსო, მართებულია, რომ წიგნი გამოართოს, თუ ეს მამზარებიაო, და მერმე ისე მიზაროს. რაც მიზარებია, სახელდობ უნდა ეწეროს და მოწამეცა ეწეროს.

306. ქ. უკეთუ კაცს მიზაროს ვინმე რამე, და იმ კაცს ცეცხლი შეედევას და ან არეულობა რამე შეიქმნას, ან სახლი დაექცეს და¹ წაუტღეს², და მან უარყოს, რომ ჩემთვის არ მოგიზარებიაო, თუ მოწამე მოიყუანოს და ის კაცი მოწმით გასტეხოს, ორი ზომა უნდა გაზოართვას.

ხოლო უკეთუ ვისაც მიზარა, მან თქუას, თუ ეს მამზარაო, ისევ თავისი განოართვას. მიზარებული წამგდარიყოს რამე, მისი წაჭდენისა ფასი მოსტეს აგედ შენახვისათვის.

[106v] 307. ქ. უკეთუ საქონელი მიზარებული ვისმე ყაზახმა წაართვას და დაეკარგოს, მისთვის პასუხი არა მიეცემა რა, უკეთუ ნათ შუაზედ მტერობა არა იყოს. რა, ან მტერობით არ წართმეოლეს, ან პირობა არა ქონდესთ რა ყაზახსა და საქონლის მიზარ-

¹ და]—A. ² წაუტღეს] + თუ არ წაუზღეს A.

რებელსა. თუ ესრეთ იყუნენ, მათ შუა რაც დაეკარგოს მიბარებული საქონელი, ყუელა ისევ მოსცეს თავისი, ამისათვის რომე, თუ არ შეეძლო შენახვა, რატომ მიიბარა.

უკეთუ თვითან დაეხარჯოს და მიზეზით ამას ამბობდეს, თუ დამეკარგაო, ის მიბარებული მასვე ზედა არს და გამოართვას. უკეთუ კაცი იგი მოკუდეს და მისმა სახლის კაცებმა უარყონ, მოსამართლესთან მივიდნენ; თუ გაიტეხოს, ორი ზომა გამოართვან და მისცენ.

ქ. ნასყიდის ყმისათვის

308. ქ. ნასყიდი ყმა თავის ბატონს რომ კარგადაც აამებდეს და თავისი საქონელი სხვას მიიბაროს, მისი ბატონი გამოართომს მის საქონელსა, როდისაც უნდა.

309. ქ. უკეთუ საქონელი გამოაბაროს ვინმე ნასყიდმა ყმაჲ, ცოცხალი იყოთ თუ მოკუდეს ნასყიდი ყმა, ან აზატი უყოს, ან თავისმა ბატონმა გაყიდოს, რაც იმ კაცს სხვაგან გაბარებული რამე აქუს, იმავე უწინდელის ბატონისა არის, ახალს ბატონს ტელი არა აქუს.

ქ. ქურდისათვის

310. ქ. ქურდმა კაცმა რომ მოიპაროს რამე, მისი დანაშაული შეილებს არ ეკითხება რა. თუ ის ქურდი მოკუდეს, მოსამართლემ მისი კერძი საქონელი გაასყიდვინოს და ისე გარდუწყუიტოს თავისი თავნი, თეარა შეილებთან ტელი არა აქუს.

[107r] 311. ქ. ვინცავინ დღისით მოიპაროს, ის ცხადი ქურდი არის, იმან ოთხი უნდა მისცეს პატრონს. უკეთუ მალვით მოიპაროს, მან ერთიორად მისცეს.

312. ქ. ღამით ქურდი, რომელიც ქალაქს გარეთ მოიპარავს რასმე, ის კაცი ქურდობაში კაცსაც მოჰქლავს. უკეთუ მგედარი იყოს და ქალაქს შიგნით მოიპაროს რამე, იმას ქალაქში კაცის სიკუდილი არ შეუძლია.

და ქალაქს შიგნით ქურდს რომ იარალი არა ქონდეს რა— შუბი, გმალი, ისარი, ხანჯალი ან კეტი, რომ კაცს დაჰკრას და მოკლას,— თუ მოწამე იზოვნონ, რომ იმ ქურდს კაცი მოეკლას ქალაქს გარეთ თუ შიგნით, იგიცა მოეკლას მოსამართლისა მიერ, და რაც საქონელი წაეღოს, ისევ პატრონს მიეცეს.

313. ქ. უკეთუ ღამით ქურდი მოკლას ვინმე, იმას სამართალი არა მიეცემა რა, ამისთვის რომე, პირველად, იქურდა და, მერმე, ის კაცი მარტო იყო, დაჭერა ვერ შეიძლო და მოკლა—ვერას შეუა.

314. ქ. უკეთუ ვინმე საქონელი მოიპაროს ანუ ძალად წაართვას ვისმე და გაყიდოს, ის საქონელი პატრონმა იცნას, უფასოდ გამოართვას თავისი საქონელი.

315. ქ. ერთი კაცი რომ ღვინის მსყიდველის სახლში იყოს¹, ანუ ქარვასლაში, ანუ სხვაგან, იქ იმ კაცს საქონელი რამ მოჰპაროს ვინმე, უკეთუ ქურდი იპოოს, სამართალში მიიყუანოს² და ორი ზომა აიღოს, და ანუ სამი ზომა. თუ ქურდი ვერ ნახა, საცა დაეკარგა, იმ სახლის პატრონს თავისი თავნი გამოართვას.

316. ქ. ლაქარში რომ მოიპაროს ვინმე რამე იარაღი, იმ კაცს ძლიერად უნდა ეცეს. თუ ცხენი ან ჯორი, ან სხუა პირუტყვი მოიპაროს, მას ჯელი მოსჭრან.

[107v]. 317. ქ. ხე, რომელიცა კაცთა მოსაჯმარებელია, კაცმა წაიღოს ვინმე თავისთვის, ანუ დასარგავი ხე წაიღოს და თავისთვის დარგოს, წაღება აღარ იქნება, ორი ზომა პატრონს უნდა მისცეს.

318. ქ. ქალაქში³ და ანუ სხვას ალაგშია რომ მოიპაროს ვინმე რამე, უკეთუ ერთხელ ერთი რამ მოიპაროს და ის ქურდი დაიჭირონ, და ის კაცი ყმა არავისი იყოს, აზატნაქმარი იყოს, რაც მოეპაროს, ორი ზომა მისცეს პატრონსა.

უკეთუ ის ქურდი ღარიბი და უქონელი იყოს, ეცეს ძლიერად, ის გამოერთვას, რაც მოუპარავს, და ექსორია იქმნას. უკეთუ ბევრჯელ და ბევრი მოიპაროს, მას ჯელი მოეკუეთოს.

319. ქ. ვისაც რომ ნასყიდი ყმა ყუანდეს და ქურდობდეს და მოიპაროს რამე, რაც მოეპაროს, მისმა ბატონმა ისევ მისცეს. თუ საქონელი არ მისცეს, ქურდი მისცეს.

320. ქ. ვინცა ვინ მოპარული იყიდოს რამე და თავისმა პატრონმა შეაჩნიოს, მოსამართლემ გამოართვას და პატრონსავე მისცეს. და რაც იმ კაცს იმაში გაეღოს, ქურდს სთხოვოს.

321. ქ. ცხადად ყაზახნი, რომელნიცა დგანან ტყეშია ანუ გზაზედა, ის დაიჭირონ და ანძაზე აცვან, რომე სხვათაც ნახონ და შეშინდენ ანუ, მათ ვინცა ვინ კაცი მოუკლავს, მისმა ნათესავმან ნახონ გატანჯული და იშნი მოუგონ.

¹ იყოს]—A. ² მიყუანოს A. ³ ქალაქში] ლაშქარში B.

322. ჟ. ვინცავინ მოკრას ხე ანუ ხილი, ანუ ვენაჯი, ვითარცა ავაზაკი, ეგრეთ განიპატიჯოს. უკეთუ მოსკრან ხე, ხილი, ვენაჯი¹, ერთი ანუ ბევრი, და უარყონ, მე არ მამიკრიაო², ორი იმ ხის ფასი მისცენ. უკეთუ თქუას, მე დავაშავე და ვქენიო, რაც წაუტდინოს, ისევ თავისი მისცეს.

[1081] **323. ჟ.** ქურდი ის არის, რომელიცა უიარალოდ მალვით მოიპარავს რასმე. იმას არც ასო მოეკრება და არც მოიკლვის³. და რომელიცა იარაღით იარება და იპარავს, ქურდობით კაცს ძალას უზამს, ის კაცი, სადაც რომ ნახონ, იმავე ალავს მოკლან.

ჟ. რასაც ფერის საამხანაგოს ამხანაგობისათვის

324. ჟ. ამხანაგობა ესრეთ იქნება: ვინცავინ რომ ამხანაგათ შეიყარნენ, პირობას დასდებენ, სანამდი ცოცხალი იყუნენ, რომ არ გაიყარნენ, ანუ ერთს-ორს წელიწადსა, ანუ⁴ ცოტას ხანს, სანამდი საამხანაგოს არ მოიკლებენ და არ გაიყოფენ. მანამდი ვერ გაიყრებიან. და როდისაც ერთ-ერთი მოკუდება, კიდევ მაშინც გაიყრებიან.

325. ჟ. ორნი იმანი იყუნენ, სხვა საქონელი არა ქონდათ რა, ორნივე მვედრად დადგნენ, ლაშქარს წავიდნენ,—რაც იმათ ჯამაგირი იშოვნონ მვედრობით, ორთავე სწორედ გაიყონ.

326. ჟ. ერთმა კაცმა კაცს საქონელი ნისცა სავაჭროდ და ის კაცი სავაჭროდ წავიდა, ის საქონელი რომ მისცა სავაჭროდ და მისი თავდები არა ყავს თეთრის პატრონსა, ის კაცი ვაჭრობაში მოკუდა და საქონელი უპატრონოდ დარჩა,—საქონლის პატრონის ზიანი იქნების. ის პატრონი უნდა წავიდეს და, სადაც ის კაცი მოკუდა, იქ მივიდეს და თავისი საქონელი ითხოოს. რაც თავისი იყოს, აილოს, და თუ ნამეტნავი არის, იმ მკუდრის კაცის შვილებს მიუტანოს.

უკეთუ იმ კაცმა ის საქონელი ყუელა გზაზე დაკარგა, და ის კაცი შინათ აშენებული იყოს, იმ საქონლის პატრონს იმ კაცის სახლში ჴელი არა აქუს, ვერცა რას გამოართმევს, ამისთვის რომე, თუ ამისი პირობა დაუდვა, რომე თუ დაეკარგო, ჩემის სახლიდამ მოგცე, უნდა მისცეს, თუ არადა, ეს პირობა არა აქუს, ვერას შეუა.

¹ ვენაჯი—A. ² მამიკრიაო]+ მე არ მამიკრი A. ³ ჟ: მოიკლვის A. ⁴ ანუ]+ ანუ A.

[106v] 327. ქ. ერთი კაცი ვაჭრობაზედ ჩემი ამხანაგი იყო, ის კაცი წავიდა სავაჭროდ, იმ კაცს ქურდისაგან თუ რისაგანც გზაზედ ზიანი მოუიდა და საქონელი დაკარგა — მე არას მამცემს, ამისთვის რომე ეთ კაცს ცხვარი დაუფასე და მივეც¹, იმას ყაზახნი დაესხნენ და ის ცხვარი ძალად წაუსხეს—ეს ზიანი ორთავისი იქნება.

უკეთუ იმ კაცს საქონელი მოპაროს ვინმე, რომ ის კაცი არც ფრთხილობდეს, არც ნაღობდეს და² მოპარონ, —უნაღლელობით დაკარგა, მისი ზიანი არის. ხოლო უკეთუ საქონლის დაუკარგაობისათვის კარგად ფრთხილობდა ა მაშინც მოპარეს ის საქონელი, ორთავ ზიანი არის.

ქ. სამეფოს სჯულის კანონი ყაზახთათვის

328. ქ. უკეთუ ყაზახი სასიკუდილოთ ვიზედმე მივიდეს, ანუ გასაცრცველად, და მან დაასწრას³, და ის ყაზახი მოკლას, მისი სამართალი არა მიეცემა რა, ამისთვის რომე სასიკუდილოდ მიუტდა, და როდისაც კაცს გაუჭირდება; თავისის თავის მოკმარებას ეცდება. მაგრამ ამგვარს მოკმარებას სჯულის კანონი არ მისცემს კაცსა.

329. ქ. უკეთუ ყაზახი უშიშრად სასიკუდილოდ ვიზედმე მივიდა, ისიც ეცადოს, რაც შეიძლოს, რომ ის თავისის ცხოვრებისაგან გაიყუანოს.

330. ქ. უკეთუ მღვდელთმთავარმან ანუ მღვდელმა აგარიანი ანუ სხვა უსჯულო კაცი მოკლას, ლაშქარშია, ანუ ვინმე ამოღებულის ტლმით მოუტდენ და მღვდელმან დაასწროს და მოკლას ის კაცი, დასტურად მისი მტერი⁴ა, რომ მოკლას, რა იქნება? მაგრამე წირვა აღარ ერგება, არამედ ღირსება და წესი არ გამოერთმევა.

[109r] ქ. მთხრობლობისათვის

331. ქ. კაცმან რომ კაცისაგან გაიგონოს სიტყუა რამე, წავიდეს და უმთხრობლოს, სიტყუა იგი უთხრას მთავარსა მის ალაგისასა, მართებულია.

332. ქ. ხოლო დედაკაცის მთხრობლობა არა ჯერ არს, არც კარგზედ და არც ავზედა. ყოველი საქმე, რომელმანცა მართლა არ იცოდეს, მართებული არ არის, რომ მთხრობლად მივიდეს ვისთანმე.

¹ მივეც]—A. ² და]—A. ³ დასწრას A.

უკეთუ იცოდეს ვინმე, რომ იმ კაცმა კარგი ქნა თუ ავი, კიდევ ნახოს, დამალავს თავის სარგებლის გულისათვის, არ გამოაჩენს, ხოლო ის საქმე სხვამ არვინ იცის, არამედ იმან, რომელმანცა ქმნა რამე, და იმან, ვინც ნახა. პირველად ვინც თქუას, რომე ეს საქონელი იმ კაცს აქუსო, მივიდეს და ის სიტყუა მოსამართლეს მოავსენოს, მისი მიტანილი ამბავი არ ირწმუნების, არამედ, რომელმანცა იცოდეს მართალი და თქუას, ის იქნება მთხრობელი.

333. ქ. რამეთუ დედაკაცი მთხრობლად ნურაოდეს ნუ იქნების და არც ირწმუნება, და არც მის კაცისა ირწმუნება მთხრობლობა, რომელსაცა მოსამართლისაგან მის სიავეკაცეზე განეპატიჯოს ვინმე, და არც იმისთანას კაცის მთხრობლობა ირწმუნება, რომელიც ლაშქარს წავიდეს და გამოქცეული მოვიდეს. არამედ იმისთანას კაცისა ირწმუნების, რომელიცა ღირსი სარწმუნოებისა იყოს კაცი იგი, შური და მტრობა არავისი ქონდეს და არც მტრობით უმთხრობლოს.

334. ქ. კაცს რომ დაეკარგოს რამე და მთხრობელმა ის გამოუჩინოს, რაც დაკარგოდეს, რაც საქონელი იყოს, მისი მერვედი მთხრობლისა არის, ამისთვის რომ დაკარგული გამოაჩინა.

[109v] 335. ქ. რომელმანცა კაცმან მთხრობლობა ქნას, დიდმან ანუ მცირემან, დაკარგულის ნიშანი არ მიუტანოს პატრონსა და ტყუილად იმთხრობლოს, მოსამართლემ იმ ტყუილს მთხრობელს გაჭურვებულის რკინის დალი ლოყებზე ოთხ-ოთხი დაასვას¹.

ქ. მოწამეთა მოწამობისათვის

336. ქ. მოწამეთათვის ესრეთ ჯერ არს, რათა იყუნენ ღირსი სარწმუნოებისა და არა იყუნენ ხარბნი ანუ ლარიბნი. თუ იმ მოწამისა² არც იცოდენ, თუ ვინ არის ან როგორ გაზრდილია, ან რის კეთილის საქმის მოქმედი, ასე გასინჯონ და მისი მოწამობა ესრეთ ირწმუნონ.

337. ქ. მოწამემან, რომელმანცა იმოწმოს ვალისათვის, თამასუქში რომ მოწმად ეწეროს, ასე ნუ იმოწმებს³, რომ ის თეთრი ჩემთან მისცაო. თუ ასე იმოწმოს, ნუ ირწმუნებ, გააგდე.

უკეთუ თქუას მოწამემან ჩემთან თეთრი არ მიუციაო, არამედ კაცმან მითხრა, რომ ამ კაცს იმ კაცის თეთრი მართებსო, ამაზედ თუ ხუთი მოწამე მოიყუანოს, ირწმუნეთ.

¹ დასვას AB. ² თუ იმ მოწამისა]—A. ³ ირწმუნებს A.

338. ქ. ორი მოწამენი რომ ერთმანეთზედ¹ ქიშპად ლაპარაკობდენ და მოწმობდენ, მოსამართლემ კარგად გასინჯოს, რომელიც რომ პირნათლად ჩნდეს, მისი სიტყუა ირწმუნოს.

ხოლო უკეთუ მოწამენი იგი მტყუვნად გამოჩნდენ, მზგავსად-ბრძანებისაებრ სჯულია, ენანი მათნი აღმოეკუთვნეს.

ქ. დამნაშავეთ მდღელთა თუ ერთათვის

339. ქ. დანაშაული იგი არს, რომლითაცა საქმითა სამღდელონი კაცნი დაეყენებიან, ანუ დიდითა ექსორიობითა ექსორია იქმნებიან, ანუ ერისკაცნი მოიკულიან, რამეთუ დამნა[110r]შავეთა კაცთათვის მოწამე არ მიიყუანებიან იმგვარად², როგორც ვალისათვის. არამედ მოსამართლემ, როდესაც დამნაშავე იგი კაცი განიკითხოს, მოწამე თუ არის, მაშინ პირს უნდა წაუყენოს³ მოსამართლის წინ, ისე გაამტყუენოს. თუ პირს ასე დაუდგეს, რომ ჩემის თვალთ ასე გნახეო, ირწმუნეთ.

ხოლო უკეთუ ესრეთ თქუას, რომ ამ კაცისაგან გავიგონეო, რომ იმ კაცმა ეს დააშავაო, ის არ ირწმუნება.

340. ქ. მოწამე მოსამართლემ უნდა გასინჯოს, თუ რის კეთილის საქმის ღირსი არის, სახე და საქმე მისი კეთილად გასინჯოს, ანუ რის სიტყუის კაცია, ანუ რის სარწმუნოებისა, ისე ირწმუნოს. თუ მოწამეთა ესრეთ თქუან, რომე ასე გავიგონეთ, ასე შევიტყუევითო, ნუ ირწმუნებ. არამედ რომელმან თქუას, მე იქ დამხდური ვარო და ვნახეო, ის ირწმუნონ.

ქ. პირუტყუთ ქირაობისათვის

341. ვინცა ვინ ცხენი იქირაოს და მართებულისაგან უფროსი აკიდოს და ცხენს დაუმარცხდეს მციმის საპალნისაგან, ცხენის პატრონს უნდა უზლოს მისი ცხენი.

342. ქ. ვინცა ვინ იქირავოს მიწა, წისქული, ბოსტანი ანუ სხვა რამე ამისთანა, ანუ ცხენი და ქარი, და ქირით აიღონ მოძრავი თუ უძრავი, რომე მასუკან ისრეე გამოერთმეოდეს პატრონსა, რაც რომ პირობა დასდვან, თუ ამდრომდინ ამდენის ქირის მომცემი ვიყო, და იმ პეიმანზედ მოვიდეს, ქირა სთხოვოს⁴ და არ მისცეს, და ისიე მოსამართლესთან საჩიველად წავიდეს, მალონებსო, იჩივლოს და გამტყუნდეს, ანა [110v] მარტო ქირა გამო-

¹ ერთმანეთთან A. ² მზგავსად A. ³ იმგვარად—A. ⁴ დაუყენოს A.

⁵ სთხოს A.

ერთვას, არამედ, რაც რომ საქირაოდ აქუს იმ კაცს, ის საქონელი უნდა დააფასონ და მისი ფასიც უნდა გამოართვან და მისცენ იმ საქონლის პატრონსა, და თავისი საქონელიც გამოართვას, ამისთვის რომე დაინახონ და სხვათაც ამისთანა უსამართლო არ მოინდომონ კაცზედა.

343. ქ. უკეთუ ვინმე აქირაოს კაცსა ვისმე მიწა ანუ სხვა რამე და ასე შერიგდენ, რომე ამდრომდის ეს ქირა მოგცეო, სახლი იყოს თუ სხვა რამე, და იმდრომდინ იმ კაცმა ის ალაგი აღარ დაიჭიროს, რასაც ხანს ქონდეს, ის ქირა გამოართოს და სხვას მთლად აღარ აძლევდეს, მოსამართლემ ეს სამართალი უყოს: რასაც დაპირებოდეს, გამოურთვას მთლად და მიაცემინოს, ამისთვის რომ პაემნამდის რატომ გაუშვა?

ქ. გელოსანთათვის

344. ქ. გელით მოქმედნი კალატოზნი, ხურონი, ფეიქარნი, მკერვალნი და სხვანი ესევეთარნი გელოსანი, რომელნიცა საქმესა აიღებენ გასაკეთებლად, იმ სამუშაოს ნახევარზედ გაუკეთებელს ნუ გაუშვებენ და სხვისას ნუ მოყუებიან,—სანამდინ პირველი საქმე არ გაათაოს, სხვას ნუ აიღებენ.

უკეთუ რასაც რომ ის კაცი ამუშავებს, იმას იმისი მასალა დააკლდეს, არა ქონდეს, რომ გააკეთებინოს, და იმ გელოსანს სხვა სამუშაო აუჩნდეს და ის კაცი ამას ეუბნებოდეს, დღეს-ხვალ შემიძიდადე, ვიშოვნი და გავათათო, იმ ოსტატმა სანამდინ იმ ალაგის მოურაეთან ერთი ასეთი კაცი არ მოიყუანოს, რომე ესეები¹ ყველა უმოწმოს, და ოსტატმაც მოურავს ეს მოაჯენოს, ღარიბნი კაცნი ვართ, ჩვენის გელით უნდა დავრჩეთო, და მოურავმა გაიგონოს,—რადგან² იმას მასალა აღარა აქუს, [111r] დასტური უნდა მოურავმა მისცეს ოსტატსა და სხვა სამუშაო იმუშაოს.

და მეორეს სამუშაოს რომ გელი მიყონ გელოსანთა, და ის პირველი კაცი მოვიდეს, რომე მასალა ვიშოვენ და წამოდი, რაც ნამუშავებია, ის შევათათო, მანამდინ, რომელზედაც დგას, ის სამუშაო არ გაათაოს, მანამდისინ ნუ წაყუება.

ხოლო უკეთუ გელოსანმან მოურავის უდასტუროთ მეორე ის საქმეც ნახევარზედ გაუშვას და მესამეს სხვას საქმეს მოყუეს, მოურავმა ის გელოსანი დაიჭიროს, ძლიერად სცეს, წვერ-ულვაში მოპარსოს; თუ რამ გელფასი აეღოს, ყუელას ნაშენებისა გამოართოს

¹ ესები A. ² რადღან AB.

და მათვე მისცენ; ის ოსტატი გააგდონ. და ვისიც რომე პირველი ნაშენები დარჩა, და მეორე, არც მათ შეუძლია, რომე უშოურაოდ სხვა ოსტატი მიიყუანონ სამუშაოდ და გასათავებლად.

345. ქ. ვინცა ვინ კალატოზი აშენებდეს კედელსა, კამარებსა, მათ ესრეთ ნებავს, რათა კარგად გასინჯონ, რომე სახლისა ან კედლის საძირკუელი სუსტად არ დაუდვან, კედელი მრუდად და უწვევრად არ ააშენონ. უკეთუ ათს წელიწადს შუა ძრვა რომ არ იყოს, ისე კედელი და კამარა დაიქცეს, იმ ოსტატებმა მეორედ ააშენონ თავისის ხარჯითა.

ხოლო უკეთუ დიდი რამე სამუშაო იყოს, ასის ფლურის ფასი¹ უფროსი მოუნდებოდეს, ოსტატმა უტელფასოთ უნდა იმუშაოს და მასალა პატრონმა უნდა უშოვნოს. ამას იმათთვის ვიტყუით, რომელნიცა კირით აშენებენ.

ხოლო უკეთუ ტალახით შენება იყოს, ექუს წელიწადს თუ დაიქცეს ტალახით ნაშენები იგი კედელი, ისევ ოსტატმა უტელფასოდ უნდა ააშენოს, და სხვა მასალა ყველა პატრონმა უნდა უშოვნოს. თუ [111v] ქუთიკირით ნაშენობა ათს წელიწადს უკან დაიქცეს და ტალახით ნაშენები ექუს წელიწადს უკან დაიქცეს, იმასთან კალატოზს მეორედ² ასაშენებლად ჰელი არა აქუს.

ეგრეთვე ყოველს საქმეზედა, ვინცა ვინ ოსტატმა საქმე აიღოს: უკეთუ ფეიქარმა ქნას თხელი სამოსელი ანუ ჰკერვალმან მოკლე და ვიწრო შეკეროს, წელში გაიხიოს,—ყოველმა, რომელმანც ამისთანა სამუშაო გააკეთოს ოსტატმა, მეორედ ისევ უტელფასოდ³ გაუკეთოს.

ქ. ბოზობისა, მწამლელობისა და ვარსკვლავთ მეტყუელებისათვის

346. ქ. მისანი არის გრძნეული, რომელიც იქმნებიან ეშმაკისა საუნჯენი. ესრეთ იტყუიან, რომე, სანთლითა და ცერკვით რომ მისნობა ვკენითო, იმაში ესრეთ ენახეთ, ეს კარგი მოგივა და ეს გვენებისო. ესრეთ ცრუწინასწარმეტყუელებენ და იტყუიან, შენი საქმე ესრეთ იქნებაო. ტყუილად სცდებიან, ეშმაკისა მიერ საწყალობელნი, ამისთვის რომე მისნობა ეშმაკისა მიერ მპოვნებული⁴ არის და მის მდევართათვის მიცემული.

¹ ხარჯი B. ² მეორედ]—A. ³ ისევ უტელფასოდ] უტელფასოდ A. ⁴ მპოვნებელი A.

რომელიცა ზისნობეს, იგი სახელსა ღთისასა და ყოველთა ზისთასა აქსენებს და იტყუიან, სახელითა ღთისათა ეპოვებთო. მაგრამე¹ ვინცა ვინ ამისთანას საცთურს ექს, მზგავნი² არს, ვინცა ვინ კაცი არს მეძრუზე³ ანუ კაცის მკულელნი, რამეთუ ამის მოქმედნი რომ წაელენ ამისთანას საქმის ქმნად, ისინი სახელსა ქრისტესას აქსენებენ და იტყუიან, უფალო შემეწიეო. მაგრამე ამისთანას საქმის მოქმედთა კაცთა ღთი ვითარ შემწე ექმნების⁴ ეგრეთვე მისანნი აქსენებენ სახელსა ღთისასა ავს საქმეზედა. ქუეყნის უფროსმა უნდა იგინი სტანჯონ და დააყენონ.

[112r] 347. ქ. სწავლა ზისნობისა ორად განიყოფის: ერთი არს ვარსკულავთ-მრაცხველობა⁵ და მეორე—ვარსკვლავთ-მეტყუელება. ხოლო ვარსკულავთ-მრაცხველნი⁶ ვინცა ვინ არიან, წმიდათა მამათა შენდობა ზისცეს მისის სწავლისათვის. არა არიან ვითარცა მოგუნი, არამედ ასწავლის ყოველთა ვარსკულავთა და ყოველსა ეტლსა თორმეტსა თვეთასა და შეიღთა სარტყელთა ცისათა, რომელთაცა ცთომილად უწოდთ, მისსა სიარულსა და სიმარჯვით ყოფნასა მისსა. ამას შენდობა აქუს, რომე ყოველთა ვისწავლოთ, რამეთუ თორმეტი ეტლნი და შეიღნი ცთომილნი ვარსკვლავნი ბრძანებითა ღთისათა ქუეყანისათვის მოქმედებენ და უფლებენ ქვეყანასა ზედა.

არამედ ამას ვიტყოდეთ და ესრეთ ვგონებდეთ, ვითარმედ ერთი ღთი არს ყოველთა შემოქმედი, ერთბუნება და სამგვამოვნებით თაყუანისცემული. სამგვამოვნისა ღთისა ბრძანებითა ეტლნი იგი სარტყელნი ქუეყანისათვის მოქმედებენ.

348. ქ. ვარსკულავთ-მეტყუელება იგი არს, რომელიცა ვარსკულავისა მიერ მისნობენ და იტყუიან, რამეთუ ამ ეტლითა მოკუდება დიდი კაციო, ამ ეტლითა იყო მეფობა მეგვიპტელთა, ებრაელთა, ბერძენთა და თათართაო, რამეთუ რომელიმე ყრმა ეტლზედ იშვას, ამ ბედისა იქნებისო და ეს საქმე უნდა დავმართოსო, ავი თუ კარგი.

რამეთუ ამ ვარსკულავთაგან კარგი არა იქნების რა, არცარა შეუძლიან.

რამეთუ ვარსკვლავთ მრაცხველთა⁶ და მზგავნთა ამისთა ეწმკისა მიერ მპოვნელი სახელ-ედების და წმიდათა მამათა მიერ დაყენებული არს.

¹ მაგმრამე A. ² მზგავნი A. ³ მეძრუნე B. ⁴ მრაცხველობა B. ⁵ მრაცხველნი B. ⁶ მრაცხველთა B.

ამისთვის, რამეთუ ბევრნი კაცნი, რომელიცა უმეცარნი არიან, ბევრნი სცდებიან და აცდუნებენ. რამეთუ ეტლზედ დაბადება და აღზრდა, რაც მათ დაემართებინა, ავი თუ კარგი, ანუ რომელიცა ბედსა ესვენ და რაც საქმე [112წ] ბედზედ დაემართებისთ, ესევეითართა ვარსკულავის მეტყუელნი მისნობენ, ეშმაკისა საბრჯითა იტყუიან.

ხოლო უგუნურთა კაცთა ესევეითარისა მეტყუელნი, ვითარცა წინასწარმეტყუელნი გონიათ. ამის და ესევეითართა მოქმედნი დაიყენებიან პატრიაქთა და მეფეთაგან.

349. ქ. რამეთუ ოთხნი წიგნი არიან სასწავლნი კაცთათვის: პირველი არს რიცხუთა, მეორე—მუსიკი, რომელ არს სამგალობლო, მესამე—ქუეყნის აღრიცხვა და მეოთხე—ვარსკვლავთ-მრაცხველობა¹, რამეთუ ამის ყოვლისათვის სჯულის კანონი ბრძანებს, რომე ვი[ს]წავლოთ. არამედ ესრეთ ნუ ვირწმუნებთ, ვითარცა იგინი, რომელთა რწამთ საცთური ესე.

და ნურცა ავს საქმეზე მივიქცევით, არამედ ესრეთ ვიტყოდეთ, ვითარმედ იგინი ღ'თნ დაბადნა ჩვენთვის ქუეყანის მონებად. ნურცა ვმისნობთ ვარსკულავითა და ნუცა ამას ვიტყუით, ამ ეტლზე დავიბადენით, ამ ეტლით ეს საქმე შეგვემთხვევისო. ეს სიტყუა არა ჯერ არს.

სჯულის კანონი ამას იტყუის, რამეთუ ქვეყნის მრაცხველობა¹ და მუსიკობა ყოველთავე კადნიერად ვისწაოთ, რიცხუთა და ვარსკვლავთ მრაცხველობა¹ ჩვენგან შორს განვიოტოთ² და ნურც მივდევთ.

ქ. სჯული სამეფო

350. ქ. ვინცა ვინ მსხვერპლსა ზედა მისნობდენ, ჯმლითა განიპატიჯოს იგი. უკეთუ წავიდეს ვინმე მისანთანა³ და შეეხვეწოს ანუ საკითხავად მისცეს რამე, მისი საქონელი სამეფოდ წაიღონ და კაცი იგი შორს ექსორია ყონ.

351. ქ. ვინცა ვინ ქმნას მისნობა ანუ ვინმე აქამოს წამალი კაცსა თუ ღედაკაცსა სასიყუარულო, მისი საქონელი სამეფოდ წაიღონ და ის შორს გააგდონ, თუ მქონიერე იყოს*; თუ ღარიბი იყოს, თავი მოსჭრან.

¹ მრიცხველობა B. ² განვიოტოთ B. ³ მისთანა A.

* აქ წყდება A ხელნაწერის ტექსტი, აკლია ერთი ფურცელი (112—113 შორის), რომელიც აღუადგინეთ B ნუსხის (97წ—98წ) მიხედვით.

352. ქ. ვინცა ვინ ქმნას ბოზობა და ჭკუიანს კაცთან მივიდეს და ასეთი რამ უყოს მას, რომე ან ცოდვა აქნევიოს და ან მოწამლოს და მოკლას, ან იმასთან დიდის კაცის ცოლი ვინმე აცთუნოს, მას თავი მოეჭრას.

353. ქ. ყოველსა მისანსა და მწამლველსა მეფემან არა მარტო საქონელი წაართვას, არამედ სიცოცხლეც მოუღოს.

354. ქ. უკეთუ კაცი ხედვედეს, რომე თავისი ცოლი სწამლევდეს ან ამგვარს მწამლველობას და მისნობას სხვაზედ ირჯებოდეს, დედაკაცი თუ კაცი ერთმანერთს განეშორენ შეუღლებიან.

355. ქ. ვინცა ვინ შეატყუოს კაცსა წამლის მაგიერად საწამლავე, სიკუდილით მოკუედინ. და რომელმაც კაცმა საწამლავე გაუგზავნოს ვისმე, და უცოდინრობით წაიღოს და ასევე, იმასაც თავი მოეჭრას. ამისთვის, რატომ არ იკითხა, რა არის? ან რატომ გამკეთებელს არ წააღებინა?

356. ქ. ვინცა ვინ კაცმან ამგვარი წამალი მისცეს ვისმე, რომ გააგიჟოს, რაც საქონელი ჰქონდეს, გამოგროვას და იგი შორს ექსორია იქნას.

357. ქ. უკეთუ კაცმან არ იცოდეს, თუ ეს წამალი მავნებელი არის და დედაკაცს დასაორსულებელად მისცეს, და აწყინოს, და დედაკაცი იგი მოკლას, მისი საქონელი გამოგროვას და ის ექსორია იქმნას.

358. ქ. უკეთუ თავისმა ყმამ ან აზატნაქმარმა რასაც მიზეზით სასიკუდილო წამალი მისცეს ვისმე კაცსა თუ დედაკაცსა, ანუ ნასყიდმა ყმამ—თავის ქალბატონს, და იმ წამლით ავად გაჭდეს და მოკუდეს, წამლის მიმცემს და გამოგროვებს თავი მოეკუეთოს.

ეგრეთვე თუ დედაკაცმან თავის ქმარს მისცეს ამისთანა წამალი ან სხვას ვისმე, ან კაცმა თავის ცოლს მისცეს ან სხვას დედაკაცსა, და ან ნასყიდმა—თავის ქალბატონსა და იმ წამლისაგან ავად გაჭდეს და მოკუდეს, ვინც ის წამალი დააღვივნა კრმლით განიპატიჯოს.

მისთვის იტყუის ამას, ვინცა ვინ ქიშპობით და მტერობით ამას იქმან ან მალვით შეატყუებენ, დააღვივნებენ და მოკუდენ ვისმე, რომელმაც ესრეთ ქმნას, კრმლით იტანჯოს იგი.

კარგის აქიმისათვის ამას არ ეიტყუი, რომ კარგად სწამლობდეს ვინმე და ფათერაკად ვერ არგოს და მოკუდეს უნდომლად. მას ტანჯვა არ შეემთხვევა.

359. ქ. ვინცავინ საწამლავეთ კაცი მოკლას, ვინც ის წამალი მისცა, იგი, ვითარცა კაცის მკულელი, განიკითხონ.

360. ქ. ვინცავინ ნახოს ვინმე, რომ მისნობდეს ვინმე, და მის ალაგის უფროსს არ ზოაჯსენოს, მის მაგოერად იმ კაცს, რაც ჰქონდეს, სამეგოდ განოართვან და იგი ექსორია ყონ.

361. ქ. სამეოცდამეხუთე ბრძანება ლეონ ბრძნისა იტყუის ესრეთ: ვინცავინ ამგვარი კაცი გამოჩნდეს, რომე კაცის გვამის სასიძთელოდ მიზებითა ამგვარი საქმე უყონ, ავადმყოფს ულოცევენ სალხინებელად, ანუ ვინმე ხეთა ნაყოფთა მავნებელთათვის ულოცევენ, ანუ ვენაქისათვის, ანუ მკალისათვის ილოცევენ და გრძნებას იქმოდეს, ანუ, გარეთ რომ პირუტყუი დარჩეს, ნადირისაგან შეუქმელობისათვის გრძნება რამ ქნას, და ესეები ვისც შეაჩნიონ, ვითარცა მართლმადიდებელთა ქრისტეს სარწმუნოებ*-[113F]ისა უარისმყოფელი, ეგოეთ განიატიჯოს მღღელთმთავართა და მეფეთა მიერ.

ქ. სჯულის კანონი მოქალაქობრივი დამნაშავეთა კაცთა
შებრალებისათვის

362. ქ. უწყოდეთ, რამეთუ ძველსა სჯულსა შინა, ვისცა იპოვებდენ დიდსა დანაშაულსა შინა კაცსა, მაშინვე ბრძანებდენ, რომე მოკუდესო. მაგრამ¹ იუსტინიანე² კელმწიფე[მ] სჯულის კანონი წმიდად ნახა და ბძანა, რამეთუ რაოდენსა სატანჯველსა ბძანებს განწესება სჯულისა დამნაშავესა კაცსა ზედა, ის განწესება მანცა შეიწყნარა და ნება დართო, ესრეთ იქნასო, არამედ ერთრიგად ურიგოდ დაინახა იმავე წამს³ დამნაშავეს კაცის სიკუდილი და ესრეთ ბძანა:

როდისაც რომ გამოჩნდეს ამგვარად დამნაშავე კაცი, რომე თანამდები იყოს სიკუდილისა, ანუ ჩაქოლებისა, ანუ ცეცხლში ჩაწვისა, ანუ წყალში დარჩობისა⁴, ანუ ანძაზე აცემისა, ისმინე, მსაჯულო, მაშინვე ნურც თავს მოჰკუეთ და ნურცა რას ამ სატანჯველებს უზამთ. ეს რომ თქუას სჯულმა, რომე დამნაშავე კაცს თავი მოსჰკერ ანუ გასტანჯო, სჯულის კანონის ჰქუა ესრეთ არ ბრძანებს, რომ მაშინვე კაცი მოკალითო, არამედ ამას ბძანებს, ექსორია უყავითო ანუ საპრობილეში პურობილ ყუენითო, ანუ თვალი დასწვითო, ანუ ჰელი და ფევი ზოსჰკერთო, ანუ სხვა რამ სატანჯ-

¹ მაგრა A. ² იუსტინანე A. ³ წამის A. ⁴ ჩარჩობისა A.

* აქედან გრძელდება A ხელნაწერის ტექსტი.

ველი უყავითო უსიკუდილოთო, რათა იყოს მოსამართლისაგან გაპატიჯებული საჩუენებლად ყოველთა კაცთათვის, რათა სხვათაცა ამისთანა საქმე არა ქნანო. და იმ დამნაშავემ კაცმაც იცოცხლოს, რომე თავის სიცოცხლეში მისი ფამი სინანულით აღასრულოს, რომე მისი დანაშაული ღწნ შეუნდოს.

მოქალაქობის [113v] სჯული კაცთა სატანჯველად ესრეთ კაცთმოყუარე ექმნების, ამისაგან ჩვენ რატომ უფროსად არა გუმართებს, რომე კაცთა კაცთმოყუარე ვექმნათ, რომელნიც ვართ შეილნი ეკლესიისანი¹ და წმიდათა მამათ მიერ დამწყსნილნი, რამეთუ ესრეთ გვასწავებს ჩვენ. რათა გამოვიყუანდეთ კაცთა ქრისტიანეთა უსჯულოთა და მწვალებელთაგან და განვაშორებდეთ² წვალებასა მათსა.

ესრეთ წმიდათ მამათაგან გვისწავიეს დამნაშავისა და ცოდვილის კაცისათვის, რათა, რომელიცა შეგვიძლოსთ სინანულად მოუწოდოთ დამნაშავეთ კაცთა.

ხოლო უკეთუ ის ავნი კაცი არ მობრუნდენ ჩვენს სწავლაზედა და მცნება ჩვენი არა დაიშარხონ, მოსამართლენა მოქალაქობის სჯულითა მისცეს სატანჯველად.

ქ. სჯულისათვის სამი არს

363. ქ. სჯული არს მოქმედება კეთილისა საქმისა და საერთოდ ყოველთათვის დაბარებული, გონიერთა კაცთა მიერ სასწავლოდ დამკვიცებული, ცოდვილთა განმბარძნობელი, ქალაქთა კეთილისა საქმისა განმსწესებელი, და არს ღწისაგან პოვნილი.

364. ქ. დაბარებული სჯული არს, რათა კაცი ცხოვრებდეს პატიოსნად, და არა უატიოდ, და სხვას არას რას აწყენდეს უსამართლოდ; ვისაც რომ წას სიბართლით ენართოს, მისცემდეს [შდრ. მუხ. 12]*.

365. ქ. სიბრძნისა სჯული არს, რათა იცოდენ კაცთა იგი, რომელიცა ჯერ იყოს სამლო და საქაცობო, და იცოდეს სამართალი და უსამართლო [შდრ. მუხ. 13].

366. ქ. არს ვინმე, რომე იტყუიან, ვითარმედ სჯული ვიცითო. მართებულია, რომ იცოდეს არა მართო წერილი, არამედ ძალიცა მისი, და იქმოდესცა.

[114r] 367. ქ. ღვაწლის მოქმედებისა სჯული³ არს, რათა მსაჯული ეტყოდის ვისმე, რომე ესე ქენ, კარგია, და ამას ნუ იქ,

¹ ეკლესიისანი A. ² განვაშორებდეთ A. ³ საეროდ B. ⁴ რჯული A.

* შდრ. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ტიტ. I, § 3.

ავი არისო; ეს სარგებელია, ეს ქენო, და სხვათა დააყენებდეს ავის ქნად.

368. ქ. რომელიცა მოეწონოს მეფეთა და ბრძანოს სიტყუა; იგიცა სჯული არს. და რაც ბრძანოს მეფემან, იგიც მტკიცე უნდა იყოს, და იმას ეწოდების განწესება სჯულისა.

369. ქ. რათა მეფეთა შორის რომლისა საქმისათვის რომ ქართული იქნების, იმათ ვინცა ვინ შეკრებულნი ერნი ახლავან, მათთვისცა ჯერ არს, რათა მათცა ბძანება მათი დაამტკიცონ.

370. ქ. უკეთუ მეფესთან დამნაშავე კაცი ვინმე მივიდეს და მისის დანაშაულის პასუხი და სამართალი არ უყოს და შეუნდოს, რადგან¹ მეფემ შეუნდო, ერთთვისცა ჯერ არს, რათა მათცა ბძანება მათი დაამტკიცონ.

371. ქ. სჯული განწესებული არს კრებათაგან: უკეთუ უსამართლო და უსჯულო საქმე რამე ქნას მეფემან, იმანც უნდა თავისის დანაშაულის პასუხი მისცეს. და კათოლიკე სჯული არის იგი, რომელიცა მეფეთა ბძანეს და განაწესეს.

372. ქ. ერთის რისმე საქმისათვის რომე დაწერილი სამართალი არ იყოს, როზე კაცს იმისი სამართალი უყონ, მსაჯულთა², იმ ალაგის წესი რომელიც იყოს, ის უნდა იკითხონ³ და ის სამართალი უნდა უყონ⁴. იმ სამართალს ეწოდების სჯულის კანონის⁵ წაგიერი სამართალი.

373. ქ. უკეთუ მეფემან ბძანოს ვისმე ტანჯვა და გაპატიჯება, იასულნა⁶ ოცდაათს დღეს უნდა მოიცადოს, რომე, ვინ იცის, მეფემ კიდევ შეიწყლოს და აღარა გარდააქდევინოს.

[114v] 374. ქ. რა არს სასჯელი?⁷ სასჯელი⁷ იგი არს სიკუდილი და ექსორიობა და სხვა მსგავსი ამისი.

375. ქ. უკეთუ მამამ დააშაოს რანე, ის მისი დანაშაული მის შვილს არ ეკითხება, და არც მამა განიკითხვის შვილის დანაშაულისათვის, რანეთუ დანაშაული ერთს თავზედ იქნების, რომელიც დააშავებს, იმას გარდაქდების და არა სხვასა.

376. ქ. ვინცა ვინ რომ დააშაოს, წესი არა არს, რომ მაშინვე გარდააქდევინონ, ჳელები მოსჭრან ანუ ფეჭები, არამედ—ერთი ხოლო მე ვიტყუი გარდაქდევინებასა⁸ მსგავსად⁹ დანაშაულისა მისისა¹⁰.

¹ რადან AB. ² სჯულთა A. ³ იკითხოს AB. ⁴ უყოს AB. ⁵ კანონი A. ⁶ იასულნა A. ⁷ სჯული A. ⁸ გარდაქდევინებისა AB. ⁹ მსგავსად] + და A¹⁰ ამისაისა A.

უკეთუ იყოს კაცის ნკულელი ანუ ყაზახთა უფროსი, ანუ ცხადი ქურდი, ამათ ორივე მოეპრას ანუ თვალი მოსთხარეთ, ანუ გელი და ფევი მოსქერით, რომ სხვათა ნახონ და გაფრთხილდენ, რომე სხვანიც იმ ალაგს არავინ მივიდეს.

ქ. ზალვით თეთრის მოპრისათვის

377. ქ. ვინცავენ მეფეს გარეთ თეთრი მოსქრან ან ფლური, ან ფული, კარგის ვერცხლისა თუ ავისა, იმას ორივე გელები მოსქრან. და რომელმან იცოდეს, ეს თეთრი ზალვით მოპრილია, და ის თეთრი წაიღოს და ასაქმოს, იმას ერთი გელი მოსქრან.

378. ქ. იმას ზიანი ქვიან, რომ ერთმა კაცმა ერთს ქალაქში ზარაფხანაში ვერცხლი მოიტანოს და სხვა კაცი მივიდეს, ის ვერცხლი იყიდოს და სხვაგან წაიღოს. იმისი მქნელი, რომელმაც კაცმა მოსამართლეს მიუთხრას, მსილება იგი კეთილად შეიწყნაროს. და ვინც ქნა, ის რომე მოსამართლემ დიდად სტანჯოს, დიდად საქებელი იქნების.

ქ. ყოვლის კაცისა არა ჯერ არს საპყრობილის აშენება

379. [115r] ქ. წესი ანას ბინებს, რომე ყოველი კაცი ცალკე საპყრობილეს თავისთვის ნუ გააკეთებენ, რომე მოვალე¹ და ანუ სხვა კაცი მასშიგან დაატყუონ.

ვინცავენ რომ დამნაშავე კაცი დაიპიროს, ქუეყნის საპყრობილეში დააბან. რასაც ხანს ის კაცი თავის საპყრობილეში დაბმული ჰყუნდეს, ანუ ქუნდით, დიდი კაცი იყოს თუ ცოტა, მოსამართლემ დაიპიროს იმ კაცის დამბმელი² კაცი და სამეფოს საპყრობილეში შეაყენოს³, — რამდენიც ხანი მისმა დაბმულმა მის საპყრობილეში დაყოს, იმდენი ხანი მას დააყოფინოს საპყრობილეში⁴.

უკეთუ თავის საპყრობილეში რომ კაცი დააბან, იმასთან სასამართლო საქმე ქონდეს, ვალისა თუ რასაც ფერისა, თავის საპყრობილეში დაბმისათვის სამართალი დაეკარგება. თუ იმისთანას საქმის მოქმედსა მოსამართლემ ასრე არ უყოს, მოსამართლესა მას თავისი საქონელი მეფემ ყუელა წაართვას და იმას ექსორია უყოს.

380. ქ. ვინცავენ სამეფოს საპყრობილის უფროსი იყოს, და ვინცავენ მაშიგ პყრობილნი ყუნდეს, და მისგან ქრთამი აიღოს, და ის კაცნი არ დააბან ჯაჭვითა ანუ ქუნდითა და გაუშვან, ანუ

¹ მევალე AB. ² დაბნული AB. ³ შეიყუანოს A. ⁴ საპყრობილოშია A.

რომელმან ბორკილი გააღონ ან ჯაჭვი გატეხონ, იმ საპურობილეთ უფროსსა¹ თავი მოეპრას ანუ ექსორია ექმნას.

უკეთუ იმ საპურობილეთ უფროსის შეუტყობრათ და მის უნაღულელად პურობილნი კაცნი დაუბმელად, უტუნდოდ და უჯაკოდ დაეყენოს, ან პურობილმან თავისი თავი მოიწამლოს ანუ მახვილითა განიგუმიროს² უფროსის უნაღულელობითა, ის კაცი გააგღონ და უფროსად ნულარ დააყენებენ.

[115v] 381. ქ. ვინცავენი საპურობილით გაიპაროს, ჯაჭვი და ტუნდი გატეხოს და ან საპურობილე გატურიტოს, ან უფროსი მოატყუოს და გაიპაროს, თუ დაიჭირონ ის კაცი, თავი მოსჭრან. თუ ეს საქმეები მესაპურობილეთ უფროსის უნაღულელობით მოცდეს, მცირედ რასმე სტანჯონ.

ქ. კაცი სყიდულობდეს რასმე. მისის შეცილებისათვის

382. ქ. უკეთუ იყიდოს ვინმე დუქანი ანუ ფარჩა, ანუ სხვა რანე საქონელი, და მივიდეს სხვა კაცი და შეეცილოს, მუშთარი შეექნას, ნამეტნავე მისცეს, იმას გამოართოს და თვითან დაიჭიროს, ანუ მკერვალმან არ თავისი მკურვლობა გაუშვას და კიდევ სხვა საწელოც დაიჭიროს და ორსავე ტელოსნობდეს, ბრძანებითა მოურავისათა ამისთანას საქმის მოქმედს ძლიერად სცენ, გაკრიჭონ, ბაზარში შეარჯხენონ და ექსორია უყონ.

383. ქ. შედეათათვის ესრეთ ჯერ არს, რათა მოსაელის დროს ერთი სარწმუნო კაცი დააყენოს პურისა, ქერისა და ამისთანას მოსავალზედა, მართებულათ ბაზარში თუ სოფელში გაასყიდვინოს, და არა (ვირად.

უკეთუ იმ ქალაქის კაცი წავიდეს ვინმე, რასაც იმ ქალაქში პურს გასასყიდლად ზიდვენ, იმან სყიდულობა დაუწყოს³ და თავისთვის შენახუ, და ბაზარში გასასყიდლად აღარ ანებებდეს და ქუეყანას დაუხიანოს, ის კაცი დაიჭირონ, გაპარსონ, თუ რამ შეეკრიბოს. წაართოს და, უწინ როგორც სყიდულა, ისევ იყიდოს.

384. ქ. რომელმანცა კაცმან სხვის ცხვარი ერთს ალაგს შეამწყუდიოს ანუ წამალი რამე უყოს, დატოცოს, ანუ დამწყუდუღულნი⁴ შიმშილით ამოსწყდენ, ანუ სხვარიგად დატოცონ, ვინც ეს ქნას, ერთიორად პატრონისათვის მიაცემინოს მოსამართლემან.

[116r] 385. ქ. უკეთუ ელქაჯმა ჯარმა, ცხენმა⁵ ერთმანეთს შეუტეონ, ურჭინონ და ებრძოლონ, პირველად რომელმანც შე-

¹ უფროს A. ² განიგუმიროს A. ³ დაუწყონ A. ⁴ დამწყუდუღული A. ცუთარმან B.

უტიოს, და მეორემან ის პირველი შემტევებელი მოკლას, მისი პატრონისათვის ცუდად ჩაივლის.

უკეთუ რომელიმე პირუტყვი მიუზღდეს და დაჯოცოს სხვა პირუტყუი¹, რაც დაჯოცოს, მკუდრისათვის ცოცხალი მისცეს, ისიღ დაძვოცელნი. თუ პირუტყუმა კაცი მოკლას, იგიცა მოიკლას.

386 ქ. რომელიც პირუტყუი დაღალული არ იყოს და მალ-ვით სხვა დაღვედეს, სხვის მაგიერად ასაქმებდეს, მას ჯელი მოს-ჭრან.

ქ. სჯული

387. ქ. ვინცავინ მღდლის ცემა მოინდომოს, ანუ ებისკოპოზისა, ან სცეს და ან საცემრად მივიდეს, და არაჲნ მიუშვას, თორემ სცემდა, ის კაცი მეფისა მიერ ექსორია იქმნას და მისი საქონელი განუ-ყონ მათთან.

ქ. უნებურად კაცის კულისათვის

388. ქ. კაცის სიკუდილი მოსამართლემ კარგად უნდა გა-სინჯოს, ასე რომე, რომელმაც კაცი მოკლა, მისი სიკუდილი უნ-დოდა თუ არა, ანუ უკუდავად შემოკურა უნდოდა თუ არა². რომელსაც რომ კაცს კაცის სიკუდილი უნდა, იმას იარაღზე შეეტ-ყობა: თუ იარაღით შეკაზმულია, იმ კაცის სიკუდილი ნდომია. თუ იარაღით გამოჩნდეს, რომ კაცის სიკუდილი ნდომებია, ვითარცა ზემოთ სწერია [იხ. მუხ. 362], ესრეთ განიპატიჯოს.

ხოლო უკეთუ უნებურად მოუჭდა, ფათარაკად, და სიკუდილი არ უნდოდა, ხუთს წელიწადს ექსორია უყონ. ხუთს წელიწადს უკან ისევე მოიყუანონ და თავის მამულზე დააყენონ.

[116r] 389. ქ. რომელმანც თავისი ნათესაჲი მოკლას, მეფისა მიერ მკულელი იგი ცეცხლსა მიეცეს.

ქ. ცოლის დანიშვნისათვის

390. ქ. დანიშუნა ესე არს, რომე ორი კაცი შეიყრებიან და ერთმანეთს პირობას მისცემენ და ქალს ითხოვენ, და ნიშანს მის-ცემენ. მერმე ამ ორს კაცში, რომელმაც აღარ მოინდომოს მი-ცემა ან გამოართმევა, რაც რომ ნიშანი მიეცეს, ორი ზომი გამო-ერთვას და მისცენ,—ასი ფლური რომ მიეცეს, ასი სხვა გამოართ-ვან და ორასი ფლური მისცენ.

¹ პირუტყუი]+ დაჯოცოს A. ² თუ არა]—A.

ქ. ლეონ¹ ბრძნისა და კონსტანტინეს ბძანება

391. ქ. ერთმა კაცმა ცოლი დანიშნა², და ღედაკაცი თუ მოკუდეს, რაც მისთვის ნიშანი მიეტანოს, ისევე უნდა გამოართოს. და თუ ის კაცი ბერად შედგეს, თავისი ნიშანი ისევე მისცენ, ამისთვის რომე კარგს გზაზე წასულა.

ქ. კოცნისათვის

392. ქ. უკეთუ კაცმა თავის დანიშნულს ცოლს აკოცოს და ორისაგან ერთი მოკუდა, რაც რომ ნიშანი მიუტანია ქალისათვის³, მისი ნახევარი კოცნისათვის ქალს მიეცემა და ნახევარი იმავ კაცს მიეცეს⁴. უკეთუ კოცნა არ მოკლა და ისე მოკუდა⁵, თავისი ნიშანი ისევე უნდა წაიღოს.

ქ. რაზღენის საქმით გაყრა მოვლება დანიშნულთა

393. ქ. რომელიც რომ საცოლქროდ დაინიშნებიან, თუ ერთი მეორეზე ყმაწვილი იყოს, ის ნიშნობა მოიშლება, თავისი ნიშანი ისევე წაიღოს, ამისთვის რომე, სადამღი მოუცადოს ყმაწვილსა?

394. ქ. სხვისაგან თუ ორსული გამოდგეს, ის ნიშნობა მოიშლება.

[117r] 395. ქ. დანიშნული იგი ორისაგან ერთ-ერთი სხვის სარწმუნოებისა იყოს, დანიშუნა მოიშალოს.

396. ქ. უკეთუ იმ ალაგის ბატონმა, უფროსმა კაცმა, ძალად ქალი მისცეს ვისმე, იმ კაცს არ უნდოდეს დანიშუნა, როდისაც დროს იპოვნის, მათი ძალად დანიშუნა მოიშლებიან.

ქ. ლეონ¹ ბრძნისა მიერ თქმული

397. ქ. დანიშუნა მაშინ მოიშლება, რომე ორისაგან ერთი ეშმაკეულ იქმნას. თუ დანიშუნას უწინ შეემთხვევა ეს განსაცდელი, ნიშნობა მოიშლება.

ხოლო უკეთუ დანიშუნას უკან ეშმაკეულ იქმნას, სამს წელიწადს კაცმა ქალს მოუცადოს და ხუთს წელიწადს ქალმა კაცს მოუცადოს,—თუ მორჩინენ, დანიშუნა მოკდეს, თუ არადა ვერ მორჩინენ, იგინი გაიყარნენ და სხვა დაინიშნონ.

¹ ლეონ AB. ² დაინიშნა A. ³ ქალისათვი A, ქალსა B. ⁴ მოეცეს A. ⁵ და ისე მოკუდა]—A.

ქ. დიდის ათანასეს ალექსანდრიელისა

398. ქ. უკეთუ მართლა იცოდეს ვინმე, რომე სამღვდლონი კაცნი ბოზობდენ ანუ სხვას ცოდვას იქმოდენ, მათს საწირაეს ნუ დაიჭერენ და ნურც უზრახავენ, თუ ცოდვილია და მისგან წირვა არა ჯერ არსო, — ამას ნუ იტყუიან, ამისთვის, რომელიც იმას საწირაეს მისცემენ, იმ მღვდელს არ მისცემენ, არამედ ღმრთისა დასტურად: ის ხუცესი ცოდვილია, მაგრამე მისი წირვა — შენთვის, და შენი საწირავი შენთვის აღიწევს¹ წინაშე ღმრთისა.

და იმ მღვდელს თავისი შეცოდებისა და უღირსების პასუხი მიეცენის მართლმსაჯულის ღმრთისაგან. შენ მიეც და არ დაგეკარგება, მის საქმეს ნუ განიკითხავ.

[117v] ქ. ლეონ² ბრძნისა და კოსტანტინეს მიერ, ცოლქმარი რომ მონა იქნნას³

399. ქ. უკეთუ ქალი მონა იქმნას და კაცი კარგია, ესენი ცოლქრმობიდამ გაიყრებიან, და სანამდი ეს მონა დედაკაცი ცოცხალია⁴, ისევე ქმარმა უნდა შეინახოს საზრდოთი და საცმელითა.

400. ქ. უკეთუ მღვდელთმთავარმა ანუ სამღვდლომა კაცმა კაცს სცეს, სჯულიანსა ანუ უსჯულოსა კაცსა, მღვდლობისაგან დაეყენოს.

401. ქ. ვინცავინ ეკლესიასა შინა მალა გალობა თქუას, იგი თავის ბუნებას აღსძრავს, — ეკლესიიდან გააგდონ, ამისთვის რომე ღმრთისა სიმდაბლით ლოცვა უყვარს, და არა ყუიროლითა.

402. ქ. ამისი წესი არა არის, რომე მკუდარი ეკლესიასა შინა დაიმარხოს, რამეთუ ესე საქმე დაეყენა წმინდისა და სანატრელისა კიტრუს ებისკოპოზისა მიერ მეცხრეს თავის კანონსა შინა.

ქ. ლეონ² ბრძნისა და კოსტანტინეს მიერ თქმული ფიცისათვის

403. ქ. ფიცის ძალი ბძანება არს მოსამართლისა: ვინცავინ მოჩივარი იქნება, თუ ფიცს დასჯერდენ, სხვა სამართალი აღარა ექნებათ რა, უნდა დაიფიცონ და დასჯერდენ.

404. ქ. უკეთუ ვისმე სასამართლო ქონდეს, ან მოსამართლემ და ან თვითან ფიცი დაადვას⁵, როდისაც დაიფიცავს, ის სამართალი გარჯილი იქნება. მაგრამე მეასლაოთხე ბძანება ლეონ² ბრძნისა

¹ ილწვეს B. ² ლევან AB. ³ იქმან A. ⁴ ცოცხალია AB. ⁵ დაიდვას A.

ბანებს, რომე ხანი უნდა დააცალოს, რომე მოსამართლემ და-
მფიცებელს¹ ტყუილად არ დაიფიცოს.

405. ქ. ყრმათა ფიცი არ ეგების და არცა ჯერ არს..

ქ. ლეონ² და კოსტანტინე შეფეთა მიერ თქმული ფიცისათვის

406. ქ. უკეთუ ვინმე დაიფიცოს ტყუილად და მასუკან შე-
აზნდეს, რომ ტყუილად დაეფიცი[118r]ცოს, ენა მოსჭრან. და რო-
მელმან ტყუილად უმოწმა, მასცა ენა მოსჭრან. სხვა სჯულის კა-
ნონი ბანებს ზელის მოჭრასა, ამისთვის რომე ტყუილად სახარე-
ბას კელი რატომ მოკიდა.

407. ქ. ღთისა უშიშართა და აეთა კაცთა ფიცი წყალზედან
სწეიან.

408. ქ. ვინცა ვინ ტყუილად სახელი ღთისა დაიფიცოს, კაცი
იგი აპასნუ გონებს, თუ ღთს ის ტყუილი ფიცი დაიფიცოს.

409. ქ. უკეთუ სიმართლეთა გქონდეს, ფიცს მაშინც ვა-
ნეწორე.

410. ქ. ვინცა ვინ ტყუილად დაიფიცავს, იგი ღთსა უარყოფს.

ქ. კოსტანტინესი და ლეონ² ბრძნის მკუიდრობისათვის

411. ქ. ერთს კაცს რომ შეილი ყუანდეს და უმამოდ წაეი-
დეს, ცოლი შეერთოს, თავისის მამისაგან იმას სამკუიდრებელი არა
ზეცემა რა. უკეთუ ის კაცი მოკუდა და შეიღები დარჩა, იმათ
პაპისაგან ზეცემის სამკუიდრებელი.

ქ. პირუტყუთ სიკუდილისათვის

412. ქ. უკეთუ ვინმე ტყეში ხესა სჭრიდეს და ხე ჩამოვარ-
დეს და ჭარი მოკლას ანუ ვირი, ანუ სხვა რამე პირუტყუი, სუ-
ლისათვის სული მიეცეს.

413*. ქ. უკეთუ ხეს ვინმე სჭრიდეს და ცული ჩამოუარდეს,
არ იცოდეს და დაბლა პირუტყუი მოკლას, მის მაგიერად სხვა
უნდა მისცეს.

414*. ქ. უკეთუ ეამსა ნაყოფისასა ვენაწვი თუ ყანაში მახე
დაუდგას პატრონმა და ჩავარდეს ძალდი ან ღორი, ანუ სხვა რამ
პირუტყუი, პატრონისათვის ჩაივლის.

415. ქ. უკეთუ ვენაწვის კრეთაში ან მკის დროს, ანუ უმისოდ,
კაცსა ვისმე რჩომა შეუიღდეს ან წურვაშია, იმ მწყემსსა³ ოცდა-
ათი⁴ ჯოხი ეკრას და წანაწვდიც ზლოს.

¹ დაჰვიცებელს] + რომ A. ² ლეონ AB. ³ მწყემს A. ⁴ ოცდაათი A.

* ეს მუხლები B-ში ერთიმეორის ადგილზეა.

[118v] 416. ქ. უკეთუ ვენაჲში ანუ ყანაში, ანუ სხვის ალაგში ხე იდგეს რამე, რომ მისი ჩრდილი სხვის ვენაჲსა და ყანას ავნებდეს, იმ ხეს შტოები მოეჭრას.

ქ. რუს გაღებისათვის

417. ქ. ვინცა ვინ სხვის მიწაში რუ გაილოს და წყალი გაიყუანოს, იმ მიწის პატრონის დასტური უნდა ქონდეს და ისე გაილოს რუ¹. სამს წელიწადს იმ რუს გაღებისათვის უნდა ქირა მისცეს რუს გამღებმა მიწის პატრონსა.

სამს წლამდინ თუ ისევ გამოართვა, კარგია, და თუ არადა სამმა წელიწადმა გაიარა, მიწის პატრონი რუს ველარ მოშლის.

418. ქ. უკეთუ ვინმე სხვის მიწის სიახლოს ალაგისათვის ქირა მისცეს და რუ გაიღონ, რადგან² ქირას მისცემს, მისი მასალა—კირი, ქუა, ქუიზა—იმ მიწაში უნდა დაყაროს რუს გასაქმებლად, ვერ დაუშლის მიწის პატრონი.

¹ რუ] თუ A. ² რადღან AB.

სამართალი სომხური

(ქართული ვერსია)

სამართალი სომხური

შესავალი

[119v]* კ. ესე წიგნი არს ღიღის სომხეთისა სამართლის წიგნთა ზედან გადმოთარგმანებული და ეწოდების სახელად წიგნი¹ სამართლისა.

თუ იკითხავთ და შეტყობა გინდათ, თუ რომლის წიგნისაგან შეგვიკრებია, მოგახსენებთ, ანუ რომლის გვართ შევეკრიბეთ: პირველ რიგი ღ¹თისა რომ მისცა ღ²თნ მისეს პირველქმნილისა და მეორის რიგისაგან, და სხვათა თავაგან, და წმინდის სახარებისაგან, და ყოველთ წმინდათ წერილთაგან, ბევლთა და ახალთაგან, რამეთუ ჩვენ ასრე შევიძელით და დავწერეთ.

არათუ ჩვენ ამას მოგატყვენებთ, თუ ნურვინ ნურას შემატებთ, აწე² გუბეწეებით თქუნ. ყოველთა ღირსთა და² მკოდნეთა ფილასოფოსთა, რომე, თუ რამ ამასი ნაკლები იძოვნოთ, შეუმატეთ და გაასრულეთ.

ქრისტიანო ბრძენო⁴, შქადაგენო, მარტო ჩვენს თავს არ ვჩემებთ, ჩვენ ამის მეტი ვერ შევიძელით⁵. და ამასცა მოგახსენებთ⁶, რომ ზოგნი გვარნი ჩვენ დაგუძრახვენ, რომე არა აქუთ სამართალიო და წიგნი სამართლისაო, და მრავალნი იტყვიან: ჩვენ გვაქუსო, და იმათ არა აქუთო. ამას ესეთნი იტყვიან, რომე არა აქუთ ცოდნა და არც წაუყოთხავთ წერილიძველი, და არცა ახალი, და იტყუიან უცოდინარობით, და გუძრახვენ ცუდად⁷.

[სირიულ-რომაული სამართლის ქართული პერსია]

[120r] კ. რიგი კარგი და ტეშმარიტი უფალმან ღ¹თნ პირველითგანვე მისცა კაცსა, როგორც რომ წიგნმა პირველ დაბადებისამან გვაჩვენა ჩვენ რიგი, და დასწერა მოსემ: «და მისცაო ღ²თნო რიგი¹ ადამს იმ ხისა, რომ იყო სამოთხეში, მის ხილისა არაჭამა»². და არ შეინახა რიგი. მისგან ვისწავლეთ რიგიდამ გამსულელის გაწერომა, მას უბრძანა ღ³თნ, ადამს: «მაგიერად რომ სჭამე ხისა, რომლისა დაგარიგე უტბელობა, წყეულმცაა ქუეყანაზე ნაქმარი შენი. მიწა იყუ და მიწადამც იქცევი»³. და ასრე რიგიდამ გასულს გაურისხდა და გააგლო სამოთხისაგან, სარფლითა და შეჭირებით ყო ქუეყანასა.

რომელი დაიბადა ადამისაგან სეთი⁴, სეთისაგან—ენოს ნოემლი, ნოემისაგან⁵—სემ, რიგით—აბრამამდინ; აბრამისაგან; დაიბადა ისაკ ხარებოთა ღ⁶თისათა, ისაკისაგან—იაკობ, იაკობისაგან ათორმეტნი—მამალმთავარნი¹⁰. ამათა ქნეს ღ⁷თის

¹ სახელად წიგნი] სახელი A. ² აწე]—A. ³ და]—A. ⁴ ბრძენო A. ⁵ შევიძელით A. ⁶ მოგახსენებთ A. ⁷ რიგი]—A. ⁸ სეთი]— და A. ⁹ ნოემისგან A. ¹⁰ თორმეტი A.

* ხელნაწერის 119r-ზე ტექსტი არ არის.

** აქამდე შესავალი ვახტანგის საკოდინოფიციო კომისიას ეკუთვნის.

*** შესაქმნთა, ვ.ვ. **** იქვე, 3, 1119.

რიგი, მოსაწონი ყოველთაგან, და¹ დაპატრონეს მამათ-თვისნი² შვილნი საპატრონოსა და ქონებასა მათსა, როგორც დალოცა ნოემ ძენი მისნი³ და მისცა დაპატრონება, და ახრამ დაპატრონა ბრძანებითა ღმრთისათა, ქონება და საპატრონო თვისი მისცა ისაკს, და მუახლეთაგან ნაშობი ისმაილ ღმრთის საქმით გაგდო და გააშორა დაპატრონებასა და საპატრონოსა⁴. და როგორც ისაკ დაპატრონდა, ისრუ ზნ იაკობ დაპატრონა, და იაკობ სიკუდილის დღეს ეგვიპტეს, სიკვიმს, დაპატრონა და შვილი მისი, და რომ თქუა ესებ, კლპითა და შშვილდ-ისრით დამიქონებიაო.

და ამათგან დარჩა⁵ რიგი დაპატრონებისა თავ-თავის საქონელზედა⁷ [120r] მათთა შვილთა, და ესე კაისა და შვენიერის საქმისა და რიგისაგან⁶ აიღეს ყოველთა გვართა რიგი დაპატრონების ქონებისა მათისა მათთა შვილთა. მაგრამ, თუ არა ყუანდესთ ვისაც შვილი, დაპატრონდენ, ვინც უნდოდესთ.

გვართა და ნათესავთაგან⁹ თუ სხვას რიგს სხვასა და სხვას აურევდენ, და ამ რიგზე და ამის ჩვეულობაზე სწორედ მიდიოდნენ, მანამდი უფალ-მან ჩვენმან იესო ქრისტემ აიღო ჯორცი მამისა ბძანებით წმინდის ქალწულისაგან, მამის ნებითა შეიქნა კაცი დაქსნისა დაკარგულთათვის შვილთა კაცთათვის და სახარების ქადაგებითა მისცა რიგი შვენიერი, კაი და უკუდავი მონასტერსა თვისსა, და წმინდით ეკლესიითა მისით აღადგინა პელმწიფე მართლად თაყუანისმცემელი, ტახტი თითან დააპურობინა და მისცა გულისყური და რჯული ტეშმარიტი, რომ დამორჩილდენ ყოველნი. ეო გვარნი წესსა რიგისასა ქრისტესსა. და იმით დაამტკიცეს პელმწიფობა მათი.

და აბა, ყოველთა გვართა, რომელთაცა¹⁰ ინდომეს რიგით გარიგება და მოსესგან აიღეს რიგი, და ეს საქმე დადევს სხვადასხვა ქალაქთა და დროთა, მათში რომ გამოჩნდა ფილასოფოსანი, დაემსგავსნენ ისრაელთა¹¹, რომელნი გარიგებდენ რიგითა ღმრთისათა. და ამათგან წინათ არვის ქონდათ წიგნი და სიტყუა მოსეს წინათ. და მოსე მათგან უწინ იყო, რიგით რომ მისცა მას ღმრთის. ყოველთა ბრძენთა და ფილასოფოსთა ელინელთა და ათინელთა, ჰრომელთა¹² და ეგვიპტელთა. და [121r] მიუცა პატვიი და რიგი ღმრთისა პელთა მისესა ისრაელთა, რომ რიგით გარიგდენ.

და სხვათა გვართა კაი შემურდებოდათ — საქალაქის რიგის კარგად გარიგება — მანაჰლის¹³ მოსულა იქნებოდა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი¹⁴, რომე ურგებულ ქნა¹⁵ და დაამეულა რიგი მოსესი მისის წმინდის სახარებითა და დაუძახა¹⁶ ისრაელთა¹⁷ სახარებითა რიგი თავისი, რომელთა იწამეს.

ნეტარ არიან დიდებულნი¹⁸ პელმწიფენი, და¹⁹ დაამტკიცა დიდმან კელმწიფემ კოსტანტინემ²⁰, და მოგუცა რიგი ესე.

¹ და]—A. ² თვისანი]—A. ³ ძენი მისნი] შვილები თვისი A. ⁴ და საპატრონოსა]—A. ⁵ ესე]—A. ⁶ დარჩია A. ⁷ საქონლისა A. ⁸ საქმისა და რიგისაგან] საქმისაგან A. ⁹ გვართა და ნათესავთაგან] და გვარნი A. ¹⁰ რომელიც A. ¹¹ ისრაელთა A. ¹² ჰრომელთა] რომელთა A. ¹³ მანაჰლის A. ¹⁴ იესო ქრისტესი]—A. ¹⁵ იქნა A. ¹⁶ დაუძახა] უწოდა B. ¹⁷ ისრაელთა A. ¹⁸ დიდებულნი] და დიდებულ A. ¹⁹ და]—A. ²⁰ კოსტანტინემ A.

ქ. თავი პირველი, ერთი

1. ქ. რიგი და სამართალი ცისა.

ვინგინდავინ მიიცვალოს და არ დასწეროს ანდერძი, და დარჩეს შვილი, ძე და ასული, რაერთად იყუნენ და-ძმანი, სწორად ეპატრონებოდენ ქონებასა მამისა მისისასა, და ასულსა მისცეს თავთავისი წილი.

და თუ დასწეროს მამამან ანდერძი და ყოს უფროსად, რომელიც ნებევდეს, და დააპატრონოს¹ მამულსა და ქონებასა მისსა--და ვაჟთა მისცენ ქონებისაგან ორი წილი, და ქალს ერთი წილი. და თუ უნდოდეს ნამეტნავის მიცემა შვილისა რომლისაცა, შეუცლია მიცემა. და რომელსაცა არა ყუანდეს ვაჟი და დარჩეს ქალი, დაპატრონდეს ქონებასა მამისასა.

და ვინგინდავინ მიიცვალოს უშვილოდ, არც დარჩეს ქალი და არც ვაჟი, სიკუდილის დღეს ვინც დააპატრონოს ანდერძით, მართებულად შეუცლია. [121v] ვინც ანაზღვეულ სიკუდილით მიიცვალოს უანდერძოთ, რომ არ დარჩეს შვილი, ქონებასა მისსა ეპატრონოს მამა. თუ არა ყუანდეს მამა ცოცხალი, ეპატრონოს ძმა და და, ორნივ. თუ დედა ცოცხალი ყუანდეს, მასაც შვილთან სწორედ ქონდეს პატრონობა.

ქ. თავი ორი

2. ქ. ვინ მიიცვალოს ანაზღვეულად უანდერძოდ, კაცი უდღემამო, და არც დარჩეს შვილი, და ყუანდეს მამის ძმები, ისინი დაპატრონდენ. თუ არა ყუანდეს მამის ძმები, დაპატრონდეს დისწულები; ვაჟნი. და თუ არც ის ყუანდეს, დაპატრონდეს მამის დის შვილი ვაჟი²; და თუ არ იყოს ვაჟი, ქალი დაპატრონდეს³.

ქ. თავი სამი

3. ქ. კითხონ რიგსა, თუ ყმაწვილობიდან რა ხნისას მართებს ანდერძის თქმა და უთქმელობა, რამდენის წლისა იყოს, რომ დაეწერიანებოდეს ანდერძი?

ქალი თორმეტ წლამდინ ებისკობოზთა ჯელთა არის, არ მართებს ანდერძის თქმა. რა თორმეტის წლისა უჟურო შეიქნების, გა-

¹ დაპატრონოს A. ² და თუ არც ის ყუანდეს, დაპატრონდეს მამის დის-შვილი ვაჟი—A. ³ დააპატრონდეს A.

ზოვა ებისკოპოზის კელქვედამე და მასუკან მართებს და შეუძლია ანდერძის თქმა და დიათიკი¹.

ვაგი თოთხმეტ წლამდინ უფროსის ბძანებასა ქვეშე[ა]-მაგრამ, რომელი რომ დააყენოს კელმწიფემ თავის ობოლთა და² საქონელთა გამძლოლად, რომელნი მოქადაგენი, ეფისკოპოზნი და სხვანი ვინგინდავინ ერისკაცნი, ბძანებითა კელმწიფისათა, რა შეიქნების კაცი თხუთხმეტის წლისა, გამოვა მათთა [122r] კელქუეიდამ და კაცობაში შევა, მასუკან მართებს და შეუძლია ანდერძის თქმა.

ქ. თავი ოთხი

4. ქ. წინა პირველს რიგში და სამართლის კანონში დავწერეთ სწორედ დაპატრონება ქალ-ვაჟისა რომლისამე [იხ. ზეზლ. 1].

მიიცვალოს როს მამა ვისიცი უანდერძოთ, არც დარჩეს ქალი და არც ვაგი, შორეული ნათესავნი და ნათესავთა შვილნი ვერ ეპატრონენ; მამის ძმა და ძმა და შვილნი მათნი ეპატრონონ, დედანი და ცოლნი მათნი—ამას ბრძანებს რიგი: სძებნონ წმინდით თესლით ნაკოფი, და რომელიც უფრო ახლო ეყოდეს, ის დააპატრონოს კელმწიფემ და ნულარას დაუწყებს თავსა ბრალობასა.

თუ არ ყუანდეს და ამოვარდნოდეს ნათესავი, ახლო³ მეყუისი მამისა, წადგეს ახლო ნათესავი დედისა მისისა. და ვინგინდავინ მიიცვალოს და ყუანდეს მამა ცოცხალი, არა მართებს ანდერძისა თქმა. თუ შვილიც რომ დარჩეს, ამიტომ რომ, რა მამა ცოცხალი ყუანდეს, მისი შვილიც მის კელქვეითი⁴ არის, და ანუ შვილმან რაც მოიგოს, საქონელი თუ სახლი და ან საქვლო, რადგან მამა ცოცხალი ყავს, ვისთვიც მამას უნდა, დარჩეს მას.

ქ. თავი ხუთი

5. ქ. ვინ მიიცვალოს სიძე ვისიცი, და თუ მიცვალებულის ცოლის მამამ მონიდომოს ქალისა და ქალის შვილების შენახვა, უნდა: მისცეს თავდები მეფესა და [122v] აილოს ბძანებითა შენახვისა პატრონობა—და მიეზაროს. და თუ იმავ მიცვალებულმა ანდერძით თავისი ობლები ვისაც სახელდობივ მიზაროს, იმას მართებს მოვლა და არ ეთხოება მას კაცს, ანდერძით ვისთვის მამას ობოლთასა მიუზარებია, თავდები.

¹ ტიათიკი A. ² და]—A. ³ ახლო A. ⁴ კელქუეითი A.

და თუ არა ქნას ანდერძი, და დარჩეს შვილი და იყოს იგი წლისა ოცდახუთისა, მას მართებს გაძლოლა და პატრონობა. და თუ ყმაწვილი იყოს და იმ ხნისა არ იყოს, რა რიგადაც ამას ზემოთ სწერია [იხ. მუხლ. 3],—რომვერ ქნას ანდერძი მან კაცმან და ყუანდეს ძმა, რიგი სამართლისა უბრძანებს გაძლოლასა ობოლთასა, როგორც მართებულა; თუ არა ყუანდეს ძმა და ძმისწული, ასეთი რომე გაძლოლა არ შეეძლოს, მამის ძმამ და მამის ძმის შვილმან უპატრონოს ობოლთა.

კიდევ იმავე მიცვალებულს არა ყუანდეს ძმა და ძმისწული¹, არც შვილი კაცობაში შესული და არც დაეწეროს ანდერძი, და იკისროს მან კაცის ცოლმან თავის თავის გაძლოლა და ობოლთა. პატრონობა, მართებს მას დედაკაცსა მისულა მოსამართლესთან წინაშე მოკსენებად პირობისა, რომ აღარ შეირთოს ქმარი, სანამდინ გაზდიდეს ობოლთა.

თუ ვერ იკისროს, ამგვარად ბრძანებს რიგი სამართლისა: ვინგინდავინ იყოს ქალაქთა ზედან უფროსად დადგინებული, მან დააყენოს თავს გასასინჯავად, ნახვად ობოლთა, და მისცენ ფასი, რაც ერგებოდეს. რომელმან იკისროს, მას ერთსა კაცსა, სამართალია, გამოართვან თავდები და შეუნახეინონ² მამული და საქონელი შეუშლელად მათ ობოლთა და იგინიც [12ჰრ] დააზღვეინონ.

და თუ ქნას კაცმან მან ანდერძი და სახელდობით ვისაც მი-
აბაროს შვილი და ქონება მისი, მას თავდები არ ეთხოვბის, რადგან მიცვალებულს თავის ნებაყოფლობით მიუბარებია.

ქ. თავი ექუსი

6. ქ. უმორჩილობა³ შვილთა. ვისაც ყუანდეს შვილები და შევიდნენ კაცობაში, და არ მორჩილობდენ მამასა, და მოინდომოს გაყენება მამამან მის ქონებისაგან, მას კელი შესწევს და შეძლებდ აქუს ქონებასა მისაზე: იგი უნდა მისცეს მას, უარმიოს შვილსა, ცხრა წილიდამ ერთი წილი. იგი მართებს ასრე: სულადთა⁴ ოთხი წილიდამ ერთი წილი ცხრად გაყონ, მეცხრე წილი მისცენ მას შვილსა, მამის ურჩსა, ვაჟი იყოს თუ ქალი.

ვინ გაიშოროს ურჩი შვილი თავისგან და იგი მიიცვალოს, და ანდერძით ვინგინდავინ დააპატრონოს ქონებასა მისსა, ნუვინ სძრახავთ მას კაცსა — ამისთანანი არიან, რომ აღარ ღირსან, მა-

¹ ძისწული A. ² შინახეინონ A. ³ მორჩილობა A. ⁴ სულადთა] + და სართავან ასრე მისცენ: გაყონ ოთხ წილად B.

მასა და მამის ქონებასაც გარდააგებენ; ამისთანას შვილის მიუცემლობა დაპატრონებისა¹ შეუძლია მამასა—ვინცა მისცეს შვილსა, იმრიგისა, იქნების იგი კაცი სამრახავი ნათესავეთაგან.

ქ. თავი შვილი

7. ქ. თუ ვინ ქნას ანდერძი და არ ინდომონ გათავება მისი ვინცა, ნუ ჯელჰყოფენ და არცავეის ძალუც ანდერძისა მის გატეხა.

[123v] ქ. თავი რვა

8. ქ. ვის ებაროს მონასტრის საქონელი და იყოს მისის შესავლის² სახლთხუცესი, რომ პყრობდეს ჳელი მისი წინგამძლოლი იგი, იმან მოინდომოს გასასყილად და დასახარჯავად რაგინდარა, ან საბატონოდ მიცემა, ან ვალად, ან ვალში მისაცემად, არ შეუძლია, თუ არ ნება-ბრძანებით მოსამართლისათა: მოაჳსენონ უფროსთა და მოსამართლეს და ბრძანებითა მათითა გაყიდონ ზომიერად, არა თუმცა ნამეტნავად.

ქ. თავი ცხრა

9. ქ. ვინგინდავინ გაგზავნოს ნიშანი და ნიშნობა გარდიჳადონ, ვისაც დაუნიშნონ, თუ შვილი იყოს, და თუ ვაჳისა და ქალისა შვილი იყოს, პაპასა და მამას შეუძლია მათ სიცოცხლეში გამორთმევა ნიშნისა.

და თუ ვაჳს მამა ცოცხალი არ ყუანდეს, არ გამოერთმეოდეს ამიტომ რომ იმ მიცვალებულის ვაჳის წილი ის ყოფილა.

ქ. თავი ათი

10. ქ. ისივ ნიშნობის საიდუმლო. კიდევ ვინგინდავინ ნიშანი გაგზავნოს და დაწეროს წიგნათ დამტკიცებითა, დრო გავიდეს და არ მოჳდეს, ჩისი არ არის მართებული, რომე სხვათა სიტყუით გამოართვას.

და თუ მამამ ვაჳისამან სიკუდილის დდეს უანდერძოს ვაჳსა თუ ქალსა გამორთმევა³ მის ნიშნისა, —[124r] და თუ ან ვაჳსა და ან ქალს გამოერთვას ნიშანი.

ქ. თავი თერთმეტი

11. ქ. თუ ვინმე თავის ქონებისა, რისაც მქონე იყოს, დაწეროს ღიათიკი, ვისაც მისცეს სამკუილროდ, ბრძანებს რიგი სა-

¹ დაპატრონებისა] და უპატრონება A. ² მისის შესავლის] და შესავლის მისის წინგამძლოლი B. ³ გამორთმევა] გამოერთვას A.

მართლისა: ცხრამდინ გაუშვან; ოთხიდამ—ერთი კიდევ, ვისთინაც დიათიკი უქნია, სამი,—ვისაც მართებდეს ქონებისა მისისა დაპატრონება.

ქ. თავი თორმეტი

12. ქ. ვინ შეირთოს ცოლი ორი მზითვით მისული, წინამ მიიტანოს მზითვეი და უკანამ არა, დარჩეს შეილი ორისაგანვე, თუ ინდომოს მამამ ორისა ცოლის ნაყოფი, სწორედ მისცეს პატრონობა, ჳელი შესწევს მიცემად—ერთამ უცხოსათვის მიუცია. არ უნდა თქუას წინას ცოლის შეილმან, თუ ზითვეი დედის ჩემისა არის:ა.

და თუ მამა მათი მიიცვალოს და სიცოცხლეში ასრე არ გაუზრიგოს, და ან ანდერძი არა ქნას, რომლისაც შეილის დედის მოტანილი იყოს, იმის შეილს დარჩეს ზითვეი თავის დედისა.

ქ. თავი ცამეტი

13. ქ. ვისაც კაცს ყუანდეს ქალი და არა ვაგი, და რომ ყოლოდეს ვაგნი და დატოვოდეს, და ქალნი დათხოვილნი ყუანდეს და შეილის პატრონნი შექნილიყუნენ, და თვითან ქალნი მის კაცისა მიცვალებულიყუნენ, ქალთან შეილი დარჩომოდეს, ქნას დიათიკი და დაპატრონოს ქალის შეილი ქონებასა მისისა—შეუძლია მართებულად, როგორც უნდა.

და თუ ყუანდეს ან ძმა და ძმისწული, ვერ ცც[124v]ილონ, რადგან დიათიკით მიუცია.

და თუ მიიცვალოს უანდერძოთ, დაპატრონდეს¹ ძმა მამისა და მამის ძმიშვილი². თუ მამის მისის ნათესავენი მიცულილიყუნენ, ისევე ის ქალიშვილნი დაპატრონდენ. თუ იგინიცა არ იყუნენ, დისწულეები დაპატრონდენ.

და თუ მიცვალებულსა ყუელას ნათესავიდამ³ ცოცხალი იყუნენ, სიკუდილის დღეს უკან წადგნენ, ყუელამ მოინდომოს დაპატრონება.

მავრამ სანამდინ არიან კაცნი ცოცხალნი, დედაკაცისაგან არ არის მართებული დაპატრონებისა. და თუ არ იყუნენ კაცნი, მართებთ დაპატრონება ქალთა.

ქ. თავი თოთხმეტი

14. ქ. კაცსა, ვისაც თუ უნდოდეს სახლთა სყიდვა, ანუ ყმათა, ანუ სხვათა, რათა რომ გამსყიდველი ყიდდეს, და აილონ საყოფნი³ მათნი, ბე არ მისცენ, და ფასი რომ მოაწონონ ერთმანეთსა, და

¹ დაპატრონდეს+ ძმა და დისწული და თუ არ ყუანდეს, დაპატრონდეს B. ² ნათესავიდმან A. ³ ნყოფნი B.

ვერ მისცენ ფასი და საქმით გარდასწყვიტონ, ბძანებს რიგი სამართლისა: არ შეუძლიან გასყიდვა სხვაზედ, სანამდის არ მივიღეს მასთან, რომელსაც უწინ აძლევდა, და მისგან დასტური და წიგნი სახელდობით არ აიღოს; და თუ აიღოს წიგნი დასტურისა, მასუკან შეუძლია მისყიდვა, ვიზედაც უნდა¹.

ქ. თავი თხუთმეტი

15. ქ. თუ ვინც უყოს აზატი შეილსა მისსა და ანუ შეილი-შეილსა მისსა, მართებს დაწერა წიგნისა აზატობისა მათთვის. აზატობისა წიგნი მოსამა[125r]რთლეთა² მოუწონონ მათ, რომ მორჩილობა გასინჯონ. და ამისთვის უყონ აზატი მათ, იმ მორჩილობით თავისითა ტანშემძლებელ წინა მოსამართლეთასა, — მართებთ მიცემა, და შეიქნენ შეილნი მისნი აზატნი. მასუკან აღარ შეუძლიათ დაპატრონება და მამისა მიახლოება. და იყოს ყოველის მისის დაპატრონებისაგან შორს სიციცხლეში თუ სიკუდილში.

რადგან უყო აზატი მოსამართლეთა წინაშე, აზატობას უკან აღარ შეუძლია ანდერძის დაწერა მამას სხვათათვის — სიკუდილს უკან დაპატრონდენ შეილნი მისნი, თუ ვაენი თუ ქალნი, და რადგან აზატნი იქნენ ჩამისა სიციცხლეში, მამის მორჩილობისაგან³ განსული იქნენ.

ქ. თავი თექუსმეტი

16. ქ. ვინ ქნას ანდერძი, თუ ავადმყოფმან, თუ კარგადმყოფმან, და ინდომოს აზატი ყმისა თვისისა, თუ ერთია და ან ორი, შეუძლია აზატი ყმისა თვისისა. და თუ სამია, ორი გაუშვან; და თუ შეიღია და თხუთმეტი, მართებს ნახევრისა გაშვება; თხუთმეტიდამ ოცდაათამდინ მესამედი გაუშვან; და ოცდაათიდამ ასამდინ მეოთხედი შეუძლია, რომ გაუშვან.

თუ ამისგან უფრო აზატი ქნას, რაც ამ წიგნში სწერია, დარჩეს შეპატრონეთ. თუ ანდერძი დაწეროს სულ ერთპირად თავის ყმისა, რომ აზატი მიქნია და გაუშვითო, რომელმანც ესე ასრე ქნას, ერთპირ აზატობისათვის ერთპირ დარჩეს შეპატრონესთა.

[125v] ქ. თავი ჩვიდმეტი

17. ქ. თუ ვინც უყოს აზატი თავის ყმასა, რიგი ასრეა: უნდა წავიღეს, ებისკოპოზთა და⁴ მღვდელთა წინაშე უყოს აზატი, რომ

¹ უნდა] — A. ² აზატობისა მათთვის. აზატობის წიგნი მოსამართლეთა მათთვის აზატობისა წინა მოსამართლეთასა და B. ³ მორჩილობისა: გნ A. ⁴ ებისკოპოზთა და] ებისკოპოზთან A.

იყოს იმავ თემის ებისკოპოზი და მღვდელი მასთან, როგორც რომ უბრძანებია დიდსა ჳელმწიფეს კოსტანტინესა.

ქ. თავი თურამეტა

18. რომელმანცა უყოს ყმასა თვისსა აზატი ქონებით, რადგან ქონებით უყოს აზატი, სახელდობით, რაც რამ ქონდეს, აზატობის წიგნში უნდა დაუწეროს.

თუ არ დაუწეროს სახელდობივ ქონება¹, ყმას უკან რომ მიიყვალოს პატრონი მისი, გამოართვან მას, აზატნაქნარს ყმას, ქონება და დაპატრონდეს მის აზატის მქნელის შვილი.

ქ. თავი ცხრაშეტი

19. ქ. თუ ვინც უყოს აზატი ყმასა თვისსა, მასვე შეუძლია ისრევ დაქერა და აზატობის შეშლა თუ არა?²

მიგება სიტყუისა: თუ წამოაყენოს ამისთანა მოწამე, რომ შეეგინებინოს და ურიგო ეთქუას, ამისთანას მოწმით მოაამართლეთა წინაშე შეუძლია, რომ ისევ დაპატრონდეს.

ქ. თავი ოცი

20. ქ. თუ ვინც უყოს აზატი ყმასა თვისსა, შეუძლია თავისის მიცემულის სამკუილროს მამულისა და ქონების მიცემა თუ გამორთმევა?

მიგება სიტყუისა: ბა[126F]ნებს რიგი, — თუ მიუძღვის სამსახური, მართებს ქნა.

ქ. თავი ოცდაერთი

21. ქ. ვინც იყიდოს ყმა ამ პირით, რომ არც იყოს გამმარავი და იყოს კაის გულისა³, მასუკან ეს მართებს გამსყიდველსა: დაუდვას ბორჯალი ექუსის თვისა, რომ მან მსყიდველმან გასინჯოს, სცადოს იმ ექუს თვეში.

თუ რამ სიავე უპოვნოს მას ყმასა, მსყიდველს რიგის სამართლით შეუძლია შებრუნება და გამორთმევა ფასისა, რაც რომ მიუცია.

თუ ექუს თვეში გაეპაროს, მსყიდველს მართებს, რომ სძებნოს და იპოვნოს, და მისცეს გამამცემსა. აბა, მასუკან უნდა გამოართვას თავისი მინაცემი.

¹ ქონება] ÷ რისაც მქონებელია B. ² თუ არა] თვარა A. ³ გულისა] ÷ უავრიგო B.

ქ. თავი ოცდამეორე

22. ქ. ვინც გაყიდოს ყმა პირობით, თუ გათავადეს პირობა, — კარგია; და თუ არადა, მასუკან აღარ შეუძლია მსყიდველსა შებრუნება პატრონზე.

მაგრამ თუ შეეცყოს¹, რომე ბნედა სჭირს მას კაცსა, ამ საქმით, რადგან იმ ჳირის პატრონია, შეებრუნება, და კიდევ უნდა შეუბრუნონ პატრონთ.

ქ. თავი ოცდასამი

23. ქ. ვინც რაც უბრძანოს ყმასა მისსა სადაც მის მაგიერად ლაპარაკი და სამართლის ქნა, რისაც არა აქუს ბრძანება რიგისაგან, რომ ყმამ ილაპარაკოს და ან ქნას სამართალი ბატონის მსგავსად, ყმასა არა აქუს. [1264] ძეძღება შესწორებით ბატონისა.

ქ. თავი ოცდაოთხი

24. ქ. კაცმან, ვინც ინდომოს გაპარული მოსამსახურე შეინახოს, თუ იცის, რომ მოსამსახურეა, ბწანებს რიგი სამართლისა: ვინც ეს ქნას, მასუკან რომ იპოოს პატრონმა², თავის მოსამსახურის მაგიერად უნდა წასწიოს მოსამართლისა წინაშე იგი კაცი — მას გამოერთვას და შემკვიდრეს პატრონს თავისი ყმა მიეცეს*.

ქ. თავი ოცდახუთი

25. ქ. რომელმან შეინახოს სხვათა მოსამსახურე³, მოლაშქრე რომ არ იყოს იმისი და⁴ სწერია სხვათა სამდივნოს წიგნშია, და იცის სხვათა თავადთა გაზდილია, და არ გააბრუნა თავისგან და სხვათა შეუმატა თავის ჯარსა, გაილახოს ჳელმწიფეთაგან იგი თავადი.

ქ. თავი ოცდაექუსი

26. ქ. რომელმან გაყიდოს და ანუ იყიდოს რაგინდარა სასწრაფოთ რიმონით ესე ასრე, მასუკან გამოართმევა მოინდომოს, ბრძანებს რიგი: ორი ზომა შეუბრუნოს და, აბა, გამოართვას:

ქ. თავი ოცდაშვიდი

27. ქ. ყმამ და მოსამსახურემ რომ მოინდომოს რისაც სყიდვა, პატრონის მისის ბრძანებით შეუძლია, რომ იყიდოს.

¹ შეეცყოს A. ² პატრონმა + მას კაცთან იმ პატრონმა B. ³ მოსამსახურე მსახური B. ⁴ და — A.

* „და ნემკვიდრეს პატრონა თავისი ყმა მიეცეს“ მიწერილია სხვა ხელით.

ქ. თავი ოცდარვა

28. ქ. არ მისცემს რიგი სამართლისა, რომ ვინმე მოკლას თავისი ყმა და მოსა[127r]მსახურე თავისის ქელითა. თუ დააშავა ყმამ და ქნა სასიკუდილო საქმე, უნდა მიაართვან ქელმწიფესა და მან უყოს დანაშაულის ჯაზა.

ქ. თავი ოცდაცხრა

29. ქ. კარისკაცი, ასეთი, რომ არა აქუს ზბანება ქელმწიფისა და მოსამართლისა, და მოკლას კაცი ან ქურდი, ანუ კაცის მკულელი, — იმისთანა კაცი მოიკლას ქელმწიფის ქელით, ამიტომ, თავისთავად რატომ უქნია?

ქ. თავი ოცდაათი

30. ქ. ვინც უყოს აზატი თავის ყმასა პირობის დადებით, რომ ამდენს წელიწადს უკან იყოს აზატიო, უნდა შეატყობინოს შეილსა და ან სხვათა დამაპატრონებელთა, რომე ამდენს წელიწადს კიდევ გემსახუროსო. აზატობას უკან ბზანება აქუს რიგისაგან, რომ, როგორც თავის თავის ქელთმქონე, იგიც ისრე იყოს.

ქ. თავი ოცდათერთმეტი

31. ქ. თუ ვინმე მოინდომოს აზატი ყმისა თვისისა პირობითა, აჩვენონ მონასტერთა და საყდართა, ებისკოპოზთა და¹ მღვდელთა, ან არადა დაუწერონ დიათიკი, რომ მართლად ყოს აზატობა.

ქ. თავი ოცდათორმეტი

32. ქ. ვინცავინ კაცი, თავის თავის² ქელთმქონე, მივიდეს ვისთანც საყმოდ და თქუას კაცთა წინაშე, თუ შეეკნელვარ ყმა ამისიო, ვისაც აყმო თავისი თავითეთან, [127r] თუ იყოს კაცი იგიოცის წლისა, დაკარგოს თავისი თავითავის³ ქელთა ქონებიდამ—არ შეუძლია მოკმარება რიგსა.

მას ზედ უფრო კიდევ ნამეტნავად, თუ ფასიც რამ აუღია და შეუსვამს და შეუჭამია, დარჩა იგი კაცი ყმად მას კაცსა, ვის წინაც ეს რაც ქნას და თქუას.

ქ. თავი ოცდაცამეტი

33. ქ. თუ ვინ დედაკაცმან, თავის თავის ქელთმქონემ, თქუას მუახლობა, ვისაც რომ უმუახლოს, და მან კაცმან გაატანოს მზით-

¹ და]—A. ² თავი A ³ თავის]—A.

ვად, ვერ უშველოს რიგმან, ამიტომ რომე თვითან დაკარგა თავისი თავი და დარჩა მას, ვისაც მზითვად გაჰყოლია, რადგან ოცის წლისას მიუცია თავის თავი მუახლედ.

და თუ ოცის წლისაგან ნაკლები იყოს, უშველოს რიგმან და შეიქნას ღედაკაცი იგი ისრევე თავის ჯელთამქონე.

ქ. თავი ოცდათოხმეტი

34. ქ. თუ კაცმან და ან ღედაკაცმან აილოს ნაპარევი და შეინახოს, რომ მოსამსახურის ნაპარევი იყოს, ბძანებს რიგი სამართლისა, რომ წაერთვას მას, გოდდარას, ერთისათვის ოთხი და პატრონს საქონლისას მისცენ.

ქ. თავი ოცდათხუთმეტი

35. ქ. ვინც იყიდოს ყმა პირობით, როგორც ამას ზემოთ რიგმან მისცა დადება ექუსის თვისა, თუ იმ ექუსს თვეში იპოოს მას ყმაში ჭირი თუ ბნედა რაც, ბძანებს რიგი სამართლისა, რომ შეუბრუნოს გამამცემსა და გამოართვას იგი, [126r] რაც მიეცეს ფასი. თუ ექუსს თვეში ვერ იპოოს და მასუკან გამოჩნდეს, ველარ შეუბრუნებს.

ქ. თავი ოცდათექუსმეტი

36. ქ. ვინცა ვის მიყიდოს ყმა და უთხრას მაშინვე, ეს ამ საქმის მოქმედიო, თუ ავისა თუ კაისა¹, კაცი თუ ღედაკაცი, და იმათში გამოჩნდეს სიავე, ველარ შეუძლია შებრუნება.

და თუ გამსყიდველმან, ვისაც მიყიდოს, დაუღვას პირობა მოწმით, რომე არც იყოს ქურდი, არც იყოს ამაში სხვა სიავე, მასუკან, თუ მსყიდველმან შეამცნია სიავე ან ქურდობა, შეუძლია შებრუნება.

და თუ რამ მოუპარავს, ისიც უნდა მიმცემს აზღვევინოს და თავის მინაცები ფასიც გამოართვას. და თუ გამსყიდველის ჯელში კარგი ყოფილიყოს და მსყიდველის ჯელში წამჟდარიყოს, ველარ შეუძლია შებრუნება.

ქ. თავი ოცდაჩვიდმეტი

37. ქ. ვინცა იყოს აზატნაქნარი ყმა, და ვისაც ექნას აზატი, და მასთანვე იყოს თავის ნებით, და მასუკან რომ შეირთოს იმავე პატ-

¹ კაისა]÷ და თუ A.

რონის მუახლე ცოლად, და მასთან რომ შვილი მიეცეს, მათ შვილებს დაპატრონდეს, რომელმან უყო აზატი, მას კაცის შვილნი.

ქ. თავი ოცდათურამეტო

38. ქ. თუ ვინც უყოს აზატი ემასა მისსა და მართებდეს აზატობა მისი, თუ ქალაქში იყოს, უნდა მივიდეს მოქადაგეთა და ებისკოპოზთა წინაშე, და თუ [128v] სოფელში იყოს, — მღღლებთან და შვიდთა მოწმებთან, როგორც რომ დამოწმდენ ისინი ჰელის წიგნით.

ეს არის წესი აზატობისა თუ ქალაქსა, თუ სოფელსა, თუ ასრე არა ქნან, არ არის ჭეშმარიტი აზატობა, ამიტომ რომ, რადგან ასრე არ უქნია, კიდე დაპატრონდები.

ქ. თავი ოცდაცხრამეტო

39. ქ. ბძანებს რიგი: თუ ვინც იყიდოს სოფელი, სახლი, ბალი, ბოსტანი ანუ სხვა რაგინდარა, რაც რომ გირაოსავით დაუცვისთანც, თუ იმ კაცმან, თავის გუნებით, გამსყიდველმან, ამაზე გაყიდოს, რომ იმ ქუეყანასა შესწყენოდეს რამე და სხვას ქუეყანას წასულა უნდოდეს, და წავიდეს, და მისგან გასყიდული გირაოს მაგიერი იყოს, და მასუკან ის კაცი თუ ათს წლამდი მოვიდეს, ისევე უნდა მისცეს მან კაცმან სამკუიდრო მამული, და რაც მიეცეს, გამოართვას.

თუ იმ კაცის მოსულას უკან ერთი წელიწადი კიდე გავიდეს და არ მიედაოს, და ერთს წელიწადს უკან წაედაოს, ველარას შეუვა.

თუ იმ რაგინდარას პატრონი მგზავრია, თუ სამგზავროდ წასულა, და ანუ მოლაშქრეა და სალაშქროდ წასულა, ბრძანებს რიგი¹: ოცს წლამდინ კიდე ითხოების მის კაცისაგან; თუ ოცი წელიწადი გავიდეს, ველარას შეუა.

ქ. თავი ორმოცი

40. ქ. იკითხონ რიგსა: ორი კაცი რომ მოვიდნენ სამართალში, ერთმანერთთან რომ [129r] სადაო ქონდესთ, რომელი იყოს მოვალე, ითხოოს დაცლევინება ოთხის თვისა, რა უნდა ქნას მოსამართლემ?

მიგება სიტყუისა: თუ ითხოოს დაცლევინება ოთხის თვისა, — მისცენ. მასუკან რომ კიდე თავისმა მოდავემ წასწიოს სამართალში, თუ კიდე ითხოოს ჰკუითა და ფიქრით დაცლევინება, მისცენ სა-

¹ რიგი] წიგნი B.

მის თვისა. კიდევ თუ შეეხებუწოს და ითხოოს დაცლევინება, ცოტა ხანს უნდა სამართლის გაშორება.

მაგრამ მისცენ რიგის ბძანებით სამჯერ დაცლევინება: პირველზე ოთხის თვისა, მეორეზე სამის თვისა და მესამეზე ორის თვისა, თუ ამას გარდა კიდევ ითხოოს, დაკარგოს სამართალი თავისი თითვან.

ქ. თავი ორმოცდაერთი

41. ქ. ისივ საიდუმლო: რადგან მისცენ დაცლევინება ოთხის თვისა რომ მოკდეს თვე ჰკათათვე, მკათათვიდამ ღვინობისთვის გასულამდინ, — დააცალონ და ნუ იანგარიშებენ ღვინობისთვისა; და ორის თვის დაცლევინება შოშლილა.

და დრო დაცლევინებისა მოიშალა, ცხრა თვისა რომჰყოფა.

სარგებელი, რაც არის შუაში, რომ ითხოონ, მოსამართლისაგან მოწამე იგი შორ რა ყუანდეს, — და ჳელმწიფემ იმ ქუეყნისაგან, ანუ მოსამართლემ სამის თვის დაცლევინება მისცენ მოწმის მოლოდინებისათვის. თუ კიდევ ითხოოს დაცლევინება, მოსამართლემ თავის სამართალი ხახოს.

[129v] ქ. თავი ორმოცდაორი

42. ქ. კოსტანტინე¹ ჳელმწიფის მოგსენება კურთხევით იყოს, რომ პატივისცა სამოციქულო ეკლესიას, საყდროვანთა მისთა რომე უყო აზატი საჳელმწიფოს გამოსაღებისა, რისაც ყოველს ქუეყანას მისას დაღვა თვითან რიგი ესე: აზატ ყო სათხოვრისაგან საყდროვანი და მოსამსახურე ეკლესიისა, ყოველი გამოსაღები შეუაღნა² და მოარჩინა საერო სათხოვრისაგან, აართვა უღელი საერო საქმისა.

ქ. თავი ორმოცდასამი

43. ქ. კოსტანტინე¹ ჳელმწიფემ; ბძანა დიდად პატივისცემა და მირთმევა საყდრისა ქრისტესი სოფელი და მამული ყოველს ადგილსა. და მათზე იყუნენ მომჳმარო, რომელნი მსახურებდენ მონასტერთა და საყდართა, რომ მათ იმ შეწირულობით სვან და ჳამონ, მშათა და დათა, ჳურჩეთა და ობოლთა, რომელნი იყუნენ მონასტრისა სიახლოვესა, რომე მათის ყოვლის ლოცვითა უძრავად ამყოფოს ღწონ ტახტი ჳელმწიფისანი, რომელნი თაყუანსა სცემდეს სამებასა ერთარსებასა.

¹ კოსტანტინე A. ² შეაღნა B.

ქ. თავი ორმოცდამეოთხე

44. ქ. დაცვა და პატივისცემა კუირისა. ლევან ტელმწიფემა თავის დროში პატივისცა კვირას დღესა ქრისტეს აღდგომისათვის, რომე აღდგა კუირასა, და დადვა კანონი, რომ¹ კუირას დღეს არა ეთხოვბოდეს რა სატელმწიფო ხარჯი და ბეგარა [130r], და არცა იქნას სამართალი, და ყუელანი შეიქნენ მოკლით და დაგროვდენ მონასტერსა და საყდარსა² ქრისტესასა, და ევედრონ უფალსა გულის წმინდითა.

ღმთის ვედრების მეტი გაუშვან ყოველი საქმე დღესა კუირასა: არც ეთხოვბოდეს დღესა მას³ მოვალესა ვალი, არც წავიდნენ სასმელად სადაც, არც სვან ღვინო ბევრი, არც უყონ ავის მქნელს ჯაზა, როგორც ამას ზემოთ ვთქუით.

ყოველნი თავთავის ქუეყანას მშვიდობით დაგროვდენ ეკლესიაში და ილოცონ უშიშრად მოსამართლეთაგან და მათთა იასაულთაგან⁴ ვალთა თხოვნისაგან.

ქ. თავი ორმოცდახუთი

45. ქ. ბძანა ლევან ტელმწიფემ, დადვა რიგი ზითვისა. რაც ვისაც ქალს ზითევი მიჰყუეს, დასწერონ ყუელა წიგნათ, და იბრიგათაც დასწერონ ნიშანი და სახლის პატივი, რა მოეწონონ ერთმანეთსა, — დასწერონ მტკიცედ თუ ოქროსა. თუ ვერცხლია ანუ ტანისამოსი, თუ მხლებელი, თუ მსახური, თუ პირუტყუი, თუ სხვა რაგინდარა. ყოველმან თავთავის ქუეყანას ეს წესი ქნან.

კაცმან, ვინც ნიშანი და სახლის პატივი გაგზავნოს, რაც შეიძლოს, ქალმაც ზითევი მიიტანოს⁵: სატელმწიფო ქალაქს კოსტანტინეპოლის⁶ და ყოველს ქვეყანასა დასაელეთსა, თუ მიიტანოს დედაკაცმან ასი ფლურისა, კაცმანც მისცეს ასი ფლური; და აღმოსავლეთის ქუეყანასა, თუ მიიტანოს დედაკაცმან ასის ფლურისა, კაცმანც მისცეს ორმოცდაათი ფლურისა.

[130v] ქ. თავი ორმოცდაექუსი

46. ქ. დაამტკიცა გარიგება ესე ლევან ტელმწიფემ. წიგნით რა გუირგუინი იკურთხონ და შეიყარნენ ცოლ-ქმარნი, მასუკან თუ გაშვება მოკდეს, ქმარმან თუ გაუშვას ცოლი მისი უსაბაბოდ, მისცეს მას ქალსა⁷ თავისი მოტანილი, წიგნით რაც ზითევი ნიშნითა; თავისის ქრმის გაგზავნილი ნიშანიცა და სახლის პატივიცა მას ქალს დარჩეს.

¹ კანონი, რომ¹ რომ კანონი A. ² საყდარსა] + სახლსა B. ³ დღესა მას] — A. ⁴ იასულთაგან A. ⁵ მიიტანოს] + რისაც შემძლე იყოს B. ⁶ კოსტანტინეპოლის A. ⁷ ქალსა] + მისცეს A.

და თუ ქალმან მოინდომოს გაშეება, გავიდეს ცარიელი და დარჩეს ნიშანი, სახლის პარტივი და ზითევი მას, ქმარსა მისსა. მაგრამ რადგან წმინდა სახარებით გუირგუინს იკურთხვენ, ცნელია გაყრა, დიდი ცოდვა არის.

ქ. თავი ორმოცდაშვიდი

47. ქ. ვინგინდავის ცოლ-ქმართა შუა დანაშაული მოკდეს და გაყრა მოინდომონ, წავიდნენ ცოლ-ქმარნი ორნივე საყდრისა კარსა და საყდრის უფროსთა წინაშე, და დანაშაულნი მათნი თქუან. და მან საყდრის უფროსმან დაწეროს წიგნათ და გაგზავნოს სამართალშია.

თუ კაცი სტყუა, დარჩეს დედაკაცს ნიშანი, სახლის პარტივი და ზითევი მისი ყუელა ერთბირად.

და თუ დედაკაცს ქონდეს დანაშაული, გამოერთვას ნიშანი, სახლის პარტივი და ზითევი იგი მისი და მიეცეს კაცსა. მაგრამ წმინდის სახარებით შეყრილთა გაყრა ცნელია და ცოდვა დიდი, ბოზობის გარდა¹.

ქ. თავი ორმოცდარვა

48. ქ. რომელნი იყუნენ მოყუარულნი ერთმანერთისა ცოლ-ქმარნი და მოკუდეს კაცი, და [131r] დარჩეს შვილი, რაც მისი მზითევი იყოს, ისიც და ნიშანიც გამთავებით და სახლის პარტივის ნახევარი მისცენ მას ქურციესა.

და თუ დარჩეს შვილი და დედაკაცმან გასულა მოინდომოს, გავიდეს ცარიელი და დაპატრონდეს შვილი, რაც ქონდეს დედასა მისსა.

ქ. თავი ორმოცდაცხრა

49. ქ. ვინგინდავინ მიიცვალოს დედაკაცი და დარჩეს ქმარი და შვილი ცოცხალი, დედაკაცი იგი რისაც მქონებელი ყოფილიყოს, ქონება, ზითევი, ნიშანი,—ყუელა უკლებლივ დარჩეს შვილსა მისსა.

ქ. თავი ორმოცდაათი

50. ქ. თუ ვინ მიიცვალოს დედაკაცი და არ დარჩეს შვილი, და ქმარი ყუანდეს ცოცხალი, რაც მიყოლოდეს მას დედაკაცსა, მინაცემიანათ, შუა გაყონ და ნახევარი ქმარსა მისსა, და ნახევარი მანასა მისსა. და თუ არა ყუანდეს მამა, ვისაც ანდერძი უყოს მან დედაკაცმან, მისცენ მას.

¹ „ბოზობის გარდა“ მიწერილია სხვა ხელით.

ქ. თავი ორმოცდათერთმეტი

51. ქ. თუ მიიცვალოს დედაკაცი ასეთი, რომ შვილი მისცემოდეს და თავისაც სიცოცხლეში დაჯოცოდეს, მასუკან თვითან მიიცვალოს,— და აილოს ქმარმან მისმან შვილების სახელზე მისის მზითვისა და ქონებისაგან მეექუსედი, შვილთა სულთა მოაჯმაროს.

თუ სამს წელიწადს უკან მიიცვალოს, მისის მინაცემისა მეოთხედი აილოს და მზითვისა ნახევარი მამასა მისსა მისცეს. და სხვა, [131v] რაც დარჩეს, მისის სულისათვის¹ გასცენ.

და თუ ზამა ცოცხალი არა ყუანდეს, სიკუდილის დღეს ქმარმან უთხრას, ზამის წილი ვისაც გინდა, ანდერძი უყავ-თქო. თუ ანდერძი ქნას, და ვისაც უანდერძოს, იმას მისცენ.

და თუ თორმეტს წელიწადს უკან მიიცვალოს, ცოდვა და მადლი ქრმისა არის, ქმარს უნდა დარჩეს მისი ქონება, ზითვეი თუ რაც, და იმან უნდა გაუცეს სასულიეროდ და შესწიროს საყდარსა, საფლავსა და სულსა მისსა მოსაჯმარებელად.

ქ. თავი ორმოცდათორმეტი

52. ქ. ქვეყანას რომ აქუს ჩვეულობა წესისა და არ დასწე-რონ ზითვისა და ნიშნისა, და სახლის პატივისა და ისრე ქნან გუ-ირგუინის კურთხევა, და დასჯერდეს რიგსა იმრიგად: როგორც წიგნით დაწერილი იყოს, მათთა ნიცვალებას უკან დაპატრონდეს შვილნი მისნი.

ქ. თავი ორმოცდაცამეტი

53. ქ. თეოდოსე ველმწიფის მოქსენება კურთხევეითამცა არს, მისცა რიგი ქრისტინათა: ვისაც თავისის ამხანაგისა ემართოს და ოცდაათ² წლამდინ არ სთხოოს, მასუკან აღარა აქუს ბძანება, რომ სთხოონ ამღებთა და ნათესავთა მისთა.

და ერთი ესეც. თუ ქონდეს გირაოთ ვენაჯი თუ მიწა, ანუ სახლი, ანუ ყმა და სხვა რაგინდარა რომ გირაოდ ქონდეს, არც გაეყიდოს, არც გაეზითოს და არც დაეგირაოებინოს, მიმცემი ვალისა და ამღებნი ორნივე ცოცხალნი იყუნენ, რაგინდ ოცდაათი³ წელიწადი გასულიყოს, კიდევ ეთხოება.

თუ მიიცვალოს ვალის [132r] მიმცემი და ამღები, გირაოს რისაც დაზღები, მასუკან ველა⁴ შეუძლია მიდავება და თხოვნა

¹ მისის სულისათვის] სასულიეროდ B. ² ოცდათ A. ³ ოცდათი A.
16. ქართული სანართლის ძეგლები, ტ. I

შვილსა გირაოს პატრონისასა, ამიტომ რომ ოცდაათს¹ წელიწადს გაუვლია, გასაცუეთი გაცუდებოდა და გასატეხი გატყდებოდა, ასა-შენებელი აშენდებოდა, დასაქცევი დაიქცეოდა, — თუ ოცდაათ² წლამდინ არ ითხოვა, თავის გირაოა რაცა, ოცდაათს¹ წელს უკან ზელს ველარ მოჰკიდებს.

ქ. თავი ორმოცდათხმეტე

54. ქ. ბძანებს რიგი³ სამართლისა არშერთვასა ამისაგან ამის ნაცოლარისასა. და არცა ცოლის დისას შერთვასა. ამისთანაებისაგან ღონ შორს ამყოფოს ქრისტიანი. თუ ამისთანა საქმე მოუტდეს ვისაც ავი⁴, მიიღონ მათზედ სხვათა მებოზვართ მსგავსად.

თუ ვინც კაცმან თავისი ამის ცოლი შეიყუაროს, იგი დედა-კაცი შეუდგებინა ქრმის სიკუდილსა; და თუ კაცმან შეიყუაროს ცოლის და, შეუდგების ცოლის სიკუდილსა, რითაც გზით არის ცოლის დის შერთვის გულისათვის. რომელმან ქნას და სცდეს, დიდი ავი და ბოროტია, და წელი ამრიგი საქმე. ამისთვის და-მტკიცდეს, რომ არ შეიყარონ ცოლ-ქმრად იმრიგნი.

თუ ვინც ავკაცობით ამისთანას საქმეში გაერიოს უბძანებლად მოქადაგეთა და ებისკოპოზთა, აუვის, იმრიგთ ცოლ-ქმართა, მიცეს შვილი, ვერ დაპატრონდეს ქონებასა და წილსა მამისასა და სხვას ნათესაუთაგანაც შორს იყოს, და ნუ მიუშვან — ვინცა ქნას ამისთანა საქმე, განშორდა საუდარსა და რიგსა⁵ მისსა თავიან-შვილიანად.

[132v] ქ. თავი ორმოცდათხუთმეტე

55. ქ. არ მისცემს და შეაჩვენებს სჯული⁶, ვინც ითხოოს ქალი ბიძისა და ან დედის დისა. ვინც ქნას ამგვარი ბოროტი, ავი საქმე და მიეცეს მათ შვილნი, ვაენი თუ ქალნი, ვერ დაპატრონდენ მაჰულსა და ქონებასა მამისასა. ქონება და მამული იმრიგის კაცისა ჰელწიჯისა არის.

ქ. თავი ორმოცდათექუსმეტე

56. ქ. კაცმან ვინ შეირთოს ცოლი, რომ უმხდური არ იყოს⁷, და მიეცეს შვილი მასთან, და მიიცვალოს დედაკაცი იგი, და მას-

¹ ოცდაათს A. ² ოცდაათ A. ³ რიგი] წიგნი A. ⁴ ვისაც ავი] — A. ⁵ რიგ-სა] წესა B. ⁶ სჯული] — A. ⁷ რომ უმხდური არ იყოს] რჯულითადა B.

უკან შეირთოს მან კაცმან ცოლის მისის ახლო ნათესაეი, რომ იყოს უმხდური¹, და მიეცეს შვილი, და მოკუდეს დედაკაციცა იგი², და მიიცვალოს მასუკან მამაც, უკანა ცოლის შვილი ვერ დაპატრონდეს ქონებასა მამისასა, ამიტომ რომ უხუდური შეურთავს მამასა მისსა დედა მისი. და დაპატრონდენ წინა ცოლის შვილები ქონებასა მამისასა.

ქ. თავი ორმოცდაჩვიდმეტი

57. ქ. ქალი ვისიცი იყოს დროს გათხოვებისა და დანიშნოს იგი ქალი; და ვინცა გაუგზავნონ ნიშანი, ოქრო თუ ვერცხლი ანუ სხვა რაგინდარა, და მოვდეს ბრძანება ღთისა და მიიცვალოს ვაჟი იგი დანიშნული მისი, დაუქორწინებელი, და ვაჟის პატრონმა სთხოოს ქალის პატრონს ნიშანი, — თუ ერთმანერთი უნახავთ ღათ დანიშნულთა, უთამაშნიათ ან უკოცნიათ ერთმანერთისათვის³, ნახევარი⁴ ნიშანი⁵ ქალის პატრონმა დაიჭიროს და ნახევარი ვაჟის პატრონს შეუბრუნოს.

თუ ვაჟს არა ყუანდეს მამა, არც დედა და არც ძმა, სხვისაგან არ ეთხოვების და დარჩეს მას ქალსა.

და თუ დანიშნულთა ერთმანეთი არ უნახავთ და ისე სიტყუით გარდუწყუებუთა ნიშნობა, ისრევ მთლიე შეუბრუნონ ვაჟის პატრონსა. და თუ ქალი მიიცვალოს, გამოართვას ვაჟმან ნიშანი გაგზავნილი მისი. თუ რამ ან გასაცვეთი ყოფილა ან შესასმელ-შესაქმელი, იმრიგს რაგინდარას ნულარას სთხოვენ.

ქ. თავი ორმოცდათურამეტი

58. ქ. კაცმან ვინც მოინდომოს შერთვა ცოლისა და მისცეს ნიშანი რძალსა კელში და ან სხვას დედაკაცსა, მეყუისსა მისსა, თუ წაიღე ესე და დამინიშნე ქალი, ანუ იყოს ბეჭედი, ან ოქრო, ან ფლური, და მასუკან გუნება გამოეცვალოს და ნიშნის გამობრუნება მოინდომოს, დაკარგოს ნათხოვნიცა მისი და გაგზავნილი ნიშანიცა, და დარჩეს ნიშანი მას ქალსა.

ქ. თავი ორმოცდაცხრამეტი

59. ქ. ვის უნდოდეს ქალის გათხოება და თქუას მზითვისა, ამას მიეცემ ამ ქალსაო, მასუკან რომ გაათხოოს და წაყუანის დროს⁶ არა ქონდეს, გამთავებით მისცეს წიგნი, ნაკლებისა დაუდ-

¹ იყოს უმხდური არ ერგებოდეს B. ² და მოკუდეს დედაკაციცა იგი — A. ³ ერთმანერთისათვის — A. ⁴ ნიშანი — A. ⁵ დრო A.

ვას პირობა, ამ დრომდის მოგართვაო, — თუ პირობაზე მისცეს, გამოართვას წიგნი მისი შიკვეპული. თუ პირობამდინ ვერ მისცეს და შუაზე ხუთმა წელიწადმა გაიაროს, მასუკან ველარა სთხოვს.

[133v] ქ. თავი სამოცი.

60. ქ. თუ ვინგინდავინ ქალი იყოს ზამით ობოლი და დედა და ცმა ცოცხალი ყუანდეს, მათის პასუხით შეიერთოს ქმარი. თუ ვინმე ჯელმწიფეთაგან თუ გამრიგეთაგან დადგინებული იყოს მათზე კაცი ვინც გამძლოლად და შემნახავად, მისის ბძანებით უნდა იქნას.

და თუ ქალი დიდი და თორმეტის წლისა უფრო იყოს, ბძანება აქუს რიგისაგან და წინ გამძლოლისაგან, სადაც უნდა, თვითან შეიერთოს.

ქ. თავი სამოცდაერთი

61. ქ. ვისაც ქვარმან იყიდოს სახელსა ცოლისაზე სოფელი ან სხვა მამული, ან სხვა რაგინდარა, თუ მისცეს ბძანება ქვარმა, სამკუიდრო შეიქნას ცოლისა მისისა, რადგან სახელდობივ მისთვის დაიწეროს, როგორც მისი ზითევი.

ქ. თავი სამოცდაორი

62. ქ. ვინ მოიტაცოს ქალი ქალწული¹, უქრმო, იგი კაცი შეიქნა სასიკუდილო და სიკუდილის ღირსია. და თუ გვერც არ მოსწოლოდეს და გაპარებით გაეპარებინოს, როგორც რომ სხვას ბოზობის მოქმედზე მართებთ მიღება ავისა, იმრიგად იმაზედაც მიიღონ.

ქ. თავი სამოცდასამი

63. ქ. კითხონ რიგსა: თუ იყიდოს კაცმან სოფელი ანუ სხვა რამ, თვალი ანუ მარგალიტი, და სახელი ცოლისა დაარქუას, რომელი შეიერთო ქალწული, მიეცეს [134r] თუ არა?

ზიგება სიტყუისა: არ არის ქეშმარიტი ყიდვა და მიცემა, თუ უფეს ემასა მის კაცისასა წილი მას თეთრში, და თუ ნებაა² სახლის კაცისა და³ დასტური სცა, როგორც რომ მზითევი მისი სამკუიდროა, იგი მინაცემიც ისრე შეიქმნების.

ქ. თავი სამოცდაოთხი

64. ქ. შეუძლია დედაკაცს ვისაც თავის მზითვის გამრავლება თავის ქრმის სახლში თუ არა?⁴

¹ ქანწული A. ² ნება A. ³ და]—A. ⁴ არა]+ და A

თუ თავისიანისაგან მიცემულია და ან დანარჩომი ქონდეს ან სოფელი, ან სხვა რამე, იმით შეუძლია გამრავლება, ასრე რომე უჩვენოს თავის ქმარსა, გასინჯოს და, აბა, მასუკან მიუმატოს ზითევსა მისსა, და რა რიგათაც უნდოდეს გამრავლება, გაამრავლოს, და გაცეზადცა კელი შესწევს.

მაგრამ თუ იყოს ცხვარი ან ძროხა, ან პური და ან ღვინო, რაც იყოს თავნისა, წიგნი გამოართვას ქმარსა მისსა, რომ იმას არცარა მოემატოს და არცარა დააკლდეს, ანიტომ რომ შესასწელ შესაქმელ და მოსაკუდომია.

ქ. თავი სამოცდახუთი

65. ქ. ცოლ-ქმარნი¹ ვინგინდავინ შეყრილან და არიან ერთად აქუთ რიგი ცოლ-ქრმობისა, არა შეუძლიათ მალვით მიცემა ერთმანერთისა. და თუ სიკუდილის დღეს, აბა თუ, უანდერძონ ერთმანეთსა, ის დარჩესთ მკუიდრად და აღარ მოიშალოს: ცოლ-ქმართა შუა ერთმანეთის უბრალოდ ძრახვა დიდი ცოდვა არის.

[13±v] ქ. თავი სამოცდაექუსი

66. ქ. არ მართებს დედაკაცსა ვისაც რომ მალ გარდაავდოს თავისი მიცვალებული და შეირთოს უპირისწყალობით ქმარი. თუ ქრმის მიცვალებას უკან ათს თვემდინ ქნას და შეირთოს ქმარი, სხვათა მებოზვართან გასათულებლია და ბოზობა უქნია.

და თუ რამ ეანდერძებინოს ქმარსა, რიგი ბძანებს სამართლისა გამოართვან მას დედაკაცსა და ახადონ პატივი.

ქ. თავი სამოცდაშვიდი

67. ქ. შეუძლია ქმარსა ვისაც ძრახვა ცოლისა ბვისისა, რომ დედაკაცის წესისა და რიგიდამ გასულიყოს ან იყოს ავსაქციელი?

თუ შეიტყონ, რომ მართლა ავის მქნელი იყოს და ბოზი, შეუძლია იმ ავის საქმისათვის გაგდება. მასუკან დააცალონ თვე ორი და გასინჯონ ძრახვა მისი: თუ მართლა ავის საქმის მქნელი იყოს, მერმე შეუძლია გაშორება მისი, ასრე რომე მზითევი მისი ქმარმა დაიპიროს და იგი დედაკაცი დარჩეს მზითვისა მისგან ცარიელი, — რომელ² არს ზითევი თვისი.

¹ ცოლ-ქმართა A. ² რომელა A.

ქ. თავი სამოცდარვა

68. ქ. ვისის დედაკაცისა იყოს მამა და მამის მამა ცოცხალი და მიიცვალოს დედაკაცი იგი, არ მართებს დაპატრონება სხვისა მზითევსა მისაზე, მაგრამ თუ ისინიც მიცვალულნი იყვნენ, უფუც-ლია ანდერძითა დაპატრონება [135r] ზითვისა მისისა.

და ისრე ვაეკაცსა არ შეუძლია მამისა და პაპის უდასტუროდ ანდერძის ქნა, რადგან ცოცხალი ჰყავს.

ქ. თავი სამოცდაცხრა

69. ქ. რომლის საქმიდამ და პატივიდამ ჩამოაგდონ სჯული-ერი¹ რიგიდამ გასული კაცი?

ნიგება სიტყუისა: იმისთანა კაცი არ გაიგზავნოს მოციქულად, არც მიიღონ მანზე კურთხევა მღვდლობისა, არც ყონ სასამსახუროდ ზელმწიფისა, არც აქნევიონ სამართალი, არც დააყენონ ზედა ქალაქსა და სოფელსა, არც დააყენონ ზელმწიფის რაგინდარას მონადულელად და გამრიგედ—ყოველი პატივი აჯადონ.

ქ. თავი სამოცდაათი

70. ქ. იკითხონ რიგსა: რა კერძი და წილი უნდა მიეცეს შვილთა მიცვალვას უკან დედასა თვისსა?

რომე ალალი დედა იყოს და შვილისშვილი ენახოს და ის უნდა უფროსად დაპატრონდეს ქონებას და მამულსა—ყოველი დედაკაცი ხომ ჰქუანაკლული იქნების, მაგრამ რადგან შვილიშვილი ნსა, პატრონობა მისია.

ქ. თავი სამოცდათერთმეტი

71. ქ. დედაკაცსა ქუროვსა შეუა კელი თავის ზითვის დასახარჯავად თუ არა?

მიგება სიტყუისა: თუ მამა ცოცხალი ჰყავს, არ შეუძლია უმისოდ დახარჯვა რისაც.

ქ. თავი სამოცდათორმეტი

72. ქ. არ მისცემს რიგი ზძინებას, რომ დედაკაცმან ვინც სძრახოს ქმარი თვისი [135v] ჯარში, კაცთა წინა, ეს ასე ქნაო. არც იმასა მართებს ძრახვა იმისა, რაგინდ ავიც ექნას. უფრო არც ყმასა შეუძლია ძრახვა ბატონისა მისისა და არც დაბეზღება უფროსთა წინაშე.

¹ რჯულერის.

და თუ ნან ამისთანა საქმე, თუ ქმარმან ვის?ან და თუ ძნა-
ზან ვისმან ანუ ბატონმა ვისმან, რომ მოიპაროს ტელმწიფისა ჩა-
საძველი რაგინდარა, ან თვალი, ანუ მარგალიტი, — აბა, შეუძლია
იმათ ამისთანას საქმის მოკსენება ტელმწიფისა, რადგან ტელმწიფის
შემცოდენი შექნილან.

ქ. თავი სამოცდაცამეტო

73. ქ. ვისიც ცოლი მიიცვალოს ქრზის უწინ და დარჩეს შვილი,
ქმარი იყოს პატრონი ცოლის მისის ზითეისა შვილის სახელზე. თუ
არა ყუანდესთ შვილი, ვისაც ანდერძი უყოს მან მიცვალეზულმან,
იმას მისცენ.

თუ არადა ანდერძი არა ქნას, ნახევარი ქმარმან მის
მან დაიქიროს და ნახევარი მამასა მისსა მისცენ, მაგრამე მარ-
თებს ორთავე, რომ მიცვალეზულის სულს მოაქვარონ.

ქ. თავი სამოცდათოთხმეტო

74. ქ. ვინ შეირთოს ცოლი ორი, წინა ყოფილიყოს უმზითო
და დარჩომოდეს შვილი, და უკანას ცოლს მოჰყოლოდეს ზითევი და
მასთანაც დარჩეს შვილი, და დარჩეს ორისაგანვე შვილი, — უკანას
ცოლის ზითევის ორნივე სწორედ დაპატრონდენ თუ არა?

მიგება სიტყუისა: შეძლება აქუს მამასა ო.[136r]რისავე ცოლის
შვილის სწორედ დაპატრონებისა. და თუ ზითეის დაპატრონმა ანდერძი
ქნას, ვისაც ანდერძი უყოს, ის დაპატრონდეს ზითევისა მისსა, არ
განიტეხოს ანდერძი.

ქ. თავი სამოცდათხუთმეტო

75. ქ. დედაკაცზან ვინც შეირთოს ყმა ვისიც, შეიქნების
იგიც მის ყმის პატრონის მუახლე?

თავის თავის მოსამსახურობა თუ არ მისცეს მან დედაკაცზან,
შვილნი მის ყმის პატრონისაა¹, რაც მიეცეს, და თავის თავი მის
ტელთ იყოს.

ქ. თავი სამოცდათექუსმეტო

76. ქ. თუ ყმამ შეიყუაროს და შეირთოს ცოლად დედაკაცი
ვინცა აზატი, დასჯერდეს და წაიყუანოს თავის პატრონის სახლში;
თუ პატრონზან მის კაკიანან გაუგზავნოს დედაკაცსა მას აზატსა,
და ეს უპასუხოს, ჩამოეჭსენ მავ ჩემს ყმასა, — სამჯერ ასრე უთხრას:

¹ პატრონისა A.

თუ არ ჩამოეჭსნას ყმასა მისას და დასჯერდეს მის ყმის ცოლო-
ბას, მასუკან რიგი მისცემს წაწვეად სასამსახუროდ მისსა — რო-
გორც რომ ყმა მისი, იგი დედაკაციც ეგრეთ მისი შეიქნებოს.

ქ. თავი სამოცდაჩვიდმეტი

77. ქ. კითხონ რიგსა: შეუძლია კაცსა დაწერა წიგნისა და
დაპატრონება ცოლისა¹ მისისა მის ქონებაზე, რომ არა ყუანდეს
შვილი?

თუ ყუანდეს შვილი, დაწეროს ანდერძი და დაპატრონოს,
როგორც უნდოდეს. და თუ არ დარჩეს შვილი, ზითევი თავისი
მისი იყოს შეუშლელად, და კაცმან თავისი ქონება ვისაც უანდერ-
ძოს, ნისი იყოს.

[136 v]. ქ. თავი სამოცდათურამეტი

78. ქ. რიგმან არ მისცეს ბძანება დედაკაცსა თავდებობა
და არცა² საკაცოს საქმის მოქმედობა.

ქ. თავი სამოცდაცხრამეტი

79. ქ. ბძანებას მისცემს რიგი დედაკაცსა, თუ უნდა მიცემა,
უთხრას და დააყენოს ზაზა მისი ქონებასა მისაზე. თუ ქმარი არა
ყუანდეს, მამას გარდა შეუძლია სხვის ვისიც დაყენება ქონებასა
მისაზე.

ქ. თავი ოთხმოცი

80. ქ. თუ დაწეროს დედაკაცმან ანდერძი და მისცეს ქონე-
ბისა მისისა დაპატრონება შვილიშვილსა მისსა, არ შეუძლიათ
ანისი თქმა ვისაც, თუ რატომ ისე შურებისო, — თუ შვილი ყოლოდა,
შვილს თავისი შვილის გარიგება თვითან უნდა ექნა, რადგან შვილი
არა ყავს ცოცხალი და შვილის ობლები დარჩომია, გარიგება მათი
ბებუის ზელთ არის.

ქ. თავი ოთხმოცდაერთი

81. ქ. ვისაც ცოლს მიჰყუეს ზითევი, ყმა ანუ ცხვარი, ანუ
აქლემი, ან ჯარი და ფური, ან სხვა რაგინდარა, მასუკან მიეცეს
ყმასა შვილი და პირუტყუთაც აშენონ და გაჰრავლდენ, თუ, ვინ
იცის, გაყრა მოკდეს ცოლ-ქრმისა, თავისი ზითევი ყუელა თან უნდა
გაიტანოს და, რაც ნაშენი მომატებული იყოს, შუა გა[137r]იყონ
ცოლ-ქმართა.

¹ ცოლისისა A. ² რაცა A.

არა ამისთვის გვითქვამს, რომ გაყრა გაიადვილონ, — ცნე-
ლია გაყრა ცოლ-ქმართა, — მაგრამე ვინ იცის, რომ მოვლეს რი-
თაც, ასე ქნან¹.

ქ. თავი ოთხმოცდარძი

82. ქ. თუ შეხუდეს კაცს ცოლი ასეთი, რომ იყოს გოგი და
ბნედიანი და მოინდომოს კაცმან გაჰვება, მოსამართლემ მოკით-
ხული ქნას: თუ ქორწილს უკან ქრმის ჯელში დამართებია, ვერც
გაუშვებს და არც იქნება; თუ უწინვე, ქორწილამდინ სქირვებია,
გაშვება ხომ კიდევ ცნელია, მაგრამე რადგან არ იქნების და გა-
უშვებს, ნიშანი, რაც გაეგზავნოს, მას კაცს დარჩეს და ზითევი
მისი. — ქალსა.

და თუ ქრმის ჯელში დამართოდეს, გაუშვას, ზითევიკა
და ნიშანიც სრულ უკლებლივ მიეცეს მას ქალსა.

ქ. თავი ოთხმოცდასამი

83. ქ. თუ შეხუდეს კაცსა ვისაც ცოლი, ავის ჭირის პატრონი
მონაობით. თუ ქორწილს უკან ასრე შეიქნას, რომ კაცი ველარ
მიუდგებოდეს, და მოინდომონ გაყრა და გაიყარონ, მზითევი, ნი-
შანი და სახლის პატრივი, რაც მიუცია, ყუელა მას დედაკაცს
მისცენ უკლებლივ.

მაგრამ, თუ წინაპირველ ცოლ-ქრმობის სიყუარული ჰქონ-
დესთ და არც დედაკაცმან გაიწიოს, უნდა დასვას ერთს
სახლში და სასმელ-საჭმელი, ტანისამოსი, ყუელა მისცეს და ისრე
შეინახოს, ამიტომ რომ უნებურს ჭირს შემთხვევია.

[137 v] ქ. თავი ოთხმოცდაოთხი

84. ქ. იკითხონ: შეუძლია დედაკაცსა ქრმიანსა, რომ მისცე-
მოდეს მასთან შეიღები და საბაბით რითაც გაყრა მოინდომონ,
ზითვით თუ უზითოდ, და მას დედაკაცს შეიღების თან გატანაც
უნდოდეს?

ბძანება მისცეს რიგმან: წაეიდეს და გაენდოს მოძღვარსა:
და ბოზობით სხვისგან მისცემოდეს, ამრიგის შვილის გატანა შე-
უძლია, და ალალი შეიღი მამისა არის და მამის ბძანებას ქვემ
უნდა იყოს.

¹ ასე ქნან]—A.

ქ. თავი ოთხმოცდახუთი

85. ქ. არა აქუს ანის შეძლება დედაკაცსა, რომ თავის სიტყუით და ნებით გაეყაროს ქმარსა?

მიგება სიტყუისა: თუ ვინც კაცმან მოიტაცოს ქალი და დედაკაცი და უნდოდეს ცოლად, და მათი პატრონი არ აცლევდეს და ძალად, მას უნებურად, მოტაცებით წაეყუანოს უმზითოდ და ურიგოდ, — და მართებს ქალის ჩაწას მოტაცებისა და ურიგოდ¹ წაყუანის მოკითხვა. და თუ ქალსაც უნდა, შეუძლია მამას გამოართმევა.

ქ. თავი ოთხმოცდაექუსი

86. ქ. თუ მოკლდეს ცოლ-ქმართ გაყრა ან სიკუდილითა, ან სხვით რითაც საქმითა, რომ აქუს გზა მზითვის მისის გამოართმევისა, კიბონ რიგსა.

მიგება სიტყუისა: ასრე უნდა გამოართვას: თუ იყოს ტანი-სამოსი უცვეთი, გამოართვას; თუ გაცვეთილია, მისცენ მაგიერი ფასი. და თუ ოქრო მიეტანოს [1381], და ან მიწა მისცემოდეს ზითვად, ან აქლემი, და გაეყიდოს, როგორც ის ფასი. მისცენ, თუ პირუტყუთა ნაშენი იყოს, ნახევარი მისიც მისცენ; თუ პირუტყუი დაჯოცილიყოს, რომ თავნი ფეჭზედ აღარ იდგეს, მაგიერის თხოვნა არ მართებს.

ანუ თუ ყმა და მხლებელი მიჰყოლოდეს და გაეყიდოს, ფასი მისცენ; და თუ დაჯოცილიყუნენ², ვერ შეუძლია მაგიერის თხოვნა და ვერც არას შეუა დაჯოცილისას.

ქ. თავი ოთხმოცდაშვიდი

87. ქ. შეუძლია კაცსა ცოლისა თავისის გაგდება და ზითვის წართმევა?

რომ არ იყოს მას ზედა სამართლის რიგის საბაბი, არ შეუძლია.

მაგრამ, თუ იყოს მასზედ რიგით გაგდების საბაბი, რომ არის: ბოზობა ან უცხოს კაცის სახლში დაწოლა და ძილი; რომ არ იყოს ნათესავი, და ქრმის უდასტუროთ ან წავიდეს ავს ალაგს. სხვაგან სათამაშოდ, — ამისთახას საქმეების ქნისათვის შეუძლია ზითვის წართმევა და გაგდება მისი.

თუ ესეები არც ერთი არ ექნას, ვერ შეუძლია გაგდება და გაშვება.

¹ ურიგოდ] უპატიოდ B. ² დაჯოცილიყუნენ] ცოცხალი იყუნენ B.

ქ. თავი ოთხმოცდარვა

88. ქ. ვერ შეუძლია დედაკაცსა ქრმის გაშვება და გაშვების წიგნის მიცემა დედამთილისა და მამამთილისა, და აღება ზითვისა და გასულა; რომ არ ჩნდეს და არ აჩვენოს სიმტყუენე ქრმისა მისისა?

მიგება სიტყუისა: [138v] არ არის შეძლება დედაკაცისა ქვარზე ამისთანას ურიგობის ქნა, თუ არ გააქსინჯოს დედამთილსა და მამამთილს.

და თუ ყუანდეს მოწამე ორი ან სამი, რომე¹: ეცემოს და ავად გაელახოს ან ასეთი საქე შეიღოს, რომ არ იყოს საქნელი უსალოდ, — ესეები ექნას, და ქმარი მისი იყოს მგრძნებარი² მებოზვარი, ქურდისა და ბოზის შინ მიჰყუანი და ბიჭთან ურიგოდ მტყუენი; არათუ მართო ესეები, ამას გარდა ესეც სჭირდეს, რომ სცუადეს მარვილითა და ჯოხითა, და საბლითა შეგრებლითა უწყალოდ, როგორც გოგოსა და ბიჭსა, ან ამოიღოს წმალი მაზედა — სცეს. და ამთონის ურიგოს საქმისათვის რომ სტყუოდეს ქმარი ცოლზე, შეუძლია რიგის ბძანებით გაშვება და წიგნის მიცემა ცოლსა; გაიტანოს ზითვი მისი უკლებლივ და ულაპარაკოდ, და სხვას ვერას შეუთ მამამთილსა და დედამთილსა, და მახლსა³.

ქ. თავი ოთხმოცდაცხრა

89. ქ. კაცი ვინც მიიცვალოს უანდერძისწიგნით, დაპატრონდენ ქალნი მისნი მებთან. და თუ ცოლი ვისიც მიიცვალოს ქვარს უკან, ისიც უანდერძით, რაც ქონება დარჩესთ, ქალ-ვაენი მათნი სწორად დაპატრონდენ.

მაგრამ ზამას თუ თავის სიცოცხლეში ქალნი ზითვით გავსტუმრებინოს, ის მზითევიც უნდა უკლებლივ მოიტანონ მებებს წინ და ყუელამ სწორედ გაიყონ.

და თუ მამას უკან დედა ცოცხალი ყუანდესთ, ვა[139r]ენი რომ დაებოცნონ და ქალნი დარჩენენ, და ვაჟთა ანდერძი არა ქნან, დაპატრონდენ დანი მათნი და დედასაც მათთან სწორად ქონდეს დეპატრონება.

ქ. თავი ოთხმოცდაათი

90. ქ. მამა ვისიც მიიცვალოს უანდერძით და დარჩეს შეილი დედისერთი, ვაჟი თუ ქალი, და მასუკან შეილის ბიჭუდილიც მოჭ-

¹ ერომე A. ² მგძნებარ A. ³ და მახლსა]—A.

დეს, და დარჩეს დედა ცოცხალი, თუ მიცვალებულს ვაჟსა თუ ქალსა მამის ცმა და ანუ მამის ძმიშვილი ცოცხალი ყუანდესთ, იმ ბამიშვილთ წილი და ქონება სამად გაყონ: ორი წილი დედასა და ერთი მათა.

და როგორც ზემოთ ბძანებს რიგი სამართლისა [იხ. მუხლ 13], თუ მამის გვარნი და ახლოს ნათესაენი იყუნენ, ვერ წადგნენ დედის გვარნი წინ—რიგი ამას ბძანებს, კარგად გასინჯონ და, რომელიც ახლოს¹ ნათესავი იყოს, ის დააპატრონონ.

ქ. თავი ოთხმოცდათერთმეტი

91. ქ. კაცმან ვინცა შეირთოს ცოლი და მიიცვალოს, და არ დარჩეს შვილი, და დარჩეს ცოლი ცოცხალი,—აიღონ და მისცენ ზიანევი და თავისი, და ნიჰნის ნახევარი.

თუ ყოფილან ბევრს ხანს ცოლ-ქმარად და გაცვეთილა ტანი-სამოსი ზითვისა, რათაცლირებულიყოს, ფასი მისცენ. თუ სოფელია და ან ქალაქი, შეიტყობის ფასი მისი ვაჭრისაგან. სხვა ან ოქრო, ან ვერცხლი, ან მამული მიჰყოლია, იმისთანასი ფასი შორს გამოჩნდების.

და [139v] თუ ან ყმა მიყოლია ან მხლებელი და დაჯოცილან, იმისას ვერას შეუა. ვინ იცის, თუ შვილი დარჩეს, —ნახევარი შეიღს დაუგდოს და ნახევარი მან დედაკაცმან გაიტანოს.

თუ პირუტყუი რამ მიყოლოდეს, მასის ნაშენიანად ისიც შუა გაუყონ. და, თუ რამ დაჯოცილა, აღარ იხსენება.

ქ. თავი ოთხმოცდათორმეტი

92. ქ. ბძანებს რიგი სამართლისა: რომელნი მოქლე-მოსაქმენი არიან კელმწიფისანი, უნდა იყუნენ სამსახურსა კელმწიფისაში—არ უნდა დადგნენ გამძლოლად ობოლთა, და არცა ვეჭილად, და არცა სხვასა საქმესა კელყონ, სანამდინ არ ათაონ სამსახური კელმწიფისა.

ქ. თავი ოთხმოცდაცამეტი

93. ქ. თუ უქნია ვისაც აზატი თუ ვაჟისათვის და თუ ქალი-სათუჟა, თავის შეიღებისათვის, მოსაპართლეთა წინაშე რომე ყოს ისინი თავის მორჩილობისაგან გასული, ღათ აზატნაქნართა რომ მიეცეს შვილი, აღარც შეუა კელი შეიღზედა და აღარც შვილიშვილზედ.

¹ ახო A.

ქ. თავი ოთხმოცდათოთხმეტი

94. ქ. კაცმან ვინც უწინ დათქუას ანდერძი და არ დასწე-როს, და ქონდეს გუნებაში; მასუკან სიკუდილის დღეს იმან ველარ-დააწერინოს, — სხვათ დაწერონ სამის მოწმით: ასე უმოწმონ, რომ იმისის პირილამ გაგვიგონიაო.

მოსამა[140r]რთლესთან ისრე უმოწმონ, — გამართლდეს ის ან-დერძი, ნუ გაუტეხენ. და თუ მოწმებმა მოსამართლის წინ ვერ უმოწმონ, გაკუდდეს ის ანდერძი.

ქ. თავი ოთხმოცდათხუთმეტი

95. ქ. მორჩილობას მისცემს პაპას¹ ვაჟის შვილიშვილისასა, და არა ქალის შვილიშვილისასა — უნდა იყუნენ მორჩილნი და ბძანებასა მისსა ქუეშე მყოფი ვაჟის შვილიშვილი პაპისა; ქალზე აქუთ ბძანება, და არა ქალიშვილზე.

ქ. თავი ოთხმოცდათექუსმეტი

96. ქ. თუ ვინც მოიპაროს თავის ამხანაგისაგან თეთრი, და დასწეროს პაემანი ფიცისა მოწმითა, და უკუდგეს პირობისაგან, რომ დაუწერია შეფიცვის წიგნი, როგორც რომ ბძანებს რიგი მო-ფიცართასა, იგი უყონ, რომე გამტყუნდა*.

ქ. თავი ოთხმოცდაჩვიდმეტი

97. ქ. თუ უნდა კაცსა ვისაც გაყიდვა რისაც და გამოართვას მსყიდველს რიმონი, თუ უკუდგეს გამსყიდველი და აღარ მისცეს, ერთიორად უნდა მისცეს რიმონი. ზაგრამ თუ მსყიდველმან აღარ იყიდოს, დაჰკარგოს რიმონი.

ქ. თავი ოთხმოცდათურამეტი

98. ქ. იკითხონ: საქნელია ვისგანც სხვის შვილი თავის შვი-ლად აყუანა?

მიგება სიტყუისა: არ არის ჭეშმარიტი, თუ მოსამართლეთა წინაშე წიგნით არ აყუენია. მართებს მას კაცსა ამხანაგის გულის მოგება [140v] და მოწონება მისგან საქმისა, რომე მისცეს მან, შვი-ლის პატრონმან, თავის ნებით და კაის გულით შვილი მისი, მის-ცეს მოსამართლეთა წინაშე წიგნითა.

¹ პაპა A.

* „რომე გამტყუნდა“ მიწერილია სხვა ხელით.

ზავრამ აყუნა¹ ამყუანელთა ასრე მართებთ. იგი ყმაწვილი უნდა შეიქნას მისი მორჩილი, როგორც რომ მართალის ალალის ზაზისა. თუ თავისთავად ქნან და მოსარმართლეთა წინაშე არ გარიგდენ, არ არის მართებული.

ქ. თავი ოთხმოცუაცხრამეტი

99. ქ. თუ ვინც დააპატრონოს ანდერძითა ქონებასა მისსა, ვინც რომ არ იყოს მისი ნათესავი და გვარი?

თუ არ არის ვაგი კაცობაჟი შესული, ვერ შეუძლია დაპატრონება. თუ ჰყუანდეს მამა მას ვაჟსა, გამოართვას მამამან ქონება რაც და შეუნახოს შეილსა დაკაცებამდინ. და თუ იყოს მართლა კაცი, მას ჰქონდეს და მისია აპატრონობა.

ქ. თავი ასი

100. ქ. ვინც ვისი შვილი ანდერძით და წიგნით იშვილოს, მან კაცმან მამობის წიგნი მისცეს და ყმაწვილმან² შვილობისა, დააპატრონოს საპატრონოსა, -- დაპატრონდეს.

და თუ ვინ იცის, რომ მოჭდეს და მასუკან მისი საპატრონოდამ განყენება მოინდომოს, ასრე გავიდეს წინაშე მოსამართლესთან, როგორც რომ მართალი შვილი მოსამართლესთან სამართლითა*.

ქ. თავი ასერთი

101. ქ. ვინც სიკუდილის დღეს ვისაც მიაბაროს ობლები³ და ქონება მისი, რომ დაუ[141]დვას პირობა მან კაცმან, ამ დრომდინ უბაურონებ და გაუძღვებო, რა პირობა გავა, შეიქნების მათზე ჭელაღებული. და სანამდის პირობა არ გავიდეს, ვერ შეუძლია მათზე ჭელის ალება.

ქ. თავი ასორი

102. ქ. ვინგინდავინ აიყუანოს შვილად ვისიც შვილი ჭელმწიფისა და⁴ მოსამართლისა ბძანებითა და წიგნითა, და მასუკან გაგდება მოინდომოს მისი, არ მისცემს ბძანებასა რიგი მია უწილოდ გაყუანასა და ამგვარის საქმეების ქნასა -- არვის ძალ უკ უჭელმწიფოდ და უსამართლოდ.

ქ. თავი ასსამი

103. ქ. მამას⁵ შვილის მაგიერად ვერავინ სთხოოს ვალი, თუ მამის⁵ ბძანებით არ იყოს აღებული, ვერც დაიჭიროს სიძე სი-

¹ აყუნა] — A. ² ყმაწვილმან A. ³ და] — A. ⁴ მამს A. ⁵ მამის] ძმის A.

* ეს მუხლი არ არის სომხურ დედანში.

მამრის თავზე, ვერც ცმა ძმის თავზე, თუ თავდები არ იყუნენ ან ძმისა და ან სიძამრისა, ან შვილისა.

თუ ობოლთა თავთა მდგომი არის ვინცა, შეეხევეწოს ჯელმწიფესა და გარდააწყვეტინოს ჯელმწიფეზა სამართლიანის საქმით ობოლთა ვალი.

ქ. თავი ასოთხი

104. ქ. არ მიატემს ზანებასა სამართლისა რიგი, ვინც დაიჭიროს ქურდი და მოკლას, და წააჯღინოს ჟღელწიფოდ. ასრე მართებთ მათ, ქურდთა დამკერთა: რა რომ ქურდი თავისი თუ სხვი სა დაიჭირონ, მიართვან ჯელმწიფესა [141v] და მას მართებს დანაშაულის მაგიერი ჯაზა და გარისხეზა.

ქ. თავი ასხუთი

105. ქ. ვინ ერთმანეთს უშულლოს და შულღში მოკუდეს, და მას მოკლულს კაცს ყუანდეს მამა ან ცმა, ან სხვა სისხლის მამკითხავი, მათ ვერ შეჯღიათ თავისთავად სანაცლოს სიკუდილი და ვერც თავისთავად სისხლის თბიენა. და ასე ღართებთ: უნდა მივიდნენ, ჯელმწიფესა და მოსამართლეს მოაჯსენონ; და ჯელმწიფემ და მოსამართლემ ქნან საზართალი, და როგორც გარდეჰდევინება მართებთ, ისე გარდააჯღევინონ.

ქ. თავი ასექუსი

106. ქ. ვინც თავისი ამხანაგი იბრიყოს, ცალი უყოს და წაერთმევენოს, მოსამართლემ თამბა უყოს, და რაც წაერთმიოს მისი, ისრევე მიატემინოს.

ქ. თავი ასშვილი

107. ქ. თუ ვინც ვისი თქუას ავი დაბოროტი ესე, თუ არის კაცის მკულელი და არის ავის მოქმედიო, წინაშე მოსამართლეთა რომ ვერ უყოს საბუთი და გამტყუნდეს მთქმელი, და სტყუოდეს, სიკუდილის ღირსია, თუ ან კიდევ კაცმან თავის ამხანაგს ავი საქმე მოუგონოს და თავს აღებდეს შილთახობით, მასუჟან ვერ უყოს საბუთი და გამტყუნდეს მთქმელი და მამგონე, მოსამართლეს როგორც რომ უნდოდეს და მართებდეს, ისრე გარდააჯღევინონ.

[142r] ქ. თავი ასრვა

108. ქ. თუ იყიდოს კაცმან სოფელი და ანუ ყმა, და ანუ სხვა ჯაგინდარა სხვის სახელზე ვიზედაც, და ფასი მან კაცმან მისცეს,

და ვისთვისაც იყიდოს, იმას რომ ჯერ არ მიეცეს, და იმ მსყიდველმან კაცმან რომ იმ წლის მოსავალი სოფლისა თუ რისაც აიღოს, მასუკან, ვისთვისაც უყივია, მან თეთრი გვიან მისცეს და წლის მოსავალი რაც თხოვნა დაუწყოს, — არა აქუს ჯელი მოსავალთან, რადგან მოსავალიც იმ წლისა უნდა, ფასიც უნდა მალ მიეცა, რომ რგებოდა.

თუ რამ საჯელმწიფო გამოსაღები და ბეგარა ედვას სოფელსა თუ რასაც, ვინც იმ წლის მოსავალი აიღოს, მან უნდა მისცეს.

ქ. თავი ასცხრა

109. ქ. ასრე ბძანებს რიგი სამართლისა მათზე, რომელნი იყუნენ მოჯელე და მოსამართლე, ქალაქსა და სოფელზე: რასაც ალაგს რომე იყუნენ მისი მორჩილნი და მისსა ბძანებასა ქუეშე მყოფნი, რა იყუნენ უფროსად და მოსამართლედ, მათ არ უნდა იყიდონ არც ვენაჟი, არც ბალი¹ და მოსტანი, არც სახლ-კარი, არც მიწა-წყალი და არცარა სხვა.

კიდევ ამას ბძანებს რიგი: ვინც ვალი გასცეს და დაიდვას გირაო, არ უნდა თავის მოვალისაგან იყიდოს ან სახლი ან სხვა რამ, სანამდრნ მოვალემ თავისი ვალი მისცეს. მასუკან თვითან იცის, თავისი მამული, ვისაც უნდა², იმას მისცეს და მიყიდოს მისის ნებით*.

[142v] ქ. თავი ასათი

110. ქ. ვისაც შვილმან შევავინოს და ავად მიეპყროს მამასა მისსა ანუ ავი სხვა რამ ქნას მამას წინაშე, ბძანება აქუს მამასა და შეუძლია მოსამართლესა წინაშე წაწევა და მოსამართლით გარდაქლდვინება.

და ამისთვის კი არა მართებთ, რომე სხვასთან ვისთანაც წული ექნას და ან სხვისათვის შეეგინებინოს შვილსა ვისაც, წავიდეს მამა და სძრახოს და დააბიზლოს მოსამართლეთა — არ არის მართებული.

ქ. თავი ასთერთმეტი

111. ქ. არ შეუძლია შვილთა მამასთან სწორედ წასულა სავარტალში.

¹ ბალი A. ² უნოდეს A.

* „მიყიდოს მისის ნებით“ მიწერილია სხვა ხელით.

ქ. თავი ასთორმეტი

112. ქ. ვინც ვის მისცეს თავისის ნებით და ჩუქებით სოფელი ანუ სხვა რაგინდარა საქონელი, ანუ ყმა, ან სახლი და წიგნითა დაუმტკიცოს¹, მასუკან შეუძლია დაპატრონება, ვისაც რომ მიეცა წიგნით, მას კაცსა. თუ მოინდომოს მიმცემმან კაცმან გამოროთმევა, გამოერთვას.

ქ. თავი ასცამეტი

113. ქ. თუ ვინც ძქანი გაიყარნენ და გაიყონ მანული და საქონელი, და კაცთა წინა გაიყარნონ და არ დასწერონ გასამყრელის წიგნი მართალი, უწიგნოთ გაყოფა რისაც და გაყრა არ არის ქემ-მარტი.

ქ. თავი ასთოთხმეტი

114. [143]. ქ. ვინცაგინ ერთმანერთი გააჯავროს და ერთ მან მეორე ავად სძრახონ, არ არის მართებული რაგინდარის ძრახვა, არც მისცემს რიგი უბრალოდ, გინდა ბრალიანად. თუ მძრახავმან მართლად დაატეხოს ავკაცობა, — უბრალო იყოს მთქმელი.

და თუ მთქმელი და² მძრახავი სტყუოდეს, და ვინცა სძრახა, მქნელი არ იყოს, მას დამძრახავს კაცსა სცენ და წაკრან კისერში, და გარდააქდევინონ ტყუილად ძრახვისათვის³.

ქ. თავი ასთხუთმეტი

115. ქ. იქნება, რომე კაცმან სძრახოს და თქვას ავის მოქმედობა, სხვის კაცის მკულელობა ან. სხვა ავის საქმის ქნა, და შეაბეზლოს მოსამართლესა.

მიგება სიტყუისა: არ შეუძლია, აბა, ამის მეტი, თუ მოკლული მისგან მამა მისი არ იყოს ან სხვა ნათესავი მისი. თუ სხვამან სხვისათვის სძრახოს და შეაბეზლოს, მისცეს თავდები მას საქმისა გამართლებისათვის. აბა, თუ უპირისწყლობით უთქუამს მას კაცზე, ის საქმე ვერ გაამართლა⁴ და სტყუებულა მთქმელი, — რაც რომ იმაზე მოსამართლისაგან მისაღები იყოს, ახლა მიიღონ, ამ ტყუილად დამბეზლებელსა და მძრახავს გარდააქდევინონ.

ქ. თავი ასთექუსმეტი

116. ქ. ვინც კაცმან სძრახოს ვინცა ავსაქციელობით, შეუძლია, ვინც სძრახა, მანც სძრახოს იგი ავის სიტყუით იქივ ჯარში.

¹ დაუმტკიცოს] დაუმკვიდროს B. ² მთქმელი და]—A. ³ ტყუილად ძრა-ხვისათვის]—A. ⁴ გამართლა A.

ნასუკან მართებს მოსა[143v]მართლეს მათის სიტყუის გასინჯვა და სამართლის ქნა—აბა, რომელი იყოს მტყუანი, გარდააჯღევინოს.

ქ. თავი ასჩვიღმეტი

117. ქ. არიან ყოველნი ქურდნი სიკუდილის ღირსნი, მაგრა-მე ღამით მოქურდალი ყოველთა ნამეტნავად. ვინც ღამით დაიჭი-რონ ღამით მოქურდალი, მისცენ სიკუდილსა რიგის ბძანებითა.

რომელი დაიჭირონ დღისით, მზისით, სცენ უწყალოდ და დააბან¹, თუ არ იყოს ყაზახი.

ქ. თავი ასთურამეტი

ქ. 118. ქ. ვინ ვის მოპაროს ყმაწვილი, ყმაწვილის მამპარავი მისცენ სიკუდილს უწყალოდ

ქ. თავი ასცხრამეტი

119. ქ. კაცმან ვინც ვისი მოსამართლესთან ავი თქუას და იყოს ავის მოლაპარაკე, მოსამართლემ უნდა სწორედ და რიგი-ანად გასინჯოს სიტყუა მისი მართლობისა და სიმტყუენისა. თუ მრავალჯერ ტყუილი მოგესენებინოს და ტყუილ მობეზლარი იყოს, გაიშოროს კარისა მისისაგან.

ქ. თავი ასოცი

120. ქ. უტელწიჟოდ ვინც ვის წაართვას შვილი ან პირ-უყვი, და² წაიყვანონ და სხვას ქუეყანასა დაკარგონ, და მოგსენ-დეს ეს ტელწიფესა და გასინჯოს, —ვისიც იყოს ნაქმარი, დაამძი-ზოს მისი გარჯა და წაართვან, ვინც რასაც მართლად უჩიოდეს, და მისცენ მასა.

[144r] ქ. თავი ასოცდაერთი

121. ქ. ვინც გასტეხოს სახლი³ ვისიც ქურდობით, იგი ქურდი, სახლის გაცეხი, სიკუდილის ღირსია.

ქ. თავი ასოცდაორი

122. ქ. ვინც ვისთვის ქნას კაი საქმე, უნდა პატივი სცენ—კაის მქნელი ცოცხალიცა და მკუდარიცა კარგად მოიგსენების. და ვინცა ვისთვის ქნას ავი საქმე, მას სცენ და ახადონ პატივი.

¹ და დააბან]—A. ² და] ან A. ³ სახლი] + A.

ქ. თავი ასოცდასაში

123. ქ. რომელიც შეილი ნაშამან ანდერძით დააპატრონოს ქონებასა და მამულსა მისსა, და რომ დარჩეს ვალი, რომელიც რომ დაპატრონდა, ვალიც მან უნდა მისცეს, თუ ბევრია თუ ცოლა. და თუ ვერ იკისროს პატრონობა და ვალის გარდაჭდა, აილოს ჳელი. ვალი მოვალემ მამულსა და მის კაცის ქონებასა სთხოოს.

ქ. თავი ასოცდაოთხი

124. ქ. ვინც კაცმან ვინც დააპატრონოს ქონებასა და მამულსა მისსა ანდერძით, და დარჩეს ვალი, და ვალიც მას დაადვას, მასუკან არც ინდომოს მამული და ქონება, და არც ვალი. — აბა, მასუკან წავიდეს მოვალე და მოკიდოს მამულსა და ქონებას ჳელი თავის ვალის გულისათვის.

[144v]. ქ. თავი ასოცდახუთი

125. ქ. კაცმან ვინც რაგინდარა იყიდოს სააშხანაგოდ¹, ან იყოს მოწაზე და ან წიგნი სათვალავი ოქროსი, და ფიცი უთხრას, მოგცემო, ჳეიმანი დაუდვას, მასუკან გავიდეს პირობიდამ, ჳძანება რიგი: გამოართვან წაგიერი და ფიცისათვირ — მისგან გამთავეპით ფასი.

ქ. თავი ასოცდაექუსი

126. ქ. თუ უნდოდეს ვისზე ვისიც შეყრა ძმაფიცალ წიგნით² და შეიყაროს, და შეიქნას იშათში ერთობა, რაც რამ ქონდესთ და ან რაც მოიგონ, საერთო³ იქნეს თუ არა?

მიგება სიტყუისა: შეყრას რიგმან — ამისთანა საქმე დაუმტკიცებელი საქმე არის და არც დამტკიცდების საბოლოოდ: ისინი რომ კიდევ⁴ სჯეროყუნენ ერთმანეთის ძმობასა, ვერ იქონენ ცოლნი და შეილნი მათნი ერთობას მათ უკან.

ქ. თავი ასოცდაშვიდი

127. ქ. ქალის შვილსა, ვაჟსა, გინდა ქალსა, არა მართებთ მორჩილობა პაპიაა, რომ მართებს მორჩილობა მამის მამისა¹ და არა დედის მამისა.

¹ სააშხანაკოთ A. ² საერთო] = იყოთ A. ³ კიდევ] — A. ⁴ მმისა A.

ქ. თავი ასოცდარვა

128. ქ. გაყრა რომ მოკდეს ძმაშია და ძმანი ყუელანი კაცობაში შესულიყუნენ, რომ არა ყუანდესთ მამა და იყუნენ თავის ჯელთქონენი [145r], და გაიყარნენ, თუ წიგნით და თუ უწიგნოთ, და მათ¹ ერთმანეთისათვის ელაღატებინოს და დაემალოს რამე, და ძალი ექნას ერთმანეთში, ბძანებს რიგი: არ არიან მართალი გაყრილნი.

რომელსაც ძმას დამართებია ძალი სიპატარით თუ რითაც, მასუკან ის კაცი რომ შეიქნას ოცდახუთის წლისა, ბძანება მისცეს რიგმან ჯელახლა წილის თხოვნისა და² ძებნისა; და სთხოოს³ ძმათა წისთა. ძეუძლია მიღებება ოცდარვა წლამდინ.

ქ. თავი ასოცდაცხრა

129. ქ. ვინ ვისი შვილი, ყმაწვილი, ვეი თუ ქალი, აიყუანოს და გაზარდოს, რომ არ იცოდეს მამამან და არცა დედამან მისმან, რომ იყოს ბოზობით შობილი, კითხონ რიგსა: რომ გაიზარდოს და კაცი შეიქნას, რისა აქუს ბძანება, ყნობისა თუ აზატობისა?

მიგება სიტყუისა⁴—ბძანებს რიგი: როგორც რომ უნდა გამზრდეს, ისრე უნდა იქნას. თუ მიიცვალოს გამზრდელი, ყმობა დაარქუას. ყმა იყოს, და თუ აზატი ქნას; აზატი იყოს.

ქ. თავი ასოცდაათი

130. ქ. ვინ მისცეს ვალი ვისაც და გამოართვას გირაო ოქროან ვერცხლი, ან სხვა რაგინდარა, და ეჭირებოდეს თეთრის პატრონს თავისი თეთრი და უთხრას მას გირაოს პატრონს, დაიკსენ შენი გირაო, [145v] სამჯერ კაცი გაუგზავნოს, — და თუ თავს შეიღვას, ის არის, და თუ თავს არ შეიღვას, ბძანება აქუს მას თეთრის პატრონს გაყიდოს გირაო და აიღოს თავისი თეთრი.

თუ ნამეტნავი იყოს, მისცეს, და თუ ნაკლები იყოს, კიდევ გამოართვას.

ქ. თავი ასოცდათერთმეტი

131. ქ. თუ კაცმან ვინც თავის ამხანაგს თეთრი ავალოს უგირაოთ და ნასუკან თავისთავად გირაოს თხოვნა დაუწყოს, კიდევ რამ წაართვას გირაო, რა მოკსენდეს ეს მოსამართლეს, წაართვას და ისრევ პატრონს მისცეს.

ნასუკან თეთრის პატრონმა სამჯერ კაცი გაუგზავნოს და თავისი თეთრი სთხოოს. თუ მისცეს, ხომ ის არის, თუ არ მისცეს, მასუკან სამართალში წასწიოს.

¹ მთ A. ² და]—A. ³ სთხოოს A. ⁴ მიგება სიტყუისა]—A.

ქ. თავი ასოცდათორმეტი

132. ქ. ვის ვის სახლზე სახლი ედგას და ზეითი სახლი დაძაბუნებულ იყოს, იქცეოდეს, და მასუკან მივიდეს ქუეით სახლში მდგომი და ზეითის სახლის პატრონს უთხრას, გააკეთე შენი სახლი, რომ ჩემი არ დააქციოს, ზიანი არ მეცეს, — აბა, თუ არ დაუჯეროს და გულიდამ გაიშოროს გაკეთება სახლისა და არ გააკეთოს, მასუკან ქუეით სახლში მდგომელს შეუძლია, რომე წაიყუანოს ოსტატი და გააკეთებინოს, და რაც [146r] მოუნდეს, მან დახარჯოს მის წილ კედელზე და ბანზე.

თუ, ვინ იცის, მან ზეითის სახლის პატრონმა დაუგვიანოს და რაც დაუხარჯავს, ოთხს თვემდინ არ მისცეს, და სასამართლოდ გაუხადოს, მასუკან მოსამართლემ წაურთვას ერთიორად და მისცენ.

თუ ქუეითი სახლი იყოს დაძაბუნებული და იქცეოდეს, და უთხრას ქუეზე სახლში მდგომელს ზეით სახლში მდგომელმა, რომე გააკეთე შენი სახლიო, თუ არ დაუჯეროს და მან გააკეთოს, შეუძლია გაკეთება.

აბა, თუ რაერთიც სახლი ქუეითია, იმდენერთა ზეითია, ნახევარი ხარჯი უნდა სთხოოს ქუეითის სახლის პატრონსა.

და თუ ზეითი სახლი ორია ერთმანეთზე და ქუეითი ერთია, ორი წილი ზეითმა უნდა ჩაიგდოს და ერთი წილი ქუეთმა სთხოოს; აგრევე, თუ იყოს სამი და თუ იყოს ოთხი, ერთი წილი ქუეითმა უნდა მისცეს და, რამთონიც სახლი ზეით იყოს, იმთონი წილი იმან უნდა მისცეს, ამიტომ რომე სულ ყუელა ქუეითის სახლს აწევს და ქუეითის სახლს ძალას უზამს.

ქ. თავი ასოცდაცამეტი

133. ქ. ვინც ვისგან აიღოს ვალი და დაუღვას გირაო, რომ იყოს მიწა, და დადვან პირობა, რომე თეთრის სარგებელში მიწა მოგნას, მასუკან, როსაც თეთრი მისცეს, ისივ თავნი უნდა მისცეს.

თუ, ვინ იცის, კა[146r]ცმან¹ ან ცხენი, ან საჭედარი, ან გარი, ან ფური, ან ცხვარი მისცენ, რომე პირობა დასდვან, რომე თეთრის სარგებელში ესენი მოიგმარეო და ამუშავე, საჭედარმა² უმუშაოსა ფურმა და ცხვარმა რძე მისცეს, — ეს იყოს თეთრის სარგებელში.

და რომელიც იყოს მეჰენი და ააშენოს რაცა, თუ პირობით თეთრის პატრონისათვის ისიც მიუცია, იჩისი უნდა იყოს;

¹ კაცმა⁵⁵ A. ² სახედნმა A.

თუ არადა, ნაშენი პატრონისა არის, და რომელსაც დარჩეს ნაშენი, სამწყემსოც მან უნდა მისცეს.

[თუ] მუახლე მისცეს გირაოდ, მისი სამსახური უნდა იყოს თეთრის სარგებელში. თუ შვილი მისცეს, — პატრონისა არის: რა მისი თეთრის მართებული სარგებელი აუთავედეს, თავისი თავისაც პატრონს დააქსნეინოს¹.

ქ. თავი ასოცდათოთხმეტი

134. ქ. ვინც მისცეს ვალი ვისაც, გამოართვას თავდებიცა და გირაოცა, თუ ვერ უშოვნოს თეთრის ამღებმა, როსცა ეჭირებოდეს თეთრის პატრონსა თეთრი, და გაყიდონ გირაო, და იყიდოს თავდებმა, მასუკან გირაოს პატრონმა რომე თეთრი იშოვნოს, შეუძლია გამორთმევა თავისის გირაოსი?

თუ მაშინვე სხვას მიყიდონ, ველარას შეუა მასუკან.

ქ. თავი ასოცდათხუთმეტი

135. ქ. ვინ ვისგან აიღოს ვალი და თვითანც დაწეროს, ამისი ესე მმართვეს, ან[147r]ისი ესეო, ვერ მისცეს და ბევრისა ემართოს, და მიიცივალოს იგი კაცი, მასუკან მოვიდნენ მოვალენი და ითხოონ ვალი, — ჯერ მისცენ, ვისგანაც უწინ აუღია მას, მერმე — მეორეს, მერმე — მესამეს, აგრევე — მეოთხეს.

თუ კიდევ იყოს ვალი და კაცის საქონლისა აღარა იყოს რა, მასუკან მიეცეს მოვალეთა ცოლისა და რძლის ზითევისაგან.

თუ რძალი ბებრი ყუანდეს, რომელიც უწინ მოყუანილი რძალი იყოს, იმისი ზითევისაგან მისცენ; და თუ იმითაც ვერ გარდასწყუიტონ, რომელიც რძალი წინას უკან მოსულა, იმისგან მისცენ.

ქ. თავი ასოცდათექუსმეტი

136. ქ. თუ აიღოს კაცმან ვისგანცა ვალათ ოქრო თვლითა და წიგნითა და დაუდვას გირაოდ, რაც რამ ფერი იყოს, და სახელდობით არ დაწერებოდეს, ბჯანებს რიგი: ვინც მამგებია, იმან უნდა დაიქსნას ისიები.

ქ. თავი ასოცდაჩვიდმეტი

137. ქ. ბჯანებს რიგი მათთვინ, რომელნი არიან მკურნალნი, მათთვინ, რომელნი არიან ბერნი მოქადაგენი, და რომელნი არიან

¹ დაბ. ნეეინოს A.

ყოველთა წმინდათ წერილთა წიგნთა მკოდნელნი, რომ არიან ქალაქსა და სოფელს: აზატი იყოს ყოველის გვარისაგან [ხარკისაგან] და არვისა აქუს მებღება და არ არის შემძლეობა ვისგანც მათი წაქურა და ცემა-გინება ანუ გაგდება, და უნდა მათ პატივისცემა, [147v] გამართლება—გამძღოლი არიან ორის გზისა: მკურნალია ჯორცთა გამკურნებელი და მოქადაგე სულთა ქირთა მკურნალია.

ქ. თავი ასოცდათურამეტო

138. ქ. კითხონ რიგსა¹, თუ იყოს კაცი შექირვებული ქირითა რითაც და ანუ მუწუქითა, და ან სხვა რამ ჯორცის შექირვებითა, და მკურნალმა უნაღლოს და გაკურნოს ქირისაგან, [და] ავამტყოფმა მისცეს სააქიმო?

მიგება სიტყუისა: არა აქუთ შეძლება, ვისაც რაც მიეცეს, ისევე დაუწყოს თხოვნა, თუ კარგად შექნილმა და თუ არა. კიდევე ისრე, ვინც რა მისცეს მოქადაგეს სასულიეროდ, ნამეტნავად კიდევე მისი გამორთმევა არვის შეუძლია.

ქ. თავი ასოცდაცხრამეტო

139. ქ. ვინც ვის ფლური თვლით ასესხოს, პეემანი დასდევან ან ექუსის თვისა, ან უფროსისა, ან უმცროსისა, არ შეუძლია თხოვნა მიმცემს პეემანს უწინ.

თუ უპირისწყლობით² პეემანს წინ ითხოვოს³ და ძალი დაატანოს, და არ მოეშვას,—დაკარგოს მან მიმცემმან თავნიც.

ქ. თავი ასორმოცი

140. ქ. ვინც ვის ავალოს ფლური თუ თეთრი, რარიგიც პირობა დასდევან⁴, ამღებმან ეს უთხრას, ფლურისათვინ ისრევე ფლური მოგცეო, და თუ თეთრი იყოს, ამისთანას თეთრს მოგცემ,—მიცემის ღროს, რახანც მისცეს, ისივე უნდა მისცეს, როგორიც თეთრი⁵ აუღია.

[146r] ქ. თავი ასორმოცდაერთი

141. ქ. კითხონ რიგსა¹: ობოლთა წინამძღოლთა შეუძლია მოსაელელოს თხოვნა?

¹ რიგსა]—A. ² უპირისწყლობით A. ³ ითხოვ A. ⁴ დასთვან A. ⁵ თეთრ A.

მიგება სიტყუისა: რომ შევიდნენ ობოლნი კაცობაშია, მაშინ უნდა ითხოონ. და წაასხას მოსამართლისა წინაშე და მოსამართლის სამართლით გამოართვას.

ქ. თავი ასორმოცდამოც

142. ქ. ვინცა ვინ მიიცივალოს უანდერძოთ და დაპატრონდენ ქალნი და ვაჟნი ქონებასა მისსა, და მასუკან მათში ერთ-ერთი რომელიმე მიიცივალოს,—დაპატრონდეს ისრევე ძმა. და თუ დედა ცოცხალი იყოს, შეილთან მასაც სწორედ ქონდეს პატრონობა.

ქ. თავი ასორმოცდასამი

143. ქ. რომელიმე მიიცივალოს და დარჩეს შეილი დედის-ერთი, და მასუკან¹ ისიც მიიცივალოს და დედა ცოცხალი დარჩეს,—ზძანება მისცეს რიგმა: რაც ქონება იყოს მათი, სამ წილად გაყონ; ორი წილი მას დედისერთის დედას მისცენ და ერთი წილი მას ყმაწვილის მამის ძმასა და ძმისწულეებს მისცენ.

და თუ არ იყუნენ ისინი, დედის ძეგბი დაპატრონდენ მას ერთსა წილსა². და თუ ისინიც არ იყუნენ, დაპატრონდენ მამის დეგბი, რომელნი იყუნენ უნებითაო. და თუ გამპითული იყოს, ისიც იმ საქონელთან გაყონ.

ქ. თავი ასორმოცდათხი

144. ქ. კაცმან ვინცა რომ თავის ღთის გულისათვის გაზარდოს ობოლი ვისიც, რომე წიგნით მათი გაძლოლა მოსამართლისაგან არ მისცემოდეს, თუ [148v] იმ ყმაწვილს მამულიც დარჩეს მამისა და ვალიცა, სანამდისინ არ დაკაცდეს, არ ეთხოოს ვალი, არცავეის მის შემნახავთან ქონდეს ჰელი, არც წაიყუანება ძისის გულისათვინ სამართალშია.

აბა, თუ ქონდეს მიწა ან სახლ-კარი, ან ვენაჯი,—მივიდეს ის თეთრის პატრონი და გამოართვას გირაოსავით; და ერთი წიგნი მისცეს იმ კაცმან, თუ მე, აბა და ამ კაცს მამებარა ესე და ეს მამული; მასუკან მოწნას, დასთესოს, როგორათაე მოსაჭმარისი იყოს, მოიჭმაროს და გამოსავალი სჭამოს ოცდახუთს წლამდინ.

მასუკან მამულის პატრონი მივიდეს და თავისი, რაც, გირაოსავით მიეცეს, სთხოოს. აბა, იანგარიშონ თეთრი: თუ იმ კაცსა სარგებლისაგან ნამეტნავე ეჭიროს³, თავნში ჩაიგდოს, თუ არადა, რაც დაედვას, მისცეს.

¹ მასუკან] მამის უკან A. ² მას ერთსა წილსა]—A. ³ ეჭიროს] ჰამოს B.

ქ. თავი ასორმოცდახუთი

145. ქ. კითხონ რიგსა: რომ არიან კაცნი და ყავთ შვილი, წავიდეს ერთ-ერთი შვილი და აიღოს ვალი ვისგანც, ან ივაქროს და ან რაც უყოს, მასუკან ის ვალის ამღები ან მოკუდეს ან გაიპაროს სადმე, მასუკან ის თეთრი ან მამასა და ან ძმას ეთხოვბის თუ არა?

მიგება სიტყუისა: ბძანებს რიგი, არც ეთხოვბის მამასა და არც ძმასა. აბა, თუ აწვენოს მოსამართლეს, რომე მამასა და ძმას იმისი ამღენი წილი ქონდეს, რომე ვალის მაგიერი იქნებოდეს, ან იმ თეთრისაგან მათ ქონდეს რამე, — უნდა მისცენ ვალი მათ, და თუ არა ქონდეს რა, ვერას შეუიღეს.

[149r] ქ. თავი ასორმოცდაექუსი

146. ქ. თუ ვისაც შვილმან, ვაყმან თუ ქალმან, თავის მამას მოპაროს რამე ქონებისაგან, ან წიგნი საჯსენებელი, და გაყიდოს მასუკან შეიტყოს მამამ, თუ მამასთან არის ის შვილი, ავად მი-, ეპყრას და ათქმევინოს ვისაც უქნევიანებია, და რაც რამ მოუპარავს, მიატანინოს.

და მასუკან, თუ გულმართლა წენდობა დანაშაულისა მამისაგან მოითხოოს, მამამაც შეუნდოს. და თუ ის შვილი მამისაგან გასული იყოს და გარეთ იყოს, როგორც სხეას¹ ქურდსა, ისრე გარდაატღევიონ.

ქ. თავი ასორმოცდაშვიდი

147. ქ. ვინც დაპატრონოს შვილი მისი თავის მამისა და პაპის მამულზე ანდერძის წიგნით, უნდა გათავდეს მამის ბძანება, და რომელიც შვილი დაუპატრონებია, ის უნდა დაპატრონდეს.

აბა, თუ ვისმე დედის ნათესაემა ყმაწვილთათვის ანდერძის წიგნით გაუშეან რამე, მიაბარონ ყმაწვილთა მამას; [მას] არა აქუს შეძლება მისის რიხაზე დაკლება მას ყმაწვილთ სიცოცხლეში.

ქ. თავი ასორმოცდარვა

148. ქ. თუ ვინ ვის თარჩა მიაბაროს და ფათერაკად მოკდეს და ცეცხლი ჩავარდეს, და დაიწვას, აბა, შემნახავს რომ ბარებია, მას არ ეთხოვბის, ამიტომ რომე ფათერაკად მომკდარა და მის სახლსაც წაეკიდება ცეცხლი, [149v] მას ხომ თავისის სახლის და-

¹ სხვას A.

წვა არ უნდოდა—ქეშმარიტად აზატია, ვისაც ბარებია, ის კაცი და არ ეთხოვების.

აგრევე, თუ სახლი გაუტეხონ და ქურდთ ვაიტანონ, არც ამაზე ეთხოვების, ვისაც ბარებია, მას კაცს.

ქ. თავი ასორმოცდაცხრა

149. ქ. თუ ვინც ქარვასლაში დადგეს და ყუანდეს მას კაცს აქლემი, ცხენი, ჯორი, საკედარი, და მისცეს მესანახავად, უჩვენოს და მიაბაროს, მოვლეს, რომ მოპარონ რამე მათ პირუტყუში, ბძანებს რიგი სამართლისა: უნდა მისცეს ფასი მექარვასლემა, როგორც რომ ბაზარში ეფასებოდეს.

თუ ის კაცი ყოველთვინ¹ მისულა-მოსულა და უფროსი მექარვასლე კაცისათვის აღარ მიუბარებია, და მისის ყმაწვილისა და უმცროსისათვის მიუბარებია, ნახევარი ფასი მისცეს მექარვასლემ.

ქ. თავი ასორმოცდაათი

150. ქ. თუ კიდევ კაცმან ქარვასლაში რაგინდარა პირუტყუი გაუწეას და მექარვასლეს არ მიაბაროს, და არც იმის უმცროსს უთხრას, თუ აქ ესე და ეს გამიშვია და თქუენ გებარებოდესო, მასუკან მოვლეს, რომ დაიკარგოს, რადგან არ მიუბარებია, მექარვასლეს ვერას შეუა ერთის ფიცის მეტსა, რომე, არც მოგება-რებინოსო და არცარა იმისი მოპარვისა ვიცოდეთო.

¹ ყოველთვინ A.

დღევანდელ ჰყავ ოთხ პატრონი ვახტანგ

151. ქ. მოვედით ახლა საქმისა სამართლისა შეტყობასა. ქალაქთა მოსამართლეთათვის უბძანებია მოსეს** და მისთა მგალობელთა და მწერალთა, რომელიც კიდევ ჩანს. არათუ ყუელა წიგნით მოგუტა მოსემ გზა სამართლისა. ზოგი ნახვით მოსამართლეთა ზედაც მიაგდო, ზოგი სხვადასხვა საქმეზე და დროზე. და ამის გული-სათვის დააყენა მწერალნი, რომე, რაც სამართალი ქნან, წიგნათ დაწერონ და შეინახონ, რომ ჩვენთა ეკლესიათა ამას წინათ ქონდათ.

ახლა უწინ ეს ვნახოთ: მართებთ მოსამართლეთა ზედა ჯელმწიფეს—უნდა უყოს წყალობად თეთრად და სხვარიგად პატივი სცეს დიდად: მოსამართლეთა აქუთ ჯელმწიფისაგან, ამიტომ რომ არ შეზარდენ სამართლის ქნასა და მოჩივრის მრავლად მისულასა; არც ჯელმოკლედ უნდა იყუნენ, რომე ჯელმოკლობისათვის სამართალი არ გაამრუდონ.

და იმგვარად ეკლესიათა მოსამართლეთა, რომელნი¹ მოქადაგენი ებისკოპოზნი იყუნენ, წყალობა და პატივი კათალიკოზისაგან სპირდეს სავესედ, ამიტომ რომე არ წააქდინონ სწორე სამართალი ოთისა.

და ასრე უნდა იყოს: თუ ვინგინდავინ კაცი მიიცვალოს, რომე არც დარჩეს ვაჟი და არც ქალი, და არც ნათესავი მამეული, მისის ქონების დაპატრონება ებისკოპოზისა არის, რომელი იყოს მისის ქალაქისა.

და ესეც ასრე: თუ კათალიკოზის სამწყსო იყოს, კათალიკოზს დარჩეს იმრიგად მიცვალებულისა, და თუ ებისკოპოზისა იყოს, ებისკოპოზს დარჩეს. და ებისკოპოზმა სამ წილად ქნას იმ

¹ რომელნი A.

* + პირველი ერთი A. B. ხელნაწერში ასეთი სათაური აქვს: „ქ. წიგნი მეორე სომხის სამართლისა, რომელსა სჯიდეს პირველნი სომებთ მეფენი“.

** მეორე სჯული 16,11.

მკუდრის ქონება: ერთი წილი თვითან აილოს, ერთი წილი კათალიკოზს მიართვან და ერთი წილი მღვდელს მისცენ.

[150v] და თუ ვინც მოქადაგე დახუდენ, მაშინ ექუს წილად ქნან და მეექუსედი მოქადაგეს მიართვან; და სხვა ისრევე სამ წილად გაყონ: ერთი წილი კათალიკოზსა და ერთი ებისკოპოზსა, და ერთი მღვდლებსა. საერისკაცოს მოსამართლეს არ დაუდვან წილი, ამიტომ რომე დღეს არიან და ხვალე არა. ეკლესიისა მოსამართლენი¹ მამანი არიან სულისა და ჳორცისა, ორისავე, და იმათ უნდა წირვითა და ლოცვით მიცვალებულზე გარდიჳადონ, რომე მართებთ ვალად. და ამას გარდა, არა რიგითა, მაგრამ თავაზითა ცოტა, რამ წილი მისცენ, თუ დახუდენ ერისკაცი მოსამართლე², თუ მათაც უნდოდეს თავაზით მიცემა.

თუ მონასტრის ბერი მიიცვალოს და ჰყუანდეს მოწაფე, ქონება ზისი³, რაც დარჩეს, წას მისცენ. და თუ არა ჰყუანდეს შაგირდი და ოსტატი, და უფროზი ყუანდეს, მას მისცენ ქონება ზისი. და თუ არა ყუანდეს ოსტატი და არც შაგირდი, არა აქუ, ჳელი მის მამასა და ძმასა, და არას ნათესავეს მის საქონელთანა და უნდა მიართვან მონასტრისათვის მონასტერთა მამათა. იმ ქონებიდამ სულის კერძი ებისკოპოზს მიუცენ.

ბერთა, მღვდელმონაზნთა წესია ასრე: რომელმა მორჯულემ კაცმან და დედაკაცმან აილოს ჳელი ქუეყნიდამე და წავიდეს საყდრის კარს, და დაადგეს მლოცავედ და მღვდლის ჳელდებულად შეიქნას, როდისაც მიიცვალოს კაცი თუ დედაკაცი, ქონება მისი, რაც დარჩეს მას, მღვდელს მისცენ,—მან უნდა გარდიჳადოს მისი სულის საქმე,—ებისკოპოზთ ჳელი არა აქუთ.

და ეს სამართალი მკუიდრად და დამტკიცებით დარჩეს და იყოს მოსენაკეთა ჳედა.

მაგ[151r]რამ ერთად მყოფელნი კრებულნი მიცვალებულის დანარჩომს ერთპირად დაპატრონდენ, რომელიც რომ მიიცვალოს მათში, და სულის საქმე და წესიც მათ ერთპირად უნდა გარდუჳადონ.

და თუ სხვაგნადამ მისული ბერი და მღვდელი დაესწრან, მას უნდა მისცენ მიცვალებულის ტანისამოსისა; და საღმთო საწესოს წილიცა დაედება, და უნდა მისცენ. და სხვა მათ ცმათ გაიყონ სწორად.

¹ მოსამართლენი] მოსამსახურენი B. ² მოსამართლე]—A. ³ მისია A.

თუ ებისკოპოზი მიიცვალოს და ჰყუანდეს შაგირდი და სულიერი ძმა, და ანუ რომელიმე თვითან მოიწონოს და მოინდომოს მისი დაპატრონება, ის დაპატრონდეს ქონებასა მისსა. და შესამოსელი და მირონი, და ყავარჯენი, სხვა ფეშქაშიცა მიართვან კათალიკოზსა, ამიტომ რომე ის არს უფროსი და მაკურთხეველი, და მოსამართლე. მისი სამარხი და საღმთო საწესო მიუცენ მას, რომელიმე იყოს სიახლოეს კარსა ებისკოპოზი.

ქ. ესე ასრეა: რაც სამღთოდ დაიკლას კათალიკოზის¹ სამოციქულო ეკლესიის კარს, მისი საწესო კანდელაკისა არის. და თუ მოკდეს და მიიცვალოს კათალიკოზის ნათესაეი და ქაშა გარდუგადონ, და ან საქორწინებელი იყოს და დააქორწინონ, კარის ებისკოპოზისა და მოქადაგისა არის, და უნდა მისცენ.

თუ მიიცვალოს კათალიკოზი, იმისი ყოველი² ქონება მისის ტახტისა³ არის, და დარჩეს. ორთა და სამთა მოქადაგეთა დაუწახონ. და პატივით, ბქანებით, — თუ მოკდეს ერთის მოქადაგის შაგირდობა, და⁴ ებისკოპოზისა, და ან უფროსთა მიტრაპოლიტთა, — მათის ჰელით უნდა ეზიაროს*.

მაგრამ რომ ბქანებს რიგი: ორი და სამის მოწმით [151v] დამტკიცდეს, და ერთისაგან არ მიიღება მახე რიგი და წესი — წინასწარმეტყუელთა და მოციქულთა მიმსგავსებით კეთილითა იყო ისიც და საღმთო საქმეთა მოქმედი, — მაგრამ აზიარონ გარჯილობით მოციქულთა და შნოთი წინასწარმეტყუელთა.

მაზე საქმე გამორჩეული დაიძახების: მაგრამე, უწინევე გამორჩეული მრავალთა შიგან ერთი, — ამპარტავანთა სხვათაზე აიღებდა რიგსა აელო ჰელი თავისიანზე; — და მისგან გასწავლულთა ერთი-ორად მქცეველი; და მონანულთა ღირსად საკანონოთა მიმნიჭებელი მისის ბქანებითა და მასუკან სწორის გზის მიმცემი; მაგრამ კაცი გამორჩეული და ღირსი წინასწარმეტყუელთა, და მოციქულთა მაგიერად მყოფელი, — კათალიკოზი-პატრიარქი მიიღონ მიწასა წინასწარმეტყუელთა და მოციქულთა წესითა: შეიყარნენ ყოველნი დარჩეულნი უფროს-უფროსნი ებისკოპოზნი, მიტრაპოლიტნი, მოქადაგენი — აღუგონ წესი.

და თუ ვინც მისგან შეჩვენებული დარჩეს და შეკრული, და მან ანდერძი ბქანოს, და ვისაც უბქანოს გაქსნა და შენდობის მიცემა, — მან უნდა მისის ბქანებით შენდობა მისცეს. მაგრამ, თუ არა ბქანოს ანდერძი, ვერავის შეუძლია შენდობის მიცემა..

¹ კათალიკოზისე A. ² ყოელი A. ³ საყდრისა B.

* სომხურ დედანში აქ მთავრდება 151 მუხლის შესაბამისი ტექსტი.

და თუ ვინმე უცოდინარობით და ურიგობით მოინდომონ მის უბიანებლად შეკრულთ გაქსნა და შენდობის მიცემა, ისიც მას შეკრულთან შეკრული და შეჩვენებული შეიქნები.

მაგრანე, როდესაც მიიღონ, შეიღს დღემდინ მისის მართებულის წესის უკან იყუნენ. და შეიღს დღეს უკან მოგროვდენ მას წმინდას სამოციქულოს ეკლესიაში ყოველნი მოქადაგენი, ყოველნი [152r] ებისკოპოზნი, ყოველნი მღვდელმონოზანნი, ყოველნი ნეუდაბნოენი და კრება ქნან თორმეტს დღემდინ, და გამოარჩიონ¹ კაცი ღირსი და ყოველთა წიგნთა მცოდნე, ბძენი და თავდაბალი, გულწმინდა და გუნებაკეთილი, და საბრალოდ მქონებელი, რადგან იყოს გამორჩეული კაცი.

და ამისთანა აკურთხონ ბიანებითა ღთისათა თორმეტთა თავთა უფროსთა ებისკოპოზთა. და მასუკან ყოველთა თაყუანი-სცენ და დამორჩილდენ ბიანებათა და რიგსა მისსა. და ნუეინ შეიქნების და ვერცაეის შეუღლია სიცოცხლეჲ შეცილება მისი.

ქ. თავი ასორმოცდათორმეტი [სამართალი ჯელმწიფეთა]

152. ქ. პირველ დავდევით წესი და სამართალი ებისკოპოზთა — უწინ მართებული მათი იყო და არის [იხ. მუხლ. 151]. — და მეორეზე, დავდევით სამართალი ჯელმწიფეთა.

შესატყობია ყოველთაგან, ღთს ჩამოისად ჯელმწიფეთა, ღთისა მიმგზავსებით პატრონი. სახით მართო კაცი ეთქმის, მაგრამ საქმითა და სამართლით ღთის მაგიერად უნდა იყოს ამ ქუეყანასა. და ყოველსა მართებთ როგორც ღთისა, ისე, მას ჩამოის, ჯელმწიფის შიში-მორიდება.

და რომელიც მიიცვალოს² ჯელმწიფე, და დარჩეს ცე და ასული, მართებთ რისაც საქონლასა სწორედ გაყოფა და უფროსს მისცენ ჯელმწიფობა. და თუ უფროსთა გარდა მისგან უფრო წამოსადეგი იყოს და კუიანი, და ბძენი, დასვან შვილი ისი ტახტსა მამისა თვისისასა. და თუ ცმა ყუანდეს ჯელმწიფეთსა მას მიცვალებულსა, ის უნდა დასვან — ასეთ სამართალი.

და ქალსა ნახევარი მისცენ წილი თავისის ქრმითა და შვილითა, [152v] ნახევარი წილი ასე რომე, რაც ერთს ცმას წილი მიხუდეს, იმ ძმის წილის ნახევრისოდენი ქალს უნდა მისცენ.

თუ ჯელმწიფეს უკან შვილებიც მალ მიიცვალონ და შვილი-შვილი დარჩეს, მას უნდა მისცენ ჯელმწიფობა, არათუ ქალის

¹ გამოაჩინონ B. ² მიცვალოს B.

შვილსა. ასრე დასწერა და დაამტკიცა ჩვენმა ველმწიფემ აბკარ¹, რომელსა ქართულად ეწოდების ავგაროზ, ქუეყანასა სწარსთასა.

და მამადმთავარმან ნოემ ვაჟსა და ქალს მისცა წილი და კერძი სამიარსა სამხრეთსა. რომელნი, რომ ველმწიფობდენ მანდილოსანნი რომელნი, მოსემ მოასხა სამხრეთიდაჲ—და უფალი ემოწმება სახარებაში²; და სიყვის შვილს სცა³ თავისებრივი პატივი, წილი, რომელი რიგმან უბწანა მეორედ წილის მიცემა⁴; ორს ქალს მისცენ ერთის ძმის წილის⁵ ოდენი; მაგრამ თუ ვაჟი არა ყუანდეს, და ქალი ყუანდეს, მისცეს⁶ გვირგვინი თავისი ქალსა მისსა. და გვაქუს მტკიცუდ მოწმად რიგი: თუ ვინ მიიცვალოს და არ დარჩეს ვაჟი⁷, და დარჩეს ქალი, საპატრონოსა მისსა დაპატრონდეს ქალი⁸; და შერთოს⁹ ქმარი, და ან ყუანდეს უწინვე, აიღოს გვირგვინი და მისცეს ქმარსა მისსა, და დიდება⁷ მიისცა; მის ქალის მიცვალებას უკან მისნი შვილნი უცხოსავით ჩააგდონ.

და თუ ვინმე თქუას, რატომ თვითან არა ქნა ველმწიფობა და ქმარსა მისსა მისცაო, შეიტყონ, რომე წინაპირველ ქალის ველმწიფობა სამხრეთს იყო.

და თუ ველმწიფემ ანდერძი ქნას თავის სიცოცხლით, შეუძლია თავის მაგიერად, ვისიც უნდა, დადგინება ველმწიფებთ. [15პრ] ანდერძი იგი მიცვალებას უკან დამტკიცდეს, როგორც რომ ბწანებს მოციქული¹⁰, როგორც ველმწიფემ კოსტანტინემ⁹ ანდერძით გააველმწიფა შვილი მისი სამძღურითა, მითთა და წყლითა, და დაამტკიცა ბწითა⁹ წინათა ველმწიფეთა.

და თუ ველმწიფე ასრე მიიცვალოს, არც დარჩეს შვილი, არც ძმა, არც შვილიშვილი, არც ძმისწული, რომე მისის საპატრონოს მეპატრონე არაეინ დარჩეს ვიდრე ოთხ თაობამდი, მასუკან შეუძლია გვირგვინის მიცემა სხვათათვის, არა როგორც გარიგება ველმწიფეთა ინდოთა და ნაკიდონელი ალექსანდრე და სხვათა.

დასახელმწიფებელმან არ უნდა თავისი თავი გააველმწიფოს უკათალიკოზოთ-უპატრიარქოდ¹⁰.

და თუ ველმწიფემ ააშენოს ციხე-ქალაქი და ან ასწეროს ქუეყანა, და ან მოაპკრეცინოს ფლური ან თეთრი, უნდა უფროსთა და თავადთა ვეზირობითა და კითხვით ქნას რიგისა სამართლისათა.

¹ აფკარ B. ² რ.ცა A. ³ წილითა ÷ ნახევრის B. ⁴ მისცე] ÷ მიცეს A.

⁵ ვაჟი] + ვა A. ⁶ შერთოს A. ⁷ დიდობა A. ⁸ კოსტანტილემ A. ⁹ ბარითა AB.

¹⁰ მათე 12,11; ლუკა 11,31. ** მეორე სჯული 21,17. *** რიცხვთა 27,8.

**** ებრაელთა 9,17. ***** აქედან 152 მუხლის ტექსტი მეორდება 403—430 მუხლებში.

და უფროსთა და თავადთა არა მართებთ თავისთავად ფლურისა და თეთრის მოქრა; და თუ მოსქრან, მოქრილიცა და ალაგიცა კელმწიფისა შეიქნას [შდრ. მუხლ. 403—404].

და ისრე: რასაც დიდს წყალზედ კიდის გადება კელმწიფისაგან მართებულია, თავადთა არ მართებთ. ნურც ჩაიციმენ სატელმწიფოს ტანისამოსსა, ვიდრეზღი კელმწიფემან არ უბძანოს [შდრ. მუხლ. 405].

კელმწიფეს წინ ნუ დასხდებიან უფროსნი თავადნი. სუფრასა კელმწიფისასა პატრიაქის მეტი არავინ უნდა დაჯდეს უბძანებლად. კელმწიფისა ტახტსა და სუზანზე ვერავინ დაჯდეს პატრიაქის მეტი. კელმწიფე პატრიაქისა სახლსა ვერ დაჯდეს ერთის ბძანებითა [შდრ. მუხლ. 406—407].

ნუ იქნების ქრისტიანთ კელმწიფე ხარკითა¹, როგორც ურჯ- [133v] ულო კელმწიფენი არიან, — ქრისტიანს კელმწიფეს ჭმედლება აქუს მიმგზავსებით პატრიაქთა ტრაპეზე ასღვისა². და სამართლითა გაუკეთოს და გაარიგოს ყოველი საქმე საკელმწიფო [შდრ. მუხლ. 408].

თუ მოკდეს გალაშქრება³ სხვათა გვარზე, რომ ემართლებოდეს, და გაამაღლოს ჳმალი თვისი, და გაემარჯოს, და დაინარჩუნოს, დანარჩუნებას უკან ნულარ მოკულენ კაცთა.

და თუ სხვათა გვართა⁴ ქალაქი დაინარჩუნოს და ადგეს გარ, პირველ მშვიდობა უწოდოს ერთხელ, ორჯელ და სამჯერ. თუ არ ინდომონ მოსულა, აიღონ ძალით ქალაქი და მტერნი ჳლმით დატოცოს და სხვანი ძალად მოიყუანოს. და თუ კიდევ გულმართლად ისინიც არ მოვიდნენ⁵, დახოცოს თავნი, რომელნი იყუნენ საქმის მშლენი.

და დანარჩუნებულისა ქალაქის კელმწიფეს არა მართებს ნაყოფის მიმცემის მოქრა* [შდრ. მუხლ. 409, 410].

ქალაქის გამცემნი და ციხის გამცემნი, თუ წინათ ბოროტის ქნის თავნი ისინი იყუნენ [და] გამოჩნდეს, — ისინი სიკუდილს დაბეზლდენ და ფასის დაქსნით დაიქსნან სიკუდილი; და თვალნი მოსთხარონ, ცოლნი და შვილნი ტახტს დაამორჩილონ და მოსამსახურ-ჰყონ; და ის თვალდათხრილი კაცი სხვას ქვეყანას დაჰკარგონ, უთვალო და შიშველი [შდრ. მუხლ. 411].

და თუ ქრისტიანი იყოს ქალაქთა და ციხეთა დამბეზლებელი⁶ კელთა უსჯულოთასა, გინდა ქრისტიანთასა, ისრევე ქნან: ნუ მოჰკულენ კაცთმოყუარულის ჳრთის გულისათვის, წაართვან ცოლი

¹ ხარკითა A. ² ასღვისა A. ³ გალაშქრება A. ⁴ სხვაგვარად A. ⁵ მოვიდნენ] და AB. ⁶ და ციხეთა დანბეზლებელი] დანბეზლებელი და ციხეთა AB.

* ნეორე სჯული 20,16—17,16.

და შვილი და საქონელი და ტახტსა მიართვან, და ეგრეთვე თვალ-დათხრილი და შიშველი უცხოს ქუეყანას დაკარგონ [ზღრ. მუხლ. 412].

ვინც წავიდეს პატრონთა საქონელთა საქურდლად [და] დაიპირონ, გინა შეამცნიონ მართლად¹, თუ უსჯულო იყოს, თვალი [154r] მოსთხარონ ანუ ჳელი მოსჭრან, და ცოლი და შვილი მისი, და საქონელი საჯელმწიფოდ გამოართვან; და ის ქურდი კაცი სხვას ქუეყანას დაჰკარგონ. და თუ ქრისტიანი იყოს, გამოართვან იგი, რაჭ მოუპარავს, და სახლი-კარი და რაცა აქუს, და თავიც გაასყიდვინონ, — საჯელმწიფოდ გამოართვან. და ცოლი და შვილი მისი აზატი იყოს, ჳელი ნუ აქუთ [ზღრ. მუხლ. 413].

თუ მოკლას ურჯულომან ქრისტიანი ნდომით, მოკლან ისიცა მაგიერად მისად. და თუ უნდომლად მოკლას, მოსჭრან ჳელი ზარჯენა და კაცის ფასიც გამოართვან ზას.

და კაის კაცს ფასი არა სცეს და არც დაედება, ამიტომ რომ ღთისაგან ქმნული არიან ორნივე და სახე მისი; აღმადგინებელი მკუდრისა ერთი ზარტო ღთა² შეძლე. და ნუ ვინმე იტყუის, იოსებისა და ან ფასი ქრისტესი ქემშარიტ ოცი და ოცდაათი³ იყო*, — მათი გამსყიდველნი ქურდნი იყუნენ.

და სხვა ფასი არის კაცისა თულითა დღეთა წელიწადთა სამასსამოცდახუთი დაეკანი, რომელია ფლური ოქრო; და ერთი დაეკანი ფლური ცამეტი დრაზი ვერცხლია. ეს არის ფასი კაცისა. და ქრისტიანთა, რიგითა პატრონთა და რიგით ზეორედ მოუმატონ, და მოემატოს.

და ურჯულოთა სამის წილისაგან ერთი მიეცეს—ასოცდაორი დაეკანი ფლური—და ორი ქარტეზი, რომელია ქალაღდი, რომ არა აქუს შნო წმინდის ემბაზისა. და ვისაც მიცემა არ შეეცლოს, მიყიდონ ქრისტიანსა მკულელი და ფასი მისი მისცენ სისხლად პატრონსა; და სახლ-კარი ჯარიზად ბატონისათვის გამოართვან [ზღრ. მუხლ. 414].

და თუ ქრისტიანმა უსჯულო მოკლას ნდომით, გამოართვან სისხლის [154v] ფასი ასოცდაორი დაეკანი ფლური. და თუ უნებურად მოკლას, სამოცდაერთი სისხლის ფასი გამოართვან საჯელმწიფოდ და სამ წილად გაყონ; ერთი წილი სისხლის პატრონს მისცენ [ზღრ. მუხლ. 415].

და თუ ქრისტიანმა ქრისტიანი მოკლას, სისხლის ფასა გამთავე-ბით სისხლის პატრონს მისცენ და ჳელმწიფისათვის წაართვან, რაც შეეძლოს, ჯარიმა—მართებით, რიგით სიკუდილის ღირსისა**, მაგრამ

¹ მართალთა A. ჳღთი AB. ² ოცდაათი A.

* შესაკმეთა 37.; მათე 26.13; ** გამოსლვათა 21.12; ლევიტ. 24.17.

გელის მოჭრით სინანულში ჩავარდების. და თუ გლახა იყოს, გაიყიდოს თავის ქონებითა და მისცენ ფასი მისი სისხლის ფასათ. და თუ უნდომლად მოკლას. ნახევარი სისხლი გამოართვან და სისხლის პატრონს მისცენ; და მისგან მართებულად ჯარიმაც საწვლწიწოდ გამოართვან; და კელს ნულარ მოსქრიან [შდრ. მუხლ. 416]

სისხლის სამართალი გელმწიფისა არის და იმან უნდა ქნას, და სხვა მოსამართლეს არ აეუძლია. და სხვა რაგინდარა სამართალი მოსამართლით უნდა გარიგდეს. და სასირცხვილო ცოდვა, დასამალავი, ებისკოპოზითა და წინამძღუროთ უნდა გარიგდეს, მათია იმრიგის საქმის გარიგება.

და თავადთაგან არ იქნას მკულელთა მოკულა უბძანებლად გელწიფისა. და ქურდთა დამინება და დარიგება¹ თავადთაგან იქნებოდეს. და აზნაურთა შვილთა უსამართლოდ და უთავადოდ არ შეუცლია ქურდის რისაც გარდაჭდეინება [შდრ. მუხლ. 417].

და თუ მოჭდეს. გელმწიფემ გაილაშქროს და ერთს ადგილს ჯარით მიუჭდეს, და წააჭდინონ² ის ადგილი, და დაინარჩუნონ ყოველი, და ნაშოვარი იყოს ოქრო. — სულ გელმწიფისა არის და უნდა მიართვან არათუ ფიცით სძებნონ, არამედ კაცი დააძახონ [15ნა] და ეს აძახონ: ვისაც ოქრო გიშოვნიათ, მოართვით გელმწიფესა, და ვინც არ მოართმევთ და შეგაჩნიეთ, ერთისათვის შვიდს წაგართმევთ. და რაც რამე მოერთვას ოქრო, მისი ათისთავი გელმწიფემ კათალიკოზს მიართვას.

და სხვა ნაშოვარი და ტყუფე შუა უნდა გაყონ: ნახევარი გელმწიფეს მიართვან და ნახევარი — თავადთა და ჯართა; და თავადთა თავთავის ლაშქრის გორად³ გაიყონ. და მათაც ათისთავი ეკლესიას მიართვან.

და თუ გელმწიფე შიგ ლაშქარში არ იყოს, და ლაშქარი გაეგზავნოს, და მათაც გამარჯვებოდეს, საშოვარი⁴ ეშოვნოს, ოქრო, რაც უშოვნიათ, გელმწიფისა არის. და სხვა ნაშოვრისა, ტყუისა თუ რისაც ნაშოვრისა, ათისთავი კიდევ გელმწიფეს მიართვან. და ორმოცდაათისაგან ერთი ეკლესიას მიართვან, როგორც რიგი არის* [შდრ. მუხლ 418].

ქურდისა და ავაზაკისა შენახვა არ მართებს გელმწიფესა და თავადსა, და არც არის მართებული. და მარტო უნდა შეინახონ ჯაშუში და ყარაული [შდრ. მუხლ. 419].

და ლაშქარნი და თავადნი გელმწიფის ბძანებით უნდა წავიდნენ. რასაც ალაგს დაარბევენ, იქ ნაშოვარი ნახევარი გელმწიფისა არის და ნახევარი თავადთა და ჯართა [შდრ. მუხლ. 420].

¹ გარიგება A. ² წახდინონ A. ³ გორად B ორად B ⁴ საშოვარი] შაშოვარი A

* ჩიციხუთა 31,155

და თუ თავისთავად წასულიყუნენ. ორი წილი ნაშოვრისა— თავადთა და ჯართა, და ერთი წილი ჯელმწიფეს მიაართვან, ამიტომ რომ თავის თავის სიკუდილს თვითან შესცლევინან. და თუ ლაშქარში მოკლეს ვინმე, უბრალთა პატრონი გამგზავნელი [შდრ. მუხლ. 421—422].

და თუ საქურდლად გაგზავნოს თავისი ყმა და მოკლან, მისი სისხლის მზღველი გამგზავნელი უნდა იყოს. თუ ვინც ქურდი თავის [155v] ნებით წაიედეს საქურდლად და მოკლან¹, მისი სისხლი — მის კისერზე.

თუ ჯელმწიფემა და ანუ თავადმა გაგზავნოს ვინმე საქურდლად, მოკლეს რომ დაიჭირონ, ვისაც გაუგზავნია, მან უნდა დაიჭინას. ვინცავეთ თავისის ნებით წასული დაიჭირონ, თავისივე თავი თვითან დაიჭინას [შდრ. მუხლ. 423—424].

მაღალქვე კაცმან ოქში ვინც დაინარჟუნოს, დარჩომილის კაცის ცხენი, იარაღი და ტანისამოსი. ვინც დაინარჟუნა, მისი არის. და კაცი, ჯაჭვი და მუხაზადი ჯელმწიფეს მიაართვან [შდრ. მუხლ. 425].

მას ოქში ნაშოვნი ოქრო, თვალი, მციმე ზარბაზი ვინც იშოვნოს. ჯელმწიფის წილია, მარგალიტი და ვერცხლი თავადებისა არის და სხვა რაგინდარა ნაშოვარი ჯარის კაცისა არის [შდრ. მუხლ. 426].

ესეც ასრეა: რაც რომ გამოსაღები ქუეყნისა საჯელმწიფო ანუ სათავადო უწინვე სდებოდეს და მართებული იყოს, ის უნდა გამოაართვან. და თუ უღიერად დებულობაზე ნამეტნავი მოინდომონ, არ არის მართებული; და თუ გამოართვან, საიქიოს ანგარიში ყუელასი ღოს უნდა მისცენ. — ღთნ ამისთვის გაარიგა ჯელმწიფე, რომ შეინახოს ქუეყანა და მოარჩინოს, არათუ წააჭდინოს და დაჰკარგოს [შდრ. მუხლ. 427].

ასრე უნდა იყოს მინდურის ნახნაე-ნათესისაგან: ხუთი — მამხუნელ-მამთესველთა და ერთი საჯელმწიფოდ გამოართვან ღალა. და თუ სარწყავი იყოს, მეხუთედი გამოართვან, როგორც გარიგებულია ეგვიპტეს [და] ღლესაც ეთქმის, — მეხუთედი იმ დროს დასდევს, რომ ის ქუეყანა ფარაოზისა² დაიჭირა.

ვერცხლით ნასყიდს მიწასა და ვენაქს არ ეთხოება ღალა და ბეგარა. და იმგვარად წისქულისა, სახლსა და [156r] ღუქანსა. ვინც დაჯდეს, სამართლიანათ აიღონ ქირა.

არ არის სამართალი; ქრისტიანთა რომე თავისის თავის ხარჯი გამოაღებინოს, თუ არა უსჯულოთა.

ბოსტინისა³, ბალისა და ვენაქისა ათისთავი ჯელმწიფეს მისცენ, ამისთვის რომ ჯელმწიფე პატრონია მიწისა და ალაგისა, არათუ წყლისა.

¹ და მოკლან] — A. ² ფარაომ A. ³ ბოსტინა A; ბოსტანადამ B.

ჯარსა არა სძეს რა, ამიტომ რომ მჭუნელია და მთესველი და იმის ნამუშევარს აიღებენ ღალასა. ფურზე ასი დრაში ერბო მისცენ. ცხვარზე ბატკნის ათისთავი მისცენ. ცხენზე, ჯორზე, საგე-დარზე არა ეთხოება რა, ამიტომ რომ იმით წსახურებს ბატონსა [მდრ. მუხლ. 428].

ბედნიერს დღეს ქრისტიანენი ძღვენს ბევრს ნუ დასდებენ, — რაც ზელით გამოუიდეს და შეეცლოს, ის მიართვან, და ძალს ნურას დაატანებენ. ეს საბედნიეროს დღის ძღვენი მეტი არის დადებული და ძალად ნურას წაართმევენ, და ცოტას წირთნევერსათვის ნუ გაუწყებებიან [მდრ. მუხლ. 429].

და ზელმწიფის მიცემულს ქუეყანას თუ გააკეთებს თავადი, ზელმწიფის ბიანეით გააკეთოს ციხე ანუ სოფელი და აგარაკი, და ან სულის სახლი ან სხვა რამ, — ათი ათასი შესამატია მისთვის და მისის გვარისათვის. ამგვარად ზელმწიფეთაგან თავადი აზატი იყოს.

ველთაგან აზატობა ასრეა¹: გლენძა გააკეთოს სახლი და შენობა, და მიწა გასტეხონ მთაში და შეიქნას მათი ნაჭირნახულები, — შეუშლელად მათთა შვილთა იყოს სიკუდილს უკან [მდრ. მუხლ. 430].

ქ. თავი ასორმოცდაცამეტი

153. ქ. გარიგების წესი სულის მოსამართლეთა, განზორებულთა, მეუღანოეთა, მამათა და ძმათა, წმინდის გრიგოლ პართაველის 'ველიძვილის ისაკისა და წმინდის [Išv] ბასილის დადებული, დაუღვიათ ზომიერად და ჯორტა გასინჯვით, რიგის სამართალითა, ნიშან-ნამეტნაობისა დებულობის მგზავსად. არათუ ყოველთათვის არის ბძახება მათი.

არ უნდა ასეთი კაცი წავიდეს საუღანოს, რომ ჭკუილამ ზორს იყოს და აუროს წმინდათა დამტკიცებული რიგი. უნდა წავიდნენ ამათ დაწესებულს რიგზე.

შეიტყვიეთ, ზელმწიფეთა და თავადთა, ერთობილ ყოველთა ქრისტიანთ უნდა ქონდეს მონასტერი არათუ საჯორციელო გამოსარჩომისათვის — გააკეთონ უზეშთაესად მარტო სულისათვის. და აზისთვის არ უნდა დაატროხნდეს.

თუ წინათ მამათა და ძმათ აეშენებინოს და ანუ თვითან — ადგილი იმისა ანუ სხვათა ნაშენი იყოს, — და კარგგეოაოდ² წინაძძღუორობდეს, უსამართლობა არის წისი გამოცულა. და თუ რჯულის ზრიგობა და ავი ქნას, ორისა და სამის მოწმით გამოიცვალოს.

თუ დაიყენონ საუღანოთა მონასტერთა მამათა, ვინც ღირსია³ კაცი, მის წინ დასწერონ ყოველი მონასტრის საქონელი და

¹ ასრე AB. ² კარგვარად AB. ³ ღირსა AB.

წიგნით მას მიაბარონ; და თავისი, თან შეტანილიც მის კრებულს აჩვენოს. მასუკან, ვინ იცის, თუ მამის გასულა მოჰდეს, რაც არ მიყოლია, მის მეტთან ჯელი არა აქუს და ვერც გაიტანს. მონასტრის საქონელი მონასტრისა არის.

თუ მამა ანუ წინამძღვარი მიიცვალოს, არ მართებთ მის ნათესავთა ამისი თქმა, თუ მის ალაგს ჩვენვე დაეჯდებით. და თუ მოჰდეს, რომ ასეთი კაცი იყოს, რომ შეეძლოს გაძლოლა და კრებულთაც უნდოდეს. და თვითანც ღირსი იყოს, დაჯდენ მათ მაგიერად მაქეული მამ[1571]თესავი*. და თუ მათის ნათესავისა ღირსი კაცი არ იყოს, სხვა მათს კრებულში და სხვათში გამოარჩიონ კაცი ბრძენი და ღირსი, დააყენონ მამად და წინამძღურად. თავადთაგან არ არის რიკი და მართებული; რომ ქრთამი აილოს და ვინც უნდოდეს, ის დაასმევიონ. მამათა, ებისკოპოზთა და მოქადაგეთა უნდა¹ გასინჯონ და გამოარჩიონ და დასვან კაცი ღირსი. და იქნება კაცი ასეთი უდაბნოსა და მონასტერშიგა, რომე რიგზე ნამეტნავს თავ-თავის გარჯას მოინდომებენ, სინანულსა, და დაიწყებენ,—ყოველთა ღირსად მყოფელი და იმედის მიმნიჭებელი ქრისტე არის. და თუ გულისყურნაკლები ვინცაეინ მოჰდეს და ვერ გასწიოს იმათთან, ავისთვის რომ ემძიმებოდესთ ის საქმე, არათუ მან კაც-მან თავის უღონობით სხვანიც გზიდან გამოიყუანოს, ის კაცი დააყენონ მას საქმეზე, რომელიც შეეძლოს.

ეს არის წმინდის ბასილის კანონი: რომელი შევიდეს საუდაბნოსა, ძნელია მისი გამოსულა გარე: რადგან შევა, გამოსულა აღარ არის ნართებულნი.

ქ. თავი ასორმოცდათოთხმეტი

154. ქ. მოქადაგენი უნდა იყუნენ რიგითა უწინევე მკოდნელი ძველთა და ახალთა უკლებრივ, წამკითხავი კანონის ბძანებისა, უშიშრად მოქმედი და კაცი ღირსი, ფილასოფოსი და თეთრის უმოყუარე.

ქ. თავი ასორმოცდათხუთმეტი

155. ქ. ნუ² იყოს დაპატრონება მღვდელთაგან მრევლთა ქრისტესსა, როგორც რომ [1571] ზოგან ვნახავთ ქალს წილს დაუდებენ სამწყსოდამ ჩემულობითა—ფასსა ქრისტესსა სისხლისასა.

¹ უნდა+ უნდა A. ² ნუ—A.

* ფსალმ. 44,17.

წართებთ ებისკოპოზთა გამოართვას ცხეარი ქრისტესი იმის-
თანა მღდელს და მისცეს იმისთანას კაცს ზელთა, როცე ღთის
ბბანებზე შეინახოს, უპასუხოს ნას სამართლიანად. თუ აიღოს ზელი
ებისკოპოზის ბბანებითა, და ანუ არა ქნან, კაია. და თუ ანუ
ჩენჯლობა დაიწყოს, უარის თქმა, მღდლობიდანაც გარდააღწერონ.

მრეელი ვისიც თავის უბნიდამ რომ სხვას უბანში გარდვი-
დეს, იმ უბნის მღდელმა უხუცოს, რომ ერთი[ა] მგზავსებრთა მცხეა-
რობა ყოველს ადგილს მართლმადიდებელთა¹.

არიან ასეთნიც, რომ მღდელი მიიცვალეების, წადგებრან მისნი
ნათესავნი, რომლისათვის მას უხუცებია, მას დაუწყებენ ჭამას. ეს
დიად დიდი უსამართლობა და ავი არის. და თუ მას მღდელს თა-
ვისი სახლისკაცი მთავარდიაკონი დარჩეს, მღდლად აკურთხონ და
ნაპინ წართვას ქანა. და თუ ერისაგანი არიან, ჳელი არა აქუთ.
და თუ ერისგანთა უარზიობა დაიწყონ და არ აიღონ ჳელი, დას-
წყველოს და შეაჩვენოს ებისკოპოზმა, რომ სანამდის მოინანებ-
დეს და შენდობას სთხოვდეს.

და თუ მღდელი ვინცა დიდს მოწასტერში იყოს, არ არის
სამართალი მისგან მრეელის ქანა.

ერისგანნან ვინც სამლო დაკლას, მჭარი და ტყავი მღდელს
მისცეს. და თუ უარზიობით არ მისცეს, ებისკოპოზმა ერთიორად
წაოთვას და მისცეს.

თუ ერისგანნა მღდელს შეაგინოს და [1581] დაჰკრას. დირსია
გელის ბოჰრასა. ის ჳელი უნდა მოეჰკრას, რომლითაც დაუკრავს.
და ანუ უნდა იყიდოს ჳელი მისი ებისკოპოზისაგან ბევრის საკა-
ნონოს დაღებით, რომ შეუწდოს წას მღდელმან.

თუ თავის ტანისათვის რაც ითხოვს ვისგან და მიუცემლო-
ბისათვის შეაჩვენოს ვინცა, დაედება მას მღდელს სამართალში
წყაულა და მონანება. და მონანების უკან წართებთ ებისკოპოზისა
და მოქადაგის დარიგებითა, რომე საკანონო გარდიჳადოს. და
რომელი შეუკრავს, უნდა გაჳსნას და შენდობა მისცეს.

თუ არ მისცეს შენდობა და შეკრული არ გაჳსნას, ებისკო-
პოზმა ის მღდელი უნდა შეაჩვენოს სანამდი შენდობას მისცემდეს
და მისგანც შენდობას მოითხოვდეს. და ის, ვინც შეჩვენებული
იყოს, თუ ტყუილზე, თუ მართალზე, შეჩვენებულია. სანამდის შენ-
დობას მისცენდეს, უნდა იყოს მორჩილი.

¹ მართლმადიდებელთა A.

ქ. თავი ასორმოცდათექუსმეტო

156. ქ. მოვიდდეთ ვნახოთ საქმე ცოლქრობისა, თუ რა ხნისა უნდა შეიყარონ.

ქმარი უფრო უნდა იყოს ხნით ცოლსა, და ცოლი ქმარზე უნდა უმცროსი იყოს, — როგორც გვაჩვენებს დაბადება, უწინ ადამ შექნა ღთს ჳელითა თვისითა, მერწე ევა. ყოვლის საქმით უფროსი და შეძლდე უნდა იყოს ქმარი ცოლზედა მისზე.

როგორც სხვარიგად შეყრას უკან მოკდეს, რომ ქმარმან ცოლი მისი ქანწულობიდამ ვერ შეშალოს, და თუ ნება იყოს დედა-კაცისა ერთად ყოფნისა, და მ.ინდომონ ცოლ-ქმართ ერთად დგომა, კარგია, თუ არადა გაიყარონ: აილოს [158v] ქალმან ზითევი თავისი და გაიტანოს, კაცს თავისი დარჩეს. და მას კაცს არ წაერთვას ჯარიმა, ანიტომ რომ თავისი ნებით არ უქნია და ძნელის ქირისაგან მამდარა.

რაც ქორწილის ტანისამოსი ექნასთ. კაცისა—კაცსა და ქალისა—ქალსა. და თუ პირუტყუი მიჰყოლოდეს, თავნი მთლივ მისცენ და ნაშენისა ნახევარი. რაც ან წინათ და ან ქორწინობაში ხარჯი ექნასთ, ყუელამ ჩაიაროს.

და კაცმან მას ცოლსა მისსა მისცეს, მართლის გულით მისცეს, დასტური, და ვინც მან უთხრას და მოეწონოს, ის უნდა შეიერთოს. ამა, თუ კაცმან კიდევ ცოლი მოინდომოს, ქურივი უნდა შეიერთოს.

ქ. თავი ასორმოცდაჩვიდმეტო

157 ქ. თუ შეიყარნენ ცოლ-ქმარნი, ან იყოს ქმარი გიფი და ან ცოლი, თუ გვირგვინის კურთხევას უწინ სჭირებია და ქალის დედ-მამას დაუშალავს, დედაკაცი იგი უნდა მამამ და დედამ მისმან წაიყვანოს თავის სახლში. ამდენი უნდა გაისარჯონ დედ-მამანი, თუ ხატითა თუ ექიმითა, რომე ქირისაგან მოარჩინონ, ხარჯი მათ უნდა გასწიონ. მასუკან, რომ გაკეთდეს, მისსავე ქმარს უნდა მიბაროს.

და თუ გვირგვინის კურთხევას უკან თავის ქრმის ველში დავმართა, მან ქმარმან უნდა უნალოს და მოუაროს, ეცადოს ხატითა და აქიმითა, რომე მის ქირს უღონოს და მოარჩინოს. ხარჯი სულ ქმარმან მისმან უნდა გასწიოს. და შეიღს წლამდინ უნდა გასწიოს და გაისარჯოს, რომ ეგება [159r] ეშველოს. და თუ ეშველოს, ხომ ცოლია და მასუხი აღარა აქუს.

და თუ არ გაწმდეს ქირისაგან და არ ეშველოს, ის გაიშვება და სხვა უნდა შეიერთოს.

და თუ შვილი მისცემოდეს მას დედაკაცთან, შვილი მამისა არის, მას უნდა დარჩეს. და დედაკაცი თავისის საქონლით გავიდეს, რადგან მის ქრმის სახლში დამართებია.

ქმარსაც ეს მართებს, რომე ცოლი მისის: დასტურით შეირთოს. და თუ შეძლება ქონდეს, კიდევ მამა-დედასთან, კელი უნდა მოუმართოს.

და თუ მამისავე სახლში სჭირვებია და დატყუებით მამკდარა, აღარ უნდა ულოდინოს შვიდ წლამდინ, და აღარც დასტურს მისას.

და თუ ქმარი იყოს გიჟი და ბნედიანი ანუ დამონავებული¹, თუ გვირგვინის კურთხევას უწინ ყოფილა და დედ-მამას დაუმალავთ: როგორც რომ დედაკაცის სამართალი სწერია ამას ზეით, ისრე კაცისა იქნას.

და თუ გვირგვინის კურთხევას უკან დამართებოდეს, დახედონ თავიანთ ჭირსა: არ უნდა დაწუნენ ერთმანერთთან, ეცადონ, რითაც გზით იყოს, მის ჭირისაგან გაწმედას. და თუ იქნას შეელა, კაია.

და თუ ვერ გაწმედენ, ერთმანერთის შენდობით გაიყარონ; და, რომელიც რომ კარგად იყოს, თუ ქმარი გაკეთდეს, ცოლი შეირთოს; და თუ ცოლი იყოს, ქმარი შეირთოს. და ეაცე მართებთ მათ სიციოცხლეში, ერთმანეთს უნალულონ და მობრალულნი იყუნენ. და დედაკაცზეან თავისი ზითევი უნდა გაიტანოს.

თუ მოკდეს ცოლ-ქ[159v]მართა რომლისამე სხვაგვარად გრძელი ავადყოფა, არ შეუძლიათ გაშვება ერთმანეთისა, მაგრამ დასტურით გაიყარონ და, რომელიც რომ კარგადმყოფი იყოს, მან სხვა შეირთოს; და ქონება სულ ავამტყოფს მისცენ. და რა ცოცხალი იყუნენ, ერთმანეთს უნალულონ და ებრალეობდეს.

და კაცისაგან არა წამს ორი ცოლი ერთს სახლში დაისვას.

ჩვენის რიგითა ხომ არ არის ცოლ-ქმართ გაშვება, მაგრამე, ვინ იცის, რომე გაძნელებულთა ჭირთაგან მოკდეს და ერთმანეთის შენდობითა, და ამისთვის დავწერეთ ზემოთ საპართლები გაყრისა.

ქ. თავი ასორმოცდათურამეტი

158. ქ. თუ თავისის ქრმის სახლში დატყუევდეს დედაკაცი, თავისმან ქმრმან უნდა დაიჯნას. და თუ შემამწყრალი იყოს და მამის სახლში იყოს, და დატყუევდეს, მამამ და ქმარმან ორთავ უნდა დაიჯნან.

¹ მონ.ობიანი B.

როსცა რომ დატყუებდეს, უნდა სძებნოს შვიდ წლამდინ და, სადა იყოს, იპოოს და დაივნანს ქმარზეა

და თუ ვერ იპოოს და არც დააჯსნევიონ, მასუკან თავის სიამამრისა და სიდედრის დასტურით შეიერთოს ცოლი.

და თუ რამ იყოს მის დატყუებულის დედაკაცის, მამისა და დედის ქელით უნდა მისის სულისათვის გაყონ.

ქ. თავი ასორმოცდაცხრაზეცო

159. ქ. რასაც დროს ეშმაკის საქმით ცოლ-ქმარტ შუა სი-მძულვარე რამ ჩამოვარ[160r]დეს და შეიწულონ ერთმანერთი უხოზუ-რად. თუ გვირგვინის კორთხევიანი სძულდეს და გაშვება უნდო-დეს ქმარსა. ებისკოპოზმან უნდა ბევრის გზით დაარიგოს, და თუ არ იქნას¹, მისისა ბძანებით გაიყარონ.

და თუ ქორწილნაქმარია. როგორც რომ გიყთა და ბნედიანთ გაყრის სამართალი სწერია. ისე უნდა ქნან [იხ. მუხლ. 157]

ჩვენის კანონითა და რიგის სამართლით არ აქუს შეძლება ქმარსა მის დედაკაცისასა, რომ სხვა ცოლიდა შეერთოს. დედა-კაცსა მართებს ქმარის შერთვა. თუ უნდოდეს, და მზითევი მისი შე-უშლელად მისცენ. ჯარიმა მას კაცს წაართვან, რაც რომ ცოლსა მისსა ზითევი მოჰყოლოდეს, იმთენი.

იმგვარად. თუ დედაკაცმან წონდომოს გაშვება და გაეყა-როს, წაართვან ჯარიმად მზითევი მისი და ველარც შეერთოს სხვა ქმარი.

და თუ შეილი ყუანდესთ და გაიყარონ, რაც რამ ქონდესთ, ყუელა შეილს დარჩეს. თავიანთ² სიკოცხლემი ველარც შეერთოს ქმარმან ცოლი და ველარც ცოლმა ქმარი.

ქ. თავი ასსამოცი

160. ქ. თუ ცოლი ვისმე გაუბოზდეს, გაუშვას ქმარმა. დად-გეს კაცი იგი ერთს წელიწადს უცოლოდ და მასუკან შეერთოს.

თუ დასჯირდეს და არ გაეყაროს, და ის საქმეც ამოაკუეთი-ნოს, კარგი იქნების.

ამისი სამართალი და ჯარიმა, როგორც რომ ცხრა თავში სწერია, ისე უნდა გარდააჯდევინონ [იხ. მუხლ. 159].

[160r]. ქ. თავი ასსამოცდაერთი

161. ქ. უშვილოს დედაკაცს ნუ გაუშვებს ქმარი მისი, ამის-თვის რომ შეილი არ მიმეცაო. — შეილის მიმცემი ლთია. გასინჯვა მისის საქმისა მართებს: თუ ჳირისაგან იყოს, უნდა აქიმით ულო-ნოს და მოუაროს. და თუ არც იმით იქნას, და დალონდეს კაცი

¹ იქნას[÷ და A. ² თავიანთ A.

და ანას ტიროდეს და ჩიოდეს, ვაინე უშვილოსაო, რომე ჩემი ქონება უაატოანოდ დარჩებო, და თუ ცოლსა მისსა შეებრალოს უნაო, დებულაბით, როგორც რომ სარამ აბრაამს მისცა დასტური სხვა ცოლის შერთვისა, და ისრე მან დედაკაცმან მისცეს, შეუძლია შერთვა ცოლისა. მაგრამე ორივე ერთგან აღარ უხდა შეიძაოს, უშვილი და შვილიანი.

და იმგვარად, თუ კაცი იყოს უშვილო და გარიგებული, დრო შვიდ წლამდინ უნდა მოიჭიროვოს; და იყუნენ ერთმანერთთან გაუწყრელად. ნასუკან, თუ ქალი ქორწილია დღეა თხუთმეტის წლისა ყოფილიყოს და ვაჟი თუოაშეტიანა, და თუ ქალს სხვა ქრმის შერთვა აღარ უნდოდეს, ასრე უნდა: მიაშა ქმარმა ერთს სახლში დასუკან; ტანთა, ფეშთა, სასახელ-საქმელი, ყუელა უნდა მისცეს და სიკუდილამდის შეინახოს; და ხუთევი მისი და მისი რაც რამ, ყუელა გათავებით უნდა მისცეს. და მისის დასტურით ქმარმან მისმან ცოლი შეიერთოს.

და კაცმან თუ უწინვე იცოდა, რომ უშვილო იყო და დასჯერდა და ითაოვა სილაძახისათვის, ამგვარად ცოლ-ქმართ აღარ შეუძლიათ გაყრა.

[161r]. ქ. თავი ასხამოცდაროი

162. ქ. რასაც დროს რამ ნახოს ცოლმან ქმარი მისი ბიჭთან ურიგოთ მქცეველი, ან პირუტყუთან, და ან თათართან და ურჯულოსთან, და ან იქოს კაცისმქეველი, — ამ დანაშაულებზე შეუძლია ცოლსა ქრმის გაშვება, სხვა ქრმის შერთვა.

რისაც ქონების პატრონი იყოს კაცი იპრიგი, წაართვან ნახევარი და ცოლსა მისსა მისცენ; და ქონების ათისთავი მოსაძარტლისა არის. და თუ დედაკაცი სჯეოიყოს და არ გაეყაროს, თვითან იცის.

ქ. თავი ასხამოცდასამი

163. ქ. ცოლ ქმარი ვინგინდავინ სიმძულვარით გაყრილიყუნენ და ცოლმან თერთოს ქმარი, და მოუკუდეს, და წინაპირველი რომ გაუშვა ქმარი, და თუ მას კაცსა ცოლი არ შეერთოს, — ისიგ უნდა შეერთოს ღთის გულისათვის. კუროხვევა მეორედ აღარ მიიღების.

არათუ ძალად, ნებით უნდა შოჯდეს.

ქ. თავი ახსამოცდაოთხი

164. ქ. რასაც დროს წავიდეს კაცი გზასა და დაგვიანდეს, ცოლმან მისმან უნდა ზოითინოს: თუ მართლად, თუ ტყუილად სიკუდილი უთხრან, ზვიდ წლამდინ ქმარი არ უნდა შეირთოს.

და თუ, ვინ იცის, ზვიდს წელიწადს უკან ქმარი მოუიდეს. და ზვიდს წლამდინ მას დედაკაცს ქმარი შეერთოს, და ზვიდ წლამდინ ცოცხალი მოუიდეს წინაპირველი ქმარი, შეუჯლია, თავისი ცოლი, ვასაც უნდა ყუანდეს, [161v] მასვე პირველს ქმარს უნდა დარჩეს. და აღარ მიიღე. ანგორედ გვირგვინის კურთხევა¹.

და თუ მას დედაკაცსა უკანას ქმართან შეიღებინ მისცემოდეს და უცხრახ პირველსა ქმარსა, დაეჯსნო, შეიღი ყავსო და აღარ ვარგა გამორთმევათ, გამორთმევათა და გაშეებათ ორივე პირველის კონის ზელთ არის, ზეცქლია.

და თუ შეიღეს წელიწადს უკან, ვინ იცის, სიკუდილის ამბავი მოუიდეს ტყუილი და გაიმკლავნოს, და მასუკან ქმარი შეირთოს, ნერმე პირველი ქმარი ისევ ცოცხალი მოუიდეს, თვითან აღარ შეუიღია ცალად გამორთმევა, რადგან ზვიდს წელიწადს გაუჯლია. და ასრე უნდა დედაკაცს კვითხონ: თუ პირველის ქრმისა ირჩია, მას უნდა დარჩეს. და რომელსაც დარჩეს ამ ზესით, მასხედ გვირგვინის კურთხევა არ მიიღებინ.

და თუ წავიდა კაცი შორს ქვეყანას და იქ ცოლი შეირთოს, და ამბავი მოუიდეს ცოლსა, ზვიდ წლამდინ უნდა იყოს სახლსა მისსა და მოუცადოს. და თუ ზვიდ წლამდინ მოვიდეს, ისრეც უნდა უცოლოს და კიდევ უნდა მოინანოს.

თუ გავიდეს ზვიდი წელიწადი და აღარ მოვიდეს, მასუკან, თუ ცოლს უნდოდეს, სხვა ქმარი შეირთოს. და ზვიდს წელიწადს უკან რომ კიდევ მოვიდეს, აღარ აქუს, ცოლს მასთან, ზელი. ერთი საკანონოც უნდა გარდინადოს, რომ გვირგვინის ცოლი დაეგდო სახლსა მისსა და სხვას ქვეყანას სხვა შეერთო.

ქ. თავი ახსამოცდახუთი

165. ქ. თუ ქმარი ცოლსა მისსა აგინებდეს და აცად ეპყრობოდეს, დღე ყოველ დაუწ[162r]ყნარებლად უწყრებოდეს, თუ ცოლი მისი ნაქურთივალი იყოს და გერები მოყოლოდეს, და გერების გულისათვინ ისრე ეპყრობოდეს, თუ თხოვნასი მას

¹ კურთხევა A.

კაცს პირობა დაეღვას, ნომეციტო და ობლესაც მე შევიწინაბო და დაეზღიო,—რადგან პირობა დაუც, პასუხი არა აქუს, უნდა შეინახოს, დასთმოს და ნულ არცარას ურიგოს ცოლსა თავისსა ჰკადრებს.

და თუ შენახვის პირობა არ დაუც, გააბრუნონ ცოლის მანის¹ ნათესაეთა მათკენ.

და თუ ქმარბან უშიშრობითა და ურიგობით დაჰკრას ცოლსა თვისსა რაგინდარა და მოსტეხოს რამე და ანუ თვალი მოსთხაროს, ანუ კბილები ჩააყრევინოს, წაართვან მას კაცსა ორი ათასი ვერცხლი ჯარიმა.

და თუ ამხანაგმა ამხანაგს ანუ მოსტეხოს ჯელი, ანუ მოსთხაროს თვალი. და ანუ ჩააყრევინოს კბილები, ანუ მოსტეხოს ფეჭი, ათასი ღრამი ვერცხლი წაართვან² და მისცეს მას ასოწამნდარა. ეს ოთხი ასო კაცისა ერთად³ არის ჩავდებული.

თუ კაცმან თავისი ამხანაგი კაცი თავის ნებით და ნდომით მოკლას, ფასი კაცისა ოთხი ათასი ვერცხლია ღრამი [შდრ. მუხლ. 431].

და თუ კიდე კაცმან ცოლსა მისსა ან მოსთხაროს თვალი, ანუ მოსტეხოს ჯელი, გინა ფეჭი, ანუ ჩააყრევინოს კბილები, ორი ათასი ღრამი ვერცხლი წაართვან ჯარიმად, და ცოლსა მისსა დააყენოს აქიმი და აწამლებინოს.

ასრე ნუ დაიჭერს, როგორც ბოზი, თუ ერთად დგომა უნდათ,—ვერ გაიყრებიან. და კაცმან უნდა პირობა დაუღვას, რომ კიდე ურიგოდ აღარ მიეპყრას.

და თუ უშიშრად იყოს და [162v] აგრიგად და არასი რცხვენოდეს, გაიყარონ, ამისთვის რომ სიკუდილი არ მოგვდეს და ცოდვა დიდი არ მოიწიოს. ქრისტემა ღთს უბძანა ისრაელთა: «მოსემ თქვენ ის მოგკათ დასტური გაშვებისაო, და სხვისა არა»⁴; თქუეს მოქადაგეთა, უფალმან მარტო ბოზისათვის ბძანა გაშვება, არათუ სხვა გზითა, მაგრამე გულანჩხლობითა და გულქუაობით ბევრი ავი საქნე და სიკუდილი მოგდება და ამისთვის იქნების გაყრა, რომე სიკუდილი ერთმანერთისა არ მოგდეს. და ქრისტემ ისი ბძანა.

და საქონლის გაყოფა და გატანა, როგორც რომ ცხრა⁴ თავში სწერია, ისრე ქნან [იხ. მუხლ. 153].

ქ. თავი ასამოცდაექუსი

166. ქ. თუ კაცმან ვინც ცოლი მისი დაუნაშავებლად გაუშვას უცოდინარობით, ცოლმან დასთმოს შვიდ წლამდინ. და ის

¹ მამის! მისის A. ² წართვან A. ³ კაცისა ერთად] ერთვან A. ⁴ ცხრა] რთა A.

¹ მათე 5, 19; მარკო 10, 2; მეორე სჯული 24.

კაცი ბევრჯელ უნდა დატუქსონ და დაარიგონ მოსამართლეთა და ცოლის მისის ნათესავთა.

თუ არვისი არ გაიგონოს და არ შეირცხვინოს, მასუკან ქმარი და ცოლი ორივე ერთად წააყენონ და ალაპარაკონ, და გაშვება და გაუშვებლობა მართლა შეიტყონ.

რადგან მართლად მოინდომოს ქმარმან გაყრა და გაიყარონ, კაცმან ველარ შეირთოს ცოლი, სანამდი ის გაშვებული ცოლი ცოცხალი იყოს. და ცოლმან მისმან კი შეირთოს ქმარი და საკანონოც მან, გამშვებმა კაცმან გარდიჯალოს.

ქ. თავი ასსამოცდაშვიდი

167. ქ. ცოლ-ქმართა შუა რომლისაზე მოკდეს რჯულის დაგდება და ან რისაც შევი[163r]რეებისათვის, და ან ჯარიმის წევარდნისათვის, თუ ქმარმა ქნა¹, ცოლი მისი ნუ დადგება მასთანა და მანცა მისის საქმითა და წახედულობით რჯული არ დააგდოს.

და თუ ცოლმან ქნას, ქმარი მისი ნუ დადგება მასთანა, რომე მანცა მისის საქმით და წახედულობით რჯული არ დააგდოს.

თუ მონანებაში ჩაეარდეს და თქუას, წამამყევ, წავიდეთო სხვას ქუეყანას, ისეე ჩემსავ რჯულს ვიწანებო, უნდა გაჰყუეს ცოლი ქმარსა და ქმარი ცოლსა ქრისტეს მეუფის გულისათვის.

ქ. თავი ასსამოცდარვა

168. ქ. თუ კაცმან ვინცა თავის ცოლის ჯავრით გმო ქრისტე, დედაკაცი შეიქნა იმ ცოდვის მოვალე, — თუ იმისის საქმით მამნდარა დანაშაული, მას დედაკაცს ჰქონია. და თუ კაცმან საქმითვე და ნებით გმო, მან უნდა გასცეს პასუხი ღთსა.

და თუ ცოლსა ქონია და არ მოინანა დანაშაული, და ქმარიც ველარ მიიყუანონ რჯულზე და ისრე დარჩა, იმისი სისხლი მას დედაკაცს ეთხოება, [და] მონანება; და სამართალი მათი უფლისა იყოს.

იმგვარად, თუ ცოლმან ვისამან ქნას ქრმის ჯავრით საქმე ასეთი, რომე გმოს ქრისტე, ისიც ისრე იქნას.

და თუ თავისით წავიდეს კაცი თუ დედაკაცი, ჩაირჩოს თავი წყალში ან გარდაეარდეს კლდესა, და ან საბლით ჩამოიჩჩოს თავი, რომლითაც საბაბით დაკარგული შეიქნას, მისი სისხლის მზღველი ის არის და მერმე ცოლქრმობა აღარ იქნების.

¹ ქნანა A.

[163v] ქ. თავი ასსამოცდაცხრა

169. ქ. თუ კაცმან ვინცა თავისი ცოლი მოკლას ბოზობისათვის, მისის სისხლის მხლველი იყოს სამართალში, ამიტომ [რომე] ღთნ ბოზობისათვის გაშვება ბძანა, არა თუ სიკუდილი*.

და თუ დღვაკაცმან თავისი ქმარი მოკლას სასიკუდინე წამლით ანუ სხვათ რითაც საქმით, იმრიგათ სამართლით აქაც გარდააღწევიონ და საიქიოსაც გარდაცდეს.

ქ. თავი ასსამოცდაათი

170. ქ. თუ თავადთა ანუ სხვათ შეამცნიონ ჯელმწიფის სახლის ორგულობა რაც, მქნელმან გასცეს თავისის დანაშაუების პასუხი დაწას გარდაცდეს. და ზვლთან და მძასთან ჯელი ნუ აქუთ—ყუელა თავისის დანაშაულზე განიკითხვის და მოკულები**.

და მისი შვილი მის დანაშაულისათვის არ უნდა დაჩაგრონ და საპატრონო მამისა შვილს უნდა მისცენ.

და თუ ანხანაგათ ჰყუანდეს ან ემა ან სხვა იმ საქმეში გარეული. მათაც მასთან გარდააღწევიონ და დაჰკარგონ.

ქ. თავი ასსამოცდათერთმეტი

171. ქ. აზატი¹ დამბადებელისაგან კაცთაგანი ბუნება, მაგრამ პატრონყნობა ამისა ნდომებითა იქმნა მიწისა და წყლისა. და ვისაც არა აქუს მიწა და წყალი, ის კაცი აზატია, სადაც უნდა წავეიდეს, არ არის სამართალი ჯელმწიფეთაგან და თავადთაგან ძალად დაქერა და დაყენება ერთ ადგილს. გინდა და არა იქ იყაო.

[164r] ქ. თავი ასსამოცდათორმეტი

172. ქ. სიკუდილი თუ მოცდეს ყმაწვილთა შუა, თუ მომკუდელი და მოკლული თორმეტის წლისა იყოს, სისხლი გამთავებით უნდა ჰკითხონ. და თუ თერთმეტისა იყოს ან ათისა, ნახევარი სისხლი დაედების. და თუ ათის წლისაგან ნაკლები იყოს, მესამედი სისხლი დაედების.

მაგრამ ესეც არის: ცოდვა და მადლი თხუთმეტის წლისას უნდა ეკითხოს და ჩვენ ამისთვის დავადევით თორმეტის წლისას და ანუ მის უმცროსსა, რომე შიში იქონიონ.

¹ აზატი AB.

* მათე 5, 32; 19, 9. ** მეორე სჯული 24, 16.

ქ. თავი ასსამოცდაცამეტი

173. ქ. რას დროს ყმაწვილთა თამაშობაში ერთმანერთი და-
აშაონ. თუ საქმის მოკდომით. თუ ჯავრითა მოსტეხოს რამე. მარ-
თებს რას შეჴამკურელსა საეკიმო, მან ნისცეს და გაამთელზბინოს.

და თუ გაუნთელზბილი დარჩეს და დაშავდეს. რაც რომ ასო
დაუშაოს, მისი ფასი მისცეს. და თუ მოკუდეს, სისხლი ნისცეს.

ქ. თავი ასსამოცდათოთხმეტი

174. ქ. წყალში ცურვაში თუ ყმაწვილთა ერთმანერთი დაარ-
ჩონ, თუ კაის გულით და თამაშობით მოკდა, რომე ერთმანერთის
ჯავრი არა ქონდათ, უნებურად და უნდომლად დაარჩონ. ნახევარი
სისხლი მისცენ. და თუ მტერობით და ჯავრით დაარჩონ. მთელი
სისხლი მისცენ. და წამყუანი უნდა ნახონ, რა დროთ ყმაწვილი
არის.

[164v] **ქ. თავი ასსამოცდათუთხმეტი**

175. ქ. თუ ყმაწვილთა ნაძლევი დასდვან ერთმანერთთან:
აქიდან იქამდინ უსვენებელი გაირბინო ან ამ კედლიდამ იქამდინ
გარდახტეო, ან ამ სეზე გადიო, ან ცხენი გაარბევინოს¹, ან ლოდს
ააზიდვინოს, მოკდეს რომ ნაძლევი ან დაშავდეს და ან მოკუდეს,
გასინჯონ, რომელმანც რომ ნაძლევი დაუდვა. დლით რომელი
უფროა, და ნახევარი ჯარიმა მისცეს.

და თუ² ვინც დაშავდა, ის უფროსია, ვინც ნაძლევი დაუდვა,
იმისგან, აბა, ნახევრის ნახევარი ჯარიმა მისცენ. და თუ შესული-
ყუნენ კაცობაში, მათაც ასრე.

ქ. თავი ასსამოცდათექუსმეტი

176. ქ. ჩვეული³ არიან ზოგნი ვაჟკაცნი ნაძლევით ერთმა-
ნეთს რასაც ააწვეინებენ ანუ მკიშეს რასაც აჰკიდებენ. თუ ნაძ-
ლევის დამდებმა თქუას, მე ამილიაო და ვინძლი შენც აილოო,—
დაატყუონ და დაადვან ნაძლევი, რასუკან ასწიოს და დაშავდეს
ნაძლევიში მოსული. რაც რომ დაუშავდეს ან დაშავებით და ან
სიკუდილით, ნახევარი სისხლი უნდა მისცეს, რისთვინ რაც გაჩე-
ნილია⁴. ამიტომ რომე ვინთ დატყუედა.

თუ ქუისა, თუ რისაც ამწევი ნაძლევის დამდებისაგან უფრო-
[სი[იყოს [და] სიკუდილის შორი იყოს,—და სიკუდილს გარდა სა-

¹ გარბევინოს A. ² თუ]—A. ³ ჩვეული] გველი A. ⁴ გაჩენილია] † არ
მისცენ A.

ეკიმოს მეტს ნურას მისცემს, რაგინდარა დაუშავდეს, ამიტომ რომე სიტყუით უმცროსისაგან რატომ დატყუედა.

[165r] ქ. თავი ასსამოცდაჩვიდმეტი

177. ქ. კაცთა ვინც ღვინის სმაში ერთმანეთსა უშულღონ, მოკდეს რომ მოსტებოს ველი ან სხვა რამ ასო დაუშაოს, უნდა შემაძკურებლმან აქიმი დააყენოს და გაამთელებინოს. და რასაც ხანს ის კაცი თავის საქმეს მოსკდეს, მისი საქმე გასინჯონ: რასაც მაჰქდარა, ისიც უნდა მისცეს.

და თუ მოკლას ერთმანეთი, მთელი სისხლი უნდა მისცეს. და იქ დამხუდომთა ამხანაგთა ჯარიმა გარდიკადონ თავათვის შეძლებითა.

და თუ თვალი მოსთხარონ და ან კბილები ჩააყრევი-ნონ, ან ჯელი და ფეკი მოსტებონ და დაუშავდეს, ათასი ღრამი ვერცხლი ფასი მისცეს.

ქ. თავი ასსამოცდათურამეტი

178. ქ. რას ღროს რომ ბოზობა ქნას დედაკაცმან და ქმარი ჰყუნდეს, და ნება დედაკაცისა იყოს, კაცმან უიარისწყლობით ქნას, ორნივე სიყუდილის ღირსნი არიან¹. და სხვათა მოსამართლესთან რომ წაეიდხენ, მოსკრან ველი მქნელსა და სასირცხო.

და ბიჰთან და პირუტყუთან ურიგოდ მქცეველისა, თუ მოსამართლეს მოკსენდეს, ჯარიმით უნდა მორჩნენ, არათუ დარიგებით და დაშინებით.

თუ ურჯულომ კაცმან¹ გააწბილოს² ქრისტიანი დედაკაცი, გაშორდეს, მას კაცს, ყოველი³ მიზეზი, მოსკრან სასირცხო და დედაკაცსა - ცხვირი.

და თუ ქრისტიანმა კაცმა ქურივი დედაკაცი მოატყუოს და გააწბილოს, უნდა შეირთოს ცოლად, თუ სხვა ცოლი არა ყუნდეს.

თუ სხვა [165r] ყუნდეს, მას დედაკაცს საუბატიო მისცეს და, როგორც შეეძლოს, ჯარიმაც გარდიკადოს^{**}.

და თუ დედაკაცი დიდსახლი იყოს, მასაც მასთან ნამეტნავი ჯარიმა გარდაადტევინონ.

ქ. თავი ასსამოცდაცხრამეტი

179. ქ. ქალწული ქალი რომ იყოს ვინგინდავინ გათხოვილი, და ვინც ის ქალწული ქალი ძალად დაიჭიროს და გააწბილოს, როგორც რომ ნაქორწილდების სამართალია, ის უნდა უყონ [იხ. მუხლ. 178].

¹ კაცმან] - ურჯულომ კაცმა A. ² გაწბილოს A. ³ ყოველი AB.

* ლეიკი. 20,10; ფორე სჯული, 22,22. ** იქვე, 22,28-29.

და თუ არ იყოს გათხოვილი ის ქალი, წასცოლად შერთონ [და] არას¹ გზით არ გაეშვებიან; და ასი დრამი ვერცხლი ქალის მამისათვის მიაკემინონ, და ასი დრამი ვერცხლი სხვა წაართვან ჯარიმა. და თუ არ ინდომოს და შორ ეჭიროს ცოლობა იმ ქალისა, თავისის დანაშაულისა მას კაცს მართებულად გარდატდეს [შტრ. მუხლ. 231].

ქ. თავი ასოთხმოცი

180. ქ. ვინგინდავინ ქორწილს უკან შეიძლოს ცოლი თვისი, ტყუილად სძრახოს ამაზე, არ იყო ქანწულიო, მისცენ მანდილო-სანთა შესატყობლად-გასასინჯავად.

თუ გამტყუნდეს ქმარი მის ქალისა, სცენ იუწყალოდ, დაარიგონ და წაართვან ასი დრამი ჯარიმა; და ცოლი ისევ უნდა მისცენ ჯელში, და იყოლიოს ცოლად მართებულად.

და თუ გამტყუნდეს ქალი, რომ მართლა არ ყოვილყოს, სიკუდილის ღირსი არის რიგით*, და ქმარსაც შეუძლია გაშვება. და თუ თავიანთის ნებით დასჯერდენ ერთმანეთსა, იყუნენ გაუყურელნი.

და თუ მართა[165r]ლს დანაშაულზე გაიყარონ, ქმარმა მისმა შეირთოს ცოლი სხვა და ქალმანცა შეირთოს ქმარი სხვა,—ართუ რიგით ქნეს, არამედ ბოზობისათვის.

და თუ ტყუილად სძრახედეს და არ დასწყნარდეს მისის ძრახვისაგან, ჯარიმა დაადვან, როგორც რომ სწერიი კაცთა და დედაკაცთა სამართალი [იხ. მუხლ. 165].

ქ. თავი ასოთხმოცდაერთი

181. ქ. ყოველს ქუეყანას, ქალაქსა და სოფელსა, სადაც ოქროს ქანი გამოჩნდეს, მისი გამოსავალი ჯელმწიფისა არის, და სადაც ვერცხლი გამოჩნდეს, დედოფლისა არის.

თუ სათავადოში გამოჩნდეს აგრევე, ოქრო ჯელმწიფისა არის და ვერცხლი—დედოფლისა. და თუ ნება იყოს ჯელმწიფისა, მას თავადსაც ერთი რამ წილი დაუდვას, და თუ არადა, ბჯანება ჯელმწიფისა გათავდეს.

სპილენძი, კალა და რკინა, და სხვა ამისთანა რაგინდარა თავადისა არის; და დიდის წყალობით და პატივცემით ჯელმწიფისაგან მათ თავადსაც მართებთ მადრიელობა დიდად.

იმგვარად მარილი, შაბი და ბორაკი, ნავთი, კუპრი კიდევ თავადისა არის და თვალმარგალიტი ჯელმწიფისა არის.

და გოგირდი, საკმელი, გუნდა, ჯაოზი,—ამგვარი რაგინდარა გააეპრონ და იათისთაონ, ისარგებლონ. და ყოველი ნაყოფი რომ იპოვნონ მთაში, რომლისაც სოფლის მთა და სანთი იყოს, იმ სოფ-

¹ რას ა.

* მეორე სჯული, 22,14-21.

ლის გლეხისა არის. და ვინც უშველოს კრეფა უცხომ კაცმა, მას ათისთავი მისცენ მათის ნებითა.

ხისა, შეშისა, თივისა და საძოვრისა, სათიბისა, მი[166v]წისა ათისთავი ადგილთა¹ პატრონისა არის. და წყალი, სიღამაც გამოდის, იმას ქვეით იმ ალაგის პატრონისა აღარ არის,—სადაც გაივლის და მივა, იმათი არის.

• მას ქუეით ვინც თავის ალაგის სამძღურაძდინ ინადირებს, მისი არის. თუ სხვის ალაგს ინადიროს, ჩვიდმეტადამ ერთი ადგილის პატრონისა არის. და თუ ვინმე მთაში ინადიროს, ათისთავი იმ მთის პატრონისა მამასახლისისა არის.

იმგვარად ზღვათა ზონადირეთა ქნან.

ქ. თავი ასოთხმოცდარო

182. ქ. ვინგინდავინ აშენებდეს სახლსა ანუ ვნევედეს საჯნავსა, ანუ სთხრიდეს ორმოსა და იპოვნოს ქუევერით და ანუ სხვით რითმე ქურქულითა განცი ძველითგან შენახული, კელმწიფისა არის სამართალითა, და ათისთავი მპოვნელისა არის, რომე ადგილი მის კაცისა არა იყოს, სადაც რომ უპოვნია.

და თუ თავისი სახლი იყოს ანუ მიწა, ანუ ვენაჯი და იქ იპოვნოს, ხუთიდამ ერთი მისცენ მპოვნელს. თუ იმავე თავის ადგილში ძველიდგან მისის პაპისა და მამის შენახული იყოს, და ანუ მისის ნათესავისა, და მახსოვარი მოწმად ჩნდეს, სრულ იმ მპოვნელის კაცისა არის, რომელმანც რომ იპოვნა თავის მამულში, და ათისთავი კელმწიფეს მიაართვან.

და თუ მოჯამაგირემ და მუშამ იპოვნოს, მას ათისთავი არ ერგების, წილი რამ² უნდა მისცენ..

ქ. თავი ასოთხმოცდასამი

183. ქ. თუ წაიკიდნონ კაცნი ორნი, ერთი წვერიანი და ერთი უწვერული, პირმ[167r]იშველი, და მან პირშიშველმან სტაცოს წვერიანს კაცს კელი და დააგლიჯოს წვერი, ამისი სამართალი იქნას ასე, რომ მოიყვანონ ის პირშიშველი, დაწვინონ და მოსკრან ქოჩორი ორჯელ, დაჰკრან ორჯელევე სვიდ-შვიდი ჯოხი ზურგსა.

და თუ დანაშაული უფროს კაცს ჰქონდეს, ერთხელ მოსკრან ქოჩორი და ჯოხიც ერთხელ ჰკრან, შვიდი, მას პირშიშველსა.

¹ ადგილთა A. ² რამე] რომ A.

ქ. თავი ასოთხმოცდაოთხი

184. ქ. ვინცაეინ ორჟო ზოჯადოს პურისა თავისა, და ან სხვისა, და მამიგ სწრაფად ვინცაეინ ჩასვას აღმოსაღებად პურისა და მოკდეს, რომე კაცი შიგ მოკუდეს, მართებს ჩამშვებსა, რომე სისხლი მისცეს.

და თუ არ მოკუდეს და ავად გახდეს, საექიმო უნდა მისცეს. და რასაც ხანს დასცდეს მისის საქმით, გასინჯვით დაცდენისა, რაც წესი იყოს, მისცეს. მაგრამ მართებს დაკლვეინება, სანამდინ ორმოხ ავი სული განქარდებოდეს.

და თუ ფასით დაჭერილი იყოს და ესეც უთხრას მან ჩამშვებმან კაცმან, ჯერ ნუ ჩახვალო, სული ამოვიდესო, და მან, ფასით დაჭერილმან კაცმან, არ დაუჯეროს, ჩაიწიოს და ჩავიდეს, ცოდვა და ბრალი მისი მისავ კისერს იყოს — ჩამშვება ველარას შეუვლენ.

ქ. თავი ასოთხმოცდახუთი

185. ქ. თავადთა და ანუ სხვათა ნამეტნავად გასაჯკონ გლეხნი და მოხდეს, რომ სარჯელში მოკუდეს. სისხლი უნდა გამოართვან და მისცენ ჰვილსა მისსა. და თუ შვილი არა ყუანდეს, ნათესავსა მისცენ.

თუ გელი მოიტეხონ ანუ ფეტი, ანუ თვალა [167v] წაიკდინონ, ან კბილები ჩაიყრეინონ, მისი ფასი გამოართვან. და თუ საექიმოდ შეიქნას, ექიმი უნდა დააყენონ და აწამლებინონ. და რასაც დასცდეს, მისი ფასიც უნდა მისცენ.

ქ. თავი ასოთხმოცდაექუსი

186. ქ. გაარიგეს მოციქულთა და დაამტკიცეს*, თუ ვინმე კაცმან, უშიშრობით და უპირისწყლოებით, არ იყოს მონათლული და ნაკურთხი მღლლად, და ხუცობა ქნას თავისთავად, ტყუებით, რაც მღლლის რიგი იყოს, ყუელას გარდიჭდიდეს.

და გინა იყოს ნაკურთხი, და იყოს იგი ცრუ და ავისმოქმედი, ნიმფერებელი, და ფერობით ასეთი საქვე ქნას, რომე რიგში არ იყოს და არც მღლლისაგან მართებული, ამისთანაებისას მისცემს მოციქულთა კანონი დამტკიცებული ბძანებას ებისკოპოზთა და მოქადაგეთა, რომე მართებულად გარდაადეყინონ და ბაროტის ჩვეულობა დაათმობინონ, — რაც რომ ერისგანთა საქნელია, მღლელს არ მართებს.

კაცი თუ დედაკაცი ზედმდგომი იყოს საყდრის საქონლისა და თავისთავად დაუწყოს ჭამა, ამათანას უნდა გაუწყურეს ების-

* კანონი მოციქულთა, წესი 24.

კობოზი და გააშოროს იმ საქონელსა, და დაათმობინოს იმგვარი ავი ჩვეულობა

და უბნანოს ებისკოპოზმა მღვდლებსა კრებულსა მისსა არა მითურალობა, ურიგოდ არა სმა, არა ჭამა, არ-მწყრალობა, არ-ავ-გულობა, არ ურიგოდ საქმის მოქმედება. გაუგონონ ბძანება და სიწმინდით იყუნენ რიგზედა. და თუ არ დადგენენ დარიგებულს რიგზე ქრისტესაზე, მას უკან მართებს ებისკოპოზს იმრიგის მღვდლის რი-გიდამ ჩამო-გდება და რიგის აღება.

[168r] ქ. თავი ასოთხმოცდაშვიდი

187. ქ. გაარიგეს მოციქულთა და დადვეს დამტკიცებით, რომე არვინ შეაგინოს მღვდელსა და არცავინ გააჯავროს, არცავინ ურიგოდ და უბატურად მიეპყრას. თუ ვინმე შეაგინოს მღვდელსა, შეიტყოს, რომ ღთისათვის შეუგინებია—მღვდელი ღთის მოსამსახურენი არიან [და არა] კაცისა¹, და ღთს] უნდა მისცენ ანგარიში და პასუხი სულისა თქვენისათვის, და სწერია: «უფროსი მრევლსა შენზე არ დაიდრახოს»^{*}.

და ეს სამართალი წინათაც დაეწერეთ ცოტა რამ [იხ. მუხლ. 155]. მაგრამ აქაც კიდევ მოვინდომეთ ახლა მოციქულთა-გან კანონის გადიდება², გარისხება მღვდელთა მაგინებელთა ამ ბძანებაზე, რომ უფალმან უბნანა მოციქულთა: «რომელმან თქუენ შემოგაგინოს, ჩემთვის შემოუგინებიაო»^{**}.

ქ. თავი ასოთხმოცდარვა

188. ქ. გაარიგეს მოციქულთა და დადვეს დამტკიცებით, თუ ვინ რიგისა მღვდლობისად და მოსამართლედ შეუძლიათ ქნა სამართლისა. და სამართალი თუ გაამრუდონ და გაამსუბუქონ, პირფერობით ქნან და მართალი გაამტყუენონ და მტყუანი გაამართლონ, იმათთანა მოსამართლე ჩამოაგდოს ჯელმწიფემა სამართლის გარიგებიდამ, და გაუწყრენ და გალახონ, და გაიშოროს კარისაგან, ამიტომ რომ ვერ შეიტყო წერილი ღთაებისაგან, ჯელით რიგი რომ მისცა მოსეს: «ნუ გაამრუდებთ სამართალსა და ნუ აიღებთ ქრთამსა»^{***}.

იმ სამართლისა მოსამართლისათა და კანონისა ბძანებითა ვისწავეთ. და საყდროვანთ მოსამარ[168v]თლენი³ არიან, და ზოგნი

¹ კაცისა] კაცისა A. ² გადებება A. ³ მოსამართლენი A.

^{*} გამოსვლათა 22,28; საქმე მოციქ. 23,5.

^{**} ლუკა 10,16.

^{***} გამოსვლათა 23,8; ლევიტელთა 19,11; II მსჯ. 16,18.

ზოგს¹ პატივს დასდებენ სამართალშია. ასეა: ვინც მოვიდეს სამართალში, თუ თავადი, თუ გლეხი², ორნივე სწორედ უნდა დააყენონ და ღთის გზით სამართალი ქნან მათ შუა სწორე.

დანუ აიღებენ ქრთამსა და ნუ გაამრუდებენ სამართალსა ჭეშმარიტსა, რომე ღთი მაგიერის მთხოვნელია და თავისის რიგის გამრუდებისა—მოსამართლეთაგან. აბა, შეიტყევით ყოველთა.

ქ. თავი ასოთხმოცდაცხრა.

189. ქ. ეფისკოპოზი რომ ახალს საეფისკოპოზოსის ტახტზე დაჯდეს ქალაქის წიგნით და სიტყუით, იმათ აჩვენოს, რაც მიჰყუეს თავისი, და ან რაც საყდრისა იყოს, ისიც წიგნათ მიიბაროს, ამიტომ რომე, ვინ იცის, როსცა მიიცვალოს, რაც თავისია, მასზედ აქუს ტელი, რომ ვისაც უნდა დააპატრონებს, და საყდრის საქონელთან ტელი არა აქუს. ამიტომ სიკუდილთ უკან საყდროვანთ არ აგინონ და საგინებელი საქმე არ დააგდოს*.

და თუ დედაკაცი და ყმაწვილი ან ყმა საყდრის საქონლით იყიდოს, დაიგნას ურჯულთაგან საყდრის უზიანოს საქმითა, ღთისაგან კარგად ჩამოერთმის და კაცმანც უნდა კარგა ჩამოართვას.

და თუ ვინმე ებისკოპოზოსის ნათესავმა კაცმან საყდრის საქონელი წაიღოს ებისკოპოზოსის სიკუდილს უკან და ებისკოპოზი ავად მოიგსენიონ, რადგან მისის ნათესავის საქმით მოიგსენება, მომგსენებელისა არ არის ცოდვა, მისის ნათესავისა არის და მათაც ასრე გასინჯონ, ერჩიოს წმინდის ეკლესიისათვის³ [169r] თავის პირით შეეგინებინოს⁴.

მათის სამართლისა ბძანება აქუს მოსაზართლესა, რომე იმგვარად ავთა კაცთა სამართლით გარდააჯდვიენოს.

ქ. თავი ასოთხმოცდაათი

190. ქ. ბძანება აქუს ებისკოპოზთა და დასტურსაც ასე მივცემთ—საყდრისა საქონელზე და საყდროვანზე შეცლება აქუს და ასე უნდა ქნას: ან მლდელი იყოს და ან მთავარდიაკონი კუტი და საპყარი, ებრალებოდეს, ყოველისფერით ტელს მოუმართედეს მათა.

თუ უქონლობით შექირვებულნი იყუნენ ძმანი, მათაც უნდა ტელი მოუმართოს რითაც გზით იყოს. რიგი ღთისა ბძანებს:

¹ ზოგნი ზოგს] ზოგ-ხოგ A. ² გლეხი] გლაზა A. ³ ეკლესიისათვის A.

⁴ შეგინებინოს A.

* კანონი მოციქულთა, წესი 38.

«რომელი იყოს საკურთხეველისა მოსამსახურენი, მისგან უნდა სუან და ჭამონა*», როგორც რომ მსახურნი ჳელმწიფისანი ჳელმწიფისას სმენ და სჭამენ.

და საყდროვანი უფროსნი არიან მსახურთა და უფროც ემსახურებიან ეკლესიათა და ებისკოპოზთა, და უფრო დიდათაც უნდა ზიიჩნიოს კაცმან ქრისტიანემან.

ესეც: არათუ უქონლობით ვინგინდავინ მათში ავი. საქმე მოავტინონ და უმართებულო ქნან.

ქ. თავი ასოთხმოცდათერთმეტი

191. ქ. ეფისკოპოზთა და მღდელთა სახლისკაცი და ახლოს ნათესავი რომე დიდად შეჳირვებული იყოს და დაჳირვებით, და მათ თუ თავიანთის¹, სათავისთაო ქონებით არ შეიბრალონ და მათსა შეჳირვებას არა უღონონ რა, იმგვარად [169V] ჩაიგდების, როგორც ღვის მკულელი**.

და შეიტყონ კანონის სამართალი: მამამ კრებულთა თუ შედგინოს და რიგიანი კაცი ურიგოდ დაიჳირონ, კაცის მკულელის რიგში ჩაუარდების. ამისთანას სამართალზედ მრავალნი არიან მოწამე.

ქ. თავი ასოთხმოცდათორმეტი

192. ქ. თუ ნათესავნი ერთმანერთს წაეკიდნონ და ასეთი შეგოჳკრას, რომე, მოტდეს, ერთის კურით მოკლას, გარდააყენონ რიგიდამ თავის ცოდვისაგან. და თუ ერისგან კაცი იყოს. ისიც ჩამოავდონ რიგიდამ და სისხლი წაართვან. ეს არის კანონის რაგი და ბიანება.

და თუ არ მოკუდეს და ლოგინათ ჩაუარდეს, და მასუკან ისრეე კარგა შეიქნას, ნათესაობის გულისათვის ფათერაკად კურინათვის წუტრას უსაყვედურებენ***.

ქ. თავი ასოთხმოცდაცამეტი

193. ქ. ეფისკოპოზმან ანუ მღდელმან, გინა მთავარდიაკონმან, ერთხელ ნაკურთხზა, მასუკან კიდევ ხელახლა კურთხევა მოინდომოს, კურთხევის მიმღებიცა და ამღებიცა ორიე რიგიდამ ჩამოვარდეს.

თუ აჩვენოს, რომე ნაკურთხეველი მათი მართლმადიდებელი და მართლმორწმუნე არ ყოფილიყოს და ამ გზით მოინდომონ, ზაინც არ უნდა ზიიღონ ჳეორედ¹ კურთხევა.

¹ თავიანთ A. ² მგორედ]—A.

* I კორინთელთა 9.12. ** 54-ე კანონი მოციქულთა კლიმენტ. *** გამოსვლათა, 21.18—19.

ამგვარად მონათულა და კურთხევის მიღება არამორწმუნეთაგან და არამეპატრონეთაგან არა ჯამს, რომ იქნას*.

გამოჩენილია ამ სამართლის კანონი: ვინც აკურთხოს [170r] ამათანა, თავის რიგიდამ ჩამოვარდეს წმინდის კრებისაგან და მისის პატრიაქისაგან, და ამღებიცა კურთხევისა, ამიტომ რომ ამ პარტავანობით უქნია.

და თუ მწვალებლობა უქნია, და რიგი უგმია, და მასუკან მოვა მონანებით რჯულსა მისაზე, მაგრამ მიიღების მირონი და კურთხევა იმრიგზე.

ქ. თავი ასოთხმოცდათოთხმეტი

194. ქ. თუ მღვდელმან და თუ ერისგანმან, მეპატრონემ საყდრისა რისაც, მოიპაროს საყდრის სანთელი და ზეთი, გარდაყენონ იმისთანა კაცი და ერთისათვის ხუთი წაართვან იმავე საწყაოთი¹, რითაც წაუღია.

და თუ რვაღეული² და ანუ ვერცხლეული საყდრის იარაღი ვისაც მოეპაროს და შეამცნიონ ის კაცი, რიგიდამაც ჩამოაგდონ და რაც წაუღია, ისიც წაართვან³ და ერთი იმთონი სხვაც. და ნულარც საყდარში შეუშვებენ იმრიგს კაცსა**.

ქ. თავი ასოთხმოცდათხუთმეტი

195. ქ. ეფისკოპოზისა ვინც თქვას ურიგობა და სძრახოს, და ემღურებოდეს მის ებისკოპოზის კაისმლომელს კაცსა და მის მორწმუნესა, რიგია, რომ დაუძახოს და უბძანოს, ჩემზე ეს დაგიშაგებია. თუ მან კაცმან თქუას, მართალია, მითქუაშს და შემცლოდე ვარ და შეშინდე, შეუნდოს მან ებისკოპოზმან, დაარიგოს და გზა უჩვენოს, რომ კულავ კიდევ არავისი ავი და ურიგო აღარ თქუას.

და თუ დაუძახოს და არ მოვიდეს, მეორედ კიდევ დაუძახოს, და მესამეთაც [170v] ერთი ღთის კაცი გაუგზავნოს, დაუძახოს. თუ მესამეთაც უარი თქუას და მოციქულსაც ავათ მიეპყრას, და ურიგობა არ შეირცხვინოს, და არც შეიშინოს კრებისაგან, იმ კრებითა, რისაც ღირსი იყოს იმრიგი კაცი, მისის დანაშაულის მაგიერო დაადგან***—ქეშმარიტი სამართალია, რომ გარდააქდევინონ⁴.

ქ. თავი ასოთხმოცდათექუსმეტი

196. ქ. ეფისკოპოზთან ვინც მივიდეს მოწმად რჯულნაკლები კაცი, ნუ დაუჯერებს. არც არის მოწმობა მისი მართებული. და

¹ საწყეოთი A. ² რვეული AB. ³ წართვან A. ⁴ გარდახდევინონ A.

* 63-ე კანონი მოციქულთა კლიმენტ. ** იქვე, 67-ე. *** იქვე, 68-ე.

ნურცა ერთითა მართლმადიდებელის პირითა, ორისა და სამის მ ოწმის პირით დამტკიცდეს ყოველი საქმე*.

ქ. თავი ასოთხმოცდაჩვიდმეტი

197. ქ. არა მართებს ებისკოპოზსა, რომე საეპისკოპოზო საქმე გაუშვან და საქუყენიეროს საქმეში გაერიოს და ნალულობდეს,—ვერ შეუძლია ორის პატრონის სამსახური უფლის ბძანებით**.

ქ. თავი ასოთხმოცდათურამეტი

198. ქ. არა მართებს ებისკოპოზსა ან ძმას, ან ძმიწულს, ან სხვას თავის გვარსა და ნათესავს ზისცეს პატივი ებისკოპოზობისა, როგორც თვითან უნდოდეს.—კურთხევა და დაპატრონება საეპისკოპოზოსა მისსა ზედა. არა ღირსა ამგვარის ქნასა, რომე კაცის სიყუარულობით ქნას, და არც არის მართებული ქრისტეს საყდრის დაპატრონება.

დასდვას თუ ვინმე ამისთანა საქმის კურთხევა, [171r] იმრიგად დაუმტკიცებელი არის, ნამეტნავად უფრო, თუ საყდროვანთ და კრებულთაც არ უნდოდეს; და ის ებისკოპოზიც გარდააყენონ, ამიტომ რომე ამისთანა საქმე სხვამ აღარა ქნას***.

ქ. თავი ასოთხმოცდაცხრამეტი

199. ქ. ყმისას მდლლად კურთხევას პატრონისა მისის უბძანებლად არა მიეცემთ ბძანებასა გაჯავრებით და მოწყენით მისის მსყიდველისა, რომე ამისთანა საქმე სახლში ავს მოაგდენს.

და თუ ღირსად გამოჩნდეს და ღირსი იყოს ყმა იგი, აკურთხონ, როგორც რომ ონისიმე გაძოჩნდა, და გაუშვან პატრონთა და უყონ აზატი****, იქნას კანონის რიგზე და სამართალზე, დადგეს საყდარსა და შეინახოს და უშიშრად იყოს ღთისა საქმეზედ. და ამ კაის საქმეზე ნულარას დაშვევას იქმონენ.

ქ. თავი ორასი

200. ქ. თუ ვინმე კელწიფე და ანუ დიდებული ავად ავსენოს, მათი ორგული, ურიგოს მთქმელი ვინცავინ იყუნენ უსამართლო, რისხეა აიღონ მათ მტრობისა: და თუ ნათესავი იყოს, მისის ნათესაობისაგან ჩამოაგდონ, და თუ სხვა ვინმე იყოს, გარდააყენონ*****.

* 69-ე კანონი ხოციქ. კლიმენტ. ** იქვე, 75-ე; *** იქვე, 70-ე, **** იქვე, 76-ე; ***** იქვე, 78—79.

197 მუხლი B ხელნაწერში 198 (რუშ) მუხლად არის, ხოლ.ა 198 მუხლი—197-ად.

ამ სამართლისა ქნაებისკოპოზთა, მოქადაგეთა და მართალ მოსამართლეთაგან არიან საქნელნი — ჯელმწიფენი ლთისა სახენი არიან.

მოქადაგეთა და დიდებულთ მართებსთ¹, თუ შემაგინებელი ნათესაეია² მისა, ჩამოაგდონ, და თუ სხვა ვინმე არის, გარდააყენონ³, სანამდინ მოინანებდეს.

[171v]. ქ. თავი ორასდაერთი

201. ქ. თუ ვინც დედაკაცმან ბოზობით თუ რითაც ნაყოფი ზუკლისა მისისა ან წამლით წაიკვინოს და ანუ ზიციემის დროს დაარჩოს, მის მაგიერად ის უნდა მოკუდეს*.

და თუ ბებია მ ვისიც ყმაწვილი წააქვინოს და დაარჩოს, რომ უნებურად მოუკდეს, მან დიდი საკანონო უნდა გარდიჯადოს⁴, ამიტომ რომ მისი ანაბარია. რადგან საკანონო დაადგან და არ გარდიჯადოს, საიქიოს სამართალში სისხლის პასუხი უნდა ვასცეს.

ქ. თავი ორასდაორი

202. ქ. ყაზახნი და ქურდნი საყდრის ნებადართვით სიკუდილის დაბეზღების ღირსნი არიან: ძველთაგან ავაზაკნი და მათთან მსმელნი და მჭამელნი—ყოველთენი სიკუდილი მათ სანართლისა მართებთ,

რომ მიიყუანონ მოსამართლეთა წინაშე კაცთა მპარაეი და ავაზაკი, რიგის ბძანებით სასიკუდილო არის. ჰკითხონ საყდრის რიგსა და კანონსა, და სხვა სამართალშიაც არის გაჩენილი და ნახონ**.

ქ. თავი ორასდასამი

203. ქ. კაცს რომ თვალი ეჭიროს ქალზე და მის მამასა და დედას მისთვის არ უნდოდეს, და არც იმ ქალსა, და ისრე იმ კაცმა მოიტაცოს, როგორც რომ აემან ნადირმან წაიყუანოს, გუირგვინი იკურთხოს თუ არა?

თუ ტელი მიუწუდეს და ტელში ჩაიგდონ, იქილამ შეუბრალებლად გამოაბრუნონ და ნებით დააქორწილონ, და საკანონო გარდაავტდევიონ***.

და მასუკან რითაც გზით გაშეება მოინდომოს, ამისი სამართალი სხვას თავში სწერია [იხ. მუხლ. 159], ამრიგი სამართალი საყდრისა არის. თუ სხვის ნათხოვნი ყოფილიყოს, უფროსი გარჯა მდილონ მათ და პასუხი ქალის მანასაც ვასცეს და მთხოვნელსაც****.

¹ მართებსთ]—A. ² ნათესაეი AB. ³ გარდააყენონ A. ⁴ გარდიჯადოს A.

* კანონი მამათა შედგომილთა. ** იქვე, მე-4. *** გამოსულთა, 22₁₈₋₁₇; მეორე სჯული, 22₂₈, 28-20. **** უკანასკნელი წინადადება მიწერილია სხვა ხელით.

[172r] ქ. თავი ორასდაოთხი

204. ქ. ქრისტიანმა რომ ქრისტიანი ტყუე დაიქნას, ასე მართებთ: შეიღს წელიწადს უნდა იმსახუროს და შეიღს წელიწადს უკან აზატი უნდა უყოს.

თუ მართო ეყიდოს, მართო უნდა გავიდეს, და თუ ცოლი მიჰყოლოდეს, ცოლით უნდა გავიდეს. და თუ მსყიდველის ქელში დაცოლშვილიანებულა, ცოლ-შვილი პატრონს დარჩეს და თვითან, როგორც მართო მოსულა, ისევე მართო უნდა გავიდეს.

მაგრამ თუ მან კაცმან ეს პასუხი თქუას, მიყუარს პატრონი ჩემიო და ვერ ვეღვევიო ჩემს ცოლ-შვილსაო, და არც გავალ აზატაო, წაიყუანოს პატრონმა საყდარსა ღთისასა და მღღელთა და ერთა მოწმობითა და წიგნით დაიჭიროს ყმაღ. და აღარ უნდა ჰქონდეს აზატობის ფიქრი*. მოციქულთაგან არის: პატრონობის დაძახება ყმისა, აზატობა—ღთისაგან**.

ქ. თავი ორასდახუთი

205. ქ. თუ ვინმე რასაც დაჭირებისათვის გაყიდოს თავისი ქალი, მიყიდოს ქრისტიანსა, ასრე ნუ მიყიდის, როგორც რომ სხვა ტყუე, იაჟად მუახლედ მისცეს. და ვისაც მისცეს, მან თუ აღარ მოიწონოს და შესცოდოს რაზე, დააჯსნევინოს მამას მისას—ვერ შეუძლია სხვათა მისყიდვა.

და თუ წვილისათვის და ან თავისთვის საცოლოდ იყიდოს და აღარ ინდომოს, მასუკან დაყოს ამღენი ხანი, რაც ფასის ზომა იყოს, ემსახუროს და მასუკან აზატი შეიქნების***. და თუ მამასავე შეეძლოს დაჯსნა, მაშინვე დაიქნას. და თუ მაშინვე თქუას, ქალისათვის სამშითოდ მინდაო, მასუკან ერთმანეთთან ჰელი აღარა აქუთ.

[172r] ქ. თავი ორასდაექუსი¹

206. ქ. თუ იყიდოს ვინმე სხვაგვარი უსჯულო მსახური თუ მოახლე, თუ თვითანც თავიანთ ნებით ნათლისღება მოინდომონ და ჰეშმარიტად მოინათლონ, მათი დაჯსნა მართებულია და კიდევ ნათელს აღებინოს.

თუ არ ინდომოს, ვისაც უნდა, მიყიდოს, უცოდვო იყოს, ამიტომ რომე არ ინდომა ნათელი. და ვინც მართლა იწამოს ქრისტე, ჰეშმარიტად მოინათლოს და აზატი იყოს.

¹ ორასდათექუსნეტი A.

* გამოსვლათა, 21,1-6. ** I კორინთ. 7,22. *** ჯანოსვლათა, 22,7-11.

ქ. თავი ორასდაშვიდი

207. ქ. თუ ვინ დედასა და მამას თვისსა დაჰკრას რამე¹, სიკუდილით მოკუდეს*.

ეს არის ბძანება რიგისა, და ვინმე უცოდინარობით და ყმაწვილობით ქნან, დაუთმონ მშობელთა.

და უპირისწყლობით, უშიშრობით და შულლით დაჰკრან, უნდა წავეიდნენ მშობელნი მისნი მღღელთან და მოხუცებულთან და მათ წინაშე გაიშორონ მათის საპატრონოსაგან. და თუ მოინანოს და შენდობა ითხოოს, მართებულია დედ-მამისაგან, რომ ინდომონ და შეუხდონ.

ქ. თავი ორასდარვა

208. ქ. რომელმან მოიპაროს შვილი ქრისტიანისა და გაყიდოს, სიკუდილით გარდიცვალოს**. თუ ქრისტიანმა ქრისტიანი გაყიდოს და გაშორდეს მისის ბოროტის ნაქმარობა, რომე ურჯულოსათვის მიეყიდოს, საკანონოს გულისათვის ნუ მოკუდენ, და საბურობილეში ჩააგდონ, და თავდები გამოართვან, და მის[17]ქ[1]გან გასყიდული დააქსნევიზონ.

და თუ ვერ დაიქსნას, რაც ფასი აულია, მის ტყუის პატრონი სათვის მიაცემინონ. და გამსყიდველის თვალების დათხრა ითხოოს ტყუის პატრონმა, და ან ერთი რამ სხვა ნიშანი დასდვან მის ტანსა.

ქ. თავი ორასდაცხრა

209. ქ. ვინც დასძრაბოს მამა და დედა თვისი, სიკუდილითა გარდაიცვალოს***. ვინცა ცოდვა მამისა ანუ დედისა ცოდვა გაამეტავენოს, სიკუდილითა მოკულა თქუან. და თუ ვინმე დედასა და ან მამასა მისსა სცენ, ჯელი მოსჭრან მას შვილსა იმრიგსა.

ქ. თავი ორასდაათი

210. ქ. თუ ვინმე მასხარობით ამხანაგთ ერთმანერთსა ჰკრან რამე, სიკუდილით კი არ მოკუდეს და ავად გახდეს, და მასუკან კარგად შეიქნას და იარებოდეს თავისთვის, და არა ევენოს რა, სხვას ვერას შეუფიდეს² ამის მეტსა: საექიმო მისცეს და, რასაც დასცდეს, მისი წესი****. და თუ მოკუდეს, სისხლი მთელი უნდა მისცეს.

ქ. თავი ორასდათერთმეტი

211. ქ. თუ ვინმე მსახურსა და მხლებელს მისას შემოჰკრას ჯოხი ასრე, რომ მისის ჯელით მოკუდეს, სამართლით მაგიერი მის

¹ რამე]— და A. ² შეუდეს A.

* გამოსვლ. 22,118. ** იქვე, 21,18. *** იქვე, 21,17. **** იქვე, 21,118.

მოკლულის¹ პატრონისაგან ითხოების. თუ ჯობითა, თუ გლმით, რითაც მოკლას, ეს არის სამართალი: თუ უნდა ურჯულო იყოს, თუ უნდა ქრისტიანი, მათი სისხლი აზღვევინონ.

და თუ ერთიორი დღე დარჩეს, ნულარ სთხოვენ მათსა სისხლსა მაგიერსა, ამიტომ რომ თეთრით ნასყიდია მისი. და საკანონო დიდი დაადვან და გარდააქლევინონ*.

[173r]. ქ. თავი ორასდათორმეტი

212. თუ იშუღლონ ორმა კაცმა და ორსულს დედაკაცს კრან რამე და ნაყოფი წაუჭდინონ, თუ მართლა სახით არ იყოს, ნახევარი უნდა მისცენ, რაც რომ დაადვან, —წავიდეს და შეხვეწვით ქმარსა მას დედაკაცისას უნდა მისცეს.

და თუ მართალი სახით იყოს სრულ, მან, დამნაშავემ კაცმან, თავისი ტანი მისის ტანის მაგიერ უნდა მისცეს. სამართალი ღთისა გამოჩენილია**. რა ცოლი ვისიც დაორსულდება, იმედი აქუს ასრე, რომე გინდა ჰელთ ყუანდეს. ამიტომ უნდა მიეცეს დამნაშაველის ტანი მისის ტანის მაგიერად.

ამ სამართლითა თავისი ტანი ჯარიმითა და საკანონოთი უნდა დაიგნას. და ეს სამართალი ჰელმწიფის სამართალშიაც სწერია გამოჩენილად [შდრ. მუხლ. 152 და 416].

ქ. თავი ორასდაცამეტი

213. ქ. ვინ ვის კრას და დააშაოს, თვალისათვინ -- თვალი, კბილისათვინ -- კბილი, ჰელისათვინ -- ჰელი, ფეგისათვინ -- ფეგი, დაჭრისათვინ -- დაჭრა; დაკურისათვის -- დაკურა***. ეს სამართალი, ღთის მნოთი, სახარების ბძანებითა****, აღარ იქნას და ჯარიმით გარდასწდეს. კაცის ფასი სისხლს შეაფარდონ, საქმეს ცოტასა და ბევრს გასინჯვა უნდა. განყოფილობაც არის სხვადასხვა ასოთა -- ოცდაექუსი ფლური და ნახევარი ერთ ქერ ნაკლები.

ქ. თავი ორასდათოთხმეტი

214. ქ. ვინ თავის მსახურსა და მხლებელს გამოსთხაროს თვალი და დააბრმავოს, აზატი [174r] უნდა უყოს დაბრმავების გულისათვის. და თუ კბილები ჩააყრევენოს, კიდევ აზატი უნდა უყოს კბილის გულისათვის*****.

¹ მოკლულის) მკლელის A.

* გამოსულ. 21, 20-21. ** იქვე, 21, 21-22. *** იქვე, 21, 21-22. **** მათე,

5, 28-11. ***** გამოსულ. 21, 28-27.

კბილი¹ ნაკლებად ჩასაგდებია თვალთან, მაგრამე ღთის რი-
გითა თვალთან და ზვლთან ჩაგდებულია და ამიტომ უნდა უყოს.
აზატი. ეს სამართალი შეუშლელად იყოს და თუ სხვაგვარი ურ-
ჯულო იყოს მოსამსახურე და უარშიო იყოს, გაყიდონ.

ქ. თავი ორასდათხუთმეტი

215. ქ. თუ კაცსა, თუ დედაკაცსა წარმან თუ ფურმან ასე ურ-
ქინოს და ამოკრას, რომ კაცი ან დედაკაცი მოკლას, ის ძროხა
უნდა ჩაქოლონ და არ იქმნება ჯორცი მისი. და პატრონი უბრა-
ლოა*. ეს სამართალი რიგით მკუიდრად იყოს.

თუ არ ჩაქოლონ, სხვათა გვართა მიყიდონ ჯორცი მისი და
ფასი გლახათ გაუყონ. კიდევ ვიტყუი, რომე მისი პატრონი უბრა-
ლო იყოს.

მაგრამ კულავეც მრჩოლელი იყო და უთხრეს პატრონსა მი-
სას, ნუ შეინახავ მაგასაო, ან მოკალ, ან დაკარგეო, დღეს არის
თუ ხვალ კაცს დააშავებსო; ბევრჯელ უთხრეს და მან კაცმან თა-
ლაფული კრას და არასუკან იყოს; და მასუკან მოკლას ან კაცი და
ან დედაკაცი, ის ძროხა ჩაქოლონ და ის ძროხის პატრონიც მოკუ-
დეს. ან არადა მისცეს მოსარჩენი თავის ტანისა**. ეს რიგით გა-
რიგდეს, არათუ სიკუდილით—წყალობით აჩვენეს მორჩენა თავის
ტანისა და მიცემა სისხლის ფასისა სამართლითა [174v] გელმწი-
ფითა [შდრ. მუხლ. 152 და 416].

თუ ვისმე მსახურსა და მხლებელს. ჰკრას ძროხამ იმრიგმა და
მოკლას, როგორც უყიდი პატრონს მისას, ფასი ერთიორად მის-
ცეს ძროხის პატრონმა და ძროხა ჩაქოლონ***.

თუ თვალი გამოთხაროს ანუ მოსტეხოს რამე ვისმან ვისაც
ძროხამ და პატრონმა მისი რჩოლა არ იცოდეს, უბრალოა პატ-
რონი, ვერას შეუვლენ. და თუ იცოდა პატრონმა, ექიმიც მან უნ-
და დააყენოს და, რასაც დასცდეს, მისი წესიც უნდა მისცეს.

ქ. თავი ორასდათექუსმეტი

216. თუ ვის ვისმა რჩომამ ერთმანეთს ამოკრას და ერთმა
მეორე მოკლას, რომელსაც ამოუკრავს, ის გაყიდონ და ფასი გა-
იყონ პატრონთა; და მკუდარის ძროხის ლეშიც შუა გაიყონ.

თუ იცოდა პატრონმა, რომ მრჩოლელი იყო, არც გაყიდა, არც³
დაკარგა, მკუდარის ლეში თვითან დაიჭიროს და პატრონს მთელი
უზლოს****. ეს სამართალი დამტკიცებით იყოს.

¹ კბილ A. ² არც] + არც არ A.

* გამოსვლ. 21,28. ** იქვე, 21,29-30. *** იქვე, 21,32. **** იქვე, 21, 35-30-

ქ. თავი ორასდაჩვიდმეტი

217. ქ. ვინც მოკადოს ორმო და ან გახსნას წყლის ორმო და თავი არ დახუროს, და შიგ ან ჩაეარდეს ძროხა, ან ცხვარი, ან სატეღარი და წაქდეს რამე, მისი ფასი თეთრად ორმოს პატრონმა რჩომის პატრონს უნდა მისცეს. და წამკდარი რაც იყოს, ორმოს პატრონს მისცენ*.

ქ. ორასდათურამეტი

218. ქ. თუ ვინ კაცი თუ ქალი ვისასაც წყლის ორმოში თუ რისაც ორმოში [178r] ჩაეარდეს და მოკუდეს, თუ დღისით ჩაეარდეს, ორმოს პატრონმა ნახევარი სისხლი მისცეს, და თუ ღამით ჩაეარდეს, მთელი სისხლი მისცეს.

თუ ყმა იყოს, თუ მხლებელი, შეიტყონ. სამართალი იქნას, ქრისტიანია, ურჯულთა, ბრმა ყოფილა, მთურალი ყოფილა თუ ყმაწვილი.

ქ. თავი ორასდაცხრამეტი

219. ქ. თუ ჯარმა ვისაც ფურს ან ცხვარსა, ანუ სხვას პირ-უტყუს ჰკრას სასიკუდინედ და ზოკლას, თუ არ იციან პატრონთ, რომელმან ჰკრა, ვისაც სახლში, ვისაც რჩომაში ქნილა, ნახევარი უნდა უზღონ და ლეში შუა გაიყონ.

თუ იცოდა პატრონმა, რომ მრჩოლელი იყო, და არ მოაშორ-ვა მისი ჯარი, მოკლული გათაგებით უნდა უზღოს, წმიდა იყოს თუ უწმიდური.

ქ. თავი ორასოცი

220. ქ. თუ ცხენმა ანუ ჯორმა, ან სატეღარმა ვისამ ვისიც ან მოარჩოს ან წიხლი¹ კრას და მოკლას ან დააშაოს, თუ პატრონმა მისმა იცოდა, რომ მრჩოლელი იყო და არ დააბა და გაფთხილებით არ შეინახა, გამთაგებით უნდა უზღოს. და თუ არ იცოდა, ნახევარი უნდა უზღოს.

ქ. თავი ორასოცდაერთი

221. ქ. თუ ცხენმა ან ჯორმა, ან სატეღარმა ვისმა ვისაც კაცს კრას² და დააშაოს და ან მოკლას, თუ პატრონმა იცოდა, რომ მაწყინარი იყო, და არ [175r] უთხრა და შორ არ დააყენა უნაღულელობით, მთელი სისხლი უნდა მისცეს.

¹ წიხლ A; წიხლით B. ² ვისაც კაცს კრას] ვისაც წიხლი ჰკრას B.

* გამოსულ. 21, 32-31.

და თუ არ იცოდა¹, დაშავებისაც ნახევარი უნდა მისცეს და სიკუდილისაც. და თუ არ მოკუდეს და არც დაშავდეს, საეჭირო უნდა მისცეს. და რასაც დასცდეს, მისი წესიცა.

და საკანონო ყოვლის მოქადაგეთ გასინჯონ და ნახონ—ესე მართო სამართლისა დაეასწრაფეთ მაგიერი საქმისა, ყუელა თავთავის მაგიერი მისცეს წიგნმა სამართლისამა.

ქ. თავი ორასოცდამორი

222. ქ. თუ ვინ მოიპაროს ძროხა ან ცხვარი, ან საწედარი, აწისთანა რაგინდარა, ან გაყიდოს და ან დასაკლავი დაკლას, და შეამცნიონ, ძროხისათვინ ერთისათვინ ხუთი წაართვან, ცხურისათვინ ერთისათვინ ოთხი წაართვან, საწედრისათვინ ერთისათვინ სამი და ნახევარი წაართვან. თუ არა ქონდეს მას ქურდს საზღაური, თავი გააყიდვინონ და აზღვევინონ*.

შორ გამოსაჩენია ეს სამართალი: ვინც რა მოიპაროს, ერთისათვის ოთხი და ხუთი უნდა მისცეს.

ქ. თავი ორასოცდასამი

223. ქ. ვინ გატეხოს სახლი ვისიც ღამით და სახლის პატრონმა დაქრას და მოკლას მის სახლში ქურდი, ის მოკულა სიკუდილის ანგარისშია.

და თუ მზემ უსწრას და გათენდეს, დღისით მზისით თუ უტელმწიფოდ მოკლას, მის მაგიეოდ ის უნდა მოკუდეს**.

და თუ ღამით მოკლას უცოდინარობით, [176r] ის ცოდვად არ დაედება წმინდის რიგით და მოსაკლავია—მოსამართლესა მათის სამართლით კაცთა მპარავის მისცა ბძანება მოკულვისა. [შდრ. მუხლ. 222].

სხვათა ქურდთა მოპარული მათგან ერთიოთხად მისცენ. და საკანონო დავდევით დამტკიცებით.

და რაც კიდევ მოსაპარავად ნდომია და ველარ დასცალეზია გატანა, ის ერთიორად მისცეს.

ქ. თავი ორასოცდამოთხი

224. ქ. თუ ვინც საყდრის რაგინდარა მოიპაროს, გაყიდოს და ან დაკარგოს, და ან მასუკან შეაჩნდეს, ადგილს აღარ ქონდეს, რომ მისცეს, რომელიც ადგილს აღარა აქუს, ერთიხუთად არის დამტკიცებული; და რომელიცა აქუს ალაგს, ერთიორად წაართვან***.

¹ იცოდა] + და A.

* გამოსულ. 22,1,3. ** იქვე, 22,2-3. *** იქვე, 1-4.

ქ. თავი ორასოცდახუთი

225. ქ. ვინცა ვის გაუძოოს ყანა ან ვენაკი, გაუშვას თავისი პირუტყუი და გაუძოოს, რაც წაუტდინოს, წაართვას მას პირუტყუის პატრონს და მაგიერი მისის ყანიდამ მიაცემინონ.

და თუ სრულ წაუტდინოს, სრულ უკლებლივ მაგიერი მის პირუტყუის აატრონს, რომელიც უკეთესი ნაშრომი ქონდეს, იმისგან წაუერთვან*.

ქ. თავი ორასოცდაექუსი

226. ქ. თუ ვინ ვისის სახლიდამ ცეცხლი გაიტანოს და გამტანმა დაფანტოს, [176r] წაეკიდოს ეკალსა, ეკლიდამ—კალოსა და ბრჯას მდგომარეს თუ მოკრილს მინდორში ყანასა, ვისგანცა ცეცხლი წაეკიდა, მან უნდა უზლოს პატრონსა ჭირნახულისას**.

ეს სამართალი ღთის სამართლით კარგად გასინჯონ: შორეულად სცემია ცეცხლი თუ ახლოდამ, მოყურდამ გამოუტანია ცეცხლი თუ მტრიდამ, ყმაწვილი ყოფილა თუ კაცი, ნებით მომჭდარა თუ უნებურად. იმაზე გამოჩნდების გზა ზღვევინებისა: თუ ნებით უქნია, ერთიორად უნდა უზლოს; თუ ახლოდამ სცემია, თავნი უნდა უზლოს; თუ შორედამ, მინდურიდამ მინდორს სცემია, ნახევარი უზლოს.

ამის მგზავსად, თუ დაიწვას კაცი ან პირუტყუი, ან სახლი, ან სხვა რაგინდარა¹, ისიებიც ამ სამართლით გარდასწყუიტონ.

ქ. თავი ორასოცდაშვიდი

227. ქ. თუ ვინც თავის ამხანაგს მიაბაროს ვერცხლი ანუ სხვა რაგინდარა და მოპარონ მას კაცს სახლიდამ, თუ ქურდი იპოვნონ, ერთიოთხად აზღვევინონ.

და თუ ქურდი არა ჩნდეს და ვერ იპოვნონ, მან სახლის პატრონმან ღთის სახელზე ასრე შეფიცოს: არც იცოდეს ვის მოუპაროს და არც ქურდის ამხანაგი იყოს, არც დიდიდამ ცოტამდინ [თვითან დაემალოსთ რამე***].

რადგან ასრე შეფიცოს, საქონლის პატრონმაც კელი აიღოს. და თუ ტყუილად დაეფიცნოსთ და ფიცმან დაიჭიროს ესე, ასრე ჩნდეს: ერთიორად უზლოს თავის პატრონსა [177r] საქონლისასა.

ამხანაგსა თუ მართლად დაეფიცნოს და ქურდიც ეპოვნოს, საქონლის პატრონმა ქურდს თავისი საქონელი მისის საზღაურით სთხოოს. სახლის პატრონმა დაფიცების საუბატიო სთხოოს ქურდსა.

¹ რაგინდარა]- არა ა.

* გამოსულ. 22,გ. ** იქვე, 22,გ. *** იქვე, 22,რ-გ.

და საქონლის პატრონმან საზღაურიდამ სამი წილი სახლის პატრონს მისცეს.

ქ. თავი ორასოცდარვა

228. ქ. თუ მიაბაროს კაცმან თავის ამხანაგს გარი, ცხვარი ან საჯდარი, ანუ სხვა რამ პირუტყუი, მოიტეხოს რამე და მოკუდეს ან მოიტაცონ და არ იცოდნენ, თუ როგორ მოჭდა, მათ შუაში ჯერი მოჭდეს.

თუ პირუტყუის პატრონმა ჯერი არ აქნევინა და თქუა, ჩაუვლია, არც ავი და არც კარგო, —ის არის. და თუ არადა, ნომტაცებელი იპოონ, აზღვევინონ სამართლითა.

და თუ ნადირს წაეჭდინოს, ლეში უნდა აჩვენოს პატრონსა, და აღარ ეზღვევინება¹; და თუ არ უჩვენა, ეზღვევინება. ამასაც ვიტყუით, თუ ფასით ინახევდეს, უნდა რომ უზლოს; და თუ უფასოდ ებაროს, ვერას შეუიღდეს.

ქ. თავი ორასოცდაცხრა

229. ქ. თუ ვინ ვისიც რა ითხოოს ულაცი თავის ამხანაგისაგან, ან მოიტეხოს რამე, ან მოკუდეს, ან მოიტაცონ და პატრონი მისი თან, არ ახლდეს, უზლოს; და თუ პატრონი თან ახლდეს, ველარ აზღვევინებს. თუ რამ ქირა აელოს, ქირა იყოს საზღაური მისი. ქეშმარიტი გასინჯვა უნდა².

[177v] ქ. თავი ორასოცდაათი¹

230. ქ. ვინც ვისი ქურქელი ითხოოს, რაცა დაუკარგოს ან მოაპარვინოს, უზლოს პატრონსა. თუ პატრონი თავის საქონელს თან [არ] ახლდეს და არც ქირა აელოს, აგრევე თუ გაუტეხონ, გატეხილიც უზლონ. თუ ქირა მიეცესთ და პატრონიც თან ახლდეს თავის საქონელს, არცეთი უზლონ.

ქ. თავი ორასოცდათერთმეტი

231. ქ. თუ ვინ ქალი, ქანწული გათხოვილი, დაატყუოს და გააწბილოს, მას კაცს წაართვან სისხლი მართებული და, ვისიც ნათხოვნი ყოფილა, იმას მისცენ. და ის ქალი მას გამწბილებელს ცოლად მისცენ, თუ ცოლი არა ყუანდეს. თუ ცოლი ყუანდეს და შერთვა არ მოჭდეს იმ ქალისა, საკანონო მანინც მართებულად გარდააქდევინონ³ [შდრ. მუხლ. 179].

¹ ორასოცდათი A.

² გამოსვლათა 22, 10-13. ³ იქვე, 22, 14-15. ⁴ იქვე, 16-17.

ქ. თავი ორასოცდათორმეტი

232. ქ. თუ თეთრი ასესხო წმასა ზენსა და ღარიბად იყოს, ნუ შეაწუხებ და სარგებელს ნუ სთხოვ*—ძველისა და ახლის რიგის ბძანებით, ორისავ სიტყუის ბძანებით, არ აძლევს სარგებლის აღე-
ჯასა გლახათაგან**. თავნი რომ აქ მისცენ, სარგებლის მაგიერსა¹
ლთი საიქიოს მისცემს.

და თუ თავნიც შეეჭამოს ამლებსა დათქუას, აღარა მაქუს მიცემის ალაგიო, და სამართალში ჩაცვივდნენ, თავნისა² პასუხი არა აქუს, უნდა მისცეს, და სარგებელი აპატოს თეთრის პატრონმა.

[178r] ქ. თავი ორასოცდაცამეტი

233. ქ. თუ ვინ ვისგან გირაოდ დაიჭიროს ვისიც სახლი ანუ ვენაჯი, ანუ მიწა-წყალი, ანუ სხვა რამ და მოკდეს, რომ დიდი ხანი დაყოს, მართებულს სარგებელზე მეტი ეჭამოს მოსავლიდამ, ის ნანეტნავი თავნში ჩაუგდონ.

თუ ამდონი იყოს, რომ თავნს მორეოდეს, გირაოები გამო-
ართვან მისგან და პატრონს მისცენ, და თუ დააკლდეს კიდევ, შე-
უთაონ. თუ გირაოებისაგან გაეყიდოს რამე, თავნში უნაგარიშონ.
თუ ტანისამოსი იყოს და გაცეკვითოს, ისიც თავნში უნდა ჩაუგდონ.

და ოქროული და ვერცხლეული თუ მისთვის მოეპაროს ვისმე, თეთრის პატრონმა ჯვრით უნდა დაამტკიცოს და დაქარგული უნდა ჩაიგდოს დამდებმან.

და თუ მას თეთრის პატრონს შეაჩნდეს, რომ ტყუილად და-
ეფიცნოს, ერთითხად უნდა მისცეს გირაოს პატრონსა. და თუ ან უფიქრად თქუას სიტყუითა და ძალზე დადგეს, კელთ ეჭიროს, ამბობდეს, დამეკარგაო, ერთიორად უნდა სთხოოს [შდრ. მუხლ. 227].

და თუ ლაშქართა და დამსხმელთა³ წაელოს, გირაოს პატ-
რონმა უნდა ჩაიგდოს.

თუ გირაოები წაჭდეს რამე, ან ხე მოსკრან, ან ლობე და-
სწვან, ან კედელი დააქციონ ვინც, თუ გირაოების დამდების თავზე უქნიათ, მან უნდა ჩაიგდოს, და თუ გირაოს დამეჭერის თავზე უქ-
ნიათ, მან უნდა ზღოს.

თუ პირუტყუი რამე იყოს გირაო და ავად იჭმაროს, მოსტე-
ხოს რამე ან მოკლას, თავნი უნდა დააყენოს ისევ. და თუ თავის დლით მოკუდეს, გირაოს დამდებმა უნდა ჩაიგდოს.

¹ მაგერს A. ² თავინის A. ³ და დამსხმელთა დამხმელთა A.

* განოსელათა 22,28. ** ლევიტ 25,26; მეორე სჯული 23,19; ლუკა 6,11,15.

[176v] ქ. თავი ორასოცდაოთხმეტე

234. ქ. თუ ვინ ვისაც სახლს თავის ნებით ცეცხლი წაუქი-
დონ, ნახონ მართლა, რომ კაცი თავის ნებით უქიდებდეს, წაეკი-
დოს და გარდიწვას სახლი და ზედ დაიქირონ ისიც, იგი ცეცხლში
დაწვან, რომ სიკუდილის ღირსია.

და თუ შეიბრალონ დასაწვავად, რომლისაც ჯელით წაეკიდე-
ბინოს, ის კელი მოსკრან, და რაც რომ დამწვარიყოს იმ სახლში,
ნახევარი აზღვევინონ. და თუ ჯელის მოსაქრელათაც შეიბრალონ
და არ მოსკრან, წანაქელი ერთპირ აზღვევინონ, სრულად თამბა
უყონ და ჯარიმაც აჯღვევინონ.

თუ პირუტყუი ოთხფეხი შიგ ჩაიწვას, ერთიოთხად აზღვევი-
ნონ. თუ ბჯა და თივა დაიწვას, — ერთიორად; იმგვარად ტანისამოსი
და იმრიგი რაგინდარა აზღვევინონ. და შეიღებაც იმ კაცისა მარ-
თებულად გაშინჯვა უნდა.

ქ. თავი ორასოცდათხუთმეტე

235. ქ. დაიდრას ვინცა ეშმაკის ნაქმარობით და მოსკრას ხე
სადაც ვისიც, და შეაჩნდეს მომპრელსა, სამართალი იქნას ასრე:
ვისაც მოუჭრია რარიგიც ხე, იმრიგი ნორჩი მის ალაგს დაარგვე-
ვინონ, და სანამდი ის ნორჩი ხე შეიქნეაოდეს და ნაყოფს მისცემ-
დეს, მანამდის ყოველს წელიწადს, რაც იმ მოჭრილის ხის გამო-
სავალი ყოფილიყოს, ბისცემდეს, რაც რომ მართებული იყოს. თუ
თვითან არა ქონდეს, სხვისაგან უყიდდეს და ნაყოფს მისცემდეს.

ეს ყუელამ შეიტყვეით, რომ, ვინც ვის ხე მოუჭრას. ერთი
ღიღი მტეოობა ისიც აოის.

[179r] ქ. თავი ორასოცდათექუსმეტე

236. ქ. გაპოელააარაკა ღთი მოსეს და უბანა: «შენმა ტანმა
თუ სკოდოს შეუნახველობით და გინებით ბძანებასა ღთისასა და
მოატყუოს თავისი ამხანაგი, თუ იპოენა დაკარგული რამე, გა-
ჯავრდეს იმაზე და დაიფიცოს ტყუილად, მოჭდეს, რა დროსაც
გამოჩნდეს, იკითხონ პატრონთა, — მისცენ; რომელსაც ეცილებოდეს,
მისცეს პასუხი დანაშაულისა, რომ დააშავა; მიბარებული რომ მი-
აბარა, — მას, ანუ დაკარგული რომ იპოვა, — ყოვლის, რისაც რომ და-
იფიცა ტყუილად, აზღვევინონ თავნი და ხუთი წილი სხვა. და,
რომლისაც იყოს, მიაბაროს მას, რომელსაც სად შეძოყაროს»*
[შდრ. მუხლ. 227, 233].

* ლევიტელთა 6, 2-3.

ქ. თავი ორასოცდაჩვიდმეტი

237. ქ. თუ ვინმე უცოდინარობით ნაწილი და წმინდა შესავალი სკამოს, საყდრისა დამეტდეს მაზე, ხუთი იმდენერთა უნდა მისცეს მღდელსა. ნუ შეაგინებს სიწმინდეა და რიგსა ისრაელთასა და ნუ დაიყრიან მათის ნაქმარობით ავსა და ცოდვასა—ნუ სკამენ და ნურც დაიჭერენ ბძანებას: «მე ვარ უფალი, რომ გავსწმედ ღთის სამართალსა»*. ეს ნიშანი სამართლის შეუშლელად დარჩეს.

ქ. თავი ორასოცდათურამეტი

238. ქ. იყოს შვილი დედაკაცთა ისრაელთაგან და კაცთა ეგვიპტელთაგან; იყო შვილთა ისრაელთა შუა შულლი, სადაც მათი ყრილობა იყო, და კაცი იყო [1797]: ისრაელი და დათქმული დედაკაცი [სა] ისრაელთაგან; და სახელი დასწყევლა და წაიყუანეს მოსეს წინ,—სახელი დედისა მისისა საღამით, და ჰურიისა გვარისაგან რენისა,—მისცეს შესანახავად სამართლისა ბძანებაზე ღთსაგან.

გამოელაპარაკა ღთი მოსეს და უბძანა: გამოიყუანეთ დამწყველი; რომელსაც გაუგონია მისის პირისაგან. მან დაიბანოს ჰელი და დაადვას თავზე; აბა. მასუკან ჩაქოლონ მრევლთა. და შვილთა ისრაილთა ელაპარაკე და უთხარ, რამანც კაცმან დასწყევლოს ღთი, ცოდვა დაიკიდოს—სახელდობ ღთის დამწყველი სიკუდილით მოკუდეს, ქუით ჩაქოლონ ყოველთა მრევლთა; მდიდარი იყოს თუ მცირე, სახელსა ღთისაზე მოკუდეს.

ელაპარაკა მოსე შვილთა ისრაილთა და გამოიყუანეს დამწყველი ჯარში და ჩაქოლეს ქუითა ყოველთა მრევლთა შვილთა ისრაილთა. და ქნეს, როგორც უბძანა უფალმან მოსეს სამართალი სამართალი**.

და ესე ასრე უნდა იქნას: თუ ვინ ეშმაკმან დასძრას, სახელი ქრისტესი ავინოს, ანუ ჯვარ-ხატი, ან საყდარი, ან მღდელი, ან ნათლისღება, თავიანთ¹ შულლში, ან ერთი თუ სხვაგვარი იყოს, როგორც რომ იქ მოვდა, თუ ჩაქოლონ თუ რითაც სხვას სარჯლით და სიკუდილით მოკლან,—ღირსია. და თუ ქრისტიანები იყუნენ, მათზე უფრო სიკუდილის სამართალი იქნას; და მოვდომა იმრიგდს საქმისა და სიტყუა გასინჯონ.

¹ თავიანთ A.

* ლევიტ. 22, 11-16.

** ლევიტ. 24, 10-16.

[180r] ქ. თავი ორასოცდაცხრამეტი

239. ვინც ვისას პირუტყუს¹ დაჰკრას და მოკლას, უნდა უზღოს ისრვე ერთი, როგორც რომ ყოფილა*. ჩუენთვის დაადგეს ეს სამართალი ღთისაგან. ამას სამართალი ქუიან: მართალი შეიტყონ, მტერობით უკრავს თუ ფათერაკათ,—მართალი გასინჯონ.

ქ. თავი ორასორმოცი

240. ქ. დაგლახადეს ძმა შენი და შენთან იყოს, და გაყიდოს, რაც კელთ ქონდეს, და მოვიდეს მეზობელ ტომ და დაიქსნას, და შოარჩინოს გაყიდვას, და მისცეს იმდენი, რომ თავისი ფიქრი ნახოს,—მან კაცმან ადგილი და სახლი, რაც არის, გირაოდ დაიქიროს და შეიდ წლამდინ უნდა დააცალოს. და თუ უშოვნა და გარდუწყვიტა, თავისი თვითანვე დარჩეს. და თუ არა ქონდეს იმდენი, რომ გარდუწყვიტოს, ის, რაც მეზობელს მისას დაუქსნია, მას უნდა დარჩეს და ნულარავინ ეცილება**.

თუ იმავე პატრონმა შეიდს წელიწადს უკან ერთ წლამდინ უშოვნოს, კიდევ დარჩეს და დანებდეს მასვე, და მან მეზობელმაც შეუნდოს. და თუ ვერც იმ მერვეს წელიწადს უშოვნოს, თეთრის გამლებს დარჩეს სახარების ბნანებითა—გამდიდრებულა უფლისაგან,—ბძანა ყოველთათვის და ისრე საქმე სამართლისა: არა უღთოდ გამდიდრება და დამკირება. ახლა ყუელა სწორედ ვერ წავალთ, გუმართებს, რომ მომრჩენი და დამქსნელი ვიყოთ.

თუ ვინ სიგლახაკისათვის ყიდდეს თავის მამულსა, [180r] დაქსნა იყოს მისის ნათესავისაგან მისის, ვიდრე შეიდ წლამდინ. რიგი დავდევით. თუ მეტს გაუშვებს², შეუძლია, რომ დააქსნეინოს მამული მისი. თუ ვერ დაიქსნას შეიდიდამ მერვეს წლამდინ, მასუკან დაუმტკიცდეს ნასყიდობით. და თუ სხვას დანაშაულის რისათვინც ყიდდეს³, იმავე წელიწადსავე დაუმტკიცდეს.

ქ. თავი ორასორმოცდაერთი

241. ქ თუ ვინ გაყიდოს სახლი, სადგური მისი გალავანს შიგ ით, შუა ქალაქში, იქნას დაქსნა მისი წლამდინ იმ დლიდამ, რასაც დღეს მიუყიდიათ. და თუ ვერ დაიქსნას წლამდინ, მასუკან დარჩეს მკუიდრად მსყიდველსა. გალავნიანს ქალაქში ასრე დამტკიცდეს,—[არა] გავიდეს შენდობისაგან.

¹ პირუტყუს A. ² გაუშვებს] + და AB. ³ ყიდდეს] + და A.

* ლევიტ. 24 18. ** იქვე, 24, 28-26.

თუ მდიდარს კაცსა, თუ რომელსაც გლახას მიყიდოს, გარეგებისა, რომელი დამტკიცდა, შებრუნების წყალობა იქნას. თუ სახლი და თუ ბალი გალავანს გარეთ გაყიდონ, როგორც რომ მინდორი, ისრე ჩააგდონ*—ყოველთინ დაეკსნევიანება სამს წლამდინ.

ქ. თავი ორასორმოცდაორი

242. ქ. მღდელთაგან რომელიც იყოს სამკუიღროდ დაპყრობილი სახლი და კარი ქალაქთა შუა, და გაყიდონ, ისრევე უნდა მღდელთა მიყიდონ.

და თუ ქალაქთა გარეთ აგარაიკ ქონდესთ, ნუ გაყიდიან—ის დაპყრობილია ძველთაგან მათი. რადგან მღდელნი ყიდდენ სახლ-კარსა, მღდელთაგან უნდა¹ იქნას დაქსნა**.

[181r] ქ. თავი ორასორმოცდასამი

243. ქ. თუ ვინც გაყიდოს სიგლახაკისათვის წისქული, ერთ წლამდინ დაეკსნევიანება თავ-თავის ნათესავისაგან. და სხვათა კაცთა იმავე წელიწადს დაუმტკიცდეს სყიდვა.

ქ თავი ორასორმოცდაოთხი

244. ქ. თუ პირუტყუი რაც ოთხფეხი გაყიდონ სამის მოწმით, ასრე რომ არც იყოს ნაპარევი, არც ძველთაგან დამავეებული და კოქლი, არც ნათაზიანი, არც ღამით ბრმა, არც გიღზე მორიდალი, არც ნწიხლავი და არც პირით მრჩოლელი, და ყოვლის საქმის შეძლე და კარგი ამავეში, თუ გამტყუნდეს და ან ერთი სიადე გამოაჩნდეს წლამდის, სიადებისათვის შეებრუნება. და ნაქურდალი თუ არის—ყოველთინ.

და თუ, ვინ იცის, პატრონი მოეჭიდოს და იცნას, რომ ნაპარევი იყოს, უნდა დაანებოს და თავისი ფასი მას კაცს სთხოოს, ვისგანაც უყიდი.

და თუ ესეები არცეთი სჭირდეს და კარგი იყოს, და შვიდ დღემდინ ქელთა ყუანდეს. მასუკან რომ შეებრუნება უნდოდეს, ვეღარ შეებრუნონ.

ქ. თავი ორასორმოცდახუთი

245. ქ. მოწმით ეს დაამტკიცონ: ვინც გაყიდონ ჯარი, გამოცადონ ურემში და კალოში, არც იყოს ძველთაგან კოქლი, არც ნათაზიანი, არც ღამით ბრმა, არც მრჩოლელი², არც ნაქურდალი,

¹ უნდა] ÷ დახსნა A. ² მრჩოლელი A.

* ლევიტ. 25, 29-31. ** ეს მუხლი სომხურ ტექსტში არ არის.

ნაქურდალს გარდა, წლამდი თუ ესეებით არ გამოჩნდეს და წელიწადს უკან გამოჩნდეს, ველარ შეუბრუნოს. [181v] და თუ ნაქურდალი იყოს, ყოველთვინ¹ შეუბრუნებს.

და თუ კარგი იყოს და ესეები არცეთი სჭირდეს, შვიდს დღეს რომ ტელთა ყუანდეს და მასუკან რომ უნდოდეს შებრუნება, რადგან კარგია, აღარ შეიბრუნება.

ქ. თავი ორასორმოცდაექუსი

246. ქ. ამგვარად მათ, ვინც ფური გაყიდონ, როგორც რომ ჯარისა, ისრე ფურისა მოწმით დაუმტკიცოს, და ესეც,—რომე ყოველს წელიწადს ჯბოს მისცემდეს. ერთს წელიწადს უკან თუ გამოაჩნდეს, რომე არც ჯბოს ჩიმცემი იყოს და ავიც იყოს, შეუბრუნოს მსყიდველმა მომსყიდველსა.

ქ. თავი ორასორმოცდაშვიდი

247. ქ. ფუტკარიანის თათლის მსყიდველმა იყიდოს შემოდგომას ვისგანაც ის თათლი, რაცა დაამტკიცოს ადგილსა, რომ ის, რაც უნდათ, აუწონლად გაყიდონ და ანუ აწონით, მისის ფიტით და სკითა აიღონ და გაიტანონ გარ, და² ნაკლებად იპოვნონ, იქნას აწონა გამსყიდველთაგან: თუ აკლდეს, შეუთაოს, და თუ ნამეტნავიც იპოვნოს, არც ძალითა და არც მოტყუებით,—ნუ შეუბრუნებს.

იმედითა თავისით იყიდოს გაზაფხულზე საშენებლად, მსყიდველთა დადგან თათლი სკიანი, ვიდრე ათს დღემდი, ანუ ოცამდი, გამოსცადოს მსყიდველმა. მოწმებით დამტკიცდეს როგორც შესულა, ისრე გასულა, სწორედ გაჰინჯონ და დამტკიცდეს ყიდვა.

მაგრამ თუ მსუბუქად გაყიდონ, იფიქროს—იყოს ნაპა[182r]ქრევი ანუ უწინვე დატოცილი იყოს, გამსყიდველსა შეუბრუნდეს წინ, და იმ წლის მოსაგალი მსყიდველმა იზიანოს და ფასი გამსყიდველმა.

ქ. თავი ორასორმოცდარვა

248. ქ. ქვევრის გამსყიდველთა და მსყიდველთაგან დამტკიცდეს, რომე, რა დროსაც ჩაასხან, წლის წლამდინ სავსედ და კარგად შეინახოს.

და თუ ფიქრი გატებისა გამოწვისაგან ქონდეს და მან ქუევრმან ღვინო დაჰკარგოს, არათუ მარტო ქუევრი ეზღვევიანება, ღვინის ნახევარი და ქუევრი ორივე უნდა ზლოს.

¹ ყოველთვინ A. ² გარ და] და გარ A.

თუ ფიქრი გატეხისა ჩასხმისაგან¹ იყოს, ჩასხმაზე² დამართებოდეს, გამსყიდველსა არა ეზღვევინება რა.

თუ საცილებლად გაუხდეს და თქუან, არა გამოწვაში გატეხილია, არა ჩასხმაზე გატეხილია, რადგან სწორედ ვერ შეიტყონ, გამსყიდველმან მარტო ქუევრი უზლოს. პატარისაც და დიდისაც ასრე იქნას.

ქ. თავი ორასორმოცდაცხრა

249. ქ. გამყიდველი და მსყიდველი ბევრი იქნებიან, რომე წლის მოსავალს იყიდიან ვენაჯისას, ბალისას. თუ ბოსტინისას და აქუთ იმედი სარგებლისა.

თუ მოკდეს, რომ ზარალ³ იქნას, მართებს პატრონსა, რომ თავნი შეუთაოს მთლად, არათუ ამისთვის, რომ ბევრი იმედი ქონდა სარგებლისა, ამისთვის რომე უმუშაენია და ბევრს გარჯილა.

და თუ სარგებელი ქნას, რომე მოტყუებით არ იყოს. მოსავლის გამსყიდველი ნუ დაინანებს, რადგან მუშაობენ [182v] და კარგად უნახვენ.

აზიან მრავალნი და იქმონენ ასეთს აღებ-მიცემასა, რომ ღთით ბევრს სარგებელს იქმონენ. და წლის მოსავლის ამლებთა სამის მოწმით გაშინჯონ ათს დღემდინ, ვენაჯია თუ ბალია, თუ ბოსტანი, და ათს დღეს უკან მისი შეიქნების მოსავალი.

ქ. თავი ორასორმოცდაათი

250. ქ. თუ ვინ ვის წისქვილი მისცეს ქირითა, ამისთანა საქმე მოწმით უნდა აიღონ თავსა მათსა. და თუ რამ სარგებელი ქნან, ნუ ინანებს მიმცემი:

სადაც რომ იყოს შხასა და გაკეთებული, გაზართული, და წანაჯედი იქნას მისის მომართულობისა მოუფლელობით და გაუმართობით, ვისაც ქირით დაუქერია, იმან უნდა უყოს ქუაბორბალი, მისი რკინეული, იარაღი, ღარი, ამრიგი ყუელა.

და თუ ვისმე მოაპარვინოს, კიდევ იმან უნდა უყოს. და თუ დაიწვას და პატრონის ბარობაზე მოკდეს, პატრონმა უნდა გააკეთოს. და თუ ქირით ამლების ბარობაზე მოკდეს, მან უნდა გააკეთოს. ასე უნდა გარიგდეს ყუელა.

ქ. თავი ორასორმოცდათერთმეტი

251. ქ. ადგნენ ქალნი სალბალდოსი, მვილისა⁴ კობერისა, შვილისა⁴ გაადისა, შვილისა⁴ მაქირისა გვართა მონასესთა⁵, შვილისა⁴

¹ ჩასმისაგან AB. ² ჩასმაზე AB. ³ ზარარი AB. ⁴ შვილნი A. ⁵ მანასესთა A.

იოსებისა; ესენი იყო სახელი მათი: მალა, ნუა, იეგლ, მეხქა და თერა¹; ადგნენ მოსეს და ელიაზარის მღვდლისა წინაშე და უფროსთა ყოველთა, [1831] მრევლთა წინაშე უფლისა, — მრევლნი [და თქუეს]: «კორხა რომ თავის ცოდვით მოკუდა, შვილნი არ დარჩნენ და ახლა ნუ მოშლი სახელსა მამისა ჩვენისასა შუა ნათესავთ ნათესავში. კორხა რომ თავის ცოდვით მოკუდა, არ დარჩნენ ვაენი — მოგვეცით ჩვენისა შუა ძმათა მამის ჩვენისათა».

წადგა ლთის წინაშე მათის სამართლისათვის მოსე. გამოელაპარაკა უფალი მოსეს და უბძანა: «სწორედ ილაპარაკეს ქალებმა სალბალდოსამ. მიცემით მიეც დაპყრობილი მამისა მათისა საპატრონო, მამისა ძმათა შუა დაღვან წილი მამისა თავიანთისა. და შეილთა ისრაელთა ის ელაპარაკე და უთხარ: კაცი თუ მიიცივალოს და შეილი არა ჰყუანდეს, მისცენ პატრონობა ქალთა მისთა; და თუ არც ყუანდეს ქალი, მიეცით ძმათა; და თუ არა ყუანდეს ძმა, მიეცით მამის ძმათა; და თუ არც მამის ძმა ყუანდეს, მიეცით მის სახლისკაცს, რომელი ახლო ნათესავი იყოს, და ის უნდა დაპატრონდეს. და იყოს მისი და მისის შვილისა. და იყოს შეილთა ისრაელთა შუა რიგი და სამართალი ესე, როგორც რომ უბძანა მოსეს»².*

ეს რიგი გაუშორებელი იყოს ყოველთა მორწმუნეთაგან. ეს დაადდეს დამტკიცებით. ვინც იცის ეს, უნდა იცოდეს რიგი: შეილთა მართებს დაპატრონება, თუ ყუანდეს, მაგრამ, თუ არა ყუანდეს, ქალი დაპატრონდეს — ის, რომ სახლში იყოს დაუქორწინებელი. და იმ დაქორწინებულთა ორმა დამ ერთი ძმის წილი უნდა გაიტანონ, და დაპატრონება [1831] დაქორწინებულთ არ მეუძლიათ. ეს ჩანს სალბალდოს ქალებზე, რომ არ დანებდეს სხვათა მამის ძათი საპატრონო.

და თუ არც ქალი დარჩეს, დაპატრონდეს ძმა. და თუ ასეთი ქალი დარჩეს, რომ დაქორწინებული იყოს და ქმარშვილიანი, და მოინდომოს მამის საპატრონო, და წავიდეს ქრმითა, შეილთა და მამის საპატრონოს დაჯდეს, — მისი შეიქნას და უარი ვერ უთხრას მამის ძმამა. და თუ მისულა არ ინდომოს, აიღოს თავისი წილი და სხვა დარჩეს მამის ძმასა, მას ქალის ბიძას.

და თუ არ დარჩეს მას კაცს ძმა, მის კაცის მამის ძმა დაპატრონდეს. და თუ არც იყოს მამის ძმა, სხვა რომელიც ახლო ნა-

¹ და თერა] იევთერა A. ² მოსემს A. ³ ყოველთა A.

* რიცხვთა 27,11-111.

თესავი იყოს მამეული, ის დაპატრონდეს, არათუ დედეული—ქალისა მართლა პატრონობა, არათუ ქალის ნათესაობით, მამის ძმის ნათესაობა, რომ უბეძანა რიგმა.

თუ ძმა ცოცხალი ყავს, უწინ ძმისაა მართებული, თუ არადა, დედა. და ყუანდეს და ანუ ცოლი დაჩრჩეს, ვერ დაპატრონდეს და თავ-თავის წილის წესი აიღონ: ცოლსა ერთი დანგი და დასა დანგი და ნახევარი, და დედასა სამი თასუ.

და სხვა სახლში ნათესავი ვინც იყოს, რიგით დასთვალონ. ოთხ კიპამდი, იმათ გარდაკუეთით წილი არ დაედვასთ, გამოჩენით ვინც საპატრონოს დაპატრონდეს, მან უნდა შეინახოს.

და თუ ოთხ კიპამდი საპატრონო არა ჩნდეს, მასუკან მოსამართლემ წილი ყაროს მათზე, როგორც [184r] რომ სწერია მოსამართლისა სამართალში [მხ. მეხლ. 151].

და თუ დედათ ერთი ძმა არ იყოს, მას¹ ნახევარდანგ ნაკლები² მისცენ. და თუ დედათ-და მამითერთი იყოს ძმა, მას მთელი მისცენ. ეს ამგვარად, როგორც რომ მამათმთავარმან აბრაჰამ გვაჩვენა: თუ რამქონდა, მისი საპატრონო ყუელა შვილს მისსა, ისაკს მისცა, და ხასის შვილს მისცა ცოტა რაჲ წყალობა და გააზორა საპატრონოს*. თუ თქუას ვინმე: აქ—გვირგვინის ნაკურთხისა და იქ—კეტორა, ვინ უგვირგვინო ცოლისა, მეორედ მათიც მიცემა და დაპატრონება იქნასო,—აქ გამოაჩენს ცოტა ნაკლებს მათთვის და რიგმა პირველს მისცეს უფროსობის პატივი**.

ესეც კიდევ იმის მგზავსად მამანი და ძმანი, ვინც იყუნენ გარდამდგომი ღთის რიგისა. სამართალია მამადიანთაგან, რომ სამართალში ქალს არ დაპატრონებენ მამის საპატრონოსა, იქ მათ სახლში დაუდებენ წილსა, რომელი არა არის მისაყოლელი,—საქმე არის უსამართლო***.

ღთის რიგით სამართალი საკანონოს აღებისა არის მიმყოლთა: ხუთი წელიწადი გარეთ და ორი წელიწადი შიგნით. და თუ არ მიიქცეს მას მართლის ცოლისაკენ, სიცოცხლე მისის სახლისა გაყოს, ნახევარი ცოლსა მისსა მისცეს და ჯარიმა საყდარსა.

გვირგვინნაკურთხი რომ აიყუანა და მისის ავტორცობის მისით შეაგინა და გარდაადგო, მას მის დღე, [184r] სიცოცხლეში მისში, ბოზი დაეძახება და ნუ შევა საყდარსა ღთისასა, კარზე ილოკეედეს ჰელის გაცემითა და მიცემით გლახაკთა და დაჭრდო-

¹ მისი A. ² ნაკლებ A.

* შენაქმეთა 256-ს. ** მეორე სჯული 21,17.

*** აქედან ბოლომდე 251-ე მეხლის ტექსტი სომხურში არ არის.

მილთა, ზელაპყრობით და გულმკურვალეთ, ცრემლით ილოცვიდეს. მასუკან მოკუდავს აელეზინება ზიარება. და თუ ცოლი მოკუდეს და ქმარმან ცოლი აღარ შეირთოს, საკანონოზე მივიდეს, ხუთი წელიწადი გარეთ ილოცოს ზელის გაცემით, მოინანოს ცოდვა მისი და მასუკან ზიარება აილოს ისი.

და ესე დავდევიტ წინათვე დადებული, როგორაც ჩვენი სამართალი ამას წინათ თავში დავსწერეთ და ვაჩვენეთ, ერთმანეთის ნებით ცოლქრმობა ვთქუით, და აქ კანონისა არ ვიფიქრეთ. რომ დავდევიტ შეუტყობრად, — კანონსაც ჰკითხონ საქმე იმისთანა, უფიქრონ, სამართალი ქნან ერთის წიგნსა სამართლისასა, რომელი მაშიგ წერილია, ფიქრით ნახონ ბძანებითა წერილთა საქნელად. დაუძრახავად ჩვენ გაგვიშვან. რომ არა ვართ აკარაკი ღთისა და მისის ბძანებისა, შეეტყობა. და ყურის დაგდება კენშარიტად დავდევიტ, თავდაბლობით საქმე უკანებისა — უარი თქუას მჯერავთა, და ანუ არ დამთმოთა. თქუენ სიყუარულითა ჩვენზე იყავით და ნუ ავს ჩვენსას სთულით უკან ნაქნარით.

ქ. თავი თრასორმოცდათორმეტი

§ 52. ქ. უწინაც ეს ვთქუით: ორთა დაქორწინებულთ დათა ერთის ძმის [1ხ5R] წილი აილონ [იხ. მუხლ. 251]. და ეს დამოწმილია კანონთა და რიგთაგან.

გამოელაპარაკა უფალი მოსეს და უბრანა: «ელაპარაკე შეილთა ისრაელთა და ეტყოდე მათ: ვინც აღუთქუას აღთქმა — მიცემა ფასისა ტანისა თვისისა უფალს, იქნას ფასი კაცისა ოცის წლიდამ ვიდრე სამოც წლამდი, იყოს ფასი მისი ორმოცდათორმეტი დრამი ვერცხლი, მის სიწმინდისათვის, და [ქალის] ფასი იქნეს ოცდათორმეტი ვერცხლი დრამიანი; მაგრამ თუ ხუთის წლისა ვიდრე ოცს წლამდინ იქნეს, ფასი [კაცისა] — ოცდაორი დრამი; და [ქალისა] მას ქუევით ნახონ ადგილი და იქნების ფასი თორმეტი დრამი»¹.

დედაკაცთა აილონ ნაკლები — გვერდი[ა] და სახელზედაც ნიშანი სძეს „კინ“ —¹ დედაკაცის სახელი ასრე დათქმულია: ნახევარ ტანი. და რამეთუ ფასი ერთმანეთზე ნამეტნავია აგებულობისათვის, ერთი აჩვენა ვაჟკაცსა და მეორე მამათაგან დამტკიცდა.

¹ ვინ A.

* ლევიტ. 27, 11-13.

ორი ქალი ერთის ვაჟის ალაგს უნდა დაპატრონდენ. ეს შე-სატყობია: ორს დაქორწილებულს ქალს ერთს შეილთან ქონდეს წილი; მაგრამ, რომელიც გაუთხოვარია ქალი სახლში, ის მეპატრონედ შეიქნას, ამიტომ რომ ვაჟის მაგიერ აქუს პატრონობა,— რადგან გაუთხოვარია, ეს იმაზე დაიდვას.

რომელსა არ დარჩეს ვაჟი, ბძანებითა ღთისათა ქალნი და-პატრონდენ¹: ორს ქალს ერთს ძმად გვიჩვენებს უფლის ბძანება, და პატრონობა შინ მყოფის ქალისა [185v] არის, რომელი მამის სიკუდილის დღეს იჯდა მამის სახლში, გაუთხოვარი.

მამის ნება იქნეს და ესევე აქ გუნებითა მოწონებული და გა-მორჩეული, რომე ყოველმა ქალებმა ორმა ერთი აიღოს,— რომელიც სახლიდამ გასული იყოს მზითვითა და ქმარი შეირთოს, ორი ერ-თად შექნილია და ხუთიდამ [ზღრ. მუხლ. 254] ძმასთან ერთი აიღოს, რაც რომ ქონება ქონდეს²; და³ რომელიც შინ ქალი არის, სწორე არის ცმებთან, დაპატრონოს მამამ.

დამტკიცდეს ეს ვაჟსა და ქალზე: სწორედ იყუნენ; მამის სა-პატრონოზე დამტკიცდეს, როგორც რომ ღთს შემკობით მისცა ვისაც სამოთხე კაცსაცა და ქალსაც, და ეკლესიის მიბარება და გაძლოლა მართო კაცს მისცა და დაურიგა და არა ქალსა.

იმგვარად, რამეთუ გამყრელი ძმებთა არა არიან შემნახავი საპატრონოსი, რომელსაც რომ ყავს ძმა, ვერ დაპატრონდეს ქალისა შეილნი და ვერც წილი წაიღოს. და თუ სიცოცხლეში პაპამ წიგ-ნით დაპატრონოს³, შეუძლია. და იმგვარად გერისაც შეუძლია თავის სიცოცხლეში დაპატრონება, გინდა სხვისა ამათი, თავის სახლში.

და თუ არ უნდა მას კაცსა დაპატრონება მათი, თუ რამ გერს და ქალიშვილს მის სახლში სარჯელი მიუძღოდეს, ჯამაგირსავით მასაც წილი რამ მისცენ, რომ მოციქული არ ჩააგდებს შეილად,— მათ უბძანა: «გერნი იყავით, არა შეილნი»^{**}. და თუ კანონს გარ-დუდგეს ვინც, როგორც შეილის მისგან ნაყოფსა, მათთვის გა-უშვას შებრალებით საპატრონო, — თვითან იცის.

და თუ ვისაც არ [186r]ც დარჩეს ვაჟი და არც ქალი, არც ქნას ანდერძი, ოთხ კიპამდი მიეცეს პატრონობა მამეულს ნათესავსა და არა დედეულსა.

¹ ორი ერთად... ქონდეს]—ა. ² და]—ა. ³ დაპატრონოს ა.

* რიცხვთა 27, ** ებრაელთა 12, გ.

ქ. თავი ორასორმოცდაცამეტე

253. ქ. დედაკაცთა მიცვალბულთა იმგვარად იქნას საზარ-
თალი, როგორც რომ კაცის სიკუდილს უკან. და თუ არ დარჩეს
ქალი და ვაჟი,—თუ ალალი შვილი მისცემოდეს და დახოცოდეს ან
თავიდან უშვილო ყოფილიყოს,—ან შეყრას უკან ქმარი მალ მოუკუ-
დეს და ქანწული დარჩომილიყოს,—ამრიგთა მათ სხვადასხვა დიდის
გასინჯვით სამართალი იქნას.

მაგრამ მსგავსად კაცთა, [თუ] შვილი დარჩეს, ის დაპატრონ-
დეს დედისასა¹; და თუ ვაჟი არ დარჩეს, ქალი დაპატრონდეს; თუ
არც ქალი და არც ვაჟი დარჩეს,—ძმა, და თუ არც ძმა იყოს,—
მამის-ძმა; და თუ არც ის იყოს, მამეული ნათესავი ოთხ ჰიპამდი
დაპატრონდეს.

და თუ ძმა ან მამა ცოცხალი ყუანდეს და მისი ნაშენი
დარჩეს რამ, ყუელა რამ იმათია. თუ თავიდან უშვილო იყოს
მისის ქონების დაპატრონება მამისა არის და უნდა მის სულს მო-
აქმაროს და გაუტეს.

ქ. თავი ორასორმოცდათხმეტე

254. ქ. დამპატრონებელთა და მათ მამის დანარჩომი ფარჩა
თუ რაგინდარა სწორედ გაყოფდენ. თუ ერთი ვაჟი იყოს და ერთი
ქალი სახლში, ორ წილად გაყონ—როგორც ძმას, ისე დას; ერთი
დანგი დედას მათსა.

და თუ [186r] გათხოვილი დები ყუანდეს, ორთ ერთის² ამის
წილი წაიღონ. და თუ ერთი ძმა იყოს და ერთი და ყუანდეს, და
გათხოვილი იყოს, ორი წილი და ნახევარი ძმამ აიღოს და ერთის
წილი და ნახევრის ნახევარი იმ დას მისცენ [ზღრ. მუხლ. 252]. და
ერთი დანგი—დედასა.

ქ. თავი ორასორმოცდათხუთმეტე

255. ქ. თუ ვინ გულცეცხლობით და ამპარტავნობით არ გა-
უგონოს მღდელს, რომ იღვეს მლოცავად ყოველთვის სახელითა-
ღთისათა, ანუ მოსამართლესა, რომ იყოს იმ დღესა მოსამართლედა,—
მოკუდეს კაცი იგი იმრიგი, რომ გაუგონარიც იყოს და მაგინე-
ბელი და ავის მთქმელი.

მათი ნახეთ და შეიტყევით: მღდლისა და მოსამართლისა ვინც
ავის მთქმელი იყოს და მათის სიტყუის გაუგონარი, უნდა მოკუ-
დეს—კაცი იმრიგი, მათის სიტყუის გაუგონარი, ღთის სიტყუის.
გაუგონარ იქმნენ. ეს არის მათი სამართალი, რომ სიკუდილის
ღირსია*.

¹ დედისა A. ² ორთ ერთის] ერთ ერთის B.

* მეორე სჯული 17,8-11.

ქ. თავი ორასორმოცდათექუსმეტო

256. ქ. აბა, ეს არის წესი და სამართალი მღვდლისა და სამწყემსოსი: ვინც დაკლას საკლავი ძროხა თუ ცხვარი, მისცეს მღვდელსა მარჯვენა მჯარი, ტყავი და თებო, ნაყოფი პურისა, ღვინისა, ერბოსი და სხვისა — ყოვლის მოსავლიდამ — პირუტყუთა — ცხვართა, ძროხათ — ნაწინიდამ მისცენ მას¹, რომ ისინი დაარჩია ღთს ყოველთა ნათესავთა თქუენში, რომ იღგეს ღთის წინაშე, ილოცოს და აღიდოს სახელი მისი, მათ და შეილთა მათთა*.

ამრიგად ახლა არ [187r] ინახვენ მორწმუნენი, რომ ეს ნამეტნავი პატივი სცემია. სხვათა დარიგებათაგან ეს დადევით და ამ სამართალზე უნდა იყუნენ ყოველნი ქრისტიანენი ამრიგით პატივისცემით მღვდლისა.

ქ. თავი ორასორმოცდაჩვიდმეტო

257. ქ. რომ გამოსცვალო სამანი და სამძღვარი შენის ამხანაგისა, რომ დამტკიცდეს ემათა თქუენთა საპატრონო თქუენი, რომ ღთს მოგცათ პატრონობა ალაგისა, მინდურისა და სხვის** ბძანება, არ[ც]ა სხვისა და არ[ც]ა გვარისა, რომე მამისაგან აქუთ პატრონობა სამძღვრითა, — არვის გმართებთ შეცილება და გამოცულა სამძღვრისა ამხანაგისა თქუენისა.

ქეშმარიტად მამისაგან ნაქნარს საპატრონოს უნდა დააპატრონოს და მისცენ, არა წამს მამის სიკუდილს უკან გამოცულა სხვათა მეპატრონეთა [შდრ. მუხლ. 334].

ქ. თავი ორასორმოცდათურამეტო

258. ქ. არ დამტკიცდეს ერთის მოწმით მოწმობა რაც საქმე. პირითა ორითა და სამის მართლის მოწმით დამტკიცდეს ყოველი საქმე. თუ ტყუილად მოწმობა ქნას ვინმე, წაიყუანონ მოწამე იგი და მოდაეენი ერთმანეთისა მღვდელთა და მოსამართლეთა წინაშე, გაშინჯონ ქეშმარიტად***: ვისაც ის ერთი ავი მოწამე ჰყავს, ის გააგდონ, და ვისაც ორი და სამი ყავს, ის დაამტკიცონ. და იმ ტყუილს მოწამეს ჯაზა უყონ, რომ კულავ აღარ ქნას [შდრ. მუხლ. 336].

[187r] ქ. თავი ორასორმოცდაცხრამეტო

259. თუ იპოვნო დაჭრილი მკვდარი ქუეყანასა შენსა, რომ ღთს მოუცია მისთვის დაპატრონება შენი, გდია მინდორში, არ

¹ მოსავლიდამ... მას] ნაყოფისა მას A.

* მეორე სჯული 18,2-8. ** იქვე, 19,14. *** იქვე, 19,18-10; 17,07.

იციან, თუ ვის მოუკლავს, ადგეს მოხუცებული შენი და მოსამართლე, გაზომონ მკუდართა ნაგდები გარეშემო ალაგი, რომელ-ზედაც დიად ახლო¹ იყოს, მის ქალაქის მოხუცებულნიც მოვიდნენ და ნახონ*—არა კაშს მათზე ჯარმა და არც სამართალი სისხლისა, და უნდა ქნან მათ ახლო ქალაქთა წირვა-ლოცვა და საქანონო გარდი-კაღონ.

ამისთანას გამოკიდება არის მართებული: მოსამართლისა-გან მოკითხულ იქნას და იპოვნოს მამკულელი და ჯარმა და სისხლი მას წაართვას.

ქ. თავი ორასსამოცო

260. ქ. თუ წახვიდე ლაშქრად შენს მტერზე, დააბეზლოს ისინი ღთნ ჰელსა შენსა და წააჯდინო წაქდენით მათით, და მათს წაქდენაში რომ ნახო დედაკაცი ლამაზი და აიყუანო შენტვის ცო-ლად და წაიყუანო შენსა სახლსა,—მოპარსე თმა მის უცხოს გვა-რობისა და განწმიდე ნათლისღებითა, და გაკადე ტყვეობის ტანი-სამოსი, დასვი სახლსა შენსა, და თუ ტიროდეს დედ-მამისათვის, ატირე და დააცალე ერთს თვემდინ, და, აბა, ზასუკან მიდი მასთან, და გაუშვი აზატად, არამთუ გაყიდო ვერცხლზე*, ნუ გარდაადგებ და ნუ გაუპატივებ, ამიტომ რომ ინდომე ცოლად და უნდა გყუან-დეს რიგით.

და ვისაც მოგიტდეს იმრიგად, ჯერ უნდა მოანათული-ნოთ და მასუკან ცოლად [168r] ინდომოთ. არამცთუ, როდისაც გინდოდეს, გაუშვათ,—თუ ბოზობა არა ქნას, არ შეგვიღიათ გაშ-ვება, რადგან მოანათულინებთ და გვირგვინს იკურთხავთ მასთან.

ქ. თავი ორასსამოცდაერთი

261. ქ. თუ, ვინ იცის, ვისიმე მოტდეს ორის ცოლის ყოლა, და ყუანდეს ცოლი ორი, ერთი სძულდეს და ერთი უყუარდეს, თუ წინაპირველი ცოლი სძულდეს და შვილი პირველ მასთან მიეცეს, მერმე, რომელიც უყუარდეს, იმასთან მიეცეს, არ შეუცლია, რომ ცოლის სიყუარულის გულისათვის რომე, რომელიც უყუარდეს, იმისი შვილი დააყენოს უფროსად. უფროსობა² პირველის შვილისა არის, რომელი პირველს ცოლთან მიეცა***.

არ არის ხომ მართებული და არც მისცემს ჩვენი რიგი ბძა-ნებასა ორის ცოლის ყოლისასა, ვინ იცის, მოუტდეს თავის თავის ქნით, ისრე იქნას შვილის სამართალი.

¹ ახო A. ² უფროსობა]—A.

* მეორე სჯული 21,1-3. ** იქვე, 21,10-14. *** იქვე, 21,15-17.

ქ. თავი ორასსამოცდამეორე

262. ქ. თუ ვისიმე იყოს შვილი გიგი და უარშიო, არ გაუგონოს სიტყუა მამასა და დედასა, დაარიგონ და მან არ გაიგონოს, დაიჭირონ და წაიყუანონ მოქადაგეთა წინაშე და ეს მოაქსენონ, ეს ჩვენი შვილი გიგი და გაუგონარია და არ იჯერებს სიტყუასა ჩვენსა. მოქადაგემ უნდა უქადაგოს და დაარიგოს.

თუ არ გაუგონოს, უნდა დაგროვდენ კაცნი ქალაქისანი და ჩაქოლონ¹ და მოკუდეს, და გამგონეთა შეეშინდეს და აღარავინ ქნას გაუგონლობა, ურჩობა და უარშიობა*.

[168v] შეკაზმულია ეს სამართალი მისთვის, ვინც რომ დედამამის მაგინებელი იყოს და გარდამგდებელი: უნდა სიკუდილით მოკუდეს. ორი სიკუდილი აქუთ იმროიგთა, ერთი სააქაოსი და ერთი საიქიოსი.

ქ. თავი ორასსამოცდასამი

263. ქ. თუ მოკდეს ვისიმე სიკუდილის ღირსის სიკუდილი, ხეზე არ უნდა შეჭკიდონ და არც ზეზე უნდა დააგდონ, იმავე დღეს მიწას უნდა მიიღონ. დაწყევლილია შემკიდებელი**.

ძველთა ისრაილთა² ეთქუა გაშვება ჯორცისა ზეზე. ჩვენს ქელმწიფეს არ ებძანა მოკულვა და უნდა უშიშით დაარიგონ. და [თუ] და სხვათა გვართაგან იყოს სიკუდილის [ღირსი [და] მოკუდეს, — და არ უნდა შეინახონ ზეზე. მართე ბულია, რომ მიწას მიაღებინონ იმავე დღეს.

ქ. თავი ორასსამოცდაოთხი

264. ქ. თუ შეეყარო ნახვით ძროხასა, ცხვარსა ძმისა შენისასა, გზაზე დაქარგულსა, ნუ გაუშვებ იმაებს და დაბრუნებით დააბრუნვე და მიუსხი ძმასა შენსა.

და თუ არ იყოს ძმისა და ახლოს მეზობლისა შენისა, მოაგროვე და დაიყენე სახლსა შენსა და იყუნენ შენთან ვიდრე სძებნოს ძმამან შენმან, და მიეც მას.

სადაც იმგვარათ ნახო საჭედარი თუ ტანისამოსი და ყოველი დაქარგული ძმისა შენისა***, რაც დაუქარგავს, იპოვნო, ნუ გაუშვებ უნახავსა და ნურც არას დაუშალავთ თავისასა, და ნურც გამოართმევთ ფასსა პოვნისათვის.

[169r] ქ. თავი ორასსამოცდახუთი

265. ქ. თუ წახვიდე და ნახო ჯორი თუ საჭედარი, თუ ქარი, თუ ფური, დავარდნილი მინდორსა და გზასა, ნუ დააგდებ და ნუ

¹ ჩაქლონ A. ² ისრაილთა A.

* მეორე სჯული 21,18-21. ** იქვე, 21,22,23. *** იქვე, 22 1-3.

გაუშვებ ისრე*. თუ ნახო და შეეყარო ცხენსა, ჯორსა, საჭედარსა, ჭარსა და რასაც ძმისა შენისასა, ჩამოყრილსა შეეყარო, მოეჭმარე უფასოდ აკიდებასა და ისე ნუ გაუშვებ**, რამეთუ რიგის ბძანებით უკან მოსამართლეთაგან არის საცოდნელი ეს დარიგება, [თუ] პათით წაველენ სამართალში წინ.

ქ. თავი ორასსამოცდაექუსი

266. ქ. იქნა გარჩევით¹ კაცის ტანისამოსი, და დედაკაცისა ხომ სხვა არის. არვისგან არის მართებული, კაცისაგან, დედაკაცის ტანისამოსის ჩაცმა. ვინც ქნას და ჩაიცვას, პილწია ღთის წინაშე***.

ბევრი ავი და ბოროტი იქნების ამრიგის საქმით. ეს საქადაგებელია მოქადაგეთაგან და მოსამართლეთაგან.

ქ. ორასსამოცდაშვიდი

267. ქ. ვინცა შეხვიდეთ ბუდესა ფრინველისასა, ხეზე ნახოთ თუ მინდორში კუერციხი ანუ ბარტყი, ნუ² აიყუან დედასა თავის შვილებითა, გაუშვი დედა და ბარტყი ამოუსხი,—შენთვის კარგი იქნების; და დღეგრძელი იქნები****, ბარტყისაგანაც თუ დაუგდებ.

ბძანება დედის გაშვებისა,—გამრავლებისათვის რომ კიდევ გვარგებს. გამგონებ ამისმა დიდი მადლი აიღოს, გაუგონელმან პასუხი გასცეს.

[1897] ქ. თავი ორასსამოცდარვა

268. ქ. თუ აშენებდე სახლსა ახალსა, დასდგემდე ოთხკუთხივ საძირკველსა, გაუფთხილდი მართებულად, რომე არვინ არ ჩავარდეს და არვინ დაშავდეს, არვინ მოკუდეს*****,—ჩასავარდნელს ალაგს სახლის პატრონთა გაფთხილება მართებთ.

თუ მოკუდეს, გარდავარდნით და ჩავარდნით მოკუდეს ან მოიტეხოს რამე, არ მართებთ, რომ სამართალში წასწიონ ანუ სისხლი სთხოონ,—იმისთანას საქმისათვის წირვა უნდა. და საკანონო ამით უნდა გარდიქადოს და გათავეების დროს ოთხკუთხივ სახლი აკურთხებიონ მღდელთა.

ქ. თავი ორასსამოცდაცხრა

269. ქ. ნუ³ დააბეზღებ ყმასა პატრონსა მისსა, რომე შენთან დადგეს; დააყენე შენთან და შენთან იყოს⁴; სადაც ალაგი უნდო-

¹ გარჩევის A. ² ნუ] ანუ A. ³ ნუ] თუ თუ A. ⁴ დადგეს, დააყენე შენთან და შენთან იყოს] დააყენე, დადგეს A.

* მეორე სჯული, 22,8. ** გამოსვლ. 23,8. *** მეორე სჯული 22,8. **** იქვე, 22,8,7. ***** იქვე, 22,8.

დეს, მიეც, ნუ შეაწუხებ*. არათუ მარტო სხვა გვართას ვიტყუით, ძველთა ისრაელთაგანაც.

თუ რვას წლამდინ შენთან იყოს ურჯულო და მოქრისტიანდეს, და მისმან პატრონმან არ უყოს აზატი, არ უნდა ცუდათ¹ ჰელში მისცეთ, გაუშვი,—სადაც უნდა წავიდეს.

ქ. თავი ორასსამოცდაათი

270. ქ. თუ შეხვიდე ყანასა ამხანაგისა შენისასა,—და თავთავს² ჰელით კრეფდე. თუ ნამგლითა სჭრიდე ნებითა შენითა, შემამცილემ პატრონმა ქურდულუმე გაზღვევინოს სამართალში.

[190r] ქ. თავი ორასსამოცდათერთმეტი

271. ქ. თუ შეხვიდე ვენაჴში ამხანაგისა შენისასა, სჯამო ვიდრემდის გასძლე, ჴურჴლით ნულარ გაიტან³**. და თუ³ გაიტანო⁴, წაგართვან ჴელიდამე და დანაშაული გაზღვევინოს სამართლით.

ქ. თავი ორასსამოცდათორმეტი

272. ქ. თუ ვინ შეირთოს ცოლი, მიუდგეს და იპოვნოს შნო ავის საქმისა მასში, მისი შეგინებისა და გარდაგდებისა დასწეროს წიგნი და, აბა, მასუკან მისცეს მას ჴელთა და გაუშვას თავისის სახლიდამ; და გასულმან შეირთოს სხვა ქმარი და შეიძლოს⁵ მან, უკანამ ქმარმაც, მისცეს წიგნი გაშეებისა, მანც გაუშვას, და მასუკან მოუკუდეს უკანა ქმარი და მერმე კიდევ უწინდელმან ცოლქმარმან ერთმანეთი მოინდომონ, აღარ იქნების—მათი ცოლქმარობა ბილწი საქმეა ლ⁶თის წინაშე***.

¹ ეს საქმე ძველთა ისრაელთ მოაგსენეს ქრისტესა ლ⁷თსა, რომე ჩვენ მოსემ გუიბრძანაო წიგნის დაწერა მეყრისა და გაყრისა****. ქრისტემ უბძანა მათ, ბოზობისათვიან გაუშვან და არა შეც⁸ულები-სათვიან.

თუ საკანონოც გარდიკადოს ცოლმან ვისმანც, ბოზობისათვის გაშეებულმან, მინც ველარ შეირთოს გამშეებმან გაშეებული.

ქ. თავი ორასსამოცდაცამეტი

273. ქ. ვინც იყოს ახალ ნაქორწილვეი, ნუ წავა მაშინვე ლაშქარს და ნუ[190v]რც სხვაგან, დადგეს სახლსა მისსა და გაახარონ

¹ (ცუდათ) ცუდად A. ² თავისთავ B. ³ და თუ] და A. ⁴ გაიტანო] + და A.

⁵ შეიძლოს A.

* მეორე სჯული 23,15,16. ** იქვე, 23,21. *** იქვე, 24,11-12.

**** მათე 19,7; მარკოზ 10,4.

ერთმანეთი*: რომ წავიდეს ლაშქარში, ღთნ ნუ ქნას, ვინ იცის, რომ მოკლან, ცოლი მისი ახალ ნაქორწილვევი გაუხარებელი დარჩება და ცოდვა არის. ეს საქმე შესანახავია ყოველთაგან.

ქ. თავი ორასსამოცდათოთხმეტი

274. ქ. თუ დააგირაონ ვინც კელის წისკუილი, ან ზეითი, ან ქუეითი, ასრე[ა] რომ, როგორც კაცმან სული დააგირაოს**. ამისთანა-ებს სრულ არ უბძანებს რიგი, არ უნდა ერთმანეთს მოაშორონ, როგორც სული და ჯორცი. მოსაგმარებელია ყოველთაგან ამისთანა საქმე. ვალია მოსამართლეზე, რომ უნდა იკითხოს.

ქ. თავი ორასსამოცდათხუთხმეტი

275. ქ. თუ მართებით მართებდეს ამხანაგსა შენსა რაც რამ იყოს, ნუ შეხვალ სახლსა მისასა გირაოს გამოსატანლად, მაგრამ უნდა გამოიხმო მოვალე შენი და კარზე უნდა ელაპარაკო და სთხოო. თუ თავის კელით გამოიტანოს და მოგცეს გირაო, წაილე.

და თუ გლახა იყოს მოვალე შენი, ნუ გამოართმევ გირაოს, ისევ მიუბრუნე გირაო მისი, რომ მზის ჩასულას უკან დაიბუროს საბურავი¹ და საგები მისი და დაგლოცოს შენ. დიდი წყალობა გექნების ღთისაგან შენ და მადლი დიდი ღთის წინაშე***.

არამცთუ შეხვიდე შენთავად და გამოგქონდეს გირაო და არ განებებდეს, უნდა რომ თავის ნებით გაძლევდეს. და თუ გლახა იყოს, ნურც ნებით [191r] მოცემულს გამოართმევ.

კაცი უნდა მოწყალე იყოს, მოწყალეს კაცს ღთი⁴ სწყალობს.

ქ. თავი ორასსამოცდათექუსმეტი

276. ქ. თუ ვინ იქირაოს საბრალოსა და ღარიბისაგან, და დავრდომილისაგან ანუ მოსულის კაცისაგან, უნდა მისცეთ ქირა იმავე დღეს მზის ჩასულამდინ****: ამიტომ გააქირაე², რომ ექირებოდა, ცხენი თუ ჯორი, ანუ საქედარი, ანუ სხვა რამე, ხომ ჩანს და გამოჩნდების, რომ იმავე დღეს ყოფილა დამქიროდ.

თუ არ მისცემთ იმავე დღეს, სამართალში ნამეტნავი³ გამოგერთვასთ და მიეცეს მას.

¹ დაიბუროს საბურავი] დაიბუროს სახურავი B ² გაქირაე AB. ³ ნამეტნავი A.

* მეორე[სული, 24,13. ** იქვე, 24,16. *** იქვე, 24,110-113. **** იქვე, 24,114-115.

ქ. თავი ორასსამოცდაჩვიდმეტო

277. ქ. არ მოიკულის მამა შვილის მაგიერ და არცა შვილი მამის მაგიერ, თავთავის ცოდვისათვის თვითან მოკუდენ*.

ეს იმათთვის ითქუა, რომ, მოკედეს, ვისიც სიკუდილის მართებით იქნას რიგისა და სამართლის წიგნისაგან.

თუ მამამ მოინდომოს შვილის მორჩენა და თავის თავის მაგიერად სასიკუდილოდ მიცემა, არ მოკუდეს მამა, შვილია სიკუდილის ღირსი. ნუ წაახდენთ და ნუ გაამრუდებთ სამართალსა.

აგრევე თუ მამა ვისიმე იყოს სასიკუდილო, არ მოკუდეს შვილი მის მაგიერ. მოსამართლემ თუ დამნაშავე სიკუდილის ღირსი შვილი ვისიც ვერ დაიჭიროს, არ მართებთ გარჯა მამისა მის მაგიერად. ესე დამტკიცდეს ჩვენთვის.

ქ. თავი ორასსამოცდათურამეტო

278. ქ. ნუ გაამრუდებთ სამართალსა ქურიეზე და ობოლზე**, მოსამართლ[191v]ენო, ნურც ქრთამითა და ნურც მოტყუებით, როგორც სხვაგანც გაჩვენათ. და ვინცა ქნათ, ჩამოვარდეთ თქვენის სიდიდიდამ¹ რიგის სამართლითა.

ქ. თავი ორასსამოცდაცხრამეტო

279. ქ. ნუ გამოიტანთ ქურიეის დედაკაცის სახლიდამ² გირაოდ ტანისამოსსა ანუ ქვეშაგებსა***, სამართლითა დააცალეთ და შეიბრალეთ—ნუ იქთ, როგორც ეგვიბტეს იქმოდენ. ვინცა ქნათ, სამართლის ქვეშ დარჩეთ.

ქ. თავი ორასოთხმოცი

280. ქ. წინა³ სამართალში რომელიც იყოს ღირსი ცემისა, გაილახოს, თუ არის რიგისა,—ორმოცი უქან****—დაუშავებლად, რომ არ დაშავდეს: შეუძლია საქმის წაყუანა მოსამართლეთა ჯოხის კუროთ და გალახვითა, დაშინება-დარიგებით.

ქ. თავი ორასოთხმოცდაერთი

281. ქ. თუ წაიკიდნონ ორნი კაცი და ერთმანეთს სცემდენ და შულობდენ, და დედაკაცი შუამავლად ჩაუარდეს, და მას შუამავალს დედაკაცს დაჰკრან, რაც დააშაონ, დამკურელს ჯელი მოსჭრან****.

¹ სიმდიდრიდამ A. ² დედაკაცის სახლიდამ² დედაკაციდამ სახლის A.

³ წინა] გინა A.

* მეორე სჯული 24,¹⁶. ** იქვე, 24,¹⁷. *** იქვე, 24,¹⁷. **** იქვე, 25,¹².

**** იქვე, 25,¹¹⁻¹².

და თუ დედაკაცმან ასეთი შუამავლობა ქნას, რომე ერთს ეხმარებოდეს და მეორეს აცემინებდეს, და მისმან ცემამ დააშაოს, და იგი მეორე კაცი მას მეორეს მოერიოს¹, იმრიგს დედაკაცსაც კელი მოსპრან და ან კელი ფასით და ჯარიმით იყიდოს, როგორც რომ გაგვიჩენია ყოველს ადგილსა თავ თავის აგებულობით [იხ. მუხლ. 213].

[192r] ქ. თავი ორასოთხმოცდამოცე

282. ქ. შეიტყვევით², თუ ვინ მლდეღმან თუ ერისგანმან გაცარცოს საფლავე და მკუდარი ასრე, რომ საფლავეზე რაგინდარა იყოს, თუ კაცი გზასა თუ სადაც მოკუდეს და მისი რაგინდარა წაილოს თავის ნებით, უ-იმ-კაცის-ანდერძოთ,—თუ თავის ნებით მან, წამღებმან, არა თქუას და არ გაენდოს, და მასუკან შიამცნიონ, მოკუდეს ის კაცი.

და თუ გაენდოს და თქუას, არ მოკუდეს და იკითხონ წმინდას ეკლესიაში: გარდააყენონ სიკუდილამდინ—ალარა აქუს საკანონოთ გარდაცდის ადგილი³. გამოჩენილია ეს თქმა, რომ სიკუდილამდინ უნდა იყოს გარდაყენებული და ინანოს და სინანულში გასარჯოს ტანი მისი. და იმ დანაშაულის ჯარიმა და სისხლი მისი იყოს ფასად.

ქ. თავი ორასოთხმოცდახამი

283. ქ. თუ ვინ უბრალოდ, წავიდეს, უნდომლად და არვისი ქონდეს წინაპირველი მტერობა, მოცდეს და სხვად, ყოველთა ქურდთა⁴ და ავაზაკთა მგზავსად, მას შეეყაროს, და მოკლას იმან ისინი⁴, როგორც მკულელნი გასარჯონ და გააპატიეონ წმინდამ ეკლესიამ. მაგრამ შემშინებელის წმინდის ტრაპებით ვანიწმინდოს ტანი მისი, ზომიერს ხანსა იფიქროს და მოინანოს და თქუას, რატომ ვქენ ამისთანა საქმე, უნდომლად დამემართათ⁵. თუ უნდა ღთის დაბეზლებულიც ყოფილიყოს მისა კელსა, მაინც უნდა მონანება მლდლის ქართულით. და სხვას მოსამართლეს ამასთან კელი არა აქუს, ეკლესიისა არის ეს სამართალი—ყუელამ თავ-თავის სამართალი უნდა ქნას.

[192v] ქ. თავი ორასოთხმოცდამოცე

284. ქ. დადგინება საძირკულისა წმინდისა ეკლესიისა მთავარებისკომოზთაგან არის მართებული და მან უნდა კურთხევით და-

¹ მორიოს AB. ² გეტყუით A. ³ ქურთთა A. ⁴ ისინი]+ არა A.

* მე-17 წესი მამათა შედგომილთა. ** იქვე, მე-18 წესი.

ამტკიცოს. და ქორებისკოპოზსა და სხვას იმას ქუეით ბერსა და უფროს მღვდლებსა, თუ მთავარებისკოპოზმა უბძანოს და ბძანება მისცეს, შეუძლიათ მათაც მისის ბძანებით. და თუ არც ბძანდებოდეს იქ მთავარებისკოპოზი და არც მისი ბძანება ქონდესთ, ვერ შეუძლიათ. თუ ქნან, მთავარებისკოპოზისაგან დაქცევა უნდა, და ხელახლა კურთხევა და დამტკიცება უნდა საძირკუელსა*.

შესატყობია, ქორებისკოპოზნი ორნი არიან: ერთი მიიღებს კურთხევასა და ღრთი კი ვერა, ბერეტუტია.

თუ იმ ებისკოპოზთ, რომელთაც უმთავარეფისკოპოზოთ საყდარი აკურთხეს, მონანებით შენდობა ითხოონ მთავარებისკოპოზისაგან და მან, საყდრის ამშენებელმანც, ინანოს, ამით რატომ ვაკურთხებინეო, შენდობა მოსთხოოს, რადგან შენდობას მოითხოვენ, უნდა შეუწოდოს და აღარ და უქციოს და მეორედ მან, მთავარებისკოპოზმან, აკურთხოს და დამტკიცდების.

ქ. თავი ორასოთხმოდახუთი

285. ქ. ებისკოპოზთ, შეუძლიათ და ღირსნი არიან რომელნი ქუეყნისა და თემის ებისკოპოზნი იყუნენ, იმათ¹ დასვან ტახტსა.

ეგების, თუ სიჩქარით და სიშორით ამხანაგთა, სამი ებისკოპოზი, ნებით მათით, რომ შორ არიან,—წიგნითა-მოწმობითა დასვან.

მაგრამ პატივი და შნო უფროსისა მართ[1931]ებულია² ზიცემა კათალიკოზისაგან და ანუ ღიდის კრებისაგან**.

რიგინად აკურთხოს—ბძანებს რიგი სამართლისა და კანონისა: ჯერ უნდა გამოარჩიოს ყოვლის მოწონებით და მასუკან აკურთხოს კათალიკოზმა და ანუ ბძანებით მისით ორთა და სამთა მთავარეფისკოპოზთა.

სახელით კათალიკოზით აქ გამოჩნდა, რომე თავი იყოს სხვათა. მასუკან აღარ იქნების სხვა თეთრით.

ქ. თავი ორასოთხმოდაქუთსი

286. ქ. თუ ვინც რიგიდამ და ან ლოცვიდამ გამოსულიყოს და გაუშვას, საყდროვანი და ანუ მრევლნი, წასულიყონ სადმე და რიგს შურობდნენ, ნუ აქნევიანებენ და ნურც დაუჯერებენ.

ერთს მოქადაგეს რომ შეეჩვენებინოს, მეორე მოქადაგე ნუ მისცემს შენდობასა.

მაგრამ, თუ დამტკიცებული მოკითხულობა ქნან, კაის მოქადაგობითა მთავარზან მართალმან მოქადაგემ უნდა მოარჩინოს ნისგან.

¹ ისინი A. ² მართებული A.

* კანონები მამათა შედგომილთა, წესი 18. ** მე-4 კანონი პირველი ნიკეის კრებისა; იხ. აგრეთვე მე-19 კანონი ანტიოქიის კრებისა.

და თუ დამნაშავე იყოს და ღირსი ყოფილიყოს შეჩვენებისა და წმიდას ეკლესიას გამოწვევებია, წამალი მისი: საკანონო უნდა გარდიგადონ და ღიდის სინანულით შენდობა მოითხოონ*.

ვინც ესეები¹ ქნან, არათუ უცოდინართ კაცთაგან მიეცემის წამალი მორჩენისა და ანუ დაუჯერონ უცოდინართა,—უნდა გაბრუნდეს და ისწავლოს სიბრძნე და რიგი და ცოდნა ქეშმარიტი მოქადაგებისა მართლა.

ქ. თავი ორასოხმოცდამედი

287. ქ. წინა ჩვეულება² დადგეს, ჩვეულება, ეგვიბტეს: ალექსანდრიის ებისკოპოზნი—[193v] ყველაზე³ მიმცემი; მერმე ჰრომისა⁴ ებისკოპოზისა ეს ჩვეულობა არის; იმგვარად ანტიოქიისა და სხვა. შეძლება და პატივი, დიდობა დიდობის შენახვისა [იყოს] ეკლესიას, და ყოველნი მის მზგავსად გამოჩენილი იყოს.

თუ არ ბძანება-ნებით კათალიკოზით იყოს ებისკოპოზი, იმისთანა დიდის კრებისაგან ჩამოვარდეს⁵, ნულარ იყოს ებისკოპოზათ.

მაგრამ თუ კრებულთა გამორჩევით ქეშმარიტის რიგით ეკლესიათა ღირსად აიღონ, ორი და ან სამი თავისთავად უპირისწყობით და ქიშპობით წინ უდგნენ, ბევრთაგან გამორჩეული დამტკიცდეს.

ჩვეულობა დაიჭირე და რიგი წინათი: ელუსარიმის ებისკოპოზმა დაამზადოს პატივი დედაქალაქთა ღირსი, დარიგება თავიანთი⁶ შეინახონ**.

წინ რომ ვაქსენეთ სახელი კათალიკოზისა, აქ გამოაჩენს, რომ წინა ჩვეულობას თავიანთენ დადგენასა, და იქ ოთხთ მახარებელთასა [არიან] ისინი ნიშნად; და სხვანიც: შეძლებულობითა იმრიგითა, თუ რომ იყუნენ მოციქულთ ტახტზე, თუ არ იყუნენ, ბძანებს კათალიკოზი იყოს. აბა, ტახტი წინა ეფესოს სიახლოვეს [იყოს] და იქიდან გააპარეს ბიზანტიას, მას პატივისცემისათვის, სხვა [ა]რა კათალიკოზობის მიზეზით.

ჩამოადგოს, რომელნი ვინც ნებით კათალიკოზით არ ეკურთხოს, რომელი ჩანს ბძანებითა მისით ეკურთხონ. თუ მოგდეს ყოველთაგან გამორჩევა რომლისამე ქეშმარიტად, კურთხევის მიღება კათალიკოზისა არის.

[194r] ქ. თავი ორასოხმოცდარვა

288. ქ. ბევრის ნდომითა და დიდთა მოწმარებითა და მიყენებითა რომელიც ებისკოპოზი იყოს და სხვის თემის შეცილებას

¹ ესები A. ² ჩვეულებას B. ³ ყველაზე + კოსტანტინეპოლისა B. ⁴ ჰრომისა A. ⁵ გამოვარდეს A. ⁶ თავიანთ A.

* მე-5 კანონი ნიკეის კრებისა. ** მე-6 და 7 კანონები ნიკეის კრებისა.

და წართმევას ეცადოს, ანუ მღდელმან ქალაქში სხვის სამწყსოს დაუწყოს ცილება, ნება იქმნა დიდის კრებისაგან: იმრიგნი უნდა დააწყნარონ და დააჯერონ თავიანთ წილსა.

მაგრამ თუ ანუ ძალით და ანუ ქრთამით იმრიგს შეცილებას და¹ საქმის წინ წაყუანას აპირებდენ, წინ დაუდგეს მოციქულთა კანონი ნებადართვით დიდის კრებისაგან: ჩამოაგდონ თავიანთი² ტახტისაგან და მღდლობის რიგისაგან გარდააყენონ, იყოს თქუენ წინა, როგორც რომ ერთი უპარისწყლო და ავი კაცი—რომლისაც მიცემული იყოს, მიეცეს და მიემატოს, და რომელმაც არ იცოდეს ქნა, რაცა აქუს, ისიც წაერთვას*.

მაშ, არა არის გამოუჩენელი ამ სასულიერო საკანონე სამართალში. და ბევრთაგან გასასულელია, იმრიგის ებისკოპოზისაგან და მღდლისაგან, მაგრამ კათალიკოზთაგან იმრიგთა მოსაკითხავია.

ქ. თავი ორასოთხმოდცდაცხრა

289. ქ. არიან ზოგნი საყდროვანნი, რომე თავიანთ რიგზე არიან¹ და კანონით ირჯებიან. ნეტაი მათ, რომელიც თავიანთ² რიგის³ სამართლით იყუნენ.

და თუ ხარბ-ბა ქნან და ვერცხლი გასცენ სარგებლითა, და სარგებელი აიღონ და დაივიწყონ საქმე საღმთოს წერილისა, რომ უბძანებს ვერცხლის [194v] სარგებლით მან არ გასცეს**, უჯესთავესად, რომ იყოს დაჰზარე და არ-მდომი ლოცვისა, გამშვები გუნე-ბილამ ლოცვისა, შიშველი დარჩეს რჯულისაგან.

იმისთანას ეტყუის: «ვაი იმას, ვინც გაუშვას სწავლა კეთილი ყმაწვილობისა და დაივიწყოს»***.

ნება დართო დიდმან კრებამ იმისთანასა განშორება რიგიდამ და ანუ მართალს გზაზედ დააყენონ***.

შეიტყონ მღდელთა გაკუეთილობა კანონისა, სამართლის შიში იქონიონ. აბა, თუ არა, ბოლოს უმოწყალო სამართლით გარდატელების.

ქ. თავი ორასოთხმოდცდაათი

290. ქ. თუ გათხოვილი, ერთხელ ნალაპარაკევი ქალი შეკახ-მული ნახოს ვინმე და მოიტაცოს, და ამისთანა საქმე მოტდეს, ეცადონ, რომ დაიჭირონ ის კაცი და წაართვან ქალი ტელიდამე.

¹ და]+ და A ² თავიანთის A. ³ თავიანთ A. ⁴ რიგს A.

* მე-15 კანონი ნიკეის კრებისა; ის აგრეთვე მათე, 25,20; მარკოზ, 4,26; ლუკა, 8,18 და 19,26. ** ფსალ. 14,3. *** ივანე, 2,77. **** მე-16 კანონი ნიკეის კრებისა.

“ თუ გვერთ არ მისდგომოდეს, მოტაცების საუპატიო გარდააქდევინონ და ქალი მასვე მისცენ, ვისთვისაც პირველ ნათხოვნი ყოფილიყოს*.

და თუ ვერ ჩაიგდონ ჴელში და გუირგუინი იკურთხოს მას ქალთან, გუირგუინის მკურთხეველს მლდეღს ებისკოპოზმა გარდააქდევინოს, ამიტომ რომ ძალად მოტაცებული რატომ აკურთხა?

და მას კაცს მოსამართლემ გარდააქდევინოს¹: რამეთუ მართლა სხვის ნათხოვნი ყოფილიყოს, სიკუდილის ღირსია, მაგრამ ჯარიმითა და სისხლის მიცემით მორჩეს ტანი მისი.

ქ. თავი ორასოთხმოცდათერთმეტი

291. ქ. თუ აღუთქუა უფალსა ბერმან ანუ მლდეღმან, ანუ მთავარ-[19ნ]ლიაკონმან, უნდა შეინახოს და შორ დადგეს ჴორცის ჴამისაგან. თუ აღუთქმელათაც [შეინახოს, კარგია.

და თუ თავისის ნებით ვერ შეიძლონ შენახვა, აშკარად უნდა სჴამონ, და თუ უნდათ², შეინახონ. თუ ვინ ჩააგდოს ფარისევლობით პილწად, პურსა და ან სამარხოსა ჴორცი სცემიან, ამისთანაებს არ ინდომებს რიგი ეკლესიის**³.

აღმთქმელი ჩანს და ანუ ვინც ცოლნაყოლი, და ანუ ვინცა ცოლიანი ერთხელ რომ ეკლესიის სახელი დაეთქმის, საყდროვანი შეიქნების, უჯესთავსად ბერნი წმინდა და უმანკონი. მაგრამ ბერძენნი და ურიგონი და ცუდგვარნი სომეხნი რომ ერთმანეთს დასძრახვენ, ორივე დასაჯერებელია: კანონთაგან კარგია უქმელობა ჴორცისა, ჴამისაგან მაგრამ ნუ დასძრახვენ. სომეხშიაც მრავალი იპოების შემნახავი სამართლისა, გარე, რომ ვინც რუხრას ერთმანერთსა: შენ სჴამ და მე არაო.

ქ. თავი ორასოთხმოცდათორმეტი

292. ქ. მისთვის, საქონელი როჴელიც იყოს, სახელითა ეკლესიათა, რაც რომ იყოს—თუ სოფელი, თუ მიწა-წყალი, თუ სხვა რამ,—თუ ებისკოპოზი ადგილს არ ბძანდებოდეს და მლდეღებმა გაყიდოს რაც რამ, შეუძლია, რომ მათეე სთხოოს ებისკოპოზმან. და უნდა იცოდეს ეფისკოპოზმა ღირსი სამართალი: რაც რომ გაუყიდათ, ფასი უნდა გამოართვას და გასყიდული[19ნ] დაიქსნან***.

კანონის ბძანებით გაუსყიდლად უნდა იყოს ეკლესიისა რაგინდარა. შემძლეა და ებისკოპოზთ და მოჴადაგეთ ჴელთ უნდა იყოს

¹ გარდახდევინოს A. ² უნდათ) + და A. ³ ეკლესიის A.

* მე-12 კანონი ანკვირისი კრებისა; ** იქვე, მე-15 კანონი; *** იქვე, მე-16 კანონი.

ეკლესია და მისი საქონელი, არათუ ხუცესთა ჯელთა. აღება და შებრუნება ებისკოპოზთა უნდა ნახონ და¹ მოქადაგეთა.

მაგრამ თუ მონასყიდეს ბევრს ხანს ქონია და ამთონი უქამია მოსავალი, რომე მისის მინაცემისოდენი შექნილა, აღარ უნდა: რაც გამორთმევია, ისღა უნდა მისცენ, უთეთროდ, და უნდა გამოობრუნონ, ამიტომ რომ თავის ფასს გაუვლია. ესეც, რომ არას რჯულში არ არის მართებული საყდრის საქონლის გაყიდვა.

ქ. თავი ორასოთხმოცდაცამეტი

293. ქ. თუ ვინც კაცობაში შესულმა თქუას და აღუთქუას უფალსა ქანწულება, თქუან და გამტყუედენ აღთქმაში, შეძლება მიხუდეს ღა ვერა ქნას ის, ასრე ჩაიგდების, როგორც რომ ორის ცოლის შემრთველი. გარიგებით მათით აიღონ საკანონო და მონინანონ: ორი წელიწადი კარზე ილოცოს ჯელის გაცემითა და ერთი წელიწადი შიგნით საყდარში მონანულებთან იყოს და სინანულით მონინანოს; და მასუკან ეზიაროს რიგით. კურთხევას მღღელობისას ველარ მიუდგეს ახლოს*.

ეს გამოჩენით ნიკიის კრების თავმან მეოცდაათემ თქუას ახლა აქ: რომ ითხოოს ცოლი, ბოზობის საკანონო გარდიჯადოს— ისრე არის, როგორც რომ ორცოლიანმა, და ამიტომ [1961] არერგების მასღა მღღელობა. და ისიც უნდა გასინჯონ, რას ღროსას აღუთქუამს და ისრე გარდააქდევიონ². და ეს იპოვონ გრიგოლ პართაველის კანონში, სამასმეოცდაათე თავში.

ქ. თავი ორასოთხმოცდაათოთხმეტი

294. ქ. ორსული დედაკაცი ღირსია, როდისაც უნდა, მონათლოს. არათუ ნაყოფი მუცლისა მისისა მასთან სწორედ მონათლული შეიქნების,—როდისაც მიეცეს, ისიც უნდა მონათლონ. და დედაკაცი, რადგან უნათლაგია, ჯერ უნდა თავის ნებით გაანდონ და მერმე მონათლონ და მასუკან აზიარონ. არ უნდა, სანამდინ დედაკაცს შვილი არ გაეყაროს, მანამდინ მონათლონ**. მაგრამ თუ სიკუდილის შიშისათეინ მონათლონ, ნათლის ამღებიც უბრალოა და ნათლის მიმღებიცა მაზე.

და ეს არ ეგონოსთ, თუ ცოცხალი გაიყარონ, შვილიც მასთან მონათლული იყოს. შვილს სხვა მონათულა უნდა. ეს სამართალი³ საყდრისა არის.

¹ და]† ების A. ² გარდაახდევიონ A. ³ სამართალი A.

* მე-2 კანონი ანკვირიის კრებისა. ** მე-6 კანონი ნეო-კესარიის კრებისა

ქ. თავი ორასოთხმოცდათხუთმეტი

295. ქ. თუ ვინმე გაუშვას ცოლი მისი ბოზობისა და ანუ სხვას ბოროტის საქმისათვის, არათუ მარტო მისის ქრმის თქმითა, თუ სრულის ქუეყანა მოწმობდეს მისის ავის საქმის ქნისათვის, გაუშვას,—დაუჯერებს მას კანონი. მაგრამ ერთს წელიწადს მონანებაში ჯელის გაცემით იყოს და გარდ[196v]იჯადოს საკანონო და განიწმიდოს რიგით.

და თუ მოინდომოს დედაკაცმან, ქმარი ვერ შეირთოს, სანმდის გამშვები ქმარი ცოცხალი იყოს*. და ქმარმან შეირთოს ცოლი ერთს წელიწადს უკან, რადგან დავდევით სამართალი, რომ ქმარმან ცოლი შეირთოს [ხ. მუხლ. 178]. ასრე რომ, თუ ცოლი ვისიც მართლა ბოზი ყოფილიყოს და ბოზობისათვის გაეშვას, მან შეირთოს კიდევ ცოლი, და თუ კუდიანობაზე და მწამლობაზე გაეშვას ცოლი, მან ველარ შეირთოს სხვა ცოლი. და თუ ერთმანეთს ნება დართონ¹, დასტურით შეირთონ.

ქ. თავი ორასოთხმოცდათექუსმეტი

296. ქ. თუ ვინ მოინდომოს გაშეება ცოლისა არა ბოზობისა და არა ავის საქმისათვის, არამედ თავის ავის აგებულობისათვის, რომე სხვაზე თვალი ექიროს და იმის გულისათვის უშეებდეს, ამისთანას საქმეს არ ინდომებს კანონი და ნურცავინ იქს, ვიდრე არ მიბრუნდეს თავის მართლის ცოლისაკენ. და მქნელი უნდა შვიდს წელიწადს მონანებით იყოს და საკანონო გარდიჯადოს**.

ქ. თავი ორასოთხმოცდაჩვიდმეტი

297. ქ. თუ ვინც მთავარდიაკონი დამზადებულყოს სამღდელოდ, ყუანდეს ცოლი და კურთხევამდინ ცოლი გაუბოზდეს, თუ ქმარმან იცოდეს და კურთხევა მოინდომოს, ველარ ეკურთხოს. არ უნდა იმრიგი ეკლესიას***; და თუ არ იცოდეს და მღღლად ეკურთხოს, უბრალოა. მღღელი უცოდინარობისათვის გასი[197r]ნჯონ მოქადაგეთ და მოსამართლეთ მართლად კანონითა.

ქ. თავი ორასოთხმოცდათურამეტი

298. ქ. თუ მღღელში ბოზობა გამოჩნდეს და მისი ნაქმარობა გაცხადდეს, არათუ განდობით გაცხადდეს და არც გამოჩენით, დატუქსვა და ავად მიპყრობა შეუძლია ვისმე ებისკოპოსსა****;

¹ დართონ] + და A.

* მე-11 კანონი ნეო-კესარიის კრებისა. ** იქვე, მე-12 კანონი. *** იქვე, მე-13 კანონი. **** იქვე, მე-14 კანონი.

და მთავარსაც იმგვარად. და მართლის ებისკოპოზისაგან არის მოკითხება და დარიგება კანონითა მართებული. ჯელმწიფემ და მოსამართლემ ებისკოპოზს უნდა კითხონ და მიაგონ მათზე.

და ებისკოპოზმა—მლდელთა, მთავართა და საყდროვანთა ყოველთა ებისკოპოზია მოსამართლე—გასინჯონ მართებულად მათი საქმე ავი და კარგი ყოველი.

ქ. თავი ორასოთხმოდაცხრამეტი

299. ქ. არის ჩვენში დიდის კრებისაგან გარიგებული: ვიღრე ოცდაათ¹ წლამდი ნუეინ იკურთხვის და მოინათულის მლდლად. უნდა გამოსცადონ და გამოარჩიონ ბილწი წმინდისაგან და სხვათა, გაარკუთიონ და გამოარჩიონ კაცი ქეშმარიტი და წმინდა და წლისა ოცდაათისა აკურთხონ და მონათლონ მლდლად, როგორც რომ უფალი ჩენი იესო ქრისტე ოცდაათის² წლისა იყო, რომ მონათლა და იმრიგით ჩვენ გვასწავლა ყოველთა. რეა დღისა უნდა მონათლონ ყმაწვილი და ოცდაათის² წლისა უნდა აკურთხონ და მონათლონ მლდლად. ეს დამტკიცდა ჩვენთვის რიგად-მამათმთავართაგან*.

[1977] ქ. თავი სამასი

300. ქ. თუ ვინ გაჭირვებაში ჩავარდეს ან ავად იყოს, ანუ დაიჭიროს დამპყრმა, და გაჭირვებაში ყოფნისათვის მოინათლოს, და კაცთა წინა შურებოდეს ქრისტიანობას და საქმიითა ავი იყოს, და შეჭირვების გულისათვის რჯულზე იდგეს, იმგვარად ინდომებს წმინდა ეკლესია არა მართლად³—უნებურად არის მისთვის ის რჯული**.

კაცი ვინც თავის ნებით და წმინდის გულით უნდა მოინათლოს, რომ შეიქნას მართალი ქრისტიანი და წმინდას რჯულზე მტკიცე.

ქ. თავი სამასერთი

301. ქ. სხვას ქუეყნის მლდელი რომ ქალაქს ალაგს საყდარში მივიდეს და იქ იყოს ებისკოპოზი, და მლდლები ქალაქისა რომ იყუნენ; არ არის მართებული, რომ თავიანთი⁴ გარდაადგონ და იმათი პატივი და საწესო მოსულს მისცენ და ანუ საყდრის კერძი მისცენ და გაუყონ. თუ მათთვის მეტი იყოს წესი და მისავეალი, რაც მეტი იყოს, საყდრისა არის, საყდარს უნდა მოაქმაროს. აგრევე***, თუ ალაგს არ ბძანდებოდენ ებისკოპოზი, მლდლები და სხვას ქუეყა-

¹ ოცდათ A. ² ოცდაათის A. ³ მართლად A. ⁴ თავიანთი A.

* მე-15 კანონი ნეო-კესარიის კრებისა. ** იქვე, მე-16 კანონი. *** იქვე, მე-18 კანონი.

ნას იყუნენ, რაც ქალაქთა მამათა და უფროსთაგან მათთვის პატივი და საწესო გარიგებელი იყოს, ისიები საყდარს უნდა მიართვან.

და თუ სხვას ქუეყნიდამ ებისკოპოზი, მოქადაგე და ანუ მღვდელი მოვიდნენ ქალაქსა და ალაგსა თქუენსა, მათ დიდი პატივი უნდა სცეთ და თქუენით უნდა დახუდეთ, და მართებულად გაისტუმროთ, თქუენის ქალაქისა [198r] ებისკოპოზი და მღვდლები გინდა ალაგს იყუნენ, გინდა სხვაგან,—მოსულს პატივი უნდა და მართებულად მიპყრობა. საყდროვანმა თავიანთის ნებით უნდა პატივი სცენ და ერისგანმან თავიანთით უნდა. თუ სხვას სხვის სარგოთი გაისტუმრებთ, ერთმანეთში მტერობა ჩამოვარდების და სიმძულვარე, და ავი იქნების.

ქ. თავი სამასორი

302. ქ. ქორებისკოპოზნი არიან გეზავსობით და რიგით საგეოცდათორმეტთა მეულღეთ¹ და მოსაქმეთა [ებისკოპოზთა], მათ მორჩენისათვის, რომელი სულიერს საქმეზედ გლახად ქდებოდეს*. ქუეყნის ნახვითა და დახედვით იქადაგოს და ითარგმანოს. ქორებისკოპოზნი არიან მიმცემი ჭმდაბალ-მდაბალის რიგისა უფროსთა მთავარეპისკოპოზთა მორჩილობითა.

და თუ ქნას მღვდლის რიგი, მტერია კანონისა და სამართლის წიგნისა. ებისკოპოზისაგან და სხვის [არ იქნება] ერისკაცისაგან ქორებისკოპოზთა შექნა, ანუ უცოდინარის მღვდლის, [ანუ] მგლეჯილი გლახისა[გან],—არ არის მნახველი, და ებისკოპოზი მნახველად ითარგმანება და ისინი—მოსაქმენი.

ქ. თავი ხამასსამი

303. ქ. კაცთ თუ მოინდომონ შესავალი ეკლესიისა გარეთ ანუ აილონ და ანუ მისცენ ებისკოპოზის უბძანებლად, ამისთანა საქმე, თუ მისის ბძანებით [198v] არა ქნან და თავისთავად ქნან, დაწყევლილნი შეიქნან**. გაიგონონ საყდროვანთა და მათ, ანუ სხვის მიმცემმან, და შეზინდენ, რომე ებისკოპოზის უნებურად მქნელთა წყევლა აქუთ; მათ უფრო კიდევ ნამეტნავად, ვინც იყოს მცილე და მამტაცებელი ეკლესიის შესავლისა, ერთმანეთზე სამართლით აქუს წყევლა და შეჩვენება.

რომელმანცა ეკლესიის შესავალი სხვისა შექნას, მისიც სხვისა შეიქნას; რომელმაც რომ მოიძულოს შესავალი ეკლესიისა, ისიც მოიძულვებელი შეიქნას ეკლესიისაგან.

¹ მღვდელთ B.

* იქვე, მე-19 კანონი. ** მე-7 კანონი განჯრის კრებისა.

ქ. თავი სამასოთხი

304. ქ. მამათ. თუ გაუშვან შვილი თავიანთი¹, არ გაზარდონ, ვიდრე მათ ჰქვია იყოს, და არც დაარიგონ ღთის რიგზედ და სწავლაზედ, სხნილი და მარხვა მართლა არ ასწავლოს, მონასტრისა და სასულიეროს საქმის პატივისცემა [მოიმინეზონ] და გაუშვან უნალუ-ლულობით და წაქდეს—და დაწყველილი შეიქნას [მამა]—ეს არის და-მტკიცებით² კანონთაგან³, რამეთუ მისთვის საქმეს, ვეჭობთ, ეშმაკთაგან იქნეს, რომე თავიანთ⁴ თავისას სიწმინდეს ქადაგობდეს და ბევრნი მათ მიმგზავსებას იქმოდენ როგორც შესავალთა საყდრისათა და სხვათა. საღმთო წერილი უბძანებს: «დამკუიდრებული შვილის გზა ღთის ნებაზე და რიგზე»⁵, ნუ გააშორებენ ღთის რიგზე. რამე-თუ ისინი ფიქრობენ მიახლოებას ღთისას, სამართლით ჩამოვარდ-ნენ—საბაბნი შეიქნენ ნაყოფთა მათთა გაშორებისა ღთისაგან.

[199F] ქ. თავი სამასხუთი

305. ქ. თუ ვისაც შვილმან, რომ მშობელთა ნამეტნავად მო-რწმუნე იყოს და მისული რიგზე ღთისაზე, მოშორდეს ამ საბა-ბითა—ღთის თაყუანისცემასათვის,—რომე ავად ეპყრობოდეს, და რისაც ღირსი იყოს, პატივი მშობელთა არა სცეს—და დაწყველილი⁶ შეიქნას⁷.

და ეს კიდევ ძლიერი დარიგება წერილთა, რამეთუ ამ ნათქუამის საქმისა ნამეტნავად გაფთხილება უნდა: რომელსა უნდა გულწმიდად შესაწირავი, თაყუანისცემა ღთისა, არ უნდა მშო-ბელთა ურიგო კადრონ, მართებს ყოველთა მორწმუნეთა დედ-მა-მასა ღირსად პატივი სცენ და მშობელთა გამშეებისა ურიგოთ მი-პყრობით დაწყველა დადვეს.

ქ. თავი სამახეკუსი

306. ქ. თუ ვინც ორმოცი დღე შეინახოს, და აღდგომის დიდს ხუთშაბათს წმინდის ზიარების აღების მეტი თუ სჭამოს მარხვა, რაც რომ მანამდის უმარხავს, ის სრულ ცუდია და დიდის კრები-საგან დაწყველილია⁸, და იმგვარად ნიკიის კრებისაგანაც⁹, — რადგან იმ დღემდის შეუნახავს, იმ დღეს უფრო შენახვა უნდა და მართებსთ იმგვარად: ვმელი პური უნდა ჭამონ.

შეიტყონ ყოველმან ქრისტიანმა სამართალი მჭამელის დღისა დიდისა აღდგომისა.

¹ თავიანთი A. ² დამკუიდრებით A. ³ თავიანთი A. ⁴ დაწყველი A.

⁵ 21-ე წესი განგროი კრებისა. ⁶ ეფეს. 6, 11. ⁷ მე-16 კანონი განგროის კრებისა. ⁸ იქვე, 21-ე კანონი. ⁹ 103-ე კანონი ნიკეის კრებისა.

ქ. თავი სამასშვილი

307. ქ. მორჩილობა კათალიკოზისა ებისკოპოზთაგან, რომელსაც თავ-თავის რიგი და შეძლება აქუსთ ებისკოპოზთა, შეიტყონ: დედაქალაქთა ებისკოპოზნი [199v] ზურგნი არიან მათნი და ყოვლის წინ გამძლონი. და ყოველს კაცს რაც სიტყვა და საქმე ქონდეს, მასთან უნდა მივიდნენ, თუ ვისმე კელმწიფისა ანუ თავადისა ანუ საყდროვანისა გარიგებისა ყოვლისა,—მასთან უნდა მივიდეს წიგნი. ამისთვის იქნა, რომ პატივით წინ იყოს, უიმისოდ ნუ იქმონენ ქნასა საქმისასა, წინათ ჩვეულობასა მამათა ჩვენთასა რომ გარიგებულია კანონი.

მაგრამ ეს ქნან თავიანთ¹ შეძლებით თუ სოფელსა, თუ სხვას თემსა კურთხევა მდღლობისა. ანუ სხვას ნაქმარობას ნუ იქმონენ სხვა სხვის თემში დედაქალაქის ებისკოპოზის მისის კათალიკოზის უბძანებლად, შესწორებით სხვის ებისკოპოზთაგან*.

ქნა რისაც გამოჩენილია ამ სულიერს სამართალში. და საქმით მითა ახლა გაშვება ერთის ჩვენი თქუეს, რომე ეფისკოპოზთა არ იკითხონ ღირსეულობა და აკურთხონ; არიან, და დარჩენენ, ტანი თავისი დასძრეს ჭირით და მათ, ჭირიანთა,—თემთა ფეშქაშითა, და წიგნით დამდგომთ მოწმებით წამსულელთა. რამეთუ კათალიკოზს წინ გამოჩენილია, მისის ნებით უნდა იქნას, მართებსთ. და იმგვარად რიგის თხოვნისა საბაბია მტრობისა მათი წინ კათალიკოზთა, რომ ვერც ღთისაგან აიღებენ მნოსა და არც სწორედ ებისკოპოზად იკურთხვიან.

ქ. თავი ხამასრვა

308. ქ. თუ ვინც რომლისაც ებისკოპოზისა და მოქადაგისაგან ეკურთხა მდღ[200r]ლად და ანუ მთავარდიაკუნად, მათ სამართლით რაც დაარიგეს და დასდვეს, და არა ქნას და თავისთავად ირჯებოდეს, და მრევლთა სრულ შეიტყონ მისი ურიგობა, თუ რაც ნაქმარობა აქუს წინათ მრავალთა ებისკოპოზთა, იქ ნახონ და იმათგან მართლის სამართლის აღებას მოელოდეს.

თუ რომ, ეგების, მათის სამართლისაგან გული შეუწუხდეს, იწყინოს და მოინდომოს კელმწიფის წინ მისულა და მათის ურიგოს თქმა, ებისკოპოზნი შენდობას ნულარ მისცემენ. მაგრამ უნდა დამტკიცდეს კელმწიფეთაგან გაბრუნება იმავე ალაგს**.

¹ თავიანთ A.

* მე-9 კანონი ანტიოქიის კრებისა. ** იქვე, მე-12 კანონი.

მართალია ეს სამართალი—ერთისა და ორის ავის თქმისათვის მოინდომა თავისის ებისკოპოზის მტერობა და ინადობა, და ბევრ-თან მონანება თქუა და გამტყუენდა.

ქ. თავი სამასცხრა

309. ქ. ნურვინ ებისკოპოზი სხვა სხვის თემში ნურც აკურთხებს საყდარსა და ნურც მღდელსა, და არც სხვას ბევრს საქმეში შეესულება, და არც შეძლება აქუთ. და თუ დედაქალაქის ებისკოპოზის წიგნი და დასტური ქონდესთ, შეუძლიათ შესულა იმ საქმეებში. მაგრამ თუ ქნას და მოინდომოს თავის ნებით, უდასტუროდ, კურთხევა საყდრისა და მღდლისა, არც სრულ არა ხამს და დაუმტკიცებელია იმათგან ნაქმარი, და მოშორდეს წმინდას კრებასა და სხვასა კანონსა*.


და დასწერონ, რომ ყოვლისათეინ ნურვინ ჰყოფს [200v] უ-თავის-ებისკოპოზოდ სხვა ებისკოპოზი კურთხევას.

და თუ ნაკურთხნი მათნი მივიდნენ თავისის ებისკოპოზის წინ და შენდობა მოითხოვოს და სჯერიყოს სხვის კურთხევას, რადგან ნაკურთხია, აღარას უშველის, მანც უნდა დალოცოს და დაადვას შეძლებით მონანება.

ქ. თავი სამასათო

310. ქ. თუ ვინც ებისკოპოზი დასძრახოს და დაემდურონ, და მისთვის ავი უნდოდესთ, და დანაშაული არა ქონდეს რა და წინ უდგნენ უ-მის-კრებულოდ შემძლებელთა, ზოგნი მათ შიგან მის სიწმინდესა და კაის ამბობდენ და ზოგნი აძაგებდნენ, გარდაიცვალონ ყოვლის საქმით მტერნი ყოვლის მტრობით ნებითა წმინდის კრებითა. დედაქალაქთ და სიახლოვეთ ებისკოპოზთ შეძლებითა დაუძახონ მათ, რომელთაც ფარისევლობით ებისკოპოზთ მტრობა ქონდა, და რჯიდენ, გააშორონ, და რაც იმათ შეძლებით გაარიგონ, დამტკიცდეს**.

და კათალიკოზმან უნდა გასინჯოს სამართლის სიმრუდე და სიმართლე, და არ უნდა იყოს ვერცხლთა მოყუარე და სამართლისა გამბრუნდებელი.



ქ. თავი სამასთერთმეტი

311. ქ. არ არის მართებული ძველი ჩვეულობა მონასტრისა თემისაგან გამოცულა და ახალის მოგონება ტახტისა და მრევლისა. თქუას თუ: გამოვცვალო, მთქმ[201r]ელმა უნდა პატრიაქების ბძა-

* მე-13 კანონი ანტიოქიის კრებისა. ** იქვე, მე-14 კანონი.

ნებით ქნას. თუ მათ კრებით უბძანონ, იმათის ბძანებით მქნელს ბრალი არა აქუს რა ამ წიგნის სამართლითა.

ქ. თავი სამასთორმეტი

312. ქ. არ არის ზართებული წმინდის ნაწილის კურთხ[ე]ვისა და გადიდებისა რიგი, რამ შეწირული რომ სხვისა სხვის საყდარს მისცეს* და დააბნელოს ერთი. თუ ვინ ამ საბაბს უდგეს, ავია. მართლის სამართლით და კანონით ფთხილად იყუნენ ყოველნი.

ქ. თავი სამასცამეტი

313. ქ. არ არის მართებული, რომელნი ეკლესიისა არიან სხვადასხვა, დააქორწილონ და სხვაგვარნი მიიახლონ ვაჟთა და ქალთა თავიანთთან¹, ანუ მისცენ ცოლად, ანუ შერთონ ცოლი**.

სამართალი ნებითა კანონითა იქნას,—უცხო თესლნი რომ სხვას გვარს მისცემენ, ნახეთ, რომ ისინიც გასულს ეტყუიან რიგიდამ და ზოიძულევენ მიმცემსა; აბა, თუ მწვალებელს ვისმე მისცენ, რომ ჩვენ არ გავირევთ. სამართლის პასუხი მათ, მშობელთ, უნდა გარდიჟადონ, რომ იმგვარად ცოლ-ქმარად შეჰყარა.

ქ. თავი სამასთოთხმეტი

314. ქ. ებისკოპოზი, ვინც იყოს ბევრის თემის უფროსი და მპყრობელი, არა ხამს მისგან, რომე მის თემში სხვას საყდრიდამ შესამოსელი და შეკაზ[201v]მულობა აიღოს ძალით და თავის საყდარში შეკაზმოს. ამისთანას საქმით თავის თავს დასდვას სამართალი. თუ არ მოიწონოს ეს დარიგება, არ მიბრუნდეს სამართალზე, შორ გააშორონ, და ვისაც რომ წაართვას, ისინი მას თავიანთს² ებისკოპოზს ნულარ დაუძახებენ***.

ქ. თავი სამასთხუთმეტი

315. ქ. კითხვა: რომე კაცი ჰკუაზე არ იყოს და წავიდეს სადმე, და თავის უქკუობით ან კლდიდამ გარდავარდეს, ან სხვა-რიგად მოკუდეს, მართებსთ მისთვის წირვა თუ არა?

მიგება სიტყუისა: მართებს მის ქუეყნის ებისკოპოზსა გასინჯვა საქმისა მისისა, თუ უქკუობით მოუკლავს თავის თავი.

¹ თავიანთთან A. ² თავიანთს A.

* მე-14 კანონი ლაოდიკიის კრებისა. ** იქვე, მე-10 კანონი. *** 83-ე კანონი მოციქულთა კლიმენტისა.

ჰკითხონ მართლა მის მოყურებსა. თუ იმოწმონ, რომ უჭკუობით და გიგობით დაემართა და არ იყოს ჭკუაზედაო, უყონ წირვა.

მაგრამ მართლა გასინჯვა მართებთ: არამცთუ ვისაც ან იასა-ული¹ და ან ერთი რამ თავისის საქმისათვის იჭერდენ, დაჭირება ჰქონდეს და ჯავრით ქნას თავის თავის სიკუდილი,—მას ჟამი არ უნდა უწიროვინონ. ნართლა უნდა გასინჯონ, რომ მლდელსაც არ დაედვას ბრალი. რამეთუ ცხადად ჩანს კითხვა² და პასუხის მიგება, ზედამდგომელნი მოვალენი შეიქნენ,—უნდა რომ საკანონო გარდიწადონ. ეს სამართალი ებისკოპოზთა მოქადაგეთაგან უნდა იქნას და არა მოსამართლეთა ერისკაცთაგან*.

[202v] ქ. თავი სამასთექუსმეტო

316. ქ. თუ ვინც დედაკაცი დიად გიგი იყოს და ბორკილსა და რკინაში ჰყუანდესთ, და ქმარმან თქუას, თუ ვერ გაუძღებ და სხვას ცოლს შევირთაო, მართებს თუ არა?

მიგება სიტყუისა: ამ შუა საქმეს რა უნდა, არა, არ ვიციოთ. ამ საქმისათვის დაწვერეთ, რომ მოსამართლემ დახედოს საქმეს და სამართალი უყოს, როგორც რომ მართებდეს, და დაუძრახველად ჩვენ გაგუიშვან.

ქ. თავი სამასჩვიდმეტო

317. ქ. თუ კაცს საქმე კაცობისა არ ქონდეს და ცოლი მისი გავიდეს მისგან, სხვას კაცსა შერთვა მისი მართებს თუ არა?

ქმარს რომ არ გაეშვას და დასტური არ მიეცეს, და უთხრას, შენ ღთ¹ით ბედათ მე მამხუდომიხარო, უნდა იყო და დამჯერდე მე, რომ ასრე საქმე მოვდეს, რა სიტყუა უნდა მიუგოთ?

მიგება სიტყუისა: არა არის ღირსი გაშვებისა და არც თქუენ გამართებთ, რომ გააშვებინოთ,—მათთვინ დადებულია ეს სამართალი: კანონითა იყოს ნებასა ქრმისაზე. ამგვარი სამართალი ეკლესიათა მოსამართლეთა არის.

ქ. თავი სამასთურამეტო

318. ქ. თუ კაცი ვინც პირუტყუთან ურიგოდ მქცეველი იყოს, ქცევას უკან სინანულში ჩავარდეს და საკანონო გარდიწადოს,

¹ იასული A. ² კითხ A.

* 315—323 მუხლები შინაარსით შეესაბამება ათანასე ალექსანდრიელის კანონების 11, 12, 21, 23, 26, 32, 34, 59 და 72 მუხლებს.

როგორც რომ უბძანონ მოქადაგეთა, და ცოლი მისი იმრიგის ცოდვისა და ბილწებისათვის ქმართან დგომას არ ნდომულობდეს? მიგება სიტყუისა: დედაკაცს მიეცეს გაშეება [202v] და კაც-მან მონანებას უკან სხვა ცოლი შეირთოს. ახლა ეს სამართალი სიწმინდისათვის დაედევით.

ქ. თავი სამასცხრამეტი

319. ქ. უნდა იყუნენ ყოველნი კაცნი ფთხილად იმრიგს ცოდვაზე: დიდი ცოდვა და ძნელია პირუტყუთან ურიგოთ ქცევა. თუ, ვინ იცის, ეშმაკის საქმით მცდარაიყოს ვინმე, დასდვას მოძღვარმან მის-მან საკანონო მართებული გაშინჯვით; და მათ მართებთ, რომ მართლის მონანებით გარდიკადონ.

ქ. თავი სამასოცი

320. ქ. თუ ვისაც მლდელს გზას წასულაში დაესხას ყაზახი და შეუტონ ერთმანეთსა, და მოკდეს, რომ მლდელმან ყაზახი მოკლას და თავი თვისი და ამხანაგნი ზოარჩინოს, მართებს მას მლდლად ყოფნა თუ არა?

მიგება სიტყუისა: თუ ღირსია მლდლობაზე, მისგან არ არის მართებული და არც შეუძლია ვისიმე სიკუდილი, რომ მისგან მოკუდეს; და არც სხვა პირუტყუი მათი.

ეს სამართალი შეიტყევით: თავისის ტანისათვის—არ მართებს სიკუდილი ვისიც და თუ თავის ამხანაგთ მორჩენისათვის ქნას, კაია მოკულა, თუ ყაზახნი ურჯულონი იყუნენ. ისევ მლდლად ანუ არა მოკდენა, რიგი მისი გასინჯონ მოქადაგეთა.

ქ. თავი სამასოცდაერთი

321. ქ. თუ სადმე გიგმა კაცმა თავისით კაცი მოკლას უბრალოდ, როდისაც გაწ[203r]მდეს გიგობისა და ქირისაგან, როგორც რომ მართალმა მამკულელმა, ისრე მართებს საკანონოს გარდაქდა?

მიგება სიტყუისა: ცოტა რამ—ეშმაკთაგან იქნას და მისივე იყოს გუნება და დატყუება, მაგრამ სულიერის სამართლით თავისას აწყინონ თუ სხვისას, საკანონო გარდიკადოს, ნუ იქნების გარდუტდელად. აქ ჯორცთ მოსამართლეთ ჳელი არა აქუთ.

ქ. თავი სამასოცდაორი

322. ქ. თუ ვინმე უშეილობისათვის ცოლი გაუშვას და ითხოოს ცოლი მეშვილე, საკანონო სთხოონ იმავ ცოლით?

მიგება სიტყუისა: სწერია [ზღრ. მუხლ. 161]. ძებნა და გასინჯვა მოსამართლისა იყოს, წმინდათაგან გადიდება ბძანებისა. დადვან და ჩვენ აზატით გაგიშვან დაძრახვისაგან.

ქ. თავი სამასოცდასამი

323. ქ. თუ მღღელნი თავის მიწა-წყლიდამ, ვენაჭიდამ ანუ ბალიდამ ქუას აგროებდეს ანუ გარდაღმა ისროდეს და ძრიელ ეცეს კაცსა და მოკუდეს, რა მართებს ან მასა და ანუ რიგსა მისსა მღღლობისასა, ეხუცებინება თუ არა? ანუ თუ ერისგანსა იმგვარად მოუტდეს, როგორც მართებთ საქანონოსი?

მიგება სიტყუისა: მკულელია. საქანონო უნდა გარდიჭადოს და მღღლობიდამ გარდააყენონ—ნულარა იქს.

იმგვარად,—რომელსაც მოქადაგეს გარიგებაში ეკრას და მამკუდარიყოს ჩეეულობაზე. და იმგვარად—მამა-შვილთა [2037] და სხვათა მისთანათა. ასრე კიდეე გაგზაენილმან მღღლობისაგან ყმამ მისსა მის გაპარულს ყმას მოეწიოს და ქრას რაგინდარა და მოკლას, მასუკან მღღელთან მოვიდეს და თქუას—არ¹ გარდააყენებს: არიყო მღღელი, რომ ამისთანა საქმე ქნა—იმგვარად ესეც უნდომლად სიკუდილია. რიგი გვასწავლის ანუ სხვათა ამისთანაებს. ისრე—მოკდეს და ჩავარდეს ქალაქსა სადაცა ამისთანა საქმე, თუ ვინ ვის ნადირობაში ესროლოს ნადირსა, ნებითა თუ უნებურად, რაც რომ იყოს, და მოხუდეს, რომ ეცეს მტერსა, რომ მაზე გაიხაროს.

სამართალი ჯელმწიფისა არის, თუ სხვაგვარმა ურჯულომ ქრისტიანი მოკლას უნებურად, ნების მოკულების ალაგს დავდევით სამართალი [იხ. მუხლ. 152, 383]—იმათგვარათ აგებულობითა სკიოთ სიხარული ჩვენის დაკარგვისა, მაგრამ მართებს უნებურად მკულელსა განდობა კანონისა სწორე სამართალზე.

და თუ მოსამართლეთა ჯელთა ჩავარდეს, მათაც უნდა სწორედ გასინჯონ: ნებითა და უნებურად სიკუდილი. ვისიც ვისგან იმ ორთა შუა როგორ მამქდარა, მათ მათრიგი სამართალი უყონ. და სხვა მართლა ქვეშარიტი სრულად წმინდის ბასილის კანონისაგან ისწავლით.

ქ. თავი სამასოცდაოთხი

324. ქ. ვინც რომ ლაშქარში კაცი მოკლას, მამათა ჩვენთა არათ ჩააგდეს ცოდვათ და ჩვენც მოწონებით გაუსინჯეთ ეს რიგი და ამ

¹ აქ A.

რიგისა მიღევნა. მაგრამ [204r] კელის გაწმენდისათვის კარგია, რომე სამი წელიწადი გარეთ ილოცოს ზიარების პატივისცემისათვის და ჩვენის ქრისტიანობის რიგის გადიდებისათვის*. და სხვა-რიგად არც მოსამართლეთაგან და არცა რა სხვა დაედების.

ქ. თავი სამასოცდახუთი

325. ქ. მამათა, ვისაც შვილნი მისნი არ მორჩილობდენ, რაც რომ ხულებოდეს საქონლისა მათგან, მისცეს მათ სიყუარულითა და დააყენონ¹ თავიანთთანვე², ამიტომ რომ ავი საქმე არა მოვლეს რა.

და თუ ცოლიც შვირთონ, ისრე უყონ. ეს არის ღმრთის საამო საქმე, როგორც რომ პავლე მოციქული ბძანებს**»: «ძმანო, გიყუარდეს შვილნი თქუენი»*** და სხვათა. ეს გამორჩევითა დაიდვა.

ქ. თავი სამასოცდაექუსი

326. ქ. თუ ვინმე დახოჯავებული იყოს ანუ თავისთავად წამქდარი და ცოლი შვირთოს, და შეუტყოს საქმე მისი, შეუძლია დგომა და გაშვება ცოლსა. თუ გაუშვას, ვინც უნდა შვირთოს. და იმრიგს კაცს ნახევარი ქონებისა გამოართვან და მისცენ მას ქალსა, და ჯარიმაც გამოართვან—ფარისველობით და ტყუილად შეურთავს და გვირგვინის კურთხევა შეუგინებია, და სამს წელიწადს მონანებაში იყოს და საკანონო გარდიჯადოს მან კაცმან პილწმან****.

ქ. თავი სამასოცდაშვიდი

327. ქ. ვინც ვისიც რამ შექამოს ადგილს სადაც, უნდა ერთისათვის ოთხი მის[204v]ცეს. თუ პატრონს ველარ მისცეს, საკანონო გარდიჯადოს გლახის მიცემითა, საბრალოთ შებრალეებითა*****. თუ ვისაც ამისთანა საქმე მოუხდეს, სამართალი ეს არის.

ქ. თავი სამასოცდარვა

328. ქ. თუ ვინ ვის დაუწვას შეკაზმული ჭირნახული, აზღვევინონ მას ერთისათვის სამი, თუ არადა ათს წლამდინ ინანოს, საკანონო გარდიჯადოს და პატრონს თავისი მისცეს***** ეს—რიგისაგან [იხ. მუხლ. 226].

ქ. თავი სამასოცდაცხრა

329. ქ. თუ ვინ ვის კელოსანს წაართვან რამე, უნდა მისცენ ერთისათვის ოთხი, თუ არადა საკანონო გარდიჯადონ ბძანებითა

¹ დაყენონ A. ² თავიანთთანვე A.

* მე-8 კანონი ბასილი კესარიელისა. ** იქვე, 27-ე კანონი. *** ეფს. 6. 4; კოლას. 3. 21. **** 44-ე კანონი ბასილი კესარიელისა. ***** მე-7 კანონი გრიგოლ პართაველისა (განმანათლებლისა) ***** 88-ე კანონი ბასილი კესარიელისა.

მოქადაგისათა*. გამოჩენილია სამართალში, იმგვარად მამქდარი საქმე უნდა უზღონ. და თუ არ შეეძლოს მიცემა¹, საკანონოც გარღიჯადონ ჩუმათ, და შემძლე თუზღონ.

ქ. თავი სამასოცდაათი

330. ქ. თუ კაცი ვინც მიიცვალოს და დარჩეს ვაჟიცა და ქალიცა², დანარჩომი მშობელთა აილოს ორმა და მ ერთს ცმასთან და მისცენ სწორედ ასრე წილი რიგით. წინა სამართლებშიაც დავწერეთ და დავდევით ეს სამართალი [იხ. მუხლ. 251, 252, 254].

თუ მამის სიკუდილის დღეს ქალი რომელიც მამის სახლში იყოს³ დაუსახლებელი, მან ცმასთან აილოს წილი და, რომელიც გათხოვილი, გასული და დასახლებული იყოს, ორმა დამ⁴ ერთის იმის წილი აილოს. [205r] აგრევე, თუ ვაჟს ქალები დარჩეს, ვაჟის შვილიშვილთა ორმა დამ ერთის⁵ ვაჟის წილი აილოს პაპისა და მამის საქონელზე, რაც იყოს.

და თუ გაუთხოვარი ქალი შინ იყოს, ვაჟთან წილი არ უნდა დააკლონ, ამიტომ რომ ვაჟი უფრო ადვილად დარჩება ქალისაგან. ეს ჩვენ გამოჩენით ვქენით და დავდევით და ნება მოსამართლისა არის. და სხვას ჩვენც სხვას სამართალს დავდებთ. მოკდების და ბევრი იქნებიან დასახლებულნი ქალნი და ორისათვის ერთი წილი, გვიოქუამს, ეყოფის მათ.

და თუ ორი ცოლი ყოლოდეს მათ მამას და ორისაგანვე დარჩომოდეს ვაჟიცა და ქალნიცა, არ ერგების⁶ წინაპირველის ცოლის შვილებთან უკანას ცოლის შვილებს სწორედ წილი. მათ ცოტა რამ ნაკლები მიეცეს, როგორც რომ დავუწერია სხვას სამართლებშია [იხ. მუხლ. 252].

და⁷ მამის სახლის უმცროსის შვილისას ჩვეულ არიან მიცემას. მაგრამ უნდა დახედონ ადგილს, რომ აქუს შეძლება. პირველს, უფროსს პატივი სცენ, როგორც რომ შეგვიტყობინებია ზეით სამართლებშია [იხ. მუხლ. 261], და სხვა სწორედ გაიყონ. უფროსისა მეტი იყოს უფროსობის პატივის გულისათვის.

ქ. თავი სამასოცდათერთმეტი

331. ქ. იყუნენ რიგის დადებით და კანონის ბძანებით, დაწერილი⁸ საღმნის⁹, სამართალი დადგეს სისხლისა და ის, რომ:

¹ თუ არ შეეძლოს მიცემა] შეძლებით A. ² ქალიცა]+ და AB. ³ იყოს]+ და A. ⁴ დამ A. ⁵ ერის A. ⁶ ეგების A. ⁷ და]—A. ⁸ დაწერილით A. ⁹ სოლომონისათ A.

* 105-ე კანონი ბასილი კესარიელისა.

უწინ იყო, დაუშავებლად იქნებოდა*. მაგრამ პატრონობისა შეიქნა, რამეთუ შაგირდნი მოჰმადის ტყუილ[205v]ლის ჰძანებისა სიყუარულითა ნახევედენ,—ყმაწვილნი და სხვა ჩვენთვის მდომე პატრონი იყოს. თქმულია, არ იხსოვნოს შეჭირვება მისი, სიხარულისათვის— დაიბადა კაცი ქუეყანასა. „დაბადებული ჯორცითა ჯორცია“***. ჯორციით დაბადებული ჯორცთა დამპატრონებელი იყოს, როგორც ღთის დაბადებული—ღთისა.

მაგრამ, თუ ორსულად იყოს ჯორცია, მოგონი, რომ მოკუდეს ქმარი მისი, უყურონ მოსამართლეობა დაბადებამდე და იმგვარად დააპატრონონ¹. თუ დედა მისი იცვლდეს, შეიღოს ყოლაზე მიიცივალოს, ყმაწვილი დააპატრონონ. და თუ ყმაწვილი იმავე დღეს მოკუდეს და დედა მისი დარჩეს, დაპატრონდეს საპატრონოს.

და თუ დედა-შვილი ორნივე მიიცივალონ, თუ ვაგი არ დარჩეს, ქალი დაპატრონდეს; და თუ არც ქალი დარჩეს, ქალის შვილი ვაგი დაპატრონდეს; თუ არც ის იყოს, ვისაც სიკუდილის დღეს ანდერძი უყოს, ის დაპატრონდეს.

თუ სიკუდილის დღეს ქონება და საპატრონო ანდერძით არავის დაუმტკიცოს, სიკუდილის დღეს უკან დაპატრონდეს, რომელიც უფრო ახლო ნათესავი იყოს, როგორც რომ რაგში და სამართალში გარიგებულია [იხ. მუხლ. 251]. არათუ შორეული.

ქ. თავი სამასოცდათორმეტი

332. ქ. თუ მოკუდეს, ასრე შვილი მიეცეს, რომე არც სულ არ ჰქონდეს გულში შეტყობა, აძრივი არ არის დამპატრონებელი, რომ ვერას შეიტყობს მამულის საქმისას და გარიგებისას, [რადგან] მამისაგან დაბადება ამგვარისა მოკდეს. აბა; მას[206r] უკან მის ჭირს უნაღლონ, ეცადონ ღთით მის შველას. და თუ გამთელდეს და გაწმედეს მის ჭირისაგან, საპატრონო მიიბარონ და დაპატრონდეს. და თუ არ გამთელდეს, ვერ დაპატრონდეს და შებრალებით შეინახონ სიკუდილამდინ.

და თუ სხვა ცარი იყოს: კოკლი ანუ ბრმა, ანუ ბნელიანი, არ იყოს შეუტყობარი ანუ ასრე არ იყოს, რომე თავის თავის რჩოლა არ იცოდეს, და ჭკუაზე არა სჭირდეს, რა, ან იყოს კუტი და საბყარი და ჭკუით ბრძენი—და სხვანიც ამისთანანი რომე ბევრნი არიან, — დაპატრონდენ მამულს, ნუ გარდაადგდებენ საპატრონოდამ.

¹ დააპატრონო AB.

* გამოსვლათა, 21, 22, 24. ** იოანე, 16, 21. *** იოანე, 3, 8.

და რომელი იყოს უჭკუო და უსმინარი, შეინახონ სიკუდილამდის მართებულად შებრალებით, როგორც ზემო გვაჩვენა.

და ქირიანთათვის ესრეთ იცოდით სამართალი: წინათ კერპთმსახურნი უჭიროთა და კარგადმყოფთა კერპთა მიაართმევდენ ფეშქაშად* და ქირიანს იმათ კრებულსა. სამღვთო ასრე: უჭირო და უწინკო სულითა და ჯორციით ღთისათვის იყოს ფეშქაშად კაცთაგან. და დაპატრონება ქირიანთაგან არის ავი.

ქ. თავი სამასოცდაცამეტი

333. ქ. ანდერძი იყოს, როგორც რომ ასწავლის კანონი. სამის დღის ავადმყოფმან დაუძახოს იქ მღვდლებს [და] მეპატრონეთ¹ საყდრისა, და სამის მოწმით ქნას ანდერძი. და ყოველი, რაც სახლსა მისსა იყოს², ანუ სულისათვის რაც გაუშვან, [206r] ანუ ვის რა მისცეს და დაუგდოს, ილაპარაკოს თავის ნებითა. და თუ იმ დღეს მოჭდეს სიკუდილი კაცის მის, დამტკიცებით იყოს ის ანდერძი, თუ არ იყოს ჭკუილამ წასული. არათუ როგორც მოკმადიანნი: უკან ორმოც დღენდინ [თუ] დარჩეს³, დამტკიცდეს ანდერძი.

მაგრამე დამტკიცებული ანდერძი სიმრთელით⁴ უნდა, რამეთუ ეს ნათქვამი საძულველი და მოუწონარი არ არის,—ნებით უნდა ქნას, აბა [ავადმყოფისა], არევით ინახვის.

თუ მოჭდეს, რომ ანდერძი გამოსცვალოს თავის ნებით ავადმყოფმან, შეუძლია და ანდერძი მის სიკუდილს უკან დამტკიცდეს [თანხმად] მოციქულთა⁵. [მაგრამ] ღთისათვის⁶ ქმნილი ანდერძი დამტკიცებით იქნეს, გაუთავდეს, რაც ილაპარაკეს პირით შეპირებებაში,—„აღთქმა დადევით და გაუთავეთ“^{***}. რაც რომ წინაშე გქონდეს საქნელად გათავებული, გაუთავეთ; რაც რომ სიკუდილს უკან უბრალოა, მას უკან გაუთავეთ. თუ გამოუცვალონ ის ნათქვამი, მომატებისა შეძლება აქუთ და არა დაკლებისა.

ქ. თავი სამასოცდათოხმეტი

334. ქ. თუ ცოლ-ქმართა ერთად ბევრს ხანს დაეყოს ერთმანეთთან, შვილი მისცემოდეს, მათი ალალი იყოს და სხვადასხვისა არ იყოს მათს ერთობაში ქონება, მკუდრისა [სამარხავად] იყოს. მაგრამ, თუ გამოჩენით დედაკაცისა იყოს ქონება, [დამარხვა]

¹ მეპატრონე AB. ² იყოს—A. ³ რჩეს A. ⁴ სიმართლით B. ⁵ ღთისაგან A.

* ლევიტ. 1,10; 3,1-6. ** ებრაელთა, 9,16;17. *** რიცხვთა 30,3.

მებატრონისა იყოს. თუ ჯელი შეუდიოდეს კაცსა, მკუდარსა და წილდეს; [207r] თუ არ იყოს,—მათი დაპატრონება ნუ.

და თუ უშვილო ღედაკაცთან ქმარი მისი ერთად ბევრს ხანს ყოფილიყუნენ, [დამარხვა] ქრმისა იყოს, არ იყოს სხვისა წილის დაპატრონება რისაც,—მისაზე სხვათ ჯელი არა აქუთ.

და თუ ცოტას ხანს ყოფილიყუნენ ცოლ-ქმარი, იმრიგი ერთად ერთმანეთთან არ მისულიყუნენ, ამისთანას ქალისა, რომ მიციკვალოს, ნისი რაც ქონდეს, სამშობლონი დაპატრონდენ, და არა ქმარი.

და თუ მისცემოდეს მასთან ან ვაჟი და ან ქალი, ყუანდეს, თუ კიდევ დაჯოცოდეს, იმრიგის ცოლის საქონლის დაპატრონება ქრმისა არის. და ამ სამართლებით მოჯდომაზე ვისაც დარჩეს, მის სულსაც მათ უნდა მოაჯმარონ მართებულად. წინათ თუ უკანა, მეორე, ცოლქრმობა, ასრე ერთი ისრეე იქნას.

მაგრამ მკუდარი კაცისა, რომელიც იყოს ნათქუამი, ყოველი მკუდრისაა ნაშენი მისი ვაჟი და ქალი, და ცოლიც მასთან მებატრონე იყოს; და თუ უშვილო იყოს, ვერ დაპატრონდეს [ცოლი], მაგრამ ცოტა რამ ნიშანის წილი მისცენ მას სახლის მოვლისათვის.

და თუ მალ მოკუდეს კაცი და დარჩეს ცოლი მისი ისრეე ქალწულად, ის ვერ დაპატრონდეს. თუ ნაშენი [ჰყოლოდეს ან ოქრო, ან რაც ფერი ქალისა ზითევი თვითან გაიტანოს, და ტანისამოსი, რაც გაცევთილა, ქორწილის ხარჯი, ყველა ჩაივლის. მაგრამ, თუ ქრმისა ნამალევათ აულია რამე, ისეე ქრმის სახლისკაცს უნდა მიუბრუნოს.

[207v] ქ. თავი სამასოლდათუთხმეტე

335. ქ. თუ ვინ თავისი რაც მქონიერობა მისცეს ამხანაგსა თვისასა საბაბითა ყიდვად, და მტერობით იბრიყოს, მოატყუოს ტყუილის ფიცით, თვითან მოიწონოს და ტანსა მისსა მოიჯმაროს, ამხანაგთა მოტყუებისა და სიბრიყუისათვის, შეჩვენებული შეიქნას კაცი იგი და ნურავინ აიღებს შეჩვენებასა იმრიგსა გამსყიდველთაგან*.

ასრე დადევით სამართალი ამხანაგისა. უნდა მისცეს დაუშალავად, სწორედ უთხრას, რაც სინჯი ქონდეს, სულიანი რამ იყოს თუ უსულო, უნდა სამართლით გაყიდოს, რომე შუაზე სასამართლო საქმე აღარა დაადოს რა**.

მაგრამ, თუ სხვაგვარი რამ იყოს, გაცხადებით თქუას, და მოწამე ყუანდეს ამისი, რომ სცოდნოდეს გამსყიდველსა, შეუძლია შე-

* მე-202 კანონი ბასილი კესარიელისა. ** გამოსლვ. 21-28.

ბრუნება დატყუებისათვის. და თუ არ სკოდნოდეს და მართლის გულით მიეყიდნოს, ვერ შეუბრუნოს.

ვისაც რაც გასასყიდლად უნდოდეს, უნდა თქუას სიავეცა და სიკეთეცა. და თუ თავის საქონლის სიავე იკოდეს და არა თქუას, კანონის შეჩვენების ქუეშ არის. რომ დატყუებით და ფიცით მიჰყიდოს ამხანაგსა მისსა, როგორც ქურდმა და ყაზახმა, ისრე უნდა საკანონო გარდიჟალოს.

ქ. თავი სამასოცდათექუსმეტო

336. ქ. თუ ვინმე წავიდეს ტყუილ მოწმად და ჩაადოს კაცი მისმა სიტყუამ სიკუდილსა და ანუ სხვას გაჰირებაში, კაცმან იმ-რიგმან ხუთი წელი[208r]წადი ფეხზე დგომით ჰყოს სინანული და საკანონო გარდაიჟალოს ერთს წელიწადს გლახის მიცემითა. მერმე ღირსი შეიქნას რიგისა*.

სამართალი ესე მეორე დავდევით კიდევ [იხ. მუხლ. 258]. თუ ასე დაბეზლდეს იმისის ტყუილის მოწმობითა, რომ სიკუდილს კი მორჩეს და ჯარიმა და წასართმევი¹ წაერთვას, წაურთმევლად ვერ მორჩეს, ამისი სამართალი ეს არის: რადგან მართალი შეამცნიონ მას მოწამეს ტყუილი მოწმობა. რაც რომ იმ მოწმის სიტყუით ზიანი სცემოდეს და წართმეოდეს, უნდა მისცეს.

და საკანონო, რაც ზეით დაგვიდებია, ის უნდა გარდიჟალოს კანონის ბძანებით.

ქ. თავი სამასოცდაჩვიდმეტო

337. ქ. თუ ქალი ქანწული იყოს და კაცი ქურივი და ცოლ-ქრზად შეიყარონ, და ის ცოლიც მოუკუდეს მას კაცსა, მან სხვა ცოლი ველარ შეირთოს.

ვინ იცის, რომ მოჭდეს ავის აგებულობით და გავიდნენ რიგიდამ, ვინც მლდელმან მას კიდევ ჯვარი დასწერონ, გარდაყენონ მლდლობიდამ, და მან კაცმან სამის ცოლის შერთვის საკანონო გარდიჟალოს**.

წმინდის ბასილის კანონიდამ შევიტყევეთ და ასრე დავარიგეთ სამართალი. არამცთუ მლდელმან ვერცხლის სიყუარულით ქნას, და აილოს რამე და მისთვის ქნას,—იმის სამართალი კიდევ სხვა იქნას.

ქ. თავი სამასოცდათურამეტო

338. ქ. თუ ვინც კაცმან ცოლი ითხოოს სიტყუითა მლდლი-სათა და ორის-სამის [208v] მოწმითა, და ქალსაც ეყაბულეზინოს,

¹ წასართმევი წასართმე A.

* 201-ე კანონი ბასილი კესარიელისა. ** იქვე, 207-ე კანონი.

იმისი გაშვება და სხვის თხოვნა აღარ შეუძლია*. და თუ იყოს ბოზი და ან თავისით წამქდარი იყოს და გაუმთელებელი ჭირი სჭირდეს, მართებულია გულის დაჯერებისათვის ექიძს აჩვენონ.

და თუ არა ეშველებოდეს რა, რადგან კურთხევა გვირგუნისა არა მისულა, შეუძლია გაშვება და სხვის თხოვნა ჩმრიგი საქმისა და ჭირის¹ გულისათვის. და თუ ისიები არა სჭირდეს, ვერ შეუძლია გაშვება.

ქ. თავი ხამასოცდაცხრამეტი²

339. ქ. თუ დედაკაცი თუ კაცი ჭირიანი იყოს ანუ ბიჭთან ურიგოდ მქცეველი, ანუ ავის ჭირის პატრონი, ნუ შეჭყრიან ცოლ-ქმად და ნუ წააგდენენ გუირგვინის კურთხევასა.

და თუ ვინმე ქნას შეყრა ერთად, იმჭირის პატრონთა რაც საქონელი ქონდეთ, იმისი ნახევარი საყდარს ჯარიზად მიართვან და სამს წელიწადს სინანულში იყოს, და საკანონო გარდიჯადოს**.

აბა, თუ არ დაიშლიან შეყრას, ასრეა მართებულნი: თუ სულიერი ჭირი სჭირსთ, თუ ჯორციელი, უნდა პირველ გაწმდეს ჭირისაგან და მასუკან, წმინდად გაწმენდილი, შეიყარნონ.

ქ. თავი ხამასორმოცი

340. ქ. აზაებისთვინ დავდევით ეს სამართლები, შეყრა ცოლ-ქმართ იქნეს კანონითა თუ არა?

მიგება სიტყუისა: ბრმისა დაბადება³ მისგვარად [209F] მისი ნაყოფი არ იქნების და აზას აქუს დასტური შეყრისა. მაგრამ რომლისათვინაც არ შეიყრების?

მონაობისას, იტყუიან შეყრასა ექიმები, მაგრამე არ იქნების, და მისსა ნაყოფსაც გამოჰყუების⁴. ამისთვის არ შეიყრების, რომელიც რომ ჭირი ავი და ინელი, უმთელებელი და გარდამდები და ანუ ნაყოფთა გამოჰყუების.

და თუ კოჭლი და დიად დამტურეული არ არის, და ანუ შეუძლია რამე, ან სწავლა ტელოზისა რამ იცის, და ანუ შენახვა შეუძლია, იმრიგს დასტური აქუს ცოლის შერთვისა.

თუ ორისავ თვალით ბრმა იყოს დედაკაცი, არც შეედლოს შვილის გაზდა და არც მოვლა სახლისა. თუ კაცს უნდოდეს და დასჯერდეს, და იყაბულოს, და მას შეედლოს შვილისაც და სახლისაც მოვლა, კარგია, თვითან იცის, შეიყარნენ. თუ დედაკაცი ან

¹ და ჭირის] ჭირიგის A. ² სმსოცდაცხრამეტი A. ³ დაბადებისა A.

⁴ გამოჰყუების A.

* 208-ე კანონი ბასილი კესარიელისა. ** იქვე, 209-ე კანონი.

კაცი ყრუ¹ იყოს და სხვაფერად ჰქუიანი და ჰელგამამავალი იყოს, შეიყარნონ.

თუ მუნჯი იყუნენ ან ქმარი და ან ცოლი, პირუტყუსავით იქნებიან, ვერ შეიყარნონ.

ქ. თავი სამასორმოცდაერთი

341. ქ. თუ ვის დედაკაცს ელაპარაკოს სხვაგვარისათვის, რომ ჯერ არ შეყროდეს ქმარსა მისსა, და გამოჩნდეს მისი ავი ნაქნარი, კაცსა შეუძლია გაჰმეებაცა და თხოვნაცა. თუ საყდარში შესულიყუნენ, ნუ გაუშვებს, და თუ გაუშვას, ქურივი ეთქმის და სამს წელიწადს სინანულით საკანონო გ[209v]არდივადოს*.

და ესეც დავდევით: თუ გვირგვინი უკუროთხეველი იყოს, და-ნიშნული გაუშვას ბოზობის გულისათვის; და თუ საყდარში შესული იყუნენ, საყდრის პატივის გულისათვის ვთქუით, რომ ვერ გაუშვას.

და თუ ჩვეულობა ქონდეს ავის საქმისა და გვანდეს, რომ ვერ მოითმენდეს, გაუშვას.

ქ. თავი სამასორმოცდაორი

342. ქ. ყმაწვილთა გვირგვინს ნურვინ უკუროთხავს სანამდის დრო არ იყოს და მოწონება და ნება თავიანთი² შეიტყონ. თუ ვინც მლდელთა ქნან და არ გაიგონონ, გარდაყენონ მლდელობისაგან, ასი დრამი ვერცხლი წაართვან ჯარიმა და საყდარს მისცენ. და ვაჟი როდისაც ჰქუას მოვიდეს, ვინც უნდოდეს, შეერთოს**.

მაგრამ ამისთვის ერთმანეთის უნახავად და უნდომლად არ შერთონ ერთმანეთსა. თუ ერთმანეთი არ მოიწონონ, შეტყობა არა ჰქონდესთ, არა არის მართებული, რომ შეყარონ ცოლ-ქრმად ერთმანეთის უნდომლობისა და უნებურობისათვის.

ეს სამართალი დავდევით³ და საყდრისა არის ეს სამართალი.

ქ. თავი სამასორმოცდასამი

343. ქ. თუ ქალ-ვაჟნი ორნივე ერთის ძუძუთ, ერთის დედაკაცისაგან დაზდილნი იყუნენ, უცხო და უცხო, მართებთ ცოლ-ქრმად შეყრა მათ თუ არა?

მიგება სიტყუისა: არ არის მართებული და ნურცავინ იქს—მზობელი და ძუძუთ გამზრდელი⁴ ერთია.

¹ ყურუ A. ² თავიანთი A. ³ დავიდევით A. ⁴ გაზდილი AB.

* 210-ე კანონი ბასილი კესარიელისა. ** იქვე, 218-ე კანონი.

[210r] ქ. თავი სამასორმოცდათხი

344. ქ. ვინც რომ სამანსა და სამძღვარს შეეცილოს ამხანაგსა, როგორ არა არის¹ ეს?

მიგება სიტყუისა: რომ დასწერა მოსემ რიგი ბძანებითა ღთისათა, მივიდეს მაზედ ის წყველა თავსა მისსა ზედა, შეიქნეს შეჩვენებული სიცოცხლით და სიკუდილით.

შეიტყონ შემცილებელთა სამძღურისათა და შეშინდენ, სამართალი ღთიურია². თუ რამ იყოს შეცილებების სალაპარაკო მინდურისა და მიწა-წყლისა, მოწმებით გააშორონ. მგონია, რომ ასრე სჯობდეს ფიცსა, თუ ფიცი იქნას. მაგრამ არ არის მართებული, არ ვარგა და ავია, რომ ჩნდეს მოწამე და ფიცვედენ, ნუ დაიფიცვენ, არა, ბძანებასა არ მივეცემთ ფიცისასა.

მაგრამ ვინც გულის უჯგრობით მოაგდინოს, როგორც რომ ზეგით გუითქუამს [იხ მუხლ. 258], ისრე უნდა გაცხადებით ორითა და სამის მოწმით დამტკიცდეს ყოველი საქმე და ფიცი მოსარჩენია [შდრ. მუხლ. 257].

ქ. თავი სამასორმოცდახუთი

345. ქ. თუ ვინ გაუშვას შეილების დედა, ცოლი თვისი, უბოზრად ანუ კუდიანობისათვის, ანუ სხვა რამ ტანსა მისაში ქირი იყოს, თუ კაცი გამშვები მებოზვარი იყოს და სხვაზე თვალი ქონდეს, ეს იყოს მისი სამართალი: შეილნი, სიცოცხლე-ყოფა, სახლ-კარი, საქონელი, მიწა-წყალი, ყოველი რაც, შუა გაიყონ. თუ ნება იყოს დედაკაცისა უქრმოდ დადგეს გაშვებული, ნახევარი, რაც რომ არის, ყუელას ჯელი მოჰკიდოს, შეილითა; საჯელმწიფო ხა[210r]რჯი რაგინდარა იყოს, დაედვას, უნდა მისცეს.

და მან კმარმან მისმან, რომ გაუშვა, შეიდს წელიწადს მონანებით³ საკანონო გარდივადოს, საყდარს ჯარიმა მისცეს: თუ აზნაური იყოს, სამასი ღრამი, და თუ გლები იყოს, ასი ღრამი მისცეს საყდარსა გუირგუინის კურთხევის⁴ შეგინების მაგიერად, გარდაგდებისათვის.

თუ დედაკაცმან ვინც ის ცოლის გამშვები კაცი შეირთოს, შეიტყვევით, რომ წინაპირველი ცოლი იმან გააშვებინა, დაიქირონ ის დედაკაცი, და სადაც მონაობიანი დაშლილი ავი ავადმყოფი გლახანი იყუნენ, ერთს წელიწადს იმათ ამსახურონ და მოავლე-

¹ არის] რის A. ² ღთიურია A. ³ შეიდს წელიწადს მონანებით] მივიდეს. მონანებით წელიწადსა და A. ⁴ კურთხვის A.

ბინონ. თუ აზნაურშიველის ქალი იყოს და ვერა ქნას მათი სამსახური, ასი დრამი ვერცხლი ჯარიმად¹ იმრიგთა ავადმყოფსა მიართვას*.

ეს დავდევით კიდევ ბძანება კანონისა: თუ მან ცოლის გამშვებმან კაცმან მოინანოს და საკანონო გარდიჟადოს, მასუკან გულმართლად დაბრუნდეს მისის ცოლისაკენ და სხვა ცოლი აღარ შეირთოს, უნდა მან ღედაკაცმან და მან კაცმან ერთმანეთი აღარ² გაუშვან ცოლქრძობით.

ქ. თავი სამასორმოდაექუსი

346. ქ. თუ ვინ ცოლი შეირთოს და მოვდეს, რომ უშვილო გამოდგეს და ქმარმან გაუშვას უშვილობისათვის, თუ რამ მიჰყოლია მას ღედაკაცსა—მსახური თუ მხლებელი, ანუ პირუტყუი თუ ტანისამოსი, ოქრო თუ ვერცხლი,—გამოართვას და გავიდეს. თუ უშვილობას გარდა სხვას სინჯისათვის მოინდომოს გაშვება [211r], ათასორასი დრამი ვერცხლი³ ჯარიმა მისცეს ცოლსა, თუ აზნაურ-შვილი იყოს; და თუ გლეხი იყოს, ექუსასი დრამი მისცეს..

მაგრამ, თუ ამ სამართლის გარდაწყვეტამდი თუ ვინმე ღედაკაცმან ის კაცი ქრმად მოინდომოს, დაიჭირონ ის ღედაკაცი, რომ გამოჩნდა ცხადად, რომე მის კაცის ცოლის გაშვების საბაბი ყოფილა. მას ღედაკაცს ამსახურებინოს და მოავლებინონ მონაობიანთა და დაშლილთა ავადმყოფთ, გლახათა, ამსახურონ და ასი დრამი ვერცხლი⁴ საყდარს ჯარიმა მისცეს. თუ აზნაურის ქალი იყოს და ვერ შეიძლოს ავადმყოფის მოვლა, ასი დრამი ვერცხლი მათ გლახათ მისცეს.

თუ კაცს უწინვე იმ ღედაკაცისათვის პირობა დაედვას, ჩემსას გაუშვებ და შენ შეგიერთათ, ასი დრამი ვერცხლი ჯარიმა მათ გლახათ მისცეს და საყდარსა, და სამს წელიწადს უნდა ფეჭზე დგომით მონანებაში იყოს და საკანონო გარდიჟადოს ერთს წელიწადს ჭელის გაცემით გლახათა. და მერმე შევიდეს საყდარში.

თუ ვინ შეიღებებს ღედამ გაუშვას ქმარი, რომ არ იყოს ბოზი ანუ ჭირისათვის, ქრმისა და ცოლის გარისხება⁵ და ჯარიმა და საკანონე რაც ზემო ცოლ-ქრმის სამართალში დაგვიწერია, ის გარდააქდევინონ**. რაც ჩვენის შეძლებით და შეტყობით შევიტყევით, ეს დავდევით. ახლა შეგატყობინებთ მოსამართლეთა და ამას მოგატყენებთ, ყოველთა სამართალთა თავისი საკანონო უნდა.

¹ ჯარიმად]—A. ² აღარ] აღარ A. ³ ვერცხლი]—A. ⁴ ვერცხლი]—A. ⁵ გარიგება A.

* მე-4 კანონი შაჰაპივანის კრებისა. ** იქვე, მე-5 კანონი.

[211v] ქ. თავი სამასორმოცდაშვიდი

347. ქ. თუ ვინ დედაკაცი გავიდეს ქრმისა მისის სახლიდამ, დაიჭირონ და მას დედაკაცის ძმას მიაბარონ, მანამდინ ქრმისა მისისა დანაშაულს შეიტყობდენ და მის გასულის საბაბს. თუ უყიღია, მოახლედ დაუსვამს და მასუკან ცოლად შეურთავს, თუ ისრე ნათხოვნია, ქალი იყოს მანამდი ძმასთან. ორისავე საქმე შეიტყონ. რადგან გვირგვინი უქურთხავს, არ გაიყრებიან, თუ არ ბოზობისა და რომელიც მაგისტანა საქმე მოკდეს ძნელი, რომელიც რომ გზას აჩვენებს. დაუძახონ მას დედაკაცის ქმარსა.

თუ დედაკაცი მის ავნაქნარობას გამოსცლოდეს, ავისა და ბოროტის მქნელი იყოს, სცენ და დაარიგონ და ამოაკუეთინონ ავი საქმე ყოველი. თუ მან კაცმან პირობა დაუდევს ავის საქმის ამოკუეთისა, მოსამართლეს უნდა შეეყარონ ერთგან და დაამორჩილონ. და არ გაიყრებიან ჩვენის კანონის ბძანებითა გუიორგვინ-ნაკურთხნი*.

მაგრამ ამისთვის დაეწერეთ ზოგან გაზორვების გზებია [იხ მუხლ. 162], ვინ იცის, რომ მოკდეს ასეთი საქმე, რომ სიკუდილი კდებოდეს. ჩნდეს გაცხადებით იმისთანა საქმე ამისთვის ვთქუით, რომე სიკუდილი არ მოკდეს.

ქ. თავი სამასორმოცდარვა

348. ქ. თუ ვისაც კაცს ვისიც ქალი უნდოდეს, სთხოვდეს და არ აძლევდეს, ან ითხოვოზ, ან უთხოვენელი, ან გათხოვილი** მოიტაცოს ქალი, მისის მამისა და დედის უნებურად წაეყუანოს სადაც, წაართვან მას კაცსა და მამას მისცენ თავისი [212r] ქალი, და საუპატიო მომტაცებს წაართვან ათასორასი დრამი ვეცხლი¹ ჯარიმა, თუ აზნაურიშვილი იყოს, და, თუ გლეხი იყოს,—ექუსასი დრამი ვეცხლი¹.

და ვინც მას ტყუილს სიძეს მიჰყოლოდეს თან, მათ ას-ასი დრამი ვეცხლი¹ წაართვან და ესეები შუა გაყონ: ნახევარი საყდარს მიართვან და ნახევარი კელმწიფესა.

და თუ ის ტყუილი სიძე ქალთან მისულიყოს და გაეწბილებინოს უგვირგვინოდ, საყდარ ჯარიმა მიართვას და საძი წელიწადი მონანებით საკანონო გარდიგადოს.

¹ ვეცხლი]—A.

* მე-6 კანონი შაჰაბივანის კრებისა. ** „გათხოვილი“ ჩაწერაღია სხვა ხელით.

და თუ მღვდელს მისის დედ-მამის მალვით და უნებურად მათ გვირგვინი უკუერთხოს, მღვდლობას ნულარ აქნევიანებენ და ასი დრამი ვეცხლი¹ ჯარიმა წაართვან და დამპირობა გლახაზა და საბრალლოთ გაუყონ. და მისგან მიღებული კურთხევა ურგებელია.

ამაგებს უკან თუ ქალმან და ქალის დედ-მამათაც ინდომონ და მისცენ ზას კაცს, თუ გვერთ მოსწოლია, როგორც ორ-ცოლნაყოლი, ისრე ჩაიგდების. მართალს გვირგვინს ნულარ მიიღებენ მათზე, ტირიფი მოაკრკალონ და ის დაადგან თავსა მათსა და ისრე დასწერონ ჯვარი.

და თუ ორნიც წმიდათ ყოფილიყუნენ და არ იყუნენ შერეულნი, მართალი გვირგვინის კურთხევა მიიღონ. აზნაური იყოს თუ გლეხი, სამართალი ეს არის*.

ამგვარი სამართალი სხვაგანც სწერია, მაგრამ აქ უფრო გაკუთილია ჯარიმა ამისთვის, რომ მოსამართლე არ დალონდეს ამგვარის [212v] სამართლისათვის, და დროსაც და შეძლებასაც დახედონ.

ამრიგი სამართალი უფისკობოზოთ და უმოქადაგოთ არ იქნას. ამგვარის ბოზობის ჯარიმა, რაც რომ ებისკობოზის კელთ მიეცა ჯარიმა, მისგან ნახევარი მაინც² გლახას უნდა გაუყონ. თუ მართლა სხვის ნათხოვნი ყოფილიყოს, მას უფროსად გარდაჯდეს**.

ქ. თავი სამასორმოცდაცხრა

349. ქ. მღვდელნი დიდობის სიყუარულისათვის ნუ შეიქნებიან ერთმანეთის. მტერნი და ინადნი. რომელიც რომ ბძანებითა ლ³თისათა გამოირჩია წინათვე სამღვდელოდ, ის უნდა იყოს უფროსად დეკანოზად***.

ეს არის სამართალი: რომელი რომელზე უწინ ნაკურთხი იყოს, ის უნდა წინ იყოს, თუ რომ იყოს შემძლე საქმისა და ღირსი უფროსობისა.

მაგრამ თუ კელიდამ არ გამოუიღოდეს და არ იყოს ღირსი, ებისკობოზის ბძანებით გამოირჩიოს კაცი ღირსი და შემძლე უფროსობისა, და მაშპირნე შემატებისა საყდრისა. მას უნდა მისცენ უფროსობა. ამით უფრო კიდევ მიეცემა, რომ მრავალნი მოწმობდენ მის სიღირსესა და გაძლოლასა საყდრისასა.

ქ. თავი სამასორმოცდაათი

350. ქ. მღვდელნი ნუ დაიპერენ ცალ-ცალკე და ნუ გაყოფენ სამწყუსოსა სიახლოვესა მათსა, რომე სიმძულვარეს ჩამოაგდებს

¹ ვეცხლი]—A. ² ნახევარი მაინც] ნახევარ A.

* მე-7 კანონი შაჰაპივანის კრებისა. ** „თუ მართლა... გარდაჯდეს“ B-ში არაა, ხოლო A-ში მიწერილია სხვა ხელით. *** მე-10 კანონი დუინისკრებ ისა.

წმინდას ეკლესიაში. უნდა საწესო და შესავალი ყოველი მათი სა-
ყდარში მისცენ, და იმათ, [213r] როგორც სამართალია, რიგით
გაყონ: უფროსსა მისცენ ორი წილი და ნახევარი და სხვათა
მღღლებთა — ოროლი წილი, მთავარ-დიაკონს — ერთი წილი, მგა-
ლობელს — ნახევარი; და ხუცის ცოლი რომ იყოს ქურივი, კარგი
სამსახურის მოქმედი, მორჩილი, მოსამსახურე საყდრისა, ნახე-
ვარი¹ წილი უმემურნელობით მისცენ.

ვინც ასე არა ქნას, შუაში მემშურნობა და სიმძულვარე ჩა-
შოადლოს, პასუხი გასცეს მისსა რიგსა, თავს დაიდევას სამართა-
ლი: ამხანაგნი მასთან ნულარ დაჯდებიან, ნულარც აღგებიან და
ნულარც მრევლნი მასლა იხუცებენ*.

ქ. თავი სამასორმოცდათერთმეტი

351. ქ. სამლოცველო და საწირავი და სამსახური წმინდის
ეკლესიისა უფროსი საყდრის დეკანოზს მისცენ, როგორც სხვას
თავშიაც სწერია. არ უნდა დეკანოზმა საყდარი გაუშეას და თავის
საქმეს შინ გამოუდგეს². ყოველ დღევ და ღამე წმინდას ეკლესიაში
უნდა იყოს და მის რიგსა და ლოცვას არ დააკლებდეს, და ყოველს
მის საქმეს ჭეშმარიტად იქმოდეს. გარიგება სანწყისოსი და ქადა-
გება³ არ უნდა დააკლოს**.

ქ. თავი სამასორმოცდათორმეტი

352. ქ. ნება იქნა ჩვენი მათი იმათისა ცოტა რამ დაწერისა, —
არათუ ცოტა რამ მტერობა და მემშურნობა იქნა ამ ქუეყანას
მათ ერისკაცთა, [213v] მღღელთა და მეუღაბნოეთა უკან. გულში
ჩავიგდეთ კანონი დიდის ისაქისა, რარიგად შვენიერად რიგი გა-
ყოფს მონასტერსა და საყდარსა, რომ დღეობას ახლა აირია და
წაქდა ყოველი⁴. და ამიტომ ველარას ვამბობთ და დაეჭუმებულ-
ვართ: ამისთანას სამართლებიას⁵ თუ წმინდანისაგან არ ეშინიათ
და არა რცხვენიათ სამართლისა და საქმისაგან, აბა, როდის შე-
ირცხვენენ მკუდრის სხვისაგან.

თუ⁶ ამათი სამართალი უნდათ კაცთა რომ გაასწორონ, იმა-
თით ღირსია, რომ გარიგდეს, არათუ სხვაგვართა. რომ თუ გეგო-
ნოს, რომ ამით უნდა ქნათ სამართალი, არ იყო ჩვენგნით ამის
დაგდება. ვიფიქრეთ, და თქუნეც იფიქრეთ.

¹ ნახევარ AB. ² საქმეს შინ გამოუდგეს] საქმისათვი გამოვიდეს A. ³ გა-
დაგება A. ⁴ ყოველი—A. ⁵ სამართლართლებიას A. ⁶ თუ]+ თუ A.

* მე-13 კანონი დვინის კრებისა. ** იქვე, მე-14 კანონი.

ქ. თავი სამასორმოცდაცამეტი

353. ქ. მოკსენებად¹ მკუდრისა მისის სახლისკაცისაგან, რაც რომ რიგია ქრისტიანობისა, რომ ბძანებს წმინდა მამანი² გარდინჯადონ სულის საქმე მიცვალებულისა სიხარულით — ორმოცი ანუ პანაშვიდი, — ანუ რაჟამს ოდენ ანდერძი ქნან მიცვალებულთა, ნუ მისცემენ სხვათა საყდარსა ანუ მეუღაბნოეთა, უნდა მისცენ თავიანთის საყდრის მღდელსა, სადაც რომ მონათლონ და დაბადებულსა სულის წმინდით მეორედ სადაც რომ მიუღიათ გვირგვინის კურთხევა. მიცვალების წესიც იმ საყდრისა არის, რაც რომ წესი არის თავის საყდრისა.

და თუ ნამეტნავი და³ [214r] კაი მოინდომოს მისცეს მეუღაბნოეთ სხვათა მონასტერთა და გლახათა, და ინდომოს საქუყუნოდ, კაია და მართებული, ასრე რომე თავის საყდარს წესი არა დააკლოს რა*.

და ესეც: თუ ჯელიდამ⁴ არ გამოუიღოდეს რა მიწუდენა მისის საყდრისა, სხვაგან სადმე იყოს ანუ იმედი არა ქონდეს თავის მღდლისაგან, ანუ შორ იყოს თავისი მღდელი და სხვა ხუცესი ინდომოს, სამარხი და შვიდი საწირავი მისთვის გარდასდვას.

ანუ კიდევ, რაც ემეტებოდეს, როდისაც შეეყაროს, მისცეს და სხვა საწირავი და საფლავის საკურთხი მონასტერს მისცენ; ანუ კიდევ, რაც შეეძლოს და ჯელით გამოუიღოდეს, განშორებულთა მეუღაბნოეთ მისცენ. პანაშვიდისა და, რაც ჯელიდამ გამოუიღოდეს, მის მიცვალებულისა საწირავი მოძღვარს მისცენ.

ქ. თავი სამასორმოცდათოთხმეტი

354. ქ. მრველთა ვისაც სამწყსომ იმტყუენოს და დააშაოს რაც, შეჩვენებული შეიქნეს ებისკოპოსთა და მოქადაგეთაგან.

თუ მოკუდეს შეჩვენებაში ის კაცი, ნუ დამარხავს მღდელი. და თუ ყმაწვილი მოსანათლავია და ექირებოდეს მონათულა, უნდა მონათლოს; და ანუ თუ მოკუდეს ყმაწვილი მათი, უნდა დამარხოს**⁵

და შეჩვენებული თუ მოკუდეს, არ უბძანებს დამარხვასა, რომლისაგანც შეჩვენებულია, მის უბძანებლად. და თუ ყმაწვილიც შეჩვენებული იყოს, არ უნდა მონათლოს და არც უნდა დამარხოს [214v].

რომელმაც შეჩვენებული ან მონათლოს და ან მკუდარი დადარხოს, წილი და კერძი იუღისა აიღოს. შეჩვენებულს გარდა მის

¹ მოხდება A. ² მანი A, ძმანი B. ³ და]+ და A. ⁴ ხელიდა A.

* მე-18 კანონი ბარდავის კრებისა. ** იქვე, მე-19 კანონი.

სახლში მკუდარი უნდა დამარხოს, მოსანათლავი უნდა მონათლონ.

მოქადაგეთა და ებისკოპოზთა დარიგება უნდა მისცენ¹, ერთის დანაშაულისათვის ერთბირად მისი სახლი არ უნდა შეაჩვენოს. და არც მოქადაგეთ უნდა ქნან, არც მლდეღს აქნევენოს. არ არის არც მისი რიგი, ერთისათვის ერთბირად სახლი მისი შეაჩვენოს.

და თუ შეჩვენებულმან არ მოინანოს და შემჩვენებლისაგან შენდობა არ ითხოვს, გაიშორონ მათის მრევლობიდან და საყდრიდან, ამიტომ რომ სხვამც არა ქნას რიგის უშორჩილობა. შეჩვენებით და ყოფა უფლისა საქმით რომ ბძანებს: «კარგია, რომ ერთი წაბდეს და არა ქუეყანა ერთისათვის»*.

ქ. თავი სამასორმოცდათხუთმეტი

355. ქ. ებისკოპოზნი² ნუ იქმონენ საყდრის კარის დაკლეტისა და სამლო ლოცვისა და წირვის მოცდენასა თავის გამორჩომისა და ხარობისათვის, ანუ ერთის დანაშაულისათვის. მოვალე გამოირჩია: ვისიც ტანი რომ დამნაშავეა, ის უნდა შეაჩვენოს**.

არ არის მართებული, რომ ერთის გულისათვის საყდრის კარი დაუგდონ და მოაქდინონ სამსახური ღთისა. და თუ მოსამსახურეში ურიგობას ხედედეს, მათის დანაშაულისა შიში დასდენ.

ქ. თავი სამასორმოცდათექუსმეტი

356. ქ. რასაც დროს ქუეყანა დატუევედეს ცოდვის მათისათვის, კაცი თუ დედაკა[215r]ცი ვინც დატუევებულა, მათმა მეუღლემ მოქადაგის უბძანებლად ვერც ქმარმა ცოლი შეირთოს და ვერც ცოლმა ქმარი შეირთოს.

მათი ასრე დაეღვეით და დავამტკიცეთ: თუ შეიდ წელიწადს უწინ ცოლი შეირთოს მან, ტყუის პატრონმან, ბოზობის მგზავსია და ბოზობად ჩაიგდება, და იმისთანას სცენ და გაურისხდენ, და საქონლისაგან ჯარიმა წაართვან. ის ჯარიმა გლახას გაუყონ და შეიდს წელიწადს მონანებით იყოს და საკანონო გარდიჯადოს. აგრევე დედაკაცთა.

თუ შეიდს წლამდე მოვიდეს კაცი თუ დედაკაცი, ისრევე უნდა გვირგუინ-ნაკურთხი ერთმანეთს შეპყრონ. და თუ შეიდს წელიწადს უკან მოვიდნენ და ერთმანეთი აღარ ინდომონ, ერთმანეთის

¹ მოქადაგეთა და ებისკოპოზთა დარიგება უნდა მისცენ¹ მოქადაგეთა დარიგება უნდა მისცენ ებისკოპოზთა A. ² ებისკოპოზნა A.

* იოანე 11, 80. ** 21-ე და 22-ე კანონები ბარდავის კრებისა.

ნებით სხედასხვა შეიერთონ, კაცმანცა და ქალმანცა. და იმგვარად ორცოლიანთ საკანონო გარდიჟადონ.

ესრე ნამეტნავია, ბოლოს კანონზე ბძანებითა რომე ზომიერის მგზავსად სხედასხვა დავდევით [იხ. მუხლ. 158, 164]. ჩვენ ესე-ები აქ დავამატეთ¹, რომ ყუელას გარდამწყუეტელია² აქ სამართალი.

ქ. თავი სამასორმოცდაჩვიდმეტი

357. ქ. თუ კაცი ვინმე ანუ დედაკაცი წმინდის საყდრისა უშვილოდ მიიცვალონ და სიცოცხლეში შეძლება ქონდესთ თავიანთ³ საქონლის ქონისა, თვითან რომ მიიცვალონ, მათს ნათესავთ მათს ქონებასთან, მიწა-წყალთან, თუ მრევლის პატრონი იყოს, მათ მრევლთან, კელი არა აქუთ [215v]. მისი ნათესავნი, თუ ბევრნი იყუნენ, თუ ცოტანი, თუ უნდოდეს, ერთი რომ იშვილოს, ანუ, თუ უნდოდეს, გაყიდოს ანუ თავისის სულისათვის გასცეს, თვითანვე თავიანთ³ საქონელზე შეძლება აქუთ.

და თუ მათგან ნამვილეგმან მღდლობა ინდომოს ან, მრევლნი უნდა მოწმობდენ და ან⁴ თვითან უნდა ღირსი ჩნდეს, და, აბა, ისრე უნდა აკურთხონ და ნახევარი მისცენ უხარჯოთ და უბეგროდ. და მიწა-წყალი იმგვარად საყდროვანთ მიცვალებულთ საყდრისა არის.

და თუ მღდლნი და მათნი ცოლნიც მიიცვალონ⁵ და ანდერძი არა ქნან და ანუ არვინ იშვილონ, რაც მათი არის, ყოველი ერთპირად საყდრისა არის დაპატრონება, რომლისაც რომ მართებული და წესია, არათუ შორეული და უცხო დააპატრონოს. თუ ნებით ანუ მოწონებით იწონებდენ და თქუან თუ, ამას მივცეთო, მოქადაგე ნუ მისცემს გლეხსა, წმინდის საყდრის შეწირულია.

ეს დამტკიცება სამართლისა ერეკლესა და ხოსროვისაგან [არის] და იმათ წინ ღროსა რაც ქნილა, ნუ დაიდრას: რომე არ იცოდენ დამტკიცება, დამტკიცებით როგორც რომ დაუქირავთო ისრე დაიქირონ*.

ვენახოთ ეს სულიერი სამართალი. შეძლებას მისცემს დაპატრონებისასა, ვისთვინაც უნდა, მისცემს, მაგრამ საყდარს არ გააშორებს. თუ მოკდეს შორეული ჩამოვარდნილი ანუ უცხო შვილად აიყუანოს და მანც შვილობის წიგნი აიღოს და ხუცობა ქნას, მის უკან და მის [216r] სამღდლოზედ დააყენონ, — შემძლე იყუნენ ზოსანართლენი და წინამძღვარნი. და ის, ვინც დააყენონ, კიდევ ხუცის

¹ დავამტკიცეთ B. ² გარდამწყუეტელი AB. ³ თავიანთ A. ⁴ და ან]და: ნ-

⁵ მიცვალონ A.

* მე-8 კანონი დვინის V (645 წ.) კრებისა.

სახლისაგან უნდა იყოს, რომ დაპატრონონ, არათუ ერისკაცის სახლისა. ამისი თქმით მოჯდეს, რომ აღარაეინ იყოს დაპატრონებელი, წმინდა ტახტისა არის.

და თუ ჩამოვარდნილი ღირსი იყოს და თუ მღვდელი იყოს თუ არ იყოს, თუ შეუძლია, რომე ღირსებითა ქნას მღვდლობა, მღვდლად უნდა დააყენონ, და ეს არის ჭეშმარიტობისაგან.

ქ. თავი სამახორმოცდათურამეტო

358. ქ. მებატონემ ვინც რასაც ღროს თავისი მამული დი ემანი გაყოს, მრავალნი ავთვლობით¹ იქმონენ, ყმაწვილთა ეკლესიასა ნდომით მოინდომებენ, რომე ყმათა გაჯადონ, დაჩაგურით დაამორჩილონ თავიანთ² თავსა, რომ არ არის მართებული მღვდელზე და საყდროვანზე და ქრისტიანზე.

სამგზის სანატრელმან წმინდამ გრიგოლ და ჯელმწიფემ თრდატ³ წმინდასა ეკლესიასა საპატრონო სხვათა აზნაურიშვილთა და თარხანთაგან გაერიგებინათ, და აზატნი იყუნენ შვილნი წმინდის ეკლესიისა თავიანთ⁴ მიწა-წყლითა და ქონებითა. რამეთუ სპარსთა ჯელმწიფობის ღროს ცოტა რამ დასდევს; სახელმწიფოს ხარჯის მიმცემის სახლი, ჩანს ცხადად, თუ ცოტას რასმე სთხოვდენ, ასრე არა სთხოვდენ, რომ გამამლებს გლეხთან [216v] აერიათ. ერთს რასმე მისცემდენ წლითი წლამდინ საჯელმწიფოდ.

მაგრამ, თუ ვინმე ხარბის თვალთ შეხედოს, აზატნი ყმაწვილნი ეკლესიისა წილში და გაყოფაში ჩაადღოს საყმოდ, იმრიგნი განშორებულნი არიან კურთხევისაგან, განშორებული შვილი შეიქნას, არ იყოს შეძლება კათალიკოზისა და ებისკოპოზთაგან იმათანის წირვის კურთხევა.

და სხვანი, — ისინი ოზინ ჯელმწიფის ჭირით დაქირიანდეს, — ვინც თავ-თავის ნებით გაყონ შეწირულობა წმინდის ეკლესიისა. და არ დაუჯეროს მოქადაგესა და არ მიუგდოს ყური, ჩვენის ქრისტიანობის კურთხევისაგან შორ იყუნენ იმისთანანი*.

ვინც მოინდომოს იმრიგის საქმეების ქნა, შეიტყონ, დამქცევთა და მამშლელთა⁵ ამისთანას სწორეს წინაპირველთ კანონთა ნაბძანებისა.

ქ. თავი სამახორმოცდაცხრამეტო

359. ქ. ზოგნი მამასახლისნი და აზნაური არიან, რომე შეძლებას იქმონენ მონასტერზე, ვისასაც მოინდომებენ, გაადღებენ,

¹ ავთვლობით] ავთვლობით A. ² თავიანთ A. ³ თრდათ A. ⁴ თავიანთ A. ⁵ მშობელთა B.

* მე-17 კანონი ღვინის V კრებისა.

და ვისასაც მოინდომებენ, [დასხმენ] თავიანთ¹ ურიგობითა და გამოსარჩონისათვის.

და არიან კიდევ ვინმე ასეთნი, რომ დასხდებიან მონასტერში იმგვარად, როგორც რომ უსახლკარო, არა ქონდეს სახლი, რომ ბური სკამონ, დასხდენ მაშიგან და ბური სკამონ და საყდარი ღთისა არათ ჩააგდონ, და არ შეირცხვიონ.

იმისთანასთან, თუ ებისკოპოზი არ გაუშვან, რომ გაასწოროს და ნახოს თავისის მონ[217r]ისტრის ურიგობა და დასაკლისი, წმინდათ განათლება, ლოცვა-წირვა და მგალობელთ გალობა და სახლთა გარიგება, — ამისთანას გავლილის ცოდვის შენდობა იქნას მრევლთა კურთხევითა, ეამის-წირვით, შესაწირავის მირთმევით, ლოცვით. ყოველთა საყდროვანთა კრებულთა ილოცონ მათთვის, როგორც რომ მართებთ, რა რიგათაც სხვათა მამათ და განშორებულთაგან არის მართებული ლოცვა. და ამოლებას რისამესას² ნუ იქმონენ.

მაგრამ, თუ წმინდათ მამათა ჩვენთა დარიგების ბჯანების მტერი მშლელობისა შეიქნან, ამისთანანი ჩვენის ქრისტიანობის კურთხევიდამ შორ იყუნენ და მაგიერი რისხვა წმინდათა წამებულთაგან აიღონ*.

როგორც რომ სწერია, თუ ქნან ზაგიერი მისი მათ მრევლისათვის ურიგობა**.

ქ. თავი სამასსამოცი

360. ქ. უქონელსა და დარიბზე ვინცა და რომელმანც შეძლება მიიღოს ამისი, რომე სათხოვარი სთხოვოს³ ანუ ძღვენი და სასმელ-საკმელი, ძალით და უმოწყალებით სთხოვდენ და იასაულს⁴ აყენებდენ და შულლით და ცემით შიაწუხონ, შესაბრალებელი ძმა გასარჯონ⁵, — შებრალება და მოკმარება უნდა იმისთანას ყოველთა ქრისტიანთა მოწყალე ძმათაგან, შეხვევა⁶ ყოველის მისის სატკივრისა**.

მაგრამ, თუ ვინმე მოინდომოს იმისთანა ურიგობა საბრალოზედ, შეუწყალებელი სა[217r]მართლით სამართალი გარდაეცდევინებათ, რომელმაც არა ქნან შეწყალება⁷.

ქ. თავი სამასსამოცდაერთი

361. ქ. რომელიმე მოლაშქრე და ანუ აზნაურნი მივიდნენ და სოფლად შევიდნენ, და ისრე გალაჯონ, და საკრავითა დაუწყონ

¹ თავიანთ A. ² ამოლებას რისამესას] ამოლება რასაც A. ³ სთხოვ A.

⁴ იასულს A. ⁵ გასიხჯონ B. ⁶ შეხვევა A. ⁷ შეწყლება.

* მე-10 კანონი დვინის V კრებისა. ** მიქია 5,14. ნაუმ 1,2. მე-11 კანონი დვინის V კრებისა.

სმა წმინდასა წირვისა და ლოცვის სახლში, ამისთანა საქმის ქნა გაგონებაც საზარელია ქრისტიანთაგან, არამთუ ქნან. აბა, ზეით წერილი კანონი [მხ. მუხლ. 359] უნდა წაუკითხონ მღვდელთა იმათთანას კაცსა და შეატყობინოს კანონის ბძანება. თუ გაიგონონ სიტყუა მათი და დასცალონ საღმთო სახლი და წავიდნენ სოფლად, კარგია.

და თუ არ დაიჯერონ და არ გაიგონონ სიტყუა მათი, ჩვენის ქრისტიანობის კურთხევისაგან განშორებული იყუნენ და წმინდათაგან რისხვა და წყევა აიღონ, — მონასტერსა წმინდათ განსასვენებელი ეთქმის და სადგომი ებისკოპოზთა, მოქადაგეთა, ბერთა, მღვდელთა და გლახაკთა, არათუ უსამართლოთა და მოლაშქრეთ აღდილი იყოს*.

ქ. თავი სამასსამოცდობო

362. ქ. როგორც რომ ჩვენი ყოველი ტახტისა სამართალი იქნა დაწერა, ყუელა თავ-თავის ქრონიკონითა ისრე ათს წელიწადს პატრონობაში ხოსროვისაში, — აბა, თქუნესა სიწმინდის წერას შევიძლებთ, მაგრა[დ] დაჭერასა დარიგებას სულის წმინდისასა, — გელითა რიგითა წინასწარმეტყუელთა და მოციქულთ კანონითა სიწმინდითა მართლად დამტკიცდეს, და დაამტკიცეს წმინდათა და მართლ[218r]მადიდებელთა მოქადაგეთა.

მაგრამ უზეშთაესად იფთხილონ დასაწყევლელი ახლოს ნათესავთა და გვართა ცოლ-ქრამდ შეყრა. ესე ურჯულობა არის და ყოველთა ავთა საქმეთა საძირკუელი, — როგორც რომ ბძანა მოციქულმა: «უცხო თესლთა რიგი უღმრთობა არის»**, როგორც რომ წინასწარმეტყუელთა შეგვატყობინეს და გვაძენეს.

ღთიულმან¹ პირმან დასწყევლოს კაცი, რომელმანც გამოსცვალოს ამხანაგთა დადებული სამძღვარი და დამტკიცება დამბადებელისა, ყოვლისა დარიგების და დამტკიცების დადება და ბძანება ფეჭქუემ ჩააგდონ ურიგოდ და არად მიიჩნიონ. იმათთანას კაცზე მივა რისხვა, ღთისა ძველითგანვე რომ უბძანა ღთნ: «რიგთა გვართა ეგვიბტელთა და ქანანელთა ნუ წახვალთ. მე ვარო პატრონი და ღმერთი თქუენიო»***. ამისთანა ლოგინს შერცხვენილი დაუძახა პატრონმა და გაყარა წინაგვართაგან.

აბა, ორისაგან მივესწრათ იქ, რომ ჩვენ ვერს ვეტყუით. და იტყუის: ყუელანი დანი შენი არიან. და მასუჟან აღარა ცორა

¹ ღთიულადნ A.

* მე-12 კანონი დვინის V კრებისა. ** I ტიმოთე 6₁₀. *** ლევიტ. 18, 4.

საქმით გასაკუთრებელი თქუა: და შენია, და მასუკან მეორედ ასრე: როგორც რომ ცოლი ცოლია, ისრე მისთან მიყოლილი და ქრმისა მისისა შინ დანახდომი შვილი და-ძმანი არიან, ისინი ერთ-მანეთს არ ერგებიან, არც მათი შვილი — ერთმანეთსა.

ეს არვინ იფიქროს, თუ მარტო გერისას ვაძმობდეთ უზეშთა-ესად. როგორც მამიდაშვილი ნათესა[216v]ვია, ისრე დედიდაშვილი. იმგვარად ძმისწულის წულის წული, დისწულის წულის წული არ უნდა მრეცეს ერთმანეთსა და არც მიეცემის. რომ დაკარგულია ნოეს დროს, ნაქნარს ნუ გააცხადებენ.

სული წმინდა ოვსია წინასწარმეტყუელი¹ ყოველი ამისთანა ცოდვა ბორბოტი წუროლაღ ჩაიგდო, მაგრამ ყოველისაგან ეს ცოდვა უფრო მძიმეა, რომე სისხლი სისხლს გაერთდება. რომ მოვდეს ნათესავთა ცოლქრმობა, ნათესავთა შუა რომ უმტდურობის ცოდვა იქნას, ატირდების ქუეყანა, ნაკლულოვანება შეიქნების ყოველის საქმითა, ნადირნი, ფრინველნი, თევზნი მოაკლდების და ლთი რისხვით დახედავს ქუეყანასა. არ გააერთონ სისხლი და ჯორცი ნათესაობისა. სანამდი არის, სიწმინდით სძებნეთ წილი.

ვინც ვარდაუდგეს რიგსა და ქნას უპირისწყლობით, კანონის ბძანებით შეჩვენება აილოს. რომელი რომ ქრისტემ ბძანა და ნეტართა მამათა² დაამტკიცეს, რომე რიგმან გააშორა ნაშენი მამისა და ნაშენი დედისა.

თუ მოვდეს, რომ ითხოვოს³ კაცმან ცოლი, რომ ყუანდეს იმას ჭალი და კაცსა ვაგი, არ არის ბძანება კანონისა, რომ ის გერი ერთმანეთს მისცენ. და არც მათი ნაშენი — სამს ჭიპამდი.

რომელი რომ დედით ერთნი იყუნენ და მამით თავ-თავისი, იმრიგთ და-ძმათ შუა ვიდრე ხუთი თაობა აქეთ არ გამოიცივალოს და ხუთი იქით, მეექუსემდი არ უნდა იმათმან ნაშენმან ერთმანეთი [219r] ითხოვონ.

მამის ძმისა, დედის ძმისა, მამის დისა, დედის დისა ნათესაობა ერთად ჩააგლო კანონმა და გაშორებითაც სწორედ გააშორებს.

ქ. თავი სამასსამოცდასამი

363. ქ იქ ერთსა თავშია უტდურობისა ცოტა რამ დაეწერეთ, და არა მრავლად [იხ. ნუხლ. 362]. მაგრამ, თუ გინდათ შეტყობა უტდურობის გზებისა, კანონშია მრავლად და კარგად გარიგებით ყოვ-

¹ ოვსია წინასწარმეტყუელი — A. ² მამათა] + და A. ³ ითხოვს A.

ლის გზის უქდურობისა: თუ ნათესაობისა, თუ სულიერ ნათესაობისა, რომელია ნათლიობა, თუ მძახლობისა, თუ მამეული ნათესაობისა, თუ დედეულ ნათესაობისა, — ყუელა იქ კარგა სწერია.

აქ ამიტომ სულყუელა არ დაესწერეთ, რომე უქდურობის ძებნა და მოკითხვა კათალიკოზთა და ებისკოპოზთა მოქადაგეთაგან არის მართებული, და მათ ჩამოის მლდელთაგან უნდა, რომე სძებნოს ჭეშმარიტებით და ფთხილად იყუნენ, რომე უქდურობა¹ არ მოვდეს.

უქდურობა¹ დიად ძნელია და ქუეყნისათვის ავია. ერისკაცი მაგთონს არას გამოეკიდების და სულიერი მოსამართლენი უნდა იყუნენ გაფთხილებით და ყოველი მათი სამწყუსო დაამინონ და გააფთხილონ. რომელნიც არას გამოეკიდებიან სულიერნი მოსამართლენი, მათთვის ავია და ცოდვა თავს დაედებათ.

და თუ სულიერის მოსამართლისაგან არ ეშინოდეს, საჯორციელო მოსამართლეთ უნდა მჭა[219v]რი და ზურგი გამოაბან დამნაშავესა და შეუპოვარზე. და გარდაქდევინებით სულიერის მოსამართლით უნდა გარდავდეს.

ქ. თავი სამასსამოცდაოთხი

364. ქ. როს გატყდეს ხომალდი ზღეასა წიგან სიახლოვესა ქალაქისასა, უნდა რომ ჭელის მომართვით და მიშველებით მოარჩინონ. რაც შეველა გაეწყობოდეს, მიეშველონ მათ კაცთა ახლო ქალაქისათა. თუ უცხოვან კაცვან, შორეულვან, უშველოს, ხომ მართებულია, კაი, ვისაც რამ შეუძლია. თუ შორეულთ არა ინაღულონ რა, იმ ახლო ქალაქის კაცთ მართებთ მიშველება² და მოვმარება, — რა ნავი, ხომალდი უზიანოდ მას³ ქალაქთან გავა ბევრი შესამატია ქალაქისა და შეემატებათ გასულით. აბა, იმისთვის უფრო მართებთ მოვმარება.

ფასიც უნდა გაიღონ და მის შველას ეცადონ, რომე ვალია მათზე, რომელსაც შეუძლია მოვმარება და შეველა. უცხოვს, შორეულს არცარა ერგების და არცარა ვალია მათზე.

ქ. თავი სამასსამოცდახუთი

365. ქ. მრავალნი ივლიან მოტყუებით წმინდისა და საუდაბნოს მონასტრისა სახელზე და კიდევ სხვათა მიზეზითა, და კიდევ

¹ უხუდურობა A. ² მიშველება]+ მიშველება A. ³ მას]+ მას A.

მრავალს დაატყუებენ; და ანუ იქნებიან წიგნით ტყუილითა და ფარისევლობით. რა დროსაც რომ მოკდეს ამისთანასი მისულა რასაც ალაგსა და სიმტყუენე მართლად [220F] შეამცნიონ, იმრიგს კაცს, რაც დაეგროებინოს, გამოართვან ჯელიდამ და, რომლისაც მონასტრის სახელზე დაეგროებინოს, იმ მონასტერში გაგზავნონ ანუ დამჭიროთა გლახათ მისცენ, ანუ საყდრის ასაშენებლად მისცენ, ანუ ტყუე დაიჭნან.

და იმრიგის კაცის სხვა სამართალი ებისკოპოზთა და მოქადაგეთაგან იქნას. საერო მოსამართლენი სხვარიგად ნურას გარჯიან.

ქ. თავი ხამასხამოცდაექუსი

366. ქ. რას დროს უწინ ააშენონ სოფელი, არ არის დამტკიცებით კერძი მიწისა, წყლისა და სხვასა მისთანასი, ვიდრე საყოფი ზომიერი დამდგომნი არ შეგროვდენ. აბა, [მაშინ] გაყოფა დამტკიცდეს.

მაგრამ თუ წამკდარი ააშენონ და არ იყოს ბევრის ხნისა, რომ შესატყობი იყოს და ეტყობოდეს უწინდელი თავ-თავის სამძღვრისა¹ და სამნის, დამტკიცება იმავე უწინდლის სამძღვრით და სამნით იყოს და იქნეს.

და თუ ბევრი ხნის წამკდარი იყოს და არ იცოდეს სამძღვარი და სამანი, და არც ეტყობოდეს და სამძღვრები გამოცული იყოს, იმრიგის გასაყოფად მიახხან წინ საყდროვანი და სხვანი.

ქ. თავი ხამასამოცდაშვიდი

367. ქ. აღებ-მიცემა ყოველი დაამტკიცონ,—რა დროსაც გაყიდონ, ყუელას უნდა შეა[220F]ტყობინონ,—და თავიანთის ნებით და მოწმით. თუ მამამ გაყიდოს, მის შვილს, ვაჟსა და ქალსაც, შეატყობინოს და მათის ნებით იქნას,—[და] ძმათა, რომელი დაპატრონდეს. და იმგვარად შვილთა მამათა შეატყობინონ და მამის ნებით უზეშთაესად იქნას. აგრევე დათა, აგრევე ძმათა ნებით უნდა.

და თუ არა ქნან ასრე, რასაც დროს მოინდომონ, შეუძლიათ მოშლა, თუ წიგნითაც იყოს დამტკიცებული. და თუ წიგნით, მოწმით ერთობილად გაყიდონ სიგლახაკისათვის და პირობა დადევან, როგორც რომ გაჩვენათ წინათ [იხ. მუხლ. 240, 241], შეუძლიათ თავიანთის თხოვნა და ანაღების მიცემა.

და თუ შუაზე სიტყუა აგეთი* არ იყოს რა, დამტკიცებულმ შეიქნას წიგნსა დამტკიცებისასა.

¹ სამძღვარი] A.

* „აგეთი“ ჩაწერილია სხვა ხელით.

ნიშანი რამ უნდა იყოს ებისკოპოზისა და მოქადაგისა ანუ ქრისტეს ჯვარისა, ანუ კელმწიფის კარის მოსამართლისა. და ამისთანათი დამტკიცდეს ყოველთაგან¹ მიუღვერად და შეუშლელად.

ქ. თავი სამასსამოცდარვა

368. ქ. რას ღროს რომ მოინდომონ ძმათა გაყრა, და გაიყარონ და მამული და რაგინდარა გაიყონ, ჯერ უწინ უნდა რძლები ზითევი, მათი კერძი რაც რამ აიღონ, გარდუღვან თავთავისი.

თუ რამ დახარჯული იყოს, საერთოდ, შუადამ უნდა მისცენ და მასუკან ძმათ უნდა გაიყონ. დედაკაცის საქონელი არ დაიკარგების. ასრეა საქვეყნიერო საქმე და სამართალი.

ქ. თავი სამასსამოცდაცხრა

369. ქ. თუ ხილამ ჩამოვარდნილის კაცისა სიკუდილისა იკითხონ ანუ ზედ ჩამორ[221r]ჩობისა, პატრონი ხისა და ხეც უბრალოა ორივე—ხე უსულო და უენო არის, არაფერი არის საბაბით მათი სიკუდილისა, რომე ასრე მოვდეს.

და თუ ქნან, რიგი[ა] მოსესი, რომ ბძანა ღთნ პირუტყუისა, რომ, თუ იქნას და მოვდეს მათგან დაშავება, შეიქნენ ჭურჭელი სიბილწისა სულისა და ჯორცისა, რომელმანც იცოდეს, პირუტყუისა მისისა რძეს ნუ სკამენ და ის პირუტყუი უნდა ჩაქოლონ და ჯორცი მისი ძალთა აკამონ; ისრე პირუტყუი რქიანი, რომლისაგანაც რომ კაცი მამკუდარიყოს, უნდა მოკლან და არ უნდა სკამონ ჯორცი მისი. იმრიგის პირუტყუის სიკუდილი ცოდვა არ არის—შეიქნენ ჭურჭელი სიბილწისა.

იმგვარად—უნდა მოსქრან ხეცა იგი, რომე მისი ნაყოფი ხილი აღარ იქმების. და თუ მისმა ძირმა და ფესუმა იხეთქოს და ხე შეიქნას, მისი ნაყოფი უნდა კამონ, ასრე რომ იმ ხეთ ის აღარ ითქმის,—როგორც რომ პირუტყუის ნაშენი უბრალოა და იქმების.

თუ საყდრიდამ კაცი ჩამოვარდეს ან ქუა ჩამოვარდეს და კაცი მოკლას, საყდარი უბრალოა. ასრე—უნდა კათალიკოზმა აიაზმა გარდიჟადოს და თვითან მაშიგ სწიროს, და მრეველთა უნდა იტირონ გულმწუხარედ მას საყდარში, როგორც რომ თავისი მამა, რომ მათის ცრემლით და პატრიაქის ღირსის ცრემლიანის წირვით იმ საყდრისაგან სიკუდილისა ღთნ შენდობა მიიღოს მათზე*.

¹ ყოველგან A.

[221v] ქ. თავი სამასსამოცდაათი

370. ქ. ქურდის ანძის კურისა კითხვა. თუ ქრისტიანი იყოს, თუ სხვაგვარი და უბძანოს ქრისტიანსა, შენ უნდა ანძასა კრაო, ჯერ უნდა გარდეფაროს, და თუ არ იქნას, ქრთამი გაილოს. თუ ვერც იმითი გამოეშვას, ჯელმწიფის ბძანებას რალა გაეწყობის, უნდა გათავდეს, მაგრამე კრძალვით, და უნდა ებრალებოდეს, არათუ ემეტებოდეს მისთვის ის ტანჯვა. და უნდა გათავდეს ჯელმწიფის ბძანება, როგორც რომ იოვანე ნათლისმცემელმან უბძანა: «რაც რომ ჯელმწიფის ბძანება გაქუთო, ის ათავეთო, არათუ ნამეტნავიო»*, რომე ღთი გულთა მხილველია, არა პირით, როგორც რომ უბძანა უფალმან სამოველს.

ქ. თავი სამასსამოცდათორმეტი

371. თუ კაცსა ყუანდეს ჯორი ხუიანი ანუ ცხენი მწიხლავი, ანუ მკებნარი, ანუ დამგლეჯი, როგორც რომ ცხურის თავის თავმგზავსი ყუანდა ალექსანდრეს, ანუ ყუანდეს ძროხა მრჩოლალი და მრქენელი, და პატრონმან მისმან იცოდეს, სხვათაც თქუან და აჩვენონ მათი ნაწყენობა, და პატრონმან თავს არ შეიდეგს და იმრიგს ერთი რამ არ მოუგონოს, და მასუკან კაცს ან წიხლი კრას ან დაგლიჯოს და მოკლას, პატრონი მისი სიკუდილის ღირსია, რომ უთხრეს და არა ინალულა რა.

თუ პატრონმა არა¹ იცოდეს რა, უბრალოა. და თუ უკრავს და მოუკლავს რაგინდა[222r]რა პირუტყუია, უნდა გაყიდონ და ფასი მისი მკუდრის პატრონს მისცენ.

იმრიგის გასყიდვაში უნდა თქუას, ამრიგის საქმის პატრონიაო და ამისთვის ვყიდიო, და ასრე უნდა ქნან. ამრიგის სამართალი ასრე გავეირიგებია.

ქ. თავი სამასსამოცდათორმეტი

372. ქ. რომელმანც კაცმან კაცი ვინც გზას გაგზავნოს, კითხვა ბევრს გზას აჩვენებს, მცირე იყოს თუ მდიდარი. არიან ასეთნი, რომე მუშაობაზე დააყენებენ და გაგზავნიან, ზოგნი არიან მებალეთ დააყენებენ, ზოგნი არიან მსახურათ დააყენებენ; კიდევ სხვანი სხვას საქმეზე დააყენებენ.

მოკლდეს რომ მოვიდეს სიკუდილი, პატრონი მისნი უბრალონი არიან, უზეშთაესად რომ ყოველთვის² ეთქუას, იყავ ჩემი მორჩი-

¹ არა]-+ არა A. ² ყოველთვის A.

* ლუკა 3,18.

ლი, ამა და ამ გზაზე ნუ ივლი, აქა და იქ ფთხილად იყავ¹ და მამაცადო.

და თუ ყმამ უთხრას პატრონსა, ამა და ამ ალაგს კაცსა გოცენო და არ გაივლებო, და პატრონმა არ გაუგონოს და გაგზავნოს, და ის კაცი მოკლან, მისის სისხლის მზღველი ის გამგზავნელი შეიქნას.

ქ. თავი სამასსამოცდაცამეტი

373. ქ. არ მართებს ფასით გასწავლება ყმაწვილთა კანონის ბძანებითა. თუ ოსტატს შეძლება ქონდეს, უნდა ჩააცვას², დაბუროს³, ასვას, აჭამოს.

თუ ოსტატს შეძლება არა ქონდეს, ყმაწვილთა მამამ უნდა უნაღლოს [222v] შეილთა თვისთა ტანთა, ფეკთა, სმა და ჭამა. და ოსტატს, რაც შეძლება ქონდეს, ძღვენი უნდა მიართვან; და თუ ყმაწვილთა მამანი გლახანი იყუნენ, ნურც ძღვენი უნდათ.

თუ, ვინ იცის, ამ სამართლის მშლელი იყოს და გავიდეს ამი-დამ და დაუწყოს შაგირდს რჯა და თხოვნა საოსტატოსა, რაც მის ხელში ყმაწვილობაში მოეგოს, იმითი გაისტუმროს.

ქ. თავი სამასსამოცდათოთხმეტი

374. ქ. სიმთურალით მრავალნი შეუტყობარნი შეიქნებიან. დამტკიცება წინანდელი საყდრის მოსამსახურეთა: თუ პირს არ ანაღლოს, შევიდნენ კიდევ საყდარში, ქნან სამსახური; და თუ პირს ანაღლოს, ვეღარ შევიდეს.

იმისთანას უნდა დაედვას დარიგება და შიში. მაგრამე ბევრნი აგებულობით იქნებიან და ბევრჯელ მოუჭდებათ. მაგრამ დამტკიცება სიმთვრალისა გაძლომა არის და უმთურალობისა—უმადლო-რობა. არის კიდევ ნიშანი სიმთვრალისა: დასუსტება ტანისა და ენისა არის.

ახლა ვინც იყოს ამისთანა, რომ ნიშანი ეს უპოვნონ სიმთვრალისა, შორ დააყენონ სამსახურისაგან, რომლისაც შეძლე იყოს, იმისი საზომიერო საკანონო დასდვან; გარდიჯადოს და მასუქან შევიდეს სამსახურში.

რომელმაც უფროსმა არ ინაღლოს და გაუშვას უკანონოდ და რიგდაუდებლად, ისიც მათ მემთურალესთან აღირაცხვის სამართლის დადებით და დაიდებს თავსა მათსა სამართალსა*.

¹ იყავ]—A. ² ჩააცვას A. ³ დაბუროს B.

* 374 მუხლის ტექსტი სომხურ დედანში არ არის.

[293r] ქ. თავი სამასსამოცდათხუთმეტი

375. ქ. რაც საქმე კაცის ღთის თაყუანისცემისა და რწმუნებისა შეეიტყვეით. აბა, ღირსია კაცი, რომ გაშინჯოს, თავის რჯულისა რომელი შეიძლოს კაცობით,—თავისთავი სიწმინდითა, ღთის შიშითა, და მასუკან შეიძლებს საყდრის სამსახურის რიგსა და ჯელმწიფისა სამსახურსა, რომელზედაც დადგების. როგორათაც ყოველთანა ჩანს, ორი ნაქნარი იქნენ გუნებიანი და ენიანი: ანგელოზი და კაცი. და მოსემ წინაპირველთ აქეთ არ დასწერა ანგელოზთათვის, და კაცისათვის დაარიგა თქმითა, თუ «დაბადა ღთნ მიწა ქუეყანისა და შთაბერა პირსა მისსა სული ცხოველი და შეიქმნა კაცი სული ცოცხალი»*.

სხვათა გაყუჩებულთა და ყოველთა უცოდინართა ასრე იციან, თუ ღთნ პირით და სხვა საქმით გაარიგა, ოთხის ნივით. ერთპირად შესატყობია, შებერვითა გააცოცხლა და გაასულიანა. იმგვარად შეეიტყვეით მიწა მარტო ოთხის ნივით, როგორც რომ ექიმო ყმაწვილთა გაყოფს: მიწას სიმშრალობათ, ჯორცის მორჩილობად წყალი, წყლისა ძარღვი, და სიმბურვალე ცეცხლისა აერიოს ყუელაში.

კაცი უნდა იყოს მორჩილი თავის რიგისა და შეტყობა ქონდეს რჯულისა,—[მაშინ] შევიდეს საყდარსა და ჯელმწიფის სამსახურში.

ქ. თავი სამასსამოცდათექუსმეტი

376. ქ. თუ ვინ ვინც სადაც გაგზავნოს, რომ არ იყოს მისი მოჯამაგირე, და არც [293v] ყმა, გამგზავნელს მისი გაფთხილება მართებს, რომ ავი საქმე არა მოუტდეს რა.

თუ, ვინ იცის, რომ ან მოკლან და ან დაშავდეს საქმეს მისაზედ, რჯულის კანონი გამგზავნელს სისხლის მიცემის სამართალს უბძანებს. ეს არის გამოჩენით სამართალი.

ქ. თავი სამასსამოცდაჩვიდმეტი

377. ქ. თუ ვინ ვისიმე მოჯამაგირე იყოს და უთხრას სახლის პატრონს, ან აქეთ გამგზავნე, ან იქით, რომ ვიმუშაო რამე, ან სხვა საქმეზე დამაყენო, და სახლის პატრონმა უთხრას, როგორ გაგზავნო, აქა და აქ სიკუდილის მახეაო, მოჯამაგირემ თავისი მუშაობის სირცხვილისათვის და თავისის ნებით გაიწიოს და წავიდეს ერთს საქმეზე, და მოტდეს მისი იქ სიკუდილი,—დამქერი მისი უბრალოა.

* შესაქმეთა 2,1.

და თუ გაუფთხილებლად გაგზავნონ, არა თქუან, ვაი თუ ეს კაცი იქ მოკლან, ეს არ იფიქროს და იცოდეს, რომ იმ გზაზე სიკუდილის მახეა, და ძალად გაგზავნონ, და მოკლან ის კაცი იქა, სისხლი დაედვას გამგზავნელსა.

გამოჩენილია ეს სამართალი: ძალად იმ მოჯამაგირის გამგზავნელს სისხლი დაედება. და თუ მოჯამაგირე თავის ნებით წავიდეს, უბრალოა მისი¹ დამქერი. მართლის მოწმით გამოიკითხონ და ნახონ.

ქ. თავი სამასსამოცდათურამეტი

378. ქ. თუ ვინ ქიშპობითა სხვა საყდრის საყდარი ააშენოს, დაწერილია: [224r] «ვინც მამის ღობე დააქციოს და გარდალაქოს, უქბინოს მას გველმან და მოკუდეს»*. ყუელა ბძანება და რიგი ქარგია, რომ დასდევს წინასწარმეტყუელთა და მოციქულთა, მოქადაგეთა საყდრისათა.

[ვინც] ახლა დადებულნი რიგი მამათა მოშალოს და დააბნელოს სხვა საყდარი, და სხვის საყდრის ქიშპობით საყდარი ააშენოს, ებისკოპოზი იყოს თუ მღვდელი, შეაჩვენონ სიცოცხლით და სიკუდილით და სამღვდლო რიგიდამ გარდააყენონ.

და ვინც რომ მათ უდგენ, იმათაც ისივ რისხეა აიღონ. იმ ქალაქისა ის ახალი ნაშენი საყდარი ადგილის შეპატრონეს დარჩეს. სწორედ, ფასი ნამუჟავებისა იმათ მისცენ.

ქ. თავი სამასსამოცდაცხრამეტი

379. ქ. ღირსთაგან ექსორიობისა ვინც ღირსი იყოს ექსორიობისა, ღირსი ექსორიობა რომ საყდროვანთ გაარიგეს, სწორად მათი იყოს: მთავარდიაკონნი და მღვდელნი—ებისკოპოზთაგან, რომე ის არის მათი მაკურთხეველი; მონაზონმა და უწირავემა—რომ მღვდლისაგან; ერისკაცმან აიღოს, რიგი და კურთხევა რომლისა მღვდლისაგან აუღია მისგან; და ებისკოპოზნი—თავთავის მაკურთხეველის კათალიკოზისაგან; და კათალიკოზნი—პატრიაქთა და² თავის მაკურთხეველის ებისკოპოზთაგან; მოქადაგე — მოქადაგეთაგან, რომლისაგანც ბძანება აუღია ქადაგობისა.

მოქადაგეს [224v] არ მართებს აღება მღვდელზე მღვდლობის რიგისა, მაგრამ ეს შეუძლია, რომე გაადღოს საყდრიდამ; მათზე და ყოვლის თავის რიგსა პატრონზე—დარიგება და სწორე გზაზე დაყენება. გარიგების მიღება შეუძლია კათალიკოზსა მისის საღმთოს სიტყუით და ბძანება-გზით.

¹ მის A. ² კათალიკოზი პატრიაქთა და] კათალიკოზთაგან და A.

* ეკლესიასტე 10,8.

ქ. თავი სამასოთხმოცი

380. ქ. ჯელმწიფენი, გარიგებულნი ღთისაგან, როგორათაც ისრაელთაგან, ღთნ აილო და ექსორია უყო.

ჯელმწიფე თუ თავადთა და შემძლეთა დასევან ტახტსა და დაადგან გვირგვინი ჯელმწიფობისა, და ვერა ქნას მართებულად ჯელმწიფობა, მისისავე შემძლეთა და თავადთაგან ექსორია შეიქნეს, რომელთაც დასვეს — მათით.

და ეს ვერ შეუძლიათ, რომ შეილიც გააშორონ საქელმწიფოსა ჯელმწიფობა მკუიდრად იყოს. მამა რომ გარდააყენონ ტახტისაგან, შეილი მისი უნდა დაადგინონ ტახტსა. და ჯელმწიფემ რომ თავადი დასვეს და გაარიგოს, მისავე ჯელმწიფისაგან ექსორია შეიქნას. იმგვარად აზნაურთაგან მსახურნი¹ და ყოველნი.

ქ. თავი სამასოთხმოცდაერთი

381. ქ. პირუტყუი, წმინდა თუ უწმინდური, რომ ვისიმე ვისას ორმოში ჩავარდეს ანუ სახლი დაექცეს ზედ, ანუ სათივეზე მივიდეს და დაუწყოს ქამა და სათივის პატრონმა დაქრას და მოკლას, ანუ ზედ დაექცეს და მოკუდეს, საქმარათალი იქნას ასრე: შველა უნდა, სანამდი არ მამკუდარა, ორმოთა, სახლთა და სათივეთა პატრონთაგან, რომ ცოცხალი მოარჩინონ.

თუ ვერ მოარჩინონ, ორმოს პატრონს რადგან თავლია გაუშვია, არა უნალულია რა, ნახევარი უზლოს. და ვისიც სახლი თავისით, თვითან სახლი, ზედ დაქცევია, სახლის პატრონს ვერას შეუიდეს შეელისა და მოკმარების მეტსა.

და სათივის პატრონმა თუ გაგდებამი შიაფთხო და ჩაიჩეხოს სადმე, ნახევარი უზლოს, ამიტომ რომ ცოტას თვისათვის არ უნდოდა წაეკდინა ამხანაგის პირუტყუი — პირუტყუს რა ჭკუა აქუს.

და იქავ ასეთი დაქრას, რომ იქავ მოკუდეს, სულ უზლოს თავის პატრონსა.

და თუ არც გაგდოს და არცარა დაეკრას, და სათივე თვითან ზედ დაქცეოდეს, მიშველება უნდა. თუ ცოცხალი მოარჩინა, კარგია, თუ არადა, მიშველებისა და მოკმარების მეტს ვერას შეუა.

თუ ვინ მოჯამაგირემ და ანუ მეზობელმა ვისაც პირუტყუს კრას რამე, ანუ გამოსთხაროს თვალი, ან ჩააყრევინოს კბილები, ან მოსტეხოს რქა, ან მოსტეხოს ფეკი და გვერდი, თუ ბევრს ხანს მოსცდეს და გვიან გამთელდეს, რასაც ხანს მოსცდეს, ისიც მისცეს და დაშავებისათვის ერთი ფეკი.

ეს სამართალი ასეთზე უნდა. იქნას, რომ ის პირუტყუი კაცის მრჩოლალი არ იყოს.

¹ მსახურნი A.

ქ. თავი სამასოთხმეცდაორი

382. ქ. თუ გამთავებით კაცი იყოს ბოროტის ნდომით, შეუფთხოს საწედარი თუ [225v] ჯორი და ზედ მჯდომი გარდმოაგდოს, და მოკუდეს, სისხლის სამართალი იქნას, როგორათაც სწერია [იხ. მუხლ. 215, 221 და 371].

და თუ არ გამთელდეს, და სიკუდილით არ მოკუდეს, და მოეტეხოს რამე, მოტეხის საექიმო მისცენ, როგორც სწერია. და თუ მართლა არ გამთელდეს და დაუშავდეს რამე, რაც ასო დაუშავდეს, მისი, როგორც სწერია მის რიგათ [იხ. მუხლ. 213], იმისი ნახევარი მისცენ და საექიმოც.

და თუ თამაშობაში უყონ და ყმაწვილმა შეუფთხოს, არა ეთხოვბოდეს რა. და თუ მართლა კაცი იყოს, ისიც სამართალი დაედვას, ამიტომ რომ თამაშობაში იმგვარი საქმე არ უნდა ქნან.

ესეც უნდა მართლა შეიტყონ, ნებით მამჭდარა თუ უნებურად: ნებით ნაქნარსა მთლივ დაედვას, და უნებურად ნაქნარს—ნახევარი, თუ სხვაგვარი იყოს და ქრისტიანი მოკუდეს თუ დაშავდეს მისის შეუფთხობით; და თუ ქრისტიანისა ქრისტიანით მოჭდეს ნებით, ნახევარი მისცენ და უნებურისა ნახევრის ნახევარი მისცენ.

ქ. თავი სამასოთხმეცდასამი

383. ქ. ნებით და უნებურად სიკუდილი მრავალი იქნების და აქ ნიშანს მივცემთ თავ-თავის ზომიერათ.

მოჭდების, რომ კაცი ხესა სჭრიდეს, წავარდეს ცული და ეცეს კაცსა და მოკუდეს*; ანუ მალლის მთილამ, ანუ მალლის ადგილილამ ხე ჩამოაგდონ, ანუ ქუა, ეცეს ვისმე და მოკუდეს, ანუ ვენაჯილამ კაცი ქუას ისროდეს, ანუ ბალილამ ისროდეს, და ეცეს ვისმე და მოკუდეს**; ანუ ხეს ქუას [226r] ესროდეს, ანუ ჯოხსა, და ეცეს ვისმე და მოკუდეს; ანუ სხვა რამ ამისთანაები, რომლითაც სიკუდილი მოჭდეს***. და ანუ ოსტატი რომ დაარჩებდეს შაგირდსა, კრას რამე****, და ანუ მამამ—ვაქსა, და ანუ დედამ—ქალსა****, ანუ დედამთილმა—რძალსა, ანუ ძმამ—ძმასა, ანუ პატრონმა—ყმასა, ანუ მანდილოსანმა—მხლებელსა თვისსა,—ამისთანა საქმეებით სიკუდილი მოჭდეს*****. ანუ ცხენის გაჭენებაში მოკუდეს*****; ანუ ურემმან¹ გარდიაროს და მოკუდეს. ან კაცი ქუას სხვას რასმე ესროდეს და კაცს ეცეს და მოკუდეს. ან ყაზახთ შუა შევარდეს, შემოკრას² და მოკუ-

¹ ურემა A. ² შემოკრან A.

* მეორე სჯული, 19, ** 72-ე კანონიდან ათანაესესი. *** მე-5 კანონიდან ბასილი კესარიელისა. **** 73-ე კანონიდან ათანაესესი. ***** 101-ე კანონიდან ბასილი კესარიელისა. ***** 30-ე კანონიდან ათანაესესი. ***** იქვე, 44-ე კანონიდან ათანაესესი.

დეს*. ანუ ურჯულო რომ ქრისტიანს კლევდეს და მოკლას, და ქრისტიანმა ქრისტიანის გულისათვის დაჰკრას რამე და მოკუდეს**.

ესეები, ასრე რომ მოუტდეს ვისმე, უნებურია. შულღში და ავს დიდს ჩხუბში ანუ ლაშქარში რომ კაცმან კაცი მოკლას, ნებაა, მაგრამ უნებური სიკუდილია***.

და თუ ვინმე ვისაც კრას ჯოხი და მოკლას, ეს ნებით სიკუდილია. ანუ ვინმე ვისაც ჯოხი კრას და მოკლას, აქნეინოს, რაც არ შეეძლოს, და მოკუდეს, ნებით საკუდილია. ანუ ვინმე ვის ჯოხი შემოსტყორცოს. ანუ რკინეული რაგინდარა, ეცეს და მოკუდეს, ნებით სიკუდილია. მეზობელმა მეზობელს წამალი ასვას მტერობით და მოკუდეს, უზეშთაესად ნებით სიკუდილი ეს არის. ამისთანაები ნებით სიკუდილია.

და ამავების სამართალი, ნებიერისაც და უნებურისაც, — სისხლი — ჯელმწიფეთ სამართალსა და გარიგებას [226ჯ] ფეგს ქუეშ სწერია [იხ. მუხლ. 152]****.

თუ ურჯულომა ქრისტიანი უნებურად მოკლას, ნებით სიკუდილის სამართალი დაედვას. ფასი სისხლისა სწორედ გამოართვან.

და თუ ქრისტიანმა ქრისტიანი მოკლას ნებით ანუ მისის ცოლის ქიშპობით, ანუ მის კაცის ქონებისა და სიდიდის შემზურნობით და ქიშპობით, ანუ სხვაფერ სიკუდილი მოაქდინოს და ქნას, დაადვან სამართალი, გასინჯონ¹ და გარდააქდევინონ, როგორც რომ სწერია.

და თუ უნებურად და მტრობით მოკდეს სიკუდილი, მისგან ითხოონ, როგორც რომ ნებით სიკუდილისა, თუ ზედ გაიცინოს და გაიხაროს სიკუდილი; და თუ არ გაეხარდეს, ნახევარი, როგორც რომ სამართალს ჯელმწიფისაში დაეწერეთ, ისრე [იხ. მუხლ. 152].

ქ. თავი სამასოთხმოდლოთხი

384. ქ. თუ ვინც წაიყუანოს რუ წყლისა ვენაჯისა და ბალის მოსარწყავად, ანუ ყანისა და ბოსტნის მოსარწყავად, ანუ სხვა-რიგად, თავისი მორწყოს და გაუშვას და მასუკან შეატყობინოს ამხანაგს, და წაუტდინოს რაც რამე ფერი ჭირნახული, ეს ნებით წანაქედი არ არის, ნახევარი წანაქედია, მაგრამ კიდევ ეზღვევი-ნება.

და თუ არ შეატყობინოს ამხანაგსა და ისრე გაუშვას, და წაუტდინოს² ამხანაგსა წყლით ჭირნახული, რაც წაეჭდინოს, ერთ-პირ მთლივ უზლოს. და თუ მტრობით ექნას, ან ბატონსა, ან ყმასა,

¹ გასარჯონ B. ² წუბდინოს A.

* მე-18 კანონიდან მამათა შედგომილთა. ** 29-ე კანონიდან ათანასესი.

*** 97-ე კანონიდან ბასილი კესარიელისა. **** იქვე, მე-5 კანონიდან.

ან დიდსა, ანუ მცირესა, ან ყმაწვილსა, ან მოჯამაგირესა, ვისაც, მტრობით თუ [227r] უმტრობით,—გასინჯვა უნდა და, როგორც მამკლარა, იმგზით სამართალი უყონ.

ქ. თავი სამასოთხმოცდახუთი

385. ქ. მრავალნი ექიმნი მრავალს დაუშავებენ წამლით—ანუ წამლის გამოცდითა, ანუ ავის ნდომითა მოკულენ წამლით, ანუ უცოდინარობითა¹ ავს წამალს მისცემენ და დაუშავებენ რასმე, და ანუ ჭირს ვერ იცნობენ, ანუ ქიშპობითა არ ასწავლიან თავიანთ შაგირდს მართლა, ანუ საექიმოს არ მისცემენ და იმისთვის და ანუ უცოდინრობითა ბევრს დააშავებენ და ჭირზედ სხვას ჭირს დაუმატებენ,—ნებიერობის მგზავსად ვიცით.

რომე ვინც უნებურად ექიმთა წაიყუანს, ვიცით, რომ არ უზამს მართალს წამალსა, ანუ იცოდეს, ეს წამალი მოკლავს ან დაარჩენსო, მისცეს და სიკუდილის საბაბი შეიქნას. იმისთანის მიმცემს ნებით მკულელის სისხლის სამართალი დაედვას.

და თუ თავის პირით გაენდოს ნებით, სიკუდილის საკანონო უნდა გარდიქადოს. და თუ უნებურად და უნდომლად მოუტდეს, უბრალო იყოს. თუ არ შეხუდეს ექიმისაგან წამალი და ვერ მორჩეს მისის ექიმობით, და ექიმი მართლის გულით სწამლობდეს და არა ეშველოს² რა, ექიმიც უბრალოა და წამყუანიცა.

ქ. თავი სამასოთხმოცდაექუთი

386. ქ. თუ ვინმე ვინც ძალად თავის საქმეზე გაგზავნოს და დაშავება სიკუდილით მოტდეს ამისთანაზე,—თუ ხეზე აგზავნოს დასაბერტყად ძალით ანუ დიდს [227v] წყალში შეგზავნოს, ანუ ანჩხლსა და ავს ცხენზე შესვას, ანუ ამისთანა სხვა საქმით,—ანუ მოჯამაგირე, ან მუშა ძალად გაგზავნოს სადმე და მოუტდეს იქ სიკუდილი, ანუ ხიდამ ჩამოვარდეს, ან წყალში დაირჩოს,—ამისთანაებზე სისხლის სამართალი იქნას.

თუ მოჯამაგირე, თუ თავისი ყმა, თუ მუშა ჩვეულებასა და მართებულს გარდა თუ რამ სხვა უმართებულს საქმეზე გაგზავნოს, შეაბას და ძალა დაატანოს და იმით მოკულდეს, ნება არის, მაგრამ სიკუდილი უნებური და იმისი სამართალი იქნას.

¹ მცოდინეობითა A. ² უშველოს A.

ქ. თავი სამახოთხმოცდაშვიდი

387. ქ. მოვიდეთ, ვნახოთ მებალის საქმე და ნაქმარობა, თუ ბალსა სცევდენ, თუ ვენაჭთა და სხვათა. ქეშმარიტობა მგზავსად არ შეგ[ვ]იძლია, სხვადასხვა[ა] ჩვეულობა, რომე აქავ დავამტკიცო, მაგრამ ცოტას რასმე მივეცემთ სამართალითა ჩვეულებად გასყიდვად რისას მათისას დამტკიცებით, რაც მათი სამართალი იყოს. ნურვინ იქს უსამართლობით მათ ზედა და სამართლით გაუყონ მათ ამხანაგთა მათი ნაჭირნახულები.

და თუ რომელსამე ამხანაგს შეაჩნდეს ქურდობა თავიანთში, რომე შუადამ მოეპაროს, ერთიორად აზღვევინოს, არათუ სხვათა ქურდსავეით ერთიოთხად*, ანუ მეტად, ანუ ნაკლებად, ამიტომ რომ თავისი ნაჭირნახულებიც არის. ამხანაგთა სწორედ უნდა გაიყონ.

მუშისა და მოჯამაგირისა დროზედ კიდია, ზოგ[228]ჯერ¹ ღვირად დაიჭერენ და ზოგჯერ იაფად. და რასაც შეპირდენ, უნდა მისცენ. და მიმგზავსებით აღგილისათ იქნას ყოველი.

ქ. თავი სამახოთხმოცდარვა

388. ქ. მეცხვარეთა და მეველეთა, ჩვეულობით ქუეყნისა, სხვადასხვითა² ფასითა, ქეშმარიტად, როგორათაც გარიგებულან, ისრე უნდა შეინახონ, სწორედ და გაფთხილებით.

თუ მოკდეს, რომე ნადირმა წააქდინოს რამე, რომ არ იყოს მის, მეცხვარის, უღონობით და არც უნაღულელობით და ანუ სხვა რიგად,—თუ შეუნახავს სიფთხილით, არ მოხდებოდა ის წანაქდენი,—სამართლითა უნდა აზღვევინონ. თუ ან არ უფთხილია და ან არ უნაღულია, სულ უნდა აზღვევინოს წანაქედი; და თუ ცოტა არის უნაღულია, ნახევარი უნდა აზღვევინოს.

და ანუ თუ თავის უღონობით მოუპარეინებია რამე, სამართალია, რომ უნდა უზღონ. და თუ თვითან მოუპარავეს და შეაჩნდეს მეცხვარეს თუ მეველეს, ერთისათვის ოთხი და ხუთი უნდა აზღვევინოს სამართლით და რიგითა**.

თუ დაეკრას და მოეკლას, უნდა უზღოს. ანუ ქუის დაგორეგით³ ან ნადირისაგან იმგვარად წამკდარი უნდა უზღოს.

და თუ შენებაზე მოკუდეს, რომე მან მყურებელმან მეცხვარემ არა ინაღლოს რა და წაქდეს და მოკუდეს, უნდა უზღონ.

თუ ვინმე შეინახოს ცხენი თუ ჯორი ანუ საკვდარი და ერთმანეთი დააშაოს, იმგვარად შეინახველთა სამართლით აზღვევინონ***.

¹ ზოგჯერ A. ² სხვადასხვითა] + და A. ³ დაგორებით A.

* გამოსლვათა, 22,11. ** იქვე, 22,11. *** იქვე, 21,11-11.

[228v] ქ. თავი სამასოთხმოცდაცხრა

389. ქ. თუ ვინ შესწიროს საყდარსა მიწა-წყალი, საჯნავე, ვენაჯი, ბალი, ბოსტანი ანუ სხვა რაგინდარა, მოკდეს რომ საყდარი წაქდეს და დაიქცეს, თუ მონასტერი იყოს, თუ სოფლის საყდარი, და მისი შეწირულობა ერისკაცს ვისმე ევიროს და სჭამდეს, შეუძლია, ვისგანც შეწირულია, მას გამორთმევა და უნდა შეინახოს სანამდის აშენდებოდეს.

თუ ამისი ექვი ქონდესთ, რომ აღარ აშენდებოდეს, აბა, მასუკან სხვას საყდარს უნდა შესწიროს, თავიანთვინ ველარ დაიჭირონ, რომე ღთის შეწირული არის. და ვერცავეინ შეწირული გამოსწიროს.

და იმ დაქცეულისა და აუშენებელის საყდრის მრევლნი რომე სხვას საყდარს მისცენ და მასუკან კიდევ ისრეე აშენდეს, იმისი მრევლი ისრეე იმას უნდა მისცენ მოუშლელად, ულაპარაკოდ.

და თუ სხვას საყდრის მრევლსა იმ საყდრის აშენება აღარ უნდოდეს და ისეე წამჭდარი უნდოდეს, და იმის დასაკარგავად სხვა საყდარი ააშენოს, ნუ გაუშეებს ებისკოპოზი.

და თუ ძალით და ურიგობით მოაქდინონ, იმ ქუეყნის ბატონის ნება დაირთონ, აღარას უშეგელის,—ებისკოპოზს და მოქადაგეს თქმა და დაშლა მართებს, რადგან ქიშპობით ააშენებენ, და თუ არ დაიშლიან, თვითან იციან ცოდვა და მადლი, ორივე.

ქ. თავი სამასოთხმოცდაათი

390. ქ. ვაჭარნი ჯელმწიფის ბძანებით გარიგდენ ანუ ქალაქისა მოკვლეებით, [229r] ბძანებითა ჯელმწიფისა.

თუ ქალაქისა, თუ სოფლისა, რასაც ადგილის, უწინდელი ნახვით უნახონ საწყაო, სასწორი, ადლი და ლიტრა, და მათით დასდვან. ნახონ ძალი აღებ-მიცემისა და ისრეე გაარიგონ. და დააყენონ კაცი თავსა, ერთმანეთს ძალი არ უყონ და ერთმანეთი არ იბრიყონ, და ქიშპობა და ინადობა არა ქნან.

და ვინც რევდეს, სცენ, დაარიგონ ბძანებითა შემძლითა და მოკვლითა.

ვინც იქურდოს ნაკლების საწყეოთი, ადლრთა და სასწორითა, ერთისათვინ ოთხი წაართვან და ავის კაცის ნიშანი დასდვან, რომ სხვამ ნახოს და აღარა ქნას.

და ვინც უკვლმწიფოდ, მალევით თეთრი¹ მოსკრას, კელი უნდა მოსკრან კაცსა იმრიგსა ბძანებითა ჯელმწიფისათა.

და ვაჭართა სწორედ, მართებულად უნდა ისარგებლონ, არათუ გზიდამ გასულითა და უმართებულად.

¹ თეთრი]+ თეთრი A.

ალბ-მიცემაში ვინც დაატყუოს უცოდინარი¹ და საბრალო, როგორც ქურდსა, ისრე ერთისათვის ოთხი უნდა წაართვან.

ქ. თავი სამასოთხმოდათერთმეტი

391. ქ. მოკვლეთა ყოველთა, ვინცავეინ იყოს, რაც ჯელოსანი რას დროს იველოსნონ, როგორც რომ შერიგდენ, ნარდათ თუ დლით, როგორც რომ პატრონს უნდოდეს, ისრე უნდა გაუქეთონ და ისე უმუშაონ. ფასშიაც არ უნდა დაატყუონ² და არც უნდა რიგი ჯელოსნობისა წააქდინონ. რაც ჯელოსანი იყოს, ყოველმა ჯელო[მ]სანმა, თუ ვისაც რასმე უქეთებდენ და წაუქდინონ, როგორც ღირდეს, ისე ფასი უნდა მისცეს.

თუ მოიპაროს რამე მის სამუშაოში, როგორც ქურდს, ისრე ეზღვევინება სამართლით*. და თუ დაუკარგოს, უნდა უზლოს.

და თუ დასაქრელი იყოს და თავის დაქრით დაშავდეს ანუ სხვა რამ სხვას წაქდენით წაუქდინოს, სამართლით უნდა უზლოს, რომე ბევრი ხანი დაეგვიანებინოს და ამიტომაც, რომ მიუციათ გასაქეთებლად, არათუ წასაქდენათ.

თუ მოიპაროს მისგან და ჯელფასი ჯელთ ექიროს, ნახევარი უნდა უზლოს. და თუ ჯელფასი ჯელთ არ ექიროს და მას ჯელოსანსაც მასთან დაკარგოდეს რამე და გაფთხილებითაც გაფთხილებოდეს, ვერას შეუიღეს და იმ პატრონმა დაკარგულისამ მასთან უნდა ეცებოს. და თუ არ გაფთხილებოდეს და ავად და ავს ლაგს შეენახოს, სრულ უზლოს.

თუ მიტომილისა ლაშქრისა და თარეშისაგან წამკდარიყოს და დაკარგულიყოს, ვერას შეუიღეს ჯელოსანსა.

და თუ გირაოდ დადვან ის საჯელოსნო და ანუ იქ დაიკარგოს, ანუ თვითან დაკარგოს, უნდა უზლოს.

და თუ ცეცხლით დაიწვას, რომ მასთან სხვაც ბევრი წაქდეს, რომ იმ ჯელოსნის უნალუღელობით არ იყოს და მტრისაგან მამკდარიყოს, არ უნდა უზლოს, ვერც აზღვევინონ. თუ მარტო ის დამწვარა ანუ მოუვლელობით, ანუ უნალუღელობით, უნდა უზლოს პატრონსა. სამართალი ეს არის.

[230 r] ქ. თავი სამასოთხმოდათორმეტი

392. ქ. მოჯამაგირენი და მუშანი, რასაც დროს მუშაობდენ, თავიანთ³, მუშათ, პატრონის დარიგებით ჩვეულობაზე და მართებულად

¹ უცოდინარო A. ² დაატყუონ A. ³ თავიანთ A.

* გამოსლ. 22,3.

ირჯებოდენ, მოკდეს, რომ პირუტყუმა ფეკი მოიტეხოს ან სხვა რამ იწყინოს, გინდა სხვა რამ მოსტყდეს, უბრალონი იყუნენ, რადგან პატრონის დარიგებაზე და მართებულს მუშაობაში მამკლარა.

და თუ თავიანთ ნებით ემუშავნოს უმართებულოთ ანუ თავიანთ¹ სამუშაოზე წაეტდინოს რამე, უნდა უზლონ. ეს არის სამართალი, და კარგვეარად². გასინჯეთ მოკდენა საქმისა.

ქ. თავი სამასოთხმოდლაძამეტი

393. ქ. მოსამართლესა სამართალში მართებს შეტყობა.

რას დროს მკულელი და სხვასა ავის ბოროტისა მოქმედისა გვაჩვენებს ორზომას მათს გარჯა-გარდაჭდევინებას, გაშინჯვა ღირსია: რას ფასი სისხლისა აიღონ მათგან, მონანება იქნას და საკანონოს გარდაჭდა. რამეთუ სისხლის ფასითა მორჩნენ, [მაგრამ] ნუ იქმნენ საკანონოს დაუდებლობას, ამიტომ რომ არ იქნების კაცის ფასი მის მეტი, რომე თუ არ მოკუდეს მის მაგიერად. სისხლს რომ მისცემენ და გაგვიჩენია იმ თავის ტანის სიკუდილის ფასი მკულელისაგან, მაგრამე უნდა გარდიკადოს საკანონო.

კაცისმკულელობისა ფასი შეძლებით დაიდვა. არათუ ღირსია, მაგრამ ზომიერი იქნას, ამიტომ რომ არ იქნეს ბოროტის ჩვეულება და ნება. კიდევ, რაც რომ დაეშავებინოსთ, [2307] იმისი დარიგება და გარდაჭდევინება უნდა.

თუ გლახა იყოს, ეყოს ცემა და დარიგება და დადება შიშისა. და ჯარიმა ღიდად მქონიერესათვის დავდევით. ნატყვენავი³ — მაგიერი ჯარიმის. სისხლის ფასი გლახისა—თავისი იყოს. სამართალი იქნას მოსულის საქმისა ყოველისა.

რომლისაც არ გამოჩნდეს, მაგრამ მან, მქნელმან უნდა გაუცხადოს მოძღვარსა მისსა და გაენდოს გულმართლად, და მან მოძღვარმან დასდვას, რაც მისი რიგი და მისგან მართებულია.

ყოველი სამართალი ნაქნარობისა გასინჯეთ. მაგრამ უნდა იყოს მოძღვარი ყოველის საქმისა და სამართლის მკოდნე. გარჯა და გარდაჭდევინება საკანონოთი მის ნაქმარის ცოდვისა მაგიერი საზღაური იყოს, როგორათაც დასდებენ ყოველის ბოროტის მოქმედს.

როგორათაც რომ საერო მოსამართლენი დანაშაულსა დახედვითა მოსჭრიან ველსა ანუ ფეკსა⁴, ანუ დაუშავებენ სხვასა ასოსა რასაც, იმგვარად და უზემთაესაცა სულიერთა მოსამართლეთა ღთის სამართალში უნდა დასდვან დანაშაულის გარდასაჭადი. და ამის-

¹ თავიანთ A. ² კარგვეარად AB. ³ ნატყვენავი იმ დღეს AB. ⁴ ფეკსა A.

თვის უწყოდეთ¹ ამ ერთს თავესა სამართლისა სამართალა, რომე უნდა კიდევ კარგად გასინჯვა და დაჭედვა სამართლითა სამართალზე.

ქ. თავი სამასოთხმოდათოთხმეტი

394. ქ. მეწისქუილის კელოსნობას გამოცდა და გასინჯვა უნდა. უნდა რომ იცოდეს [231r] გაპართვა და მოვლა მართლა და კარგად.

თუ ბევრის გაუმართაობით და გაურჯელობით წაქდეს საფქუავი წისქუილსა მისაში, მისის მოუვლელობით² და უშიშრობით, მისთანას დამნაშავეზე იქნეს სამართალი: არც უნდა მისცეს მიზლი, და რაც წაქდენია, ისიც უნდა უზლოს პატრონს საფქუავისასა.

და თუ საბაბი პურის ნედლობისაგან ყოფილიყოს³, უბრალო იყოს მეწისქუილე, და წყლის წანაღები უზლოს. და თუ მოეპაროს და შეამცნიონ მართლა, ერთიოთხად აზღვევინონ. და თუ მეწისქუილის უნებურად მოეპაროს, მეწისქვილე უბრალო იყოს.

ქ. თავი სამასოთხმოდათოთხმეტი

395. ქ. ბევრჯელ მოკდება საქმე ამისთანა, რომე მისცენ ცხენი ანუ ჯორი და საჭედარი კელთ ვისმე, შესვან ზედ და გაგზავნონ ან წყალზე, ან საძოვარზე, ან საქმეს რაზედმე.

მაგრამ, თუ ყმაწვილია და არ დაარიგა, და ან არ გააფთხილა⁴, და ძალით შესვა და გაგზავნა, და გარდმოაგდოს ან მოკუდეს, ან წყალში დაირჩოს, უნდა პატრონსა მისსა სისხლის ფასი მისცეს.

და თუ არც ყოფილიყოს ყმაწვილი და არც გაეგზავნოს ძალით, არც ყოფილიყოს მისი და არც მოჯამაგირე მისი, და ფასით და მისის ნებით წასულიყოს, და ცხენ-ჯორის პატრონს და ერიგებინოს და გაეფთხილებინოს, უბრალო იყოს პატრონი ცხენ-ჯორისა, რომე ფასისა გულისათვის შეხვეწნოდეს და წაეყვანოს.

[231v] ქ. თავი სამასოთხმოდათექუსმეტი

396. ქ. საფლავის მიწის ფასი არ არის კანონით, მაგრამ გამორთმევა და შეწუხებით თხოვნა ხარბისა და მგლეჯელის მდღლისაგან მოკდების. და შეიქნენ ანგარიშის ბიმცეში ღრთისა, და უნდა მისცენ ანგარიში დიდსა დღესა განკითხვისასა.

რაც რომ ვისაც კელიდამ გამოუიდოდეს, იმას უნდა დასჯერდეს სამარხსა და⁴ გარჯისას. სულის კერძი და გარდასაბურავი მონასტერს უნდა მისცენ, მოქადაგეთა და მეუღაბნოეთა.

¹ უწყოდეთ A. ² იყოფილიყოს A. ³ გაფთხილა A. ⁴ და]—A.

თუ ქუეყნიერი მღდელი¹ მიიცვალოს და არა ყუანდეს დამპატრონებელი, იმრიგის მღდლის ქონების დაპატრონება ებისკოპოზისა არის; უნდა იმან გაურიგოს სულის საქმე; და ტანისამოსი და ქუეშაგები ებისკოპოზისა არის, რომე ის არის მისი მაკურთხეველი. და მრევლმან რაც თავიანთის ნებით მისცეს მღდელს, იმას უნდა დასჯერდეს.

და თუ მღდელს ყუანდეს მღდელი² დამპატრონებელი ღირსი, მისი მრევლი იმას უნდა დაანებონ. და თუ ღირსი არ იყოს³, სხვას ღირს კაცს მისცენ, და მღდლის სახლი ებისკოპოზისა არის, და საწესო—მისის სახლისა.

და კანონის ბძანება არ არის, რომ მღდლის ძძამ ერისკაცობით სამწყსო მღდლისა ჭამოს. თუ შვილი დარჩეს და შვიქნეს მღდელი, და იყოს ღირსი, მამის სამწყსო შვილსავე დაანებონ.

კათალიკოზს მრავალნი აკურთხებენ და მრავალნიც ეკურთხვიან მისგან. მისი სახლი მრავლის სიდიდის ღირსია, როგორც რომ სწერია, და მრავლისაც უნდა იყოს. მაგრამ, თუ არ ინდომოს კათალიკოზმა, მი[232]სივე იყოს.

ებისკოპოზი რომ მიიცვალოს⁴, მისი [კათალიკოზის] მიცემული ჯვარი, წიგნი და შესამოსელი ისრევე მიირთვას. და თუ ებისკოპოზს თავისით გაეყეთებინოს და თვითან თავის საებისკოპოზოში ვისაც უანდერძოს, მისი იყოს.

ქ. თავი სამასოთხმოდღაჩვიდმეტო

397. ქ. სამანი და სამძღვარი ქუეყნისა მთითა, წყლითა და კლდითა ანუ დიდის ქუის დადგინებითა დაამტკიცონ. იმგვარად სოფელსა და სოფელს შუა, მიწათა და მიწათ შუა, მინდორთა და მინდორთ შუა გაარიგონ გაყოფით და გასამზონ მოწმებითა, და დიდის ქუის დადგინებით დაამტკიცონ. იმგვარად⁵ ვენაქთა და ვენაქს შუა ხითა და კედლითაც იქნების, მაგრამ კაცთა შეყრით და მრავალთა დამოწმებით; რომე დიდი ქუა სამნათ დაადგინონ, ისი სჯობს იმგვარად სახლთა ალაგიც. ასრეა მართებული.

ქ. თავი სამასოთხმოდათურამეტო

398. ქ. გაგიება პირუტყუისა არ იქნების მათით, რომე არასია შემტოდე, მაგრამ ჩვენთა მოსანახავად მოკდების, როგორათაც ღორის ჯოგი გერგესელთაში, ამიტომ რომ დაედვათ პირობა, არ

¹ მღდელი A. ² მღდელი]+ და A. ³ იყოს]+ [და A. ⁴ მიცვალოს A ⁵ იმგვარად]+ და A.

ენახოთ იესო ქრისტეო*. ახლა გამოჩენით ჩანს, პირუტყუში არ შევა ქაჯი, მაგრამ აუშვებს პატრონთა შესაშინებლად.

ახლა მართებს პატრონსა, რომე გაფთხილდეს. და თუ არათ ინალულოს და გაუშვას, ისრე იქნების. რომე ის პირუტყუი გაუ- [232v]შვან და პატრონს მისაში შევიდნენ. მართებთ პატრონთა განდობა თავის ცოდვისა და მონანება ლოცვით და მარხვით სამს წელიწადს, უნდა ორმოც-ორმოცი დღე¹ იმარხოს [და] ჯვართა, სახარებთა, ჯვარგამოსახვით იყოს. იქნას, რომე მოინდომოს და მოიწონოს ღ²თნ მონანება და განაქაროს, კაია. და თუ არადა, დაკლან და ურჯულოთ მიყიდონ.

და თუ ეყიდოს ვისგანმე და მოწმებები² ყუანდეს, რომე მისაე გამყიდველისა სახლში ყოფილიყოს გიგი, შეუბრუნოს; და თუ არ ყოფილიყოს, ნუ შეუბრუნებს. თუ უწმინდური იყოს, ისიც ურჯულოსა და სხვაგვარს მიყიდოს.

ქ. თავი სამასოთხმოდცხრამეტი

399. ქ. კანონის ბძანებითა ყმაწვილს გუირგუინს ნუ უკურთხვენ, ვიდრე არ შეიტყოს თავიანთ³ ნებით თავიანთ აგებულობა და ცოლქმობის გზა და გაძლოლა**.

მაგრამ, თუ მოკდეს ქალი პატარა, შეუტყობარი იყოს აგებულობისა, და კაცი იყოს მართალი კაცი და კაცობაში შესული, ორზომად ავია და ბოროტი, რომ ისინი დაწუნენ ერთმანეთთან.

რომე მოკდეს სისატიარით მოკუდეს ქალი, ვაჟის მამასაც და ქალის მამასაც, ორსავე, როგორც ნებით კაცთა მკულელს, ისრე მათ საკანონო უნდა დაადვან, და მლდელი მლდლობიდამ ჩამო- აგდონ და გარდააყენონ, რომელსაც რომ გუირგუინი უკურთხავს.

და მძახლეი ებისკოპოზმან შიაჩვენოს და შიში დასდვას.

[233r] ქ. თავი ოთხასი

400. ქ. სასწაულის საყდარი, თუ მოწამისა იყოს, თუ შნოთა ღ¹თისათა სადაც ადგილი, ანუ ნაწილი ძელი ქვეშარიტისა იყოს სადაც დამტკიცებით, და მივიდოდნენ კარსა მისსა მლოცავნი, რომლისაც ებისკოპოზის თემში იყოს, იმან უნდა, რასაც ადგილს და რასაც სოფელში იყოს, იმ სოფლის მლდელს უნდა მიაბაროს, რომე გაფრთხილებით მსახურონ.

¹ დღე) + უნდა A. ² მოწმები AB. ³ თავიანთ A.

* ლუკა, 8, 28-30. ** 218-ე კანონი ბასილი კესარიელისა.

თუ მოვლდეს, რომ შორს იყოს მას მდღელზე, ვინც ახლო იყოს, ის ემსახუროს. და შეინახონ კარგგვარად¹ საყდარი და ნაშენობა მისი, არათუ მარტო მოსაელისათვის მსახურონ, ღთის სახლობისა და წმინდათ ნაწილთ გულისათვის ღირთებთ გაფთხილება და კარგად სამსახური.

რომელმან რომ მიართვას რამე სასწაულს თავის ტანის განწმედისათვის, არ უნდა რომ იმაზე წაიკიდონ, — საეპისკოპოზო მონასტრის მეტოქია, ეპისკოპოზია მისი მეპატრონე და ზან უნდა მოაგმაროს საყდარსა და საყდრის გარეგებასა.

არა ეამს, რომ იმისთანა წმინდა სასწაული სადაც იყოს, საბატონო გამოსაღები რამ დასდევან. თუ ეპისკოპოზსა და მოქადაგეს არ დაუჯერონ, შეჩვენებული შეიქნენ და ცარიელი — უფლისა შნონი; და მოვალობით პასუხის გამცემნი შეიქნენ, რომ მომწლებნი არიან კაცთამოყუარის მღთის საამოს საქმისა.

იმისთანები უნდა უქადაგოს ეპისკოპოზმა და მოქადაგემ, რომ არცინ წაიღოს ფეშქაში სასწაულისა თავიანთ² სახლში. უნდა რომ გლახათ გაუ[233V]ყონ და საყდრის შენობას მოაგმარონ, არათუ შნი. სასწაულისა სხვაგვარზე მიიღებოდეს. ფეშქაში სასწაულისა თავ-თავის საიდუმლოთია ყოველი, რომე ფლური მოურეველი ბუნების საიდუმლოა ღთაებისა³ და სახე მომრჩენელისა⁴ — ჩვენი სახე, რომ აიღო თავისი ნაბოძები. სახე, როგორც ბძანა: «მიეცი თ კეისრისა კეისარსა და ღთისა ღთსა»^{*}; აბა, დანგი საიდუმლოა ქრისტეს მოსულისა და ოთხი თასუ ოთხის ნივთის ნიშანია, — ოთხსა რომ ეთქმის ერთი რუბი, — და იმ ოთხისა ერთი კიდევ საიდუმლოა ერთი მახარებელისა, [და] როგორც ერთი ერთისა, ისრევ ოთხი ოთხის მახარებელისა; და თორმეტი ქერი დანგისა თორმეტის მოციქულის ნიშანია; და თორმეტი ქერი ფლურისა სამოცდათორმეტ მოციქულთ ნიშანია; და დრამი მგზავსობით ჩვენთა ბუნებათა ნიშანია.

და სხვა ნიშანი ნივთისაგან, რომელსა რომე საყდარსა და ტაძარს მიართმენ შეწირვით, რომელი რომ საიდუმლო იყოს, ნუ მისცემენ სხვათა გვართა, რომ არა აქუთ მათ საიდუმლო რიგები.

და თუ ვინმე შეუპოვრობა ქნას და არ გაიგონოს, გააშორონ იმგვარნი თავიანთ საყდრისა და რიგისაგან. და მატყუარი ბუნები-

¹ კარგვარად AB. ² თავიანთ A. ³ მღთებისა A. ⁴ მრჩენისა B.

* მათე 22,21; მარკოზი 12,17; ლუკა 20,25.

სანი გააქარონ, რომელი იღგეს მას ალაგსა,—ბევრს არეულობას აქნევინებენ სწორეს გუნუბიანთა და გუნებას წაუტღენენ: დაკარგულნი მუცლისაგან და სხვა დაჭირებისაგან¹, ტყუილად უამბობენ ტყუილს სიზმარს და მრავალთა გზიდან გამოიყუა[შჰ4R]ნენ. რომე მართლა შეიტყონ, ტყუილ მოსიზმრენი და მოამბენი იყუნენ, ამისთანანი, მართლა გასინჯეთ, არ უნდა კათალიკოზთა და ებისკოპოზთა დააყენონ იმრიგნი სასწაულის კარსა, რომე ბევრს საქმეს აურევენ და მართალს გზაზე დააცდენენ.

ქ. თავი ოთხასერთი

401. ქ. გაყიდვა და ყიდვა ამრიგებისა, რომე ერთი ქუეყანა წაეჭდინოს ლაშქარსა და საშოვარი ეშოვნოსთ, ვისთეინც მიეყიდნოს, და მსყიდველის ჰელში იცნან, არ არის მართებული, რომ როგორც ქურდს გამოართვან და შეაბრუნებინონ, ამიტომ რომე იმგვარი წაეჭდნა ჰელმწიფეთაგან მოტდება, რასაც ქუეყნის ნაშოვრისა მონასყიდე ყოფილა.

ესე რომე მისცემს კანონი დასტურსა, რომე ჰელმწიფემან ერთს ქუეყანას გაილაშქროს და იშოვნოს საშოვარი; საშოვრისაგან საყდარს შეეწირება და შესამოსლათაც იქნების. და ნაქურდალი და მოტაცებული არცეთი არ იქნების და არც შეიწირავს, რომე ორივე ურგებელია.

ქ. თავი ოთხასორი

402. ქ. დიდის უჟლისა და მეუფის გარიგებასა და ბძანებასა ვნახავთ დალახულსა კაცთაგან, რომ არა გვაქუს ბძანება ქრისტესაგან დაფიცებისა.

სახელი ორთისა არა საქმისათვის კაცთა არ უნდა დაიფიცონ და არც შეფიცონ [შჰ4V] ორთის სახელზე არას ადგილს ერთმანეთსა. და²თუ მოტდეს, ერთმანეთს ადებდენ, მოსამართლესთან სიმართლის გულისათვის დაიფიცონ. ვინც იქ დახუდენ და ნახოს, ბერმა თუ მღღელმა, ბერიკაცი თუ ვაჟკაცი, დიდი თუ ცოტა, უნდა იქნენ დამძღვლნი და უთხრას, ქრისტემ აგრე როდის ბძანა, ქრისტე ორთნ ასრე ბძანა, რომ სულ ნუ დაიფიცავთო.

თუ ვინმე თქუას, არც სულ არ უნდა ფიცო, და ზოგან ხომ ჩანს, რომ აბრაჰამს² უბძანა ანგელოზის პირით ორთნ, —ჩემი თავი დამიფიცავსო,—ო³რთნ ეთქმის*. ო³რთნ აბრაჰამისამან³ აბრაჰამს,

¹ დაქარებისაგან] + და AB. ² აბრამს A. ³ აბრაჰმისამან A ⁴ აბრაჰმს A.

* შესაქმეთა 22,16; ესაია 45,23.

თაგის ყმას, შეფიცა. კიდევ შეფიცა უფალმან დავითს ჭეშმარიტებით; და ზელმწიფეები¹ შეფიცვენ ერთმანეთსა და მშვიდობას მოაქდენენ მათის ფიცით იმგვარად შემძლენი და თავადნი.

თუ მათ დაიფიცონ ჭუეყნის მშვიდობისათვის, მართებთ. და ასრე უნდა დაფიცება. დასდენ ზელი სახარებაზე და თქუან: «ჯვართაც იცის ღთს, ჯვარი და სახარება მოწამე არიან, გულსა ამას რასაც ვამბობ, არ გაგმტყუნდე»,—და ამისთანა თქმა განდობა არის. [ა]ნუ: «თქუას ამათმა ძალდა და დიდებამ, ჭეშმარიტია, რასაც ვამბობ, და არ გაგმტყუნდე».

ღთი გულთამხილავია ყოველთა, ჯვარი ქრისტეს ნიშანია და სახარება სიტყუა² ღთისა არის, და საყდარი³ ღთის სახლია⁴.

თუ მოკდეს წინაშე ავისა და ურიგოს თქმა სხვაგვარის მოსამართლისას, თუ გმევით[ო] ჯვარ-ხატი და სახარება, [235T]—არამცა და არამც გიქნიათ, ფთხილად იყავით. თუ სიკუდილიც მოკდეს, მიეცით ტანი თქუენი და ნუ გმობთ ქრისტეს ჯვარსა, ხატსა და სახარებასა.

და მაგრამ ესეც შეიტყონ მოსამართლეთა, რომე არ უნდა დაადენ მალე ფიცი და ცოტა საქმისათვის უნდა ეცადოს. თუ რამ სადაო იყოს, ნახევარი დაადენ და ჴნახევარი გააშვებინონ, რომე ფიცი არ მოკდეს. და ესეც მოგახსენოთ: ფიცის რიგი სწერია კანონში, თუ რა ერთს ხანს უნდა საკანონო გარდიკადოს და მონანებაში იყოს.

თუ ბერი-მეუღაბნოე იყოს ანუ მღვდელი და მასზედ სდებოდეს⁵ ფიცი, არც სულ არ უნდა დაიფიცონ. თუ გინდოდეს შეტყობა, რომე დაფიცება რომელს უნდა: ყუელას, ვისაც არა ყუანდეს მოწამე ან წიგნი დაწერილი მოწმით, იმათთანაზე მოკდების, არათუ მოწმიანზე.

მაგრამ თუ ვინმე ვინც დაიჭიროს და წაიყუანოს მოსამართლის წინაშე, სიაჯაკეს აღებდეს⁶, არა ყავთ მოწამე, არა ჳამს, რომე დამჭერნი დააფიცონ: და თუ ფიცი დასდენ, მას დაჭერილს უნდა დასდენ.

და არც ეს უნდა ქნან, რომ ტყუილს მოლაპარაკეს ფიცი დასდენ და დააფიცონ. ფიცი მართალს მოლაპარაკეს უნდა დასდენ და დააფიცონ, რომ ფიცი ძნელია და გაუძნელდეს და არ დაიფიცოს.

¹ ხელმწიფეები AB. ² სიტყუა]+ სიტყუა. ³ სყდარი A. ⁴ სახლია]+საყდარი A. ⁵ ზდებოდეს B. ⁶ სიაჯაკეს აღებდეს]—A.

თუ ვინმე დაიჭირონ ქურდობაზე და ბოზობაზედ, და დამჭერს მოწამე არა ყუანდეს, ისევ იმ დამჭერს დასდევან ფიცი და ის დააფიცონ, ამიტომ რომ ქურდი და ბოზი, რადგან ქურდობას იქს [ჰჰჰჰ] და ბოზობასა იქს, ის კაცი ტყუილათაც მალ დაიფიცავს და გაიადვილებს ფიცსა. და არ ვარგა მათი დაფიცება, იცოდეთ.

მაგრამ თუ იცოდეს მოსამართლემ და შეატყოს, რომე ტყუილად იყოს დაჭერილნი, იმათანას დაედება ფიცი.

არა ჯამს, რომე ყუელა კაცი¹, რასაც ხნისა იყოს, დაიფიცოს. ასეთს უნდა დაადევან ფიცი, რომე ოცდახუთის წლისა ნამეტნავი იყოს². არცა ჯამს, რომ ავადმყოფი³ დააფიცონ⁴, ამიტომ რომ სიკუდილის შიში აქუთ, ვაი თუ საკანონო გარდუქდელი მოკუდეს და ავია. და არც ყმაწვილი უნდა დააფიცონ, რომე მკუახეა უმწიფოს⁵ ხილსავით.

ვინც საკანონოს გარდაგლაში იყოს, არ დაედევას ფიცი, ამიტომ რომ ცოდვა ცოდვაზე არ დაედევას. არცა მებაჟეთა და ცოდვილთა დაედევას ფიცი.

ამიტომ დაეწერეთ წიგნი ფიცისა, რომე ავის დროსა და ჟამისათვის უსჯულონი განმრავლდა ჩვენ ზედა და ისინი მალ დაიფიცვენ. და ამის გულისათვის გასწავებთ თქუენ, თუ როგორ ჯამს ფიცის რიგი.

აბა, ასრე, როგორაც ამ თავში დაგუიწერია, არათუ სხვარიცად, დაიფიცოთ და შესცოდოთ ღ'თსა.

¹ კაცი—A. ² ასეთს... ნამეტნავი იყოს] ასეთი უნდა იყოს ოცდახუთის წლისა გარდა A. ³ ავადმყოფნი A. ⁴ დაფიცონ A. ⁵ უმწიფოს]—A.

[ღ ა ნ ა რ თ ი]*

ქ. თავი ოთხასსამი

403. ქ. თუ გელმწიფემან ააშენოს ციხე-ქალაქი და ან ასწე-როს ქუეყანა, ან მოაქრევეინოს ფლური და ან თეთრი, უნდა უფროსთა და თავადთა ვეზირობით და კითხვით ქნას რიგის სამართლითა. [შდრ. მუხლ. 152].

[236r] ქ. თავი ოთხასოთხი

404. ქ. უფროსთა და თავადთ არა მართებთ თავისთავად ფლურისა და თეთრის მოჭრა.

და თუ მოსჭრან, მოჭრილიცა და ალაგიც გელმწიფისა შეიქნას [შდრ. მუხლ. 152].

ქ. თავი ოთხასხუთი

405. ქ. ისრე, რასაც დიდსა წყალზე ხიდის გაღება გელმწიფისა არის მართებული, თავადთა არ მართებთ.

და ნურც ჩაიციენ საგელმწიფოს შესამოსელსა, ვიდრემდის ან არ უბოძოს და ან არ უბძანოს [შდრ. მუხლ. 152].

ქ. თავი ოთხასექუსი

406. ქ. გელმწიფეს წინ უბძანებლად ნუ დასხდებიან უფროს-უფროსნი თავადნი. სუფრასა გელმწიფისასა პატრიაქის მეტი არ-ვინ უნდა დაჯდეს უბძანებლად. და არცა გელმწიფისა ტახტსა და სუზანზე უნდა დაჯდენ პატრიაქის მეტი [შდრ. მუხლ. 152].

ქ. თავი ოთხასშვიდი

407. ქ. გელმწიფე პატრიაქის სახლსა ვერ დაჯდეს ერთის ბძანებითა [შდრ. მუხლ. 152].

ქ. თავი ოთხასრვა

408. ქ. ნუ იქნების ქრისტიანი გელმწიფე ხასით, როგორც რომ ურჯულო გელმწიფენი არიან, — ქრისტიანს გელმწიფეს შეძლება აქუს მიმგზავსებით პატრიაქთა ტრაპეზე ასულისა. და სამართლითა გაკუეთოს და გაარიგოს ყოველი საქმე საგელმწიფო [შდრ. მუხლ. 152].

* 403—431 მუხლები იმეორებენ 152-ე და 165-ე მუხლების შესაბამის ტექსტს, რომელიც შეცდომით დართულია ბოლოს.

ქ. თავი ოთხასცხრა

409. ქ. თუ მოვდეს გალაშქრება¹ სხვათა გვარზე, რომე: ემართლებოდეს, და [236v] გაამადლოს ჳმალი მისი, გაიმარჯოს და დაინარჩუნოს, დანარჩუნებას უკან ნულარ მოკულენ კაცთა.

და თუ სხვათა გვართა ქალაქი დაინარჩუნოს, ადგეს გარ, პირველ მშვიდობა უწოდოს ერთხელ, ორჯელ და სამჯერ. და თუ არ ინდომონ მოსულა, აიღოს ძალით ქალაქი, მტერნი ჳლმით დაგოცოს და სხვანი ძალად მოიყუანოს.

და თუ კიდევ გულმართლად ისინიცი არ მოვიდნენ, დახოცოს თავნი, რომელნი იყუნენ საქმისა მშლელნი [შდრ. მუხლ. 152].

ქ. თავი ოთხასათი

410. ქ. დანარჩუნებულის² ქალაქისა არა მართებს ჳელმწიფესა ნაყოფის მიმცემის მოკრა [შდრ. მუხლ. 152].

ქ. თავი ოთხასთერთმეტი

411. ქ. ქალაქისა და ციხის გამცემნი³, თუ წინათ ბოროტობის ქნის თავნი ისინი იყუნენ და გამოჩნდენ,—ისინი სიკუდილს დაბეზლდენ და ფასით დაჳსნით დაიჳსნან სიკუდილი, თვალნი მოსთხარონ და ცოლი და შვილი მისი ტახტს დაამორჩილონ და ამსახურონ; დაჳის თვალდათხრილი კაცი სხვას ქუეყანას დაკარგონ უთვალო და შიშველი [შდრ. მუხლ. 152].

ქ. თავი ოთხასთორმეტი

თუ მათ შუა ამისი პირი იღვას, რომე ერთმანეთის ასაბიანი იყვნენ და დაიჯოცებოდნენ,—უღირდეს სიკუდილი და გაუყრ-[258r]ელობა; თუ მათ იციან, შესწორებული საქმე არის.

და თუ რადმე გაიყრებოდნენ და მოყუარენი აღარ იყვნენ, მის მომკუდრის კაცის სისხლისათვის, თუ მის ასაბიეთ წამყვანელის კაცის სახლის¹ კაცი პირველ არ მომკუდარიყოს. და ესრეთ ეასაბიოს,—სისხლის დაურეგება მის გუარსა ზედა.

და მას რბევასა შიგან ოდეს იგი მოასაბიე მომკუდარიყოს, მისის სახლის² კაცთა და³ მისთა ყმათა სანიეთო რა ეშოვნოს, ასეთი რომე კარგი იყოს რა, სისხლთა შიგან მიეფასოს, ამისთვის [რომე] მას სისხლსა დაუურეგებს, და ვინც მორბეულა, მას უზღავს; და თუ სანიეთო არ იყოს, ნურა მიეფასებდის რა.

[ლომისისა გლეხისა ასრე იყოს]

42. ლომისისა ვინც გლეხი მოკლას, თუ მეფეთაგან შეწირულია, გინა სხუათა ვისგანმე, ათას ხუთასი თეთრი დაეურვოს. თავით ძუელითგან გაჩენილი არის ლომისის სამძღვარსა ზედა,—ამიერი ჯადა-ცხაოტის მიმდგომი არის,—და აგრევე გაჩენით იყოს.

¹ სახლის] სისხლის. ² სახლის] სისხლის. ³ და]—A.

41. ვისცა ასაბია იახლოს და მოკვდეს ანუ დაიკოდოს, მის მომკვლელის კაცისაგან არც სისხლი დაეურვოს და არც გერში მიეცეს. და ვისგანც ვისიც ასაბია ყოფილა, მათი საქმე ასრე იქმნას. თუ მათ შუა ამისი პირი იღვას, რომე [20r] ერთმანეთის ასაბიენი იყვნენ, დაიჯოცებოდნენ და უღირდეს სიკუდილი და გაუყრელობა, თუ მათ იციან, შესწორებული საქმე¹ არის. და თუ რადმე გაიყრებოდნენ და მოყუარენი აღარ იყვნენ, მის მომკვდრის კაცის სისხლისათვის, თუ მის ასაბიეთ წამყვანელის კაცის სისხლის კაცი პირველ არ მომკვდარიყოს და ესრეთ ეასაბიოს.—სისხლის დაურეგება მის გუარსა ზედა. და მას რბევასა შიგან ოდეს იგი მოასაბიე მომკვდარიყოს, მისის სახლის კაცთა და მისთა ყმათა სანიეთო რა ეშოვნოს, ასეთ რომე კარგი იყოს რად, სისხლთა შიგან მიეფასოს, ამისთვის,—მას სისხლსა დაუურეგებს, და ვინც მორბეულა, მას უზღავს; და თუ სანიეთო არ იყოს, ნურა მიეფასებდის რა.

42. ლომისისა ვინც გლეხი მოკლას, თუ მეფეთაგან შეწირულია, გინა სხუათა ვისგანმე, ათას ხუთასი თეთრი დაეურვოს. თავით ძუელითგან გაჩენილი არის ლომისის სამძღვარსა ზედა,—ამიერი ჯადა-ცხაოტის მიმდგომი არის,—და აგრევე გაჩენით იყოს.

¹ საქმე] + საქმე საქმე.

[ვევისბერთა და ჰეროვანთა მიდგომისათვის]

43. ამიერნი ვევისბერნი და ჰეროვანნი იმიერთ ნუოდეს¹ მიუდგებიან, ნუცა სალაშქროდ, ნუცა სასაუროდ ისაქმებენ ერთმანეთთანა თავის-თავისასა საერისთვისაგან კიდე.

და რომელიც მიუდგეს², თუ უნდა იმიერი ამიერსა³ ანუ ამიერი იმიერსა, დარბაზით მამული წაეღოს და ციხე დაექციოს.

სამეკობროს საქმე ასრე გავაჩინეთ, რომე:

44. ვინც რა ვინ⁴ მოიპაროს, ცხენი, ცხუარი, ძროხა ანუ სასაქონლო რამე, ანუ სახლი გატეხონ და წაიღონ რამე და უკან [252r] წაუდგენ და მიეწივნენ, და⁵ მეკობრენი შემოებნენ, და მეკობრე რაზომიცა მოკლან, სისხლი გაუცუდდეს ყუელასი.

და ნაპარვეისათეს ერთი თვთ იგი თავადი დაუურონ და ორი სხუა, —თავითურთ სამი შეიქმნას.

თუ საქონლის პატრონი თუ მოკლან ან მისი მოახლე, უკან მდევარი, რაზომიცა მოკედენ, სისხლი სრული დაუურონ.

თუ ნაპარვეი ყუელა ამ განაჩენით იზღვეოდეს: ერთი თვთ⁶, რაც წარჰდომოდეს⁷, და⁸ ორი სხუა.

45. კაცსა რომ მოეპაროს ვისგან რამე და მას ეამსა ვერა შეიგნონ რა, და უკანის შუამცნიონ ნაპარვეი და გამოჩნდეს მართლად, მივიდნენ და სთხოონ, —ქუეყანა იყოს მეკობრე თუ ერთი

¹ ნუოდეს] —ნუ. ² მიუდგეს] ÷ რომელიც. ³ ამიერსა] ÷ და. ⁴ ვინც რა ვინ] ვინცა ვინ. ⁵ და]—A. ⁶ თვთ] თუ. ⁷ წაბუნოდეს. ⁸ და]—A.

[21r] 43. და ამიერნი ვევისბერნი და ეროვანნი იმიერთ ნუოდეს¹ მიუდგებიან, ნურცა სალაშქროდ, ნურცა სასაუროდ ისაქმებენ ერთმანეთთანა თავის-თავისასა საერისთვისაგან კიდე. და რომელიც მიუდგეს, თუ უნდა იმიერი ამიერსა ანუ ამიერი იმიერსა, დარბაზით მამული წაეღოს და ციხე დაექციოს.

სამეკობროს საქმე ასრე გავაჩინეთ, რომე:

44. ვინც რა ვინ მოიპაროს, ცხენი, ცხუარი, ძროხა ანუ სასაქონლო რამე, ანუ სახლი გატეხონ და წაიღონ რამე და უკან წაუდგენ და მიეწივნენ, და მეკობრენი შემოებნენ, და მეკობრე რაზომიცა მოკლან, სისხლი გაუცუდდეს ყუელასი. და ნაპარვეისათვის ერთი თვთ იგი თავი დაუურონ და ორი სხუა, —თავითურთ სამი შეიქმნას. და საქონლის პატრონი თუ მოკლან ანუ მისი მოახლე, უკან მდევარი, რაზომიცა მოკედეს, სისხლი სრული დაუურონ. და ნაპარვეი ყვე[22r]ლად ამ განაჩენით იზღვეოდეს: ერთი თვთ, რაც წაჰდომოდეს, და ორი სხუა.

45. კაცსა რომ მოეპაროს ვისგანმე [რამე] და მას ეამსა ვერა შეიგნოს რა, და უკანის შუამცნიოს ნაპარვეი და გამოჩნდეს მართლად, მივიდნენ და სთხოონ, —ქუეყანა იყოს მეკობრე თუ ერთი

კაცი—და როდისაც მივიდეს საქონლის პატრონი და სთხოოს, იგი უმართლეს არის და მისცენ იმ ზემოთის განაჩენითა [მუხლ. 44], კარგად გარდაუჟადოს.

და თუ არ მისცენ, განმგებელსა და მის ქუეყნის კვეისბერს აცნობონ და¹ მათ უთხრან და დაუურევბინონ ამავე განაჩენითა [მუხლ. 44].

და თუ არც ამათის სიტყვით გამოერთვას და ეთხოოს ორჯერ-სამჯერ, სადაც ახლოს ერისთავი იყოს, მასცა აცნობონ.

და თუ არც მან დაუურევბინოს და ეს საქონლის პატრონი ზედ დაესხას მას მეკობრესა, დამსხმელი არა ჰქვან, და რაც² პირად მეკობრეთ ანუ მისთა ასაბიათა და შემომბმელთა მეკობრესთან მოკუდეს, სისხლი ნუ ეზღვევის მათი; და რაზომიც საქონლის პატრონისა მოკუდეს, ყუელასი სისხლი დაიურვონ, ამისთჳს რომე მეკობრეთდა უთხოვნია—განმგებელი და კვეისბერნი მოწ[ანჳ]რობენ, არ მოცემიაო—ორჯერი-სამჯერ.

ამისთჳს მათი სისხლი გაცუდდების.

ვალის საქმე ასრე გავაჩინეთ

46. სარგებელი არც ქართველთ სჯულთა შიგან³ ძეს წესად, რომე აღიღონ, და არც სხუათა სჯულთა უწერია. და სარგებელი არის უწესო.

¹ და]—A. ² და რაც] არც. ³ სჯულთა შიგან] რჯულთა.

კაცი—და როდისაც მივიდეს საქონლის პატრონი და სთხოოს, იგი უმართლეს არის და მისცენ იმ ზემოთა განაჩენითა, კარგად გარდაუჟადოს. და თუ არ მისცენ, განმგებელსა და მის ქვეყანას და კვეისბერს აცნობონ და მათ უთხრან და დაუურევბინონ ამავე განაჩენითა. და თუ არც ამათის სიტყვით გამოერთვას და ეთხოოს ორჯერ, სამჯერ, სადაც ახლოს ერისთავი იყოს, და მასცა აცნობონ. და თუ არ დაუურევბინოს და ეს საქონლის პატრონი ზედ დაესხას მას მეკობრესა, დამსხმელი არა ჰქვან, და რაც პირათ მეკობრეთ ანუ მისთა ასაბიეთა [231] და შემომბმელთა და მეკობრესთან მოკედეს, სისხლი ნუ ეზღვევის მათი; და რაზომიც საქონლის პატრონისა მოკედეს, ყველასი სისხლი დაიურვონ, ამისთვის რომე მეკობრეთდა უთხოვნია—განმგებელი და კვეისბერნი მოწმობენ, არ მოცემია—ორჯერ-სამჯერ. ამისთვის მათი სისხლი გაცუდდების.

ვალის საქმე ასრე გავაჩინეთ:

46. სარგებელი არც ქართველთ სჯულთა შიგან ძეს წესად, რომე აღიღონ, და არც სხუათა სჯულთა უწერია. და სარგებელი არის უწესო.

და თუ რადმე მიმცემი კაცი ასრე ავი იყოს, რომე სარგებელი აღილოს, რა გინდა რა ხანი გამოსულიყოს, ათსა თეთრს ზედა ორი თეთრი მიეცეს, — რაზომი დიდი ხანი დაეყოს, ამის მეტს ნურას მისცემს და არც სამართალია მისაცემლად.

და თუ დია რათმე ავი კაცი არ არის, არც ამისი აღება მართებს. სამართალი ესრეთ ყონ ყოველთა.

და თუ რადმე მიმცემი კაცი ასოე ავი იყოს, რომე სარგებელი აღილოს, რა გი[ნ]და რა ხანი გაპოულიყო, ათსა თეთრსა ზედა ორი თეთრი მისცეს, — რაზონი დიდი ხანი დაეყოს, ამის მეტს ნურას მისცემს და არც სამართალია მისაცემლად და თუ დია რათმე ავი კაცი არ არის, არც ამისი აღება მართებს. სამართალი ესრეთ ყონ ყოველთა.

სამართალი გმქნსი და ალბუღასი

გაქა მანლაგჰრონხუსის სეპარათლი

[შესავალი]

[254r]* შევიყარენით ტულეუთა¹, მინდობილნი ღმრთისანი და აწურის ღმრთისმშობლისანი, და გა¹ტეუსა**... დავიღვეით წინა პატრონისა პაპიჩქისა მანდატურთხუცესის ბექას განაჩენი და იგი აგრევე სრულობით და უკლებლად დაესწრეთ.

და რაცა² ეამთა სიავითა³ სხვანი უწესონი საქმენი შექოსულიყენენ, მათი სამართალიცა ზედა დაურთეთ, ასრე რომე, — რაც სისალია და გერძისა, დასხმისა და ღალატისა და რახა ღინდა ფერისა დასასურვებელი საქმე იყოს.

პატრონისა პაპიჩქისაგან განაჩენი ყაზანური თეთრი იყო და ამა ეამთ შიგა ყაზანურობა აღ-სადმე-მოკლებულიყო (?). და ღიდის წარჩინებულის მეფის გიორგის ეამისა თეთრი გავაჩინეთ: ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვერცხლი, და როგორცა აწ ეამისა თეთრი იყოს, ანგარიშით ამა წესით აღიღებდენ.

ამად არა ჩამოვამცრეეთ, რომე ავი საქმე ნუ⁴ ვისჯანმე გაადვილდების. აწურისა და საფარისა, ვითა ძველითგან ყოფილიყო, არცა ღიდსა მეფესა მოეშალა და ჩვენ განაღამცა⁵ აგრეთვე დაეამტყიცეთ.

¹ ქულეეთა ქოლთა. ² რაცა არცა. ³ სიავითა სხვითა. ⁴ ნუ თუ. ⁵ გაღანამცა.

* 253 v-ზე ტექსტი არ არის.

** აქ გამოტოვებულია ადგილი 1—2 სიტყვისა, რომელიც უნდა აკლდეს

[1r] წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე

სახელითა ღმრთისათა*, დაუსაბამოვსა მამისა. ძისა და წმიდისა სული-სათა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათა და ყოველთა წმი-დათა ზეცისა და ქუეყანისათა, მე, ათაბაგ-ამილსპასალარმან აღბულა, მოვაქი-ენით პატრონისა...* მაწყურელსა და ბიძაძეთა ჩემთა, შაშიასა და მისსა ძმას საფარის მოქლუარსა ძაფნურის; ხუთსავე თემსა სამცხისასა, ტაოველთა, შავშთა და კლარჯთა. და მათ შინა მყოფთა ეპისკოპოსთა და მეუღაბნოვეთა, მოწუებითა მოწმობითა. ჩინდოილნი ღმრთისანი და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელი-სანი, დაე[ი]ფვეით წინაშე პატრონისა პაპიჩქემისა ბექაძის განაჩენი; იგრ სრუ-ლობით და უსრულად დაეწერეთ; და რაცა ეამთა სიავითა სხვანი უწესონი საქმენი შექოსულ იყვნეს, მათი სამართალი ზედა დაურთეთ, ასე რომე. — რაცა სისხლისა, გეოშისა, [1v] დასხმისა, ღალატისა და რაჟა გინდა თეთრისა სა-ურავისა საქმე იყოს.

პატრონის პაპიჩქისაგან განაჩენი ყაზანური თეთრი იყო. ამა ეამთა შინა ყაზანურობა არღარა იყო. ღიდისა მეფისა გიორგის ეამისა თეთრი გავაჩინეთ: ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვერცხლი. და როგორცა თეთრი იყოს, ანგარიშად იმა წესითა აღიღებოდეს. ამად არ ჩამოვამცრეეთ, რომე ავი საქმე ნუ ვისჯან გაადვილდების.

აწურისა და საფარისა ვითა ძველითგან ყოფილიყო, არცა ღიდსა პატრონ-სა მოეშალა, ჩვენ განაღამცა⁵ ეგრეთვე დაეამტყიცეთ.

* ე.ი ხელნაწერი გამართულია ძველი ორთოგრაფიით.

** აქ გადაწერს ორი-სამი სიტყვისათვის გაშვებული აქვს ადგილი.

უწინ სისხლისა გავაჩინეთ

1. თუ შერისხდეს ღმერთი, ეშმაკისა ბირებითა და მანქანებით კაცმან კაცი მოკლას, დიდებულმან დიდებული, სადამდისა პატრონისა ჯაყელისა და მაწყუერლისა კაცნი და ხატი ყო[მნ]ვლად წმინდისა მიესწრებოდენ, მანამდის დაწვას თუ რასაც ემტეროს, იგი სისხლსა შიგან არ მიეფასოს.

და რა მივიდეს ხატი და იგი კაცნი, მას უკანით ველარ ემტერების.

და თუღა რა აწყინოს, პატრონისა და¹ მაწყუერლის პატივი გარდაიჯადოს და დაუურვოს²; რაცა ეწყინოს და წაედოს, იგი სისხლსა შიგან მიეფასოს.

და სისხლი ორმოცი ათასი თეთრი იყოს.

და თუ ვერ ამოუვიდოდეს³, გარდაეხვეწოს, და მამული პატრონსა აქუნდეს—ჯაყელსა და მაწყუერელსა; ნახევარი გამოსავლისა მესისხლეს აქამონ.

2. და თუ დიდებულმან აზნაური მოკლას, ასეთი, რომე⁴ საპატიოთ პატრონს კარგად ჰყვეს და კარგი იყოს, და ანუ ტაძრული აზნაური იყოს, ციხოსან-მონასტროსანი და მამული დიდი [ჰქონდეს], მისი სისხლი ოცი ათასი თეთრი იყოს და იგი დაუურვოს.

¹ და]—A. ² დაუურვოს] უარყოს. ³ ამოვიდოდეს. ⁴ რამე.

უწინ ხისხლის ხაქმე გავაჩინეთ*

1**. თუ შერისხდეს ღმერთი ეშმაკსა და კაცმან კაცი მოკლას, დიდებულმან დიდებული, სადამდის პატრონის კაცი და მაწყუერელისა დაესწრას და ყოვლად წიოდისა ხატი დააწყოს¹, თუ ემტეროს, იგი სისხლსა შიგან ეფასოს.

და რა მივიდეა ხატი და კაცი, მას უკანით ნულარას ემტერების. და თუღა აწყინოს, მაწყუერელისა და პატრონის პა[ტი]ტივი გარდაიჯადოს და დაუურვოს; და რაცა ეწყინოს, იგი სისხლსა შინა მიეფასოს. და სისხლი დიდებულისა ორმოცი ათასი თეთრია.

თუ ვერ ამოუვიდეს, გარდაიხვეწოს და მისი მამული პატრონსა და მაწყუერელსა ჰქონდეს; და გამოსავ[ა]ლითა ნახევარი მესისხლეს აქამონ.

2. თუ დიდებულმან აზნაური მოკლას, ასეთი რომე საპატიო იყოს და პატრონს კარგად ჰყვეს, ტაძრული აზნაური იყოს, ციხოსან მონასტროსანი, მისი სისხლი—ოცი ათასი, იგი დაუურვოს.

¹ დააწყოს] + და.

* კიდებუ გადამწერის ხელით სწერია: „სისხლი“.

** ამ ბეღნაწერში ტექსტი მუხლმებად გაკვეთილი არ არის, ჩვენ ვყოფთ A-ს მიხედვით.

3. თუ მას ქვეშეთი მოკლას, ასეთი, რომე ანუ ეამისაგან მამული დამტრობოდეს. უციხო, უმონასტრო იყოს, თორმეტი ათასი თეთრი დაუურვოს აძავე ზემოთ წესითა.

ასე რომე მესამე ნათესავი იყო, რომე¹ დამტრობა² დაეწყოს, და, თუ პატრონი გასწყრომოდეს მამსა თუ შვილსა საქმესა რასმე ზედა, ჩამოემტროს, და პატრონიანვე შეიწყლოს და ბჭეთა პირველივე მისის გვარის საპატიო სისხლი უბძანოს, იგი დაუურვოს.

4. თუ აზნაურმან აზნაური მოკლას, ამავე წესით დაუურვოს სისხლი. [შნრ] და თუ ვერ ამოუვიდეს³, გარდებევნოს და მამული აგრევე აატრონდა დაიჭიროს; და მესისხლეს აგრევე აკამონ გამოსავლისა⁴ ნახევარი სისხლისა გარდატდამდინ.

[დასახელებულნი და დაუსახელებელნი მოფიცარნი]

[4¹]. მრავალგვარნი ასეთნი საქენი არიან, ზოგსა საქმესა შიგან რომელნიმე დასახელებულნი მოფიცარნი უნდან, რომე ბჭეთა შეუსახნენ⁵, და ზოგსა—დაუსახელებელნი.

და ბჭეთაგან კარგა გამონახვა უნდა.

იქნების ესეთისა კარგისა⁶ საქმესაცა ზოგნი დასახელებულნი უნდან და ზოგნი დაუსახელებელნი მოფიცნი.

ვაკრიხა ქვემოთ სწერია [იხ. ბუხლ. 96, 97].

¹ რომე] რამე. ² დამტრობა. ³ ამოვიდეს. ⁴ გამოსავლისა]—ა. ⁵ შეუსახნენ]— ზოგსა საქმესა შიგან რამ დასახელებულნი მოფიცარნი უნდან. რომე ბჭეთა შეუსახნენ. ⁶ კარგისა.

3. თუ აეთი მას ქვემოთ მოკლას, რომე ეამისაგან მამული დამტრობოდეს, თუ უმონასტრო იყო, მისი სისხლის ფასი თორმეტი ათასი თეთრი დაუურვოთ იძავე ზემო წესითა.

ესრეთ რომე მესამე ნათესავი იყო, რომე ტრობა დაეწყოს, თუ პატრონი გასწყრომოდეს¹ საქმესა რასმე ზედა და ჩამოემტროს, პატრონიანვე შეიწყნაროს,— პირველივე სისხლი უბრტონ.

4. თუ აზნაურმან აზნაური მოკლას, ამავე წესითა დაუურვოს სისხლი. თუ ვერ [2v] ამოვიდეს, გარდაიხვენოს. ძი.ი მამული ბატონმან და მამული რელიან დაიჭირონ, და გამოსავლისა ნახევარი მესისხლეს მისცენ სისხლის გარდატდამდის.

[4¹]. მრავალნი საქმენი ასეთგვარნი არიან, ზოგსა საქმესა შიგან დასახელებულნი მოფიცარნი უნდან, რომე ბჭეთა შეუსახნენ², და ბჭეთაგან კარგა გამონახვა უნდა. იქმნას ისეთიკა კარგი საქმეცა, ზოგნი დაუსახელებელნი³ უნდან მოფიცარნი.

და ვაკართა ქვემოთ სწერია.

¹ გასწყრომოდეს]— და. ² შეუსახნენ] შეუსახონ ³ დაუსახელებელნი] დასახელებულნი.

გერშიხა¹ ასრე იქნას, რომე:

5. ზელი თუ ანუ ფეტი მოეკუეთოს ანუ ერთობ დაუშავდეს, სისხლის მესამედი დაუურვოს. თუ თვალი წამოაგდებინოს, სისხლის მეოთხედი დაუურვოს. თუ პირსა ნაკრავი იყოს და ესრე აჩნდეს, ათას ხუთასი თეთრი დაუურვოს. თუ ზელის თითი მოეკუეთოს, ზელის გერშის მეხუთედი დაუურვოს.

თუ ონი მოეკუეთენეს თუ რაზომნიცა, ამავე წესითა დაუურვონ.

6. თუ ესეთი რამე დაეკოდოს, რომე არ დაუშავდეს და აჩნდეს, საპატოთა კაცთა შუა შემოსვლითა—შეტყვებით მოიყვანენ—დაუურვებინონ, ვითარცა მართებდეს.

7. თუ მსახური მოკლას, რომელი² მისსა პატრონსა აზნა-
[ჰნა]ურის შვილად ჰყვეს, თორმეტი ათასი თეთრი დაუურვოს. და თუ მსახურად ჰყვეს, ათასი დაუურვოს.

8. თუ კაცმან კაცს³ წინა ანუ უკანა კბილი შთააგდებინოს, ერთის თითის ოდენი გერში დაუურვოს, ამად რომე წინა სახიჩარია და უკანა ჭამას დააკლებს.

9. ქოთლოსნისა და აბჯროსნისა, და კარვოსნისა, და პატრონ-
თან რომ ზელი აქვნიდეს ანუ ჰქონებოდეს, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრი⁴ იყოს, ამად რომე კარვოსნობა ესე ყოველთა წესითა. აზნაურული სჭირს, და რომელსა მსახურსა ისი ყველა საქმე სჭირს,—ისრე სრულად.

და პატრონთა საჩინო ზელი არა აქვნიდეს და არცა ჰქონებოდეს, აზნაურად ჰყვეს,—მისი ექვსი ათასი თეთრი⁵ იყოს. და გერშისაცა ამავე წესითა იყოს.

¹ გერშიხა. ² რომელი] რომელმან გინათუ. ³ კაცის. ⁴ თეთრი] სისხლი. ⁵ თეთრი] + თეთრი.

პირველ გერშიხა ასრე იქნას, რომე:

5*. ზელი ანუ ფერტი მოეკუეთოს ანუ ერთობ დაეშავდეს, სისხლისა მესამედი უხლონ. და თუ თვალი წარმოეგდოს, სისხლისა მეოთხედი უხლონ. თუ პირსა ნაკრავლობა აჩნდეს, ათას ხუთასი თეთრი დაუურვონ. თუ ზელის¹ თითი მოეკუეთოს, ზელის გერშის მეხუთედი უხლონ. რავდენიცა აკლდეს, იმავე წესითა დაუურვონ.

6 ესეთი იყოს დაკოდელი, რომე არა დაუშავდეს, მაშინ საბატოთა კაცთა შუა შეკრავლითა შეიწყუნენ, ვითაცა მართებდეს

7. თუ ძახული მოკლას, რომე [მრ] აზნაურიშვილად მის პატრონსა ჰყვეს. თორმეტი ათასი თეთრი გარდაიკადოს.

8. თუ კბილი ჩააგდებინოს, წინა ანუ უკანა. ერთთა [თითისა] ოდენი გერში დაუურვოს—წინა საჩიჩარი არს და უკანა ჭამასა აკლებს

9. ქოთლოსნისა და აბჯროსნისა, კარვოსნისა, ბატონისაგან ზელი ჰქონდეს, მისი სისხლიცა თორმეტი ათასი თეთრი არს. და გერშიცა—იმავე წესით.

* კიდებუ გადამწერის სელით სწერია: «ჭრილობაჲ».

10. თუ კარგოსან-ქოთლოსანი აზნაურწვილად მსახური ყოფილიყოს და მოკედეს, და მას უკანით იწისი ძმა ანუ შვილი და ნათესავი ვერლარა მისით წესითა მსახურებდეს მისთა პატრონთა, მისი სისხლი ათასივე თეთრი იყოს.

11. გლეხისა სისხლი ოთხასი თეთრი იყოს. მაგრამ, თუ კაცმან კაცს ასეთი ყმა მოუკლას, რომე პატრონნი იცნობდენ სიკეთეზედა, მისიცა ათასი თეთრი იყოს.

[ზედა-დასხმისა ასრე იქნას]

[256r] 12. ზედა-დამსხმელისა სისხლი და¹ გერში არ² არის. თუ კიდეცა იგივე მოკედეს, რომელსა დაესხა, ორკეცი სისხლი დაუურვოს და გერშიცა ამავე წესით იყოს.

13. თუ კაცი არ მოკედეს ზედა-დასხმასა³, დედა-წულთა აფარვისათვის, დედა-წულთა შერცხენისათვის საპატიოს კაცის სისხლისა ნახევარი დაუურვოს.

და თუ უმცროსთა დასჯებდეს კაცთა შუა შემოსვლითა, არც არა საკვირველი ესეა.

თუ ამაზედა დამსხმელთა არ განოართმიდენ და ესე არჩიოს: ნიუხებითა ოდენ გაშიშელებულად, ზოლოთა შეიღთა ბიჯთა ჩათრონ და მას კაცსა⁴ მეტრემან სამი შოლტი ამოჰკრას ნამეტნავსა⁵, რომელი დასხმოდეს ზედა საწბილოდ.

¹ სისხლი და]—A. ² არ] თუ. ³ ზედა-დასხმასა]+და. ⁴ მას კაცსა] მის კაცისა. ⁵ ნამეტნავსა]+ რომელსაცა.

10. თუ ქოთლოსან-კარგოსანი აზნაურად მსახურებდეს ბატონთა და მოკედეს, მას უკანით მისი ნათესავი ვერლარა ისე მსახურებდეს ბატონთა, მისი სისხლი ათასი თეთრი იყოს.

11. გლეხის კაცისა სისხლი—ოთხასი თეთრი. თუ კაცმან კაცის ყმა მოკლას ასეთი, რომე მეფე¹ იცნობდეს სიკეთესა ზედა, მისი სისხლი ათასი თეთრია.

12. ზედ-მიკედომილითა სისხლი და საეგრშე არა არსო. და რომელსაცა დასხმოდეს, მისი სისხლი ორკეცია. და გერშიცა—იმავე წესითა.

13. [3v] და თუ კაცი [არ] მოკედეს ზედა-დასხმაშია, დედა-წულთა აფენჩხვითა, დედა-წულთა შერცხენისათვის საპატიოს კაცისა ნახევარი სისხლი დაუურვოს. და თუ საპატიოთა კაცთა შუა ჩამოსვლითა ჩამოუვიდეს, არა საკვრველია.

თუ ზედა-დამსხმელი დარჩეს, გააშიშლოს, ჩათრივოს საწბილოდ შუდასა ბიჯსა და მეტრემან შოლტითა აღმოჰკრას ნაცსა.

¹ მეფე]+რომე.

ჩათრევა უბანთა ზედა და საჩინოდ ერისა უნდა. ესე ზედა¹-
დამსხველმანცა და დამხვედომმაცა² ერთმანეთისა ნებისყოფლობ-
ითა, კაცთა შუა შემოსვლითა³ ქნან, რომელიცა ერჩიოს.

თუ ზედა-დამსხმელმან გამოღებასა ჩათრევა არჩიოს, ამისა
მიყოლობასა [კიდევ] დამხვედომი არას⁴ ემართლების⁵—დიდი სახიჩა-
რი და საუჯუნო სირცხვილის საქმე წაეკიდების.

14. თუ ზედა-დასხმასა შიგან დედაკაცსა შვილი მოსწყდეს,
სრული სისხლი დაუურვოს, რისაც გვარისა იყოს.

15. ასაბია თუ მოკედეს, ასრე იქნას: რომლისაცა ასაბია
იყოს, მან უზლოს სისხლი და გერშიცა, და თუ რადმე მოყვრო-
ბისაეთის არა გაუშვას.

[256v] შუა-მისრულისა⁶ კაცისა ასრე იქნას

16. მონახონისა და დიაცისა, ხუცისა, თუ შუად მოსრული
იყოს და ესეთი რომელი მოკედეს, ორკეცი სისხლი დაუურვოს,
რისაც გვარისა იყოს. გერშიცა⁷ — ამავე წესითა.

და თუ მეომარი ყოჯილიყოს, მართლითა მოწმითა გამოჩნ-
დეს, გარდაჭდეს ასრე, ვითა ძალღის ყვეფა.

და თუ ერისგანი იყოს და მართლად გამოჩნდეს, რომე შუა-
ყოფილიყოს, მისიცა ორკეცი სისხლი იყოს.

¹ ხედა| — ენე. ² დამხვედომმაცა| მსხდომმაცა. ³ შუა-შემოსვლითა| + შუა.
⁴ არ. ⁵ ემართლების| + და. ⁶ მისრულისა| მის რომლისა. ⁷ გეშიცა.

ჩათრევა უბანთა ზედა საჩინოდ ერისა [უნდა]. ესე ერთმანეთისა ნებითა
ქნან. თუ დამსხველმან გამოღებასა ჩათრევა არჩიოს, მისისა მიყოლისა მდომი
არას ემართლება—დიდი სახიჩარი და საუპატრო და საუჯუნო შერცხვენა არს.

14*. ზედა-დასხმან[სა] შიგან დედაკაცსა შვილი მოსწყდეს, სრული სი-
სხლია, რაფსაცა გუარისა იყოს.

15. ასაბია თუ მოკედეს, მით ასე იქნას: რომლისაცა ასაბია იყოს,
მან უზლოს სისხლიცა და გერშიცა, თუ რადმე ძოყ[უ]რობისათჳს [არა] გა-
აშუას.

[4r] შუა-მისრულისა ასრე იქნას

16*. მონახონისა და დედაკაცისა შუა მავალი მოკლან, ორკეცი სისხლი
დაუურვონ, რომლისაცა გვარისა იყოს, და გერშიცა— იმავე წესითა თუ მეომარი
ყოფილიყოს და მართლითა მოწმითა გამოჩნდეს, გარდაჭდეს, ვითარცა ძალ-
ღისა ყვეფა. თუ ერისგანი იყოს და მართლად გამოჩნდეს, ომე შუა ყოფილი-
ყოს, ორკეცი სისხლი იყოს.

* კიდევ გადამწერის კელით სწერია: «მუკლის წაჭდენასა».

* კიდევ გადამწერის ხელით სწერია: «შუამავლობისაღისა».

[მოლაღატისა ასრე იქნას]

17. მიღმა მოლაღატისა კაცის ასაბიისა, ვითა სისხლი და გერში არის,—ასეთი რამე არა სკირდეს, რომე ემართლებოდეს,—დამსხმელისა მიბაძვითა არის¹: თუ მოკლას ანუ დაკოდოს, საპატიო საურეგებელი ორად შეკეცოს უმიზეზოდ, აგრევე, ვითა ზემოთ დასხმასა შიგან სწერია [იხ. მუხლ. 12].

[ველთა შეპყრობისა და შერცხუენისა ასრე იქნას]

18. თუ კაცმან მისი სწორი კაცი ცოტას სამღურავისა რასათვისმე თავისა სამამულეშიგან მყოფი ნახოს, იმჯნოს და შვიპყროს, სცეს, შეკრას, შექსნას², აბჯარი³ აქენდეს თუ სხვა რაცა. წარაკციოს ჯღვქითა წინა, მისი მზღვარი განვლოს და მიიყვანოს,—სადა გინდა სასამართლოდ შეიყარნენ, სისხლის ნახევარი დაუურვოს, რასაცა გვარისა იყოს, წანალებიცა სულ დაუკლებლად, ვითა ზემოთ დასხმულობისათვის სწერია [იხ. მუხლ. 12]. ანად რომე პატრონისათვის უწესო უყოფია და პატრონისა მეტი კაცი კაცისა ველთა შეპყრო[მხერ]ბასა არა ღირსა,—ნიადაგ⁴ პირშავად და აუგიანად იქნების კაცთა გვერდსა.

და თუ რა⁵ დაკოდელი არნდეს, იგი სისხლსა შიგა არა მიეფასოს და აგრე დაუურვოს.

¹ მიბაძვითა არის] მიბაძვითა სისხლი და გერში თუ არის, რომე არა სკირდეს, რომე ემართლებოდეს, მიბაძვითა არის, ² შექსნას] + და ³ აბჯარი — A. ⁴ ნიადაგ] დადგა. ⁵ რა] არა.

17*. მიღმა მოლაღატისა კაცისა [ასაბიისა]. ვითაცა სისხლი და გერში არს, თუ ასეთი რამე არა სკირდეს რა, რომე ემართლებოდეს და საქელის მიბაძვითა [ექნას], და თუ მოკლას, თუ დაკოდოს, საპატიო საურეგებელი არს: ორად შეკეცოს, აგრევე, ვითა ზედა-დასხმა[სა] შიგან სწერია.

18. თუ კაცმან მისი სწორი კაცი ცოტასა სამღურავისა რომლისათჳმე თავისა მამულ[სა] შიგან ნახოს, დაიპიროს, შეკრას, სცეს, [შექსნას]. აბჯარი თუ რაცა იყოს, და იქციოს ჯღვქითა, მისი მზღვარი განვლოს, სახლსა შეაყენოს, ამით არცხვნოს,—თუ სასამართლოდ შეიყ[ა]რნენ, სისხლისა ნახევარი დაუურვოს [47] და წანალებიცა მიაცეს, დაუკლებლად უზლოს. ვითა ზემოთ დასხმასა შიგან სწერია. ამად რომე ბატონისთვის [უწესო] უყოფია და ბატონის მეტი კაცი არეინ ღირსა ველთ[ა] შეპყრობასა,—ნიადაგ აუვიანად იქნების. თუ რა დაკოდელი არნდეს, იგი სისხლსა შიგან არა მიეფასოს.

* კიდევუ გადამწერის ხელით სწერია: «მოლაღატე».

19. თუ კაცი კაცს ომით მოერიოს, გამარჯვება ეყოფის და თანა ნურას წაიტანს.

თუ¹ თავისა სახლსა მიიყვანოს და აზით არცხვინოს, სისხლის ნახევარი დაუურვოს და აბჯარი და ნაძარცვი სრულად მისცეს, და² გერში, როგორაცა აჩნდეს. რაზოშიცა ყმა მასვე თანა მიეტანოს, მისიცა ნახევარი სისხლი დაუურვოს.

20. თუ სწორმან სწორი ჯელთა დარჩენილი კაცი გინა გლეხისას, გინა სახვასტაგესა³ და რასა გინდა სახლსა შიგან [შეაყენოს და] სასირცხუად⁴ პური აჭამოს მუნ, ბრკობამან და წესმან სისხლი მართალი დაუურვებინოს მართლად, წანაღებიცა სრულად მიაცემინონ მართალი.

21. თუ კაცმან სწორმან სწორსა, გინა უფროსმა, გინა უმცროსმა, ვისაც მეტის ჟამისაგან დამაჯნებით საბელი მოაბას ანუ ნიფხავნი მისნივე თავს დაახვიენეს, რისაცა⁵ გვარისა იყოს, სისხლი მთელი დაუურვოს, ამად რომე უჯროსი სირცხვილი და კაცთაგან შესაყივარი აღარა იქნების რა, სიკვდილსა დიდად უარეა.

[ძმის მოკლვისა ასრე იქნას]

22. თუ ძმამან იმა მოკლას, ერთსახლი და გაუყოფელი იყოს, და თუ გაყოფილი იყოს, სწორი და გინა ახლოს მეყვისი, ორი კეცი სისხლი დაუუ[შანჯ]რვოს, რაც გვარისა იყოს, ამად რომე საღმთოდ ბრალია და საკანონო არის ასკეცი.

¹ თუ]—A. ² სრულად მი[ცეს და] და სრულად. ³ სახვასტაგესა] სხვასტაგეა შიგან. ⁴ სასირცხუად] სატხუად. ⁵ რისაც.

19. თუ კაცი კაცსა მოერიოს, გამარჯვება ეყოფის. თანა ნულარას წაიტანს. თუ შოაყენოს და შვარცაჯნოს. სისხლისა ნახევარი მისცეს, და აბჯარი და ნაძარცვ სრულად მისცეს, და გერში, როგორიცა აჩნდეს. და რამთენიცა ყმა პატიმრად მიეტანოს. მისიცა ნახევარ[ი] სისხლი მისცეს.

20. თუ სწორმან სწორი ჯელთა დარჩენილი კაცი გლეხისასა ანუ ხოსტაგინსა ცალკეოდსა სახლსა [შეაყენოს და] სასირცხვოდ პური აჭამოს მუნ, ბრკობამან და წესმან სისხლი მართალი დაუურვონ და წანაღებიცა მისცენ, სრულად მიაცემინონ.

21. თუ სწორმან სწორსა, ანუ უმცროსმან უმცროსსა, [წ] გინა უფროსმან უჯროსსა, ზეტითა ჟანითგან დან[ა]ჯნებითა სასირცხვოსა საბელი მოაბას ანუ ნიფხავნი თავსა დაახვოს როგორისაცა გუარისა იყოს, მართალი სისხლი დაუურვებინონ—თის უფროსი არა არს რა. სიკუდილისა ურვის მეტე.

22*. თუ ძმამან ძმა მოკლას, გაუყოფელი, ერთსახლი, თუ გაყოფილი იყოს, ორკეცი სისხლი არს, რომლისაცა გუარისა არს, ამად რომე ვითა საღმთოდ ბრალია და საკანონო ასკეცი.

* კიდევ გადამწერის ხელით სწერია: „ძმის კლეა“.

და აგრევე ამა სოფელს ძლიელა ინახვის კაცთაგან. აილოს, ვინცა გავლენილი¹ იყოს, ქედთა გარეთ ყოფა და გარდახვეწა.

პატრონისა და ლაშქართაგან გარდაქდევასა არვისგან მოქსენება უნდა, ებისკოპოზმა მისი წესი იცის, რაცა მართებს, მან უყოს.

[დედა-წულის ცოლის მოყვივნებისათვის]

23. თუ კაცმან დედა-წულმან დედა-წულისა ცოლსა უარშიო უყოს² და კიდევ მოაყიენოს³, გინა ნებითა, გინა უნებურად, და გამძღაენდეს, და გინა მეყვისმან მეყვისსა, გინა უმეყვისომან ერთსახლმან,— დაუურვოს ცოლისა ქმარსა სრული სისხლი და მთაყარმან და პატრონმან მისმან ნიფხვით ოდენ, შიშველი, და ყელ-საბლიანი უბანთა ზედა განჭირებული⁴ მოავლოს⁵.

და თუ მას ცოლისა კუროსა ერჩიოს, გაშიშველება და გაუპატივეება იყიდოს და სისხლი ორად შეკეცოს, რასაცა გვარისა იყოს, ამაღ რომე მონდობილი არის სულით, გულითა და ღმრთითა.

[მოახლის წაგურისათვის]

24. თუ კაცმან კაცს სეფე-ქალი წაგვაროს, ორის მსახურის სისხლი დაუურვოს.

¹ გავლენილი | განწეილინი. ² უარშიო უყოს | უარშიყოს. ³ მოაყიენოს ⁴ განიჭებული. ⁵ მოვლოს.

ეგრევე ამა სოფელსა ძლით-ლა ინახვის კაცთაგან. ვინცა გავლენილ იყოს, [ქმართებს] ქედთა ყოფა, გარდახვეწა, ღარიბობა, არავისგან უნდა მოქსენებად. ეპისკოპოზმან მისი წესი იცის, რაცა მართებს, მან უყოს.

23*. თუ დედა-წულმან დედა-წულისა ცოლსა უარშიო უყოს და მოაყიენოს, გინა ნებითა, გინა უნებლითა, და განმძღაენდეს, გინა მეყვისისაგან, დაუურვოს ცოლის ქმარსა სრული სისხლი, მისცეს, და [57] ბატონმან მისმან ნიფხვით ოდენ, შიშველი, და ყელ-საბლიანი უბანთა ზედა განჭირებული მოავლოს.

იმ ცოლის კუროს თუ ერჩიოს, იყიდოს მისი სისხლი, ორად შეკეცოს, რომლისაცა გვარისა იყოს, ამაღ რომე მინდობილნი არიან სისხლითა და ქორციითა.

24**. თუ კაცმან კაცს მოახლე წაგვაროს, ორის მსახურის სისხლი დაუურვოს. რომლისაცა გვარისა იყოს.

* კიდევუ გადამწერის ხელით სწერია: „გაწბილება“.

** კიდევუ გადამწერის ხელით: ვერია: „მუახლის წაგურა“.

28. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I

[სასაფლაოზე დასხმისა ასრე იქნას]

25. თუ სწორი სწორს სასაფლაოს ზედა დაესხას და საფლავე-
თაცა მიუყოს კელი, მისი ასე იქნას: რაზომიცა მისი გარდასრული
და მუნ დაპარხული მასა ვსოვდეს, ასეთი რომე¹ მისსა სახლსა შიგა
საჭირისუფლო სდებოდეს მისი, [შან] ყველასაგან ორთა უთა-
ვადესთა სისხლი დაუურვოს. რაცა ალაფი წაელოს, აგრევე შე-
აქციოს.

საფლავსა¹ არა კელი მიეყოს და კიდევ ოდენ [მოერბიოს],
ერთისა სისხლი დაუურვოს და ალაფიცა აგრევე გელთა მისცეს.
დიდმან ცოტასა [და ცოტამან დიდსა] უყოს ესე.

თუ მას საქმესა შიგა სასაფლაოსა და ეკლესიასა შეურაცხე-
ბით² მიყოს კელი ანუ წარმართულად კარისა შელეწითა, ანუ
სხვაგნით სითმე შერღვევით, იგი მეცნიერთა და ქრისტეს სისხ-
ლის პატივსა მცნებულთა ვითა უყვარს, ეგეთი პატიგი დაუურვე-
ბინონ,—შეკვეთითა არ ითქმოდან.

[აზიეობისა ასრე იქნას]

26. თუ დიდებულისა, გინა აზნაურისა³ ცოლსა უაშიყოს
დიდებულმან, გინა აზნაურმან და გამოჩნდეს ცხადად, რათა თანა
იყოს, თუ⁴ დააგდოს მისმან ქმარმან, უზლოს მოაშიყემან თორმეტი
ათასი თეთრი, და თუ არ დააგდოს—ექვსი ათასი.

¹ რ.მე. ¹² საფლავსა] სოფლითგან. ² შერაცხებით. ³ თუ დიდებულისა] გი-
ნა აზნაურისა] თუ დიდებულსა გინა აზნაურსა თუ. ⁴ თუ]—A.

25*. თუ სწორი სწორსა სასაფლაოს ზედა დაესხას და საფლავსა კელი
მიეყოს, მისი ასრე იქმნას: რაზომიცა მისი გუარი გარდასრული მუნ დამარხუ-
ლა და მას აქოვდეს, და მის სახლსა შინა საჭირისუფლო ჰქონდეს, ორთა უთა-
ვადესთა სისხლი დაუურვოს, და რაცა ალაფი წაელოს, ეგრევე გარე¹ შეაქციოს.

თუ საფლავთაგან კელი [არა] მიეყოს, ოდენ მოერბიოს², შაშინ ერთისა
სისხლი მისცეს და ალაფი გარე შეუქციოს, დიდმან ცოტასა და ცოტამან დიდსა.

[6r] თუ სასაფლაოსა ეკლესიასა კარნი შელეწნეს ანუ შეარღვოს, იგი მეცნი-
ერთა რა გუარაცა უყვარს ღმერთი,—აგეთი პატიგი, შეკვეთით არა ითქმოდან.

26**. თუ დიდებულმან აზნაურისა ცოლსა უარშიყოს და გამოაჩნდეს ცხა-
დად, თუ დააგდოს მისმან ქმარმან, მოარშიყემან მისცეს თორმეტი ათასი თეთ-
რი, და თუ არ დააგდოს—ექვსი ათასი.

¹ გარე] გაურიონ და. ² მოერბიოს] მოერგოს.

* კიდებუ გადამწერის ხელით სწერია: „სასაფლაო“.

** კიდებუ გადამწერის ხელით სწერია: „არშიკობა“.

27. თუ წაგვაროს,—თორმეტი ათასი. და თუ არა თანა ყოფილიყოს, აშიყოზისათვის ოდენ ამის მეტსა არას ემართლების, რომე თავის სამართლებლად, სჯობს, ფიცოს უქნელობა თავითა¹ და ერთითა აზნაურშვილითა. და გარდაჯდეს უსამართლოდ, ვერცა რას ბჭობითა შეაგდებს.

და თუ აშიყოზა კაცისაგან გამოჩნდეს, ემდუროდეს, არა საკვირველია.

სისხლის ზღვა ასრევეა

28. კაცი ვითაცა გვარად იყოს, აგრე ზემო-ქვემოებით უზლოს, ვითაცა უწერია სისხლი: დიდებულსა—ორმოცი [2584] ათასი, შედეგსა—ოცი ათასი, უქვედაესთა—თორმეტი ათასი, ვითარცა ღირს იყვნენ.

[ცოლის დაგდებისა ასრე იქნას]

29. თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, სისხლის ნახევარი მისცეს და მისი ზითევი სრულად².

თუ ბოზობისათვის დააგდოს, მისი ზითევი³ მაშინცა მისცეს სრულად—თუ დიაცი ბოზი არის, ზითევიცა ბოზი იქნების.

30. თუ კაცმან მისგან უსაბატიოესი ცოლი დააგდოს, რასაცა გვარისა იგი კაცი იყოს, ეგეთსა მეტი სისხლი არა მართებს, ამად რომე მაცხოვარმან დაწყევასა შიგან ესრეთ რქუა: ქმარისამცა შენისა მიმართ არს მოქცევაჲ შენი*.

¹ თავითა] + და ეზთის. ² სრულად]—A. ³ თუ ბოზობისათვის დააგდოს მისი ზითევი]—A.

* შდრ. შესაქ. 3,18.

27. თუ წაგვაროს,—თორმეტი ათასი. თუ თანა არა ყოფილ იყოს, არ-შიყოზისათვის ერთის აზნაურის თავით შეფიცოს უსამდუროდ.

28. და სისხლისა ზღვაჲ ასრე იყოს,—რომლისაცა გუარისა იყოს, ზემო-ქვემო[ობით უზლონ: დიდებულსა—ორმოცი ათასი, ტახრეულსა, ციხოსან-მონასტროსანსა—ოცი ათასი, ქუეშოსა—თორმეტი ათასი.

29. თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, ნახევარი სისხლი მისცეს და მისი ზითევი სრულად. [6V] თუ ბოზობიანს დააგდოს, მისი ზითევი მაშინ მისცეს—თუ დიაცი ბოზია, ზითევიც ბოზია.

30. თუ კაცმან გუარად უკეთესი ცოლი დააგდოს, იგეთსა მეტი სისხლი არა მართებს.

[ბიჰისა ასრე იქნას]

31. ბიჰი დედისა არის, დაბადებულება ვერავის გაუმკვიდრებს. ვისიცა დიაცი არის, მკვიდრად მართებს, ვაჟიცა მისია¹, ვერავინ გაზრდილებით ემართლების, თავის გულითა წავა, თუ სთხოვს მკვიდრი ბატონი.

თუ დიდებულისა შექნილი იყოს და მასვე ყმადა ყვეს აზნაურულისა წესითა და სამამულესა რასმე ქონებით, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრი იყოს.

[ქრმის დაგე ბისა ასრე იქნას]

32. პირველ დიაცი მიღმა ქრმისა დაგდებასა არას ემართლებს, არცა ღირსა და ნუცა იკადრებს.

თუ რადმე დააგდოს და ღმერთი შერისხდეს მისითა ენა-ჭრტილობითა, უსირცხნოებითა, რომლისაც გვარისა იყოს იგი კაცი, ეგეთი სისხლი დაუურვოს მან დიაცმან.

[ციხის ანუ ვაკის საჯდომის ლალატისათვის]

33. თუ მინდობილმან კაცმან დედა-წულთა გვერდით ციხესა ანუ ვაკისა საჯდომსა ულაატოს, რა² პატრონმან მაწყვერელმან სცნას, ციხე და [2591] საჯდომი განალამცა მემამულესავე მისცენ. და სამართლითა, რაზომიცა კაცი მას დღესა ციხის პატრონსა შიგან დაუხვდეს, ყველასაგან ორთა უთავადესთა სისხლი დაუურვოს, ამად რომე ციხისა საქმე საპატიო არის. და რაცა³ სასაქონლო,

¹ მისივე. ² რა] რათა. ³ რაცა არცა.

31. ბიჰი დედისა არს, დაბადებულება ვერ[ა]ვის დაუმკვიდრებს. ვისიცა დიაცა, მკვიდრად მართებს, ვაჟიცა მისია და ვერ[ა]ვინ გაზრდილობითა ემართლების, თუთა ნებითა წავა, თუ მკვიდრისა ბატონი[სა] არს. თუ დიდებულისა შექ[მ]ნილი [იყოს და] მასვე ყმად ჰყვეს აზნაურისა წესითა სამამულისა ქონებითა, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრია.

32. პირველად დიაცი ქრმისა დაგდებასა არა ღირსა. თუ რადმე დააგდოს, ღმერთი შერისხდეს მისითა ენა-ჭრელობითა, რა გვარისაცა იგი კაცი იყოს, ეგეთი სისხლი მისცეს დიაცმან.

33*. თუ კაცმან კაცსა ციხესა ანუ საჯდომსა ულა[ლ]ატოს, რა ბატონმან შეიგნეს, საჯდომი მემამულესავე მისცენ. და რაზომცა კაცი ციხის ბატონსა შიგან დაუხდეს, [7r] ყველასაგან ორთა უთავადესთა კაცთა სისხლი დაუურვონ.

* კიდევუე გადამწერის ხელით სწერია: „ლალატი“.

რა გინდა რა გვარი წაეღოს, გარე შეაქციოს, რაცა შემამულემან ფიცით გამოიჩინოს და მგავსიერი თქვას, არა მოდებულო.

და თუ დაუნდობელმან¹ და მტერმან კაცმან ულალატოს, პატრონთა საპატიყო აღარა მართებს და ერთის უთავადესისა სისხლი დაუურვოს [ზღრ. მუხლ. 171].

და ვაკედ ჯდომისა დასხმა და ლალატი ზემოთვე წესითა დაიურვოს.

უციხოსა და უსაბატიოს ქუაბს² [თუ ულალატოს], ზემოთ რომე სწერია დამსხმელისა, იგივე წესი დაუურვოს [იხ. მუხლ. 12].

[ქორწილისა სანიჭარი]

34. ქორწილისა სანიჭარი ვალია კაცისაგან კაცსა ზედან. აგრე ლაშქარსა წამეღლისათა შთასადებელიცა ვალია კაცისაგან კაცსა ზედა. აგრევე საჭირისუფლო შესაწვევარიცა ვალია—წახურვა შიცვალეზულისა—და სხვა მისაღებელიცა.

და სამდურავი[თ] რასათვისმე დაჭირვასა არას ემართლების, თუ არა, ოდესცალა გაიბჭობიან, დაურვებას ემართლების დაუკლებლად.

[გაუმატიებისა ასრე იქნას]

35. თუ აზნაური კაცი გლებმან, გინა დიდებულმან, გინა აზნაურისშვილმან გააუპატიოს და კიდევ წაუღოს [რამე] ჭელის-ჭელ, ყმანიცა [ჰნაჲ] დაუხოცნეს, თუ მან გლებისა პატრონმან არ გაუვლინოს და არცარა უსაბიოს, მერმე, ოდესცალა იგი აზნაურნი³ საბჭოდ შეიყრებიან, რაცა მას დღეს წალებოდეს ანუ წაჭდნოდეს, დაიფიცონ, იგი სრულად დაუურვებინონ პატრონმან და შუათა⁴,—სისხლის ნახევარი.

¹ დაუნდობელმან] მინდობილმან. ² ქუაბს] უქვეობისა. ³ აზნაური. ⁴ შუა.

და წანალებიცა გარე შეუქციონ. ფიცით გამოიჩინოს, მგავსიერი თქუას და არა მოდებულო. თუ დაუნდობამან კაცმან ბატონაა ულალატოს, მტეროან, საპატიყო აღარ მართებს და ერთისა უთავადესთა სისხლი დაუურვოს, და ვაკედ მჯდომისა დასხმა-ღალა რი ზემო წესითა დაუურვოს. უციხოს ქუაბს [თუ ულალატოს], ზემოთ რომე სწერია დამსხმელობისა, იგივე წესი დაუურვოს.

34. ქორწილისა სანიჭარი ვალია; მოლაშქრისა თანა-შთასადებელი ვალია; საჭირისუფლო მისაღებელი—ვალი.

35*. თუ აზნაური გლებმან ანუ დიდებულმან გააუპატიოს და წაუღოს რამე ჭელის-ჭელ და ყმანიცა დაკოდნენ, თუ გლების ბატონმან არ გაუვლინოს, მერმე, როდესცა საბჭოდ შეიყ[ა]რნენ. რაცა მას დღესა წაჭდომოდეს, მოუკლონ, და—სისხლის ნახევარიცა და გერშვიცა.

* კიდევუ გადამწერის ხელით სწერია „გალანძლისა“.

და თუ რა გერში იყოს, ანუ პატრონსა ანუ ყმასა აჩნდეს, ვითა ზემოთ სწერია, აგრევე დაუურვოს [იხ. მუხლ. 12].

36. თუ ღმერთი შერისხდეს და შეაკვდეს კაცისა შვილი, კაცი, ამას შიგან სრული სისხლი და სისხლის ნახევარი უზლოს, ამად რომე უბედით და ბედითთა კაცთა ჳელითა დამართებია ბედათ.

და თუ მათის პატრონისაგან არ სცოდნია და გამოჩნდების ესე, თუ მათ კაცთა, ვითა მათი პატრონი, მაშულითურთ მას, გაუპატივებულსა¹, ჳელთა მისცემს, რაცა უნდა უყოს, სისხლსა არას ემართლებისა, ამად რომე იგი უბრალოა. ავის მქნელთა მამულითურთ მიეცემა, მართალი იქნება.

თუ ანუ ვერ მისცემდეს, სისხლი და სისხლის ნახევარი მისცეს; რაგვარაცა სისხლი მართებს, ზემოთ სწერია,— მით წესითა.

37. თუ კაცი² კაცსა საჯდომისა სიახლესა მისისა გლეხისა³ დაესხას, და სადა ჳმა მისწვდებოდეს⁴, ვითა⁵ ზელა-დასხმის წესი[ა], დაუურვოს [იხ. მუხლ. 12].

ფიციცა^{5ა} ალაფსა ლაშქართა მართებს, და თუ ორთავე სწორედ ერბიოს⁶, თავისათვის დაიფიცონ ალაფი.

[2601] თუ მძიმე ალაფი იყოს, მძიმეცა ფიცი უნდა. და⁷ ფიცსა შიგა დასახელება⁸ და დაუსახელებლება მოთიცართა წესია.

[უმზრახ კაცთა ასრე იქნას]

38. თუ კაცი, საპატიონი გინა ქვემონი, უმზრახნი გზად წინ შეიმთხვიენენ, და ერთმან⁹ გარიდნეს¹⁰ გზა, იგი მეორე თუ პირს ევნების და არა იკადროს [გარიდება] და აუგიანი და გარიდებული¹¹ მოკლას, ორი კეცი სისხლი დაუურვოს.

და თუ არა რომელმან გარიდნეს და შემთხვევითა რომელმან მოკლას და ღმერთი გაურისხდეს, ერთი სისხლი დაუურვოს.

¹ გაუპატივებულთა. ² კაცი.—**A.** ³ გლეხსა. ⁴ მისწვდებოდესთ] მისცუდებოდეს. ⁵ ვითა] თვითა. ^{5ა} ფიცითა. ⁶ ერბიოს] ებიოს. ⁷ და]—**A.** ⁸ დასახელება] დასახელებული. ⁹ ერთმან]—**A.** ¹⁰ გარიდნეს. ¹¹ გარიდებული] გარიგებული.

36. თუ მოკვდეს კაცის შვილი, კაცი,—სრული სისხლი და სისხლის [7v] ნახევარიცა, ამად რომე ბედითთა ჳელითა დამართებია. და მათმან პატრონმან ახნაურსა ჳელთ გა[მა]უპატივებელი მისცეს, რაც უნდა უყოს. თუ არა, სისხლი და ნახევარი მისცეს, და კაცი—პატრონს.

37. თუ კაცი კაცს სიახლეს მისა გლეხისა დაესხას, დასხმისა წესი დაუურვოს. და ალაფისა ფიცი ლაშქართა მართებს. თუ მძიმე ალაფი იყოს, ფიციცა მძიმე უნდა. და ფიცსა შინა დასახელება უნდა.

38. თუ კაცი უმზრახნი შემოეყარნენ, თუ ერთმან გარიდნეს, მეორე ნულარ მისდევს. თუ მიჰყვეს] და მოკლას, ორკეცი სისხლია. თუ შეიყარნენ და ერთმან ერთი მოკლას, მეორემან მართალი სისხლი დაუურვოს.

[ჯვარგაცვლილი საცოლის წაგვრისათვის]

39. თუ კაცმან კაცის ჯვარგაცვლილი¹ საცოლე წაგვაროს, სამდურავისა კიდე დასაურვებლად არას ემართლების, მაგრამ სამდურავი ერთობ იქნების.

თუ უღირს, სჯობს, ორთავე მოყვარენი კაცი შემოასხნენ შუა და ქალისა ქმარმან მისაცემელითა რათმე გჯლი დაუმჯოს, და ზევი მოშალოს შუაკაცმან.

[პატრონის წინა შესმენისათვის]

40. თუ უმტრონან, შეუბმელმან, მოურბეველმან და გაუგინებელმან პატრონსა წინა შეასმინოს და დააჯეროს, რაცა ავი იქმნების, ყველა უყოს პატრონმან შეზახებულთა კაცთა: ჳელითა მორბევა, მამულითა წაღება და გაძება, და დიდხან ლარბობას ყოფა და ბედითად სიარული.

პატრონთა გულმოწყალება წესია და შვენის,—ოდესცა შეუნდობს და თავი იმართლოს, რაცა კაცისაგან ავი [და] საზიანო მოიგონების, ყოველთა მტერობასა [260v] ემართლების, რომე მათთა მოყვარეთა კაცთა კარგად შეუზომოს მისი საქმე და მისცეს სასაქონლო ძალისა მსგავსი.

და პატრონმან პატიჟითა² გარდააქდევინოს. და ბრჯობითა ამად ვერას შეაგდებს,—ამისთანა³ საქმე პატრონისა ლალატი და შეცოდება უფროა. და პატრონსა პირველვე კარგა განონახვა და მოკლება მართებს. და თუ მრუდად ექნევინოს პატრონისათვის, ლალატისა ოდნავ მართებს მოკლება.

და თუ პატრონსა ასეთმა საქმემ გამოუაროს, ანუ მის კაცისა კარგად ყოფისაგან არლარა მოიკლოს და გარდაუშეას, ბჯობითა არცა რას მაშინ ემართლების.

¹ ჯვარგაცვლილი] ჯერგაცვლილი. ² პატიჟითა. ³ ამისთანა] ამისთა.

39. თუ ჯვარგაცვლილი საცოლე წაგვაროს. სამდურავისა ემართლების. საბატონი კაცი შუაჩ[ა]მოვიდენ, აწვიონ. მისაცემელი მიაცემინონ და შეაწყონ.

40. თუ უმტრომან, მოურბეველმან, შეუბმელმან კაცმან [8r] კაცი შეასმინოს, ბატონსა შეასმინო, ავთ მიეპყრას, მორბობოს, გაძოს, გალარობება [უყოს], ამა[ს] ზედა გულმოწყალებათა პატრონთა წესია. თუ შეიწყალოს და შეიბრალოს, ლარბობით უკმოიყვანოს, თავი ამართლებინოს, და რაცა ავი და საზიანო მოგონებისის, უბრჯობელად ყველას ემართლების. მათ მოყვარეთა მოკახმონ მისი საქმე და მისცეა საქონელი ძლიერად. პატრონმან პატიჟით¹ გარდააქდევინოს და ბრჯობითა ვერას შეაგდებს. თუ ედავების, ბატონის ლალატი იქნების. ბატონისაგან გამონახვა კარგა უნდა.

¹ პატიჟით] პატიჟით

[ხუცის ცოლის განქიქებისათვის]

41. თუ კაცმა ხუცისა ცოლსა უაშიყოს¹ და დასტურად თანაყოფა გამოჩნდეს, და ხუცესმა შეუგნეს, თუ წირვა დააგდოს, ცოლი რასათვისმე არა დააგდოს, სრული სისხლი წირვისა დაგდებისათვის დაუურვოს; და თუ დააგდოს², ნახევარი სისხლი ცოლისა განქიქებისათვის დაუურვოს.

და თუ კიდე წაეგვაროს, მაშინაც სრული სისხლი დაუურვოს, ამაღ რომე ძნელსა ყოფასა დაეგმის—ანუ ჩოჯასა ჩაიცვამს მითა და ანუ ერისგნობითა და კრძალვით [იქნების].

[მამულის დაქირვისა ასრე იქნას]

42. თუ კაცსა კაცისა მამული ჰქონდეს, ანუ პატრონებისა საქმისაგან და ანუ სხვის რისამე ეამისა მოგვარებისაგან ვერ-ლა წაეღოს, რა გინდა შეძლებოდეს, და სარჩელი, ბრძოლა და კაცთა წინა ჩივილი არა ოდეს დაეკლოს, ხანის გამოსვლისათვის³ უსაქმობასა არავინ ემართლების და ნურცა შუანი გაუმაგრებენ⁴.

[წინდისა ასრე იქნას]

[261r] 43. თუ კაცსა კაცისაგან საგმარი მიწა წინდად ჰქონდეს, გინა ყანა, გინა ვენაჭი, გინა ჭალა, გინა სახლი და რა გინდა რა გვარი, რა⁵ ეამიერად, ქვეყნისა წესითა, საწინდარი საგმარი აძლიოს, და დააჯსნევეინოს, მისი საქონელი აიღოს და ადგილი დაუდვას უმიზეზოდ, კაცთა დახედვითა.

¹ აუშიყოს. ² თუ დააგდოს]—A. ³ გამოსრულისათვის. ⁴ გაუმაგრებენ] გაუამკრებენ. ⁵ რა] არა.

41*. თუ კაცი ხუცის ცოლთან დასტურად ყოფილიყოს და ხუცესმა შეიგნეს, თუ წირვა დადვას, ცოლი არ დააგდოს, სრული სისხლი წარვისათვის დაუურვოს; თუ დააგდოს,—ნახევარი] სისხლი ცოლის განქიქებისათვის, ამაღ რომე ძნელსა ყოფასა დაეგმის.

42. თუ კაცსა მამული ჰქონდეს, ანუ პატრონის საქმითა ანუ ეამის გამობრუნებითა ვერ წაეღოს, რა გინდა შესძლებოდეს, სარჩელი, ბრძოლა, ჩივილი არ დაეკლოს, ხანის გამოსვლისათვის დაქირვისა არავინ ემართლების.

43. თუ კაცსა კაცისა მიწა საწინდარი ჰქონდეს, ყანა თუ ვენაჭი, ჭალა თუ სახლი, რაჟამს საწინდარი უძლოს, აღიღოს, რაცა მიეცეს, და საწინდარი ადგილი—პატრონს.

* კიდებუ გადამწერის ხელით სწერია: „ხუცის ცოლისა“.

და თუ წინდულები წესითა არა დააქსნეინოს, ნაქამითა დაუდვას, მას უქანით¹, რომე ეძლიოს, რაცა მემამულემან დაიფიცოს.

ამავე წესით აბჯრისა, ტანისამოსლისა და სხვა რა გინდა რა საქონლისა იყოს.

44. თუ პატრონმან ყმას მიწა მისცეს, ვისი გინდა იყოს, და მის მიწისა გინა ვენაჭი, გინა ყანა, გინა სახლი და რა გინდა რამე დაწინდული იყოს, და ამა კაცმან ქვე დაიქსნას, მერმე გინა მემამულესა კაცსა მიექცეს და გინა იგი გამოწაღები თეთრი, რაცა დაიფიცოს, ანუ პატრონმან მისცეს და ანუ მან კაცმან, ვის მიწა აქენდეს, — უქლებლად მართებს და უცილებლად.

[საკარგავის გასყიდვისა ასრე იქნას]

45. საკარგავისა გასყიდვა² ცუდი იქნება პატრონისა უმოწმებლად, და ვისცა ეყიდოს, ნახევარი ფასი სარეგენოდ მას დაუშავდეს და ნახევარი გამსყიდველსა.

ამას შიგა ერთობ რამე აკლია, მაგრამ ნუ ვინ დაეზმის მოსაკარგავისაგან სყიდვასა.

[ცოლის წაგვრისა ასრე იქნას]

46. თუ კაცმან კაცს ცოლი წაგვაროს, ასრე რომე დიაცი მისით ნებითა და წადილითა გაჰყვეს თანა, რასაცა გვარისა იყოს, მისითა წესითა სისხლი [261v] ორნაწილი დაუურვოს ქმარსა და, რაცა მისი სასაქონლო რა გინდა რამე წაეტანოს, იგიცა აგრევე შეაქციოს დიაცსა.

და თუ რა მისი მოტანილის ზითევისაგან, გინა სასაქონლო, გინა პირუტყვი, გაეტანოს მას დიაცსა, იგი ქმარყოფილი იმას ნუ სთხოვს. და, რაცა ქმარყოფილსა დარჩეს, მას დიაცი ნუ ითხოვს, რა გინდა შვილნი უდგნენ, ამად რომე თავის გულით დაუგდიან სახლი, ქმარი და ზითევი, და უაბეზრებია ყველა ურცხვნი ქმართან.

¹ უქანით] უკვე. ² საკარგავისა გასყიდვა] მოსაკარგავისა გასყიდვით.
• ნუ] თუ.

თუ წინდულობისა წესითა არა დაედვა, მას უქანით, რომე ეძლიოს და საჯსარი არა გამოერთმეინოს, მას უქანით ნამეტით დაუდვას.

44. თუ ბატონმან ყმას მამული მიცეს და იმა ამჟღისა მიწა დაწინდებულ იყოს, ვის დაიწინდოს. მანვე დაიქსნას. ვისაც ის მიწა აქუნდეს, დაუქლებულად უნდა და უცილებლად.

45. მამულისა გასყიდვა ცუდია ბატონისა დაუმოწმებლად, და ნახევარ[ი] ფასი მსყიდველსა სარეგენოდ დაუშავდეს. ამაშგ.ნ მართლობა რამე აკლია, მაგრამ ნუ გინ დაეზმის სყიდვასა.

46. თუ კაცმან კაცს ცოლი წაგვაროს და დიაცი თავისის [9r] ნებით გაჰყვეს, რომლისაცა გვარისა იყოს, ორი ნაწილი სისხლი გარდაიკადოს და მისი სასალუქო სხუა გარე შეუქციოს. და რაცა მისი ზითევი, ქმარყოფილსა ნუ სთხოვენ, ამად რომე თავისის გონებით გაყოლია და უაბეზრებია სახლი, და ქმარი შეურცხვენია.

და რაემს სისხლი დაუურვოს წამგვრელმან და გაუთაოს¹, თუ რამ სამამულო ზითევი იყოს, იგი მის ქალისა სამშობლოსავე მართებს; და თუ ქალსავე მისცემენ, მათ იციან.

თუ შვილნი არ დარჩომილიყვნენ² პირველისა კრმისანი სახლსა შიგა, იგი წამგვრელი კაცი სისხლისა საქმესა შიგა მოსრულსა არას ენართლებს, მის ქალისა სამშობლოსაგან კიდევ.

47. თუ ძალად წაგვაროს დიაცისა უმეცრად და უნდომლად, ულონიოდ, ესეკალიბისა ძალთა, ლაშქართა უხლებლად ვერ უზამს ვერცა უფროსი უმცროსსა და ვერცა უმცროსი უფროსსა. და დაუურვოს ცოლის წაგვრისა საპატიყო სისხლისა ორნაწილი. აგრევე დასხმულობისა წესითა დასხმულობა დაუურვოს [იხ. მუხლ. 12].

რაცა მოწამითა კაცითა მის დღის წანაღები დაიფიცოს ცოლ-წაგვრილმან კაცმან, იგიცა გარევე შეაქციონ.

დიაცისა ზითევისაგან თუ რა³ გაეტანოს, [ანუ] რაცა დარჩომოდეს, აგრევე ქნას, ვითა ზემო სწერია [იხ. მუხლ. 46].

[ძმის გაძებისა და საუხუცესოსი ასრე იქნას]

[262r] 48. თუ ძმამან ძმა ანუ მეყვისი გააძოს და მამულისაგან გააბეზროს, რა გინდა რა გარეთით აწყინოს, როდესაცლა შინა მოვიდეს, სამართლითლა ნულარა⁴ ეზღვევის⁵, ნუცა რად მიეთვლების, — ვითარცა მართებს, მამულისა ეგრევე მოსაქმე იყოს.

ძმას⁶ ძმისაგან კიდევ წესი ერთისა საუხუცესოსა⁷ მეტი არა მართებს.

¹ გათაოს. ² შვილი არ დამორჩილიყვნენ. ³ რა] რათა. ⁴ თულარა.

⁵ ეზღვევის. ⁶ ძმა. ⁷ წესი ერთისა საუხუცესოსა] წესიერისა საუწესოსა.

რაენს სისხლი წამგვრელმან გაუთაოს, თუ სამამულო ზითევი იყოს, იგი იმ ქალის სამშობლოს მისცეს.

47. თუ ძალად ცოლი წაგვაროს დიაცისა უნდომად, — ესეკალიბისა ლაშქართ უახლებლად ვერ უზამს, — წამგვრელმან¹ დაუდვას ცოლის საპატიყოდ ორი ნაწილი სისხლი, აგრევე — დასხმულობისა წესითა. და რაცა წანაღები დაიფიცოს ცოლ-წაგვრილმან, იგიცა მოუბრუნონ. ზითევისა აგრე იქნას, რაცა ზემოთ სწერია.

48. თუ ძმამან ძმა გააძოს, ანუ მეყვისი, მამულისაგან გააბეზროს, რა გინდა რა აწყინოს გარეთ, რა შინ მოვიდეს, სამართლიანი ნურა ეზღვევის; ვითაცა მართებს, ეგრეთვე მოსაქმე იყოს. ძმისაგან მეტი წესი ერთსა [9v] საუხუცესოსა არა მართებს რა.

49. იქნების ალაგისა და გვარის წესი, რომე უმცროსსა მამულოვნებით გაიყვანებენ, თუ ცოლსა შეირთავს¹,—იგი წესია, სამართალი არა.

საუხუცესოცა ამაღ წესი არს, რომე თვით მოსეს პირითა დამბადებელი «დაბადებასა» შიგან დასწერს.

წესი რამე დადებული ძნელად მოიშლების, შუანი არა ემართლებიან.

თუ არაოდეს ქმნილა მათსა გვარსა შიგან, თუ ურჩევნისთ², იბრძოდენ; თუ უმცროსი კარგად არ შეეგბის, ანუ სიკეთითა ნიღმა შეეხვეწების³, გამეყავ⁴, დამეხსენ, —ალარც ვითარ უწესო დაგვიწინახავს მისთანაო.

[ცოლის წაძახებისა ასრე იქნას]

50. თუ ცოლმან ქმარსა გაუპირდეს, დედაკაცსა ანუ დედაკაცისა ქმარსა შესჩვილოს, ვითა, ესე ჩემი ქმარი შენსა ცოლთანა⁵ არისო, და მის დიაცისა ქმარმან გაიგონოს, და ამა ყბედისა და ჯეელისა ქმრისა ამისსა მოწამენი ჰყვენ, თუ გაეყაროს, ბოზობისა ოდნად გარდაჰდეს მისი საქმე და სისხლი.

არც მის ყბედის დიაცისა მეყვისნი სისხლისა თხოვასა ემართლებიან.

და თუ ოღესმე ეთქვას და მას უკანის კიდევ ინდომოდეს, და არა შეეკსენოს [262v] და დაემონოს-ვე, ხანი გამოსრულიყოს, უკანისლა მის ყბედობისა მოწყენილმან მოიგონოსლა, უჟამოლა არის—ვინ არა იცოდა, რომე არშივი არა ეგებოდა, მის ყბედისა მიზეზი ნუა.

¹ შეირთავს]—A. ² ურჩევნილ. ³ შეეხვეწის. ⁴ გამეყუა. ⁵ ცოლთანა] თანა.

49. თუ იქნების ალაგის წესი, რომე უმცროსთა მამულოვნობითა [გაიყვანებენ], თუ ცოლს[ა] შეირთავს, იგი წესია, რომე ძულად, დამბადებელმან მოსეს პირითა „დაბადებასა“ შიგან წერა. ჩამოშუებას შუანი არა ემართლებიან. თუ იბრძოდენ, და უმცროსი უარშიოდ¹ იყოს, —შეხვეწითა ანუ სიკეთითა.

50*. თუ ცოლმან ქმარსა ანუ დედაკაცმან დედაკაცისა ქმარსა შეჰყვილოს, ვითა, ჩემი ქმარი შენ ცოლთან არისო, თუ იმ დიაცის ქმარმან აგინოს, ანუ ცოლი დააგდოს იმ ყბედისა დიაცის[ა] სიტყვით, ბოზობის ოდნად გარდაჰდეს სისხლი.

და თუ არ დააგდოს და ხანი გამოსრულიყოს იმ ყბედის დიაცის წაძახილისაგან, ცოლსა ნულარ ემიზეზების—ვინ არ იცოდა, რომე ყბედისა არშივი არ არისო?

¹ უარშიოდ] ურშიენდ.

* კიდევუ გადამწერის ხელით სწერია: „წაძახება“.

51. თუ კაცმან კაცსა რომლისამე¹ ეამისათვის რა გინდა რამე მიწა, გინა მზღვარი დაუჭიროს, ოდესცა სამართალი იშოვნოს, ნაჭამითა დაუღვას იგი ადგილი მან კაცმან.

[წანაჯედისა ასრე იქნას]

52. თუ ყანასა შიგა, გინა ვენაჯსა, ბოსტანსა, რასა გინდა სავანოსა შიგან პირუტყვი დაამწყვდიოს კაცმან და, ნაწყენმა, კიდეც მოკლას, თუ პირუტყვისა პატრონი იახლოს და განგებითა ეყოს, მტერობით იქმნების, ნუცა ნაწყენსა მიერჩის და ნუცა სიკვდილსა² იგი მას.

და უმეტრად შესრული მოკლას, ნაწყენი უზლოს შუათა დახედვითა. და პირუტყვისა მამკვლელმან ზლოს ასე, რომე, თუ გორცი პირუტყვისა პატრონმან წაილოს, ნახევარი უზლოს; და თუ მომკვლელსა მისცენ, ერთობილი უზლოს, როგორაცა მეზობელთა დაათასონ. და თუ უქამსი იყოს, არად შემოიღების.

[მამულის შევედრებისა ასრე იქნას]

53. თუ კაცმან კაცს გლეხისაგან სამამულო რამე შევედროს, და რა სთხოვოს, შეუმაგრდეს და აღარ მისცეს, ოდესცა სამართალმან დაადებინოს, ნაჭამითა მისცეს უსიტყვოდ³.

და თუ⁴ შევედრებასა⁵ შიგან ექამოს რა[262r]მე, არა საკვირველია, უსიტყვოდ⁶ მისცეს, ამად რომე შეუნახავს, მოკმარებია.

და თუ საბჭოდ შეუქმნას⁷ და ტყუოდეს, ყველა ზლოს, რაც წაელოს და ექამოს.

¹ რომლისამე—A. ² ნუცა სიკვდილსა] თუცა სიკვდილისა A. ³ უსიტყვოდ] უსიტყულ. ⁴ თუ—A. ⁵ შევედრებასა] წიდრობასა. ⁶ უსიტყვოდ] უსიტყულად შეუქმნას]—A.

51*. თუ კაცმან კაცსა ეამისა რომლისათჳსმე მიწა ანუ მზღვარი დაუჭიროს, როდესცა სამართალი უშოვნოს, ნაჭამა[10r]დით დაუღვას.

52***. თუ ყანასა, ვენაჯსა, ბოსტანსა, პირუტყვ დაამწყვდიოს და მოკლას, თუ პირუტყვსა პატრონი ეახლოს და ემტეროს, ნუცა ნაწყენსა, ნუცა [სიკვდილსა მიერჩის]—სიამე განგებით უქნია, მისი საქმე სხუა არის. თუ უმეტრად შეარული იყოს და მოკლან, შუათა კაცთა დახედვითა ნაწყენი პირუტყვსა უზღუდუენონ: პირუტყვსა[ა] გორცი თუ პატრონმან წაილოს, ნახევარი უზლოს; თუ მომკვლელსა[ა] წაელოს, სრულიად მისცეს.

53***. თუ კაცმან კაცსა სამამულე შევედროს, და რაქამს სთხოვოს, შემაგრდეს და აღარ მიაცემდეს, როდესცა სამ[ა]რთალი იშოვნოს, ნაჭამადითა დაუღვოს. თუ შევედრებასა შიგან ექამოს, ნუ სთხოვს. თუ სასარწლოდ შეუქმნას, ნუ სთხოვს, არამედ ყველა უკლებელად უზლოს, რაცა ექამოს.

* კიდევ გადამწერის ხელით სწერია: „ბეთალმანი“.

** კიდევ გადამწერის ხელით სწერია: „წანაჯედი“.

*** კიდევ გადამწერის ხელით სწერია: „მიბარება“.

[შიწის გააკარიელებისათვის]

54. თუ კაცმან კაცის მიწა გააკარიელოს¹ გინა ნაშრომითა, გინა ნაგებითა, გინა ნარგევითა ანუ ობლობისათვის, ანუ გარდახეწისათვის, რა მემამულემან მოიკითხოს, დაჭირვას არას ემართლების—ნაქმრის² ფასი მისცეს და ადგილი მემამულესვე მართებს.

55. არცა უმტერო კაცი კაცისა მამულისა გამოთხოვნას ემართლების, არცა სასყიდლად, არცა სასაქარგაოდ პატრონისაგან. თუ იყიდოს, ოდესცაღა მემამულემან მოიკითხოს, მიწა დაუღვას უმიზეზოდ და ფასი ანღებელს სთხოოს.

[55¹]. თუ აგეთი შენაცოდარი არა მიაჩნდეს რა, რომე მართებდეს, გაზრდისათვის და აესა ჯანსა შიგან დარჩენისათვის კაცი კაცსა ყმის დაჭირვას არას ემართლების. მითვე წესითა სთხოოს, რომე ზემოთ სწერია [იხ. მუხლ. 54].

[საგლებო ფუძის სუიღვისათვის]

56. თუ კაცმან კაცს საგლებო ფუძე მიჰყიდოს, გინა კარიელი, გინა უქატური, რაცა მას დღეს მიმსყიდველსა ჯელთა არა აქვს, მის მეტს მსყიდველი მიღვენას არას ემართლების.

და თუ მის ფუძის მკვიდრი კაცი, გარეთ წასვლით მყოფი, შინა მამულსა ზედა მივა თვისითა გულითა, როგორცა ზემოთ სწერია [იხ. მუხლ. 55], რა გინდა ხანი დაეყოს, იგი [2637] არას ემართლება, მის წესისა გაჩენილისა მეტსა.

¹ გააკარიელოს]—A. ² ნაქმრის.

54. თუ კაცმან კაცისა მამული გააკარიელოს რგვთა ანუ ნაგებითა, [ობლობისა] და გარდახეწისათვის რომე მამული მან მოიკლოს, დაჭირვას[ა] არას ემართლების—ნახევარი ფასი [107] მისცეს [და ადგილი მემამულეს].

55. და [თუ] ადგილი მემამულისა გამოითხოვოს, არა ემართლების; არცა სასყიდლად ბატონისაგან. თუ იყიდოს, როდისცა მემამულემან მოიკითხოს, დაუღვას უმიზეზოდ და ფასი ანღებელსა სთხოოს.

[55¹]. ანუ გაზრდისათვის, ანუ აესა ჯამა შინა დარჩენისათვის ყმის[ა] დაჭირვასა არავე ემართლების. იმა წესითა სთხოოს, რომე ზემოთ სწერია.

56*. თუ კაცმან კაცსა მიწა მიჰყიდოს, კარიელი თუ უქატური, რაცა იმ დღეს მსყიდველს[ა] ჯელთ[ა] არა აქვს, სხუასა მიღვენას[ა] არას ემართლების.

თუ ფუზის მკვიდრი გარეთ იყოს და მერნე მამულს[ა] ზედა მოვიდეს, ვისგან ჰქონებოდეს, დაჭირვას[ა] არას ემართლების, რა გინდა[ა] დიდი ხანი დაეყოს.

* კიდებუ გადამწერის ხელით სწერია: „სყიდვა“.

[ანდერძისა ასრე იქნას]

57. ანდერძი რომელმან კაცმან თქვას, მისსა სიკვდილსა შე-
მდგომადლა იქნების მტკიცე და დადასტურებული, თუ არა¹ სიცოცხ-
ლესა შინა ოროვე კელეწიფების, გინა მოშლა, გინა გათავება.

ამას ზედა გარდამოსვლა განბრძნობილი არს წმინდათა მამა-
თაგან, სჯულთა სამოდღვრებლად ებისტოლეთაჲცა შიგან ესრეთ წე-
რილ არს*.

ამისთანასა საქმესა შიგან კაცთაგან შესვლა, ზე-ქვე ქცევა
მალ შეუძლებელ არს და ნუ ვინ კელჰყოფს.

[შვილის გაძებისა ასრე იქნას]

58. თუ თავისი შვილი მამამან მისისა შეცოდებისათვის კიდე
გააძოს, კელეწიუების და ცილებასა არავინ არს მართალ².

თუ შვილი თავმოთნედ³ გაყოლოდეს⁴, არცა რა სით რა
ეწყინოს, აღარათ შეელირნოს⁵, რა მამა გარდაჯდეს, მამულინა მო-
საქმობასა მართალ ვერავინ მოუშლის მემამულეებასა.

და თუ გარეთით ერბიოს⁶, ეწყინოს, რაცა შესძლებოდეს ეავკა-
ცოს, ვითა მამას გაეძოს, აგრევე სხვა ნურვინ რას ასაქმებინებს
მამულსა თანა.

ამას კარგად მოკლებით, გაგონებით ქნა უნდა, რომე⁷ ამისი
საქნელი, მამისა შენაცოდარი ეგრეთ არ⁸ გამოჩნდეს: სხვისა⁹,
შეორის შვილისა გულისათვის, ანუ შეორის ცოლისა შვილთა გუ-
ლისათვის და ცოლის ნათესავისათვის არა გააძოს მამამან ღვიძლი¹⁰
ძე, ვითა უბ[264r] რალო შვილი. ამას არცა მამა ემართლების,
ნუცა¹¹ ვინ სხვა უზამს.

¹ არა] რა. ² მართლა. ³ თავმოთნედ] თავ მთნოდ. ⁴ გყოლოდეს. ⁵ შე-
ადირნოს. ⁶ ებიოს. ⁷ რამე] რამე. ⁸ არ] რა. ⁹ სხვისა] სხვისა. ¹⁰ ღვიძლი]
ღვიძლ. ¹¹ ნუცა] თუცა.

* იგულისხმება: ე ბ რ ა ე ლ თ ა 9,11.

57. ანდერძი ვისგან ითქუას სიკუდილის ეპასა, იგი მტკიცედ დადასტუ-
რებული [იქნების]. ზემო გარდმოსულთა, განბრძნობილთა წმიდათა მამათა რჯუ-
ლითა სამოდღვრებელთა ებისტოლეთა შინა ესრეთ წერილ არს. ამისთანასა
საქმესა შესარულა, ზე და [ქვე] ქცევისა ნუ ვინ კელ-ჰყოფს.

58. კაცმან თუ შვილი შეცოდებისათჳს გააძოს, კელ[11r] ეწიფების. თუ
შვილი თავმოთნედ გაყოლოდეს და არლარა სით რა ეწყინოს, რა მამა გარდა-
ჯდეს, მამულისა მოსაქმეობასა [ვერავინ მოუშლის]. მართლად ეწყინოს, რაცა
შესძლებოდეს, ეგრეთვე საქმესა სხუასა ნუ ვინ ასაქმებინებს მამულსა თანა.

ამას კარგად გამოზახვით უნდა და გაგონებით, —მამასა შენაცოდარი არ[ა]
გამოსჩენოდეს რა: ანუ [სხუა] შვილისა, ანუ ცოლისა, ანუ თუ რძლისა გული-
სათჳს შვილისა გაძებასა არ[ა] ემართლების.

59. ნაშვილები თუ გააძოს, განალამც გაყვა და შორს¹ დადგა ყოვლისა მოსაქმებისაგან, თუ მიღმა ნაშვილებისაგან გამოჩნდეს სანიეთო ღალატი და შეცოდება, და არლარა შეენანოს თავისა მართლობა თავქედობითა.

მისიცა² მოკლება კარგად უნდა, ზემოთ რომე მამა-შვილთა სწერია და მისით მიბაძვით საქმეა, მით წესითა გამონახონ [იხ. მუხლ. 58].

[სასაქმო წიგნისა ასრე იქნას]

60. კაცმან კაცს³ რა გინდა სასაქმოე წიგნი მისცეს, გინა პატრონმან უბოძოს რასათვისევე, და ერთოს საპატიოთა კაცთა—მოლოზანთა ჭელი, ერისგანთ—საჯერობისათვის ჭელი, [და] მისევე კაცისაგან განცხადებითა წერილი, და აგრევე ჭელებიცა ერთოს, და მალეითა მისცეს, იგი უქანის გაუცულებს მას პირველსა.

და თუ მალეით და ქვე ეამით მიეცეს და არცა ვისი ჭელი ერთოს, იგი ცუდია და პირველივე უმტკივე იქმნების.

სხვად, თუ კაცი რასმე ესაქმებოდეს სამართლითა და საჯეროთი, შუათა პირითა ნაზავები პირი და წიგნი არა მოეშლების უქანის ანუ სარგებლის დახედვისათვის, ანუ ძალისა შოებისათვის.

[სამოყვროდ მიცემისა ასრე იქნას]

61. თუ კაცმან კაცსა კარგად და პირისწყლიანად ყოფისათვის სამოყვროდ მისცეს რამე, გინა სამამულო, გინა სასაქონლო და რა გინდა რა, ხანთა გამოსვლისათვის⁴ და ქვემო ყოფისათვის თხოვასა არას ემა[შჳჴ]რთლების, თუ რაცალა შეუძლია, მისის მოყვრობისავე ზედა იყოს.

და უჩნდეს ეს, რომე იგი მომლოდეს, მისცეს⁵ დაუკლებლად, რაც მიეცეს.

¹ გაყვა და შორს] გაყვის და შორის. ² მისიცა] ნისცა. ³ კაცმან კაცს]— A. ⁴ განოსვლისათვის. ⁵ მისცეს] ÷ მისცეს.

59. თუ ნაშვილები გააძოს, განალამცა გაყვა და შორს დადგა მოსაქმეობასა, მიღმა ნაშვილებისაგან ღალატ-შეცოდება აღარ შეინანოს თავქედობასა მისი მოკლებადა კარგად უნდა, ზემო რომე მამა-შვილთა სწერია, მის მიბაძვითა საქმეა და მის წესითა გამოენახნენ.

60*. თუ კაცმან კაცსა წიგნი მისცეს, და ანუ ბატონმა[5] უბოძოს, და ჭელი ერთოს საჯერობისა, მისევე კაცისაგან განცხადებით აგრევე ჭელი შიგ[ა] ერთოს, ისი უქანა წიგნი გაათავებს პირველსა. [11v]. თუ მალეით მიცემულია და ჭელი არ[ა] ერთოს, იგიც[ა] დია პირველივე უმტკივეა.

61**. თუ კაცმან კაცს სამოყ[უ]როდ მისცეს რამე და სიგლანჯისათვის სთხოვოს, არ ემართლების. თუ რომე ძოყ[უ]რობა მოშლოდეს, მისცეს დაუკლებლად.

* კიდევუ გადამწერის ხელით სწერია: „წიგნის მიცემა“.

** კიდევუ გადამწერის ხელით სწერია: „მოყვრობის მიცემა“.

ნაპარევისა პირველ ასრე გაჩენილა და ასრე იქნას აწცა, რომე:

62. თუ ცხენი და რა გინდა რა კაცმან მოიპაროს, თუ ველ-თავე აქენდეს თავი ნაპარევი, იგი მისცეს და ერთი ეზომი სხვა. და თუ არა აქენდეს, აფიცოს საქონლის პატრონმან, — როგორცა დაიფიცოს, იგი მისცეს და ერთი ეზომი სხვა.

63. თუ ნაპარევი რამე იცნას [კაცმან] და ამას იტყოდეს, თუ მაგისა გვერდით სხვადა რამ წარმივდაო, და რომელსა ეცნას, არა გამტყუნდეს¹, შეფიცოს ორითა უმეტერთა კაცითა, რომე მის მეტი არა მისრულიყოს მისსა ველსა და არცა კაცი იცოდეს მისი მომპარავი, — თვით მის მეტსა აჭას ემართლებს.

და თუ ვერ შეფიცოს, მან, საქონლის პატრონმან, დაიფიცოს, რაც წაჭდომოდეს, — უზლოს ზემოთვე წესითა.

ბოლარლოსა ცხენისა ასრე იქნას

64. თუ ბურლო ცხენი მიყიდოს კაცმან კაცსა, ანუ მისცეს, თუ ბურლობა არა გაანდოს², ესეთი იცნან, თავი და ინჯუ მისცეს, და რაც³ წაჭდომოდეს, ყველა მან უზლოს, რომელსა მიეყიდოს⁴, და ანუ მიეცეს. მას არას ემართლებს, რომლისა ველსა⁵ იც[მწაწ]ნას.

და თუ უთხრას ბურლობა⁶, დღისით იცნან, ორთავე სწორედ ზღონ ყველა [შდრ. მუხლ. 172].

¹ არა გამტყუნდეს] + თუ მაგის გვერდით სადაცა. ² გამოანდოს. ³ და ინჯუ მისცეს და რაც] დუნჯი მისი რომელი. ⁴ მიეყიდოს. ⁵ რომლისა ველსა] რომელი სახელსა. ⁶ ბურლობა] შურთობა.

ნაპარევისა გაჩენა ახე იქნების

62*. თუ ცხენი იყოს მოპარული, [ანუ] რაცა კაცმან კაცისა მოიპაროს, თუ ველთავე ჰქონდეს იგი თავნი ნაპარევი, იგი თავნი ნაპარევი მისცეს, და ეგეზომი სხუა მისცეს.

63. თუ ნაპარევი იცნას კაცის ველთა და ამას იტყოდეს, ამასთან სხვაც ბევრი რამე დამეკარგაო, რომლისადა ველს იცნას, იგი არ გატყუნდეს, შეფიცოს ორთა უმეტერ-უმოყ[უ]რომთა კაცითა, რომე მისთა ველთა მის მეტი არა მისრულ იყოს. თუ არ ვერ იყოს, საქონლის პატრონმან დაიფიცოს — რაცა წაჭდომოდეს, უზლოს ერთიორად.

64. თუ გულარადო ცხენი მიჰყიდოს კაცმან კაცსა, თუ გულარლობა არ[ა] უთხრას, ისეთი იცნას, [12r] თავი და ნაჭედნი მისცეს, და მის გუერდის რაცა წაჭდომოდეს, — ყველა.

* კიდევუ გადამწერის ხელით სწერიან: „მოპარვის ქურდი“.

65. თუ ქარავენსა ქურდად თავსა ზედა-დასხმასა შიგა წაჯდომილი იცნას კაცმან, თუ ესე¹ ფიცოს მან სხვამან კაცმან, რომე იგი ქურდად არა ყოფილიყოს, თავის მეტს არას ემართლების. და თუ ვერ შეფიცოს, რასაც წაჯდომილსა პატრონი იფიცავს, ყველა უზლოს ამა კაცმან.

თუ თავადად იგი კაცი ყოფილიყოს, და თუ ლაშქარი² ყოფილიყოს, რაცა მისი ალაფისაგან ფიცით მინახვედრები თქვას, იგიცა უზლოს უკლებლად.

¹ ესე] + ვითა. ² თუ ლაშქარი] თვალშაქარი.

65. თუ ქარაენისაგან ქურდმან წაუღოს რამე, ნერმე მან მისი იცნას სხვს[ა] კაცის[ა] ჯელთა, დაიფიცოს მან კაცმან, რომე ჯურდი არ[ა] აღადიყოს თავის მეტს[ა] არას ემართლების. თუ ვერ იფიცოს ქურდობისა, მაშინ საქონლის[ა] პატრონმან დაიფიცოს, რა წარჰჯდომია, და ყველა უზლოს. თუ იგი კაცი ყოფილიყოს თუ ლაშქარი, რაცა მისის[ა] ალაფისაგან ფიცით მინახვედრებია, იგიცა უზლოს დაუკლებლად.

ალბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი

აწ¹ პატრონმან ათაბაგ-ამირსპასალარმან² ალბულა მოიკლა სრულისა სამცხისა საქმე. და ამა ეამთა სიავითა დიდი მოავე კაცი იპატივებს³. თავადად ლაშქართა ცხენთა⁴ პარვა შექმნილიყო. ესე იწუინა და ამავე საბატოთა კაცთა მას წინაშე სხდომითა და ბჭობითა⁵ საპარო-საინჯუთა⁶ და მეკობრის საპატივოსა განაჩენნი ძველისავე მიაყოლეს, და ესრეთ გააჩინეს, ვითა — უშიშობამან, თუარე გინა შრავლისა ავისა მოქმედი კაცი არღარა ვის რა გარდაცლია წინათ ეამთა აქეთ პატივიო.

[მეკობრისა ასრე გავაჩინეთ]

66. აწ მეკობრე ხოლუ გავპატივოთ, ვისი გინდა იყოს, უთნეველად და გავაძოთ. და განებამდი იგიცა ცხენი და ერთი სხვა ცხენისა პატრონისათვის მივაცემინოთ.

და თუ აღარ ყვეს, რაგვარაცა ცხენისა პატრონმან დაიფიცოს, [266v] რაგვარაცა მას დღეს ღირებულ იყოს, იგი მისი ცხენი და ერთი ეზომი სხვა მისცეს. და რომელიცა რაგვარ მას განაჩენსა შიგან სწერია, აგრე იურებდეს⁷.

¹ ან. ² ამირსპასალარმან] მისპასალარმან. ³ იპატივებს] ბახტაბასა თან გარ. ⁴ ცხენითა. ⁵ ბჭობითა. ⁶ საპარო-საინჯუთა] საპარო-საუნჯოთა. ⁷ იურებდეს] იგრცა, ესეცა ნითაცა და ამითაცა.

[ალბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი]

მე, პატრონმან ათაბაგ-ამირსპასალარმან ალბულა, მოვიკლე სრულისა სამცხისა საქმე. ეამთა სიავითა დიდი კაცი იპატივებს. მასვე ლაშქართა შინა ცხენის პარვა შექმნილიყო. ეწუინა საპატიოთა კაცთა. და მას წინაშე საპატიოთა სხდომითა კაცთა მეკობრის გაჩენილი ძველსავე მიაყოლეს, ესრეთ გააჩინეს, ვითა — უშიშობამან, თუარე ავის მოქმედის კაცისაგან არავის რა [12v] გარდაეცდენინა წინათ ეამთა აქეთ პატივიო.

66. აწ მეკობრე ხოლუმ გავპატივოთ და ვისი გინდა იყოს გავაძოთ უთნეგარი. და გაძებამდის იგი ცხენი და ერთი სხუა ცხენის პატრონს მივაცემინოთ. თუ აღარა ჰყვეს, როგორაცა ცხენის პატრონმან დაიფიცოს, როგორაცა მას დღესა ღირებულ იყოს, იგი მისი ცხენი და ერთი სხუა ეგეზომი შეხლს. და როგორაცა მის განაჩენშიგან სწერია, ისრე დაიურებოდეს.

და თუ ცხენი ჯელთა ჰყვეს და კაცი ამას იტყოდეს. თუ კიდე „მიყიდიაო“, ულაში გაართვას¹ და მოწყიდველი თქვას, ცხენისა მეტსა არას ემართლების და ინჯუ მას, მეკობრესა, სთხოვოს, და რაცა მიცემული ფასი მოწმით დაიჭიცოს, იგი ცხენის პატრონმან მისცეს.

და თუ ულაში ვერ თქუას მართალი და არა შორს მყოფი, მეკობრე² იგი არის და მან ზღოს.

თუ არა მისი იყოს ცხენი და გარდამისნებით დაესარჩლოს, და მართალი გამოჩნდეს, მერმე მეკობრე იგი იქნების და მან დაუურვოს, რაგვარაცა მეკობრესა ზართებს.

[დამხუთავი კაცისა ახრე იქნას]

67. თუ კაცსა კაცისა საქმითა წაელოს ვისგან რამე და წაუტდეს ანუ სოჯელსა უწყინოს ვინ, თათარმან ანუ ქართველმან,—წყყვეს მას წამლებსა, დამხუთავსა კაცსა და მან გასცეს პასუხი და მოაცემინოს დაუკლებლად ჯელთა.

ანუ კიდე არა წაყვეს ანუ მოაცემინოს და რამე აკლდეს, მან კაცმან უზღოს დაუკლებლად, რაცა მოყრობისათვის არა გაუშვას. —იგი, რაცა საქონლისა პატრონმან დაიჭიცოს, რომე წაქ[დო]-მოდეს.

[67¹]. და თუ ქვეყანა ანუ თემი და სხვა რჯული, გინა მეზობელი დაუნდობელი იყოს, დაუნდობელმან [266r] დაუნდობელს

¹ მიყიდიაო ულაში გაართვას] მიყიდულა მიგართვას. ² მეკობრე] მართალი.

და თუ ცხენი ჯელთავე ჰყვეს და ამა იტყოდეს, თუ „მიყიდიაო“, მანვე ულაში გაართვას და მოწყიდველი უჩვენოს, ცხენის მეტსა არას ემართლების და ნაჯედნი მას მეკობრესა სთხოვოს. თუ მოწყიდველი ნართლად ვერ უჩვენოს, თუ მეკობრე იგია და მან ზღოს. თუ მისი არ იყოს ცხენი და გარდამისნებით ეართდეს და მართლად გამოჩნდეს, მერმე მეკობრე იგია, მან დაიურვოს, როგორაცა მეკობრეს მართებდეს.

67. [13r] თუ კაცმან კაცის საქმე წაიღოს რამე და წაუტდეს რამე ანუ სოფელსა უწყინოს რამე ვინ,—თათარმან ანუ ქართველმან,—წყყვეს თანა წამლებსა და დამხუთველსა კაცსა, მან გასცეს პასუხი, მოაცემინოს დაუკლებლად. თუ არ წაყვეს და არ მოაცემინოს, თუ რამე აკლდეს, მან კაცმან ზღოს, თუ რამე მოყ[რობისათვის, არ[ა] გააწუას,—იგი, რაცა საქონლია პატრონმან დაიჭიცოს, რომე წაჭკდომოდეს.

[67¹]. თუ ქვეყანა ანუ თემი სხვა რჯული, გინა მეზობელი დაუნდობელი იყოს, დაუნდობელმან დაუნდობელსა

მტერობასა შიგან უყოს და მერმე მის მტერობისათვის მათ სხვისა უფრო გინა მას არა აწყინონ, და სხვასა აწყინონ, მას პირველსა მაწყინარსა არას სამდღურავს ემართლების, ამად რომე მტერობასა ზედან დაუნდობელნი ყოფილან.

[ბატონთა და ყმათათვის]

68. გლეხი თუ გლეხსა თავსმდებად¹ დაუდგეს ერთისა ჯარისა ანუ მისის ფასისა უფროსითა, საპატიოს კაცისა იყოს, მისსა კელისა უფალსა ჩაართვევინოს ჯელი; და თუ ქვეყნის დიდებულისა და ანუ აზნაურისა იყოს, მას ჩაართვევინოს. და ესეთი, რაზომცა დაუდგეს, უზლოს.

და თუ კელი არა ერთოს, გლეხი ამას უფროსითა ვერ დაუდგების, ამად რომე არა ღირსა. და მისმან პატრონმან ავად გაქაღოს იგი გლეხი.

69. თუ დიდებული გინა აზნაური დაუდგეს თავმდებად, ანუ [მოგუაროს], რასაცა ზედა უდგეს, [და ანუ] უზლოს, სათავდებო რაცა ეწეროს.

70. თუ გლეხსა სხვის-შვილი წაუვიდეს, რაცა შეუტანია, იგი, და რაცა მოუგია, იგიცა, ორივე გაყვეს, სწორის სწორამდინ უმსახურებია,—და თუ ძალი დიდი რა არა მოსტაცოს². თუ³ რა სამიწონასყიდი შეექნას, ნუცა მას გაატანს.

¹ თავსმდებად] თავისა მდებთად. ² დაუდგეს თავმდებად] დაუდგესცა-
³ რა არა მოსტაცოს] არა არის მოსტაცოს იგი. ⁴ ანუ.

მარადის მტრობასა შინა უყოს, მერმე მისისა მტრობისათვის მტრობასა შიგან უყოს რამე, მერმე მისის მტრობისათვის სხუასა უფროსი აწყინონ, სხუას[ა] ოდენ აწყინონ და მპარველსა მაწყინარსა სამდღურავი[ა] მეტს[ა] არა ემართლების, ამად რომე მტერობასა ზედა დაუნდობელნი ყოფილან.

68. გლეხი თუ გლეხსა თავს[მ]დებად დაუდგეს [ერთისა ჯარისა] ანუ მისისა ფასისა უფროსითა, საპატიოს კაცისა იყოს, მისსა [13ვ] კელის[ა] უფალსა ჩაართვევინოს კელი; თუ დიდებულისა ანუ აზნაურისა [იყოს], ჩაართვევინოს. და ასეთი, რაზომსაცა ზედა დაუდგეს, უზლოს. თუ კელი არ ერთოს, გლეხი ამის უფროსითა ვერ დაუდგების, ამად რომე არ ღირსა. მის[მან] პატრონმან ავად გაქაღოს იგი გლეხი.

69. [თუ] დიდებული ანუ აზნაური დაუდგეს თავ[მ]დებად, ანუ მოგუაროს, რასაცა ზედა დაუდგეს, და ანუ უზლოს, სათავდებო [რაცა] [14 v, 9]* ეწეროს.

70. გლეხსა თუ სხუ-შვილი წაუვიდეს რაცა შეუტანია, იგი, და რაცა მოუგია,—ორივე გაჰყვეს, ამად რომე სწორსა სწორისად უმსახურებია, თუ რა-მ[ე] არა მოსტაცოს რა. თუ რამე სამიწო ნასყიდი ექნას, ნუ გაიტანს.

* დედნის ფურცლების დაშლილობის გამო გადამწერს გადაუადგილებია ტექსტი. თანამიმდევრობა აღდგენილია A ნუსხის მიხედვით.

71. თუ გლებსა წარმავალისა გლებისათვის გაეწიოს¹, ანუ მოგვაროს შინა იგი გლები და ანუ² მისმან ბატონმან³ კელთა მისცეს იგი გლები, რომელსაცა გაეწიოს.

ნუ[შნგვ]ცა გლები გლებსა მკვიდრად ირჩის, და არცა⁴ მართებს; არცა სყიდვასა იგი ღირსა.

ოღესცა მან ანუ ნასყიდმან კაცმან იშოვნოს, მისცეს⁵, რაცა გამოეღოს, ანუ მკვიდრმან ბატონმან მიუბრუნოს⁶,—აღიღოს და კაცი გაუშვას.

72. თუ ვისმე კაცი შეეწყნაროს და თავი დაუწეროს, და მან სეფე-ქალსა ზედან სიძობით შეიწყნაროს, ანუ გლებსა და ანუ გლებისა ასულსა, წასელას არას ემართლების.

და თუ მისმან მკვიდრმან ბატონმან წაგვაროს, მის კაცისაგან კიდე არც ცოლს ემართლების და არცა შეიღოსა, — რაითაცა⁷ მისრულიყოს იგი კაცი, ეგრევე წაიყვანოს.

თუ მისითა გულითა არ წავიდეს კაცი და სამართალმან წაიყვანოს, ცოლ-ქმართა გაყრა უწესოა და თანა გაყვეს; ღიაცისა პატრონსა ფასი დაუფრვოს⁸.

[72¹]. და თუ კაცი, კაცისა ყმობასა და ერთგულად და გავლენით სამსახურსა ძინა ჭირნახულობით და ანუ დაკოდით უკმარ გასრული, დაბერებულის, საქმემან რამემან⁹ გაიყვანოს, რითაცა¹⁰

¹ თუ გლებსა წარმავალისა გლებისათვის გაეწიოს] თუ გლებისა სხვას წარმავალსა გასწიოს. ² ანუ]—ა. ³ ბატონმან]—ა. ⁴ და არცა]—ა. ⁵ მისცეს]—ა. ⁶ მიუბრუნოს] მიუშოროს. ⁷ რაითაცა] რაცა. ⁸ დაუფრვოს]— და. ⁹ რამემან] რამენ. ¹⁰ რითაცა] რაცა.

71. თუ გლებსა წამავალია გლებისათვის გაეწიოს, ანუ მოგვაროს იგი გლები და ანუ მისმან ბატონმან კელთა] მისცეს იგი გლები. და გლები გლებს მკვდრად ნუ ირჩის და არცა მართებს; და არცა სყიდვასა ემართლებს, და არცა იგი ღირსა. ოღესცა ანუ მან ნასყიდმან კაცმან იშოვნოს, მისცეს, რაცა გამოეღოს, და ანუ მისმან მკვდრმან ბატონმან მიუბრუნოს,—და იგი კაცი გაუშვას

72. თუ ვის კაცი შეეწყნაროს და თავი დაუწეროს, და მან სეფე-ქალზედა შეისიძოს, ანუ გლებისა ასული მისცეს, წასელასა არ ემართლებს [13, რ 9]. მკვდრმან ბატონმან [თუ წაგვაროს], მისისა] კაცისა] კიდე არცა ცოლსა ემართლებს. და არცა შეიღოსა,—ვიითაცა მისრულ იყოს იგი კაცი, იმითვე გაუშვას. თუ მისითა გულითა არა] წავიდეს იგი კაცი, სამართალმან წაიყვანოს, ცოლ-ქმართა] გაყრა უწესო არს და თანა] გაყვეს; და ღიაცის ფასი მიუბრუნოს პატრონსა]ა.

[72¹]. თუ კაცი კაცისა ყმობასა და ერთგულად გავლენით სამსახურსა შიგან ჭირნახულობით ანუ დაკოდითა უკმარად გასულიყოს, დაბერებულის, საქმემან რამემან [14r] განიყვანოს, რა]ითაცა

შესრულიყოს, იგივე გაყვეს და მისის ჭირნახულისა და მონაგებისა შესამედი, ამად რომე საბრალო იქმნების და ძალისაგან და-
ცილილია [შდრ მუხლ 173].

და თუ შვილნი ესხნენ¹, გაყვნენ. შემამუღე. რაცა არა მოუტანი-
ნია, ნურას გაატანს [შდრ. მუხლ. 174].

73. თუ თავდაუწერელმან კაცმან შეირთოს ცოლი, არცა გლეხსა ზედა ვის შეესძლოს² და არცა სეფე-ქალსა, ვისცა იგი კაცი მართებს მკვიდრად³, მისი [2671] ცოლი და შვილიცა მას მართებენ. და რითაცა⁴ შემოსრულა⁵, ეგრეთცა წაიყვანოს და წავიდეს.

74. ვისაცა ერთმანეთისა ყმა ჰყვეს, ანუ მკვიდრი გლეხი, და კიდევ სთხოვოს, დაჭირვას არას ემართლების, მსგავსიერიითა საქ-
ნითა კიდევ შეეზავოს.

და⁶ თუ არ მისცეს, მას კიდევ წაუვიდეს, და ვითარღა არა მოგვაროს, ანუ მოკვდეს,—სისხლი დაუშრვოს.

75. თუ კაცსა მომართებული⁷ ყმა წაუვიდეს, უმტერო კაცი დაჭირვას არას ემართლების მის ნებადაურთავად.

76. თუ გლეხმან მისისა პატრონის ჯელჩაურთავად გაყიდოს რამე ანუ დაწინდოს სამაწულო, მართალი⁸ არა არის—ადგილი პატრონისა არის. მან კაცმან ფასი ამღებსა სთხოოს.

¹ ესხნენ]—A. ² შესძოს. ³ მკვიდრად]— და. ⁴ რითაცა] რამცა. ⁵ შემოსრულ. ⁶ და]— და. ⁷ მომართებული] მომრთებელი. ⁸ მართალი]—A.

შესრულიყოს, იგივე გაყვეს [და] მისისა ჭირნახულობისა შესამედი, ამად რომე საბრალო იქმნების და ძალისაგან დაცილილი; თუ შვილნი ესხნენ, გაყვენ. შემამუღე მას რა[იცა არ [ა] მოუტანია, ნურას ნუ მიატანს.

73. თუ თავდაუწერელმან კაცმან შეირთოს ცოლი, [არცა] გლეხსა შეესიძოს და ანუ არცა სეფე-ქალსა, ვისცა იგი კაცი მართებს, მისი ცოლი და შვილიცა მას მართებენ. და რითაცა შემოსრულა, ეგრეთვე გავიდეს.

74. ვისცა ერთმანეთისა ჰყვეს ანუ მკვიდრი გლეხი და ანუ ყმა, კიდევ სთხოოს, დაჭირვას არას ემართლების. მსგავსიერისა საქნითა კიდევ შეეზავოს. თუ არ მისცეს, კიდევ წაუვიდეს და ვედარ მიგუაროს, ანუ მოკვდეს,—სისხლი დაუშრვოს.

75. თუ კაცსა მომართებული ყმა წაუვიდეს, უმტერო კაცი დაჭირვას [ა] არ [ა] ემართლების მისდა ნებადაურთავად,

76. თუ გლეხმა მისისა პატრონის ჯელჩაურთავად გაყიდოს [14v] რა, მართალი არ [ა] არის—ადგილი პატრონისა არის. მან კაცმან ფასი ამღებულსა სთხოოს.

77. ვისაცა ვისი მკვიდრი ყმა ყვეს, ანუ გლეხი კაცი, მისითა გულითა წაიღეს მისსა პატრონისასა, რითაცა¹ მოსულიყოს, მითვე საქონლით გაუშვას.

და თუ ცოლნი და შვილნი ესხნენ, გაიტანნეს იგინცა, დაჰკირვას არავეინ ემართლების.

თუ შვილიშვილნიცა წარვიდნენ მკვიდრსა მამულსა ზედა, ნუვინ ეცილების.

და თუ კაცსა არა სწადდეს, არამედ პატრონი სთხოვდეს, თუ მიცემა ჯებნილიყოს² და არა ეთხოვნოს, არცა ესარჩლოს, თხოვნას აღარას ემართლების, და არცა [267v] ბჰობასა, შვილსა წელიწადსა უქანით.

და თუ შორს მათგან³ გარეთ ყოფილიყოს და მიწდომა ძნელი გვარი ყოფილიყოს ანუ არა სცოდნოდეს, პირველადვე⁴ დაწესებული ოცდაათი წელი არის შეკვეთილი.

და თუ არა უთხოვია, ახლოს—ახლოთა ეჯითა და შორს—შორითა ეჯითა, ანასდათ მონდომისათვის არას ემართლების.

78. თუ დიდებულსა, გინა აზნაურსა, გინა მსახურსა და ვისაცა მომართებული ყმა ყვეს და კიდევ წაუვიდეს, თუ რა⁵ ვის მან წაუღოს, ანუ მისსა პატრონსა, ანუ ამხანაგსა, ანუ მეზობელსა, ამათთვისაცა⁶ უზლოს მან, ვის ჰყოლია, დაუკლებლად, რაცა წაეღოს.

¹ რაცა. ² ჯებნილიყოს. ³ თუ შორს მათგან] შორის მათდა. ⁴ პირველივე. ⁵ თუ რა] თუ არა. ⁶ ამათთვისაცა] დაამართვისაცა.

77. ვისაცა ვისი მკვიდრი ყმა ჰყვეს, გინა გლეხი, თუ მისითა გულითა.—რა-
[ითაცა ნისრულ იყოს, მისითა საქონლითა წაიღეს. და ცოლ-შვილნი ჰყვენ, გაატანონ, დაჰკირვათ] არას ემართლების. თუ შვილისშვილნი წაიღენ მკვიდრსა წამულს[ა] ზედა, ნუვინ ეცილების. [15r, 12] თუ არ ეწაღოს და ბატონი სთხოვდეს, თუ მისული ნებითა არ წაიღეს, ძალითა ნუ წაიყვანს. თუ არ ეთხოვნოს და არ ესარჩლოს, თხოვნასა არ ემართლების, არცა ბჰობასა. მუდსა წელიწადსა უქანით. თუ შორს ყოფილიყოს და არა სცოდნოდეს, [15v] პირველადვე დაწესებული ოცდაათი წელიწადი არს შეკვეთილი. თუ არ უთხოვინია, ახლოს—ახლო ეჯით და შორს—შორით, ანასდა ნდომისათვის არას ემართლების.

78*. თუ დიდებულსა, გინა აზნაურსა, გინა მსახურსა, ვისაცა მომართებული ყმა ჰყვეს, კიდევ წაუვიდეს, თუ რა ავი ანუ კარგი წაიღოს მან ანუ ბატონისა, ანუ მეზობლისა, ვისიცა წაიღოს, მან კაცმან კიდევ უზლოს დაუკლებლად.

* კიდევუ გადამწერის ხელით სწერია: „ყმის წასვლა“.

და თუ მკვიდრი წაუვიდეს და. მან ვისმე რამე წაუღოს, თუ რა მისი დედა-წული შინა დარჩეს და ქონდეს რამ, მან უზღოს. და თუ არა დარჩეს რა, მისსა პატრონსა არა რას ემართლებს, ამაღ რომე მკვიდრისა კაცისა უზიაროა¹.

მკვიდრი ასეთი იქნების, მამამისი მის კაცისა ყმა ყოფილიყოს და შვილი შხა ქვეშე მისცემოდეს.

[ქირავენობისა ასრე იქნას]

79. თუ კაცმან კაცი დაიქირავოს რა გინდა რა საქმისათვის, მისითა გულითა ექირაოს და მას შიგან მოკედეს, არაეინ რას ემართლების ქირისაგან მეტსა.

ამავე წესითა საყედრისა იყოს: და თუ ანუ ბორჯალს გარდაცდეს, ანუ უშორე წაიყვანოს, ანუ შეკვეთილისაგან კიდე მეტი აკი[268r]დოს, თუ მოკედეს, უზღოს.

[მიმავალი კაცის დახუთვისათვის]

80. თუ კაცისასა მიმავალი ანუ ვისგანმე გაგზავნილი კაცი დაიხუთოს კაცმან, უმტერო კაცი,—კაცსა არას ემართლების.

და რაცა წყენა და ნაცვალი მისი, და საკლისი მოიგონოს, ყველას ემართლებს; და მის კაცის წანალებისა დაურევებას ემართლების დაუკლებლად.

[ქვრივის ასრე იქნას]

81. დიაცსა თუ ღმერთი შერისხდეს, დაქვრივდეს და შვილი არა ედგას, მისი ზითევი თანა² გაყვეს დაუკლებლად.

და თუ დიაცი მოკედეს, [ზითევი] მისა სამშობლოსა მართებს, აგრევე დაუკლებლად.

¹ უზაროა. ² მისი ზითევი თანა] მისის ზითევია.

თუ მკვიდრი წაუვიდეს და კიდევ რამე წაიღოს, თუ რომე მისი დედა-წული შინ დარჩომილ იყოს და] ჰქონდეს რამე, მათ უზღონ. და თუ არ დარჩეს, მისსა ბატონსა არას ემართლების, ამისთჳს რომე მისის[ა] ბატონის[ა] სიმართლითა, თუ შეილნი მისცემოდენ მას ქვეშე; თუ არ მისცემოდენ, უზიაროა.

79*. თუ კაცმან კაცი იქირავოს მისთჳს მისითა გულითა, მას შიგან იგი კაცი მოკედეს, არ[აკვირ] ემართლების ქირის მეტსა. ამავე წესითა საყედრისა იყოს: [16r] თუ ბორჯალსა გარდაცდეს, ანუ შორს წაიყვანოს რახომცა, ანუ შეკვეთილის[ა]გან უფროსი აკიდოს, თუ მოკედეს, უზღოს.

80***. თუ კაცმან კაცისა მიმავალი კაცი იხუთოს, უმტერო კაცი,—ხოლო ამას არ ემართლების. რაცა წყენა და ნაცვალი მისი, და საკლისი მოუგოს, ყველას ემართლებს; და მის კაცისა წანალებისადა დაურევებასა ემართლების უკლებლად.

81*** დიაცსა თუ ქმარი მოკედეს და შვილი არ დარჩეს, ზითევი თანა გაყვეს უკლებლად. თუ დედაკაცი მოკედეს უშვილოდ, [ზითევი] მისსა სამშობლოსა მართებს დაუკლებლად.

* კიდევ გადამწერის ხელით სწერია: „ჯ[ა]მაჯირის ყმა“.

** კიდევ გადამწერის ხელით სწერია: „კაცის ხუთა“.

*** კიდევ გადამწერის ხელით სწერია: „ქვრივისათჳს“.

შვილოსანი დაქვრივდეს, აბჯარი შვილთა მართებს, სასაქონლო—დიაცსა, სადა გინდა იყოს, ანუ ქმარი შვიროსი, ანუ თავისწინა სადმე იყოს.

სამამულეცა ასრე, რომე ნუცა რას გაუყიდის, ნუცა რას გაუცემს.

ესე ეგების, რომე¹ მონასტერთა შიგა შესწიროს, და მას შვილნი ნუ ეცილებიან [შდრ. მუხლ. 175].

82. გლეხთა ესე ქნან: ყოფილაცა, რომე, თუ დიაცი უშვილო მოკვდეს, ზითევი ნახევარი სულისა საურავად გაუშვან და ნახევარილა სამშობლოს მართებს.

და თუ ქალი დარჩეს, მას მართებს, აქვდეს, ვინცა გაზარდოს და გაათხოოს, მას მართებს და აქვდეს, და მას² გაატანოს.

და თუ ვაჟიცა დარჩეს, აბჯარი ვაჟსა, და საქონელი ქალსავე.

[ვალის საქმე ასრე იქნას]

83. თუ კაცსა კაცისა თეთრი მართებდეს სავახშედ, ანუ მამულსა შიგა დგეს³ საწინდრად: და სამს წელიწადს უკანით ოცისა თა[268v]ესა თითო თეთრი დააკლდეს; რაჟამცა მემამულე³ გარდაიქვდიდეს და ვითაცა ეკმევინოს, და შუათალა დაახედნეს,—და აგრე დააკლონ.

თუ მემამულე გარდახვეწილ იყოს და ვერლარა ექამოს, მოსვლამდის არას ემართლების, ამად რომე მას, გლახ, ღარიბობასა

¹ რომე]+ შვილთა. ² მას] მან. ³ რაჟამცა მემამულე] რაჟამცამე მოვალე.

თუ შვილოსანი დაქვრივდეს, აბჯარი შვილსა მართებდა და საქონელი—დიაცსა, სადა გინდა იყოს. სამამულეცა ასე, რომე ნურას გაჰყიდის და ნუცა რას გასცემს. თუ მონასტერსა შესწიროს, შვილნი ნურას ეცილებიან.

82. გლეხთა ასრე იქმნას. თუ დიაცი უშვილო მოკვდეს, ზითევის ნახევარი მისსა სულსა, და ნახევარი სამშ[16v]ობლოსა მართება. თუ ქალი დარჩეს, ვინცა გაზარდოს, მან გაათხოოს და მას გაატანოს. თუ ვაჟი დარჩეს, აბჯარი ვაჟისა და სასაქონლო ქალისა არის.

83*. თუ კაცსა კაცისა თეთრი ემართოს სავახშედ, ანუ მამულსა შიგან დგეს საწინდრად: სამსა წელიწადსა ოცისა თავსა თითო თეთრი დააკლდეს; რაჟამცა მემამულე გარდაიქვდიდეს, ვითაცა ალაგი უწყებულად ექამოს, შუათა დახედონ და აგრე დააკლონ.

თუ მემამულე გარდახვეწილ იყოს და ვერლა ექამოს, მოსვლამდის არა მართებს, რომე მას, გლახ, ღარიბობას

* კიდევუ გადამწერის ხელით სწერია: „ქალისა“.

უვლია, უმამულოსა, საბრალოდ. ორთავე უჯობთ: მიმცემელსა აუსუბუქედების, გამომღებელსა ანგარებად¹ არა შეერაცხების² წინაშე ღმრთისა³.

და კაცთა ვალსა⁴, და გინდა გარდაეკიდოს კაცი კაცსა, ყოვლგნით სთხოვს.

[საპატრონუმო საცილობელისა ასრე იქნას]

84. პატრონს⁵ ყმათა შუა თუ რა საპატრონუმო სამღურავი და საცილობელი შემოვიდეს, მართლითა და უთნევართა შუათა⁶ ბრკობით მოეწყენენ⁷, მოეზავენენ. არა საკვირველია, ამად რომე ცათა და ქვეყანისა შემოქმედსაცა და ეზომ უნდოსა ადამიანსა შუა დასხნულნი მოძღვარნი და მეცნიერნი კაცნი შეაზავებენ.

და არს გაჩენილი დიდთა და მცირეთა შუა ბჭობა და მოწყალებისა თხოვნა.

[ქრთამად მიცემისა ასრე იქნას]

85. თუ კაცს კაცისადა ან პატრონისა კარგად ყოლისა და საურავისათვის ქრთამად მიეცეს⁸ რამე, გინა სამამულო და გინა სასაქონლო, და მას კიდე რომელმან გამოუაროს⁹ იგი მისაცემელი, თხოვასა და წაღებასა არას ემართლებინ.

ფიცი უღონიოდ¹⁰ წესია ამისი, რომე მისსა [შფი] საქრთამოსა შოებისათვის პატრონი კიდევცა მასეე არა შეებებლოს.

და თუ ვერ ფიცოს, განაღამცა კელთა მისცეს და კიდევცა ემღუროდეს მართლალა.

¹ გამომღებელსა ანგარებაჲ გამომღებელი ანაბრაჲ. ² არა შეერაცხების] არა შეიწუხის. ³ ღმრთისა] პირისა. ⁴ ვალსა] ვლისა. ⁵ პატრონთა ⁶ შუათა] შუათა თუ. ⁷ მოეწყენენ] მოვიყვანენ. ⁸ მიეცეს] მიაცეს. ⁹ რომელმან გამოუაროს] რომელმანჲ გამოაროს. ¹⁰ უღონიოდ] ეღობოდ.

უარია, უმამულოს[ა], საბრალოდ. ორთავე უჯობთ: მიმცემელსა უსუბუქედების და გამომღებელსა ანგარებად არ შეერაცხების წინაშე ღმრთისა. და ოცი-სა თავს¹ კაცსა ყოვლგნით სთხოვს.

84. თუ პატრონს ყმათა შუა თუ რა საპატრონუმო სამღურავი და საცილობელი შემოვიდეს, მართლად უთნევართა ბჭობითა შეიწყუხენ [17r] და მოეზავენენ,— არა საკვირველია, ამად რომე კაცთა და ქვეყანისა შემოქმედსაცა ეზომ უნდოსა ადამიანსა შუა დასახულნი მოძღვარნი და მეცნიერნი კაცნი შეაზავებენ. არის გაჩენილი დიდთა და მცირეთა შუა ბჭობა და მოწყობისა თხოვა.

85. თუ კაცსა კაცისადა პატრონის კარგად ყოლისა და საურავებისათვის ქრთამი მიეცე, რამე, გინა მამული, და იმ[აჲ] კაცსა გამოუაროს რამე, იგი მიცემული უღალაღოთ. თხოვასა არა ემართლებინ. ფიცი უღონიოდ უნდა, რომე მას საქრთამოსა შოებისათვის პატრონი მას კიდევცა არ შეებებლოს. და ვერ ფიცოს, განაღამცა კელთა[ა] მისცეს და კიდევცა ემღუროდეს.

¹ ოცი-სა თავს] კაცთა მას.

[ნაპარევის დაწამებისა ასრე იქნას]

86. თუ კაცმან ნაპარევი. რამე დასწამოს კაცსა, დასტური არა იცოდეს, ავსა და უწესოს იქს და ნუ სუროს.

მაგრა თავის სამართლებლად¹ თუ შეეცოს, არა საკვირველია და თავი იმართლოს.

მაგრა თუ არც ფიცი დაუჯეროს² და არცა მოწამესა უყუროს, გასაჯოს და წამოუღოს, და უბანთა ზედა გააქიქოს, და მერმე სხვაგან გამოჩნდეს იგი წარცდომილი, მას კაცსა იგი წაღებული მისცეს, და რაცა დაეწამოს, ეგზომი ერთი სხვა თავისი მისცეს, ამად რომე უდასტუროდ დასწამა და უბრალო გააწბილა.

[ამანათის შევედრებისა ასრე იქნას]

87. თუ კაცმან კაცსა ამანათი შევედროს, რა გინდა რა ფერი, და მისმან მოსაქმემან კაცმან კიდე წაუღოს, საქონლისა პატრონი წამლებს არა ემართლებს თხოვას, მას სთხოვოს, ვინდა შეუვედრებია,—ანუ მისგან უშოვნოს, ანუ უბლოს დაუკლებლად.

88. თუ კაცმან კაცს რა გინდა რა ამანათი შევედროს, დაკირებისა ჟამსა სთხოოს. განალამცა მისცეს³, სამდურავისათვის დაკირვას, დახუთვას არას ემართლებს.

თუ დაუჭიროს, როსცა სასამართლოდ [2697] შეიყარნენ, ერთისათვის ორი დაუჭუროს, ამად რომე დაკირების ჟამსა მისი საქონელი აღარად მოგმარებია და ზიანი სცემია.

1 სამართებლად. 2 დაუჯეროს] დაუჭუროს. 3 მისცეს] მისცა არს.

86*. თუ კაცმან კაცსა ნაპარევი დასწამოს და მართალი არ იცოდეს, ავსა და უწესოს იქს ანუ დასტურის მაგიერ თავსა სასამართლობლად შეეცოს, არა საკვირველია და თავი იმართლოს.

თუ არცაღა ფიცი დაუჯეროს, არცა მოწამეს[ა] უყუროს, გასაჯოს, წარმართებლად უბანთა ზედა გააქიქოს. ნერნე [177] წაჭდომილი სხვაგან აჩნდეს წანალები მისცეს და იმ წაჭდომილისა ზომა სხუა, ამად რომე ის კაცი უბრალო გასაჯა და გააწბილა.

87**. თუ კაცმან კაცი[ა] ამანათი შევედროს, რა გინდა რა ფერი იყოს, და მისმან მოსაქმემან წაუღოს, საქონელი პატრონისა არს, მას სთხოოს, ვისთუ შეუვედრებია. თუ იგივე უშოვს, იგივე[ე] მისცეს; თუ არა და მისის[ა] სახლისაგან მისცეს დაუკლებლად.

88. თუ კაცმან კაცსა დაკირების[ა] ჟამსა საქონელი სთხოოს, განალამცა მისცა, მერმე უკანის სამდურავისათვის დახუთვასა არას ემართლებს. თუ დაკიროს და არ მისცეს, როდისცა სასამართლოდ შეიყარნენ, ერთისათვის ორი უბლოს.

* კიდეზე გადმწერის ხელით სწერია: „შეწამება პარვისა“.

** კიდეზე გადამწერის ხელით სწერია: „ამანათი“.

[პაემნით გაყიდვისა ასრე იქნას]

89. თუ კაცმან კაცსა პაემანითა საჯედარი რამე მიყიდოს, პაემანსა შიგნით ზნე რამე გამოაჩნდეს, მოშლას ემართლების უცილებლად, უსამშლელოდ¹.

თუ გარეთ მოეშალოს, ათის თავი მისია, სამშლელოდ მისცეს.

თუ² დიდსა ხანსა ყოლოდეს, ეჭედნოს და ავად³ გაეჯადოს, კაცთა შეტყვებითა იგიცა კიდე შეუზლოს. და თუ უსულო სასაქონლო რამე მისცეს, [მისიცა] ასე იქნას.

ეს ბჭობა, პაემანსა გარეთ ერთი პაემნის ოდენი გამოსრულიყოს, მანამდი მოიჭმარების, მას გარეთ ნულარ მიერჩის.

[ბჭისაგან ქრთამის აღებისათვის]

90. ესე სიტყვა წმიდათა მამათა არს, თუ სიხარბე ბუნებით მხედველობისა კაპი⁴ არისო, და ყოველი ავი ღვთისა და კაცთა განმარისხებელი საქმე მას ზედა ჩამოკიდებული არისო*.

სიხარბით სარჩელსა ნუ დაუმტკიცებს ბჭე⁵ კაცსა.

და თუ ბჭისაგან ქრთამისა აღება გამოჩნდეს, იგი ნაბჭობი ტყუილი იყოს, და მას ბჭეა⁶ სიავსა⁶ ჯელნი დაესხნენ. და ოდესცა გამოჩნდეს, იგი კაცნი ახლად გაიბჭვენენ.

[ომში დარჩენილი კაცის ცილებიხათვის]

91. თუ ომსა შიგან ჯელთა დარჩენილსა კაცსა და⁷ მისსა აბჯარსა ზედა იცილებოდენ, რასაცა აბჯარსა ზედა რომლისა ნაკ-

¹ უსამშლელოდ] უსამშლელოდ. ² თუ] თეთუ. ³ ავად] ავლად. ⁴ კაპი] კაპი. ⁵ ბჭე. ⁶ სიავსა] სიავისა.

* ალბათ იგულისხმება 2 პეტრე 2, 14.

89. თუ კაცმან კაცსა პაემანით საჯედარი რამე მიყიდოს და პაემანსა [ა] შიგნით ზიანი¹ რამე გამოჩნდეს, მოშლასა ემართლების უცილებლად, სამომშლელოდ არ [ა] ემართლების გამაყიდველსა. თუ გარეთ მოეშალოს, ათის თავს ერთი [18r] სამომშლელო მისცეს. თუ დიდსა ხანსა ყოლოდეს, ეჭედნოს, ავად გაჯადოს, კაცთა შეტყვებითა იგიცა შეეზლოს. და [თუ] სასაქონლო იყოს, მისიცა აჯრე იქნას. ესე ბჭობა, პაემანს გარეთ ერთისა პაემანის ოდენი ზანი სხუა გამოსრულ იყოს, მანამდის მოიჭმარების, და მას გარეთ ნულარს მიერჩის.

90. ესე წმიდათა მამათა სიტყვა არს, თუ: სიხარბე გონებითაცა მხედველობისა ჩად არს და ყოველი ავი საქმე, ღმრთისა და კაცთა გამარისხებელი, მას ზედა დამოკიდების. გულის სიხარბითა სარჩელსა ნუ დაუმტკიცებს ბჭე. თუ ბჭეთა ქრთამისა აღება გაჩნდეს, იგი ნაბჭობი ცუდია, და მას ბჭესა სიავსა ჯელნი დაესხნენ. და იგი კაცნი ახლად გაიბჭვენენ.

91. თუ ომშიგან ჯელთა [ა] დარჩენილისა კაცისა აბჯარსა ზედა იცილებოდენ და რომლისაცა უწინ ნაკ-

რავი აჩნდეს, და ანუ ცხენსა, მას მართებს. ასრე რომე იგი დარჩომილი კაციცა [270r] გაიკითხონ ფიცითა; მანცა როგორცა უმოწმოს, სხვა იყოს,—მეორესა კაცსა მართებს უცილოდ.

[დაკარგულისა პოვნისათვის]

92. თუ კაცმან კაცსა დაკარგული რამე უპოვნოს, პირუტყვე იყოს თუ საქონელი, რაემას სორახი¹ ესმას, გამოუჩინოს და ჳელთა მისცეს. და მსგავსიერი საპოვნელა მისცეს და დასჯერდეს.

და თუ მაშინ არ გამოუჩინოს, დამალოს და უკანისა გამოჩნდეს, საპოვნელო რამე აღარა მართებს,—ამად რომე მპარაობისა რამე მაგიერი საქმე იქნების,—ჳელთა მისცეს.

თუ პირუტყვი იყოს², დაემჳლოს და გაეცუდოს, და თუ სასაქონლო იყოს, გაეცვიტოს და გაეჭირაოს,—კაცთა დახედვითა³ იგიცა უზლოს უსიტყოდ.

და თუ ლაშქართა შიგა გარდაეკიდოს, საპოვნელო არა მართებს.

ეს კარგად მონახონ, მთხრობელი, მპოვნელი⁴, მეკობრე ერთად არ⁵ იყოს, ანუ მან დამპარგავმან მრუდი არა დასწამოს რა.

[ვალის საქმე ასრე იქნას]

93. თუ კაცმან კაცისაგან პური ივალოს და დაჭირებისათვის დიდი სარგებელი შეუკეთოს მიმცემელმან, ნუ იყოფინ, ორისათვის სამი კმაა⁶.

¹ სორახი] ურუხი. ² იყოს—A. ³ დახედვითა] ხედვითა, ⁴ მპოვნელი]—A. ⁵ არ] რა. ⁶ კმა.

რავი აჩნდეს, ანუ ცხენსა[ა], წინათ მკრველი ემართლების. და იგი დარჩენილი კაცი ფიცით¹ გაიკითხონ, და მან როგორცა უმო[18r]წმოს, დასჯერდენ.

92. თუ კაცმან კაცისა დაკარგული პოს, პირუტყვ თუ საქონელი, რაემას სორახი ესმას, გამოაჩინოს მანცა, ჳელთავე მისცეს. და მგზავსიერი საპოვნელი აიღოს და ჳელთა მისცეს. თუ მაშინვე [არ] გამოაჩინოს, საპოვნელი აღარა მართებს რა, რომე მპარაობისა საქმისა მსგავსია. თუ პირუტყვ იყოს და დაემჳლოს, და თუ საქონელი იყოს და გაეცუდოს, გაეჭირაოს,—შუათა დახედვითა იგიცა უზლოს. თუ ლაშქარ[თა] შიგან პოს, საპოვნელი არ უნდა. და ესე კარგა მონახონ, თუ მთხრობელი, მპოვნელი და მეკობრე ერთად არ იყოს, ანუ მან დამპარგავმან მართლად ვერ დასწამოს.

93*. თუ კაცმან კაცისაგან პური აიღოს, დაჭირების[ა]თჳს დიდი სარგებელი შეუკეთოს მიმცემელმან, [19r] ნუ ქნას ღმერთმან, ორისათჳს სამი კმა არს,

* კიდევუე გადამწერის ხელით სწერია: „პურის ვალი“.

თუ არა¹, ოდესცალა საბჭოდ შეიყარნენ, ამის მეტი აეღოს, გარე შეუქციოს, — რა [გინდ] ნიშანი ქონდეს, არად მოეჭმაროს, ამაღ რომე ანგარება თავად ცოდვად* წერეს სჯულის მოძღვართა კაცთა წმინდათა.

94. თუ კაცნან [კაცსა] თეთრი ავალოს სასარგებლოდ. ათასისათვის ათას ორასს [270v] დასჯერდეს წელიწადსა შიგა. და ამავე ანგარიშითა უმცროს-უფროსი იყოს.

ნუცა ვახშის ვახში იქსენების, თავი მასვე ოდენ იმატებდეს, რა გინდა ხანი დაეყოს.

აგრევე დიდსა მიწასა ცოტათა საქონლითა ნუ დაიწინდავს, თვარა იგი ვახშის სიდიდე იქნების და განმარისხებელი ღმრთისა.

95. თუ კაცს თეთრი წიგნითა ანუ² ვერცხლი აწონით ევალოს, იგი დაპირება თუ არა, ოდესღა გარდაიჭადოს, მის დღის შარვანისა თეთრისა მიხეზი ნუ იკადრების. თუ ვახში ეკმევინოს, ასრე იქნას.

თუ უვახშოთ ქონებოდეს, როგორცა მიეცეს, აგეთივე დაუურვოს.

[95¹]. არის რამე ასეთი თემი და ქვეყანა, რომე, სამამულოსა რასაცა გაყიდიან და დააფასებენ, ნახევარსა ფასსა ჩამოუშვებენ, ამაღ რომე პატრონისა საზღავესა³ ზედა შეაგდებენ, მართალი არის, და ვინც იქს ასრე, უპრიანეა—სამოყალნო⁴ მამულიცა არ დაშვედების და ქვეყანაცა არა ამოსწყდების.

¹ თუ არა] თუ არ. ² ანუ|—A. ³ საზღავესა] საზღვარსა. ⁴ სამოყალნო] საყუარულნო.

* I, ტიმოთე 6.10

თუ არა, ოდესცალა საბჭოდ შეიყარნენ, რაცა მის მეტი აეღოს, გარევე შეუქციოს, — რა გინდ ნიშანი ჰქონდეს, არა მოეჭმაროს, ამაღ რომე „ანგარება არს უფროსი ცოდვა“, დაწერეს სჯულის მოძღვართა წმიდათა კაცთა.

94*. თუ კაცნან კაცისაგან თეთრი აიღოს სასარგებლოდ. ათასისაგან ესრეთ მისცენ, ათას ორასსა დასჯერდენ საწელიწადოსა შინა. ამავე წესითა ანგარიში უმცროს-უფროსი იყოს. და ნუცა ვახშის ვახშსა ეგსენების, თავი მასვე ოდენ იმატებდეს, რა გინდა ხანი დაეყოს. აგრევე დიდი ძეწა[ა] ცოტასა საქონლითა ნუ დაიწინდვის, თუარე იგივე ვახშისა სიდიდე იქნების, განმარისხებელი ღმრთისა.

95. თუ კაცსა თეთრი ანუ ვერცხლი წიგნითა აეღოს, იგი დაპირება თუ არა, ოდესცალა გარდაიჭდიდეს, მის დღისა შარვანისა თეთრის მიხეზი ნუ, იკადრების. [19v] თუ ვახში ეკმეოს, ასრე იქნას. თუ უვახშოდ ჰქონებოდეს როგორცა მიეცეს, აგოვე დაუურვოს.

[95¹]. არს რომელიმე თემი და ქვეყანა[ა], რომე, სამამულოსა რასაცა გაყიდიან, აფასებენ, ნახევარსა ჩამოუშვებენ, ამაღ რომე პატრონისა საზღავესა ზედა შეაგდებს. და მართალია და. ვინცა იქ[მ]ს ასე, უპრიანეა—სამოყალნო მამულიცა არ დაშვედეს და ქვეყანა[ა]ცა არ ამოსწყდების.

* კიდევ გადამწერის ხელით სწერია: „თეთრის ვალი“.

[ვაკრის სისხლისა და გერშისათვის]

96. თუ ვაკარი მოკლას ვაკარმან, თუ სხვამან ვინგინდამ, საპატროსა ვაკრისა თორმეტი ათასი თეთრი იყოს, ასეთისა¹, რომე პატრონთა კარგად ყვეს საპატრიოთ² და საქმის მქნელად.

და მას ქვეშეთისა, რომე გზით მოვიდეს, და პატრონთა ნახვისა და ძღვნისა მიღებასა ღირს იყოს, მისი ექვსი ათასი თეთრი იყოს. და თეთრი, ვითაცა ზემო სწერია [იხ. მუხლ. 1—4, 7, 9, 28].

97. თუ ვაკარსა, გზას მიმავალსა ან მომავალსა, საქონლის ნდომისათვის [271r] კაცი დახედეს და გაძარცოს³, და სასამართლოდ შევიდნენ, რაცა მის დღის წინაღები ვაკარმან დაიფიცოს, ორად შეეცოს და მან კაცმან ეგრე უზლოს. და თუ დაკოდითა საგერშო აჩნდეს და უპატიობა, როგორც ზემოთ სწერია, მითვე წესითა დააურვოს [იხ. მუხლ. 5, 6, 8].

და თუ გაცარცვასა შიგან კიდევცა მოკლას ვაკარივე, ორკეცი სისხლი უზლოს, და საქონელი აგრევე სრულად. სისხლი, როგორც ზემო-ქვემოვით სწერია, მით წესით დააურვოს [იხ. მუხლ. 96].

[სისხლმცირე კაცისათვის]

98. თუ დარბაზის კაცსა სისხლმცირე⁴ კაცი ყვეს და წავიდეს, მისარჩელასა⁵ და გაუშვებლობასა⁶ არა ემართლების. რაცა შეუტანია, იგი, და რაცა მოუგია, მისი ნახევარი გაყვეს, სამამულოსა აქაით⁷.

¹ ასეთისა] ასეთათა. ² ყვეს საპატრიოთ] და საპატრიოთ ყვეს. ³ გაძარცოს] + ანუ მოკლან. ⁴ სისხლ-მცირე] სისხლი მცირედ. ⁵ მისარჩელასა] მისარჩელსა. ⁶ გაუშვებლობასა] გაშვებულებასა. ⁷ აქაით] აქათისა.

96*. თუ ვაკარმან ვაკარი მოკლას, საპატროს[ა] კაცისა თორმეტი ათასი თეთრი არს, ასე რომე პატრონთა კარგად ჰყვეს პატივით. და მას ქვეშეთსა, რომე გზით მოვიდეს, პატრონთა ნახვა და ძღვნის მიღება შეეძლოს და ღირს იყოს, მისი ექვსი ათასი თეთრი იყოს. და თეთრი, ვითარცა ზემოთ სწერია.

97. თუ ვაკარი კაცი, გზას მიმავალი ანუ მომავალი, უსაქმომან კაცმან საქონლის ნდომისათვის გაძარცოს, [20r] თუ სამართალმან შეყარნეს, რაცა მას დღეს[ა] წინაღებია, იგი დაიფიცოს ვაკარმან. მან კაცმან ორად შეეცოს, შეზღოა ერთი ორად, თუ არ დაკოდილა. და თუ დაკოდილი და საგერშო[ა] ქონდეს, და უპატიობა[ა], როგორცა ზემოთ სწერია, მით წესითა დაიურვოს. თუ გაძარცოს და შიგან კიდევცა მოკლას ვაკარივე, ორკეცი სისხლი შეზღოს და ორკეცი საქონელი. როგორცა ზემო-ქვემოვით სწერია, მით წესითა ირიგოს. [15r. 5].

98. თუ დარბაზის კაცს ყმას[ა] მცირე სისხლით კაცი ჰყვეს, მიესარჩლოს, გაუშვებლობას არ ემართლების. რაცა შეუტანია, იგი, და რაცა მოუგია, მისი ნახევარი გაჰყვეს, სამამულესა იქით.

* კიდევ გადამწერის ხელით სწერია: „ვაკრის სიყუდილი“.

იბგრაგ კურაპალაგის სემართალი*

სახელითა ღმრთისადთა დაიწყების საღმრთოთა გარენილი და გასაჩენელი, პირველად დავითიან ბაგრაგ კურაპალატისა¹ და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბჰანებითა და მერმე ებისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ტკუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გარენილი განგებითა ღმრთისადთა.

99. ვინცა საბჭოდ სჯდებოდეთ და მართსა საჩივარსა მართლად მოიგსენებდეთ, თქუენთა გულთა შიგან ღმრთის შიში უნდა დაიპიროთ და არავის სთნიოთ², არა მამასა და დედასა, არა პატრონსა, არა ძმათა და მეყუსთა, არას ქრთამის ქადებისათჳს, არა! არამედ³ მართლი სამართალი უნდა გააჩინოთ!

[271v] 100. ვინცა მოძღუარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ანუ კარგი დიდ-ვაჭარი, ანუ კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს, აგეთი კაცი⁴ დასვი ბჭედ, ტკუიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობაჲ, და უსამართლოს არას იტყუს.

101. თუ ებისკოპოზმან მეფესა შესცოდოს, მეფისაგან ჯელად შეპყრობაჲ არა ეგების, ამად რომე მისდა მუქაფად სასჯელისა დამამტკიცებელი არს.

შეხუეწაჲ, შეკაზმაჲ მართებს ებისკოპოზსა მეფისაჲ.

102. თუ მეფე ებისკოპოზსა გაუწყრეს, გინა უსამართლოდ, გინა სამართლითა. ჯელთა შეპყრობაჲ არცა ზაშინ მოჯდების, ამისთჳს რომე მეორე მეფე ებისკოპოზი არს და ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი.

და რაჲცა⁵ ზეფესა სჯულისა საქმე აქუს, აგრე შეიწყნარენ.

¹ კურაპალატისა] კულტპალატ AB. ² ითნოთ B. ³ არა! არამედ] არად არა A. ⁴ კაცი]+ იყოს ის A. ⁵ და რაჲცა] არამედ არცა B.

* ბაგრაგ კურაპალატის სამართლის ტექსტი აღდგენილია ძველი ორთოგრაფიით.

103. თუ მოძღუარმან ანუ მღდელმან, ანუ მონაზონმან მეფესა ანუ ებისკოპოზსა შესცოდოს, ანუ სჯულსა, ანუ ეკლესიასა შესცოდოს, ჰელთა არაეისგან შეიპყრობის.

გაკითხეა უნდა, და რაჲცა მიზეზი დასწაჲონ, მას მიზეზსა უნდა გამონახეა და გარდაჭდევინება¹.

104. ვინცა, ანუ დიდებულმან², ანუ აზნაურმან, ანუ სხუამან ვინმე, მონაზონი ანუ მღდელი მძლავრებით ჰელთა შეიპყრას, რაჲსაცა გუარისა იყოს, მის სისხლსა³ ხუთი ათასი სხუა ემატოს.

და თუ გუარიათ იყოს ანუ ჳელის [272R] მქონებელი, მისსა სისხლსა ნახევარი სისხლი ემატოს.

105. თუ კაცმან ხუცისა ცოლი მოაყიენოს⁴, გინა უზესთა-ესმან⁵, გინა უქუემოესმან⁶, მისსა სისხლსა სამოცი ათასი თეთრი სხუა ემატოს.

106. თუ ებისკოპოზსა დიდებულმან აგინოს, ორმოცი ათასი თეთრი დაუურვოს და დიდად შეეხუეწის⁷.

107. თუ [ებისკოპოზსა] აზნაურმან აგინოს, დილითა შეხუეწითა ოცი ათასი თეთრი დაუურვოს.

108. თუ აზნაურმან ანუ დიდებულმან მღდელსა აგინოს, ანუ უქუემოესმან⁶, მესამედი სისხლისა დაუურვოს და დიდად შეეხუეწოს.

109. თუ კაცმან კაცი გუეგმოს⁸ და ეკლესია გაუტეხოს, რაჲსაცა გუარისა იყოს, სრული სისხლი დაუურვოს.

110. თუ ზღუდესა შიგნით ჩაუჭდეს, ნახევარი სისხლი დაუურვოს.

111. თუ ზღუდეს გარეთ მოურბიოს⁹, სისხლისა მესამედი დაუურვოს და ალაფიცა შეაქციოს.

112. თუ იგი ეკლესია სახახევრო იყოს, ანუ სამესამედო, ანუ სამეთხედო, ანუ სამრგვლო, ანგარიში ჰნან და აგრე დაუურვოს, რაჲცა წილი ედვას.

ვისითაცა მიზეზითა დამართებოდეს, საპირო მან დაუურვოს. და იმა ეკლესიისა მოზიარენი¹⁰ გვერცა უდგენდა რომე ჲათცა არა გამოყონ, არა ემართლებიან.

¹ გარდახდევა A. ² დიდმან A. ³ სახლსა B. ⁴ ცოლი მოაყიენოს] ცოლსა შეყუარდეს AB. ⁵ უზედესმან B. ⁶ უქუედაესმან A. ⁷ შეხეეწით A. ⁸ კაცი გუეგმოს] კაცსა გუამა B. ⁹ მოურბინოს B. ¹⁰ მოზიარენი] მოზარენი AB.

[272ა] 113. თუ ეკლესიაჲ მეკობრეთა გატეხონ პატრონისა უკითხავად და ესე დასწამონ, შენ იცოდით, პატრონმან მის მეკობრისამან უცოდნელობა ფიცოს ოცდაოთხისა კაციტა და¹ დაეჯერების. მეკობრე კელთა მისცეს, რაჲ გინდა უყონ, ნუ დაემღურობის. ალაფიცა უკლებლად შეაქციონ, გინა მათ გამოიღონ.

114. თუ მტერისა კაცმან გატეხოს პატრონისა უკითხავად, მეკობრე კელთა მისცეს, რაჲ გინდა უყონ, ნუ ემღურის. მეკობრისა პატრონმან უცოდნელობა ფიცოს თორმეტითა კაციტა.

და თუ არ მისცეს მეკობრე, მეკობრემან ხუთი ათასი თეთრი ზღოს და ალაფიცა უკლებლივ შეაქციოს².

115. თუ ეკლესიასა დაესხნენ, ხუთი ათასი თეთრი დაუურგონ საუპატიოდ.

116. თუ ქური³ ჯოგი წაასხან შორს, თორმეტი გლეხი დაუურგოს მართლისა საჯსრითა—პატიემან და სისხლმან ამატა—და ჯოგიცა შეექცეს (შდრ. მუხლი 141).

117. თუ კაცი კაცმან ღალატით მოკლას, თორმეტი ათასი სისხლსა ემატოს.

118. თუ მკუდარი გაძარცოს, თორმეტი ათასი სისხლსა⁴ ემატოს.

119. თუ ფიცოს, ხუთი ათასი თეთრი მართებს გარდასაჯდელი, ამაღ რომე ნამტერები არის.

120. ცილისა⁵ წამებისა ასრე არს: თუ მართალსა კაცსა⁶ ასმიოდეს, საყვედური⁶ განმრავლდეს, თუ მტერობით შეეყვილოს, მაშინ ფიცოს,—არა [273] ზედაა⁷. თუ არა ფიცოს, სისხლი ზღოს.

121. სადაცა მაცხოვრისა ხატი ესუნენოს სამცველოდ ქუეყანისა, საუპატიოდ⁸ ოცდაათი გლეხი მართებს, თორმეტი—ყოვლად წმიდისა, თორმეტი—მთავარანგელოზთა, თორმეტი—სხუათა წმიდათა მღღელთ-მოდღუართა, მოციქულთა, წმიდის გიორგისა, ნათლისმცემელისა და სხუათა წმიდათა.

122. მონაზონთა, ხუცესთა და დიაკონთა ნაძარცვ ორკეცია და მეომართა—არა ამის მეტი.

თუ მოკუდების, სისხლი არ დააკლდეს.

¹ დაქ—A. ² შეექცეს B. ³ იქიური B. ⁴ სისხლი B. ⁵ ცილისა AB.
⁶ საყვედარი AB. ⁷ ზედა აწ AB. ⁸ საუპატიო A.

123. თუ გამოითრიოს და ჳელად გაძარცოს, სისხლის ნახევარი უზლოს და ალაფიცა შეაქციოს უნახშიროდ.

124. წაპარვითა თუალისა ცურა, ჳელ-ფერჯისა დაგერშა¹, პირისა დალი ესე სამი სისხლისა ნახევარი არს.

125. თუ უჩინარსა ადგილსა იყოს, მას გერში მართებს.

126. თუ ჳელდაჳელ გარჯილიყოს და სცეს, სისხლისა ნახევარი დაუურვოს.

127. თუ უსამართლოდ დიდმან კაცმან თავისსა ამხანაგსა მუქარა სთხოოს, ათი ათასი დაუურვოს².

128. თუ უქუმოესმან კაცმან თავისსა ამხანაგსა [მუქარა] სთხოოს, ხუთი ათასი დაუურვოს³.

129. თუ კაცმან კაცსა უსამართლოდ აგინოს ლაშქარსა⁴ ზედა, ოთხი ათასი თეთრი დაუურვოს.

[272ჲ] 130. თუ დიაცსა⁵ აგინოს, თორმეტი გლეხი დაუურვოს მარტივითა საჯსრითა.

მამაკაცისა და დიაცისა⁶ საბატიობასა უნდა გამონახვად.

131. თუ უღირსმან⁷ საბატიოს აგინოს, მას უფროსი მართებს.

132. თუ უსამართლოდ პატრონსა წინა შეასმინოს, სრული სისხლი მართებს, ამად რომე მისით გამოიმეტა.

133. თუ კაცი კაცსა ზედა⁸ საღალატოდ წავიდეს, თუ მანვე დაშალოს ანუ სხუათა დააშლევინონ, არა ზედა-აც⁹.

134. თუ გამართოს და იგი კაცი ღმერთმან მოარჩინოს, ექუსი ათასი თეთრი დაუურვოს სიკუდილისა ცდისათჳს, სამი ათასი შეეყრების ცოდვისათჳს.

135. თუ კაცმან კაცსა ცოლი წაუღოს, სრული სისხლი.

136. თუ კაცმან მეზობელი გასცეს, ნახევარი წამლებმან ჳლოს და ნახევარი გამცემელმან დაუურვოს საპატიყო.

137. თუ კაცმან კაცსა წარმოუღოს ანუ მოჰპაროს, პატრონსა მისსა გავლენა მართებს.

თუ არა შეაქცევინოს და არა გაუვლინოს, მას პირველვე სცოდნია, და რაჲცა უარესი მოჰყვების, ყველა ზედა-აც.

¹ დაგერშა A; დაშენა B. ² თუ უსამართლოდ... დაუურვოს] და უსამართლოდ კაცმან კაცს მუქარა სთხოვოს, ათი ათასი თეთრი დაუურვოს B. ³ თუ უქუმოესმან... დაუურვოს] თუ უქუმოესმან სთხოვოს, ხუთი ათასი დაუურვოს B. ⁴ ლაშქარ-ზედა AB. ⁵ დიაცი A. ⁶ და დიაცისა]+ და დიაცისა A. ⁷ ღირსმან B. ⁸ კაცსა ხედა] კაცზე A, კაცსა B. ⁹ არა ზედა A.

138. მეკობრისა და ზედა-დამსხმელისა სისხლი არა არს [შდრ. მუხლ. 12].

139. თუ კაცი კაცსა ცოლსა მისცემს და გუირგუინსა არა შეუსკუნის¹, თორმეტი ათასი თეთრი დაუურვოს და სამსახურიცა შეექცეს.

[274r] 140. თუ ცოლი დასნეულდეს², ქმარი ცოლისა გუარსა არას ემართლების, მისთვის რომე მისსა ჯელსა შიგან³ დამართებია.

თუ გაეკაროს, შეფიცოს ნაბნითა⁴, რომე სიძულილითა⁵ არა გაყროდეს, და ნახევარი სისხლი დაუურვოს. და დედაკაცი ზითევს. ნუ ითხოვს, თუ შვილი დარჩეს.

141. თუ ჯოგი წაახსნან, რაზომიცა სულისა იყოს, მამაციისა თუ ღიაცისა, თავის-თავისად გაძარცვილისა⁶ საუპატიოდ დაეურვოს—მამაკაცისა—ორი ათასი, ღიაცისა—სამი ათასი—და ჯოგი უქლებლად შეექცეს.

და თუ ჯელდაჯელ წაუსხნან, ნახევარი სისხლი დაუურვოს

142. თუ კაცმან კაცსა წინა კბილი ჩააგდებინოს, ნახევარი სისხლი დაუურვოს [შდრ. მუხლ. 8].

143. თუ უკანა ჩააგდებინოს, სისხლის მებუთედი დაუურვოს [შდრ. მუხლ. 8].

144. თუ კაცსა წუერი მოეკუეცოს⁷ ანუ მოეგლიჯოს, ორი გერში ზლოს.

145. თუ კაცმან კაცსა შეჰყივლოს ეს კაცი შენსა ცოლსა ასრე უზამსო⁸, ანუ ფიცოს, ანუ პართლა გატეხოს, არა ზედა-აც. თუ არა, ღიაცისა ქმარსა შეუკაზმოს.

146. თუ კაცმან კაცსა გრძნეულება შეჰყივლოს, სისხლის ნახევარი დაუურვოს, თუ ვერ გატეხოს.

147. თუ აზნაურმან კაცმან აზნაურსა ნაბჭობი სისხლი დაუქიროს, ათი ათასი თეთრი კიდევ სხუაჲ⁹ დაუურვოს.

[274v] 148. თუ უსამართლოდ პატრონმან ყმაჲ გაძარცოს, თორმეტი გლეხი დაუურვოს.

149. თუ უსამართლოდ პატრონსა ყმაჲ წაუვიდეს, თორმეტი გლეხი შეეკაზმოს¹⁰.

¹ შესკვნის A. ² დასნეულდეს] ანუ AB. ³ მისსა ჯელსა შიგან] მის ჯელ-შიგა AB. ⁴ ნაბნითა AB. ⁵ სიძულილითა] სიძულითა AB. ⁶ გაცრცვილი A. გაცრცული B. ⁷ მოეკუეცოს AB. ⁸ შენსა ცოლსა ასე უზამსო] ცოლს გიტყ...სო B. ⁹ კიდევ სხუაჲ]—B. ¹⁰ შეკაზმოს B.

150. თუ აზნაურმან აზნაური მოკლას, სამს[ა] წელიწადს[ა] მამულისაგან გააყენოს და მამული მკვდრს[ა] ძმას[ა] აქუნდეს, ნუ ამოსწყუეტენ.

მეოთხესა წელიწადსა შემოუშუან, მამული მისცენ და სისხლი ზღოს, ტაძრობილი იყოს, თუ უტაძრო.

151. თუ კაცმან კაცსა თუალნი დასწუნეს, რაესაცა გუარისა იყოს, მისსა სისხლსა ოცი ათასი სხუაჲ ემატოს, ამისთჳს რომე¹ ნიადაგ სასჯელსა და სირცხვლსა შიგან არს და ერთხელ სიკუდილი ჯობს.

152. ესეცა იცოდით, მეფისა² და უდიდებულესის კაცისაგან [კიდე] თუალთა დაწუას არავინ ღირსა, ისიცა³ ასრე რომე ანუ დიდი სალაროჲ, ანუ ეკლესიაჲ, ანუ ჯოგი, ანუ ლალატი ექნას.

153. თუ აზნაურნი გაიყარნენ⁴ და გლეხიანი იყვნენ, უფროსსა ძმასა საუხუცესოდ—ერთი გლეხი; სხუაჲ შუა გაიყონ.

და მონაგები თავ-თავისი⁵ გაჰყვეს; და თუ ერთსა მონაგები მეორისა გულისათჳს დავარდნოდეს და ერთისა იყოს, იგიცა შუა გაიყონ.

[275r]. 154. თუ დიდებულნი გაიყარნენ, ერთი უკეთესი სოფელი საუხუცესოდ აიღონ⁶ და სხუაჲ შუა გაიყონ.

და მონაგებიცა ასრე გააჩინონ (იხ. მუხლ. 153).

155. თუ გლეხნი⁷ გაიყარნენ, უხუცესსა იმასა ანუ თავი⁸ სახლი, ანუ ერთი ვენაჯი, ანუ უფროსნი ქურნი—საუხუცესოდ; სხუაჲ შუა გაიყონ.

156. თუ მამა-შვილნი გაიყარნენ, შვილი მამულისა გაყოფასა არა ემართლების, ამისთჳს რომე, რა მამაჲ მოკუდების, მამულსა შვილსა არავინ ეცილების⁹.

მან სხუაჲ მოიგოს მამის სიკუდილამდის.

157. სიძისა შვილებულისა ასრე იცოდით: თუ წიგნითა შესრულ იყვნენ, მამული დაეწეროს, რა გაიყვნენ, საუხუცესო—მამულისა პატრონსა; სხუაჲ შუა გაუყავით

და შეტანილი და დახუედრებული თავ-თავისი¹⁰ გაიტანონ¹⁰.

158. თუ უწიგნოდ შესრულ იყვნენ, შეტანილი და ტირნახული გაჰყვეს და შესმულ-შეჭმული არა იჯსენოს¹¹.

¹ რომე—B. ² უმეფოსა AB. ³ იგიცა B. ⁴ თუ აზნაურნი გაიყარნენ თუ რომელნი A, თუ რომელნი გაიყარნენ B. ⁵ მას მისი B. ⁶ აიღონ—A. ⁷ გლეხი AB. ⁸ თავნი AB. ⁹ არავინ ეცილების არას ემართლების A. ¹⁰ თავ-თავისი გაიტანონ ვრთმანერთსა გაუყვეს B. ¹¹ არა სახსენოა B.

159. საპირო და სანახშირო¹ წინა გასაძღუანებელი არს: სრულისა⁵ სისხლისა — ოცი ათასი, ნახევარისა სისხლისა—ათი ათასი, ჳელთა შეპყრობისა—ხუთი ათასი.

გასინჯვად უნდა, რაჲცა ვის რა სასისხლო სჭირდეს.

160. საპირო და მის-მისთა წესითა წინა გაუძღუანეთ და აგრე გაიბრკვენენ.

დიდისა დიდი გააჩინეთ², და ცოტაჲსა--ცოტა. ესე გლეხისა სისხ[275r]ლისა, დიდებულთა და აზნაურთა საპირო იქმნების: ოცდა-ათი ათასი, ჩუღმეტი ათასი—თორმეტი ათასი, შუდი ათასი. როგორცა ვის მართებს, აგრე გააჩინეთ.

¹ სანახშირო] სანახები რომე AB. ² სრულისა] სულისა AB.

ქანონიქარი სამართალი*

161. რომელმანცა, ვინცა გინდა, დიდმან ანუ მცირემან კაც-მან, ლალატით ძმაჲ მოკლას და ანუ ლალატით სხუაჲ კაცი, კრულ და წყეულ, შეჩუენებულ იყავნ დაუსაბამოჲსა ღმრთისა პირითა.

და ვითარისაცა გუარისა იყოს კაცი იგი, ორკეცი სისხლი დაუურვოს.

და ვინცა უშუელოს და შეიწყნაროს, კრულ და წყეულ, შეჩუენებულ იყავნ.

162. ვინცა ქრისტიანეზან კაცმან ძმას თულნი დასწუნეს ცხადად ანუ ლალატად, ანუ მოჰკუეთოს. რაჲმე ასოთაგანი, სისხლი სრული და სანანშირო დაუურვოს.

კრულ და წყეულ, შეჩუენებულ იყავნ, და ცუდმცა არს მოსა-გსენებელი¹ სიცოცხლე და სიკუდილი მისი.

163. ბრძოლათა შინა რომელიცა კაცი მოკუდეს, აბჯრისა-გან კიდე ტანსაცმელსა და² ნიფხავ-პერანგსა ნუ ვინ მოჭდის.

კრულ, წყეულ³ და შეჩუენებულ იყავნ⁴ ღმრთისა პირითა⁵.

164. ვინცა მეკობრე, მეჯურმუცე (?) და მპარაფი კაცი მოკლას, ცხადად გამორნდეს, რომე უსამართლო ყოფილიყოს,—ვინცა მისმან ნათესაგმან და საშუალთა მისი სისხლი იკითხონ⁶, კრულ და შეჩუენებულ და წყეულ იყავნ.

165. რომელმან კაცმან ვის გინდა მისი გუირგუინაკურთხი-ცოლი წაუღოს [276r] და მოსტაცოს, სრული სისხლი დაუურვოს, რაჲ-საცა გუარისა იყოს.

კრულ და წყეულ და შეჩუენებულ¹ [იყავნ] პირითა ღმრთისაჲთა.

და კანონსამცა ქუეშე იქმნების⁷ წმიდათა მოციქულთასა.

166. რომელმანცა, ვინ გინდა გუარმან კაცმან, ხუცესი, მონაზონი ანუ დიაკონი მალვით, ლალატით მოკლას, შეიპყრას და⁸ გაძარცოს, ორი კეცი სისხლი დაუურვოს.

კრულ და წყეულ და შეჩუენებულ [იყავნ] სული და ჳორცი მისი.

167. რომელმანცა კაცმან რა გინდა რა მოიპაროს და გა-მოჩნდეს, ორნივე თულნი დაეწუნენ და ანუ ჳელ-ფერჳი და ეჭრას.

¹ ამო სახსენებელი AB. ² და|—A. ³ წყეულ—A. ⁴ იყავნ|—A. ⁵ ღმრთის პირითა|—B. ⁶ ითხოვონ B. ⁷ არს B. ⁸ და|—A.

* ტექტი აღდგენილია ძველი ორთოგრაფიით.

თუ საპატიეოსა ადგილსა არა მოეპაროს, ვინ იყიდდეს, ვითაცა დაათასონ, ეგრე მიჰყიდონ, და ნაპარევი დაუკლებლივ მისსა პატრონსა მისცეს¹.

და კრულ, წყეულ და შეჩუენებულ იყავნ.

168. რომელმანცა კაცმან², დიდმან ანუ მცირემან, რაჲსა გინდა ნიჟოიანისა საქმისათჳს და მტერობისათჳს³, სისხლისა და ვაღლისა გარდაჯდისათჳს ეკლესიაჲ გატეხოს ანუ ცეცხლი შეუღდას და დაწუას, ანუ ცხადად ანუ იღუმალ, კანონსამცა ქუეშე არს წმიდათა მოციქულთასა და წმიდათა კრებათასა.

კრულ და წყეულ და შეჩუენებულ იყავნ.

მცირე ესე დასაურვებული განგჳჩენია, —რაჲცა ამისა ეკლესიისა დასაურვებელი პატიეი ეწეროს და გაჩენილ იყოს, ორკეცი დაუურვოს, [276r] და ალაფი რაჲცა წაეღოს, უზღოს.

ამავე კანონსა ქუეშე იყოს კაცი იგი.

169. რომელმანცა კაცმან, გინდა⁴ სისხლისა და⁵ გულის ტკივილისათჳს, ვენაჳი დაქრას ანუ ხენი ნაყოფიერნი, ანუ ყანაჲ დათიბოს, ცხადად ანუ იღუმალ, კრულ და წყეულ და შეჩუენებულ იყავნ კაცი იგი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

[169¹]. ვინცა საყდრისა საქონებელთა სენაკთა, აგარათა, სახლთა⁶, ბელელთა⁷, მარანთა და ვის გინდა სხუათა კაცისა მოსაჳმარებელთა ღამით ცეცხლი შეუღდას, რაჲსა გინდა სისხლისა [და] მტერობისათჳს, რაჲსა⁸ გულის ტკივილისათჳს ანუ⁹ მოვალეზისათჳს, კრულ. წყეულ და შეჩუენებულ იყავნ იგი კაცი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

და¹⁰ რომლისაცა საქმისათჳს ქნას იგი საქმე, გარდაჯდეს.

და ვითარცა ადგილი იყოს, სისხლი და პატიეი გარდაიჯადოს და კანონსა ქუეშე იყოს. და დანაკლები¹¹ უზღოს¹².

170. ვინ გინდა კაცმან რაჲსა გინდა საქმისა და მტერობისათჳს საყდარსა და საყდრისა საქონებელსა მალვითა ანუ ცხადად¹³ ცეცხლი შეუღდას, დაწუას რა გინდა რა, ცხადად¹⁴ გამოჩნდეს, საყდრის პატიეად ოცდათორმეტი ათასისა თეთრისა დაუურვოს.

¹ მისცეს უზღოს B. ² კაცმან + ქრისტიანმან B. ³ დამტერებისათჳს AB. ⁴ გინა A. ⁵ და — A. ⁶ სახლთა | სასისხვეთა AB. ⁷ ბელელთა | შეღვალთ A, შესავალთ B. ⁸ რაისაცა და B. ⁹ ანუ — B. ¹⁰ და — A. ¹¹ და დანაკლები და ნაკლები B. ¹² ეზღოს AB. ¹³ ცხადივ A. ¹⁴ ცხადად — B.

და კრულ და წყეულ და შეჩუენებულ იყავნ, და ცუდმცა არს მოსაჯსენებელი სული და ჯორცი მისი ამას სოფელსა და მას საუკუნოსა დაუსაბამოასა ღმრთისა მადლითა.

და [277r] კანონოსა¹ ქუეშე არს წმიდათა მოციქულთასა.

(დანართი)

171. თუ დაუნდობარმან კაცმან ბატონს უღალატოს, საპატიჟო აღარ მართებს და ერთისა უთაეადესთა სისხლი დაუურვოს [ზღრ. მუხლ. 33].

172. თუ გულარალო ცხენი მიყიდოს კაცმან კაცსა, თუ გულარლობა არ უთხრას, ისეთი იცნას, თავი და ნაჯედნი მისცეს, და რაც იმ ცხენით წაჯდომოდეს, ყველა² უზლოს [ზღრ. მუხლ. 64].

173. თუ კაცი კაცისა ყმობასა და ერთგულად გავლენით სა მსახურსა შიგან ჭირნახულობითა ანუ დაკოდითა უქმარად გასულიყოს, დაბერებულიყოს, საქმემან რამემან³ განიყვანოს, რითაცა შესრულიყოს, იგივე გაყუეს [და] მისისა ჭირნახულობისა მესამედი, ამად რომე საბრალო იქნების და ძალისაგან დაცილილი. [ზღრ. მუხლ. 72].

174. თუ შვილნი ესხნენ, გაჰყუნენ. მემამულემან, რაცა არ მოუტანია, ნურას ნუ მიატანს [ზღრ. მუხლ. 72].

175. თუ დედაკაცს ქმარი მოუკუდეს და საქონელი მან ქურიემან მონასტერს შესწიროს, შვილნი ნუ ეცილებიან [ზღრ. მუხლ. 31]

1

¹ კანონსა] საკანონოსა A. ² უკლებ A. ³ რამემ A.

სამართალი გატონისპვიდის ვანტანგისა

[278r]* სამართალი ბაგონისშვილის ვახანგისა**

შესავალი

ქ. მეოფისა უმეოფისა, არსისა და უარსისა დამაარსისა მქები. არათუ ღირსად და შეპლუბისა ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უღებად მქონე მპოვნელ ვიქმენ.

ვითარცა მეუენი, ღლითი-ღლე მრეველნი ტელთა მარგალიტთა შინა, და ბპოებენ მპივთა რათამე, და უხილველობისათვის აღიღებენ და შთასდებენ საუნჯედ. პატრიოსანთა შემკობით უპატრიოსნედ მარგალიტთა ჭყოფენ, ეგრეთვე უფალმან ჩვენმან, მბადმან ყოველთამან და სიბრძნით გამგებელმან, მპოვა მარგალიტთა შინა მრავალთა და აღმილო მსგავსად ტმისა ამის მეცა ეგრეთვე, — უმციერეს ვიყავ მე ძმათა ჩემთა შორის და უმრწემეს¹ სახლისა ჩემისა, და ვმწესიდი თავსა ჩემსა უგუნურად და თავკედად, ტელნი ჩემნი იყენენ მოქმედ არარის კეთილისა, და თითნი ჩემნი ვერა რომელსა იშრომებდენ ნებასა უფლისასა, არამედ იყენენ უქმ. ვინმე მიუთხრა ესოდენი ბოროტნი ჩემნი უფალსა ჩემსა.

ხოლო თავადმან უფალმან გამოავლინა პირითა უტყუელთა ბძანება, ცოდვილთა მოწყალება, და აღმილო მე უნარჩევესობასა² სახლისა ჩემისაგან და მყო მე მსაყუღლად და განმგედ წილტლომილთა ქუეყანათა უბიწოდ მშობელისა დედისა თვისისა არათუ ქმნილებათა რათამე კეთილთა ჩემთათვის, არამედ უნარჩევესობისა ჩემისათვის, ამისთვისმცა, რათა სც[278v]ნან ყოველთა, რათა უსწავლელთა და უმეცართაგან სინავეს და ნებავეს სრულყოფელსა ღთსა მარადის გონებაკეთილისა.

იყო ქუეყანა ესე ქართლისა ყოვლითურთ კეთილითა შემკულ და შეზავებულ, ხოლო ცვალებითა დღეთა და ვითარებითა ჟამათათა თვით სიბრძნით და თავით თვისით სჯილენ და განაგებდენ, ვიეთნიმე მოყუსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე შორილებით, ვიეთნიმე ღთის ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამითა, — ვითარცა ენებათ, სჯილენ.

ხოლო ჩვენ, ნებითა ღთისათა³ და წყალობითა დიდის ტელმწიფისათა, პირველითგანვე ზეცით საქართველოს მეუედ განკუთნილისა და აწ სასუფეველ

¹ უმწემეს. ² უნარჩევესობასა A. ³ ღთისათა.

* 277v-ზე ტექსტი არ არის.

** ხელნაწერში ასეთი სათაურია: „სამართალი პირველი, შესავალი ჰ. ბატონისშვილის ვახტანგის ნაბძანები“.

ცათა შინა სულობრწყინულად მანათობელისა, პირველ ვახტანგ წოდებულისა, ხოლო შემდგომად სპარსთა ენითა შანანავაზ ემობილისა,

ძისა მისისა, სრულიად ქება-შემსებასეებით ძნიად მისათხრობელისა ქართველთა მეფისა და ერანელთა სუადარ-სპასალარისა, ამილბარ-სპასპეტისა, უთვალავიხა და უამრავის სპისა და ლაშქრის მეწინავედ ჩენილისა, უენებლად და მტერზე ძლევით მარბეულისა, ყანდაარისა და ქირმანის ბეგლარბეგისა, გირიშქისა და პაილათის მჭირავისა, ძლიერისა და უძლეველისა, პირველ გიორგი წოდებულისა და აწ მადლის ტელმწიფისაგან წყალობით მეორე შანანა- [279r]ვაზობით ემობილისა;

მაგიერად მყოფმან, ძემან ერანის მდივანბეგის ლევან ემობილისა, აწ შამყულისხან წოდებულისამან, საქართველოს ჯანიშინმან და გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ, წინათქმულთა ამისთვის ეიწადეთ სასამართლოსა წიგნისა აღწერა.

პირველ «დაბადებისა», მოსეს მიერ ქმნილი სამართალნი, და კვალად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გარდმოთარგმნებული, ეგრეთვე კათალიკოზისა, მეფის გიორგისა და ბექას განჩინებული სამართლები შეკვრიბეთ და ესე ყოველი ზემორე წერებულმან გამცნოსთ.

ხოლო ესეცა სცანთ, იგულეთ და იგულისმოდჯინეთ, და რომელიც ბენეობსთ და უმჯობეს გიჩნდესთ*, მით სჯილეთ და სამართალსა¹ იქმოდეთ.

აწ ვიწყეთ განაჩენისა ამის, ჩვენ მიერ აღწერილისათვის.

რომელნი იხილავთ და ისმენთ, ნურავინ პკონებთ, თვით მხოლოდ თავით თვისით რასამე ვყოფდეთ, არამედ თანაყოლითა და მოწემობითა² მდღელთ-მთავრისა და დიდის დედაქალაქისა მცხეთისა და კვართსა ზუდან საუფლოსა სვეტიცისა, ღთვ ალმართებულისა და შირონ-ალმოცენებულის, სატყედ-მყრობელისა და წარისქსა ზუდან მტკიცედ მდგომელისა, ძმისა ჩვენისა, ბატონიშვილის კათალიკოზის დომენცისითა,

ეგრეთვე თანადგომითა არაგვის ერისთვიშვილის მთავარებისკობო[279v]ზის გრიგოლითი და სხვათა მიტრაპოლიტ-ებისკობოზ-წინამძღვართა და სამღრთობანათა,

და მოწემობითა² და თანაზრახვითა მუხრანის ბატონის ერეკლეთი³, არაგვის ერისთავის გიორგითა, ქსნის ერისთვის დავითისითა, ორბელიძე სარდრის ლუარსაბითა, ამილახორის ავთანდილითა, მდივანბეგის ერასტითა და სხვათა ყოველთა დარბაზის ერთა ჩვენთათა,

¹ სამართალსა] + მართალსა A. ² დამოწმებითა A. ³ ერეკლეთი] + ჩვე-
ნისა სახლისა უხუცისა პაპუათი B.

* აქამდე B ხელნაწერს ტექსტი აკლია.

და¹ კითხვითა ჭკუათა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთათა გავაჩინეთ და დაეწერეთ, რომელსა მივწვდით და ანუ გონებანი ჩვენნი სამართალთა მიხედნენ.

ამით უფრო ვიქმენით მიზეზ წიგნისა ამის, რამეთუ აღარავინ განდრიკოს სასწორსა სამართლისასა ქრთამით, გინა მოყუსობით ანუ სხვეფურივ რითმე მიდგომითა, არამედ პირველ განაჩენნი იხილონ, და ახალი ესეცა, და რომელიც უნებოს მოსამართლესა, მით იქმოდეს სამართალსა.

მე ეს წიგნი ასრე არ დამიწერია და არცა ვიჩემებ, რომე არა აკლდეს რა. ბევრი ასეთი საჩივრები არის და მოვა, რომე ზოგი ვერ მოვიგონეთ და არც მისწუდების კაცის გონება².

ვინც მიხუდეს რასჴე და მოიგონოს, ჩაურთოს და ჩასწეროს, კარგსა და მართებულს იქს.

[ძარჩი სამართლის ძმინისა]

1. ჯერ ეს გკადროთ და მოგაქსენოთ მეფეთა და მსაჯულთა და ყოველს სამართალში მჯდომს კაცსა, ეს იცოდეთ, დამარხვით გუნებაში გქონდესთ, [280r] რომე ღთი, ყოვლის დამბადებელი, თქვენგან სამართლის უფროს არას ითხოვს და რისხეცა უსამართლობით მოივლინების, თორემ ვისაც გებრინებოდესთ, წერილინ³ ნახეთ და მაშინ სცნობთ.

უსამართლობა ამა⁴ სოფელს კაცსა უძეოდ აღმოჰტხუროს და გარდაავლინებს, დღეთსიგრძეობასა მოუკლებს, ქვეყანას აუოჯრებს, ცანი ცვარს დააკლებენ და ქვეყანა—ნაყოფს, ამ სოფელს⁵ შეარცხვენს და⁶ იმ სოფელს წასწყმედს და საუკუნო სატანჯველს დაუშკვიდრებს.

ესენი ყველაყა უსამართლობისაგან გამოვლენ, და სამართლის ქნა მეფესა და მსაჯულს⁷ ამ ყოვლის ბოროტისაგან შორედ ჰყოფს და განსდევნის.

2. საქართველოს მეფენი ბევრჯელ დიდად ამალღებულნი და ნებისაებრ თვისისად ბძანებულან, და ბევრჯელ ჟამთა და დროთა ცვალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევია, თორემე მართებული არა უქნევიენებიათ რა, როგორც ყმათ სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ. ამისი მომსწრები⁸ თვითონ მეცა ვარ, და სხვანი მრავალნი ხნით ჩემსა უფროსნი არიან და ისინიც ამგვარს დროს ბევრს შეესწრებოდენ⁹.

¹ და კითხვითა] კითხვითა და A. ² გუნება AB. ³ წერილი A. ⁴ ამ B. ⁵ ამ სოფელს]—A. ⁶ შეარცხვენს და] შიარცხვენს A. ⁷ მსაჯულსა B. ⁸ მომსწრები B. ⁹ შესწრებოდენ A.

აწ ამისთვის¹ ვიწყით. თუ მეფეს მეფობა შეეძლოს—ქნას; თუ არა,—სახელი და საუკუნო უნდოდეს, შეუძლებლად მეფობას უქნელობა სჯობს და ჯელის ალება.

თუ ერანის² გელმწიფის ყე[280v]ენით იყოს ერთი რამ საქმე, რომე უმისოდ ვერ იქმოდეს, და თუ ქნას, ის იწყენდეს, იმისი საქმე სხვა არის. კანონი ხომ აქვს, რომე კაცმან სწორე სამართალი ვერა ქნას, მაგრამე იმას არა გაეწყობის რა.

და მეფეს სხვა დრო ასეთი შეხედეს, რომე ყმათაგან ვერ იქმოდეს,—ან ჯელი აილოს და ან არა, თუ³ სოფლის ნივთით შემსჭვალვით ჯელი ვერ აილოს, თვითან სამართალში ნუ დაუჯდების, ოთხი იყოს თუ მეტ-ნაკლები, დიდებული გამოარჩიოს და იმათ სამართლონ⁴ ქუეყანა. და მეფე ლ⁵თს,—ეხვეწოს, უბრალო იქნების. მათ იციან დამათმან სულმან და მან საუკუნომან.

3. პირველ ესე, რომე მოსამართლე დიდად მჩხრეკელი, მიმხუდარი, გამომეციებელი⁶, გონება-აუჩქარებელი, დაწყენარებული, გამგონე, საჩივრის ყურის მიმგდები, გამსინჯავი, მოჩივრის მოადის მომცდელი და სხვისაც მკითხველი, თუ ამისი სამართალი თქვენგან როგორ ისინჯვის⁶, მოწმის მადებარი უნდა იყოს, უქრთამო, ლ⁷თის მოშიში.

თუ მოსამართლე სამართალში სხვას რასმე საქმობს და მოჩივრის საჩივარს ყურს არ უგდებს ან საჩივარში ჯავრობს და მოჩივარს უწყრების, ინასაც საჩივარს⁷ დააკარგვინებს და ვერცა რას თვითონ მიხედების, და უსამართლო მოუა.

იქნების, მის ალაგს ჯავრიც უნდოდეს ან ქურდსა, ან ავაზაკსა, [281r] ან ტყუილის მთხრობელს, ან ტყუილს მოწამეს,—ზავთი აჩვენოს, რომე მით გასტეხოს, ან ტყუილი არ ათქმევინოს.

მართო მოჩივარს სამართალი არ უნდა უყოს, მეორეც დაიბაროს და ორნივე ერთად ალაპარაკოს. მოწმით, კითხვით და გამომციებით მათის საჩივრის მართლად შეტყობას ეცადოს. არც ფიცხლავ სამართალი ქნას—უნდა ორჯელ, სამჯერ, ხან ერთად და ხან ცალცალკე, ალაპარაკოს.

თუ გრძელი და დიდი რამ საჩივარი იყოს, ორისავე სიტყვა მდივანმან დაწეროს, რომე არ დაავიწყდესთ; და მერმე ცალკე გასინჯონ.

¹ ამისთვის B. ² ბედნიერის A. ³ თუ—A. ⁴ იმათ სამართლონ] იმან სამართლოს A. ⁵ გამამციებელი A. ⁶ გამსინჯავი, მოჩივრის მოადის მომცდელი... როგორც ისინჯვის] გამსინჯავი და სხვისაც მკითხველი... როგორ ისინჯვის A; გამსინჯავი და სხვისაც მკითხველი... მომცდელი, სხვისაც მკითხველი, თუ... როგორ ისინჯვის B. ⁷ საჩივარს A.

ეცადნენ მართლის შეტყობასა და უფიცრად მათს გარიგებასა.

და თუ არ იქნას და უჯეროდ არ მოკდეს, მერმე ეს, რომელიც აჯაები და სამართლები დაგვიწერია, ვის საჩივარს რომელი აჯა შეეფერებოდეს, ის დასდენ და იმით გაატანინონ.

მაგრამე მოსამართლე თუ ან ქრთამითა, ან მოყუსობით, ან მუსაიბობით, გინა ზიშით ანუ თუ სიყუარულით და ანუ მტერობით ერთს მეორეზე მიუდგა, არ იქნების და არც სამართალი მოკდების.

არც მტყუნასა და არც მართალზე ქრთამი არ არის, და არც უნდა მოსამართლემ ინდოზოს და აილოს, თორემ ძნელი ტვირთი დაუეც აღსაკიდებელად ზეკთა¹ თვისთათვის.

4. უფროსერთს სამართალს გაგზავნილი მოსაქმე გაამრუდებინებს მოსამართლეს, ამიტომ რომე, ერთს მეორეში ზიჯლომა ან სამც[281v]ღერის ცილება რომ გარდეკიდებათ, თავი მოსამართლე, მდივანბეგი, ხომ ვერ წავა, იასაულს² გაგზავნიან, გასინჯე, მოკითხული ქენო და მართალი ამბავი მოგვიტანეო. თუ იმ იასაულმა³ ღთი გმო⁴ და ქრთამით მოსამართლეს მრუდი ამბავი მოუტანა, მოსამართლემ რა⁵ ქნას!

მაგრამე ასრე უნდა: მდივანბეგს, გინა სხვას მოსამართლეს, ამგვარის საქმისათვის სხვარიგი ჰკუის მყოფელი, უქრთამო, მართლის მთქმელი, სანართალზე⁶ ცნობილი იასაული⁷ ჰყუანდეს და ის გაგზავნოს; და დამბარებელი და⁸ გაწყრომაზე დასაქვრელად გასაგზავნი იასაული⁹ სხვა უნდა ყუანდეს და იწას გაგზავნიდეს.

5. სამართალში თუ უფროსაა მოსამართლემ და მსაჯულმან არა კითხოს, რაგინდ უფროსი და ჰკუის მყოფელი¹⁰ კაცი იყოს და იქ იჯდეს, სამართალი არ უნდა თქვას, არც უნდა რომელსამე მოეწმაროს; და როდესაც წსაჯულმან ჰკითხოს, ღთის წინაშე რასაც მიხუდეს, სწორე და მართალი უნდა თქუას და არ დაზოგოს.

[რიგე და სამართალი თავნს მართლებიხა]

6. საქართველოს რიგი და სამართალი ექუსი არის, რომე ამითი თავი იმართლებიხ: პირველი—ფიცი, მეორე—შანთი, მესამე—მდულარე, მეოთხე—ჯმალი, მეხუთე—მოწამე, შეექვსე—ცოდვის მოკიდება.

ამათ თვითოსა და თვითოს სხვადასხვა¹¹ სამზღუარი აქუს, თუ რომელი რომე[282r]ლს¹² საქმეზედ უნდა დაედვას. და ქნით როგორ უნდა ქნას, თვითეულადაც გამცნებს.

¹ ბრკეთა B. ² იასულს A. ³ იასულმან A. ⁴ გმო + გმო A. ⁵ რა]—A.

⁶ სიმართლებე A. ⁷ იასული A. ⁸ და]—A. ⁹ იასულები A. ¹⁰ ჰკუათ მყოფელი B. ¹¹ სხვა B. ¹² როგორს B.

[ჯმალში გატანება ამ წესით უნდა]

7. ჯმალში გატანება მეფეთ ორგულობასა, ღალატზედ, მეფის სალაროს გატეხაზედ, ხატისა და საყდრის გატეხაზედ და მსგავს ამათებრზე ამ წესით უნდა, რომე ან ორმოცსა და ან ნაკლებს დღემდინ ალოცონ და თვითო წიგნი დაუწერონ ასე, რომე, სასწორო და სამართალო ღთო, მე ესე და ეს კაცი გეაჯები და გეხევეები. სხვას ჩემს დანაშაულს დღეს ამაში ნუ მკითხავ, რასაც ეს კაცი მიღებს და მეწამების, თუ იმაში უმართლვ ვიყო და არას ვერიო, იმისი¹ თავი მე დამანარჩუნე, თორემ ჩემი თავი იმას² დანარჩუნეო. ამრიგი წიგნები ორთავე უნდა დაუწერონ და ან ყელზე და ან შუბის ბუდესთან შეაბან.

და ის შესაბმელნი კაცნი, როგორც შეეძლოსთ, ისრე შეეკაზ მონ. ერთი თავს მოედნისას და ერთი ბოლოს დადგენ.

თვითო მემათრაჲე ჩაატანონ, უიარალონი, რომე თვითოს ფარისა და მათრაჲის მეტი იმათ არა იქონიონ რა; რა რომ დაპირდაპირდნენ, გაუშვან და შეუტიონ. მემათრახენი არ უნდამიეშველნენ, სანამდინ ერთი არ გარდვარდეს.

და³ რა რომ ერთი და ერთი გარდვარდეს, მაშინ მემათრაჲენი მიეშველნენ და არ მოაკულევიონ, და მეფეს მოართვან.

და მერმე მეფემ, ვით ჯამდეს, ეგრეთ ქნას.

მეფე [შსშვ] და ჯარი⁴ ამათ გატანებას შორიდამ უნდა უყურებდენ, რომე მოყვრობით ან სხვარიგად არავინ მიეშველოს.

რომელიც გარდვარდების და ან გაიქცევის, ის გამტყუნებულ იქნების. იარალი გარდვარდნილისა გარდამგდებისა არის, და ცხენი—მემათრაჲისა.

ვინ იცის, ორნივე გარდვარდენ, უნდა დააცალონ, ქვეითათ ერთმანერთზე მიუშვან, და რომელიც წააქცევს, სამართალი იმას დარჩება*.

[მდულარე ასრე უნდა]

8. შანთი და მდულარე ორივე ერთი არის. ამისი ასრე უნდა. ალოცოს⁵ იგი კაცი, რომელსაც შანთი ან მდულარე გაუჩინონ⁶. მოედანს, გინა სხვას გამოსაჩენს ალაგს სადმე⁷, წყალი აადულონ⁸, ზედ ჩხირი გადვან ქვაბზედა და ძაფით ან რკინისა და ან სპილენძის

¹ ამისი A. ² ამას A. ³ და—B. ⁴ ჯარნი B. ⁵ ილოცოს B. ⁶ გაუჩინოს B.

⁷ სადმე—A. ⁸ აუდულონ A.

* „ვინ იცის... იმას დარჩება“, A-ში მიწერილია კიდევ სხვა ხელით, ხოლო B-ში არ არის.

უნაწილო ჯვარი, რომე სახე არ იყოს გამოყვანილი, გინა ვერცხლისა იყოს, ჩაჰკიდონ.

და რა აღუდღეს წყალი და გადმობრუნდეს, გარდმოიღონ; და მან კაცმან ჩაყოს ტელი სახელსა ზედან ლ^ათისასა და ის ჯვარი ამოიღოს; მას უკან ფიცხლავ აარკში ტელი ჩაუდევან და დაუბეჭდონ; მესამეს დღემდინ ისრე იყოს და მერმე გაუქსნან¹.

თუ არ დასწვია, მართალი არის; და თუ დასწვია, მტყუანი იქნების², და რასაც სწამობენ, გარდააქდევინონ.

შანთი ასრე არის

9. რკინა რამ გააჯურონ. რომ გაწითლდეს, იმ მქნელს კაცს ტელზე ქალაღი უნდა დაადვან, მერმე ზედ—ის გაწითლებული [28მრ] რკინა; და³ რა რომ დაადვან, მაშინვე სამს წინ უნდა გარდახტეს⁴; და მერმე, გარდამხტალმან,⁵ უნდა⁶ გარდააგდოს.

თუ არ დასწვა, მართალი არის; და თუ დასწვა, ტყუილად გამოვა, და გარდასაქადი გარდააქდევინონ.

ეს შანთი მაშინ აელებინების, რომე ან ბატონის ლალატი და ორგულობა, ან საყდრისა და ხატის გატეხა, ან ბოზობა ან მსგავსი რამ⁷ ამისი შეეთქვას.

ფიცო ასრე არის

10. ერთის ჯარის შეწამებაზე, უმთხრობლოდ რომ შესწამოს, ერთი შეუგდებელი მოწამე არის. და თუ მთხრობლით სწამობს, შეგდებული მოფიცარი უნდა.

აგრევე, რამდენის⁸ ჯარის საქმე იყოს, იმდენი¹⁰ მოფიცარი შევარდების, თავისი ყადარი, უმტერ-უმოყვრო, მისი გარეშემო, მიისსი კეობისა.

თავის ბატონისა და იმ მფიცებელის ბატონის ყმას გარდაისად უნდა სხვის ყმა შეაგდოს. იმ შეგდებულში ნახევარი იზოვნოს და ერთი იმდენი¹⁰ შეუგდებელი თან მიიყოლიოს.

ხატი, ვინც¹¹ აფიცებს, იმან იზოვნოს. იმ მოფიცარმან მდღელს ხატი ტელში ჩამოართოს და ასრე უნდა თქვას: «ამისმა მადღმა და ამისმა გამაცხოებელმან ლ^ათნ შენ, ამამავალო კაცო, რასაც მწამობ—სახელდობივ ჩაიტანოს,—მე იმისი არც მქნელი ვარ და

¹ გაუქსნან] + და A. ² არის B. ³ და]—A. ⁴ წახტეს B. ⁵ წახტომილმან B. ⁶ უნდა]—B. ⁷ ან; და A. ⁸ რამ]—A. ⁹ რამდენის A. ¹⁰ იმდენი A. ¹¹ ვინ A.

არც არა ვიცი». რა ეს სიტყვა გაათაოს¹, [283V] მოწმე(ე)ბმან უნდა თქვან, მართლა ფიცა, მაგისმა მადლმანო.

თუ ასრე იფიცა, გამართლებული იქნების² იგი კაცი; და თუ ვერ იფიცა, რასაც სწამობს, პასუხი უნდა გასცეს.

მაგრამე ჩვენ ამასავე ვიტყვი. ყოველი მოსამართლე ფიცის მოკლენას ეკრძალოს და სხვარიგად მოჩივრის გარიგებას ეცადოს.

11. აწ ეს უნდა მოსამართლემ იცოდეს, თუ ფიცი რომლისა არის. ვინც შესწამებს ვისმე რასმე, იმ შეწამებულმან³ კაცმან უნდა დაიფიცოს. ან დღეს ვისაც მამული უჭირავს და შეეცილებს ვინმე, ფიცი, ვისასაც ჯელთ მამული არის, მისია⁴. ის ასრე დაიფიცავს: «ეს ადგილი ამ სამძღვრამდინ, ამ ალაგამდინ, —სადამდინა⁵ შეუძლია, ჩაივლის, ხატი ჯელთ ეჭირვის, იტყვის, —აქამდის ჩემის ალაგისა ჩემიც იყოს და ტყუილადაც შეცილებოდე».

12. ერთი ესეც, მამულის ცილებაში გარეშე მოფიცარი არ შევარდების. თუ დიდი რამ მამული არის, თვითან ის საბატოის კაციშვილი უნდა აფიცონ; თუ უდაბლე რამ არის, აზნაურშვილი უფიცონ; კიდევ მის უდაბლეზე—მსახური; და მას ქვეითზე—გლეხი.

იქნების, ერთხირ [284I] სოფელიცა აფიცონ. და იქნების, ის აბატოის კაციშვილი თავის მსახურ-აზნაურშვილით და ყმითაც ფიცონ.

მაგრამე მოსამართლისაგან კარგად გასინჯვა უნდა, თუ როგორს ადგილს შესცილებია⁶, რამდენი⁷ დლიური არის, ან რამდენი⁷ საკომლო არის, —ისრე ასწონოს.

იქნების, დლიურზე ერთი მოფიცარი⁸ შევარდეს, იქნების, ორის დლისაზე ერთი შევარდეს, იქნების, ოთხის დლისაზე ერთი აფიცონ, —კარგ-ავობაზე ჰკილია.

ვენაჭი არის თუ ფუძე⁹ ან საწრისქვილო, ან საბაღე, გამონახვა უნდა, ჯერ ფასი უნდა¹⁰ დაადვან და მერმე ისრე მოფიცარი შეაგდონ.

მოწმით სამართლის კნა ასრე არის, რომე:

13. მოწამე დიად სწამთ და იციან უფრო ბერძენთა, ფრანგთაცა და რუსთაცა, და წმინდა სახარებაც ბძანებს, მაგრამე აქ, ქართლში, უფრო არ განუწყესებიათ.

ასრე იციან. კაცმან თუ რასაც საქმეზე¹¹ ასეთი მღწამე მოიყვანა, რომე იმ მოწამეთ ღთისა ეშინოდეს, სული იცოდეს, კეჟა

¹ გაათაოს A. ² იქნება A. ³ შეწამებულმან B. ⁴ მისია A, მისა B. ⁵ სადაც B. ⁶ შესაცილებია A. ⁷ რამდენი A. ⁸ მოწამე A. ⁹ ფუზე A. ¹⁰ უნდა—B. ¹¹ საქმეზედ AB.

ქონდეს, ან საღმთო კაცი იყოს¹, ან სიმართლის² ჯმა ქონდეს დავარდნილი და კაცისაგან სანდო იყოს, უნდა დაუჯერონ. თუ არა,—ერთისა და ორის ამრიგის კაცის დაჯერება არ დაუწევს-ბიათ. და ეს რომ³ მოგვიტანებია, ამისთანას კაცს დაეჯერების.

და სხვარიგი კაცი თუ არის [284v], ათსა და ოცსა, ან ერთპირ სოფელსა, მოწმობას დაუჯერებენ, თორემ ნაკლებს ძვირად და-უჯერებენ⁴.

ზემო⁵ რომ მოწმეების ქება დაგვიწერია, იმგვარი კაცი ორიც რომ მოიყვანოს, მოსამართლემ უნდა დაუჯეროს და აღარ აფიცონ.

მაგრამე მოსამართლემ თუ ტყუილი მოწმობა და მთხრობლობა შეაჩნია ვისზე, დიდი ნასალი უნდა უყოს, რომე სხვამ აღარავინ მოინდომოს.

ცოდვის მოკიდებისა ასრე არის

14. დიდი საქმე ცოდვით არ გარდასწყდების, ერთის მარჩი-ლისა ან ცოტა უფროსი, გინდა⁶ უმცროსი საქმე უნდა იყოს.

მაგრამ იქნების ასეთი კაცი, რომ იმისგან ცოდვის მოკიდება და სულზე შევარდნა ძროხაზედაც დაეჯერებოდეს.

და ცოდვის მოკიდება ასრე არის, რომე, ვისაც ამგვარი რამ შეეწამოს, იმ კაცმან ის შემწამებელი კაცი ზურგთ აიკიდოს და ასრე უნდა თქვას: «შენიმც ცოდვა⁷ მეორედ მოსვლას მემცა მაქვს და შენდა ნაცვლადამც მე განვიკითხები, თუ მე ეგ შექნას».

თუ ამრიგად ეს შეიძლო, აღარავინ რას ემართლებს; და თუ ვერ მოიკიდა, რასაც სწამობს⁸, უნდა აასუხი გასცეს.

ქარბი თეთრის გირიგებისა

15. ესე თეთრის გარიგება ამიტომ დავსწერეთ რომე, თუ კაცმან ეს არ იცის, ან შაური, ან უხალთუნი⁹ და ან აბ[285r]აზი, ან¹⁰ ასლანი, ანუ მისხალი, ანუ ფლური, ანუ ხუთი აბაზი, ან თუმანი რა ერთი არის, სისხლის მიცემაში ვერას გაიგებს, რომე იმდენი სისხლად გაუჩინონ.

პირველს ჟამურს თეთრს გიორგაულს ეცახდენ. ის თურმე საქ-მობდა სისხლშიაცა და ისრეცა. და ის გიორგაული რა ერთისაც წონა ყოფილა, იმ ძველს წიგნებში სწერია და იმითი იცნობთ. კიდემერთი რიგი სხვა თეთრიც ყოფილა, კირმანაულს¹¹ ეცახდენ.

¹ იყოს B. ² სამართლის B. ³ ეს რომ|ესომ AB. ⁴ გაუჯერებენ A. ⁵ ზემორ A.

⁶ ან B. ⁷ ცოდვა|+ მათ A. ⁸ სწამობენ A. ⁹ უხალთუნი|+ და A. ¹⁰ გინა A.

¹¹ კირმანეულს A.

16. ახლა ჩვენი ეამის თეთრი ეს არის და ასრე იანგარიშების.

ოთხი ხაშხაშის მარცვალი ერთი ფეტვის მარცვლის წონა არის; ოთხი ფეტვის მარცვალი ერთის ქერის მარცვლის წონა არის; ოთხი ქერის მარცვალი ერთის ცერცვის მარცვლის წონა არის; ოთხი ცერცვის მარცვალი ერთი დანგი არის.

ერთს ცერცვის მარცვალს ყირათი¹ ქვიან.

ექვსი დანგი, გინა ოცდამოთხი ყირათი², ერთი მისხალი იქნებოს. ერთი მისხალი ორშაურნახეგრის წონა არის.

ორს შაურს ყიზილბაშნი უზალთუნს³ ეცახიან; ურუმნი და ფრანგნი თინგირს ეცახიან.

ოთხ შაურს აბაზი ქუიან, ფრანგნი თულთს ეცახიან.

ხუთი აბაზი ერთი მინალთუნი არის [285v] და სამი აბაზი—ერთი მარ ჩილი.

ათი მინალთუნი ერთი თუმანი არის; და ეს ერთი თუმანი თექუსმეტი მარჩილა და ორი აბაზი იქნების.

ოცდაათს თუმანს ურუმნი ერთს ქისას ეცახიან.

ფრანგულის თტორის სახელები სხვა არის, მაგრამე აქ, ამ თეთრზე როგორ ეფასების, ისრე იქნების. სამს შაურს ფრანგნი რუბს ეცახიან.

ორი შაურის წონა ოქრო, რომ მისი დალი აჯდეს, ერთი ფლური არის. ამ ფლურის ფასი, დრო არის, შვიდ აბაზად ფასობდეს, დრო არის, შვიდ აბაზ უზალთუნად იყოს, ხან ერთ შაურ ნაკლებადაც⁴ იქნების.

[ქარი სისხლის განაჩენებისა]

17. აწ ესე სკანი, მოსამართლევ, გამრიგევ, თუ რასაც ფერს სისხლში რონელს გვარს და რა რიგ კაცს რას საქონლიდამ მიეცემის.

ქართლში მსახლობარი, დიდი თუ მცირე, საღმთოგანი თუ ერის კაცი, რამდენს კეცად⁵ მალლად და დაბლად გაგვირიგებია და დაგვიწერია, იმასაც ესევ წიგნი შეგატყობინებსთ და თვითეულად გამცნებსთ.

18. გლეხის კაცის სისხლში ძროხა იყო⁶ გაჩენილი, რომე ერთის გლეხის სიკუდილისათვის სამოცი ძროხა იყო გაჩენილი, მაგრამე ჩვენ თეთრად [286r] გაგვიჩენია⁷.

ქართლში მაგდენი თეთრი არ არის და ისრევე გლეხის კაცისა და მსახურის სისხლში ძროხა, ცხვარი, (ქენი, იარალი და სახლის საჭმარი რკინა, რვალი,—ყველა დაიჭირვის.

¹ ყრათი B. ² ყრათი B. ³ იუზალთუნს B. ⁴ ნაკლებად A. ⁵ კაცად A. ⁶ იყოს A. ⁷ დაგვიწერია B.

19. აზნაურშვილს—მესამედი, თეთრი იყოს თუ ოქრო და ვერცხლი, დაეჭირვის; და იმ ორს წილში ფარჩა, იარალი, ცხენი, სპილენძი, ცროხა, ცხვარი და ტყუეც დაეჭირვის.

20. შუათანამ და მის ქვემოთმან თავადმან სისხლის ნახევარში თეთრად, ოქროდ, ვერცხლად, ტყვედ და ფარჩად დაუჭიროს, და ნახევარში ცხენი, იარალი და სპილენძი დაუჭიროს.

21. ამის უმაღლესმან თავადმან და იმ ერთს დიდებულს თავს კაცს გარდაის მისის სახლიშვილმან,—ამათ უნდა დაუჭირონ თეთრი, ოქრო, ვერცხლი, ყმა, მამული, ტყუე, იარალი და რვალი.

22. სულ დიდებული თავადი რომ დაგვიწერია, იმისთვის გლეხი, ოქრო, ვერცხლი, თვალი, მარგალიტი მისის ფასით დაეჭირვინების; იქნების, თავისის ნდომით და რჩევით იარალი, პირუტყვი და რვალი დაეჭიროს¹.

[286v] 23. არიან ზოგნი თავადნი და აზნაურნი, ძველითგან ჯელმწიფეთაგან სისხლის განაჩენები აქუსთ. იმისი ჩვენ არა დაგვიწერია რა, ამიტომ რომე არიან თავადნი, მაშინდელს დიდებაზე ისრევე მოუშლელნი იყუნენ, და არიან ზოგნი, ჩამომცრობილ იყუნენ, და ზოგნი მდაბალნი² ამალღებულ იყუნენ³.

ამიტომ იმ ცველის განაჩენებით, თუ არ მოუშლელის დიდებულისას, ჩვენ ვერას ვიტყუით. რომლისაც მოსაძარღლის გამში მათი საჩივარი და განაჩენები მოვიდეს, იმისი იმან იცის.

მაგრამე ზე ასრე მგონია, იმ ცველს განაჩენებზე სამართალი ძნელი იყოს, ამიტომ რომე მაშინ ქართველი ბატონიც დიდი ჯელმწიფე ყოფილა, დიდი ალაგი სქერია, და მის თავადსაც მამული და მორქვა ბევრი ჰქონებიათ, ამიტომ ის განაჩენები უბძანებიათ⁴.

ახლა მაშინდელზე ქარაველს ბატონსაც ბევრი ადგილი აქლია და მისი თავადიც ღამულზე დამცრობილა⁵, გაყრილა⁶ და მისი სიდიდე თვითანვე დაუჩაგრავს. იმ განაჩენით ან იმას სისხლი როგორ აელეების და ან მიცემას როგორ შეიძლებს ვინმე.

რაც ახლა სისხლები გაგვიჩენია, ვეჭობ, ესეც კმარ იყოს. ესეები მოსაძარღლეთ კარგად გასინჯეთ და გამოიძიეთ⁷: როგორც კაცი ღამულით, კაცობით, ბატონის სამსახურით, ცხიბთა, მონასტრით და უფროსის კაცის მოყუსად მოკიდებით ამალღების [და] სისხლი⁸ გაუდიდლების, ისრე გაყრითა და მამულის მოკლებით სისხლიც მოაკლდების.

¹ დაიჭიროს A. ² მდაბალნი A. ³ და ზოგნი... იყუნენ]—B. ⁴ უბძანებიათ A.

⁵ დამცრობილია B. ⁶ გაყრილია B. ⁷ და გამოიძიეთ]—A. ⁸ სისხლი] და A.

[287r] 24. ერთი ესეც უწყოდეს მოსამართლემ, რომე, რა დიდი საქმე და დიდროანს კაცში სიკუდილი და რაგინდარა სისხლი მოვდეს, ერთიმეორის მოყუსობით მოვმარებასა და მიშველებას მეფე და კათალიკოზი ნუ აქნევიანებენ, ნურც ერთს მეორის რბევას დააწყებინებს.

და ნურცა ვინ მოინდომებს, თორემ მიმშველისა ასაბიასი და მარბიელის კაცისა დაგვიწერია და ისრე ჩაივლის და არც შერჩების. რა ამგვარი საქმე ქვეყანაში მოვდეს, ასრე უნდა.

მათ შუა ჯელმწიფემ კაცი დაუყენოს, ერთმანეთზე აღარ მიუშვან, კიდემ სიკუდილი და ღთის საწყენი საქმე აღარა იქნას რა ან რბევა არ დაუწყონ და¹ გლეხი და მამული არ მოეთხაროსთ².

ორნიე დაიბარონ ებისკოპოზ-დარბაისელთ შემოყრით და დაჯდომით³. ჯერ ერთი აჩივლონ⁴, ის ააყენონ, გაიცალონ, მისი საჩივარი დაწერილი იქონიონ; მერმე მეორე მოადი აჩივლონ და მისი საქმე და საჩივარიც დაწერონ⁵. ბევრჯელ აჩივლონ, ბევრჯელ გასინჯონ, ფიცი მოვდეს თუ ისრე—სისხლი, იმ სისხლის მესამედი მეფემ და კათალიკოზმან იპატიოს.

აგრე კიდევ⁶ დარბაისელთ პატივი დაედების გასინჯვით, თუ როჯორი საქმე არის. ნდომით მომვდარა ის საქმე, თუ უნდომლად, კარგად გამონახვა უნდა.

[287v] 25. მეფისა და კათალიკოზის საქმე, უკადრისი თუ რაც რამ ფერი, ორისავე სწორი არის, ამიტომ რომე ერთი ჯორცის ჯელმწიფე არის და მეორე—სულისა⁷, კურთხევა და პატივიც ღთისაგან და კაცთაგან სწორე⁸ აქეთ. დასტურ, მეფეს უფროსს პატივს სცემენ, მაგრამე ჯორციელის შიშით იქმონენ. ამიტომ მათი საქმე ჩვენ სწორად დაგვიწერია. თუ არა სჯობდეს, ვინც უკეთ იცოდეს, ჩვენ ნურას გვაბრალეებს, იმან დაწეროს.

ნუმცა ვინ იკადრებს და ნუმცა ვის⁹ შემემთხვევის ესევეთარი, რომელი¹⁰ ავნებს ჯორცსა და უმეტესად სულსა, ნუმცა სამღთო კაცისა და ნუმცა სხვათა ძეთა აღამისათა,—როველჳა მე ვემობ, ესევეთარი.

ნუ თუ პირველითგანვე სამოთხიდამ პირველისა მამის, აღამის, გამოძიებელმან, დაუძინებელმან, მარადის მბრძოლმან და მტერმან, უხილავმან ეშმაკმან თვისითა¹¹ მანქანებითა და საბრტე-გებითა აღძრას ბუნებანი კაცთანი შურად და კულად კაცისად, გინა საღმთო-

¹ და]—B. ² მოთხაროს B. ³ დახედოვით A. ⁴ აჩივლოს B. ⁵ დაწერონ] ისრე ქნან B. ⁶ კიდევ]— სხვა სხვას B. ⁷ სულია A. ⁸ სწორედ A. ⁹ ვინ A. ¹⁰ რომელი]—A. ¹¹ თვისათ A.

განთა ზედან, გინა თუ დიდებულთა და თავადსა ზედან¹ ანუ თუ აზნაურთა და გლეხთა ზედან, ანუ თუ მამა ძესა და ძე მამაზედა, გინა ძმა ძმაზედა² და მოყუასი მოყუასზედა,—ესევეთარს საქმეს შემთხვიოს, მას უკან ამის მეტი აღარა გაეწყობის რა, როგორც დაგვეწეროს, ასრე უნდა იქნას.

[288r] 26. დიდებულის თავადის³ მთელი სიკუდილის სისხლი—ათას ხუთას ოცდათექუსმეტი თუმანი. ამ დიდებულის თავადის ტოლად—მთავარებისკოპოზის სისხლი. ამ მთავარებისკოპოზის სისხლზე მეხუთედ ნაკლებად—მიტროპოლიტი სისხლი.

27. დიდებულს ქუემოთის, შუას თავადის სისხლი—შვიდას სამოცდარვა თუმანი. ანასთან, ასრე—დიდებულის სახლის კაცის სისხლი. ამასთან, ასრე—ებისკოპოზის სისხლი.

28. ამას ქუემოთს, მესამეს თავადის სისხლი—სამას ოთხმოცდაოთხი თუმანი. ამასთან, ასრე—არქიმანდრიტის⁴ სისხლი.

29. გადიდებულის აზნაურის სისხლი—ას ოთხმოცდათორმეტი თუმანი. ამასთან, ასრე—წინაძღვრის სისხლი.

30. ამას ქუემოთის⁵, შუას აზნაურის სისხლი—ოთხმოცდათექუსმეტი თუმანი. ანასთან, ასრე—მღვლე-მონოზნის სისხლი. ამასთანვე, ამის მეხუთედ სისხლ-დაკლებით, — მწირის მონოზნისა. ამ შუას აზნაურის მთელია სისხლის ტოლადვე—დიდებულის დიდვარის მოქალაქის სისხლი.

[288v] 31. ცალმოგვის, მესამეს აზნაურის სისხლი—ორმოცდარვა თუმანი. ამასთან, ასრე—მღვლის სისხლი. ამასთან—დიდებულის⁶ ვაჭრის⁷ ქუემოთის, მეორეს ვაჭრისა სისხლი.

32. ამასთან, ასრე, დაკლებით, მსახურის სისხლი—ოცდაოთხი თუმანი. ამასთან—მთავარ-დიაკვნის სისხლი. ამასთან—შუას ვაჭრის⁸ ქუემოთ, მესამეს ვაჭრის სისხლი.

33. გლეხის კაცის სისხლი—თორმეტი თუმანი. ამასთან—შეოთხეს ვაჭრის სისხლი.

ეს ასრე არის გარიგებული: გლეხის სისხლზე ერთიორად მსახურისა არის, მსახურზე ერთიორად—ცალმოგვი აზნაურისა, ცალმოგვე ერთიორად—შუას აზნაურისა⁹, შუას აზნაურზე¹⁰ ერთიორად—დიდის აზნაურისა¹¹, დიდს აზნაურზე¹² ერთიორად—დაბალის თავადისა, დაბალს¹³ თავადზე ერთიორად—შუას თავადისა, შუას თავადზე ერთიორად—დიდებულისა.

¹ თავადა ზედან | თავადზედ B. ² ძმასა B. ³ თავადის | + სისხლი B.

⁴ არქიმანდრიტის A. ⁵ ქუემოთის A. ⁶ დიდებულს A. ⁷ ვაჭარს A. ⁸ ვაჭარს A.

⁹ აზნაურიშვილისა A. ¹⁰ აზნაურშილზე A. ¹¹ აზნაურშილისა A. ¹² აზნაურშილზე A. ¹³ დაბლის B.

სხვა საქმეო კაცისა და ვაჭრისა თან უწერია.

[2891] მეფისა, კათალიკოზისა და უფლისწულისა არა დაგვიწერია რა.

34. ეს სისხლის განაჩენები რაც დაგვიწერია, ძველად დადებული¹ დაგვიწერია, თვარა სხვისა არა დაგვირთავს რა.

მაგრამე ზოგნი არიან ზელმწიფის მოვლენი, საქვეყნოთ თუ კარზედ გამრიგეთ, იმათი სიკუდილი და კრილობა რომ მოვდეს ვისგანმე, იმათ სისხლი დიდებულთანაცა სდისთ, თავადთანაცა და აზნაურთანაც.

ვისაც ჟამში მოვდეს, გვარობის სისხლს გარეთად საჯელოს სისხლიც ზედ დაურთონ და ისრე გაუჩინონ.

ესეცა არის, მოვლელ თუ სხვა ბატონის წარვლენილი² ყმა ბატონის სამსახურზე მოუკლავთ იმისი კიდევ მეტი არის, თუ ზელმწიფემ იმ მქნელს არ უწყრომა; და თუ უწყრომა რამე, ის გვარეულობისა და საჯელოს სისხლი რაც გაუჩნდეს, ის აკმარონ.

35. დიდებული თავადი ეს არის: გაუყრელი³ ერთი თავი თვითონ არაგვის ერისთავი, გაუყრელი⁴ ერთი თავი თვითონ ქსნის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ამილახორი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ⁵ ორბელიშვილი.

როსცა გაუყრელი ყოფილა,—ციციშვილიც ამათთან⁶.

ამათთან კი არა და,—სომხითის ნელიქიც ითქმის.

ამათ გარდაისად ამათსავ სახლის კაცებს ამათთან სისხლი არა [2894] სდის,—სხვა უფროსი თავადი რომ დაგვიწერია, დიდებულის ქვეითი, იმათოდენი სისხლი ედინების.

36. აწ ესე ვიწყით. უკეთუ მოიკლას დიდებული და მკულელი იგი⁷ გამოჩენით იყოს, დიდი კაცი იყოს თუ დაბალი, მეფის აზნაური თუ თავადის აზნაური, მოკითხული ქენით, თუ რასთვის მოუკლავს.

თუ ამხანაგი არის ის დიდებულის მკულელი დიდებულისა⁸, და გამოჩენილი სისხლი მართებია და მისთვის მოუკლავს, ეს ნამართები სისხლიც გაუსინჯეთ და იმ ახლის მკულდრის სისხლიც გაუსინჯეთ⁹ და შეადარეთ; რაც ნამართებმან სისხლმან შეიფარდოს, ჩაარონინეთ, და რაც მეტი დარჩეს, შიაცემინეთ.

და თუ კიდემ სხვამ უმდაბლემ დიდებულს ქვეითი ზოკლას, მისი სამართალიც ამავე მიბაძვით, ასრე უყავით.

¹ განაჩენი A. ² წარვლენი A. ³ გაუყრელი—A. ⁴ გაუყრელი | გაუყრელი A. ⁵ თვითონ—A. ⁶ ციციშვილიც ამათთან | ციციშვილი A. ⁷ მისი A. ⁸ დიდებული A. ⁹ გასინჯეთ A.

და თუ სულ სიტყვა არა აქუს რა და ისრე მოუკლავს, სისხლები ხომ სწერია, და როგორიც კაცი მოუკლავს, ისრე გარდაუქნადოს.

37. თუ მკულელი არა ჩნდეს და ერთს კაცს მთხრობლით თუ ცილით შესწამონ, უნდა მოსაძართლემ შემოიკითხოს, თუ რას გზით სწამობენ და რა არის მიზეზი, როგორ უქნიათ, რაგვარათ მოუკლავთ,—ესეები ათქმევიინონ. და თუ ამგვარის გამოკითხვით და ძებნით შეაჩნიონ, როგორც გვი[ჰმარ]თქუამს, ისრე უნდა გარდაიქნადოს.

თუ ამით ვერ გატეხონ¹ და დიდებულის კაცის სისხლს უმცროსს ცილით სწამობდეს, ასეთს, რომე იმ უფროსის კაცის ყმის ყადარი იყოს ანუ მეფის აზნაური იყოს, იმაზედ ან მდულრით ან შანთით თავი იძართლოს².

თუ ან უმცროსი აზნაური იყოს და ან ტოლი, ფიცი დაადონ.

მაგრამე ფიცის დადება³ ასრე უნდა: თუ დიდებულთ იფიცოს, ოთხი შეუგდონ და იმისგან ორი იმოვნოს და ისრე იჯიცოს; თუ შუას თავადით აფიცონ, ორმოცი შეუგდონ და ოცი იმოვნოს და მით იფიცოს; და⁴ თუ უმცროსის თავადით აფიცონ, ას ოცი შეუგდონ და სამოცით შეჰფიცოს.

თუ ვერ იფიცოს, ზემორებრ სისხლი გარდაიქნადოს⁵.

38. თუ მთხრობლით სწამობდეს და დაწამებულს⁶ მთხრობლის ტოლი ყმა ყუანდეს, კმალში გაატანოს.

თუ მთხრობელს გაემარჯოს, სამთხრობლოც მისცეს და სისხლიცა. და თუ მთხრობელი გარდმოვარდეს, მთხრობელიც კელშეკრული უნდა იეცეს⁷. და მთელი სისხლიც.

მაგრამე. თუ დიდებულის სისხლი დიდებულს ეწამების და მათი მთხრობელი შუა თავადი არის, დიდებული დიდებულის საქმეზედ შუა თავადს ხომ არ გაჰყვების და შუა თავადის ტოლი ყმა ხომ არ ეყოლების, რომ გაატანოს, ამაში კმალი ხომ არ მოკლების? და ისრეც ან ფიცით და ან მოწმით გაიმართლებდენ თავსა.

[290v] 39. თუ დიდებულის სისხლი შუას თავადს შეეთქუას, გასინჯეთ, თუ ცილის წამებით არის. უნდა ან მოწმით, ან ფიცით, ან შანთით გამართლდეს.

და თუ ეს შეწამება მთხრობლით არის, ასრე უნდა იქნას. თუ რომ მთხრობლის დარი ყმა ყუანდეს, კმალში გაჰყუეს, თუ არადა თვითონ გაჰყუეს.

თუ რომ დაუმარცხდეს, სისხლი მისცეს; თუ არადა, მთხრო-

¹ გატეხო B. ² იმართლოს] + და A. ³ დადება) — A. ⁴ და] — A. ⁵ გარდუხადოს A. ⁶ დაწამებულს AB. ⁷ მისცეს A.

ბელს დაუმარცხდეს, მთხრობელი ჰელშეკრული უნდა მიეცეს, და მთხრობელმან მთელი სისხლი გარდაუქადოს გარდამგდებსა.

თუ, ვინ იცის, მთხრობელს გარდამგდებლის სისხლის მიცემა არ შეეძლოს, მთხრობელი ცოლ-შვილით¹ უნდა მიეცეს.

40. თუ ან უმცროსს თავადთ, ან ახნაურთ, ან მსახურთ შეეთქუას დიდებულის სისხლი, თავად ცილი არ შეეწამების, რომე დიდი კაცი არც იკადრებს და არც საქნელი არის, რომე შესწამონ. და თუ შესწამოს, ვით დაგვიწერია, ისრე უსამართლეთ.

და თუ მთხრობლით შეეწამოს, წთხრობელი და იგი კაცი ჯმალმან გაასამართლოს.

[თუ] მთხრობელი გამტყუნდეს, მთხრობელი და სისხლი ორიე მიეცეს; და თუ დაწამებული კაცი გამტყუენდეს, მკუდარს სისხლი უნდა მიეცეს.

[291r] 41. გლეხის სისხლის² შეწამებაზე სამოცი მოფიცარი შევარდების და ოცდაათი³ უნდა იშოვნოს ასეთი, როგორიც ზემორ დაგვიწერია, და ოცდაათი სხვა მიიყოლიოს, — ისრე იჯიცოს.

42. ამათი სისხლი არ ითხოვების და არც გაჩნდების⁴.

ერთი ეს⁵, რომე ომში კაცი კაცს შემოაკუდეს მეპირისპირეს მეომრისა.

მეორე, რომ კიდემ კაცი თავისის დროშისა უცნობლად შემოაკუდეს, უმტერო და უქიშპარი.

და თუ ქიშპნი და ნამტერალნი ყოფილან და მკუდრის პატრონი შესწამებს, განზრახვით მოკლავ, იმას ან ჯერი და ან სისხლი უნდა.

მესამე, მიმკლომის კაცის სიკუდილის⁶ სისხლი არ არის, რომ დაწხდურმან მოკლას.

მაგრამე ბატონი რომ თავის ყმას მიუქდეს, იმისი არ გვითქუამს.

მეოთხე, ყმა არ იყოს მისი და ერთმან კაცმან კაცს საკუდავად შეუტიოს, და იმ უმცროსმა კაცმა გარიდოს და უჯროსმან ჯმალი შემოჰკრას, მეორე კიდევ შემოსაკრავად მონინდომოს⁷ და ახლა იმ უმცროსმა დაასწრა და მოკლა თუ დაჭრა, არც მისი სისხლი ითხოვების, ამიტომ რომე თავის სიკუდილის შიშს უქნევიანებია, დათმობად ისიც კნარა, რაც პირველზე დაუთმია.

და თუ იმ ერთს შემოკურას გარეთად იმ უფროსს მეორე ჯმლის შემოკურა აღარ მოუენდომებია და უმცროსს შემოუკრავს და [291v] მოუკლავ თუ დაუჭრია, უმცროსმა სისხლი მოსცეს, მაგრამე მის უწინდელი ჭრილობაც უანგაჰიშეთ.

¹ ცოლშვილი B. ² სისხლის] + სისხლის A. ³ ოცდაათი A. ⁴ გაჩნდეს A. ⁵ ეს A. ⁶ სიკუდილის] — A. ⁷ მონინდომა B.

მეხუთე, თუ სწორმან სწორს შეუტია და ჯმალს ჯელი გაიკრა, და იმ მეორემ ამ შემტევებელს უწინ შემოჰკრა, დაჰკრა, თუნდა კიდევ¹ მოკლას, ვერას შეუა.

მეექვსე, თუ ან ცოლზე და ან შვილზე, ვაგი იყოს თუ ქალი, სხვა კაცი დააჯელოს და მოკლას.

მეშვიდე, თუ მოახლებედ დააჯელოს და მოკლას.

მაგრამ ამას ცოტა რამე კი გაუჩნდების სამარხივით.

მერვე, თუ ბატონმა ყმის ცოლს უაშიყოს, ან ღამით და ან დღისით, და ცოლთან საწოლად დააჯელოს, და მან კაცმან მოკლას, დიდი იყოს თუ მცირე, სისხლი არ გაუჩნდების.

მეცხრე, თუ კაცმან თავისი ცოლი ბოზობაზე დააჯელოს და მოკლას, არც² ჩმისაგან, არც³ ნათესავისაგან სისხლი არ ეთხოვების.

მეათე, რომ კაცს ქურდი შეეპაროს და ის ქურდი მოკლას თავის სახლში.

[ასოთა და კრილობათა ხისხლისათვის]

43. აწ ეს ასრე გასინჯეთ. რომლისაც დიდისა და ანუ მცირის სისხლი რაც არის, ის ხომ სწერია, და იმითი მოსაძმართლემ შეიტყოს და ისრე, დიდს დიდობით და ცოტას ცოტაობით, გაუჩენდეს³.

მაგრამ ესეც უნდა იცოდეს, თუ რას ასოს და ან როგორს კრილობას რა სისხლი სდის და ან როგორის საქმისათვის რა სისხლი გაუჩნდების. ამას ქუევით თან უწერია და ისრე გააჩენდეს, რასაც გვარისა იყოს, ასრე მიაცენინებდეს.

[292r] 44. თუ ორივე თვალი ან ორივე ჯელი, ან ორივე ფეჭი კაცმან კაცს ასრე დაუშაოს და ასრე წაუჭდინოს, რომ არცე[რ]-თის⁴ თვალით აღარ ხედევდეს, არცე[რ]თი⁵ ჯელი აღარად საქმარ იყოს, არცე[რ]თი⁵ ფეჭი აღარად საქმარ ქონდეს, ამაში, ორივე⁶ რომელიც ასრე აქუს, იმ კაცის სიკუდილი არის და ორის თვალისათენაც—მთელი სისხლი, ორის ჯელისათენაც და ორის ფეჭისათენაც, რასაც გვარისა იყოს.

45. კაცის აგებულობის სისხლი⁷ სამ წილად არის გაყოფილი: ცალი თვალი კაცის ქესამედი სისხლი არის, აგრევე ცალი—ჯელი,

¹ თუნდა კიდევ] და უნდა A. ² არა A. ³ გაუჩნდეს B. ⁴ აღარცეთის A. აღარცეთი A ⁵ ორიქ]—A ⁷ აგებულობის სისხლი] აგებულება სისხლში B.

აგრევე, ცალი ფეტი. ასრე რომე, ცალი თვალი სულ ასრე დაუშავდეს, რომე ველარას ხედევდეს, ან ცალი ჭელი ასრე დაუშავდეს, რომე არცერთი თითი საჭმარად აღარ მოურჩეს, და ან ცალი ფეტი ასრე დაუშავდეს, რომე საჭმარად აღარა ქონდეს,—ამაგებისათვის მესამედი სისხლი მიეცემის, რასაც გვარისა იყოს.

მაგრამე, თუ ჭელი სრულ არ დაუშავდეს და ერთი თითი დაუშავდეს, მთელის ჭელის მეხუთედი გაუჩნდების. აგრევე, რამთენიც თითი დაუშავდეს, ყველასათვის ამა ანგარიშით გაუჩინეთ.

[292v] 46. ფეტის თითი ჭელის თითთან არ ჩავარდების, ამიტომ რომე არც ჭელის თითის ოდენი საჭმრობა შეუძლია და არც გამოჩენით სახიჩრად დაინახების ჭელსავით. ამაღ, ერთის ფეტის თითს ნახევრის ჭელის თითის სისხლი აღინეთ, რომე ორის ფეტის თითი და ერთი ჭელის თითი სწორედ ჩავარდების.

47. წინა თუ უკანა კბილი, რომელიც ჩააგდებინოს ვინმე, ორივე სწორე არის, ამიტომ რომე წინა სახიჩრად დარჩების და უკანა ჭამაში დააკლდების.

ამაღ ერთს კბილს ერთის ჭელის თითის სისხლი გაუჩინეთ,¹ რამდენიც კბილი ჩავარდების, ამ კულად გაჩნდების.

48. წარბს ქუეით და ყელს ზეით თუ კაცმან კაცს ასეთი ჭრილობა დააჩინოს, რომე ძალიანად მოეყუეთინოს, იმ ნაკვეთს ნეკი გამოვევლებოდეს, ან სახიჩრად სახედველად დაღრეჯილიყოს და წაეჭდინოს, ან ყური გავარდნოდეს, ან ცხვირი გავარდნოდეს, —ამაგების თვითო-თვითოსათვის² ერთის ჭელის სისხლი გაუჩნდების.

[293r] 49. სხვას ჭრილობისა ასრე არის. ტანზედ, მკლავზედ, ბარკალზედ და წვივზედ თუ რასაც ალაგს³ კაცი დაიჭრას დაუშავებლად, თორემ დაშავებისათვის ხომ დაგვიწერია, ის ჭრილობა ქერის მარცვლით გაზომონ, რამთენიც ქერის მარცვლის ზომა გამოვიდეს⁴, მარცვალზე ერთი ძროხა გლეხისა⁵ არის.

ძროხა ორ მინალთუნად ჩავარდების.

მსახურის ქერის მარცვლის ჭრილობაზედ—ოთხი მინალთუნი; ცალმოგვს აზნაურზედ—რვა მინალთუნი, შუას აზნაურზედ—თექუსმეტი მინალთუნი, დიდს აზნაურშვილზედ—სამი თუმანი და ორი მინალთუნი; დაბალს თავადზედ—ექვსი თუმანი და ოთხი⁷ მინალთუნი, შუას თავადზედ—თორმეტი თუმანი და რვა მინალთუნი, დიდებულზედ—ოცდახუთი თუმანი და ექვსი მინალთუნი.

¹ და]—A. ² გაუჩინეთ] +ამიტომ რომე AB. ³ თითოსა და თითოსათვის B. ⁴ ადგილს B. ⁵ დადგეს B. ⁶ „გლეხისა“ მიწერილია A-ში კიდებუ. ⁷ სამი A.

მაგრამე, თუ ან თოფით, ან ისრით, ან შუბით, ან ჯიქურად დაჭრილი არის, რა ერთიც სანახავი რკინა ჩაევა ან ფილთას უსაქმია, ის უნდა ქერის ზარცელით გაზომონ და იმ სხვას კრილობაზედ ერთიორად გააჩინონ, ამიტომ რომე ამგვარის იარაღით დაჭრილი უფრო გაიოჯებოდა და ბევრს ჰირს ნახედა.

თოფისა კიდევ უფრო მეტი გაჩნდების, მაგრამე იმასაც გასინჯვა უნდა, თუ რას ალაგს აქვს გავარდნილი.

[კაკი მიჯდომისა და ღალატად დადგომისა]

[293v] 50. თუ სასაფლაოზე სწორი სწორს დაესხას, დიდი თუ ცოტა, უფროსი უმცროსსა, გინა უმცროსი უფროსსა, და სასაფლაოს ჯელი მიუყოს, ან საყდრის კარი შეღეწოს, ანუ კედელი მოურღვიოს, ანუ სიწმინდის იარაღს ჯელი უხლოს და წაილოს, მისი სისხლი ჯვლითგან დიდად დადებული არი.

მაგრამე, ვითაც პირველით ასრე ჰგონებიათ: სასაფლაოზე მისულით და საფლავის ჯელის ხლებით უთუოდ მკუდარი წაწყმდებისო, ტყუილი ზღაპარი და მოგონილი არის, საფლავის ჯელის ხლებით მკუდარს არ დაუშარცხდების რა.

ახლა ეს გავაჩინეთ. თუ სასაფლაოში მყოფი მიმჯდომნან მოკლას და სასაფლაოსაც ესენი უყოს, რომელიც ზეით დაგვიწერია, მაშ სამი სისხლი მისცეს—ერთი საფლავისათვის, ერთი სიკუდილისათვის და ერთი მიჯდომისათვის—და წანაღები უქლებლივ. აგრევე—კრილობისა.

და თუ არა მოკლას რა და არცა რა საფლავს კადროს, და არცა რა დაჭრას, ერთი მთელი სისხლი მაინც მისცეს დედა-წულთ არევისათვის.

თუ მიმჯდომი ან მისი ასაბია მოიკლას თუ დაიჭრას, მისი სისხლი არ არის.

51. თუ სასახლესა და ცოლ-შვილში კაცი მიუტდეს კაცსა და დაესხას, რაც მოკლას და ან დაჭრას, ოროლი სისხლი მისცეს, რასაც გვარისა [294r] იყოს, და წანაღებიცა.

და თუ არა მოკუდეს რა და დაიჭრას, კრილობისათვის¹ ორი სისხლი და მიჯდომისათვის ერთი მთელი სისხლი მისცეს.

თუ მიჯდომაში დედაკაცს შვილი მოსწყდა, მისთვის² მთელი სისხლი მისცეს.

და თუ მიმჯდომი და ან³ ასაბია მოკუდეს ან დაიჭრას, მისი სისხლი არ არის.

¹ დაკრილობისათვის B. ² მისთვის A. ³ ან]—A.

ასაბიასი მან იცის, ვისაც მოჰყოლია; აგრევე—ასაბიის კრილობისა¹.

თუ წანალებზედ შესარჩლდენ, წამლებმან ფიცით შეიჯეროს, ამის მეტი არა წამელოს რაო, და ისიც მოსცეს.

52. თუ ასეთს გლებს დაესხას, რომე ახლოს იყოს მის ბატონის სასახლეზე, მის ბატონს—ნახევარი სისხლი. და იმ გლებისა რაც მოკუდეს და დაიჭრას, ორკეცი სისხლი და წანალებიცა მისცეს². საქონლის წაღებაზე ფიცით შეიჯერიოს.

თუ გლების პატრონი წამოუდგეს და მოკუდეს, მთელი სისხლი მოსცეს; აგრევე—კრილობისა.

და თუ მიმვდომი და ან მისი ასაბია ან მოკუდეს, ან დაიჭრას, სისხლი არ გაუჩნდების.

53. თუ უსასახლოდ და უცოლშვილოდ სხვას თავის მამულში იყოს და ისრე მიუტდეს, და დამვდომი³ მოკუდეს, სისხლი და სისხლის შესამედი მოსცეს; ისრე—კრილობისათვის; წანალებისაც—ზემორებრ.

და თუ მიმვდომი და მისი ასაბია მოკუდეს, სისხლის⁴ ნახევარი მიეცეს.

[294r] 54. თუ ისრე სოფელი მოურბიოს და პატრონი იქ არ იყო, და შეიტყოს და წამოუდგეს, და მოკუდეს ის მარბიელი, მისის სისხლისა ორი წილი და შესამედის ნახევარი მიეცეს.

და თუ წამომდგომი მოკუდეს, მთელი სისხლი და სისხლის შესამედის ნახევარი კიდევ სხვა მოეცეს.

ასაბიასი და წანალებისა ზემორებრ იქნას [იხ. მუხლ. 51, 52].

55. თუ კაცი ასეთს დროს მამულის მოსარბეულად და სააოდ მიუტდეს, რომე ან ქორწილი, ან ნათლობა და სიხარული ქონდეს, ან ქირის დღე და მწუხარება დამართებოდეს, და ამ დამართებულმან კაცმან უწყინოს, მივიდეს და მამულში მომვდომი⁵ მოკლას⁶, სისხლის მეექვსედი დააკლონ.

და თუ მამულის პატრონი მოკუდეს, მთელი სისხლი და მთელის სისხლის შესამედი მივდომისათვის მისცეს; და კრილობისა და ასაბიასიც—ასრე.

56. თუ ამგვარი საქმე უმცროსს უფროსმა კაცმან უყოს, და თმობა მართებს, ამიტომ რომ, ბატონი და მოსამართლე იქნების, წანალებს ხომ ისრევე მიაცემინებენ და საქმეს რატომ გაიჭირებს?

და თუ არ დასთმო და ის მიმვდომი კაცი მოკლას, მთელი სისხლი მისცეს, ამიტომ რომ უფროსობის პატივი არ დაუც.

¹ დაკრილობისაც B. ² მიიკუა—A. ³ დამვდომი A. ⁴ სისხლი A. ⁵ მამვდომი A. ⁶ შემოაკედეს B.

და თუ ეს, ნაწულის ბატონი, უფროსმან მი[295]მკდომმან
კაცმან მოკლას, მთელი სისხლი და კიდევ სისხლის ზეოთხედი მის-
ცეს; აგრევე—ქრილობისა და მონარბევისაცა.

57. ამგვარს მიგდონაში თუ სხვაგვარს¹ შეყრაში ერთი მე-
ორეს რომ ზოგრიოს, თან ნულარ წაიყუანს თავის სახლში და იმი-
თიცი ნულარ შეარცხვენს.

და თუ არ დაიშალოს და წაიყუანოს, ნახევარი სისხლი გარდა-
უქადოს, იარალიცა და წინალებიცი უკლებლივ მისცეს.

და რამდენიცი იმისი ყმა დაქრილა და ჩნია, იმისი მთელი სის-
ხლი მისცეს და² იარალიცა.

და რამდენიცი იმი³ი ყმა დაქერილი³ იმას თან წაიყუანოს,
იმათაც ნახევარ-ნახევარი სისხლი მოსცეს.

58. თუ შუამავალი ზოკუდეს, ბერი თუ მონოზანი, ქალი თუ
კაცი, მოკითხული უნდა იქნას. თუ მართლის გამოჩენით ჩნდეს,
რომე შუამავალი ყოფილიყოს და არცერთის⁴ მომჭმარო⁵ არ ყო-
ფილიყოს, სიკუდილისა და ქრილობისაც ორკეცი სისხლი უნდა
მისცეს, როგორიცი სისხლი სდიოდეს. და თუ მომჭმარო ყოფილა
რომლისამე, ვისაც მოჭმარებოდეს⁶, მას ელაპარაკოს.

[295] 59. თუ კაცი კაცს არაა ემართლებოდეს, მოღალატედ
ან გზახედ სადმე, ან სოფლად ღამით გამოსასულელს ადგილს თუ
სადაცი იარალით სასიკუდილოდ გამომეტებით დაუდგეს და ის საქმე
გამოჩნდეს, რომე სდგომოდეს, და ზერმე იმ ხანად იმ კაცს აღარ
გამოეფლოს, და წამოსულიყოს,—თავის გუნებით სიკუდილი სდომე-
ბია, მაგრამე ღ⁷თსა და ბედს მოურჩენია, რომე იმ გზახედ აღარ გა-
მოუვლია. ამისათვის მთელი სისხლი მოღალატემ იმ კაცს მისცეს.

და თუ გაიაროს და ან მოკლას, და ან დაქრას, ორკეცი
სისხლი მისცეს, ერთი ღალატად დადგომისა⁷ და ერთი სიკუდილისა.

და თუ ამ უბრალომ კაცმან ის მოღალატე მოკლას, მისი
სისხლი არ არის.

60. თუ ასეთს კაცს ღალატად დაუდგეს, რომ ემართლებოდეს,
და ერთი აუგი და მოყივნება სჭირდეს და ემართლებოდეს, გა-
სინჯეთ კარგა, ვინ იცის, იმ დამდგომმან კაცმან მოკლას, მისი
საქმე და ამისი შეაფარდეთ, და რაცალა სჭირდეს აუგი იმ მკუ-
ლელს, იმას გამოდით და სხვა სისხლი მოსცეს. და მუხთლად სი-
კუდილისათვის კიდემ სისხლის მეხუთედიცი მოსცეს.

¹ სხვარიგად B. ² და)—A. ³ დაქრილი A. ⁴ არცეთის A. ⁵ მამჭმარო A.
⁶ მოჭმაროდეს A. ⁷ დგომისათვის A.

და თუ ამ მიმავალმან ის დამდგომი მოკლას, ნახევარი¹ სისხლი გაუჩინეთ; რასაც უწინდელს სხვას საქმეს ჩიოდა, იმისი სამართალიც მის სახლის კაცს უყავით.

[296r] 61. თუ მისი სწორი კაცი ცოტას სამდურავისათვის თავის მამულში დაახელოს, იბრიყოს, დაიჭიროს, შეკრას, აბჯარი აპყაროს, წინ წაიგდოს, თავისი სამძღვარი ცემით გააბრინოს, — სისხლია ნახევარი მისცეს, იარაღი და წანართმევიცა.

თუ ქრილობა აჩნდეს რამე, იმისთვის² მთელი ქრილობის სისხლი მისცეს.

და თუ შეიპყრას, დააბას, ტყუედ ჩააგდოს და იმითი მოკუდეს, და ან გამოიყუანოს ნატყუეები და ისე მოკლას, ერთნახევარი სისხლი მისცეს.

თუ წამლით მოკლას, მით ეს მისცეს, საკანონო კათალიკოზმან იცის.

[61²]. აწ შემოკლებით ეს მოგაქსნოთ. სისხლი ყოველფერზე ზეით დაგვიწერია, საღმთოცა და საეროცა, სატანჯველითა და უბატიურად სიკუდილისა ყველა სწერია და ისრე ქნან.

მაგრამ, თუ უმცროსს უფროასათვის უქნია, ის უფრო მძიმეა, და თუ უფროსს უმცროსისათვის უქნია, ის უფრო სუბუქია. და თუ სწორს სწორისათვის უქნია, ის სწორია, არც აიწვეს და არც დაიწვეს.

სატანჯულის სიკუდილში და³ რჯულის გარდამავალს საქმეში კათალიკოზს ჭელი აქუს.

[ცოლ-ქმართა საქმისა ასრე იქნას]

[296v] 62. თუ კაცმან ცოლი მოკლას უბრალო და გამოჩნდეს, სისხლი, როგორც დაგვიწერია, ისრე მისცეს და საკანონოსი კათალიკოზმა იცის.

თუ გამოჩენით ქრმისაგან სიკუდილი არ იცოდენ და ქალის ძმები ან წამლით, ან მოჩხობით, ან იარაღით ქმარს სწამობდენ, ფიცით, მდუღრით ან შანთით თავი გამოიმართლოს.

63. თუ ცოლი დაჭრას ან დააშაოს, თუ ცოლს უნდოდეს, სისხლი აიღოს და გამოართვას. თუ არ⁴ ბოზობისათვის ცოლ-ქმარნი ერთმანეთს ვერ გაეყრებიან.

64. მაგრამ კაცი რომ ცოლს სტანჯვიდეს და უბატიურად ეპყრობოდეს, და ურიგოს უშურებოდეს, მეფემ ის კაცი დააბას, დატუქსოს, ავად მიეპყრას. და კათალიკოზმაც ასრე უყოს.

¹ ნახევარ A. ² მისთვის B. ³ და] + რჯულისა და A. ⁴ არ] არადა B.

სხვა ამას გარდა თუ რამ ცოლ-ქრმოზაში ურიგო რამ მოკდეს, ის კათალიკოზმან იცის.

65. თუ ცოლმან ქმარი მოკლას ანუ წამლით ანუ, სხვა რითმე, გასინჯეთ, რისთვის მოუკლავს. თუ ასეთი რამ ექნას¹, რომ ემართლებოდეს, თქვენ იცით; და თუ უბრალო მოკლა, გვეც თქვენ იცით. ოთნ ნუ ქნას, და თუ ჩვენს განში მოკდა, ჩვენ ვიცით.

[2971] [65¹]. თუ ცოლმან ქმარს ან სცეს, ან დაქრას, დიდი გვემა და ტანჯვა უყოს კათალიკოზმან.

65. ცოლი და ქმარი რაგინდ სძულდენ ერთმანეთსა, უბრალოდ გაყრა არ იქნების, კათალიკოზმა წურთნით უნდა შეარიგოს.

67. თუ ქალს ბოზობა შეემთხვიოს, თუ უნდა, გაუშვებს, რომე არცარა ამ სოფელს ევითხვის და არცარა იმ სოფელსა; და თუ უნდა, არ გაუშვებს, ორივე კაცის ჳელთ არის. მაგრამე, თუ გაუშვა, რაც მზითევი მოჰყოლია, ისიცა და ბოზობით შექნილი შვილიცა თან უნდა გაატანოს.

მაგრამ, თუ ამ მართალს ქმართან შვილი ჰყავს, ზითევი მთლად² არ მიეცემის, ამიტომ რომ შვილსაც წილი აქუს, ნახე ვარი ანუ უმცროსი; ან არა, რამდენიც შვილი ყუანდეს³, შვილებსა და დედას თვითო-თვითო წილად მისცენ ყველას სწორედ.

რომელიც ზითევი ავის ქანძღის თვითან დაუხარჯავს თავისის ნებით, იმას ვეღარ ითხოვს.

68. ერთი ესე, რომ ბოზობით შვილი ეყოლების, თუ ის უცხო კაცი იმ გაშვებულს ქალს შეირთავს, ხომ ის შექნილი შვილიც იმისი არის [2971] და არც ქალის პატრონსა სისხლს მისცემს. და ქმარს კი სისხლი უნდა მისცეს.

და თუ არ შეირთოს, შვილი იმ კაცისა არის, სისხლი მის ქმარს მთელი მისცეს და დედაკაცსაც, ვით დაგვიწერია.

ბოზობით რომ⁴ დააგდოს, შვილიც რომ არა ყუანდეს, რაც დაუხარჯავი⁵ ზითევი ქონდეს, ის მაშინც უნდა დაუჭიროს.

69. თუ დედაკაცმან მეზობელს თუ მოყუასსა თუ თავის სახლში უმაჰაკლოს⁶ და გამოჩნდეს, რაჲც გვარისა იყოს ის მაჰაკალი, თავისის სისხლის ნახევარი იმ ქალის პატრონს მისცეს.

თუ ამისი მიცემა არ შეეძლოს მაჰაკალს⁷, მაშ ასრე უნდა უყონ: მაჰაკალს⁷ ყელზე საბელი უნდა მოაბან და ტიტველი, ყელსაბლიანი, ნიფტვით ოდენ, სოფელი შემოატარონ,—დიდი აუგია.

¹ უქნია. B. ² სრულ A. ³ ჰყავს B. ⁴ რომ|+ რომ A. ⁵ დაუხარჯავი], დაუხარჯავს, რაც A. ⁶ უმაჰაკლოს A. ⁷ მაჰანკალს A.

70. თუ ქალს კაცი გაუაშიყდეს და ქალი არ აჰყევს, თუ გინ-
და გუნებაში შეუვიდეს¹, და ეს საქმე ქმარმან თუ² მამამ და დედამ
მის ქალისამ შეუტყონ³, ქალს არა გარდაჯდება რა, და მაქაქალს⁴
ბოზობის მაქაქლობის⁵ ოდენად გარდაჯდების კაცისაგან.

[218r] 71. თუ ერთმან მეორის ცოლს უაშიყოს და გამო-
ჩნდეს, რომ მასთან ყოფილიყოს, და დააგდოს მისმან ქმარმან,
სრული სისხლი მისცეს.

და [თუ] წაგუაროს, მაშინც⁶ მთელი სისხლი მისცეს.

და თუ იმ ქალთან არ ყოფილიყოს და ფიცით თავი იმართ-
ლოს, და თუ აშიყოზა ვერ ფიცოს და თან კი არ ყოფილიყოს,
მისთინ მართლის ბოზობის ნახევარი სისხლი მისცეს.

72. თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, მთელი სისხლი
მისცეს, და თავისი ზითევი უკლებრივ მისცეს.

73. თუ კაცმან მისგან უდიდებულესის კაცის ქალი დააგდოს,
რასაც გვარისა ის კაცი იყოს, იმტოლი მთელი სისხლი მისცეს,
მეტი არ ეთხოვბის.

74. დედაკაცი ქრმის დაგდებას არა ღირსა და ნურც ჰკად-
რებს. და თუ ღთი შერისხდეს და მისის უსირცხვილობით ქნას,
რასაც გვარისა იგი კაცი არის, მთელი სისხლი დედაკაცმან ქმარს
მისცეს.

თუ ქალისათვის ან სამშობლოს უქნევინებია, სისხლი სა-
მშობლომ მისცეს. თუ უბრალო იყოს სამშობლო, და აღარც ქალი
შეინახონ, და სამშობლოს სახლს არ ეთხოვბის*.

[უფროსი კაცის მოკვლისა ასრე იქნას]

75. თუ აზნაურმან ანუ გლეხმან მისგან უფროსი კაცი მოკ-
ლას, ერთნახევარი სისხლი მისცეს.

თუ მისის პატრონისაგან არ სცო.[218v]დნოდეს, ისრე ექნას,
მესისხლე კაცი თავის⁸ ნასყიდის მამულითა, რაც ერგებოდეს, და
თავის კერძის საქონლით, ცოლშვილით ზელში მისცეს, რაც უნდა,
უყოს.

თუ ძმანი და სახლისკაცნი ამ კაცის სიკუდილში⁹ და ჩხუბ-
ში¹⁰ ერთი რჩევა და ერთი საქმე არა ქონია, იმ მკუდელის კაცის
მეტს სხვას ძმას არა ნდომია და არ რევიან, არცეთი მიუღდება,

¹ შეიუდეს A. ² თუ და A. ³ შეიტყოს B. ⁴ მაქანკალს A. ⁵ მაქანკლობის
A. ⁶ მისთინც B. ⁷ ის კაცი—A. ⁸ თავისის B. ⁹ სიკუდულშია B. ¹⁰ ჩხუბშია B.

* „თუ ქალისათვის... არ ეთხოვბის“—მიწერილია A-ში ვახტანგის ხელით,
ხოლო B-ში არ არის.

როგორც დაგვიწერია, ისრე უნდა იქნას. და თუ სხვა ძმანი და სახლის კაციც რეულან და ერთად უქნიათ, ისრევე ერთგან პასუხი მისცენ.

[უმძრახ კაცთა ასრე იქნას]

76. თუ უმძრახი¹ კაცი ერთმანეთს შემოეყარნენ და ერთმან გზა დაუგდოს და გარიდოს, მეორე ნულარ მისდევს. თუ მიზდიოს და ის გაოიდებული მოკლას, ორკეცი სისხლი მისცეს.

და თუ ეს მიმდევარი მოკუდეს, მისმან სისხლმან ჩაიაროს.

გზის დაგდება, რომელიც გვართ უმცროსი არის, იმას მართებს. თუ გვართ² სწორნი არიან, რომელიც დღით უმცროსი იყოს, იმან უნდა დაუგდოს. რომ არ დაუგდოს და დაუშინონ, რომელიც მოკუდეს, სისხლი მისცენ.

უწინ რაზე მდურებულან, მოსამართლემ ისიც გაუსინჯოს.

მაგრამე გზის დაგდება, რომელსაც მართებოდეს და არ დაეგდოს, იმას სისხლი დააკლდების.

ამგვარს კაცსაც მართებს გზის დაგდება, რომ დამნაშავე თვითან იყოს და იმის დანაპაულზე მდურობდენ. უფრო მას მართებს*.

[მამა-შვილთა და და-ძმათა საქმისა ასრე იქნას]

[299F] 77. გამოჩენილად, მოწმით ნათხოვნი ქალი ან ნიშან-ზიტანილი ქალი მამამ რომ გაუთხოოს და ან სხვამ კაცმან წაართვას, ზესამედი სისხლი მისცეს. თუ მაგაზე შესცილდენ, რომ არ მამითსოებიაო, ისევე იმავე მოწმითა და ჯერით გაარიგონ.

78. თუ მამამ შვილი მოკლას ან შვილმა მამა, მაგისი სისხლი და სამართალი არ დაიწერებოდა და რჯულის კანონით უნდა გარიგდეს.

[78¹]. თუ მამამ შვილსა სცეს ან ავნოს რამე; ვერას შეუა — ან უამებლობისათვის უზამს და ან სწავლისათვის, მამის უამებლობა შვილისაგან არა ვაძას.

თუ შვილმან მამა ან გალაჯა, ან უკადრისი რამ ჰკადრა, იმას აკად მოპყრობა უნდა, ამიტომ [რომე] შეათე მცნება მამისა და დედის პატივის-ღება არის**.

79. აგრევე მოკდება, დედ-მამაში სხეაც რამ უმართებულო მოკლეს⁴. თუ გამოჩნდეს, კათალიკოზმა და მეფემ გარდააქდევინოს; თუ არ გამოჩნდეს, მოძღვარმა იცის მისი საქანონო.

¹ უძრახი B. ² გვართით A. ³ იმ A. ⁴ მოხდება A.

* „ამგვარს კაცსაც... მართებს“ — მიწერილია A-ში ვახტანგის ხელით, ხოლო B-ში არ არის.

** შდრ. მეორე სჯული, 5, 6.

80. იქნება მამა-შვილიც გაყრილიყვნენ და გაყრაში განაყოფსავეთ ჩხუბი და ცილება მოუტდესთ, მაგრამე შვილს მამის უპატიურობა [ჟჟჟჟ] არ მართებს, ბატონთან ილაპარაკონ და ისრე გარიგდენ.

თუ, ვინ იცის, შვილმა მამაზე¹ ურიგო დააშაოს, როგორც დაგვიწერია, ისრე გარდააგდევიონონ [იხ. მუხლ. 78].

იქნება მამას შვილი ერთიმეორეზე ან უღონობისათვის, ან სიავისათვის სიულდეს² და სჩაგრევდეს და სხვას შვილს უფრო ჰქერტევდეს, მამა ნუ უზამს, არა გამს—უფროსი უფროსად იმყოფოს და უმცროსი—უმცროსად.

ესეც იქნება, სიცოცხლეში მამამ რომელსაც შვილს ან იარალი და ან საქონელი³ მისცეს, ერთიმეორეს ვერ უტყვენებს. სხვა რაც სიკუდილს უკან დარჩება, ის სასწოროო საძმო არის.

81. თუ ძმამ ძმა მოკლას, არც მისი სისხლისა ვიციით, ჩვენთან დიად მიძიმე არის, და თქვენ იციით.

მაგრამე თუ შვილი ჰყავს, სისხლი და ნახევარი გაუჩნდების. და კათალიკოზისა იმან იცის.

თუ უნდა გაყრილი ძმა იყოს, თუ უნდა გაუყრელი, შვილი თუ დარჩა, აიღებს. გაყრილი ვისთანც არის, ის აიღებს, და მართო არის, იმის სისხლს ვინ აიღებს?

თუ დაქრას ან დააშაოს, მისიც სისხლი მისცეს, ან [თუ] გალაგოს.

ესეც არის. უმცროსი ძმა და უცოლშვილო რომ იყოს, სამუშაოს უარისათვის ან ყმის [ჟჟჟჟ] რბევისათვის კელი შემოკრას ან ერთი-ორი ჯოხი რომ⁴ დაქრას, არაფერი არის, მისი სისხლი არ გაჩნდებოს.

მაგრამე ვინც,—ან ძმა, ან სხვა კაცი,—უწინ ჩხუბს აშლის და მიზეზი შეიქნების, იმისი სისხლი ნაკლებია.

82. თუ ძმამ და მოკლას⁵ ან დამ ძმა მოკლას, ჩვენ იმისი სამართალი არ ვიციით, მისიც მედემ და კათალიკოზმა იციან⁶.

83. თუ ძმამ ძმისა და ან სახლის კაცის მხლებელი გააწბილოს, თუ⁷ დასთმობს ძმობითა, კარგი არის.

და თუ არ დასთმო და აღარც მხლებელი ინდომა, გააგდო ან გაახეიბრა, ერთის მსახურის სისხლი მისცეს, და თუ ინდომა, ისრევე ერთის გლეხის სისხლი მისცეს.

[ცოლის წაგვრისა და დაგდებისა ასრე იქნას]

84. თუ კაცმან ცოლი წაგვაროს კაცსა, ასე რომე დედაკაცი მისის ნებით გაყუეს, იმ დედაკაცის ქმარი რასაც გვარისა იყოს,

¹ შვილმა ჩაჩხუე] მამამ შვილზე B. ² სიულდოდეს B. ³ საქონელი] + რო-
 ელსაც A. ⁴ რთე]- A. ⁵ მოკლას]- და A. ⁶ იცის A.

მისი სისხლის ორი წილი გარდაიქადოს, და რაც პირველის ქმრისა გაეტანოს, ისიც უკლებრივ მისცეს.

თუ რამ თავისი ზითევი გაეტანოს, ქმარყოფილი იმას ნულარ სთხოვს. თუ რამ ზითევი პირველს ქმართან დარჩომოდეს, ის დედაკაცი ნულარ ითხოვს, რაგინდ შეილიც არ დარჩომოდეს.

აგრევე, თუ რამ სამამულე ზითევი დარჩომოდეს, მისი არის, რომ [ჰ00V] პირველს ქმართან შეილი დარჩეს; და თუ არა, სანამდინ სისხლს მისცემდენ, პირველს ქმარს გვიროს. რაცან სისხლი მისცეს, ის მამული იმ ქალის სამშობლოსი არის, თავის დას უნდა მისცენ.

85. თუ დედაკაცი ძალად მოიტაცოს და წაიყუანოს, ეს გამოჩენილი შეიქნება, ულაშქროდ ვერ წაიყუანს, ვერც დიდი და ვერც ცოტა. მაშ, ლაშქრით თავს დასხმა იქნების¹. იმისი ასრე იქნას.

იმ ქმარყოფილს წაწყვანმან ორი [წილი] სისხლი მისცეს, მიწდომისა და ძალად წართმევისათვის ერთი მთელი სისხლი მისცეს, რომ შეიქნების ყველაყა ერთი მთელი სისხლი, კიდევ მთელის სისხლის ორი წილი.

წანაღებისა ასრე იქნას. წამღებმა, რაც დიფაცოს, ამის მეტი არ წამილიაო, ისრევე შემოაქციოს. მზითევი რაც თან გაჰყოლოდეს ან იქ დარჩომოდეს, როგორც დაგვიწერია, ისრე ქნან² [იხ. მუხლ. 83].

86. თუ კაცმან კაცის ცოლთან ბოზობა შეიმთხვიოს და გამოჩნდეს და მისმან ქმარმან ცოლი დააგდოს, მქნელმან მის პატრონს მთელი სისხლი მისცეს; და თუ არ დააგდოს და ისრევე იცოლოს, ნახევარი სისხლი მისცეს. თუ მოსტაცოს და წაიყუანოს, მთელი სისხლი მისცეს. მზითვისა, როგორც ზეით სწერია, ისრე უნდა იქნას [იხ. მუხლ. 84].

თუ იმ³ ქალთან საავოდ არა⁴ ყოფილიყოს და აშა თქუას, როგორც დაგვიწერია, ღიციოთ თავი იმართლოს.

[ჰ01R] 87. დედაკაცმან სხვას დედაკაცს თავის ქმართან წასძახოს, რომე ჩემი ქმარი შენთან არისო, და იმ დედაკაცის ქმარს გააგონოს, და იმ კაცმან ამ სიტყვისათვის თავისი ცოლი გაუშვას მაშინვე, ბოზობისოდენი სისხლი წამძახებლის ქმარნა მიაცეს.

და თუ მაშინ არ გაუშვას, ცუდის დედაკაცის ნათქუამს სიტყუას არას გამოევიდოს და თავის ქმარმან მუუნდოს; და მერმე მას უკან კარგა ხანი გამოვიდეს და მაშინდელი წაცახილი ქმარმან

¹ იქნება A. ² ქნას B. ³ იმ]—A. ⁴ არ A.

ცოლს დააყვედროს და აღარ ინდომოს, უდროოს დროს გაშვება¹ იქნება, კაცი ტყუის და ველარ გაუშვებს.

[მოკვლისა საქმე ასრე იქნას]

88. თუ კაცმა მამულის ცილებაში მამულის პატრონი მოკლას, გასინჯოს მოსამართლემ, და თუ კაცი ტყუილად შესცილებია და ისრე მოუკლავს, ერთნახევარი სისხლი მისცეს.

თუ შემცილებელი² მოკუდეს, სისხლის ორი წილი მისცეს, ამიტომ რომ სხვის მამულისათვის რატომ შეაკუდა?

თუ მართლა შესცილებია და ისრე მოუკლავს, სისხლიც მთელი უნდა მისცეს³, და რაზედაც შეცილებულან⁴, ის მამულიც იმ მკუდრისა შეიქნების.

აგრევე სხვას საქონელზე რომ შესცილდენ, მისიც ისრე იქნას. მაგრამ⁵ ცოტას საქონელზე და მამულზე კაცმა კაცი არ უნდა მოკლას, და თუ მოკლას, მოსამართლემ უნდა გაუცნელოს.

[301v] 89. თუ ყაზახმა კაცი მოკლას მზირობით და გამოჩნდეს, თუ მეფემ არა უკითხა რა, სამ წილად სისხლი მისცენ. და თუ მზირი მოკლან⁶, მისი სისხლი არ არის.

90. თუ კაცს კაცი დაუჭირავს და უპატიურად მიჰპყრობია და ისრე გაუშე[ი]ა ან საუკადრისო რამ უკადრებია და გაუშვია, მერმე იმ ავადმპყრობილს⁷ მომპყრობელი⁸ მოუკლავს, გასინჯეთ, თუ მართალი იყოს, სისხლი შეუფარდეთ და მიაცემინეთ.

91. თუ კაცს კაცი გაგინებოდეს და მერმე ის გაგინებული⁹ კაცი მამკუდარიყოს, მისი სისხლი უფრო სუბუქი იქნების. თუ არადა გინებითაც ეს უწინ გაგინებია და სიკუდილითა თუ დაჭრითაც ამასვე უქნია. მაშინ სისხლი უფრო გაძნელდების.

[91¹] ამ სიკუდილებს რომ ვსწერთ, ღ¹⁰ თნ ნუ ქნას, ამდენი¹⁰ სიკუდილები მოჯდეს, მაგრამე ან დაიჭრას, ან ეცეს, ან უპატიურად მოეპყრან¹¹ ერთიმეორეს, ყველა ამავე რიგად¹² უნდა გა[ა]სამართლოთ, დიდი—დიდობით, ცოტა—ცოტაობით.

92. თუ ფათერაკად კაცს კაცი შემოაკუდეს ან შემოეჭრას, ან დაწავდეს, რისაც ფათერაკით, რომ იმ კაცს არ ნდომოდეს, ცხენით თუ იარაღით, [302r] ასე რომ ან ცხენმა თავი წაართვას და შეეძგროს, ან გავარდნაში შეიძგერნენ, ან ნადირს თუ თოფი

¹ გაშვება)+ არ B. ² შემაცილებელი A. ³ მისცენ A. ⁴ შესცილებულან A. ⁵ მაგრამ A. ⁶ მოიკლა B. ⁷ ავადმპყრობლის A. ⁸ მამპყრობელი A. ⁹ გამგინებელი B. ¹⁰ ამთენი A. ¹¹ მოეპყრას A. ¹² ამგვარად B.

ან ისარი შესტყორცოს და კაცს მოხუდეს, ან თამაშობაში აწყინოს რამე, ბევრი ფათერაქი სხვა არის, ამისი ასრე არის.

ცხენისაგან მოჭდების სიკუდილი თუ იარაღისაგან, ის ცხენი, ის მკულელი¹ იარაღი მიეცემის. და იქნების, მკუდარს სამარხი და დაქრილს სააქიმო გაუჩნდეს.

თუ ნადირს შესტყორცოს და კაცს მოხუდეს ან ფრინველს შესტყორცოს და კაცს მოხუდეს, ან ყაბახს ესროლოს და² ისარი³ კაცს დაეცეს, ამგვარს ყველას ფათერაქი ქვიან.

ყაბახის მსროლელს კაცს ისარზე პირი არ უნდა ესხას, სისხლი ამიტომ მიეცემის.

ამაგებს მთლად არა, საფათერაქო სისხლი უნდა მისცეს.

93. ღვინოში რომ კაც⁴ ან კაცი შოკლას, ან დაქრას თუ რაც უყოს, მთელს სისხლზე თუ არ ზეტი. ნაკლები არ მიეცემინების⁵, ამისთვის რომ ის, [რომ იცის ღვინოში აჩქარებული არის, რატომ დაღვეს იმდენს⁶, რომ ანგვარს საქმეს აქნევიან⁷?

94. თუ კაცს კაცის ვალი ენართოს; მივიდეს და სთხოვოს, და შუღლი გამოერიოს, და ერთნა მეორე ან მოკლას, ან დაქრას, ასრე იქნას.

[302v] თუ მოვალემ საქონლის პატრონი მოკლას; ერთი სისხლა და ნახევარი უნდა მისცეს და თავისი ვალიც უკლებლად.

და თუ ის მოვალე საქონლის პატრონს შემოაკუდეს, იმას მთელი სისხლი განოურთვან და ვალიც სისხლში გაუნგარიშონ.

95. თუ კაცმა თავისი ყმა ან მოკლას; ან გაახეიბროს, თუ დანაშაულზედ უქნია, მით ბატონისაგან და კათალიკონისაგან საწყენი⁸ არის, ამიტომ რომე უჭელმწიფოს კაცს თავისის ყმის სიკუდილი და გახეიბრება არავის ჯელეწიფების. რომელიც მაგვარი სასიკუდილო და ან გასახეიბრებელი დანაშაული ქონდეს, ჯელმწიფეს მოაჯსენოს და მისის დასტურით უყოს⁹.

და თუ მოუჭდეს და ქნას, ყმა ვერას შეუა.

და თუ უბრალოდ მოკლა, გინა ფათერეკად მოსვლოდეს, საფათერაქო უნდა მისცეს და წყალობა რამე უყოს.

თუ მართალს დანაშაულზედ მოუკლავს და იმ კაცმა კიდევ მისი ყმობა ინდობა, მამულს ვერ მოუშლის და სისხლიც უნდა მისცეს.

და თუ იზისი ყმობა აღარ ინდობა, სისხლი არ უნდა გამოართვას, თავისის ცოლ-შვილით, ვისთანაც უნდა, მივა. უწინდელი

¹ მკულელი] + და ის A. ² ესროლოს და] ესროდეს B. ³ ისარი] — A.

* მიეცემების A. ⁵ იმთონს A. ⁶ საწყენარი B. ⁷ უყონ A.

პატრონი ველარას მიედავების, ამიტომ რომე თავის სისხლით დაუჭნინა თავისი თავი [შდრ. მუხლ. 258].

თუ უბრალოდ გახეიბრდა კაცი, თავის ცოლ-შვილით, ვისთანაც უნდა, მივა, პატრონს ჯელი არ ექნების, ამი[ჰჰჰჰ]ტომ რომე თავი სისხლით დაუჭნინა.

ძნასა და სახლის კაცს, თუ არ სიკუდილისათვის, გახეიბრებისათვის¹ ვერავინ გამოართვამს.

[95¹]. კაცის შულლი და სიკუდილი თუ რასაც ფერის მიზეზი ბევრი არის, თუ სულ დაგვეწერა, ველარას თავს გაუდიდოდით და არც იქნებოდა. რომელიც მიზეზი რამ მოჰხდეს, იმავე² რიგად გაუსინჯეთ, და დიდს დიდობით და მცირეს მცირობით ისრე სისხლი გაურკვიონ³.

[სხვისი ცოლის ან შვილის გაყიდვისათვის]

96. თუ ცოლი გამოართვან და გაუყიდოს ვინმე, სამი სისხლი არის: ერთი ქალის პატრონს უნდა მისცენ და ორი ქმარსა.

მაგრამე ეს საქმე კათალიკოზმა და მეფემ დიდად უნდა მოიკითხონ, ამიტომ [რონე]—ჯერ ტყვის გასყიდვა, მერმე ცოლ-ქრმის გაყრა. ამაზე სამი სისხლი გავაჩინეთ, თუ უნდა რჯულიანზე მიჰყიდოს, თუ უნდა უსჯულოზე.

97. თუ კაცმან კაცს შვილი გაუყიდოს, გინა ქალი, და გამოჰნდეს, მართლა გაეყიდოს, სისხლი ხომ ზეით დაგვიწერია და ასრე იქნას [იხ. მუხლ. 95].

თუ სწამოებდეს და მართლობით არა ჩნდეს, ან ფიცით, ან მდღურით გაიმართლოს⁴ თავი.

და თუ ვერ გაიმართლოს¹ თავი, ეს შეიტყვეით, სჯულიანზე მიუყიდნია, თუ უსჯულოზე.

თუ ქრისტიანზე მიუყიდნია, მთელი სისხლი უნდა მისცენ, და თუ დასაჯნელად ჯელი მიუწვდებოდეს, დააჯსნევიონ.

და თუ უსჯულოსათვის მიუყიდნია, ორი სისხლი უნდა მისცეს, ერთი ჯორცისა და ერთი სულისა. კათალიკოზისაგან⁵ გარდაქდევინება მან იცის. აგრევე ძმის გასყიდვაზე იქნას.

მაგრამე მეფისაგან ტყვის გასყიდვაზე დიდი გამოკიდება და ნასალი უნდა.

¹ გაბარებისათვის B. ² ანაე A. ³ გაართმართლოს A. ⁴ იმართლოს A. ⁵ კათალიკოზისა A.

* ამ მუხლის ტექსტი ორივე ნუსხაში მიწერილია 115 მუხლის ბოლოს, მაგრამ უცაოთებულოდ; მისი ადგილი აქ არის, რადგან აქ მთავრდება მკვლელობის შეხთხევების ჩამოთვლა.

[303v] ძ. აძა კარი—დასაწყისი გაყრისა. და მითმანეთის
დაშორებისა თუ ვით უნდა

98. უკეთუ ძმანი ანუ მამა-შვილნი, ანუ ბიძა-ძენი, ანუ ბიძა-მეილნი, გინა სხვა ნათესავნი, ერთსახლნი და ერთად შემამულენნი, ველარ მოთავსდენ და გაიყარნენ, ამ წესითა და რიგით არის მათის დაშორების რიგი.

როდესაც სახლის ჯალაბნი აიშალნენ და დაშდურდენ, მოყვარემან და ყმამ მათი აშლა შეიტყონ, და თითქმის ბატონთანაც მიაწიონ, და მათი საქმე მოჯსენდეს, მანამდინ არ გაიყარნენ და ან ისრეკ კარგად ერთსახლობა არ მოუწდეს, ნურც ყმასლა არბევენ და ნურც ჰურსა და ღვინოს ურიგოდ ხარჯვას დაუწყებენ¹, თორემ, თუ გაყრა მოუწდებისთ, ერთმანეთს უანგარიშებენ და ცუდად არ შერჩებისთ.

როდესაც მაგაზე გამოჩენილი შეიქნან, რომე აიშალნენო და ველარ მოთავსდებიანო, ბატონმა კაცი უჩინოს, ნულარც მამულს არბევინებს, ნულარც ურიგოდ ახარჯვინებს.

ბატონმა უნდა დაიბაროს², უფროსი სწვართოს და დაახედოს³, უმცროსი დატუქსოს; თუ ყმანი სწხუბვედენ, ავად მოეპყრან, ნუ მოიშლებით, ნუ გაიყრებით-თქო; ამგვარები დაახედონ, უჩინონ თავის მოყუროთ, კარის კაცით, გაუყრელობას ეცადნენ. და თუ არ იქნას და არ დაიშალონ, ასრე გაჰყარონ.

[304r] 99. ადამს აქეთ⁴ ქუეყანა გაყრით არის მოშენებულნი, რომ არ იქნას, არც იქნების. მაგრამე, ზეითაც დაგუიწვრია, მოსამართლეს თავად ყოველს სამართალში სიფრთხილე⁵ და უქრთამობა მართებს, და ნამეტნაეაუ ანაში, რომ გაყრა ძნელი საქმე არის. და გარდაწევას, სარწლობას, ქრთამს, უსანართლობას მოსამართლე დიდად უფრთხილდეს⁶ და ერიდებოდეს.

100. გაყრაში ეს ოთხი არის: საუფროსო, გასამყრელი, საუმცროსო და საშუალო.

საუფროსო ასრე არის და ასრე უნდა. რისაც ან აზნაურისა⁷, ან გლეხისა პატრონნი იყუნენ, უბამულოს, ბოგანოს გარდაისად ყუელა მეფის მდივანსა აანუსხვიონ, იანგარიშონ. რამ-

¹ ხარჯვას დაუწყებენ] ხარჯვენ A. ² დაარბიოს B. ³ და დაახედოს] დახედოს B. ⁴ აქათ A. ⁵ სიფრთხილე A. ⁶ უფრთხილდეს A. ⁷ აზნაურიშვილისა B.

დენიკ კომლი¹ დადგეს, ოცს კომლზე ერთს უკეთესს, რომელიც უნდა. უფროსი გამოირჩევს და ერთს უარესს—სხვა ძმები, რომელიც იმათ უნდა, იმას ნისცემენ². და რამდენიც³ ოცი კომლი ეყოლების, ყუულაზე ასრე იქმონენ. დარჩების ბოგანო და იმაზედაც ასრე უნდა იქნას.

მაგრამე ბოგანო აწას ქუიან, რომე ვენაჟი არა ქონდეს, თვითო სახლი და რჩობის ალაგი ექნების, და მიწა ან ექნების და ან არა. ამგვარი [304v] ბოგანო იმ ზეითს გლახებში არ ჩაითვლების, ამაზე ცალკე უნდა⁴ ააღებინონ. ვენაჟის მქონეს გლახს ბოგანო არა ქუიან, რაგინდ სხვა მამული ნაკლებად ქონდეს.

101. გასამყრელო ჯელმწიფისა არის. რა რომ უფროსი საუფროსოს აღებას გაათავებს⁵, მერმე ოცისთავს, როგორც ჯელმწიფეს ეპრიანების, იმისთანას გლეხს აიღებს, თუ უნდა ერთს ალაგს, თუ უნდა დაფანტვით; იქნების, დიდს თავადზე სოფელიც აიღოს.

მაგრამე ეს გასამყრელო ასრე ჯელმწიფისა არის, რომე როგორც თავისი სახასო, ისრე ეს არის. ეპრიანების, თვითან დაიჭერს; იქნების, სხვას უბოძოს; იქნების, იმათშივე ერთსა და ერთს უბოძოს, და იქნების⁶, ორთავ აქრთამებინოს ერთად, ისი სჯობს. აზნაური-შვილზედაც აიღებს გასამყრელოსა, და თუ ეპრიანება, არ აიღებს.

102. საშუალო ასრე არის: აქამდინ შუას ძმას არას მისცემდენ, თუ არ დიდად მოჭირნახულესა, მაგრამე ახლა მეფემან პატრონმან გიორგიმ განაწესა, რომე შუათანას ძმებსაც ერთს რასმე მისცემენ. თუ სამი და ოთხი შუათანა ძმები არიან, ამ გლეხების ოცისთავი იანგარიშონ, რამდენიც⁷ კომლი დადგეს, ის შუათანას ძმებს გაუყონ ერთი მეორეზე; რომელიც უფრო მოჭირნახულე იყოს, ისრე გაუყონ.

[305r] 103. უმცროსი ძმისა საუმცროსო—სასახლე:

რომელიც მამისა, გინა ძმათა სასახლედ შემოუფარგლავთ ანუ ფუცედ⁸ დაუჭირავთ, იმაში რაც შენობა უქნიათ, ყუულა უმცროსისა არის; შიგ რაც ბალი იყოს და დაჰყუების, ისიც მისი⁹ არის. და გარეთ—ქალო-საბძელიცა.

კოშკი თუ არის, გასაყოფი არის, მაგრამ უმცროსს ფასი უნდა გამოართვან და დააჯსნევიონ.

ქუევრის საუფროსო აიღების და სხვა ქუევრი ძმაზე უნდა გაიყონ.

¹ კვალი A. კვალი B. ² მისცემენ B. ³ რამდენიც A. ⁴ უნდა]—A. ⁵ აღებას გაათავებას] გაათავება A. ⁶ იმათშივე... იქნების]—A. ⁷ რამდენიც A. ⁸ ფუცე A. ⁹ მისი A.

ამ სახლის ზომები სასახლის ადგილი, რამდენიც ძმანი არიან, ყველას უნდა მისცენ ან იმავე სასახლის გარეწემო და ან ხოდაბუნში; ან საგლებოს ადგილიდამ¹. ზვარში არ მიეცემის.

იქნების, სასახლედ დაჩემებულს ალაგს და გალავანსა, და თუ უნდა გალავანი არ ევლოს,—სასახლედ დაჩემებულს ადგილს გარდაისად, სხვაგან სასახლე ააშენოს რომელმაც ძმამ, იმასთან უმცროსს ჯელი არა აქუს.

[103¹]. თუ დაკარგული მანული იშოვნა რომელმაც ძმამ, გინდა უფროსი იყოს და გინდა უმცროსი და გინდა საშუალო, რომელიც ისრე გამოჩენით იშოვნის, რომ მისის სიკეთით შეემატნოს², იმაზედ ოცისთავი საქირნახულო მიეცემის.

[103²] [305v] ციციბეილების მეტში ზერისა და ხოდაბუნის საუფროსო არვისაში არ არის. იმათაც ძველობით, ფიცით გაუტანიათ და მისთვის დარჩომილა.

[103³]. აყრილს გლებზედაც საკომლო არის,—რომ დარჩების, მის საუფროსოსაც აიღებს. აყრილის კაცის საკომლო ფისაც ერგების, გლებიც იმასვე უნდა მიუიღეს. და იქნების, ასრეც გარიგდენ; ვინც მოვიყუანოთ, მისი იყოსო⁴.

[103⁴]. იქნების, გლები ოცი არ ყუანდეს, ან მეტი, ან ნაკლები იყოს; და იმისი საუფროსოს მიცემა ან გასამყრელოს აღება, ან საშუალოს აღება გაკირდების. ამას კარგა გასინჯვა და მოსამართლისაგან გარკვევა უნდა, ჩათულა და ანგარიში უნდა.

იქნების, ამდენი გლები იყოს გამორჩეული, საუფროსო ერგოს და საუაოესო⁵ აღარ მისცენ; იქნების, არც გამორჩეული მიეცეს და არც უარესი. შუათანა, გლები მიეცეს; ან არა—ორი: ერთი, რომელიც კაი გლებია⁶, დააგდონ და ისრე სხვაში აარჩევიონ⁶. ამას კარგი გასინჯვა უნდა.

104. სხვა რაც გასაყოფი გლები დარჩების, მისი ასრე უნდა. რამდენიც ძმ[306r]ანი არიან, იმდენი⁷ კომლი და კომლი უნდა შეაფარდონ, რომ ყუელანი დასჯერდენ, რომ სწორი ფარდი არისო, და რომელიც მერგების, ვჯერვარო.

ეს შეფარდებული⁸ მდივანან სწორეს, ერთსნაირს ბარათზე უნდა დაწეროს, სწორედ წაკვეციოს, დაკვეცოს, რომე ერთიმეორეზე მეტობით⁹ არ იცნობოდეს.

¹ ადგილიდამი + და B. ² შემატოს A. ³ იყოს A. ⁴ საუმცროსო A. ⁵ გლები A. ⁶ არავეინონ A. ⁷ იმთონი A. იმდენად B. ⁸ შეფარდებიული A. ⁹ მეტობით) უფროს უმცროსობით A.

მეფე, თუ ვინც მოსამართლე ბძანდებოდეს, იმან ჯელისა-
ჯოცში უნდა ჩაყაროს, აურიოს, ამოიღოს და თვითო-თვითოს
გარდუგდოს. რომელიც რომელს ერგოს, მდივანმა ზედ მოუწე-
როს. მაგრამე გარდაგდება რიგით უნდა, რამდენიც ძმანიც იყუნენ,
შეთარდებით.

იქნების, ძმებში სულ ერთმან, მცოდნემ ძმამ შეაფარდოს¹,
იქნების, რიგით შეაფარდოს², იქნების, ყმამ შეაფარდოს³,—რად-
გან ბარათს შეყრიან, არა იცის რა.

რჩევაც იქნების,—ჯერ ერთმან ირჩიოს შეფარდებული და მერ-
მე რიგით ყუელამ ირჩიოს.

[104¹]. ზვარსა და ხოდაბუნს გარეთ ბალი, წისქული, ბოს-
ტანი. რაც გლეხის გასაყოლად დარჩების რამე, გლეხზედ არ და-
ადვან, ყუელა გასაყოფი არის.

105. იქნების, ზოგს ძმაში სათავისთაოდ⁴ ნასყიდობა იციან;
ან ზანდილოსანი თავისის მზითვით იყიდის რასმე მამულსა. ამისი
გასინჯვა უნდა. თუ [306v] სასახლოსა და მამულის გამოსადებით
არ არის ნასყიდი⁵. და წიგნში და სყიდვაში არას გარეულა, არას
ემართლებიან; თუ არადა, საერთოდ უყიდნიათ და ერთი იქნების⁶.

106. სასათლაო, ხატი, ჯვარი, საყდრის მამული ერთია. თუ
არ გაპყოფენ, ისი სჯობს, საყდრის ყმასა.

107. საქონელი გაყარაში რაც ქონდესთ, ან მამისა, ან დე-
დისა, ან უშვილოს ბიძისა თუ ძმისა, ასეთი რომე სიცოცხლეში
არ მიეცეს თავ-თავისათვის⁷ და ისრე საერთოდ დაეგდოსთ, იმისი
ასრე იქნას.

რომელიც საერთოდ სასახლოდ ან ქრთამად, ან ბატონზე,
ან საერთოს ძველსა და ახალს ვალზე დახარჯულა, ის ჩავლილი
არის. რაც ალაგს არის, სამშო არის.

თუ ერთს მეორეზედ უფროსი სათავისთაოდ დაუხარჯავს,
იმისი პაპუხი უნდა გასცეს. ზითევი თავთავისი არის; თუ რამ სა-
სახლოდ დახარჯულა, პასუხი უნდა მისცენ.

108. თუ უფროსი ძმა უშვილოდ ამოვარდა, საუფროსო მისი
შედევსა⁸ არის; და თუ შვილი დარჩა, შვილისა არის. აგრევე,
თუ უმცროსი ამოვარდა და შვილი არ დარჩა, საუმცროსო სხვა
ძმისა არის.

[307r] 109. ძველი რიგი ასრე არის. სანამდინ ძმანი ერ-
თად არიან, კირი, ლხინი, საშოვარი, უშოვრობა, წანართმევი თუ ნა-

¹ შიფარდოს A. ² შიფარდონ A. ³ შიფარდოს A. ⁴ სათვითოოდ A.

⁵ ნასყიდი—A. ⁶ იქნება B. ⁷ თავთავისთვინ B. ⁸ შემდეგისა B.

ბოძები, ნაპოვნი თუ დაკარგული, რაც რამ ფერი, ყუელა¹ ერთი არის, ძმურად—უფროსმან—საუფროსო, უმცროსმან—საუმცროსო, ასრე ყოფილა*.

ახლა ასრე არის. თუ თავისის ნაშოვნის საქონლით ან იშოვნა რამე, ან იყიდა, მაგდენს¹² წილს ემათათვის არას მიაცემინებენ.

მაგრამე ძმებს¹³ ან ვალისაგან, ან სისხლისაგან, ან სხვის რისგანმე ნაქნარი საქმე გაუქირდეს და ვალი დაედვას, და მამულის გასყიდვის მეტი ღონე არა ქონდეს, მეორეს ძმას ქონდეს რამე, თავისი წილიც იმან მისცეს—ის მამული იმისი დაჯნაილი იქნების, სხვათ ზელი არ ექნების.

110. ნაბიჭურის წილი არ არის მამულში.

თუ თავის ძმებს ეყმობა, სხვათ ზელი არა აქუთ, არც ბიძასა და არც ბიძაშვილსა, ძმებმან ერთის ყმის ალაგს² უნდა არჩინონ. და თუ არ უნდა ძმებთან ყოფნა, იმათთან არაფერი წილი არა აქუს. ვისთანაც უნდოდეს, წავეიდეს³, ძმებს პასუხი არა აქუთ. და თუ ძმებს ეყმოს, მმათ სიტყუა არა აქუსთ⁴, უნდა არჩინონ ყმურად.

და [307v] თუ ქალი არის, უნდა გაათხოოს და გაქმნითოს ყმის ქალსავეით. და თუ ენამუსების, ნამუსიანი კაცი ამას ხომ არ იკადრებს, კარგად არ გაისტუმროს!

თუ ერთი ძმა ამოვარდა და ბუშის მეტი არა დარჩა რა, ჩვენს სამართალში ძმებმან ერთის ყნის მამულის ოდენი მამული უნდა მისცენ⁵. თუ უნდოდეს. იმათთან დადგეს, და თუ უნდოდეს, ბატონს ეყმოს. მაგრამე საქონელიც უნდა უწილადონ ბიძაშვილებმან.

მამას თუ ან ბუწისათვინ და ან მართლის შვილისათვინ⁶ სიცოცხლეში მიუცემია რამე, ის არ ჩაეთვლების, მიწია, ვისთვი-ნაც მიუცემია.

111. თუ კაცმან^{6a} მამული რამე იყიდოს, გინა სხვა რამე, თავიანთ ანუ საერთოთი, მისი ასრე არის. თუ ან ძმა, ან სახლის კაცი წიგნში სწერია, გაყრაში წილი დაედების⁷.

მაგრამე, თუ იმ კაცს სასახლო არა დაუხარჯავს რა და თავისის საქონლით უყიდა, იმ სხვას ძმებს, როგორც საქონლის წილი შეხუდეს და გამოიღოს, იმ ზომით იმ ნასყიდის წილი დაიდვან.

112. თუ ნასისხლი რამე არის, სწორედ უნდა გაიყოს.

მაგრამე რომლის[308r]აც ნასისხლი არის, ან შვილი, ან მამა მომკუდარა⁸, იმას უფროსი⁹ წილი დაედების.

¹ ყულა. ¹² მაგდენს AB. ¹³ ძმებისაგან A. ² ადგილს B. ³ მივიდეს A.

⁴ ძმათ სიტყუა არა აქუსთ—A. ⁵ მოსცენ AB. ⁶ მართლის შვილისათვინ] მართლისათვინ B. ^{6a} + კაცმან. ⁷ დაედება A. ⁸ მამკუდარა A. ⁹ უფრო A.

* ამ მუხლის პირველი ნაწილი ხელნაწერებში შეტანილია 108 მუხლში.

113. უშვილო კაცი, ძმა იყოს ვისიმე¹ თუ ბიძა, გინა ბიძა-შვილი, გაყრა ზოინდომოს, თავისი წილი და კერძი არ დაეკირვის. და თუ სახლის კაცი გაიტანა რომელიმე და გაჰყვა ვისმე, ვისთანც მოკუდების, მისი მამული და ქონება მას² დარჩების. თუ უშვილოდ მოკუდა, სხვა ძმები და ბიძაშვილები ვერას მოედევებიან და ვერც არას შეუვლენ.

და თუ³ ცალკე გავიდა და არავისთან დადგა და უშვილოდ ამოვარდა, მისი ნაძული ღელმწიფისა არის, ვისაც უნდა, უბოცებს.

114. რუს სარწყავს წყალს, როგორც მამულს გაიყოფენ ძმანი, ისრე წყალი იმდენ ნაკადულად გაიყოფის.

115. სულადს ასრე გაიყოფენ. ყმასა და მხლებელს გარდა, პურს, რამდენიც არიან შვილი თუ შვილიძეილი, ნაბიჭვარი, ყველაზე მისცემენ. ღვინოს, რამდენსაც სახლიშვილს მუმის თავს დგომა შეუძლია, ისრე ბარზედ გაიყოფენ.

თუ ბერი ყავს ვისმე და სატელო არა აქვს, სულადი იმასაც მიეცემის*.

[308v]. ქაკი—პიჩხელი, ვაღისა თუ როგორც აიღვიის

116. ვაღისა ეს მოგაჯსენოთ, რომე ქართლში კითხვა აგრერი-გად არ ყოფილა. ამ ახლო ხანებშიაც¹ თუმანი თვეში ხუთ აბაზათაც მისცენია, ოთხ აბაზათაც, სამ აბაზათაც, ათ შაურათაც, ორ აბაზადაც, ხუთ შაურათაც, აბაზადაც, სამ შაურადაც, ორ შაურადაც, ამაში, დიად, ბევრ გვარიც ქნია. ასე რიგად მიცემაზე სარგებლის სარგებელიც აღებულა,—რამდენი წელიწადი დაგვიანებია, იმდენი⁵ სარგებელიც გამორთმევიათ.

117. პური ერთიორათაც ვაცემულა, ერთისამათაც, ათი თხუთმეტათაც. და ამავების სარგებლის სარგებელიც აღებულა. მაგრამ ძალი და უსამართლო⁶ არის, და ღთის საწყენი კიდევ უფრო არის.

[309r] 118. ღვინო ერთისამათაც აღებულა, ერთიოთხათაც და ერთნახევრადაც, ათი თხუთმეტათაც. ამისი სარგებლის სარგებელიც ბევრს აუღიათ. მაგრა ესეც ბევრი არის და ღთის წინაშე და სახარების გარდასულა.

119. ერთი რიგი ვალი ეს არის, რომე სამს აბაზს თეთრს მისცემენ, და სანამდინ ის თეთრი აქუს, ახალზე თვითო კოკა.

¹ ვინმე A. ² მას+ კაცს B. ³ თუ—A. ⁴ სანებშიაც B. ⁵ იმდენიც A.

⁶ უსამართლო A.

* ამ მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც მკვლევლობას ეხება და აქ სრულად უადგილთა, გადავიტანეთ თავის ადგილზე (იხ. 95¹ მუხლი).

ტყბილი უნდა აძლიონ სარგებელი. თუ პურზე შერიგებულან, მარჩილისათვის¹ ოთხი კოდი პური სარგებელი უნდა აძლიონ². მაგრამე დიად ძალი არის.

არის კიდევ მარჩილი ასრე გაცენული, რომე³ მარჩილის⁴ სარგებლად ოთხი მუშა უნდა უნუშაოს ან მარჩილის თავს⁵ წელიწადში ერთი⁶ აბაზი სარგებელი მოსცენ.

აწ კოკისა და კოდისა წონისა მოგავსენოთ⁷

120. ადგილი არის, კოკა რვა ლიტრა არის, ადგილი არის⁸—ათლიტრიანი⁹, ადგილი არის—თორმეტრიანი¹⁰, ადგილი არის—თექუსმეტრიანი¹¹, ადგილი არის¹², ოცდაოთხლიტრიანი^{13—14}.

121. პური, ადგილი არის¹⁵, კოდი რვალიტრიანია; ადგილია, ათიანია; იქნების, რომე თორმეტი ლიტრიანი იყოს.

[ჰსჰჰ] 122. ქერი, ადგილი არის¹⁶, კოდი რვალიტრიანია; ადგილია, ათიანია; იქნების, რომე¹⁷ თორმეტრიანი იყოს¹⁸.

123. ფეტვი, კოდი იქნების ათიანი, თორმეტრიანიცა, მეტიცა და ნაკლებიც.

124. აწ ეს მოგავსენოთ, ლიტრა რა არის, ან კოდი და ან კოკა. სამი შინალთუნისა და ათი შაურის წონა ერთი სტილი არის. ხუთი სტილი ერთი ჩარეკი არის. ოთხი ჩარეკი ერთი ლიტრა არის. აწ, ვისაც გინდათ, ამ თეთრის წონაზე:—ანისთვის მოგავსენებთ,—ერთი ლიტრა რამდენის ხაზბაშისა, გინა ქერის მარცვლის წონა არის, იზას შეიტყობთ.

საწართლიანად თეთრისა, პურისა, ღვინის გავალემა
როგორ ვამს

125. თეთრი რომ გისცეს კაცვან, თუ ძალი¹⁹ ქნა და სული სძულს, თუმანი—თვეში ხუთშაურად; თუ სული ცოტად უყუარს—აბაზად; თუ უკეთ უყუარს—სამ ნაშურად; და თუ მართლა უყუარს—ორ შაურად. სულ უკეთესი ეს არის, რომ სარგებელი სულ არ აიღოს²⁰.

სარგებლის სარგებელი არაფერის ვალისა არ გაჩნდების, არც ი[მ10r]თხოვების, არც მიეცემინების. რა რომ ერთი ორზე გარდასცილდების, სხვა სარგებელი აღარ გაუჩნდების.

¹ მარჩილისათვის—A. ² მისცენ B. ³ რომე—A. ⁴ მარჩილისათვის B. ⁵ მარჩილისათვის B. ⁶ წელიწადში ერთი—A. ⁷ მოგავსენო A. ⁸ ადგილი არის]. ადგილი A. ⁹ ათლიტრიანი] ათლიტრიანია A. ¹⁰ ადგილი არის თორმეტრიანი] ადგილია, თორმეტრიანია A. ¹¹ თექუსმეტრიანია A. ¹² ადგილი არის] ადგილია A. ^{13—14} ოცდაოთხლიტრიანი B. ¹⁵ ადგილი არის] ადგილია A. ¹⁶ ადგილი არის] ადგილია A. ¹⁷ იქნების, რომე] ადგილია A. ¹⁸ თორმეტრიანი იყოს] თორმეტი ლიტრიანი იყოს A. ¹⁹ ძალი A. ²⁰ აიღოს A.

126. პური სამართლიანად ათი თორმეტად, მაგრამე. თუ უღმ[რ]თოობა ქნას კაცმან, ათი თხუთმეტად კარგია. ამას ზეით არ უნდა მიაცემინონ.

თუ პურის ძვირობა იყოს, რომ კოდი ან ათშეურად, ან ორ აბაზათ, ან სამ აბაზათ იყოს, მაშინ ერთიორათაც მიეცემის. ქერი-სა და ფეტვისა—ასრე და¹ მგზავსად ამისა.

სოფელში გაჩენა იციან, რომე როგორც გააჩენენ, ისრე მისცემენ, მაგრამე იმას მოსამართლემ ყური არ უნდა უგდოს.

127. ღვინო, თუ ძველი ევალოს, ახალში ერთიორად მისცეს. თუ მაჭარი ევალოს, ათი ჩვიდმეტად ტკბილი მისცეს¹. და² თუ ტკბილი ევალოს, ათი თხუთმეტად ტკბილი მისცეს. თუ ძველი აულია, ისევე ძველი მისცეს, ათი თხუთმეტად კმარა. თუ მაჭარი აულია და სანაცვლოდ ან ძველი, ან ისევე მაჭარი მისცეს², ათი თხუთმეტად კმარა. ტკბილი თუ აულია, ერთიორად ისევე ტკბილი მისცეს.

[310v] 128. ღვინოზედ თეთრის გაცემა ასრე უნდა. თუ მარჩილი ერთს კოკას ტკბილზე გასცა, რომე სარგებელში ერთი კოკა ტკბილი გამოართვა, სწორე გაცემა არის. თუ არადა ამაზე ნამეტნავად გაცემა მოსამართლისაგან არ მიიცემინება, ამისთვის რომე მარჩილი წლამდინ აბაზს მოიგებს და ერთი კოკა³ ტკბილი მეტად არა ღირს.

პურზე თეთრის გაცემა

129. თეთრად მარჩილი რომ მისცეს პურზედა, იმისი სარგებელი წელიწადში ერთი კოდი და ნახევარი კმარა; და თუ გაცემა სულს პური არჩიოს, ორი კოდი კმარა; თუ არა ქნას და კიდევ უფრო სული გმოს, სამი კოდი გამოართვას. ეს ამიტომ რომ, იქნების, პური კოდი შაურნახევრად იყოს, და, იქნების, უფრო ძვირად და გინა იაფად,—იმავ ათი⁴ თორმეტსა, გინა მცირედ, უმცროსზე წავა.

თეთრის მუშაზე გაცემა

130. მუშაზე თუ თეთრი გასცეს, მარჩილი წელიწადში ოთხ მუშად ოთხს დღეს აშუშაოს. ესეც ამისთვის გავაჩინეთ: დღეში მუშა ერთ შაურად იმუშავენს და [311r] მარჩილი წელიწადში ერთს აბაზს მოიგებს, და არა უსამართლო იქნების. რასაც ხანს ქონდეს, ყოველს⁵ წელიწადს ასრე ქნას. როდესაც უნდა⁶ პატრონსა, თავის თეთრს გამოართვამს.

131. მოვალე მოვალეს რომ უჩიოდეს, თუ სამართლით ადავებდეს, თუ აქუს და ან ღონე დაედების და შოენის გზა ჰქონდეს, როგორც სარგებელი დაგვიწერია, იმრიგად⁷ უნდა მისცეს.

¹ მისცენ A. ² და—A. ³ მისცა A. ⁴ კოტა B. ⁵ ათს B. ⁶ ყოვ B. ⁷ უნდოდეს A. იმგვარად B.

და თუ მოვალე გატეხილია ან ღონე არა აქუს, ან დაობლებულია, ან თვითან დაკარგულია და ცოლი და წვრილი შვილი ყავს, ან მარტო ქალი დარჩომია¹, ან თვითან დაკარგულია და საქონლად საქონელი მოყუარეს უბარია, ან მოსაგებად არის და შინ ცოლი და შვილი ყავს და ვალის გარდაცდაც შეუძლია, ან სხვა რამ მიზეზია, — ამ წესით უნდა გასამართლდეს.

ან თუ თავდები დაუყენებია და თვითან წასულა და გაპარულა, და თავდები აქ არის, იმ რიგით² უნდა გასამართლდეს.

და სხვა მრავალი მიზეზებია, მაგრამ სულ დაწერა არ იქნებოდა, ამეგ წესით უნდა და გზით გასაზღვროთ და გაასამართლოთ.

[311v] 132. თუ კაცი³ გაღარბებულ იყოს და ვალის მიცემა აღარ შეეძლოს, დიად, დაცემულიყოს, — თავნჯედაც დაიკლება. და თუ ცოტაც არის, რომ ზეუძლია, თავნი უნდა მისცეს და სარგებელი ჩაივლის.

133. თუ კაცი დაკარგულიყოს და წვრილი შვილი ყუანდეს, და ცოლს⁴ თუ აქუს რამე, მისის შადავათით მისცეს; და თუ არა, მოვალემ იმ კაცის მოსვლამდინ დააცალოს. თუ მოკუდა, ობლების დაზღამდი უნდა მოიცადოს⁵, სანამდი ობლები თოთხმეტითხუთმეტის წლისა შეიქნებოდენ.

და თუ ცოცხალი მოვიდეს, პასუხი უნდა გასცეს.

მაგრამ კაცი რომ სხვაგან იყოს, და აქ ცოლ-შვილს თუ⁶ აქუს რამე, და ან იმ კაცს სხვა მოვალე ყავს და აღონებს, სხვა გზა არა აქუს, იმ დედაკაცსა და მის ყმაწვილებს მისის ზედლებით უნდა გამოართვან. და თუ არა აქუს, არ უნდა გასარჯონ.

134. თუ ჭერივი იყოს და ობლები წვრილი ყუანდეს, და მოვალემ ვალს თხოვნა დაუწყოს, სანამდის ობლები არ დაიზრდების, ვალი არ ეთხოვბის. და თუ ობოლსა და ქურციეს აქუს რამე, და იმ მოვალეს სხვა მოვალე ჰყავს და აღონებს, რა გინდა რა უნდა მიაცემინოს, რომე, დიად⁷, სარგებლით საქმე არ გაუჭიროს.

[312r] 135. თუ კაცი დაკარგული იყოს და აქ ცოლი და შვილი არა ყუანდეს, და საქონელი მოყუარეს ებაროს, თუ იმ მოვალეებსაც მოვალეები არ აღონებენ, არ ეთხოვბის.

და თუ იმასაც მოვალეები აღონებდენ⁸, მაშ ბატონმან თუ მსაჯულმან ასეთის წიგნითა და პირობით უნდა გამოართვას და მოსცეს, რომე, რახან ის კაცი მოვიდეს, ვეღარც მოვალედა წა-

¹ დარჩომილია A. ² ამრიგი A. ³ კაცი+ კაცი A. ⁴ ცოლი A.

⁵ დააცალოს B ⁶ თუ—A. ⁷ ერთობ B. ⁸ აღონებენ A.

ედაოს და ველარც საქონლის პატრონი მოყუარესა და ზოვალეს წაედაოს.

136. თუ შვილი ან მამისაგან, ან ძმისაგან, ან სხვის ვისგანმე ან გასყიდულა, ან დატყუევეებულა¹, იმას მამისა და სახლის ვალსა და სარგებელში ჭელი არა აქუს. და თუ ისრეე მამის ზამულზე და საქონელზე მოვიდა და ჳირიც ინდონა მათი და ლხინიცა, ეთხოვბის.

137. თუ კაცი ამოვარდეს და აღარა დარჩეს რა, რაც საქონელი დარჩეს, მალიგორად უნდა, — რამდენიც მოვალე იყოს, ისრე გაიყონ. რა გინდ იმათი ზევრი ემართოს, რაც დარჩომია², ის არის. და თუ ერთის მეტი მოვალე არ ჳყოლებია³, იმისი ვალი იმას მიეცეს და სხვა მკუდრის სულს უნდა მოეჭმაროს. მაგრამე საქართველოს რიგით ბატონიც წაიღებს.

[312v] 138. თუ ქალის მეტი არა დარჩეს რა და საქონელიც დარჩეს, ცოტა რამე სარჩო იმ ქალს უნდა მისცენ⁴ და სხვა მოვალეებს ზალიგორად გაუყონ. მაგრამე, თუ საქონელი არა დარჩა რა, ქალს არა ეთხოება რა. თუ საქონელი და ნასყიდი რამ დარჩა, მოვალეს იქილამ მიეცემის, თორემ სამკუიდრო მამულიდამ ბატონი არ მისცემს.

139. საქართველოს რიგით, ძმა თუ ძმისწული ან ბიძაშვილი გაუყრელი დარჩა, იმ მკუდრის წილი მამულიცა და საქონელიც მისი არის და ვალიც იმათ უნდა გარდიჯადონ.

და თუ გაყრილნი არიან, და რაც ვალი ერთად ყოფაში აუღიათ, და გაყრაში რომელს რომელი გაჳყოლია, ისრე უნდა გარდაიჯადონ. სხვას ერთიმეორის ვალთან ჳელი არა აქუთ. აგრეეე შვილი მამას, თუ სიცოცხლეში გაყრია, ერთობის ვალში მიუდგეების, და გაყრას უკან თუ რომელსამე⁵ აუღია, ერთიმეორის ვალს აღარ მისცენს.

ესეც იქნების, ერთგან იყვნენ გინდა ძმა, გინდა მამა, გინდა ძმისწული, ერთი და ერთი რომ მოკუდეს, თუ⁶ მკუდრის მამულს არ ინდომებს სხვა სახლის კაცი, რომ არც გარდაჯდა შეეძლოს, აღარც ვალს მისცემს.

[313r] 140. სანამდი მამა ცოცხალი არის, შვილჳან რომ ვალი აიღოს მამის უკითხავად, მამა არ მისცემს, და არც ეთხოვბის.

¹ დაუტყუევეებით B. ² დარჩომა B. ³ ჳყოლება B. ⁴ მიეცეს B. ⁵ თუ რომელანე] რომელს რომლისა A. ⁶ და A.

141. პაპას თუ პაპის მამას რომ¹ ვალი აეღოს, მისი შვილი და შვილიშვილი ბევრად გაყრილიყუნენ ან დაკარგულიყონ, იმისი წილი მამული როგორც გაეყოსთ, ისრე ვალი მისცენ. და თუ მათი მამული სხვათ ქონდეს, ვისაც ექიროს, იმან მისცეს.

142. ესეც იქნების, მოვალეს რომ კაცი ველარ აუიდეს, საქონელი არა ქონდეს, კაცი მიეცემის, — ამსაქმითა, რომ ურჯულოზედ არ გაყიდოს.

143. ვალი რომ კაცს კაცისა ემართოს, მოვიდოდეს და იჩივლოს, უნდა მოადიც მოიყვანონ, თამასუქი უნდა გაუსინჯონ, ბეჭედი, ქრონიკონი, დამწერი და მოწამე, — ამიტომ რომე ბევრს ტყუილათაც მოიგონებენ.

იქნების, რომ გარდაეგადოს, თამასუქი შერჩომოდეს ან ერთის რასმე² მიზეზით კიდევ³ წამოედოს. ესეები იქნების, მაგრამე ამას მოსამართლემ კარგა გულისყური უნდა გააეღოს და კარგად გამოძებნოს. თუ გამოძებნით შეიტყო, ხომ კარგი იქნების, და თუ ვერ შეიტყო, — ან მოწმით, ან ფიცით.

[313v] თეთრი თუ ასი თუმანი არის, ხუთს თუმანზე ორი კაცი შეუგდოს; ორისაგან ერთი იშოვნოს და ისრე შეაფიცოს. ეს ას თუმანზე ოცი მოფიცარი რომ გვიტყუამს, იქნების ას თუმანზე⁴ თხუთმეტი მოფიცარიც კმაროდეს, იქნების — თორმეტი, ათსაც დაეჯერების.

ესეც უნდა გასინჯოთ, თუ მოფიცარი უფრო დიდგვარია, უფრო ცოტა ჯამს, და თუ გვარდაბალია, უფრო ბევრი ჯამს.

144. ქალაქში მოფიცარი ამოკუთილი არის. რაგინდ დიდ საქმეს, სისხლსა თუ ბევრს ვალსა და საქონელს, ან მოქალაქე გარეშე კაცს სწამობდეს⁵ და ან გარეშე კაცი მოქალაქეთ სწამობდეს, თავკაცათ აძესთ ფიცი, მოფიცარს ერთმანეთს ვერ შეუგდებენ.

145. თუ კაცი ამოვარდეს და ვაგიშვილი არ დარჩეს, და ქალი დარჩეს, ის ქალი ვინც შეირთოს, თავისის მამის სახლ-კარი, საქონელი, მამული იმ ქალს მიეცეს⁶. იმ კაცის ვალიც იმ ქალმან და მისმა ქმარმან გარდიგადოს. თუ ის ქალიცა და მისი ქმარიც მამკუდარა და შვილები დარჩომია, ი[314r]მათ გარდაიგადონ.

თუ ქალი მამის სიცოცხლეში გათხოვილა, ვერაეინ რას შეუა.

და თუ მამას უკან თავისის ზითვის მეტი არა წაუღია რა და ისრე გათხოვილა, იმით ვერას შეუვლენ.

¹ რომ]—A. ² რასმე]—A. ³ კიდევ]—A. ⁴ ას თუმანზე] ასსზე B. ⁵ მოწმობდეს A. ⁶ გაყვეს B.

146. თუ კაცი ანოვარდეს და დედისა და დის მეტი არა დარჩეს რა, მისი ვალი დედასა და დას არ ეთხოება. თუ რამ კაცს საქონელი დარჩონია, იმით უნდა გარდიჯადონ, დედისა და დის საქონელთან ჰელი არა¹ აჭუთ.

147. იქნების, რომე კაცს კაცთან ესთიბარი² ქონდესთ, უთამასუქოდ, უთავდებოდ თეთრი ევალეზინოს, მერმე ან ლარიბობით, ან ქიშპობით მიმბარებლის³ სიკუდილს უკან მის სახლის კაცს უარი უთხრას, ჯერ გამოცენით, მოწმით შეტყობას ეცადენით.

და თუ აღარ იქნას, იმ მიმბარებულს კაცს ფიცი დაადევით,— რა ერთ საქონელის⁴ მიმბარებას ეწამებოდეს, იმთონის მოწმით დაადეცონ. და თუ იფიცოს, არ მიმბარებოდეს, არც ემართოს, არც მართებოდეს, აღარას ემართლებიან; და თუ ვერ იფიცა, რასაც ედავევის, უნდა მისცეს.

[147¹]. ფიცი ასეთს კაცს არ დაედების, რომე ან ყმაწვილი იყოს, ან ქვეანაკლები⁵, — [314v] თუ ფიცი არ იცის და არა სწამს, იმგვარს კაცს ფიცი რომ დაადვას, მოსამართლის ცოდვა არის.

მაგრამე, თუ იმის მეტი სხვა უფროსი არავინ ჰყავს და ფიცი იქნას ედების, იმას რა გაეწყობის. იქნების, მოყურით, შუა კაცით კაცმახ კაცი კარგად შეარიგოს და ფიცი არ მოაგდინოს.

148. კაცი რომ უცხოს თემს წაეიდეს და იქ შვილი, გინა⁶ იმა დარჩეს, ის კაცი იმ უცხოს ქუეყანას დარჩეს და უძლებობაზედ ბევრი ვალი აიღოს, იმაზე ძმა და სახლის კაცი არ მიუდგების. იმასეე უნდა სთხოვონ⁷, ამიტომ რომ, იმ მიმცემთან რატომ ავალა, ის [რ]ქიმ ლოთი და არხაქარი იყო?

თუ არხაქარი არ იყო და კაი მართებული ვაჭარი იყო, ზან ქურდისაგან, ან ყაზახისაგან, ან ზღვით, ან სხვას ზიანით დაეწვა, გამოიწინილი იქნების და უნდა სახლის კაცი მიუდგნენ. თუ კიდევ ამ ქუეყანას, აქ ყოფაში ერთად აულიათ, იმაშიაც უნდა მიუდგნენ.

149. კ. ა მ ა ნ ა თ ი ს ა * [მდრ. მუხლ. 243].

¹ ათავის II. ² ერთიბარი A. ³ მიწეცნის A. ⁴ საქონელს A. ⁵ ქვეანაკლები II. ⁶ ან B. ⁷ სთხიან A.

ზოგივე ხელნაწეოში ამ ნუხლის მხოლოდ სათაურია, ტექსტიკათვის კი დარღვებულია ადგილი. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ზმ. ხელნაწეოი ამ ნუხლსაც შეიცავს. მისი ტექსტი ასეთია:

„ასახათი ეს არის. კაცსა კაცს რომ თიბაროს საქონელი, ან წაატანოს, თუ ძეგოსაგან ან ცეცხლისაგან წაეჭდა, განოჩნილი შეიქნების, ნინბარებელი ვუბას მეუა.“

აკოვეუ.—თუ ცხადად განოჩნდეს, კურდს მოეპაროს ისიცა და იმ კაცისა სხვა საქონელიცა.

და თუ სოცულელობით დაკარგა, ან მიმბარებელი მაშეკდარა და ან კაცმა სული გოთ და უარი თქვა. მოწმითა და გამოცეებით შეიტყვეით, რომ ცოდვა არ მოაკდხიოთ“ (ახ. ვახტანგ VI. საქათალის წიგნი, თ. ვ ხ უ ქ ი ძ ი ს გამოცე-ბა, 1955).

აჲ ვიწჳით კაკი ქურდობისა და საშაკთალი მისი

150. ქურდობა ვისაც დაჲინებით შეემთხვიოს და შეაჩნდეს, რაც ეფერების და შეენის, ვისაც სამართალში მოვიდეს, როგორც მართებადეს, მისი იმან [შ:1არ] იცის, და ზღვევინებისა ასრე უნდა იქნას.

ქურდობა, დიად, ბევრი რიკი არის და მრავალფერი არის, და თვითეულად ყველას ცალკე დაწერა არ იქნებოდა, გრძლად მოვიდოდა. ქურდობა ყველა სწორე არ არის, მაგრამე ამ სანს ომხს გაოდაისად სწორედ ვთქვათ.

151. ერთი ძნელი ესე: რომ თუ ცოლსა და ქმარს¹, ერთს სახლში ერთად მწოლს, შეგპარა ქურდი და ისრე ან კაცის იარალი და ან ტანისამოსი, გინა სხვა რამ მოიპარა, ანუ ქალის სამკაული და ტანისამოსი მოიპარა. ის ნაქურდალიც შევიდელად უზლოს, და რასაც გვარისა არიან. ნახევარ-ნახევარი სისხლი სხვა გარდაღჯადოს

თუ ვერ აუვიდეს². ქურდი თავისის ცოლ-შვილით, საქონლით³ და ნასყიდით მიეცეს. თუ რომ ეს ქურდობა მართლის სამართლით არა ჩნდეს, ფიცით გამართლდეს, როგორც ზემოთ ფიცის საანდვარი დაგვიწერია [იხ. მუხლ. 10].

152. მეორე ეს. ლაშქრობაში თუ ან ცხენი და ან იარალი, ან ტანსაცმელი, ჯაჭვი, აბჯარი მოჰპაროს, თავად დიდი სირცხვილია⁴: ერთი ეს, რომე [შ:1არ:] უმტროდ და შეუბმელად, დაუხარხომებლად⁵, მუხთლად იარალი აპყრია, აუგი დასდებია; და მეორე ესე, თუ ომი მოჰყდა, იმ ლაშქრობაში უიარაღობით მკუდარი შეიქნების. ამისთენიაც ამისდა ქურდმან მონაპარავეც შევიდელად მისცეს და სისხლის ნახევარიცა.

153. შესამე ძნელი [ესე]. დედაკაცს რომ ზედ შებმული ან კიდებული იარალი ან თმა, ან თმის სატანი რაც რამ ფერი სამკაული ზედ შეგსნას ან შეაქრას, მონაპარავეც შევიდელად მისცეს და სისხლის ნახევარიცა.

154. ამ ზემოთ წერებულს ქურდობაებს გარდაის სხვა ქურდობაები დიდისა თუ მდაბლისა, ბევრისა თუ ცოტასი, შინა თუ გარეთ, — ვისაც რისაც ფერის ქურდობა შეემთხვიოს, მისი საზღაურო შევიდელი არის.

და ამ საზღაურისა ასრე არის და ასრე უნდა იქნას.

თუ ის საქონელი⁶ ან პირუტყუი საბატონოს კაცის შევილისა ან აზნაურიშვილისა მოპარულა, იმას ის საზღაური შევიდევ მთლივ მიეცემის.

თუ ეს მონაპარავე გლეხისა არის, ერთიორად გლეხს მიეცემის და სხვა საჯელწიფო არის. სამთხრობლო, რაც საქონლის დამკარგავს გაუა, ისიც ქურდმან უნდა მისცეს.

¹ ცოლი და ქმარი AB. ² აუვიდოდეს A. ³ ქონებით B. ⁴ სირცხვილია A.

⁵ ერთი — A. ⁶ დაუნაბრუნებლად B. ⁷ თუ ის საქონელი — A.

[316r] 155. საყდრის გატეხისა, ჯვარისა და ხატის დამტვრევისა, ჰელმწიფის სალაროს გატეხისა ჩვენ არ გვითქუამს რა, როგორც ჰელმწიფესა და კათალიკოზს ეპრიანებოდესთ, ისრე გარდაატღევიონ.

156. საქართველოს სამართალი ერთი ეს არის, რომ კაცმა დაჰკარგოს რამე და ან მოჰპარონ, სადაც თავის საქონელს იცნობს, დიდისა თუ მცირისა ჰელში, თუ უნდა ეყიდოს ვისგანმე, გინდა ეშოვნოს, სთხოვს, წაეჭიდების. იმ კაცმან ისიც უნდა მოსცეს, და ვისგანც მოსცემია ან მოუყიდნია, ის კაციც უნდა უთხრას. თუ იმ კაცს არ ეტყვის, საზღაურიც თვითან უნდა მისცეს.

ესეც იქნების, რომე იმ კაცმან მომსყიდველი თუ ომცემი ველარ იპოვნოს, ველარც იცნობდეს, იმაზე გული აჯეროს, როგორც წესი იყოს, იმრიგად, ასრე რომე «ამ მენის საქონლისა არც მე ვიყო ქურდი და ველარც იმას² ვიცნობდე, ვისგანც მამცემია, აღარც ჰელი მიწვდებოდეს». თუ ასრე შეფიცოს, თავისი თავნი გაზოართვას, სხვას ნულარას მიერჩის.

[316v] 157. არის კიდევ, კაცმან პირუტყუი და რაგინდა რა საქონელი თავის საქონელს ამზავსოს, მისი კი არ იყოს, მაგრამე არ ეშეებოდეს, ჩემი არისო, ის კაციც ფიცევდეს ჩემიაო. ამაში მოსამართლისაგან გამონახვა უნდა. ჯერ ორთავესაგან მოწამე ითხოოს³ და მოწინთ გაარჩიოს, ეცადოს.

თუ არ იქნას, ვისაც ჰელში საქონელი იცნას. ღიცი იმისი არის. ასრე იფიცოს, რომე «ჩემიც იყოს და ტყუილადაც მეცილებოდე», თუ არადა, ვერ იფიცოს, თუ დაკარგული არის, ისე მოსცეს და თუ მოპარვით წაყუანილი არის, შვიდეულად მოსცეს.

158. ერთი ეს ვთქუათ. დასტურ დადებული არის, კაცი თავის საქონელს იცნობს, 'მუას წყალში ჩაეჭიდებისო.

მაგრამე ამ ერთს ალაგს ეს არ იქნების: მაშინ რომე, ჰელმწიფე ერთს მეპირისპირეს⁴ მტერზე ან ქუეყნის მოსარბევლად ერთის კვირის სალაშქროზედ რომ მიბრძანდებოდეს, მაშინ რომ კაცმან კაცის ჰელში იცნას რამ, ნუ წაეჭიდების, ამიტომ რომე, ცხენი არის თუ იარაღი, ყუელა თავის ფიქრით იქნების; და ახლა ამ კაცის ჩამოქუეითება და იარაღის აყრა ერთის მეომრის მოშლა არის და მერმე შუღლი მოსდევს, და მაშინ ჯარისათვის არ ვარგა.

¹ კაცი თ B. ² იმ კაცს B. ³ ორთავესაგან მოწამე ითხოოს] ორთავე ელწამეს სთხოოს A. ⁴ მეუიორისპირეს B.

ასრე იქნას: მოწამე დაიჭიროს, ამ ცხენსა, ამ იარაღს [317r] ვირჩითქო, და იმ ერთს კვირას უკან მოსამართლესთან შეიყარნენ და ისრე გარიგდენ.

159. კაცმან რომ კაცს ქურდობა თუ სხვა რა გინდა რა შესწამოს, სტანჯოს, ბევრი რამ უპატიური შეჰკადროს, დაფიცოს, მერმე ის საქმე სხვაგან გამოჩნდეს და დამფიცებულმან¹ თუ რამ იქილამ გამოიტანოს, ნახევარი იმისია, ვინც იფიცავს², და გარჯის საუპატიოც უნდა მოსცეს დაფიცებულსა³.

იქილამ⁴ კიდევ ვერა გამოიტანოს რა⁵, გარჯის საუპატიო ნაშინც უნდა მოსცეს, ბჳეთაგან გასინჯვით, როგორც ჯამდეს [იხ. მუხლ. 349.]

კარი ნასჳიღობისა

160. თუ კაცმან ნასყიდობა ქნას, მამული, სოფელი, საქონელი თუ პირუტყუი, დიად, ალალი და შესარჩენი საქმე არის, ბატონის მეტი კაცი ვერ ღოუშლის. და თუ ბატონი გაუწყრების, სულს გარდა ყველაზე ჳელი მიუწევდება.

მაგრამე ბატონსაც ეს ჳართებს: სხვა რიგად რომ ბატონმა ყმას⁶ გარდააღდეინოს, ნასყიდი მაინც არ უნდა მოუშალოს.

[317v] 161. სყიდვა ასრე უნდა. კარგა გამოძიებით, მართლის შეტყობით უნდა იყიდოს, რომე ან სხვის მამული არ შემოატყუოს, ან მზღვარი ტყუილად არ დაუწეროს; კაის მოწმით, წიგნით⁷ და ბეჳდით უნდა იყიდოს.

იქნების, დაჭირებული იყოს და იაფად მოჰყიდოს, იქნების მსყიდველს უნდოდეს და ცვირად მოსცეს, მაგრამე რა წიგნი დაიწერების და ჳელი ჩაირთვის, რა გინდ ფასი მოუმატონ და ან მსყიდველს აღარ უნდოდეს, ვეღარ მომლიან.

162. თუ კაცმან სოფელი ან გლეხი თავადისაგან ან აზნაურისაგან სასყიდლად მოინდომოს, ჳელმწიფესაც უნდა დაკითხვა.

მაგრამე უკითხავედაც სყიდულა და არც ჳელმწიფე გამოჰკიდებია, ამიტომ რომე, ვინც უნდა იყიდოს, ჳელმწიფის კოდის ჳური, ბეგარა, საბალახე, რაც რამ ფერი საჳელმწიფო, ჳაშჳარ-ნადირობა, — არცეთი დააკლდება, ყველა უნდა ქნას, თუ ჳელმწიფემ არ გაათარხნა.

¹ და დამფიცებულმან] ამ დაფიცებულმან A. ² იმისია, ვინც იფიცავს] ფიცისათვის მიეცემა A. ³ დაფიცებულსა] და დაფიცებულმა A. ⁴ იქილამ] თუ უნდა B. ⁵ რა]+ უბრალოდ B. ⁶ ბატონმა ყმას] კაცმა კაცს B. ⁷ წიგნის A.

163. ჯელმწიფის სახასოს აზნაურშვილისა და სახასოს გლეხისაგან ჯელმწიფის უდასტუროდ თავადი¹, ნურც თავადის ყმა, ნურას იყადის.

[მ18r] აგრევე სხვას თავადისა და ვინ გინდას² ყმა თავის ბატონის უბეჭლოთ ნურავინ რას. ვაჰყიდის, თორემ მისი მებატონე არ იყაბულებს, მამულს თვითან დიჰქერს და ფასს ზიმსყიდველს სთხოვს.

იქნების, ამყრელმან და ან აყრილმან კაცმან სხვას თემიდან მამული გაყიდოს³, არ გაიყიდების.

ვისაც ეყიდოს, ფასი მომსყიდველს სთხოვს.

164. აწე თუ სხვას თემს ვაჰარი სავაჰროდ წაყიდეს და იქ თავის ქუეყნის კაცს ამ ქუეყნის მამული, ნასყიდი თუ უსყიდი, მიჰყიდოს და იქ ლოთობასა და ავკაცობაზე გარდააგოს ან სხვას თემს გარდიკარგოს⁴, ის გასყიდვა ყაბული არ არის.

ვისაც თეთრის სესხება უნდოდეს, ისრე, უმამულოდ, ასესხოს,—მერმე, როგორც ვაჰარი არის და ან როგორც მოუგია, ის გამოჩნდების. თუ აქუს რამე თავისი⁵, ვალს იქიდან მიეცემის.

თუ არა, ან ზღვით, ან ჯმელით, ან ჯურდით წაჭდენია, ის გამოჩნდების. აქ მისმა ძმამ და სახლისკაცმან, უნდა მამულიდან უნდა სხვა რიგად, გარდაუჰადოს.

ამას ბევრი რიგი გამოჩნება და ვაჰართაგან კითხვა უნდა.

[მ18r] 165. იქნების, კაცმან ახალს ნასყიდს მამულს და ავარაჰი ქონება რამ იპოვნოს, თუ იმ მამულის მამსყიდველთან ფასი გარდაწუჰტილი არის, ველარახ შეუა, ის ქონება მსყიდველისა არის. და თუ ფასი რამ დარჩომილა, იმ დანარჩომის ანგარიშით წილი უდა მომსყიდველსაც დაუდვას [იხ. მუხლ. 166].

166. თუ პირუტყუი, აქლემი, ცხენი, ჯორი, ულაყი და რაც რჩომა პირობით მიყიდა და ეს პირობა დაუდვა: «ამ ჩემს მოსყიდულს საქონელს, არც დაშავებულობით და არც სნეულობით არა სჭირს რა, და თუ გამოაჩნდეს, შენი ფასი წაიღე და ჩემი პირუტყუი მამგვარე, როდესაც იმ კაცმან შეაჩინოს რამე და მოგვაროს, უნდა მამსყიდველმან პირობა გაუთაოს.

და თუ არადა, პირობა არა ყოფილა რა, ერთმანეთის მოწონებით უვაჰრიათ თუ გაუცვლიათ, მოკულების თუ ავი რამ გამოჩნდების, რა საბელზე გარდააბიჯებინებენ, აღარ შეიწლის.

¹ თავად B. ² ვინ გინდას] ვის გინდას კაცის ყმა B. ³ გაყიდოს]— და A. ⁴ დაიკარგოს B. ⁵ თავის A.

[პარი] გაცულილობისა

167. თუ კაცმა კაცს პირუტყუი რაც რამ ფერი სულიერი-საგან ერთმანეთს გაუცვალოს, რომე ამისი იმას უნ[ჰ19r]დოდეს და იმისი ამას, [და] ერთმანეთს პირობას არას¹ სთხოვენ, [ისე] გასცვლიან, ერთმანეთთან ჰელი აღარ ექნებათ.

თუ პირობით შესცვალეს, არა სჭირს რაო, არც სენი, არც დაშავებულობა, და მერმე კი გამოაჩნდა, ისევე² შეეშლების. ოცს დღემდინ იქნების ესე, თორემ მერმე აღარ შეიშლის. თუ მის ჯელში არა სჭირვებია რა და მას უკან სენი რამ გამოსჩენია, მით აღარ შეიშლის.

იქნების, ამისთანაებშია ფიცი მოჰდეს და მოსამართლემ რიგინათ გასინჯოს და გააჩინოს.

ან ვენაჟი, ან მიწა, ან საკომლო. ან სასახლის ალაგი თუ რაც რამ³ ფერი მამული ერთმანეთს გაუცვალონ, იქნების, სართით მისცენ ერთმან მეორესა, — რა რომ გაცულილობის წიგნსა და ჰირს დასდებენ, აღარ მოეშლების, რა გინდ ერთი მეორეს სჯობდეს და უფრო გამოსაყენებელიც იყოს.

[უშვილობისათვის]

168. უშვილობისათვის კაცი ძალად და მის უნებურად ცოლს ვერ დააგდებს, და თუ დააგდებს, სრული სისხლი უნდა მისცეს.

იქნების, კაცი ასრე ჭანი იყოს, რომე ცოლთან წოლა კი შეეძლოს და შვილის შექნა კი არ შეეძლოს, ამისთვისაც არ გაიყრებიან. და თუ [ჰ19v] სულ ასრე მცვედანი არის, რომ ქალთან წოლა არ შეუძლია, უნდა კაცმა ცოლს დასტური მისცე სხვის ქნის შერთვისა.

თუ ვინ იცის, ქორწილზედ კაცი ყოფილა, და ან ქორწილს უქცა-აც, და მერმე ქორწილზედ დამცვედნებულა, არ გაიყრებიან⁴.

[წყალი, შეშა და ბალახი ჯელმწიფისა არის]

169. ქვეყანაზედ ეს სანი არ დაეჭირვის კაცსა და ჯელმწიფისა არის — წყალი, შეშა და ბალახი.

170. წყალი ასრე⁵, რომე, სადაც ჯელმწიფე წყლისა და რუს გატანას ზოინდომებს, ქუეყნის შენობისა⁶ და პურის მოსაღლისათვის იქს, რომე კოდის ჯური არ დააკლდეს, და სადაც ებრინების, რუს თავს ვერაფერ დაუშლის; სადაც რუ მოიჭდენს, ვენაჟი თუ ხოდაბუხი, რაც დახუდების, გასჭრის და გაატარებს.

¹ არასა A. ² ის A. ³ რამ] — A. ⁴ თუ ვინ... გაიყრებიან] — A. ⁵ ასრე A. ⁶ შენობისა A.

რომელს სოფელსაც უბოძებს და დააჩემებს იმ წყალს, ერთი მეორეს ვერ შეეცილება. მას უკან სათავეს კეთება და რუს ამოწმება არავისგან დაიშლება [იხ. მუხლ. 244]

171. ბაღახი. მთასა თუბარსა, კაცს კაცისაგან ამიტომ არ დაექირვის, რომ ჯელმწიფეს ცხურის საბალახე ეძლევის და ცროხის ნახირის თავი, და თუ ერთი მეორეს ბალახს დაუჭერს, ესეები ჯელმწიფეს დააკლდებიან.

[320r] 172. შთა და შეშა ავისთვის არ დაექირვის,—თუ ბარის კაცი სახლს არ ააშენებს და შეშით არ დარჩების, ქუეყანაზე მენობა მოაკლდების და ჯელმწიფეს ლაშქარ-ნადირობა დააკლდების.

მაგრამე, იქნებისცა, მთის პატრონს ერთი სანადირო ალაგი ყორულად ქონდეს და იქ არ მოაქრევიან.

[დახუთვისა ასრე იქნას]

173. ქეყანაში ამისი ყადაღა ჯელმწიფისაგან უნდა იყოს და არი[ს], რომე, რაგინდ დიდი საქმე, სისხლი და ვალი ემართოს, ერთი მეორეს ნურც მოსტაცებს, ნურც დაიხუთავს.

თუ ვისმე ქართული ქონდეს, ან ჯელმწიფეს შემოსჩივლოს, ან მის მდივანბეგსა და მოსამართლესა და ისრე თავისი საქმე გააარიგოს, თორემ, თავის-თავად ვინც ან მოიტაცოს რამე, ან დაიხუთოს, ექუსი თუმანი საჯელმწიფოდ ჯარიზა გამოიღოს და წანართმევი ისრევე პატრონს მიეცეს.

174. თუ შორეულმან ასეთი კაცი იხუთოს, რომე მისის თემისა იყოს, იცნობდეს და საქმე მიუწულებოდეს, მართებულია, და სხვის კაცისა კი არა მართებს.

რა იმრიგის კაცის თავზე დაიხუთონ, მას კაცს სთ[320v]ხოონ პასუხი, ვისაც თავზე დახუთვილა.

და ის კაცი ამას ემართლებს¹: წაჰყვეს მას მისსა მოდავესა თანა და აუშეას²; და თუ რამე დაჰკარგოდეს, უკლებლივ უზლოს. და იმ მოდავესთან თავი გამოიმართლოს.

თუ ამას აშობდეს, ჩემთან იმ კაცს ჯელი არა აქუსო, ეგ არ იქნების, უმისკაცისოდ ვერ გამართლდება, იმ დამხუთავთან უნდა მიჰყუეს. თუ არ წაყუების, მაშ წანართმევი ყუელა უნდა უზლოს, და თუ დაჭერილი არის ვინმე, იმის აშეებისაც³ უნდა გაურვიოს.

[ეებისკაოზის ბეითალმალისა ასრე იქნას]

175. ეებისკაოზის ბეითალმალი ჩვენს მიხდომაში სრულობით საყდრისა უნდა იყოს, მაგრამე ვითაც საქართველო ღარიბი და უსაქონლო ქუეყანა არის, აგრე რიგად არც ჯელმწიფის შემო-

¹ ემართლებს] +ანუ A + ნუ B. ² აუშეას B. ³ აშეებას A.

სავალი არის, ვერც არას ებისკოპოზის ძმა და სახლის კაცი ებისკოპოზისაგან იშოვებს რასმე ზისგან, რომე ებისკოპოზის დამარხვა შეიძლოს, ამიტომ უწინაც ასე ყოფილა გარიგებული და აღარც ჩვენ მოეშალეთ.

ასრე იქნებოდეს. რომელიც საყდრის რიგი და იარალი ებისკოპოზს იქ დახულომია¹, იმას გარდაის კიდევ თუ თვითონ თავის წამში ან თავის კონდაკით და ან საყდრის მამულიდამ საყდრისათვის გაუქვთებია რამ და შეუწირავს, ის საყდარს არ მოეშლების.

და იმათ გარ[ჰჰ1r]ეთად თუ რამ დარჩების თეთრი, ფარჩა, ვერცხლი, ჰური, ღვინო და პირუტყუი, იზისგან ერთი წილი საკელნწიფო არის², ერთი წილი საყდრისა, ერთი წილი ებისკოპოზის ძებებისა, რომ ებისკოპოზი დამარხონ.

[ორბატონობასა და ორიანობაში მიჯლონა]

176. ორბატონობასა და ორიანობაში ერთის მეორისაგან მიჯლომა, მოკვლა, აკლება, წართმევა და მოტაცება დალაშქრევა არ იქსენების, არც გამოიკიდების, — მტერნი ყოფილან და გაყოფილნი, და რაც ჯელით გამოსვლიათ, ორთავ ქუეყანა ურბევიათ.

და ბოლოს რომელსაც ბატონს დარჩეს, ნულარ ათქმევს.

177. იქნების, ჯელნწიფემ თუ მებატონემ ჯარი გაუსიოს თავის საბატონოში მოსარბეველად ან კაცი კაცს დასაპერლად მიუსიოს, და არ დამორჩილდენ. არც დაერბევიონ, არც დაევირვიონ; იასაული³ ბატონის ბძანების გათავებას ეცდების; ამაში ჰელის გამოღება და ერთისაგან მეორის სიკუდილი მოკდების.

თუ იასაული⁴ მოკუდეს, სისხლი და ნახევარი მოსცეს; და თუ ის დასაპერი კაცი მოკუდეს. მისი სისხლი ნუ არის.

ეგების, თქვას ვინმე, სიკუდილი არ დაბარებოდაო⁵, დაქერა სთქმოდაო⁶. მართალია. არა სთქმია; მაგრამე, თუ ჯელს გამოიღებს და არ [შ21v] დაევირვიების⁶, მაშ სიკუდილი მოაქუს.

178. ლაშქარნი დანარჩუნებულს კაცსა და იარალზე ირჩოდენ*... [მდრ. მუხლ. 254].

¹ დასლონა B. ² საკელნწიფო არის] — A. ³ იასაული A. ⁴ დაეპარენოდან A. ⁵ სთქმოდაო A. ⁶ დაევირვიება A.

* თორე ხელნაწილში ან მუხლ მხილოდ სათაური აქვს. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუხუჯის შა ხელნაწილში ამ მუხლსაც შეიცავს. მისი ტექსტი აქვითა:

... სიაი ასე იქნა. თუ კაცმა კაცი დანარჩუნოს ცოცხალი, თუ ანუ მოკლას. მისი ცანვი. იარალი, ტანსამოსი დანარჩუნებულისა არის; ჯაქვი, ზუჩი, ნუხარაღი და ამგვარი ჯელნწიფისა არას, — მძიმე თვალი თუ მარგალიტი.

[ნადირობის ცილებისა ასრე იქნას]

[პ22რ] 179. ნადირობის ცილება ქნილა და იქნების, მაგრამე მაინც ისრის საქმე ბევრი ასრე საკუირველი, უცხო მოკდების, რომე საკუირველი, დაუჯერებელი იქნების.

ისრით მოკლულზე თუცა შესცილდენ, თუ ჩემი ისარი უწინ მოხუდაო, ამისი ჯერ მათთან მდგომს კაცს ეკითხვის,—ეგების მოწმით გამოჩნდეს, ვისი ისარი უმალ მოხუდა.

თუ არ იქნას, გამონახვა უნდა, წინ გარდამხტალი და მართალი მტარი ცილობს თუ ორნიე მართალ-მტარელნი ან ორნიე წინ გარდამხტარს მისულნი ცილობენ; გასინჯვა უნდა, საილამ ნასროლი ისარი ჰკვრია, რას ალაგსა აქვს ნაკრავი.

ამგვარის ცებნით თუ ვერ იპოვნონ, მათი სამართალი ამის მეტი არ არის: რომელიც უფროსი¹ იყოს, მან მშვილდ-ისარი დააყაროს და ასე თქუას, «ლ^ათნ ნულარა მამაკულევიჩოს რა, თუ ამას უწინ ჩემი ისარი არ მოკუდომოდესო, და დარჩეს მას. თორემ ტელი არა აქუს.

180. იქნების, ერთს ცოტად წაებწვოს და მეორეს მას უკან დიდი მოეკვეთინოს. ვისაც უწინ უკრავს, თუ იმის ნაკრავში მშვილდის საბელი დაიმალა, მისი არის; და თუ ვერ დაიმალა, ტელი არა აქუს.

[პ22რ] 181. რასაც რქიანს ნადირს თუ რქას ვისიმე ისარი უწინ მოხედა, ყური უნდა შეაზმანონ: თუ ყური შესწვდა, პირველის მკურელისა არის; და თუ არ შესწვდეს, მეორისა არის.

182. იქნების, ნადირობაში შეძგერება და სიკუდილი მოჰტდეს, მისი სისხლი არ არის.

თუ ვინ იცის, ნაქიშპარი და ნამდურევი კაცნი შეიძგერენ და მოკუდეს რომელიმე, და მკუდრის პატრონი მიერჩოდეს, ცხენის ძალით იმედუელად მორევით² მოხველ და შემოაძგერეო, ან გავა მიეცო და იეიძგერეო. ამის დანხდურთ კაცთ კითხვით, რომ

აგრევე ლოკულს კაცს ვერაეინ მიედავება მომკელელს და ვერცა ვინ გაუტრცვია.

და თუ მან არ ინდომა ჯერ გატრცვა და ისევ მტერსა სდევს, და სხვას უთხრა, ეგ კაცი მოკვალ, შენ გატარცვეო, იმასაც ცოტა რამ წილი უც იმ ნაცარცეში მისის კარკალებით.

აგრევე მოკულს კაცს არასგზით ნიფხავი და პერანგი არ გაეტრცვების და ნურცა ვინ წელა მიყოფს, თვარა კანონი აქვს. და თუ ვინმე იკადროს ამისი ქნა, მათი უფრთაი ნუ-აქნევიებს (იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955).

¹ უტროსი B. ² მორვით A.

იქ დასწრებოდეს, გამოძიებით¹ უნდა გასინჯვა. და თუ არადა, ჯერი უნდა. თუ ჯერს ვერა იქს, სისხლი უნდა მისცეს².

183. აგრევე ქალის საჭუნდრის ნადირობაში თოფით მოკლულზე რომ ცილობა შეიქნას, რომელს უწინ უსროლია და იმ მკარეს ნაკრავი აქუს, ის უნდა გასინჯოს კაცმა და ისიც გამოაჩინს. იქნება ერთის მეტი ნაკრავი არა ქონდეს და მეორე ამბობდეს, ჩემგან არის ეს ნაკრავიო. თუ ტყვია შიგავ ეღვას, ის უნდა გამოიღონ, და ვისისაც თოფისა გამოდგება, იმისი ნაკრავი იქნება — ტყვიას უნდა შეუწონოს და მით [ჰჰჰჰ] შეიტყობის.

თუ არც იმითი იქნას, თოფი და იარაღი რომელმაც დააყაროს, იძას დარჩეს.

ესეც იქნების, რომე საჭუნდარში ერთმანერთის³ ნასროლი თოფი ნესაჭუნდრეს მოხუდეს. თუ ფათერეკად მოხუდა, ის სხვა არის. და თუ ამას იტყვის მკუდრის პატრონი, ქიში იყო და ამიტომ მიყო[ო], მაგისი მოსამართლემ გასინჯოს. თუ დასტურად ქიში⁴ ყოფილა ან ნამდურევი, ჯერი მიანია.

თუ ჯერს ვერ გაზეეს, სისხლი უნდა მისცეს.

[წყლის სამძღვრის ცილებისა ასრე იქნას]

184. იქნების და ქნილა, მდინარემ წყალმა ძველი ნადენი ალაგი დაადოს, ხან იქით გარდავარდეს და ხან აქეთ, და ამაზე ცილება მოჰქდეს, ჩვენი სამძღვარი წყალი არისო და რაც ჩემკენ დარჩა, ჩემი არისო. მაგრამ ამით სამძღვარი არ შეიშლების.

როდესაც თაობიდამ ამ მდინარის პირს აშენებულა, გაღმა თუ გამოღმა, სადაც მაშინ წყალს უდენია და ამ სოფლებს იმ წყლის პირამდი სქერია, ისრევე უნდა ეჭიროსთ.

[ჰჰჰჰ] 185. მეწყერი რომ მოგლჯდეს*.

[პოვნისა ასრე იქნას]

186. თუ გასყიდულს მამულში კაცმან, მსყიდველმან, საქონელი იპოვნოს, თუ ფასი მთლიე ნიუცია და აღარა დარჩომილა რა, მამსყიდველი ვერას შეუა. და თუ ფასი რამ დარჩომილა, რაერთიც დარჩომილიყოს, იმ ანგარიშით წილი დაუღვას [იხ. მუხლ. 165].

[ყმაწვილის ნაქნარის საქმისა]

187. ათს წლამდის ყმაწვილის ნაქნარის რასაც ფერის საქმისა, ავის კაცის ნაქნარს ავს საქმესთან არ ჩაიგდების. თავის ტოლს უზამს თუ უფროსს, ყმაწვილობით და უქკუობით უქნია,

¹ გამოძებით A. ² მისცეს—A. ³ ერთმანერთის—A.

* ამ მუხლის ტექსტი არცერთ ხელნაწერში არაა.

სათათრაკოსავეთ არის. მისმან მშობელმან, მისის ყმაწვილობისა-
გან მკუდარს სამარხი მისცეს [ჰ24r] და დაჭრილსა და დასნეულე-
ბულს სააქიმო მისცეს, სხვას ვერას შეუა.

**ნაწი აჰისა და რახაც ფერი ს პირუტყუისაგან წანავედისა¹
ასრე იქნას**

188. თუ უპატრონოდ, ისრე რჩომა ნაშრომში შევიდეს,
ერთხელ პატრონს მოგვაროს, უყურე, ნუ წამიღდენინებო.

თუ არ უყუროს და კიდეე დააველოს თიგა, მოკლას, ვერას შეუა.

და თუ არ მოკლას, შუაკაცთ კითხვით წანავედის პასუხი გასცეს

და თუ პატრონიც გვერდსა² უდგს და ისრე წაუჭდინა, მაზინ-
განალამც³ რომ უფროსი პასუხი უნდა მისცეს.

იქნების, რომ პატრონი გვერთ არ უდგეს და მემამულე რჩო-
მის პატრონს ედავებოდეს, გაზრახ შემოლალეო და ქიშპობით
წამიღდინეო და გვერთ აღარ მოუდეგო.

მაზინ ჯერი უყოს, რომ მისი ნება არ ყოფილიყოს, და სა-
ფათარეკოს წესი⁴ და წანავედის პასუხი მისცეს, ამიტომ რომე,
იმთონი რჩომა უკაცოდ რატომ გაუშვეა [იხ. ნუხლ. 245].

ვაზის აკაფისა, ნერგისა, გინა ხილისა ასრე იქნას

189. თუ ასეთმან კაცმან კაცს ვაზი აუკაფოს, რომე არ ემართ-
ლებოდეს. სადაო და სალაპარაკო არა ქონდეს რა. ლეინით გინა
სიბრიყუით აუკაფოს, რა[ჰ24v]მდენიც⁵ ვაზი მოეჭრას, იმდენი⁶
აბაზისა მისცეს.

და მტერობა თუ რამ ედვასთ და ემართლებოდეს, ის მოსა-
მართლემ გაუსინჯოს და იმრიგად სისხლსა იმის საქმეში გაუანგა-
რიშონ.

190. აგრევე ხილი თუ საჯნარი ნერგი ან მოუჭრას, ან მო-
უკაფოს, შუაკაცთ გასინჯვით და დაფასებით როგორც თქუან და
ლირდეს, ისრე პასუხი გასცეს.

და თუ ემართლებოდეს, სისხლში გაუთვალონ.

დაწვისა

191. თუ კაცი კაცს არას ემართლებოდეს და ისრე სახლსა
და კარს ცეცხლი წაუქიდოს, რომ ჯალაბნი შიგ უდგეს, თავის გუ-
ნებით დასაწვეავთ მოუნდომებია.

ერთი სისხლი, და რაც ან სახლი და საქონელი დასწოდეს,
უკლებლივ უნდა მისცეს.

¹ წახდენისათვის A. ² გვერც A. ³ გალანამც A. ⁴ წესით B. ⁵ რამთონი A.
⁶ იმთონი A. იმდენის B.

და თუ ემართლებოდეს და ან საქმე რამ ქონდეს და იმისთვის ექნას, მოსამართლემ გაუსინჯოს.

რაც ნამართლებულობა ქონდეს, იმაში გაუთვალონ.

192. თუ ყანასა ან ვენაჯის ღობესა, ან ბჯასა, ან თივასა, ან საბძელსა მტერობით ცეცხლი წაუღვას, აგრევე ის გასინჯონ.

თუ ემ[ქმნ]ართლებოდეს, საქმეში ჩაუგდონ.

თუ არას ემართლებოდეს, მართებული პასუხი მიაცემინონ, რა ერთისაც წამგდარიყოს.

თუ უნებურად და ფათერაკად ცეცხლი გაეარდეს და ისრე მოეკიდოს რასმე,—რაც დაიწვას და წაჭდეს.

193. დამწვარი კაცი თუ ამას ამბობდეს, რომე გაზრახ მიყო და ფათერაკს აბრალებსო, იმისი ჯერი უნდა უყოს, რომ ფათერაკი მოსულოდეს, და არც თავისი ნებით ექნას, ისრე საფათერაკო მისცეს.

[ხუმრობასა და თამაშობაში დაქრახათვის]

194. თუ ხუმრობასა და თამაშობაში კაცმა კაცს აწყინოს რამე, ან მოსტეხოს რამე, ან დაქრას, ან მაშინდელს ნაკრალობაზე მოკუდეს, დაქრილს სააქიმო უნდა მისცეს, და თუ მოკუდეს, სამარხი უნდა მისცეს.

იქნება, ამასაც ეუბნებოდეს, გაზრახ შენის ნებით მიყო. მაგისი ჯერი არის. თუ თავი იპართლა, რომ მისი ნება არ ყოფილიყოს და ისრე მოსულოდეს, როგორც დაგვიწერია, დაქრილსა და ავადმყოფს სააქიმო მისცენ და მკუდარს სამარხი უნდა მისცენ.

და თუ ვერ იფიცოს, მკუდრისაცა და ქრილობისაც მოსამართლემ კიდევ ნაკლებათ, უნდა გაუჩინოს.

[ქმნა] 195. კაცმან თუ ორმოს პირი აჯღილი გაუშვას და იმაში ან კაცი და ან პირუტყუი ჩავარდეს*... [ზღრ. მუხლ, 256].

[მჩროლეღი პირუტყვისა ასრე იქნას]

196. თუ ვისიმე პირუტყუი იჩროლებოდეს, პირველ უნდა უთხრან მეზობლებმან, რომე ამისგან ან კაცი მოკუდების ან პირუტყუიო, ან დაკალ, ან მოკალ, ან წყუილნი გამოუხევენ, ან გაყიდე

* ორივე ხელნაწერში ამ ადგილას მხოლოდ ეს სათაურია. ტექსტისთვის კი ადგილია დატოვებული. ქეთისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის 201 ხელნაწერი ამ მუხლსაც შეიცავს. მისი ტექსტი: ასეთია:

„... წმიდა და უწმიდური, ის უნდა ნახონ, თავის ნატამალში თუ სასოფლოს ადგილსა, ან ის ჩავარდნილი კაცი თუ დედაკაცი ბრმა ყოფილა ანუ მოტრალი, — მოსამართლემ კარგად გამოიკითხოს.

თუ თავის ხატამალში ყოფილა ის ორმო, ნახევარს სისხლს შეუვა კაცისას თუ პირუტყვისას; თუ სასოფლოს ადგილს ყოფილა, მოგლი ეთხოვინს, ამიტომ რომ იყოდა, გზა იყო, რად არ დაბურა?“ (იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955).

და გაიცალე. თუ ეს ქნა, ხომ აღარა დაშავდება რა. და თუ არ დაიჯერა და ან მოკლა რამე, ან დააშავა რამე, მრჩოლელის პატრონმა კაცმა პასუხი უნდა გასცეს. მანამდინ ეტყოდენ და ისრე რჩომამ მოკლა რამე, ის მკულელი რჩომა მიეცემის.

[326r] ნაძლევისა ასრე იქნას

197. კაცი¹ ყმაწვილსა და უქკუოს კაცს არ უნდა დაენაძლეს, არც იმას უნდა ჩამოჰყუეს, რომ ან შეეჭიდოს, ან ლოდს აახიდინოს, ან გარდახტომა მოუღვას, ან ცურვა დაჰპატიყოს თუ რაც ამგვარი ნაძლევი მოუღვას, თორემ, თუ ამაში იმ ყმაწვილმან და უქკუომ იწყინა რამე, იმ უფროსს კაცს ბრალი დაეღება.

და ამით თუ რამ ავი დაემართება, ან მოიტეხა რამე, ან დაშავდა, ან მოკუდა, ან დასნეულდა,—მკუდარს სამარხი და დაშავებულს სააქიმო. და რაჟთონსაც ხანს საქმესა და სამუშაოს დამცდარა, იმისი პასუხიც უნდა გასცეს.

და თუ ორნივე ტოლი კაცი არიან და ნაძლევი ორთავ ნებით და დავ-გამოთხოვნით გამჟღარა, ერთმანეთს ნაძლევის მეტს ვერას შეუვლენ, რაც უნდა დაემართოს.

[მებატონეთა და ყმათათვის]

198. თუ სხვას ქვეყნიდამ სხვას საბატონოს მკუიდრი კაცი საყმოდ მოუიღვს ვისმე, ვისაც უწინ მოუა და ეტყვის, შენ გყმობივარო, ან იქილამ ბირებია, იმას ის კაცი აღარ წაერთმევის, რა გინდ სხვა ბატონი მოინდომოს იმ მოსულმა კაცმა.

[326v] 199. თუ ამავე საბატონოში ერთისა მეორეს ყმა მიუიღვს და ხანი დაყო, და არ მოიკითხოს, ჯელმწიფის დავთარში, ვისაც მოსულია, იმის სახელზე ჭირის მქნელად დაიწეროს,—ძალად ველარ აუყრის, სანამდინ მეორედ არ აიწერების და სამართალს არ იმოვნის, ვერ წაართმევს.

და თუ თავის ნებით სამკუიდროზე წავა, ეს ვერას შეუა. მაგრამე, რაც ამის ყმობაში მოუგია, ნახევარი საქონელი უნდა მოსცეს.

თუ კიდევ აწერაზე აქავ დარჩა და ოცდაათი² წელიწადი აქავ დაყო, თავის ნებით სამკუიდროზე ველარ წავა.

თუ წავა, იმან ისრევე უნდა მოსცეს

200. თუ ერთიმეორის ყმა ერთმანეთს მიუიღვს და თავი ნასყიდად დაუწეროს ან იმ მებატონემ იმ გლეხკაცს ან ვალი გარდაუწყვიტოს და ან შიმშილობაში გამოკუებოს, და დავთარში ჯერ არ დაწერილიყოს ამის სახელზე, და ისრე ის პირველი მებატონე წამოედლოს,—რაც ამ ახალ ბატონს იმაზე ხარჯი ექნას, ის პასუხიც

¹ კაცი] + თუ A. ² ოცდაათი A.

უნდა მისცეს, და რაც ამ გლეხს კაცს ამ ახლის ბატონის კელში მოუგია, იმისი ნახევარიც ახალს ბატონს უნდა მისცეს.

და თავისი ყმა თავის ღველს ბატონს უნდა მიეცეს.

უწინ, რაც ახლის ბატონის [ჰმ7r] კელში მოეგოს, ჯერ ამისი ნახევარი უნდა მისცეს ახალს ბატონსა და მერმე, რაც თავისი და-ეხარჯოს, იმისი პასუხი ცალკე უნდა მისცეს.

თუ ამაზე ვერ შერიგდენ, რომე ამის მეტი არა მაქუსო, იმ გლეხმა ფიცით უნდა შეიჯერიოს.

201. თუ აქაღამ აყრილი გლეხი სხვის საბატონოში წავიდეს, თუ იქ ექუსი წელიწადი დაყოს და ისრე კელმწიფეს ყმაღ¹ მოუიდა, თუ უნდა, მისცემს კელმწიფე და, თუ უნდა, არ მისცემს, კელმწიფის გუნებაზე ჰკილია.

ეს ამიტომ დაეწერეთ, რომე ნურა კაცი თავის ყმას ღალას ნუ დაატანს, თორემ წავა, ექუს წელიწადს სხვაგან დაჰყოფს, მოვა, კელმწიფეს ეყმობა და ყმა დაეკარგება².

202. თუ საბატიოს კაცისშვილის ყმა სხვას საბატონოში წავიდეს, თუ ოცდაათი³ წელიწადი იქ დაყოს და ისე მოვიდა და სხვას კაცს ეყმო, ველარას შეუა.

თუ ნაკლები დაყო და ისრე მოვიდა, ვერაეინ შეეცილება, ისრევე თავის ძველს ბატონს უნდა მიეცეს.

მაგრამე თრიალეთზე, ქართველის ბატონის სახასოში, თორმეტის წლის წასული რომ მოვიდეს, აღარ მისცემენ.

[ჰმ7v] 203. გლეხის კაცის ქურივი რომ დაქურივდეს, მისი მებატონე ქურივს ძალად ნუ გაათხოვებს. ვინც ქურივს უნდოდეს, ის შეირთოს; და თუ არ უნდოდეს, თავის ობლებთან იყოს.

და თუ ნებით შეირთოს ვინმე, თავის მონდომებული, იმ ქურივის წამყვანმა აეს ქურივსა და კარგს ქურივზედაც კარი და მარჩილი მისცეს⁴. მეტს ნურც ის მებატონე და ნურც მოურავი ნულარასა სთხოვს.

თუ ვაეი ობოლი გაჰყუეს, გაზარდოს და მის ბატონს მოგვაროს. თუ ქალი ობოლი დარჩეს, თუ უნდა, ქურივმან გაზარდოს და დაასახლოს, და, თუ უნდა, მისმა ბიძებმა და მოყურებმან გაზარდონ და გაათხოონ. მებატონე მუახლედ ნუ მოინდომებს.

თუ სულ დამზრდელი არავინ გააჩნდეს, ის ობოლი ქალებიც მისმა ბატონმა დაზარდოს. და თუ დაათხოვებს, ხომ კარგი იქნება, თუ არადა, მუახლედ ჰყუანდეს.

¹ ყმაღ]—A. ² დაეკარგებათ B. ³ ოცდაათი A. ⁴ გამოართვას A.

გლეხის გაყრა ასრე არის

204. დარბაზი დერეფნით უფროსისა არის.

კალო-საბძელი — უმცროსისა.

ღვედი, სახნის-საკვეთი, გუთნის იარაღი — გუთნის დედისა.

ცხურის ქუები, ერკემელი, რაც არის, ზეცხვარისა არის.

ჭმალი, თოფი, ცხენი და იარაღი მსახურისა არის.

სხვა მამული ძმაზე გაიყონ და რჩომა — მწყემსზე.

[ბოლოსიტყვაობა]

[328r] ქ. თვით, თავით თვისით აღმომეტყუელი წიგნისა ამის სამსაჯულოსა და მომღებელი წინაშე ყოველთა მყოფთა და ყოფადთა, ძე მუფუთა და განმგებელი ქართველთა ერთა, ბატონისშვილი ვახტანგ, კუალად ვიტყვი თქვენდა.

ეჰა, წარჩინებულნო და ღთისა ერთუფლებისა და სამთვითების გულმჭურვლად მადიდებელნო და შეუორგულებულნო საკუთარნო მამანო¹, კათალ-კოზნო, ებისკოპოზნო, მიტრაპოლიტნო, წინამძღვარნო, მღრღელნო და სხვანო სამართოგანნო, და შემდგომად ჩვენთა მევენო, უფლისწულნო, დადებულნო, თავადნო, აზნაურნო და ყოველნო მყოფნო ქართლისანო, რომელნი ჰკიებთ და კვალად სხვანი ეგებოდეთ, და იხილევდეთ ნაღვაწთა და წერებულთა წიგნთა ამათ სასამართლოთა, ჩვენ მიერ თქმულთა და თქვენდა მომართ მოღებულსა, პირველვე დასაწყისმან წიგნისა ამისამანვე გამკნოსთ და მუნვე მოგიფხრასთ, თუ ვითარ მიზეზ ვექმენით აღწერად ჟუითოეულად სამართალთა.

ფრიადითა შრომითა და მრავლისა გამომეძიებლობითა თვით ვიგულისმოდგინეთ. რომელსა² ზედან მოწმობა დართეს ერთა ჩვენთა სრულობით სამართოთა და გინა სამტედროთამან, ბრძენმან და მონახულმან, ყოველმანვე ერთბამად. და ესე ესრეთ არს შემზადებული.

ხოლო სხვანიც ზემორე ხსენებულნი [328v] წიგნები სასამართლონი დიდთა სამეუფოთანი, მოვიძიეთ და მოვიღვეით, და მრავლის სასჯელითა ვიდრე წელთა მეორედმდე გარდამოვთარგმნეთ³. და იგინიცა უკლებლად აღგვიწერიეს და არს შემკობილი ყოვლისა სამართლითა.

არამედ, ვიბათგან ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მიჰგავს სხვათა ქუეყანისა რიგთა და ქცეულებათა, სხვა არს დიდებული და თავადი, სხვა არს სისხლი და სიკუდილი, სხვა არს ღალატი და უკადრისი, ამად ესევეთარისა სამართალნი სხვათა განაჩენთა შინა ღოკლებით⁴ იპოების და მათი წიგნი უფროს ჩვენდა ჯემარ არს.

ნუ სიქადულად შემირაცხავთ, და ვგონებთ უმჯობესად ყოველთასა წიგნსა ამას, სასარგებლოდ ქუეყანისა ამისად. ამად ნურავინ სძულობს და იუნდოვებს.

აწ ვიაკებთ ყოელთა და ისმინო ესე. რომელმან ბრძენმან და გულსტმარს-მყოველმან მსაჯულმან და მოსამართლემან აღმოკეთისათვინ ქრთამთა და მიუღ-

¹ მონანო A. ² რომელსა A. ³ გარდამოვთარგმნეთ A. ⁴ მოკლედ B.

გომლობისოჲინ მოყუსთა და თვალუხვაჲად¹ სჯათა წვრილებისათჲინ იმჟღერით წიგნა ესე და მოძიაკით, და ინებოთ შეცვლა სამართალთა სხეებრ რათმე, ამას ნუ ჰყოფთ, ნუცა გარყვნით წერილთა ჩვენთა, რომელი აღგვეწეროს. არამედ რომელმან უმჯობესი საბრძნით თვისით [ჰმჲი] კპოს, იგი ჩართეთ. თვისვე თქმულად, სად ენებოს, მუნ დაწეროს და იგიც ეგოს.

ხოლო რომელმან არა ისმინოს ვედრება ესე და მოშალოს სამართლები ჩვენი, სხეებრ შეცვალეს, ცოღვათა ჩვენთა მიერ იგიჲცა დაისჯებოს*.

თუ ვითარ ჯამს დაწერა განაჩენისა

205. ქ. ამ შეკრებულის სასამართლოს წიგნისა ასრე იქნებოდეს და ამ წესით იკმარდენ.

ერთის ჩანთით, მდივანბეგისაგან დაბეჭდილი, სალაროში ებარებოდეს.

როდესაც სასამართლოდ დასხდებოდენ და მოჩივარს აჩივლებდენ, ამ წიგნს გამოიტანდენ და მდივანბეგი გაქსნიდეს.

მდივანს წინ ედვას, კითხულობდეს.

მოჩივარმან რომ იჩივლოს, მათი საჩივარი რომ გაიგონონ და საგანაჩენოდ მიიყაროს, და განაჩენს წერა დაუწყონ, ორისავე მოჩივრის საჩივარი უნდა დაწერონ. ფიცე მოკდეს თუ უფიცობა, გინა სისხლი, გინა ბოზობისა, გინა ქურდობისა და რომლისაც ნიეთის სამართალი დაიწეროს, ის სამართალი ამ წიგნის რომლისაც სამართლიდამ დაიწეროს, განაჩენშიაც ასრე ჩასწერდენ, ამა და ამ მოსამართლის განაჩენისა და სამართლისა², ამდენის თავი-დამ ეს სა[ჰმჲი]პართალი გავაჩინეთ.

ამიტომ რომე, როდესაც, ან ამ ჟამად და [ან] ბოლოს, მოჩივარმა როდესმე თქუას, ქრთაჲითა და მიდგომით მოსამართლემ უსამართლო მიყოვო, მაშინ განაჩენსა და ამ სამართლის წიგნსა შეამოწმებენ, და აქედამ ნასამართლი იქნების და ველარაჲინ იუარებს.

მერმე არის, და მოსამართლეს დაღათს ვერაჲინ დაუქერს.

და ვერც ეს მოსამართლენი, თუ არა ამ წიგნში წერებულს, სხვას მოგონებულს სამართალს ვერ გააჩენენ.

როდესაც სამართალი გარდასწყდებოდეს, წიგნს ისრევე მდივანბეგი დაბეჭდევდეს და სალაროში მიიბარებდეს.

206. ქ. მამულისა თუ რასაც ძერის განაჩენი რომ იყოს კელმწიფისაგან გასამართლებული თუ სხვის მოსამართლისაგან გა-

¹ თვალუხვად A. ² სამართლიდამ A.

* აქ მთავრდება სასამართლის წიგნის თავდაპირველი ტექსტი. აქედან ბოლომდე ტექსტი გადაწერილია სხვა ხელით (ალბათ კრებულის საძიებლის გადაწერის ხელით).

ჩენილი, ის მეფე და მოსამართლე რომ გარდაცვალებულიყოს და ბოლოს ის განაჩენი მოიტანონ და არც ის საქმე გარიგებულებიყოს, და იმ მოლაპარაკეს ის მამული თუ სადაო ისრევე ჯელთ ეჭიროს და «ამოროს» ამბობდეს, ეგ განაჩენი ჩვენთან საჩივრით სამართალში არ არის დაწერილიო და ტყუილად გასინჯვით მარტო თქვენ აგილიათო, -- თუ იმავე მეფის დროს მოვიდეს ის ლაპარაკი, მეფემ მოსამართლეთა და დამწერთ უნდა უწყინოს და გარდააღწევისო, შეცთომით განაჩენი რატომ დააბეჭდინეს.

თუ აღარ ცოცხალან, და რალა გაეწყობის, — ვისაც მამული თუ სადაო რამე ჯელთ უჭირავს, ფიცი იმისი არის.

მაშინ, რომ მაქსოვარი აღარ ცოცხალ იყოს, ეს მაშინ უნდა, თორე, რომელსაც მაქსოვარი ეშოების და სწორე შეიტყობის, ის არ მოიშლების.

[330r] ქ. მიბარებულისა რასაც ნივთისა, და გინა ნათხოვრისა, ასრე იქნებოდეს

207. თუ ასრე პირობა დაუდვას ან წიგნით, ან მოწმით, ამგვარად ინდოს, რომე ან მტრის დასხმით, ან ცეცხლით, ან წყლით, ან მოპარვით, რასაც ფერის დამარცხებით თუ ჩეჰსასაც არა დაუმარცხდა რაო, არც არას შენსას დაუმარცხებო, და მერმე ამ მიმბარებელს და მენათხოვრეს ერთის რისაც დამარცხებით თავისი წაუჭდა და ეს სხვისაც, — არას ემართლებიან.

იქნების, რომ არ უჯეროს, შენი არა წამჯდარა რაო და ჩემი უნაღვლელობით დაკარგე და წამიჭდინეო, — ფიცით შეიჯეროს, როგორც საქონელი ყოფილიყოს, იმრიგის მოწმით, როგორაც მოსამართლეთ გაჰონახონ.

თუ თავისი არა წაუჭდა რა და მიბარებული და ნათხოვარი წააჭდინა, უკლებლად უნდა მისცეს ისივე თავნი.

[207¹]. იქნების, უწიგნოდ, უპიროდ კაცმა კაცის საქონელი მიიბაროს და ან ინათხოვროს. რასაც მიზეზით უნდა წაუჭდინოს, არას ემართლების, თავისი თავნი უნდა უკლებლივ მისცეს — თვინიერ ცეცხლითა და ლაშქრით, ქურდითა და წყლით. თუ ამ ოთხში ერთ-ერთითაც არის წაჭდენია, თავად თხოვნა არა მართებს მიმბარებელს, და თუ სთხოვოს, სულ აღარ მიეცემის, ნახევარი უბჭონ, ამიტომ რომე უნებური საქმე წაკიდებია.

[207²]. კაცს რომ კაცის რა გინდა რა საქონელი ებაროს, ვისაც აბარია, იმას რომ თავისი ბატონი გაუწყრეს და აიკლოს, და ის მიბარებული საქონელიც თან გაატანონ, იმისი ასრე იქნას. თუ დასთმოს იმ კაცმა, ამოყურობით და მეზობლობით, — რადგან რომ

იმისთანა ზიანი მოსვლია და წამყდარა ბატონის წყრომიჲ, და საქონლის პატრონმა აღარა სთხოვა, კარგია.

და თუ სთხოვა, უნდა მისცეს, თავისას არას ემართლებს.

[207³]. ქ. იქნება, რომ კაცს კაცისა ებაროს რამე, რა გინდა რა ფერი, და უთხრას პატრონს, გამაცალეო, და არ გააცალოს, და მერმე ან დაეკარგოს, ან მოჰპარონ. ის მიმბარებელი თუ ცოტას რასმე შეუა, თორემ სხვას ველარას სთხოვს, ამიტომ რომე ის [რ]ომ უთხრა, რატომ არ გააცალა?

თუ წაყვანა არ უთქვამს და ისრე დაუკარგა, თავისი თავნი მისცეს*.

[330v] 208. ქ. კაცმა რომ კაცს მიაბაროს რამე, და მას კაცს ცოლი ყუანდეს და ის კაცი მოკუდეს, და თუ მას მის ცოლთან შვილი დარჩეს, ის, რაც რომ მამას იმის ბარებია, იმ შვილს ეთხოვბის.

და თუ შვილი არ დარჩა და მარტო ცოლი დარჩა, თუ იმ ანაბარის ჴელთ ქონდეს რამე, იმ დედაკაცს მიაცემინონ.

თუ დედაკაცი მოკუდეს და კაცმან ცოლი სხვა შეირთოს, და მეორეს ცოლს უკან ის კაციც მოკუდეს, თუ შვილი დარჩეს მეორეს ცოლთან, მეორეს ცოლთან მიცემულს შვილსაც ეთხოვბის, ვისიც რა მამას იმის ბარებია.

და თუ შვილი არ დარჩა, მას დედაკაცს კი არ ეთხოვბის.

თუ, ვინ იცის, თავის მზითვისა და ნიშანს გარდა სხვა ნამეტნავი საქონელი იმ ანაბარისა ქონდეს და მართლა გამოჩნდეს, ის კი უნდა მიეცეს თავის საქონლის პატრონსა.

209. ქ. კაცს რომ კაცის საქონელი ბარებოდეს რამე, მიმბარებელიც და საქონლის პატრონიც ორნივე მიცვალებულიყუნენ, ამისი ასრე უნდა იქნას.

თუ შვილი დარჩომოდეს შემნახავსა, იმ საქონლის მომდევარს პასუხი შვილმან გასცეს. თუ არადა შვილი არ დარჩომოდეს, ვინც იმ კაცის საქონელს დაპატრონებოდეს, პასუხი იმან უნდა გასცეს.

იქნების, რომ შვილი დარჩეს და მისმა ბატონმა გასცეს და დაფანტოს, იმ საქონლის პატრონს პასუხი ვებატონემ უნდა გასცეს.

210. ქ. თუ კაცმა კაცი ინათხოვროს და თუ მოკუდეს, ვერას შეუა. თუ არადა, მიზეზი არა არის რა, უნდა მისცეს თავისი პატრონსა მისსა, როსაც სთხოვოს, ამისთვის [რომე], თუ არ ღვებოდა, რატომ პატრონს არ მისცა და ან არ შეატყობინა?

* ეს მუხლი A ნუსხაში მიწერილია ვახტანგის ხელით.

თუ გიგი იყო, — აგრევე.

თუ არადა, ყაზახმა და ქურდმა მოსტაცა, რატომ გაგზავნა ასეთს ალაგს, რომე [ჰჰ1r] მოაპარვინა ან მოატაცებინა?

თუ, ვინ იცის, მან არ გაგზავნა და ან მან არა აწყენინა რა, და ის კაცი თვიჯონ წავიდა და გაიპარა, დიდია თუ ცოტა, და გზაზე ყაზახი შეხვდა და დაიჭრა, და წაიყვანა, ამისი ასე იქნას.

ვინც ის კაცი ითხოვა და ებარა და ყუანდა, ჯერი დაედებინა რამე, ასე რომე არც მასკაცს ძალად გაეგზავნოს და არც არა დასაკარგავი ეწყინოს რამე. რადგან ასრე ჯერი უყოს, ალარას ემართლებს, ორთავე სწორედ სძებნონ.

როსაც გამოჩნდეს და იპოვონ, თუ როგორც ჯერი ქნა, ისრე ყოფილიყოს და მართალი იყოს, ის კაცი თავისავე პატრონს მიეცეს. და სხვა საზღაური, რაც იმის მაჰპარავეს გამოართვან, ვისაც რომ ის კაცი ნათხოვრად ყუანდა და ებარა, იმას მიეცეს, ამისთვის რომე უბრალოდ დაუფიცნია და ფიცის საუბატიო მან ქურდპან უნდა გარდღუჯადოს.

ერთი ესეც, რომ, ვინც ის კაცი ითხოვა, ის კაცი რომ თავის სახლში იყოს და მას, ნათხოვრს კაცს, კარგადაც ინახევდეს და ანაზღეულად მის სახლში ან ყაზახი დაესხას და ან ქურდი, და ის კაცი მოიპარონ და მოიტაცონ, ამისი ასე იქნას. რადგან უთხოვნია, პატრონი თავისას ისევ ითხოვს, მაგრამ რადგან იმგვარად მომხდარა, სულ აღარ მიეცემის, იმ კაცის ნახევარ-ფასი უნდა მიეცეს, და ორთავე სწორედ სძებნონ. თუ ვისმე მართლა შეაჩნდეს ის კაცი, გამოერთვას.

და თუ — ფასი, ფასიცა და საზღაურიც შუა გაიყონ სწორედ. ამისთვის რომე იმ კაცმა, ერთი ესე, რომ ნახევარი ფასი უწინ მისცა, მეორე ესე, რომე მანც იმასთან ეძება, შესამე ესე, რომე მან, კაცის მომპარავმან, იმის სახლი გატეხა და იქიდან წაიყუანა.

[ჰჰ1r] 211. ჯ. თუ პირუტყუი მიიბაროს კაცმა კაცისა, თუ დაუკარგოს, უნდა უზლოს. და იმან ქურდი იპოვნოს და იმას გარდღუჯადოს.

თუ ავის პატივით შეუნახოს და მართებულზე ნამეტნავი ამუშაოს, და მკლე იყოს, მოკუდეს, — უნდა უზლოს. თუ ან კლდეს გარდაადგოს, ან მგელს შეაჭამოს, ან მტერს მოაკულებინოს, — უნდა უზლოს.

თუ, ვინ იცის, ან სენით მოკუდეს, ან საიბრმითა, ტყავი და ჯორცი პატრონს უნდა მიუტანოს, სხვას არას ემართლება.

[მოსამართლეს რომ საეჭვო მოკვინდეს]

212. ქ. მოსამართლეს რომ საეჭვო მოკვინდეს სიტყუით, მოწამე თავად მომკვინესა სთხოვონ. თუ იმან დასაჯერი მოწმეები იშოვოს, კარგი არის. თუ არადა, ვისაც ედავების, იმას სთხოვოს მოწამე, და ამისი უფროც დაიჯერება, ამისთვის რომე იმაში ექვი აქუს. თუ არადა, ფიცით გარდასწყუიტონ.

213. ქ. მოსამართლე რომ სიგლის წერილს ვერ მიხვდეს, თუ იმაში დაწერილზე რომ ისარჩლიდენ; თუ უცილებლად ყოფილა იმ დღემდინ, სიგელიც მართლად ჩაიგდების და შიგ წერილიცა უცილებელი ყოფილა, არას ემართლების.

თუ სიგლისა არა შეიტყობა რა და სადარსაც ახლა ედავების, ნუ ალაპარაკებს, დაკარგვია.

ქ. ქუეყნისა და ქალაქთ შენახვისა

214. უღების დადება კაცის-კულის ოდენი არის, ამაღ რომე ბოლო აღარ მოეღების. და ჯელწიჟემ მოსამართლე და გამგებელი მღთისა და ჯელმწიფის მოშიში უნდა დააყენოს, რომე ჯელითაც გამოუვიდეს.

ქ. ბქის დადგინებისათვის

215. ჯელმწიფემ ასეთს კაცს უნდა უბრძანოს. რომე ორმოცს წელიწადს¹ იქით იყოს და არც, დიად, სიღარიბე აწუხებდეს, თორემ მოტყუებდა; ღთის მოშიში იყოს.

ორი ბქე არა ჯერ არს, ამაღ რომე ერთმან ერთისაკენ თქუას, ერთმან მეორისაკენ, უსამართლო ღოჯდების.

და ბქესა ესეც უნდა სჭირდეს, რომ, რაც მოჩივარმა შესჩივლოს, ასე დაისწავლოს. ასე უამბოს, როგორც შეეჩივლოს, რომ შენ ასე არ იჩივლეო? თუ სწორედ დაუსწავლია და ან ორთავეს საჩივარი ახსოვს¹, უსამართლოს ნუ იტყუის.

ქ. დედაკაცის საჩივარში მოხვლისა

216. თუ დედაკაცს კაცისაგან საჩივარი აქუს, სამართალშიც მიესვლება და გაგონებაც უნდა. მაგრამ მისის ენით მოადს არც ფიცი დაედება, არცა რა წაერთმის; თუ კაცს დაიმოწმებს, მცდარი არის.

თუ დედაკაცი დედაკაცისაგან ჩიოდეს, მდივანში ჯელი არა აქუს, მოთემემ უნდა გაურიგოს.

[ეკლესიის ღამულის დამუშავებისათვის]

217. ქ. ეკლესიის ღამულის დამთესველმა ან დამნერგველმან, თუ ეკლესიის პატრონისაგან დასტურით მოჯნას, მართებული

¹ ახსოვნს AB.

გაიჩინება, ამისთვის რომე ბეურის სულის მესისხლე არის. რაც გარდაცდება, სამართლით იქნება.

222. ქ. ვინც კაცმა ქუეყანას და ქრისტეს რჯულს უორგულოს, კიდევ ხედევდეს, იმით რჯული წაჭდებოდეს, იმას მიყუეს, — ლთისა და ბატონისა ორისავე მესისხლე იქნების და ყოველი ავი იმაზე მართებული არის.

ქ. ნიშნის მიტანისა

223. ან ვაჟი მოკუდეს და ან ქალი, თუ რამ გასაცვეთი მისელია და სიცოცხლეში გაუცვეთია, ვერას შეუა, — რომე სიძესაც ბევრს მიეცემა.

მას გარდა სულ უნდა მიეცეს ნიშნის პატრონსა.

ქ. ზითვისათვის

224. ვისაც სახლში უშვილოდ ქალი მოკუდეს და ქმარი დარჩეს, და მის სულს კარგად მოუაროს, თუ დიდის ხნის ცოლ-ქმარი არიან, არა ეთხოვოს რა.

თუ ახალი შეყრილი არიან და შვილი არა ყავს, ზითვეი სამად გაიყოს: ერთი წილი სულისათვის, ერთი წილი ამისთვის, რომ საქორწილო მიუტანია, და მესამედი ჭლის პატრონს მიეცეს.

თუ ქალს ქმარი მოუკუდეს, ქურივი უშვილო მოკუდეს, თუ რამ საკაცო აქუს, სახლისა არის, სხვა მონაგები სულისა არის, და ზითვეი, რაც იქნება, თუ რამ სულისათვის დაიხარჯება, ის არის, სხვა ქალის სამშობლოს უნდა მიეცეს.

ქ. გიჟისა და ბნელიანის ცოლისათვის

225. თუ ესენი ქორწილს წინათ სჭირს და ქმარს შეატყუეს*, თუ გაუშვებს, სამკუიდრო უნდა მისცეს და საკანონო მაზამა და გამთხოვებელმან უნდა გარდაიკადოს, ამისთვის რომ ქმრის თავი არა ქონდა, რატომ გაათხოვეს?

და თუ რაც რაფერი სენი დედაკაცს ქმრის ჯელში დაემართოს, უნდა მოუაროს, გაშვება არ იქნება. და ერთმანერთის შენდობით იქნების, მოსამართლე არად გაერევის.

ქ. უსამართლოდ გინებისათვის

226. იქნების, რომ ასეთ ფერად შეაგინოს, რომ სისხლი და კაცთან დიდი მტერობა გაიშალოს.

ამის მთქმელს, ამათში რაც სისხლი მოჭდება, ნახევარი დაედების, რომ რატომ ასეთი შეაგინა, რომე სხვას გარდაკიდა?

* A ხელნაწრის ერთა ფურცელი (333r—333v) დაკარგულია. აქედან 238 მუხლამდე ტექსტი აღდგენილია B ნუსხის 247r—248r მიხედვით.

და სხვებრ უსამართლოს გინებისათვის მოსამართლისაგან გარდევნივინოს ცემითა თუ დატუქსევითა.

ქ. წაძრახვისათვის

227. ვინც ვისაც წასძრახოს, იმით სისხლი და რაც რამ ჩხუბი მოკდეს, ნახევარი წამძრახვამან გარდიჯალოს და ნახევარი მქნელმან.

და თუ იმ წაძრახვით ჩხუბი არა მოკდეს რა და გულის მოწყვეტისათვის უთხრას, გულის მოწყვეტა და თავის გატეხა ერთგან ჩაგვიგდია,—რასაც გვარისა იყოს, იმ წესით თავის გატეხასთან ჩაიგდება და იმთონი გარდაუქალოს.

[მუქარის დათხოვნისათვის]

228. ქ. კაცმან კაცს მუქარა დასთხოვოს, ამისი ქართლში არა გაჩნდება რა, ამისთვის რომე ამაყი კაცი არიან. და მოსამართლემ დატუქსოს და კარი გაარონინოს.

[ქირავნობისათვის]

229. ქ. ვინც ვინზე გაგზავნოს სადმე და იქ მოკუდეს, მოჯამაგირე იყოს თუ სხვა, თუ იქ იაველდემოუფებს და დლით მოკუდების, მის სულზე უნდა გაისარჯოს, სხვას ვერას შეუვლენ გამგზავნელს.

ეს გაგზავნილი კაცი ან სენს შეესწრა და ან იმ ალაგს ჰაევამ, ან სიხაშემე თუ ყაზახმან მოკლას, ნახევარი სისხლი გაუჩნდება, რისაც გვარისა არის, ამისთვის რომ არც გამგზავნელს უნდა სიკუდილი.

ამ რიგითა, რომ, თუ ან ყმა არის და ან კაცი გასამრჯელოს სთხოვს და გამოართმევს, ამისთანას არა ეთხოება რა.

და ან თავის სხვის-შვილი და მოჯამაგირე არის, ამისი მეოთხედი სისხლი მიეცემის, ამისთვის რომ მოჯამაგირეთ დაუქირავს, მაგრამ ამისთვის არ დასდგომია, რომ სასიკუდილოს ადგილს გაგზავნოს.

230. ქ. ვინც ვისი პირუტყუი ან საძოვარზე, ან თუ წყალზე წაიყვანოს და დაუშაოს, და თუ მოკლას, თუ იჭმარა და ისრე დაემართა, მთლიე უზლოს.

თუ ფათერაკის საქმით მოუჭდა, ნახევარი დაიკლოს პატრონმან.

[ქერივი დედაკაცის სამკვიდროსათვის]

231. ქ. ვის შვილი დარჩეს, მას უკან მოკუდეს, დედაკაცი დარჩეს უშვილოდ, თუ სახლში დადგების, რადგან ქმარი და შვილი

იქ მოკდომია, ისრევ თავის პატივით იყოს.

თუ გამოვა, ან სამშობლოს შივა, ან მოლოზნათ შედგება, სახლიდამ საკაცოს საქონელს ვერ წაიღებს.

და თუ რამ თავის ქმრის კერძი საქონელი და სულადი არის, მისი მესამედი სამკუთხედოდ გაყუეს იმ დედაკაცსა, მამულს გარდა.

თუ ქმრის სახლში გაუყარი კაცი არა ჰყავს, საქონელს თავის ბატონის მეტი ვერავენ შეეცილება.

232. ქ. დედაკაცს, ქუროის, მანულის გასყიდვა და შეწირვა არ შეუძლია და საქონელი, რაც ზელთ უჭირაეს, როგორც უნდა, მოიჭმარებს. თუ სახლის კაცი და ან ბატონი გამოეკიდა, როგორც ზეით სწერია, ის უნდა იქნას [იხ. მუხლ. 231].

ქ. ანდერძი

233. თუ კაცმან, ნოკუდავმა, თავის ალალი საქონელი თავის სულს დააკლო და ვისაც უანდერძა, მიეცემის.

მამული თუ ნასყიდი აქუს, ისიც მიეცემის. სხვა მამული მის პატრონზე ჰკიდია.

ქ. აზატობისათვის

234. ვინც ან თავის მწვეალი ან მონა, ნასყიდი და თავის უცილებელი, ჰყუეს და გაა[ა]ზატოს, ჳელი არავისა აქუს.

თუ სასახლო და სამშო რამ არის, უერთმანერთოდ აზატი არ არის.

[თავდებობისათვის]

235. ქ. თავდები ამ სამართლით უნდა, რომ თითონ ნებით მოვიდეს და უთავდებოს, ჳელში გამოაზაროს. უცილოდ ისევ უნდა ჳელში მიაზაროს, რაც მიზარებოდეს თავდებსა.

ღალად თავდების დაყენება ცოდვა არის.

[მთხრობლობისათვის]

236. ქ. მთხრობლობა საქმით ხომ მართალიც ცოდვა არის, და ტყუილი ჳესისხლობა არის.

მაგრამ საღტოს წანაჳედისა და ჳელმწიფის ორგულობისა შეიტყოს ვინმე და არ გაამჳლავნოს, ისიც დამნაშავესთან ჩიღდების, მასთან უნდა დანაშაული გარდაიჳდოს.

მთხრობელმან როდისაც უთხრას კაცსა და სამთხრობლო გამოართვას, მამინვე ის პირობა უნდა დაიდოს, რომ, თუ გაჳირდეს, აირს დაუდგნო.

რომელიც ამის პირს ვერ მისცემს, იმაში ტყუილი ურვეია.

თუ ტყუილად კაცმა კაცს უმთხრობლოს და მთხრობელი გამტყუებდეს, რაც იმის ენით მართალს კაცს ედებოდეს, იმთონი მოსამართლემ გარდაუტღვევინოს.

ქ. ფიცისათვის და მოფიცარისა

237. მოსამართლემ გასინჯვით უნდა ფიცის საქმე გაარიგოს თუ კაცს ხედვედეს, რომ ღთის მოშიში არ არის და სჯულისაც არა იცის რა, იმას ფიცს ნუ დასდებ, ბრძენო მოსამართლევ, ხედავ, რომ არას ინალღლის.

დიდი საქმეც რომ იყოს, ბევრს მოფიცარს ნუ შეაგდებ, რომე ორი ცოდვა ურევია: ერთი ამად რომ, ეგების მართალი იყოს და ბევრის კაცის შოვნა ვერ შეიძლოს; მეორე ესე, რომ, თუ ბევრნი შეგროვდნენ, დაიფიცვენ, არ შეირცხვენენ.

მოფიცარი დროული, ღთის მცნობელი, სჯულის მეცნიერი და ცოტა უნდა იყოს.

[ჰჰჰ]* ქ. ტყუილად დამფიცებლისა

238. რომ შეიტყოთ, ტყუილად კაცს დაუფიცავს, მოსამართლევ, რას უზამ იმას?

ურია არის და მასთან პური არ იჭმება—მისმა მერჯულემ დიდად გარდააჯღვეინოს.

და რაზედაც ეფიცოს, პატრონს თავი მიეცეს, ანად რომე ღთისა და პატრონის რისხვა ეყოფა.

ქ. დედაკაცის ფიცისათვის

239. დედაკაცს არ ეფიცების, არც გარეშე კაცი შეეგდების¹, ამისთვის რომე გარეშეს კაცს არ გაუტყუდება, არც არას მისის ფიცისას ინალღლის. უნდა მოსამართლემ მოუძებნოს, რაც რამ სავარელი ყუანდეს, ძმა თუ შეილიანი სიძე, ის შეაგდოს.

ქ. სიგლის წართმევისათვის

240. ვინ ვის მოერიოს და სიგლები წაართოს ან დაუხიოს, ან დაუწვას, ჯელმწიფის მეტს ამისი სამართალი არ შეუძლიან, ამად რომე წართმევსაც ჯელმწიფემ უნდა გარდააჯღვეინოს².

ერთად ესეც იქნება: პატრონს კითხოს და, როგორიც სიგლები ყოფილიყოს, დაუწერინოს, დაუბეჭდოს; რომ ცოტა ტყუილიც გაერიოს, სიგლების წართმევისა³ არის.

ქ. სამძვრის გარიგებისათვის ასრე უნდა იქნას

241. რომელიც სამნის ჩამსმელია, თავად ძველი სამანი უნდა კარგად მონახოს.

თუ ვერ იპოვოს, ასეთს ალაგს გასამძვროს⁴, რომ ან გორა, ან ჯევი, ან კლდე ემოწმებოდეს, თორემ სამანი ბევრს ალაგს მოგლეჯილა და ნიშნიანის ადგილით⁵ უფრო არ მოიშლება.

¹ შეეგდება A. ² გარდააჯღვეინოს A. ³ წართმევისა A. ⁴ გასამძვროს A.

⁵ ნიშნიანის ადგილით ნიშნის ალაგით B.

* აქედან უკვე გრძელდება A ხელნაწერის ტექსტი.

ქ. სამნის მოგლეჯისათვის

242. როგორის საქმიანაც მჯდარიყოს, დიდი იყოს თუ მცირე, თავის კელის სისხლის ფასი ჯურუმში გარდიჯადოს, ამისთვის რომ სამნის მომგლეჯელი კელმოსაქრელი არის.

[ამანათისათვის]

243. ქ. კაცმა კაცს შორილამ გაუგზავნოს რამე და კაცი მკუდარი დახვდეს, წამლებს მართებს, რომე, სახლში თუ ყუანდეს რამე, მიუტანოს, თორემ თუ დაუბრუნა, იმ კაცისაგან წართმეული იქნება.

თუ ძალდადგომით ვერ მიუტანა, იმასთან სამართალში მიუყუეს და დიდად გაისარჯოს [მდრ. მუხლ. 149].

[რუს გამლებისა]

244. ქ. რუს გამლებისა, რომ შუაში სხვის მამული ედვას, იმ შუას მამულის პატრონს არა გაუკეთდება რა, ფასი უნდა მიეცეს. თუ იმასაც გაუკეთდება რამე¹, კარგად შერიგდენ [მხ. მუხლ. 170].

[წანაჯედისათვის]

245. ქ. მწყემსმა რომ წანაჯედი ქნას, თუ ან საქონლის პატრონი თვითონ არის და ან სამწყსოს შენახვისათვის ფასი აქუს, წანაჯედი მწყემსმან უნდა ზლოს.

და თუ ისრე, საქონელმა წააქედი[მჰჰჰ]ნოს², საქონელი იმან უნდა გარდიჯადოს [მხ. მუხლ. 188].

[მიწის ჰერისათვის]

246. ქ. რასაც მიზეზით კაცს მიწა სკეროდეს და ან ბალი, ან ვენატი აეშენებინოს და სხვას დარჩეს, თუ წადავებით და მდივნით მიეცემა, რაც იმ მიწაში ჰირნახული უქნია, მისი პასუხი უნდა მიეცეს.

თუ, ვინ იცის, სიტყუა არ დაეკლოს, რომე, ჩემს მიწაში ნუ აშენებო, და არ დაეჯერებინოს, ჰირნახული ნახევარი მიეცეს.

და თუ პატრონი წაართომს და მისცემს, არას საქირნახულს უსამართლებენ.

¹ რამე] + და A. წააქედინოს] + და AB

[ზის წადებისათვის]

247. ქ. ვინც სხვის კაცისაგან მოჰრილი, დამზადებული რაც რა ფერი ხე წაილოს, პატრონს თუ არ დაუმალოს, როგორც ყოფილიყოს, ან ფასით შეიჯეროს და ან ისევ იმისთანა მოუჰკრას, დაუმზადოს.

თუ შეუტყობრად წაელოს და კიდევ დაუმალოს, საზღაურით გარდუჰადოს.

[ყმის ამოვარდნისათვის]

248. ქ. ვისაც ყმა ამოუარდეს, ნასყიდი თუ იყოს, მისი საქონელი ბატონს უფრო ეტელყუის.

თუ ცოლი და ქალი დარჩება, სამკდროთი და შესანახავით შეიჯეროს.

თუ ან წყალობის ყმა ან პატრონის მინაცემი, იმის ცოლსა და ქალს უფრო ცოტა რამ გამოერთმის.

თუ არც ცოლი, არც ქალი დარჩა, პატრონმა დამარხვითა და სულის საქმით კარგად უპატრონოს, სხვა ალალი იყოს.

[ქურდობის შეწამებისათვის]

249. ქ. რასაც ფერის ქურდობისათვის, ცხენისა, პირუტყუისა თუ საქონლისა, როსაც კაცმა შესწამოს, თუ ქურდი გაუტყდეს, ბოდიში ითხოვოს, შეიდეულისაგან სამი ეპატიოს და ოთხი გამოერთვას.

თუ, დიად, უარზე დადგეს და პატრონი გასარჯოს, შეიდეულიც მისცეს და სამთხრობლოცა [იხ. მუხლ. 159].

ქ. ღალის აღებისათვის

250. მიწა ოთხგვარი არის: ერთი—ნაფუძარი, მეორე—ნანეხვი, მესამე—სარწყავი, მეოთხე—ველური.

ამათ გვნაშივე შერიგება უნდა მისის პატრონის პირობით.

[მისანთა და კუდიანთათვის]

251. ქ. მისანთა და კუდიანთ ამჟოლი კაცი ღთისაგანც დაწყველილი არის და პატრონისაგანც წასაჯდენი.

ამ მისნისა და კუდიანისაგან დაჩხუბილნი კაცნი თუ სამართალში [ჰჰ4r] მოვიდნენ, მისანი და კუდიანი გასახეიბრებელი არის.

და რაც იმ მკითხველს სხვაზედ ან ჩხუბი, ან წასაჯდენი¹ მოუქდენია, მოსამართლემ გაუკითხავად, სისხლი იყოს თუ საუბატიო, წაურთოს და მისცეს.

იქნება საქონელიც წაერთოს მისნის პირით, ის ერთიორად გამოურთოს მოსამართლემ.

ქ. მოწამლისათვის

252. მოწამლით მკუდარი კაცი სხვას კაცის-კულას არა გავს, ამად რომე ერთმანერთის შულლით სიკუდილი სხვა არის, ფათე-რაკი სიკუდილი სხვა არის, მტერობის სიკუდილი სხვა არის.

მაგრამ ეს მოწაწლა ორზომათ სისხლათ ჩაიგდება. ქრისტიანობის სამართლით, ზელში ის მომწამლავი მიეცენის მოსის ხარსა.

[ტყუილად დამბეზღებელისათვის]

253. ქ. ტყუილად დამბეზღებელსა ორი დანაშაული აქუს: არც ზელმწიფის დოვლათისათვის სჯობს, [და] ეისაც დააბეზღებს, ის მკუდარი არის იმ მობეზღრისაგან.

რაც მობეზღრის პირით ამოსულიყოს და ტყუილი იყოს, იმ მობეზღარს უნდა გარდაჭდეს.

ქ. ომში კაცის დარჩენისათვის

254. კაცმა კაცი დაირჩინოს, თუ უცხო მტერი დარჩომია და შორის ქუეყნისაც არის, არც ჩვენის რჯულისა არის, თუ ზელმწიფე არ² გამოართმევს ან თავს არ დააჯსნევენებს, ნასყიდისაგანც უფრო ყმა არის.

დარჩენაშიაც ეს ურევია, რომ თუ სხვის კაცისაგან ან ჩამოგდებული არის ან დაკოდილი, თუ კაცმა შემოიძახოს, რომე, მამეკმარეო ან ჩემგან ჩამოვარდნილი ან დაკოდილი არიო, თუ დაირჩინა, დაანებე, — მამაკობა არ გაიყიდება.

თუ არადა, იარალი ჰქრა რამე და გაუარა, არა ინაღვლა რა, ვისაც დარჩეს, იმისი იყოს.

თუ მოწამე ყავს, რომ იმ კაცზე ამის იარალი მოხედა რამ დამნარჩუნებელს უწინ, ერთი, რომელიც უკეთესი იარალი ქონდეს, მოწამობის გულისათვინ მისცეს.

თუ ან ახლოული კაცია ან ჩვენის რჯულისა დაირჩინოს, იმას თუ ზელმწიფეს მიართომს, ჯილდოს მისცემს, თუ არადა,

¹ წანაყედი A. წასაყედი B ² არ]—B.

დიდი ნამუსი უნდა, რომ თავი დააქსნევიყო. ისიც ნამუსიანათ უნდა [ზღრ. მუხლ. 178].

ქ. ომში ნაშოვნის საქონლისათვის

255. თუ ან თარეშობით ნაშოვნი იყოს, თუ ჯელმწიფე იქ ბნანდება, რომელიც ეპრიანება, იმასაც მიართომს და ფანჯი-აკსაც¹ აიღებს. თუ არ ბძანდება, ფანჯიაკს მაინც აიღებს.

ამხანაგში ჯეთ თუ გარიგდენ, პირობა მისცეს ერთმანერთს, რომელიც ამხანაგი სულ ცარიელი დარჩეს, წილს ვერ დააკლებს, და ათისთავს. საცხენმალოს მაშოვარი კაცი აიღებს.

[ორმოში ჩავარდნისათვის]

[მჰჰჰ] 256. ქ. ან ორმო დარჩეს პირდია, ან ნათხარი რამ ქნას კაცმა და იმაში ჩავარდეს რამე, თუ თავის ნატამალში აქუს, უფრო ვერას შეუვლენ.

და თუ სათემოს, სასოფლოს ადგილს არა ინაღვლა რა კაცმა, თუ საკმელი პირუტყუი წაჭდეს, იმაში ჩავარდნილი — ორმო[ს] თუ ნათხარის პატრონს, და საქონლის პატრონს იმისთანა მთელი მისცეს.

თუ ცხენი ან ვირი, მაგისთანა, რომ არ იკმებოდეს, ჩავარდეს, ნახევარი ფასი გარდუჭადოს.

თუ ყმაწვილი ასეთი ჩავარდეს, რომ პირუტყუთან ჩაიგდებოდეს, რაც იწყინოს, მის საფერად მოსამართლემ გაუჩინოს.

ჭკუისმყოფელი ან კაცი ან დედაკაცი ჩავარდეს, არა გაუჩინდება რა, ამისთვის [რომე] თვალთ უჩანს, ნუ იქს [ზღრ. მუხლ. 195].

[ქალის სამკვიდროსათვის]

257. ქ. უშვილო ვინმე იყოს და ქალი დარჩეს, თუ ქმრის ჯელთ არის, ანდერძისაგან მიეცემის.

თუ გაუთხოვარი სახლში დარჩეს, თუ ღარიბია, ნახევარი საქონლისა მისცენ — ჩვენს ქუეყანას მამულს არ მისცემენ.

თუ მდიდარი არის, მის ქალს მის წესით კაი საზითო მიეცემის.

ესეც იქნების, რომე თავის ადგილზე ქმარი შეირთოს, პატრონი ბევრს ნურას უკითხავს.

ესეც იქნება, რომე ქალი დავარდეს მამის სახლში, იმას ამ გაჩენილისაგან ზითევისა უუროსი უნდა მიეცეს.

¹ ფანჯიაკს B.

[ბატონის მოკვლის, დაქრის, ცემისა თუ შეგინებისათვის]

258. ქ. ვისაც შერისხდეს ლთი, თავის ბატონი მოკლას ან დაქრას, ამისი სისხლი არ გაჩნდების, ამისთვის რომე ყმისა ყუ-ელა ბატონისა არის, რას მისცემს.

ასე უნდა. ზელმწიფემ და მოსამართლემ ასეთი წიგნი მისცენ ბატონს ყმისა, რომე ნასყიდისაგან უფრო ვერსად დაეკარგოს, ამისთვის რომ ეს სამართალი ველარას ყმას ავს ვერ გააბედვინებს.

მის ბატონსაც წიგნი დაადებინოს, რომე უზელმწიფოდ¹ ვერც მოკლას და ვერც გაახეიბროს. საქონელსა და მამულს ნუკითხავთ.

ასეთი ბატონ-ყმანიც იქნება, რომე ყმას იმ ბატონის სისხლის გამოღება შეეძლოს, მაგრამ სისხლის მიცემა არ უნდა დაერქოს — მოსამართლე გაუწყრეს, წაუროთოს, რაც ემნითებოდეს.

ამ სანართალს უკან თუ ბატონმა ყმა არ დაინდოს, ან მოკლას, ან გაახეიბროს, მოსამართლემ მისი სახლი გაათავისუფლოს [მდრ. მუხლ. 95].

259. ქ. თუ ყმამ ბატონს გაჯავრებით ან ჯოხი კრას ან ზელით სცემოს, ზელი მოკუფეთოს ან იმ კაცის ზელის ფასი წაერთოს.

თუ ან გაჯავრებით ბირის-პირ შეაგინოს, ენა მოეკრას ან ენის ფასი წაერთვას.

კიდევ ეს არის, რომე, თუ ყმამ ეს შეიტყო, რომ ბატონს ჩემს მოვრჩებიო, ბევრი ავი იქნება.

ესეც იქნება, რომ ყმამ ბატონი ან ცოლზე დაიქიროს ან უსამართლოდ ორი ნაქერი² ქონდეს, თუ ყმას არა შეეკადრებინოს რა, მოსამართლემ ან კარგად და[ა]ტრევიბინოს და ან გაათავისუფლოს.

თუ ყმამ ამისთანას საქმისათვის ან ავინოს, ან ჯოხი სცეს, ან ცოტათაც დასჯრას, ბატონმან შეუნდოს, სიკუდილს მაწინც ნუ შეკადრებს.

[ყმის თავის დაჯსნა ასრე იქნას]

260. ქ. ბატონმან რომ თავის მკუიდრს ყმას, ან ნასყიდსა, თავი დააჯსნევინოს და მართლის მოწვევებით წიგნი მისცეს, და იმ კაცს წიგნი ზელთ ექიროს, ის ყმა აზატი არის და აზატნაქმარისაგან

¹ უქემწიფოთ A.

* A ხელნაწერის ერთი ფურცელი დაკარგულია. აქედან 261 მუხლის ბოლომდე ტექსტი აღდგენილია B ნუსხას 259ა-251რ მიხედვით.

კიდევ უფრო აზატი იქნების, და აღარა ზელი აქვს მის პირველს პატრონს მასთან.

და თუ არც წიგნი ეპიროს და არც მართალი მოწამე ყუანდეს, და ისრე უწიგნოთა და უმოწმოდ ამბობდეს, ამას კაი გასინჯვა უნდა. ან რას გზით ამბობს თავის დაჯსნასა, ან წიგნი რატომ არა აქუს, ან მოწამე რასთვის არა ჰყავს,— ესეები ასრე კარგად გაუსინჯეთ.

და თუ წიგნი ზელთ უქირავს თავის თავის დაჯსნისა, და წავა ეს თავდაჯსნილი კაცი და ერთს კაცს ეყმობა, და ზამულს გამოართომს, და ასეთს წიგნსა და პირობას მისცემს, რომე, როგორც სხვა შენი მკუილრი ყმა გყუანდესო, მეც ისრე მკუილრად გყმობივარო, წიგნი გაუსინჯეთ, და როგორც პირობა და წიგნი აქუს, იმრიგად აყმევით. და თუ მკუილრობის წიგნი და პირობა მიუტია, აღვილად ველარ წაუა.

თუ ისრე, უწიგნოდ და უპიროდ წყალობის ყმად მისვლია, რადგან წიგნი არ მიუტია და თავი—სამკუილროთ ყმათ, ამრიგად მისული, როდისაც უნდა, ზამულს დაუგდებს და წავა, ზელი არა აქუს.

თუ ეს თავდაჯსნილი კაცი თავისთვის არის და არავის ყმობია, და მას უკან, როსაც მოინდომებს, და ვისმე ეყმობა, იმ კაცთან არავის ზელი არა აქუს, ვისიც ყმობა უნდა. იმას ეყმობა.

ესეც იქნების, რომე წიგნი არა ჰქონდეს და ზოწამე კი ყუანდეს. კაის მოწმის პირითაც დაიჯერების, რომე თავი გამოეჯსნას.

იქნების, რომე პატრონიც ამბობდეს, რომ თავი დავაჯსნევიენო, მართალი არისო. თუ წიგნი ჰქონდეს, იყმონ; თუ მართალი მოწამე ყუანდეს, იყმონ; თუ პატრონი ამბობდეს, ამით კიდევ უფრო იყმონ.

თუ ესეები არც ერთი არ იყოს კაცსა მასზე, ცუდ-უბრალოდ ნურავინ იყმობს. თუ, ვინ იცის, იყმოს ვინმე, სამართლით გაურვიეთ.

[ნაშვილებისათვის]

261. ქ. თუ ერთმან კაცმან, უძმომ, უსახლისკაცომ, გაყრილმან, უშვილომ, ცოლმან და ქმარმან, ერთის სხვის კაცის შვილი, დედამიანი თუ უდედმამოდ ნაპოვნი, ობოლი, ვინმე გაგდებული, იყიდოს თუ იპოვნოს, იშვილოს და გაზარდოს, თავისი მამული და ქონება შვილისებრ მიასაკუთროს და მას უანდერძოს, მას უკან ის გამზარდე-

ლი თუ მსყიდველი კაცი მოკუდეს, — მისი მებატონე ამ ანდერცს ნუ მოწლი, ვითამ ის არ მომკუდარა, მისი მამული და ქონება მასვე აქონიოს, იმით იმსახუროს.

ვალი და სადაო, ქირი და ლხინი, ბატონის სამსახური, მისის მამობილის მოდავეს პასუხი, — ყველა ზან ნაშვილებმან ქნას.

თუ დედაკაცმან უქმროდ, თავის მზითვით, აზრიგი რამე იშოვნოს თუ იყიდოს, თუ გაზარდოს, ასრე რომე ქმრისა არა ერიოს რა, მის დედაკაცისა არის — უნდა, აზატს უზამს, უნდა, იმსახურებს, ჯელი არავის აქუს.

ქმარი რომ კიდევ მოუკუდეს და სხვა შეირთოს, თავის მზითვით ნასყიდი თან გაყუების, რომე მის მეპატრონეს ჯელი არა აქუს.

[261¹]. იქნების, შვილაჲ კი არა, ისრე, სასამსახუროდ ცოლ-ქმართ ერთად იყიდონ სამსახურისა თუ ზადლისათვის და მერმე ის მსყიდველი კაცი კი მოკუდეს, როგორც მისი საქონელი და მამული მის მებატონეს ეტელყუის, ის ზიჱცი მისი იქნების; მაგრამე იმ კაცის საქონელთან [ჰჰჰჰ]* დაითვლების, და რომელიც ქურცივის რიგი სხვაგან დაგვიწერია, ის ისრე უნდა იქნას [იხ. ნუხლ. 203].

[მოახლის თხოვნისათვის]

262^{**}. კაცი რომე კაცთან მივიდეს, მოახლე სთხო[ო]ს, მომეც და გცემობიო, თუ მოახლის პატრონმან გაუსინჯავათ, უმოწმოდ და ან უწიგნოდ, საქმის გამოუჱითხავად, მოდავის უჱითხავად, ყმობის სიხარბის გულისათეინ მოახლის შიციემის დასტური მისცეს. მერმე მოდავე გამოჩნდეს და თავისი ყზა ითხოვოს, რადგან სიხარბით და გაუსინჯავად მიუცემია, პატრონს ყზა არ წაერთმევის, უნდა მიეცეს.

მაგრამე არც იმ კაცსლა ცოლი წაერთმევის, ცოლ-ქმარს ნუ გაჰყრიან, და იმ კაცმან თავის ცოლის სანაცვლოდ ერთი მართებული გოგო მოახლის პატრონს მისცეს.

ვინ იცის, უქორწილოდ მიდგომა და ან ორსულობა მოუქდეს, იმისი ებისკოპოზმან და მოძღვარმან ჰჱითხოს.

თუ ყმობისა ან მოწამე და თავდები მისცეს და ან წიგნი მისცეს და ღაატყუოს, ჩემი მომდევარი არეინ არისო, და მერმე კაცს მომდევარი გამოუჩნდეს, კაცი პატრონს უნდა მიეცეს.

* აქედან უკვე გრძელდება A ხელნაწერის ტექსტი.

** 262 და 263 მუხლი A-ში ჩაწერილია სხვა ხელით.

კიდევ ცოლ-ქმარნი არ გაიყრებიან, ცოლისათვის იმ კაცმან მართებული გოგო მისცეს და საუბატიოდ, გაწბილებისათვის მოახლისა სისხლი¹ მისცეს.

[სხვას ქუეყანას ვალის აღებისათვის]

263. ქ. თუ სხვას ქუეყანას ერთმან კაცმან მეორისაგან ვალი აიღოს, თამასუქი თავის შვილსა თუ სახლის კაცს გამოუგზავნოს, აქ, ვინც მიმცემია, სამართლიანად² მისცეს, თუ, ვინ იცის, იქივ გარდუწყვეტოს³, და იმ მოვალისაგან გარდაწყვეტის⁴ წიგნი აიღოს მოწმით და გარდაუწყვეტოს⁵, თამასუქი გაცუდდება.

და თუ რამ გამოერთმეოს, ისევ უკლებლად მისცენ.

თუ მოვალის გარდაწყვეტის⁴ წიგნი არ ჰქონდეს და შემოსთვალოს, — იქნება წიგნისა აღება ვერ [ჰქონ] მოისწრას — და თამასუქის პატრონმა კი აიღოს, მაგრამ იმას წიგნი უნდა მისცეს, თუ, ვინ იცის, მიეცეს და მასუკან⁶ სწორედ შეიტყონ, რა ხანსაც გამოერთმეოდეს, როგორც სარგებლით მიეცეს, ისე იმრიგად შეუბრუნოს*.

[თავადთა და აზნაურთა თავის გატეხისათვის]

264- ქ. თუ დიდებულმან და სხვამ თავადმან, გინა აზნაურმან, ერთმან მეორეს ჯოხით ან მათრავით თავი გაუტეხოს, მისი საქმე ასრე იქნას.

თუ, დიად დიდი დაკრულობა ჰქონდეს, რომე ან დიდად დააჩნდეს, ან იმით დიდი სნეულობა გარდაჯლოდეს, ის გამონახვით ბჭეთ კაცთაგან უნდა გაუჩნდეს, ჭლმის ნაჭრის ანგარიშზე კი არა, მაგრამე, იქნების, ჳრმლით განაჭერის ნახევარზე, იქნება მესამედზე და ან მეორეზედ გაუანგარიშონ და ისრე პასუხი გააცემინონ, ზოგი იპატიონ.

265. ქ. თუ ასრე გაუტეხოს, რომე სისხლი აღინოს, და თუ უნდა, ცოტად კიდევ დააჩნდეს, იმისთვის ორი ქერის მარცვლის სისხლი აღინონ, რასაც გვარისა იყოს, იმ ანგარიშითა, და იმისგან ერთი იპატიონ და ერთის ქერის მარცვლის სისხლი გაუჩინონ.

266. ქ. თუ ჯოხი დაჰკრას, ნახევარი ქერის მარცვლის სისხლი გარდაუჰკადოს, რასაც გვარისა იყოს, იმ ანგარიშითა.

¹ სისხლი A. ² სამართლიანად A. ³ გადუწყვეტოს A. ⁴ გადაწყვეტის A.

⁵ გადუწყვეტოს A. ⁶ მასუკან] — A.

* აქვემოაზრდება B ხელნაწერის ტექსტი.

[მოსამართლის საუპატიო ახრე იქნას]

267. ქ. ერთი ესე, რომე, თუ ბატონის გაგზავნილი მოსაქმე და მოსამართლე იმ მოჩივართ შუა უჯდეს, ბჭობდეს და არიგებდეს, და მოჩივარმან ერთმან მეორეს ან სცეს, ან თავი გაუტეხოს და ან ჯოხი დაჰკრას, იმათი სისხლი ხომ გაგვიჩენია, ზეით რომ სწერიია, ეს არის [იხ. მუხლ. 264—266].

მაგრამე იმ მოსამართლეს რატომ ჰკადრა, ბატონის მაგიერი გაგზავნილი ყოფილა.

იმისი საქმე ასრე იქნას: ბატონმა, როგორც ეპრიანების, ისრე მოიკითხოს და გარდა[ა]წდევინოს, და ამ სამართლით იმ დამნაშავემ, მოსამართლე რასაც გვარისა იყოს, იმის ერთის ქერის მარცვლის ნახევრის სისხლისოდენი საუპატიო ზიართვის, რომე ურიგო უკადრებია.

[შეყრისათვის]

[ჰპ6R] 268. ქ. [ვინც] თავის სახლის კაცს გაეყაროს, და თავისის ბატონის [დას]ტურით, თუ უშვილო კაცი იყოს¹, შეეყაროს ვისმე, რადგან [თა]ვისის ბატონის დასტურით შეეყრება, თუ ისრეცე უშვილოდ მოკუდეს, იმისი ზამულიცა და ქონებაცა, ვისაც შეჰყრია, იმას უნდა დარჩეს.

[ყმის თავდებობისათვის]

269. ქ. კაცი რომ კაცს თავდებათ უნდოდეს დასაყენებლათ, იმ კაცის ბატონს შეჰკითხოს და ისრე დაიყენოს. და თუ ის კაცი წავიდეს საღმე, პასუხი იმავე თავისმა ბატონმა მიაცემინოს. და თუ უბატონოთ დაიყენოს, ყაბული არ არის, ამიტომ რომ, ეგება, იმ თავდებს იმისი ყმობა უნდოდეს, ვისაც დაუდგება, — და არ იქნება.

[ბოძებული ან აყრილი გლეხისათვის]

270. ქ. წესად ასე იყო, ან თუ ბატონი ვისმე გლეხს უბოცებდა [ან წაართმევდა², ან ასაყრელი³ იყო და აყრიდენ⁴, ეშკიკალასი და იასაულნი იმავე გლეხს* წარსა და მარჩილს გამოართმევდენ⁵; სამდიენოსა და სამურდლოსაც გლეხს გამოართმევდენ⁵. ეს დიად დიდი უსამართლო იყო.

¹ იყოს] + და ² წართმევდა. ³ ასყრელი. ⁴ აყრიდენ. ⁵ გამოართმევდენ.

* აქედან ბოლონდე ტექსტი მიწერილია სხვა ხელით.

ახლა ჩვენ ასრე გაგვირიგებია: ვისცა გლები მიეცეს სამართ-
ლითა თუ წყალობით, იასაულს¹ ჯარი და მარჩილი, ვისცა მიეცეს,
იმან მისცეს, გლებს ამაში ნურას გარჯიან.

თუ ბატონისთვის ჯელი აიმართოს, ბატონმა იასაულს¹ სხვა
რიგი წყალობა უყოს და გლებს ნურას გამოართვამს.

¹ იასულს.

ქანაგობი

სინოტიკური ნუსხეები

სინოპსიკური ნუსხა*

ბერძნული სამართლის ქართული ვერსიისა და არმენო-
პულოს „ექუსი წიგნის“ და ვლასტარის სინტაგმისა

სამართალი ბერძული	არმენოპულოს „ექუსი წიგნი“	ვლასტარის სინტაგმა	სამართალი ბერძული	არმენოპულოს „ექუსი წიგნი“	ვლასტარის სინტაგმა
1— 2	შესავალი		63—69	VI, 1	
3		A, 2**	70—71	II, 6, 1-2	
4— 7		A, 4	72—74		Г, 128
8	III, 3, ¹³ ***		76—77		
9	III, 3, ²²		78—80		Г, 23
10	III, 3, ⁵⁷⁻⁶⁴		81—83		Г, 5
11—12	III, 3, ⁶⁸⁻⁶⁹		84	I, 13, ¹	
13—14	III, 3, ⁶⁸⁻⁶⁹		85—86	I, 13, ³⁻⁴	
15	III, 3, ¹⁰²		87	I, 13, ⁶	
16	I, 3, ¹⁴		88	I, 13, ⁸	
17—18	I, 3, ²⁷⁻²⁹		89—91	I, 13, ¹⁰⁻¹²	
19		A, 12	92	I, 13, ¹⁷	
20	I, 3, ³⁰		93— 94		Г, 26
20 ¹	I, 3, ³²		95	I, 10, ⁸	
21	I, 3, ³³		96— 98	IV, 9, ^{11, 4, 7}	
22	I, 3, ³⁷		99—100		Д, 1
23	I, 3, ³⁸		101—102	III, 5, ²⁷	
24****			103	III, 5, ²⁹	
25	I, 3, ⁶³		104	III, 5, ³⁰	
26—28	I, 15		105	III, 5, ³⁷	
29—34	VI, 8		106	III, 5, ⁴¹	
35	VI, 5, ¹³		107	III, 5, ⁵⁰	
36—48		A, 12	108	V, 1, ^{11, 4}	
49—50		A, 13	109—110	V, 1, ⁶	
51—52	VI, 4, ³⁻⁴		111	V, 1, ⁷	
53		A, 15	112	V, 1, ⁸	
54		B, 5	113	V, 1, ⁹	
55—56		A, 15	114	V, 1, ¹⁰⁻¹⁸	
57		B, 6	115	V, 1, ²⁰	
58—61		B, 7	116	V, 1, ²⁵	
62		B, 12	117	V, 1, ³⁶	

* ნუსხა შედგენილია ჩვენ მიერ პროფ. ვლ. სოკოლსკის გამოკვლევის — „Гречко-римское право в уложении Грузинского царя Вахтанга VI“ მიხედვით, ოღონდ „ბერძნული სამართლის“ რუსულ თარგმანში, რომელითაც ვლ. სოკოლსკი სარგებლობდა, მუხლების თანამიმდევრობა ქართულთან შედარებით განსხვავებულია.

** ბერძნული ახო აღნიშნავს სინტაგმის ლიტერს, ხოლო ციფრი—თავს.

*** რომაული ციფრებით აღნიშნულია წიგნი, ხოლო არაბულით—წიგნის ტიტული და თავები.

**** აღნიშნულია ის მუხლები, რომელთა წყაროები დადგენილი არ არის.

სამართალი ბერძული	არქეოპულოს „ქეჟსი წიგნი“	ვლასტა- რის სინ- ტაგმა	სამართალი ბერძული	არქეოპულოს „ქეჟსი წიგნი“	ვლასტა- რის სინ- ტაგმა
118	V, 1, 11		245—249	I, 7, 6 ¹ 8 ¹ 14 ¹ 16	
119		Δ, 8	249(bis)	V, 12, 2	
120		Δ, 3	250	V, 12, 28	
121	V, 5, 1		251		B, 33
122	V, 5, 10		252	V, 12, 26	
123	V, 5, 2		253	V, 12, 33	
124	V, 5, 3		254—256	?, 6	
125—127		Δ, 3	257	VI, 5, 15	I, 1
128		K, 32	258—259		I, 1
129—130		Δ, 6	260	II, 4, 63	
131—139		Δ, 7	261		K, 3
140—157		Δ, 8	262—267	II, 4, 37, 61, 65, 67	
158—170		Δ, 11	268—269	II, 4, 133—131	
171—174	VI, 12, 1—3		270—271	II, 5, 9—10	
177—176	VI, 13		272—273	II, 5, 12—13	
175—179		Δ, 12	274	II, 5, 11	
180—181	III, 1, 13—14		275—276	II, 5, 19—20	
182	III, 1, 16		277—279		K, 12
183	III, 2, 1		280—287	V, 8, 9, 28 38 ¹ 44 ¹ 10 ¹ 60 ¹ 72—74 ¹ 82 ¹ 91	
184	IV, 14, 1		288—293		K, 12
185	III, 1, 11		294	V, 10, 10	
186	I, 4, 1		295—302		K, 12
187	I, 4, 3		303	V, 10, 4	
189	I, 4, 5—6		304—309	III, 9	
189	I, 4, 7		310—318	VI, 5, 1—6, 9—11	
190	I, 4, 8		319—323		K, 23
191	I, 4, 9		324—325	III, 10	
192	I, 4, 11		326****		
193****			327	III, 10	
194	I, 4, 35		328—330		A, 7
195	I, 4, 42		331—335	I, 5	
196	I, 4, 45		336—340	I, 6	
197	I, 4, 43		341		M, 12
198	I, 4, 46		342	III, 8, 31	
199	I, 4, 60		343		M, 12
200—202		E, 1	344—345	III, 8, 40—41	
203—208	III, 6, 1—10		346—361		M, 1
209—210		E, 4	362		M, 9
211	I, 1, 36	E, 2	363		N, 1, 7
212—214	I, 2, 8—9		364—371	I, 1, 14—10, 27, 28—30	
215—216	IV, 12, 1, 3				
217—218****			372		N, 7
219—220	III, 4, 8, 10		373—376		II, 14,
221—230		E, 7, 8, 9	377—378****		
231—237		E, 13	379—385	VI, 14, 8—10, 12—15	
238—239		E, 27	386	VI, 14, 16	
240—244		E, 32	387		T, 11

სამართალი ბერძენული	არმენოკულოს „ექუსი წიგნი“	კლასტა- რის სინ- ტაგმა	სამართალი ბერძენული	არმენოკულოს „ექუსი წიგნი“	კლასტა- რის სინ- ტაგმა
388—389		ფ, 8			
390	IV, 1, 1		407—408, 411	1, 7, 17	
391	IV, 2, 1		399, 403, 406,	ლეონ ბრძნის	
392	IV, 3, 1		409—410	ნოველებიდან	
393—396		Γ, 15	412—418	„ექუსი წიგ- ნის“ Appen- dices; Le- ges Agrariae	
397	IV, 1, 13			tit. VI. 1. 2, 5;	
398	„ექუსი წიგ- ნის“ Epito- me Canonum	T, 11		tit. V. 2 და	
400		ფ, 1		tit VII, 2	
401		T, 2			
402					
404	I, 7, 3				
405	I, 7, 12				

სინოპსიკური ნუსხა

სიროულ-რომაული სამართლის ქართული და სომხური
ტექსტის მუხლებისა

ქართული	სომხური	ქართული	სომხური	ქართული	სომხური	ქართ- ული	სომ- ხური
1	1	39	39	77	76	115	115
2	2	40	40	78	77	116	116
3	4	41	41	79	78	117	117
4	3	42	42	80	79	118	118
5	5	43	43	81	80	119	119
6	6	44	44	82	81	120	120
7	7	45	45	83	82	121	121
8	8	46	46	84	83	122	122*
9	9	47	47	85	84	123	123
10	10	48	48	86	85	124	124
11	11	49	49	87	86	125	125
12	12	50	50	88	87	126	126
13	13	51	51	89	88	127	127
14	14	52	52	90	89	128	128
15	15	53	53	91	90	129	129
16	16	54	54	92	91	130	130
17	17	55	55	93	92	131	131
18	18	56	56	94	95	132	132
19	19	57	57	95	94	133	133
20	20	58	58	96	96	134	134
21	21	59	—	97	97	135	136*
22	22	60	59	98	98	136	137
23	23	61	60	99	99	137	138
24	24	62	62	100	—	138	139
25	25	63	61	101	100	139	140
26	26	64	63	102	101	140	135
27	27	65	64	103	102	141	141
28	28	66	66	104	103	142	142
29	29	67	65	105	104	143	143
30	30	68	69	106	105	144	144
31	31	69	68	107	106	145	145
32	32	70	67	108	107	146	146
33	33	71	70	109	108	147	147
34	34	72	71	110	109	148	148
35	35	73	72	111	110	149	149
36	36	74	73	112	111	150	150
37	37	75	74	113	112		
38	38	76	75	114	113		

ნუსხა შეადგინა და პირველად გამოაქვეყნა პროფ. ვლ. სოკოლსკი
 (ტატინი: „Греко-римское право в уложении... Вахтанга VI“ (Жур. Мин.
 Нар. Прос., 1897, сентябрь, гв. 89—91). ეს ნუსხა შემდეგ სომხურ ხელნაწე-
 რებთან შეჯერებით დაახუსტა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა (იხ. „სამარ-
 თალი სომხური“, 1927 წ. გვ. 238—240).

სომხური ტექსტის მუხლები მითითებულია Bruns-ისა Sachaus გამოცე-
 მის მიხედვით.

* აღნიშნულია სომხური ტექსტის ის მუხლები, რომლებიც თარგმნილია
 ქართულად გადასხვაფერებულად.

სინოპტიკური ნუსხა

მზითარ გოშის სამართლის წიგნის ქართული და სომხური ტექსტების მუხლებისა

ქართული	სომხური	ქართული	სომხური	ქართული	სომხური	ქართ- ული	სომხ- ური
151	1	186	22	221	37	256	41
152	1	187	15	222	39	257	66
153	2	188	16	223	40	258	67
154	3	189	23	224	45	259	68
155	4	190	24	225	41	260	42
156	5	191	25	226	42	261	69
157	6	192	26	227	43	262	70
158	7	193	27	228	44	263	71
159	8	194	28	229	45	264	72
160	9	195	29	230	45*	265	73
161	10	196	30	231	36*	266	74
162	11	197	32	232	46	267	75*
163	12	198	31	233	47	268	76
164	13	199	17	234	48	269	77
165	14	200	18	235	49	270	78
166	15	201	33	236	50	271	79
167	16	202	19	237	37	272	43
168	17	203	36	238	38	273	80
169	18	204	20	239	51	274	81
170	2	205	21	240	52	275	82
171	3	206	22	241	53	276	83
172	4	207	23	242	—	277	84
173	5	208	24	243	54	278	85
174	6	209	25	244	55	279	86
175	7	210	26	245	56	280	87
176	8	211	27	246	57	281	88
177	9	212	28	247	58	282	89
178	19	213	29	248	59	283	44
179	20	214	30	249	60	284	45
180	21	215	31	250	61	285	46
181	10	216	32	251	62	286	47
182	11	217	33	252	63	287	48
183	12	218	34	253	64	288	49
184	13	219	35	254	65	289	50
185	14	220	36	255	40*	290	51

სინოპტიკური ნუსხა პირველად ვ. ბასტამიანცმა დაურთო მზითარ გოშის სამართლის წიგნის სოცხურ გამოცემას (1880 წ., გვ. 106—107). ვახტანგის კანონთა კრებულის 1887 წლის რუსულ გამოცემას დართული აქვს ი. გ. ტერ-იონისიანის მიერ შედგენილი ნუსხა (გვ. 350—351). 1927 წელს სინოპტიკური ნუსხა სათანადო შესწორებებით დაბეჭდა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა (იხ. „სამართალი სომხური“, გვ. 240—245).

სომხური ტექსტის მუხლები მიითვებოდა ვ. ბასტამიანცის გამოცემის მიხედვით.

შავი ციფრებით აღნიშნულია მზითარ გოშის სამართლის წიგნის მეორე ნაწილის მუხლები.

* აღნიშნულია სომხურიდან გადასხვადებულად თარგმნილი მუხლები.

კართული	სომხური	კართული	სომხური	კართული	სომხური	კართული	სომხური
291	52	327	84	363	109*	399	119
292	53	328	94	364	105	400	120
293	54	329	95	365	110	401	130*
294	55	330	96	366	106	402	მესა-
295	56	331	97	367	107		ვალი
296	57*	332	98	368	108		9. 8
297	58	333	99	369	111		
298	59	334	85	370	109	403	
299	60	335	100	371	110	404	
300	61	336	101	372	113	405	
301	62	337	86	373	112	406	
302	63	338	87	374	—	407	
303	64	339	88	375	113*	408	
304	92	340	89*	376	112	409	
305	93	341	90	377	113	410	
306	65	342	91	378	114	411	
307	66	343	92	379	115	412	
308	67	344	102	380	114	413	
309	68	345	93	381	115	414	
310	69	346	94	382	116	415	
311	70	347	95	383	117	416	
312	71	348	96	384	118	417	
313	72	349	97	385	119	418	
314	73	350	98	386	120	419	
315	74	351	99	387	121	420	
316	75	352	100	388	122	421	
317	76	353	101	389	116	422	
318	78	354	102	390	123	423	
319	78*	355	103	391	124	424	
320	79	356	104	392	125	425	
321	80	357	105	393	126	426	
322	81	358	106	394	127	427	
323	82	359	107	395	128	428	
324	92	360	103	396	117	429	
325	93	361	104	397	129	430	
326	83	362	108	398	118	431	165

მესა-
ვალი
9. 8
მითარ გომის სამართლის წიგნის II ნაწილის პირველი მუხლი

კრებულის შედგენილება
და წყაროები

ბმსტისნათვის

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის ტექსტი იბეჭდება უძველესი, თვით ვახტანგის მიერ ნარედაქციევი, ხელნაწერის (S 3683) მიხედვით, რომელაუ აღნიშნულია A ლიტერით. ამასთან ერთად გამოყენებულია ხელნაწერთა ინსტრუქტის კოლექციებში ამ ცოტა ხნის წინათ გამოვლინებული და აღწერილი ჩინებული ხელნაწერი (Q 575), რომელიც კრებულში შესული ყველა საკანონმდებლო ძეგლის ტექსტს შეიცავს. ამ ნუსხის 37V ქვემო კიდეზე, სადაც კრებულის საძებლის ტექსტი მთავრდება, ტექსტისავე ხელით მიწერილია: „ქს ტვ“, ე. ი. საძიებელი გადაწერილია 1710 წელს. რაც შეეხება კრებულის სამართლის წიგნთა ტექსტს, იგი გადაწერილია სხვა ხელით, მაგრამ უდავოა, რომ შესრულებულია იმავე 1710 წელს ან, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს 1711 წლისა, ე. ი. ვახტანგის გამგებლობის უკანასკნელი წლისა, რაც დასტურდება ხელნაწერის ყველა ფურცლის რ-ს ზედა აწიაზე გაკეთებული მინაწერით: „კუ რ თ ხ ე უ ლ მ ე ა რ ი ს გ ა ნ მ გ ე ბ ლ ო ბ ა ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა“. ეს ხელნაწერი ჩვენს გამოცემაში აღნიშნულია B ლიტერით.

B ნუსხა გამოყენებული გვაქვს კრებულის შესავლის, ბერძნული და სომხური სამართლის, მაგრატ კურაპალატისა და ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის ტექსტის დასადგენად. რაც შეეხება „მოსეს სამართალს“, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებას“ და „ბექასა და აღბუღას სამართალს“. მათ გასამართლად სხვა უფრო ძველი ნუსხები გამოიყენეთ.

მოსეს სამართლის ტექსტის გასამართლად გამოიყენეთ ე. წ. მცხეთის (A51) ბიბლია, რომელიც საბას ნარედაქციევად ითვლება. ჩვენს გამოცემაში იგი აღნიშნულია B ლიტერით.

ბერძნული სამართლის ტექსტი ძირითადად A ხელნაწერის მიხედვით იბეჭდება, მაგრამ ტექსტის ხარვეზებისა და აშკარად დამახინჯებული ადგილების აღსადგენად გამოყენებულია B ხელნაწერი.

სომხური სამართალიც ამავე პრინციპის მიხედვით იბეჭდება. აქაც B ხელნაწერი გამოყენებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა A ნუსხის ტექსტში აშკარა ხარვეზები ან შერყენილი ადგილებია.

კათალიკოსთა სამართლის ტექსტი გამართულია ორივე ნუსხის მიხედვით. B ხელნაწერმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი შეაქოს და დამახინჯებული ადგილი გამართა.

„ძეგლის დადების“ ტექსტი იბეჭდება ჩვენი 1957 წლის გამოცემის მიხედვით, რომელსაც საფუძვლად S 3683 ხელნაწერი უდევს (იხ. „გიორგი ბრწყინვალის სამართალი“, 1957 წ., გვ. 99—119). ამ გამოცემისაგან განსხვავებით ძეგლის დადების უძველეს, XVII საუკუნის ხელნაწერს (H 3094), რომელიც პროფ. ე. თაყაიშვილმა აღმოაჩინა, მთლიანად ებეჭდავთ სქო-

ლიონში ორივე ნუსხის შესაბამისი მუხლების შეპირისპირებით. 1957 წლის შეკრება ამ ძეგლის ტექსტზე მუშაობისა და დაკვირვების შედეგად მასში შევიტანეთ ზოგიერთი შესწორება, რაც ნაჩვენებია სქოლიოებში.

ბექასა და აღბულას სამართალიც დაბეჭდილია ჩვენი 1953 წლის გამოცემის მიხედვით (იხ. „ძველი ქართული სამართალი“, 1953, გვ. 283—346). განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ხსენებულ გამოცემაში სამართლის წიგნის ტექსტის დადგენისას სრულიად სამართლიანად უპირატესობა XVII საუკუნის ხელნაწერს (Q 206) მიეცა, რომლის ტექსტი შედარებით უფრო კარგად არის შენახული. ახლა კი, როცა მთელი კრებულის ტექსტს საფუძვლად ვახტანგის სული ხელნაწერი (S 3683) დავუდეთ, ბექასა და აღბულას სამართლის წიგნსაც ამ ნუსხის მიხედვით ვებეჭდათ. ამიტომ XVII საუკუნის ხელნაწერის ტექსტი სქოლიოში ჩავიტანეთ ორივე ნუსხის შესაბამისი მუხლების მიხედვით. 1953 წლის გამოცემასთან შედარებით ტექსტის წინამდებარე გამოცემაში შეტანილია რამდენიმე მნიშვნელოვანი შესწორება, რაც მითითებულია სათანადო ადგილას.

ვინაიდან „ბექასა და აღბულას სამართლისა“ და გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ ახლანდელი გამოცემა 1953 წლისა და 1957 წლის გამოცემებს ემყარება, ამიტომ ხელნაწერთა წაკითხვის ვარიანტული სხვაობანი, გარდა ზოგიერთისა, ამ გამოცემაში არ გვიჩვენებია.

როგორც ცნობილია, ბექასა და აღბულას სამართალი 98-ე მუხლით მთავრდება. ვახტანგის კრებულებში კი ამ ძეგლს შეცდომით დართული აქვს ბაგრატ კურაპალატის სამართალი და კანონიკური სამართლის ფრაგმენტი (მუხ. 99—175). ამ ორი უკანასკნელი ძეგლის ტექსტიც ჩვენი 1953 წლის გამოცემის მიხედვით იბეჭდება, მაგრამ ხსენებული გამოცემისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ერთ S 3683 ხელნაწერს ემყარებოდა, წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული გვაქვს მეორე საუცხოო ხელნაწერი (Q 575), რომლის საფუძველზე აღდგენილ და შესწორებულ იქნა A ნუსხის რამდენიმე დამახინჯებული ადგილი.

სამართალი ბატონის შვილის ვახტანგისა შეადგენს კრებულის მეშვიდე, უკანასკნელ ძეგლს. ვახტანგის სამართლის წიგნის ნუსხეებს შესწავლასა და ტექსტის კრიტიკულ დადგენაზე დიდი და საპატიო მუშაობა გაიწია ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა თინათინ უქიციძემ. 1955 წელს მან სამი ძირითადი ტიპის ნუსხების მიხედვით გამოაქვეყნა ვახტანგის სამართლის წიგნის ტექსტი, რომელსაც წაუმძღვარა ხელნაწერთა აღწერილობა-გამოკვლევა და დაურთო ტერმინთა საძიებელი.

ვახტანგის სამართლის ტექსტზე მომუშავე ყოველი მკვლევარის საპატიო მოყვანა ის არის, რომ ამ ძეგლის ნუსხების შემდგომი ისტორიულ-ფილოლოგიური და იურიდიული ანალიზის შედეგად მართებული გასწორებანი შეიტანოს ტექსტში მისი ჭეროვნად გამართვისა და დადგენის მიზნით.

ვახტანგის სამართლის წიგნის ტექსტის წინამდებარე გამოცემაც ამ მიზანს ემსახურება. გამოცემის საფუძვლად ჩვენც S 3683 ხელნაწერი გვაქვს აღებული, რომელიც აღნიშნულია A ლიტერით, ხოლო B ლიტერით აღნიშნული გვაქვს Q 575 ხელნაწერი, რომელიც კრებულის ერთ-ერთ უძველესსა და უძვირფასეს ნუსხას წარმოადგენს. 1955 წლისათვის ეს ნუსხა ჯერ კიდევ არ იყო გამოვლინებული და შესწავლილი. ამიტომ მისი ვარიანტებიც მოყვანილია გამოცემაში ვერ აისახა. მაგრამ ძეგლის გამოცემის მიერ გამოყენებულია ამ ტიპის ნუსხის გვიანდელი ბირი, რომელიც მას თავის გამოცემაში C ლიტერით აქვს აღნიშნული.

ჩვენ მიერ გამოყენებული Q 575 ნუსხა, დედნის (S 3683) გარდა, კრებულას ყველა სხვა ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერზე უკეთეს ხელნაწერს წარმოადგენს, რომელსაც მეტად მნიშვნელოვანი გასწორებანი შეაქვს A ნუსხის წაიხთხვამა. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ სხვა ნუსხას ვახტანგის კანონთა ტექსტის დაუგენისათვის ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც Q 575 ხელნაწერს.

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის 1746 წლის № 201 ხელნაწერი, როგორც ეს თ. ენუქიძემ დაადგინა, არის ზუსტი პირი ვახტანგის ნარედაქციევი S 3683 ხელნაწერისა, რაც ნუსხის გადაწერისა აქვს აღნიშნული თავის ანდერძში: „დ ე და ა მ ი ს წ ი გ ნ ი ს ა თ ე ი თ მ ე ფ ე თ-მ ე ფ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს მ ი ე რ ნ ა ლ ვ ა წ ი ი ყ ო“ (516 V).

მართალია, 149, 178 და 195 მუხლების ტექსტი მხოლოდ ამ ნუსხამ შემოგვინახა და ჩვენს ნუსხებშიც ამ მუხლებისათვის დატოვებულ ცარიელ ადგილებს მარტო სათაურები აქვს წარწერილი, მაგრამ ამ სათაურების შესაბამისი ტექსტი ჩვენი ნუსხების 243, 254 და 256 მუხლებშია მოცემული.

გარდა ამისა, S 3683 ხელნაწერის დანაკლისი მუხლებისა (225—237 და 259—261) და ადგილების აღდგენა-გამართვის თვალსაზრისით Q 575 ნუსხა რედაქციულად ბევრად უკეთესია, ვიდრე ქუთაისის ხელნაწერი, რომელშიც 237 მუხლი მთლიანად გამოტოვებულია, ხოლო 259 მუხლს მეორე ნაწილი აკლია; თანაც უცნობია, თუ რა წყაროებით სარგებლობდა გადაწერილი ხსენებული დანაკლისი მუხლების აღდგენისას. დედნის (S 3683) დანაკლისი მუხლების აღდგენისათვის გადაწყვეტილი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ Q 575 ნუსხა გადაწერილია 1710 წელს, ე. ი. ვახტანგის გამგებლობის დროს და თანაც ვახტანგის დედნიდან. ამიტომ, ცხადია, უპირატესობა მას უნდა მიეცეს.

რაც შეეხება ხელნაწერთა ინსტიტუტის Q ფონდის № 164 ხელნაწერს, რომელიც ვახტანგის სამართლის წიგნის პირვანდელი, შავალ ნაწერი და დაუსრულებელი ვარიანტია (შეიცავს 201 მუხლს), იგი საინტერესოა ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიის სარედაქციო სამუშაოების თანამიმდევრობის გათვალისწინების თვალსაზრისით, მაგრამ კანონთა ტექსტის დადგენისათვის რაიმე არსებითი ხასიათის გასწორებას არ იძლევა.

დაკვირვებული მკითხველი ადვილად შენიშნავს იმ თავისებურებასა და განსხვავებას, რომლებსაც ჩვენი გამოცემა შეიცავს სამართლის წიგნის 1955 წლის გამოცემასთან შედარებით. ეს თავისებურება გამოიხატება არა მარტო ტექსტში შეტანილი გასწორებებით, არამედ ტექსტის დაყოფით კარებად, თავებად, მუხლებად სამართლის წიგნის სისტემის შესაბამისად, აგრეთვე მუხლების ტექსტის აბზაცებად დანაწევრებითა და განსხვავებული პუნქტუაციით.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის S 3683 ხელნაწერის ტექსტში ყოველი სიტყვის შემდგომი წერტილია, ხოლო ზოგჯერ აბზაცის მარჯვენა ბოლოზე იხმარება ორი წერტილი მოკლე წმინდა ხაზით (—). ჩვენს გამოცემაში ტექსტი გამართულია თანამედროვე პუნქტუაციით.

გასწორებულია ნუსხის ორთოგრაფია. ძირითადად მოწესრიგებულია აღრევა ასოებისა — ქ და ხ, ვ და უ (უბრჭავ), ჯ და უი, ჯ და ვი. მოსეს სამართლის, ბაგრატ კურაპალატისა და კათალიკოზთა სამართლის, როგორც სკულძღვრობის უძველესი ძეგლების, ტექსტები აღდგენილია ძველი ორთოგრაფიით.

ორივე ნუსხის ყოველი ხარეზი, რომელიც აღდგენილია ჩვენ მიერ ცალკეული ასოების, სიტყვებისა თუ ფრაზების სახით, ყველგან ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში. აგრეთვე ხელნაწერის I და V-ის მარჯვენა ბოლოში და

ჩვენ მიერ დანამრილი და ტექსტში დამოწმებული მუხლებიც კვადრატულ ფორჩხილებშია ჩასმული.

კრებულის ხელნაწერებში სამართლის წიგნთა მუხლები აღნიშნულია ასოებით, რაც ჩვენს გამოცემაში ციფრებით შევცვალეთ.

ადგილები ძველი და ახალი აღთქმიდან, მოციქულთა წერილებიდან და სხვა წყაროებიდან დამოწმებულია სქოლიოებში. იქვე ნაჩვენებია ხელნაწერთა ვარიანტებიც.

საგულისხმო ტექსტოლოგიური შენიშვნებისათვის მადლობას მოვასხენებ პროფ. ილ. აბულაძეს.

კრებულის სახელწოდებისათვის

„ვახტანგ VI-ის კანონთა კრებული“ — ასეთი სახელწოდებითაა ცნობილი ლიტერატურაში ის კანონები, რომლებიც შეკრებილ იქნა ერთ *corpus*-ად ვახტანგ VI-ის განკარგულებით. მაგრამ ეს სახელწოდება გაცილებით უფრო გვიანდელი წარმოშობისაა, ვიდრე თვით ვახტანგის კრებული. როგორც ცნობილია, კრებული შემდგენილ იქნა XVIII საუკუნის დასაწყისში. ეს სახელწოდება კი კრებულს მიეკუთვნა 120 წლის შემდეგ მისი პირველი რუსული გამოცემის საფუძველზე. 1828 წელს მმართველი სენატის განკარგულებით პეტერბურგში პირველად გამოქვეყნდა კანონთა კრებული სათაურით: „Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, издание Правительствующего Сената“. მეორედ ამავე სათაურით კრებული გამოცემულ იქნა თბილისში 1887 წელს. ხსენებული რუსული გამოცემების მიხედვით შემდგომი პერიოდის სპეციალურ ლიტერატურაში ამ კრებულს ეწოდა „ვახტანგ VI-ის კანონთა კრებული“. მაგრამ კრებულის ასეთი დასათაურება უმართებულოა და საჭიროებს დაზუსტებას.

ავად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა პირველმა მიაქცია ყურადღება ამ საკითხს ლა საჭიროდ დაინახა კანონთა კრებულის ამგვარი დასათაურების შეცემა. მან „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ წიგნში (გვ. 112, 116) ამ კრებულს „ვახტანგ VI-ის კოდიკო“ ეწოდა. სახელგანთქმული მეცნიერი მიუთითებდა, რომ ტერმინი „კოდიკო“, რომელიც ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება, კოდექსის ნასესხებ ბერძნულ ფორმას წარმოადგენს და, საფიქრებელია, ზეპირად შეთვისებული სიტყვა უნდა იყოს; ეს ტერმინი აღდგენილ უნდა იქნეს კოდექსის აღსანიშნავად. კოდიკო ეწოდებოდა „შინაარსის მხრივ შეთანხმებულ კანონების კრებულს, რომელშიაც სხვადასხვა დროინდელი ძეგლების ურთიერთშორისი შეუთანხმებლობა და წინააღმდეგობა მოსპობილია და ამ გზით მთლიანობა დამყარებული იყო“ (იქვე, გვ. 10—11).

მაგრამ, როგორც ცნობილია, ვახტანგის კანონთა კრებული არ წარმოადგენს შინაარსის მხრივ შეთანხმებულ კანონთა კრებულს, რომელშიაც მთლიანობა დამყარებული და, მაშასადამე, უმართებულო იქნებოდა მისთვის „კოდიკო“ ან კოდექსი გვეწოდებინა. ვახტანგის კანონთა კრებული სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხალხის სჯულმდებლობის კრებულია, რომელშიაც შეუთანხმებლობა ჯა წინააღმდეგობა დაძლეული არ არის.

გარდა ამისა, ბერძნულ-რომაული ტერმინი „კოდიკო“ უცნობია გვიანდელი დალური ხანის ქართული სამართლის ძეგლებისათვის. მას არც ვახტანგ VI-ის საკოდიფიკაციო კომისია იხსენიებს. ამიტომ ამ ტერმინის ასეთი მნიშვნელობით გამოყენება რამდენადმე ხელოვნურად და შეუსაბამოდ უნდა ჩაითვალოს.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ „ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულს“ ასეთი სახელწოდება რუსული გამოცემის გავლენით მიეცა. თვით კრებულის დედანსა და სხვა ხელნაწერებში იგი არსად ასეთი სათაურით არ იხსენიება. კრებულში შე-

ტანილ არც ერთ საკანონმდებლო ძეგლს არ ეწოდება „კანონი“, არამედ თერთმეულ ძეგლს სათაურად აქვს „სამართალი“. ეს სახეებით გასაგებია თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვეულებრივიდან ტერმინი „კანონი“ საეკლესიო სჯულმდებლობისა და წესების აღსანიშნავად იხმარებოდა და მსოფლიო და ადგილობრივი ეკლესიის კრებების დადგენილებებს ეწოდებოდა.

საერო სამართლის ძეგლების აღსანიშნავად კი „სამართლის წიგნი“ ან უფრო მოკლედ „სამართალი“ იხმარებოდა.

მაგალითად, ბექასა და აღბუღას კანონებს უძველეს ხელნაწერებში ეწოდება „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე“. სომხური სამართლის ქართული ვერსიის შესავალში ნათქვამია: „ესე წიგნი არს დიდის სომხეთისა სამართლის წიგნთა ზედან გადმოთარგმანებული და ეწოდების სახელად წიგნი სამართლისა“. ვახტანგის კრებული, როგორც ცნობილია, შეიღ „სამართლის წიგნს“ შეიცავს: 1. „სამართალი მოსესი“, 2. „სამართალი ბერძული“, 3. „სამართალი სომხური“, 4. „სამართალი კათალიკოზთა“, 5. „სამართალი მეფის გიორგისა“, 6. „სამართალი აღბუღასი“ და 7. „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“. თვითული ზემოდასახელებული „სამართალი“ თავის მხრივ წარმოადგენს კანონთა კრებულს, რომელშიც დალაგებულია საკანონმდებლო მასალა გარკვეული წესის მიხედვით.

ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის სახელწოდების დადგენისათვის მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავს კრებულის საერთო შესავალი და აგრეთვე საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის შესავალი და ბოლოსიტყვაობა. კრებულის შესავალში ნათქვამია, რომ ბატონიშვილმა ვახტანგმა „იგულა და იგულისმორღინა და შემოკრიბა ყოველნი წიგნი სამართლისანი...“ ვახტანგის სამართლის წიგნის შესავალში კი ნათქვამია: მოსეს, ბერძენთა და სომეხთა, „ეგრეთვე კათალიკოზისა, მეფის გიორგისა და ბექას განჩინებული სამართლები შევეკრიბეთ“. მაშასადამე, ვახტანგ VI-ის კრებული არის სამართლის წიგნთა კრებული, ხოლო სამართლის წიგნი თავისთავად წარმოადგენს კანონთა კრებულს, რომელსაც თანამედროვე სიტყვით შეიძლება „კოდექსი“ ეწოდოს. ვახტანგ VI-ის კრებული ასეთი „კოდექსების“ ანუ „სამართლის წიგნთა“ კრებულია.

სამართლის წიგნის ცნებას ზუსტად შეესაბამება გერმანული *Das Rechtsbuch* და რუსული *Судебник*.

ზემოთქმულის გამო ამ კრებულს „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული“ უნდა ეწოდოს. ეს სათაური ზუსტად გამოხატავს კრებულის შედგენილობას და იმ აზრს, რომელსაც ამ სახელწოდებაში ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისია გულისხმობდა.

კრებულის საძიებლისათვის

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული იწყება ზანდუკით, ანუ საძიებლით, რომელიც 39 ფურცელს შეიცავს (2r—40r). ზანდუკი სულ 985 პუნქტისაგან შედგება. ხელნაწერში საძიებლის პუნქტების დანომრვა წყდება 10r-ზე სპუ (247) პუნქტით, სადაც ნათქვამია: „რომელიმე დედაკაცი იყოს მონაობიანი, შეუძლია ქმარს გაშვება თუ არა?“. მაგრამ პუნქტების დანომრვის დროს გადამწერს შეეძლოა მოსვლია. ხელნაწერის 8r-ზე მას რათ (169) პუნქტის შემდეგ

ნაცულად 170-ისა რბ (180) დაუწერია, ე. ი. ზანდუკის პუნქტების რაოდენობა 10 პუნქტით გაუზრდია. ამრიგად საძიებლის ნუმერაცია ხელნაწერში ნაცულად სმზ (247) პუნქტისა სლზ (237) პუნქტზე უნდა წყდებოდეს. ზანდუკის დანარჩენი პუნქტები ბოლომდე ჩვენ მიერაა დანომრილი.

ხელნაწერში საძიებლის პუნქტები და გრაფებში შეტანილი სამართლის წაკნთა მუხლებით დანომრილია ასობით, რომლებიც ჩვენს გამოცემაში შეცვლილია ციფრებით.

საძიებლის ბოლოს 40რ-ს ქვედა კიდეზე წერილად მიწერილია: „ზანდუკის მის დამწერი მ ა ლ ა ლ ა ძ ე ს ო ლ ო მ ო ნ“. საძიებელი დაწერილია ლამაზი, კალიგრაფიული ხელით. მაგრამ საძიებლის ყველა პუნქტი ერთი ხელით დაწერილი არ არის: გარდა ს. მალაქის ხელისა საძიებელში გამოირჩევა კიდევ ორი განსხვავებული ხელი, რომელთაგან ერთი, როგორც ეს ქვე კიდეე პრაფ. ექ. თაყაიშვილმა აღნიშნა, თვით ვახტანგ VI-ს ეკუთვნის. რაც შეეხება მეორე ხელს, მისი ავტორი უცნობია. ამ უცნობი ხელით ჩაწერილია ჩვენი გამოცემის შემდეგი პუნქტები: 569, 620(?), 693, 696, 771 და 773. საძიებლის უკანასკნელი სამი პუნქტი (983, 984 და 985) მიწერილია შემდეგ, უკვე მეოთხე განსხვავებული ხელით.

რაც შეეხება ვახტანგ VI-ის მიერ საძიებელში შეტანილ დამატებებსა და მინაწერებს, საჭიროა აღინიშნოს, რომ სჯულმდებელ მეფეს გულმოდგინე რედაქცია გაუკეთებია მთელი საძიებლისათვის. კრებულის არც ერთ ნაწილს, გარდა საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნისა, არ ატყუია ვახტანგის სარედაქციო შესწორებები ისე, როგორც ეს კრებულის საძიებელს ემჩნევა. ვახტანგის შესწორებები სამეგარი ხასიათისაა: 1. საძიებელში მას შეაქვს მთელი რიგი ახალი პუნქტი; 2. თავისი მინაწერებით ამთავრებს ზოგიერთ ლოგიკურად დაუსრულებულ პუნქტს, რომლებიც ერთგვაროვან იურიდიულ ურთიერთობებს ეხება; 3. კიდეზე პუნქტების გასწვრივ, აკეთებს მოკლე მინაწერებს, რომლებშიც მოხდენილად ვადმოსცემს ამა თუ იმ პუნქტის შინაარსს. ამრიგად, ეს შესწორებანი მარტო სარედაქციო ხასიათისა არაა. ვ ა ხ ტ ა ნ გ VI-ეს, რ ო გ ო რ ც ს ჯ უ ლ მ დ ე ბ ე ლ ს ა და ს ა კ ო დ ი ფ ი კ ა ც ი ო კ ო მ ი ს ი ი ს ხ ე ლ მ ძ ლ ე ა ნ ე ლ ს, საძიებელში შეაქვს არსებითი იურიდიული ხასიათის ფორმულები და განსაზღვრებანი, რომლებიც ამადლებენ კრებულის საძიებლის დამუშავების ხარისხს.

ვახტანგ VI-ის ხელით მთლიანად ჩაწერილია ჩვენი გამოცემის შემდეგი პუნქტები: 131, 277, 281, 290, 468, 490, 491, 550, 620(?), 776, 821 და 922. გარდა ამისა ვახტანგი თავისი მინაწერებით ავსებს შემდეგი პუნქტების შინაარსს: 140, 257(?), 280, 286, 403, 479, 618, 636, და 638. დაბოლოს, კიდეზე აკეთებს მინაწერებს საძიებლის შემდეგი პუნქტების გასწვრივ: 132, 133, 145, 146, 168, 174, 185, 197, 213, 221, 248—251, 254, 266, 271, 278, 282, 283, 289, 292—294, 298, 300, 306, 310, 311, 313, 319, 320, 358—361, 364, 383, 396—398, 400, 401, 426—429, 431, 433, 436—440, 442, 490, 625. (უკანასკნელი პუნქტის გასწვრივ მინაწერს ვახტანგის ხელით მიმატებული აქვს შემდეგი სიტყვები: „და სიგლის წართმევისათვის“).

A და B ხელნაწერების საძიებლების შესწავლისა და ერთმანეთთან შეჯერების შედეგად გამოირკვა, რომ თავის დროზე, როცა A ხელნაწერის აკინძა ხეობოდა, მათი დაშლილობის გამო საძიებლის ფურცლები და კვერდები არეულა. ფურცლების ასეთი გადაადგილების გამო A ნუსხაში დარღვეულია საძიებლის თემატური თანამიმდევრობა.

კრებულის A ხელნაწერის 1r-ზე მოცემულია მეორედ მოსვლის, სამოთხის- და ჭოჯოხეთის განსჯა-განკითხვის სცენები. 1v გვერდი თავისუფალია. კრებულის ხანდუკი, ანუ საძიებელი იწყება 2r-ზე სასამართლო წარმოების საკითხების გად- მოცემით. მომდევნო 2v-ზე ტექსტი არ არის. შემდეგ, 3r-სა და v-ზე ტექსტი სხვა საგანს ეხება. 4r-დან გრძელდება სასამართლო წარმოების საკითხების ჩა- მოთვლა. შემდეგ, 4v-ზე იწყება კათალიკოზთა და სამღვდლოთა კურთხევის წე- სების გადმოცემა, რომელიც წყდება 5r-ზე და სამი ფურცლის შემდეგ კვლავ გრძელდება 8r-ზე. ამგვარად არჩულია A ხელნაწერის საძიებლის სხვა გვერ- დებიც, რომლებიც ჩვენს გამოცემაში B ნუსხის მიხედვით დაველაგეთ. ამის შე- დგად აღდგენილ ოქნა, საძიებელში ჩამოთვლილი საკითხების თანამიმდევრობა.

საკიროა აღინიშნოს, რომ საძიებლის გრაფებში სამართლის წიგნთა მუხლე- ბი ზოგჯერ მითითებულია შეცდომით.

საძიებლის ქვესათაურებზე დაყოფა თემატიკური თანამიმდევრობის მიხედ- ვით შემოღებულია ჩვენ მიერ. მთელი საძიებელი შინაარსის მიხედვით სულ 62 ქვესათაურად არის დაყოფილი. თვითთული ქვესათაური აერთიანებს ერთგვარო- ვან საკითხებს, რომელნიც განსაზღვრულ იურიდიულ ურთიერთობებს ეხებათ.

კრებულის საძიებელი პრაქტიკულ მიზნებს ემსახურებოდა. მისი თავდაპირ- ველი დანიშნულება ის იყო, რომ დახმარება აღმოეჩინა მოსამართლეთათვის ამა თუ იმ კონკრეტული იურიდიული კაზუსისათვის შესაფერისი ნორმის შერჩევა- ში. საძიებელი უადვილებდა მოსამართლეებს კრებულით სარგებლობას. ცხადია, საძიებელმა თავისი ასეთი პრაქტიკული დანიშნულება დაკარგა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა ვახტანგის კანონები ძალადაკარგულად ოქნა გამოცხადებული.

სამაგიეროდ კრებულის საძიებელს არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული და წყაროთმოდუნობითი მნიშვნელობა. მას დიდი მნიშვნელობა აქვს კრებულში შეტანილი სამართლის წიგნების ურთიერთმიმართებისა და მათი წყაროების შე- წავლისათვის.

კრებულის შესავლისათვის

ვახტანგის კანონთა კრებულის როგორც პირველ, ისე მეორე რუსულ გამო- ცემაში სამართლის წიგნთა კრებულის საერთო შესავალი წინასიტყვაობის სახით წამძღვარებული აქვს საკუთრივ მოსეს სამართალს, რომლის მუხლები შესავლს ტექსტს უშუალოდ მოსდევს (Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, 1887, გვ. 145—146). ამრიგად კრებულის შვიდივე საკანონმდებლო ძეგლს საერთო შესავალი მიკუთვნებული აქვს კრებულის მხოლოდ ერთ ძეგლს—მოსეს სა- მართალს. ამ ნადავზე წარმოშობილმა გაუგებრობამ თავი იჩინა სპეციალურ ლი- ტერატურაშიც, სადაც კრებულის საერთო შესავალს დღემდე იმოწმებენ რო- გორც მოსეს სამართლის წინასიტყვაობას, სინამდვილეში საერთო შესავალი, რო- მელშიც ლაპარაკია კრებულში შეტანილი ყველა უცხო და ეროვნული სამართ- ლის ძეგლების თარგმნისა და შედგენის შესახებ, ეკუთვნის მთელ კრებულს და არა მის ერთ ნაწილს — მოსეს სამართალს.

ვახტანგის კანონთა კრებულის 1887 წლის მეორე რუსული გამოცემის რე- დაქტორი ცნობადი ისტორიკოსი დ ი მ ი ტ რ ი ბ ა ქ რ ა ძ ე კრებულის შესავალს

სქოლიოში ასეთ შენიშვნას უყოფს: «Предисловие это по след. причинам мы признаем вставкою, сделанною после Вахтанга: во 1-х автор его говорит о Вахтанге, как о третьем лице и к тому же Вахтанг не мог говорить о себе тем напыщенным тоном, каким говорит об нем предисловие, и во 2-х оно не внесено в теймурозовский список, относящийся к 1751 г. и след. весьма близкий ко времени Вахтанга (+1737). Список этот прямо приступает к заимствованиям из Моисея» (Сборник законов Вахтанга VI, 1887, გვ. 146—147, სქოლიო). ამრიგად დ. ბაქრაძე ფიქრობდა, რომ კრებულის შესავალი წარმოადგენს ჩანართს, რომელიც შედგენილია ვახტანგის შემდეგ. ეს აზრი გაიზიარა აკად. ივ. ჯავახიშვილმაც («ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 118). მაგრამ, როგორც ამჟამად უკვე დადგენილია (იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის გამოცემა, 1955, გვ. 11), კრებულის შესავალი შედგენილია ვახტანგ VI-ის დროს. ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციებში ამ ცოტა ხნის წინათ აღწერილი კანონთა კრებულის მეტად ძვირფასი ხელნაწერი (Q 575), რომელიც ჩვენს გამოცემაში B ლიტერით არის აღნიშნული, კიდევ ერთ ზედმეტ საბუთს იძლევა იმის სასარგებლოდ, რომ შესავალი დაწერილია კრებულის შედგენისთანავე. Q 575 ხელნაწერის საძიებელს 37V-ზე მიწერილი აქვს თარიღი «ტეშ» (1710 წ.). ამასთანავე ხსენებული ნუსხის გადამწერი 68r-ზე «ბერძნული სამართლის» 109—110-ე მუხლის გასწვრივ შენიშნავს: «დედანში ასრე იყო», და მართლაც კრებულის S—3683 ხელნაწერში, რომელიც ზემოხსენებული Q 575 ნუსხის დედანია, ბერძნული კანონების 109-ე მუხლის სათაური შეცდომით ცალკე მუხლად არის გამოყოფილი. აქედან ცხადია, რომ კრებულის შესავალი, როგორც სამართლიანად ფიქრობდა ს. გორგაძე, შედგენილია კრებულთან ერთად, არა უგვიანეს 1709 წლისა, როცა «შესავალში» მოხსენიებული გიორგი XI ჯერ კიდევ ცოცხალი იყო (იგი მოკლულ იქნა ყანაღარის ომში 1709 წელს).

კრებულის S—3683 ხელნაწერში შესავალი მოთავსებულია 42r—43v გვერდებზე (40v—41v გვერდები თავისუფალია). შესავლის იმ ადგილას, სადაც ჩამოთვლილია კრებულში შეტანილი ძეგლები, გადამწერს უნებლიეთ გამორჩენია «კათალიკოზთა სამართალი», რომელიც სხვა ნუსხების შესავალში მოხსენიებულია კრებულში შესულ მეოთხე ძეგლად. ეს ხარეზი შეეკავთ B ნუსხის შესაბამისი ადგილით, სადაც ნათქვამია: «მეოთხე, წმინდა და მართლმადიდებელთა ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოზთა და ღირსთა ეფისკოპოზთაგან განწესებული სამართალი» შევეკრებეთო. შესავლის უკანასკნელი სიტყვები «...ყოველთა მსაჯულთა მიერ» A ნუსხაში წაპრილია და მხოლოდ ნაშთი ჩანს.

„შესავალი“ შეიცავს ძვირფას ცნობებს კრებულში შეტანილი საკანონმდებლო ძეგლების თარგმნის, შედგენისა და მათი მოქმედების შესახებ.

მოსეს სამართლის ქართული ვერსია

მოსეს სამართლის ქართული ვერსია ხელნაწერში აღნიშნულია ასეთი სათაურით: „კარი პირველი. დასაწყისი წიგნისა სამართლისა, რომელი მოსცა ღმერთმან მოსეს, რომელი დაწერა მან, მოსე, წიგნსა მეორე სჯულისასა და გამოსვლათასა. მცნება ღმერთისაგან. სამართალი მოსესი“. ამ გრძელი წინადადებიდან ჩვენ შეგლის სათაურად ავიღეთ ორი უკანასკნელი სიტყვა „სამართალი მოსესი“. ასე აღინიშნება ეს ძველი ხელნაწერის მომდევნო გვერდებზეც.

სამართლის წიგნთა კრებულის შესავალშიც ნათქვამია, რომ ბატონიშვილმა ვახტანგმა შეკრიბა „პირველ, „დაბადებისა“ და „გამოსვლათა“ სამართალნი მოსესმაერი, რომელი თვით ღმერთმან მოსცა და ამცნო, ოდეს გამოვლენს ეგვიპტით ისრაელთა ზღვა იგი მეწამული“.

თუმცა ზემოთ მოტანილ სათაურში მოსეს სამართლის წყაროდ დასახელებულია „წიგნი მეორე სჯულისა და გამოსვლათასა“, მაგრამ სამართლის წიგნს მუხლები მხოლოდ „მეორე სჯულიდან“ არის ამოკრებილი. „გამოსვლათა“ წიგნიდან მოსეს სამართლის ქართულ ვერსიაში არც ერთი მუხლი არაა შეტანილი.

ხელნაწერთა ინსტიტუტის Q 206 (1672 წლის) ხელნაწერიდან, რომელიც ბექასა და აღბუღას კანონების გარდა შეიცავს „გამოსვლათა“ წიგნიდან ამოკრებულ მუხლებს, ჩანს, რომ ჭერ კიდევ XVIII საუკუნემდე ყოფილა ცდა სამართლის წიგნის შედგენისა „გამოსვლათას“ მიხედვითაც. ხსენებულ ნუსხაში „გამოსვლათა“ წიგნიდან ამოღებულია 21—24,4 თავების მუხლები. შესაძლოა, ვახტანგის საკოლიფიკაციო კომისიას თავდაპირველად განზრახული ჰქონდა შესაფერისი მუხლები შეეტანა მოსეს სამართალში „გამოსვლათა წიგნიდანც“. მაგრამ ეს განზრახვა შემდეგ აღარ განუხორციელებიათ.

სამართლის წიგნის ტექსტთან შესადარებლად ბიბლიის ხელნაწერთაგან ე. წ. მცნეთის (A 51) ბიბლია გამოვიყენეთ, რომელიც საბას ნარედაქციევად ითვლება. იგი აღნიშნულია B ლიტერით. სხვაობანი, რომლებიც შეჯერების შედეგად მივიღეთ. ტექსტის სქოლიოებში დაუერთეთ.

მოსეს სამართლის ქართული ვერსია წარმოადგენს გამოწკარვებს „მეორე სჯულიდან“. გამოკრებისას ზოგჯერ ფრაზა ან მთელი წინადადებაა გამოტოვებული, რაც ალგა-ალგა გადამწერის მექანიკური მუშაობის შედეგი უნდა იყოს, რაც იწინაა ჩანს, რომ გამოტოვებული ფრაზა თუ წინადადება იმავე სიტყვებით ბოლოვდება ხოლმე, რითაც ის გადაწერილი ტექსტი, რომლის შემდეგ ეს დაკლებული ნაწილი უნდა მოთავსებულიყო.

გარდა ამისა. სამართლის წიგნის სათანადო მუხლების ბიბლიასთან შედარებასას ზოგან შეინიშნება პატარა-პატარა დანართები ან დანაკლისები. ზოგ შემთხვევაში ეს იმ დედნიდან უნდა წარმოადგებოდეს, რომელიც გადამწერს ხელთ სჭირა

და დღესდღეობით ჩვენს ხელნაწერ კოლექციებში მიკვლეული არ არის; ზოგან კი ის გადამწერის ბრალი უნდა იყოს.

აჩის სიტყვათა შეცვლის შემთხვევებიც, რომელნიც ზოგჯერ თავისებურად ხელნაწერი დედნიდან უნდა მომდინარეობდნენ, ზოგჯერ კი გრაფიკულ ნიადაგზე აღრევის გამო აღმოცენებული უნდა იყვნენ.

სამართლის წიგნში აქა-იქ ფრაზის შეკუმშვის მოვლენაც შეინიშნება, რაც საკანონმდებლო-რედაქციული მოთხოვნებითა და სიტყვაშემოქირნებით. უნდა იყოს გამოწვეული.

„მოსეს სამართლის“ ტექსტი ძველი ქართული თარგმანიდან მომდინარეობს. იგი ჩვენს გამოცემაში. თითქმის ხელუხლებლად არის დატოვებული, ოღონდ ტექსტის აღრინდელი სახის გათვალისწინების მიზნით აღდგენილია ძველი ორთოგრაფია.

სამართლის წიგნის მუხლებს საყოფიფიკაციო კომისიის მიერ წარწერილ აქვს სათაურები, რომელთა ორთოგრაფია უცვლელად დატოვებულა.

საქიროა აღინიშნოს „მოსეს სამართლის“ ქართული ვერსიის ტექსტის ზ. გიერთი თავისებურება.

სამართლის წიგნის მეორე მუხლი ამოღებულია „მეორე სჯულიდან“ (თავი 13, 1-2, 5). გამოტოვებულია მე-13 თავის მესამე და მეოთხე მუხლები. მესამე მუხლიდან აღებულია მხოლოდ დასაწყისი: „ნუ ისმენთ სიტყვათა მამათა, ნუცა ჩუენებისა მხილველისათა“.

მოსეს სამართლის მესამე მუხლის წყაროა „მეორე სჯული“ (13, 6, 8-10). გამოტოვებულია მე-13 თავის მეშვიდე მუხლი, მაგრამ ამ მუხლიდან ნასესხებია მხოლოდ დასაწყისი „სამსახურებელთა მათგან წარმართამას“; შემდგენელს თუ გადამწერს ეს სიტყვები მექანიკურად ჩაურთავს მეექვსე და შერეე მუხლებს შორის.

სამართლის წიგნის მერვე მუხლიც ნასესხებია „მეორე სჯულიდან“ (17, 2-11). მაგრამ მე-17 თავის მეათე მუხლის ტექსტი შემოკლებული და დაუმთავრებელია: სიტყვებიდან, „რომელი გამოირჩია უფალმან“. გადამწერი პირდაპირ ვადადის მეთერთმეტე მუხლის უკანასკნელ წინადადებაზე: „არა გარდაუქციო შენ მარჯულ, არც მარცხლ“.

„მოსეს სამართალი“, გარდა ერთი მუხლისა. მთლიანად ამოკრებილია „მეორე სჯულიდან“. გაურკვეველი რჩება მხოლოდ 22-ე მუხლის წყარო. ჩვენ ვერ დავადგინეთ, თუ საიდანაა აღებული ეს მუხლი. ამ მუხლის უკანასკნელი აბზაცის ერთი ადგილი ნასესხები უნდა იყოს „შესაქმედან“ (21, 10, 14). მაგრამ ამ ერთი წინადადების მსგავსებით ძნელია ეიმსჯელოთ. მთელი მუხლის წყაროზე.

ხელნაწერის 53V-ზე 38-ე მუხლის ტექსტი შემდეგი სიტყვებიდან: „არა არს ცოდვა შენდა“ მიწერილია სხვა ხელით. ამავე ხელით 54r-ს დასაწყისში მიწერილია 39-ე მუხლის ტექსტი, რის შემდეგ ამოფხვკილია ნუსხის გადამწერის ხელით დაწერილი ორი სტრიქონი.

ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ 39-ე მუხლი სიტყვა-სიტყვაო იმეორებს 37-ე მუხლის უკანასკნელ აბზაცს, რომელიც სესხის ხელშეკრულებას ეხება. როგორც ჩანს, ამ მუხლის ჩამწერს ვერ შეუნიშნავს სამართლის წიგნის 37-ე მუხლის ტექსტის ეს ნაწილი.

სამართლის წიგნის უკანასკნელ, 52-ე მუხლში მოცემულია „მცნებისა გარდამავლის წყევა“, ე. ი. წყველა-კრულვა იმის მიმართ, ვინც დაარღვევს სამარ-

ლის წიგნის მცნებებს. ეს მუხლიც ამოღებულია „მეორე სჯულიდან“ (27, 15—26), მაგრამ ალაგ-ალაგ მისი ტექსტი შემოკლებულია, გამოტოვებულია ზოგიერთი წინადადება და ფრაზა. ასე მაგალითად, 52-ე მუხლის პირველ წინადადებაში სიტყვიდან „კერპანი“ ვიდრე სიტყვამდე „რამეთუ“ გამოტოვებულია შემდეგა ტექსტი: „და გამოჰვდილნი ქმნულნი კელითა კელოვნისათა და დაადგინეს იგინი ფარულად“. იქვე სიტყვის „უფლისა“ შემდეგ აკლია ტექსტი: „ღმრთისა და თქუას ყოველმან ერმან: „იყავან“. აგრევე ამ მუხლის წყევლის ზოგიერთ ფრაზებს ბოლოში აკლია წყევლის სანქციის დასტური — „იყავან“.

მოსეს სჯული მოქმედი სამართალი იყო საქრისტიანო მსოფლიოში მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში.

როგორც ცნობილია, ამონაკრები მოსეს სჯულიდან შეტანილი იყო რუსეთში მოქმედ სჯულის კანონებსა და საკანონმდებლო კრებულებშიც. მაგრამ მუხლები ამოკრებილი იყო არა მარტო მოსეს „მეორე სჯულიდან“, არამედ „გამოასლვათა“, „ლევიტელთა“ და „რიცხვთა“ წიგნებიდანაც.

ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიას, როგორც დაეინახეთ, „მოსეს სამართალი“ მხოლოდ „მეორე სჯულიდან“ ამოუკრებია.

უდავოა, რომ მოსეს სამართლის წიგნის ქართული ვერსია იურიდიული ცხოვრების გარკვეულ სფეროში ჩვენი ეროვნული სამართლის წყაროს წარმოადგენდა. ეს კანონები გამოიყენებოდა საქართველოში დიდი ხნით ადრე XVII საუკუნემდე, ე. ი. ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის შედგენამდე.

მეორე მხრივ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება შევეხოთ საკითხს თვითონ მოსეს სჯულის წყაროების შესახებ. კერძოდ ძველი აღთქმის დამოკიდებულებას ძველი აღმოსავლეთის საკანონმდებლო ძეგლებთან.

XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის არქეოლოგიურმა გათხრებმა აღმოსავლეთში ცივილიზაციის ისტორიას შესძინა უაღრესად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ძეგლები. 1902 წლის დამდეგს სპარსეთის ქალაქ სუზაში საფრანგეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ცნობილი არქეოლოგის ე. დე-მორგანის ხელმძღვანელობით აღმოაჩინა ძველი ბაბილონის სჯულმდებლობის უდიდესი და უშესანიშნავესი ძეგლი — ხამურაბის კანონები. ამ ძეგლის აღმოჩენამ დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს ცნობილ ასირიოლოგებს შორის. დაიწყო საკითხი ბიბლიური და ბაბილონური კანონმდებლობის ურთიერთობის შესახებ. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობდა, რომ ხამურაბის კანონები მოსეს სჯულმდებლობის უშუალო წყაროს წარმოადგენდა.

შემდგომი კვლევა-ძიებით დადგინდა, რომ ბიბლიური კანონმდებლობა უშუალოდ ნასესხები არ არის ხამურაბის კანონმდებლობიდან და არც მისი პირდაპირი გავლენის შედეგს წარმოადგენს.

ამავე დროს აღინიშნა მოსეს სჯულისა და ხამურაბის კანონების პარალელები, მათი მუხლებისა და ნორმების შინაარსობრივი მსგავსება და ზოგიერთი დამთხვევა.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოვიტანთ პარალელურ ადგილებს სქულ-
მდებლობის ამ ორი ძეგლიდან.

ხამურაბის კანონები

117. უკეთუ კაცს ვალი მართებს და მისცემს ვერცხლის ფასად ან სავალო კაბალაში გადასცემს თავის ცოლს, თავის ვაჟიშვილს ან ქალიშვილს, მათ უნდა იმსახურონ მყიდველის ან მევალის სახლში 3 წელიწადი, მეოთხე წელიწადს ისინი უნდა გაანთავისუფლონ.

120. უკეთუ კაცის ცოლს წაასწრებენ სხვა კაცთან მწოლიარეს, ისინი უნდა შეკრან და წყალში გადაადგონ.

120. უკეთუ კაცი გააუპატიურებს კაცის საცოლეს, რომელსაც არ უცხოვრია მამაკაცთან და მამის სახლში იმყოფება, მიუწეება ქალს და წაასწრებენ მას, ეს კაცი უნდა მოკლან, ქალი კი თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან.

131. უკეთუ ქალს სახელს გაუტეხს მისი ქმარი ფიცით, ხოლო ქალი არ ყოფილა წაასწრებული სხვა მამაკაცთან მწოლიარე, ქალმა უნდა დაიფიცოს ღმერთი და შეუძლია დაბრუნდეს თავის სახლში.

146. უკეთუ კაცი შეირთავს უნაყოფო ცოლს, უკანასკნელი მისცემს ქმარს მხევალს და იგი შობს შვილებს, შემდეგ ეს მხევალი დაერთლება თავის ქალბატონს, ვინაიდან მან შობა შვილები, მის ქალბატონს არ შეუძლია გაყიდოს ის ვერცხლის ფასად; მას შეუძლია დაადგას მას მონობის ნიშანი და გაათანაბროს სხვა მხველებთან.

დაბადება

უკეთუ იყიდო ვინმე შენ ძმათა შენ-თაგანი ებრაელი, ანუ მამაკაცი, ანუ დედააკაცი, ექუს წელ გმსახუროს შენ, და წელსა მეშვიდესა განავლინო იგი შენგან განთავისუფლებული (მეორე სქული 15, 12).

კაცმან უკეთუ ვინმე იმრუშოს ქმრის ცოლისა თანა ანუ მრუშება ჰყოს ცოლისა, ანუ ვინ სიძუა ჰყოს ცოლსა მოყუისისა თვისისა, სიუდილით მოკუდინ (ლევიტელთა 20, 10).

უკეთუ ვინმე დაიპყროს კაცმან ქალი... დაწინდული და მძლავროს და შეიგინოს იგი, მოკუდინ კაცი იგი მძლავრ მყოფელი მისი, ხოლო ქალსა მას ნურასა ვინ აენებ, რამეთუ არა თანაკის მას ბრალი... (მეორე სქული 22, 25-26).

უკეთუ ისევს ვინმე ცოლი და იყოს მას თანა და მოიძულოს და მიზნით სიტყუასა დასდებდეს, და სახელსა ბორცთსა განუხდიდეს... (იქვე), 22, 13-14).

და მოიყვანა სარა ცოლმან აბრაამსაგან მხევალი მისი... და მისცა იგი აბრაამს. ქმარსა თვისსა ცოლად... ხოლო მან იხილა რა, ვითარმედ მუცა? ქმნულ არს, უპატიო ვიქმენ წინაშე მისსა... და თქუა აბრაამ სარას მიმართ: აჰა მხევალი შენი კელთა შინა შენთა, იხუმიე იგი, ვითარ რამეცა სათნო არს შენდა. და ძვირი შეუარუნენა მას სარა, და იელოდა იგი პირისაგან მისისა (შესაქმეთა 16, 3-6).

156. უკეთუ კაცი თავის ვაჟიშვილს სასძლოს გაურიგებს და მისი შვილი დაიპერს ქალთან კავშირს, ხოლო შემდეგ თვითონ იგი მიუწვება ქალს და წაასწრებენ მას, ეს კაცი უნდა შებოქონ და წყალში გადააგდონ.

157. უკეთუ კაცს თავის მამის სიკვდილის შემდეგ წაასწრებენ დედასთან, ისინი ორივენი უნდა დაწვან.

195. უკეთუ შვილი გაარტყამს მამას, მას უნდა მოსპვრან თითები.

198. უკეთუ კაცი თვალს დაუზიანებს კაცს, მასაც უნდა დაუზიანონ თვალი.

197. უკეთუ იგი ძვალს გაუტეხს კაცს, მისი ძვალიც უნდა გატეხონ.

199. უკეთუ ვინმე თვალს დაუზიანებს კაცის მონას ან გაუტეხს ძვალს კაცის მონას, მან უნდა მიუწონოს მონის ნასყიდობის ფასის ნახევარი.

200. უკეთუ კაცი კბილს ჩაუმტვრევს თავის თანაბარ კაცს, მასაც უნდა ჩაუმტვრიონ კბილი.

208. უკეთუ კაცი გაარტყამს კაცს ჩხუბის დროს და მიაყენებს მას კრილობას, ამ კაცმა უნდა დაიფიცოს: „მე განზრახ არ გამირტყამს მისთვის“, აგრეთვე გადაუხადოს ექიმს.

209. უკეთუ კაცი გაარტყამს კაცის ქალიშვილს და მუტელს მოუშლის მას, მან უნდა გადაუხადოს ნაყოფის ფასად 10 სიკლი ვერცხლი.

250. უკეთუ ქუჩაში მიმავალი ხარი ურქენს კაცს და მოკლავს მას, ეს არ არის საფუძველი პრეტენზიისათვის.

უკეთუ ვინ დაუწეს სძალსა თვისიანა თანა, სიკუდილითა მოკუდეს ორნივე. რამეთუ უპატიობა ჰყვეს, თანამდებ არიან (იქვე, 20, 12).

უკეთუ მამის ცოლისა თანა იბრუნოს, სიკუდილითა მოკუდინ ორნივე, რამეთუ თანამდებ არიან (იქვე, 20, 11).

რომელმან სცეს მამასა თვისსა და დედასა თვისსა, სიკუდილითა მოკუდინ (გამოსლვათა 21, 15).

განტეხა განრეხისა წილ. თუალთუალისა წილ, კბილი კბილისა წილ, და რამცა გერში დასდვას კაცმან კაცსა. ეგრევე უყავთ მას (ლევიტელთა 24, 20).

უკეთუ ვინმე სცეს თუალსა შონისა თვისისასა, ანუ თვალსა მხვეალისასა და წარმოუგდოს თუალი, თავის უფლად განუტევენს იგი თუალისა მას წილ (გამოსლვათა 21, 26).

კბილი კბილისა წილ, კელი ჭელიანა წილ, ფერტი ფერტისა წილ, რამცა ვინ უყო ბრძელი მოყუასსა თვისსა, მიეგოს მას (მეორე შჯული 19, 22).

უკეთუ ილაღვიდეს ორნი კაცი, და სცეს მოყუასმან მოყუასსა... უბრალო იყოს კაცი იგი, რომელმან სცა მას, გარნა უქმობისა მისისათვის მიუცეს მას სამკურნალო (გამოსლვათა 21, 18—19).

უკეთუ იბრძოდინ ორნი კაცი, და სცენ დედაკაცსა მიდგომილსა, და მოურყუნენ ყრმა მისი არღა გამოხატული, ზღვევით იზღვიოს (იქვე, 21, 22).

უკეთუ ურქინოს კურომან მამაკაცს ანუ დედაკაცსა და მოკუდეს, ქვითა განიტევენს კურო იგი... (იქვე, 21, 27).

251. უკეთუ კაცის ხარი მარქენალია და მეზობლები განუცხადებენ მას, რომ იგი მარქენალია, ხოლო იგი არ გადაჭრის მას რქებს და არ დააბამს თავის ხარს, და ეს ხარი ურქენს კაცს და მოკლავს მას, მან უნდა მისცეს $\frac{1}{2}$ მინა ვერცხლი.

252. უკეთუ დაღუპული მონაა კაცისა, მან უნდა მისცეს $\frac{1}{3}$ მინა ვერცხლი.

266. უკეთუ ბაკში საქონელი გაწყდება ან ლომი მოკლავს ცხოველს, მწყემსმა ღვთის წინაშე უნდა დაიფიცოს, ხოლო ბაყის პატრონმა უნდა აპატიოს მას საქონლის გაწყვეტა ბაკში.

ანალოგიურ პარალელებს ადგილი აქვს მოსეს წიგნებისა და ხამურაბის კანონების სხვა თავებსა და მუხლებშიც. ზემოთ მოტანილი ტექსტები გვიჩვენებენ რომ მოსეს სჯულს ერთგვარი დამოკიდებულება აქვს ძველბაბილონურ კანონმდებლობასთან, თუმცა იგი არ არის ბაბილონური სამართლის პირდაპირი და უშუალო გავლენის პროდუქტი.

მოსეს სჯულმდებლობის ზოგიერთი პარალელი შეინიშნება აგრეთვე ასურეთისა და ხეთების კანონმდებლობაშიც (შდრ. მაგ., ხეთების კანონებს „გამოსლეა-თა“, თავი 21—28 და „ლევიტელთა“, თ. 18—20).

უკეთუ მორქინაღ იყოს კურო იგი გუშინდლითაგან და ძულანდლით დღისა მის, და ეწამოს უფალი იგი მისდა, და არა აღიღოს იგი შორის, და მოკლას მან მამაკაცი ანუ დედაკაცი, კურო იგი ქეთა განიტყინონ, და უფალი მისი მის თანავე მოკუდინ. უკეთუ საქსარი დასდეს მას, მისცეს მას საქსარი იგი სულისა თვისისა რაცა დასდეს მას (იქვე, 21, ა—ა).

უკეთუ ანუ მხეულსა და მონასა ურქინოს კურომან, ვერცხლი ოცდაათი სატირი მისცეს... (იქვე, 21, ა1).

უკეთუ ვინმე მისცეს მოყუასა კარაული, ანუ ზროხა, ანუ ცხოვარა, ანუ ყოველივე პირუტყვთაგანი დამარხუად, მოკუდეს ანუ წარწყმდეს, ანუ წარიტყუნოს, და არა ვინ უწყოდის, ფიცი ღუთისა იყოს შორის მათ ორთავე, ვითარმედ მან არა რაჲ ბროტი ქმნას... და არა რაჲ მიჰხადოს მას (იქვე, 22, 10—11).

ბერძნული სამართლის ძარბუღი:ვიკისია

ბერძნული კანონების შესახებ კრებულის შესავალში ნათქვამია, რომ ბატონიშვილმა ვახტანგმა „ძიება-ყო საბერძნეთით, ოთხთა პატრიარქთა მიერ ქენებითა, წიგნნი სასამართლონი, ეამთა კეისრისათა, თუ ვითარ სჯილენ; იგიცა ფრიადითა შრომითა გარდმოთარგმანებითა ბრძენთა კაცთათა, რომელსა თვით უმეტეს შეეწყოდა თარგმანსა შინა“.

„ბერძნული სამართლის“ ქართული ვერსიის შედგენილობისა და წყაროების საკითხი სერიოზული მეცნიერული კვლევის საგანი გახდა გასული საუკუნის 20-იან წლებში. ამ საკითხით დაინტერესდა ქართველი ერის ისტორიისა და კულტურის დიდი მკვლევარი აკადემიკოსი მარი ბროსე. მისი აზრით, ვახტანგის კრებულში შეტანილი ბერძნული კანონების ქართული ვერსია წარმოადგენს ბასილიკის სინოპსისს, რომელიც შედგენილი იყო ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე VI-ის ძის რომანის მიერ (*Histoire du Bas Empire*, XVI, გვ. 19, 61).

ბაზონ როზენკამპფი თვლიდა, რომ ბერძნული კანონების ქართული ვერსია ერთ-ერთი პროზირონია, შედგენილი ბასილი მაკედონელის, ლეონ ბრძონსა და მისი შვილების მეფობის დროს. ეს პროზირონი თარგმნილი იყო ბერძნულიდან ქართულ ენაზე და ამგვარად მოაღწია ჩვენ დრომდე, როცა, XIX საუკუნის დასაწყისში, თარგმნილი იქნა რუსულად („Обозрение Кормчей книги“ №3. 2, გვ. 497).

საკითხი მაკედონიური დინასტიის იმპერატორების მიერ გამოცემული პროზირონების შესახებ ძნელად სრულიად შეუსწავლელი იყო. ამიტომ ბროსე და როზენკამპფი ამ საკითხში ცდებოდნენ. შემდეგ გამოიჩვენა, რომ პროზირონი და მისი რედაქცია, რომელმაც მოაღწია ჩვენამდე ორი კრებულის — ბასილი მაკედონელის პროზირონისა და ამ პროზირონის *repetita praelectio*-ს (ეპანაგოგას) სახით, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ვახტანგის კრებულის ბერძნული კანონების წყაროებად. მართალია, პროზირონში, ერთი მხრივ, და ბერძნული კანონების ქართულ ვერსიაში, მეორე მხრივ, ჩვენ ვხვდებით მსგავს და ზოგჯერ იდენტურ მუხლებსაც, მაგრამ მათი შეჯერებისას იჩვენება, რომ საკანონმდებლო მასალის დალაგების მიხედვით ბასილიკის როგორც დიდ, ისე მცირე სინოპსისებს უშუალო კავშირი არა აქვთ ვახტანგის კრებულის ბერძნულ კანონებთან.

პროფესორ დავით ჩუბინაშვილმა პირველმა მიუთითა, რომ ბერძნული კანონების ქართული ვერსიის წყაროებს შეადგენს არმენოპულოს ექვსი წიგნი და ვლასტარის კრებული, ე. ი. მათე ვლასტარის სინტაგმა (*Histoire de la Géorgie*, Spb., 1854, წინასიტყვაობა, გვ. XXX).

ვახტანგის კრებულის ბერძნული კანონების წყაროების საფუძვლიანი გამოკვლევა მოცემულია პროფ. ვლ. სოკოლსკის შესანიშნავ მონოგრაფიაში — „Греко-римское право в уложении грузинского царя Вахтанга VI“ (Журн. Мин. Нар. Просв., 1897, сентябрь, гв. 56—93).

ვერდობ: რა პროფ. დ. ჩუბინაშვილის აზრს, ვლ. სოკოლსკი დაწვრილებით იკვლევს ამ კანონების წყაროებს და მათი ერთმანეთთან გულმოდგინე შეჯერების შედეგად აკეთებს შემდეგ დასკვნებს: 1. ვახტანგის კრებულის ბერძნულმა კანონებმა თავის მნიშვნელოვან ნაწილში არა მარტო ისესხა დებულებები ვლასტარიდან, არამედ ეს კანონები წარმოადგენენ ვლასტარის სინტაქსის შემოკლებას, შეესებულს არმენოპულოს კრებულისა და სხვა წყაროებიდან; 2. ეს მოკლე რედაქცია შედგენილია არა საქართველოში, არამედ საბერძნეთში, რასაც ამ კანონთა შინაარსის ბერძნული ანბანის რიგზე დალაგებულობა აბტაკებს; 3. ვლასტარის სინტაქსის ასეთი მოკლე რედაქცია გავრცელებული იყო მოაკოვის რესეთშიც, სადაც მას მეფის კანონების თანაბარი ავტორიტეტი ჰქონდა.

გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის ცახარიე ფონ-ლინგენტჰალის მიერ ბიზანტიური სამართლის ძეგლების აღნიშვნისათვის დადგენილი წესის მიხედვით ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიას უნდა ეწოდოს: „Epitome Syn-tagmatis Matthaei Blastaris ad Hexabibulum Harmenopuli mutati“.

განვიხილოთ ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის ეს ორი ძირითადი წყარო და მოკლედ შევჩერდეთ მათი ავტორებს ვინაობაზე.

კონსტანტინე არმენოპულო (Constantino Harmenopulo) ბიზანტიური იურისპრუდენციის გამოჩენილი წარმომადგენელი იყო. იგი იყო ნომოფილაკოსი (კანონთა დაცვისა და მართებულად გამოყენების მაგისტრატე) და გამოჩენილი მოსამართლე, რომელიც მოღვაწეობდა XIV საუკუნის შუა წლებში ბიზანტიური კულტურისა და განათლების მნიშვნელოვან ცენტრში, სოლუნში (თესლონიკა). როგორც სამართლის მეცნიერ არმენოპულო ცნობილია თავისი იურიდიული სახელმძღვანელოთი (Promtuarium ანუ Hexabiblos) და კანონიკური კრებულებით (Epitome canonum). მას ბევრ სხვა იურიდიულ ნაშრომსაც მიაწერდნენ, რომელთა ავტორი იგი სინამდვილეში არ ყოფილა.

სრული ლათინური სახელწოდება არმენოპულოს ძირითადი ნაშრომისა, რომელიც ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს, ასეთია: „Manuale legum dictum Hexabiblos, undique selectim et compendise collectum: si compositum a summo venerando nomophilace et iudice Thessalonicensi, Constantino Harmenopulo“. არმენოპულოს ამ კანონთა სახელმძღვანელოს მოკლე ეწოდება Hexabiblos—„ექუი წიგნი“. ეს სახელწოდება, რომელიც თვითონ ავტორმა მიცა თავის ნაშრომს, იქედან წარმოსდგება, რომ შრომა ექვსი წიგნისაგან შედგება.

ნაშრომის წინასიტყვაობაში არმენოპულო ჩამოთვლის იმ წყაროებს, რომლებშიაც იგი სარგებლობდა. საგანგებოდ ჩერდება ბასილის, კონსტანტინესა და ლეონის მიერ გამოქვეყნებულ პროხირონზე. არმენოპულო ეხება პროხირონის წინასიტყვაობას, სადაც ნათქვამია, რომ პროხირონი შეიცავს ყველა საკანონმდებლო აქტებიდან ამოკრებილ ყოველივე საჭიროსა და გავრცელებულს, რომ მასში არაფერი არაა გამოტოვებული ისეთი, რაც საჭიროა და ყველაზე უფრო

ხშირად გამოიყენება ცხოვრებაში. არმენოპულო აკრიტიკებს პროხირონის წინასიტყვაობის ამ ადგილს და აღნიშნავს, რომ არც მიზანია მიღწეული და არც დაპირებაა შესრულებული: კანონმდებლობის დიდი ნაწილი განხილულია მეტად ზერელედ, ხოლო ნაწილი სულ გამოტოვებულია.

უფრო სრულყოფილი საკანონმდებლო კრებულის შედგენის მიზნით არმენოპულომ პროხირონში მეტად მნიშვნელოვანი დამატებანი შეიტანა. ამის შედეგად ნაცელად პროხირონის 40 ტიტულისა, არმენოპულოს ნაშრომი გაიზარდა 80 ტიტულამდე. პროხირონის საკანონმდებლო მასალა და თავისი დამატებანი მან განახვევა კრებულის არშიაზე საგანგებო ნიშნების გაკეთებით: პროხირონის მასალა აღნიშნა ზოპალით, ხოლო თავისი დამატებანი — მზით.

არმენოპულოს ექვსი წიგნის ძირითად წყაროს წარმოადგენს ბასილის, კონსტანტინესა და ლეონის პროხირონი (*Prochirum legum, Manuale legum* — კანონთა სახელმძღვანელო). გარდა პროხირონისა, როგორც არმენოპულოს ნაშრომის წინასიტყვაობიდან ჩანს, მას გამოიყენებული უნდა ჰქონდეს ბასილიკა (მუფთა წიგნი), მაგრამ არა უშუალოდ ეს ძეგლი, არამედ სინოპსისი (ბასილიკას შემოკლება) და სასამართლო პრაქტიკა (*practica, experientia*). სხვა წყაროებს შორის არმენოპულო ასახელებს იმპერატორების დადგენილებებს: ნაშრომში მოტანილია ადგილები ლეონ ბრძნის, კონსტანტინე პორფიროგენეტის, რომან I-ის, რომან III-ის, ნიკიფორე ფოკის, ბასილი II-ის, ალექსი და მანუელ კომნენოსების ნოველებიდან. გარდა ამისა, ერთ-ერთ წყაროდ მოხსენიებულია პრეექტების ელიქტები იულიანუს ასკოლონიუს (*Julianus Ascolonita*) კრებულის მიხედვით. არმენოპულოს ნაშრომის წყაროა აგრეთვე ლეონ ბრძნის ნოველების კრებული (*Ecloga Novellarum Leonis*), რომელიც ხელნაწერებში სინოპსისის დამატებას შეადგენდა. არმენოპულოს ნაშრომში ბევრი რამ შევიდა ტრაქტატიდან „ხანდაზმულობის შესახებ“ (*momenta*) რომლის საფუძველს შეადგენს იუსტინიანეს კანონმდებლობა, და მცირე სინოპსიდან (*Synopsis minor*). თავისი ნაშრომის მეექვსე წიგნში არმენოპულოს საკმაოდ ვრცელად აქვს გამოყენებული ლეონისა და კონსტანტინეს 18-ტიტულოვანი ეკლოგა. ნაშრომში გვხვდება ეპანაგოგის (პროხირონის ვალასინჯული რედაქციის) — *repetita praelectio* გამოყენების კვალიც. დაბოლოს, კრებულო სარგებლობს მოციქულთა და საეკლესიო კრებათა კანონებით, სასინოდო და საპატრიარქოს დადგენილებებით.

არმენოპულოს ნაშრომი იწყება მოსამართლეთა შეგონება-დარიგებით მართალი სამართლის განხორციელების შესახებ, ამას მოჰყვება ლეონ ბრძნისა და მისი ძმის ალექსანდრეს ერთი ნოველა (დადგენილება), ხოლო შემდეგ — წინასიტყვაობა.

თვით ნაშრომი, როგორც უკვე ითქვა, ექვსი წიგნისაგან შედგება:

პირველ წიგნში, რომელიც 18 ტიტულს შეიცავს, ღაპარაკია კანონების, სასამართლო წყობილების, რესტრიქციებისა და თავისუფალ მდგომარეობის შესახებ.

მეორე წიგნში 11 ტიტულია. იგი ეხება მფლობელობის *opus novum*-ისა და საზღვაო სამართლის საკითხებს.

შესამე წიგნი 11 ტიტულისაგან შედგება. აქ ლაპარაკია შვილად აყვანის, გასხვისების, სესხის ხელშეკრულების, მინაბარისა და ამხანაგობის შესახებ.

მეოთხე წიგნი, რომელიც 12 ტიტულს შეიცავს, ეხება ნიშნობისა და ქორწინების საკითხებს.

მეხუთე წიგნში 12 ტიტულია. იგი ანღერძისა და მეურვეობის საკითხებს აწესრიგებს.

დაბოლოს, მეექვსე წიგნი შეიცავს 15 ტიტულს და ეხება ზარალს ანაზღაურებასა და ყოველგვარ გადახდევინებას.

ამ სარჩევიდან ჩანს, რომ არმენოპულოს ნაშრომი თავისი სისტემით დიდად განსხვავდება პრიონიონისაგან და არ წააგავს არც ერთ უწინდელ საკანონმდებლო კრებულს.

არმენოპულოს ექვსი წიგნის დამატებას წარმოადგენს *Epitome canonum* — „შემოკლება კანონთა“. ამ ნაშრომის წინასიტყვაობაში დაწვრილებით ჩამოთვლილია კანონიკური წყაროები, რომელთა მიხედვითაც შედგენილია „შემოკლება“. ნაშრომი შედგება ექვსი განყოფილებისაგან, რომელნიც დაყოფილია თავებად. ეს განყოფილებებია: 1. ეპისკოპოსთა არჩევისა და ხელდასმის შესახებ (6 თავი); 2. პრესვიტერთა, დიაკონთა და იპოდიაკონთა არჩევისა და ხელდასმის შესახებ (6 თავი); 3. სამღვდლო დასის სხვა წევრთა შესახებ (5 თავი); 4. ბერ-მონაზვნებისა და მონასტერთა შესახებ (3 თავი); 5. ერისკაცთა შესახებ (5 თავი); და 6. დედაკაცთა შესახებ (მხოლოდ 1 თავს შეიცავს). თვითოეული განყოფილების მიხედვით დალაგებულია კანონიკური დადგენილებანი, რომელთა ტექსტის დიდი ნაწილი მოტანილია საეკლესიო კრებათა დადგენილებებისა და წმიდა მამათა სიტყვების მიხედვით.

არმენოპულოს ნაშრომი შედგენილია ცოტა ხნით ადრე 1345 წლამდე. ამ ნაშრომს საყოველთაო გავრცელება ჰქონდა, რაც დასტურდება ჩვენამდე მოღწეული მრავალი ხელნაწერით. იგი მოქმედი სამართლის კოდექსად ითვლებოდა ბიზანტიური ცივილიზაციის ქვეყნებში (საბერძნეთი, ბულგარეთი, მოლდავეთა, რუსეთი, საქართველო, სომხეთი და სხვ.). არმენოპულოს კრებულის რამდენიმე მუხლი შესულია ე. წ. *Кормчая книга*-ს 50-ე და 58-ე თავებში. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ამ ნაშრომის გამოყენება და მისი გავლენა კიდევ უფრო გავრცელდა. არმენოპულოს კრებულს კანონის ძალა ჰქონდა XIX საუკუნეშიც (Д. Азареянч, *История византийского права, часть II, 1877, გვ. 299—311*).

ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის მეორე ძირითად წყაროს შეადგენს ელასტარის სინტაგმა. მათე ელასტარი იყო მღვდელ-მონაზონი, რომელიც ცხოვრობდა XIV საუკუნის პირველ ნახევარში. იგი სამართლიანად ითვლება აღმოსავლეთის ეკლესიის კანონიკური სამართლის ერთ-ერთ უდიდეს ავტორიტეტად. მისი მთავარი იურიდიული ნაშრომია ალფაბეტური სინტაგმა საეკლესიო კრებათა დადგენილებებისა და საერო კანონებისა. ნაშრომი შედგენილია 1335 წელს. იგი იწყება ასეთი წარწერით: *Syntagma alphabeticum rerum omnium que in sacris divinisque canonibus comprehenduntur elaboratum pariter et compositum per minimum ex hieromonachis Matthaeum Blastareum* — „ალფაბეტური სინტაგმა ყველა საგნისა, რომელსაც შეიცავს საღვთო და წმიდა კანონები...“ ამას მოსდევს წინასიტყვაობა, რის

შეპდეგ ქრონოლოგიურად გადმოცემულია სხვადასხვა წყარო: საეკლესიო კრებების დადგენილებანი და კანონები, რომის სამართლის წყაროების მიმოხილვა XII ტახულის კანონებიდან ლეონ ბრძნის ბაზილიკამდე.

ნაშრომი ბერძნული ანბანის რიგის მიხედვით 24 განყოფილებას შეიცავს, რომელთაგან თვითეული აღნიშნულია ბერძნული ანბანით α -დან ω -მდე, ასე რომ საეკლესიო სამართლის სხვადასხვა საგანი მოთავსებულია იმ ასოს ქვეშ, რომლითაც ამ საგნის სახელწოდება იწყება. თვითეული განყოფილება იყოფა თავებად (სულ 303). თავების დიდი ნაწილი იმ კანონიკური დადგენილებების გადმოცემით იწყება, რომლებიც შესაბამის საგანს ეხებიან, და მთავრდება გამოწაკრებით საერო კანონებიდან. ბევრი თავი მხოლოდ საერო სამართლის საგნებისადმი მიძღვნილი. ისინი ნასესხები უნდა იყოს ბასილის, ლეონისა და ალექსანდრეს ეპანაგოგიდან. ამრიგად ვლასტარის კრებული მოქმედი საეკლესიო და საერო სამართლის ერთობლივი ძეგლია.

ნაშრომის 303 თავს ვლასტარმა დაუმატა ცალკეული კანონიკური წერილები, რომლებსაც პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელ ბერძნულ ეკლესიაში, სახელდობრ: 1. *Catalogus officiorum ecclesiae Constantinopolitanae*—კატალოგი კონსტანტინოპოლის ეკლესიის თანამდებობათა; 2. *Synopsis nomocanonis Joannis Nesteutae*—გამონაკრები იოანე მმარხველის სჯულის კანონიდან (532 წ.), 3. *Nicetae responsa ad interrogationes episcopi Constantini*—ირაკლიელი მიტროპოლიტის ნიკიტას პასუხები ეპისკოპოს კონსტანტინეს, 4. *Nicephori patriarchae canones*—ნიკიფორე პატრიარქის კანონები, 5. *Ioannis episcopi Citri responsiones ad Cabasitam*—კიტრუს¹ ეპისკოპოსის პასუხები ეპისკოპოს კონსტანტინე კაბასიტელს.

მათე ვლასტარის სინტაგმა ფართოდ იყო გავრცელებული, იგი ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი სახელმძღვანელო და საეკლესიო სჯულმდებლობის მნიშვნელოვანი წყარო იყო აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ქვეყნებში. ადგილები ვლასტარის სინტაგმიდან შეტანილია ე. წ. *Кормчая книга*-ს 50-ე და 51-ე თავებში. ვლასტარის კრებული რამდენჯერმე ითარგმნა სლავურ ენებზე. მოსკოვის სინოდალურ ბიბლიოთეკაში დაცულია ამ კრებულის 1342 წლის ხელნაწერი, რომელიც XVII საუკუნეში რუსულად თარგმნა ხუცეს-მონაზონმა ექვთიმემ (Д. Азаревич, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 338—340).

ბერძნული კანონების ქართული ვერსიის შესავალი (მუხ. 1) წარმოადგენს არმენოპულოს „ექუსი წიგნის“ შესავალს, რომელიც გადმოცემულია ქართულ ტექსტში არსებითი ცვლილებების გარეშე, მაგრამ ზოგიერთი შემოკლებით. კანონა მე-2 მუხლიც ამავე წყაროდან უნდა იყოს ნასესხები, მაგრამ შეიძლება იგი აგრეთვე ამოღებულ იყოს ვლასტარის სინტაგმიდან. ც ა ხ ა რ ი ე ფ ო ნ ლ ი გ ე ე ნ ტ კ ა ლ ის ა ზ რ ი თ, ბერძნული კანონების მე-2 მუხლი, რომელიც კრებულებში უმრავლეს შემთხვევაში აღნიშნულია იმპერატორების ლეონისა და ალექსანდრეს (ზოგჯერ იხსენიება კონსტანტინეც) ნოველად, ყალბი უნდა იყოს. ძველ ხელნაწერ კრებულებში ეს მუხლი არ მოიპოვება. არმენოპულოს „ექუსი წიგნის“ ყველა ხელნაწერში იგი მხოლოდ იმპერატორებს ლეონსა და ალექსანდრეს მიეწერება. რაკი ქართულ ვერსიაში იმპერატორი კონსტანტინეც იხსენიება, ამიტომ ეს მუხლი, რომელიც მეტად გავრცელებული იყო აღმოსავლეთში, შესაძლებელია, კრებულში შეტანილი იყო არა არმენოპულოს ნაშრომიდან, არამედ სხვა რომელიმე წყაროდან.

ბერძნული კანონების მე-2 მუხლის ქართული რედაქცია გადმოსცემს ნოველის საერთო შინაარსს, მაგრამ მასში არის ერთი ორიგინალური ჩანართი, რომელიც დედანში არ მოიპოვება. ეს არის მე-2 მუხლის მეორე აბზაცი, რომელიც იწყება ასე: „უკეთუ შთავარდეს წარწყმელასა...“ და მთავრდება სიტყვებით: „შვილინ მისნი მისცენ თავადებთა“ (იხ. აქვე, გვ. 133). ვლ. სოკოლსკის აზრით, სავარაუდებელია, რომ ეს ჩანართი ქართველ მთარგმნელებს ეკუთვნოდეს, რადგან ბიზანტიური სამართლის ძეგლებში არ გვხვდება ეს სასჯელი, რომელიც მოხსენიებულია ამ ჩანართში, სახელდობრ დამნაშავეისათვის „ცხურის ფაშას თავზე ჩამოცემა“.

როგორც უკვე ითქვა, ვლასტარის სინტაგმაში სამართლებრივი დებულებები დალაგებულია ლიტერების მიხედვით, ე. ი. ბერძნული ანბანის რიგზე. რომელი ლიტერითაც იწყება საგნის დასახელება, იმ ასოსთანვე გადმოცემულია ეს სამართლებრივი ნორმები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვლასტარის სინტაგმა იურიდიულ ლექსიკონს წარმოადგენს.

განვიხილოთ პროფ. ვლ. სოკოლსკის გამოკვლევის საფუძველზე ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის წყაროები სინტაგმის ლიტერებისა და არქეოპოპულოს „ექუსი წიგნის“ მიხედვით.

A ლიტერი

ბერძნული კანონების 3—7 მუხლები ამოღებულია სინტაგმის A ლიტერიდან. 8—15 მუხლები ნასესხებია არქეოპოპულოს მესამე წიგნის მე-3 ტიტულიდან, 16—18 მუხლები — მისი პირველი წიგნის მესამე ტიტულიდან (პროფ. ვლ. სოკოლსკი ბერძნული კანონების მუხლებს უთითებს ეპიტანგის კრებულის 1887 წლის რუსული გამოცემის მიხედვით; ქართულ ვერსიაში მუხლების თანამიმდევრობა განსხვავებულია).

ამას მოყვება მე-19 მუხლი, რომელიც ნასესხებია ვლასტარის სინტაგმის A ლიტერის მე-12 თავიდან. 20—23, 25 მუხლები ამოღებულია არმენოპულოს I წიგნის მე-3 ტიტულიდან. 24-ე მუხლის წყარო არ ჩანს, რაც შეეხება 26, 27 და 28 მუხლებს, მათი შინაარსი ამოღებულია არმენოპულოს I წიგნის მე-15 ტიტულიდან. 29—34 მუხლები გადმოგვცემენ არმენოპულოს VI წიგნის მე-8 ტიტულის შინაარსს, ხოლო 35 მუხლი — მისი VI წიგნის მე-5 ტიტულის მე-13 თავის შინაარსს.

37—40 მუხლები ამოღებულია სინტაგმის A ლიტერის მე-12 თავიდან. 41 მუხლი მე-40 მუხლის შენიშვნა და ამიტომაც მოთავსებულია ამ ადგილზე. 42 მუხლი ნასესხებია სინტაგმის A ლიტერის იმავე მე-12 თავიდან. 43—48 მუხლები ამოწერილია (მნიშვნელოვანი ცვლილებებით) იმავე A ლიტერის მე-12 თავიდან, 49—50 მუხლები ამოკრებილია სინტაგმის A ლიტერის მე-13 თავიდან, ხოლო 51—52 მუხლები — არმენოპულოს VI წიგნის მე-4 ტიტულის მე-3 და მე-4 თავიდან. A ლიტერი მთავრდება 53-ე მუხლით, რომელიც ნასესხებია ვლასტარის სინტაგმის A ლიტერის მე-15 თავიდან.

B ლიტერი

B ლიტერი იწყება 54-ე მუხლით, რომელიც ნასესხებია სინტაგმის იმავე ლიტერის მე-5 თავიდან; 55 და 56 მუხლები ამოღებულია B ლიტერის მე-15 თავიდან.

დან. 57 მუხლი ამოღებულია სინტაგმის B ლიტერის მე-6 თავიდან, ხოლო 58, 59, 60, 61 მუხლები — სინტაგმის B ლიტერის მე-7 თავიდან. 62 მუხლი ამოწერილია სინტაგმის B ლიტერის მე-12 თავიდან. 64—69 მუხლები აღებულია არმენოპულოს VI წიგნის პირველი ტიტულიდან. 70 და 71 მუხლები ამოკრებილია მისა 11 წიგნის მე-6 ტიტულის 1 და 2 თავებიდან.

Г ლიტერი

72—74 მუხლები ნასესხებია სინტაგმის Г ლიტერის მე-12 თავიდან. 75 მუხლი ქართულ ხელნაწერში არ არის. 76 და 77 მუხლები ამოღებულია სინტაგმის Г ლიტერის 28-ე თავიდან, ხოლო 78—80 მუხლები 30-ე თავიდან. 81—83 მუხლები ნასესხებია, სინტაგმის Г ლიტერის მე-5 თავიდან. შემდეგ მოსდევს ამონაწერები არმენოპულოს პირველი წიგნიდან: 84 მუხლი აღებულია მე-13 ტიტულის 1 თავიდან, 85 მუხლი — მე-3 თავიდან, 86 — მე-4 თავიდან, 87 — მე-6 თავიდან, 88 მუხლი — მე-8 თავიდან, 89—91 მუხლები — მე-10—12 თავებიდან, ხოლო 92 მუხლი — პირველი წიგნის მე-13 ტიტულის მე-17 თავიდან. დაბოლოს, 93-ე მუხლი ჩართულია Г ლიტერის 26-ე თავიდან.

Δ ლიტერი

Δ ლიტერი იწყება კანონთა 95-ე მუხლით. ეს მუხლი ამოღებულია არმენოპულოს პირველი წიგნის მე-10 ტიტულის მე-8 თავიდან, ხოლო 96—98 მუხლები — მეოთხე წიგნის მე-9 ტიტულის პირველი, მეოთხე და მე-7 თავებიდან. 99—100 მუხლები ნასესხებია ვლასტარის სინტაგმის Δ ლიტერის პირველი თავიდან. 101—107 მუხლები ნასესხებია არმენოპულოს მესამე წიგნის მე-5 ტიტულის თავებიდან, სახელდობრ: 101 და 102 მუხლები აღებულია 27-ე თავიდან, 103 — 29-დან, 104 — 90-დან, 105 — 47-დან, 106 — 92-დან, ხოლო 107 — 89-ე თავიდან.

108—118 მუხლები ამოღებულია არმენოპულოს მეხუთე წიგნის პირველი ტიტულის თავებიდან, სახელდობრ: 108 მუხლი — 1 და მე-4 თავიდან, 109—110 მუხლი — მე-6 თავიდან, 111 მუხლი — მე-7 თავიდან, 112 — მე-8 თავიდან, 113 — მე-9 თავიდან, 114 — მე-16—18 თავებიდან, 115 — მე-20 თავიდან, 116 — 25-ე თავიდან, 117 — 36-ე თავიდან, ხოლო 118 — 41-ე თავიდან.

შემდეგი ორი მუხლი ნასესხებია ვლასტარის სინტაგმიდან: 119 მუხლი ამოღებულია სინტაგმის Δ ლიტერის მე-8 თავიდან, ხოლო 120 — მე-3 თავიდან.

ამის შემდეგ კვლავ იწყება სესხება არმენოპულოს წიგნებიდან. 121—124 მუხლები ამოღებულია მე-5 წიგნის V ტიტულიდან, სახელდობრ: 121 მუხლი — პირველი თავიდან, 122 — მე-10 თავიდან, 123 — მე-2 თავიდან, ხოლო 124 — მე-3 თავიდან.

125—127-ე მუხლები ნასესხებია ვლასტარის სინტაგმის Δ ლიტერის მე-3 თავიდან, 128 მუხლი კი აღებულია ამავე სინტაგმის K ლიტერის 32-ე თავიდან 129—130 მუხლები ამოწერილია სინტაგმის Δ ლიტერის მე-6 თავიდან; 131—139 მუხლები აღებულია Δ ლიტერის მე-7 თავიდან; 140—157 მუხლები ნასესხებია Δ ლიტერის მე-8 თავიდან, ხოლო 158—170 — Δ ლიტერის მე-11 თავიდან.

171—174 მუხლები ამოყრებილია არმენოპულოს VI წიგნის მე-12 ტიტულის 1—3 თავებიდან, ხოლო 175—176 მუხლები — მე-13 ტიტულიდან. 177—179 მუხლები ნასესხებია ელასტარის სინტაგმის Δ ლიტერის მე-12 თავიდან.

ლიტერის დანარჩენი მუხლები აღებულია არმენოპულოს მესამე წიგნის პირველი თავიდან, 187 მუხლი — მე-3 თავიდან, 188 მუხლი — მე-5 და 6 თავიდან, თავიდან და 182 მუხლი — მე-16 თავიდან, 183 მუხლი კი ნასესხებია მესამე წიგნის მეორე ტიტულის პირველი თავიდან. 184 მუხლი აღებულია მეოთხე წიგნის მე-14 ტიტულის პირველი თავიდან, 185 მუხლი — მესამე წიგნის პირველი ტიტულის მე-11 თავიდან.

186—199 მუხლები წარმოადგენს გამონაკრებს არმენოპულოს პირველი წიგნის მეოთხე ტიტულის თავებიდან, სახელდობრ: 186 მუხლი ამოღებულია პირველი თავიდან, 187 მუხლი — მე-3 თავიდან, 188 მუხლი — მე-5 და 6 თავიდან, 189 მუხლი — მე-7 თავიდან, 190 მუხლი — მე-8 თავიდან, 191 მუხლი — მე-9 თავიდან, 192 მუხლი — მე-11 თავიდან, (193 მუხლის წყარო დადგენილი არ არის), 194 მუხლი — 35-ე თავიდან, 195 მუხლი — 42-ე თავიდან და მისი შენიშვიდან, 196 მუხლი — 45-ე თავიდან, 197 მუხლი — 42-ე თავის შენიშვიდან. 198 მუხლი — 46-ე თავიდან და 199 მუხლი — 69-ე თავიდან.

E ლიტერი

მე-200 მუხლით იწყება E ლიტერი. 200—202 მუხლი ნასესხებია ელასტარის სინტაგმის E ლიტერის პირველი თავიდან. 203—208 მუხლები შედგენილია არმენოპულოს III წიგნის მე-6 ტიტულის 1—19 თავების საფუძველზე.

შემდეგ კვლავ მოსდევს ამონაწერები სინტაგმიდან, სახელდობრ: 209 და 210 მუხლები ამოღებულია სინტაგმის E ლიტერის მე-4 თავიდან. 211 მუხლის საფუძველია E ლიტერის მეორე თავი და გათვალისწინებულია აგრეთვე არმენოპულოს პირველი წიგნის პირველი ტიტულის 36-ე თავი.

212—214 მუხლები ნასესხებია არმენოპულოს პირველი წიგნის მე-8 და მე-9 თავებიდან. 215 და 216 მუხლები ამოღებულია მეოთხე წიგნის მე-12 ტიტულის პირველი და მესამე თავებიდან.

217 და 218 მუხლების უშუალო წყარო დადგენილი არ არის.

219—220 მუხლები ნასესხებია არმენოპულოს მესამე წიგნის მე-4 ტიტულის მე-8 და მე-10 თავებიდან.

221—225 მუხლები ამოღებულია ელასტარის სინტაგმის E ლიტერის მე-7 თავიდან, 226—228 მუხლები — ამავე ლიტერის მე-8 თავიდან, 229—230 მუხლები — მე-9 თავიდან, ხოლო 231—237 მუხლები — მე-13 თავიდან, 238—239 მუხლები — 27-ე თავიდან, 240—244 მუხლები — 32-ე თავიდან.

245—249 მუხლები ნასესხებია არმენოპულოს პირველი წიგნის VII ტიტულის მე-6, 8, 14 და 16 თავებიდან, 249 (bis) მუხლი — მეხუთე წიგნის მე-12 ტიტულის მეორე თავიდან, 250 მუხლი — ამავე წიგნისა და ამავე ტიტულის 28-ე თავიდან.

251 მუხლი ამოღებულია სინტაგმის E ლიტერის 33-ე თავიდან.

252 მუხლი ნასესხებია არმენოპულოს V წიგნის მე-12 ტიტულის 26-ე თავიდან, ხოლო 253 მუხლი — 33-ე თავიდან.

⊖ ლიტერი

ეს ლიტერი მხოლოდ სამ მუხლს შეიცავს. სახელობრ, 254—256 მუხლებს, რომლებიც აზიღებულია VI ტიტულიდან.

I ლიტერი

257 მუხლი აზიღებულია შეერთებულად ვლასტარის სინტაგმის I ლიტერას პირველი თავიდან და არმენოპულოს VI წიგნის V ტიტულის მე-15 თავიდან; 258 და 259 მუხლები — ვლასტარის სინტაგმის E ლიტერის პირველი თავიდან.

K ლიტერი

260, 262—267 მუხლები შედგენილია არმენოპულოს II წიგნის IV ტიტულის 53, 61, 65 და 67-ე თავების მიხედვით, ხოლო 261 მუხლი ნასესხება სინტაგმის K ლიტერის მე-3 თავიდან. 268—269 მუხლები აღებულია ამავე ტიტულის 133-ე და 134-ე თავებიდან. 270—276 მუხლები შედგენილია არმენოპულოს II წიგნის V ტიტულის მიხედვით, სახელობრ: 270 მუხლი აზიღებულია მე-9 თავიდან, 271 — მე-10 თავიდან, 272 — მე-12 თავიდან, 273 — მე-13 თავიდან, 274 — მე-11 თავიდან, 275 — მე-10 თავიდან და 276 — მე-20 თავიდან.

277—279 მუხლები ნასესხება ვლასტარის სინტაგმის K ლიტერის მე-12 თავიდან; 280—287 მუხლები აღებულია არმენოპულოს V წიგნის VIII ტიტულის მე-8, 28, 38, 44, 49, 66, 72—74, 82 და 94 თავებიდან; 288—293 მუხლები ნასესხება ვლასტარის სინტაგმის K ლიტერის მე-12 თავიდან, 294 მუხლი — არმენოპულოს V წიგნის მე-10 ტიტულის პირველი თავიდან; 295—302 მუხლები აღებულია სინტაგმის K ლიტერის მე-12 თავიდან; 303 მუხლი ნასესხება არმენოპულოს V წიგნის მე-10 ტიტულის მე-4 თავიდან; 304—309 მუხლები აზიღებულია არმენოპულოს III წიგნის მე-9 ტიტულიდან, 310—318 მუხლები ნასესხება არმენოპულოს VI წიგნის მე-5 ტიტულის 1—6, 9—11 თავებიდან; 319—323 მუხლები აზიღებულია ვლასტარის სინტაგმის K ლიტერის 23-ე თავიდან; 324—325 და 327 მუხლები აღებულია არმენოპულოს III წიგნის მე-10 ტიტულიდან. 326 მუხლის წყარო დადგენილი არ არის.

A ლიტერი

ეს ლიტერი შეიცავს 328—330 მუხლებს, რომლებიც აზიღებულია ვლასტარის სინტაგმის A ლიტერის მე-7 თავიდან.

M ლიტერი

M ლიტერი იწყება 331 მუხლით. 331—335 მუხლები აღებულია არმენოპულოს I წიგნის მე-5 ტიტულიდან; 336—340 მუხლები — ამავე წიგნის მე-6 ტიტულიდან; 341 და 343 მუხლები — ვლასტარის სინტაგმის M ლიტერის მე-12 თავიდან, ხოლო 342, 344 და 345 — არმენოპულოს III წიგნის მე-8 ტიტულს

31, 40—41 თავებიდან. 346—361 მუხლები ნასესხებია ელასტარის სინტაგმის M ლიტერის პირველი თავიდან, ხოლო 362 მუხლი — მე-9 თავიდან.

N ლიტერი

ეს ლიტერი შეიცავს 363—372 მუხლებს. 363 მუხლი ნასესხებია მათე ელასტარის სინტაგმის N ლიტერის პირველი ტიტულის მე-7 თავიდან, 364—371 მუხლები — არმენოპულოს I წიგნის პირველი ტიტულის მე-14, 15, 16, 28, 30 თავებიდან და 27-ე თავის შენიშენიდან, ხოლო 372 მუხლი ელასტარის სინტაგმის N ლიტერის მე-7 თავიდან.

Π ლიტერი

Π ლიტერი იწყება 373 მუხლით. 373—376 მუხლები ნასესხებია ელასტარის სინტაგმის Π ლიტერის მე-14 თავიდან, 377—378 მუხლების წყარო დადგენილი არ არის. 379—386 მუხლები ნასესხებია არმენოპულოს VI წიგნის მე-14 ტიტულაზ 8—10, 12—16 თავებიდან.

T ლიტერი

ეს ლიტერი მხოლოდ ერთ (387) მუხლს შეიცავს, რომელიც ნასესხებია ელასტარის სინტაგმის T ლიტერის მე-11 თავიდან.

Θ ლიტერი

ეს ლიტერი შეიცავს 388 და 389 მუხლებს, რომლებიც ამოღებულია ელასტარის სინტაგმის Θ ლიტერის მე-8 თავიდან.

აქ მთავრდება პირვანდელი *Epitome Syntagmatis Blastoris ad Hexabibulum Harmenopuli mutati*. შემდგომი მუხლები წარმოადგენენ კრებულის მიწვევებს.

393—396 მუხლები ნასესხებია ელასტარის სინტაგმის Γ ლიტერის მე-15 თავიდან, 400 მუხლი — T ლიტერის მე-11 თავიდან. 401 — V ლიტერის პირველი თავიდან, 402 მუხლი — T ლიტერის მეორე თავიდან. 399, 403, 406, 409 და 410 მუხლები ნასესხებია ლეონ ბრძნის ნოველებიდან.

დანარჩენი მუხლები ამოღებულია არმენოპულოს „ექუსი წიგნის“ ტიტულების თავებიდან. სახელდობრ: 390 მუხლი (lib. IV. tit. I. cap. 1), 391 (lib. IV, tit. II, cap. 2), 392 (lib. IV, tit. III, cap. 9), 397 (lib. IV, tit. 1, cap. 15), 404 (lib. I, tit. 7, cap. 3), 405 (ibid., cap. 12). 407 (ibid., cap. 17), 408 (ibid., cap. 17) და 411 (ibid., 17). 412—418 მუხლები ნასესხებია არმენოპულოს Appendices-იდან, სახელდობრ: *Leges Agrariae* tit. VI, 1, 2, 5; tit. V, 2 და tit. VII, 2. 398 მუხლი აღბათ ნასესხებია „ექუსი წიგნის“ ზოგიერთი ნუსხის დანართებში არსებულ კანონთა შემოკლებიდან (*Epitome Canonum*), რომელიც შედგენილია არმენოპულოს მიერვე.

საკვირაო აღინიშნოს, რომ ბერძნული სამართლის ქართული ევრსიის მთელი რიგი მუხლები საკარნობლად შეცვლილი და დამახინჯებულია, ასეთი მუხლებია: 14, 17, 18, 22, 43—48, 53, 108—118, 183—185, 245—249, 285, 369, 386.

183 მუხლი შეცდომით იმოწმებს ლეონ ბრძნის 29 ნოველას, რომლის შინა-არსი გადმოცემულია წინა (182) მუხლში.

ბერძნული კანონების 257-ე მუხლი ეკლესიის ქურდს, სხვა სასჯელს გარდა, ასი ჯოხის დარტყმას უწესებს. ბერძნულ-რომაული სამართლის არც ერთ სხვა კრებულში არაა განსაზღვრული დარტყმის რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ ასეთი სანქცია გათვალისწინებულია 1667 წლის მოსკოვის საეკლესიო კრების დადგენილებაშიც (თ. 4). აქედან ირკვევა, ამბობს პროფ. ვლ. სოკოლსკი, რომ ვახტანგის კრებულში შეტანილი ბერძნული სამართლის წიგნსა და 1667 წლის მოსკოვის საეკლესიო კრების დადგენილებას საფუძვლად ერთი და იგივე წყარო — ვლასტარის კრებულის პროტოტიპი უდევს.

სამართლის წიგნის შემდგენელს ვერ გაუგია სინტაგმის შესაბამისი ადგილი და ამის გამო 362-ე მუხლის შინაარსი დაუმახინჯებია. დედანში, ე. ი. ვლასტარის სინტაგმაში, „ძველი სჯული“, როგორც ამას თვითონ ვლასტარიც მიუთითებს, იმპერატორ იუსტინიანეს ინსტიტუციებსა და დიგესტებს გულისხმობს, ხოლო „სჯულის გამწმენდ“ მეფედ ბასილ მაკედონელი ანდა მისი ძე ლეონ ბრძენი იგულისხმებია. „ბერძნული სამართლის“ შემდგენელს კი „ძველ სჯულად“ „ძველი აღთქმა“ მიაჩნია, ხოლო „სჯულის გამწმენდ“ მეფედ — იუსტინიანე. პროფ. სოკოლსკის აზრით, ეს არ შეიძლება ქართველი მთარგმნელის შეცდომა იყოს; იგი კრებულის შემდგენლის შეცდომაა და, ალბათ, აიხსნება იმით, რომ კრებული შედგენილია არა უადრეს XVII საუკუნის დასაწყისს.

360 მუხლი

ვახტანგის კანონთა კრებულის რუსული გამოცემის რედაქტორი ისტორიკოა დ. ბაქრაძე ბერძნული კანონების 371-ე მუხლს ასეთ შენიშვნას უკეთებს: „Не показывает ли эта статья, что в нашем „Сборнике“ „Греческие законы“ были дополнены царем Вахтангом?“ პროფ. ვლ. სოკოლსკის ამაში ეჭვი შეაქვს და ამბობს: ხომ არ არის ეს მუხლი არმენოპულოს 1 წიგნის I ტიტულის 29-ე თავის დაზიანებული თარგმანიო.

877 მუხლი

377-ე მუხლი, რომელიც ყალბი ფულის მკრელებს ეხება, მკვეთრად განსხვავდება ბერძნულ-რომაული სამართლის კრებულების შესაბამისი მუხლებისაგან, რომლებიც ეკლოვას (tit. XVII, cap. 18) ან პროხირონს (tit. XXXIX, cap. 14) ემყარებიან. ეკლოვა შეიცავს მოკლე, კატეგორიულ დადგენილებას ყალბი ფულის მკრელების შესახებ, პროხირონი კი არა მარტო ყალბი ფულის მკეთებლებისა და მათ დამხმარეთა სასჯელს ითვალისწინებს, არამედ იმეორებს კოდექსისა და ბასილიკის დადგენილებებს იმ სახლებისა და მიწის ნაკვეთების მფლობელთა პასუხისმგებლობის შესახებ, სადაც ყალბი ფული იჭრება, და აგრეთვე ყალბი ფულის მკეთებლებზე, რომლებიც იმალებიან.

377 მუხლის ტექსტი არ შეესაბამება არც ეკლოვისა და არც პროხირონის ტექსტს. იგი არ შეიძლება ნასესხები იყოს არც ვლასტარის სინტაგმიდან და არც არმენოპულოს ექვსი წიგნიდან, რომელნიც ზუსტად იმეორებს პროხირონის ტექსტს.

ასეთ დადგენილებებს ყალბი ფულის მკეთებელთა შესახებ ჩვენ ვხედავთ მხოლოდ 1667 წლის მოსკოვის საეკლესიო კრების დადგენილებაში, რომელიც ამოღებული უნდა იყოს არა უშუალოდ ელასტარის სინტაგმიდან, არამედ ამ სინტაგმის პროტოტიპიდან, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

386 მუხლი ამოღებული უნდა იყოს არმენოპულოს VI წიგნის მე-14 ტიტულის მე-16 თავიდან. მაგრამ ეს მუხლი ამ წყაროს დიდად წირდება. მათი შედარებისას მხოლოდ გამონათქვამის საერთო მსგავსება ირკვევა.

399, 403, 406, 409—410 მუხლები, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ამოღებულია უშუალოდ ლეონ ბრძნის ნოველებიდან, რომლებიც ბერძნული კანონების შემდგენს კარგად ვერ გაუგია.

ამრიგად ბერძნული კანონების შემდგენი, იღებს რა არმენოპულოს „ექვთისი წიგნიდან“ და ელასტარის სინტაგმიდან სამართლებრივ დებულებებსა და ნორმებს, ხშირად ცვლის, ამოკლებს, აერთიანებს და ამკვარად გადმოსცემს მათ.

ასეთია ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის წყაროები, რომელნიც დაწერილობით განხილულია პროფ. ელ. სოკოლსკის დასახელებულ ნაშრომში (იხ. გვ. 60—81).

აქამებს რა თავისი გამოკვლევის შედეგებს, პროფ. ელ. სოკოლსკი იძლევა შემდეგ დასკვნებს:

ამრიგად, ბერძნული კანონები ელასტარის სინტაგმისა და არმენოპულოს „ექვთისი წიგნისა“, ე. ი. ბერძნულ-რომაული სამართლის იმ მთავარი კრებულების კომპილაციას წარმოადგენს, რომლებიც გამოყენებული იყო ბიზანტიის გვიანდელ ეპოქაში, პირველი სასულიერო, ხოლო მეორე საერო სასამართლოებში. თურქების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ, როცა ბერძნული მოსახლეობის საეკლესიო და სამოქალაქო საქმეების იურისდიქცია მთლიანად პატრიარქატსა და საერთოდ სასულიერო ხელისუფალთა ხელში მოექცა, ყოველდღიური ხმარებისათვის საჭირო გახდა ელასტარის სინტაგმისა და არმენოპულოს „ექვთის წიგნის“ ასეთი მოკლე კომპილაცია შეედგინათ.

ელასტარის სინტაგმის შედგენამდე ბიზანტიაში არ არსებობდა ისეთი იურიდიული კრებული, რომ მასში საეკლესიო და საერო სამართალი ერთ corpus-ად გაერთიანებული ყოფილიყო. აღმოსავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, როცა საეკლესიო იურისდიქცია საერო საქმეებზედაც გავრცელდა, შედგენილი იქნა იურიდიული კრებულები, რომლებშიც ერთ მთლიან corpus-ად გაერთიანეს საეკლესიო და საერო სამართალი ამ უკანასკნელის უბირატესი მნიშვნელობით.

ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ ელასტარის სინტაგმის შემოკლება, რომელიც შეესებოდა არმენოპულოს „ექვთის წიგნიდან“, ხასიათდება იურიდიული მეცნიერებისა და აზროვნების დაქვეითებით. კრებულის შემდგენელს ხშირად არ ესმის იმ სამართლებრივ დებულებათა აზრი, რომელნიც შემოკლებული სახით შეაქვს თავის კრებულში ელასტარის სინტაგმიდან და არმენოპულოს ნაშრომიდან. ამის გამო ადგილი აქვს არა მარტო შემოკლებას, არამედ სამართლებრივ დებულებათა პირვანდელი ტექსტის დამახინჯებასაც. ამას უნდა დავუბრუნო ის შეკრდომები და დამახინჯებანი, რომლებიც დაშვებულია ძველის ქართულ თარგმანში (ელ. სოკოლსკი, გვ. 78—79, 82, 84).

იურიდიული აზროვნების დონის გასათვალისწინებლად შეიძლება აღინიშნოს, რომ სამართლის წიგნის ზოგიერთ მუხლში დაკანონებულია ჩამორჩენილი

და განუვითარებელი სამართლისათვის დამახასიათებელი ტალიონის პრინციპი — „თვალი თვალს წილ, კბილი კბილისა წილ“. სამართლის წიგნის 67-ე მუხლში ნათქვამია: „უკეთუ კაცმან კაცს ერთი თვალი გამოსთხაროს, სამართალი ესრეთ ბრძანებს: მის მკვირათ ერთი თვალი მას მოეთხაროს; უკეთუ ორი თვალი მოსთხაროს, იმასაც ორი თვალი მოეთხაროს, ამისთვის რომე კარგი ნიშანია და ნულარაჲინ მოსთხარის თვალსა“. კანონთა 65-ე და 385-ე მუხლები ითვალისწინებს პირუტყვის მიერ ადამიანის დაშავებას ან მოკვლას, რის გამო კანონი აღგენს, პირუტყვიც უნდა მოკვლასო.

მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ მსგავსი პრინციპებია ხელმძღვანელობდა აგრეთვე სხვა ხალხთა სამართალიც უფრო მოგვიანო ხანაშიც.

ბერძნული სამართლის ქართული ვერსია, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შეიცავს ბერძნულ-რომაული სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტებს, რომლებიც იუსტინიანეს კოდიფიკაციიდან მომდინარეობენ და შემდგომი პერიოდის პრობირაციებისა და სხვა ვადამუშავებული საკანონმდებლო კრებულების თუ კერძო კოპილაციების საფუძველს შეადგენენ.

ბერძნული სამართლის ქართული ტექსტი 418 მუხლისაგან შედგება და საკითხების მიხედვით დალაგებულია მუხლებად შემდეგი თანამიმდევრობით:

1. მოსამართლეთა და სამართლის ქმნის შესახებ — 1—2;
2. მწვალებელთა შესახებ — 3;
3. ყიდვა-გაყიდვის შესახებ — 4—15;
4. ეკლესიათა ქონებისათვის — 16—17;
5. ხანდაზმულობის შესახებ — 18—25;
6. გამოუჩენელის საეკუო საქმისათვის — 26—28;
7. ღალატისა და ორგულობისათვის — 29—34;
8. ძარცვისა და მოტაცებისათვის — 35—39, 42—48;
9. ტყვის გამოხსნისათვის — 40—41;
10. დედაკაცის მოტაცებისათვის — 49—50;
11. მამათავლობისათვის — 51—52;
12. მეფეთათვის — 53—60;
13. თავის მოკვლისათვის — 62—63;
14. პირუტყვისაგან კაცთა ვნებისათვის — 64—66;
15. კაცთა დაშავებისათვის — 67—68;
16. ცეცხლისა და წყალში ნაპოვნი ნივთისათვის — 69—70;
17. მიზარებისათვის — 71;
18. ქრისტიანისა და ურჯულოს შეუღლებისათვის — 72—75;
19. დედაკაცის მუცლის მოშლისათვის — 76—77;
20. სიძვისა და გახრწნისათვის — 78—80;
21. ლაშქრობიდან გამოქცევისათვის — 81;
22. სალაშქროდ წასული ან დატყვევებული კაცის ცოლისათვის — 82—83;
23. დედაკაცთა უფროსობისათვის — 84—92;
24. გიჟი ცოლ-ქმრისათვის — 93—94;
25. ქრთამის გაღება გინებისათვის — 95;
26. მეორე ქორწინებისათვის — 96—98;
27. გიჟთათვის — 99—100;
28. ვალისა და გირაოსათვის — 101—107;
29. ანდერძისათვის — 108—127;
30. სამღვდლოთათვის — 128;
31. ხელშეწყობისა და მოსამართლის სამართლისათვის — 129—139;
32. სამღვდლოს კაცის ცილის წამებისათვის — 140—142;
33. სამართალში მოწმობისათვის — 143—155;
34. პაპისა და სამღვდლოთა სამართლისათვის — 156—157;
35. მებატონეთა და ყმათათვის — 158—176;
36. ჩუქებისათვის — 177—185;
37. მოსამართლეთა და სამართლის ქმნის შესახებ — 186—199;
38. თავდებობისათვის — 200—208;
39. კანონისა და ჩვეულებისათვის — 209—211;
40. სჯული მეფეთა საჩივრისათვის — 212—214;
41. მზითვისათვის — 215—216;
42. ეკლესიათა ადგილ-მამულისათვის — 217—220;
- 226—228;
43. ცეცხლს წაქიდებისათვის — 221—225;
44. ბერთა და მღვდელთა ტანისამოსისათვის — 229—230;
45. ეკლესიათა აღშენებისათვის — 231;
46. ეკლესიაში შეხვეწისათვის — 232—237;
47. ეპისკოპოსის მიცვალებისათვის — 238—239;
48. ფიცისათვის — 240—249;
49. ვექილთათვის (მეურვეთათ-

ვის) 249—253; 50. საქონლის (ნიეთის) პოენისათვის — 254—256; 51. ეკლესიის მკრეხველთათვის — 257—259; 52. სხვისი ნიეთით სარგებლობის (სერავიტუტებია) უფლება — 260—267; 53. მოკლული ნადირის ან კუნძულის კეთენილებისათვის — 268—269; 54. სამეფო ბეგარისა და ბაჟისათვის — 270—276; 55. სამეკიდრების და მკვიდრებისათვის — 277—303; 56. მიზარებისათვის — 304—309; 57. ქურდობისათვის — 310—323; 58. ამხანაგობისათვის — 324—327; 59. მძარცველთათვის — 328—329; 60. სამღვდელთაგან უსჯულოს კაცის მოკვლისათვის — 330; 61. მთხრობლობისა და მოწმობისათვის — 331—340; 62. ჭირაობისათვის — 341—345; 63. მისნობისა და მწამლელობისათვის — 346—361; 64. მართლმსაჯულების შესახებ — 362—376; 65. ყალბი ფულის მოჭრისათვის — 377—378; 66. საპყრობილეთათვის — 379—381; 67. სყიდვაში შეცილებისათვის — 382—383; 68. პირუტყვის დახოციისა და დადღვისათვის — 384—386; 69. სამღვდელთა კაცის ცემისათვის — 387; 70. უნებურად კაცის კვლისათვის — 388—389; 71. ცოლის დანიშნისათვის — 390—397; 72. სამღვდელთა და ეკლესიის წესისათვის — 398—402; 73. ფიცისათვის — 403—410; 74. პირუტყვაო სიკვდილისა და წანახედისათვის — 412—416; 75. რუს გლეხისათვის — 417—418.

ასეთი საგნობრივი თანამიმდევრობითაა დალაგებული საკანონმდებლო მასალა ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში.

ბერძნული სამართლის ქართული ტექსტი ჩვენს გამოცემაში იბეჭდება S 3683 ხელნაწერის მიხედვით. ამ ხელნაწერის ხარვეზები და აშკარად დამახინჯებული ადგილები შეესებულ-გამოსწორებულა Q 575 ხელნაწერის მიხედვით. A ნუსხას აკლია ერთი ფურცელი (112—113 შორის), რომელიც 352—361 მუხლებს შეიცავს. ეს ხარვეზი აღდგენილია B ხელნაწერის მიხედვით.

სამართლის წიგნის მუხლების საერთო რაოდენობა (418 მუხლ.) უცვლელად დავტოვეთ. პირველი მუხლი, რომელიც მართლმსაჯულების პრინციპებს ეხება, არსებითად წარმოადგენს სამართლის წიგნის შესავალს. საჭირო გახდა ზოგიერთი მუხლის არასწორი დანომრავის გასწორება და ზოგი დაუნომრავის დანომრავ. კანონთა მე-20 მუხლს პირველი ნაწილი დამნაშავეს პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს აღგენს, მეორე ნაწილი კი სრულიად მოულოდნელად დედაკაცის გახრწნას ეხება. მუხლის ასეთი შედგენილობა აშკარად შეუსაბამოა. ამიტომ მისი მეორე ნაწილი ცალკე მუხლად გამოვყავით და მუხლის აღმნიშვნელი ციფრი კვადრატულ ფორმულაში ჩავსვით.

238-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ეპისკოპოსის გარდაცვალებას ეხება, მეექვსე საეკლესიო კრების მიერ დადგენილ წესს იმეორებს. ამავე მუხლის მეორე ნაწილი კი იმეორებს მეოთხე კრების ოცდამეორე კანონს, რომელიც გარდაცვლილი ეპისკოპოსის ქონების წამლებს ეკლესიიდან განწვევითა და შეწვევებით ემუქრება. თუმცა მუხლის ორივე ნაწილი ერთ საგანს ეხება, მაინც მან შეწინააღმდეგა და მივიჩნიეთ მეორე ნაწილი ცალკე (2381) მუხლად გამოვეყყო.

36-ე მუხლის სათაური ხელნაწერში შეცდომით ცალკე მუხლად არის გამოყოფილი, ამიტომ მუხლის აღმნიშვნელი ციფრი (36) მოვაიცლიეთ და ტექსტი მომდევნო 37-ე მუხლს შეუერთეთ ასეთი სახით: 36—37.

ხელნაწერში ოე (75) მუხლი წაშლილია, მაგრამ მუხლების ნუმერაციაში მაინც დატოვებულია. 94-ე მუხლი, რომელიც 93-ე მუხლის ნაწილია, შეცდომით

ცალკე მუხლადაა გამოყოფილი. მუხლების შედგენილობა რომ არ დაგვერღვია, ჩვენც ასევე დავტოვეთ.

ათ (109) მუხლის სათაური — „ოცდამეშვიდე კანონი, ლეონ ბრძენი ბრძანებს“, შეცდომით ცალკე მუხლადაა გამოყოფილი. ეს შეუნიშნავს B ნუსხის გადამწერს და ამ მუხლის გასწვრივ კიდეზე მიუწერია: „დედანში ასე იყო“. გადამწერის შეცდომითვე რეგ (193) მუხლის ნაკლად სფგ (293) სწერია. სმთ (247) მუხლის სათაური და ტექსტი ხელნაწერში შეცდომით ცალკე მუხლებადაა აღნიშნული.

სამართლის წიგნის ზოგიერთი მუხლი სხვა მუხლებზე მითითებას შეიცავს — „ეთარცა ზემოთ სწერია“ ან „ეთარცა ქვემოთ სწერია“ (იხ. მუხლ. 42, 50, 59, 299, 388). — მაგრამ მუხლს არ აღნიშნავს. ასეთ შემთხვევებში ჩვენ სათანადო ადგენას შესაბამისი მუხლი კვლავ უფრხილდებაში მიუთითეთ.

ხელნაწერში ზოგიერთი მუხლის სათაური თვით ტექსტის დასაწყისშია მოცემული. ასეთ შემთხვევებში შესაბამისი ტექსტი გამოტანილია მუხლის ტექსტიდან და წარმოდგენილია როგორც სათაური.

ხელნაწერში გვხვდება მსგავსი შინაარსის მუხლები (იხ. მუხლ. 7, 40) და ზოგჯერ განმეორებაც (იხ. მუხლ. 129, 130, 364, 365).

ადგილები ძველი და ახალი აღთქმიდან და აგრეთვე მოციქულთა წერილებიდან დამოწმებულია სქილით.

ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის ტექსტისა და წყაროების დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კანონთა ბერძნული და ქართული ხელნაწერების კრიტიკულ შესწავლას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა თამარ ბრეგვაძემ ხელნაწერთა კოლექციებში გამოავლანა და აღწერა მეცნიერებთა მიერ აღნიშნის განმავლობაში ძიებული ბერძნული ხელნაწერი სამართლის წიგნის ქართული ვერსიისა. კანონთა ბერძნულ-ქართული პარალელური ტექსტები გამოკვლევიდა და შენიშვნებით გამოქვეყნებულ იქნება მის მიერ უახლოეს ხანში.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიტანოთ ამონაწერი თ. ბრეგვაძის მიერ წინააღმდეგარ ცნობის სახით გამოქვეყნებული სტატიიდან — „ვახტანგ VI სამართლის წყაროთა კრებულში შესული ბერძნული სამართლის წყაროსათვის“, რომელშიც გაერთიანებულია შემდეგი ძირითადი მოსაზრებანი:

1. ვახტანგ VI სამართლის კრებულში შემავალი ბერძნული სამართლის წყაროს წარმოდგენს საქ. სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხელნაწერი „Gr. 10“, რომელიც შედგენილობით წარმოდგენს ვლასტორის სინტაგმას არმენოპულოს წიგნებრიდან ჩანამატებით.

2. ამ ხელნაწერის ქართული თარგმანი ატარებს გამოკრებილ ხასიათს.

3. თარგმანი უნდა იყოს შესრულებული კვიპრიანე სამთავნელ ეპისკოპოსის მიერ.

4. კვიპრიანემ, რომელმაც თარგმნა „კურთხევა ეკლესიისა“ დომენტი კათალიკოსის ბრძანებით, იმავე დომენტის ბრძანებით გააკეთა მინაწერები სამართლის იმ მუხლებზე, რომელიც საინტერესო და საჭირო იყო კათალიკოს დომენტისათვის. თუ რამდენად გამოიყენეს ეს მუხლები შემდგომი ძიების საკითხია“ (საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIX—A და XXI—B, 1957 წ., გვ. 90).

სომხური სამართლის ძარბული ვეჩისი

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის შესავალში ნათქვამია, რომ ბატონიშვილმა ვახტანგმა „მოაღებინა დიდისა სომხეთისა მწყემსისა გრიგოლ განმანათლებლისა სიმარხოს ეჩმიაძინით სომეხთ მეფეთა წიგნი სამართლისანი და მუნით გარდმოთარგმნილნი სრულნი და უკლებლნი“. საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის ბოლოსიტყვაობაში კი ნათქვამია, რომ სომეხთ მეფეთა სამართლის წიგნს დიდი შრომითა და გარჯით ორ წლამდე ვთარგმნილითო: „მრავლის სასჯელითა ვიდრე წელთა მეორედმდე გარდმოეთარგმნეთ“.

სომხური სამართლის ქართული ვერსია შედგება ორი ნაწილისაგან: სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსიისა (მუხლ. 1—150) და მხითარ გოშის სამართლის წიგნის ქართული ვერსიისაგან (მუხლ. 151—431). განვიხილოთ თვეული მათგანი.

სირიულ-რომაული სამართლის ძარბული ვეჩისი

(მუხლ. 1—150)

სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსია საფუძვლიანად გამოიკვლია პროფ. ვლ. სოკოლსკიმ ზემოთ დასახელებულ ნაშრომში. მან პირველმა აღნიშნა, რომ ვახტანგის კრებულში შეტანილი „სომხური სამართლის“ პირველი ნაწილი მე-5 საუკუნის დამლევს ბასილიევ ეკისრის მეფობაში აღმოსავლეთში შედგენილ რომაული კანონების სომხურ რედაქციას წარმოადგენს. ცნობილია ამ ძეგლის სამი ტექსტი: სირიული, არაბული და სომხური. სამივე ტექსტი გამოცემულია პროფესორების ბრუნსისა და ზახაუს მიერ: Dr. K. G. Bruns und Dr. Ed. Sachau, Syrisch-römisches Rechtsbuch aus dem fünften Jahrhundert, Erster Theil. Die orientalischen Texte, Zweiter Theil, Die Übersetzungen (Leipzig, 1880).

სომხური ტექსტი შეიცავს 150 მუხლს; სირიული: ლონდონის ხელნაწერი — 127-ს, პარიზისა — 83-ს; არაბული ხელნაწერი — 130 მუხლს.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილი „სომხური სამართლის“ პირველი ნაწილი წარმოადგენს სირიულ-რომაული სამართლის მეოთხე ქართულ რედაქციას.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს, რომ „სომხური სამართლის პირველი ნაწილი არის თარგმანი ე. წ. სირიულ-რომაული სამართლის XII საუკუნის დამლევის ნერსეს-ლაშბრონისეული სომხური ვერსიისა“ („სამართალი სომხური“, 1927, გვ. VIII—IX).

ამრიგად სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსია თარგმნილია არა დედნიდან, არამედ სომხურიდან და წარმოადგენს ამ ძეგლის სომხური თარგმანის თარგმანს. სამართლის წიგნის სომხური ტექსტი, მხითარ გოშის სამართლის წიგნთან ერთად, ჩამოუტანიათ თბილისში ეჩმიაძინიდან ვახტანგ ბატონიშვილსა დავალებით.

ეჩმიაძინიდან ჩამოტანილი კრებულის სომხური ხელნაწერი შეიცავდა ორ-ვე ძეგლის ტექსტს. ხელნაწერში ეს ორი სრულიად სხვადასხვა ძეგლი — ერთი უცხოური, ხოლო მეორე ეროვნული, როგორც სომხეთში ძველთაგანვე მოქმედი სამართლის წიგნები, გაერთიანებული ყოფილა ერთ კრებულად ავტორებისა და სამართლის წიგნების სათაურების მიუთითებლად. ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიასაც ქართულ ვერსიაში ამ ორი ძეგლის ტექსტი თანმიყოლებით უთარგმნია და ერთი ძეგლის — „სამართალი სომხურის“ სახელწოდებით შეუტანია კრებულში. ამასთან საკოდიფიკაციო კომისიამ კარგად იცოდა, რომ კრებულში ორი ძეგლისაგან შედგებოდა. ეს ცხადად ჩანს ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის 1710 წლის ნუსხიდან, რომელიც ჩვენს გამოცემაში აღნიშნულია B ლიტერით. მხითარ გოშის სამართლის წიგნს ამ ხელნაწერში ასეთი სათაური აქვს: „წიგნი მეორე სომხის სამართლისა, რომელსა სჯიდეს პირველნი სომეხთ მეფენი“. მაშასადამე, ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიას მხედველობიდან არ გამოარჩენია ის, რომ მხითარ გოშის სამართალი არის „წიგნი მეორე სომხის სამართლისა“, ხოლო სირიულ-რომაული სამართალი — წიგნი პირველი სომხური სამართლისა.

უნდა აღინიშნოს, რომ სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსია ვახტანგის კანონთა კრებულში გადმოცემულია მთელი რიგი ცვლილებებითა და დამახინჯებით. ეს იმით აიხსნება, რომ ქართველ მთარგმნელებს და, შესაძლოა, უფრო ადრეც, კრებულის სომეხ გადამწერებს ეჩმიაძინში, რიგიანად არ ესმოდათ სირიულ-რომაული სამართლის ძველ სომხური რედაქციის სამართლებრივ დებულებათა აზრი.

მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამახინჯებანი გვხვდება სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსიის შემდეგ მუხლებში: 7, 8, 9, 10, 12, 14, 41, 53, 73, 96, 99, 100, 111, 112, და 147.

გარდა ამისა, სირიულ-რომაული სამართლის ქართულ ვერსიაში თარგმნილი არ არის სომხური დედნის 93-ე და 114 მუხლები.

სამართლის ისტორიის მკვლევართა შორის დიდ ინტერესს იწვევს საკითხი იმის შესახებ. თუ რა დროიდან მოქმედებდა სომხეთში სირიულ-რომაული სამართლის ხსენებული კრებული.

პროფ. ელ. სოკოლსკის აზრით, „ბერძნულ-რომაული სამართალი, ამ სამართლის ძველი ძეგლის, სახელდობრ, ე. წ. სირიულ-რომაული იურიდიული კრებულის სახით ძველი დროიდანვე მოქმედებდა როგორც სომხეთში, ისე საქართველოში“.

მხითარ გოშის სამართლის წიგნის გამოცემელისა და ცნობილი მკვლევარის ვ. ბასტაძის აზრით, მხითარ გოშის კანონებამდე სომხეთში არ არსებობდა არც ეროვნული და არც უცხოური (თარგმნილი) სჯულმდებლობის წარაღობითა ძეგლები (სამართლის წიგნის სომხური გამოცემის წინააღიწევად, 1820, გვ. 17, 99). იგი თელის ავრეთეე, რომ გოშმა არ იცოდა ბერძნული ენა და არ შეეძლო ესარგებლა ბერძნულ-ბიზანტიური კანონების ორიგინალთ.

ამ აზრს არ იზიარებს სომხური სამართლის ცნობილი ისტორიკოსი პრ. ფ. ხ. სამუელიანი. იგი ფიქრობს, რომ მხითარ გომის სამართლის წიგნში გამოყენებულია სირიულ-რომაული და ბერძნულ-ბიზანტიური კანონები. რომლებიც სომხეთში ჯერ კიდევ მხითარ გომის სამართლის წიგნის შედგენამდე მოქმედებდნენ. X—XI საუკუნეებში, ამბობს იგი, ბაგრატიდების განეთარებულნი სახელმწიფოებრივი წყობილების დროს შეუძლებელია სომხეთში ეროვნული ან უცხოური (თარგმნილი) კანონები არ ყოფილიყო. მისი აზრით, ამ დროს სომხეთში მოქმედებდა სირიულ-რომაული სამართლის კრებული, რომელიც V—VI საუკუნეებში უკვე გავრცელებული იყო მცირე აზიის სახელმწიფოებში, რომლებიც ბიზანტიის პოლიტიკური და კულტურული გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მაგრამ ამასთანავე იგი მიუთითებს, რომ მხელია იმის დადგენა, თუ როდის ითარგმნა სომხურად ეს კანონები და რა დროიდან გამოიყენებოდა ისინი სომხეთის სინამდვილეში („სომხეთის სამართლის ისტორია“, ტ. I, 1939. გვ. 59, სომხურ ენაზე).

პრ. ფ. ხ. სამუელიანი ს აზრით, სირიულ-რომაულმა კანონებმა გარკვეული გავლენა მოახდინეს მხითარ გომის სამართლის წიგნზე. იგი ასეთ დასკვნას ამ ორი ძეგლის ზოგიერთი მსგავსი მუხლის შედარების შედეგად აკეთებს.

სომხებ მკვლევართა ერთი ნაწილის (ზარბანალიანი, აღოცცი, აბეგიანი და სხვ.) აზრით, სირიულ-რომაული სამართლის წიგნი თარგმნილია სომხურად XII საუკუნის ბოლოს (1197 წ.) კოლიკიაში სომეხი ეპისკოპოსის ნერსეს დამბრონელის მიერ, რომელიც თავის სამახსოვრო წერილში (ანდრეშო) აღნიშნავს, რომ სხვა ძეგლებს შორის მან ბერძნულიდან სომხურად თარგმნა „ძღვეამოსილ ქრისტიან მეფეთა კონსტანტინეს, თეოდოსისა და ლეონის კანონები“.

ამრავალ თუ მანამდე არა, ყოველ შემთხვევაში XII საუკუნის ბოლოდან სირიულ-რომაული კანონები სომხეთში მოქმედ სამართალს წარმოადგენდა.

სირიულ-რომაული სამართლის წიგნი. როგორც ზემოთ ითქვა, აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნებში გავრცელებულ კანონებს წარმოადგენდა. ისინი ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში შემავალი სახელმწიფოებში მოქმედებდნენ. ამასთან ერთად საგულისხმებელია, რომ ეს კანონები თარგმნილი იქნებოდა დღეიხნით აღრე ეახტანგის კრებულის შედგენამდე. მაგრამ, როგორც ჩანს, ეპითა უთარგმანში ძველი თარგმანი დაკარგულა, რის გამო ეახტანგის კომისიის კვლავ უთარგმნია ეს კანონები მხითარ გომის სამართლის წიგნთან ერთად. ვინაიდან აღნიშნული კანონების მოქმედება XII საუკუნის ბოლოდან მაინც სარწმუნოდ დადასტურებულია სომხეთში, შეუძლებელია, რომ საუკუნეების მანძილზე ნებულ ქვეყნებში ასე საყოველთაოდ გავრცელებული სამართლის წიგნი საქართველოში უცნობი ყოფილიყო. ამიტომ ბუნებრივია ვითქვიოთ, რომ სირიულ-რომაული კანონები მოქმედ სამართალს წარმოადგენდა საქართველოში დღეიხნით აღრე ეახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის შედგენამდე.

მხითარ გომის სამართლის ქართული ვერსია

(მუხლ. 151—131)

მხითარ გომის სამართლის ქართული ვერსიის ტექსტი უძველესი ხელნაწერის (S 3683) მიხედვით პირველად შეისწავლა და გამოსცა ცნობილმა არმენოლოგმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ლეონ მელიქ-

სე თ-ბ ე გ მ ა („სამართალი სომხური, ქართული ვერსია, შესრულებული ვახტანგ VI-ის ბრძანებით“, თბილისი, 1927). წინასიტყვაობაში გამომცემელი წერდა: „უინაიდან წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს მხოლოდ პირველ ნაწილს ჩვენი ნაშრომისას „სომხურ სამართალზე“, რომელშიაც თვით ქართული ტექსტია მოთავსებული სათანადო დანართებითურთ, ხოლო მეორე ნაწილის, ე. ი. გამოკვეთის შემკველის, გამოცემა განზრახული გვაქვს მომავალში, ამიტომაც ამ მეორე წიგნში შევეცდებით წარმოვადგინოთ დაწვრილებითი შეფასება ქართული ტექსტისა სომხურ დედნებთან შედარებით..., რომელსაც დართული ექნება სომხური და ქართული ტექსტების შედარებაზე დამყარებული დაწვრილებითი სომხურ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგია“ (გვ. XV).

რალა თქმა უნდა, ტექსტის ასეთ მეცნიერულ-კრიტიკულ შესწავლაზე დაფუძნებული გამოკვეთის გამოცემა დიდი შენაძინი იქნებოდა ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერებისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დღემდე ვერ მოხერხდა.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს დადგენილი აქვს, რომ „ქართული ტექსტია შესაფერი სომხური დედნის მხოლოდ თავისუფალ (და არა ზედმეწვევით სწორ) თარგმანს წარმოადგენს ისიც ზოგან შემოკლებულს და ზოგან გადამახიჩვებულს, ზოგიერთი უცნაური დამატებებით, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ქართული სინამდვილით თუ შეიძლება განმარტებულ იქნეს, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მრავალ ადგილას ქართული ტექსტი სომხურ დედნებს ვერ უღებდა“ (გვ. XII). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელს ქართული იურიდიული ტერმინოლოგია არ სცოდნია და დაკისრებული საქმისათვის სათანადო შესაფერისი პირი არ ყოფილა.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით, „სომხურ სამართალს ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის სხვა ნაწილებზე და კერძოდ თვით ვახტანგის კოდექსზე გავლენა არ მოუხდენია“.

მხითარ გოშის სამართლის წიგნის სომხური ტექსტი სამი ნაწილისაგან შედგება: 1. სამართლის წიგნის შესავალი — I—XI თავები; 2. ნაწილი პირველი ანუ საეკლესიო სჯული — მუხლ. 1—124; 3. ნაწილი მეორე ანუ საერო სჯული — მუხლი 1—130.

ქართულ თარგმანში სამართლის წიგნის ასეთი დაყოფა დატული არ არა. სომხური ტექსტის შესავალი და სამართლის წიგნის პირველი და მეორე ნაწილის მუხლები ქართულში გადატანილია ერთი ნაწილიდან მეორეში. ხშირ შემთხვევაში ქართული ტექსტი, რომელიც საგრძნობლად გადაუშავებულია, არ მისდევს სომხური დედნის მუხლებად დაყოფას. სომხური ტექსტის ბევრი მუხლი ქართულში შემოკლებული და გაერთიანებულია ან, პირიქით, დედნის ერთი მუხლი ქართულში დაყოფილია რამდენიმე მუხლად. ასე მაგალითად, სამართლის წიგნის სომხური ტექსტის შესავლის 11 თავიდან ქართულად თარგმნილია მხოლოდ ერთი (VIII) თავი და ისიც მეტად შემოკლებით. ამასთან შესავლის აღნიშნული თავი ქართულ თარგმანში მოთავსებულია ბოლოში, 402-ე მუხლად. სამართლის წიგნის მეორე ნაწილს ანუ საერო სჯულის პირველი მუხლის ტექსტი ქართულ თარგმანში წარმოდგენილია 252-ე მუხლად. ამავე მუხლის ტექსტი გაკვეთილია 28 მუხლად (მუხ. 403—430) და შეედომით კვლავ დართულია სამართლის წიგნის ბოლოს.

მხითარ გოშის სამართლის ქართული ვერსია შეიცავს არა 431 მუხლს, როგორც ეს ხელნაწერებშია, არამედ 402 მუხლს.

403—430 მუხლები 152-ე მუხლის, ხოლო 431 მუხლი — 165-ე მუხლის შე-
მაბამისი ტექსტის განმეორებაა, რომელიც მთარგმნელის ან კოდიფიკატორის
უნებლად შეცდომით დართულია სამართლის წიგნის ბოლოს.

ამიტომ ჩვენს გამოცემაში სამართლის წიგნის 403—431 მუხლები წარმოდგე-
ნილია არა სამართლის წიგნის ძირითად ტექსტში, არამედ დანართის სახით.

მხითარ გოშის სამართლის წიგნის ქართულ ვერსიაში თარგმნილი არ არის
სომხური დედნის შესავლის I—VII და IX—XI თავები, სამართლის წიგნის პირ-
ველი ნაწილის 34, 39, 121—124 და, ნაწილობრივ, 113-ე მუხლები, ხოლო მეორე
ნაწილს 38-ე მუხლი.

ამავე დროს ქართულ ვერსიაში არის ისეთი მუხლები და ჩანართები, რომ-
ლებიც სომხურ დედანში არ მოიპოვება. ასეთია: შესავლის დასაწყისი (გვ. 225);
მუხლები 100, 242, 374 და ნაწილი 251 და 369 მუხლებისა.

როგორც უკვე ითქვა, მხითარ გოშის სამართლის ქართული ვერსია წარმოა-
გენს სომხური დედნის შემოკლებულ და ალვა-ალვა დამახინჯებულ თარგმანს.
ქართულ თარგმანში სამართლის წიგნის მუხლების მნიშვნელოვანი ნაწილი შე-
მოკლებულადაა გადმოცემული. დამახინჯებული და არასწორად გაგებულია დე-
ნის მთელი რიგი მუხლები. ჩანს, მთარგმნელებს არ ესმოდათ სამართლის წიგ-
ნის ძველი სომხური ტექსტი და იურიდიული ტერმინების შინაარსი. ვერც შე-
სავლის ძველი ქართული იურიდიული ტერმინები გამოენახათ. ამიტომ სომ-
ხური სამართლის ქართული ვერსიის მუხლების მნიშვნელოვანი ნაწილის აზრის
გასაგებად მკვლევარმა აუცილებლად სამართლის წიგნის სომხური დედნით ანდა
1954 წლის რუსული გამოცემით მაინც უნდა ისარგებლოს.

სომხური სამართლის წიგნის ავტორი — მხითარ გოში — სომხური კლასი-
კური მწერლობის გამოჩენილი წარმომადგენელია. იგი დაიბადა XII საუკუნის პირ-
იან წლებში ქალაქ განჯაში. სწავლობდა თავის დროზე ცნობილ ლეთსმეტყველ-
იონანე ტაუშელთან, რომლისგანაც ვარდაპეტის ხარისხი მიიღო. შემდეგ თავისი
ცოდნის სრულყოფისათვის იგი მიემგზავრება კილიკიაში. კილიკიის სახელმწი-
ფო, როგორც ცნობილია, დაარსებულ იქნა 1080 წელს სომეხი მთავრის რუბენ
I-ის მიერ. რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რუბენიდების დინასტიას (1080—
1219 წწ.) კილიკიის სომხეთის სახელმწიფომ 1375 წლამდე იარსება. XI საუკუ-
ნის ბოლოს კილიკიაში გადატანილ იქნა სომეხთა საკათალიკოსო ტახტიც. კი-
კია იმ დროს სომხური განათლებისა და კულტურის ცენტრს წარმოადგენდა. აქ
კარმირ-ვანქის მონასტერში, გოში უმაღლეს საღვთისმეტყველო განათლებას
იღებს. რის შემდეგ თავის სამშობლოში (განჯაში) ბრუნდება.

იმავე ხანებში გოში კაიანის რაიონში მდინარე აღსტაფის ნაპირზე აშენებს
მონასტერს. სადაც სკოლას აარსებს და პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას
აჩაღებს. ამ საქმიანობაში გოშს ყოველმხრივ მფარველობდა ადგილობრივი მთა-
ვარი, სახელად ქუ რ დ ი, რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოს სამეფო
ტახტთან თავისი ნათესაუების ზაქარია და ივანე მხარგრძელის მეშვეობით. პი-
რადად გოში ახლო იცნობდა მხარგრძელებს და დიდმნიშვნელოვანი სახელმწი-
ფო ხასიათის მიმოწერა ჰქონდა მათთან. ამრიგად მხითარ გოშის სახელი კარგად
იყო ცნობილი თამარის სამეფო კარზე.

სამართლის წიგნის გარდა გოშის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი სხვა ნაწარმო-
ები, რომელთა შორის მეტად ძვირფასია მისი „იგავ-არაკები“. გოში არის პირვე-

ლი სიძეები მწერალი, რომელმაც სომხური იგავ-არაკების ცნობილი კრებელი შეადგინა.

სამართლის წიგნის წერა მხითარ გოშს, როგორც თვითონ ამბობს, 1184 წელს აუუქის ციხე-კოშკში (არცახის, ახლანდელი მთიანი ყარაბაღის ოლქში) დაუწყია. სამართლის წიგნის შესავლის XI თავში იგი წერს, რომ სამართლის წიგნის წერა დაიწყო „საქართველოს იღვამოსილი მეფის გიორგის მიცვალების წელს“, ე. ი. დიდებული თამარის მამის გიორგის 111-ის (1158—1184 წწ.) გარდაცვალების წელს.

სამართლის წიგნის ცნობილი მკვლევარი ე. ბასტაშიანიც, რაკი სამართლის წიგნში მუხლები გარკვეული სისტემით დალაგებული არ არის, ფიქრობს, რომ გოში მას წერდა მთელი თავისი სიცოცხლის განმელობაში, ე. ი. 1213 წლამდე.

ამ აზრს ერთგვარად ამარტებს თვითონ მხითარ გოშის განცხადება სამართლის წიგნის დაუმთავრებლობის შესახებ, რასაც იგი არაერთგზის იმეორებს სამართლის წიგნის შესავლის X თავში, ხოლო XI თავის ბოლოში პირდაპირ ამბობს, რომ სამართლის წიგნის დამთავრება ჩვენს ძალას აღემატებაო. მაგრამ უფრო სავარაუდებელია ვიფიქროთ, რომ გოშს აქ მხედველობაში აქვს არა სამართლის წიგნის დამთავრება, არამედ მისი შემდგომი შევსების საჭიროება.

რაც შეეხება სამართლის წიგნს, იგი მართლაც შედგენილია უსისტემოდ, წინასწარ მოფიქრებული გეგმის გარეშე. მუხლები, რომლებიც ერთგვაროვან იურიდიულ ურთიერთობებს აწესრიგებენ, სისტემაში მოყვანილი არ არის. არ არსებობს საფუძვლიანი გამოიყვნა სამართლის წიგნის პირველ ნაწილსა („საეკლესიო სჯული“) და მეორე ნაწილს შორის („საერო სჯული“). ბევრ ხელნაწერში სამართლის წიგნის ორივე ნაწილი არეულია ერთმანეთში. მაგრამ სწორი არ იქნებოდა, სამართლის წიგნში ერთგვარი თანამიმდევრობა არ დაგვენახა. ჩვეულებრივად გოში სამართლებრივ ნორმებს გადმოსცემს იმ წყაროების მიხედვით, საიდანაც ისინი ამოღებულია. ასეთი წყაროებია: ბიბლია, სახარება, მოციქულთა კანონები, მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებთა დადგენილებანი და სხვ.

სამართლის წიგნის დიდი ნაწილი შედგენილია კახუისტიკური პრინციპით: სამართლებრივი ნორმები გადმოცემულია ცალკეული კახუსების მიხედვით. სასამართლო პრაქტიკიდან ამოღებული ნორმები სამართლის წიგნის მუხლებში წარმოდგენილია კითხვა-პასუხის ფორმით. როგორც ცნობილია, მხითარ გოში იყო ვარდაპეტი — სჯულის მოძღვარი, რომელსაც ხშირად მიმართავდნენ ამა თუ იმ სასამართლო კახუსის გადასაწყვეტად. იგი განმარტავდა კანონს და იძლეოდა პასუხს კონკრეტული საქმის გამო. სასამართლო პრაქტიკაში გამოყენებული ასეთი პასუხები თანდათანობით სამართლებრივი ნორმის ძალას იღებდნენ.

სამართლის წიგნის შესავლის II თავში გოში ჩამოთვლის იმ მიზეზებს, რომლებმაც სამართლის წიგნის შედგენა განაპირობეს. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ საჭირო გამხდარა ეკლესიის შერყეული ავტორიტეტის აღდგენა, ქრისტიანულ-სარწმუნოებას დაეცა მუსულმანებისაგან, რომლებიც უსაყვედურებდნენ ქრისტიანებს. თქვენი კანონები და სამართალი არა გაქეთო.

სამართლის წიგნის შედგენა, ამბობს გოში, საჭირო გახდა იმის გამო, რომ ბოროტებამ ბუნებით მოცემული ცოდნა ჩააქრო, ხოლო სიძულელია სიყვარულსა და შებრალება წარკვეთა; აღამიანები არ სწავლობდნენ წინასწარმეტყველო

და სახარების წერილებს, რომ მართალი სამართლის გაჩენა შესძლებოდათ. ჩვენ დაეკარგეთ უნარი ქვეყნის, ხალხისა და დროის შესაფერისად შევარჩიოთ სამართალი. სასამართლო საქმეები ჩვეულებრივად ფიციტ იწყება, მაგრამ დანაშაულის გავრცელებასთან ერთად მორწმუნენი ფიცლობენ არა მარტო სასამართლოს წინაშე, არამედ ყველგან და ყოველგვარი უმნიშვნელო საქმის გამო, რითაც ღვთის მცნება ირღვევა. გარდა ზემოაღნიშნულისა, სამართლის წიგნის შედგენა აუცილებელი ყოფილა, რათა კანონთა უქონლობის საბაბით ქრისტიანებს უჩულოთა სამართლისათვის არ მიემართათ.

ზოგიერთი ეპისკოპოსი, ბერი, მღვდელი, მთავარი და თავადი მიეკრძებოთ, ანგარებითა და უცოდინარობით მართლმსაჯულებას აყაბებდნენ, რაც სამართლის წიგნის შედგენას უნდა აღეკვეთა.

აღმთავანი თავისი არსებით გულმთავიყვია სიყეთისა; ამიტომ ჩვენ თემია გვსურს მართალი სამართალი გავაჩინოთ, მაგრამ ესაა მართლმსაჯულებისათვის ვცდებით ამ გულმთავიყვობის გამო. ხოლო შემდეგ ენახობთ, საგონებელში ევარდებით და ექვებით ვიტანჯებით, ნამდვილად ქმონდა ადგილი დანაშაულს რა არაო, წერდა გოში.

საქირია მოსამართლეებმა შეისწავლონ მართალი სამართლის გაჩენა და ახლოდეთ. რომ თვითონ ისინიც წარსდგებიან ღვთის სამსჯავროს წინაშე. ამასთან ერთად მოჩივარნიც უნდა დაშინდნენ. რადგან, თუ მათ, ყოველგვარი ცდის მიუხედავად, არ ძალუძთ სასამართლოში სიკრუე ქეშპირიტებად გაასაღონ. მაშინ რაღა შეეძლებათ ზეციური მსაჯულის წინაშე. ვისთანაც არავის შეუძლია თავი გაიმართლოს.

სამართლის წიგნის შედგენის ზემოჩამოთვლილ მიზეზებთან ერთად გოში აღნიშნავს აღბანეთის კათალიკოსის სტეფანოსის დაბეჭივებით დავალებას კანონთა შედგენის შესახებ.

ასეთია ის ძირითადი მიზეზები. რომლებმაც. გოშის აზრით. სამართლის წიგნის შედგენა განაპირობა. აქედან ჩანს, რომ სამართლის წიგნის შედგენის საქარება საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებითა და მოთხოვნებით იყო ნაპირახევი (ქრისტიანული სარწმუნოების დაცვა, მართლმსაჯულების შერყევა, სამართლის წიგნის უქონლობა). კანონთა შედგენა განსაზღვრა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ, სახელმწიფოებრივ, საეკლესიო და სამოქალაქო ურთიერთობათა მოწესრიგების აუცილებლობამ.

სამართლის წიგნის შესავლის X თავში გოში ჩამოთვლის წყაროებს. რომლებიდანაც მან თავისი სამართლის წიგნი შეადგინა. უწინარეს ყოელისა. ამბობს იგი, ასეთ წყაროს ბუნებითი სჯული წარმოადგენს. რომელიც ზემოაღნიშნულად გადმოცემულია აბრაჰამისა და სხვა პატრიარქების. აგრეთვე წარმართთა მიერ. ამ სჯულის მიხედვით ისინი სწავლობდნენ მემრუშეთა. ქერდთა და მკვლევართა განსჯას.

აგრეთვე, განაგრძობს გოში. ჩვენ ვსესხულობთ ყველა ქრისტიანი ერებისაგან. როგორც ღვილი ძმებისაგან. რაც ჩვენ მათ კეთილგონიერ სამართალში ვიხილეთ და ვისმინეთ, ჩვენს სამართლის წიგნში ჩავწერთო.

შემდეგ. მაჰმადიანური სჯული. მაგრამ. შენიშნავს გოში. ჩვენ ვარჩევთ და ვიღებთ არა მათ მანკიერ აზრებსა და სასამართლო წესებს, რომლებსაც ისინი მაჰმადიანსაგან სწავლობდნენ, არამედ მხოლოდ იმას, რაც მათ მოსეს სჯულიდან შეითვისეს: ჩვენ არ უარყოფთ საღვთო სჯულს იმის გამო, რომ ეს სჯული მათ

მადლიანება შეიღვისეს. ისევე როგორც არ უარყოფთ მანკიერ დებულებებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არეულ-დარეულია მათ სჯულში; ჩვენ ვითვისებთ ქვემარჩის და უარყოფთ მანკიერს.

სამართლის წიგნის ერთ-ერთ ძირითად წყაროს ძველი აღთქმის წიგნები (ბიბლია), უმთავრესად მოსეს სამართალი წარმოადგენს. გოში ხშირად იმოწმება ახალ აღთქმასაც (სახარებას). „ჩვენ ესესხელობთ ძველი და ახალი აღთქმის ყველა წიგნიდან, რადგან ისინი სხვას არაფერს წარმოადგენენ გარდა დაროგებებიანა და სასულერიო და საერო სასამართლოს კანონებისაო“, წერს გოში სამართლის წიგნის შესავლის X თავში. ძველი აღთქმის წიგნებიდან ძირითადად აღებულია გამოსვლათა, მეორე სჯული და ლევიტელთა. აღნიშნული წყაროებიდან გოში იღებს ადგილებს, მოჰყავს ეს ადგილები სამართლის წიგნის მუხლებში და შეჰდეგ იძლევა მათ განმარტებებსა და კომენტარებს თავისი ქვეყნის სინამდვილას გათვალისწინებით.

ბიბლიიდან და სახარებიდან ამოღებული ადგილები შეტანილია სამართლის წიგნის ბევრ მუხლში.

სამართლის წიგნის მნიშვნელოვან წყაროს მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა დადგენილებანი და აგრეთვე ბასილი კესარიელის, ათანასესა და სხვა „წმიდათა მამათა“ კანონები წარმოადგენენ. გამოყენებულია „კანონება მამათა შედგომილთა“ — სომხური კანონების კრებული, რომელიც მოციქულთა მიმდევრებს მიეწერება. გოში, ალბათ, სარგებლობდა სომეხი კათალიკოსის იოანე III ოქუნელისა (717—728) და დავით განძელის (გარდაიც. 1140 წ.) მიერ შედგენილი საეკლესიო კანონთა კრებულებითაც.

მხითარ გოშის სამართლის წიგნის ერთ-ერთ მთავარ წყაროს სომხური ჩვეულებითი სამართალი წარმოადგენს, რომლის ნორმები განსაკუთრებით ფართოდ გამოყენებულია სამართლის წიგნის მეორე ნაწილში — „საერო სჯულში“. სამართლის წიგნის ამ ნაწილის 130 მუხლიდან 56 ჩვეულებითი სამართლის სფეროდანაა აღებული.

ჩვეულებითი სამართლის ნორმების გამოყენების შესახებ არსებობს პირდაპირი მითითება სამართლის წიგნის სომხური ტექსტის სათანადო მუხლებში. სამართლის წიგნის პირველი ნაწილის 85-ე მუხლში ნათქვამია: ყველაფერი რაც გასაყოფია, მოსამართლეებმა უნდა გაყონ სამართლიანად, ქონების წარმოქმნას შესაბამისად და ამ მხარეში „მოკმედი ჩვეულებების თანახმად“. სამართლის წიგნის მეორე ნაწილის პირველი მუხლის ის ადგილი, რომელიც ლაშქრობის დროს ნადავლის ხელში ჩაგდებას ეხება, ამბობს: „ამას ჩვენ ვადასტურებთ ჩვეულებების თანახმად, რადგან არ არსებობს დაწერილი კანონების დადგენილებანიო“. იქვე გადასახადების საკითხზე მითითებულია, რომ ისინი სამართლიანად უნდა აიკრიფოს, არა უმეტეს იმისა, რაც „წინაპართა ჩვეულებების თანახმად“ იღებათ.

სამართლის წიგნის ერთ-ერთ წყაროს სასამართლო პრაქტიკა შეადგენდა. „სკარგად ჩანს სამართლის წიგნის იმ მუხლებიდან, რომლებიც გადმოცემულია კითხვა-პასუხის სახით კონკრეტული კაზუსების გამო. სამართლის წიგნის შესავლის X თავში მხითარ გოში სრულიად გარკვევით მიუთითებს, რომ სამართლის წიგნი, მომავალში თანდათანობით უნდა შეივსოს „ქვეყნიან კაცთა სასამართლო ვადაწყვეტილებებით“, რომ „სამართლის წიგნში რიგ-რიგობით უნდა

ჩაწერონ ჰქვიან კაცთა მიერ განხილული ყველა ახალი საქმე და მათი სასამართლო გადაწყვეტილება“

სამართლის წიგნის პირველი ნაწილის ანუ საეკლესიო სჯელის პირველ მუხლში (ქართული ვერსიის 151 მუხლი) გოში იმოწმებს მოსეს სამართალს და მიუთითებს. რომ „არათუ ყუელა წიგნით მოგუცა მოსემ გზა სიმართლისა. ზოგი ნახვით მოსამართლეთა ზედაჲ მიაგდო“. ამრიგად სასამართლო პრაქტიკას ფართო გზა აქვს გახსნილი სჯულმდებლობაში.

გარდა ზემოაღნიშნულისა. სამართლის წიგნის წყაროდ მიჩნეულ უნდა იქნეს ვარდაპეტების — სჯელის მოძღვართა — იურიდიული კონსულტაციები. შუასაუკუნეების სომეხთა სამართლის ახალი ნორმების შექმნაში ისინი ისეთსავე როლს ასრულებდნენ, როგორსაც სწავლული იურისტები ძველ რომში. თვითონ მხითარ გოში. როგორც ეს სამართლის წიგნიდან ჩანს. გამოჩენილი სჯელის მოძღვარა. კანონთა კომენტატორი და სასამართლო საქმეთა კონსულტანტი იყო.

მკვლევარი ბ. არუთინიანი, რომელმაც რედაქცია გაუკეთა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო მხითარ გოშის სამართლის წიგნის რუსულ გამოცემას, ამ კანონთა სავალდებულო ძალის შესახებ წერს: „Полузаконодательный, полунаставнический характер судебного Гоша сбъясняется тем, что он, исходя от частного лица, не мог быть обязательным для всех; от воли тяжущихся и от воли судьи зависело — признать и применить его или нет“. („Армянский Судебник Мхитара Гоша“, 1954, გვ. XXX—XXXI).

ამასთან მკვლევარი მიუთითებს, რომ, ვინაიდან მხითარ გოშის სამართლის წიგნი საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ოფიციალურად სანქცირებული არ ყოფილა, ამიტომ მას არ შეიძლება კანონის ძალა ჰქონოდაო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მოსაზრება მართებული არ უნდა იყოს. ჯერ ერთი, ცნობილია. რომ მხითარ გოშს, როგორც სამართლის წიგნის შესავლის II თავში თვითონვე ამბობს. კანონები აღბანეთის კათალიკოს სტეპანოსის არაერთგზის დაბეჭივითითა თხოვნითა და პირდაპირი დაუალებით შეუდგენია. მაგრამ ეს საიოხის ფორმალური მხარეა, რომლის მიხედვითაც სამართლის წიგნის პრაქტიკული გამოყენების საკითხი ვერ გადაწყდება. მთავარი ის არის, მოქმედებდნენ თუ არა ის ნორმები. რომლებიც შეტანილია სამართლის წიგნში. უდავოა, რომ ძველი და ახალი აღთქმადან, აგრეთვე მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა დაუგენილებიდან ამოღებულ წესებს, რომლებიც სამართლის წიგნის უდიდეს ნაწილს შეადგენს, კანონიერი დოგმების ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა. ასე რომ, მათ ალტერნატიულ ხასიათზე ლაპარაკი უსაფუძვლოა.

რაც შეეხება სამართლის წიგნის სხვა მუხლებს, კერძოდ, სომეხი ხალხის ჩეკლებითი სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის სფეროდან აღებულ ნორმებს, ისინიც საეკლესიების განმავლობაში ჩამოყალიბებულ. ხანგრძლივი და მრავალგზისი გამოყენების შედეგად დამკვიდრებულ მტკიცე წესებს წარმოადგენდა: მათი აღარება და გამოყენება მარტო მოსამართლე-ა ნება-სურვილზე არ იყო დამოკიდებული. ფეოდალურ საზოგადოებაში ჩვეულებასა და სასამართლო პრაქტიკას დიდი ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა. ასე იყო ეს შეასაუკუნეების ყველა სარისტორიანო სახელმწიფოში.

მართალია გოშის სამართლის წიგნი ასახავდა ფეოდალური სომხეთის საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და სომეხი ხალხის საეკლესიო წესებსა და სარწმუნოებრივ ღირებებს. ამით აიხსნება მისი ფართო გამოყენება და გავრცელება. სამართლის წიგნმა უდიდესი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის სომხურ კანონმდებლობაზე. იგი საფუძვლად დაედო 1264 წელს კილიკიის სახელმწიფოში სუნიზმის მიერ შედგენილ სამართლის წიგნს. მხითარ გოშის კანონები მოქმედებდა ყირიმის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნებისა და მხარეების სომხურ კოლონიებში. ეს კრებული მოქმედ სამართალს წარმოადგენდა საქართველოს სამეფოს სომხურ პროვინციებში. სამართლის წიგნით ხელმძღვანელობდა საქართველოში მცხოვრებ სომეხი მოსახლეობა, განსაკუთრებით ვაჭართა ფენა.

ამრიგად, მხითარ გოშის სამართლის წიგნი სომხეთში, და სომხეთის გარეთაც, სომეხი მოსახლეობის მოქმედ კანონთა კრებულს წარმოადგენდა. სამართლის წიგნს რომ მხოლოდ ალტერნატიული მნიშვნელობა ჰქონოდა, მაშინ მისი შედგენა გაუმართლებელი იქნებოდა და ესოდენ ფართოდ გავრცელებაც აუხსნელი დარჩებოდა. ამიტომ ეკვი არ არის, რომ სამართლის წიგნში შეტანილი ნორმები და წესები მოქმედ სამართალს წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულის გამო ჩვენ არადამაჯერებლად მიგვაჩნია მკვლევარ ბ. ართინიანის ზემოთ მოყვანილი აზრი იმის შესახებ, რომ სამართლის წიგნს „ნახევრად საკანონმდებლო, ნახევრად მოძღვრული ხასიათი“ ჰქონდა და „მოდირე მხარეთა და მოსამართლეთა ნებასურვილზე იყო დამოკიდებული — ელიარებნათ და გამოეყენებინათ იგი თუ არა“.

კათალიკოზთა სამართალი

ერთადერთი ცნობა „კათალიკოზთა სამართლის“ შედგენის შესახებ დაკვლავა ვახუშტი ბატონიშვილის ახალ ისტორიაში. ეხება რა იმერეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეობისა და საერთოდ სამეფოს საშინაო მდგომარეობის საკითხს 1605 წლისათვის, მემკვიდრეობის წერს: „ხოლო ვინაღდან არღარაინ იყო ტომი მეფეთა, შოიყვანეს ძმა როსტომ მეფისა, ნაშობი მხეელისაგან, გიორგი, დასვეს მეფედ და აუტოხეს ქუთათისს. და მეფობდა ესე მშვიდობით ესე რაოდენმე. არამედ ეამებთა ამთ შინა, ვითარცა ვიხილავთ. აქმნა განტყევაჲ ცოლთა, კლეა კაცთა და იღვმალ ტყეის ყიდვა და უჭერონი სჯელსა ზედა მრავალნი იმერეთსა შინა. ამისთვის შეკრბენ ქართლისა კათალიკოზი მალაქია, აფხაზთა კათალიკოზი ეედემონ და ყოველნი ეპისკოპოსნი იმერთ-ოდშისანი. ხოლო ეპისკოპოსნი ესენი იყუნენ: ქუთათელი სვიმონ, გენათელი ანტონი, ჭყონილიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი ფილიპე, ცაგვერი კოზმან, ხონელი ზაქარია, ნიკორწმიდელი იოაკიმ. ჩაისული კირილე: ამათ განაჩინეს მოქმედია მათთათვის ჭეროვანი შერისხვანი, დასწერნეს და შეაჩვენეს მოქმედნი მისნი, ვითარცა გვაუწყებს აღწერილი მათი“ (საქართველოს ცხოვრება..., მეორე გამოცემა ზ. ქიქინაძისაგან, თბილისი, 1913 წ., გვ. 298).

ამრიგად, ვახუშტი ბატონიშვილი აცლად, რომ კათალიკოზთა სჯელი დადებულ იქნა საეკლესიო კრების მიერ 1605 წელს.

ისტორიკოს პლ. იოსელიანის აზრით, თუმცა იგი წყაროს არ მიუთითებს, კათალიკოზთა კანონები შედგენილია იმერეთის კათალიკოზის ეედემონ მეორის მიერ 1667 წელს (Краткая история Грузинской церкви, издание второе, СПб 1843, გვ 117, სქოლ.).

პირველად ვახუშტის ცნობის ნამდვილობაში ეკვი შეიტანა აკად. მარი ბროსემ, რომელმაც კათალიკოზთა სამართლის ხელნაწიში მოხსენიებულ ზოგიერთი პირის მოღვაწეობის დროის გაპყვევის შედეგად საეკლესიო კრების მოწვევის თარიღი — 1605 წელი — ანაქრონიზმად მიიჩნია. აი რას წერდა ამის შესახებ აკად. მ. ბროსე: „უინაიდან მე რამდენჯერმე ვცადე დამედგინა საეკლესიო კრების ხანა სინხრონიზმების მიხედვით, რის საშუალებასაც გვაძლევს წარჩინებულთა სახელები, რომელთაგან იგი შედგენილი იყო. მე მსურს ეკლავ დავუბრუნდე ამას. საეკლესიო კანონებმა, რომლებიც იქ იყო დადგენილი. შეადგინეს ქართული კოდექსის მეოთხე ნაწილი... რომელიც 23 მუხლს შეიცავს. შესავალში სწერია: „მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოველისა საქართველი: კათალიკოზმან პატრიარქმან მალაქია, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზ-

თის კათალიკოზმან მამათმთავარმან ედემონ, დაესხედით და შეეკრიბენით ყოველნი ებისკოპოსნი აფხაზეთისანი“. ხელრთვაში მალაქიას სახელი არაა აღნიშნული. თუმცა ისტორიკოსის მიერ მოხსენიებულია წარჩინებულთა სხვა სახელები. მალაქია და ევდემონ კათალიკოზის ეპოქები ჩვენთვის კარგად ცნობილი რომ უფროა, ისტორიას რომ ყველა ხელმძღვანელი ებისკოპოსნი და მამათმთავარნი აღენიშნა. ჩვენთვის არაერთი სიმნელე არ იქნებოდა, თუმცა მალაქიას, ჯარალის კათალიკოსის. სახელი მე სულაც არ შემხვედრია მატანეში. სიმონ I-ის მეფობის დასაწყისში (1558) ვახუშტი თანმიყოლებით იხსენიებს სამ კათალიკოსს: მათ შორის ამ ბატონიშვილის მიერ უკანასკნელად მოხსენიებულია დომენტო. რომლის შემკვიდრეც იყო მალაქია გიორგი მეათის, სიმონ I-ის ძა, დროს. მე მომეცა საშუალება აღმედგინა ეს ფაქტი მატანეში, გვ. 504, შენიშვნა. რაც შეეხება ევდემონს. მის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ 7076=1568 წელს მან შეაქეთა გენათში ხაზლის ხატი და გარდაიცვალა 1578 წ... მისი გვირი, ჩხეტის-ძე, იხსენიება ერთ წარწერაში ამ ხატზე... იქ შედომით დაწერილია ჩეტის-ძე... სხვა პიროვნებებს შორის მოხსენიებულია ანტონი გენათელი, სწორედ ის, ვისაც, ჩემი აზრით, შეეხება იმერეთის მეფის გიორგი II-ის სიკვლი, დათარიღებული აგრეთვე 1568 წ... გარდა ამისა ქართული მატანის გვ. 6 ჩვენ გვაუწყებს, რომ 217=1529 წელს გეარსზე ქუთათელის შემკვიდრე გახდა მისი მძღვრელი სიმონი, საცხებით შესაძლებელია, აქ ჩვენს ტექსტში მოხსენიებული სვიმონი; ამგვარად ევდემონი, ანტონი და სვიმონი თანამედროვენი იყვნენ, მაგრამ არა უგვიანეს 1578 წლისა. რაც შეეხება მალაქიას, ვახუშტი თავის ტაბულებში მას 1600—1628 წწ. აკუთვნებს. პლატონ იოსელიანი თავის „Краткая история грузинской церкви“, მე-2 გამოცემა, პეტერბურგი, 1843, გვ. 150. მას 1580—1603 წწ. ათავსებს. ამგვარად შეუძლებელია მისი დროის დამთხვევა სხვა ცნობილ ხანასთან. მაგრამ მე მგონია, რომ ვახუშტის გამოთქმა „ეპებთა მათ შინა“ (1605) ანაქრონიზმს შეიცავს“ (Histoire de la Géorgie, livr., გვ. 265—266, მე-4 შენიშვნა).

კათალიკოზთა სამართლის შედგენის დრო საფუძვლიანად მხოლოდ თ. ურდანიამ გაარკვია. მცხეთის 1532 წლის სიგელის საფუძველზე მან დაადგინა ქართლის კათალიკოზის მალაქიას კათალიკოსად დაჯდომის წელი და ამით განსაზღვრა სჯულის შედგენის დრო. თ. ურდანიამ წერდა: „მალაქიას კათალიკოზობის დრო აქამდე საძიებელი იყო. ვახუშტი და ბროსე (და ყველა შემდგენი მიმდევარი მათი) მის კათალიკოზობას დასდებენ XVII საუკუნის დამწყებს... და ამავე დროს გვიჩვენებდნენ „კათალიკოზთა კანონების“ დაწერის თამსა. რომელშიც მოხსენიებულია იმერთა კზი ევდემონ და ქართლისა მალაქა. ახლა კი ცხადია, რომ „კათალიკოზთა კანონები“ დაწერილია პირველს ნახევარს XVI საუკუნისას. და იმაში მოხსენიებული იმერთა კზი ევდემონ უნდა იყოს ევდემონ I და არა ევდემონ II, რომელიც მიიკვალა 1578 წ.. რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ ევდემონს კათალიკოზობაში ეცხოვროს 1549 წლიდან 1578 წლამდე.

რადგან ამგვარ სიგლებს აწლებდნენ ახალ დადგინებულ კზებს და რადგან ამ სიგელში ხმარებულია ფრაზა „კზად დადადგინეთ“, ამით ჩვენ საფუძველს ეპოულობთ დაეცვენათ. რომ მალაქია კზად დაუყენებიათ ანუ 1532 წელს ანუ ამის წინა წელიწადს — 1531 წელს“ (ქრონიკები, II, 1897, გვ. 375).

ამრიგად, თ. ჟორდანიამ პირველმა გაარკვია, რომ კათალიკოზთა სამართალთა შედგენილია XVI საუკუნის პირველ ნახევარში. მართალია, აფხაზეთის კათალიკოსის ევდემოსის კათალიკოსობის წლები (1549—1579), რომლებიც ახლა დადგენილად ითვლება, თ. ჟორდანიას ძნელად დასაჯერებლად მოაჩნდა, მაგრამ ამით მისი აზრი კათალიკოსთა სამართლის შედგენის დროის შესახებ ოდნავადაც არ ირღვევა და მთლიანად ძალაში რჩება.

დადგენილია აგრეთვე ხელრთვაში აღნიშნული ორი ეპისკოპოსის — ქუთათელისა და ჩიშელის (ცაიშელის) ზეობის წლებიც.

ქუთათელი მიტროპოლიტის სუმიონის შესახებ წმიდა გიორგის გელანში ნათქვამია: „ქრეს: სიზ: (1529 წ.) მიიქვალა ქუთათელი გერმანოზ და დადგა სუშეონ“. იმავე გულანში ნათქვამია: „ქუთათელ მთავარეპისკოპოზსა სუშონს ჩხეტიძესა, რომლისა ბრძანებითა და დიდითა მოქირევებითა აღიწერა ესე სულთავანმანათლებელი გოლანი, კოლენი მისნი შს ლ 16“.

„ქრეს: სიზ: მიიქვალა ქუთათელი გერმანოზ (გერმანოზ?) იანვარსა : : ამქუ წელნიწადსა დაჯდა მათი მისიწული სიძიონი და წარვიდა: და ეყურთხა საყდარსა ბიკვირტისასა“ (ქრონიკები, II, გვ. 372).

ჩიშელი (ცაიშელი) მამამთავარი კირილე მოღვაწეობდა ლეონ დავიანის დროს (1533—1571). ცაიშის საწინამძღვრო ჯვარის 1571 წლის წარწერაში. რომელიც ახლად გარდაცვალებულ ლეონ დავიანს მოიხსენიებს, ნათქვამია: „შეიწყალენ ცაიშელ მამათ-მთავარი კირილე ქვანიძე, რომელმან შეეამკვე ჯვარი ესე პატიოსანი, რათა შემწე შექმნეს დღესა მას განკითხვისასა“ (იქვე, II, გვ. 414).

„კათალიკოზთა სამართლის“ ტექსტი პირველად პროფ. ს. კაკაბაძემ გამოსცა 1913 წელს სათაურით „სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენილი დრო“. გამომცემელი არ უთითებს, თუ რომელი ხელნაწერის მიხედვითაა გამოცემული ძეგლი. დაბეჭდილი ტექსტი გაუმართავი და დაუმუშავებელია, ამიტომ ამ გამოცემას შეცნობიერება მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ იგი მაინც ერთადერთი გამოცემაა, რომლითაც კანონთა ტექსტის გასაცნობად დღემდე ვსარგებლობთ.

შეეხო რა ძეგლის შედგენის დროს, პროფ. ს. კაკაბაძემ, თუმცა იგი სულაც არ იხსენიებს თ. ჟორდანიას აზრს, სცადა დაეზუსტებია სჯულის დადების წლები. მისი აზრით, „სამართალი კათალიკოზისა შედგენილი უნდა იყოს... ყოველ შემთხვევაში არა უადრეს 1514 წ. და არა უგვიანეს 1562 წ., ანუ დაახლოებარ XVI საუკუნის 50-იან წლებში“ („სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო“, 1913, გვ. 10).

აკად. კ. კეკელიძე კიდევ უფრო აზუსტებს ძეგლის შედგენის დროს. მისი აზრით, საეკლესიო კრება, რომელშიც ეს სჯული დადო, მომხდარა 1543—1549 წლებში (ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 571). პირველი თარიღი (1543 წ.) აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონ I ჩხეტიძის აღზევების წელია, ხოლო მეორე (1549 წ.) ქართლის კათალიკოსის შალაქის გარდაცვალებისა.

ამრიგად, კათალიკოზთა სამართალი შედგენილია XVI საუკუნის 40-იან წლებში იმერეთის მეფის ბაგრატის დროს (1510—1565).

ხელნაწერებში სამართლის წიგნს ასეთი სათაური აქვს: „სამართალი კათალიკოზისა“. ძეგლის გამომცემელი, პროფ. ს. კაკაბაძე, ამ კანონებს „კათალიკოზის სამართალს“ უწოდებს. მაგრამ, როგორც აკად. ივ. ჭავჭავაძის მიერ აღნიშნა და კანონთა შესაუბრებლად ჩანს, საკანონმდებლო ძეგლის შემდგენელი

ერთი კათალიკოსი კი არ ყოფილა, არამედ კათალიკოსნი და აფხაზეთის სამწყსოს ეპისკოპოსთა კრება და ამიტომ მის სათაურად შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ „სამართალი კათალიკოსთა და კრებისა მიერ“; ასეთი სათაურითა ეს ძველი დაცული ვახტანგ მეფის საკანონმდებლო კრებულის 1794 წლის ჩქმს ეუთვნოდ ხელნაწერში (ყოთელი სამართლის ისტორია, 1928 წ., გვ. 50—51). ნაწილობრივ, ეს ხელნაწერი დღეს ივ. ჭავჭავაძის კუთვნილ ხელნაწერთა შორის არ არის. მაგრამ, ჩვენი აზრით, ძველის დასათაურებისათვის ამ გვიანდელ ხელნაწერს არ უხდა მიეტყვნა უბრატესობა. თანაც სათაურის მეორე ნაწილი — „და კრებისა მიერ“ მერმინდელ, სოულიად ზედმეტ ჩასართად უხდა ჩაითქალა. სამართალი რომ შედგებოდა „კრებისა მიერ“ — ეს შესაელოდნაჲ კარგავი ხანა.

ივ. ჭავჭავაძის სათაურის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თეოლოგიური „კათალიკოსთა სამართლის“ შესავალში დაცულ ცნობას იმის შესახებ, რომ იგი შედგენილია არა ერთი კათალიკოსის, არამედ საქართველოსა და აფხაზეთის კათალიკოსების მიერ. ე. ი. სვეტი წარმოადგენს არა ერთი კათალიკოსის, არამედ „კათალიკოსთა სამართალს“. აწირედ ანუ იხსენიება ეს ძველი ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის საერთო შესავალშიც, სადაც ჩამოთვლილია კრებულში შეტანილი სხვა ძეგლები. იქ ნათქვამია, რომ ბატონიშვილმა ვახტანგმა ქართული სამართლის სხვა ძველ ძიოდამბეულ წიგნებთან ერთად მოიხიდა და შეკრიბა „წმიდათა და მართლმადიდებელთა ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსთა და ღმრთა ეფისკოპოსთაგან განწესებული სამართალი“. ამრიგად ვახტანგის საყოლიფიკაციო კომისია, რომელსაც ამ კანონთა ძველი ხელნაწერები ჰქონდა, მას „კათალიკოსთა სამართალს“ უწოდებს და, ცხადია, ძველს ეს სათაური უნდა შეეუხარჩუნეთ.

კათალიკოსთა სამართალი წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სჯულმდებლობას. საკანონმდებლო კრებაში, როგორც ეს ხელნაწერიდან ჩანს. გარდა აფხაზეთის კათალიკოსთა, მონაწილეობენ: ქუთათელი მიტროპოლიტი სუმიონ. გენათელი მთავარეპისკოპოსი ანტონი, მამა კყონდიდელი, ბელაქელი მიტროპოლიტი, მოქველი მთავარეპისკოპოსი, დრანდელი მიტროპოლიტი ფილაპე. ცაგერელი მამათმთავარი კონსტანტინე, ხონელი მთავარეპისკოპოსი ზაქარია, ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი იოაკიმ და ჩიშული მამათმთავარი კვიციანი; სამართლის წიგნის შესავალშიც ზემოთ ჩამოთვლილი მღვდელმთავრების შეახებ ნათქვამია. რომ „შეკრიბენით ყოველნი ეპისკოპოსნი აფხაზეთისანი“.

კანონთა შესავალში აღნიშნულია, რომ საკანონმდებლო კრებას ესწრებოდა „ყოველისა საქართველოსა კათალიკოსი პატრიარქი მალაქია“, მაგრამ მისი სახელი არ იხსენიება სჯულის დამამტკიცებელ პირთა ხელმოწერაში, რომელიც აფხაზეთის კათალიკოსის ხელრთვით იწყება. საქართველოს კათალიკოსი კრებას ესწრებოდა როგორც ქართული ეკლესიის მამათმთავარი. კრების მოწვევა და კანონთა დასხმა, ე. ი. სჯულის დადება, მისი თანხმობითა და სანქციით მოხდა.

უხებდა რა კათალიკოსთა სამართლის მოქმედების ასპარეზს, აკად. ივ. ჭავჭავაძის სწერს: „იმერეთის სამეფოთი, სამეგრელო-აფხაზეთის საზღვრებთ შემოფარგლულა უნდა ვიკულისხმოთ ის მიწაყალი და მოსახლეობა. რომლისთვისაც ეს სამართლის წიგნი იყო განკუთვნილი... აღსანიშნავია, რომ გურიის საეპისკოპოსოს მღვდელმთავარს ამ კრებაში მონაწილეობა არ მიუღია და ამიტომ, უეჭველია, მისგან შედგენილი ძველი ამ სამწყსოს არ ეხებოდა“ (ქართული სამართლის ისტორია, ტ. 1, 1928 წ., გვ. 57).

სამართლის წიგნის ხელრთვაში გურიის მღვდელმთავარი რომ მოხსენიებული არ არის, შეიძლება ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ გარკვეულ ხანებში გურია-სამეგრელოს საეპისკოპოსო გაერთიანებული იყო, ცალკეული ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ითვლებოდა და „ცალმელ-ჭემათელად“ იწოდებოდა. უკველ შემთხვევაში კანონთა მოქმედების სფეროდან გურიის სამწყსოს გამორიცხვა საგელისხმებელი არ არის.

მართალია, კათალიკოზთა სამართალი თავდაპირველად შედგენილი იყო რაგორც დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სჯელი, მაგრამ, უკველია, რომ თანდათანობით მისი მოქმედება მთელ საქართველოში გავრცელდა. სჯულდებაში გათვალისწინებულ დანაშაულებს, გარდა ტყვის ყიდვა-გაყიდვისა, რომელიც უმთავრესად დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული, უკველია ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოშიც. ანუ დანაშაულთა რიცხვი მიეკუთვნება: კაცის კვლა. ეკლესიის კრება, ქურდობა, სამღვდლო პირთა სხვადასხვა დანაშაულ-შაულ. მეფის ღალატი, კათალიკოზისა და ეპისკოპოსის გინება. უღირსი მღვდლის კურთხევა. მრუდად გამოყვლა და გამართლება, საყდრის მამულის გამოხუცა, რბლიან შერთვა და ცილის უბრალოდ დაგდება. უღაყო, რომ ჩამოთვლილ დანაშაულთათვის კანონით დაწესებული სასჯელები მთელ საქართველოში გამოყვებული იქნებოდა. ამ მხრივ აღმოსავლეთი საქართველო რაიმე გამოჩაყლის ან წარმოადგენდა. კანონთა ხასიათი და მათი მოქმედება მთელ საქართველოში სანქტიორებული იყო საკანონმდებლო კრების ხელმძღვანელის. ქართული ეკლესიის უზენაესი საკეთმპყრობლის „ყოელისა საქართველოს კათალიკოზ პატრიარქის მალაქიას“ მიერ.

გარდა ამისა. კათალიკოზთა სამართალი მთელ საქართველოში მოქმედი საეკლესიო სჯელი იყო, რადგან, როგორც შეაჯავღია ნათქვამი, იგი დამყარებულია „სჯელის კანონზე“, რომელიც ძველთაგანვე მოქმედებდა საქართველოში. ეს კარგად იცოდა ვახტანგის საყოლიფიკაციო კომისიამ, რომელმაც კომისიის წევრის. საეკლესიო სჯულმდებლობის დიდი მცოდნის კათალიკოზ დო მენტ-ის დაატურით ეს ძველი სამართლის წიგნთა კრებულში შეიტანა, რითაც კვლავ დადასტურა მისი მოქმედება აღმოსავლეთ საქართველოში.

ამრიგად. მართალია, კათალიკოზთა სამართალი შედგენილია დასავლეთ საქართველოში. მაგრამ იგი მთელი საქართველოს საეკლესიო წესწყობილებისათვის დამახასიათებელი ძეგლია, რომელიც XVI—XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოშიც მოქმედებდა და, მაშასადამე. მისი ასპარეზი მხოლოდ იმერეთია და სამეგრელო-აფხაზეთით არ შემოიფარგლებოდა.

კათალიკოზთა სამართალი შედგენილია გარკვეული თანამიმდევრობით. იგი შედგება სამი ნაწილისაგან: შესავალი, კანონთა ტექსტი და ხელრთვა. სამართლის წიგნის შესავალი სამ ძირითად საკითხს ეხება: საკანონმდებლო კრების მოწვევა. კრების მოწვევის მიზეზები და სჯულების წყაროები. საკანონმდებლო კრება მოუწვევია საქართველოს კათალიკოზს მალაქიას და აფხაზეთის კათალიკოზს ევდემონს. კრების მოწვევისა და სჯულის დადების მიზეზად აღიარებულა მრავალგვარი დანაშაული, რომელიც გავრცელებულა იმ დროს იმერეთში: „ღალი სიყმილი მოვიდა ცოდვათა ჩუენთაგან, მრავალი უწყისობა და უჯრო საქმი შემოვდა: კაცის კვლა, კაცის სყიდვა. ეკლესიის კრება და უხედეობა“. ამის შემდეგ საკანონმდებლო კრება აღნიშნავს სამართლის წიგნის წყაროს და მიუთითებს, რომ ჩენი კანონები სჯულის კანონიდან „გამოვიღეთ“.

შესავალში აღნიშნული არაა კრების მოწვევის ადგილი. მხოლოდ ნათქვამია, რომ „შევირიბენით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანიო“. იმ დროს საკათალიკო ტახტი ბიკვინთაში იყო. უფრო გვიან (1657 წ.) ოსმალთა მძლავრების გამო ტახტი ბიკვინთიდან გადატანილ იქნა გელათში. გაურკვეველი რჩება, სად შედგა კრება — ბიკვინთაში თუ გელათში. უნდა ვიფიქროთ, რომ საკანონმდებლო კრება მოწვეული იქნებოდა ბაგრატ მეფის წინადადებით; ამასთან კრებაში ქართლის კათალიკოსის მალაქიას მონაწილეობა უფრო საგულისხმებელს ზღი, რომ კრება გელათში შედგებოდა.

სამართლის წიგნის მესამე ნაწილში — ხელრთვაში — განსაზღვრულია საკანონმდებლო კრების შემადგენლობა და ჩამოთვლილია ის ეპისკოპოსები, რომლებიც კრებაში მონაწილეობდნენ და თავიანთი ხელრთვით სჯულდებას ამტკიცებენ. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აქ მოხსენიებული არ არის საქართველოს კათალიკოსი მალაქია. ხელრთვა იწყება აფხაზეთის კათალიკოზის დამოწმებით, თუმცა მისი სახელი გამორჩენილია. მასთან ერთად კანონს ამტკიცებენ ქუთათელი; გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქუელი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმინდელი და ჩიშელი (ყაიშელი) ეპისკოპოსებო. ხელრთვაში ჩამოთვლილი კრების მონაწილე ათი ეპისკოპოსისაგან შეიდი თანამდებობითა და სახელით იხსენიება, ხოლო სამი — ჭყონდიდელი, ბედიელი და მოქუელი მხოლოდ თანამდებობით.

სამართლის წიგნის მეორე ნაწილს შეადგენს კანონთა ტექსტი, რომელიც 23 მუხლს შეიცავს. მუხლები დალაგებულია გარკვეული თანამიმდევრობით. სამართლის წიგნის პირველი მუხლი კაცის უღვა-ვაყიდვას ეხება; მე-2—6 მუხლები — ეკლესიის გატეხას, ქურდობასა და კაცის კვლას; მე-7—15 მუხლები — ეპისკოპოზის ძიერ და ეპისკოპოსის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს; მე-16 მუხლი — მეფის დღაღას; მე-17—18 მუხლები — კათალიკოზისა და ეპისკოპოსის გინებასა და უღირსი მღვდლის კურთხევას; მე-19 მუხლი — საქმის მრუდად გამოძიებასა და დამნაშავეს გამართლებას; მე-20 მუხლი — საეკლესიო მამულების მიტაცებას; 21-ე მუხლი — სჯულდებ:ს შესრულებასა და დარღვევას; 22-ე მუხლი — რძლის შერთვას და უკანასკნელი, 23-ე მუხლი — ცოლის უბრალოდ დაგდებას. ჩამოთვლილ საკითხებში შეინიშნება საკანონმდებლო მასალის დალაგების ერთგვარი თანმიმდევრობა. გამონაკლისს შეადგენს სამართლის წიგნის მე-17—18 მუხლები, რომელნიც სამღვდლო პირთა წინააღმდეგ ან მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს ეხება და შინაარსობრივად მე-7—15 მუხლების გაგრძელებას წარმოადგენს. ამ მუხლების გადაადგილება ნუსხების გადამწერთა შეცდომით უნდა იყოს გამოწვეული.

იგივე უნდა ითქვას 22-ე მუხლის შესახებ, რომელიც გადამწერთაგან მერმე უნდა იყოს გადასმული. სინამდვილეში იგი 21 მუხლად უნდა იყოს, ხოლო ნუსხივული 21 მუხლით, რომელიც სჯულის შესრულებასა და დარღვევისათვის სათანადო სანქციას ითვალისწინებს, უნდა მთავრდებოდეს კანონთა ტექსტით.

განსაკუთრებულ შენიშვნას იწვევს 23-ე მუხლი, რომელიც ცოლის უბრალოდ დაგებისათვის დამნაშავე ქმრის სიკვდილით დასჯასა და საეკლესიო შეჩვენებას ითვალისწინებს. უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ კანონთა ნუსხებში 23-ე მუხლი მიწერილია ხელრთვის შემდეგ. მაშასადამე, კრების მონაწილეთა მიერ სჯულდების დამტკიცება და სანქცირება ამ მუხლზე არ ვრცელდება: იგი კანონმდებლის მიერ არ უნდა იყოს შედგენილი და ამრიგად მას ავთენტიკური ძალა არ უნდა ჰქონდეს.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ქართული სამართლის არცერთ საკანონმდებლო ძეგლში ცოლის უბრალოდ დაგდებისათვის არაა გათვალისწინებული ასეთი განსაკუთრებულად მკაცრი სასჯელები. ბეკა მანდატურთუხუცესის სამართლის 29-ე მუხლი ცოლის უბრალოდ დაგდებისათვის მხოლოდ ნახევარი სისხლის გადახდას ითვალისწინებს. გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებია“ 21-ე და 25-ე მუხლებიც ასეთივე სასჯელს აწესებენ. ვახტანგის სამართლის 72 მუხლი კი დამნაშავე ქმარს ცოლის უბრალოდ დაგდებისათვის მთელი სისხლს ზღვევას აკისრებს.

ყოველივე ზემოთქმულის გამო კათალიკოზთა სამართლის 23-ე მუხლი მერმინდელ დანართად უნდა ჩაითვალოს, რომელიც ალბათ მოქმედი სამართალი არ იყო.

სამართლის წიგნის კანონთა ტექსტი 11 ქვეთავისაგან შედგება: 1. კაცის სუიციდისა ესე გავაჩინეთ; 2. ეკლესიის მკრეხველთათვის ესე განგვიწესებია; 3. ეპისკოპოსის საქმე ესე გავეიჩენია; 4. მეფის ღალატისა ასრე იქნას; 5. კათალიკოზისა და ეპისკოპოზის გინებისათვის; 6. უღირსი მღვდლის კურთხევისათვის; 7. მრუდად გამოკვლევისა და გამართლებისათვის; 8. საყდრის მამულის გამოხუცებისათვის; 9. სჯულის გამოთვებელთა და გარდამავალთათვის; 10. რძლის შერთვისათვის; 11. ცოლის უბრალოდ დაგდებისათვის. აქედან სამართლის წიგნის ხელნაწერებში მოიპოვება მხოლოდ მე-2 და მე-3 ქვეთავის აღმნიშვნელი წინადადებანი, რომლებიც შეტანილია თვით კანონთა მუხლების ტექსტში როგორც ახალი საკითხის დასაწყისის მომასწავებელი. რაც შეეხება სამართლის წიგნის სხვა თავებს, ისინი საგნის შინაარსის მიხედვით შედგენილია ჩვენს მიერ.

კათალიკოზთა სამართლის მთავარ წყაროს, როგორც ეს სამართლის წიგნის შესავლიდან ჩანს, „სჯულის კანონი“ შეადგენს. შესავალში ნათქვამია: „ღაღადეით სჯულის კანონი და ჩუენცა იმისგან გამოვიღეით: და რაცა იმისგან არ გამოვიღეით, ჩუენ ჩუენრ მავიერი არა შევკმატებია რა. და სჯულის კანონიცა ასრე ბძანებსო“.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის რუსული (1887 წ.) გამოცემის რედაქტორი, ცნობილი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე კათალიკოზთა სამართლის შესავალში დამოწმებული „სჯულის კანონის“ შესახებ შენიშნავდა: „Везде грузинском тексте вместо слова «Книга Кормчей», употребленного в переводе, стоит рꝑულის კანონი — «Правила веры». под которым и разумеются здесь, по моему мнению, Правила VI вселенского собора, в переводе св. Евфимия (X в.) имевшие распространение в грузинских церквях и действительно трактующие о некоторых из тех вопросов веры и благочиния, о коиx упоминается в настоящей законодательном акте» (Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, 1887, гв. 129).

ამრიგად, დ. ბაქრაძეს კათალიკოზთა სამართლის შესავალში მოთითებული „სჯულის კანონი“ ექეთიმეს მიერ ნათარგმნ „მცირე სჯული“ კანონად მიიჩნდა. მაგრამ აკად. კ. ქეკელიძემ გამოარკვია, რომ კათალიკოზთა კანონები დამყარებულია „დიდი სჯულის კანონზე“ და არა ექეთიმეს მიერ ნათარგმნ „მცირე სჯულის კანონზე“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, 1960 წ., გვ. 571).

დიდი სჯულის კანონი, როგორც აკად. იე. ჭავჭავაძის შვილი ფიქრობს, ქართულად ნათარგმნი უნდა იყოს თუ უფრო ადრე არა. IX საუკუნეში მაინც, აკად. კ. ქეკელიძის აზრით კი ასეთი თარგმანი, X საუკუნემდე საგულისხმებელი

არ აბის. ბერძნული სჯელის კანონი მოქმედი სამართალი იყო საქართველოში. ქართულ საეკლესიო სჯულმდებლობას ცხადად ეტყობა მისი ძლიერი გავლენა. მაგალითად, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების მიერ დადგენულ „ძეგლის წერის“ მნიშვნელოვანი ნაწილი დაფუძნებულია „დიდი სჯელის კანონ-ზე“.

კათალიკოზთა სამართლის შემდგენლები ირწმუნებიან, რომ ჩვენი კანონები სჯელის კანონიდან ვადმოვიღეთ და „ჩვენი მაგიერი არა შეგვაპტებია რაო“. მაგრამ ერთი შეხედვითაც უდავოა, რომ „კათალიკოსთა სამართალი“ არ წარმოადგენს სჯელის კანონის უბრალო გამოკრებას. იგი ქართული საეკლესიო სამართალს ირიგინალური ძეგლია, რომლის დადგენილებანი ჩვენი ქვეყნის მამინდელა ყოფა-ცხოვრების სინამდვილეს ასახავენ. მართალია, საკანონმდებლო კრება კანონთა შედგენისას ითვალისწინებს სჯელის კანონს, ხელმძღვანელობს მისი წესებით, მაგრამ ქართული სინამდვილის გათვალისწინებით აყალიბებს საკანონმდებლო ნორმებს და განსაზღვრავს სანქციებს მათი დარღვევისათვის. იაშასადაჟე, ბერძნული სჯელის კანონის დადგენილებანი ქართულ სჯულდებაში შეტანილა გადამუშავებული სახით, სათანადო რედაქციით.

კათალიკოზთა სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს ადგილობრივი ქართული საეკლესიო სჯულმდებლობის ტრადიცია და ქართული ეკლესიის პრაქტიკული მოღვაწეობა შეადგენს.

ამრავალ, კათალიკოზთა სამართალი ჩვენი ეროვნული სჯულმდებლობას მნიშვნელოვანი ძეგლია. ამაჟე დროს იგი მეტად საინტერესოა საქართველოში სჯელის კანონისა და საერთოდ ბიზანტიური სამართლის მოქმედების შესწავლასა და გარკვევის თვალსაზრისით.

სპეციალურ ლიტერატურაში კათალიკოზთა კანონებს ბიჰვინთის საყდრას იადგარს ადარებენ და მას ხსენებული კანონების დამატებად თელიან. ეს აზრი ეკუთვნის პროფ. ალ. ხახანაშვილს, რომელმაც გასული საუკუნის მიწურულში პირველად, თუმცა საგრძნობი შეცდომებით, დაბეჭდა ბიჰვინთის გუჯარი („გუჯარება“, 1891, გვ. 124—135). სჯულმდებლობის ამ ორ ძეგლს ერთმანეთს რომ ადარებდნენ, ალ. ხახანაშვილი წერდა: „ჩვენ ვიცით საკათალიკოზო კანონები, რომელნიც ვახტანგ მეფემ ჩაუტროთ თავის „რჯულის წიგნში“. აჟ მოხსენებული არიან თითქმის სუყველა ის პირნი, რომელთაც შეუდგენიათ ცნობილი საეკლესიო კანონები. ერთი შეხედვით შეიძლება იფიქროთ, რომ ამ გუჯარში გამეორებულია კათალიკოზთა დადგინება, ვახტანგის წიგნში მოქცეულნი. მაგრამ რაკი დააკვირდებით მის შინაარსს, ადვილად მიხედვით, რომ ეს გუჯარი სულ სხვა მხარეს შეეხება ჩვენი სჯულდებულებებისას. იგი უფრო ვრცელია და მრავალმნიშვნელოვანი, ვიდრე დაბეჭდილი კანონები კათალიკოზთა... რადგან ჩვენ გუჯარში მოხსენებულნი კათალიკოზნი სუყველა თანამედროვენი არ იყვნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი „ხელმოწერით დამტკიცება“ ერთ დროს არ ეკუთვნის. ეს შეიძლება ვსთქვათ, რომ ეს გუჯარი შესდგა და შესრულდა XVI—XVII საუკუნეში... ეს გუჯარი უნდა იყვეს თანდათანობით შედგენილი და შემდეგ გადაწერილი ერთის ხელით“ („გუჯარები“, 1891 წ., გვ. 154—157).

ამაჟე საკითხზე პროფ. ალ. ხახანაშვილმა „Юридический Вестник“-ში ტ. XI, 1892. გვ. 568—571) გამოაქვეყნა წერილი: „Дополнение к грузинским каталикосовым законам“. წერილში ჩართულია თარგმანი გუჯარ-

დან გამოჩაყრები ტექსტისა, რომელიც ავტორს მუხლებად დაეყვია. ქართულ ტექსტს დამაბინჯებელი ადგილები შეორდება რუსულ თარგმანშიც. ხსენებულ წერილში „როგორც ეს წერილის სათაურიდანაც ჩანს, ნათქვამია, რომ ბიკვინთის გუჯარი წამოადგენს „კათალიკოზთა კანონების“ დამატებას, გუჯარი დგებოდა თანდათანობით ოთხი საუკუნის განმავლობაში და თავისი ახლანდელი სახე მან მიიღო არა ეადრეს XVIII საუკუნის პირველი მეოთხედისა (გვ. 569).

კათალიკოზთა კანონები, ბიკვინთის გუჯარისგან განსხვავებით, არ შეიცავს ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კვალიფიკაციას და მათთვის დადგენილ სასჯელთა და გადასახდელთა განსაზღვრას. გარდა ამისა ისინი უფრო მკაცრია, ეადრე ბიკვინთის გუჯარი. პირველი ეკლესიის ქურდს ჩამოხრჩობას უწყისებს. ხოლო მეორე — გადიდებული საზღაურის გადახდას. კათალიკოზთა კანონების 23-ე მუხლი ცოლის ებრალოდ დაგდებისათვის სიკვდილით დასჯას აწესებს. ბიკვინთის გუჯარი კი სრული სისხლის დაუტევებს. კათალიკოზთა კანონებს აშკარად ემხნევა ზეგავლენა „სჯელის კანონისა“, რომელიც თვით კანონთა ტექსტშიც არის მითითებული. ბიკვინთის გუჯარში ამის კვალი არ არის, რაც იმაა მოწმობს, რომ მასზე არ მოუხდენია ზეგავლენა ბერძნულ საეკლესიო კანონმდებლობას და იგი ადგილობრივ, ეროვნულ ძეგლს წარმოადგენს (გვ. 571).

ბიკვინთის საყდრის იადგარის შედგენილობა, ხასიათი, შედგენის დრო და მიმართება კათალიკოზთა სამართალთან მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია, რომლებიც სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

ამჟამად ორი ხელნაწერის მიხედვით ებეჭდვით იადგარის ტექსტის მხოლოდ იმ ნაწილს. რომელიც სისხლის განაჩენებს შეიცავს.

ბიკვინტის საყდრის იადგარა*

[21]და აწ ამას მოგაკსენებთ ყოველთავე. დიდისა და მცირეთა, ნუმცა ვისგანმე კადრებულ არს დიდისა და ზემთა აღმატებელისა საყდრისა ბიკვინტისა ძმათა და საყდრის შეილთა, თემთა და ქვეყანათა, და აგარაკთა მტერობა და შეცოდება.

1*. და ვენცა ამა სამინელსა საყდარსა შესცოდოს, და ეუარპყოს ღმერთი და წაწყმედოს სული თვისი და გატეხოს შიგნით საყდარი და რამე გატანოს, თუ ის კაცი მეფისა იყოს, სახასო კაცი და მამული რამდენიცა განაყოფი იყოს, მათითა მამულთა საყდარს მიაბაროს, სხვისა მეფისაა ვერას ვერცვით, ამისთვის საყდარი მათი არს.

2. და თუ დიდებულთა ან თავადისა და აზნაურთა ყმაჲან გატეხოს და მიაბაროს. წარმოდგეს იმა მეკობრისა ბატონი თორმეტითა მისითა სწორითა კაცითა და ოცდაოთხითა მისითა სწორითა ის მეკობრე ექვსმან აზნაურმან და თორმეტმან გლეხმან ნაზნითა ფიცოს, ექვსმან აზნაურმან და თორმეტმან გლეხმან უნაზნოდ ფიცოს² უცოდინელობა მეკობრისა ბატონისა: თუ ფიცოს, შე-

* იბეჭდება ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad-2218 ნუსხის მიხედვით, რომლის გასამართავად გამოვიყენეთ ამავე ინსტიტუტის S-3677 ხელნაწერი. პირველი ნუსხა აღნიშნულია A ლიტერით. ხოლო მეორე—B-თი.

** ხელნაწერებში ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის.

1 და]—A. 2 ექვსმან... უნაზნოდ ფიცოს]—A.

კობრისა ბატონსა არას ემართლების და გამტეხი მისითა მამულითა და განაყოფითა საყდარსა მოაქსენონ.

და თუ ვერ დაიფიცოს, რაპაცა მამულისა მქონელი იყოს, საყდარსა მოაქსენოს და მეკობრე და მეკობრისა ბატონი ძელსა მისცენ.

3. და თუ გარეთ ზღუდეს შიგნით რამე გაიტანოს, სამის თავადის სისხლს მისითა წინ წასამძღვანითა საუპატიოდ საყდარსა დაუერვოს.

4. და თუ ზღუდეს გარეთ, ახლოსითგან ზარის ხმა ისმოდეს, რამე წაიწილოს, ვინა პირუტყვი ანუ სხვა რამე წაიღოს, ორის თავადის სისხლი საყდარს დაუერვოს. მეკობრობით ქნას. გინა მძლავრობით ანუ ნატაცებით.

5. და აწ ვინცა, გინა იღლებულმან ანუ თავადმან ანუ აზნაურმან, კათალიკოსსა აგინოს ანუ საცემრად წაიზიდოს, ორმოცდაათი გლეხი საყდარს დაუერვოს და კათალიკოსსა ორი სისხლი დაუერვოს ღიღისა შეხვეწითა.

6. ვინცა რომელსა გინა ძმთაგანსა სცეს ანუ შინა ჩაუქდეს, ანუ კელთა შეიპყრას ანუ პირდაპირ აგინოს, ექვსი გლეხი საყდარს დაუერვოს, და ორსა ათასი თეთრი იმას დაუერვოს.

7. და თუ ვინმე ძმთაგანი ანუ საყდრის შვილი მოკლას, ოცი გლეხი საყდარს დაუერვოს და ორი სისხლი იმას დაუერვოს.

8. ვინცა კათალიკოსის ჭოგი გატეხოს, ექვსასი ათასი ძველი თეთრი საყდარს დაუერვოს.

9. ვინცა ამა ზემოთ საყდრის შვილნი და მოკლენი სწერიან, მათი ჭოგი გატეხოს, ათი ათასი თეთრი საყდარს დაუერვოს და ორი ათასი იმას დაუერვოს ღიღითა შეხვეწითა, და ნამარცვი უკლებლად შემოეჭიოს.

10. ვინცა კათალიკოსის გაგზავნილი კაცი გაძარცვოს, ათი ათასი თეთრი საყდარს დაუერვოს და ოთხი ათასი იმას დაუერვოს.

11. ვინცა ზურგიით მზიდავი კარიბ ანუ სეფე კარი წაიყვანოს, თორმეტი ათასი თეთრი საყდარს დაუერვოს.

12. ვინცა მოკლეთა გაგზავნილი კაცი გაძარცვოს, ოთხი ათასი თეთრი საყდარს დაუერვოს და ორი ათასი იმას დაუერვოს.

13. ვინცა ქორეპისკოპოსსა სცეს ანუ კელთა შეიპყრას, ანუ ავად აგინოს, ანუ უპატიოება რამე ჰქადროს, თორმეტი გლეხი საყდარს დაუერვოს და სამასი ათასი თეთრი იმას დაუერვოს.

თუ გლეხი იყოს, რომელმან ჰქადრა, მისითა მამულითა საყდარს დაუერვოს.

14. ვინცა კათალიკოსის ყმა მსახური მოკლას, ექვსი ასი ათასი თეთრი საყდარს დაუერვოს და სამასი ათასი სისხლად და თუთხმეტი ათასი სანახშიროდ იმათ დაუერვოს.

და ჩანიცა საყდრის მოკლენი არიან. ვითარცა საყდრის შვილთა სწერანს მათე წესითა იმათ დაუერვოს.

15. ვინცა საყდრის მოინალე კაცი მოკლას, შვიდი ასი ათასი თეთრი საყდარს დაუერვოს და ოთხასი ათასი სისხლად და თუთხმეტი ათასი სანახშიროდ იმათ დაუერვოს.

16. და ვინცა ბიკინტისა გარეშემო სოფელი და გლეხნი, სიღვან ზარის ხმა ისმოდეს, გატეხოს ანუ დაარბიოს, ანუ ნახიზი გაუტეხოს, ექვსი ასი ათასი ძველი კირმანელი თეთრი საყდარს დაუერვოს და სამასი ათასი იმას დაუერვოს.

¹ და მეკობრე] — A. ² ორი] ორასი A. ³ გარი] — A.

⁴ მოკლენი] მეახლენი A. ⁵ ათასი] ასი AB.

17. და სხვანი, ჩანიცა აგარაენი და სოფელი, მეტოქი მონასტერი და ქალაქი სწერია, იმავილ მსახლობელი გლეხნი, მსახურნი და მოინალე ვინც მოკლას. ექვთი ასი ათასი თეთრი საყდარს დაეურვოს და სამასი ათასი თეთრი სხვლად და თუთხმეტი ათასი სანახშიროდ იმათ დაეურვოს.

18. ვინცა სოფელი და სოფლის კაცი დაარბიოს, ორასი ათასი თეთრი საყდარს დაეურვოს და ორი ათასი², ჩამდენიცა გლეხნი იყვენ, იმათ [31] დაეურვნენ. და ალაფნი უკლებლად შეაქციონ.

და რასაც მიზეზისათვის მივლომოდეს, ისიც გაუუდღეს.

და თუ მიმდომი მოკლან, სისხლი და სანახშირე გაუუდღეს.

19. და ვინცა ჭოგი და ნახირი გაუტეხოს, ოცდა ათი ათასი თეთრი საყდარს დაეურვოს და ორი ათასი იმათ დაეურვოს.

20. ვინცა ეკლესია გაუტეხოს, ოთხი სისხლი დაეურვოს.

21. ვინცა ცოლი წაუღოს ბიჭვინტისა ლ¹თის მშობლის ყმასა, თუ ზუესი იყოს. ორი სისხლი დაეურვოს, და თუ ერისკაცი იყოს, ერთი სისხლი სრული დაეურვოს.

22. ვინცა ქალი დაუგდოს, სრული სისხლი დაეურვოს.

23. ვინცა ეენაქი დაუკათოს საყდარსა და საყდრის ყმასა, ოცდაათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ათასი, — ვისიცა ეენაქი იყოს, იმას.

და რისათვის უყო, ისიც გაუუდღეს. აგრევე, ვინცა წისქვილი გაუტეხოს.

24. ვინც ბიჭვინტის საყდრის ყმის³ მეჭინბე ანუ შესაღილე, ანუ მწყემსი⁴ სცეს ანუ გაძარცვოს, ათი ათასი თეთრი საყდარს დაეურვოს, ათასი, — ვისიცა იყო, იმას.

25. და თუ ვინმე მეკობრობით შორს⁵ რამე მოიპაროს, ოცი ათასი თეთრი საყდარს დაეურვოს.

26. ვინცა კათალიკოზის უკითხავად ბიჭვინტისა წყალი ინადიროს მოსაღებლად, ოცი ათასი თეთრი საყდარს დაეურვოს.

27. ვინცა საყდრის ყმა დაკოლოს უღალოს ადგილსა, სამი გერში⁶ დაეურვოს; და თუ დაღი დაასვას, მეთორმეტე სისხლი დაეურვოს.

აწ დავამტკიცებ მეოხებითა ბიჭვინტისა ლ¹თის მშობლისათა, საქრძალავი და შესაძრწუნებელი ყოვლისა ადამისა ტომისაგან იადგარი დაუდევით. ვითარცა სხვათა საყდართა უჩინებულესი არის ბიჭვინტის საყდარი, ეგრეთვე უმეტესად იადგარი დაუდევით და დავამტკიცებ მტკიცე ბრძანებად ესე...

[4r] კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი მალაქია კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი ევლემონ კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი ეფთვიო კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი მალაქია კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი მანსიმე კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი ზაქარია კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი სემონ კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი დაეო*.

1 მოწალე B. 2 ორი ათასი | + ორი ათასი A.

3 ყმას A. 4 მწყემსსა A. 5 შორის A. 6 გემი AB.

* საქართველოს ეკლესიის კალენდრის მიხედვით ზემოხსენებული კათალიკოსები მიღებულია:

ძეგლის დადება

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის შესავალში აღნიშნულია, რომ ბატონიშვილმა ვახტანგმა სხვა ძეგლებთან ერთად შეკრიბა „დიდის მეფეთ-მეფის გიორგის მიერ თქმულნი სამართალნი... რომლითა სჭიდენ სამნივე ესე სამეფონი ქართლისანი“.

კრებულის შესავალში აღნიშნული „დიდის მეფეთ-მეფის გიორგის მიერ თქმულნი სამართალნი“ ის საკანონმდებლო ძეგლია, რომელსაც ვახტანგის კანონთა კრებულის ხელნაწერებში „ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ“ ან უფრო მოკლედ „სამართალი მეფის გიორგისა“ ეწოდება. ხანებულ შესავალში რომ სიტყვა „სამართალნი“ მრავლობით რიცხვშია მოცემული, ეს საესებით გასაგებია და ასეც უნდა იყოს, რადგან ეს სიტყვა გამოხატავს იმ წესებს და ნორმებს, რომლებიც დაკანონებულია ძეგლის დადებაში.

უფრო საყურადღებოა წინასიტყვაობის ავტორის განცხადება იმის შესახებ, რომ დიდის მეფეთ-მეფის გიორგის სამართლით „სჭიდენ სამნივე ესე სამეფონი ქართლისანი“.

ცნობილია, რომ XV საუკუნის დასასრულს საქართველო საბოლოოდ დაიყო სამ სამეფოდ — ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და სამცხეს საათაბაგოდ.

ძეგლის დადება ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლია, რომელიც შედგენილია მთიულთათვის; ამ კანონების მოქმედების ტერიტორია ზუსტად განსაზღვრულია ძეგლის შესავალში: ჩრდილოეთით — ჯვრის გადასავალი, ანუ ჭუართა ყელი, ჩრდილო-აღმოსავლეთით — კიბენი, სამხრეთით — სოფელი მენესო, აღმოსავლეთით — ზანდუქის ქვეი, სამხრეთ-დასავლეთით — ქადაცხაოტი.

ძეგლის დადებაში აღწერილი საზოგადოებრივი წყობილება, მონღოლთა და ადამ-ჩეულებები დამახასიათებელი იყო მხოლოდ საქართველოს ამ ჩამორჩენილი კუთხისათვის, სადაც პრიმიტიულ-თემური წყობილების ნიშნები და ჩეუები შენარჩუნებულ იქნა თითქმის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. საქართველოს სხვა სამთავროებში იმ დროს განვითარებული ფეო-

კათალიკოზი მალაქია I აბაშიძე (1529—1532)

კათალიკოზი ედემონ I ჩხეთიძე (1543—1575)

კათალიკოზი ეფთვიმი I საყვარელიძე (1578—1605).

კათალიკოზი მალაქია II გურიელი (1605—1639)

კათალიკოზი მაქსიმე I მაჭუტაძე (1628—1647)

კათალიკოზი ზაქარია ქვარიანი (1657—1659)

კათალიკოზი სვიმონ I ჩხეთიძე (1659—1666)

კათალიკოზი დავით ნემსაძე (1667—1682).

დალური წყობილება არსებობდა. მეფე გიორგი ბრწყინვალე გაერთიანებული საქართველოს ფეოდალური მონარქიის უზენაესი საკეთმპყრობელი იყო.

გაერთიანებული საქართველოს ფეოდალურ მონარქიას გიორგი ბრწყინვალემდე. ჰქონდა მთელი სამეფოსათვის შედგენილი სამართლის წიგნი, რომლისათვის წესრიგდებოდა მაშინდელი იურიდიული ურთიერთობანი. ეს ნათლად ჩანს ძეგლის დადების შესავლიდან, სადაც გიორგი ბრწყინვალე ამბობს: „ესცანით ესე, რომელ ღმრთივ გვრგვინსანთა და სანატრელთა ჩუენთა ჩამოშვალთა მეფეთაგან არ გასჩენოდა ძეგლითა გაჩენითა“. აქედან ცხადია, რომ გიორგი ბრწყინვალემდე მხოლოდ მთიულებს არ ჰქონათ საკეთარი სჯულდებულება. საერთოდ საქართველოს სამეფოში კი გიორგის დროსაც მოქმედებდა განსვენებულ „ღმრთივ გვრგვინსანთა“ მიერ შედგენილი სამართლის წიგნები. რაკი გიორგი ბრწყინვალის დრომდე კანონები მხოლოდ მთიულებს არ ჰქონიან, მეფესაც ამ მიზნით შეუდგენია მათი სოციალური წყობისა და ყოფა-ცხოვრებასათვის შესაფერისი სამართლის წიგნი — ძეგლის დადება.

თავისთავად ცხადია, საქართველოს იმ დროს მთელი სამეფოსათვის განკუთვნილი საკანონმდებლო ძეგლები რომ არ ჰქონოდა, გიორგი მეფე პირველად მთიულებისათვის კი არ შეადგენდა სამართლის წიგნს, არამედ მთელი სამეფოსათვის. საქმეც ის იყო, რომ გიორგი V-ის დროს საქართველოში მოქმედებდა გაერთიანებული საქართველოს პერიოდის (XI—XII საუკ.) სამართლის წიგნები, მაგრამ ისინი შეუსაბამონი და გამოუსადეგარნი იყვნენ ჩამორჩენილი, განვითარების პატრიარქალურ საფეხურზე მდგომი მთიული მოსახლეობისათვის.

გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ ჩვენი გამოცემის (1957 წ.) წინასიტყვაობაში ვწერდით, რომ ამ კანონების მიხედვით არ შეიძლება შეფასებულ იქნეს გიორგი ბრწყინვალის დროინდელი, სოციალურად და სახელმწიფოებრივად დაწინაურებული ფეოდალური საქართველოს სამართლის განვითარებას დონე. ამავე დროს იქვე მივეუთითებდით, რომ გიორგი ბრწყინვალის სამართალი შეიცავს რამდენიმე მეტად საყურადღებო ნორმას, რომლებიც შეიძლება დამახასიათებლად მივიჩნიოთ განვითარებული ქართული ფეოდალური სამართლის ინსტიტუტებისათვის საერთოდ. მაგრამ წინასიტყვაობაში გამოთქმული ეს აზრი სათანადოთ განვითარებული არ არის გამოკვლევაში. პირიქით, ნაშრომში ნათქვამია, რომ რაკი გაერთიანებული სამეფოს სჯულდებლობა შეუსაბამო იყო მთიულებისათვის, მით უფრო შეუფერებელი და გამოუსადეგარი იქნებოდა ჩამორჩენილი მთიულების ადგილობრივი ხასიათის საკანონმდებლო ძეგლი საქართველოს დანარჩენი სამეფოებისათვის (გვ. 23).

მართალია, გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნის მუხლების დღე ნაწილი იმდროინდელი მთიულეთის საზოგადოებრივ წყობილებასა და ყოფაცხოვრებას ასახავს და დამახასიათებელია მხოლოდ ამ კუთხისათვის, მაგრამ ამავე დროს სამართლის წიგნი შეიცავს მთელ რიგ კანონებს, რომლებიც უდავოდ გამოიყენებოდა საქართველოს სხვა სამეფოებშიც (მუხლ. 15, 16, 23—24, 32—43, 44—46).

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ძეგლის დადებაში მთელი რიგი ნორმები შეტანილია ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნიდან. ბექას სამართალი კი განვითარებული ფეოდალური სამართლის ძეგლია, რომლის უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი საქართველოს სხვა სამთავროებშიც გამოიყენებოდა.

ძეგლის დადება ბეჟა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნზე გვიანდელი საკანონმდებლო ძეგლია. ჩვენი აზრით, როგორც ეს სხვა ადგილას გვაქვს აღნიშნული (გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957, გვ. 10—15), ძეგლის დადება შედგენილი უნდა იყოს 1335 წელს. ამჟამად დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ბეჟა მანდატურთუხუცესის კანონები ძეგლის დადების ერთ წყაროს წარმოადგენდა. ხევის პირობებისა და ადათობრივი სამართლის გათვალისწინებით ძეგლში შესაბამისი რედაქციით შეტანილია ბეჟას სამართლის მთელი რიგი მუხლები. შედარებისათვის მოვიყვანთ რამდენიმე პარალელს აღნიშნული ძეგლებიდან.

ძეგლის დადება

ბეჟას სამართალი.

17. და ძმამ ძმა მოკლას, იგი მკუ-
ლელი ათს წელიწადს მამულიდან გა-
იძოს და მამული სასეფოდ დაიდვას.

21. კაცმან თუ ცოლი დააგდოს უბ-
რალოდ..., ნახევარი სისხლი დაუტრ-
ვოს.

24. კაცმან თუ ჭუარგაცულილი
ცოლი წაგვაროს, სისხლის მეექვსედი
დაიურვოს მათსა გუარსა ზედა.

26. შუად მოწმონი, ანუ მწირვე-
ლი ხუცესი, ანუ დიაცი მივიდეს, ეს-
რეთ რომე აბჯარი არა ჰქონდეს, და
ასეთი მოკლან, ვინც მოკლას, ორკეცი
სისხლი დაიურვოს მისსა გუარსა ზე-
და...

და თუ დიაცი მეომრად იყოს და
აბჯარი ჰქონდეს და მოკუდეს, გა-
ცუდდეს მის დიაცისა სისხლი.

32. გერშის საქმე ასრე იქმნას:
ვისცა პირსა ზედა გერში აჩნდეს სა-
დალედ... სისხლის მეხუთედი დაუტრ-
ვოს.

თუ გერში სად საჩინოდ იყოს, ას-
რე რომე არ დაშავდებოდეს და და-
აჩნდეს... ამდენი დაუტრვოსო.

33. მარჯვენა კელი ვასაც მოეკუ-
ეთოს ანუ დაუშავდეს დაკოდილობი-
თა, სისხლის მესამედი დაიურვოს.

22. თუ ძმამან ძმა მოკლას..., ამა სო-
ფელს ძლიესლა ინახვის კაცთაგან...,
ქედთა გარეთ ყოფა და გარდახვეწა.

29. თუ კაცმან უბრალოდ ცოლი
დააგდოს, სისხლის ნახევარი მისცეს.

39. თუ კაცმან კაცს ჭვარგაცულა-
ლი საცოლე წაგვაროს, სამღურავთა
კიდე დასაურვებლად არას ემარ-
ულების.

18. შუა მისრულისა კაცისა ასრე
იქნას: მონოზნისა და დიაცისა, ხუ-
ცისა, თუ შუად მისრული იყოს და
ესეთი რომელი მოკედეს, ორკეცი
სისხლი დაუტრვოს, ჩისაც გვარითა
იყოს.

და თუ მეომარი ყოფილიყოს, მარ-
თლითა მოწმითა გამოჩნდეს, გარდაქ-
დეს ასრე, ვითა ძაღლის ყეფა.

5. გერშისა ასრე იქმნას: თუ პირ-
სა ნაკრავი იყოს და ესრე აჩნდეს,
ათას ხუთასი თეთრი დაუტრვოს.

6. თუ ესეთი რამე დაეკოდოს, რო-
მე არ დაუშავდეს და აჩნდეს... დაუ-
ტრვებინონ, ვითარცა მართებდეს.

5. კელი თუ ან ფეცი მოეკუეთოს,
ანუ ერთობ დაუშავდეს, სისხლის
მესამედი დაუტრვოს.

27. და სხვა რომელიც თითო მოეკუთნოს და ანუ დაუშავდეს. ქელია წვაამელი სისხლი დაუტუროს.

28. კაცმან თუ კაცს კბილი ჩაადგინოს, ოთხთა ზემოთ წინათ. ოთხთა ქვემოთ. საჩინოთა კბილთა ჩაყრევიწებისათვის თუთოს კბილისა... ამდენი დაუტუროსო.

41. ვისიუ ანაბია ყოფილა. მათი საქმე ასრე იქმნას: თუ ერთმანეთის ანაბიანი იყვნენ... სისხლის დაუტუება მას გუარსა ზედა.

44. ზეკობზე რაზომიცა მოკლან. სისხლი გაუდუდდეს ყუელასა... და საქონლის პატრონი თუ მოკლან... სისხლი სრული დაუტუროს.

ბექა მანდატურთუხუცების სამართლის 62-ე, 63-ე და 65-ე მუხლებით ქუდიბისათვის გათვალისწინებული სასჯელები სათანადო რედაქციითა და შემოკლებით აღნიშნულია ძეგლის დადების 44-ე და 45-ე მუხლებში. ზემოაღნიშნულიდან ცხადად ჩანს, რომ ბექას კანონებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ძეგლის დადებაზე. გიორგი ბრწყინვალის საკანონმდებლო კრებამ გამოიყენა საათაბაგოს სამართლის სათანადო ნორმები მთელთა სჯელმდებლობისათვის.

ამრავად, ივეგლის დადებამ შეტანილია მთელი რიგი საერთო ხასიათის ნორმები, რომლებიც გამოიყენებოდა საქართველოს სხვა სამეფოებშიც. ამ აზრით უნდა გავიგოთ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის შესავლის ის აღვალა, სადაც ნათქვამია, რომ გიორგის სამართლით „სჯილდენ სამსიციე ესს სამეფონი ქართლისანიო“.

ძეგლის დადება შედგება შესავლისა და 46 მუხლისაგან. იგი ხისხლის სამართლის კანონმდებლობას — „სისხლის განაჩენს“ წარმოადგენს. სამოქალაქო სამართლის საკითხებს მხოლოდ ორიოდ მუხლი ეხება.

XVII საუკუნის ეძველეს ხელნაწერში. რომელიც „ქელმწიფის კარის კაცკვებასთან“ ერთად პრიფ. ე. თაყაიშვილმა აღმოაჩინა. ძეგლის დადების ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის. ეს სამეფო, როგორც ჩანს, ვახტანგ მეფის საკანონმდებლო კომისიას შეუარეულებია და კანონთა ტექსტი შინაარსის მიხედვით მუხლებად დაუყვია. ვახტანგის კომისია სწორედ ასევე მოექცა ბექასა და აღბუღას კანონებზე ტექსტს, რომელიც, როგორც ცნობილია, 1672 წლის უკველეს ნუსხაში მუხლებად გაყვითილი არ არის.

ძეგლის დადების ტექსტის გულდასმით შესწავლა, როგორც აკად. ივ. ჭავჭავაძის აღნიშნავდა, ცხადყოფს, რომ საკანონმდებლო კრებას ეს ძეგლი რამდენიმე მთავარ ნაწილად დაუყვია და თვითველი ნაწილისათვის მისი შინაარსის მიხედვით ახალი საკითხის დსაწყისის აღმნიშვნელი წინადადება წაუმქლვარებოდა. ზოგიერთი ქვესათაურის მუწყებელი ასეთი წინადადება, რომელიც

თუ ქელის თათი მოეკუთნოს, კელის გერშია მებუთედი დაუტუროს. თუ ორნი მუეკუთნეს თუ რაზომნია, ამავე წესითა დაუტუროს.

5. თუ კაცმან კაცს წინა ანუ უკანა კბილი შუაადგებონს, ერთის თათის ოდენი გერში დაუტუროს

16. ანაბია თუ მოკედეს, ასრე იქნას: რომელისადა ანაბია იყოს, მან უნდოს სისხლი და გერშიცა.

22. ზედა დამსმელისა სისხლი და გერში არა არის. თუ კოდეცა იგვე მოკედეს, რომელსა დაესხა, ორკაცი სისხლი დაუტუროს.

კანონთა ერთ თავს ან განყოფილებას შეესაბამებოდა, დროთა განმავლობაში გამოტოვებულ იქნა, ალბათ ნუსხის გადამწერთა მიერ. კანონთა ახალი თავის აღნიშვნელი წინადადებანი ამჟამად შენარჩუნებულია მხოლოდ ხელნაწერთა რამდენიმე მუხლას დასაწყისში (6, 11, 19, 29, 32, 33, 44, 46). დანარჩენ მუხლებს ქვესათაურები არა აქვს. ამიტომ კანონთა ტექსტი მათი შინაარსის შესაბამისად შემდეგ ქვეთავებად დავეყავით: ერისთავისა ასრე გავაჩინეთ (მუხლ. 1); განმგებლისა ასრე გავაჩინეთ (მუხლ. 2—5); ქვეისბერთა ასრე გავაჩინეთ (მუხლ. 6—10); ჰეროვანთა ასრე გავაჩინეთ (მუხლ. 11, 12); ციხისთავთა ასრე გავაჩინეთ (მუხლ. 13, 14); დედ-მამათა სიკუდილისა ასრე გავაჩინეთ (მუხლ. 15); ნასყიდისა და მამულისა ასრე იქნას (მუხლ. 16); ძმის მოკელისა ასრე იქნას (მუხლ. 17, 18); სალაშქროს საქმე ასრე გავაჩინეთ (მუხლ. 19, 20); ცოლის დაგდება და წაგურისა საქმე ასრე გავაჩინეთ (მუხლ. 21—26); ციხის დაქვევისა საქმე ასრე გავაჩინეთ (მუხლ. 27); ბეთალმანისა საქმე ასრე გავაჩინეთ (მუხლ. 28); დამსხმელისა ასრე გავაჩინეთ (მუხლ. 29—30); უარზანგობისა საქმე ამ წესით გაეკრებინა (მუხლ. 31); გერშის საქმე ასრე იქმნას (მუხლ. 32); ასოთ საქმე ასრე გავაჩინეთ (მუხლ. 33—40); ასაბათა საქმე ასრე იქმნას (მუხლ. 41); ლომისიანა გლეხისა ასრე იყოს (მუხლ. 42); ქვეისბერთა და ჰეროვანთა მიდგომისათვის (მუხლ. 43); სამეკობროს საქმე ასრე გავაჩინეთ (მუხლ. 44—45); ვალის საქმე ასრე გავაჩინეთ (მუხლ. 46).

ჩვენი გამოცემის 30-ე და 31-ე მუხლები ხელნაწერებში შეცდომით მხოლოდ 30 მუხლად არის წარმოდგენილი. სინამდვილეში აღნიშნული მუხლები სრულიად სხვადასხვა საგანს შეეხება და თავისი შინაარსით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მითითებული მუხლის პირველ ნაწილში ლაპარაკია სხვისი ცოლის მოტაცებასა ან მკვლელობაზე, ხოლო მეორე ნაწილი განსაზღვრავს უარზანგობის ანუ საუბატოს (ИЛЛТА ЗА НЕУЧЕСТИЕ) ოდენობას სხვადასხვა წოდების მქონე პირთა მოკელისათვის. ამის გამო მართებულად მივიჩნით აღნიშნული მუხლის სათანადოდ გაკეთა და ცალკე 31-ე მუხლად გამოყოფა.

ჩვენი გამოცემის 31-ე მუხლის უკანასკნელი აბზაცი სიტყვებიდან — „ჰეროვანთა — ოდდათი თეთრი“ ხელნაწერებში შეცდომით გამოყოფილია ცალკე მუხლად (32). კანონთა ტექსტში აღნიშნულ ადგილას ჰეროვანთა უარზანგობის ოდენობა არის განსაზღვრული და იგი პირდაპირ ავრძელებს მის წინა, ე. ი. 31-ე მუხლს. ჩვენს გამოცემაში ხელნაწერის ეს ორი მუხლი ერთ 31-ე მუხლად არის შეერთებული.

სეგლას დადების 21-ე და 25-ე მუხლები ერთნაირი შინაარსისაა, ორივე ცოლის უზრალოდ დაგდებას ეხება. ამიტომ ძეგლის 1957 წლის გამოცემაში 25-ე მუხლი სქოლიოში ჩავიტანეთ. წინამდებარე გამოცემაში კი მუხლების სათვალავი რომ არ დაგვერღვია, ორივე მუხლი კანონთა ტექსტში დაეტოვეთ.

ძველი და შუააუჯუენების საპართლის საკანონმდებლო ძეგლები უმთავრესად შედგენილია კახეთისტურა პრინციპის, ე. ი. ცალკეული შემთხვევის მოხედვით. ამავე პრინციპითაა შედგენილი ძეგლის დადებაც.

სამართლის წიგნის მუხლები დანაშაულთა მიხედვით შეიძლება შემდეგნაირად დაყოს:

დანაშაული: მკვლელობა — მუხლები: 1—15, 17, 26, 42, 45; სხეულის დაზიანება — 26, 32—40; ცოლის ან საცოლის მოტაცება — 22—26; ცოლის დაგდება — 21; ქურდობა და ქარც-

ვა — 44—45; თეონეობა — 26, 27, 43; სალაშქრო სამსახურ-სათვის თავის არიდება — 19; თანამონაწილეობა დანაშაულოში — 41.

სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტები: მამულის მფლობელობა — 16; ბეთალმანი ქონება — 28; მემკვიდრეობა — 18; სესხი — 46.

სასამართლო წყობლება: 5—7, 9; სასამართლო წარმოება: 29, 45.

ძველან დადების ძირითადი წყაროებია: ჩეეულებითი სამართალი, კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა.

ძველის დადების შედგენის დრო, მიზეზები, მოქმედების ასპარეზი, წყაროები, სისტემა და აგრეთვე ზოგიერთი სხვა საკითხი დაწერილებით განხილულია ჩვენს ნაშრომში „გეორგი ბრწყინვალის სამართალი“, 1957 წ.

ბეძასა და აღბუღას სამართალი

(მუხლ. I—II)

ბეჯა მანდატურთუხუცესის სამართალი, როგორც ეს პროფ. ს. კაკაბაძემ აღგანა, შედგენილია XIII საუკუნის ბილოს ან XIV საუკუნის დამდეგს (1295—1304 წწ.), რაც შეეხება აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის კანონებს, მათი შედგენის დროს მხოლოდ მიახლოებით შეიძლება განისაზღვროს.

ბეჯას სამართლის წინასიტყვაობაში, რომელიც მოღწეულია ჩვენამდე აღბუღას რედაქციით, ნათქვამია, რომ „შევიყარენით ქულევთა მინდობილი ღმრთოსანი და აწყურისა ღმრთისმშობლისანი“-ო. აქედან ირკვევა, რომ ათაბაგ აღბუღას თავისი საკანონმდებლო კრება მოუწვევია ქულევში. აკად. ევ. თაყაიშვილის აზრით, ქულევს ტაძარი აშენებულია ბეჯა მანდატურთუხუცესის დროს, არა უგვიანეს 1308 წლისა, ხოლო, როგორც მხატვრის წარწერიდან ჩანს, 1381 წელს მოიხატა (Археологические экскурсии, разыскания и заметки. I 104—109).

პროფ. ვახტანგ ბერიძის აზრით, ტაძრის აშენება და მოხატვა ერთდროულად (1381 წ.) უნდა იყოს მომხდარი, რადგან „თვით ძველის ხუროთმოძღვრებისა და დეკორის მონაცემებით, რომელთა უგულებელყოფა შეუძლებელია, აგრეთვე საუკუნის მიწურულს მიგვიითებს“ (სამცხის ხუროთმოძღვრება XI: I — XIV სს., 1955, გვ. 151).

ქულევის ტაძარი მდებარეობს დაბა აღიენიდან ჩრდილოეთით. მანძილი აღიენასა და ქულევს შორის დაახლოებით 5 კილომეტრია. ტაძარი ირგვლივ გარშემორტყმულია მთებით, აშენებულია მყუდრო და შედარებით ძნელად მისაქვლად ადგილას. იმ „უამთა სიაის“ დროს, საკანონმდებლო კრების მოწვევა ქულევში, რომელიც სამცხის სხვა ტაძრებთან შედარებით უფრო უშიშარ და მტრისათვის ძნელად მისაქვლევ და მისაწვდომ ადგილს წარმოადგენდა. სრულიად გასაგებია. ამასთან ერთად, როგორც წარწერიდან ჩანს, ქულევის ტაძარი აშენდა და მოიხატა 1381 წელს. ცხადია, საკანონმდებლო კრება 1381 წლის შუადად იქნებოდა მოწვეული. ამიტომ აღბუღას კანონები არ შეიძლება შედგენილი იყოს 1381 წლამდე. ათაბაგი აღბუღა კი ცოცხალი ჩანს 1386 წელსაც. მაშასადამე, საკანონმდებლო კრება მოწვეული უნდა ყოფილიყო 1381—1386 წლებს შორის და კანონთა შედგენაც ამ დროს უნდა მომხდარიყო.

1672 წლის Q 206 ნუსხის მიხედვით ბექასა და ალბუღას სამართლის წიგნი მთავრდება 98-ე მუხლით, თუმცა თვით ტექსტი ცალკე მუხლებად დაყოფილი არ არის.

1672 წლის ხელნაწერის შესწავლამ და ვახტანგის კრებულის S 3683 ხელნაწერთან შედარებამ ცხადყო, რომ 1672 წლის ხელნაწერშიც ძეგლის თავდაპირველი ტექსტი ყველგან დატული არ არის და საკმაოდ დაზიანებულია. აღმოჩნდა, რომ მუხლების ზოგი ნაწილი უკეთესად იკითხება ვახტანგის კრებულის ხელნაწერებში.

1672 წლის ნუსხა ვახტანგის კრებულის ხელნაწერებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ხელნაწერის შესავალში დატულია ალბუღას წინასიტყვაობა და ძვირფასი ცნობები ამ საკანონმდებლო ძეგლის მოქმედების ასპარეზის შესახებ, რომელნიც ვახტანგის კრებულის ხელნაწერებში არ მოიპოვება: „მე, ათაბაგ აჰლანასალარმან აღბულა, მოვაქსენეთ პატრიოსანსა მაწყურერელსა და ბიძა-ძეძა ჩემთა შაშისსა და მისსა საფარის მოძღუარსა პაფუნტის, ხუთსავე თემსა სამცხე-სასა, ტაოველთა. შავშთა და კლარჯთა და მათ შინა მყოფთა ეპისკოპოზთა რ. მელქანოვეთა მოწესეთა მოწმობითა...“ და შემდეგ გრძელდება წინასიტყვაობის ტექსტი ვახტანგის კრებულის ხელნაწერებისაგან ზოგიერთი განსხვავებით.

1672 წლის ხელნაწერის მიხედვით ბექასა და ალბუღას სამართლის წიგნი 98 მუხლის შესაბამის ტექსტს შეიცავს. აქედან ცხადია, რომ ბექასა და ალბუღას სამართლის წიგნი თავდაპირველად სწორედ 98 მუხლისაგან შედგებოდა და დანარჩენი მასალა შემდგომი შემთხვევითა და შევლით არის ამ ძეგლთან დაკავშირებული. ბექას სამართლის წიგნი შესავლის გარდა 65 მუხლს შეიცავს. 66-ე მუხლის პირველი ნაწილი უკვე ალბუღას კანონების შესავალს წარმოადგენს, ხოლო მეორე ნაწილით იწყება ალბუღას სამართლის წიგნი, რომელიც 98-ე მუხლით მთავრდება. მასასადამე, ალბულამ ბექას კანონებს 33 მუხლი დაუმატა. რაც შეეხება თვითონ ძეგლის დაყოფას, როგორც აღვნიშნეთ, 1672 წლის ხელნაწერში ბექასა და ალბუღას კანონების ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის. თუ აღნიშნული ნუსხის მიხედვით ძეგლის სტრუქტურასა და საკანონმდებლო მასალის განლაგებას დაკვირვებით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ როგორც ბექას, ისე ალბუღას თავიანთი კანონები შინაარსის მიხედვით რამდენიმე მთავარ ნაწილად ჰქონიათ დაყოფილი, ისე რომ თვითელი ნაწილი ცალკე საკითხებს ეხება. თვითელი ნაწილი თავდაპირველად ალბათ თავისი სათაური ან ხაზგასმული დასაწყისი უნდა ჰქონოდა. ასეთი სათაურის მაუწყებელი სიტყვები შენარჩუნებულია ძეგლის ზოგიერთ მუხლში; ასეა, მაგალითად, პირველი მუხლის დასაწყისში — „უწინ სისხლისა გვააჩინეთ“, ან მეხუთე მუხლის დასაწყისში — „გერშისა ასრე იქნას“, რაც იმას გვანიშნებს, რომ წინათ ერთგვაროვანი შინაარსის მუხლები ალბათ სათაურებით იყო გამოყოფილი.

ვახტანგის კანონთა კრებულის S 3683 ნუსხაში ბექასა და ალბუღას სამართლის წიგნი მოთავსებულია 254r—277r ფურცლებზე და 176 მუხლს შეიცავს. მუხლები სათავადაც აღნიშნულია ასობით. ალბუღას ორი წინასიტყვაობა და ბავრატ კურაპალატის სამართლის შესავალი ცალკე მუხლებად არის გამოყოფილი (მუხ. ა, მზ. რ). ჩვენს გამოცემაში აღნიშნული წინასიტყვაობანი დატოვებულია შესავლის სახით, რადგან შინაარსით ისინი კანონმდებლობის გარემოებანს მრეკუობრობს და იურიდიული ნორმისათვის დამახასიათებელ ელემენტებს არ შეიცავს.

ამვე დროს ჩვენ საჭიროდ შვიჩინეთ საკუთრივ აღბუღას სამართლის 'მე-სავალი ორ ნაწილად გაგვეყო. პირველი ნაწილი დაეტოვებოდა როგორც კანონმდებლობის შესავალი, ხოლო მეორე გამოეყავით 66-ე მუხლად. ჩვენი აზრით, ასეთი დაყოფა მართებულია. შესავლის პირველი ნაწილი მხოლოდ სჯულმდებლობის საერთო ვითარებას აღწერს, მეორე კი კონკრეტულ დანაშაულს და მის სასჯელს ეხება, რაც სისხლის სამართლის კონკრეტული კანონის დამახასიათებელ ელემენტებს შეადგენს.

ამრიგად, ჩვენი გამოცემის მიხედვით ძეგლი 170 მუხლს შეიცავს, აქედან ბექას სამართალს მიეკუთვნება მუხლები 1—65, აღბუღას — 66—98 და ბაგრატიურაბაღას — 99—160. დანარჩენი მუხლები (161—170) კანონიერი სამართლის ფრაგმენტია. რაც შეეხება 171—175 მუხლებს, ისინი 33, 64, 72 და 81-ე მუხლების განმეორებას წარმოადგენს და შეედომით მიწერილია კანონთა ბლოში.

ახლა განვიხილოთ სამართლის წიგნის სისტემა. ბექას და აღბუღას სამართლის წიგნი ორ წინასიტყვაობას შეიცავს. როგორც ბექას, ისე აღბუღას სამართალს წამძღვარებული აქვს ცალკე შესავალი. ბექას კანონების წინასიტყვაობა აღბუღას ეკუთვნის და მხოლოდ მისი რედაქციით არის შემონახული. უეჭველია, ბექას სამართალს საკუთარი წინასიტყვაობა ექნებოდა, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია.

სამართლის წიგნის უმთავრეს ნაწილს სისხლის სამართლის ნორმები შეადგენს, მაგრამ სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებსაც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. ნაკლები რაოდენობითაა საპროცესო სამართლის ნორმები, რომლებიც სისხლისა და სამოქალაქო-სამართლებრივ მუხლებშია შერეული და ცალკე, დამოუკიდებელი მუხლების სახით თითქმის არ გვხვდება. სამართლის წიგნი იწყება სისხლის სამართლის მუხლებით, რომლებშიც განსაზღვრულია მკვლელობათვის დასაჯრებელი სისხლის იდენობა დაზარალებულის გვარსა, მამულია და ღირსების მიხედვით. პირველ მუხლში განსაზღვრულია დიდებულის სისხლი. მე-2, მე-3, მე-4, მე-7 და მე-9 მუხლები სხვადასხვა კატეგორიის აზნაურთა სისხლს განსაზღვრავს. მე-7 მუხლის მეორე ნაწილი და მე-10 მუხლი მსახურის სისხლს ითვალისწინებს, ხოლო მე-11 მუხლი — გლეხის სისხლს. მე-5, მე-6 და მე-8 მუხლები ქრილობის საზღაურს ადგენს.

სამართლის წიგნის მუხლები დანაშაულთა მიხედვით შეიძლება შემდეგ ჩართად ჩვეულებად დაიყოს: მკვლელობა — 1, 4, 7, 15—17, 22, 36, 38, 96—97; სხეულის დაზიანება — 5—6, 8, 18; შეურაცხყოფა — 18—21; ცილისწამება — 40, 50, 86; სქესობრივი დანაშაული — 23, 26, 41; ქალის მოტაცება — 24, 27, 39, 41, 46—47; ცოლის ან ქმრის დაგდება — 29—30, 32, 46; გაძარცვა — 12—14, 17, 19, 25, 33, 35, 37, 47, 80, 97; ქურდობა — 62—63, 65—66, 92; მეჭრობა — 1-ობა — 90; ღალატი — 33, 40, 59; თვითნებობა — 18, 74, 80.

სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებს შემდეგი მუხლები შეიცავს: საკუთრების უფლება — 42—44, 51—55, 58—59, 71—78, 91—92, 94, 98; გირავნობა — 43—44, 83, 94—95; ნასყიდობა — 45, 55—66, 64, 71, 89, 95; მიბარება — 53—54, 87—88; სესხი — 83, 93—95; ჩუქება — 34, 61, 85; ქირავნობა — 70, 79; თავდებობა — 68—69; თხოვნა

ბა — 67: საოჯახო სამართალი — 31, 34, 39, 48—49, 71—73; მე-
მეტყურობა — 57, 59, 81—82.

სააპოლოლო წყობილება და სასამართლო წარმოება: პატრონი-ათაბა-
გი და მძაყუერელი — 1, 4, 18, 22, 25, 33, 40; ბქე და ბქობა —
3, 4, 20, 27, 34, 84, 88, 90; შუაქაყი — 6, 13, 39, 49, 52, 83—84, 92; ფი-
ცა და მოფიცარნი — 4, 27, 33, 35, 37, 62—63, 65—66, 85—86, 91, 97,
მონქე — 16, 50, 86, 91—92; წერილობითი საბუთები — 60, 68—
72, 76.

ასეთი სამართლის წიგნის სისტემა სამართლის ცალკეული დარგებისა და
ინსტიტუტების მიხედვით.

ოჯახო სამართლის წიგნის ტექსტი დალაგებულია შემდეგნაირად: სისხლის
განაჩენები (მუხლ. 1—4, 7, 9—11, 28, 96—97); გერშის განაჩენები (მუხლ. 3,
6, 8); ზედა-დასახისათვის (მუხლ. 12—15, 17, 25, 37); შუა-მისრულის კაცისათ-
ვის (მუხლ. 16); ხელთა შეპყრობისა და შერცხვენისათვის (მუხლ. 18—21); ძმის
მოკვლა-ათვის (მუხლ. 22); დედაწულის ცოლის მოკვებისათვის (მუხლ. 23);
მოახლის წაგვრისათვის (მუხლ. 24); აშოკობისათვის (მუხლ. 26); ცოლის და-
ღებისათვის (მუხლ. 29); ნაბიჭვარისათვის (მუხლ. 31); ციხის ან ვაკის საჭდო-
მის ღალატისათვის (მუხლ. 33); ქორწილის სანიჭარისათვის (მუხლ. 34); გაუპა-
ტიებისათვის (მუხლ. 35—36); უმზრახ კაცთათვის (მუხლ. 38); ჯვარგაცელილი სა-
ცოლას წაგვრისათვის (მუხლ. 39); პატრონის წინა შესმენისათვის (მუხლ. 40);
ხუცის ცოლს განქიებისათვის (მუხლ. 41); მამულის დაპირებისათვის (მუხლ.
42, 51); წინდისათვის (მუხლ. 43—44); საკარგავის გასაყიდვისათვის (მუხლ. 45);
ცოლს წაგვრისათვის (მუხლ. 46—47); ძმის გაძებისა და სახუხუცესოსათვის
(მუხლ. 48—49); ცოლის წაახებვისათვის (მუხლ. 50); წანახედისათვის (მუხლ.
52); მამულის ან ამანათის შევედრებისათვის (მუხლ. 53, 87—88); მიწის გაკა-
რიელებისათვის (მუხლ. 54—55); საგლეხო ფუძის სყიდვისათვის (მუხლ. 56);
ანდერძისათვის (მუხლ. 57); შვილის გაძებისათვის (მუხლ. 58—59); სასაქმო
წიგნისათვის (მუხლ. 60); სამოყვროდ მიცემისათვის (მუხლ. 61); ნაპარევის გა-
ნაჩენი (მუხლ. 62—63, 65); ბოლარო ცხენის გაყიდვისათვის (მუხლ. 64); მე-
კობრს განაჩენი (მუხლ. 66); დამხუთავი კაცისათვის (მუხლ. 67); ბატონთა და
ყმათათვის (მუხლ. 68—78); ქირავნობისათვის (მუხლ. 79); მიძავალი კაცის და-
ხუთავისათვის (მუხლ. 80); ქერივის სამკვიდროსათვის (მუხლ. 81); ვალისათვის
(მუხლ. 83, 93—95); ყმათა შუა საცილობელისათვის (მუხლ. 84); ქრთამად
(ძღუნად) მიცემისათვის (მუხლ. 85); პავშნით გაყიდვისათვის (მუხლ. 89); ბქისაგან
ქრთამის აღებისათვის (მუხლ. 90); ომში დარჩენილი კაცის ცილებისათვის (მუხლ.
91); დაკარგელის პონისათვის (მუხლ. 92); სისხლ-მცირე კაცისათვის (მუხლ.
98).

ბქასა და აღბუღას სამართლის წიგნის ხელნაწერებში სათაურები მხოლოდ
რამდენიმე მუხლს აქვს (მუხლ. 1, 5, 16, 17, 62, 64). კანონთა ყველა დანარჩენი
მუხლის შინაარსის მიხედვით დასათაურება გაკეთებულია ჩვენ მიერ და ტექ-
სტში ჩამატებული ასეთი სათაურები ყველგან ჩასმულია კვადრატულ ფრჩხი-
ლებში.

ასეთი თანამიმდევრობითაა დალაგებული მუხლები ბექასა და აღბუღას სა-
მართალში. მაგრამ ამასთან ერთად ადგილი აქვს ზოგიერთ არათანამიმდევრო-
ბასაც.

ბექას სამართლის 1—4 მუხლები დიდებულთა და აზნაურთა მკვლელობის სისხლის ოდენობას განსაზღვრავს, მაგრამ მე-4 მუხლის მეორე ნაწილში ლაპარაკია დასახელებულ და დაუსახელებელ მოფიცართა შესახებ, რაც სრულიად შესაბამისია ამ მუხლისათვის. იგი არ გამოიშინებოდა ამ მუხლის შინაარსიდან და არც რაიმე კავშირი აქვს მასთან. ამიტომ მე-4 მუხლის მეორე ნაწილი ცალკე გამოვყავით და კედრატულ ფრჩხილებში [4'] მუხლად აღვნიშნეთ.

მე-5 და 6 მუხლები გერშის ანუ ასოთა კრილობის საზღაურს განსაზღვრავს. მაგრამ მე-7 მუხლი ისევ მკვლელობის საკითხს უბრუნდება და მსახურის მკვლელობის სისხლის ოდენობას ადგენს. მე-8 მუხლი კი კვლავ ასოთა კრილობის — კბილას ჩაგდებინების საკითხს ეხება. მე-9, 10 და 11 მუხლები ისევ სხვადასხვა კატეგორიის აზნაურთა და გლეხთა მკვლელობის სისხლის ოდენობას განსაზღვრავს. ცხადია, მუხლები საგნობრივი თანამიმდევრობით დალაგებული არ არის. საფიქრებელია, რომ კანონთა წიგნის შედგენის დროს როგორც მკვლელობის სისხლს განმსაზღვრელი მუხლები, ასევე ასოთა კრილობის საზღაურის დამდგენ მუხლები ერთმანეთის თანამიმდევრობით იქნებოდა დალაგებული და ალბათ. ასეთი განლაგება დარღვეულია ნუსხების შემდგომი გადაწერის დროს. ამიტომ ზემოხსენებული მუხლები გადაადგილებული უნდა იქნეს ასეთი თანამიმდევრობით: მე-7, 9, 10 და 11 მუხლები, რომლებიც მკვლელობის სისხლს განსაზღვრავენ, უნდა იყოს, მე-5, 6, და 8 მუხლების ადგილას, ხოლო მე-5, 6 და 8 მუხლები. რომლებიც ასოთა კრილობის საზღაურს ადგენენ, — მე-9, 10 და 11 მუხლები ადგილას.

სამართლის წიგნის 28-ე მუხლიც, რომელიც დიდებულთა და აზნაურთა სისხლის საზღაურს განსაზღვრავს, თავის ადგილას არ არის. ისიც გადატანილი უნდა იქნეს სამართლის წიგნის ზემოხსენებულ შესაბამის მუხლებთან, სადაც ლაპარაკია დიდებულთა და სხვადასხვა კატეგორიის აზნაურთა მკვლელობის სისხლის შესახებ.

არც სამართლის წიგნის 22-ე მუხლია თავის ადგილას. ეს მუხლი ძმის მკვლელობას ეხება. წინა მუხლები (18—21) სოციალურად თანასწორი კაცის მიმართ გამაწვილებელი მოქმედების ჩადენას ეხება, ხოლო მომდევნო, 23-ე მუხლი — ცოლიანი კაცის მიერ ქმრიანი ქალის გაწვილებას ცხადია, რომ 22-ე მუხლი თავიდანვე აქ არ უნდა ყოფილიყო.

სამართლის წიგნის 24-ე მუხლი მოახლის მოტაცებისათვის ორი მსახურის სისხლის ანაზღაურებას მოითხოვს. წინა 23-ე მუხლში, როგორც უკვე ითქვა, ლაპარაკია მრუშობაზე, ხოლო მომდევნო 25-ე მუხლში — სასაფლაოზე თავდასხმის შესახებ. ქალის მოტაცებაზე კი ლაპარაკია 27-ე, 39, 46 და 47 მუხლებში. თემატურად 24-ე მუხლი, ცხადია, ამ მუხლებთან უნდა იყოს.

თანამიმდევრულად არაა დალაგებული ის მუხლებიც, რომლებიც ზედადასახელებულს ეხება (12—15, 17, 25 და 37). იგივე უნდა ითქვას მამულის დაჭირების შესახებ (მუხლ. 42, 51). 53-ე მუხლი მამულის შეეცდრებას ეხება, ხოლო ამანათის შეეცდრება გათვალისწინებულია 87-ე და 88 მუხლებში. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ 53-ე მუხლი ბექას სამართალს ეკუთვნის, ხოლო 87—88 მუხლები — აღბუღას. როგორც ჩანს, აღბუღას საკანონმდებლო კრებას სისტემატური მთლიანობაში არ მოუყვანია ორივე სამართლის წიგნის მსგავსი მუხლები. იგივე უნდა ითქვას საკუთრივ აღბუღას სამართლის წიგნზეც. 83-ე მუხლი ვალის საკითხებს აწესრავებს. ამავე საკითხებს ეხება სამართლის წიგნის 93—95 მუხლები. ცხა-

ღია. ეს მუხლები ნუხების შემდგომი გადაწერის დროსაა გადაადგილებული და თავდაპირველად ერთად უნდა ყოფილიყო.

აღბულას სამართლის 96-ე და 97 მუხლები ვაჰართა მკვლელობის სისხლისა და ასოთა კრილობის საზღაურს განსაზღვრავს. როცა ბექას სამართლის მე-4 მუხლის ბოლოს შენიშვნაში აღბულა მიუთითებს — „ვაჰართა ქვემოთ სწერიაო“, მას სწორედ ზემოხსენებული მუხლები აქვს მხედველობაში. 97-ე მუხლში კი ნათქვამია: თუ სავერშო, ე. ი. კრილობა აინდეს, „როგორც ზემოთ სწერია“. იმ წესით დაუერვოსო. ცხადია, აქ კანონმდებელი გულისხმობს ბექას სამართლის მე-5, 6 და 8 მუხლებს, რომლებიც გერშის ანუ კრილობის საზღაურს ადგენენ. ამიტომ 96-ე და 97-ე მუხლები საკანონმდებლო მასალის სისტემური დალაგების თვალაზრისით სწორედ ბექას სამართლის ხსენებულ მუხლებთან უნდა იყოს.

ბექასა და აღბულას სამართლის წიგნში გვეხედება ანალოგიური მუხლებიც. ერთგვაროვან საკითხებს ეხება 42-ე მუხლი და 56-ე მუხლის მეორე ნაწილი, 43-ე და 51 მუხლები; 61 და 85 მუხლები და ზოგიერთი სხვა.

ასეთია სამართლის წიგნის ზოგიერთი მუხლის არათანმიმდევრულად გადმოცემის შემთხვევები. სხვა მხრივ, როგორც დაინახეთ, სამართლის წიგნში დაცულია მასალის დალაგების გარკვეული სისტემა.

სამართლის წიგნის 36-ე მუხლი მკვლელობას ეხება, მაგრამ ნათლად არა ჩანს, თუ რა პირობებში ჩადენილ მკვლელობაზეა ლაპარაკი. ამ მუხლის გაგებასათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს 35-ე მუხლი, რომლის მეორე ნაწილს უნდა შეადგენდეს 36-ე მუხლი. 35-ე მუხლი ეხება მიხლომა-ღარბუვას — ქონების გატაცებასა და დაქარა-მკვლელობას, ხოლო 36-ე მუხლი — კერძოდ მკვლელობას.

ასევე ბუნდოვანია 55-ე მუხლი, რომელშიც გარკვევით არა ჩანს, თუ ვის ეხება იგი. ჩვენი აზრით, ეს მუხლი მეორე ნაწილია 54-ე მუხლისა, რომლის პირველ ნაწილში ლაპარაკია უკაცრიელი მამულის გაშენებისა და გაკაცრიელების შესახებ. ამ ორი მუხლის ერთიანობა ჩანს 55-ე მუხლის უკანასკნელ აზნაციდანაც. რომელიც ამაზე თუმცა პირდაპირ არ მიუთითებს, მაგრამ შენაშნავს. „იმა წესითა სთხოოს, რომე ზემოთ სწერია“-ო. უდავოა, რომ აქ კანონმდებელი 54-ე მუხლს გულისხმობს.

მეტად ბუნდოვანი და ძნელად გასაგებია აღბულას სამართლის 67-ე მუხლი. თათქოს ანალოგიურ საკითხს ეხება სამართლის წიგნის მე-80 და 87-ე მუხლებიც. 67-ე და 87-ე მუხლებში ლაპარაკია ნათხოვარი ან მიბარებული ნივთის წაღებასა და დახუთვაზე, ხოლო მე-80 მუხლში — მიმავალი ან გაგზავნილი კაცის დახუთვაზე. ამ ორი მუხლის გაგებაში გვეხმარება ვახტანგის სამართლის 174-ე და 2072-ე მუხლები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ანალოგიურ ურთიერთობას აწესრიგებს.

67-ე მუხლის ერთი ადგილის გაგებასათვის შეიძლება კვლავ ვახტანგის სამართლის 2072-ე მუხლი მოვიშველიოთ. 67-ე მუხლში ნათქვამია: „რაცა მოქცობრისათვის არა გაუშვას, იგი რაცა საქონლისა პატრონმა დაიფიცოს, რომე წახმოვლეს“. მსგავს ფორმულას შეიცავს ბექას სამართლის მე-15 მუხლიც. გაგებარია, რას ნიშნავს „მოყვრობისათვის არა გაუშვას“. ვახტანგის სამართლის 2072-ე მუხლში ნათქვამია: „კაცს რომ კაცის რა გინდა რა საქონელი ებაროს. ესეც აბარო. იმან რომ თვისი ბატონი გაუწყრეს და აიკლოს. და ის მიბარებული საქონელიც თან გაატანონ. იმასი ასრე იქნას: თუ დასთმოს იმ კაცმა მოქ-

ერობით და მეზობლობით... კარგია; და თუ სთხოვა, უნდა მისცეს, თავისას არას ემართლების“. თუ ამ ორივე მუხლში ანალოგიურ ურთიერთობებთან გვაქვს საქმე, მაშინ ბექასა და აღბუღას სამართლის მე-15 და 67-ე მუხლების ფორმულა: „მოყვრობისათვის გაშვება“, ვახტანგის სამართლის 2072-ე მუხლის „მოყვრობით დათმობას“ უნდა ნიშნავდეს.

აღბუღას სამართლის 671-ე მუხლის შინაარსის სარწმუნოდ დადგენა ერთობ ძნელია. ბექასა და აღბუღას სამართალში საგარანო რაოდენობით გვხვდება ასეთი ძნელად გასაგები მუხლები. მათი აზრის გაგებაში მკითხველს ამ ძეგლს 1960 წლის რუსული გამოცემა დაეხმარება („Судебник Бека и Агбуга“, 1962, გვ. 33—79).

რაც შეეხება ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის შედგენილობას, წყაროებსა და ზოგიერთ სხვა საკითხს. ისინი დაწერილებით განხილულია ჩვენს ნაშრომში „ძველი ქართული სამართალი“ (1953, გვ. 9—280).

ბაგრატი კურაპალატის სამართალი

(მუხლ. 99—100)

ბაგრატი კურაპალატის კანონებს პირველად ყურადღება აქად. ივ. ჯავახიშვილი მაიაქია. 1909 წელს დაბეჭდილ წერილში „ქართული სამართლის ისტორიის“ წყაროების შესახებ (იხ. აღმანახი „ერი“, № 1) მან მიუთითა, რომ ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოში დართული კანონები (მუხლ. 99—103) ეკუთვნის მეფე ბაგრატი მესამე კურაპალატს (978—1014). რაც შეეხება დანარჩენ მუხლებს (მუხლ. 104—176), ისინი ბაგრატი მესამეს არ მიეკუთვნება და საქიროა მათი შემდგომი კვლევა-ძიებით დადგენა.

ორიოდე წლის შემდეგ ბაგრატი კურაპალატის სამართლის საკითხს შეეხო პროფ. ს. კაკაბაძე: „ამ სჯულმდებელის ბაგრატი სამართალი, რომელიც დ. ჩუბინოვის გამოცემით 77 მუხლს შეიცავს, ჭერ სრულიად შეუძენველი იყო, ხოლო შემდეგ მისი შედგენა მაიაქუთენს მე-11 საუკუნეს. მაგრამ როგორც გარეგანი სტილისა, ისე რეალური შინაარსის მიხედვით ყოველ შემთხვევაში ეს სამართალი ასე ადრინდელ დროს შეედგინოთ. ერთის შეხედვით ის წარმოადგენს შუასაუკუნეების ბოლოდროინდელ ნაწარმოებს. ამ საკითხის გარკვევის აზრს გარემოება აფერხებდა, რომ ჩვენმა ისტორიამ არ იცის არც ერთი მეფე ბაგრატი კურაპალატის სახელწოდებით შემდეგ მე-11 საუკუნისა“. („სჯულმდებელი ბაგრატი კურაპალატი“, 1912, გვ. 3). ს. კაკაბაძის აზრით, სჯულმდებელი ბაგრატი კურაპალატი იყო რაჭა-არგვეთის (ჩხარის) მფლობელი ბაგრატი მეფე, რომელიც 1541 წლიდან რაჭა-არგვეთის ტერიტორიას ფლობდა.

მაგრამ 1924 წელს დაბეჭდილ წერილში „ეგრედ წოდებული ბაგრატი კურაპალატის სამართლის შესახებ“ იძულებული ვახდა უარყო მის მიერ გამოგონალი რაჭა-არგვეთის სამეფო დინასტია და მასთან სჯულმდებელი ბაგრატი კურაპალატის საკითხის დაკავშირება. ამავე დროს წამოაყენა ახალი მოსაზრება, რომელიც ასეთი სახით ჩამოაყალიბა: „ჩვენის აზრით შესაძლებელია დამუშავდეს იქნას, რომ ეგრედ წოდებული ბაგრატი სამართალი არის სწორედ ის „დიდისა ბრძობისა განაჩენი“, რომელიც იხსენიება ეპინასქთა 1455 წლის სასისხლო სიგელში და რომელიც, როგორც სჩანს, შეიცავდა სასისხლოს დეტალიზაციას

ცალკე დანაშაულობათა მიხედვით. ხოლო ვინაიდან „დიდისა ბრჭობისა განაჩენი“ მოქმედობდა აღმოს. საქართველოში, ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ბაგრატ, კურაპალატად წოდებული, არ უნდა ყოფილიყო ლიხთ-იმერეთის მე-15 საუკუნის პირველ მეოთხედში მეფედ ცნობილი ბაგრატი, მამა. ვახტანგ გორგასალად წოდებულისა, არამედ ძმა დიდ ალექსანდრე მეფისა...

ამიტომაც და სასისხლო სიგელებთან დაკავშირებით ახლად მოპოებულ აბუთიანობის მიხედვით გამოდის, რომ ეგრედ წოდებული ბაგრატ კურაპალატს სამართალი, რომელიც მოსდევს აღბუღას სამართალს (§§ 98—175), შედგენილი უნდა იყოს დიდ ალექსანდრე მეფის დროს დიდი ბრჭობის მიერ. მთავარი მოღვაწე ამ საქმისა უნდა ყოფილიყო ალექსანდრე მეფის ძმა ბაგრატ, რომელიც, როგორც სჩანს, კურაპალატის ზედმეტ სახელს ატარებდა. ბაგრატის სამართალი ამგვარად უნდა იყოს დიდი ბრჭობის განაჩენი და ამ სახელით ის ცნობილი ყოფილა მე-15 საუკუნის ნახევარში. სამართალი (=დიდისა ბრჭობისა განაჩენი) შედგენილი უნდა იყოს 1420—1440 წლებში“ (საისტორიო მოამბე, II, 1924 წ., გვ. 246—247).

მაგრამ ზემოთ მოტანილი მოსაზრებაც. მისი დაუსაბუთებლობის გამო საბუნებრო ლიტერატურაში არ გაიზიარა.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის საკითხს ეხება პროფ. ივ. სულაძეც. მისი აზრით, სამართლის წიგნის 99—103 „მუხლების ბაგრატ კურაპალატისად აღიარება ჭერჭერობით მხოლოდ ვარაუდისა და საკითხი კიდევ გამოსარკვევი რჩება“ („საქ. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“, 1952, გვ. 73). დასახელებული ნაშრომის 75-ე გვერდზე ავტორი წერს: „99-ე მუხლიდან 103-ე მუხლამდე ბაგრატ კურაპალატის უნდა იყოს (მესამის ან მეოთხის)... 103 მუხლის მომდევნო მუხლების ავტორები უცნობია ჩვენთვის; უცნობია აგრეთვე მათი შედგენის დროც... ამ მუხლების ავტორები სხვადასხვა პირია; ნაწილი მუხლებისა შეიძლება მიეწეროს ბაგრატ კურაპალატს... ნაწილი შეიძლება ამოღებული იყოს საეკლესიო დადგენილებიდან ან შედგენილი იყოს ეკლესიის წარმომადგენლების მიერ, მაგრამ როდის — ძნელი სათქმელია.

როგორც ჩანს, 99-ე მუხლიდან დაწყებული ბოლომდე ყველა მუხლი ერთიან რედაქციასთან მოყვანილი უცნობი ავტორის მიერ. უკანასკნელს, ბაგრატ კურაპალატის სამართლისა და საეკლესიო დადგენილების გარდა, შეიძლება ხელთ ჰქონდა სხვა ძეგლებიც. საფიქრებელია, რომ საერთო რედაქცია საეკლესიო კრებამ ან, საერთოდ, ეკლესიის წარმომადგენლებმა გააკეთეს“.

ბაგრატ კურაპალატის კანონთა დროისა, ავტორობისა და შედგენილობის საკითხი საკმაოდ დაწვრილებით განხილული გვაქვს სხვა ნაშრომში („ძველი ქართული სამართალი“, 1953 წ., გვ. 43—60). ამიტომ აქ მხოლოდ გავიშვორებთ ჩვენს აზრს: სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი უნდა იყოს მეფე ბაგრატ IV (1027—1072), რომელსაც მიეკუთვნება ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოში დართული კანონები (მუხლ. 99—160).

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში გათვალისწინებულია შემდეგო სახის დანაშაული: მკვლელობა — 117, 135, 150, 159—160; სხეული დაზიანება — 124—125, 142—144, 151; შეურაცხყოფა — 106—107; ცილისწამება — 120, 132, 145—146; სქესობრივი დანაშაული — 105, 139; ქალის მოტაცება — 115; ცოლის დაგდება — 140; გაძარცვა — 109—116, 118—119, 121—123, 138, 141, 148, 152; ქურ-

ღობა — 116, 137; ღალატი — 117, 136, 149, 152; თეთნებობა — 101—104, 147, 159.

სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტები: გაყრა — 153—158; სასამართლო წყობილება და სასამართლო წარმოება: ბჭე და ბჭობა — 99—100; ფიცი და მოფიცარნი — 113—144, 119—120, 140, 145; წერილობითი საბუთები — 157—158.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის გავლენა ემჩნევა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობას. იგი, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს სხვა ადგილას, ბეჟასა და აღბუღას სამართლის წიგნის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს (იხ. „ძველი ქართული სამართალი“. 1953, გვ. 101—103). გარდა ამისა ბაგრატის სამართლის მთელი რიგი მუხლები სთანადო რედაქციით შეტანილია შექმდგომა პერიოდის სამეფო სიგელებსა და სისხლის განაჩენებში.

მავალითისათვის დაეიშოფებთ ორ სიბუთს: მეფე გიორგი IX-ის 1460 წლის სიგელში, რომელიც გიორგი ელრულს ებოძა, ნათქვამია შემდეგა: „...რა გინდა ვინ დაგიშოს, მისნი ბრჭენი და გამჩენენი იყუნენ ანუ ებისკოპოსნი, ანუ დარბაზისა კარის ვაზირნი და მოსამართლენი კაცნი, ანუ ქალაქისა ვაჟარნი და ყოველთა ქუეყანათა მავალნი და მნახუელნი კაცნი, ანუ ლთის მოშიშნი და სულისა კერძნი კაცნი, და ანუ ქუეყანისა მამასაბლსნი და ძუელნი კაცნი“ („საქ. სიძე.“, I, 1899, გვ. 5).

ზემოდასახელებული სხვადასხვა წოდებისა და მდგომარეობის ბრჭე კაცნი მოხსენიებული არიან ბაგრატ კურაპალატის სამართლის მე-100 მუხლში: „ეინცა მოძღუარი იყოს. ანუ მეფეთა წინაშე ზღირა და ნაშყოფი კაცი იყოს, ანუ კარგი დიდ-ვაჟარი, ანუ კარგა სოფლისა მამასახლარი იყოს... ის დასვი ბჭედ, ქუეიანი იქნების. და კარგად ეცოდინებოს ბჭობა და უსამართლოს არას იტყვს“. ჩანს, რომ 1460 წლის სიგელს დამოწმებული ადგილი ზოგიერთი ცვლილებით ბაგრატ კურაპალატის სამართლიდანაა აღებული.

მეფე სიმონ პირველი 1593 წელს წყალობის წიგნს უბოძებს გედუან შალაპეს სისხლის განჩინების შესახებ. სიგლის შესავალში ნათქვამია: „...ქუენით მოკითხული და ძუელთაგან ძუელთა მეფეთა ჩუენთა გუართაგან... სიგელნი ჰქონებოდეს და ეამთა სიგრძისაგან დაძუელებულნიყუნეს... და განუჩინეთ სამართალი სისხლისა“.

მოგვიყავს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის მუხლები და შესაბამისი ადგილები 1593 წლის წყალობის წიგნიდან.

ბაგრატ კურაპალატის სამართალი

1593 წლის წყალობის წიგნი

106. თუ კაცმან ხუცისა ცოლი მოაყივნოს, გინა უზესთაესმან, გინა უჭუედაესმან, მისსა სისხლსა სამოცი ათასი თეთრი სხუაჲ ემატოს.

147. თუ აზნაურმან კაცმან აზნაურსა ნაბჭობი სისხლი დაუჭიროს, ათო ათასი კიდევ სხუაჲ დაუჭრეს.

120. თუ კაცმან კაცსა უსამართლოდ აგინოს ლაშქარსა ზედა, ოთხი ათასი თეთრი დაუჭრეს.

თუ ხუცესსა ცოლი მოუტყუოს, სრულსა სისხლსა ორმოცი ათასი ემატოს.

თუ ნაბჭობი [სისხლი] ვინმე[მ] დაუჭიროს. ოცი ათასი თეთრი სხუა ეზლოს და ნაბჭობიცა შეეჭკეს. თუ აგინოს ვინმე პირდაპირ, ხუთი ათასი დაუჭრეს.

130. თუ დიაცი აგინოს, თორმეტი გლეხი დაუტრეს მარტივითა საკსრო-
ზა.

127. თუ უსამართლოდ დიდმან კაცმან თავისსა ამხანაგსა მუქარა ათხოოს, ათი ათასი დაუტრეს.

124. წაპარვითა თვალისა ცურა, ქელ-ფერკინა დაგერშა, პირისა და-
ლი, — ესე სამი სისხლისა ნახევარი არს.

125. თუ უჩინარსა ადგილსა იყოს, მას გერში მართებს.

141. თუ ჭოგი წაასხან, რაზომისა-
ცა სულია იყოს, მამაციისა თუ დია-
ცისა, თავის-თავისად გამარცხილისა
საუპატიოდ დაუტრეს: მამაციისა —
ორი ათასი, დიაციისა — სამი ათასი
და ჭოგი უქლებლად შეეპყეს.

133. თუ კაცი კაცსა ზედა საღალა-
ტოდ წაეიდეს, თუ მანვე დაშალოს,
ანუ სხუთა დააშლევიონ, არა ზედა-
აყ.

134. თუ გამართოს და იგი კაცი
ღმერთმან მოარჩინოს, ექუსი ათასი
თეთრი დაუტრეს სიკუდილისა ცდი-
სათვის, სამი ათასი შეეყრების ცოდ-
ვისათვის.

132. თუ უსამართლოდ პატრონსა
წინა შეასმინოს, სრული სისხლი მარ-
თებს, ამაღ რომე მისით გამოიმეტა.

136. თუ კაცმან მეზობელი გასცეს,
ნახევარი წამლებმან ზღოს და ნახე-
ვარი გამცემელმან დაუტრეს საპა-
ტიჯო.

138. მეკობრისა და ზედა-დამსხმე-
ლისა სისხლი არ არის.

ზემოთ დამოწმებულა წყაროებიდან ჩანს, რომ ბაგრატ კურაპალატის სამარ-
თალმა გარკვეული გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაზე.

თუ დიაცი აგინოს, ათი ათასი
დაუტრეს საუპატიოდ.

თუ უსამართლოდ მუქარა სთხო-
ოს, თორმეტი ათასი დაუტრეს.

ნაკრავითა თვალისა წაყრა, ქელ-
ფერკინა დაშეგება, პირისა დალი...
ნახევარისა სისხლისა არის.

თუ უჩინარსა ადგილსა დალი და-
სუას, ორი გერში დაუტრეს.

თუ ჭოგი ჰყუეს და მოსტაცოს
ვინმე, რაზომისაცა სულისა იყოს,
თუის-თუისად გამარცხული და ორ-
კეცი საუპატიოდ ედღათა დაუტრეს
და ერთი მამაციისა, და ცხენებიცა
უქლებლად შეეპყეს.

თუ ვინმე საღალატოდ წაეიდეს
და თავადვე დაშალოს ანუ სხუთა
დააშლეკონ, არა ზედა-აყ.

თუ გამართოს და სიკუდილსა
ეცადოს, და ესევეთარი კაცი ღმერ-
თმან მოარჩინოს, მისგან მკუდარი
იქნების და ნახევარი სისხლი დაე-
ტრეს სიკუდილისა ცდისათვის.

თუ პატრონს წინა უსამართლოდ
შეასმინოს, ოციათასი თეთრი დაე-
ტრეს.

თუ გასცეს, ნახევარი გამცემან
და ნახევარი წამლებმან გარდაიკა-
დოს, რაცა შეჰცდეს.

თუ მეკობრე დამსხმელი და გამ-
წე მოკლას, მისი სისხლი არ ეთხო-
ოს. („ქართულ-სპარსული ისტორიე-
ლი საბუთები“, ვლ. ფუთურიძის
გამოცემა, 1955, გვ. 46).

აკაღმკიცსმა ივ. ჭავჭავაძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოში დართული მუხლები (161 — 170) თავისი შინაარსითა და სასჯელის თვისებური სახით განსხვავდება ძველის სხვა მუხლებიდან. აღნიშნული მუხლების ტექსტი ბექას და აღბუღას კანონებს არ უდგამს. მათ ახასიათებთ განსაკუთრებული ნიშნები, რომლებიც არც ბექასა და არც აღბუღას სამართლის წიგნის სხვა მუხლებს არ მოეპოვება. თითოეულ ამ მუხლში ძირითად სასჯელს მომატებული აქვს დამნაშავეის წყევლა-კრულვა და შეჩვენება — „კრულ და წყევლ შეჩვენებულ იყავან“. დამნაშავეის წყევლა-კრულვა, მოციქულთა და წმინდათა კრებათა კანონების ქვეშ დაყენება, რასაც ზემოაღნიშნული მუხლები შეიცავს, ამ კანონებს განსაკუთრებულ საკლესიო ელფერს აძლევს. რაც საერო სამართლის ძეგლისათვის დამახასიათებელი არ არის.

161—170 მუხლები თავისი თვისებებით ძალიან ემსგავსებიან კათალიკოსთა სამართლის წიგნის კანონებს, რომლებიც XVI საუკუნის საკლესიო კოეპან ძეგლის წერას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული მუხლები ბექა-აღბუღას კანონმდებლობის ორგანული ნაწილი რომ არ არის, იმიტომ დასტურდება, რომ 161 მუხლში აღნიშნული დანაშაულის (დაღატოვების) შესახებ ლაპარაკია ძეგლის სხვა მუხლებშიც. სადაც კანონმდებელი განსხვავებულ, უფრო მსუბუქ სასჯელს ადგენს. 161-ე მუხლში ლაპარაკია დაღატოვების შესახებ; სასჯელად დაწესებული ორკაცი სისხლი, რომელსაც ემატება „კრულ და წყევლ-შეჩვენებულ იყავან“. ამავე დანაშაულისათვის 117-ე მუხლში ნათქვამია: „თუ ვინ კაცმან დაღატოვ მოკლას, თორმეტი ათასი სისხლსა ემატოსო“. აკადემიკოსი ივ. ჭავჭავაძის მიხედვით სამართლიანად შენიშნავს, რომ შეუძლებელია ეს ორი მუხლი ერთსა და იმავე კანონმდებელს ეკუთვნოდეს, რადგან ერთსა და იმავე დანაშაულზე (დაღატოვების) 161-ე მუხლი ითვალისწინებს მეტად მძიმე სასჯელს—დანაშაულის შეჩვენებას და ამის შეჩვენებასაც, ვინც მკვლელს ხელი გაუშვარა, ხოლო 117-ე მუხლი თვითონ მკვლელს სასჯელად უწესებს ერთი სისხლის გარდა თორმეტი ათასი თეთრის გადახდას და არც მას და არც მის მფარველს კრულვა-შეჩვენებით არ ემუქრება. ცხადია, რომ ერთ კანონმდებელს არ შეუძლო ასეთი ორი განსხვავებული სასჯელი დაეწესებინა ერთსა და იმავე დანაშაულისათვის.

ასევე ძმის მოკვლის შესახებ ლაპარაკია ბექას კანონების 22-ე მუხლში. რომელიც მკვლელს ორკაცი სისხლის დაუტყვევებს, მაშინაც ჩამორთმევასა და გადახვეწას უწესებს; თანაც კანონი ითვალისწინებს დამატებით სასჯელს: ეპისკოპოსმა დანაშაულს ცოდვის მოსაწინააღმდეგე საეკლესიო სასჯელი უნდა დააწესოს. ამრიგად, მკვლელი გაძევებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ სიცოცხლეს ინარჩუნებდა. იმავე 161-ე მუხლით კი, ძმის მკვლელს ორკაცი სისხლს რომ გადაახვეწებდნენ, შემდეგ შეჩვენებდნენ და, ერთადერთი შეჩვენებულს. ვერაინ მიუკარებოდა, არავის არ უნდა ეშველა მისთვის და, თუ ვინმე მფარველობას აღმოუჩენდა, ისიც წყევლ-შეჩვენებული იქნებოდა. ამრიგად, 22-ე 117-ესა და 161-ე მუხლებში ერთსა და იმავე დანაშაულისათვის სამი განსხვავებული სასჯელია გათვალისწინებული. აღნიშნული მუხლებიც სხვადასხვა დროის საკანონმდებლო მოღვაწეობის ნაყოფი უნდა იყოს.

მსგავს მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ძეგლის სხვა მუხლებშიც. 165-ე მუხლი ცოლის ძალით მოტაცებას ეხება. ამავე დანაშაულს ეხება 135-ე მუხლიც. ორივე მუხლი ერთნაირ ძირითად სასჯელს აწესებს, დამნაშავემ დაზარალბულს სრული სისხლი უნდა დაუტუროს, — მაგრამ განსხვავება იმაშია. რომ 165-ე მუხლი მეტად მძიმე დამატებით სასჯელს — წყევლა-კრულვასა და შეჩვენებას ითვალისწინებს. ეს ორი მუხლიც სხვადასხვა კანონმდებელს უნდა ეკუთვნოდეს.

167-ე მუხლის მიხედვით, თუ ქურდობა ჩადენილია ისეთ ადგილას, რომელიც „საპატიო ადგილად“ (ხაზინა, ეკლესია და სხვ.) არ ითვლება, დამნაშავემ ნაპარეკო უკლებლივ უნდა დააბრუნოს და გარდა ამისა მას წყევლა-კრულვა და შეჩვენება უნდა შეეუარდოს. ხოლო, თუ დანაშაული ჩადენილია საპატიოსა და მისარიდებელ ადგილას („საპატიო ადგილას“) დამნაშავეს „ორნივე თვალნი დაეწუნენ და ანუ კელ-ფერკი დაეკრას“. ამავე დროს ბექას სამართლის 62-ე მუხლი ასეთივე დანაშაულისათვის გაცილებით უფრო მსუბუქ სასჯელს ადგენს, ნაპარეკის ორკეცად გადახდევინებით კმაყოფილდება: „ნაპარეკი მისცეს და ერთი ეზომი სხუა“. ცხადია, რომ 167-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელი გაცილებით უფრო მკაცრია, რამდენადაც, გარდა შიშობის ანაზღაურებისა, წყევლა-კრულვასა და შეჩვენებას აწესებს. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის აზრით, 167-ე მუხლი უფრო ძველი კანონმდებლობის შთაბეჭდილებას ახდენს; ამ მუხლში გათვალისწინებული სასჯელი — თვალთა დაწვა და ხელფეხის მოკრა — თამარ მეფის წინა პერიოდში იყო გაერყელებული და თამარ მეფეს გაუქმებია. დამახასიათებელია, რომ 152-ე მუხლი თვალთა დაწვისათვის მოითხოვს მეფის ან უდიდებულესი კაცის თანხმობას. თამარის ხანაშიც ამ სასჯელის შეფარდებისათვის მეფის თანხმობა იყო საჭირო, როგორც ამას აღნიშნავს თამარ მეფის ისტორიკოსი. თამარ მეფემ ამ უფლებით უსარგებლია და ასეთ სასჯელზე თანხმობას არ იძლეოდა. უკანონო სასჯელები ქურდობის მიმართ ისევე აღადგინა XVI საუკუნეში „კათალიკოსთა სამართალმა“. რომელიც დამნაშავეს ქურდობისათვის სიკვდილით დასჯასა და ხელის მოკვეთას უწყესებდა.

ამრიგად, ბექასა და აღბუღას კანონების ბოლოში დართული მუხლები (161 — 170) თავისი შინაარსით არც ერთ დღემდე ცნობილ სამართლის ძეგლს არ უდგება. ზემოთ მოყვანილი მუხლები სასჯელთა სიმკაცრით კათალიკოსთა სამართლის წიგნს უახლოვდება, მაგრამ ამგვარი თვისებები შეიძლება თამარ მეფეზე უწინარესი ხანის ძეგლსაც ჰქონოდა.

ზემოაღნიშნული მუხლები საეკლესიო სჯულმდებლობის ფრაგმენტია, რომელიც განსაკუთრებულ სასჯელებს ითვალისწინებს. 165-ე, 168—170-ე მუხლების დასასრულს გათვალისწინებული სანქცია, რომ დამნაშავემ „კანონსამცა ქუეშე იქნების წმიდათა მოციქულთასა“, კანონიკური სამართლის ფორმულას შეადგენს და ამიტომ ძეგლსაც კანონიკური სამართალი ეუწოდეთ.

კანონიკურ სამართალში გათვალისწინებულია შემდეგი სახის დანაშაული: მკვლელობა — 161, 164, 166; სხეულის დაზიანება — 162; ქალის მოტაცება — 165; გაძარცვა — 163, 166, 167, 168; ქურდობა — 167; თვითნებობა — 166; ვენახისა და ხეხილის დაჭრა ან ყანის დათიბვა — 169; ცეცხლის წაკიდება — 168—170.

მართალია, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის წინამდებარე გამოცემის კომენტარებში ევროპა საკითხებს არ ეხებები, მაინც მიზანშეწონილად მივიჩნით სისხლის სამართლის ორი უმნიშვნელოვანესი ტერმინის განხილვა.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოს დართული ბაგრატ კურაპალატის სამართლის 159-ე მუხლი ჩვენი გამოცემის ორივე უძველეს ხელნაწერში ასე იწყება: „საპირო და სანახები რომე წინა გასაძღუანებელი არს“. რას ნიშნავს „საპირო და სანახები“? ცნობილი მკვლევარი ნ. ურბნელი აღნიშნულ მუხლს ათაბაგ აღბუღას სამართლის მუხლად თვლიდა და წერდა: „...ათაბაგი აწესებს სხვა გარდასახადსაც — „საპირო და სანახებს“, რომელიც სულისა წინა გასამძღვანებელია... როგორც სახელწოდებაც უჩვენებს, საპირო დასანახები ანუ სულისა წინა გასამძღვანებელი მხოლოდ მოკვლისათვის იყო დადებული“ (ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, 1892, გვ. 261—262). ამრიგად ნ. ურბნელს „საპირო დასანახები“ გადასახადის სახეობად მიაჩნია. მაგრამ, როგორც გამოიკვია, ხელნაწერებში ამ მუხლის ტექსტი შერყვნილია. ტექსტის ასეთი დამახინჯება აიხსნება იმით, რომ ღრთთა განმავლობაში ნუსხების გადამწერთ ვერ გაურჩევიათ და ერთმანეთში აურევიათ მსგავსი მოყვანილობის ხუცური ასოები ბ და შ. ტერმინი „საპირო“ ხელნაწერებში სწორადაა დატული. მაგრამ ფრაზის მეორე ნაწილი — „და სანახები რომე“ აშკარად დამახინჯებული ჩანს. ამიტომ ჩვენს გამოცემაში ეს ადგილი აღდგენილია ასე: „საპირო და სანახშირო“. ასეთი აღდგენა რომ მართებულია, ეს დასტურდება სხვა წყაროებითაც, სადაც „საპირო და სანახშირო“ ერთად იხსენიება, ხოლო „საპირო და სანახები“ ერთად არასდროს გვხვდება.

საპირო და ძველი ქართული იურიდიული ტერმინია, რომლის ეტიმოლოგია და იურიდიული შინაარსი დღემდე დადგენილი არ არის. ზოგაერთი მოსაზრება ამ ტერმინის შესახებ ჩვენ გამოთქმული გვაქვს სხვა ადგილას (იხ. „ძველი ქართული სამართალი“, 1953, გვ. 219—221). ეს ტერმინი არ გვხვდება სულხან საბა ორბელიანისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. არც ქრონიკებსა და სხვა ნარატიულ წყაროებშია იგი დამოწმებული. ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებიდან „საპირო“ მხოლოდ ბაგრატ კურაპალატის სამართალშია აღნიშნული. ეს ტერმინი იშვიათად გვხვდება ე. წ. სასისხლო სიგელებშიც, რომლებიც აკად. ივ. ჭავჭავაძის აზრით, თუმცა ყალბი და ნატყუარი საბუთებია, მაგრამ ამასთანავე ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის შესასწავლად მდიდარ მასალას შეიცავს.

აღსანიშნავია, რომ „სანახშირო“. როგორც გადასახადი თითქმის ყველა სასისხლო სიგელში გვხვდება. რაც შეეხება საპიროს, იგი მხოლოდ ორიოდე სიგელშია მოხსენიებული. სასისხლო სიგელების გადასახადთა ტერმინების შესწავლისას ირკვევა, რომ იმ სიგელებში, სადაც საპირო არ არის, იგი შეცვლილი უნდა იყოს ამ სატყეის სინონიმით; ასეთ სინონიმს, თუ არ ვცდებით, საზაო წარმოადგენს, რომელიც საპიროს ნაცვლად სანახშიროს გვერდით იხსენიება.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში „საპირო და სანახშირო“ ერთ ადგილას (მუხლ. 159) იხსენიება, ხოლო ორ ადგილას (მუხლ. 112, 160) მხოლოდ — „საპირო“. სხვა სამართლის წიგნებში ეს ტერმინები არ გვხვდება.

დღემდე გამოქვეყნებულ სასისხლო სიგელებიდან ტერმინი „საპირო“ მხოლოდ ორიოდე სიგელში — სვანთა ერისთავის გელოვანის სასისხლო სიგელსა

(საქ. სიძვ. II, გვ. 514) და კოტრიძეთა სასისხლო სიგელში (საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 59) გვხვდება.

სხვა გამოქვეყნებულ სიგელებში „საპიროს“ ნაცვლად ყველგან „საზაო“ იხსენიება. მკვალორსათვის დაეიმოვნებთ რამდენიმე სიგელს:

1. მიქაბაძეთა სასისხლო სიგელში ნათქვამია: „თუ ვინმე მოკლას მიქაბაძისა გუარისა კაცი, ასი ათასი ძველი თეთრი დაეურვებოდეს მისითა საზაოთა და სანახშიროთა“ (საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 7).

2. ვანაძეთა სასისხლო სიგელში — „სანახშიროთა და საზაოთა გავიჩინეთ ორასი ათასი კირმანეული თეთრი“ (იქვე, გვ. 41).

3. თოდაძეთა სასისხლო სიგელში — „სისხლი ორას სამოცი ათასა გავიჩინეთ, სისხლად დაეურვოს, საზაოსა და სანახიროსა გარეთ“ (იქვე, გვ. 46).

4. გვაფაქას სასისხლო სიგელი: „სამოცი ათასი ძველი თეთრი სანახშირედ დაეურვოს; მას აქათ ათი ათასი საზაოდ დაეურვოს“ (იქვე, გვ. 255).

ზემოთ დამოწმებულ და აგრეთვე სხვა სასისხლო სიგელებშიც „საპიროს“ ნაცვლად „სანახშიროს“ გვერდით „საზაო“ იხსენიება. თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ყველა დამოწმებულ შემთხვევაში „საზაო“ „საპიროს“ სინონიმი უნდა იყოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ სიგელში, სახელდობრ, კოტრიძეთა სასისხლო სიგელში, ეს ორი სიტყვა (საზაო და საპირო) მოცემულია „საზაოთა-საპიროთა“ სახით (საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 59); ხოლო გირგალიძეთა სასისხლო სიგელში — „საზაოდ-შესამყრელად“ იხსენიება. მაშასადამე, საპირო არის საზაო ანუ „საზაო-შესამყრელი“, ე. ი. განსაკუთრებული გადასახადი, რომელსაც დამნაშავე აძლევს დაზარალებულს მთ შორის შუღლისა და ქიშობის მოსაძების, ზაუისა და შერიგების გამო. საპირო (საზაო) მესისხლეთა დაზავების გადასახადია, რომელსაც დაზავებისთანავე აძლევს დამნაშავე დაზარალებულს შესამყრელს სახით. მოქიშვე მხარეთა დაზავება, მათი შერიგება განსაკუთრებული აქტია, რომლისთვისაც სავანებო გადასახადია დაწესებული.

ეტიმოლოგიურადაც სიტყვა „საპირო“ პირობის მიცემასთან უნდა იყოს დაკავშირებული. „საპირო“ არის სისხლის დაურებებას წინაპირობა, რომელიც წინ უძღვის სისხლის გადახდას, იგი სისხლის დაურებების წინაგასაძღუნებელია, ისეთი გადასახადია, რომელსაც იხდის დამნაშავე დაზარალებულს სასარგებლოდ. ეს კარგად ჩანს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნიდან, სადაც ნათქვამია: „საპირო და სანახშირო წინაგასაძღუნებელი არს“ (მუხლ. 159), „საპირო მის-მისითა წესითა წინაგაუძღვანეთ“ (მუხლ. 160). ასეთივე ფორმულა გვხვდება ორალელიძის ძეგლებში: „დასრულისა სისხლისა წინაგასაძღომი — ოცდაათი ათასი ცხუმური“ (საქ. სიძვ., III, 437).

5. უბრნელის აზრით საპირო გადასახადი მხოლოდ მოკლისათვის იყო დადებული. მაგრამ ეს აზრი სწორი არ უნდა იყოს. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის 112-ე მუხლი ამბობს, რომ ეკლესიის გაძარცვის შემთხვევაში, „ვისითაცა მიზეზით დამართებოდეს, საპირო მან დაუურვოს“. მაშასადამე, საპირო, როგორც გადასახადი, ეკლესიის გაძარცვისათვისაც უფილან დაწესებული.

საპირო რომ მართო მკვლელობისათვის დაწესებული განსაკუთრებული გადასახადი არ იყო, ცხადად დასტურდება აგრეთვე ბაგრატიის სამართლის 159-ე და 160 მუხლებით, რომლებიც საპირო გადასახადის ოდენობას აწესებს იმის მიხედვით; თუ რა სახის დანაშაულია ჩადენილი. თუ ისეთი-დანაშაულია ჩადენილი, რომლისთვისაც დამნაშავემ სრული სისხლი უნდა გადაიხადოს, საპიროს ოდენობა ოცი ათასით განისაზღვრება, თუ ნახევარი სისხლი უნდა გადაიხადოს, საპირო ათი ათასია, ხოლო „ქელთა შეპყრობის“, ე. ი. თვითნებურად დაპატიმრების, საპირო გადასახადი ხუთი ათასია. თანაც კანონმდებელი დასძინს, რომ ამ გადასახადის ოდენობის განსაზღვრის დროს „გაანაჩეაჲ უნდა, რაცა ეის-რა სასისხლო სკირდესო“, ე. ი. საპირო იმის მიხედვით განსაზღვრეთ, ვის რა დანაშაული აქვს ჩადენილი.

ბაგრატ კერპალატის სამართლის წიგნის 160 მუხლით საპირო წოდებრივი მიჯნობის მიხედვითაა განსაზღვრული და დიდებულებსა და აზნაურებთან ერთად ნახსენებია გლეხის საპიროც: „საპირო... დიდისა დიდი გააჩინეთ, და ცოტამასა — ცოტა. ესე გლეხისა სისხლისა, დიდებულთა და აზნაურთა საპირო იქმნებო: ოცდაათი ათასი, ჩვიდმეტი ათასი, თორმეტი ათასი, შვიდი ათასი, როგორც ვის მართებს აგურ გააჩინეთ“. აქედან ცხადად ჩანს; რომ საპირო დიფერენცირებულია წოდებისდა მიხედვით: დიდს დიდი, ხოლო პატარას პატარა გუერნეთ, იმის მიხედვით. „როგორცა ვის მართებს“. თანაც კანონი ზუსტად განსაზღვრავს საპიროს გადასახადის ოდენობას: დიდებულისათვის — ოცდაათი ათასი, აზნაურისათვის — ჩვიდმეტი ათასი და თორმეტი ათასი, ხოლო გლეხისათვის — შვიდი ათასი. საყურადღებოა, რომ აქ გლეხის საპირო მისი სისხლთან შედარებით საკმაოდ დიდია; განსხვავება დიდებულთა და აზნაურთა სისხლსა და გლეხის სისხლს შორის შედარებით ბევრად მეტია, ვიდრე მათივე საპიროს შორის: დიდებულის საპირო 4-ჯერ და უფროც მეტია გლეხის საპიროზე, პირველი აზნაურისა — თითქმის 3-ჯერ, ხოლო მეორეა — თითქმის 2-ჯერ, დიდებულის სისხლი კი ბევრს სამართლით 100-ჯერ მეტია გლეხის სისხლზე, ხოლო ვახტანგის სამართლით — 128-ჯერ.

გლეხის საპირო გადასახადის ასეთი შედარებით დიდი ოდენობა, თუ აქ კანონთა ტექსტის დამახინჯებას არა აქვს ადგილი, გამოკვლეული და ახსნილი უნდა იქნეს სხვა სარწმუნო საბუთების (საარქივო მასალების) შესწავლის საფუძველზე, რადგან დღემდე გამოქვეყნებული მასალა ამ საკითხზე პასუხის გასაცემად საკმარისი არ არის.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ყველა დამოწმებული საბუთიდან ჩანს, საპირო არ წარმოადგენს საჯარო ხასიათის ქარიშას, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელს ეძლეოდა. იგი კერძო გადასახადია, რომელსაც დამნაშავე უხდის დაზარალებულს ან მის ნათესაებს სისხლის დაუბრუნებლად.

ახლა განვიხილოთ მეორე ტერმინი „სანახშირო“, რომელიც აგრეთვე გვხვდება ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოს დართულ ბაგრატ კერპალატისა და კანონიკური სამართლის ზოგიერთ მუხლში (ამ ტერმინის შესახებ იხ. აგრეთვე ჩვენი „ძველი ქართული სამართალი“, 1953, გვ. 221—223).

„სანახშიროს“ ეტიმოლოგია გამოკვლეული და დადგენილი აქვს აკად. ნ. მარს. ეს ტერმინი წარმოდგება „ნახშირიდან“, რაც თავდაპირველად ქრიალობას და სისხლს ნიშნავდა, ხოლო შემდეგ ზარალსა და საზღაურსაც. სიტყვა

„ნახშირი“ კი დაკავშირებულია სიტყვასთან „ნადირი“. „ნახჭირ“ სომხურად ნიშნავს ნადირობისას ცხოველთა და ომში ადამიანთა ზოცვა-ქუცას („ზიანა“, „ზარალს“, „დარტყმას“), აგრეთვე — „ნადირობას“ ან „ნანადირევს“ (Зап. Вост. отд. имп. русс. археол. общества, XVIII, вып. IV, 1908, 83-170).

სულხან საბა ორბელიანის განმარტებით „სანახშირე ესე არს რა მესისხლენი დაზავდნენ, პირველად სანდო რამე მისცენ სისხლის გარდაქდამდე“. მაშასადამე სანახშირი არის სანდო მისაცემი, რასაც მესისხლეთა ანუ მოქიშვე მხარეთა დაზავების შემდეგ დამნაშავე აძლევს დაზარალებულს როგორც სისხლის გადახდის საწინდარს.

მოჰყავს რა საბას ეს განმარტება, ნ. ურბნელი წერს: „სამართალში განმარტებული არაა, სანახშირო სისხლის ნაწილს შეადგენდა, თუ ცალკე გარდასახადს. აგრეთვე არა სწერია ყველას ეძლეოდა, თუ მარტო უმალდესს. სიგელუბანს მიხედვით კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ სანახშიროს დიდ გვარისანი იღებდნენ და ისიც მძიმე დანაშაულში“ (იქვე, გვ. 261).

პროფ. ს. კაკაბაძე ნარკვევში „სასისხლო სიგელების შესახებ“, ეხება რა საპიროსა და სანახშიროს საკითხს, წერს: „სასისხლო გარდასახადსა და ამ ჯარიმას (სანახშიროს) გარდა სიგელებში მოხსენებულია კიდევ საპირო და საზაო გარდასახადი. არსებითად სამივე ეს გარდასახადი (სასიხლო, სანახშირო და საპირო-საზაო) შეადგენდა სისხლის სრულს ჯამს“ („საისტორიო მოამბე“, II, 1924 წ., გვ. 107). ამრიგად პროფ. ს. კაკაბაძის აზრით, საპირო და სანახშირო შეადგენდა სისხლის ანუ მკვლელობის გადასახადის სრულ ჯამს, ე. ი. შედიოდა სისხლის სრულ ოდენობაში.

მაგრამ ასეთი დასკვნა არ შეიძლება გამოვიტანოთ არც სამართლის წიგნებიდან და არც სასისხლო სიგელებიდან. წყაროებში სრული სისხლი, საპირო და სანახშირო ცალ-ცალკეა აღნიშნული. ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოს დართულ კანონიკური სამართლის ფრაგმენტში (მუხ. 162) ნათქვამაა: დამნაშავემ დაზარალებულს „სისხლი სრული და სანახშირო დუღუროს“. მაშასადამე, სრული სისხლი და სანახშირო სხვადასხვა გადასახადია, სანახშირო როგორც გადასახადი არ შედის სრულ სისხლში, იგი ცალკეა აღნიშნული და განსაკუთრებულ საზღაურს შეადგენს, რომელიც სისხლის დაურეგებამდე უნდა მისცეს დამნაშავემ დაზარალებულს.

სანახშირო რომ არ შედიოდა სისხლის ოდენობაში, ეს კარგად ჩანს თვით სასისხლო სიგელებიდანაც. მაგალითისათვის მოვიტანთ რამდენიმე ამონაწერს სასისხლო სიგელებიდან სიხლისა, საპიროსა (საზაო) და სანახშიროს შესახებ.

1. გორგაძეთა სასისხლო სიგელი (1392 წ.): „სისხლი სრული სამჯერ ასი ათასი კირმანელი თეთრი დაგუერებოდეს საზაოსა და სანახშიროსა აქათ. სანახშირო და საზაო სამი ათასი დაგუერებოდეს; სადალოდაოცი ათასი, საგერმოდა — თორმეტი ასი, საკოჭლოდა სრულისა სიხლისა მეექვსედი დაგუერებოდეს“ (ქრონიკები II, 194).

2. ორალელიძე-კვიციანი შვილთა სასისხლო სიგელი (1463 წ.): „და გაიჩინეთ სრული სისხლი ოთხასი ათასი ძველი ცხემურო, სანახშირესა, საზაოსა გარეთ“ (საქ. სიძე, II, 437).

3. ბაქრაძეთა სასისხლო სიგელი (1501): „სრული სიხ-

ლი ცხრა ასი ათასი კირმანეული თეთრი დაგიურვოს, მას გარდა სამოც ათასი თეთრი სანახშიროთ დაგიურვოს“ (საქ. სიძე. II, 22).

4. მალლაქუელი სისხლის სასისხლო სიგელი (1510 წ.): „სიხლი ასოცი ათასი ძველი თეთრი დაგიურვოს საგერშოსა, საპიროსა და სანახშიროს გარეთ. აწ ვინცა შენი გუარის კაცი მოკლას, სრულსა სისხლსა გარეთ ორი ათასი სანახშირე დაგიურვოს“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Qd 7877).

დამოწმებული სასისხლო სიგელებიდან ცხადად ჩანს, რომ საპირო (საზაო) და სანახშირო შეადგენენ ცალკე გადასახადებს, რომლებიც სისხლის ფასში არ შედიან. სრული სისხლი ანუ მკვლელობის სრული საზღაური ყოველთვის ცალკეა განსაზღვრული, ხოლო საპირო (საზაო) და სანახშიროც — ცალკე. საპიროსა და სანახშიროს, როგორც განსაკუთრებულ საზღაურს, სიგელები აწესებენ „სრულსა სისხლსა გარეთ“, „სრულსა სისხლსა გარდა“, „სრულსა სისხლსა აქათ“. აქედან ცხადად რომ საპირო (საზაო) და სანახშირო სისხლის ნაწილს არ შეადგენდა და სისხლის სრულ ქაში არ შედიოდა.

ვის ეძლეოდა სანახშირო, მხოლოდ დიდგვაროვანს თუ სხვა ფენების წარმომადგენელსაც? ნ. ურბნელის აზრით სიგელების მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ სანახშიროს დიდ გვარისანი იღებდნენ და ისიც მძიმე დანაშაულში. მაგრამ ეს მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს. დღემდე ცნობილი და გამოქვეყნებული სიგელების მიხედვით ასეთი საზღაური არა მარტო დიდგვაროვნებს, არამედ თავადაზნაურობის სხვა, უფრო დაბალი ფენების წარმომადგენლებსაც ეძლეოდათ. ეს დასტურდება ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის 160-ე მუხლითაც.

ამასთანავე საპიროა აღინიშნოს, რომ სანახშირო, როგორც გადასახადი, მარტო მძიმე დანაშაულისათვის არ იყო დაწესებული. ეს კარგად ჩანს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის 159-ე მუხლიდან, სადაც ნათქვამია: „საპირო და სანახშირო... სრულისა სისხლისა — ოცი ათასი, ნახევარისა სისხლისა — ათი ათასი, ქვლთა შეპყრობისა — ხუთი ათასი; გასინჯვად უნდა, რადცა ვის-რა სასიხლო სკირდეს“. მაშასადამე, საპირო და სანახშირო დაწესებულია იმის მიხედვით „ეცის-რა სასისხლო სკირს“, ე. ი. ვის რა დანაშაული აქვს ჩადენილი. „სრული სისხლის“ ანუ მკვლელობის სრული საზღაურის საპირო და სანახშირო ოცი ათასს უდრის. ისეთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, რომლისთვისაც მკვლელობის ნახევარი საზღაური — „ნახევარი სისხლი“ — არის გათვალისწინებული, საპირო და სანახშირო ათი ათასია, ხოლო თვითნებურად შეპყრობისათვის — ხუთი ათასი. აქედან ცხადად ჩანს, რომ საპიროსა და სანახშიროს ოდენობა განსაზღვრულია როგორც დაზარალებულის სოციალური და წოდებრივი მდგომარეობის მიხედვით, ისე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის კვალობაზეც.

ამრიგად, საპირო და სანახშირო ორი სავანგებო გადასახადია. საპირო ანუ საზაო მოქიშპე მხარეთა დაზავების გადასახადია, რომელსაც დაზავებისას აძლევენ დამნაშავე დაზარალებულს შესამყრელოს სახით. განსხვავება საპიროსა და სანახშიროს შორის ის არის, რომ საპირო მესისხლეთა შერიგებებს

სასყიდელია, რომლითაც შუღლი და მტრობა ისპობა შურის მაძიებელთა შორის, სანახშირო კი სისხლის დაუბრუნების საწინდარია, რომელსაც დამნაშავე აძლევს დაზარალებულს მესისხლეთა დაზარალების შემდეგ, როგორც სისხლის გადახდის გარანტიას.

საპირო და სანახშირო კერძო ხასიათის გადასახადებია, რომლებიც მთლანად დაზარალებულს ეძლევა და საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელთათვის ვანკუტგნილი არ არის.

სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა

1. ვახტანგის სამართლის საკანონმდებლო წყაროები

ვახტანგის სამართლის ძირითად წყაროს ქართული ჩვეულებითი სამართალი შეადგენს. სამართლის წიგნის მუხლების უმეტესი ნაწილი ჩვეულებითი სამართლის სფეროდანაა აღებული (6—14, 26—49, 98—149, 160—172, 198—204, 223—224, 232—239 და სხვ.).

ამასთან ერთად, როგორც სამართლის წიგნის შესავლიდან და ბოლოსიტყვაობიდან ჩანს, საკანონმდებლო კომისია ფართოდ იყენებდა სასამართლო პრაქტიკასაც. სამართლის წიგნის აღნიშნული წყაროების შესწავლა დიდი და სპეციალური ცვლელის საგანია, რომელიც, თუმცა მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ სიღრმედა წინამდებარე გამოცემის მიზანდასახულობას.

ჩვენ ამჟამად მოკლედ შევეხებით ვახტანგის სამართლის მხოლოდ ერთ წყაროს — კანონმდებლობას, კერძოდ საკითხს იმის შესახებ. თუ რა გავლენა იქონია ვახტანგის კრებულში შეტანილმა უცხოური და ეროვნული კანონმდებლობის ძეგლებმა საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნზე.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევჩერდეთ ვახტანგის კრებულის უცხოური და ეროვნული სამართლის ძეგლების მოქმედებისა და სავალდებულო ძალის საკითხებზე.

ზოგიერთი საქმეში ჩაუხედავი მწერალი საერთოდ უარყოფს ვახტანგის კრებულში შეტანილი ძეგლებისა და მათ შორის საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის მოქმედების ძალას.

აღ. ჭამბ.ორბელიანი, რომელიც ვახტანგ მეფეს საქართველოს დამნგრევლად თვლის, წერდა: „რამი გაეპართლო მეფე ვახტანგ? რომ დაწერა იმაში? მაშინ ის რაჟული არც უხმარიათ, არც მოქმედებაში ქქონიათ და ვინ მოიცილდა იმისთვისა, ასეთი დრო იყო მაშინ საქართველოში. მეფის ვახტანგის რაჟლისა არაფრისთანა არა იყო რა მაშინ საქართველოში არაფერზედ“ (დალისტნიდან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები, გამოცემული ს. კაკაბაძის მიერ, 1914, გვ. 16).

დაახლოებით ამავე აზრს ავითარებს ე. ბოროზდინიც.

ჩვეულებითი სამართალი, ჩაწერილი მეფე ვახტანგის მიერ წარსულ საუკუნეში და არეული მოსეს და აღბუღას კანონებთან ერთად, წარმოადგენდა კრებულს, რომელსაც თავის დღეებში არა ქქონია საკანონმდებლო კოდექსის მნიშვნელობა, ამას მხოლოდ მოსამარ-

თლენი ხმარობდნენ საქმის გარჩევის დროს სხვადასხვა ცნობების ამოსაყრებად“ (ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1934, გვ. 269, 270).

ვახტანგ VI კანონთა კრებულის მეორე რუსული გამოცემის (1887 წ.) წინ-სიტყვაობაში კრებულის გამომცემელი ა. ს. ფრენკელი წერდა: „Исследователи старых грузинских законов: граф Блудов, кн. Багратион-Мухранский, Д. З. Бакрадзе и некоторые другие согласны между собою в том, что действовавшим законом в Грузии следует признать исключительно Уложение царя Вахтанга“ (Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, გვ. I—II).

გერმანელი მკვლევარის ფ. ჰოლდაკის აზრითაც სავალდებულო ძალა მხოლოდ საკუთრივ ვახტანგის კანონებს ჰქონდა. რაც შეეხება კრებულში შეტანილ სხვა ეროვნულ და უცხო ძეგლებს, მათ დამხმარე, შეეცხებიითი ნორმების მნიშვნელობა ჰქონდა (Hollmack, Zwei Grundsteine..., 1907, გვ. 97, 102). ეს აზრი ჰოლდაკზე დიდი ხნით ადრე ჯერ კიდევ პაქსტჰაუზენმა გამოთქვა: ვახტანგის კრებულის მოსეს, ბერძნული და სომხური კანონები გამოიყენება საქართველოში მხოლოდ როგორც დამხმარე სამართალი (Hilfsrecht) და ისეთი შემთხვევებისათვის, რომელთა გადასაჭრელად მისი კანონი საკმაო არაა (Haxthausen, Transcaucasia, II, 1856, გვ. 282).

ფრანგი მკვლევარის ე. კარსტის აზრით მთავარი ძალა აქვს ვახტანგის საკუთარ სამართლის წიგნს, რაც შეეხება კრებულში შეტანილი ეროვნული სამართლის სხვა ძეგლებს, მათ რამდენადაც ისინი გაუქმებული არაა ვახტანგის სამართლის წიგნით, პირველი ხარისხის სუბსიდიარული სამართლის ძალა აქვთ. უცხო სამართლის ძეგლებსაც აგრეთვე სუბსიდიარული ძალა აქვთ, მაგრამ მეორე ხარისხისა.

ბერძნული კანონების საქართველოში მოქმედებისა და მათი ქართულ ანმართალზე გავლენის შესახებ აზრი გამოთქვა პროფ. ალ. ხახანაშვილმა გასული საუკუნის 90-იან წლებში. თავის პატარა, მაგრამ ნიჭიერად დაწერალ მონოგრაფიაში — „ბატონყმობა საქართველოში“ იგი არაერთგზის აღნიშნავს, რომ ბერძნული სამართალი მოქმედებდა საქართველოში და მას დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ სამართალზე. „არ შეგვიძლია არ შევინიშნოთ აქ გავლენა ბერძენთა კანონებისა, რომელმაც, როგორც ვნახავთ, საშინელი ბეჭედი დაასვა მე-204 მუხლად ვახტანგის კანონებს“. („ბატონყმობა საქართველოში“, მეორე გამოცემა, 1910 წ., გვ. 25). დასახელებული ნაშრომის სხვა ადგილას ავტორი, კვლევება რა ამ საკითხს, უფრო კატეგორიული ფორმით წერს: „ბერძენთა კანონებმა იქონიეს საშინელი გავლენა ძველს ჩვეულებაზედ საქართველოში... ბერძენთა კანონები რომ მოქმედებდა ჩვენში, ეჭვი არ არის, რადგანაც სიგელებში ხშირად ნახავთ მითითებებს ბერძენთა კანონებზე“ (იქვე, გვ. 50—51).

პროფ. ალ. ხახანაშვილის აზრით, ბერძნული კანონების გავლენა ვახტანგის ანართლის წიგნს ცხადად ემჩნევა 204-ე მუხლის შემდეგ. ეს გავლენა მეტიდ მკაფიოდ ჩანს ნასყიდი ყმის საკითხში. ვახტანგის სამართლის 235-ე, 258-ე და 259-ე მუხლები, რომლებიც ყმის უფლებებო მდგომარეობას აკანონებს, ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 153, 166 და 172 მუხლებიდან მომდინარეობს. ბატონყმობის მკაცრი ხასიაფი ვახტანგის სამართლის წიგნის 204-ე მუხლის მომდევნო მუხლებში ბერძნული კანონების გავლენით უნდა აიხსნას.

1901 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ბიზანტიის გავლენა საქართველოზე“ ალ. ხახანაშვილი კვლავ უბრუნდება ქართულ კანონმდებლობაზე ბერძნული სამართლის გავლენის საკითხს. ბიზანტიას, წერს იგი, დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ კულტურაზე და კანონმდებლობაზე. ვახტანგის სამართლის წიგნს 25-ე მუხელში დავაწინებელი პრინციპი — „მეფისა და კათალიკოსის საკმე... ო რ ი ს ა ე ე წ ო რ ი ა რ ი ს“ და აღბუღას კანონების 102 მუხლანორმა „მეთრე მეფე ებისკოპოზი არს“ ბიზანტიური სამართლის ნორმებია. ბიზანტიამ კიდევ უფრო მეტი გავლენა დაამჩნია საქართველოში ქორწინების, ცოლქმრობის კავშირისა და ოჯახის საფუძვლების განმტკიცებას („მოამბე“, 1901 წ., № XII).

ქართულ სამართალზე უცხო სამართლის ძლიერ და პირდაპირ გავლენას აღნიშნავს ცნობილი რუსი მეცნიერი მ. კოვალევსკი. მისი აზრით ქართული ორდალები ირანული წარმოშობისაა. საოჯახო და საქორწინო სამართალი მთლიანად ნასესხებია ბიზანტიური კანონიერი სამართლიდან. რომისა და ბიზანტიის სამართალმა დიდი გავლენა მოახდინა ქალის უფლებებზე მდგომარეობაზე ქართულ სამართალში. ბეჭასა და აღბუღას კანონებით ქურდობისათვის დაწესებული ორმაგი საზღაური ნასესხებია რომის სამართლიდან (Закон и обычай на Кавказе, ტ. I, გვ. 110—114, 131, 134).

ბიზანტიური სამართლის გავლენას ქართულ კანონმდებლობაზე ეხება პროფ. ვლ. სოკოლსკი თავის ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიაში ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიის შესახებ. ბიზანტიური სამართლის გავლენა, წერს ავტორი, სხვა მართლმადიდებელი ქვეყნების სამართალზე თურქების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ არ შეწყვეტილა. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ის ერთგვარად კიდევ გაძლიერდა. დაწერილებით იხილავს რა ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის და სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსიის წყარობებს, პროფ. ვლ. სოკოლსკი დაასკვნის: „ამრიგად, საქართველოში გავრცელდა და გამოიყენებოდა როგორც ყველაზე ძველი (ე. ი. სირიულ-რომაული სამართალი. — ი. დ.), ისე ბერძნულ-რომაული სამართლის ერთი გვიანდელი ძეგლი (ე. ი. ბერძნული სამართლის ქართული ვერსია. — ი. დ.), რაც მოწმობს საუკუნეთა განმავლობაში ბერძნულ-რომაული სამართლის მუდმივსა და უწყვეტ გავლენას საქართველოს სამართლებრივ წყობილებაზე. ამ მხრივ საქართველოში განმეორდა ყველა ის მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში.“ (Греко-римское право... გვ. 92).

ქართველ საბჭოთა მეცნიერთაგან ვახტანგის კრებულის სამართლის წიგნების მოქმედებისა და სავალდებულო ძალის შესახებ ამ უკანასკნელ დროს აზრი გამოთქვეს პროფ. ალ. ვაჩიეიშვილმა და პროფ. ივ. სურგულაძემ.

იხილავს რა ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის სავალდებულო ძალის საკითხს, პროფ. ალ. ვაჩიეიშვილი წერს: „მეფე ვახტანგ საკუთარ დებულებას სავალდებულო ძალას ანიჭებდა, როგორც ყველაზე უფრო შეგუებულს ქართულ ყოფაცხოვრებასთან; რაც შეეხება სხვა იურიდიულ ძეგლებს, ისინი დადებითი სამართლის დამხმარე წყაროს წარმოადგენდნენ. ამგვარად, მოქმედი სამართალი მხოლოდ და მხოლოდ ვახტანგის დებულებით არ ამოიწურებოდა; ვახტანგის დებულება სარგებლობდა უპირატესობით, მაგრამ სასამართლოს ჰქონდა კომპილაციის სხვა ნორმების შეფარდების უფლება, თუ ამას საქირობა მოითხოვდა“ („ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“, I, 1946, გვ. 18).

პროფ. ივ. სურგულაძე საკმაოდ დაწვრილებით იხილავს აღნიშნულ საკლას და გამოთქვამს შემდეგ ძირითად მოსაზრებებს: „ვახტანგის კანონთა კრებულის სხვა და სხვა ნაწილი, გარდა თვით ვახტანგის წიგნისა, არ იყო მოქმედ კანონი ვახტანგის დროს და ისინი არც ამ პერიოდის სამართლის ისტორიის შესასწავლად გამოდგებიან“ („საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიასათვის“, 1952, გვ. 81). ამავე აზრს იმეორებს ავტორი დასახელებული ნაშრომის სხვა გვერდებზეც: „ვახტანგის სამართლის კრებულის ქართული სამართლის წიგნებს, გარდა საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნისა, არ ჰქონია სავალდებულო ძალა“ (გვ. 88); „კრებულში შემავალ სამართლის წიგნებს არა აქვთ კანონის ძალა. კრებულის ეს წიგნები შესაძარებელ მასალას წარმოადგენს... ვახტანგის კანონთა კრებულში შეტანილ უცხოეთის სამართლის წიგნებს ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც მათი საშუალებით შესაძლებელი არის ამა თუ იმ იურიდიული ტერმინის გამოკვლევა“ (გვ. 93). ამრიგად, ავტორის აზრით კანონთა კრებულში შეტანილ ქართული სამართლის წიგნებს კანონის ძალა არა აქვთ, ისინი არ გამოდგებიან ვახტანგის პერიოდის სამართლის ისტორიის შესასწავლად, მათ მიზნად შესაძარებელი მასალის ხასიათი აქვთ; ხილო კრებულში შესული უცხო სამართლის ტეგლების მნიშვნელობა ის არის, რომ მათი საშუალებით შეიძლება ამა თუ იმ იურიდიული ტერმინის შინაარსის დადგენა.

რაც შეეხება საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის სავალდებულო ძალას, ამ საკითხზე პროფ. ივ. სურგულაძეს ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები აქვს გამოთქმული. ერთ შემთხვევაში იგი სამართლის წიგნს მოქმედ კანონად თვლის, ხოლო მეორე შემთხვევაში უარყოფს მის სავალდებულო ძალას. „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, შედგენილი ქართლის სამეფოში ქართლის საჰეფოს დაზღაზის მონაწილეობით, მოქმედებდა მთელს საქართველოში“ (გვ. 113).

სხვა ადგილას ავტორი წერს: „ვახტანგის სამართლის წიგნს სავალდებულო ძალა არც კი აქვს, თითქოს კანონმდებელი მბრძანებელი კი არ არის, არამედ მრჩეველი“ (გვ. 85); „საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის სავალდებულო ძალა პირობითია; ის უფრო საცნობარო მნიშვნელობისაა... ვახტანგის სამართლის წიგნის მოქმედების სავალდებულო ძალა მეტად შეზღუდულია. თუ საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის მოქმედების სავალდებულო ძალა ასე პირობითია, მით უმეტეს ნაკლებად ექნებოდა სავალდებულო ძალა ვახტანგის სამართლის კრებულში შემავალ სხვა სამართლის წიგნებს“ (გვ. 87). დაბოლოს, ნაშრომის 92-ე გვერდზე ავტორი იძლევა ასეთ დასკვნას: „ცენტრალური ხელისუფლების სისტემის გამო საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის სავალდებულო ძალა მეტად პირობითია; ფაქტიურად ვახტანგის სამართლის წიგნის სავალდებულო ძალის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლეს შეუძლია მისი გამოყენება, ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს სასამართლო პრაქტიკა“.

მაგრამ. ზემოთ ზოგანილი მოსაზრებანი დასაბუთებული არ არის. უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ XVIII და XIX საუკუნის სასამართლო აქტები, რომლებიც გადაწყვეტილების გამოტანისას ხშირად ვახტანგის სამართლის წიგნს იმორჩებენ, ცხადად შეტყველებენ იმაზე, რომ ვახტანგის სა-

მართლის წიგნი მოქმედო სამართალი იყო, რომელსაც კანონის ძალა ჰქონდა. ვახტანგის სამართლის წიგნის სავალდებულო ძალა იმას ემყარებოდა, რომ მის ძირითად წყაროს ქართული ჩვეულებითი სამართალი შეადგენდა, რომლის მოქმედება საკანონმდებლო წესით სანქცირებულ იქნა სჯელმძღვანელი მეფის მიერ. ვახტანგის სამართლის მოქმედება და სავალდებულო ძალა ჩვენი აზრით, არ შეიძლება სათუოდ და სადავოდ მივიჩნიოთ. იგი უეჭველია და დადასტურებულიც არის.

არ დასტურდება აგრეთვე პროფ. ივ. სურგულაძის აზრი იმის შესახებ, რომ ვახტანგის კრებულში შეტანილი ეროვნული სამართლის წიგნები არ იყო მოქმედი ვახტანგის დროს და არც ამ პერიოდის სამართლის ისტორიის შესასწავლად გამოდგება.

ამჟამად დადგენილია, რომ ვახტანგ VI-ის საკანონმდებლო კომისია ამართლის წიგნის შედგენისას ფართოდ იყენებდა ქართული ეროვნული სამართლის წერილობით ძეგლებს. განსაკუთრებით ბექასა და აღბუღას სამართალს. ვახტანგის სამართლის წიგნის ორიოდ მუხლის პარალელი მოიპოვება ბაგრატიონთა კურაპალატის, გოორგი ბრწყინვალისა და კათალიკოსთა სამართალშიაც. ბაგრატის სამართალს 102-ე მუხლში ნათქვამია: „რომ მეორე მეფე ეპისკოპოზი არასო“. საერო და სასულიერო ხელისუფლების თანასწორობის ეს პრინციპი, რომელიც ბიზანტიური სამართლიდან მომდინარეობს, ასახულია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 25-ე მუხლში: „მეფისა და კათალიკოსის საქმე... ორისავე სწორი არის, ამიტომ რომე ერთი კორციის ხელმწიფეა და მეორე — სულის“.

ვახტანგის სამართლის 78-ე მუხლი ამბობს: თუ მამამ შეილი მოკლას ან შეიღობა მამა, მავისი სისხლი და სამართალი არ დაიწერებოდა და რკელის კანონით უნდა გარიგდესო. ამ მუხლის წყაროა გოორგი ბრწყინვალის ძეგლის დადებით 15-ე მუხლი.

კათალიკოსთა სამართლის 1 და 16 მუხლები, რომლებიც კაცს გვიუდგენს და მეფის ღალატს ეხებიან, სათანადო რედაქციით შეტანილია ვახტანგის სამართლის წიგნის 97-ე და 222-ე მუხლებში.

მეგრამ განსაკუთრებით დიდი გავლენა ვახტანგის სამართლის წიგნზე ბექასა და აღბუღას კანონებმა მოახდინა. საყურადღებოა, რომ ვახტანგის სამართლის მთელი რიგი მუხლები პირდაპირ მიუთითებენ ძველად არსებული კანონმდებლობის გამოყენებაზე. „ეს სისხლის განაჩენები რაც დაგვიწერია, ძველად დადებული და გვიწერია, თორემ სხვისა არა დაგვირთავს რაო“. ნათქვამია ვახტანგის სამართალს 34-ე მუხლში. მართლაც, თუ შევადარებთ ბექას სამართლის 1—11 მუხლებს ვახტანგის სამართლის 24—33 მუხლებს, ნათელი ვახდება, რომ სისხლის განაჩენები ბექას სამართალსა და არის ნასესხები. ვახტანგის სამართლის 50-ე მუხლში ნათქვამია, რომ სასაფლაოზე თავდასხმის „სისხლი ძველიდგან დიდად დადებული არის“-ო. კანონმდებელს აქ მსგავსელობაში აქვს ბექას სამართლის 25-ე მუხლი, რომელიც ანალოგიურ დანაშაულისთვის ითვალისწინებს. ვახტანგის სამართლის მთელი რიგი მუხლები ზოგჯერ სიტყვასიტყვით ან მტირედი რედაქციული ცვლილებით ბექასა და აღბუღას სამართალს შესაბამის მუხლებს იყენებს.

შედარებისათვის მოვიტანოთ პარალელური ადგილები.

102. ...მეორე მეფე ებისკოპოზოზს და ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი და რადცა მეფესა სჯულისა, სჯნე აქუს, აგრე შეიწყნარენ.

29. მეფისა და კათალიკოზის საქმე, უკადრისი თუ რაც რამ ფერა, ორისავე სწორი არის, ამიტომ რომე ერთი კორცის კელმწიფე არის და მეორე — სულისა.

ძეგლის დადება

15. დედ-მამათა სიკუდილი შვილსა სავან უწყესო არის და ღმერთმან ნუ იყოფინოს ამის კადრება... და სისხლი ამაღ არ გავაჩინეთ. — ამავე ჩუენთა ჟამთა შიგან არა ქნილა და ღმერთმან ნუ იყოფინოს!

76. თუ მამამ შვილი მოკლას .ან შვილმა მამა, მაგისი სისხლი და სამართალი არ დაიწერებოდა და რაჯულის კანონით უნდა გაროგდეს.

კათალიკოზთა სამართალი

1. რამანც კაცმან კაცი გაყიდოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან და ან გლეხმან, წმიდათა ქრებულთაგან შეჩუენებულ იყოს და გაჰქდილი.

97. თუ კაცმან კაცს შვილი გაუყიდოს, გინა ქალი, და გამოჩნდეს, მართლა გაყვიდოს, სისხლი ზომ ზეით დაგვიწერია და ასრე იქნას...

რასაც კაცს მართლით განკითხვითა და გამოძიებითა კაცის სყიდვა გამოაჩინდეს. თუ ის კაცი დაიხსნას და მოუყუნოს, მისსა საყდარსა და ებისკოპოზს დაუტუროს, რა ერთიც ძალ-ედევას, დამლუბების უფალსაცა დაუტუროს.

თუ ქრისტიანზე მიუყიდნია, მთელი სისხლი უნდა მისცენ, და თუ დასაქსნელად კელი მიუწვდებოდეს, დააქსნევიონ.

და თუ უსჯულოსათვის მიუყიდნია, ორი სისხლი უნდა მისცეს: ერთი კორცისა და ერთი სულისა. კათალიკოზისაგან გარდაქდევინება მან იცის.

16. ვისაც პატრონის მეფის ღალატი გამოაჩნდეს, ანუ დიდსა, ანუ თავადსა, ანუ აზნაურსა, ანუ ვისაც, მართლით განკითხვით და გამოწულილივითა, რა რაგადაც წმიდათა კრებათა და წმიდათა მოციქულთაგან გაჩენილი იყოს და სჯულისა კანონსა შიგან ეწეროს, სიკუდილით განიბატიყოს.

222. ვინც კაცმა ქუეყანას და ქრისტეს რაჯულს უორგულოს, კიდევ ხედევდეს, იმით რაჯული წაქდებოდეს, იმას მიყუეს, ღთისა და ბატონისა ორისავე შესისხლე იქნების და ყოველი ავი იმაზე მართებული არას.

ბექას სამართალი

5. კელი თუ ანუ ფეკი მოეკუეთოს, ანუ ერთობ დაუშავდეს, სისხლის მესამელი დაუტუროს.

45. ცალი თვალი კაცის მესამელი სისხლი არის, აგრევე ცალი — ქელი, აგრევე, ცალი ფეკი.

თუ თვალი წამოაგდებინოს, სისხლის მეოთხედი დაუტუროს.

მაგრამე, თუ კელი სრულ არ დაუშავდეს და ერთი თითი დაუშავდეს, მთელის კელის მეხუთედი გაუჩნდების.

თუ ქელის თითი მოკეუეთოს, ქელის გერშის მეხუთედი დაუურვოს.

თუ ორნი მოკეუეთენს, თუ რაზომ-ნიცა, ამავე წესითა დაუურვონ.

8. თუ კაცმან კაცს წინა ანუ უკანა კბილი შთაადღებინოს, ერთის თითის ოდენი გერში დაუურვოს, ამად რომე წინა სახიჩარია და უკანა კვამს დააკლებს.

12. ზედა-დამსხმელისა სისხლი და გერში არ არის.

თუ კიდევ იგივე მოკუდეს, რომელსა დაესხა, ორკეცი სისხლი დაუურვოს და გერშიცა ამავე წესით იყოს.

14. თუ ზედა-დასხმასა შიგან დედა-კაცსა შვილი მოსწყდეს, სრული სისხლი დაუურვოს.

16. მონოზნისა და დიაცისა, ხეცისა, თუ შუად მოსრული იყოს და ესეთი რომელი მოკუდეს, ორკეცი სისხლი დაუურვოს, რისაც გეარისა იყოს. გერშიცა ამავე წესითა.

და თუ მეომარი ყოფილიყოს, მართლითა მოწყითა გამოჩნდეს, გარდაქდეს ასრე, ვითა ძაღლის ყეფა.

და თუ ერისგანი იყოს და მართლად გამოჩნდეს, რომე შუა ყოფილიყოს, მონიცა ორკეცი სისხლი იყოს.

18. თუ კაცმან მისი სწორი კაცი ცოტას სამღურავისა რასათვისმე თავისა სამამულეშიგან მყოფი ნახოს, იმჯნოს და შეიპყროს, სცეს, შეკრას, შექსნა, აბჯარი აქენდეს თუ სხვა რაცა, წარაქციოს ჯლებითა წინა, მისი მზღვარი განელოს და მიიყვანოს... სისხლის ნახევარი დაუურვოს, რასაცა გეარისა იყოს, წანადებიცა სულ დაუკლებლად.

10. თუ კაცი კაცს ომით მოერიოს, გამარჯვება ეყოფის და თანა ნურას წაიტანს.

თუ თავის სახლსა მიიყვანოს და ამით

აგრევე, რამენიც თითი დაეშავდეა, ყველასათვის ამა ანგარიშით გაურჩინეთ.

47. წინა თუ უკანა კბილი, რომელიც ჩაადღებინოს ვინმე, ორივე სწორე არის, ამიტომ რომე წინა სახიჩრად დარჩების და უკანა კვამში დააკლებდის.

50. თუ მიმკლომი ან მისა ასაბია მოიკლას თუ დაიჭრას, მისი სისხლი არ არის.

51. რაც მოკლას და ან დაჭრას, ოროლი სისხლი მისცეს, რასაცა გეარის იყოს, და წანადებიცა.

თუ მიკლომში დედაკაცს შვილი მოსწყდა. მისთვინც მთელი სისხლი მისცეს.

55. თუ შუამავალი მოკუდეს, ბერა თუ მონოზანი, ქალი თუ კაცი, მოკითხული უნდა იქნას.

თუ მართლის გამოჩენით ჩნდეს, რომე შუამავალი ყოფილიყოს და არცერთის მომკმარო არ ყოფილიყოს. სიკედლისა და ქრილობისაც ორკეცი სისხლი უნდა მისცეს, როგორც სისხლი სდიოდეს.

და თუ მომკმარო ყოფილა რომლიცაა. ვისაც მოკმარებოდეს. მას ელაპარაკოს.

61. თუ მისი სწორი კაცი ცოტას სამღურავისათვის თავის მამულში დაახელოს, იბრიყოს, დაიჭიროს, შეკრას, აბჯარი აპყაროს, წინ წაიგდოს, თავისი სამძღვარი ცემით გაარონონოს, — სისხლის ნახევარი მისცეს. იარალი და წანართმევიცა.

57. ერთი მეორეს რომ მოერიოს. თან ნულარ წაიყუანს თავის სახლში და იმითაც ნულარ შეარცხვენს.

და თუ არ დაიშალოს და წაიყუა-

არცხინოს, სისხლის ნახევარი დაუფრკოს და აძვარი და ნაძარცი სრულად მისცეს და ვერში. როგორცა აჩნდეს. რაზომიცა ყმა მასვე თანა მიეტანოს, მიხიკა ნახევარი სისხლი დაუერვოს.

22. თუ ძმამან ძმა მოკლას, — ერთი სისხლი და გაუყოფელი იყოს, და თუ გაყოფილი იყოს, სწორი და გინა ახლოს პეყვისი. ორი კეცი სისხლი დაუფრკოს. რაც გვარისა იყოს, ამაღ რომე პაღმთოდ პრალია და საყანონო არას აკეცი... ებისკოპოზმა მისი წესი იყოს, რაცა პართება, მან უყოს.

23. თუ კაცმან დედა-წულმან დედა-წელისა ცოლსა უარშიო უყოს და კადეც მოყვივნოს. გინა ნებითა, გინა უნებურად. და გამვლავნდეს. და გინა მეყვისმან მეყვისსა. გინა უმეყვისომან ერთი სისხლმან. — დაუერვოს ცოლისა ქმარსა სრული სისხლი და შთაერზან და პატრონი მისმან ნიღვით ოდენ. შიშველი და ყელ-საბლიანი უბანთა ზედა ვანა... ბელი მოავლოს.

24. თუ სწორი სწორს სასაფლაოა ავდა დაესხას და საფლაოთაცა მიუყოს კელი. მისი ასე იქნას: რაზომიცა მისი გარდასრული და მუნ დამარხული მას აქაოდეს. ასეთი რომე მისსა სისხლსა შიგა საქარისთელთა სდებოდეს მისი, ყველასაგან ორთა უთავადესთა სისხლი დაუერვოს. რაცა ალაფი წაედოს. აგრევე შეაქციოს.

საფლაოსა არა კელი მიეყოს და კადეც ოდენ მოერზიოს. ერთისა სისხლი დაუერვოს და ალაფიცა აგრევე კელია მისცეს. დიდმან ცოტასა უყოს ესე.

თუ მას საქმესა შიგა სასაფლაოსა კელესასა შეურაცხებით მიეყოს კელი ანუ წირმართლად კარისა შეღეწითა. ანუ სხვაგნით სიომე შერღვევა.

ნოს, ნახევარი სისხლი გარდაუქადოს. პარალეცა და წანადებიც უკლებლავ მისცეს. და რამდენიც იმისი ყმა დაპრილა და აჩნია, იმისი მთელი სისხლი მისცეს და იარალიცა და რამდენიც იმისი ყმა დაქერილი იმას თან წაეყვანოს, იმათაც ნახევარ-ნახევარი სისხლი მოსცეს.

25. თუ ძმამ ძმა მოკლას, არც მისი სისხლისა ვიციო, ჩვენთან დიად მძიქე არის, და თქვენ იციო. მაგრამე თუ შველი პყავს, სისხლი და ნახევარი გაუჩნდების. და კათალიკოსისა იმას იცის. თუ უნდა გაყროლი ძმა იყოს, თუ უნდა გაუერელი, შვილი თუ დარჩა, აიღებს.

26. თუ დედაკაცმან მეზობელს თუ მოყუასსა თუ თავის სახლში უმაქვალოს და გამოჩნდეს, რასაც გვარია იყოს ის მაქვალი, თავისის სისხლის ნახევარი იმ ქალის პატრონს მისცეს. თუ ამისი მიცემა არ შეეძლოს მაქვალს. მაშ ასრე უნდა იყოს: მაქვალს ყელზე საბელი უნდა მოაბან და ტიპეკელი. ყელ-საბლიანი, ნიღვით ოდენ, სიფელი შემოატარონ... დიდ აეგვა.

27. თუ სასაფლაოზე სწორი სწორს დაესხას. დიდი თუ ცოტა, უფროსი უმცროსსა. გინა უმცროსი უფროსსა. და სასაფლაოს კელი მიუყოს, ან საყდრის კარი შეღეწოს, ანუ კედელი მოერღვეოს, ანუ სიწმინდის იარაღს კელი უხლოს და წაილოს. მისას სისხლი ძველითგან დიდად დადებულ არა.

28. თუ ეს გაეჩინეთ. თუ სასაფლაოში მყოფი მიმხდომმან მოკლას და სასაფლაოსაც ესენი უყოს, რომელიც ზედა დაქვიწიდა. მაშ სამი სისხლი მიანიცს — ერთი საფლავისათვის, ერთი სიკუდალისათვის და ერთი მიქდომისათვის. და წანადები უკლებლავ აგრევე — კრილობისა. და თ

იგი მეცნიერთა და ქრისტეს სისხლის პატივსა მცნებულთა ვითა უყუარს, ეგეთა პატივი დაუეურებინონ. შეკვეთიან ითქმობდა.

26. თუ დიდებულისა გინა აზნაურისა ცოლსა უაშოყოს დიდებულმან, გინა აზნაურმან და გამოჩნდეს ცხადად, რათა თანა იყოს. თუ დააგდოს მისმან ქმარმან. უზღოს შოაშოყემან თორმეტ-ათასი თეთრი, და თუ არ გააგდოს — ექვსი ათასი.

27. თუ წაგვაროს. — თორმეტი ათასი. და თუ არა თანა ყოფილიყოს. აშოყობისათვის ოდენ ამის მეტსა არას ეშობოდების. რომე თავის სამართლებელია. სობს. ფიცის უქნელობა თავითა და ერთთა აზნაურისშვილითა, და თუ აშოყობა კაცისაგან გამოჩნდეს, ემღურთოდეს. არა საკვირველია.

28. თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, სისხლის ნახევარი მისცეს და იმისი ზოთევი სრულად.

29. თუ კაცმან მისგან უსაბატოების ცოლი დააგდოს, რასაცა გუარისა იგი კაცი იყოს, ეგეთსა მეტი სისხლი არა მართებს.

30. პირველ დიაცო მღმა ქრმისა დაუღებასა არას ეშობდება, არცა ღირსა და ნუცა იკადრებს. თუ რადმე დააგდოს და ღმერთი შერისხდეს მისათა ენა-ქრტილობითა. უსირცხნობითა. რომლისაც გუარისა იყოს იგი კაცი. ეგეთი სისხლი დაუურვოს მან დიაცმან.

31. თუ ღმერთი შერისხდეს და შეაკუდეს კაცისა შვილი. კაცი, ამას შიგან სრული სისხლი და სისხლის ნახევარი უზღოს... და თუ შათის პატრონისაგან არა სცოდნია და გამოჩნდების ესე, თუ შათ კაცთა. ვითა შათი პატრონი. მამულითურთ მას. გაუპატივებულსა. კელთა წისკემს, რაცა უნდა, უყოს.

32. თუ კაცი კაცსა საჯდომისა სიანულესა მისისა გლეხისა დაესხას. და საღა

არ მოკლას რა და არც არა საფლავს კადროს, და არც არა დაქრას, ერთი წელი სისხლი მაინც მისცეს ღელა-წულთ აკევისათვის.

33. თუ ერთმან მეორისა ცოლს აშოყოს და გამოჩნდეს. რომ შათსა ყოფილიყოს. და დააგდოს. რამეს ქმარმან. სრული სისხლი მისცეს.

და თუ წაგვაროს. მამინაც ნათელი სისხლი მისცეს. და თუ იმ ქალთან არ ყოფილიყოს და ფიცით თავი იშობოდოს. და თუ აშოყობა ვერ ფიცის და თან კი არ ყოფილიყოს, მათთან მართლის ბოზობის ნახევარი სისხლი მისცეს.

34. თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს. მთელი სისხლი მისცეს და თავისი ზოთევი უკლებრივ მისცეს.

35. თუ კაცმან მისგან ეთოღებულესს კაცს ქალი დააგდოს. რასაც გუარისა ის კაცი იყოს. იმტოლო მთელი სისხლი მისცეს. მეტი არ ეთხოვია.

36. დედაცი ქმრის დაგდებას არა ღირსა და ნურც ჰკადრებს. და თუ ღმერთი შერისხდეს და მისის უსირცხნობით ქნას, რასაც გუარისა იგი კაცი არას. მთელი სისხლი დედაკაცმან ქმარს მისცეს.

37. თუ აზნაურმან ანუ გლეხმან მისგან უფროსი კაცი მოკლას, ერთნახევარი სისხლი მისცეს. თუ მისას პატრონისაგან არა სცოდნოდეს, ისრე ექნას. მესისხლე კაცი თავის ნასყიდის მამულითა, რაც ერგებოდეს, და თავის კერძის საქონლით, ცოლ-შვილით კელში მისცეს, რაც უნდა, უყოს.

38. თუ ასეთს გლეხს დაესხას. რომე ახლოს იყოს მის ბატონის სასახ-

ქმა მისწვდებოდეს, ვითა ზედა-დას-
პის წყლი. დაუტეროს. თიციცა ალაფსა
ლაშქართა მართებს. და თუ ორთავე
სწორედ ერბოს. თავისათვის დათიციონ
აღაფი.

35. თუ კაცნი, — საპატიონი გინა
ქვემონი. — უმზარხნი გზად წინ შეიმ-
ახევენ და ერთმან გარიდნეს გზა, იგი
მეორე თუ პირს ევენების და არა იკად-
როს [გარიდება] და აუვიანი და გარი-
დებულ მოკლას, ორი კეცი სისხლი და-
უტეროს. და თუ არა რომელმან გარიდ-
ნეს და შემთხვევითა რომელმან მოკლას
და ღმერთი გაუტრისნდეს, ერთი სისხლი
დაუტეროს.

46. თუ კაცმან კაცს ცოლი წაგუაროს,
ასრე რომე დიაცი მისით ნებითა და
წადილითა გაჰყვეს თანა, რასაცა გუა-
რისა იყოს, მისითა წესითა სისხლი ორ-
ნაწილი დაუტეროს ქმარსა და, რაცა მი-
სი სასაქონლო რა ვინდა რამე წაეტა-
ნოს. იგუცა აგრევე შეაქციოს დიაცსა.

და თუ რა მისი მოტანილის ზითეუ-
საგან, გინა სასაქონლო, გინა პირუტყუა
გაეტანოს მას დიაცსა, იგი ქმარყოფილი
იმას ნუ სთხოვს. და, რაცა ქმარყოფილ-
სა დარჩეს, მას დიაცი ნუ ითხოვს, რა
ვინდა შეილნი უდგენს...

თუ რამ სამამულლო ზითევი იყოს, იგი
მის ქალისა სამშობლოსავე მართებს; და
თუ ქალსავე მისცემენ, მათ იციან.

თუ შეილნი არ დარჩომლიყვენენ პი-
რველისა ქრმისანი სახლსა შიგა, ივ-
რამგურელი კაცი სისხლისა საქმესა ში-
გა მოსრულსა არას ემართლების, მის
ქალისა სამშობლოსაგან კიდე.

47. თუ ძალად წაგუაროს დიაცსა
უმეტრად და უნდომლად, ულონიოდ.
ესეკალიბისა ძალთა, ლაშქართა უს-
ლებლად ვერ უზამს ვერცა უფროსი
უმტროსსა და ვერცა უმტროსი უფრო-
სსა. და დაუტეროს ცოლის წაგურისა
საპატივო სისხლისა ორნაწილი.

ლუზე, მის ბატონს — ნახევარი სი-
ხლი. და იმ გლეხისა რაც მოკუდეს და
დაიქრას. ორკეცი სისხლი და წან-
ლებიცა მისცეს. საქონლის წაღებაზე
ფიცით შეაჩეროს.

70. თუ უმძრახი კაცი ერთმანეთს
შემოეყარნენ და ერთმან გზა დაუ-
ლოს და გარილოს, მეორე ნულარ მი-
დევს. თუ მიზლიოს და ის გარიდე-
ბული მოკლას, ორკეცი სისხლი მი-
ცეს. და თუ ეს მიმდევარი მოკუდეს.
მისმან სისხლმან ჩაიაროს... რომ არ
დაუგდოს და დაუშინონ, რომელიც
მოკუდეს, სისხლი მისცენ.

84. თუ კაცმან ცოლი წაგუაროს
კაცსა, ასე რომე ღედაკაცი მისის ნე-
ბით გაუყუეს, იმ ღედაკაცის ქმარს
რასაც გუარისა იყოს, მისი სისხლის
ორი წილი გარდაიკადოს, და რაც
პირველის ქმრისა გაეტანოს, ისაც
უკლებრივ მისცეს.

თუ რამ თავისი ზითევი გაეტანოს.
ქმარყოფილი იმას ნულარ სთხოვს. თუ
რამ ზითევი პირველს ქმართან და-
რჩომოდეს, ის ღედაკაცი ნულარ ითხო-
ვოს, რაგინდ შეილიც არ დარჩომო-
დეს.

აგრევე, თუ რამ სამამულლე ზითევი
დარჩომოდეს, მისი არის, რომ პირ-
ველს ქმართან შეილი დარჩეს; და
თუ არა, სანამდენ სისხლს მისცემ-
დენ, პირველს ქმარს ექიროს. რახან
სისხლი მისცეს, ის მამული იმ ქალის
სამშობლოსი არის, თავის დას უნდა
მისცენ.

85. თუ ღედაკაცი ძალად მოიტაცოს
და წაიყუანოს, ეს გამოჩენილი შეჰ-
ნება, ულაშქროდ ვერ წაიყუანს, ვერც
დიდი და ვერც ცოტა. მამ, ლაშქართ
თავს დასხმა იქნების. იმისი ასრე იქნას:
იმ ქმარყოფილს წამყუანმან ორი სი-
ხლი მისცეს, მიქდომისა და ძალად
წართმევისათვის ერთი მთელი სისხლი

აგრევე დასხმულობისა წესითა დას-
ხმულობა დაუტრვოს. რაცა მოწამითა
კაცითა მის ღლის წანაღები დაიფიცოს
ცოლწაგურილმან კაცმან, იგიცა გარევე
შეაქციონ.

ღიაცისა ზითევისაგან თუ რა გავტა-
ნოს, ანუ რაცა დარჩომოდეს, აგრევე
ქნას, ვითა ზემო სწერია.

86. თუ ცოლმან ქმარსა გაუპირდეს,
ღედაკაცსა ანუ ღედაკაცისა ქმარს შეს-
ჩივლოს, ვითა, ესე ჩემი ქმარი შენი
ცოლთანა არისო, და მის ღიაცისა
ქმარმან გაიგონოს, და ამა ყბედისა და
ჩველისა ქმრისა ამისსა მოწამენი ჰყვენ,
თუ გაეყაროს, ბოზობისა ოდნად გარ-
დაკლეს მისი საქმე და სისხლი; არცა
მის ყბედისა ღიაცისა მეყუისნი სისხლი-
სა თხოვასა ემართლებიან.

და თუ ოდესმე ეთქუას და მას უკა-
ნის კიდეც ინდომოდეს, და არა შეეკვა-
ნოს და დაემონოს-ვე, ხანი გამოსრული-
ყოს, უკანისლა მის ყბედობისა მოწყე-
ნილმან მოიგონოსდა, უკამოლა არის—
ვინ არ იცოდა, რომე არშივი არ ეგე-
ბოდა, მის ყბედისა მიზეზი ნუა.

82. თუ ყანასა შიგა, გინა ვენაქა,
ბოსტანსა, რასა გინდა სავანოსა შიგან
პირუტყვი დაამწყედლოს კაცმან და, ნაწ-
ყენმან, კიდეც მოკლას. თუ პირუტყვისა
პატრონი იახლოს და განგებოთა ეყოს.
მტერობით იქმნების, ნუცა ნაწყენსა მო-
ერჩის და ნუცა სიკუდილსა იგა მას.

და თუ უმეტრად შესრული მოკლას,
ნაწყენი უზლოს შუათა დახედვითა. და
პირუტყვისა მომკვლელმან ზლოს ანუ,
რომე, თუ კორცი პირუტყვისა პე-
რონმან წაიღოს, ნახევარი უზლოს; და
თუ მომკვლელსა მისცენ, ერთობილი
უზლოს, როგორცა მეზობელთა დაჯა-
სონ. და თუ უკამსი იყოს, არად შემოი-
ღების.

მისცეს, რომ შეიქნების ყველაკა
ერთი მთელი სისხლი, კიდეც მთელს
სისხლის ორი წილი. წანაღებისა ან-
რე იქნას: წამლებმა, რაც დაიფიცოს,
ამის მეტი არ წამილიაო. ისრევე შეპო-
აქციოს. მზითევი, რაც თან გაპყოლო-
დეს, ან იქ დარჩომოდეს, როგორც
დაგვიწერია. ისრე ქნან.

87. ღედაკაცმან სხვას ღედაკაცს
თავის ქმართან წასძახოს, რომე ჩემი
ქმარი შენთან არისო. და იმ ღედაკა-
ცის ქმარს გააგონოს, და იმ კაცმან ამ
სიტყვისათვის თავისი ცოლი გაუშვას
მავინე, ბოზობისოდენი სისხლი წა-
ძახებლის ქმარმა მისცეს. და თუ მა-
შინ არ გაუშვას, ცუდის ღედაკაცს
ნათქუამს სიტყუას არას გამოეკიდოს
და თავის ქმარმან შეუნდოს; და მე-
რ-მე მას უკან კარგა ხანი გამოვიდეს
და მავინელი წაძახილი ქმარმან
ცოლს დააყუდროს და აღარ ინდო-
მოს. უღროს ღროს ვაშვება იქნე-
კაცი ტყუის და ველარ გაუშვებს.

188. ნაშრომისა და რასაც ფერას
პირუტყვისაგან წანაქედისა ასრე
იქნას: თუ უპატრონოდ ისრე რჩომა
ნაშრომში შევიდეს, ერთხელ პატრონს
მოგუაროს. უყურე. ნუ წამიკდენ-
ნებო თუ არ უყუროს და კიდეც
დახვდლოს შიგა, მოკლას, ვერას შეუ-
ა. და თუ არ მოკლას, შუაკაცთ კითხვით
წანაქედის პასუხი გასცეს. და თუ
პატრონიც გვერდსა უდგს და ისრე
წაუქდინა, მაშინ განაღამე რომ უფ-
როსი პასუხი უნდა მისცეს.

იქნების, რომ პატრონი გვერთ არ
უდგეს და მემამულე რჩომის პატ-
რონს ეღაუებოდეს, განზრახ შეპო-
ლალეო და ქიშპობით წამიკდინეო
და გვერთ აღარ მოუღეგო. მაშინ კე-

რი უყოს, რომ მისი ნება არ ყოფი-
ლიყოს. და საფათერაყოს წესი და წა-
ნაქედის პასუხი მისცეს, ამიტომ რა-
მე იმთონი რჩომა უკაცოდ რატომ გა-
უშვა.

66. თუ... წაქლომილი იცნას კაცმან. თუ
ესე დიციოს მან სხვამან კაცმან, რომე
ივი ქურდად არა ყოფილიყოს, თავის
პეტს არას ემართლებს.

აღბუღას სამართალი

67. თუ კაცსა კაცისა საქმიითა წაელოს
დასგანზე რამე და წაუტღეს ანუ სო-
ფელსა ეწყონოს ვინ. თათარმან ანუ
ქართველმან. — წაყვეს მას წამღებსა,
ღამზუთავსა კაცსა, და მან გასცეს პა-
სუხი და მოაცემინოს დაუკლებლად
ქელია. ანუ კადე არა წაყვეს, ანუ მო-
ეკეონოს და რამე აკლდეს, მან კაცმან
ქელისა დაუკლებლად.

68. თუ კაცსასა მამავალი ანუ ვის-
ვანზე ვაგზაენილი კაცი დაიხუთოს კაც-
მან. უმტეო კაცი. — კაცსა არას ემართ-
ლებოს. და რაცა წყენა და ნაცვალი მი-
სი. და საქლისი მოიგონოს, ყველას ემა-
რთლებს: და მის კაცის წანაღებისა
დაურებებს ემართლებს დაუკლებლად.

69. თუ კაცმან კაცი დაიქირავოს რა
ვინდა რა საქმისათვის. მისითა გულითა
ექირავოს და მას შვიან მოკუდეს, არა-
ვინ არას ემართლებს ქირისგან მეტსა.

81. დიაცსა თუ ღმერთი შერისხდეს,
დაქერიდეს და შეილი არა ედგას, მისი
ზითევი თანა გაყუეს დაუკლებლად...

ზადა გინდა იყოს, ანუ ქმარი შეირ-
იოს, ანუ თავისწინა სადმე იყოს.

156.ამ შენის საქონლისა არც
მე ვიყო ქურდი და ველარც იმას ვიცი-
ნობდე, ვისგანც მამცემია, აღარც ქე-
ლი მიწვდებოდეს. თუ ასრე შეფი-
ციოს, თავისი თავნი გამოართვას, სხვას
ნულარას მიერჩის.

174. თუ შორეულმან ასეთი კაცი
იხუთოს, რომე მისის თემისა იყოს,
იციობდეს და საქმე მიუწვდებოდეს,
მართებულია და სხვის კაცისა კი არა
მართებს. რა იმ რიგის კაცის თავრე
დაიხუთონ. მას კაცს სთხოონ პასუხი.
ვისაც თავზე დახუთვილა. და ის კა-
ცი ამას ემართლებს: წაყვეს მას
მისსა მოდაეცსა თანა და აუშეას; და
თუ რამე დაჰკარგოდეს, უკლებლედ
უზლოს. და იმ მოდავესთან თავი ვა-
მოიმართლოს.

თუ ამას ამბობდეს. ჩემთან რა
კაცს ქელი არა აქუსო. ეგ არ იქნე-
ბის, უმისკაცისოდ ვერ გამართლდება,
იმ დამხუთავთან უნდა მიჰყვეს. თუ
არ წაყვების, მამ წანართმევი ყველა
უნდა უზლოს, და თუ დაჰკერილი არის
ვინმე. იმის აშეებისაც უნდა გაურვიოს.

210. თუ კაცმან კაცი ინათხოვროს
და თუ მოკუდეს, ვერას შეუა. თუ არა
და მიზეზი არა არის რა, უნდა მი-
ცეს თავისი პატრონსა მისსა. როსაც
სთხოვოს.

231. ...დედაკაცი დარჩეს უშე-
ლოდ. თუ სახლში დადგებოს. რად-
გან ქმარი და შეილი იქ მოკედომია,
ისრეე თავისი პატრიოთ იყოს. თუ გა-
მოვა. ან სამშობლოს მივა. ან მოლოზ-
ნად შედგება, სახლიდამ საკაცოს სა-
ქონელს ვერ წაიღებს.

40. თუ კაცმან ნაპარევი რამე დასწავლოს კაცსა, დასტური არა იცოდეს, არსა და უწესოს იქს და ნუ სუოს. ნაგრა თავის სამართლებლად თუ შეფიცოს, არა საკვირველია და თავი იმართლოს.

მაგრა თუ არც ფიცი დაეკეროს და არცა მოწამესა უყუროს, გასაჯოს და წამოუღოს. და უბანთა ზედა გააქიქოს, ეს მერმე სხვაგან გამოჩნდეს იგი წარწელობილა, მას კაცსა იგი წაღებულ მისცეს, და რაცა დაეწამოს, ეგზომი ერთი სხვა თავისი მისცეს, ამად რომე უღასტეროდ დასწამა და უბრალო გააწილა.

47. თუ კაცმან კაცსა ამანათი შევედროს, რა გინდა რა ფერა, და მისმან მოსაქმემან კაცმან კიდე წაუღოს, საჩინლისა პატრონი წამღებს არა ემართლებსი თხოვას. მას სახოვოს, ვისუა შეუვედრებია. — ანუ მისგან უშოენოს, მუ უზოოს დაუკლებლო.

89. თუ კაცმან კაცსა პაემანთა საკრძარი რამე მიყიდოს, პაემანსა შიგნით ანუ რამე გამოჩნდეს, მოწილას ემართლებსი უცილებლად, უსამშლელოდ. თუ გარეთ მოეშალოს, ათის თავი მისია, სამშლელოდ მისცეს... ეს ბეობა. პაემანსა გარეთ ერთი პაემნის ოდენი გამოწრელიყოს, მანამდი მოიკმარების, მას გარეთ ნულარ მიერჩის.

91. თუ ომსა შიგან კელთა დარჩენილსა კაცსა და მისსა აბჯარსა ზედა იცილებოდნენ. რასაცა აბჯარსა ზედა რომლისა ნაკრავი აჩნდეს, და ანუ ცხენსა, მას მართებს. ასრუ რომე იგი დარჩომილი კაციცა გაიკითხონ ფიციტა: მანუკროგორცა უმოწმოს: სხვა იყოს. — შეორებსა კაცსა მართებს უცილოდ.

150. კაცმან რომ კაცს ქურდობათუ სხვა რა გინდა რა შესწამოს, სტანჯოს. ბევრი რამე უპატორი შეკადროს. ცაფუცოს, მერმე ის საქმე სხვაგან გამოჩნდეს და დამფიცებულმან თუ რამე იქილამ გამოიტანოს. ნახევარი იმისია, ვინც იფიცავს, და გარჯის საუპატიო უნდა მოსცეს დაფიცებულსა. იქილამ კიდე ვერა გამოიტანოს რა, გარჯის საუპატიო მაშინც უნდა მოსცეს, ბუეთავან გასინჯვით. როგორც კამღეს.

2072. კაცს, რომ კაცს რა გინდა რა საქონელი ებაროს, ვისაც აბარა, იმან რომ თავისი ბატონი გაუწყრეს და აუკლოს და ის მიზარებული საქონელი თან გაატანონ. იმისი ასრე იქნას. თუ დასთმოს იმ კაცმა მოყვრობით და მუხობლობით... კარგია. და არას უპართლებს.

106. თუ პირტუყვი, აქლემი, ცხენი, კორი, ულაცი და რაც რჩიომ პირობობ მიყიდა და ეს პირობა დაუღდა: ამ ჩუქს მოსყიდულს საქონელს, არც დაშვებელობათ და არც სნეულობით არა სჭირს რა, და თუ გამოჩნდეს, შერიფსა წაღე და ჩემი პირტუყვი მაშგვარე. როდესაც იმ კაცმან შეამჩნიოს რამე და მოგვაროს, უნდა მიმსყიდველმან პირობა გაუთაოს. და თუ არადა, პირობა არა ყოფილა რა, ერთმანეთს მოწონებით უვაკრიათ თუ გაუცკლიათ. მოკედების თუ ავი რამ გამოჩნდების, რა საბელზე გარდააპრეზინებენ. აღარ შეიშლის.

254. ომში კაცის დარჩენისათვის... თუ არა და იარაღი ჰყრა რამე და გაუარა, არა ინაღვლა რა, ვისაც დარჩეს, იმისი იყოს. თუ მოწამე ყავს, რომ იმ კაცზე ამის იარაღი მოხელა რამ დამნარჩუნებელს უწინ. ერთია, რომელიც უკეთესი იარაღი ქონდეს, მოწმობის გულისათვის მისცეს.

ამრიგად, ქართული ეროვნული სამართლის წიგნები, განსაკუთრებით ბექას და აღბუღას კანონები, შეადგენენ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. აქედან ცხადია, რომ ბექასა და აღბუღას კანონები მოქმედ საშარტალი იყო შუა საუკუნეების განმავლობაში XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ ბატონიშვილმა ეს კანონები საფუძვლად დაუდო თავის სამართლის წიგნს. რომელიც ქართული ეროვნული სამართლის ყველაზე სრულყოფილი ძეგლი და მართლმსაჯულების ძირითადი სახელმძღვანელო წიგნი იყო გვიანდელდღეობა საქართველოში.

ახლა განვიხილოთ საკითხი ვახტანგის კრებულში შეტანილი უცხოური აკანონმდებლო ძეგლების მოქმედების შესახებ საქართველოში. პროფ. ივ. სურგულაძის აზრით ვახტანგის კანონთა კრებულში შეტანილი უცხოეთის სამართლის წიგნები არ იყო მოქმედი ვახტანგის დროს. მათ კანონის ძალა არა ჰქონდათ და ისინი მხოლოდ შესაძარბებელ მასალას წარმოადგენდა.

ვამოუკმელ მოსაზრებათა გარკვევისათვის საჭიროა საკითხი უფრო დაწვრილებათ გაიჩნეს.

აკად. ივ. ჯავახიშვილი, არჩევს რა გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დედუკა“ 46-ე მუხლს, აღნიშნავს, რომ „მეზობელ ერთა სამართლის ძეგლები დედნად, თუ ნათარგმნი ამ დროსაც საქართველოში უნდა ჰქონოდათ და ქართული სამართლის წიგნების შედგენის დროს მათი ცნობებისათვისაც ანგარიში გაუწევიათ“ („ქართული სამართლის ისტორია“, I, გვ. 104). ამავე ნაშრომის სხვა ადგილას სახელოვანი მეცნიერი წერს: „ქართულ საკანონმდებლო ძეგლებთან ერთად უცხო ქვეყნის ამგვარივე ძეგლებს, მაგ. ებრაელთა სამართლის წიგნებს, ერთ ხელნაწერში ერთნაირი კრებულის მსგავსად მოთავსება ვახტანგ VI უწინარესაც სცოდნიათ... მაგრამ ამ ძეგლების ქართული თარგმანის არსებობა ვახტანგ VI. როგორც ეტყობა, არ სცოდნია. ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ვახტანგ მეფეს ბერძნული და სომხური სამართლის წიგნები ხელახლად გადმოუქართულებია. ანაირი ძეგლების ძველი ქართული თარგმანი უკვეელია წინათაც იქნებოდა, მხოლოდ XVIII ს. აღბათ ან დაკარგული იყო, ან სრულეათ მივიწყებელი“ (გვ. 118—119).

ვახტანგის კრებულში შეტანილი უცხო სამართლის ძეგლები, რომ მოქმედ სამართლად ითვლებოდა საქართველოში, ეს კარგად ჩანს „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნიდან“. ე. ი. ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებულიდან, რომელიც შედგენილი იყო XIX საუკუნის დასაწყისში.

ჩვეულებითი სჯულის ზოგიერთ მუხლს დართული აქვს შენაშენები. რომლებიც ადასტურებენ ვახტანგის კრებულში შეტანილი უცხო სამართლის წიგნების მოქმედებას.

სჯულის პირველი მუხლი გადმოგვცემს ყმისა და მამულის გაყიდვის წესებს, რომლებიც შემოღებულნი და დამკვიდრებული იყო ფეოდალურ საქართველოში. მუხლის განმარტებაში ნათქვამია: „მეფის ვახტანგის კანონის მეორეს წიგნის იგ მუხლი ამ ჩვეულებებისამებრ მოხმობს კრებულ არს“. ვახტანგ მეფის კანონად აქ იგულისხმება ვახტანგის კრებული. ხოლო მეორე წიგნად — ბერძნული სამართალი. ამრიგად, ბერძნული სამართლის მე-13 მუხლი, რომელიც ვალში მამულის გაყიდვის წესებს ეხება, მოქმედ კანონად ითვლებოდა საქართველოში.

ჩვეულებითი სჯულის მე-7 მუხლი გირაოთ აღებული ვალის წესებს ითვალისწინებს. ამ მუხლის შენიშვნაში ნათქვამია: „მეფის ვახტანგის კანონის ბერძულის მეორეს წიგნის რამუხლი ამ ჩვეულებისამებრ იხმარებოდა“. მაშასადამე, ვახტანგის კანონთა კრებულის მეორე წიგნის ანუ ბერძნული სამართლის 101 მუხლი, რომელიც გირავნობის უფლებას ეხება, მოქმედ კანონად ითვლებოდა საქართველოში.

მე-10 მუხლი ვალში დაგირავებული მამულით სარგებლობის წესს ეხება. ამ მუხლის შენიშვნაში ნათქვამია: „მეფის ვახტანგის კანონის სომხურის მესამეს წიგნის სლგ მუხლი ამ ჩვეულებისამებრ მოხმარებულ არს“. ვახტანგ მეფის კანონთა კრებულის მესამე წიგნი არის „სამართალი სომხური“, რომლის 233 მუხლით გათვალისწინებული გირავნობის წესი მოქმედი კანონი ყოფილა ჩვენში.

ჩვეულებითი სჯულის მე-60 მუხლში გათვალისწინებულია მოსამართლეთა მიერ საქმის გარჩევისა, გადაწყვეტილების გამოტანისა და გასაჩივრების წესი. აღნიშნული მუხლის შენიშვნაში მითითებულია: „მეფის ვახტანგის კანონის... მეორე წიგნის ბერძულის რღვ... მუხლი ამ ჩვეულებისამებრ მოხმარებულ არს. და ბერძულის მეორის წიგნის რღვ და რღჟ მუხლი სრულს ძალაზედ მაშინ მოაყვანებოდა. ოდესაც ბქენი ქვეშაირტობით განსჯიდნენ“. მაშასადამე, ბერძნული სამართლის 136, 137 და 138 მუხლებით გათვალისწინებული წესები მოქმედ ნორმებად ითვლებოდნენ ქართულ სასამართლო წარმოებაში.

ჩვეულებითი სჯულის ზემოთ დამოწმებული მუხლები სრულიად უდავოდ ადასტურებენ იმას, რომ ვახტანგის კრებულში შეტანილი ბერძნული და სომხური სამართლის მუხლების გარკვეული ნაწილი წარმოადგენდა მოქმედ სამართალს, რომელსაც სავალდებულო ძალა ჰქონდა განსაზღვრულ იურიდიულ ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში.

ბერძნული და სომხური კანონები რომ მოქმედ სამართალს წარმოადგენდა საქართველოში, ეს დასტურდება აგრეთვე სიგელ-გუჯარებში დატული ცნობებითაც. ზოგიერთ სიგელში აღნიშნულია, რომ მოსამართლენი საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისას სარგებლობდნენ ვახტანგის კრებულში შეტანილი ბერძნული და სომხური კანონებით: „Судьи наши, что по греческим законам малолетние не имеют права продавать имение, а если продадут то братья его имеют право выкупить: грузинские же и армянские законы говорят, что именно только с согласия помещика и родственников может быть продано, а если это при продаже не исполнено, то родственники могут выкупить его“ (Д. П у р ц е л а д з е, Крестьянские грамоты, 1880, გვ. 20).

კრებულში შეტანილი უცხო სამართლის წიგნების მოქმედებას ადასტურებს თვით კრებულის ზანდუკიც ანუ საძიებელი, რომელიც შედგენილია კრებულის ყველა ძეგლის მუხლების გათვალისწინებით. საძიებელი დალაგებულია საკითხების მიხედვით. გარკვეული თანამიმდევრობით. საძიებლის თვითველ პუნქტს სათანადო სვეტში მითითებული აქვს კრებულის ეროვნული და უცხო სამართლის წიგნების შესაბამისი მუხლები, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში, როცა ამა თუ იმ კანონის შესაბამისი ნორმა ეროვნული სამართლის წიგნებში არ მოიპოვება, მითითებულია მხოლოდ უცხო კანონთა სათანადო მუხლები,

არქელაო მიხედვით მოსამართლეებს ეს თუ ის კონკრეტული სასამართლო საქმე უნდა გაერჩია და გადაეწყვიტათ. ეს გარემოება სრულიად უდავოდ ხდის იმ ფაქტს, რომ ქართული სამართლის წიგნებში არსებული ნაბრუნების შემთხვევაში კრებულის უცხო სასამართლის წიგნების შესაბამისი მუხლები მოქმედი სასამართლის ნორმებს წარმოადგენდნენ.

ამრიგად, ვახტანგის კრებულის ხანდელი ანუ საძიებელი საფუძველს გვაქვს დავაყვანათ. რომ კრებულში შეტანილ ყველა ძეგლს გამოყენება ჰქონდა სასამართლო წარმოებაში. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ სასამართლო ნაბრუნის შესაბამისი მუხლი ან ნორმა მოცემულია როგორც ეროვნული, ისე უცხო სასამართლის წიგნებში, მოსამართლე საქმის გადაწყვეტისას არჩევს ამ საქმისათვის ყველაზე უფრო შესატყვის ნორმას, თანაც უპირატესობას აძლევს საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნს. ხოლო როცა ეროვნული კანონმდებლობის ძველებში, პირველ რიგში ვახტანგის სამართლის წიგნში, ასეთი ნორმა გათვალისწინებული არ არის, მოსამართლე ხელმძღვანელობს კრებულში შეტანილ უცხო კანონმდებლობის ნორმებით.

ვახტანგის კრებულის უცხო კანონების მოქმედებას საქართველოში ადასტურებს დავით ბატონიშვილიც, რომელმაც მისი მამის, საქართველოს უკანასკნელი მეფის ვაჟი XIII დავალებით შეადგინა საქმაოდ ვრცელი ნაწილები საქართლის წიგნი. დავით ბატონიშვილი ქართული სამართლის ისტორიას სწავეულის მცოდნე და მკვლევარი იყო. ამიტომ მის ცნობებს მეტად სარწმუნო და პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა აქვს.

დაეპირიწებთ დავით ბატონიშვილს ორ ხელნაწერ თხზულებას: „საქართველოს ისტორიას“ და მოხსენებით ბარათს „ქართული კანონების შესახებ“. პირველი დაცულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების არქივში, ხოლო მეორე ლენინგრადის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში.

ამართმა „საქართველოს ისტორია“ დავით ბატონიშვილი წერს:

«§ 26. Правление Грузии основано было на законах Моисеевых и греческих, и на учреждениях Грузинскими царями введенных. Но уголовные преступления судимы были особенно по Греческим Уставам...»

[275f] «§ 39. По возвращении своем в отечество, царь Вахтанг мужицки показывая себя магометанином, а в сердце своем имел напечатленным православное вероисповедание своих предков, управлял кротко и благоразумно Иверию по законам Греческим, а для купечества по законам Армянским, а также и по уложению царя Георгия V*, к коим законам присовокупил потом и свое особенное уложение.

В царствование родителя моего Георгия XIII, мне поручено было пополнить и в большую ясность привести древния узаконения. Стараясь спешествовать пользам своего отечества, и руководствуясь разными [276f] законами, я присовокупил к древним Грузинским узаконениям многия по-

* ხელნაწერშია: „Геоργия IV“.

становления, которые найдены были по моему соображению, полезными для Иверских народов» (Ленинградское отделение Института востоковедения АН СССР М 25 (G 5; М 14) — Грузинская История 26 г.).

რაც შეეხება დავით ბატონიშვილის მეორე ხელნაწერს — მოხსენებით ბართას „ქართული კანონების შესახებ“. მასში, ეპიტანგის სამართლის თარგმანის განმხილველი კომისიის მოხსენებით. ნათქვამია შემდეგი: «К сему царевич Давид присопонуил, что при царствовании в Грузии родителей его и предков. край сей управляем был: 1. Законами пророка Моисея. 2. Законами греческих императоров Константина, Юстиниана и Льва Мудрого. 3. Законами цари грузинского Георгия V*. 4. Установлениями князя Агбуги Атабагского. 5. Законами армянскими относительно торговли» (ЦГИАЛ, фонд 1260. Дело 6 — Дело о рассмотрении Грузинского гражданского уложения царя Вахтанга, 20.IV.1816 71γ—72γ)**.

ამრიგად, დავით ბატონიშვილს ორივე ნაშრომი ადასტურებს ბერძნული. სომხური და შოსეს სამართლის მოქმედებას საქართველოში.

სემოთ დამოწმებულ წყაროები ცხადად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ეპიტანგის კანონთა კრებულში შეტანილი უცხო სამართლის ძეგლები მოქმედ კანონებს წარმოადგენდნენ საქართველოში. კანონთა კრებულს, რომ აღგენდა, ეპიტანგ მეფის საკოდიფიკაციო კომისიამ კარგად იცოდა, რომ ბერძნული და სომხური სამართლის წიგნები მოქმედ კანონები იყო, რომლებიცაც ძველი-განვე ხელმძღვანელობდნენ ქართულ სასამართლო წარმოებაში. ამიტომ სკეპტიკდებელი ეპიტანგი თავისი სამართლის წიგნის წინასიტყვაობაში, ჩამოთვლის რამდენიმე კრებულში შეტანილი უცხო და ეროვნული სამართლის ძეგლებს, ასე მიჰპარტახს მონამართლეებს: „ხოლო ესეცა სცანთ, იგულებთ და იგულისმოდვინეთ, და რომელიც გენებოსთ და ემჯობესთ ვინდესთ, მათ სჯიდეთ და სამართალსა იქმოდეთ“. ამ სიტყვებით სკულდებელი მეფე კვლავ ადასტურებს კრებულში შესული უცხოური კანონების ძველთაგანვე მოქმედებას საქართველოში.

გარდა ამისა, სპიროსა აღინაშნოს ერთი მეტად მრავნელოვანი გარემოება კრებულში შეტანილი უცხო სამართლის ძეგლებისა და საკუთრივ ეპიტანგის სამართლის წიგნის შედარებითა შესწავლამ დაგვანახვა, რომ შოსეს სკეპტიკდებული და სომხური სამართლის წიგნები არა მარტო მოქმედი კანონები იყვნენში, არამედ ეპიტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროც. საკოდიფიკაციო კომისიამ ეპიტანგის სამართლის შედგენისას ქართული სინამდვილის გათვალისწინებოთა და სათანადო რედაქციით გამოყენებულ კრებულში შეტანილი უცხო სამართლის მთელი რიგი დადგენილებანი, რომელიც ხანგრძლივი გამოყენების შედეგად უკვე ეროვნული სამართლის ნორმებს შეადგენდა.

მოვიტანოთ შესაბამისი მუხლები და აღვჩინოთ შოსეს, ბერძნული, სომხური-რომაული და მხიარ კომის სამართლის წიგნებიდან.

* ხელნაწერშია: „Геоργия III“.

** ორივე საარქივო მასალა მომარწოდა იურიდიულ ზეცნიერებათა კანდიდატმა დ. ფურცელაძემ. რისთვისაც მადლობას ვუძღვნი.

1. თავ-უყავ მამასა შენსა და დელასა შენსა, ვითარცა გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან, რაჟთა კეთილი გეყოს შენ და დლეგარძელ იყო შენ ქუეყანაა ზედა, რომელ-იგი უფალმან ღმერთმან მოკცეს შენ.

11. ნუ აიღებ საქმედ შენ მსგავსად. ბიწებინა მის წარმართთაჲსა, ნუერ იპოების თქუენ შორის, რომელი... მიზნობდეს მისნობითა, ანუ ჰავსა იზმნა-ღეს ჰავითა ზმნითა, ანუ წამლევდეს წამლითა, ანუ გრძნეულ იყოს, ანუ ულუ-კთ-მკითხველი, ანუ თუ სასწაულია მკედართა მკითხველი, რამეთუ ბილწ არს წინაშე უფლისა, რომელი იწმოდის ამას ყოველსა, რამეთუ ამის ყოვლისა ბილწებისათვის მოსრნა იგი უფალმან ღმერთმან შენმან პირისაგან შენისა.

20. დღესა მას განყოფისაჲ და წილ-გდებისაჲსა, რაჟამს განუყოფდე შეილ-თა... ნუცა შეურაც ჰყოფნ პირმშობებაჲ, არამედ უხუტესი იგი ნაწილი მას... მიეცი და შემდგომობით შრჩობილი ყოვლისაჲე მისგან ფასისა მისისა, რაჟ-ცა იყოს ჭელსა შინა მისისა.

22. ნუ ყოს ღმერთმან, თუცა ესუას კაცსა ბიკი მკეველთანა ანუ ხარკსა თანა. უკეთუ ჰყუეს და სხუა ძენ-ცა ჰყუეს კურთხევისანი და შვილ-ნი ღმრთისანი, და განიყარნენ ძმობიაჲ მიერ და განინაწილონ მამული, არა მიეცეს ნაწილი მამული სა ძესა მკეველისასა.

29. ნუ მიჰკდი აღნადგინებსა ძმასა შენსა ვეცხლისასა, ნუცა აღნადგინებსა საქმლისასა, ნუცა ყოველსა აღნადგინებ-სა სესხისა მის შენისასა, რომელ ავასხე ძმასა შენსა, რაჟთა გაკურთხოს შენ ღმერთმან.

781. თუ მამამ შეილსა სცეს ან აენოს რამე, ვერას შეუა—ან უამებლობისათვის უზამს და ან სწავლისათვის, მამის უამებლობა შეილისაგან არა კამს. თუ შეილმან მამა ან გალაკა, ან უკადრისი რამ ჰკადრა, იმას ავად მოპყრობა უნ-და, ამიტომ რომე მეათე მცნება მამისა და დედის პატრივის-ღება არის.

251. მისანთა და კუდიანთა ამყოლი კაცი ღეთისაგან და წყველი-ლი არის და ბატონისაგანც წა-საკდენი. ამ მისნისა და კუდიანისაგან დახუბილნი კაცი თუ სამართალში მოვიდნენ, მისანი და კუდიანი გასახე-იბრებელი არის. და რაც იმ მკითხ-ველს სსვაზედ ან ჩხუბი, ან წასაკდენი მოუკდენია, მოსამართლემ გაუკითხა-ვად, სისხლი იყოს თუ საუპატიო, წა-ურთოს და მისცეს. იქნება საქონელიც წაურთოს მისნის პირით, ის ვერაი ორად გამოურთოს მოსამართლემ.

100. საუფროსო ასრე უნდა: რიაც ან აზნაურისა, ან გლეხის პატრონია იყვენ,... რამდენიც კომლი დაღაც, ოც კომლზე ერთს უკეთესს, რომე-ლიც უნდა, უფროსი გამოირჩეეს...

110. ნაბიკურის წილი არ არის მამულში. თუ თავის ძმებს ეყობა... ძმებმან ერთი ყმის ალაკს უნდა არჩინონ. და თუ არ უნდა ძმებ-თან ყოფნა, იმათთან არაფერი წილი არა აქუს, ვისთანაც უნდოდეს, წავი-დეს, ძმებს პასუხი არა აქუთ.

125. სულ უკეთესი ეს არის, რომ სარგებელი სულ არ აიღონ. სარგებლას სარგებელი სულ არ აიღოს. სარგებლას ნდების, არც ითხოების, არც მიეცე-მინების.

26. უკეთუ სიტყუა რამე საეკო მო-
აქენოს მოსამართლესა, სიტყუასა მას
შეიწყნარებს მოსამართლე იგი და ჩა-
ფიქრდების, და სინჯეას დაუწყებს საქ-
მესა მას, უნდა გასინჯოს.

27. უკეთუ სიგელში ეწეროს სიტ-
ყუები ბერი და მოსამართლე იგი
სიტყუასა მისსა ვერ მიხუდეს კარგადა,
და თავკარგი მოწამე არა ჰყავს მას კაე-
სა, მოსამართლე იგი სიტყუასა მას წაე-
ნისასა არა დაიჭერებს.

28. რომელნიც ციხიდამ გავიდეს და
ამ ციხის მტერთან მივიდეს და ციხიასა
მის საიდუმლო გაამჟღავნოს მტერსა
მისსა, ის კაცი, როდისაც კელში ჩაუგ-
დონ. ან ანძაზედ ააცვან და ან ცეცხლ-
ში დასწვან.

29. რომელმან დაუტეოს თავისი სამ-
კედრებელი და წარვიდეს და თავიას
უფროსის მტერთან მივიდეს... უკეთუ
სხვამან ეინმე განდგომილებაში დაიქი-
როს და თავის სამკუიდრებელზე მოი-
ყუნაონ, თუ ის კაცი ქრისტიანე კაცის
მკულელიც იყოს, თავი მოსჭრან.

30. რომელმანცა მოინდომოს ქრისტე-
ანეთა ზედა ლაშქრის მოყუნა და ანუ
ქრისტიანენი გასცეს მტერზედა, მას
თავი მოსჭრან.

31. ...რომელმაც მოგლიჯოს სამანი და
სხვაგან ჩასვას, რომელმანც ეს ქნას,
ორი ზომა მიიტეს პატრონსა, ერთიორად
მისცენ.

32. უკეთუ რომელიმე ამგვარს საქმე-
ზე ჩემს მამულზედ მოვიდნენ კლმითა,
შუბითა, ისრითა ანუ სხვას იარაღითა,
შუღლი ქნან და შემოჰკრან და მოკლას:

33. მოსამართლეს რომ საეკო მოქ-
სენდეს სიტყუით, მოწამე თავად მოჰ-
ქსენესა სთხოონ. თუ იმან დასაჭერი
მოწმეები იზოვოს, კარგი არის. თუ
არა და ეოსაც ედავებინს. იმას სთხ-
ვოს მოწამე.

34. მოსამართლე რომ სიგლის წე-
ზილს ვერ მიხუდეს, თუ იმაში დაწუ-
რილზედ რომ ისარჩილდენ, თუ უცი-
ლებლად ყოფილა იმ დღემდინ, სიგე-
ლიც მართლად ჩაიგდების და შიგ წე-
რილიც უცილებელი ყოფილა, არას
ეპართლებინს. თუ სიგლისა არა შეიტ-
ყობა რა და სადაოსაც ანლა ედავებინს.
ნუ ალაპარაკებს, დაკარგვია.

35. ციხიდამ და სიმავრიდამ კაცი
ან ბატონს ან ამხანაგს წაუვიდეს და
გასცეს, ლაშქარი დაასხას, იმისი სი-
ხლი არ გაიჩინება, ამისთვის რომე ბეკ-
რას სელის მესისხლე არის. რაც გარ-
დაქლება, სამართლით იქნება.

36. თუ კელმწიფეს ლაშქრიდამ
კაცი წაუვიდეს და მტერს მიუვიდეს.
და იმავე კელმწიფეს დარჩეს, თავად
კელმწიფის მოწყალეობაზე კილია, თუ
არა და ვუქის მოყვეთა ჭერ არს.

37. ვინც კაცმა ქვეყანას და ქრის-
ტეს რქულს უორგულოს... ღთისა
და ბატონისა ორისავე მესისხლე იქნე-
ბინს და ყოველი ავი იმაზე მართებულა
არის.

38. სამნის მოგლეჯისათვის... თა-
ვის კელის სისხლის ფასი ჭურჭში
გარდაქალდა, ამისთვის რომე სამნ-
ის მომვლეველი კელმოსაჰკრელი არის.

39. თუ კაცმან მამულის ცილებაში
მამულის პატრონი მოკლას, გასინჯოს
მოსამართლემ და, თუ კაცი ტყუილად
შესცილებია და ისრე მოუკლავს, ერ-

ვინაჲ მიწის პატრონისა, — თავი მოეკ-
ველოს... ამისთვის რომე ჩემს მამულთან
რა კელი გაქვს. რომ მამულსაც მართ-
ვევ და კიდევ მამულავ?

235. დედაკაცისა არა ჯერ არს. რათა
რისაცა საქმისათვის სამართალში მივი-
დეს. არამედ. თუ მოუელას ვინმე მანა
ანუ შვლიანუ ბატონი, ანუ ნათესავ-
ნი. იმ საქმის საჩივრელად მივა სამარ-
თალშია და უნდა გაუგონონ.

148. არა ჯერ არს დედაკაცისაგან.
რომე საკელი დაუკიროს, არცა მოწმობა
დაეჭრება. არცა ჯერ არს მისა ქმნად
ვინცაჲნი იმოწმოს, თუ არ ნახოს თავი-
სის თვალთა: გაგონილზედ ნუ იმოწმე-
ბენ.

205. დედაკაცი არაოდეს არავისაგან
თავდებად არ დაიყენება. და უკეთუ და-
იყენოს ვინმე თავდებად. სამართალში
ვერავინ მოიყვანს დედაკაცსა.

227. უკეთუ შერიგდეს ვინმე მონას-
ტრის მამულზედა... რომე მონასტრის
მამულში სახლი ააშენოს. ანუ ვენაქი
და ხილი დარგოს, ანუ ყანა დასთესოს,
პირველად ქირაზე უნდა შერიგდნენ და
წიგნი გამოართვან, თუ წელიწადში ამ-
დენი ჭირა მოგეყო, რადგან ასრე შე-
რიგდნენ, მასუკან იმ ალაგზე, რაც უნ-
და. ააშენონ.

238. ებისკოპოზი რომ მიიცვალოს. მას
საქონელზედა არავის აქვს უფლება.
რომ წიღოს ვინმე თავისთვის, არცა
პატრიარქსა, არცა მეფესა, არცა ეკლე-
სიის მას კრებულთა. არცა მის ნათესავ-
თა... და რაჲმს ებისკოპოზი დაქდეს
საყდარსა მისსა ზედა, ყველა უკლებ
მას მიამართონ საყდრისათვის.

305. უკეთუ ვინმე ერთი რამ მიამბა-
როს კაცსა და ეგონოს. რომე ის კაცი
ამ მისამარებელს მასუკან უარყოფსო,
მართებულია რომ წიგნი გამოართოს.
თუ ეს მამბარებიაო. და მერე ისე მია-

ნახეაო სახელი მისცეს თუ შემკი-
ლებელი მოკუდეს. სისხლის ორი წილი
მისცეს. ამიტომ რომ სხვის მამულსა-
თვის რატომ შეაკუდა?

216. თუ დედაკაცს კაცისაგან საჩი-
ვარი აქვს. სამართალშიც მიესვლება
და. გაგონებაც უნდა.

მაგრამ მისის ენით მოადს არც ფი-
დაუდება. არც არა წყართმის.

თუ კაცს დაიმოწმებს, მცდარი არა-
დეს. თუ დედაკაცი დედაკაცისაგან ჩი-
ვებს. მღივანში კელი არა აქვს...

230. დედაკაცს არ ეფიცების. არც
გარეშე კაცი შეეგდების, ამისთვის რომე
გარეშე კაცი შეეგდების, ამისთვის რომე
არას მისის ფიცისას ინაღვლის...

217. ეკლესიის მამულის დამთო-
კელმა და დამწერგველმან თუ ეკლე-
სიის პატრონისაგან დასტურით მოკ-
ნას, მართებული ღალა და სამსახური
გარდაუქაღია.

175. ებისკოპოზის ბეითალმალი ჩვენს
მიხდომაში სრულებით საყდრისა უნ-
და იყოს, ..ვერც არას ებისკოპოზის
ძმა და სახლისკაცი ებისკოპოზისაგან
იშობებს რასმე მისგან. რომე ებისკო-
პოზის დამარხვა შეიძლოს...

207. მიმარებულისა რასაც ნიეთისა
და ვინა ნათხოვარისა ასრე იქნებო-
დეს. თუ ასრე პირობა დაუდვას. ან
წიგნიო. ან მოწმობით. ამაგვარად იწ-
დოს. რომე ან მტრის დასხმით. ან

ბარას. რაც მიბარებია. სახელდობრ უნდა ეწეროს და მოწამეცა ეწეროს.

306. უკეთუ კაცს მიბაროს ვინმე რამე, და იმ კაცს ცეცხლი შეედვას ღა ან არეულობა რამე შეიქმნას, ან სახლი დაეცეს და წაუტდეს, და მან უარყოს, რომ ჩემთვის არ მოგიბარებიაო, თუ მოწამე მოიყუანოს და ის კაცი მოწმით გასტეხოს, ორი ზომა უნდა გამოართვას. ხოლო უკეთუ ვისაც მიბარა, მან თქუას, თუ ეს მამებარაო, ისევე თავისი გამოართვას. მიბარებული წამქდარიყოს რამე. მისი წაქდენისა ფასი მოსცეს ავად შენახვისათვის.

322. ვინცაინ მოკრას ხე ანუ ხილი. ანუ ვენაქი, ვითარცა ავაზაკი, ევრეთ განიპატიოს. უკეთუ მოსკრან ხე, ხილი, ვენაქი, ერთი ანუ ბევრი, და უარყოს. მე არ მამიქრიაო, ორი იმ ხის ფასი მისცენ. უკეთუ თქუას, მე დაეაშაე და ექნეო, რაც წაუქდინოს. ისევე თავისი მისცეს.

381. ერთმა კაცმა ცოლი დანიშნა, და დედაკაცი თუ მოკუდეს, რაც მისთვის ნიშანი მიეტანოს, ისევე უნდა გამოართვოს.

417. ვინცაინ სხვის მიწაში რუ გაილოს და წყალი გაიყუანოს, იმ მიწის პატრონის დასტური უნდა ქონდეს ღა ისე გაილოს რუ. სამს წელიწადს იმ რუს გაღებისათვის უნდა ქირა მისცეს რუს გამღებმა მიწის პატრონსა.

სირიულ-რომაული სამართალი

28. არ მისცემს რიგი სამართლისა, რომე ვინმე მოკლას თავისი ყმა და მოსამსახურე თავისის კელითა. თუ დააშავა ყმამ და ქნა სასიკუდილო საქმე, უნდა მართვან ქელმწიფესა და მან უყოს დანაშაულის ჯაზა.

ცეცხლით, ან წყლით, ან მობარვით. რაჟაე ფერის დამარცხებით თუ ჩიქსასაც არა დაუმარცხდა რაო, არც არას შენსა დაუმარცხებო, და მერმე ამ მიმბარებელს და შენათხოვრეს ერთოს რისაც დამარცხებით თავისი წაუტლა, და ეს სხვისაც, — არას ემართლებიან. იქნების, რომ არ უჯეროს, შენი არ წამქდარა რაო და ჩემი უნალღელღო დაკარგე და წამიქდინეო, — ფიცთ შეიჯეროს, როგორც საქონელი ყოფილიყოს. იმრიგის მოწმით, როგორც მოსამართლეთ გამოწახონ. იმ თავისი არა წაუტლა რა და მიბარებული და ნათხოვარი წაქდინა. უკუღმად უნდა მისცეს ისივე თავნი.

189. ეაზის ავაფასა, ნერგისა, განა ხილისა, ასრე იქნას. თუ ასეთმან კაცქან კაცს ეაზი აუკადოს, რომე არ ემართლებოდეს, სადაო და სალაპარაკო არა ქონდეს რა, ღვინით გინა სიბრძევით აუკადოს. რამდენიც ეაზი მოექრას. იმდენი აბაზისა მისცეს.

223. ნიშნის მიტანისა. ან ვაე მოკუდეს და ან ქალი, თუ რამ გასაყვეთი მიხვალა და სიციცხლეში გაუცეკეთა. ეერას შეუა, — რომე სიძესაც ბევრს მიეცემა. მას გარდა სულ უნდა მიეცეს ნიშნის პატრონსა.

244. რუს გამღებია, რომ შუამი სხვის მამული ედვას. იმ შუას მამულს პატრონს არა გაუკეთდება რა, ფასი უნდა მიეცეს. თუ იმასაც გაუკეთდება რამე. კარგად შერიგდენ.

50. თუ ვინ მიიყვალოს დედაკაცი და არ დარჩეს შვილი, და ქმარი ყუანდეს ცოცხალი, რაც მიყოლოდეს მას დედაკაცსა, მინაცემიანათ, შუა გაყონ და ნახევარი ქმარსა მისსა, და ნახევარი მამასა მისსა, და თუ არა ყუანდეს მამა, ვისაც ანდებოძო უყოს მან დედაკაცმან, მისცენ მას.

52. თუ შეხედეს კაცს ცოლი ასეთი, რომ იყოს გიჟი და ბნელიანი და მოზნადობის კაცმან გაშეება, მოსამართლემ მოკითხული ქნას: თუ ქორწილს უკან ქრმის კელში დამართებია, ვერც გაუშევებს და არც იქნება: თუ უწინვე, ქორწილამდინ სჭირებია, გაშეება ხომ კიდევ ანელა. მაგრამე რადგან არ იქნების და გაუშეებს, ნიშანი, რაც გაეგზავნოს, მას კაცს დარჩეს და ზითვეი მისი — ქალსა. და თუ ქრმის კელში დამართოდეს, გაუშეას, ზითვეიცა და ნიშანიც სრულ უკლებლივ მიეცეს მას ქალსა.

54. ...და ბოზობით სხვისგან მისცემოდეს. ამრიგის შვილის გატანა შეუძლია, და ალალი შვილი მამისა არის და მამის ბქანებას ქვეშ უნდა იყოს.

103. მამას შვილის მაგიერად ვერავეინ სთხოოს ვალი, თუ მამის ბქანებით არ უყოს აღებულნი.

105. ვინ ერთმანეთს უშუღლოს და შუღლში მოკუდეს, და მას მოკულულს კაცს ყუანდეს მამა ან ძმა, ან სხვა სიხლის მაკითხავეი, მათ ვერ შეუძლიათ თავისთავად სანაცლოს სიკუდილი და ვერც თავისთავად სისხლის თხოვნა. და ასე მართებთ: უნდა მივიდნენ კელმწიფესა და მოსამართლეს მოაკსენონ; და კელმწიფემ და მოსამართლემ ქნან სამართალი, და როგორც გარდებდევინება მართებთ, ისრე გარდააკდევინონ.

224. ვისაც სახლში უშვილოდ ქალო მოკუდეს და ქმარი დარჩეს, და მკაცრულს კარგად მოუაროს, თუ დიდის ხნის ცოლ-ქმარნი არიან, არა ეთხოვოს რა. თუ ახალი შეყრილი არიან და შვილი არა ყავს, ზითვეი სამად გაიყოს: ერთი წილი სულისათვის, ერთი წილი ამისთვის, რომ საქორწილო მიუტანია, და მესამედი ქალის პატრონს მიეცეს.

225. გიჟისა და ბნელიანის ცოლათვის. თუ ესენი ქორწილს წინაჲს სჭირს და ქმარს შეატყუეს, თუ გაუშევენ, სამკუდილო უნდა მისცეს და საკანონო მამამა და გამთხოველმან უნდა გარდაიქალოს, ამისთვის რომ ქრმის თავი არა ქონდა, რატომ გაიხიხივეს? და თუ რაც რაფერი სენი დედაკაცს ქმრის კელში დაემართოს, უნდა მოუაროს, გაშეება არ იქნება. და ერთმანერთის შენდობით იქნებოს. მოსამართლე არად გაერევის.

67. თუ ქალს ბოზობა შეემთხვიოს... თუ გაუშეა, რაც მზითვეი მოკყოლია, ისიცა და ბოზობით შექნილი შვილიცა თან უნდა გაატანოს. მაგრამ, თუ ამ მართალს ქმართან შვილი ჰყავს, ზითვეი მთლად არ მიეცემის.

140. შვილმან რომ ვალი აიღოს მამის უკითხავად, მამა არ მისცემს და არც ეთხოვბის.

24. ერთი ესეც უწყოდეს მოსამართლემ, რომე რა დიდი საქმე და დიდროანს კაცში სიკუდილი და რაგინდარა სისხლი მოკდეს, ერთიმეორის მოყუსობით მოკმარებასა და მიშეელებს მეფე და კათალიკოზი ნუ აქნევიანებენ, ნურც ერთს მეორის რბევას დააწყებინებს. და ნურცა ვინ მოინდომებს... რა ამგვარი საქმე ქვეყანაში მოკდეს, ასრე უნდა. მათ შუა კელმწიფემ კაცი დაუყენოს, ერთმანეთზე აღარ მიუშვან,

კიდემ სიკუდილი და ღმრის საწყენი საქმე აღარა იქნას რა... ნდომით მოქცდარა ის საქმე, თუ უნდომლად. კარგ-დ გამონახუა უნდა.

123. რომელიც შეილი მამამან ანდერძით დააპატრონოს ქონებასა და მამულსა მისსა. და რომ დარჩეს ვაღ. რომელიც რომ დაპატრონდა, ვალიც მან უნდა მისცეს, თუ ბევრია. თუ ცოტა.

130. მმა თუ ძმისწული ან ბიძაშული გაუყრელი დარჩა, იმ მკედრის წული მამულიცა და საქონელიც მიაიარის და ვალიც იმათ უნდა გარდიქაღონ...

124. ვინც კაცმან ვინც დააპატრონოს ქონებასა და მამულსა მისსა ანდერძით, და დარჩეს ვალი, და ვალიც მას დააკეთას, მასუკან არც ინდომოს მამული და ქონება, და არც ვალი, — აბა, მასუკან წავიდეს შევალე და მოკიდოს მამულსა და ქონებას კელი თავის ვალის გულსათვის.

ესეც იქნების, ერთგან იყუნენ გინდა მმა, გინდა მამა, გინდა ძმისწული, ერთი და ერთი რომ მოკედეს. და მკედრის მამულს არ ინდომებს სხვა სახლის კაცი, რომ არც გარდაქვად შეეძლოს, აღარც ვალს მისცემს.

145. კითხონ რიგსა: რომ არიან კაცნი და ყავთ შეილი, წავიდეს ერთ-ერთი შეილი და აიღოს ვალი ვისგანც. ან ივაკროს და ან რაც უყოს, მასუკან ის ვალის ვლები ან მოკედეს ან გაიპაროს საღმე, მასუკან ის თეთრი ან მამასა და ან ძმას ეთხოვბის, თუ არა? მიგემა სიტყუისა: ბრძანებს რიგი, არც ეთხოვბის მამასა და არც ძმასა.

146. კაცი რომ უცხოს თემს წავედეს და იქ შეილი გინა მმა დარჩეს, ეს კაცი იმ უცხოს ქვეყანას დარჩეს და უძღვებობაზედ ბევრი ვალი აიღოს, იმანზე მმა და სახლისკაცი არ მიუდგებეს. იმასვე უნდა სთხოვონ, ამიტომ რომ იმ მიმცემმან რატომ ავალა, ის რომ ღმრის და არხაქარი იყო?

140. თუ ვინც... აქლემი, ცხენი, ჭორი. საკედარი მისცეს შესანახად, უჩვენოს და მიიპაროს, რომ მოპარონ რამე მათ... უნდა მისცეს ფასი.

211. თუ პირუტყუი მიიპაროს კაცმა კაცისა. თუ დაუქარგოს, უნდა უზღოს. და იმან ქურდი იპოვნოს და იმას კამოართვას.

მხითარ გომის სამართალი

152. მოლაშქრე კაცმან ომში ვინც დაინარჩუნოს, დარჩომილის კაცის ცხენი, იარაღი და ტანისამოსი, ვინც დაინარჩუნა, მისი არის. და კაცი, ჭაჭვი და მუზარაღი კელმწიფეს მიართვას. ომში ნაშოვნი ოქრო, თვალი, მძიმე ზარბაზი ვინც იშოვნოს, კელმწიფის წილია.

178. თუ კაცმან კაცი დაინარჩუნოს ცოცხალი, თუ ანუ მოკლას, მისი ცხენი, იარაღი, ტანისამოსი დამნარჩუნებელისა არის; ჭაჭვი, ზუჩი, მუზარაღი და ამგვარი კელმწიფისა არის, — მკამე თვალი თუ მარგალიტი.

101. უშვილოს დედაკაცს ნუ გაუშეგბან ქმარი მისი, ამისთვის რომ შვილი არ მკაცრო.

165. თუ ქმარმან უშიშრობითა და ურიგობით დაქრას ცოლსა თვისსა რანდა-ნ და მოსტეხოს რამე და ანუ თვალი მოსთხაროს, ანუ კბილები ჩააყოყინოს, წაართვან მას კაცსა ორი ათასი ვერცხლი ჭარიმა.

173. რას დროს ყმაწვილთა თამაშობაში ერთმანერთი დააშაონ, თუ საქმის მოკლდომით, თუ ჭაერითა მოსტეხოს რამე, მართებს მას შემამკურთხელსა საეჭი-მო. მან მისცეს და გაამთელეზინოს.

175. თუ ყმაწვილთა ნაძლევი დასდევან ერთმანერთთან: აქიდან იქამდინ უივენებელი გაირბინოთ ან ამ კედლიდაქიქამდინ გარდახტეთ, ან ამ ხეზე გადოთ, ან ცხენი გაარბევინოს, ან ლოდს ააზიდვინოს, მოკლდეს რომ ნაძლევეში ან დაშაედეს და ან მოკუდეს, გასინჯონ, რომელმან რომ ნაძლევი დაუდგა, დღით რომელი უფროა, და ნახევარი ჭარიმა მისცეს.

177. კაცთა ვინც ღვინოს სმაში ერა-მანეთსა უშედლონ, მოკლდეს რომ მოსტეხოს ქელი ან სხვა რამ ასო დაუშაოთ. უნდა შემამკურთხელმან აქიმი დააყენოს და გააპოულებინოს.

208. რომელმან მოიპაროს შვილი ქრისტიანისა და გაყიდოს, სიკუდილით გარდაცვალოს. თუ ქრისტიანმა ქრისტიანა გაყიდოს და გამოჩნდეს მისის ბოროტის ნაქმარობა, რომე ურჯულოსათვის მიეყიდოს, საკანონოს გულისათვის ნუ მოკუდენ, და საპყრობილეთი ჩააგდონ, და თავლები გამოართვან, და მარგან გასყიდული დააქსნევინონ. (შდრ. გამოხლგ. 21, 17).

168. უშიშრობისათვის კაცი ძალად და მის უნებურად ცოლს ვერ დააგდებს.

03. თუ ცოლი დაქრას ან დააშაოს, თუ ცოლს უნდოდეს, სისხლი აიღოს და გამოართვა.

104. თუ ხუმრობასა და თამაშობაში კაცმა კაცს აწყინოს რამე, ან მოსტეხოს რამე, ან დაქრას... დაქრილს სააქიმო უნდა მისცეს.

107. ნაძლევისა ასრე იქნას. კაცი ყმაწვილსა და უჭკუოს კაცს არ უნდა დაენაძლეოს. არც იმას უნდა ჩამოხყუეს, რომ ან შეეკიდოს, ან ლოდს ააზიდვინოს, ან გარდახტომა მოუდევას, ან ცურვა დაპატიყოს, თუ რაც ამგვარი ნაძლევი მოუდევას: თორემ, თუ ამაში იმ ყმაწვილმან და უჭკუომ იწყინა რამე, იმ უფროსს კაცს ბრალი დაედება. და ამით, თუ რამ ავი დაემართება, ან მოიტეხა რამე, ან დაშაედა, ან მოკუდა, ან დასნეულდა, — მკუდარს სამარხი და დაშაეებულს სააქიმო.

03. ღვინოში რომ კაცმან ან კაცი მოკლას, ან დაქრას, თუ რაც უყოს, მთელს სისხლზე თუ არა მეტი, ნაკლები არ მიეცემინების. ამისთვის რომ ის რომ იქის ღვინოში აჩქარებულნი არას. რატომ დაღვეს იმდენს, რომ ამგვარს საქმეს აქნევინებს?

07. თუ კაცმან კაცს შვილი გაუყიდოს, გინა ქალი, და გამოჩნდეს. მართლა გაეყიდოს, სისხლი ხომ ზეათ დაგვიწერია და ასრე იქნას. თუ სწამობდეს და მართლობით არა ჩნდეს, ან ფიცით. ან მღუღრით გაიმართლოს თავი, და თუ ვერ გაიმართლოს თავი, ეს შეიტყვევით, სჯულიანზე მიუყიდნია, თუ უსჯულოზე, თუ ქრისტიანზე მიუყიდნია, მთელი სისხლ-

216. თუ მრჩოლელი იყო და უთხრეს პატრონსა მისას, ნუ შეინახავ მაგასაუ, ან მოკალ ან დაკარგეო, დღეს არის თუ ხვალ, კაცს დააშავებო; ბევრჯერ უთხრეს და მან კაცმან თალაფული კრას .. და მასუკან მოკლას ან კაცი და ან დედაკაცი, ის ძროხა ჩაქოლონ და ის ძროხის პატრონიც მოკუდეს. ან არადა მისცეს მონსარჩენი თავის ტანისა. (შდრ. გამოსლვ. 21, 28—30).

226. ვინცა ვის გაუძოროს ყანა ან ევნაკი; გაუშვას თავისი პირუტყუი და ვაუძოროს, რაც წაუტლინოს, წაართვას მას პირუტყუის პატრონს და მაგიერი მისას ყანიდამ მიაცემინონ. და თუ სრულ წაუტლინოს, სრულ უკლებლივ მაგიერი მის პირუტყუის პატრონს, რომელიც უკეთესი ნაშრომი ქონდეს, იმისგან წართვან. (შდრ. გამოსლვ. 22, 5).

228. თუ მიაბაროს კაცმან თავის ანახანავს კარი, ცხვარი ან საცვდარი ანუ სხვა რამ პირუტყუი... მოიტაცონ და არა იყოღნენ თუ როგორ მოკდა. მალე შუაში ჩერი მოტდეს... თუ მომტაცებელი იპოვონ, აზღვევიონ სამართლითა. და თუ ნადირს წაეკლინოს, ლეში უნდა აჩვენოს პატრონსა, და აღარ ეზღვევინება; და თუ არ უჩვენა, ეზღვევინება. (შდრ. გამოსლვ. 22, 10—13).

232. თუ თეთრი ასესხო ძმასა შენსა და ღარიბად იყოს, ნუ შეაწუხებ და სარგებელს ნუ სთხოვ. ძველისა და ახლის რაგის ბძანებით. ორისაც სიტყურს ბძანებით, არ აძლევს სარგებლის ადებსა გლახათაგან. (შდრ. გამოსლვ. 22, 25; ლევიტ. 25, 36).

234. თუ ვინ ვისაც სახლს თავის ნებით ცეცხლი წაუქიდონ, ნახონ მართლა, რომ კაცი თავის ნებით უკიდებდეს, წაეკიდოს და გარდიწვას სახლი და ზუღდაიქირონ ისიც, იგი ცეცხლში დაწვან, რომ სიკუდილის ღირსია. და თუ შეიბრალონ დასაწვავად, რომლისაც კელი-

უნდა მისცენ. და თუ დასაქსნელად კელი მიუწვდებოდეს, დააქსნევიონ.

198. თუ ვისიმე პირუტყუი ირჩოლებოდეს, პირველ უნდა უთხრან მეზობლებმან, რომე ამისგან ან კაცი მოკუდების ან პირუტყუი, ან დაკალ, ან მოკალ. ან წყუილნი გამოუხვენ, ან გაყიდვ და გაიკალე... და თუ არ დაიჭერა, და ან მოკლა რამე, ან დააშავა რამე, მრჩოლელის პატრონმა კაცმა პასუხი უნდა გააცეს.

188. ნაშრომისა და რასაც ფერის პირუტყუისაგან წაქდენისათვის ასრე იქნას: თუ უპატრონოდ ისრე რჩომა ნაშრომში შევიდეს, ერთხელ პატრონს მოგვაროს, უყურე. ნუ წამოქდენინებო. თუ არ უყუროს და კიდევ დაახელოს შიგა, მოკლას, ვერას შეუა. და თუ არ მოკლას. შუაკაცთ კითხვით წაწვედის პასუხი გასცეს.

211. თუ პირუტყუი მიიბაროს კაცმა კაცისა. თუ დაუკარგოს, უნდა უზღოს. და იმან ქურდი იპოვნოს და იმას ვამოართვას... თუ ან კლდეს გარდაადგდოს, ან მგელს შეაჭამოს, ან მტერს მოაკუდვევიონს. — უნდა უზღოს. თუ ვინ იცის. ან სენით მოკუდეს. ან სიბრძოთა, ტუაი და კორკი პატრონს უნდა მიუტანოს. სხვას არას ემართლება.

132. თუ კაცი გაღარიბებულის და ვალის მიცემა აღარ შეეძლოს, და აღ. დაეცმულიყოს. — თავნებად დაიკლება. და თუ ცოტაც არის. რომ შეუძლია. თავნი უნდა მისცეს და სარგებელი ჩაივლის.

191. თუ კაცი კაცს არას ემართლებოდეს და ისრე სახლსა და კარს ცეცხლი წაეკიდოს. რომ ჭალაბნი შიგ უღვებს. თავის გუნებით დასაწვავათ მოუდომებო. ერთი სისხლი და რაც ან სახლი და ან საქონელი დასწოდეს, უკლებლივ უნდა მისცეს. და თუ ემა-

წყევლებინოს. ის კელი ზოპქრან, და რაჲ რომ დამწვარიყოს იმ სახლში, ნახევარა ზღვევინონ. და თუ კელის მოსაქრელათაჲ შეიბრალონ და არ მოსქრან. წანაქელი ერთპირ აზღვევინონ, სრულად თამბა უყონ და ქარიმაც აქღუკონ.

381. პირტუეი. წმინდა თუ უწმინდერი. რომ ვისიმე ვისას ორმოში ჩაეარდეს... და მოკუდეს, სამართალი იქნას ანარ... ორმოს პატრონს რადგან თავლია გაუშვია. არა უნაღულია რა, ნახევარი უზღოს.

რღულებდეს. და ან საქმე რამ ქონდეს და ამოთუვის ექნას, მოსამართლემ გაუსინჯოს. რაჲ ნამართებულობა ქონდეს. იმაში გაუთვალონ.

258. ან ორმო დარჩეს პირლია, ან ნათხარი რამ ქნას კაცმა და იმაში ჩაეარდეს რამე, თუ.. არა ინაღვლა რა კაცმა, თუ საქმელი პირტუეი წაქდეს, იმაში ჩაეარდნილი — ორმოს თუ ნათხარის პატრონს, და საქონლის პატრონს იმისთანა მთელი მისცეს. თუ ცხენი ან ვირი, მაგისთანა, რომ არ იქმებოდეს, ჩაეარდეს, ნახევარი ფასი გარღუქადოს.

ამრიგად, ვახტანგის სამართლის წიგნის საკანონმდებლო წყაროს ეროვნული სამართლის ძეგლებთან ერთად შეადგენს აგრეთვე კრებულში შეტანილი მოხეს. ბერძნული, სირიულ-რომაული და მხითარ გოშის სამართლის წიგნებიც.

2. ვახტანგის სამართლის წიგნის სისტემა

„სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ შედგენილია საკანონმდებლო მართლის გარკვეული სისტემატიზაციის მიხედვით. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს. რომ ვახტანგის სამართლის წიგნი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება, რაც ჯერ კიდევ პროფ. ალ. ხახანაშვილმა შენიშნა: „ვახტანგ მეფის კანონები თავის თავად ორს ნაწილად განიყოფება: პირველი შიღის მე-204 მუხლამდე და შემდეგ იწყება მეორე ნაწილი, რომელიცაა წი უძღვის ახალი შესაქვალი“ („ბატონყმობა საქართველოში“, 1910 წ., გვ. 116—117). მართლაც, ხელნაწერებში ვახტანგის სამართლის წიგნის თავდაპირველი ტექსტი 204 მუხლს შეიცავს და მთავრდება ბოლოსიტყვაობით. 205-ე მუხლით იწყება სამართლის წიგნის მეორე ნაწილი. 204-ე და 205-ე მუხლებს შუა ჩართული ტექსტის შინაარსიდან ცხადად ჩანს, რომ იგი წარმოადგენს არა სამართლის წიგნის მეორე ნაწილის „ახალ შესავალს“, როგორც პროფ. ალ. ხახანაშვილი ფიქრობდა, არამედ პირველი ნაწილის ბოლოსიტყვაობას. რომლითაც მთავრდება კანონთა თავდაპირველი ტექსტი.

ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს თ. ენუქიძეს, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ვახტანგის სამართლის წიგნის ნუსხები, დადგენილი აქვს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნისა და საერთოდ კრებულის დაწერილობის ტექსტის ძირითადი ხელი წყდება 204-ე მუხლზე (327V). 327r-ზე წყდება კრებულის ძირითადი ტექსტის პაგინაცია და ფურცლის V-ზე მიწერილია: „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“. 205-ე მუხლის შემდეგ ირღვევა ტექნიკური გაფორმება. თვითუფილი მუხლი იწყება „ქ“-თი, მუხლების დასაწყისში (გარდა ს. მალაქაძის მიერ შეტანილი მუხლებისა) აღარ გვხვდება სინჯური.

204-ე მუხლის შემდგომი 66 მუხლი დაწერილია სამი სხვადასხვა ხელით. ეს მუხლები რომ შემდეგ არის მიწერილი, ამას ისიც ადასტურებს. რომ სამართლის კრებულის საძიებელი ეს მუხლები ვახტანგის სამართლის წიგნის მუხლებს აღმნიშვნელ გრაფაში შეტანილია სხვა ხელით. მუხლების დამატება ხდება ვახტანგის დროსვე და მისივე მონაწილეობით. ზემოაღნიშნულის გამო თ. ენუქიძე დაასკვნის: „თავდაპირველად ვახტანგის სამართლის ტექსტი მთავრდებოდა 204 მუხლითა და ბოლოსიტყვაობით. ამჟამად დროს უნდა შეედგინა ს. მაღალაძეს მთელი კრებულის საძიებელი, ვინაიდან ამ საძიებლის ვახტანგის სამართლის წიგნის აღმნიშვნელ გრაფაში მხოლოდ 204 მუხლია დამოწმებული სწოლომონ მაღალაძის ხელით. ამ მოცულობისა უნდა ყოფილიყო ვახტანგის სამართლის წიგნის I რედაქცია“ (ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955, გვ. 20).

სამართლის წიგნი იწყება საკმაოდ ვრცელი წინასიტყვაობით, რომელშიც მოკლე ლეთისმეტყველური შესავლის შემდეგ გადმოცემულია ქართლში მართლმსაჯულების დაკემის სურათი, აღნიშნულია ვახტანგ V-ის, გიორგი XI-ის და თვით სჯულმდებელი ვახტანგ ბატონიშვილის დეაწლი, ჩამოთვლილია კრებულში შეტანილი თარგმნილი უცხოური და ორიგინალური ქართული ძეგლები, დასახელებულია საკანონმდებლო კომისიის წევრები, აღნიშნულია სამართლის წიგნის შედგენის მიზეზები და კანონთა შემდგომი შევსებისა და სრულყოფის საპირობა.

შესავლის შემდეგ იწყება კანონთა ტექსტი, რომელიც რამდენიმე ადგილს საკანონმდებლო კომისიის მიერ სამართლის დარგებისა თუ ინსტიტუტების მიხედვით დაყოფილია კარებად: „ქარი თეთრის გარიგებისა“ (მუხლ. 15—16); „აქა ქარი — დასაწყისი გაყრისა და ერთმანეთის დაშორებისა თუ ვით უნდა“ (მუხლ. 98—115); „ქარი — პირველი, ვალისა თუ როგორ აღების“ (მუხლ. 116—149); „აწ ეიწყით ქარი ქურდობისა და სამართალი მისი“ (მუხლ. 150—159); „ქარი ნასყიდობისა“ (მუხლ. 160—166).

რაც შეეხება სამართლის წიგნის სხვა ნაწილებს, ისინი კანონთა შინაარსს მიხედვით დაყოფილია კარებად ჩვენს მიერ. სამართლის წიგნის 1—14 მუხლები მართლმსაჯულებისა და სასამართლო წარმოების საკითხებს შეიცავს. კერძოდ 6—14 მუხლებში აღწერილია სასამართლო დამამტკიცებელ საბუთთა სახეები, გადმოცემულია თავის მართლების „რიგი და სამართალი“. ამით მთავრდება სამართლის წიგნის ერთი განყოფილება, რომელიც სამართლის ქმნის საკითხებს აწესრიგებს. ამიტომ 1—14 მუხლები ცალკე კარად გამოვყავით და დავასათურობ: „ქარი სამართლის ქმნისა“.

ამას მოსდევს 17—49 მუხლები, რომლებიც დაზარალებულის წოდებრივი და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით მკვლელობისა და ჭრილობის სისხლს განსაზღვრავენ. ეს სამართლის წიგნის ყველაზე დიდი ნაწილია და ისიც ცალკე კარად გამოვყავით: „ქარი სისხლის განაჩენებისა“.

სამართლის წიგნის 50—61 მუხლები თავდასხმის ან ჩასაფრების შედეგად მოღალატურად ჩადენილ მკვლელობას შეეხება. ეს მუხლებიც ცალკე კარად გამოვყავით: „ქარი მიქდომისა და დალატად დადგომისა“.

ხელნაწერებში 167 მუხლი იწყება ასე: „გაეუღლილობისა“. რაც უდაოდ სათაურის აღმნიშვნელი სიტყვაა. ამ მუხლს წინ ესწრებს „ქარი ხანა“.

ცოხისა. ამიტომ, ცხადია, 167 მუხლიც „ქარი გაცული ღობისა“-დ უნდა დასათაურდეს.

შეიძლება სამართლის წიგნის სხვა ნაწილების დაყოფაც კარგად; მაგალითად: „ქარი ცოლ-ქმართა საქმისა“ (მუხლ. 62—74); „ქარი მამა-შვილთა და და-ძმათა საქმისა“ (მუხლ. 77—83); „ქარი ცოლის წაგვრისა და დაგდებისა“ (მუხლ. 84—87); „ქარი მოკლისა“ (მუხლ. 88—95); „ქარი ნადირობის ცილებისა“ (მუხლ. 174—183); „ქარი ბატონთა და ყმათა“ (მუხლ. 198—203); „ქარი, თუ ვითარ ქაზს დაწერა განაჩენისა“ (მუხლ. 205—206); „ქარი მიბარებულისა რასაც ნივთისა, და გუნა ნათხოვრისა“ (მუხლ. 207—211) და სხვ. ეს ნაწილები ჩვენ კარგად არ გამოვკაცეთ. რადგან ანალოგიური შინაარსის მუხლები სამართლის წიგნის მეორე ნაწილშიც გვხვდება, მაგრამ ერთგვაროვანი იურიდიული ურთიერთობის მომწესრიგებელი მუხლები შინაარსის მიხედვით ცალკე სათაურებით აღენიშნეთ.

გარდა კარგად დაყოფისა, ხელნაწერებში სამართლის წიგნის მთელი რაგი მუხლები სათაურის აღმნიშვნელი წინადადებით იწყება: „შანთი ასრე არის“ (მუხლ. 9); „ფიცი ასრე არის“ (მუხლ. 10); „მოწმით სამართლის ქნა ასრე არის“ (მუხ. 13); „ცოდვის მოკიდებისა ასრე არის“ (მუხლი 14); „აწ კოცისა და კოდისა წონისა მოგაკსენოთ“ (მუხლ. 120); „სამართლიანად თეთრისა, პურისა, ღვინოსა გავალება როგორ ქამს“ (მუხლ. 125); „პურზე თეთრის გაცემა“ (მუხლ. 129); „თეთრის მუშაზე გაცემა“ (მუხლ. 130); „ამანათისა“ (მუხლ. 149); „გაცულოლობისა“ (მუხლ. 167); „ლაშქარში დანარჩენებულ კაცსა და იარაღზე ირჩოდენ“ (მუხლ. 178); „ნაშრომისა და რასაც ფერის პირუტყვისაგან წანაქედისა ასრე იქნას“ (მუხლ. 188); „ვაზის აყაფისა, ნერგისა, გინა ხილისა ასრე იქნას“ (მუხლ. 189); „დაწერისა“ (მუხლ. 191); „ნაძლევისა ასრე იქნას“ (მუხლ. 197); „გლეხის გაყრა ასრე არის“ (მუხლ. 204); „თუ ვითარ ქამს დაწერა განაჩენისა“ (მუხლ. 205); „მიბარებულისა რასაც ნივთისა და გინა ნათხოვრისა, ასრე იქნებოდეს“ (მუხლ. 207); „ქუეყენისა და ქალაქთ შენახვისა“ (მუხლ. 214); „ბჭის დადგინებისათვის“ (მუხლ. 215); „დედაკაცის საჩივარში მოსვლისა“ (მუხლ. 216); „საფლავის მიწის ფასისათვის“ (მუხლ. 218); „ნოშნის მიტანისა“ (მუხლ. 223); „ზოთერისათვის“ (მუხლ. 224); „გვიცისა და ბნედიანის ცოლისათვის“ (მუხლ. 225); „ესამართლოდ გინებისათვის“ (მუხლ. 226); „წაძრახვისათვის“ (მუხლ. 227); „ანდერძი“ (მუხლ. 228); „აზატობისათვის“ (მუხლ. 234); „ფიცისათვის და მოფიცარისა“ (მუხლ. 237); „ტყუილად დამფიცებულისა“ (მუხლ. 238); „დედაკაცის ფიცისათვის“ (მუხლ. 239); „სიგლის წართმევისათვის“ (მუხლ. 240); „სამძევლის გარეგებისათვის ასრე უნდა იქნას“ (მუხლ. 241); „სამნის მოგლეჯისათვის“ (მუხლ. 242); „ლალის აღებისათვის“ (მუხლ. 250); „მოწამლისათვის“ (მუხლ. 252); „ომში კაცის დარჩენისათვის“ (მუხლ. 254); „ომში ნაშოვნის საქონლისათვის“ (მუხლ. 255).

ცხადია, რომ ზემოთ მოტანილი წინადადებანი თუ სიტყვები სამართლის წიგნის მუხლების სათაურია. ამიტომ ისინი ტექსტიდან გამოვიტანეთ და მუხლების სათაურებად გავაკეთეთ.

რაც შეეხება სამართლის წიგნის დანარჩენ მუხლებს, ისინი არ შეიცავენ სათაურის აღმნიშვნელ წინადადებებს. მათი სათაურები შედგენილია ჩვენს მიერ მუხლების თუ ცალკეული მუხლის შინაარსის მიხედვით და კავებშია ჩასმული. ასეთი სათაურებია: „რაგი და სამართალი თავის მართლებისა“ (მუხლ. 6); „ქმალში გატანება ამ წესით უნდა“ (მუხლ. 7); „მძულარე ასრე უნდა“ (მუხლ. 8); „ასოთა და ქრობათა სისხლისათვის“ (მუხლ. 43—49); „ცოლ-ქმართა საქმისა

ასრე არის“ (მუხლ. 62—74); „უფროსი კაცის მოკვლის ასრე იქნას“ (მუხლ. 73); „უმძრახ კაცთა ასრე იქნას“ (მუხლ. 76); „მამა-შვილთა და და-ძმათა საქმისა ასრე იქნას“ (მუხლ. 77—83); „კოლის წავეროსა და დაგდებისა ასრე იქნას“ (მუხლ. 84—87); „მოკვლის საქმე ასრე იქნას“ (მუხლ. 88—95); „სხვისი კოლის ან შვილის გაყიდვისათვის“ (მუხლ. 96—97); „უშვილობისათვის“ (მუხლ. 168); „წყალს, შუშა და ბალახი კელმწიფისა არის“ (მუხლ. 169—172); „დახუთვის ასრე იქნას“ (მუხლ. 173—174); „ებისკოპოსის ბეითალმალისა ასრე იქნას“ (მუხლ. 175); „ობატონობასა და ორიანობაში მიკდომა“ (176—177); „ნადირობის ცილების ასრე იქნას“ (მუხლ. 179—183); „წყლის სამძღვრის ცილების ასრე იქნას“ (მუხლ. 184); „პოენისა ასრე იქნას“ (მუხლ. 186); „ყმაწვილის ნაქნარის საქმისა“ (მუხლ. 187); „ხუმრობასა და თამაშობაში დაქრისათვის“ (მუხლ. 194); „მარხილელი პირუტყვისა ასრე იქნას“ (მუხლ. 196); „მებატონეთა და ყმათათვის“ (მუხლ. 198—203); „გლეხის გაყრა ასრე არის“ (მუხლ. 204); „მოსამართლეს რომ საეკეო მოკსენდეს“ (მუხლ. 212—213); „ეკლესიის მამულის დამუშავებისათვის“ (მუხლ. 217); „ქვეყნისა და რჯულის ღალატისათვის“ (მუხლ. 220—221); „მუქარის დათხოვნისათვის“ (მუხლ. 228); „ქირავნობისათვის“ (მუხლ. 229); „ქვრევი დედაკაცის სამკვიდროსათვის“ (მუხლ. 231—232); „თაღებობისათვის“ (მუხლ. 233); „მთხრობლობისათვის“ (მუხლ. 236); „ამანათისათვის“ (მუხლ. 243); „რეს გამლებისა“ (მუხლ. 244); „წანაქედისათვის“ (მუხლ. 245); „მოწის კერისათვის“ (მუხლ. 246); „ხის წაღებისათვის“ (მუხლ. 247); „ყმის ამოვარდნისათვის“ (მუხლ. 248); „ქურდობის შეწამებისათვის“ (მუხლ. 249); „მისანთა და კულიანთათვის“ (მუხლ. 251); „ტყუილად დამბეზღებლისათვის“ (მუხლ. 253); „ორმოში ჩავარდნისათვის“ (მუხლ. 256); „ქალის სამკვიდროსათვის“ (მუხლ. 257); „ბატონის მოკვლის, დაჯარის, ცემისა თუ შეგინებისათვის“ (მუხლ. 258—259); „ყმის თავის დაქსნა ასრე იქნას“ (მუხლ. 260); „ნაშვილებისათვის“ (მუხლ. 261); „მოახლის თხოვნისათვის“ (მუხლ. 262); „სხვას ქვეყანას ვალს აღებისათვის“ (მუხლ. 263); „თავადთა და აზნაურთა თავის გატეხისათვის“ (მუხლ. 264—266); „მოსამართლის საუპატიო ასრე იქნას“ (მუხლ. 267); „მეყრისათვის“ (მუხლ. 268); „ყმის თაღებობისათვის“ (მუხლ. 269); „ბოძებელი ან აყრილი გლეხისათვის“ (მუხლ. 270).

სამართლის წიგნის კარებად დაყოფა და მუხლების დასათურება საკანონმდებლო მასალის დალაგების ნათელ სურათს იძლევა. უწინარეს ყოვლისა აწკარად იგრძნობა დიდი განსხვავება სამართლის წიგნის პირველსა და მეორე ნაწილს შორის. პირველ ნაწილში (მუხლ. 1—204) გადმოცემული საკანონმდებლო მასალა დალაგებულია გარკვეული თანმიმდევრობისა და სისტემის მიხედვით: სამართლო წარმოება, სისხლის განაჩენები, მიხდომა და დალატად დადგომა, კოლქმრის ურთიერთობა, მშობლებისა და შვილების ურთიერთობა, მკვლელობის სხვადასხვა სახეობა, გაყრისა და დაშორების რიგი, სესხი და ვალი, ქურდობა და მისი სახეობანი, ნასყიდობა, გაცვილობა, ხელმწიფის პრივილეგიური უფლებები, ნადირობის ცილება, ნაშრომისა და ქირნახელის წანახედი, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული, მებატონეთა და ყმათა ურთიერთობა — ასეთი სამართლის წიგნის პირველ ნაწილში გათვალისწინებული სამართლის ცალკეული დარგები და ინსტიტუტები. გარდა ამისა, სამართლის წიგნის პირველი ნაწილის ნორმატიული მასალა რედაქციულად და იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით უფრო დამუშავებულია, იგი განზოგადოებული და შედარებით ნაკლებად კაზუსტური ხასიათისაა; ანალოგიური შინაარსის მუხლები თითქმის არ გვხვდება.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ საკანონმდებლო კომისიამ გულმოდგინედ დააბუშავა სამართლის წიგნის პირველი ნაწილი.

სხვა სურათია სამართლის წიგნის მეორე ნაწილში. აქ მოტანილი მასალა იწინასწარ დაშვებული აღარ არის. მუხლების დიდი ნაწილი კაზუსტური ხასიათისაა, ჭერონად განზოგადებული და ჩამოყალიბებული არ არის. ისინი უფრო სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილი კაზუსების გადაწყვეტის ელფერს ატარებენ, თანაც ზოგიერთი მუხლის შინაარსი დაუმთავრებელი ჩანს.

ამჟამად იგრძნობა აგრეთვე, რომ სამართლის წიგნის მეორე ნაწილის მუხლებით შევსება შემთხვევათა კვალობაზე ხდებოდა. ერთგვაროვანი იურიდიული ურთიერთობის მომწესრიგებელი მუხლები თანამიმდევრობით დალაგებული არ არის; ადვილად შესამჩნევია საკანონმდებლო მასალის გადმოცემის უსისტემობა. ახალი მუხლების ჩაწერისას, როგორც ჩანს, მხედველობიდან გამოჩენილათ პირველ ნაწილში გათვალისწინებული მუხლები და ნორმები; ამიტომ არის, რომ მეორე ნაწილის რამდენიმე მუხლი პირველი ნაწილის ზოგიერთ მუხლს იმეორებს ანდა ანალოგიური შინაარსისაა.

178. ლაშქარში დანარჩუნებულს კაცსა და იარაღზე ირჩოდენ მისი ასრე იქნას. თუ კაცმან კაცი დაიარჩუნოს ცოცხალი, თუ ანუ მოკლას, მისი ცხენი, იარაღი, ტანისამოსი დამნარჩუნებელისა არის; ჭაპკვი, ზუჩი, მუზარადი და ამგვარი კელმწიფისა არის, — მძიმე თვალი თუ მარგალიტი.

აგრევე მოკლულს კაცს ვერაგინ მიედაეება მომკვლელს და ვერცა ვინ გაუცრკვის.

და თუ მან არ ინდომა ჭერ გაეცრვა და ისევე მტერსა სდევს, და სხვას უთხრა. ეგ კაცი მოვკალ, შენ გაეცარევეო, იმასაც ცოტა რამ წილი უც იმ ნაცარცეში მისის კარკაცობით.

აგრევე მოკლულს კაცს არას გზით ნიფხავი და პერანგი არ გაეცრევებას და ნურცა ვინ კელს მიყოფს, თვარა კანონი აქვს. და თუ ვინმე იკადროს ამისი ქნა, მათი უფროსი ნუ აქნევიანებს.

195. კაცმან თუ ორმოს პირი აქლილი გაუშვას და იმაში ან კაცი და ან პირუტყვი ჩავარდეს წმიდა და უწმიდური, ის უნდა ნახონ, თავის ნატამალშია თუ საცნაბ

254. ომში კაცის დარჩენისათვის. კაცმა კაცი დაირჩინოს, თუ უცხო მტერი დარჩომია და შორის ქუეყნისაც არის, არც ჩვენის რჯულისა არის, თუ კელმწიფე არ გამოართმევს ან თავს არ დააქსნევიანებს, ნასყიდისაგანაც უფრო ყმა არის.

დარჩენამაც ეს ურეკია, რომ თუ სხვის კაცისაგან ან ჩამოგდებული არის ან დაკოდილი, თუ კაცმა შემოიძახოს. რომე, მამეკმარეო ან ჩემგან ჩამოვარდნილი ან დაკოდილი არიო. თუ დაირჩინა, დაანებე, — მამაცობა არ გაიყიდება. თუ არადა, იარაღი ჰკრა რამე და გაუარა, არა ინაღვლა რა. ვისაც დარჩეს, იმისი იყოს.

თუ მოწამე ყავს, რომ იმ კაცზე ამის იარაღი მოხვდა რამ დამნარჩუნებელს უწინ, ერთი, რომელიც უკეთესი იარაღი ქონდეს, მოწამის გულისათვის მისცეს.

თუ ან ახლოული კაცია, ან ჩვენის რჯულისა დაირჩინოს, იმას თუ კელმწიფეს მიართომს, ჭილდოს მისცემს, თუ არადა, დიდი ნამუსი უნდა, რომ თავი დააქსნევიანო. ისიც ნამუსიანათ უნდა.

256. ან ორმო დარჩეს პირლია. ან ნათხარი რამ ქნას კაცმა და იმაში ჩავარდეს რამე, თუ თავის ნატამალში აქვს, უფრო ვერას შეუუღვნ.

სოფლოს ადგილსა, ან ის ჩაეარდნილა კაცი თუ დედაკაცი ბრმა ყოფილა ანუ მთვრალი, — მოსამართლემ კარგად გამოიკითხოს.

თუ თავის ნატამალში ყოფილა ის ორმო, ნახევარს სისხლს შეუვა კაცისას თუ პირუტყვისას; თუ სასოფლოს ადგილს ყოფილა, მთელი ეთხოვდის. ამიტომ რომ იცოდა, გზა იყო, რად არ დაბურა?

და თუ სათემოს, სასოფლოს ადგილს არა ინაღლა რა კაცმა, თუ საკმელი პირუტყვი წაქდეს, იმაში ჩაეარდნილი — ორმოს თუ ნათხარის პატრონს, და საქონლის პატრონს იმისთანა მთელი მისცეს. თუ ცხენი ან ვირი, მაგისთანა, რომ არ იკმებოდეს, ჩაეარდეს, ნახევარი ფასი გარდუქადოს.

თუ ყმაწვილი ასეთი ჩაეარდეს, რომ პირუტყვთან ჩაიგდებოდეს, რაც იქ ყინოს, მის საფერად მოსამართლემ გაუჩინოს.

კუთისმყოფელი ან კაცი ან დედაკაცი ჩაეარდეს, არა გაუჩნდება რა, ამისთვის რომე თვალთ უჩანს, ნუ იქს.

სამართლის წიგნის პირველი და მეორე ნაწილის მუხლები, რომლებიც ერთგვაროვან ან მსგავს იურიდიულ ურთიერთობას აწესრიგებს, თანამიმდევრულად დალაგებული არ არის. მოსამართლის ნიშან-თვისებები დაწვრილებით ჩამოთვლილია მე-3 მუხლში, მაგრამ ამავე საკითხს ეხება 215 მუხლიც; ფიცისა და მოთქმის შესახებ ლაპარაკია პირველი ნაწილის მე-10—12, 143 და 147 მუხლებში, ამავე საკითხებს ეხება მეორე ნაწილის 237—239 მუხლები; 88—95 მუხლებში ჩამოთვლილია მკვლელობის შემთხვევები. მაგრამ მოწამვლით მკვლელობის შესახებ ლაპარაკია მეორე ნაწილის 252 მუხლშიც; უცხო მხარეში ვალს აღება გათვალისწინებულია 148 მუხლში, ანალოგიურ საკითხს ეხება 263 მუხლიც; ამანათის საკითხს ეხება 149 მუხლი, მაგრამ ასეთივე ურთიერთობას შეიცავს 207 მუხლის პირველი ნაწილი და 243 მუხლიც; 188 მუხლი პირუტყვისაგან ნაშრომის წახდენას ითვალისწინებს, ამავე საკითხს ეხება 245 მუხლიც.

ცხადია, რომ სამართლის წიგნის პირველი და მეორე ნაწილის ზემოთ მოტანილი მუხლები, რომლებიც ერთგვაროვან ან მსგავს იურიდიულ ურთიერთობებს აწესრიგებენ, თანამიმდევრულად უნდა ყოფილიყო დალაგებული.

საკანონმდებლო მასალის არათანამიმდევრული გადმოცემა განსაკუთრებით იგრძნობა სამართლის წიგნის მეორე ნაწილში (მუხლ. 205—270). ეს მუხლები კოდიფიკაციის რაიმე განსაზღვრულ წესს კი არ ემყარება, არამედ შეტანილია სამართლის წიგნში სასამართლო კაზუსების წამოჭრის მიხედვით.

ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიას, თუმცა იშვიათად, მაინც დაშვებულია აქვს ერთგვარი არათანამიმდევრობა სამართლის წიგნის პირველ ნაწილშიც. ერთგვაროვანი იურიდიული ურთიერთობის მომწესრიგებელი ყველა ნორმა არც აქ არის ერთად დალაგებული.

სამართლის წიგნის მე-10—12 მუხლები სასამართლო ფიცის დადების ზოგად წესს განსაზღვრავს. ასეთივე ზოგადი შინაარსის ნორმას შეიცავს 143 მუხლი, უკანასკნელი აბზაკი და 147 მუხლი. კანონთა 62—74 მუხლები ცოლ-ქმართა პირადა და ქონებრივ ურთიერთობას აწესრიგებს. ანალოგიური შინაარსისაა 84—87 მუხლებიც. 74-ე მუხლით მთავრდება განქორწინების შემთხვევები. მაგრამ კანონმდებელი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს 168-ე მუხლში. 75 და 76 მუხლები

მკვლელობას რომ ეხება, ცხადია უნდა იყოს იქ. სადაც ჩამოთვლილია მკვლელობის შემთხვევები (მუხლ. 88—95). თითქოს აქვე უნდა ყოფილიყო 182 და 133 მუხლას მეორე ნაწილი, 187, 194 და 197 მუხლები, რომლებიც ფათერაკით მკვლელობას ეხება.

ორივე ხელნაწერში 115 მუხლით მთავრდება „კარი გაყრისა“. მაგრამ ამ მუხლის მეორე ნაწილს გაყრასთან არაერთი კავშირი არა აქვს და იგი სხვა საგანს ეხება. მისი შინაარსი ასეთია: „კაცის შუღლი და სიკუდილი თუ რასაც ფერას მონები ბევრი არის, თუ სულ დავეყწერა. ვეღარას თავს გაუდილოდით და არკ აღწებოდა. რომელიც მონები რამ მოჰხდეს, იმავ რიგად გაუხინჯეთ, და დიდს ტეღობით და მცირეს მცირობით ისრე სისხლა გაურკვევინა“. ცხადია, რომ ეს ტექსტი აქ სრულიად უადგილია. ამიტომ იგი გადაეიტანეთ 95 მუხლის ბოლო. სადაც მკვლელობის შემთხვევების ჩამოთვლა მთავრდება და 951 მუხლით აღკონიწესეთ.

სამართლის წიგნის პირველ ნაწილში აღვლილ აქვს მუხლების განმეორებას ერთ შემთხვევასაც.

185. იქნების. კაცმან ახალს ნასყიდს მამულს და აგარაკში ქონება რამ იპოვნოს. თუ იმ მამულის მამსყიდველთან ფასა გარდაწყუტელი არის, ვეღარას შეუა, ის ქონება მსყიდველისა არის. ღა თუ ფასი რამ დარჩომილა, იმ დანარჩომის ანგარიშით წილი უნდა მამსყიდველსაც დაუღვას.

186. თუ გასყიდულს მამულში კაკმან. მსყიდველმან, საქონელი იპოვნოს, თუ ფასი მთლივ მიუცია და აღარა დარჩომილა რა, მამსყიდველი ვერას შეუა. და თუ ფასი რამ დარჩომილა, რა ერთიც დარჩომილიყოს, იმ ანგარიშით წილი დაუღვას.

როგორც ზემოთ დავინახეთ, სამართლის წიგნის პირველი ნაწილი ჯეროვნად არის დამუშავებული. მასში ნორმატიული მასალა, გარდა ორიოდ გამოწკაროსისა. დაღაგებულია გარკვეული თანამიმდევრობით სამართლის დარგებისა თუ ინსტრუქციების მიხედვით. სამართლის წიგნის პირველი ნაწილით მთავრდება ვახტანგის საყოლიდიკაციო კომისიის ნამუშევარი. სწორედ ამ დროს მიეკუთვნება სამართლის წიგნის თავდაპირველი რედაქცია, რომლის ტექსტი 204 მუხლს შეაკავს.

რაც შეეხება სამართლის წიგნის მეორე ნაწილს (მუხლ. 205—270), იგი, როგორც ითქვა, უფრო კაზუისტური ხასიათისაა და საკანონმდებლო მასალის სისტემატიზაციის თვალსაზრისით გაუმართავია. წიგნის ამ ნაწილს არ ემჩნევა საყოლიდიკაციო კომისიის ხელი და, უნდა ვიფიქროთ, იგი კომისიის მსჯელობისა და განხილვის საგანი არ ყოფილა. ამ მეორე ნაწილის შევსება სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე ხდებოდა ვახტანგის მეფობის პერიოდში (მუხლ. 205—263) და ნაწილობრივ შემდეგაც (264—270).

ამრიგად ვახტანგის სამართლის წიგნის მუხლების საგრძნობი რაოდენობა, განსაკუთრებით მეორე ნაწილში, კაზუისტურ ხასიათს ატარებს. როგორც ცნობილია, ასევე კაზუისტურია სხვა ხალხთა იმდროინდელი სამართლის წიგნებიც. ფეოდალური ეპოქის სამართლის წიგნებს არ შეიძლება მიუღდგეთ კოდიფიციონის თანამედროვე პრინციპების მიხედვით, საჭიროა გავითვალისწინოთ დრო, ვითარება და მართლშეგნების დონე. ვახტანგის სამართლის წიგნი და ქართული

სამართლის სხვა ძეგლები, როგორც მათი გარეგანი დამუშავების. ისე საკანონმდებლო მასალის სისტემატიზაციის თვალსაზრისით ფეოდალური ეპოქის სხვა საღხთა საკანონმდებლო აქტების კოდიფიკაციისა და იურიდიული აზროვნების დონეზე ღვას. ამ მხრივ ვახტანგის სამართლის წიგნი არანაკლებ დამუშავებულ და გამართულია, ვიდრე კრებულში შეტანილი ეცსოური და ეროვნული სამართლის სხვა ძეგლები. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია მღებულა ის აზრი, რომელიც თითქმის 80 წლის წინათ ვახტანგის კანონთა კრებულის გამოქვეყნება ა. ს. ფრენკელმა გამოთქვა: «Законы царя Вахтанга представляют для своего времени стройное, законченное законодательство. Понятно, мы не должны искать в Уложении Вахтанга расположения статей в строго-научной системе, но отделы, по возможности, группированы и свидетельствуют, что грузинский законодатель осмысленно принялся за свой тяжелый и весьма сложный труд» (Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, 1887, გვ. 11).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მხოლოდ საგნის უცოდინრობასა და გაუგებრობას უნდა მიეწეროს ამ ბოლო დროს ქართული სამართლის ძეგლებს შესახებ გამოთქმული სრულიად უსაფუძვლო მოსაზრება: «Показательны памятники права XI—XVIII веков. Они внешне совершенно не разработаны. Не говорю о казуистическом характере норм, отдельные статьи разбросаны в Судебнике без всякой системы» (გ. სოსელიას სტატია ევრონალი «Вопросы истории». № 10, 1956, გვ. 82). ჩვენ არაფერს ვაშობთ ამავე სტატიის ავტორის მოსაზრებაზე ქართული სამართლის ვითომ განუვითარებლობისა და ჩამორჩენილობის შესახებ, რადგან ამის თაობაზე უკვე ნათქვამი ვაქვს სხვა ავგილას („გიორგი ბრწყინვალის სამართალი“, 1957, გვ. 33—36, 50—51).

ვახტანგის სამართლის წიგნი A ხელნაწერით 270 მუხლს შეიცავს. ხოლო B ნუსხით — 263 მუხლს. A ხელნაწერს აკლია შემდეგი მუხლები: 149, 178, 181, 195, 225—237, 259 (ნაწილი), 260, 261.

B ნუსხას კი მხოლოდ 149, 178, 185 და 195 მუხლები აკლია. სამართლის წიგნის პირველი ნაწილი დაყოფილია მუხლებად ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიის მიერ. რაც შეეხება მეორე ნაწილს, მისი შევსება, როგორც ჩანს, თანდათანობით. შემთხვევათა მიხედვით ხდებოდა. სამართლის წიგნის პირველი ნაწილის ტექსტი დაყოფილია მუხლებად შინაარსის მიხედვით. მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, მართებული იქნება რომ ზოგიერთი მუხლის ნაწილი ცალკე მუხლად გამოიყოს. რამდენიმე შემთხვევაში ასეთ მოვიქვით. მაგრამ ხელნაწერის მუხლების ნომერაცია რომ არ დაგვერღვია. ჩვენს მიერ გამოყოფილი მუხლების სათვალავი რიცხვი კავებში ჩავსვით.

61 მუხლის პირველი ნაწილით მთავრდება „ქარი მიქდომისა და ღალატად დადგომისა“; ამ მუხლის მეორე ნაწილი საერთო შინაარსის ნორმაა. ამიტომ იგი ცალკე 61 მუხლად გამოვეყავით.

78 მუხლის პირველი ნაწილი მამის მიერ შვილის ან შვილის მიერ მამის მოკვლას ითვალისწინებს და კანონმდებელი ამბობს: „მაგისი სისხლი არ დაიწერებოდა და რჯულის კანონით უნდა გარიგდესო“. ამავე მუხლის მეორე ნაწილი კი მამის და შვილის ურთიერთ შეურაცხყოფას ეხება, ე. ი. დანაშაულის სხვა შემადგენლობას შეიცავს და ამის შესაბამისად 78 მუხლად გამოვეყავით.

91 მუხლით მოაქრდება განზრახ მკვლელობის შემთხვევები. ამ მუხლის მეორე ნაწილი რომელიც წინა მუხლებში გათვალისწინებულ მკვლელობის შემთხვევებს ეხება. ზოგადი ხასიათისაა, ამიტომ იგი 91¹ მუხლად გამოყვავით. ასეთვე შინაარსისაა ჩვენს მიერ გამოყოფილი 95¹ მუხლიც. 103 მუხლის ტექსტი საგნის მიხედვით 103¹, 193², 103³, 103⁴ მუხლებად დაეყავით. 104 მუხლის უკანასკნელი აბზაციც 104¹ მუხლად გამოყვავით.

სამართლის წიგნის ორივე ხელნაწერში ჩვენი გამოცემის 109 მუხლის პირველი ნაწილი შეტანილია 108 მუხლში. მაგრამ ასეთი დაყოფა შინაარსობლივად შეესაბამოა და ამიტომ ხელნაწერის 108 მუხლის მეორე ნაწილი 109 მუხლს მივაკეთეთ. 147 მუხლი უთამასუქოდ ვალის აღებას ეხება, ხოლო ამ მუხლის მეორე ნაწილი ფიცის ზოგადი შინაარსის ნორმას შეიცავს. რომელიც 147¹ მუხლით აღვნიშნეთ. 207 მუხლის ტექსტი, რომელიც მიზარებისა და ნათხოვრობას საკითხებს აწესრიგებს. მათში გათვალისწინებული ნორმების მიხედვით 207¹, 207², 207³ მუხლებად დაეყავით. დაბოლოს, ცალკე 261¹ მუხლად გამოვყავით 261 მუხლის უკანასკნელი აბზაცი, რომელიც ბიჭის სასამსახუროდ ყიდვას ითვალისწინებს.

ყველა აღნიშნული გამოყოფა რომ მართებულია, ამაში აღვიღად დავრწმუნდებით შესაბამისი მუხლების ტექსტის გაცნობისას.

სამართლის წიგნის ზოგიერთი მუხლი (50, 80, 95, 86, 97, 151, 261 და 267) მითითებას შეიცავს („ზემორებრ იქნას“, „როგორც დაგვიწერია, ისრე გარდაკდეინონ“. „როგორც დაგვიწერია, ისრე ქნან“, „როგორც ზეით სწერია, ისრე უნდა იქნას“ და ა. შ.), მაგრამ კონკრეტულ მუხლს არ აღნიშნავს. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი მუხლები ქვევში მიუთითეთ.

ქრებულის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა

სამართლის ისტორიას, როგორც მეცნიერებას, არ შეუძლია ერთი ან რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობის შესწავლით დაკმაყოფილდეს. მან უნდა შეისწავლოს სრულმდებლობის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი და მათი შედარებითა და ერთობლივი ანალიზის შედეგად სამართლის ისტიტუტების წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებანი დაადგინოს. ერთი ქვეყნის კანონმდებლობის შესწავლა მხოლოდ ამ ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი ისტიტუტების ისტორიის ემპირიულ ცოდნას მოგვცემს. მაგრამ ამ ისტიტუტების წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებებს ვერ ამოხსნის.

ძველი, შუა და ახალი დროის სამართლებრივი ისტიტუტები არ წარმოადგენს ერთი მეორის უარყოფას. პირიქით, მათი განვითარება გვიჩვენებს გარკვეულ თანმიმდევრობასა და მონაცეულობას. ბერძნულმა სამართალმა ცოტა რამ როდი შეითვისა ძველალმოსავლური სამართლიდან; რომაულ სამართალში საკმაოდ მოიპოვება ბერძნული ელემენტები; შუა საუკუნეების ევროპის სამართლის მნიშვნელოვან ნაქადს რომის სამართალი შეადგენდა. თვით ნაპოლეონის Code civil-მაც, განსაკუთრებით ელდებულებით, სამართლის დარგში, ბევრი რამ ისესხა იუსტინიანეს Corpus juris civilis-დან. რომის სამართალი კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული სამართლის ყველაზე სრულყოფილი ფორმა იყო და ამიტომ ვერც ფეოდალურმა და ვერც ბურჟუაზიულმა კანონმდებლობამ ვერ შესძლო მასში რაიმე არსებითი ცვლილებანი შეეტანა.

უსაფუძვლო და უმართებულოა ამა თუ იმ სამართლებრივი ისტიტუტის ერთი რომელიმე ხალხის კუთვნილებად გამოცხადება. XIX საუკუნის პირველი ნახევრის გერმანელი ისტორიკოსები და იურისტები მკვლევლობის გამოსასყიდუ ჩარიმას მხოლოდ გერმანული სამართლის ისტიტუტად სთვლიდნენ. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ფ. ენგელსი - ეს ვიკრა, რომელიც ქვეყნადე წინ თაობაში სპეციფიკურ გერმანულ დაწესებულებად იყო მიჩნეული, ახლა ასეულობით ხალხებში დადასტურებულია როგორც სიისხლის აღების შეტბილებების საყოველთაო ფორმა. რომელიც გვაროვნული წყობილებიდან გამოშდინარეობს" (ოქახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953, გვ. 191—192).

XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა ძველი სრულმდებლობის მონუმენტური და უნიკალური ძეგლები, რომელთა კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ცივილიზაციის ისტორიისათვის განუზომელი და ფასდაუდებელია. დაგროვდა მრავალრიცხოვანი იურიდიული დო-

აქედან და კერძოფლებრივი აქტები, რომლებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს სამართლის უძველესი ისტორიის შესასწავლად. ამჟამად სამართლის ზოგად ისტორიას მოპოვებული აქვს უმდიდრესი მასალა, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია კაცობრიობის განვითარების ისტორიის შესწავლა.

შედარებითა იურისპრუდენციამ, რომლის მძლავრი აღმავლობა XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, მნიშვნელოვანი დასკვნები გააკეთა სამართლის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებათა ახსნისათვის.

სამართლის შედარებითი ისტორიის მეცნიერება ცდილობდა სამართლებრივი ინსტიტუტების ისტორია ისტორიული პროცესების მთლიანობაში შეესწავლა და ამ გზით გაერკვია ის. თუ რა ადგილი უკავია სამართლის ისტორიაში ამა თუ იმ სამართლებრივ ინსტიტუტს. სამართლის ზოგადი ისტორია ამოცანად ისახავდა შეესწავლა ყველა ისტორიულად არსებული ხალხის სამართალი არა დოგმატურ-ეპიკრიკულად, არამედ მათ ურთიერთობასა და მთლიანობაში, მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებების გამორკვევის. მათი განვითარების კანონზომიერებათა გამოვლენებისა და ახსნის მიზნით. მაგრამ შედარებითა იურისპრუდენციამ ამ ამოცანის შესრულება ვერ შესძლო.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მთავარი ნაკლი ის არის, რომ იგი „სხვა-დასხვა ხალხთა და სხვადასხვა ეპოქათა სამართლის სისტემებს ერთიმეორეს ადარებს არა როგორც სათანადო ეკონომიურ ურთიერთობათა ანარეკლს. არამედ როგორც ისეთ სისტემებს, რომლებიც თავიანთ დასაბუთებას თავის თავშივე შეიცავენ“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. I, 1950 წ., გვ. 728). თავისი ცალმხრიობის გამო ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ერთმანეთს ადარებდა ზოგჯერ ისეთ ხალხთა ცხოვრებიდან აღებულ მოვლენებს, რომლებიც სულ სხვადასხვა პირობებში იმყოფებოდნენ და საზოგადოებრივი განვითარების სრულიად სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ.

მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმმა მოგვცა სამართლის წარმოშობის, მისი არსისა და ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა ნამდვილი მეცნიერული ახსნა.

სამართლის ზოგადი ისტორიის მეცნიერების თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის შედარებითი შესწავლა.

ევროპელი მეცნიერნი ამ კრებულს რუსული თარგმანით გაეცნენ. პირველად იგი გამოცა 1828 წელს პეტერბურგში მმართველი სენატის მიერ. ეს კანონთა კრებულის პირველი და თანაც ოფიციალური, მთავრობის დეალებით შესრულებული თარგმანი იყო. კრებულმა დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპელ. პირველ რიგში ფრანგ. ორიენტალისტებს შორის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში ქართული კულტურის ისტორიის დიდმა მკვლევარმა მ. ბროსემ გამოიჩინა დიდი ინტერესი სენ-მარტენის შთაგონებით ფრანგული თარგმნა და დასაბუქად გადასცა ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნი. ამას შესახებ მ. ბროსე წერდა: „ამავე ქართული კოდექსის მეშვიდე ნაწილი, რომელიც შეიცავს საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას 267 მუხლად, დაიბეჭდებოდა წელს, ნებათაღებურად, სამეფო სტამბაში, — ამ შენიშვნის ავტორის მიერ შესრულებული ფრანგული თარგმანი დედნის პარალელურად“. (La septième partie du même Code géorgien, contenant la législation nationale de la Géorgie en 267 articles. sera imprimée cette année, par autorisation, à l'imprimerie royale, la traduction française par l'auteur de cette note, en regard du texte).

ვახტანგის კრებულის მეორე რუსული გამოცემის რედაქტორი დ. ბაქრაძე, იმწმებს რა მ. ბროსეს ცნობებს, წერს: „О французском переводе „Уложения“ Вахтанга мы знаем только то, что он был предпринят по внушению самого Сен-Мартена, снабжен критическим разбором его текста, находился в рассмотрении Еженя Бюрнуфа, и печатался вместе с текстом в 1837 г. (Brosset, *Élem. de la langue géorg.*, გვ. XI). Дальнейшая судьба его нам не известна и мы ничего не можем сказать о том, был ли он выпущен в свет и существует ли поныне“ (Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, 1887, გვ. 159—160).

მ. ბროსე იმ დროს უკვე ცნობილი ქართველოლოგი იყო, რომელსაც არაერთი შრომა ჰქონდა გამოქვეყნებული ქართული ენისა და კულტურის ისტორიის საკითხებზე. ცხადია, პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ვახტანგის სამართლის ხელნაწერის მიხედვით მის მიერ შესრულებული თარგმანი დიდი შენამძეი იქნებოდა მეცნიერებისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ეს თარგმანი დაიკარგა.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის მეორე რუსული გამოცემა ვანზორციელმა თბილისში 1887 წელს. გამოცემის რედაქტორი დ. ბაქრაძე წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ მის მიერ შენარჩუნებულია ყოველგვარი ცვლილებების გარეშე ტექსტის ოფიციალური ხასიათი, მაგრამ რაკი 1828 წლის გამოცემის ქართულ ხელნაწერებთან შეჭერებისას ზოგიერთი მუხლის თარგმანში შეცდომები აღმოჩნდა, ჩვენ ქართული ტექსტის ნამდვილი აზრი შენიშვნებში მივუთითეთ, ხოლო ის მუხლები, რომლებიც რუსული თარგმანის პირველ გამოცემაში გამოტოვებული ან ორიგინალს მნიშვნელოვნად დაცილებული იყო, ხელახლა ვთარგმნეთ.

ვახტანგის კანონების პირველი რუსული გამოცემა მართლაც უეარგისია. როგორც ჩანს, მთარგმნელებს ქართული იურიდიული ტერმინები არ ესმოდათ. მეორე გამოცემაში ძველი თარგმანი აქა-იქ შესწორებული და გაუმჯობესებულია დ. ბაქრაძის მიერ. მიუხედავად ამისა, მეორე გამოცემაც მრავალ შეცდომასა და დამახინჯებას შეიცავს. ამიტომ აკად. ივ. ჯავახიშვილს ორივე თარგმანი ერთნაირად უეარგისად აქვს მიჩნეული.

კრებულის მეორე რუსულმა გამოცემამ კიდევ უფრო გააცხოველა სამართლის ზოგადი ისტორიის მეკლევართა ინტერესი ქართული სამართლის ისტორიის საკითხების მეცნიერული შესწავლისადმი. 1889 წელს პარიზში გამოქვეყნდა სამართლის შედარებითი ისტორიის გამოჩენილი ფრანგი მეკლევარის როდოლფ დარესტის ნაშრომი, (*Rodolphe Dareste, Études d'histoire du droit, Paris, 1889*), რომლის VI თავში მიმოხილულია ვახტანგის კრებულში შესული უცხოური და ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლები. ავტორი შედარებით უფრო დაწვრილებით ჩერდება საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნით გათვალისწინებული ინსტიტუტების დახასიათებაზე. აღნიშნავს რა ვახტანგის სამართლის წიგნის დადგენილებათა ორიგინალურსა და ძველისძველ ხასიათს, იგი მიუთითებს, რომ, თუმცა ეს კანონები შედგენილია XVIII საუკუნეში, მაგრამ მას დადგენილებანი უძველეს დროს მიეკუთვნება და სწორედ ეს წინააღმდეგობა ფორმასა და შინაარსს შორის ხდის ვახტანგის კანონებს „ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ძეგლად სამართლის ისტორიაში“ (*un des monuments les plus intéressants pour l'histoire du droit*, გვ. 129).

ნაშრომის სხვა ადგილას ავტორი ნატრობდა, ნეტავი ვინმე ორიენტალისტი გამოჩნდებოდა, რომელიც ამ კანონებს თანამედროვე ევროპულ ენაზე გადათარგმნისო. სამართლის შედარებითი ისტორიისათვის ვახტანგის სამართლის წიგნის კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას რომ განსაზღვრავს, იგი სწერს: „უძველესი ეპოქების სწულმდებლობათა შესწავლისას სასარგებლოა მათი შედარება კანონებთან, რომლებიც შედგენილია გაცილებით უფრო გვიან, მაგრამ იმავე ენით შეტყვევებენ. XVIII საუკუნის ეს კოდექსი საუცხოო წარმოდგენას გვაძლევს იმაზე. თუ როგორი იყვნენ ბერძნები პომპროსის დროსა და დრაკონამდე, რომაელები პრესტორიულ ხანაში, გალები — ცეზარამდე, გერმანელები — შემოსევათა ეპოქაში, რუსები — იაროსლავის გამგებლობის დროს და სკანდინაველები — XIII საუკუნეში“. (S'il est bon d'étudier les lois dont la rédaction remonte aux époques les plus reculées, il est utile de leur comparer celles qui ne datent que d'hier et qui cependant parlent le même langage. Ce Code du XVIII-e siècle nous fait mieux comprendre ce qu'étaient les Grecs au temps d'Homère et jusqu'à Dracon, les Romains au temps préhistorique, les Gaulois avant César, les Germains à l'époque des invasions, les Russes sous le règne de Jaroslav, les Scandinaves au XIII-e siècle. იქვე, გვ. 135).

ცხადია, რომ ასეთი შედარება მეტისმეტად პირობითია და შეიძლება დაშვებული იქნეს მხოლოდ გარკვეული მნიშვნელობით. მართლაც, როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ პომპროსის პერიოდის ბერძნების, რექსების ხანის რომაელების, იულიუს კეისრის დროინდელი გალების, რომის იმპერიის დაპყრობათა ეპოქის გერმანელების, იაროსლავის დროინდელი რუსების, XIII საუკუნის სკანდინაველებისა და XVIII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი წყობის და იურიდიული ყოფის ერთგვარობასა და თუ გნებავთ, მსგავსებაზედაც. ვახტანგის დროინდელი საქართველო გვიანფეოდალური ხანის საქართველოა, რომელსაც გველი აქვს ფეოდალიზმამდელი საზოგადოებრივი წყობილების ფორმები, მაშინ როცა სხენებული ეპოქის ბერძნები, რომაელები და გერმანელები საზოგადოებრივი განვითარების მიხედვით ბარბაროსობის ზედა საფეხურზე იმყოფებოდნენ და ფეოდალური სამართლის ინსტიტუტები მათთვის სრულიად უცნობი იყო, რუსეთსა და სკანდინავიაში კი ფეოდალიზმის განვითარება ის-ის იყო იწყებოდა.

მეორე მხრივ, რ. დარესტის მიერ ვახტანგის სამართლის წიგნის შედარება დასახელებულ ხალხთა დიდმნიშვნელოვან ისტორიულ ეპოქებთან ხაზს უსვამს ქართული სამართლის ამ ძეგლის კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას და ამ იდგილს, რომელიც მას შედარებითი იურისპრუდენციის თეოსაზრისით სამართლის ზოგად ისტორიაში უჭირავს.

კრებულის დიდ კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობაზე შეტყვევებს ის ფაქტიც, რომ 1914 წელს გამოქვეყნდა გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დედების“ ინგლისური თარგმანი, შესრულებული ოლივერ უორდროპის მიერ. (Laws of king George V of Georgia, surnamed „the Brilliant“, translated by Oliver Wardrop. Journal of the Royal Asiatic Society, July, 1914, გვ. 607—626). ძეგლის თარგმანს წამძღვარებული აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა (გვ. 607—610). ტექსტი გამოცემულია ვახტანგის კანონთა კრებულის ბოდლენის ბიბლიოთეკის ხელნაწერის მიხედვით, რომელიც საქართველოს ბატონიშვილს დავითს ეკუთვნოდა,

ეხება რა კრებულში შესული ძეგლების კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას, ილიევი უორდროპი წერს: „მთელი ეს სჯულმდებლობა ევროპაში მხოლოდ ყურმოკრულად არის ცნობილი. იგი უაღრესად საინტერესოა შედარებითი იურიპრუდენციის შემსწავლელთათვის. კრებულის დიდი ნაწილი, რომელიც ვახტანგის სახელს ატარებს, თუმცა შედგენილია მეთრამეტე საუკუნეში ამ ბატონიშვილის მიერ, ემყარება ქართველი ერის ძველ-თაძველ ჩვეულებებს და მას შეუძლია მიიპყროს ასირი-ოლოგების ყურადღება“. (All this mass of legislation is only known in Europe by hearsay. It is of extraordinary interest to students of comparative jurisprudence; and the large section, which bears the name of Vakhtang, though edited by that prince in the eighteenth century, is based upon the most ancient customs of the Georgian race and might profitably engage the attention of Assyriologists, გვ. 608), „ძეგლის დადების“ ინგლისური თარგმანის შესახებ იხილეთ ჩვენი ნაშრომი „გიორგი ბრწყინვალის სამართალი“, 1957, გვ. 90—94.

1924—1939 წლებში სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ჟოზეფ კარსტმა (Joseph Karst) ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა ვახტანგის კრებულში შესული ქართული სამართლის ძეგლების თარგმანი და კომენტარები 5 წიგნად. ავტორის სიტყვით, თარგმანი შესრულებულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ვახტანგის კრებულის ხელნაწერის მიხედვით. I ტომის პირველ ნაკვეთში მოთავსებულია საკუთრივ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის თარგმანი, რომელსაც წამძღვარებელი აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა. I ტომის მეორე და მესამე ნაკვეთები შეიცავს ვახტანგის სამართლის მუხლობრივ კომენტარებს (Code géorgien du roi Vakhtang VI. Strasbourg, 1934—1937).

II ტომის პირველ ნაკვეთში დაბეჭდილია ბექასა და აღბუღას სამართლის თარგმანი, ხოლო ამავე ტომის მეორე ნაკვეთში ბექასა და აღბუღას სამართლის მუხლობრივი კომენტარები და გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ ფრანგულ თარგმანს (Code d'Aghbougha. ტ. II¹ და II², Strasbourg, 1938—1939).

ამრიგად, ვახტანგის კრებულში შესული ქართული სამართლის ძეგლებიდან კარსტის მიერ თარგმნილია ფრანგულ ენაზე: ვახტანგის სამართლის წიგნი, ბექასა და აღბუღას სამართალი და გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“. რაც შეეხება „კათალიკოზთა სამართალს“, დასახელებულ ტომებში იგი შეტანილი არ არის და, როგორც ჩანს, კარსტმა მისი თარგმანი და გამოქვეყნება ვერ მოასწრა.

უნდა აღინიშნოს, რომ კარსტის მთარგმნელობითი მეთოდი ტექსტის თავისუფალი და განმარტებული გადმოცემით ხასიათდება. კანონთა ტექსტზე კარსტის შეტანილი აქვს მთელი რიგი განმარტებითი ხასიათის წინადადებები, რომელთა ერთი ნაწილი კაეებშია ჩასმული, ხოლო დანარჩენი გათქეფილია თვით ტექსტის ფრანგულ თარგმანში. ორიგინალის მომეტებულად ლაკონიური სტილი და ფორმულები თარგმანში დაცული არ არის. ფრანგული თარგმანი ქართულ ტექსტის კომენტირებული გადმოცემა და მოულოდბით დიდად აღემატება ორიგინალს. კარსტი იმოწმებს პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერს. მაგრამ, როგორც ჩანს, მან ძველი ქართული ენა იმდენად არ იცოდა, რომ ქართული ტექსტის აღდგენა და შესატყვისი თარგმანის შესრულება ეკისრა. მისა

თარგმანი ძირითადად კრებულის 1887 წლის რუსულ თარგმანს ეყრდნობა. ზემო-აღნიშნულის გამო ამ ფრანგული გამოცემის სამეცნიერო მნიშვნელობა მცირეა და მკითხველს იგი მხოლოდ კანონთა საერთო შინაარსის გასაცნობად გამოადგება. კარსტმა რომ ძველი ქართული საკმაოდ არ იცოდა, ეს აღნიშნული აქვს აკად. ივ. ჭავჭავაძის („ქართული და კავკასიური ენების თვადპირველი ბუნება და ნათესაობა“, 1937, გვ. 90). ამასვე ადასტურებდა აკად. ექ. თაყაიშვილიც, რომელიც კარსტს პირადად იცნობდა.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის შედარებითი ისტორიის თვალსაზრისით. იგი შეიცავს მდიდარს და ძვირფას მასალას სამართლის ზოგადი ისტორიის შესასწავლად. კრებულში შეტანილია საქრისტიანო მსოფლიოში ცნობილი სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, რომელთა შორის პირველი და უძველესია ბიზანტიური სჯულმდებლობის კომპილაცია ანუ გამონაკრები მეორე სჯულიდან „მოსეს სამართლის“ სახით. ცნობილია, რომ „მოსეს სამართალი“ ძველი დროიდანვე მოქმედებდა საქართველოში — საქრისტიანო მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ქვეყანაში.

კრებული შეიცავს აგრეთვე სირიულ-რომაული სამართლის წიგნს, რომელიც შედგენილი იყო V საუკუნის ბოლოს და მოქმედებდა აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნებში, მათ შორის სომხეთსა და საქართველოში.

ბიზანტიური სამართალი წარმოდგენილია კრებულში „ბერძნული სამართლის“ სახით, რომელიც არმენოპულოს „ექუსი წიგნისა“ და ელასტარის სინტაგმის — ბიზანტიური სამართლის საქვეყნოდ ცნობილი კრებულების კომპილაციას წარმოადგენს.

დაბოლოს, კრებულში შესული უცხო ძეგლებიდან აღსანიშნავია მხითარ გოშის სამართლის წიგნი, რომელიც ძველ საერო და საეკლესიო სჯულმდებლობის ნორმებთან ერთად მომე სომეხი ხალხის უძველეს და უმნიშვნელოვანეს ჩვეულებებს შეიცავს. სომხური სამართლის მოქმედება და გამოყენება დადასტურებულია ჩვენშიც.

ამრიგად ვახტანგის კრებულის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ერთი მხარე ის არის, რომ იგი წარმოადგენს საქრისტიანო მსოფლიოს სჯულმდებლობის საყოველთაოდ ცნობილი ძეგლების თავისებურ კორპუსს, რომელიც მოსეს სჯულის, სირიულ-რომაული, ბიზანტიური და სომხური სამართლის უმნიშვნელოვანეს დადგენილებებს შეიცავს. ნიშანდობლივია, რომ ამგვარი კრებული არცერთი ხალხის სამართლის ისტორიაში ცნობილი არ არის.

მაგრამ სამართლის შედარებითი ისტორიის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია კრებულის მეორე მხარე, ე. ი. კრებულის ის ნაწილი, რომელიც ქართული სამართლის ორიგინალურ ძეგლებს წარმოგივლადგენს. აქ პირველ რიგში, დროისა და მნიშვნელობის მიხედვითაც, ბექასა და აღბუღას სამართალი უნდა აღინიშნოს. ეს ძეგლი შეიცავს მდიდარ მასალას საქართველოს სოციალური და იურიდიული წყობილების შესახებ. მან დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაზე, განსაკუთრებით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნზე. XVIII საუკუნის დასაწყისში ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის დიდი ნაწილი, სათანადო რედაქციით, ვახტანგ VI თავის სამართლის წიგნში შეიტანა და ამით ეს ნორმები დაკანონდა როგორც მოქმედი სამართალი.

ბექასა და აღბუღას კანონებს ქართული სამართლის ისტორიისათვის ისეთ-
ვე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სალიკურ სამართალსა
(Lex Salica) და „საქსონიის სარკეს“ (Sachsenspiegel) ძველი გერმან-
ული სამართლის ისტორიისათვის, ანდა Русская Правда-ს რუსული სამარ-
თლის ისტორიისათვის. მართალია, ბექასა და აღბუღას სამართალი თავდაპირვე-
ლად შედგენილი იყო სამცხის სამთავროსათვის, რომელიც იმ დროს ფეოდალურ-
ი საქართველოს მოწინავე მხარე იყო და თითქმის მის ერთ მესამედს შეადგენ-
და, მაგრამ სულ მალე ეს კანონები საქართველოს სხვა სამთავროებშიც გავრ-
ცელდა და მოქმედ სამართლად იქცა. ამიტომ აღნიშნული კანონმდებლობით გათ-
ვალისწინებული იურიდიული ინსტიტუტები დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ
შუა საუკუნეების საქართველოს სხვა კუთხეებისათვისაც, რომელთა საზოგადო-
ებრივი წყობილება ასევე ფეოდალური იყო.

ამასთან ერთად ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნით გათვალისწინებულ
ინსტიტუტები და წეს-ჩვეულებები მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა სამარ-
თლის ზოგადი ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც.

როგორც ცნობილია, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დაღება“ ადგი-
ლობრივი ხასიათის სჯულმდებლობაა. ძეგლით გათვალისწინებული სამართლებ-
რივი ურთიერთობანი ხასიათდებიან მთიულეთის თემური ყოფაცხოვრების თავ-
სებურებებით, სუსტად განვითარებული უფლებრივი შეგნებით, პრიმიტიული
სამართლისათვის დამახასიათებელი შურისძიების უფლების დაკანონებითა და,
საერთოდ, ხევის ადათობრივი სამართლის ძლიერი გავლენით. სამართლის წიგნში
ისახლედა მთიულთა პატრიარქალური ყოფა, მტკიცედ დამკვიდრებული თემური
ურთიერთობებითა და წეს-ჩვეულებებით.

ამავე დროს „ძეგლის დაღება“ შეიცავს რამდენიმე მეტად საყურადღებო
დადგენილებას, რომლებიც დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ განვითარებულ
ქართული ფეოდალური სამართლისათვის საერთოდ (მუხ. 15, 16, 23—24, 32—40,
44—46). „ძეგლის დაღების“ ორივე ეს თავისებურება მეტად საყურადღებო და
მნიშვნელოვანია შედარებითი იურისპრუდენციისათვის.

საყურადღებო ძეგლია „კათალიკოზთა სამართალიც“. თავდაპირ-
ველად იგი შედგენილი იყო როგორც დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სჯუ-
ლი, მაგრამ შემდგომ მისი მოქმედება მთელ საქართველოში გავრცელდა. „კათა-
ლიკოზთა სამართალი“ ქრონული სჯულმდებლობის მნიშვნელოვანი ძეგლია,
რომელშიც ასახულია ერთელი ეკლესიის წესები, მისი კანონმდებლობითი ტრადი-
ციისა და პრაქტიკული მოღვაწეობა. მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია „კათო-
ლიკოზთა სამართლის“ მეორე მხარე — მისი დამოკიდებულება მსოფლიო საეკ-
ლესიო კრებათა სჯულმდებლობასთან, საქართველოში სჯულის კანონისა და სა-
ერთოდ ბიზანტიური სამართლის მოქმედების გავრცელებასთან.

კრებულის მეშვიდე და უკანასკნელ ნაწილს შეადგენს საკუთრივ ვახტანგს
სამართლის წიგნი, რომელიც ქართული სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი სა-
კანონმდებლო ძეგლია. იგი წარმოადგენს მთავარსა და უნიკალურ წყაროს გვიან-
ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი წესწყობილების ისტორიის შესას-
წავლად. ძეგლი შეიცავს მდიდარ მასალას XVII—XVIII სს. საქართველოს სამე-
ურნეო და საზოგადოებრივი წყობილების შესახებ. საქართველოს ეკონომიური
ისტორიის შედგენა წარმოუდგენელია ვახტანგს კანონების საფუძვლიანი შე-
წავლის გარეშე. სამართლის წიგნში მოცემულია ფეოდალური ქართლის საზოგა-

დობრივი წყობილების, კლასებისა და სოციალური ფენების ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის მკაფიო სურათი. მასში ასახულია საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის მრავალფეროვანი ინსტიტუტები, ხალხის ჩვეულებები, იურიდიული ყოფა და მართლშეგნება. საქართველოს ისტორიის ყველა დარგის მკვლევარი—ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ეკონომისტი, იურისტი, ენათმეცნიერი, ნუმისმატიკოსი თუ მეცნერებათა სხვა დარგის წარმომადგენელი — უხვსა და ძვირფას მასალას პოულობს ამ შესანიშნავ ძეგლში.

ვახტანგის სამართლის წიგნის შესწავლისას, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ჩვენი სამართლისათვის უცხოა ბრალდებულის ტანჯვა-წამებით გამოტყების ის საშინელი ხერხები (ძვლების დამტრევა, ფეხით დაკიდება, ხელფეხის შანთით დაწვა და სხვ.), აგრეთვე მსჯავრდებულის სიკვდილით დასჯის შემაძრწუნებელი და შემზარავი სახეები (ანძახე აცმა, ცეცხლში ან მძლურარეში ჩაგდება, ხელ-ფეხისა და თავის მოჭრა, ბორბლებზე დაგლეჯა, ცოცხლად დამარხვა, გამდნარი ლითონის ყელში ჩასხმა, ნეკნით ჩამოკიდება და სხვ.), რომლებიც გათვალისწინებულია იმდროინდელი ევროპისა და რუსეთის საკანონმდებლო ძეგლებით. ამ მხრივ ვახტანგის სამართალი გაცილებით უფრო პროგრესული, ლობიერი და ჰუმანურია, ვიდრე სხვა საქრისტიანო ქვეყნების მისი თანამედროვე სჯულმდებლობა.

სამართლის შედარებითი ისტორიის გამოჩენილი ევროპელი და რუსი მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ ვახტანგის სამართლის ორიგინალობას, მის თვითმყოფობას, მის ეროვნულ ხასიათს. მართალია იგი უდრდენილია XVIII საუკუნის დასაწყისში, მაგრამ მასში ასახულია გაცილებით უფრო ადრინდელი სამართლებრივი ინსტიტუტები, ქართველი ხალხის ძველთაძველი ჩვეულებები, რომლებიც უაღრესად საინტერესოა შედარებითი იურისპრუდენციის თეორიაზრისით.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა კიდევ უფრო ცხადი ხდება კრებულში შეტანილი სირიულ-რომაული და ბიზანტიური სამართლის წიგნების შესწავლისას. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების განმავლობაში საქართველო მკიდრო კულტურულ და სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა ბიზანტიასთან. ქართულმა სამართალმა თავისებურად დაამუშავა და გამოიყენა ბიზანტიური სამართლის ზოგიერთი ინსტიტუტი და მოხდენილად შეუფარდა ისინი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს. ბერძნულ-რომაული სამართლის მიმართება ქართულ სამართალთან და იმ თავისებური ხასიათისა და შინაარსის გარკვევა, რაც ბიზანტიური სამართლის ინსტიტუტებმა საქართველოში მიიღო, დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის პრობლემაა, რომელიც ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულს სამართლის მსოფლიო ისტორიის პირველხარისხოვან ძეგლთა შორის აყენებს.

ამრიგად, ქართული სამართლის იუთიმყოფი შინაარსი და მასში ორიგინალურად გადამუშავებული უცხოური სამართლის ელემენტები სამართლის მსოფლიო ისტორიის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ამაშია ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის მსოფლიო ხასიათი.

02880899

ტერმინთა სპიგებელი

ბ

აბაზი ვ. 16*
 აბანო ბ. 118
 აბეზრება ა. 46
 აბრეშუმი ბ. 38
 აბჯარი ძ. 26 ა. 18, 19, 43, 81, 82. 91,
 163, ვ. 61, 152
 აბჯროსანი ა. 9
 აგარა ა. 169
 აგარი კ. 20
 აგარაკი გ. 152, 242, კ. 21. ა. 165
 აგარიანი ბ. 330
 აგებულობა გ. 252, 281, 296, 323, 374,
 399. ვ. 45. ავი აგებულობა გ. 337
 აღამიანი ა. 84
 ადგილი ბ. 210, 265. ა. 43, 54, 55, 167.
 ვ. 103, 195, 229, 241, 256. გ. 152
 153, 182, 224, 240. 247. 252, 287,
 327, 330, 383, 387, 390, 400, 402.
 ადგილის წესი ბ. 210. ადგილის წარ-
 თმევა ბ. 47.
 ადგილობანი მ. 23
 ადლი ბ. 70
 ავად კ. 7. ვ. 64, 78, 98. ავად გახდო-
 მა გ. 184, 210. ავად მოპყრობა ბ. 235.
 ს. 146, 165, 298

ავადმყოფი ბ. 295, 361. ს. 16. გ. 157,
 333, 345, 346, 402. ვ. 194. დაშლილი
 ავადმყოფი გ. 345, 346
 ავადუოთა გ. 157
 ავაჯაკი ბ. 36—38, 190, 322. გ. 152,
 202, 283. ვ. 3
 ავგზისობა კ. 12
 ავგულობა გ. 186
 ავი ს. 36. 54, 55, 72, 107, 110, 119,
 გ. 195, 237, 246, 251, 266. 390. ა. 40,
 68. ვ. 67, 187, 203, 211, 259
 ავის მოქმელი გ. 255
 ავის მოქმელი ს. 107. გ. 186. აშ.
 ავის მოქმედობა ს. 115
 ავის მქნელი ბ. 289. ს. 44, 67, გ. 347
 ა. 36
 ავი სული გ. 184
 ავის ნდობა გ. 385
 ავჯაცობა ბ. 159. ს. 54, 114. ვ. 164.
 ა. 58
 ავნაქნარობა გ. 347
 ავრიგად ვ. 165
 ავსაქციელი ს. 67
 ავსაქციელობა ს. 116
 ავტორცობა გ. 251

- * ასოებით აღნიშნულია სამართლის წიგნები, ხოლო ციფრებით—მუხლები.
- ა — ბექასა და აღბუღას სამართალი
 ბ — ბერძნული სამართალი
 გ — გოშის სამართალი
 ვ — ეხტანგის სამართალი
 კ — კათალიკოზთა სამართალი
 მ — მოსეს სამართალი
 ს — სირიულ-რომაული სამართალი
 ძ — ძეგლის დადება
 აშ — ბექასა და აღბუღას სამართალს
 შესაეალი
 ვშ — ეხტანგის სამართლის შესაეალი
 ვბ — ეხტანგის სამართლის ბოლოსიტ-
 ყეაობა
 კშ — კათალიკოზთა სამართლის შესა-
 ეალი
 კრშ — კრებულის შესაეალი
 სშ — სირიულ-რომაული სამართალს
 შესაეალი
 ძშ — ძეგლის დადების შესაეალი

აზატი ბ. 158, 162, 170, 299, 309. ს. 15.—
20, 30, 31, 37, 38, 42, 76, 93. 120,
137, 148. გ. 152. 171, 199, 204—206
214, 260. 269, 322, 358. ვ. 234, 261.
261
აზატის მქნელი ს. 18
აზატნაქმარი ბ. 34, 153, 169, 170, 174,
176. 183, 318, 358. ს. 18, 37, 93. ვ.
260
აზატობა ს. 16, 30, 31, 38, 129. გ. 152.
204. ე. 234 აზატობის შეშლა ს. 19
აზატობის წიგნი ბ. 165. ს. 15, 18
აზნაური ბ. 49, 66, 81. გ. 345, 348, 354,
361, 380. კ. 1, 13, 16, 22. ძ. 4, 35
ა. 2 — 4, 7, 10, 26, 27, 31, 35, 68,
69, 78, 99, 107, 108, 147, 150, 153.
ვ. 7, 23, 31, 34, 36, 37, 39, 40, 71,
100, 162
აზნაურიშვილი გ. 346, 384, 358. კ. 1.
ვ. 12, 19, 49, 54, 101, 163
აზნაურული ა. 9
ათაბაგ-ამილხანასალარი აშ.
ათეული მ. 4, 51
ათისთავი ბ. 70, 273. გ. 152, 162, 181,
182. ვ. 255, ა. 89. ქონების ათისთა-
ვი გ. 162
ათისთაობა გ. 181
აიაშა გ. 369
აკარაკი გ. 251
აკაფა ვ. 189
აკოდება გ. 265. ა. 79. ვ. 14
აკლება ვ. 176, 207
აკრძალვა საყდარში შესვლის აკრძალვა
გ. 194
ალაგი ს. 109. გ. 152, 181, 224, 257,
259, 269, 301, 308, 365, 400. ა. 49,
83. ვ. 100, 103, 110, 167, 172, 194,
241. ალაგის ბატონი ბ. 6, 53, 231. ალა-
გის ჯანშეე ბ. 272 ალაგის დაქერა ბ.
269. ალაგის თავადი ბ. 193. ალაგის
მოსამართლე ბ. 105. ალაგის მოუ-
რავი ბ. 344. ალაგის ბატონი ბ. 15.
103, 219, 226, 254, 273. ალაგის უფ-
როსი ბ. 111, 209. 360. ეკლესიის ალა-

გი ბ. 217, 226. მონასტრის ალაგი ბ.
226. საბატონო ალაგი ბ. 255. საქვეყნო
ალაგი ბ. 255. სახლთა ალაგი გ. 397
ალალი გ. 334. ა. 85. ვ. 160, 233.
ალაფი ა. 25, 33, 37, 113, 122
ალმანი ბ. 49
ამანათი ა. 87, 88. ვ. 149. ბ. 258.
ამართვა ვ. 270
ამაღლებული ვ. 24
ამბავი ბ. 82, 332
ამილხანო-უწარჩინებულესი კრშ.
ამილხან-სპასპეტი ვშ.
ამირ-სპარსალარი აშ.
ამოვარდნა ს. 4. ვ. 108, 113, 137, 145,
248
ამოკვეთა ენის ამოკვეთა ბ. 338
ამოკუთხილი ვ. 144
ამოკუთხინება გ. 160, 347
ამომღები ბ. 70
ამოსულა ძშ. ა. 1, 4
ამოწყვეთა ა. 95¹, 150
ამპარტავანი გ. 151
ამპარტავნობა მ. 9. გ. 193, 255
ამღები ს. 53, 140. გ. 232. ა. 76. ვალის
ამღები ს. 53
ამღებელი ა. 55
ამყრელი ვ. 163
ამშენებელი ბ. 219, 231, 262. გ. 284
ამწევი გ. 176
ამხანაგი ბ. 180, 327. ს. 53, 96, 98, 106,
107, 131. ა. 78, 127, 128. გ. 165, 170,
177, 210, 227 — 229, 236, 257, 270,
271, 275, 285, 320, 334, 344, 350, 381,
384, 387 ვ. 221, 255
ამხანაგობა ბ. 324
ანაბარი ვ. 208
ანაზღერული ს. 1, 2
ანაზღაურება ზიანის ანაზღაურება ბ. 64
ანასლთ ა. 77
ანაფორა ბ. 230
ანაღები გ. 367
ანგარი ა. 83
ანგარება ა. 83, 93
ანგარიში გ. 152, 187, 396. ვ. 45, 186.

ა. 94, 112, ბ. 64, 66
 ანგელოზი ბ. 39. გ. 375, 402
 ანდერძი ბ. 108, 115, 116, 117, 118, 126,
 127, 277, 279, 299. ს. 5, 6, 10, 50, 51,
 68, 89, 99, 123, 124. გ. 151, 152, 252,
 282, 331, 333, 353. ა. 57. ვ. 233.
 ანდერძში მოგონება ბ. 122. ანდერძ-
 ძის გამოცემა გ. 333. ანდერძის გატე-
 ხა ს. 7, 74, 94. ანდერძის გატულება ს.
 94. ანდერძის დათქემა ს. 94. ანდერძ-
 ძის დაწერა ს. 1, 5, 15, 77, 80. ანდერძ-
 ძის თქმა ს. 3, 4. ანდერძის მოშლა ბ.
 122--126. ანდერძის მქნელი ბ. 108.
 ანდერძის უთქმელობა ს. 3. ანდერძის
 ქნა ბ. 108, 114, 118, 287, ს. 7, 12,
 16, 51, 68, 73, 74, გ. 357. ანდერძ-
 ძის ყოფა ს. 73. ანდერძის წიგნი ბ.
 108, 114, 116, 125, 283, 287
 ანდერძება ს. 65, 66. ვ. 261
 ანთრაქი კრწ
 ანძა ანძაზე აცმა ბ. 30, 321, 362 ანძის
 კურა გ. 370
 ანჩხლი გ. 386
 არასრულწლოვანი ბ. 51
 არდაბავი მ. 26
 არევა ვ. 50
 არეულობა ბ. 306. გ. 400
 არსაქარი ვ. 148
 არქიმანდიტი ვ. 28
 არშივი ა. 50
 არშიკობა ა. 26, 27. იხ. გააშიყება
 ასაბია ბ. 49, 68, ძ. 41. ა. 15. ვ. 24. 51.
 53, 54
 ასაბიანი ძ. 41
 ასაბიობა ა. 35. ძ. 41
 ასაკი ვეჭილის ასაკი ბ. 253. მოსამართ-
 ლის ასაკი ბ. 187. ქალის ასაკი ს. 60
 ასაურელი ვ. 270
 ასაშენებელი ს. 53
 ასლვა ვ. 142, 151
 ასო ბ. 66. გ. 165, 173, ძ. 33. ა. 162.
 ასოთა განყოფილობა გ. 213
 ასოწამქდარი გ. 165
 ასუბუქება ა. 83
 ასული მ. 3, 11, 29, 37, ს. 1. გ. 152.

გლეხის ასული ა. 72
 აუგინანდ ა. 18, 38
 აფარვა ა. 13
 აფუნჩხვა ა. 13
 აქაით ა. 98
 აქიმი იხ. ექიმი
 აქლემი ს. 81, 86, 149
 ალაბი ვ. 234
 ალაგება მ. 6
 ალღობა მ. 2. ბ. 191. ს. 44. გ. 306
 აღება ძ. 18, 46. ვ. 14, 63, 81, 101, 103,
 116, 148, 206, 250, 255, 263
 აღებ-მიცემა გ. 249, 367, 390
 აღებული ძ. 26
 აღთქემა გ. 251, 291, 293, 333
 აღიარება დანაშაულის აღიარება ბ. 236
 აღმაშენებელი ა. 99
 აღმთქმელი გ. 291
 აღმოყუთვა ევბ.
 აღმომეტყუელი ვებ.
 აღმომორჩებული კრწ.
 აღმოფხურა ბ. 261. ძ. 15
 აღმოწყუტა ძ. 15
 აღმოკლვა მ. 38
 აღნადგინები მ. 37, 39
 აღნათქუემი მ. 37, 38
 აღრაცხვა გ. 374
 აღრევა ბ. 52. ძწ
 აღრიცხვა ქუეყნის აღრიცხვა ბ. 349
 აღსავსე კ. 21
 აღსრულება მ. 38
 აღწევა ვ. 218
 აღწონა მ. 12
 აურა ვ. 61, 152, 158, 199, 270
 აურილი ვ. 103, 163, 201
 აუჟანა ვ. 261
 აუზა ვ. 86
 აშენება ბ. 231, 265, 287, 345. გ. 378.
 კ. 7. ვ. 103, 246
 აშეება ვ. 174
 აშლა ვ. 81
 აშორება ვ. 206
 აწონა გ. 247. ა. 95
 აჭა ვ. 3

ბაზარი ს. 149 ბაზრისა და ქუჩის შემო-
რონილება ბ. 2, 383. ბაზარში შერცხე-
ნა ბ. 77, 80, 242, 382
ბანაკი მ. 36.
ბანება ბ. 118
ბანი ს. 132. ბ. 266
ბაუი ბ. 274, 276 ბაუის მოპარვა ბ. 275.
ბაუის ხანდაზმულობა ბ. 276. ორმაგი
ბაუი ბ. 276. საქონლის ბაუი ბ. 275.
ბარათი ვ. 104
ბარბაროზი ბ. 39
ბარი ვ. 171, 172
ბატკანი გ. 152
ბატონი ბ. 5, 50, 82, 85, 106, 119, 153.
159, 160—171, 235, 249, 271, 288,
295, 302, 308, 319. ს. 23, 72. გ. 152
384, ა. 4, 9, 10, 18, 31, 33, 40, 42 ---
45, 71, 72, 77, 78, 95¹, 96. ვ. 9, 17,
23, 42, 56, 80, 98, 110, 135, 160. 20²,
202, 231, 258, 259, 261,
267, 268, 270. ალაგის ბატონი ბ. 53,
231, 255, 274, 396. ახალი ბატონი
ბ. 309. ბატონის მოკლეა ბ. 172. ბა-
ტონის ორგულობა ბ. 50. ბატონის
სამსახური ბ. 159. ბატონის საქმე ბ.
54. უწინდელი ბატონი. ბ. 309, ქუეყ-
ნის ბატონი გ. 389
ბატონიშვილი ბ. 154, 169
ბატონ-უმა ვ. 258
ბალი ს. 39, 109. გ. 152, 241, 249, 267,
323, 383, 384, 387, 389. ვ. 103, 104,
162, 246. ბ. 234, 260
ბე ბ. 4. ს. 14 ბეს მიმცემი ბ. 4
ბეზია ს. 80. გ. 201
ბეგარა ბ. 272. ს. 44, 108. გ. 152, ვ. 162.
სამეფო ბეგარა ბ. 272
ბეგარი ძ. 2, 8
ბედელი მ. 26
ბედი ბ. 348
ბედითი ა. 36
ბედითად ა. 40
ბეითალმალი ძ. 26. ე. 175

ბერეტუტი გ. 284
ბერი ბ. 54, 128, 161, 227, 303, ს. 137.
გ. 151, 284, 291, 361, 402
ბერიკაიი გ. 402
ბერი-მეუღაბნოე გ. 402
ბერობა ბ. 303
ბეჭელი ბ. 108—113, ს. 58. ვ. 143, 260
ბიზღება ბ. 53, 141, 167
ბილწება მ. 7, 11, 51
ბილწი გ. 299, 318
ბინა ბ. 266
ბირება ა. 1. ვ. 198
ბიძა ბ. 278. ს. 55 ქალის ბიძა გ. 251
ბიძასძე ძ. 7. აშ.
ბიჭი მ. 22. ა. 31. ბიჭთან ურიგოდ მკეც-
ველი გ. 178, 339
ბიწი მ. 7
ბიჭი ა. 13
ბედელი ა. 169¹
ბნედა ს. 22, 35
ბნელიანი ს. 82. გ. 157, 159, 332
ბოგანო ვ. 100
ბოზი ს. 67, 88, გ. 165, 215¹, 295, 338,
346, 402. ა. 29
ბოზობა ბ. 346, 352, 398. ს. 47, 66, 34,
87, გ. 169, 178, 180, 201, 260, 272,
295, 296, 298, 341, 347, 356. 402,
ვ. 9, 42, 63. 67, 68, 87. ა. 29, 50.
ბოზობის მოქმედი ს. 62. ბოზობით
შობილი ს. 129
ბორაკი გ. 181
ბორკილი გ. 316. ბორკლის გაღება ბ.
380
ბოროტი მ. 8, 9, 29, 30, 36, 44.
ბ. 87. ს. 54, 55, 107. გ. 266,
362. ბოროტის მოქმედი გ. 393. ბო-
როტის მქნელი გ. 347. ბოროტის ნაქ-
მარობა გ. 208. ბოროტის ნდობა გ.
382
ბორჯალი ს. 21. ა. 79
ბოსტანი ბ. 46, 102, 254, 342. ს. 39,
109, გ. 152, 249, 384, 389, ვ. 104. ა.
52. ბოსტანის წართმევა ბ. 47
ბოძება ძ. 3, 5, 6, 28. ვ. 23, 113, 170,

233, 270. ა. 60. საქონლის ბოძება ბ.
180
ბრალება ს. 4. გ. 370. ვ. 193
ბრალი მ. 32. გ. 184, 311, 315. ვ. 197,
226
ბრალიანი ს. 114
ბრიყვება გ. 390. ბ. 55
ბრმა მ. 52. გ. 218, 332, 340. ბ. 115
ბრჭობა იხ. ბჭობა
ბრძანება ბ. 17, 25, 79, 124, 128, 183,
192, 196, 201, 226, 241, 207, 361,
369, 370, 391, 403. ს. 3, 5, 8, 11, 27.
29, 30, 53, 57, 60, 62, 72, 78, 79,,
84, 95, 102, 104, 109, 110, 128, 127,
143, 147, ძ. 13, 19, 27. კშ. ა. 3, 99.
გ. 152, 153, 155, 181, 186, 187, 189,
190, 199, 223, 232, 236, 251, 252, 257,
261, 284, 303, 311, 322, 329, 331,
336, 344, 349, 353, 362, 373, 376,
379, 402. ვ. 177. ბრძანება რიგისაგან
ს. 23. კანონის ბძანება გ. 154, 188,
292, 345, 347, 361, 396, 399. მთაერის
ბძანება ბ. 261. რიგის ბძანება
ს. 23, 40, 88, 117, გ. 202, 207, 265,
სამართლის ბძანება გ. 238, საზარების
ბძანება გ. 240 კელმწიფის ბძანება
გ. 370, 390
ბრძენი სშ. გ. 151—153 კკუით ბრძენი
გ. 332
ბრძოლა მ. 15—17, 19. ა. 42, 49, 163.
ბ. 83, 385
ბუდე მ. 25. გ. 267. ვ. 7
ბუნება გ. 171, 400. ა. 90. ბ. 401
ბურღო ა. 64
ბურღობა ა. 64
ბძანება იხ. ბრძანება
ბჭე მ. 29. ბ. 136, 139. ა. 3, 4¹, 90, 100
ვ. 159, 215, 264 ბჭის სამართალი ბ.
137, 138. სოფლური ბჭე ბ. 188
ბჭობა ა. 20, 27, 40, 77. ვ. 207, 267
ბჭა გ. 226, 234, ვ. 192

გ

გააზატება ვ. 234
გაანგარიშება ვ. 94, 189
გააშიუება ვ. 60, იხ. არშიკობა
გაბარებული ბ. 309
გაბეზრება ა. 48
გაბოზება გ. 160, 297
გაბრუნება გ. 308
გაბჭობა ა. 34, 90
გაგდება ბ. 1, 35, 55, 56, 76, 77, 219,
257, 289, 337, 344, 351, 380. ს. 67,
87, 102, 137, გ. 381. ვ. 83.
მამის გაგდება ბ. 296. ეკლესიიდან
გაგდება ბ. 401, გ. 379. სამკუიღრე-
ბელისაგან გაგდება ბ. 80. საყდრიდან
გაგდება ბ. 235
გაგლებული ვ. 261. ბ. 303
გაგზავნა გ. 376 სავაქროდ გაგზავნა ბ.
106. ძალად გაგზავნა გ. 386
გაგზავნილი გ. 323. ვ. 229
გაგინება ვ. 91
გაგინებული ვ. 91
გაგიუება ბ. 295, 356. გ. 398
გაგონება ბ. 55, 82, 85, 149. გ. 361. კ.
15, ძშ. ვ. 13, 205, 216. ა. 50. 58
გაგონილი ბ. 148—149
გადაწყუება ვ. 263
გადიდება გ. 312 ვ. 23. გადიდების რიგი
გ. 312
გადიდებული ვ. 29
გავა ვ. 182
გავალება ბ. 107. ვ. 125
გავარდნა ვ. 48, 92, 192
გავაქრება გ. 181
გავლა ვ. 254
გავლება ვ. 143
გავლენა ა. 35, 72, 137
გავლენილი ა. 22
გაზაფხული გ. 247
გაზად იხ. გაზარდა.
გაზდილი ს. 25
გაზევა ვ. 183
გაზითვა ბ. 3, 279, ს. 53
გაზრახ ვ. 188

გაზომვა ვ. 49
გაზრდა ვ. 203, 261. გ. 340. ა. 55¹, 82
გაზრდილება ა. 31
გათავება ვ. 166, 177. ა. 57, 61).
კ. 21. ბ. 344
გათავისუფლება ვ. 258, 259
გათარხნება ბ. 271, ვ. 162. სამკვიდროდ
გათარხნება ბ. 271 ქრთამით გათარხ-
ნება ბ. 226
გათვლა ვ. 190, 191
გათხოება გათხოების დრო ს. 57. ა. 82
ქალის გათხოება ს. 59
გათხოვილი მ. 32. გ. 179, 231, 254, 29¹,
348
გაკაცრიელება ა. 54
გაკვრა ვ. 42
გაკითხვა ა. 91, 103
გაკრეჭა ბ. 2, 34, 49, 68, 77. 233, 259,
382
გალავანი გ. 241. ვ. 103
გალახვა ს. 25, 88. გ. 188, 280, 361
გალაშქრება გ. 152, 401
გალობა ბ. 401. გ. 359
გამაგრება ა. 42
გამამღები გ. 358
გამამცემი ს. 21, 35
გამამცხადებელი სამართლის გამამცხადე-
ბელი ბ. 58
გამართვა ა. 134 .
გამართლება ს. 115, 137. გ. 188. ვ. 33,
39, 174
გამარჯვება ა. 19
გამგზავნელი გ. 152, 372, 376, 377. ვ.
229
გამგონე გ. 262, 267
გამღელი ბ. 128, 201, 252
გამდიდრება გ. 240
გამწითება ვ. 110
გამწითული ს. 143
გამწრდელი ს. 129. ვ. 261 ძუძუთ გამ-
წრდელი გ. 343
გამთავება ს. 59. გ. 220, 382
გამთელება ბ. 64. გ. 332, 381, 382
გამთხოვებელი ვ. 225

გამკვიდრება ა. 31
გამკურნებელი ქორკის გამკურნებელი
ს. 137
გამოარ (გამოუაროს) ა. 40, 85
გამობარება ბ. 309. ვ. 235
გამობრუნება ა. 42. ბ. 81
გამოგდება ბ. 235, 246
გამოვლება ვ. 48
გამოვლინება მ. 6, 41
გამოთრევა ა. 123
გამოთხოვა. ა. 55
გამოკლება მრუდად გამოკლება კ. 19
გამოკიდება ვ. 87, 97, 162, 176.
გამოკითხვა მ. 14. გ. 377, კ. 12
გამომართლება ვ. 62, 97, 174
გამომეტება ა. 132
გამომღებელი ა. 83
გამონადეში ა. 44
გამონახვა: ა. 4, 40, 58, 59, 103. ვ. -24,
157, 164, 264
გამოპარვა ბ. 296
გამორევა ვ. 94
გამორთმევა ბ. 166, 215, 275, 307, 330,
342, 390. ს. 26. გ. 389. ძ. 45. ვ. 63,
94, 95, 103, 130, 135, 156, 218, 22¹,
230, 236, 260, 270. სამეფოდ გამორ-
თმევა ბ. 360. ძალად გამორთმევა გ.
164.
გამორჩევა გ. 287, 325, ძ. 6 ვ. 100
გამორჩეული გ. 287
გამორჩომა ბ. 196. გ. 355
გამოსავალი გ. 181, 235. ს. 144. ვ. 217
გამოსარჩომი გ. 153, 359
გამოსაღები გ. 152. ს. 42 ვ. 105. საბა-
ტონო გამოსაღები გ. 400. სათავადო
გამოსაღები გ. 152. საქელმწიფო გა-
მოსაღები ს. 108, გ. 152
გამოსაყვანელი ძ. 2
გამოსაქსნელი ბ. 91
გამოსვლა ხანის გამოსვლა ძ. 46. ა. 42,
56, 61
გამოსრულება მ. 51
გამოტანა ვ. 205
გამოტება ბ. 307

გამოტყუება ღვინოში მამულის გამო-
 ტყუება ბ. 24
 გამოქცევა ბ. 81
 გამოქცეული ბ. 333
 გამოღება ა. 13, 71. ვ. 173, 177, 193,
 258. ბ. 104, 139
 გამოყვანა ვ. 51. ბ. 362
 გამოყოლა ძ. 29
 გამოჩენა ბ. 33. ს. 35. გ. 298, 330. კ.
 1, 16. ძ. 28, 45. ა. 16, 58, 59, 90,
 92. ვ. 58, 62, 167, 179. ბ. 120, 140,
 244—246.
 გამოჩენილი ვ. 36
 გამოცდა გ. 299, 394
 გამოცემა მ. 4
 გამოცვლა ბ. 116, 176
 გამოცხადება ბ. 20. წერილის გამოცხა-
 დება ბ. 61
 გამოძებნა ვ. 143, 147, 182
 გამოძიება მ. 8. კ. 1, 14. ვ. 3, 161
 გამოწევა გ. 248
 გამოწვევა ძ. 29
 გამოწირვა შეწირულის გამოწირვა გ.
 389
 გამოწულიღვა კ. 15, 16
 გამოხუმა მამულის გამოხუმა კ. 20
 გამოქსნა ბ. 200 დატყუებულის გამო-
 ქსნა ბ. 38. ტყუეობიდან გამო-
 ქსნა ბ. 39 ტყუის გამოქსნა ბ. 40, 41
 გამპარავი ს. 21
 გამულავნება ბ. 30, 171. გ. 164. ვ. 236
 გამრავლება ს. 64
 გამრიგე ს. 60, 69. ვ. 17, 34
 გამსყიდველი ბ. 4, 9, 241. ს. 14, 21, 36.
 39, 97. გ. 152, 208, 247—249, 335.
 ა. 45
 გამტანი გ. 226
 გამტყუნება ბ. 246, 339, 342. ს. 96.
 107, გ. 180, 188, 244, 293, 308. ვ. 40,
 227, 236. ა. 63
 გამტყუნებულო ვ. 7
 გამღები ვ. 224
 გამყრელი გ. 252
 გამშვები გ. 272, 289
 გამცემელი ა. 136

გამცემი ქალაქის გამცემი გ. 152, ცა-
 ხის გამცემი გ. 152
 გამძლოლი ს. 3, 60, 92, 137
 გამძობილებელი გ. 231
 გამხველი სჯულის გამხველი ბ. 140
 გამხრწნელი ქალწულის გამხრწნელი ბ.
 191
 განათლება წმინდათ განათლება გ. 359
 განაღებ აშ. 33, 59, 85, 88
 განაყოფი ძ. 9, 10. ვ. 80
 განაჩენი აშ. 66. ძშ., 7, 37. ვ. 23, 24,
 205, 206
 განაწილება მ. 22.
 განაჩენ-დაუღებლობა ძშ.
 განახევრება ძ. 10
 განბრძნობილი ა. 57
 განგება მ. 8. ა. 52, 99
 განგებული ბ. 164
 განგუმერა ბ. 380
 განდგომა ბ. 60
 განდგომილება ბ. 31
 განდგომილი ბ. 291
 განდობა ბ. 42. გ. 282, 298, 393, 402. ა.
 64. კანონის განდობა გ. 323
 განდრეკა მ. 45
 განვარდნა მამულიდან განვარდნა კ. 4
 განვოტება ბ. 349
 განჯრახვა კრშ., ბ. 1, 55, 108, 129. ვ. 42
 განთავისუფლება ბ. 7, 40, 158, 168. ა.
 განთავისუფლებული მ. 6.
 განთიადი კრშ.
 განკანონება ბ. 78
 განკითხვა ბ. 2, 140, 156, 189, 209, 214,
 258. გ. 170. კ. 1, 8, 13. ვ. 14. გან-
 კითხვის დღე გ. 396. მართალი გან-
 კითხვა კ. 14, 15, 16
 განმართლება მ. 48. კ. 19
 განმარისებელი ა. 90, 94
 განმარსებელი ბ. 363
